

საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების
დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია

ანგარიში

ტომი I ტომი II ტომი III
სექტემბერი, 2009

ტომი II

სარჩევი

თავი 1: ისტორიული ფონი და საერთაშორისო გარემო

საქართველო-რუსეთის ურთიერთობები
ურთიერთობა საქართველოს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს შორის
ურთიერთობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის

თავი 2: კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში: სამშვიდობო ძალისხმევა 1991-2008

შესავალი
აფხაზეთი
სამხრეთ ოსეთი
დაკვირვებები

თავი 3: შესაბამისი სამართლებრივი საკითხები

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის იურიდიული სტატუსი
თვითგამორკვევა და გამოყოფა
„პასპორტიზაცია“

თავი 4: კონფლიქტი: მხარეთა თვალთახედვა

ქართული ხედვა
რუსული ხედვა
სამხრეთ ოსური ხედვა
აფხაზური ხედვა

თავი 5: 2008 წლის სამხედრო მოვლენები

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოვლენები ქართულ-აფხაზურ
კონფლიქტის ზონაში რომლებიც წინ უსწრებდა 2008 წლის აგვისტოს
შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას
ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დასაწყისი
სამხედრო ოპერაციები მეორე (დასავლურ) ფრონტზე
ქართული ოპერაციები
რუსული ოპერაციები
კიბერ-ომი

ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება
მსხვერპლი და მატერიალური დანაკარგი

თავი 6: ძალის გამოყენება

ძალის გამოყენების მუქარა
საქართველოს მიერ ძალის გამოყენება
სამხრეთ ოსეთის მიერ ძალის გამოყენება
რუსეთის მიერ ძალის გამოყენება
აფხაზეთის მიერ ძალის გამოყენება

თავი 7: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა სამართალი

შესავალი
შესაბამისი საერთაშორისო სამართალი
ძირითადი ფაქტები და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შეფასება
განცხადებები გენოციდის შესახებ
ძირითადი მიგნებები და მიღებული გამოცდილება
საერთაშორისო სასამართლოებში წარდგენილი საქმეები

თავი 8: უკან დიპლომატიისაკენ

ტომი II

ტომი მოიცავს სხვადასხვა სამხედრო, იურიდიული, ჰუმანიტარული, ადამიანის უფლებათა, პოლიტიკური და ისტორიული სფეროს ექსპერტთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის ნაკრებს. ისინი ფაქტების დამდგენმა მისიამ შეაფასა და იგი წარმოადგენს საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შესახებ ანგარიშის საფუძველს.

ტექსტში მოცემული განმარტებები, დაკვირვებები და მოსაზრებები არ წარმოადგენს მისიის შეხედულებას. ამ მხრივ, ის მოსაზრებები და დაკვირვებები, რაც პირველ ტომში იქნა მოცემული, უპირატესი მნიშვნელობისაა.




წყარო: Fischer Weltatmanach, Fischer Taschenbuch Verlag, Frankfurt am Main, 2009



წყარო: რუკა #3780, მე-5 გამოცემა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, კარტოგრაფიული სამმართველო, 2004 წლის აგვისტო



წყარო: სამხრეთ ოსეთის რუკა, საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი



წყარო: შერეული სამშვიდობო ძალების რუკა, კრიზისის საერთაშორისო ჯგუფი



წყარო: დასავლეთ საქართველოს რუკა, კრიზისის საერთაშორისო ჯგუფი



წყარო: რუკა #3837, 61-ე გამოცემა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, კარტოგრაფიული სამმართველო, მაისი, 2009 წ. (ფერადი)

თავი 1: ისტორიული ფონი და საერთაშორისო გარემო

1. საქართველო-რუსეთის ურთიერთობები

არაერთგვაროვანი ურთიერთობების ისტორია

მზარდი დაპირისპირებ 2004-2008

სიმშვიდის ხანმოკლე პერიოდი

2004 წლის გაზაფხულის აჭარის კრიზისი

2004 წლის ზაფხულში სამხრეთ ოსეთის კრიზისი

დავა საქართველოს კონფლიქტის ზონებში რუსეთის სამშვიდობო როლის გარშემო მცოცავი „ანექსია“

2006 წლის შემოდგომაზე ჯაშუშების თემაზე ატეხილი სკანდალი

საქართველოს საჰაერო სივრცეში შეჭრის ინციდენტები

დროის ათვლა შეიარაღებულ კონფლიქტამდე: გეოპოლიტიკური კონტექსტი

საქართველოს სწრაფვა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისკენ

რუსეთის „კოსოვოს პრეცედენტის“ ფორმულა

2008 წლის ესკალაცია

დაკსვნა

2. ურთიერთობა საქართველოს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს შორის

შესავალი

1992-1995: აშშ-ს საქართველოში სერიოზული ინტერესები არ აქვს

1995-2001: ენერგოუსაფრთხოება და სამხედრო თანამშრომლობა

2001-2008: საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაძლიერება

3. ურთიერთობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის

შესავალი

1992-1995: არასტაბილურობის დაძლევა

1995 – 2003: პარტნიორობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბება

2003 – 2008: საერთო ევროპული პოლიტიკისკენ

ტომი II

თავი 1: ისტორიული ფონი და საერთაშორისო გარემო

1. საქართველო-რუსეთის ურთიერთობები

რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკური წინაპირობები ისტორიულად რთულ, ორ სხვადასხვა სახის ურთიერთობას მოიცავს, რომლებიც ერთმანეთს კვეთს – ერთი მხრივ, ეს არის ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის და, მეორე მხრივ, შიდა კონფლიქტური ურთიერთობები საქართველოს და სეპარატისტულ რეგიონებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის. აღნიშნულ კონტექსტს აღრმავებს კიდევ უფრო ფართო გეოპოლიტიკური გარემო, სადაც კავკასია წარმოდგენილია როგორც გარე ძალების ურთიერთსაპირისპირო გავლენის არეალი.

არაერთგვაროვანი ურთიერთობების ისტორია

საქართველოს იდენტობა ისტორიულად უკავშირდება პერიოდს, როდესაც IV საუკუნეში საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო, ხოლო V საუკუნეში ჩამოყალიბდა ქართული ენა საკუთარი ანბანით. თუმცა, საუკუნეების მანძილზე საქართველო დაყოფილი იყო ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებად, რომელთაგანაც თითოეულს ჰქონდა საკუთარი ტრადიციები, ჩვევები და დიალექტები; მეგრელების, ლაზებისა და სვანების შემთხვევაში ცალკე ენაც კი, რომელიც ქართულის მსგავსია. ეთნიკური კონსოლიდაციისა და ერის ჩამოყალიბების პროცესი არ იყო დასრულებული.¹ ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესი დასრულდა ერთიანი ქართული სამეფოს ჩამოყალიბებით XI-XIII საუკუნეებში, როდესაც საქართველო კავკასიაში რეგიონული მნიშვნელობის ძალას წარმოადგენდა. შემდგომში იგი დაიყო სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებად, როგორც იყო, მაგალითად, აღმოსავლეთში ქართლ-კახეთის სამეფო, ხოლო იმერეთის სამეფო და სამეგრელოსა და სვანეთის სამთავროები - დასავლეთში. საქართველო საგრძნობლად დასუსტდა მონღოლებისა და თემურ ლენგის ხშირი თავდასხმების შედეგად. XVI საუკუნიდან, ოტომანთა თურქეთმა და სასანიანთა ირანმა დაიწყეს საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონების დაპყრობა. შავი ზღვის რეგიონში პოლიტიკური გავლენის გაძლიერების მიზნით, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში თავისი იმპერია გააფართოვა. იმ პერიოდისათვის საქართველო ერთობ რთულ მდგომარეობაში იყო. თურქეთისა და სპარსელების შეიარაღებული თავდასხმების შედეგად ქვეყანა გაპარტახდა. მეფე ერეკლე II-მ, რომელმაც აღმოსავლეთ

¹ სტანდარტული ნამუშევარი ამ პროცესის შესახებ: Ronald Grigor Suny, The Making of Georgian Nation, (ქართული ერის ჩამოყალიბება), ბლუმინგტონი, ინდიანაპოლისი, 1994 წ.

საქართველოში ორი სამეფო წარმატებით გააერთიანა, რუსეთის იმპერატორს – ეკატერინე II-ს მფარველობა სთხოვა. შედეგად, 1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკში ხელი მოეწერა შეთანხმებას (ტრაქტატს), რომლის თანახმადაც აღმოსავლეთ საქართველო (ქართლ-კახეთის სამეფო) რუსეთის პროტექტორატი გახდა, რაც სპარსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამის მიუხედავად, საქართველოს სპარსელების შემდგომი შემოსევის დროს, 1795 წელს, მარტოს მოუხდა მათთან გამკლავება, რასაც მისი დედაქალაქის განადგურება მოჰყვა. ერეკლეს ვაჟმა და მისმა მემკვიდრემ, გიორგი XII-მ კვლავ მიმართა რუსეთს დახმარებისათვის, ამავდროულად, იგი ცდილობდა სპარსეთთან ორმხრივი შეთანხმებისთვის მიეღწია. საპასუხოდ, რუსეთმა მისი სამეფოს ანექსია მოახდინა: 1801 წლის 8 იანვარს, რუსეთის მეფე პავლე I-მა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის თანახმადაც საქართველო რუსეთის იმპერიას მიუერთა.

ცარიზმის რეჟიმი საქართველოში შეიძლება სამ პერიოდად დაიყოს²: 1. 1801-1844 წლებში საქართველო რუსულ სამხედრო ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა (საქართველოს გუბერნია); 2. 1844-1881 წლებში კავკასიის მეფისნაცვლის ხელისუფლება არსებობდა; 3. 1881-1917 წლებში იგი სრულად იყო ინტეგრირებული რუსეთის იმპერიაში და ინტენსიურ რუსიფიკაციას განიცდიდა. ამ პერიოდში თბილისი კავკასიის არაოფიციალურ დედაქალაქად ჩამოყალიბდა და ქართველ დიდგვაროვნებს რუსული არისტოკრატის ექვივალენტური სტატუსი მიენიჭათ. 1870-იან წლებში ქართული ინტელიგენციის წარმოშობამ ერის გამოღვიძებას მისცა ბიძგი.

საინტერესოა, ისტორიულად, როგორ ხედავენ ამგვარ ანექსიას საქართველო და რუსეთი? რუსეთი მას აღწერს, როგორც „ჰუმანიტარულ მისიას,“ დახმარებას, რომელიც მან ისლამური მეზობლებისაგან დასაცავად აღმოუჩინა უძველეს ქრისტიანულ ერს³. საბჭოთა, განსაკუთრებით კი, პოსტ-საბჭოთა რუსეთის მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით, ხაზს უსვამს ცარიზმის დაქვემდებარების ქვეშ საქართველოს ტერიტორიების გაერთიანებას და ქვეყნის სტაბილიზაციას. პოსტ-საბჭოთა საქართველოს ისტორიოგრაფია, ნაწილობრივ, ანექსიის უარყოფით შედეგებს გამოკვეთს, ნაწილობრივ კი უფრო დაბალანსებულ მიდგომას არჩევს: უარყოფით მხარედ აღინიშნება 1811 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი დაქვემდებარება რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისათვის, ქვეყნის ეროვნულობის დეგრადირება და რუსიფიკაცია. დადებითად განიხილება რუსეთის მიერ საქართველოს დაცვა გარე (მუსულმანური) ძალებისგან, ქართული მიწების

² ამ პერიოდიზაციისთვის იხილეთ Andrzej Furier: Droga Gruzji do niepodlegoi (საქართველოს გზა დამოუკიდებლობისკენ, პოზნანი 2000 წ., გვ.36-39; ვოიცეხ მატერსკი Gruzja (საქართველო), ვარშავა 2000 წ., გვ. 19-20.

³ იხილეთ ვასილი კლიუჩევსკის კლასიკური ნამუშევარი (კლიუჩევსკი ვ.ო.: რუსეთის ისტორია, როსტოვი დონზე 2000 წ., წიგნი მესამე, გვ. 437-440).

გაერთიანება ერთიან სახელმწიფო ორგანიზმად და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგალითად როგორც იყო საგანმანათლებლო სისტემის რეფორმა. ანექსიის დადებითი და უარყოფითი მხარეები ხშირად იყო ურთიერთკავშირში იყო: მაგალითისთვის, რუსიფიკაციამ ბიძგი მისცა საქართველოს ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას. გარკვეულწილად, ქართველები პრივილეგირებულ ერად ითვლებოდნენ რუსეთის იმპერიაში. ამის მიუხედავად, საქართველოს ისტორიულ ნაშრომებში რუსეთი ქართველი ერის არსებობის საფრთხედ მოიხსენიება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დამოუკიდებლობა უფრო მეტად განპირობებული იყო რუსეთის იმპერიის დაცემით, ვიდრე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალისხმევით. საქართველო თავის „საწყის დამოუკიდებლობას“ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვან მონაპოვრად მიიჩნევს. იმ დროისათვის ქართველ პოლიტიკოსებს არ ჰქონდათ განზრახული რუსეთთან კავშირის გაწყვეტა. ნოე ჟორდანიამ, ქართველი მენშევიკების ლიდერმა და მოგვიანებით, პრემიერ-მინისტრმა, 1917 წლის ნოემბერის ბოლოს განაცხადა, რომ საქართველომ აირჩია დასავლეთის გზა, რომელიც რუსეთზე გადიოდა. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკური იდეოლოგია იმ დროისთვის არ იყო პოპულარული საქართველოში. 1918-1920 წლებში ბოლშევიკური დაჯგუფებები ამბოხებებს აწყობდნენ შიდა ქართლის რეგიონში, რომელიც მეტწილად ოსური უმცირესობით იყო დასახლებული. 1920 წელს ქართულმა ჯარმა ეს ამბოხებები სასტიკად ჩაახშო. ოსებს მიაჩნიათ, რომ ქართული რეპრესიების სამიზნე ოსი ერი იყო, თუმცა ქართველები ამტკიცებენ, რომ ისინი ბოლშევიკებს ებრძოდნენ და არა ოსებს.

1921 წლის 25 თებერვალს, ბოლშევიკებმა შექმნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც ერთი წლის შემდეგ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ-სოციალისტურ რესპუბლიკაში გაერთიანდა (ასფსრ), სადაც სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებიც შედიოდნენ. მოგვიანებით, 1936 წლის დეკემბერში, ეს ამიერკავკასიური ერთეული დაიშალა, სამივე რესპუბლიკა კი სსრკ-ში გაერთიანდა. საბჭოთა საქართველოს რთული ტერიტორიული სტრუქტურა ჰქონდა: მის საზღვრებში შედიოდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც მისი ტერიტორიის დაახლოებით 22 პროცენტს შეადგენდა. საქართველოს ელიტა დარწმუნებული იყო, რომ აღნიშნული ერთეულები განზრახ იყო შექმნილი საბჭოთა (რუსეთის) ცენტრალური ხელისუფლების მიერ, საქართველოს იურისდიქციის შეზღუდვის მიზნით საკუთარ ტერიტორიაზე.

საქართველოში ბოლშევიკების პოლიტიკისადმი დაპირისპირებასა და წინააღმდეგობას 1924 წლის აგვისტოში ეროვნული აჯანყება მოჰყვა, რომელიც სასტიკად იქნა ჩახშობილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ, რომლის სამიზნეს ძირითადად, მართლმადიდებლური

ეკლესიის სამღვდლოება და ეროვნული ინტელიგენცია წარმოადგენდა.⁴ ამ მასობრივმა ტერორმა, „ქართველი ერის თავის მოკვეთამ“, კულმინაციას მიაღწია 1930-იან წლებში. საქართველოს ეროვნული გამოცოცხლება პოსტ-სტალინისტური დეკადების პერიოდში იწყება. მაგალითად, 1978 წლის აპრილში, თბილისში ათასობით ადამიანმა გააპროტესტა კონსტიტუციური ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებდა რუსული და ქართული ენებისთვის თანაბარი სტატუსის მინიჭებას. საბჭოთა ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და ყურად იღო მოთხოვნა, ქართულ ენას შეენარჩუნებინა ერთადერთი სახელმწიფო ენის სტატუსი.

საქართველოში საბჭოთა რეჟიმი 1989 წლის 9 აპრილს ტრაგიკულად დასრულდა, რამაც განაპირობა ის, რომ განვითარებული მოვლენები პოსტ-საბჭოთა ქართული ნაციონალიზმის „არჩეულ ტრავმად“ გარდაიქმნა. საბჭოთა ჯარმა თბილისის ცენტრში მშვიდობიანი დემონსტრაცია დაარბია, რის შედეგადაც 19 ადამიანი დაიღუპა და ასეულობით დაშავდა. აღნიშნულმა ტრავმამ გამოიწვია საქართველოს ეროვნული მოძრობის რადიკალიზაცია „პერესტროიკის“ პერიოდში, რამაც ბევრ ქართველ კომუნისტსაც კი, უბიძგა იმისკენ, რომ ისინი დამოუკიდებლობას მათი ქვეყნისთვის ერთადერთ შესაძლო პერსპექტივად განიხილავდნენ.

ორი წლის შემდეგ, 1991 წელს, საქართველოს პარლამენტმა (უზენაესმა საბჭომ) დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საბჭოთა მემკვიდრეობის ყველაზე პრობლემურ ასპექტად (ასევე ქართულ-რუსული ურთიერთობის კონტექსტში) კვლავაც საქართველოს ტერიტორიული სტრუქტურა რჩებოდა - სამი ავტონომიური ერთეულით (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, აჭარა). პოსტ-საბჭოთა სუვერენიტეტის მოპოვების გარდამავალ პერიოდში ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ეროვნულმა მოძრაობამ ბევრი გააკეთა იმისათვის, რათა მოეხდინა აღნიშნული რეგიონებისა და ეროვნული უმცირესობების გაუცხოება საქართველოს დამოუკიდებლობის პროექტისგან და დაამკვიდრა ეთნო-ცენტრისტული ლოზუნგი „საქართველო ქართველებისთვის.“

საბჭოთა კავშირის დამხობის შემდეგ, რუსეთმა ყოფილი საბჭოთა ტერიტორია თავისი სასიცოცხლო ინტერესის სფეროდ გამოაცხადა.⁵ იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი მოელოდა მისი, როგორც რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტორის საერთაშორისო აღიარებას, მან იმ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა ხელახლა მოიპოვეს მისცა „ახლო საზღვარგარეთის“ ფორუმულირება; ამით მან ხაზი გაუსვა რუსეთთან მათ სიახლოვეს და მჭიდრო კავშირებს. სავარაუდოდ, რუსეთისთვის მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ კავკასიაზე

⁴ ვალერი სილოგავა და კახა შენგელია, საქართველოს ისტორია, თბილისი, 2007 წ., გვ. 228-229.

⁵ 1993 წლის დასაწყისში მიღებული რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის პრინციპები და მიმართულებები და შემდგომი დოკუმენტები

გავლენის მოპოვება, რათა შეენარჩუნებინა კონტროლი ირანისა და თურქეთის მეზობელ რეგიონებზე, აგრეთვე მის სახელმწიფოში შემავალი ჩრდილო კავკასიის მეზობელ რეგიონზე, სადაც უკვე შეინიშნებოდა სეპარატიზმის გარკვეული ტენდენციები.

1990-1993 წლებში, მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობები საკმაოდ დამაბული იყო, განსაკუთრებით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში და ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პირველ წლებში. მნიშვნელოვანი გაუმჯობესება 1990-იანი წლების ბოლომდე შეინიშნებოდა, რაც დაკავშირებული იყო 1993 წელს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლასთან. 2000-იანი წლების ბოლოს ურთიერთობები კვლავ გაუარესდა. ზვიად გამსახურდია, რომელიც მალევე გახდა კრიტიკის ობიექტი თავისი ავტორიტარული რეჟიმის გამო, გამოხატავდა ძლიერ ანტი-რუსულ სენტიმენტებს რასაც იზიარებდა საქართველოს ელიტა.

1993 წლის ოქტომბერში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საქართველოს ჯარების წარუმატებელი მოქმედებების შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ მოსკოვს მიმართა დახმარებისათვის, სამეგრელოს ჩრდილოეთ პროვინციებში ზვიად გამსახურდიას მომხრეების ამბოხის ჩასახშობად. რუსეთის ჯარებმა ეს დახმარება გაუწიეს საქართველოს, მისი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის პირობით. 1993 წლის ოქტომბერში, ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა ბრძანებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლასთან დაკავშირებით. 1994 წელს, საქართველო ასევე შეუერთდა რუსეთის კონტროლქვეშ არსებულ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას. საქართველოს ტერიტორიაზე შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო ოთხი რუსული სამხედრო ბაზა, რომლებიც აქ საბჭოთა პერიოდიდან იმყოფებოდა, ხოლო რუსული სასაზღვრო ჯარის ნაწილები განთავსდნენ საქართველო-თურქეთის საზღვარზე და მის საზღვაო საზღვარზე. რუსეთის სამხედრო კონტიგენტის არსებობა საქართველოში აგრეთვე ითვალისწინებდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსებით დაკომპლექტებული სამშვიდობო ძალების განთავსებას.

თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზების განთავსების შედეგად საქართველომ დაკარგა არამარტო დე-ფაქტო ტერიტორიული მთლიანობა, არამედ ნაწილობრივ, თავისი სუვერენიტეტიც. საქართველოს უკმაყოფილება რუსეთის მიმართ დაემთხვა დასავლეთის მზარდ ინტერესს სამხრეთ კავკასიის მიმართ 1990-იანი წლების შუა წლებიდან; ამ პერიოდში კავკასია-კასპიის რეგიონმა მზარდი მნიშვნელობა შეიძინა მსოფლიო ბაზარზე ნავთობისა და გაზის დამოუკიდებლად მიწოდების კუთხით. საქართველო მხარს უჭერდა როგორც ვაშინგტონის ინიციატივებს, ასევე ევროკავშირის ეგიდით განხორციელებულ მნიშვნელოვან სატრანსპორტო პროექტებს. რუსეთი ამგვარ პროექტებს კასპიის ფართო რეგიონში მისი გეო-ეკონომიკური პოზიციის შემაფერხებლ

გარმოებად აღიქვამდა. 1990-იანი წლების ბოლოსათვის საქართველომ დასავლეთთან ურთიერთობის გაძლიერება დაიწყო. 1999 წელს იგი შეუერთდა ევროსაბჭოს, გააძლიერა თავისი კავშირები ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან და გამოვიდა რუსეთის კონტროლქვეშ მყოფი კოლექტიური უსაფრთხოების კავშირიდან. მოსკოვსა და საქართველოს შორის ურთიერთობები უარესდებოდა, სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა 1999 წლის ბოლოს, ჩეჩნეთში დაწყებული რუსეთის მეორე ომის შემდეგ, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე რუსეთის სამხედრო ძალების დაშვებაზე უარი განაცხადა.

1990-იანი წლების ბოლოდან, საქართველოს ხელისუფლებამ ახალი ძალისხმევა გაიღო ქვეყანაში რუსეთის სამხედრო ძალების შესამცირებლად. 1993 წელს, საქართველოსა და რუსეთს ხელი ჰქონდათ მოწერილი შეთანხმებისათვის, რომელიც 1995 წლამდე საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანას ითვალისწინებდა, მაგრამ ეს შეთანხმება ძალაში არ შესულა. მომდევნო წლების განმავლობაში ხელი მოეწერა ორმხრივ შეთანხმებებს რუსეთის ბაზების განთავსების თაობაზე, მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1995 წლის სექტემბერში ხელმოწერილი დოკუმენტი. ამ შეთანხმების თანახმად, საქართველოში განთავსებული იყო ოთხი რუსული ბაზა: ბათუმში (აჭარა), გუდაუთაში (აფხაზეთი), ახალქალაქში (სომხებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონი) და ვაზიანში (თბილისის მახლობლად). 1998 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა შეთანხმებას რუსეთის სასაზღვრო ჯარების გაყვანაზე და 1999 წელს, რუსეთის სასაზღვრო ჯარებმა უკლებლივ დატოვეს საქართველოს ტერიტორია. 1999 წლის ეუთო-ს სტამბულის სამიტის დროს, რუსეთმა ვალდებულება აიღო გაეყვანა თავისი ბაზები საქართველოდან. 2001 წელს ვაზიანიდან გაყვანილი იქნა სამხედრო ბაზა, ხოლო გუდაუთის ბაზის ინფრასტრუქტურა გადაეცა აფხაზეთში განთავსებულ დსთ-ს (ფაქტობრივად, რუსეთის) სამშვიდობო ძალებს. დარჩენილი ორი ბაზის გაყვანა რთული მოლაპარაკებების საგანი გახდა და საბოლოოდ, 2007 წელს განხორციელდა.

რუსეთი, უფრო ზუსტად, გარკვეული ძალები რუსეთის ფედერაციიდან, (ძირითადად, კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია), ჩართული იყო საქართველოს კონფლიქტში აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან 1990-იანი წლების დასაწყისიდან. საქართველოს ჯარებთან შეიარაღებული კონფლიქტის დროს მათი დახმარების გარეშე პრო-აფხაზური ძალების სამხედრო გამარჯვება ვერ განხორციელდებოდა. თუმცა, 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ეს ჩარევა არათანმიმდევრული ხასიათის იყო. თავად რუსეთში არსებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა გავლენა მოახდინა რეგიონში მის მიერ წარმართულ პოლიტიკაზე. აფხაზეთში მყოფი ადგილობრივი რუსი სამხედრო მეთაურები აქტიურად უჭერდნენ მხარს აფხაზურ მხარეს. ალბათ სწორედ რუსეთის მთავრობაში არსებული უთანხმოება არის მიზეზი იმისა, რომ რუსეთისგან დახმარებას ერთდროულად იღებდნენ როგორც საქართველო, ასევე სეპარატისტული ძალები.

შემდგომში, სამშვიდობო პროცესებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მეტწილად, რუსეთი წარმართავდა. დაახლოებით, 15 წლის განმავლობაში ხერხდებოდა რეგიონში სულ მცირე დონის სტაბილურობის შენარჩუნება, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების შეჩერება. ფაქტობრივად, კონფლიქტები გაყინული იყო.

ათასწლეულის მიჯნაზე ნელ-ნელა ცხადი ხდებოდა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მოგვარება უახლოეს მომავალში არ მოხერხდებოდა. ათასწლეულის პირველივე წლებში, სერიოზულ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი, როდესაც მოხდა ამერიკის საგარეო პოლიტიკის რეორიენტაცია 2001 წლის 11 სექტემბრისა და ევროკავშირის გაფართოების შემდეგ, რამაც განაპირობა მისი ახალი პოლიტიკის ფორმულირება ახალ მეზობლებთან მიმართებაში. აღნიშნულმა ცვლილებებმა შემდგომში გამოიწვიეს ნატო-ს გაფართოება აღმოსავლეთის მიმართულებით. ვლადიმირ პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში რუსეთი გახდა უფრო მდიდარი, უფრო სტაბილური და უფრო დამაჯერებელი თავის მისწრაფებაში მოეხდინა გავლენა „ახლო საზღვარგარეთზე.“ რუსეთი სულ უფრო მეტად აღიქვამდა დასავლეთს თავის მეტოქედ სამხრეთ კავკასიაში და მის გარეთაც. ეს ახალი საერთაშორისო გარემო ხელს არ უწყობდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მოგვარებას. ზემოაღნიშნულ პერიოდებში როგორც რუსეთს, ისე საქართველოს ჩამოუყალიბდათ „მტრის ხატი“ და უარყოფითი სტერეოტიპები ერთმანეთთან მიმართებით.

დაპირისპირების ზრდა 2004-2008 წლებში

ვლადიმირ პუტინისა და მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში ორმხრივმა ურთიერთობებმა არასტაბილურობის ისეთ ხარისხს მიაღწია, რასაც მანამდე ადგილი არ ჰქონია რუსეთის ფედერაციასა და მის რომელიმე მეზობელ სახელმწიფოსთან, რომელიც წარსულში საბჭოთა კავშირში შედიოდა. ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში, მოსკოვსა და თბილისს შორის ადგილი ჰქონდა მთელ რიგ გამაღიზიანებელ ფაქტორებს. ორმხრივი ურთიერთობების გაუარესება გამოწვეული იყო შემდეგი ფაქტორებით: საქართველოს მოთხოვნა რუსეთის ჯარის გაყვანისა და საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების გაუქმების შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებული იყო რუსეთის მიერ 1999 წელს სტამბულში გამართულ ეუთო-ს სამიტზე მიღებული ვალდებულებებით; საქართველოს მონაწილეობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში (BTC); რუსეთის მოთხოვნა საქართველოს ტერიტორიის, კერძოდ კი მის კონტროლს მიღმა არსებული ტერიტორიების, მაგალითად პანკისის ხეობის, გამოყენებაზე სამხედრო მიზნებით, შეიარაღებულ ჩეჩენ

მეამბოხეებთან საბრძოლველად;; ასევე აშშ-ის გაძლიერებული სამხედრო მხარდაჭერა აქამდე სუსტი ქართული ჯარის მოდერნიზაციისათვის.

2004 წლის იანვარში, რუსეთის დუმის კომიტეტის თავმჯდომარემ დსთ-ის საკითხებზე ანდრეი კოკოშინმა, საქართველოს „ზედმეტი დამოკიდებულება დასავლეთის ქვეყნებზე ამ პრობლემების გადასაწყვეტად“ მოიხსენია, როგორც „საქართველოს წინა ხელისუფლების დიდი შეცდომა.“⁶ საქართველოს მიმართ რუსეთის უკმაყოფილების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის „დასავლური კურსი“, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში კიდევ უფრო მკვეთრად იყო გაცხადებული. რუსეთის დიპლომატია ფორმალურად ცნობდა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა იგი ამ ქვეყნებს კვლავ რუსეთის „ახლო საზღვარგარეთად“ აღიქვამდა. ამგვარ სიტუაციაში კი, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის თავისუფლება შეზღუდული იყო იმ ქვეყნებში, რომლებმაც დამოუკიდებლობა ხელახლა მოიპოვეს. რუსეთის პასუხი „დასავლურ კურსზე“ საქართველოს მიმართ ძალისმიერი პოლიტიკის სახით გამოვლინდა, რიგი ეკონომიკური და დიპლომატიური სადამსჯელო ზომების ამოქმედების გზით.

ამ კონტექსტში საქართველოს მოუგვარებელი კონფლიქტები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხი იყო. ქართველებისთვის მათი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეინტეგრაცია ეროვნული თანხმობის უპირობო საკითხს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ედუარდ შევარდნაძე ცდილობდა ამ მოუგვარებელი კონფლიქტების საკითხი უკანა პლანზე შეენარჩუნებინა, ისიც კი არ იყო მზად უარი ეთქვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. ხოლო იმ შემთხვევაშიც კი როდესაც მის შემცვლელს, მიხეილ სააკაშვილს სხვადასხვა ქართული პოლიტიკური პარტიები ავტორიტარული ტენდენციებისთვის აკრიტიკებდნენ, ამ პარტიებს შორის მაინც მტკიცე იყო თანხმობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხზე. „ყველა ეს პარტია სრულად უჭერდა მხარს პრეზიდენტის მიდგომას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ.“⁷ რუსეთში მსგავსი თანხმობა არსებობდა იმის თაობაზე, რომ ორივე ტერიტორიის მაცხოვრებლებს (რომლებიც არ იყვნენ ქართული ეროვნების და ცხოვრობდნენ ანტი-ქართული და პრო-რუსული განწყობით), კრემლის მიერ მასობრივად ურიგდებოდათ რუსული პასპორტები, რის საფუძველზეც ისინი, როგორც „რუსეთის მოქალაქეები,“ ითხოვდნენ დაცვას, შესაძლო „ქართული აგრესიისგან.“

⁶ ტელეარხი ნტვ, 2004 წლის 8 იანვარი

⁷ სერგეი მარკედონოვი *რუსეთის პოლიტიკის ქართული პარადოქსი*, ჟურნალი რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში, 2007 წლის აპრილი-მაისი, გვ.6

რუსეთ-საქართველოს უთანხმოება ამ საკითხში იმდენად ღრმა იყო, რომ 2007 წელს, მოსკოვის პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის შიდა-ეთნიკური კვლევების ფაკულტეტის ხელმძღვანელის, სერგეი მარკედონოვის შეფასებით, ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ საკითხებში, რომლებიც არ იყო პირდაპირ დაკავშირებული სამხრეთ ოსეთის ან აფხაზეთის პრობლემებთან.⁸ თუმცა, ასეთი ნეიტრალური საკითხები სულ უფრო მცირდებოდა მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა თავისი პოლიტიკის პრიორიტეტად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დაასახელა. იგი ახორციელებდა დაჩქარებულ, გაძლიერებულ რეინტეგრაციის პოლიტიკას, მაშინ როცა რუსეთი სულ უფრო მეტად უჭერდა მხარს აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს. რუსეთი ჩართული იყო ამ კონფლიქტებში, როგორც მთავარი მშვიდობისმყოფელი, დამხმარე ძალა და გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წევრი, მაგრამ ამავდროულად, იგი აშკარა მიკერძოებას ავლენდა კონფლიქტის „სეპარატისტული“ მხარეების სასარგებლოდ. მისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ თბილისში აღიქმებოდა როგორც „არა სამშვიდობო, არამედ დამანაწევრებელი.“

გარდა თავისი სამშვიდობო როლისა, საქართველოს მოუგვარებელ კონფლიქტებში, რუსეთს ჰქონდა მძლავრი ეკონომიკური ბერკეტები საქართველოს მიმართ ძალისმიერი პოლიტიკის გასატარებლად. საქართველოს ალბათ არც გააჩნდა შესაბამისი საშუალებები ადექვატური პასუხისთვის, გარდა მისი ვეტოს უფლებისა, რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე.

თბილისში ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლიდან სულ ცოტა ხანში, 2003 წლის დეკემბერში, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე ეწვია მოსკოვს, სადაც ნათლად განმარტა, რომ მისი ვიზიტის ძირითადი მიზანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზება იყო. რუსეთის აზრით, საქართველოსთან ურთიერთობის „ნორმალიზების“ მთავარ წინაპირობებს წარმოადგენდა შემდეგი⁹:

- უარის თქმა ცალსახა ორიენტაციაზე აშშ-სა და ნატო-სთან მიმართ;
- რუსეთის განსაკუთრებული ინტერესის აღიარება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომლებიც წარმოადგენენ სამშობლოს იმ ათეულ ათასობით ადამიანისთვის, რომლებმაც ცოტა ხნით ადრე მიიღეს რუსული პასპორტები;
- რუსეთის უსაფრთხოების ძალებისთვის ნების დართვა, საქართველოს ტერიტორიიდან, უმთავრესად პანკისის ხეობიდან, შეებრძოლონ ჩეჩენ მემბოხეებს.

⁸ იგივე

⁹ ვლადიმერ პუტინი რუსულ-ქართული ურთიერთობების შესახებ, კომერსანტი, 2003 წლის 26 დეკემბერი, გვ.9 (პოსტსაბჭოური პრესის თანამედროვე დაიჯესტი, #51, ტომი 55, 2004 წლის იანვარი, გვ.20)

საქართველოს ახალი ხელისუფლების ამ პირობებზე დათანხმების მთავარი არგუმენტი ეკონომიკური ხასიათის იყო. საქართველოს ვალი რუსეთის მიმართ 300 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებდა, რაც ძირითადად, ელექტროენერჯის დავალიანებას შეადგენდა.¹⁰ იმ დროისათვის, ზეწოლის სხვა ბერკეტებს წარმოადგენდა რუსეთში ქართველი მიგრანტი მუშაკების დიდი რაოდენობა, აგრეთვე, ვაჭრობასა და ენერჯო რესურსების მიწოდებაში საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება.

შესაბამისად, მოსკოვსა და თბილისს შორის ორმხრივი ურთიერთობები უკვე საკმაოდ დამძიმებული იყო, როცა პრეზიდენტი სააკაშვილი 2004 წლის იანვარში ხელისუფლებაში მოვიდა. თუ არ ჩავთვლით ხანმოკლე „ინტერმეცო“, ეს ურთიერთობები მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაუარესდა.

სიმშვიდის ხანმოკლე პერიოდი

საქართველოსა და რუსეთს შორის ორმხრივი ურთიერთობის ზოგადი გადმოსახედიდან, ჩანს, რომ ეს ურთიერთობა მას შემდეგ გაუარესდა, რაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოვიდა, რომელიც იძლეოდა აშშ-სა და ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოების დაპირებებს და ინტენსიურად ისწრაფვოდა ნატო-სკენ. თუმცა, 2003 წლის ნოემბერში თბილისში ხელისუფლების შეცვლიდან, 2004 წლის ზაფხულში სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის დამაბზამდე არსებულ პერიოდში „ინტერმეცო“ თითქოსდა, უკეთესობისაკენ მიანიშნებდა. ამ გაუმჯობესების ერთ-ერთი საწყისი მომენტი იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის - იგორ ივანოვის შუამავლობა, 2003 წლის ნოემბერში საქართველოს პოლიტიკური კრიზისის დროს, რაც პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომით დასრულდა. ამ მოვლენების შემდგომ საქართველოში გამართული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების პერიოდში (2004 წლის იანვარსა და მარტში) მიხეილ სააკაშვილის გარშემო არსებულმა პოლიტიკურმა ელიტამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მტკიცე მხარდაჭერა მოიპოვა. ამ დამაჯერებელი გამარჯვების საშუალებით მოხერხდა შევარდნაძის ეპოქის ბოლო პერიოდისთვის დამახასიათებელი სუსტი სახელმწიფოს სინდრომის გადალახვა.

რუსეთისათვის ეს გახლდათ თბილისის ახალი ხელმძღვანელობის შეფასების პერიოდი. ამის ერთ-ერთი შესაძლებლობა იყო 2004 წლის თებერვალში მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოს ახალი პრეზიდენტის სტატუსით განხორციელებული ვიზიტი მოსკოვში. მან განაცხადა საქართველოს მზადყოფნის შესახებ, გაეთვალისწინებინა რუსეთის ინტერესები და ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესება დაასახელა თავის სამ

¹⁰ იგივე

უმთავრეს მიზანს შორის, რომელთაგან დანარჩენი ორი - კორუფციასთან ბრძოლა და მთავრობის რეორგანიზაცია-გამლიერება იყო.

იმ ავტორიტეტის გათვალისწინებით, რომლითაც ახალი პრეზიდენტი, სააკაშვილი სარგებლობდა თავის სამშობლოში, რუსეთმა თბილისთან¹¹ მიმართებაში უფრო შემრიგებლური პოზიცია დაიჭირა. ორმხრივ ურთიერთობებში დათბობის ხანმოკლე პერიოდი მოიცავდა მოლაპარაკებებს რუსეთის მიმართ საქართველოს ენერგო ვალის რესტრუქტურირებაზე, აფხაზეთთან მოუგვარებელ კონფლიქტზე, სადაც ორივე მხარეს უნდოდა დაბრუნებოდა ე.წ. „სოჭის პროცესს¹²“, შეთანხმებებზე მედიასთან და ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით, ორმხრივი სავაჭრო კომისიის შექმნაზე და ენერგეტიკის სფეროში უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე. 2004 წლის 3 აპრილს ხელმოწერილი ახალი ორმხრივი შეთანხმება ითვალისწინებდა საქართველო-რუსეთის თანამშრომლობას უსაფრთხოების საკითხებზე. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა და მისმა კოლეგამ რუსეთის მხრიდან განაცხადეს თავიანთ ორმხრივ, ერთობლივ ძალისხმევაზე საერთაშორისო ტერორიზმთან, ნარკოტიკების, ტრეფიკინგთან, არალეგალურ მიგრაციასთან და იარაღის კონტრაბანდასთან საბრძოლველად.

რიგი რუსი ანალიტიკოსებისა, თბილისში ძალაუფლების შეცვლას კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის გადაფასებისათვის სათანადო მომენტად მიიჩნევდნენ. სერგეი კარაგანოვმა, საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის გავლენიანი საბჭოს თავჯდომარემ, გამოთქვა აზრი, რომ რუსეთის კონფრონტაციული მიდგომა საქართველოსთან მიმართებაში მხოლოდდამხოლოდ კარგად გააზრებული მიდგომის არქონის შესანიღბად გამოიყენებოდა.¹³ მეორე პოლიტიკურმა მიმომხილველმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა რუსეთის პოლიტიკა შეენარჩუნებინა რეგიონული კონფლიქტები „კონტროლირებადი არასტაბილურობის“ სტატუსში, რომლის მიზანსაც სამხრეთ კავკასიაში თავისი ძალაუფლების დემონსტრირება წარმოადგენდა. მისი არგუმენტები: რუსეთის პოლიტიკურ ელიტებს არ გააჩნდათ არასტაბილური სისტემების კონტროლის უნარი¹⁴. ლიბერალურად განწყობილი ექსპერტები თბილისთან მიმართებაში პოლიტიკის შეცვლისაკენ მოუწოდებდნენ იმ არგუმენტით, რომ მიმდინარე ხისტი მიდგომა საქართველოს უბიძგებდა უფრო გაედრმავებინა თავისი თანამშრომლობა დასავლეთთან. რუსეთში პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში არსებული ტრადიციონალისტები

¹¹ იგორ ტობარკოვი სააკაშვილის პოლიტიკურმა ძალამ იაძულა რუსეთი თავისი პოლიტიკის გადახედვისთვის: Eurasia Insight, 2004 წლის 7 აპრილი

¹² „სოჭის პროცესზე“ მიღწეული იყო შეთანხმება საქართველოს, რუსეთსა და აფხაზეთს შორის მოლაპარაკებების ჩატარების შესახებ შემდეგ საკითხებზე: ნდობის გამლიერების ზომების მიღება, აფხაზეთში ქართველი იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების დაბრუნება, ომით დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა და აფხაზეთში ელექტროენერჯის მიწოდება.

¹³ იგორ ტობარკოვის ციტირება, რუსეთის პოლიტიკოსები ცდილობენ საქართველოში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებთან გამკვლავებას, Eurasia Insight, 2004 წლის 11 იანვარი.

¹⁴ ვლადიმერ ინოხენცევი, ნეზავისიმაია გაზეტა, 2004 წლის 17 აგვისტო.

საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ და ერთობ სკეპტიკურად უყურებდნენ საქართველოს მმართველი სამეულის ზრახვებს, კერძოდ კი თბილისის ახალ პოლიტიკურ ელიტას (მიხეილ სააკაშვილის, ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ჟვანიას სახით). კონსტატინე ზატულინი, მოსკოვში დსთ-ის (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) კვლევების ინსტიტუტის დირექტორი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს ადმინისტრაციას უნდოდა „საბოლოოდ გამოეყვანა საქართველო რუსეთის გავლენის სფეროდან და აშშ-ს საიმედო მოკავშირედ გადაექცია.“¹⁵ დიმიტრი ტრენინი მოსკოვის კარნეგის ცენტრიდან 2003 წლის ბოლოსთვის ორმხრივ ურთიერთობებს აღწერდა როგორც „ქარიშხლის წინ ჩამოწოლილ სიმშვიდეს.“¹⁶

ანალიტიკოსთა უმრავლესობის შეფასებით, რუსეთის ეკონომიკური გავლენა საქართველოში ამ ურთიერთობათა სტაბილურობის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენდა.¹⁷ კიდევ ერთი ფაქტორი იყო მათი ძლიერი, ცენტრალიზებული საპრეზიდენტო მმართველობის მსგავსება, რისკენაც ორივე სახელმწიფო ლიდერს ჰქონდა მიდრეკილება. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ორივე მხარის რიტორიკა შეიცვალა და რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურმა დიალოგმა ახალი იმპულსი შეიძინა. ამავე დროს, მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ვაშინგტონის „ძირითად გეოპოლიტიკურ პარტნიორად“ წარმოაჩინდა და თავის დასავლელ პარტნიორებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარებისაკენ მოუწოდებდა. მართალია რუსეთი ერთი შეხედვით, მხარს უჭერდა თბილისში ძალაუფლების მშვიდობიან გადაცემას, მაგრამ „ვარდების რევოლუცია“ აღქმული იქნა, როგორც გამოწვევა დსთ-ის სივრცეში რუსეთის ხელახალი დამკვიდრებისათვის. ეს „ფერადი რევოლუციების“ სერიის პირველი ნაწილი იყო, რომელსაც რუსეთი მის მიერ გაკეთებული კომენტარებიდან გამომდინარე, აღიქვამდა, როგორც პოსტ-საბჭოთა სივრცეში დასავლური ძალების მიერ რუსეთის სტრატეგიული პოზიციის წინააღმდეგ მიმართულ „გეოპოლიტიკურ აგრესიას.“ ამგვარად, თავდაპირველი მოჩვენებითი პოლიტიკური მსგავსება პრეზიდენტ პუტინსა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის შეიცვალა და ჩამოყალიბდა ყველაზე უფრო რთულ და პრობლემურ პირად ურთიერთობებად დსთ-ის სახელმწიფო ლიდერებს შორის.

2004 წლის გაზაფხულის აჭარის კრიზისი

¹⁵ იგორ ტობარკოვი: რუსეთის პოლიტიკოსები ცდილობენ საქართველოში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებთან გამკვლავებას, Eurasia Insight, 2004 წლის 11 იანვარი.

¹⁶ Civil Georgia, 2003 წლის 22 დეკემბერი, ინტერვიუ დიმიტრი ტრენინთან, მოსკოვის კარნეგის ცენტრი, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=5865&search=q&a%20with%20Dmitri%20Trenin>

¹⁷ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშინინმა 2005 წლის თებერვალში განაცხადა: „ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდგომ, ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსთან უფრო გაღმავდა. რუსეთის ეკონომიკური პოზიციები ახლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ოდესმე ყოფილა; ჩვენი კაპიტალი ეკონომიკის ყველა მნიშვნელოვან სექტორში მიედინება“, ტელეარხ რუსთავი-2 ინტერვიუ, 2005 წლის 10 თებერვალი.

ამ პერიოდში სამხედრო ბაზების სადაო საკითხს დაემატა აჭარაში განვითარებული პოლიტიკური კონფლიქტი. საქართველოს ხელისუფლებას უნდოდა ამ ტერიტორიაზე კონტროლი აღედგინა. მას ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, თუმცა ამ კონფლიქტში რუსეთის შესაძლო ჩართვაც აფიქრებდა. რუსეთის პოტენციურ ბერკეტს ამ კრიზისში კიდევ უფრო აძლიერებდა ის ფაქტი, რომ „ბათუმში რუსეთის მეთორმეტე სამხედრო ბაზის კონტიგენტის 70 პროცენტს მართალია, ადგილობრივები შეადგენდნენ, მაგრამ მათ ყველას რუსეთის მოქალაქეობა ჰქონდათ.“¹⁸ აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს, ამ პოლიტიკურ დაპირისპირებაში თბილისის ახალ სახელისუფლებო ელიტასთან რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდა. მაგრამ მოსკოვმა ამ დაპირისპირებაში თბილისის ხელმძღვანელობასა და ბათუმის რეჟიმს შორის ფრთხილი პოზიცია აირჩია. 2004 წლის აპრილ-მაისის კრიზისის კულმინაციისას, როდესაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ასლან აბაშიძეს ულტიმატუმი წაუყენა და 10-დღიანი ვადა მისცა, რათა ეს უკანასკნელი გადამდგარიყო და თავისი სამხედრო ფორმირებები დაეშალა, კრემლმა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაში თავისი როლი შეასრულა.

კრიზისი საქართველოს იურისდიქციაში აჭარის რეინტეგრირებით დასრულდა. საქართველოს ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი თავის რუს კოლეგასთან საუბრისას აღნიშნავდა, რომ აჭარის შემთხვევა არ გავრცელდებოდა აფხაზეთზე. თუმცა, საქართველოში არსებული სხვა წყაროების მიხედვით, აღნიშნული კრიზისის დადებითად გადაჭრა დანარჩენი გამოყოფილი ტერიტორიების მოკლე ვადაში შემოერთების მომასწავებელი იყო.

აჭარის კრიზისი არასდროს ყოფილა სეპარატისტული ან ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტი და, მართლაც, მისი შედარება აფხაზეთისა თუ სამხრეთ ოსეთის სცენარებთან მართებული არ არის. თბილისსა და ბათუმს შორის კონფლიქტს საფუძვლად არ ედო ღრმა ისტორიული და ეთნიკური კონტექსტი. აჭარლებსა და დანარჩენ ქართველებს შორის, არ არის ეთნო-ლინგვისტიკური განსხვავებები. მართალია, არსებობს რელიგიური განსხვავება, ვინაიდან აჭარლების საკმაოდ დიდი რაოდენობა მუსულმანია, მაგრამ ეს არასდროს ყოფილა მნიშვნელოვანი ფაქტორი აღიშნულ კონფლიქტში. აჭარას არასდროს განუცხადებია საქართველოსაგან გამოყოფის სურვილი; და, რაც მთავარია, დანარჩენ ქართველებსა და აჭარლებს შორის არასდროს ყოფილა ფართომასშტაბიანი შეიარაღებული შეტაკებები და ერთმანეთის მიმართ ძალადობისა და სისასტიკის გამოვლენა, რაც ქართულ-აფხაზური და ქართულ ოსური ურთიერთობების მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ელემენტსა და სიძულვილისა და შიშის წყაროს წარმოადგენს. აჭარის კრიზისის მშვიდობიანი მოგვარებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ სამხრეთ ოსეთის გამწვავებულმა კრიზისმა ყველას ნათლად აჩვენა, თუ

¹⁸ იტარ-ტასი, 2004 წლის 5 მაისი, 12:24 GMT

რამდენად განსხვავდებოდა აჭარის კრიზისი საქართველოს სეპარატისტული ტერიტორიების კონფლიქტებისაგან. ამ დროისათვის მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობები უკვე ძალიან გართულებული იყო.

2004 წლის ზაფხულში სამხრეთ ოსეთის კრიზისი

თავისი პრეზიდენტობის დასაწყისში მიხეილ სააკაშვილმა პირობა მისცა ხალხს, რომ თავისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენდა. განცხადებებს, მსგავსი ფრაზისა - „სულ ცოტა ერთი წლის მანძილზე სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემოუერთდება,¹⁹“ მოსკოვში შემაშფოთებლად აღიქვამდნენ. აჭარის რეინტეგრაციიდან ცოტა ხნის შემდეგ, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ კონტრაბანდის წინააღმდეგ შეტევა განახორციელა სამხრეთ ოსეთში, სადაც მდებარეობდა ერგნეთის ბაზრობა - არალეგალური ვაჭრობის ცენტრი მთელს კავკასიაში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალები გაიგზავნა სამხრეთ ოსეთის რამდენიმე სოფელში, რომლებიც ძირითადად, საქართველოს ხელისუფლების კონტროლქვეშ იმყოფებოდნენ.

უსაფრთხოების გაძლიერების ზომები რუსეთში აღქმული იყო როგორც სამხრეთ ოსეთის მთლიან ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენის მცდელობა და მოსკოვსა და თბილისს შორის ახალი კონფლიქტის დასაწყისი. რამდენადაც ცნობილია, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა, რომ საქართველო იარაღს გამოიყენებდა, თუკი რუსეთის სამშვიდობო ძალები შეეცდებოდნენ პოლიციის საგუშაგოს დახურვას, რომელიც ხელს უშლიდა სამხრეთ ოსეთის გავლით რუსეთიდან საქართველოში კონტრაბანდის შემოტანას.²⁰ კონტრაბანდის ნაკადები, მართლაც, შემცირდა მას შემდეგ, რაც ცხინვალის გარშემო სოფლებში და ერგნეთის ბაზრობის სიახლოვეს პოლიციის საგუშაგოები გაიხსნა. ამავე დროს თბილისი სამხრეთ ოსეთთან შერბილებული პოზიციის დაკავებას შეეცადა. პირველად ამდენი დროის განმავლობაში, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთს ავტონომიის სტატუსი აღუდგებოდა. იგი ასევე დაპირდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, რომ დაურიგდებოდათ ქართული პენსიები, იმ შემთხვევებშიც კი, თუ მათ უკვე დანიშნული ჰქონდათ პენსია, როგორც რუსეთის მოქალაქეებს. კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, გიორგი ხაინდრავას სიტყვებით, საქართველო მზად იყო სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიის ისეთივე ხარისხი მიენიჭებინა, როგორითაც ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა სარგებლობდა, რუსეთის ფედერაციაში.

¹⁹ საინფორმაციო ბრიფინგზე სააკაშვილმა განაცხადა: „სამხრეთ ოსეთის კრიზისში დამნაშავე არის რუსეთი“, Eurasia Insight, 2004 წლის 12 ივლისი

²⁰ გენადი სისოვეისა და ვლადიმერ ნოვიკოვის ციტირება, კომერსანტი, 2004 წლის 1 ივნისი, გვ. 1,9.

მოსკოვსა და საქართველოს შორის სიტყვიერი შეხლა-შემოხლა გრძელდებოდა. საქართველოს აგრესიასთან დაკავშირებით რუსეთის ბრალდებებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ უპასუხა: „საქართველოს ტერიტორიაზე ვერავინ უკარნახებს საქართველოს ხელისუფლებას, როგორ აღადგინოს წესრიგი ან როგორ მოუღოს ბოლო კონტრაბანდას.“²¹ საქართველოს ხელისუფლება მიზნად ისახავდა იმავე სტრატეგიის გამოყენებას, რაც წარმატებული იყო აჭარის კრიზისის დროს. ასევე იყო მცდელობა განხეთქილება დაეთესათ სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. მაგრამ საქართველოს მხრიდან რეგიონში კონტროლის აღდგენის მცდელობამ და რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის რეჟიმის მხარდაჭერამ მხარეები კონფლიქტამდე მიიყვანა, რომელიც ცხინვალის გარშემო შერეულად განლაგებულ ქართულ და ოსურ სოფლებში შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა. 2004 წლის 10 ივლისს, საქართველოს პრეზიდენტმა თავის სამხედრო ძალებს მოუწოდა, მზად ყოფილიყვნენ „ხანგრძლივი, სრულმასშტაბიანი ოპერაციების“ განსახორციელებლად და ქვეყნის ტერიტორიის დასაცავად. თავდაცვისათვის ყველა საჭირო რესურსი იქნებოდა გამოყენებული.²² მეორე მხარეს, რამდენადაც ცნობილია, რუსეთის მოხალისეები ჩრდილო კავკასიიდან და მოლდავეთის სეპარატისტული დნესტრისპირეთიდან ჩამოდიოდნენ სამხრეთ ოსეთში, რათა ოსებს „ქართული აგრესიის“ წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებოდნენ.

სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის დავის მთავარი საგანი გახდა და საერთაშორისო განზომილებები შეიძინა. საქართველო ცდილობდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციას, რისი საშუალებითაც უნდა დასრულებულიყო არსებული ფორმატით რუსეთის დომინირება. აგვისტოს დასაწყისში სააკაშვილმა გამოსცა გაფრთხილება, რომ საქართველოს ნებართვის გარეშე აფხაზეთის პორტებში შემოსულ გემებს ცეცხლს გაუხსნიდნენ, მათ შორის რუსეთის ტურისტულ გემებსაც. საქართველოს სანაპირო დაცვამ უკვე გაუხსნა ცეცხლი სატვირთო გემს, რომელიც არსებული ინფორმაციით, თურქეთში იყო რეგისტრირებული. რუსმა პოლიტიკურმა მიმომხილველებმა საქართველოს ეს მოთხოვნები აშშ-ის სამხედრო მხარდაჭერასა და საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწვრიანების ამბიციებს დაუკავშირეს. მაგრამ არც ვაშინგტონი და არც ბრიუსელი არანაირად არ უჭერდა მხარს და არ იზიარებდა ქართული მხარის „ანტაგონისტურ რიტორიკას.“²³

²¹ გენადი სისოვეისა და ვლადიმერ ნოვიკოვის ციტირება, კომერსანტი, 2004 წლის 3 ივნისი, გვ.9.

²² სვეტლანა გამოვას ციტირება, ნოვიე იზვესწია, 2004 წლის 12 ივლისი, გვ.4.

²³ აშშ-ს კოორდინატორმა ნატო-ს აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის კომიტეტში ირა სტრაუსმა გააკეთა საკმაოდ კრიტიკული კომენტარი და განაცხადა, რომ აფხაზეთის და ოსეთის მშვიდობიანი რეინტეგრაცია არის შესაძლებელი მხოლოდ მოსკოვის ხელშეწყობით. „საკაშვილმა თავისი დემოკრატიული რევოლუცია უფსკრულის კიდესთან

2004 წლის აგვისტოს კრიზისმა პიკს მიაღწია ცხინვალისა და მიმდებარე სოფლების დამდამობით დაბომბვითა და ესკალირებული შეიარაღებული შეტაკებებით. საქართველო თავის ყოფილ ავტონომიურ რესპუბლიკასთან ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის პირას იყო. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, გიორგი ბარმიძემ განაცხადა: „საქართველო მზად არის ომისათვის და არავის ურჩევს მის დაწყებას.“²⁴ მაგრამ საქართველოს მთავრობამ ძალიან კარგად იცოდა, რომ შეიარაღებული კონფლიქტი მარცხით დაასრულებდა საქართველოს გეგმებს სახელმწიფოსა და ეკონომიკის აღდგენასთან დაკავშირებით, რასაც უკავშირდებოდა მიხეილ სააკაშვილის ძირითადი წინასაარჩევნო დაპირებები. რუსეთი საქართველოს სრული სატრანსპორტო ბლოკადით იმუქრებოდა. სატვირთო გემის ინციდენტის შემდეგ, აფხაზეთმა უარი თქვა თბილისთან ნებისმიერ მოლაპარაკებებზე.

2004 წლის აგვისტოში მოხერხდა და სამხრეთ ოსეთში თავიდან იქნა აცილებული ღია ომი რუსეთის სამხედრო ძალების მონაწილეობით. საქართველოს უსაფრთხოების ძალებმა შეაჩერეს თავიანთი შეტევა კონფლიქტის ზონაში. მაგრამ ქართულ მხარეს ახლა სერიოზული პრობლემა ჰქონდა ახალ სამშვიდობო ინიციატივებთან და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტის მხარეებისათვის შეთავაზებული ავტონომიის აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. საქართველოს სამხედრო ინიციატივამ გააცოცხლა სამხრეთ ოსეთის 1991-1992 წლებისა და აფხაზეთის 1992-1994 წლების ომების მოგონება და ნდობის აღდგენისთვის ისედაც მაღალი ფსიქოლოგიური ბარიერი კიდევ უფრო მაღალ ნიშნულზე აიყვანა. გარდა ამისა, კრიზისმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთერთობების შემდგომ გაუარესებაში.

2005 წლის ივლისში, მიხეილ სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთისთვის თავისი ახალი სამშვიდობო გეგმის შესახებ განაცხადა, რომელიც მაღალი ხარისხის ავტონომიასა და მორიგების სამეტაპიან პროცესს ითვალისწინებდა: დემილიტარიზაციას, ეკონომიკურ რეაბილიტაციასა და პოლიტიკურ მორიგებას. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტმა კოკოითმა უარი თქვა გეგმაზე, და 2005 წლის ოქტომბერში განაცხადა: „ჩვენ რუსეთის მოქალაქეები ვართ.“²⁵ 2006 წლის ნოემბერში, სამხრეთ ოსეთში მოსახლეობის რეფერენდუმი გაიმართა საქართველოსაგან მისი „დამოუკიდებლობის“ განსამტკიცებლად. სამხრეთ ოსეთის ბევრმა მაცხოვრებელმა მიიღო მონაწილეობა 2007 წლის რუსეთის დუმის არჩევნებში და 2008 წლის რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში.

მიიყვანა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოს კონტროლის ქვეშ დაბრუნებისთვის ის სამხედრო მეთოდებს ანიჭებს უპირატესობას“. ციტირებულია: პოსტ-საბჭოური პრესის თანამედროვე დაიჯესტი, #32, ტომი 56, 2004 წლის 8 სექტემბერი, გვ.4.

²⁴ ვლადიმერ ნოვიკოვისა და ოლეგ ზორინის ციტირება, კომერსანტი, 2004 წლის 2 აგვისტო, გვ.9. (პოსტ-საბჭოური პრესის მიმდინარე დაიჯესტი, #31, ტომი 56, 2004 წლის 1 სექტემბერი, გვ.6-7).

²⁵ დავების ევექტური გადაჭრის ბრიტანული ცენტრი (CEDR), 2005 წლის 7 ოქტომბერი; ჯიმ ნიკოლი, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი 2008 წლის აგვისტოში: კონტექსტი და დასკვნები აშშ-ს ინტერესებისთვის, კონგრესის კვლევითი სამსახური, 2009 წლის 3 მარტი, გვ.3

რეინტეგრაციის მიზნებისათვის საქართველომ სტრატეგია შეცვალა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოების ძალების გამოყენების ნაცვლად გამოყოფილ რეგიონში პოლიტიკური პლაცდარში შექმნა. 2006 წლის ნოემბრის „საპრეზიდენტო“ არჩევნებში კვლავ დე-ფაქტო პრეზიდენტი კოკოითი იქნა არჩეული. პარალელურად ეთნიკურ ქართულ მოსახლეობაში (და სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის) ალტერნატიული არჩევნები შედგა და არჩეული იქნა დიმიტრი სანაკოევი, ოსი პოლიტიკოსი, რომელიც თბილისთან პოლიტიკური დიალოგის მომხრე იყო და ედუარდ კოკოითის გარშემო შეკრებილ პოლიტიკურ ელიტას ეწინააღმდეგებოდა. მოსახლეობის ამ სექტორში რეფერენდუმმა მხარი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას დაუჭირა. 2007 წელს, თბილისმა დიმიტრი სანაკოევი „სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის“ ხელმძღვანელად დანიშნა, მისი ოფიციალური რეზიდენცია სოფელ ქურთაში იყო. მგვარად, ამ მცირე ზომის რეგიონში, რომლის მთლიანი მოსახლეობა 70 000-ს შეადგენდა (აქედან 20 000-ზე მეტი ეთნიკური ქართველია) შეიქმნა ორხელისუფლებიანობა. თბილისი სანაკოევის ადმინისტრაციას იყენებდა 2+2+2 ფორმატში (საქართველო, რუსეთი, ევროკავშირი, ეუთო, კოკოითის ადმინისტრაცია, სანაკოევის ადმინისტრაცია) სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკებათა ინტერნაციონალიზაციისთვის და ასევე სურვილი ჰქონდა დიმიტრი სანაკოევი საერთაშორისო ფორუმებში ჩაერთო. ამავე დროს თბილისმა წამოიწყო საზოგადოებრივი კამპანია კოკოითის სეპარატისტული რეჟიმის წინააღმდეგ ცხინვალში, რომელიც შეფასებული იყო როგორც „კრიმინალური.“

დავა საქართველოს კონფლიქტის ზონებში რუსეთის სამშვიდობო როლის გარშემო

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამშვიდობო როლი საქართველო-რუსეთის ორმხრივ ურთიერთობებში განხეთქილების თემას წარმოადგენდა და საქართველოს დიპლომატიური ძალისხმევა მუდმივად აქეთ იყო მიმართული. საქართველო სულ უფრო მეტად ითხოვდა მოლაპარაკებების არსებული ფორმატის გადახედვას და კონფლიქტის ზონებში განთავსებული სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციას. არსებული ფორმატები ეფუძნებოდა შეთანხმებებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომლებმაც დაასრულეს 1991-1994 წლების შეიარაღებული კონფლიქტები საქართველოსა და ორ რეგიონს შორის.²⁶ საქართველოში რუსეთის სამშვიდობო როლის პარადოქსი იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთი საკუთარი ინტერსებიდან გამომდინარე და სამხრეთ კავკასიაში თავისი სტრატეგიული ზეგავლენის გასაძლიერებლად მოქმედებდა, მაგრამ ადგილობრივ დონეზე იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ რუსეთის ყოფნა აუცილებელი იყო, რაც წარმოდგენილი იყო, როგორც ერთგვარი ვალდებულება,

²⁶ იხილეთ თავი 2 “ კონფლიქტები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში: სამშვიდობო ძალისხმევები 1991 – 2008 წლებში”

რომელიც ყოფილმა სუპერ სახელმწიფომ იტვირთა.²⁷ მოსკოვსა და თბილისს შორის მზარდ დაპირისპირებამდე და კონფლიქტის ზონებში ვითარების ახალ ესკალაციამდე სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამშვიდობო ოპერაციები ზოგადად, წარმატებულად და ეფექტიანად ითვლებოდა, კონფლიქტის სტაბილიზაციისა და საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის მხარეებს შორის ინტერაქტიური მოლაპარაკებების ხელშეწყობის მხრივ.²⁸ შესაბამისად, რაიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო ზეწოლას ამ სამშვიდობო ფორმატების გადასახედად, სადაც რუსეთი ცენტრალურ როლს ასრულებდა, ადგილი არ ჰქონია. ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკური მიმომხილველი აღიარებდა, რომ სამშვიდობო ძალები ხელს უშლიდნენ საქართველოს მთავრობას განეხორციელებინა სამხედრო ქმედებები გამოყოფილი ტერიტორიების შემოსაერთებლად.²⁹

თუმცა, საქართველოს აღქმით, რუსეთის სამშვიდობო ძალები ფაქტობრივად, მესაზღვრეებად იქცნენ, რომლებიც საქართველოს სეპარატისტული ტერიტორიების საზღვრებს იცავდნენ. 2004 წლის სამხრეთ ოსეთის კრიზისის დროს საქართველოს პარლამენტმა სპეციალური განცხადება მიიღო. მოსკოვის მისამართით გამოთქმულ უმწვავეს ბრალდებაში, რაც კი, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გაკეთებულა, პარლამენტარები აცხადებდნენ: „რუსეთის ფედერაცია არ არის არც მშვიდობისმყოფელი და არც მომრიგებელი, ის კონფლიქტის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს.“³⁰ სუამის ფარგლებში³¹ საქართველოს მოთხოვნას არსებული სამშვიდობო ფორმატების ინტერნაციონალიზებასა და გადახედვასთან დაკავშირებით უკრაინამ მხარი დაუჭირა. თბილისის მსგავსად, კიევიც ამჯობინებდა, რომ პოსტ-საბჭოთა სეპარატისტულ კონფლიქტებში მომრიგებლებად და სამშვიდობო ძალების წარმომადგენლად სხვა მოთამაშეები, მაგ. ევროკავშირი და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი ეხილა.

2005 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა კიდევ ერთი დოკუმენტი მიიღო: „რეზოლუცია საქართველოს კონფლიქტის ზონებში სამშვიდობო ოპერაციებისა და სიტუაციის თაობაზე.“ აღნიშნული დოკუმენტი მოიცავდა რუსეთის მოქალაქეების სიას, რომლებსაც მაღალი თანამდებობები ეკავათ სეპარატისტული ხელისუფლების

²⁷ ტიპური კომენტარი ამ ასპექტის შესახებ გაკეთდა 2004 წელს: „რუსეთს არ აქვს უფლება თავი აარიდოს შუამავლობისა და სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის პასუხისმგებლობას. უნდა იყოს აბსოლუტურად და მკვეთრად ნათელი, რომ რუსეთი შეუპოვრად იმოქმედებს, რათა ამ რეგიონში არ დაუმყას გენოციდის განხორციელება. ეს იქნება სერიოზული ზიანი მოსკოვის პრესტიჟისთვის ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე მთელ რეგიონში და დსთ-ს ქვეყნებში“. იხილეთ ა. ჩიგორინი: ქართული ტესტი. საერთაშორისო საქმეები #5, 2004 წ., გვ. 125-138. საქართველოში ომის უკუთვლა, 2008 წ., გვ.497.

²⁸ ჯონ მაკინლეი, ევგენი შაროვი: რუსეთის სამშვიდობო ოპერაციები საქართველში; ჯონ მაკინლეი, პიტერ კროსი (რედაქტორი): რეგიონალური სამშვიდობო ძალები. რუსი სამშვიდობო ძალების პარადოქსი, გაეროს უნივერსიტეტის გამომცემლობა ტოკიო-ნიუ-იორკი-პარიზი 2003 წ., გვ. 64-111, გვ.72.

²⁹ მაიკლ ა. ვანშტეინი საქართველოს ჩიხი. რუსეთის უპირატესობის ზრდა, Eurasia Insight, 2004 წლის 17 აგვისტო.

³⁰ ვლადიმერ ნოვიკოვისა და გენადი სისოევის ციტირება, კომერსანტი, 2004 წლის 14 აგვისტო, გვ.1

³¹ 1997 წლის ოქტომბერში საქართველომ, უკრაინამ, აზერბაიჯანმა და მოლდოვამ დაარსეს საკონსულტაციო ფორუმი - სუამი.

სტრუქტურაში.“ პარლამენტმა 2006 წლის ივლისში კვლავ მიიღო რეზოლუცია რუსეთის სამშვიდობოების გაყვანასა და აღნიშნული ოპერაციის ფორმატის შეცვლასთან დაკავშირებით. მაგრამ დესტაბილიზაციის რისკის მოტივით საქართველოს დასავლელმა პარტნიორებმა თბილისს ამ რეზოლუციის განხორციელება გადაათქმევინეს. 2006 წლის სექტემბერში გაერო-ში გამოსვლისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „ანექსიას“ და „ბანდიტურად ოკუპაციაში“ დაადანაშაულა. ამ უპრეცედენტოდ მწვავე გამოსვლაში მან მოსკოვს ორივე ტერიტორიიდან სამშვიდობო ძალების გაყვანა მოსთხოვა. რუსეთის მხარისათვის ერთობ სიმბოლური გახლდათ ის ფაქტი, რომ ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სხდომაზე ეს გამოსვლა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის საბჭოს სხდომიდან (რომელიც ასევე ნიუ იორკში გაიმართა) სწორედ მეორე დღეს დაემთხვა და იმის მანიშნებელი იყო, რომ მიღებული იყო გადაწყვეტილება საქართველოსთან გაძლიერებული დიალოგის დაწყების თაობაზე.³²

აფხაზეთის უსაფრთხოების ზონაში რუსეთის სამშვიდობოების კრიტიკამ საქართველოს მხრიდან კიდევ ერთხელ 2007 წლის ოქტომბერში იფეთქა, როდესაც არსებული მონაცემებით, რუსეთის შენაერთები შეეცადნენ კონტროლი მოეპოვებინათ საქართველოს „ახალგაზრდულ პატრიოტულ ბანაკზე“, რომელიც საქართველო-აფხაზეთის დემარკაციის ზოლთან ახლოს, განმუხურში, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე იყო განთავსებული. ამ ინციდენტის საპასუხოდ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ საგარეო საქმეთა სამინისტროს დაავალა გაეორმაგებინა ძალისხმევა სამშვიდო ოპერაციების ინტერნაციონალიზაციის (საერთაშორისო ფორმატში გადაყვანის) თაობაზე.

საქართველო მოელოდა, რომ მისი პარტნიორები - ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი და ევროკავშირი, რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციები, უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებდნენ კონფლიქტის მოგვარებაში. კავშირს საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასა და დასავლელი პარტნიორებისაგან „გამოყოფილი ტერიტორიების“ შემოერთებაში დახმარების მოლოდინს შორის საქართველოს ფართო საზოგადოებაც აღიქვამდა.³³ 2007 წლის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემებით, ქართველმა რესპონდენტებმა ამგვარი პასუხი გასცეს კითხვას: „რას ელოდებით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობიდან?“ - უსაფრთხოების გარანტიას - 57%; ტერიტორიული მთლიანობას აღდგენას - 42%; სოციალურ კეთილდღეობას - 22%; დემოკრატიის გაძლიერებას - 16%.

³² პოსტ-საბჭოური პრესის თანამედროვე დაიჯესტი, #.39, ტომი 58, 2006 წლის 25 ოქტომბერი, გვ.1-3.

³³ IRI (საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი), USAID (აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო) და სხვა: საქართველოს ეროვნული ამომრჩევლის შესწავლა. 2007 წლის თებერვალი.

საქართველოს მოთხოვნას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ფორმატის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით დასავლეთი თავშეკავებით შეხვდა. საერთაშორისო ორგანიზაციებმა და საქართველოს დასავლელმა პარტნიორებმა მშვიდობისმყოფლისა და მომრიგებლის როლი რუსეთს დაუთმეს იმ მოტივით, რომ რუსეთი, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად მაინც, ცნობდა საქართველოს სუვერენიტეტს. მხოლოდ 2008 წლის მარტიდან, მას შემდეგ რაც მოუგვარებელ კონფლიქტებთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ესკალაციას, მათ დაიწყეს იმის გააზრება, რომ რუსეთის როლი კონფლიქტის მხარის როლისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. არგუმენტი იმის თაობაზე, თითქოსდა, რუსეთი მიუკერძოებელი არბიტრი იყო, სულ უფრო და უფრო არადამაჯერებლად ჟღერდა. მიუხედავად ამისა, ამ გააზრების შედეგადაც არ განხორციელებულა ქმედებები, რომლებიც მოახერხებდა სამშვიდობო და მოლაპარაკებების ფორმატების რეალურ საერთაშორისო განზომილებაში გადაყვანას. ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნებიმ დიდი სიფრთხილით აღნიშნა, რომ ევროკავშირი განიხილავდა ამ შესაძლებლობას იმის გათვალისწინებით, რომ არსებული სამშვიდობო ძალები, როგორც ჩანს, არ სარგებლობდა ყველა მხარის ნდობით და უთანხმოების წყაროს წარმოადგენდა.³⁴ მაგრამ ბრიუსელი ერთობ პატივისცემით ეკიდებოდა რუსეთის უარყოფით დამოკიდებულებას „გაყინულ კონფლიქტებში“ სამშვიდობო და მომრიგებლის არსებული ფორმატის ნებისმიერ ცვლილებასთან დაკავშირებით.³⁵

ევროკავშირის ჩართულობას მოუგვარებელ კონფლიქტებში მისსა და რუსეთის საერთო მეზობლობაში კარგად ახასიათებს კრიზისის საერთაშორისო ჯგუფი, როგორც „მუშაობას კონფლიქტის გარშემო“ და არა „კონფლიქტზე მუშაობას.“³⁶ ეს იყო რბილი პოლიტიკა, რომელიც კონფლიქტის ტრანსფორმაციის ზომებით შემოიფარგლებოდა და ითვალისწინებდა კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას, სხვა მოთამაშეების (ეუთო სამხრეთ ოსეთში და გაერო აფხაზეთში) მიერ განხორციელებული მედიაციის მხარდაჭერას, ომისაგან დაზარალებული კონფლიქტის ზონების ეკონომიკურ რეაბილიტაციას და კონფლიქტის მხარეების გასაერთიანებლად

³⁴ ინტერვიუ პიტერ სემნებისთან, რადიო თავისუფლება, 2008 წლის 2 მაისი; ვლადიმერ სოკორი: დასავლეთს შეუძლია უფრო ეფექტური პასუხის გაცემა რუსეთის თავდასხმაზე საქართველოს ტერიტორიაზე, ნაწილი II, Eurasia Daily Monitor, ტომი 5, საკითხი 88, 2008 წლის 8 მაისი.

³⁵ მოსკოვის უნივერსიტეტ მგიმო-ს წამყვანი კვლევარი ანდრეი ზაგორსკი ასე აჯამებს ამ მოვლენას თავის ნამუშევარში რუსეთის მიერ ევროკავშირის 2008 წლის დასავლური პარტნიორობის ინიციატივის შეფასების შესახებ: „ევროკავშირის ნებისმიერი მონაწილეობა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში კონფლიქტების გადაწყვეტაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რუსულ სამშვიდობო ოპერაციებს ან რუსეთის შუამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებებს კონფლიქტის მოლაპარაკებებს. ეს მოთხოვნა არ გამორიცხავს რუსეთისა და ევროკავშირის თანამშრომლობას კონფლიქტის გადაწვეტასა და მშვიდობის დაცვის ოპერაციებში, თუმცა ამ თანამშრომლობის პირობები არ უნდა ედავებოდეს რუსეთის წამყვან როლს“.

³⁶ კონფლიქტის მოგვარება სამხრეთ კავკასიაში: ევროკავშირის როლი, საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის (ICG) ევროპის ანგარიში #.173, 2006 წლის 20 მარტი

განხორციელებული ეკონომიკური პროექტების მხარდაჭერას, როგორცაა, მაგალითად, ჰიდროელექტროსადგური ენგურზე. ევროკავშირი არ იყო ჩართული უსაფრთხოების მძლავრ საკითხებში, ვინაიდან რუსეთის ფედერაცია მხარს არ უჭერდა მის უფრო აქტიურ მონაწილეობას, როგორც იყო, მაგალითად, სამშვიდობო ძალების შემოყვანა. მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ მოხდა ევროკავშირის უფრო აქტიურად ჩართვა ომის შემდგომი სიტუაციის სტაბილიზაციისათვის საქართველოში მისი შეუიარაღებელი სამოქალაქო მონიტორინგის მისიის საშუალებით (EUMM) ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში (ESDP).

მცოცავი „ანექსია“

საქართველოს მიერ კონფლიქტის ზონებში სამშვიდობო ოპერაციებში რუსეთის ცენტრალური როლის მიმართ გამოხატული წინააღმდეგობა ძირითადად მოტივირებული იყო იმით, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მთავარი წვლილი კონფლიქტის მართვაში იყო არა „სამშვიდობო, არამედ დამანაწევრებელი.“ რუსეთს უყურებდნენ, როგორც მთავარ მოქმედ პირს, რომლის ინტერესებში შედიოდა რეგიონში კონფლიქტების გაყინვა, რათა შეენარჩუნებინა „კონტროლირებადი არასტაბილურობა“ სამხრეთ კავკასიაში, საკუთარი გავლენის მიზნით. უფრო მეტიც, რუსეთი მხარს უჭერდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თანმიმდევრულ ანექსიას, ამ ტერიტორიების ინტეგრაციით ეკონომიკურ, იურიდიულ და უსაფრთხოების სივრცეში. ამ ტერიტორიების ღია ანექსიას ხელს რამდენიმე ფაქტორი უშლიდა, დაწყებული რუსეთის სამხედრო კონფლიქტით ჩეჩნეთში და დამთავრებული მისი ინტერესით, თავი აერიდებინა დასავლეთთან მასშტაბური კონფლიქტისთვის.

თავისი მეზობელი სახელმწიფოების სეპარატისტული ტერიტორიების საკუთარ იურისდიქციაში ინტეგრაციის რუსეთის პოლიტიკის ყველაზე ნათელი მაგალითი იყო „პასპორტიზაცია,“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისათვის რუსული პასპორტების გაცემა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების სტატუსის მინიჭება.³⁷

ამ კონტექსტში, 2007 წელს, რუსეთმა აფხაზეთის მცხოვრებლებს 590 მილიონი რუბლი გადაუხადა პენსიების სახით და 100 მილიონი რუბლი გამოყო სამხრეთ ოსეთისათვის, სადაც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, რომლებიც არ იყვნენ ქართველები, უკვე რუსული პასპორტები ჰქონდა.³⁸ რუსი პოლიტიკური ანალიტიკოსების თანახმად,

³⁷ ამ სამართლებრივი პრობლემის შესახებ იხილეთ თავი 3: “შესაბამისი სამართლებრივი საკითხები”.

³⁸ ვედომოსტი, 2008 წლის 22 თებერვალი (პოსტ-საბჭოური პრესის თანამედროვე დაიჯესტი, #.7, ტომი 60, 2008 წლის 11 მარტი, გვ.5).

მოსკოვი ეკონომიკურ საშუალებებს იყენებდა, რათა „გაეფრთხილებინა საქართველო, არ ეცადა არალიარებული რესპუბლიკების უკან დაბრუნება ძალის გამოყენებით.“³⁹

„მცოცავი ანექსის“ კიდევ ერთი ასპექტი იმაში მდგომარეობდა, რომ სეპარატისტული მთავრობები და უშიშროების ძალები რუსეთის ხელმძღვანელი პირებით იყო დაკომპლექტებული. რუსეთი თავის ყოფილ სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელობას ყველაზე მნიშვნელოვან თანამდებობებზე ნიშნავდა აფხაზეთში და, განსაკუთრებით, სამხრეთ ოსეთში, მაგალითად, დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრები აფხაზეთში (სულთან სოსნალიევი) და სამხრეთ ოსეთში (ანატოლი ბარანკევიჩი), აგრეთვე აფხაზეთის დე-ფაქტო გენერალური შტაბის ხელმძღვანელი (გენერალ-ლეიტენანტი გენადი ზაიცევი).⁴⁰ რუსმა ჟურნალისტმა იულია ლატინინამ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების ელიტა ერთხელ ერთობლივ საწარმოს შეადარა, სადაც სუკ-ის გენერლები და ოსი მეწარმეები მოსკოვის მიერ საქართველოსთან საბრძოლველად გამოყოფილ სახსრებს ერთად მოიხმარდნენ.⁴¹

2006 წლის შემოდგომაზე ჯაშუშების თემაზე ატეხილი სკანდალი

კიდევ ერთ ინციდენტი ნათლად მიუთითებს რუსეთ-საქართველოს კრიზისის სიღრმესა და მის ემოციურ განზომილებაზე. 2006 წლის 27 სექტემბერში საქართველოს ხელისუფლებამ ოთხი რუსი სამხედრო ოფიცერი დააპატიმრა და მათ ბრალად დასდო ჯაშუშური ქსელის წევრობაში, რომლის მთავარი მიზანი იყო ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანებისათვის ხელის შეშლა. ამან კიდევ უფრო გააუარესა ორმხრივი ურთიერთობები და ურთიერთბრალდებების ახალ ნაკადს მისცა ბიძგი. რუსულ მხარეს ამ ინციდენტმა გაუძლიერა უკვე მომზადებული ჩანაფიქრი საქართველოს დასჯის თაობაზე. რუსეთმა მძიმე ფინანსური და სავაჭრო სანქციები დაადო საქართველოს და თბილისიდან თავისი დიპლომატები გაიწვია. საქართველოს ხელისუფლების მიერ „ჯაშუშების საქმისადმი“ მიდგომა მხოლოდ რუსეთს არ ეჩვენებოდა პროვოკაციულად. საქართველოს აშკარად ზედმეტი მოუვიდა: დაპატიმრებული ოფიცრები ფარულად კი არ გაუშვეს ქვეყნიდან - მიღებული და სტანდარტული *მოდუს ოპერანდი-ს* შემთხვევებში, არამედ გაათავისუფლეს და ერთობ თეატრალიზებულ გარემოში გადასცეს ეუთო-ს ოფიციალურ პირებს.

რუსეთის უშიშროების საბჭოსთან შეხვედრისას, ვლადიმირ პუტინმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ იმის მიუხედავად, რომ რუსეთი თანმიმდევრულად ასრულებდა თავის ვალდებულებებს საქართველოს ტერიტორიაზე თავისი ყოფილი ბაზებიდან სამხედრო

³⁹ ციტირებულია გაზეთ ვედომოსტიში, 2008 წლის 22 თებერვალი.

⁴⁰ სტეისი კლოსონი, საქართველოს სეპარატისტული დე-ფაქტო სახელმწიფოები: გაყინული მდგომარეობიდან დუღილამდე. რუსეთის ანალიტიკური დაიჯესტი, #.40, 2008 წლის 8 მაისი, გვ.2-5.

⁴¹ ციტირებულია გაზეთ Die Zeit, #.35, 2008 წლის 21 აგვისტო, გვ.1

ნაწილების გაყვანის თაობაზე, „ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები დააკავეს და ციხეში ჩაყარეს.“ მან ამ ქმედებებს „მძევლების აყვანის თანხლებით, სახელმწიფო ტერორი“ უწოდა და საქართველოს ანტირუსული თავდასხმების დახმარებაში აშშ დაადანაშაულა. მან განაცხადა: „ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ უცხოელი მხარდამჭერების მფარველობის ქვეშ მათ შეუძლიათ თავი არხეინად და უსაფრთხოდ იგრძნონ.“⁴² რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა, მსგავსი მინიშნება გააკეთა ნატო-რუსეთის შეხვედრისას, სლოვენის ქალაქ პორტოროზში, სექტემბრის ბოლოს.⁴³ მაგრამ დასავლეთის არც ერთი ქვეყანა არ იყო მზად საქართველოს საკითხზე რუსეთთან დაპირისპირებისათვის. ევროკავშირი, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი, გაერო, ეუთო და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტები ღრმა შეშფოთებას გამოთქვამდნენ მოსკოვსა და თბილისს შორის ორმხრივ ურთიერთობებში ამ ვერბალური მტრობის გამო, და მოუწოდებდნენ ორივე მხარეს, შეერბილებინათ ტონი და განემუხტათ დამაბულობა.

რუსეთის ბრალდებების საპასუხოდ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხაზი გაუსვა საქართველოს სუვერენიტეტს, რაც რუსეთის ძალადობრივი მეთოდებისგან თავდაცვას ითვალისწინებდა.⁴⁴ 28 სექტემბერს, რუსეთმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიმართა თხოვნით, დაეგმო საქართველო „სახიფათო და მიუღებელი“ ნაბიჯებისთვის, რასაც შეეძლო რეგიონის დესტაბილიზაცია გამოეწვია. ამგვარ დაგმობას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ საბჭოს წევრებმა მეტი ინფორმაცია მოითხოვეს სიტუაციაში გასარკვევად. 29 სექტემბერს კამათი კიდევ უფრო გამწვავდა, მას შემდეგ, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ საქართველოს საზღვართან რუსეთის სამხედრო ნაწილების „მიმოსვლა“ დაიწყო. მან ჩრდილო ოსეთში განთავსებული რუსეთის 58-ე არმიის მობილიზაციის შესახებ განაცხადა.

რუსეთი კვლავაც ეძებდა მხარდაჭერას საქართველოს დამსჯელი ზომებისათვის. მაგრამ ამას სომხეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. სომხეთში აღნიშნეს, რომ საქართველოსთან ურთიერთობების გარკვევისას რუსეთი საერთოდ არ ითვალისწინებდა საქართველოს მეზობლების ინტერესებს. საქართველოსთვის ბლოკადის დაწესებით, რომელიც სომხეთისათვის რუსეთისკენ მიმავალ მთავარ სახმელეთო მარშრუტს წარმოადგენს, კრემლმა თურქეთისა და აზერბაიჯანის მიერ სომხეთისათვის დაწესებული ბლოკადა გაამკაცრა. საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ბლოკადის ზომებმა უარყოფითი შედეგი გამოიღო რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკებისთვისაც, ვინაიდან ჩრდილო ოსეთსა და საქართველოს შორის მთავარი სასაზღვრო პუნქტი ჩაიკეტა. მაგრამ ყველაზე მეტად

⁴² ვლადიმერ სოლოვიოვის ციტირება, კომერსანტი, 2006 წლის 2 ოქტომბერი, გვ.1.

⁴³ ინტერპრეს ნიუსი, საინფორმაციო სააგენტო იტარ-ტასი, 2006 წლის 29 სექტემბერი.

⁴⁴ „ერთ წელიწადზე მეტია მე ღიად ვაცხადებ, რომ ჩვენი კონტრ-დაზვერვის სამსახური მუშაობს, რომ ჩვენ გვაქვს ინფორმაცია და ჩვენ ვმოქმედებთ ჩვენი დემოკრატიული სისტემის დასაცავად ... ახლა ზუსტად დროა გაიგოთ, რომ ჩვენ ცარიელ სიტყვებს არ ვამბობთ“. Civil Georgia, www.civil.ge, , 2006 წლის 28 სექტემბერი.

კრიზისმა რუსეთის საშინაო საქმეებზე იმოქმედა და რუსეთში მცხოვრები ქართული დიასპორას მიმართ რუსეთის ხელისუფლების მოქმედებაზე იქონია გავლენა, რამაც დიდი ზიანი მოუტანა რუსეთის იმიჯს მთელს მსოფლიოში. „აქამდე თუ ხელისუფლებას თავისი წვლილი შეჰქონდა საზოგადოების ქსენოფობიურ განწყობაში, ეს ძირითადად, მისი უმოქმედობით, არაკომპეტენტურობითა და უპასუხისმგებლობით ხდებოდა. ახლა ეთნიკური მტრობის გაღვივება მთავრობის წევრების - როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი შტოს წარმომადგენლების წაქეზებით ხდება.“⁴⁵ დიდი რაოდენობით ქართველები, მათ შორის ბავშვები, სატვირთო თვითმფრინავებში მოათავსეს და რუსეთიდან გამოდევნეს. რუსეთში მცხოვრებ გამოჩენილ ქართველ ინტელექტუალებს საგადასახადო პოლიცია ავიწროებდა, ქართული ბიზნესი მოსკოვში სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ზეწოლას განიცდიდა. ქართველები წარმოსახული იყვნენ, როგორც რუსეთში მცხოვრები ყველაზე კრიმინალური ეთნიკური უმცირესობა. კამპანიამ განსაკუთრებით მახინჯი ფორმები მიიღო, როდესაც მოსკოვის რიგ სკოლებს პოლიციისათვის ქართული გვარის მქონე ბავშვების სიის გადაცემა მოსთხოვეს.

როდესაც ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ღრმა შეშფოთება გამოთქვეს საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ რუსეთის მიერ მიღებული ზომების პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ ასპექტებზე, კონსტანტინე კოსაჩევმა, სახელმწიფო დუმის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ აღიარა, რომ რუსეთში მცხოვრები ქართველების მიმართ აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული გარკვეული ზომების კრიტიკა დამსახურებული იყო.⁴⁶ რუსეთში ხელისუფლების ქსენოფობიურ ქმედებებს საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. 2006 წლის 8 ოქტომბერს მოსკოვის ცენტრში ათასამდე ადამიანი შეიკრიბა, ბევრი მათგანი ემბლემას ატარებდა წარწერით „მე ქართველი ვარ.“⁴⁷

2006 წლის 3 ოქტომბერს, ჯამუშების სკანდალთან დაკავშირებით, რუსეთმა საქართველოსთან საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო, საფოსტო და საბანკო კავშირები გაწყვიტა. უფრო ადრე, 2006 წლის დასაწყისში, მან ემბარგო დაადო ქართულ ღვინოს, ხილს, ბოსტნეულსა და მინერალურ წყალს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების მოტივით. საქართველოს ხელისუფლებამ ჯეროვნად ვერ შეაფასა ამ სანქციების შედეგები. მაგრამ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გამოაქვეყნა ანგარიში რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების შეჩერების შესაძლო შედეგებზე და აღნიშნა, რომ 2006 წელს რუსეთი კვლავ რჩებოდა საქართველოს მთავარ პარტნიორად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტზე შეზღუდვების

⁴⁵ მაშა ლიპმანი, ვაშინგტონ პოსტი, 2006 წლის 21 ოქტომბერი.

⁴⁶ Frankfurter Allgemeine Zeitung, 19.10.2006.

⁴⁷ ინტერპრეს ნიუსი, 2006 წლის 9 ოქტომბერი.

მიუხედავად. გასულ წელს, აღნიშნული იყო ანგარიშში, რუსეთიდან იმპორტმა საქართველოში მოხმარებული ელექტროენერჯის 53% და ბუნებრივი აირის 95% შეადგინა.⁴⁸

რუსეთის პარლამენტის სპიკერი ვიქტორ გრიზლოვი აღნიშნავდა, რომ სანქციები მიმართული იყო საქართველოს მთავრობის და არა ქართველი ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ ფაქტია, რომ ყოველივე ამის შედეგად სწორედ რიგით ქართველებს შეექმნათ პრობლემები. საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა, რუსეთიდან დეპორტირებული ქართველებისათვის დახმარების პროგრამა წამოეწყო, რათა თავიდან აეცილებინა საპროტესტო გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ, რისკენაც სავარაუდოდ მიმართული იყო რუსეთის სანქციები. მაგრამ სანქციების შედეგად საქართველოში პოლიტიკური კლიმატი მმართველი ელიტის მიმართ არ შეცვლილა. 2007 წლის 5 ოქტომბრის თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ, ოპოზიციის ჩათვლით, განაცხადა, რომ შიდა დაყოფის მიუხედავად, ისინი სრულად იზიარებდნენ მთავრობის პოლიტიკას რუსეთის მიმართ. თუმცა, იყო გარკვეული კრიტიკული გამონათქვამები იმის თაობაზე, თუ როგორ მოიქცა საქართველოს მთავრობა ჯაშუშების საქმეში. გიორგი ხაინდრავამ, საქართველოს ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ხელისუფლებას შეეძლო მეტი პროფესიონალიზმით, ზედმეტი ხმაურის გარეშე წაეყვანა საქმე რუსეთის ჯაშუშური ქსელის გახსნისას, რათა პრობლემები არ შეექმნა 800 000 ქართველისათვის, რომლებმაც თავის დროზე ქვეყანა ეკონომიკური სირთულეების გამო დატოვეს და ახლა რუსეთში საქმიანობას ეწეოდნენ.⁴⁹

რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სანქციების შედეგად საქართველოს ექსპორტმა რუსეთში მხოლოდ 53 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 30 %-ით ნაკლები იყო. სანქციებმა საქართველო აიძულა, გადაეხედა და შეეცვალა თავისი საექსპორტო პოლიტიკა. საბოლოოდ, ამან არ იქონია სერიოზული ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპებზე. ტემპი კვლავ მაღალი იყო, სავარაუდოდ მშპ-ს 12%.

ე.წ. „ჯაშუშების საქმე“ დასრულდა რუსეთის ელჩის დაბრუნებით თბილისში, 2007 წლის იანვარში და საქართველოს წინააღმდეგ მიმართული რუსეთის რიგი სანქციების მოხსნით. მაგრამ დარჩა საბოლოოდ გაფუჭებული ორმხრივი ურთიერთობები და აშკარა გახდა ღრმა ემოციური დაზიანება და გაღიზიანება ურთიერთდამოკიდებულებაში. საქართველოში, მომავალ წლებშიც გრძელდებოდა რუსეთის დადანაშაულება ჯაშუშურ

⁴⁸ კავკაზ პრესი, 2008 წლის 24 ოქტომბერი.

⁴⁹ ციტირებულია გაზეთ ვრემია ნოვოსტეი, 2006 წლის 3 ოქტომბერი, გვ.1-2.

საქმიანობასა და საქართველოს შიდა საქმეებში მუდმივად ჩარევაში.⁵⁰ მთავრობის ამ რიტორიკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოპოზიციის ძალებზე ხელისუფლების თავდასხმებში შიდა პოლიტიკური კრიზისის დროს. ეს კრიზისი ძალადობაში გადაიზარდა, როდესაც 2007 წლის 7 ნოემბერს, ქართულმა სპეციალური დანიშნულების პოლიციამ დემონსტრაციის მონაწილეები დაარბია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა მასალები, სადაც მისივე თქმით, ჩაწერილი იყო მოლაპარაკებები ოპოზიციის სხვადასხვა ლიდერებსა და რუსეთის დაზვერვის სამსახურის აგენტებს შორის. პოლიტიკური ანალიტიკოსისა და მოგვიანებით, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, თემურ იაკობაშვილის სიტყვებით, „რუსეთის ჯაშუშები ცდილობენ გავლენა მოახდინონ ჩვენს შიდა საქმეებზე... რუსები არც კი ფარავენ, რომ მათ სურთ საქართველოში რეჟიმის შეცვლა შიდა პოლიტიკური მოვლენების მანიპულირებით და სხვადასხვა პოლიტიკურ მოძრაობებსა და ლიდერებზე ზეგავლენით.“⁵¹

თუმცა, ეს ბრალდებები ეჭვქვეშ დააყენეს რუსეთშიც და მის ფარგლებს გარეთაც. „არ გვაქვს რეალური საფუძველი იმის სათქმელად, რომ რუსები სერიოზულად არიან ჩართული შიდა პოლიტიკურ მოვლენებში“ - განაცხდა თომას დე ვაალმა, ომისა და მშვიდობის გაშუქების ბრიტანული ინსტიტუტის ექსპერტმა კავკასიის საკითხებში. „თუ ქართულ ოპოზიციას შევხედავთ, უმეტესი მათგანი ისევე ანტირუსული განწყობით გამოირჩევა, როგორც თავად მთავრობა... პრეზიდენტ სააკაშვილისთვის ამკარად მოსახერხებელია რუსეთის დადანაშაულება კრიზისის პერიოდში. ვფიქრობ, ამ ხრიკს მეტისმეტად ხშირად იყენებს და ბევრ ადამიანს ეს ყველაფერი უკვე მობეზრდა.“⁵²

საქართველოს მიერ მოსკოვისკენ თითის გაშვება პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში დამკვიდრებული ზოგადი სქემის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს, როგორც ამას სერგეი მარკედონოვი ამბობს. „ბევრი რუსი პოლიტიკოსი სერიოზულად დარწმუნებულია, რომ ყველაფერი დასავლეთის ბრალია: დასავლეთმა მოახდინა ნარინჯისფერი რევოლუცია, დასავლეთმა მოახდინა ვარდების რევოლუცია და დასავლეთმა დაანგრია საბჭოთა კავშირი. საქართველოს ხელისუფლებაც ზუსტად ანალოგიურ მეთოდს იყენებს. ოღონდ, ამ შემთხვევაში, ბოროტი დასავლეთის მაგივრად ბოროტი რუსეთი გვყავს. საქართველოს, რუსეთსა და ბევრ პოსტ-საბჭოთა ქვეყანას მსგავსი მენტალიტეტი აქვს. მხოლოდ მტერი იცვლება.“⁵³

⁵⁰ კლერი ბიგის ციტირება, დგას თუ არა მოსკოვი საქართველოში არეულობის უკან? რადიო თავისუფლება, 2007 წლის 15 ნოემბერი

⁵¹ იგივე

⁵² იგივე

⁵³ სერგეი მარკედონოვი რუსეთის პოლიტიკის ქართული პარადოქსი: რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში, 2007 წლის აპრილი-მაისი, გვ.1

2007 წლის მარტში, გამოქვეყნებულ რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვაში საქართველოს ყველაზე დაბალი შეფასება ჰქონდა რუსეთის საერთაშორისო პარტნიორებს შორის. იმ პერიოდში რუსეთის ელჩმა საქართველოში ვიაჩესლავ კოვალენკომ საქართველოდან დაბრუნებიდან ცოტა ხნის შემდეგ რუსულ გაზეთს „ვრემია ნოვოსტი“ მისცა ინტერვიუ რუსეთ საქართველოს ურთიერთობების შესახებ. დასმულ კითხვას: „რა უნდა გააკეთოს საქართველომ ურთიერთობის ნორმალიზებისათვის?“ მან უპასუხა: „უპირველესად, თბილისმა თავიდან უნდა მოიცილოს აზრი, თითქოსდა, საქართველოს გარკვეული საფრთხე ემუქრება, რომელიც მისი ჩრდილო მეზობლიდან გამომდინარეობს და საკითხს ისე ნუ აყენებს, თითქოს კონკრეტულად რუსეთი უშლის ხელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას აღდგენას. თბილისმა ასევე უნდა გაიაზროს, რომ რუსეთს თავისი ინტერესები აქვს კავკასიაში უსაფრთხოების სფეროში, და ასევე საკუთარი მოსაზრებები აქვს იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი ეს უსაფრთხოება. სამხრეთ კავკასია და ჩვენი ჩრდილო კავკასია ბევრი მხრივ ერთიან ორგანიზმს წარმოადგენს. და ბოლოს, საქართველომ უნდა გაიგოს, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ უშლის ხელს საქართველოს კურსს „ევროპული იდენტობის“ განხორციელებაში, რაზეც ასე ხშირად საუბრობენ თბილისში.“⁵⁴ მაგრამ მომდევნო თვეების განმავლობაში რუსეთმა გააგრძელა ძალისმიერი პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში და არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ მეორე მხარეს გაჰქრობოდა „აზრი, თითქოსდა, საქართველოს გარკვეული საფრთხე ემუქრება,“ და რომ ვინმე ხელს უშლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

საქართველოს საჰაერო სივრცეში შეჭრის ინციდენტები

საქართველოს მიერ ნატო-ს სტანდარტების მიღების საჭიროების დასაბუთებისათვის პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის წლიური ანგარიშით პარლამენტთან წარდგენისას დასვა კითხვა: „გახსოვთ, როგორ დაიბომბა ჩვენი ტერიტორია შევარდნაძის პერიოდში?“⁵⁵ აქ იგულისხმებოდა 2001-2002 წლებში საქართველოს საჰაერო სივრცეში შეჭრის შემთხვევები. 2001 წლის შემდეგ, საქართველოში ადგილი ჰქონდა დაბომბვის ხუთ მნიშვნელოვან ფაქტს და რუსეთმა ყველა მათგანი უარყო. 2001 წლის ოქტომბერში, ცხრა დაუდგენელმა ვერტმფრენმა დაბომბა საქართველოს კონტროლქვეშ მყოფი კოდორის ხეობა. 2002 წლის აგვისტოში, საქართველომ რუსეთს ბრალი დასდო პანკისის ხეობის ჩრდილოეთი ნაწილის დაბომბვაში. 2007 წლის მარტში მიგ-24 ტიპის ვერტმფრენებმა დაბომბეს კოდორისა და ჩხალთას ხეობები და ჭუბერის გადასასვლელი. 2007 წელს საჰაერო თავდასხმა განხორციელდა სამხრეთ ოსეთის მახლობლად სოფელ წითეხულანზე. 2008 წლის აპრილში ვიდეოკამერით იქნა გადაღებული თუ როგორ

⁵⁴ ვრემია ნოვოსტი, 2007 წლის 12 მარტი.

⁵⁵ ციტირებულია გაზეთ კომერსანტში, 2006 წლის 16 თებერვალი, გვ.1.

ჩამოაგდო მიგ-20-ის ტიპის მოიერიშე თვითმფრინავმა საქართველოს შეუიარაღებელი სადაზვერვო საფრენი აპარატი გალის რეგიონის თავზე. გარდა ამისა, საქართველოს მხარის მტკიცებით, პერიოდულად ხდებოდა რუსეთის სამხედრო აღჭურვილობის მიმოსვლა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რითაც რუსეთი არღვევდა 1992 და 1994 წლების შეთანხმებებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. საქართველოს ამ ბრალდების პასუხად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ აფხაზეთში მყოფი სამშვიდობო ძალების მტკიცებით, მხოლოდ 2007 წლის განმავლობაში საქართველოს საბრძოლო ხომალდებმა 158-ჯერ გადაიფრინეს უსაფრთხოების ზონის თავზე.⁵⁶

საქართველოს საჰაერო სივრცეში შეჭრა რუსეთმა პირველად 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე ცოტა ხნით ადრე დაადასტურა. ამ დროისათვის რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის შესახებ გამოყენებული ტერმინოლოგია უკვე გამქრალი იყო ოფიციალური განცხადებებიდან. 10 ივლისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა, რომ წინა დღეს რუსეთის საჰაერო ძალებმა მისია შეასრულეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის თავზე. მათი მტკიცებით, ეს ფრენა გულისხმობდა საქართველოს მხრიდან სამხედრო თავდასხმის პრევენციას ამ კონფლიქტურ ზონაში.

დროის ათვლა შეიარაღებულ კონფლიქტამდე: გეოპოლიტიკური კონტექსტი

ვითარება საქართველოს მოუგვარებელი რეგიონული კონფლიქტებისა და რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის კონტექსტში, 2008 წელს რეგიონის ორმა მთავარმა საერთაშორისო პრობლემამ დაჩრდილა. პირველი იყო კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია და მისი ოფიციალური აღიარება დაახლოებით, 50 სახელმწიფოს მიერ. მეორე ნატო-ს საპროცედურო გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოსა და უკრაინისთვის ალიანსის წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭებას. ორივე ეს პრობლემა შესაძლოა ყოფილიყო გამოწვევა რუსეთის მსოფლმხედველობისათვის, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის ბიპოლარული ხედვის შემდგომ ჩამოყალიბდა. ნატო-ს გაფართოება რუსეთს მრავალი წლის მანძილზე აღიზიანებდა. ემოციური ზემოქმედების თვალსაზრისით, დავამ კოსოვოს დამოუკიდებლობის თაობაზე, რუსეთი 1999 წლებში დააბრუნა, როდესაც ის ნატო-ს ომს იუგოსლავიაში აღიქვამდა როგორც ფუნდამენტურ გამოწვევას საერთაშორისო არენაზე მისი პოზიციისადმი.

საქართველოს სწრაფვა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისკენ

ყველა გარე ფაქტორს შორის რუსეთ საქართველოს კონფლიქტმა ყველაზე დიდი გავლენა ნატო-ს გაფართოების პოლიტიკაზე იქონია, კერძოდ, საქართველოსა და

⁵⁶ ნეზავისიმაია გაზეტა, 2008 წლის 5 ივნისი, გვ.1.

უკრაინის შესაძლო ინტეგრაციაზე. რუსეთის ძალისმიერი პოლიტიკა საქართველოს მიმართ თავდაპირველად გულისხმობდა ნატო-ს გაფართოების შეჩერებას დსთ-ს ქვეყნებში. აღნიშნულმა პოლიტიკამ ხელსაყრელი მომენტი შექმნა საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის განხილვისას. რუსეთის მოქმედებები ორივე ქვეყნის წინააღმდეგ მიზნად ისახავდა, იმის დემონსტრირებას, რომ მოსკოვს შეეძლო მათი ნატოში გაწევრიანების შეჩერება.⁵⁷

ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაერთიანება საქართველოში ეროვნული პროექტი გახდა. გეზი ნატო-საკენ არამარტო ელიტური ნაწილიდან მოდიოდა. საზოგადოების დაახლოებით 80% მხარს უჭერდა ნატო-ში გაწევრიანებას, რაც აპლიკანტ ქვეყნებს შორის ხმათა ყველაზე დიდ რაოდენობას წარმოადგენდა უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში.⁵⁸ საქართველოს მთავრობამ განმეორებით სცადა დაესახელებინა სრული გაწევრიანების ახლო ვადები. ამას ნატო ნაწილობრივ ძლიერი მხარდაჭერით, ნაწილობრივ კი, სკეპტიციზმით ხვდებოდა. ძლიერი მხარდაჭერა გამოიჩინა ვაშინგტონმა. ევროპის მხარდაჭერა მოდიოდა რვა ქვეყნის ცენტრიდან, რომლებიც მხარს უჭერდნენ ნატო-ს აქტიურ პოლიტიკას და ევროკავშირს აღმოსავლეთ ევროპაში. „საქართველოს ახალი მეგობრების ჯგუფი,“ რომელიც 2005 წელს თბილისში, ბალტიისპირეთის სამმა სახელმწიფომ, პოლონეთმა, უკრაინამ, რუმინეთმა და ბულგარეთმა წამოიწყეს და რომელსაც შვედეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა შეუერთდნენ, მხარს უჭერდა საქართველოს მიზანს – წინსვლას გაწევრიანების სამოქმედო გეგმისაკენ, 2008 წლის გაზაფხულის ნატო-ს სამიტზე ბუქარესტში. მეორე მხრივ, ნატო-ს ზოგიერთი მაღალი რანგის წამომადგენლის განაცხადება მიუთითებდა ახლო მომავალში საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივის მიმართ უფრო ფრთხილ მიდგომაზე.

რუსეთის „კოსოვოს პრეცედენტის“ ფორმულა

კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციამ განაახლა დებატები იმ კავშირის შესახებ, რომელიც არსებობს თვითგამორკვევის, სუვერენობისა და ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს შორის. დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებმა და რეგიონულმა ორგანიზაციებმა, რომელთაც აღიარეს კოსოვოს დამოუკიდებლობა, თავიანთი ქმედება გაამართლეს *sui generis-ის საშუალებით (უნიკალური შემთხვევა)* გაამართლეს, თუმცა, ამ არგუმენტს არ იზიარებდა ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო და მათ არ გააჩნდათ ერთიანი მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით. ზოგიერთი მათგანი შიშობდა, რომ კოსოვოს მაგალითი

⁵⁷ სტეფან ბლანკი, რუსულ-ქართული კრისიზი: რა უნდა მოსკოვს? 2008 წლის 11 ივნისი.

⁵⁸ შედარებისთვის: ესტონეთში 69%, სლოვენიაში 66%, ლატვიაში 60%, ლიტვაში 46%.

შექმნიდა პრეცედენტს სეპარატისტული კონფლიქტებისათვის მათ ტერიტორიებზე.⁵⁹ რუსეთმა უარყო *sui generis* არგუმენტი და მიანიშნა, რომ კოსოვოს საკითხი იქნებოდა პრეცედენტი გადაუჭრელი („გაყინული“) სეპარატისტული კონფლიქტებისათვის დსთ-ს სივრცეში, სადაც მოლდოვა, საქართველო და აზერბაიჯანი ჩართული იყვნენ კონფლიქტებში დნესტრისპირეთის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის გამოყოფილ რეგიონებთან.

მაგრამ რუსეთმა კოსოვოს პრეცედენტი შერჩევით გამოიყენა: ძირითადად, როგორც საქართველოზე ზეწოლის ინსტრუმენტი და შედარებით ნაკლებად – აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული ყარაბაღის კონფლიქტის შემთხვევაში. რუსეთის ჩართულობა ამ კონფლიქტში განსხვავდებოდა მისი ჩართულობისაგან საქართველოს, კონფლიქტებში აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან; ასევე, მისი პოლიტიკური პოზიციისაგან მოლდოვის კონფლიქტთან მიმართებაში დნესტრისპირეთთან. ყარაბაღის კონფლიქტში რუსეთის პირდაპირი ჩართულობა ნაკლები იყო, და მას არ ეკავა მშვიდობისმყოფელის დომინანტური პოზიცია, განსხვავებით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისაგან (ასევე - დნესტრისპირეთისაგან). მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი სომხეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებაში, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან შედარებით (სადაც მისი მხარდაჭერა მკაფიო იყო), ყარაბაღის კონფლიქტში ის ნაკლებად უჭერდა მხარს სომხეთის მოსაზღვრე მთიანი ყარაბაღის *დე-ფაქტო* სახელმწიფოს.

დნესტრისპირეთის კონფლიქტში რუსეთს, კონფლიქტის სეპარატისტული ბანაკის მხარე ეჭირა: დნესტრისპირეთის მთავრობას ფინანსურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევდა, რუსეთის მე-14 არმია კი (დაახლოებით 1200 ქვედანაყოფი), სეპარატისტულ რეგიონში იყო დისლოცირებული; მაგრამ მოლდოვას მთავრობის ნეიტრალიტეტის ვალდებულების გამო, რაც საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისგან არსებითად განსხვავებულია, რუსეთმა ამ კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას დაუჭირა მხარი.

ამგვარად, კოსოვოს პრეცედენტმა ყველაზე ძლიერი გავლენა მოახდინა საქართველოს მოუგვარებელ სეპარატისტულ კონფლიქტზე, ასევე, საქართველოსა და რუსეთს შორის ორმხრივ ურთიერთობებზე. უკვე 2006 წლის იანვარში, პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, საყოველთაო პრინციპებს მიმართა დსთ-ს „გაყინული კონფლიქტების“ გადასაჭრელად. ის დაჟინებით ამტკიცებდა: „ამ პრობლემებისათვის ჩვენ საერთო პრინციპები გვესაჭიროება კონფლიქტით მოცულ ტერიტორიებზე მცხოვრები ყველა

⁵⁹ ამანდა აკსაკოსა, თომას ვანჰუვერტი, რიჩარდ უიტმანი, სტეფან ვულფი: საქართველო: კონფლიქტის გადაჭრა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, ევროპული პოლიტიკის ცენტრი, 2009, გვ.9

ხალხის საკეთილდღეოდ... თუკი ხალხი ფიქრობს, რომ კოსოვოს შეიძლება მიენიჭოს სრული დამოუკიდებლობა, მაშინ რატომ უნდა ვუთხრათ ამაზე უარი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს?“⁶⁰ ეს არგუმენტაცია რუსეთის ოფიციალურ პოლიტიკად იქცა. 2006 წლის ივნისში, მონტენეგროს რეფერენდუმზე, იმის თაობაზე, დასრულდებოდა თუ არა მისი გაერთიანება სერბეთთან და ასევე, კოსოვოს დაჩქარებულ სვლაზე დამოუკიდებლობისაკენ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ამგვარი აზრი გამოთქვა: „მოსკოვი პატივს სცემს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, მაგრამ ის აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის უფლება თანაბრად პატივსაცემი პრინციპია მსოფლიო საზოგადოებისათვის.“⁶¹

მოსკოვსა და მის პროტექციებს სოხუმსა და ცხინვალში ახლა უნდა ეპოვნათ გზა, რათა დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ მოყვანილი მთავარი არგუმენტები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის მიესადაგებინათ. ამ არგუმენტებიდან პირველი იყო, ის რომ დამოუკიდებლობის მოთხოვნას ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა უჭერდა მხარს. მეორე არგუმენტი იყო გენოციდი, რომელიც მათი განცხადებით თბილისმა განახორციელა. მეორე არგუმენტის დასასაბუთებლად რუსეთის, ასევე ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის პარლამენტებმა როგორც 1920 წელს, ასევე, 1989-1992 წლების კონფლიქტის დროს ოსების მიმართ განხორციელებული „გენოციდისათვის“ პასუხისმგებლობა საქართველოს დააკისრეს. 2008 წლის აგვისტოში, აღნიშნული პოზიცია კატეგორიულად იყო აღნიშნული რუსეთის პირველ განცხადებებში ცხინვალზე საქართველოს საარტილერიო შეტევისას; რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარეების მიერ ეს აღწერილი იყო, როგორც საქართველოს მხრიდან ოსების „გენოციდი,“ რომელმაც 2000 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. შეტევის მომდევნო დღეებში მსხვერპლთა რაოდენობა გადამოწმდა და იგი მნიშვნელოვნად შემცირდა.

2008 წლის თებერვლის კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადებით, ასევე, რამდენიმე ქვეყნის მიერ მისი შემდგომი ოფიციალური აღიარებით, პრეცედენტის ფორმულამ ძალა მოიკრიბა. მარტის დასაწყისში, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის *დე-ფაქტო* პარლამენტებმა მიმართვები გაუგზავნეს რუსეთის პარლამენტს, გაერო-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათი დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით. 2008 წლის 6 მარტს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთი აუქმებდა ყველა შეზღუდვას აფხაზეთის წინააღმდეგ, რაც განსაზღვრული იყო დსთ-ს 1996 წლის შეთანხმებით. 16 აპრილს, პრეზიდენტმა პუტინმა უბრძანა რუსეთის მთავრობას, „ეთანამშრომლა აფხაზეთისა და

⁶⁰ ციტირება, Akcakoca etc. გვ. 26.

⁶¹ Nezavisimaja Gazeta, 6 ივნისი, 2006.

სამხრეთ ოსეთის *დე-ფაქტო* ხელისუფლებებთან სავაჭრო, ეკონომიკურ, სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, საინფორმაციო, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებში და ამ თანამშრომლობაში რუსეთის კონკრეტული რეგიონებიც ჩაერთო.“⁶² საერთაშორისო დონეზე გაქდერებული კომენტარების მიხედვით, აღნიშნული ღონისძიებები შეფასდა როგორც რუსეთის დიპლომატიის საბოლოო უარი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაზე. პრეზიდენტმა პუტინმა ეს შემდეგნაირად გაამართლა: „ეს არის მხოლოდდამხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური მიზნები, რომლებიც პრინციპულად განასხვავებს მათ რიგი ქვეყნების პოლიტიზირებული და უკანონო გადაწყვეტილებებისაგან კოსოვოს ცალმხრივად გამოცხადებული დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე; გადაწყვეტილებებისაგან, რომლებიც, როგორც არაერთხელ იყო ხაზგასმული, თავისი არსით, პრეცედენტის შემქმნელები არიან“.⁶³ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის *დე-ფაქტო* პრეზიდენტებმა ეს ფორმულა ამგვარი განცხადებებით გაამართლეს: „ჩვენ უფრო მეტი პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძველი გვაქვს აღიარებისთვის, ვიდრე კოსოვოს.“

რუსეთმა შეასრულა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მიცემული დაპირება, გადაეფასებინა საკუთარი ურთიერთობები არაღიარებულ პოლიტიკურ ერთეულებთან; მაგრამ მან პრეცედენტის ეს ფორმულა შერჩევით გამოიყენა, კერძოდ, საქართველოს შემთხვევაში; იგი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებული ძალისმიერი პოლიტიკის ძირითად თავისებურებას წარმოადგენდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვასთან. მაგრამ რუსეთის მიერ კოსოვოს პრეცედენტის ფორმულის აქტიური გამოყენების პირობებშიც კი, რუსეთის, საქართველოსა და დასავლეთის ექსპერტები არ ელოდნენ კრემლის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უპირობო აღიარებას. კოსოვოსთან დაკავშირებულ თავის ერთ-ერთ კომენტარში პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი არ გაიმეორებდა იმ შეცდომას, რაც დასავლეთმა დაუშვა სეპარატიზმის ფორმალური ლეგალიზებით. საერთაშორისო არენაზე და განსაკუთრებით, ევრაზიის ისეთ რეგიონულ ორგანიზაციებში, როგორც არის შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია (Shanghai Cooperation Organisation SCO), რუსეთმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია სეპარატიზმს და შეაფასა იგი (ჩინეთთან ერთად), როგორც ერთ-ერთი „ბოროტი ძალა,“ რომელიც მსოფლიო უსაფრთხოებას ემუქრება. რუსეთმა უდიდესი სამხედრო ძალადობით ჩაახშო სეპარატიზმის გამოვლინება საკუთარ ტერიტორიაზე, ჩეჩნეთში და უარყო უცხოეთის კრიტიკა ჩეჩნეთის ომების დროს ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევაზე, როგორც მისი სუვერენიტეტის ხელყოფა. რუსეთი მთელი ათწლეულის განმავლობაში თვლიდა, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები საქართველოს ტერიტორიულ

⁶² Vremja Novostej, 17 აპრილი, 2006.

⁶³ Vremja Novostej, 22 აპრილი, 2006.

მთლიანობას ადასტურებდა. ამ კონტექსტში კრემლის მიერ სეპარატისტული პოლიტიკური ერთეულების ოფიციალური აღიარება „ორმაგი სტანდარტის“ თვალსაჩინო დემონსტრაცია იქნებოდა - ზუსტად ისეთი ქმედების, რომელშიც რუსეთი დასავლეთს ადანაშაულებდა.

ეს შეზღუდვა საბოლოოდ 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოიხსნა. ჯერ კიდევ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ოფიციალურ აღიარებამდე, 2008 წლის 26 აგვისტოს, რუსეთმა მნიშვნელოვნად გააძლიერა თანამშრომლობა არაღიარებულ პოლიტიკურ ერთეულებთან. რუსეთის ხელისუფლებისა და სოხუმსა და ცხინვალში მისი პარტნიორების თანამშრომლობის შესახებ პრეზიდენტ პუტინის 2008 წლის 16 აპრილის ბრძანებულებიდან ერთი დღის შემდეგ, რუსულ გაზეთში გამოქვეყნდა აფხაზეთის *დე-ფაქტო* საგარეო საქმეთა მინისტრის, შამბას საზეიმო კომენტარი: „ჩვენ უკვე ვხედავთ იმ ლენტს, რომელიც ჩვენი აღიარების გზის ფინიშთან არის გაბმული. ჩვენ გავჭრით ამ ლენტს. ჩვენ არ გვეშინია თბილისის ძლიერი უარყოფითი რეაქციის. ჩვენ მზად ვართ იმისთვის, რომ სიტუაცია კონფლიქტის ზონაში დაიძაბება და ეს შესაძლოა, საქართველოს მხრიდან იყოს გამოწვეული.“⁶⁴ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ეს აღიქვა, როგორც ცხინვალზე შეტევის პროვოცირება, რითაც რუსეთს მისცა არგუმენტები მისი პოლიტიკის გასატარებლად საქართველოს სეპარატისტული კონფლიქტების მიმართ.

2008 წლის ესკალაცია

2008 წელი მიხეილ სააკაშვილის მეორე საპრეზიდენტო ვადით არჩევით დაიწყო, სადაც მან ხმების 53,4% მოიპოვა. ისევე, როგორც ოთხი წლის წინათ, ოფიციალურმა პირებმა, საქართველოსა და რუსეთში, გამოხატეს ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესების სურვილი. 2008 წლის 20 იანვარს, თავის საინაუგურაციო მიმართვაში, ხელმეორედ არჩეულმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა წამოაყენა წინადადება, „რუსეთისთვის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელი გაეწოდებინა.“ თავის პირველ პრესკონფერენციაზე მან საქართველოში სტუმრად მიიწვია პრეზიდენტი პუტინი და დაამატა: „მე ძალიან ვნანობ, რომ ჩემი პირველი ვადით პრეზიდენტობის დროს რუსეთთან ურთიერთობა გაფუჭდა.“⁶⁵

⁶⁴ ციტატა მიხეილ ვიგნანსკი „ვრემია ნოვოსტი“, 2008 წლის 17 აპრილი, გვ.1

⁶⁵ ციტატა რიჩარდ ვაიცი: თბილისი და მოსკოვი ფიქრობენ სააკაშვილის ინაუგურაციის შემდგომ გადასადგმელ ნაბიჯებზე, იხ. CACI (ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტი) ანალიტიკოსი, 2008 წლის 6 თებერვალი

ამის საპასუხოდ, რუსეთის მთავრობამ, იმ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, რომ მოსკოვი ბოიკოტს გამოუცხადებდა თბილისის ცერემონიას, ან იქ დაბალი რანგის დელეგაციას მიავლენდა, პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაციაზე საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი, მიავლინა. საგარეო საქმეთა მინისტრი, ლავროვი იყო რუსეთის მთავრობის ყველაზე მაღალი რანგის ოფიციალური პირი, რომელიც საქართველოს 2006 წლის ჯაშუშების სკანდალის შემდეგ ეწვია. 21 თებერვალს, პრეზიდენტები - პუტინი და სააკაშვილი, ერთმანეთს რუსეთის პრეზიდენტის ნოვო-ოგარიოვოს რეზიდენციაში შეხვდნენ. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ინტერესი გამოხატა მიეღწიათ შერიგების თუნდაც შეზღუდულ ფორმას. უმაღლეს დონეზე შეხვედრისას, მხარეები შეთანხმდნენ პირდაპირი სამოქალაქო საჭაერო მიმოსვლის აღდგენაზე. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საუბარი შეეხო საზღვრების ერთობლივ კონტროლს მდინარე ფსოუზე და როკის გვირაბთან, რამაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერების პროტესტი გამოიწვია.

მიუხედავად ამისა, პრეზიდენტ სააკაშვილის მეორე ვადის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორი არ შეცვლილა. ხელმეორედ არჩეულმა პრეზიდენტმა კვლავ დაადასტურა თავისი მიზანი, გაეგრძელებინა „ევროატლანტიკური ორიენტაცია“ და გაეღრმავებინა კავშირი ნატო-სთან. საარჩევნო კამპანიის დროს, მისი ყველა მთავარი ოპონენტი, ასევე, აცხადებდა ამ ორიენტაციისადმი ერთგულებას საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში. განსხვავებული შეხედულება მხოლოდ ერთ კანდიდატს ჰქონდა. ⁶⁶ რუსულ მიმოხილვებში საქართველოს სუვერენიტეტის შესახებ სულ უფრო მეტად ისმოდა კითხვები. სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, კონსტანტინე კოსაჩევმა განაცხადა: „საქართველო არის კონსტრუქცია, რომელიც ტოტალიტარულ საბჭოთა კავშირში გამოჩნდა, კონსტრუქცია, რომლის ავტორი მაშინდელი დიქტატორი, იოსებ სტალინია.“ ⁶⁷

2008 წლის მარტი-აპრილის შემდეგ, საომარი რიტორიკა კონფლიქტის ყველა მხარეს განუწყვეტლივ ძლიერდებოდა. სამხრეთ კავკასიის მოუგვარებელი რეგიონული კონფლიქტების ირგვლივ ამ აგრესიულ რიტორიკას თან სდევდა შეიარაღების პროცესი და თავდაცვის ბიუჯეტის მკვეთრი ზრდა რეგიონში, 2004-2008 წლებში. 2008 წელს, სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოში სამხედრო ხარჯების ზრდამ მკვეთრად გადააჭარბა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას. ამ პერიოდში საქართველოს

⁶⁶ იქვე, რიჩარდ ვაიცი

⁶⁷ „ეხო მოსკვი“, 10 ივლისი; ვლადიმირ სოკორი: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აუღიარებლობა ახდენს რუსეთის, როგორც „მშვიდობისმყოფელის“ დისკვალიფიკაციას, ევრაზიის ყოველდღიური მონიტორი, ტომი 5, გამოცემა 132, 2008 წლის 11 ივლისი

სამხედრო ხარჯმა, რომელიც მშპ-ის 1%-ზე ნაკლები იყო, მშპ-ის 8%-ს გადააჭარბა. მსგავსად ამისა, უფრო მილიტარიზებული გახდა სხვადასხვა სეპარატისტული პოლიტიკური ერთეული. საქართველომ სტანდარტად აქცია რუსეთის მიმართ ბრალდება, რომ ეს უკანასკნელი იყენებდა თავისი სამშვიდობო კონტინგენტის როტაციას კონფლიქტის ზონებში, დამატებითი სამხედრო ძალების განლაგების მიზნით. ამ კონტექსტში, გამუდმებით ისმოდა განცხადებები, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში „დაძაბულობა საომარ ზღვრამდე იყო მისული.“

2008 წლის 6 მაისს, საქართველოს მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, თემურ იაკობაშვილმა (პოსტი, რომელსაც ახლახანს სახელწოდება შეეცვალა და გახდა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი), ბრიუსელში, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველო ძალიან ახლოს იყო საომარი მოქმედების დაწყებასთან: „ჩვენ, პირდაპირი მნიშვნელობით თავიდან უნდა ავიცილოთ ომი.“ ასეთი განცხადების დაძაბულობის დონემ საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია. მომდევნო დღეებში ქართული მხარე მიესალმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მცდელობას, შეეჩერებინა შეიარაღებული კონფლიქტი.⁶⁸ ევროკავშირმა გამოაცხადა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების ჯგუფი გაემგზავრებოდა თბილისში, რათა მოეძებნა იმ უკიდურესად აგრესიული ქმედებებისა და რიტორიკის შეჩერების გზები, რომელიც გასული კვირების ქართულ-რუსულ ურთიერთობაში შეიმჩნეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერდა თბილისს, ის კვლავაც ესწრაფოდა შეესრულებინა სამშვიდობო ფუნქცია, თუმცა არ სურდა რაიმე ისეთი ქმედების განხორციელება, რომლითაც იგი მოსკოვს დაუპირისპირებდა.⁶⁹

რუსეთის თვითმფრინავთან დაკავშირებული ივლისის ინციდენტის შემდეგ, რომელიც როგორც დადასტურდა, სამხრეთ ოსეთის თავზე დაფრინავდა, საქართველომ რუსეთიდან თავისი ელჩი გამოიწვია. კრემლის პოლიტოლოგმა, გლებ პავლოვსკიმ, ეს საკითხი ამგვარად განმარტა: „პოტენციური წინა-საომარი მდგომარეობა რუსულ-ქართულ ურთიერთობაში.“⁷⁰

ესკალაციასთან დაკავშირებით საყოველთაო ყურადღება პირველად, აფხაზეთისკენ იყო მიპყრობილი.⁷¹ მაისში, რუსეთმა აფხაზეთში თავისი სამშვიდობო ძალების დანაყოფთა რაოდენობა 2500-მდე გაზარდა და რეგიონში „ჰუმანიტარული მისიით“ სარკინიგზო

⁶⁸ No War Thanks Kouchner – Georgian Minister Says, Civil Georgia, May 14, 2008.

⁶⁹ On May 9, the Slovenian Foreign Minister Dmitri Rupel emphasised that the EU did not have “any intention of supporting one side against the other now”. See Nina Akhmeteli: US and EU Support for Tbilisi Grows amid Escalating Tension with Russia, Eurasia Insight, May 9, 2008.

⁷⁰ Interfax, July 11, 2008.

⁷¹ Georgia and Russia: Clashing over Abkhazia, International Crisis Group Policy Report, June 5, 2008.

დანაყოფები გაგზავნა. აფხაზი ლიდერები აცხადებდნენ, რომ ტერიტორიის თავდაცვის ძალებმა, გასული თვეების განმავლობაში, ხუთი ქართული უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავი ჩამოაგდო.⁷² ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, იააფ დე ჰოოფ სხეფერმა, მოსკოვს სარკინიგზო დანაყოფების გაყვანა მოსთხოვა და ორივე მხარეს მოუწოდა, „სასწრაფოდ დაეწყოთ მაღალი დონის დია დიალოგი, დაძაბულობის დე-ესკალაციის მიზნით.“⁷³ 2008 წელს, გერმანიამ საფუძველი ჩაუყარა სამეტაპიან გეგმას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების მიზნით. გეგმა შემუშავდა გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ფარგლებში. პირველი ეტაპი მოიცავდა ნდობის აღდგენას კონფლიქტის მხარეებს შორის, რომლის შედეგად უნდა ყოფილიყო მათ მიერ ძალის გამოუყენებლობის შეთანხმებაზე ხელის მოწერა და იძულებით გადაადგილებული ქართული მოსახლეობის/ლტოლვილების აფხაზეთში დასაბრუნებლად პროცესის დაწყება. მეორე ეტაპი ითვალისწინებდა დონორი სახელმწიფოების მიერ დაფინანსებულ აღდგენით სამუშაოებს. მესამე ეტაპამდე აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხზე მუშაობა დაგეგმილი არ ყოფილა. აფხაზეთის *დე-ფაქტო* პრეზიდენტმა, სერგეი ბალაფშმა, ეს გეგმა უარყო და ქართულ მხარესთან საუბრის დასაწყებად საკუთარი პირობები წამოაყენა: „ჩვენ ვუთხარით გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ დოკუმენტისთვის ორი პუნქტი დაემატებინა: პირველ რიგში, საქართველომ აფხაზეთის ზემო კოდორის ხეობიდან საკუთარი სამხედრო ძალები უნდა გაიყვანოს. მეორე, მან ხელი უნდა მოაწეროს შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ არ განაახლებს სამხედრო ოპერაციებს.“⁷⁴

ამასობაში, ადგილობრივ დონეზე კონფლიქტის ესკალაციამ აფხაზეთიდან სამხრეთ ოსეთში გადაინაცვლა. როგორც ქართველებმა, ისე ოსებმა, დაიწყეს საარტილერიო შეტევები ერთმანეთის სოფლებზე და საკონტროლო პუნქტებზე. თუმცა ივლისშიც კი, ექსპერტთა უმრავლესობას არ ჰქონდა იმის მოლოდინი, რომ კონფლიქტის რომელიმე მხარეს რაციონალურად ჰქონდა განზრახული საომარი მოქმედებების დაწყება. შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე, „ნოვარია გაზეტას“ პოლიტიკურმა მიმომხილველმა იწინასწარმეტყველა, რომ „ომი არ იქნება.“ ამ კომენტარის მიხედვით, კონფლიქტის არც ერთ მხარეს არ ჰქონდა ომის დაწყების ინტერესი. „ყველაზე ფართო წარმოსახვის ადამიანიც ვერ დაასახელებდა რაიმე მიზეზს, რომლის მიხედვითაც ცხინვალი, შესაძლოა, დაინტერესებული ყოფილიყო საომარ მოქმედებებში ქართველების წინააღმდეგ.“ ამ კომენტარის მიხედვით, არც თბილისს შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე გეგმა ომის წარმოებისთვის. უპირველეს ყოვლისა, ნატო-სგან გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მიღების მთავარი პირობა იყო

⁷² Interfax, May 8, 2008.

⁷³ Quoted in Nezavisimaja Gazeta, June 5, 2008, p.1.

⁷⁴ Quoted in Kommersant, July 19, 2008, p.1.

სტაბილურობა და არა საომარი მოქმედების დაწყება. „ბლიცკრიგი“ წარმოუდგენელი იყო; საქართველოს ეკონომიკა გაჭიანურებულ სამხედრო ოპერაციებს ვერ გაუძლებდა.⁷⁵ ომის წარმოებით საქართველო დასავლეთის მხარდაჭერის დაკარგვის რისკის წინაშე დადგებოდა; ამ მხარდაჭერას უკვე ეცლებოდა ნიადაგი შიდა პოლიტიკური კრიზისისა და დემოკრატიის კუთხით ვარდების რევოლუციის საკამათო შედეგების გამო. სრულმასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის საშიშროება აშკარა იყო მხოლოდ იმ სცენარის მიხედვით, რომლითაც კონფლიქტის ზონებში არსებული პროვოკაციიდან ერთ-ერთს „შეიძლებოდა ყველა მხარის გათვლებისთვის ხაზი გადაესვა.“⁷⁶ ზოგიერთი სხვა რეგიონული და სამხედრო ექსპერტი სრულმასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტს წინასწარმეტყველებდა. იმ დროისათვის რაიმე სახის დიპლომატიური ჩარევის ეფექტურობაზე საუბარი უკვე ძალიან დაგვიანებული იყო.

დაკსენა

ცნობილმა რუსმა ექსპერტმა კავკასიის საკითხებში, სერგეი მარკედონოვმა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა „საკმაოდ პარადოქსულად“ დაახასიათა. ერთი მხრივ, არსებობს უამრავი ტრადიციული, უპირველესად, სოციალურ-კულტურული სახის კავშირი: 200 წელზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველო იყო რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის ნაწილი. მისი პოლიტიკური კლასი ცარიზმის დამყარებაში იყო ჩართული. საქართველო იყო რუსეთის პლაცდარმი მე-19 საუკუნის კავკასიურ ომებში, იმპერიულ სადარაჯოზე, რუსეთის სამხედრო და ადმინისტრაციული ძალის დასამკვიდრებლად მთელს რეგიონში. მოგვიანებით, საქართველო იყო საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც გამოცდილი ჰქონდა სტალინური ტერორის სიმწვავე, მაგრამ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მომდევნო ათწლეულების განმავლობაში სარგებლობდა შედარებით მაღალი სტანდარტის კულტურული ავტონომიით. საქართველოს ისტორიაში 1801 და 1921 წლების ორი ანექსია რუსეთის მხრიდან დიდ ეროვნულ ტრავმად აღიქმება. ურთიერთბრალდებები და წინააღმდეგობრივი ურთიერთობების ტვირთი მას მემკვიდრეობით ერგო საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა პერიოდებიდან. 1989 წლის აპრილის მოვლენები, როდესაც საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა სასტიკად დაარბიეს დემონსტრაცია თბილისში, ერთგვარი შემობრუნების ეტაპი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის შეუპოვარი ბრძოლის პროცესში. ზვიად გამსახურდიას პერიოდში, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეს კურსი საქართველოს ეთნო-ცენტრულ დამოკიდებულებად გარდაიქმნა, ეროვნული ლოზუნგების აქტიური გამოყენების გზით. ამან გააძლიერა ანტირუსული განწყობა და აიძულა ეთნიკურად არაქართველი უმცირესობები და ავტონომიური რეგიონები თავი

⁷⁵ Yury Karlenovich Simonyan, in: Nezavisimaja Gazeta, July 28, 2008, p. 12.

⁷⁶ CG Europe Report, Georgia and Russia: Clashing over Abkhazia, N°193, April 2008, S. 8.

შეეკავებინათ საქართველოს დამოუკიდებლობის გეგმებში მონაწილეობისგან. შევარდნაძისგან სააკაშვილზე ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის შემდეგ, საქართველოს სწრაფვა გათავისუფლებულიყო რუსეთის მფარველობისგან ახალი ძალით იფეთქა. „რუსეთის იმპერიისგან თავის დაღწევის“ იდეა, რომელიც ფაქტობრივად არ ასხვავებდა 1917 წლის წინა პერიოდის რუსეთს, საბჭოთა იმპერიას და პოსტ-საბჭოთა რუსეთს ფედერაციას, „მისი საგარეო პოლიტიკის ამოსავალი წერტილი გახდა.“⁷⁷

ამდენად, საკითხი, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულ კონფლიქტზე, არ შეიძლება შემოიფარგოს მხოლოდ 7-დან 8 აგვისტოს ღამით და ქართული მხარის შეტევით ცხინვალის წინააღმდეგ. ის უნდა მოიცავდეს კონფლიქტის უფრო ფართო წინაპირობებს, უფრო ხანგრძლივ პროცესს, რომელიც მოიცავს ორმხრივ ბრალდებებს, სამხედრო მუქარებს, ძალადობრივ ინციდენტებს კონფლიქტის ზონებში, დიდი ძალაუფლების მქონე სახელმწიფოს ძალისმიერ პოლიტიკას მისი დაუმორჩილებელი მეზობლის მიმართ, ამ მეზობლის არარეალისტურად დაჩქარებულ რეინტეგრაციის პოლიტიკას და აგრეთვე იმას, რომ მისი დასავლეთზე ორიენტირებული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა წარმოსახული იყო, როგორც „რუსეთის იმპერიისგან თავის დაღწევა.“

ამ მზარდი კონფრონტაციის პირობებში, რუსეთსა და საქართველოს შორის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებში არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები იგნორირებული ან ხელიდან გაშვებული იყო.⁷⁸ ორივე მხარეს გაცნობიერებული უნდა ჰქონოდა, რომ მათი საერთო ინტერესი იყო სტაბილური სამეზობლო. როგორც საქართველოში რუსეთის ელჩმა განაცხადა თბილისში დაბრუნებისას, ჯამუშების სკანდალის შემდეგ, სამხრეთ და ჩრდილო კავკასია ერთიან ორგანიზმს შეადგენდა. ისეთი რეგიონი, როგორც პანკისი იყო, წარმოადგენდა უსაფრთხოების ორმხრივი გამოწვევების ამგვარ სიმბოლოს, როგორც საქართველოსთვის, ისე რუსეთისთვის. საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ზღვარი მთლიანად გადის იმ კრიტიკული ზონების გასწვრივ, სადაც იკვეთება ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების გამოწვევები. ორივე მხარეს ჰქონდა საერთო ეკონომიკური ინტერესები. რუსეთი რჩებოდა საქართველოს უმნიშვნელოვანეს საექსპორტო ბაზრად და უდიდეს შრომის ბაზრად ქართული დიასპორისთვის. რუსეთისთვის საქართველო მნიშვნელოვანი იყო თავისი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური საქმიანობისთვის მთელს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. რუსეთის

⁷⁷ Sergei Markedonov: The Paradoxes of Russia's Georgia Policy, *Russia in Global Affairs*, April-June 2007.

⁷⁸ Gulbaat Rzchiladse: Rußland und Georgien. Konfrontation statt Kooperation, in: *Osteuropa*, 7/2007, 71-80, the problem of missed cooperation, p. 78-79.

სადამსჯელო ქმედებებმა საქართველოს წინააღმდეგ არაერთხელ იქონია გავლენა სომხეთზე. საქართველოს დანაწევრებისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების პოლიტიკით, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ, რუსეთს არავითარი მხარდაჭერა არ მოუპოვებია თავისი უახლოესი მოკავშირეებისგანაც კი. მეორე მხრივ, საქართველომ ბევრი გააკეთა თავისი სეპარატისტული რეგიონების გაუცხოებისთვის და საკუთარი დამოუკიდებლობის გეგმიდან მათ ჩამოსაშორებლად. ყველა მხარეზე არსებულმა ნეგატიურმა სტერეოტიპებმა და ემოციებმა გადაწონა საერთო ინტერესები.

2. ურთიერთობა საქართველოს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს შორის

შესავალი

ბუშის მეორე ადმინისტრაციამ განსაზღვრა აშშ-ის ინტერესეთა სამი ჯგუფი სამხრეთ კავკასიაში: პირველი, ინტერესები ენერგეტიკის სფეროში, რაც სტრატეგიულად ჩაითვალა; მეორე, უფრო ტრადიციული ინტერესები უსაფრთხოების საკითხებში, მაგალითად, ტერორიზმთან ბრძოლა, სამხედრო კონფლიქტის პრევენცია და რეგიონში არსებული სამი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა; და მესამე, ამ სახელმწიფოების დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმები, მათი სტაბილურობისა და ლეგიტიმურობის უზრუნველსაყოფად.⁷⁹

საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობის ისტორია, რომელიც 1992 წელს, მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით დაიწყო, შეიძლება რამდენიმე ეტაპად დაიყოს; კერძოდ, იმის მიხედვით, თუ რა ძალისხმევა გასწია ამერიკამ ამ პოლიტიკური ამოცანების განსახორციელებლად საქართველოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით. პირველ პერიოდში, რომელიც 1992-1995 წლებს მოიცავდა, აშშ სერიოზულად არ ჩართულა ამ სამი მიზნიდან რომელიმეს მისაღწევად. 1993-1994 წლებში, ნავთობის საკითხზე ხელმოწერილმა რიგმა ხელშეკრულებებმა დასავლურ (ამერიკულის ჩათვლით) კომპანიებსა და ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებებს შორის წამოჭრა საკითხი, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ამ ნავთობის

⁷⁹ იხ. ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანამემწის მეთიუ ბრაიზას ინტერვიუ, "Caucasus: U.S. Says Aliyev, Kocharian Must Show 'Political Will,'" Radio Free Europe/Radio Liberty, 23 June 2006, <http://www.rferl.org/articleprintview/1069418.html> (accessed on 27 July 2009). See also Jim Nichol, "Armenia, Azerbaijan and Georgia: Political Developments and Implications for U.S. Interests," CRS Report for Congress, Congressional Research Service, 13 August, 2008, pp. 2-5. On the history of US-Georgian relations see Svante E. Cornell, *Small Nations and Great Powers. A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus*, Curzon, Richmond, Surrey, 2001; Fiona Hill, "A Not-So-Grand Strategy: U.S. Policy in the Caucasus and Central Asia since 1991," an English translation of an article of *Politique étrangère*, on the website of the Brookings Institute http://www.brookings.edu/articles/2001/02foreignpolicy_hill.aspx?p=1 (accessed on 28 July 2009).

ტრანსპორტირება მსოფლიო ბაზრებზე. აღნიშნულს მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკის ენერგეტიკული პოლიტიკის უსაფრთხოების თვალსაზრისით. ენერგეტიკული უსაფრთხოება ძირითადი მოტივი იყო, იმისა, რომ მეორე პერიოდში, რომელიც 1995–2001 წლებს მოიცავდა, აშშ საქართველოთი უფრო მეტად დაინტერესდა. აშშ-ის მიერ საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მხარდაჭერა, ნაწილობრივ, ნატო–ს თანამშრომლობის ჩარჩოს დახმარებით განხორციელდა, რაც ასევე, ქვემოთ იქნება განხილული. ამასობაში, აშშ-ის ბრძოლამ ტერორიზმის წინააღმდეგ, ამერიკის უსაფრთხოების ინტერესები საქართველოს მიმართ ახლებურად განსაზღვრა. ვაშინგტონის ზრუნვამ საქართველოს პოლიტიკურ სტაბილურობაზე გამოიწვია ის, რომ ამერიკამ უფრო მეტი ვალდებულება აიღო თავის თავზე სამხედრო რეფორმის სფეროში.

ერთი შენიშვნა: ის ფაქტი, რომ როგორც აშშ-ის, ისე ნატო–ს პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით, განხილულია ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის კონტექსტში, არ გულისხმობს იმას, რომ მათი პოლიტიკა იდენტურია. საქართველოს არ მიენიჭა გაწვერიანების სამოქმედო გეგმა ბუქარესტის შეხვედრაზე, 2008 წლის აპრილში. პირიქით, აღნიშნულმა მკაფიოდ დაადასტურა, რომ ნატო–ს წევრებს შორის რამდენიმე ძირეული პოლიტიკური სხვაობა არსებობდა. ნატოს პოლიტიკის წინამდებარე ნაწილში განხილვის საფუძველი არის ის, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია ამერიკის პოლიტიკის ძირითადი საკითხი იყო, მეორე და განსაკუთრებით მესამე განსახილველ პერიოდში, რომელიც 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტით დამთავრდა.

1992-1995: აშშ-ს საქართველოში სერიოზული ინტერესები არ აქვს

1991 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირის დაშლამ საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში მოაქცია, რაც შიდა არეულობის შედეგი იყო. აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება 1992 წლის აპრილამდე გადაიდო⁸⁰ – საქართველოს პირველი არჩეული პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ძალადობრივი გზით შეცვლისა და თბილისში საქართველოს ყოფილი ლიდერის, ედუარდ შევარდნაძის, ჩამოსვლის შემდგომი პერიოდისათვის. იმ დროს ამერიკის ყურადღება რუსეთზე იყო ორიენტირებული; ამ პოლიტიკას შემდგომში ეწოდა: „პირველ რიგში რუსეთი.“ ისეთი საკითხები, როგორებიც არის ყოფილი საბჭოთა ბირთვული არსენალის განადგურება ბელორუსში, უკრაინასა და ყაზახეთში და ყოფილი საბჭოთა სამხედრო ძალების გამოყვანა ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული ამერიკის უსაფრთხოების ინტერესებისათვის, ვიდრე შიდა არეულობა საქართველოში.

⁸⁰ იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი <http://www.mfa.gov.ge> (accessed on 24 August 2009).

აღსანიშნავია, რომ ედუარდ შევარდნაძეს ჰქონდა ამერიკის მხარდაჭერა, იმისათვის, რომ მიეღწია ეთნიკური და სამოქალაქო კონფლიქტების შედეგად დანაწევრებული სახელმწიფოს სტაბილიზაციისათვის. სახელმწიფო მდივანი, ჯეიმს ბეიკერი საქართველოს 1992 წლის მაისში ეწვია.⁸¹ ახალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობისათვის აშშ-ის მიერ ამ პერიოდში შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები მხარს უჭერდა მათს დამოუკიდებლობას, საბაზრო ეკონომიკასა და დემოკრატიაზე გადასვლას, ასევე, რეგიონულ თანამშრომლობას.⁸² აფხაზეთში საქართველოს წარუმატებელი სამხედრო ქმედების შემდეგ, პრეზიდენტმა კლინტონმა დაარწმუნა ბატონი შევარდნაძე, რომ აშშ მხარს უჭერდა მის ხელმძღვანელობას და დაიცავდა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს.

რაც შეეხება აფხაზეთსა და ოსეთს, სამშვიდობო საკითხებში რუსეთს დომინანტისა და შუამავლის მანდატი მიენიჭა, მიუხედავად მისი, როგორც მეზობელი ქვეყნის, ინტერესებისა.

1992 წლის 24 ივლისს, „ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პრინციპების შესახებ“ სოჭის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ძალები განლაგდა, სადაც შედიოდა რუსული, ქართული და ოსური დანაყოფები. ისევე, როგორც გაერო-მ აფხაზეთის შემთხვევაში, ეუთო-მ (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიამ) როგორც ქართულ-ოსურ კონფლიქტში შუამავალმა, მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას; ეუთო-ს მისიას, რომელიც 1992 წლის დეკემბერში დაარსდა თბილისში, მოგვიანებით, „მისია საქართველოში“ (დაწვრილებითი ინფორმაცია იხ. მე-2 თავში „კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. სამშვიდობო ძალისხმევა 1991-2008“) ეწოდა. 1993 წლის აგვისტოში, გაერო-მ დააარსა სადამკვირვებლო მისია საქართველოში (UNOMIG), რომლის მიზანი იყო წინა თვეში მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების მონიტორინგი. მოლაპარაკებები აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ დაევალა გაერო-ს, რუსეთთან, როგორც შუამავალთან, ერთად. გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1994 წლის იანვრის 896-ე რეზოლუციით მკაფიოდ იყო დადგენილი, რომ აფხაზეთის სტატუსი უნდა განსაზღვრულიყო „საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის“ დაცვით.

⁸¹ Norman Kempster, “In a Show of Support, Baker Visits Shevardnadze,” Los Angeles Times, 26 May 1992.

⁸² Elizabeth Sherwood-Rendall, “U.S. Policy and the Caucasus,” in: Contemporary Caucasus Newsletter, Issue 5, Spring 1998, p.3.

1990-იანი წლების დასაწყისში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მომავალ სტატუსთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციას, აშშ-სა და ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებს საერთო პოზიცია ჰქონდათ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვის საკითხში. ისინი იზიარებდნენ თვალსაზრისს, რომ იმ რესპუბლიკებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოიშვა, ეს პრინციპი აუცილებელი იყო სტაბილურობის შესანარჩუნებლად.⁸³ მათ უარყვეს მოსაზრება, რომ ახალი, საერთაშორისო საზღვრები შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ძალის გამოყენების შედეგად. ჰელსინკის საბოლოო აქტის თანახმად, საერთაშორისო საზღვრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ სეპარატისტული კონფლიქტში მონაწილე მთავრობების ან მხარეების ერთობლივი თანხმობით. იმ დროს, როდესაც გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები დასავლეთიდან, სერიოზულად იყვნენ შეშფოთებულნი ბალკანეთში არსებული ვითარებით, რუსეთი საკუთარ საზღვრებში აღმოჩნდა არასტაბილურობის წინაშე, რუსეთის ფედერაციაში შემავალი თათარსტანიდან და ჩეჩნეთიდან შექმნილი სეპარატიზმის საფრთხის ჩათვლით. მისი აზრით, ჩრდილო და სამხრეთ კავკასია უსაფრთხოების თვალსაზრისით ერთ ერთეულს წარმოადგენდა. ამდენად, სამხრეთში შექმნილი დესტაბილიზაცია სავალალო გავლენას იქონიებდა პოლიტიკურ ვითარებაზე ჩრდილო კავკასიაში.

ამერიკის მთავრობა, ისევე, როგორც დასავლეთის სხვა მთავრობები, არ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის დომინანტურ სამშვიდობო როლს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებისათვის მისაღები იყო ასეთი შეთანხმება, ამავდროულად ის ფაქტიც, რომ კავკასიის რეგიონში სასიცოცხლო გეოსტრატეგიული ინტერესები არ იყო დაცული, როგორც ჩანს, ამგვარი დამოკიდებულების მთავარი მიზეზებს წარმოადგენდა. ვაშინგტონი არ იზიარებდა მოსკოვის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ სამხრეთ კავკასია, პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთის „ახლო საზღვარგარეთის“ ნაწილი იყო; მაგრამ იგი დარწმუნებული იყო, რომ მათ, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის საფუძველზე, სტაბილურობის შენარჩუნების საერთო ინტერესი ჰქონდათ. 1990-იანი წლების ამერიკის ადმინისტრაციის თვალსაზრისით, რუსეთის ჩართულობას შეეძლო გაეზარდა გაერო-სა და ეუთო-ს მიერ განხორციელებული საშუამავლო ძალისხმევის ეფექტიანობა. რუსეთი განსაკუთრებულად კარგად იცნობდა ადგილობრივ პოლიტიკურ ვითარებას და ძლიერი ბერკეტები გააჩნდა ყველა მხარეზე ზემოქმედებისათვის. რუსეთმა ხაზგასმით აღნიშნა თავის მზადყოფნა, ეთანამშრომლა სხვა ქვეყნებთან. უფრო მეტიც, მან გამოიყენა დსთ-ის ფორმატი აფხაზეთში თავისი სამშვიდობო ოპერაციების განსახორციელებლად,

⁸³ On the legal principles underpinning the international recognition policies, see Chapter 3 “Related Legal Issues.”

რათა ხაზი გაესვა რეგიონული ორგანიზაციების მნიშვნელობისათვის ამგვარი კონფლიქტების მოგვარებაში.

სამუშაოს ამგვარი განაწილება რუს სამშვიდობოებსა და უსაფრთხოების საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებს შორის დროებით გადაწყვეტილებად ითვლებოდა, რომელსაც ეუთო-სა და გაერო-სთან შეთანხმების თანახმად, ნიადაგი უნდა მოემზადებინა კონფლიქტის მოსაგვარებლად. შესაძლებლობა იმისა, რომ ეს ძალისხმევა შეიძლებოდა დაახლოებით 15 წლით გაყინულიყო, რომ საერთო პოზიციას შეიძლებოდა საფუძველი გამოცლოდა, და განსაკუთრებით ის, რომ რუსეთს შეიძლებოდა პოზიცია შეეცვალა ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, არ იყო სათანადოდ გათვალისწინებული.

1993 წლის დეკემბერში, საქართველოს მეგობართა ჯგუფის შექმნა გაერო-ს გენერალური მდივნის მხარდასაჭერად, ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო პროცესში გარკვეული დამაბულობის მაჩვენებელი იყო დასავლეთის მთავრობებსა და რუსეთს შორის. ჯგუფის წევრები დასავლეთიდან თვლიდნენ, რომ მათ უნდა გაეწონასწორებინათ რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ხელისუფლებისათვის გაწეული მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის მტკიცე მხარდაჭერით. მაგრამ ზოგადად, კლინტონის ადმინისტრაცია ინარჩუნებდა დადებით პოზიციას რუსეთის უსაფრთხოების ფუნქციასთან დაკავშირებით, სამხრეთ საზღვრებზე. 1994 წლის იანვარში, მოსკოვში ვიზიტის დროს პრეზიდენტმა კლინტონმა რუსეთის პოტენციური სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად შეადარა ამერიკის პოლიტიკას პანამასა და გრენადაში.⁸⁴

1995-2001: ენერგოუსაფრთხოება და სამხედრო თანამშრომლობა

1994 წლის სექტემბერში, ნავთობის დასავლური კომპანიებისა და აზერბაიჯანის მიერ „საუკუნის ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერამ გამოიწვია ამერიკის პოლიტიკის რეორიენტაცია რეგიონში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) პროექტი - ძირითადი ნავთობსადენი, რომლითაც უნდა განხორციელებულიყო ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან თურქეთის ნავსადგურ ჯეიჰანში - ამ ენერგოსტრატეგიის სიმბოლო გახდა.

ამერიკის ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკა, როგორც ჩანს, საქართველოსთვის სარგებლობის მომტანი უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით. თბილისს სურდა, დაემლია ვაშინგტონისა და სხვა დასავლური სახელმწიფოების აშკარა

⁸⁴ Carolyn McGiffert Ekedahl and Melvin A. Goodman, *The Wars of Eduard Shevardnadze*, London, Hurst & Company, 1997, p. 277.

ინდიფერენტულობა საქართველოს საშინაო პრობლემების მიმართ, საკუთარი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაზრდით. ამის მიღწევა ნაწილობრივ შესაძლებელი იყო, თუ საქართველო გახდებოდა მაკავშირებელი ხიდი ევროპასა და აზიას შორის და ნავთობის ტრანსპორტის სატრანზიტო ქვეყანა, ამერიკის ენერგოუსაფრთხოების ინტერესების შესაბამისად.

ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მალე აშკარა გახდა, რომ ენერგოუსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში უნდა განმტკიცებულიყო პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმებით და იმ განსხვავებული ეთნიკური კონფლიქტების მართვით, რომლებიც რეგიონის დაყოფას იწვევდა. აღნიშნულის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა კლინტონის მეორე ადმინისტრაციის პერიოდში. 1997 წლის ივლისში, სახელმწიფო მდივნის მოადგილემ სტროუბ ტელბოტმა განაცხადა, რომ კონფლიქტის მოგვარება სამხრეთ კავკასიაში „უნდა იყოს ამერიკის პოლიტიკის პრიორიტეტული საკითხი რეგიონში.“⁸⁵

ამერიკის მხარდაჭერა საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში ძირითადად, კონცენტრირებული იყო სამხედრო რეფორმებზე. ეს არ იყო მხოლოდ ორმხრივი მხარდაჭერა. იგი, ასევე, მოიაზრებოდა უფრო ფართო სამხედრო თანამშრომლობის ჩარჩოში, რომელიც შექმნილი იყო ნატო-ს პროექტით „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ (PfP). 1994 წლის მარტში, საქართველომ ხელი მოაწერა პროექტის – „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ (PfP) ჩარჩო-დოკუმენტს.⁸⁶ იგი, ასევე, მონაწილეობდა ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში (EAPC), რომელიც 1997 წლის მაისში შეიქმნა ნატოს მიერ, პროექტის – „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ (PfP) თანამშრომლობის გასაძლიერებლად.

ამ მონაწილეობამ საქართველოს შესაძლებლობა მისცა, საკუთარი მოუგვარებელი სეპარატისტული კონფლიქტებისა და რუსეთთან პრობლემური ურთიერთობის საკითხები დასავლეთის უსაფრთხოების დღის წესრიგში შეეტანა. საქართველოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ნატო-ს გაფართოების პოლიტიკის მოთხოვნა იყო მისი შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება, რაც გაცხადდა ამ ორგანიზაციის 1995 წლის კვლევაში, ნატო-ს გაფართოების საკითხებზე: „სახელმწიფოებმა, რომლებსაც აქვთ ეთნიკური ან საგარეო ტერიტორიული დავები, მათ შორის – ირედენტისტული პრეტენზიები, ან შიდა იურისდიქციული დავები, უნდა მოაგვარონ ეს დავები

⁸⁵ “A Farewell to Flashman: American Policy in the Caucasus and Central Asia,” an Address by Deputy Secretary of State Strobe Talbott at the Johns Hopkins School of Advanced International Studies, 21 July, 1997.

⁸⁶ On Georgia’s relationship with NATO see the paper on Georgia written by Marta Jaroszewicz in “NATO’s New Role in the NIS Area, Interim Project Report: NATO and its Partners in Eastern Europe and the Southern Caucasus,” Warsaw, Osrodek Studiow Wschodnich, Centre for Eastern Studies, December 2003, pp. 42-46.

მშვიდობიანი საშუალებებით, ეუთო-ს პრინციპების შესაბამისად. ამგვარი დავების მოგვარება განმსაზღვრელი ფაქტორი იქნებოდა, იმისთვის, მიეწვიათ თუ არა სახელმწიფო ალიანსში გასაერთიანებლად.⁸⁷

ნატო არ იყო და არც გეგმავდა ჩაბმულიყო საქართველოს სამინაო კონფლიქტების მოგვარებაში. მაგრამ ის ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, რომ საქართველოს მთავრობას არათუ უნდოდა მისი ჩაბმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში, არამედ იგი ასევე, ცდილობდა, თავისი მონაწილეობა ნატოს საქმიანობაში პირდაპირ დაეკავშირებინა ამ კონფლიქტის მოგვარებასთან. 1995 წელს, საქართველომ მხარი დაუჭირა ნატო-ს სამხედრო კამპანიას ბოსნიაში; ის ამ კამპანიას იმ მოდელად თვლიდა, რომელიც აფხაზეთში უნდა გამოყენებულიყო. პრეზიდენტმა შევარდნაძემ პარალელი გაავლო ბოსნიელი სერბებისა და აფხაზების მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდის კამპანიებს შორის.⁸⁸ ძალის გამოყენებით, სახელმწიფოს გაერთიანების ბოსნიის მოდელი განსაკუთრებით მიმზიდველი იყო საქართველოს ხელისუფლებისათვის. ეს იყო მოდელი, რომელიც საშუალებას აძლევდა ედუარდ შევარდნაძეს, ესაუბრა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მისთვის პრინციპულ უპირატესობაზე, რაც უკიდურეს შემთხვევაში, ძალის გამოყენებას არ გამოირიცხავდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს მოდელი გულისხმობდა არა ცალმხრივ ჰუმანიტარულ ჩარევას ცენტრალური ხელისუფლების ნების გარეშე, არამედ სამხედრო ოპერაციას, რომელმაც ზუსტად განსაზღვრული მანდატი მიიღო გაერო-ს უშიშროების საბჭოსგან.

ედუარდ შევარდნაძეს, ასევე, უნდოდა ნათლად გამოეხატა, რომ დასავლეთის მიერ ეთნიკური წმენდის ან სეპარატიზმის ნებისმიერი სახით დაშვება მიუღებელი იყო. მისი მთავარი საზრუნავი იყო წინა პლანზე წამოეწია საქართველოს ინტერესები დასავლეთის და განსაკუთრებით, ნატოს უსაფრთხოების გეგმებში. მაგრამ მან ვერ შეძლო საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნება, მიჰყოლოდა მის კურსს. ამერიკის ადმინისტრაციამ ღიად უარყო ბოსნიის მაგვარი სამშვიდობო ოპერაციის გამოყენების შესაძლებლობა აფხაზეთში.⁸⁹ თბილისის მოწოდებამ, აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ, უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართულ-რუსულ ურთიერთობაზე: ბოსნიის მოდელის გამოყენებამ პირდაპირ დააკავშირა საქართველოს ნატოში ინტეგრაცია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხთან

⁸⁷ See point 6 in Chapter 1: “Purposes and Principles of Enlargement, Study on NATO Enlargement,” September 1995, <http://www.nato.int/docu/basicxt/enl-9502.htm> (accessed on 28 August 2009).

⁸⁸ See Tim Potier, *Conflict in Nagorno-Karabakh, Abkhazia and South Ossetia. A Legal Appraisal*, Kluwer Law International, The Hague, 2001, pp. 114, 123.

⁸⁹ The US Special Envoy to the Newly Independent States, Stephen Sestanovich, said that he did not believe it was appropriate to resolve the Abkhaz conflict through a Bosnia-style operation. RadioFree Europe/RadioLiberty, Newsline, 4 June, 1998.

რამაც, როგორც ჩანს, გააძლიერა რუსეთის უნდობლობა საქართველო-ამერიკისა და საქართველო-ნატოს შორის არსებული ურთიერთობის მიმართ.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა შევარდნაძემ პოლიტიკური მხარდაჭერა გაუწია ნატო-ს სამხედრო ინტერვენციას კოსოვოში 1999 წლის აპრილში. როგორც კოსოვოში, ისე აფხაზეთში, ეთნიკური წმენდა წარმოადგენდა მხოლოდ მიზეზს ძალის გამოსაყენებლად, რაც შევარდნაძემ უფრო მნიშვნელოვნად ჩათვალა, ვიდრე ის, რომ ნატო-ს სამხედრო ოპერაცია კოსოვოში არ იცავდა სერბიის ტერიტორიულ მთლიანობას.

თუმცა, ის ფაქტი, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭომ არ გასცა თანხმობა სერბიის წინააღმდეგ ნატო-ს სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად, თავისთავად პრობლემას წარმოადგენდა. ედუარდ შევარდნაძემ დაუშვა, რომ კონკრეტულად, აფხაზეთის შემთხვევაში რუსეთს, როგორც ვეტოს უფლების მქონე ქვეყანას გაერო-ს უშიშროების საბჭოში, მხარი უნდა დაეჭირა ამგვარი ოპერაციისთვის. რუსეთის მხარდაჭერის გარეშე, ამგვარი სახის ინტერვენცია აფხაზეთში წარმოშობდა ახალ საერთაშორისო კონფლიქტს, რომელის სურვილიც ნატო-ს წევრებს არ ექნებოდათ. ამდენად, მან გამოიჩინა წინდახედულება და უარყო ცალმხრივი ქმედების აუცილებლობა.

არსებობს ალბათობა, რომ 1990-იანი წლების დასასრულისთვის, მოსკოვმა თავი უფრო მარგინალურად იგრძნო ევროპის უსაფრთხოების სტრუქტურებში. როგორც ჩანს, ეს იყო ნატოს აღმოსავლეთისკენ ეტაპობრივი გაფართოებისა და დსთ-ის რამდენიმე ქვეყანასთან პროექტის – „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ფარგლებში მისი სამხედრო თანამშრომლობის შედეგი. რუსეთის ზოგიერთი ოფიციალური პირი იქამდეც მივიდა, რომ ეჭვი გამოთქვა, თითქოს დასავლეთის ქვეყნებს ჩრდილო კავკასიის რუსეთისგან გამოყოფა სურდათ.

სისუსტე უსაფრთხოების სექტორში ჩეჩნეთის მეორე შეიარაღებული კონფლიქტის დროს გამოაშკარავდა, რომელიც 1999 წლის დეკემბერში დაიწყო და სერიოზული გავლენა იქონია მეზობელ საქართველოზე. რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მდებარე პანკისის ხეობამ – ძირითადად, ჩეჩნეთის მონათესავე ქისტებით დასახლებულმა რეგიონმა დიდი რაოდენობით ჩეჩენი ლტოლვილები (დაახლოებით 7000 პირი პირველი თვეების განმავლობაში) და ჩეჩენი მებრძოლები მიიღო⁹⁰ ტერიტორია არ ექვემდებარებოდა ეფექტიან სახელმწიფო კონტროლს. საქართველოს მთავრობა შიშობდა, რომ ამ რეგიონზე სახელმწიფო კონტროლის აღდგენის ნებისმიერი მცდელობა

⁹⁰ On the Pankisi crisis see Ghia Nodia, “Georgia: Dimensions of Insecurity,” in Coppieters and Legvold (eds), *Statehood and Security*, op. cit, pp. 59-60 and Jaba Devdariani, “Georgia and Russia: The Troubled Road to Accommodation,” in *Ibid.*, pp. 178-187.

გამოიწვევდა პირდაპირ ჩათრევას ჩეჩნეთის ომში, მას კი ამის თავიდან აცილება სურდა. ამ შეზღუდვას მოყვა ბრალდებები რუსეთის მხრიდან იმის შესახებ, რომ თბილისი თავისივე სურვილით ტერორისტებს თავშესაფარს აძლევდა. საქართველოს სახელმწიფო კონტროლის არარსებობა პანკისის ხეობაზე დასავლეთის ქვეყნებში არსებულ შემფოთებასაც აღრმავებდა.

2001-2008: საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაძლიერება

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა ამერიკის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის რადიკალური რეორიენტაცია გამოიწვია, რამაც ასევე იქონია გავლენა აშშ-ის ურთიერთობაზე თბილისთან. საქართველო აშშ-ის მზარდი ყურადღების საგანი გახდა, ნაწილობრივ, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რომელსაც ზოგიერთი „უფრო ფართო ახლო აღმოსავლეთის“ ნაწილს უწოდებდა. საქართველო მნიშვნელოვანი გახდა, ასევე, როგორც სატრანზიტო ქვეყანა – ავღანეთის ომში მონაწილე ამერიკის სააჟირო სამხედრო ძალებისთვის. თუმცა, ამერიკა-საქართველოს პოლიტიკური კურსის ცვლილებაში როგორც ჩანს, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ვაშინგტონის მზარდი შემფოთება საქართველოს პოლიტიკურ არასტაბილურობასთან დაკავშირებით. პრეზიდენტი შევარდნაძე არ ახორციელებდა საჭირო პოლიტიკურ რეფორმებს, მათ შორის – თავდაცვისა და სასაზღვრო კონტროლის სფეროებში. საქართველოს მთავრობას არ გააჩნდა იმის უნარი, რომ პანკისის ხეობაში შექმნილი ვითარება ემართა. ამან გამოიწვია ის, რომ 2002 წლის მარტში, ამერიკამ დაიწყო საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა (Georgia Train and Equip Program - GTEP) – ქართული ჯარის წვრთნის მიზნით შექმნილი სამხედრო პროგრამა. ეს პროგრამა ძირითადი საფუძველი გახდა იმ პოლიტიკისა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს სახელმწიფოს მშენებლობა. პანკისის ხეობაში, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მომზადდა ერთი ქართული რაზმი.

ნატო–ს საქმიანობაში საქართველოს მონაწილეობის ერთ-ერთი მიზანი იყო თავისი უსაფრთხოების სექტორის რეფორმირება. მან მონაწილეობა მიიღო პროგრამის – „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ფარგლებში ჩატარებულ და ასევე, მთელ რიგ მსგავს ღონისძიებებსა და სწავლებებში; აგრეთვე, KFOR–ში (კოსოვოს ძალები) – ნატო–ს ხელმძღვანელობით მიმდინარე კოსოვოს სამშვიდობო მისიაში. 2002 წლის ნოემბერში, ნატო–ს სამიტზე პრატაში, საქართველომ გაწვევრიანებაზე ოფიციალური განაცხადი შეიტანა.⁹¹ 2003 წელს, ედუარდ შევარდნაძის საპრეზიდენტო მმართველობის უკანასკნელ წელს, საქართველოს ამოცანები, ნატო–ში მის ინტეგრაციასთან დაკავშირებით, შეიძლება შემდეგი სახით აღვწეროთ: პირველი, მისი

⁹¹ See “NATO’s New Role in the NIS Area,” op. cit., p. 43.

სახელმწიფოებრიობის გაძლიერება ეფექტიანი უსაფრთხოების ძალების შექმნით. მეორე, მისი საერთაშორისო პოზიციის გაძლიერება; მესამე, მისი პოზიციის გაძლიერება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკებებში. საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ნატო-რუსეთის ურთიერთობის დადებით განვითარებას მოჰყვებოდა დასავლეთის ქვეყნების უფრო სერიოზული ჩართულობა სეპარატისტულ კონფლიქტებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში და მათი მონაწილეობა სამშვიდობო ძალებში.

თუმცა, ნატო-ს ჩართულობა საქართველოს სეპარატისტული კონფლიქტების მოგვარებაში, არ იყო გათვალისწინებული ნატო-ს ან ამერიკის პოლიტიკური მიმართულებების მიხედვით. აშშ და ნატო-ს წევრი სხვა ქვეყნები გაცილებით მეტად იყვნენ დაინტერესებულნი საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაძლიერებით. საქართველოს თავდაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემები მოიცავდა: დემოკრატიული კონტროლის ნაკლებობა შეიარაღებულ ძალებზე; ერთ-ერთი ყველაზე მცირე თავდაცვის ბიუჯეტი პოსტ-საბჭოთა სივრცეში; უსაფრთხოების სტრატეგიის, სამხედრო დოქტრინისა და დაგეგმვის არარსებობა; საგარეო სამხედრო დახმარების არაადეკვატური გამოყენება; არასაკმარისი ზედამხედველობა სხვადასხვა სამხედრო ინსტიტუციებზე.⁹²

2003 წლის სექტემბერში, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ გამოამჟღავნა მზარდი წინააღმდეგობა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარების მიმართ, ამერიკამ საქართველოსთვის დახმარების შემცირების შესახებ განაცხადა, რითაც დაადასტურა საკუთარი იმედგაცრუება.⁹³ ამ კრიტიკამ, რომელსაც დასავლეთის სხვა მთავრობებიც იზიარებდნენ, საქართველოს შიდა ოპოზიცია გააძლიერა.

აშშ-სთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუციის შემდეგ. ახალმა მთავრობამ მტკიცედ შეუტია ქართულ არარეგულარულ სამხედრო ძალებს, რომლებიც შედიოდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე გალის რაიონში საქართველოს მხრიდან და რომელთა ქმედებების მოთმენა შეუძლებელი იყო ტერორიზმის წინააღმდეგ საყოველთაო ბრძოლის ფონზე. ამერიკის მხრიდან სრული მხარდაჭერა მიიღო, ასევე, ბრძოლამ კორუფციის წინააღმდეგ; ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ და სამხედრო რეფორმამ, რაც ძირითადად, ნაკარნახევი იყო ამერიკის შიშით, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, არ შედგებოდა. ამერიკის მხარდაჭერას სააკაშვილის მთავრობისადმი, როგორც ჩანს, დამატებითი, უპირატესად, იდეოლოგიური ხასიათის მოტივებიც ჰქონდა. საქართველო გახდა „რეჟიმის

⁹² Ibid., p. 44.

⁹³ See Dov Lynch, “Why Georgia Matters,” Chaillot Paper No. 86, February 2006, p. 22.

ცვლილებების“ თვალსაჩინო მაგალითი რეგიონში. 2005 წლის 10 მაისს, პრეზიდენტმა ბუშმა, თავისი ოფიციალური ვიზიტის დროს თბილისში, საქართველოს „თავისუფლების შუქურა“ უწოდა. ამერიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოს მიმართვა „ექსავით გაისმის მსოფლიოში – თავისუფლება იქნება ყველა ერისა და ყველა ადამიანის მომავალი დედამიწაზე.“⁹⁴

ამერიკამ პოლიტიკური მხარდაჭერა გაუწია საქართველოს პროაქტიურ პოლიტიკას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. 2004 წლის შუა პერიოდში, მან საქართველოში ეუთო-ს მისიას მანდატის გაფართოებისკენ მოუწოდა. 2005 წლის მაისში, ამერიკის ელჩმა საქართველოში განაცხადა, რომ უნდა ეპოვათ ორივე კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზა, თუმცა, „სტატუს-ქვო არ უნდა ყოფილიყო შენარჩუნებული.“⁹⁵

2005 წელს, ამერიკამ დაიწყო სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამა (Sustainment and Stability Operation Program - SSOP), რომელიც 2002 წლის საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამას (GTEP) მოჰყვა. ამ პროგრამამ მოამზადა საქართველოს სამხედრო ძალები ერაყში ოპერაციებისთვის. სათანადოდ აღიჭურვა მსუბუქი ქვეითი ჯარი.⁹⁶ სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის გაგრძელება 2006 წლის ივლისსა და 2007 წლის ივლისში განხორციელდა.

2004 წლის ბოლოს, საქართველომ გააფორმა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (Individual Partnership Action Plan – IPAP) ნატოსთან, რომელიც საშუალებას აძლევდა ალიანსს, მეტი დახმარება გაეწია თავდაცვის ინსტიტუციურ და პოლიტიკურ რეფორმებში. აშშ-ში პრეზიდენტ ბუშმა განაცხადა: „მჯერა, რომ ნატო-სთვის სასარგებლო იქნება, თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება. ვფიქრობ, ეს საქართველოსთვის ასევე სასარგებლო იქნება.“⁹⁷ მან თავის საუბარში ასევე მოწონება გამოთქვა საქართველოს მიერ გაწვევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მიღებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ალიანსის ზოგიერთი წევრი სხვებთან შედარებით მეტად იყო დარწმუნებული საქართველოს შესაბამის წინსვლაში, 2006 წლის სექტემბერში წევრები შეთანხმდნენ, რომ საქართველოსთვის შეეთავაზებინათ „ინტენსიური დიალოგი;“ აღნიშნულის მიზანი იყო გააქტიურებული კონსულტაციების წარმოება, მიმდინარე

⁹⁴ Lynch, op. cit., p. 51.

⁹⁵ Quoted in Dov Lynch, op. cit., p. 53.

⁹⁶ Lynch, pp. 52-53.

⁹⁷ The White House “President Bush Welcomes President Saakashvili of Georgia to the White House,” <http://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2006/07/20060705-4.html> (accessed on 28 August 2009).

რეფორმების გატარებაში ქვეყნის დასახმარებლად და მისი ალიანსში გაწევრიანებისადმი მისწრაფების მხარდასაჭერად.

ნატოს იმ წევრებს, რომლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) შეთავაზებას, შესაძლოა, გააზრებული ჰქონდათ, რომ ეს შეიძლებოდა აღქმული ყოფილიყო, როგორც საქართველოსთვის ნატო–ს წევრად მიღების პოლიტიკური ვალდებულება და უარყოფითად ემოქმედა მათს ურთიერთობაზე რუსეთთან.⁹⁸ ნატოს იმ წევრებმა, განსაკუთრებით კი, შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ საქართველოს ნატოში დაჩქარებულ შესვლას და მისი წევრობის პერსპექტივების გაუმჯობესებას, ხაზი გაუსვეს ნატო–ს გაფართოებისა და პარტნიორობის როლს სტაბილურობისა და უსაფრთხოების გავრცელების საკითხში, ახალი წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის პოლიტიკის დემოკრატიზაციისა და დემოკრატიულ ქვეყნებს შორის უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის შეთანხმებებზე ხელმოწერის გზით. როგორც ჩანს, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შემდგომი წევრობის პერსპექტივა, სრული წევრობის ჩათვლით, შეაკავებდა საქართველოს მხრიდან ძალის გამოყენების ნებისმიერ სურვილს მისი შიდა კონფლიქტების მოსაგვარებლად, ვინაიდან ეს დამღუპველ გავლენას მოახდენდა ნატოში გაწევრიანების პერსპექტივაზე.

დებატების პროცესში წამოყენებული ერთ-ერთი არგუმენტის მიხედვით, რაც უკავშირდებოდა ნატო–ს პოლიტიკას საქართველოს მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივები დამოკიდებული იყო მის ძალისხმევაზე მიეღწია კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის, ეს არ ნიშნავდა, რომ წევრობა აუცილებლად საბოლოო მოგვარებაზე იყო დამოკიდებული. ასეთი პირდაპირი კავშირი ნატო–საქართველოს ურთიერთობას მთლიანად დამოკიდებულს გახდიდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხების მოგვარებაზე და საბოლოოდ, რუსეთის პოლიტიკაზე რეგიონში. ეს კი, თავის მხრივ, გარე ძალისთვის – რუსეთისთვის – ნატო–ს გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების ტოლფასი იქნებოდა.

ნატო–ს პოზიტიური ინიციატივები, რაც ტრანსფორმაციის ფუნქციას ასრულებდა საქართველოს დემოკრატიზაციაში. ნეიტრალდებოდა საქართველოს შიდა კონფლიქტებისთვის ნეგატიური შედეგებით, რაც წინასწარ არ იყო განზრახული; ეს განსაკუთრებით ეხებოდა უსაფრთხოების დონეს. ნატო–ს შიდა-სახელმწიფოებრივ

⁹⁸ On the debate on Georgia's integration into NATO see the various contributions and particularly the presentations of Jan Henrik Van Thiel and James Mackey in "Georgian NATO Accession and Potential Impacts on the Georgian-Abkhaz Peace Process," Istanbul, Turkey, 14-15 June 2007, 14th Conference in the Series Aspects of the Georgian-Abkhaz Conflict, Heinrich Böll Stiftung and University of California, Irvine, http://georgien.boell-net.de/downloads/Georgian_NATO_Accession_ENG.pdf (accessed on 28 August 2009).

კონფლიქტებში სამხედრო ინტერვენციის დიდი გამოცდილება აქვს, რამაც გააძლიერა ექვი მოსკოვში, ასევე შიში სოხუმსა და ცხინვალში, რომ მომავალში, ნატო სეპარატისტული რეგიონების საქმეებში ჩაეროდა. ამერიკის ადმინისტრაციას მძლავრი დიპლომატიური ძალისხმევა დასჭირდა რუსეთის დასარწმუნებლად, რომ საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია არ ეწინააღმდეგებოდა მის უსაფრთხოების ინტერესებს. მან, ასევე, მხარი დაუჭირა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დელეგაციების ვიზიტს ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში, სადაც ისინი მიიღებდნენ პირველად ინფორმაციას ნატოს პოლიტიკის შესახებ.⁹⁹

აფხაზეთის ლიდერებმა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია ორაზროვნად აღიქვეს - ერთი მხრივ, ეს ინტეგრაცია გააუმჯობესებდა საქართველოს სამხედრო პოტენციალს და ამდენად, აფხაზეთის ძალის გამოყენებით დაბრუნების საფრთხეს. ის შექმნიდა ახალ ბარიერებს აფხაზეთის საერთაშორისო აღიარებისთვის. ის, ასევე, გამოიწვევდა რუსეთის როლის მარგინალიზაციას სამხრეთ კავკასიაში და აფხაზეთის სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციას.¹⁰⁰ მეორე მხრივ, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციას პირდაპირი გავლენა ექნებოდა რუსეთის ინტერესებზე რეგიონში. ადრეულ ეტაპზე სოხუმი თვლიდა, რომ რუსეთის მონაწილეობას ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში განსაზღვრავდა მისი სტრატეგიული ინტერესები, რომლებიც აფხაზეთის ინტერესებისაგან განსხვავებული იყო. ის თვლიდა, რომ მათი რეჟიმის მხარდაჭერას რუსეთის მხრიდან ტაქტიკური გათვლები განაპირობებდა, რაც შესაძლებელია ერთ დღეს, აფხაზეთის დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ შემობრუნებულიყო. მაგრამ აფხაზეთის ხელმძღვანელობის აზრით, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია რუსეთისა და აფხაზეთის ტაქტიკურ ალიანსს თანდათანობით სტრატეგიულად გარდაქმნიდა, რასაც მოჰყვებოდა რუსეთის უფრო მყარი უსაფრთხოების გარანტიები აფხაზეთის დე-ფაქტო დამოუკიდებლობისთვის.¹⁰¹

საქართველოს ინტეგრაციას ნატო-ში განაპირობებდა მისი შემდგომი სვლა დემოკრატიზაციისკენ. პოლიტიკურმა კრიზისმა საქართველოში, რომელიც 2007 წლის შემოდგომაზე, მთავრობასა და ოპოზიციას შორის კონფრონტაციით დაიწყო, ასევე, პოლიციის სპეცრაზმების სასტიკმა შეტევებმა დემონსტრანტებზე და ოპოზიციური მედიის დახურვამ, ნატოს ზოგიერთ წევრში გააძლიერა სკეპტიციზმი, იყო თუ არა მიზანშეწონილი საქართველოს მიწვევა გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP) მონაწილეობის მისაღებად ნატო-ს მომავალ სამიტზე ბუქრესტში, 2008 წლის აპრილში. თუმცა, ნატო-ს სხვა წევრები აღიარებდნენ, რომ თბილისმა დიდი ძალისხმევა გასწია

⁹⁹ Ibid., p. 31.

¹⁰⁰ See Viacheslav Chirikba, "Abkhazia, Georgia, Russia and NATO," in Ibid., p. 34.

¹⁰¹ Interviews in Sukhumi, July 2008.

ნატო–ში ინტეგრაციის მიზნით ამბიციური ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) შესრულების თვალსაზრისით. ამერიკის თვალთახედვიდან, საქართველო, 2000 ქვედანაყოფით ერაყის სამხედრო მოქმედებებში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილით, უკვე აღიქმებოდა „უსაფრთხოების მომხმარებლიდან“ „უსაფრთხოების მომწოდებლად“ გარდამავალ პროცესში მყოფ ქვეყანად. კიდევ ერთი მოტივაცია საქართველოსთვის და უკრაინისთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭების შესახებ ის იყო, რომ აშშ-ს არ უნდოდა, რუსეთთან და ნატო–ს აღმოსავლეთ ევროპის წევრებსა და პარტნიორებთან სისუსტე გამოემჟღავნებინა.¹⁰²

ამერიკის ადმინისტრაცია გრძნობდა კრიტიკას იმის თაობაზე, რომ საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში სერიოზული დარღვევები იყო, მაგრამ მან ნატო–ს სხვა წევრებისაგან განსხვავებული დასკვნები გააკეთა. მან ძლიერი შემფოთება გამოხატა მთავრობის მიმართ 2007 წლის შემოდგომაზე ოპოზიციისადმი განხორციელებულ ქმედებებზე და მოუწოდა საქართველოს მთავრობას, კვლავ გაეხსნა კერძო სატელევიზიო არხები.¹⁰³ თუმცა, ვაშინგტონის აზრით, საქართველოს დემოკრატიზაციას ყველაზე მეტად ნატო–ში ინტეგრაცია წაადგებოდა.

2008 წლამდე დაძაბულობა საქართველოსა და რუსეთს შორის მატულობდა. 2008 წლის იანვარში, დიმიტრი როგოზინმა, რუსეთის დესპანმა ნატო–რუსეთის-საბჭოში, განაცხადა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება გამოიწვევდა დესტაბილიზაციას კავკასიის რეგიონში.¹⁰⁴ რუსეთის სხვა ოფიციალური პირები გამოხატავდნენ მოსაზრებას, რომ ნატოს მიერ გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP) საქართველოს მონაწილეობის ხელშეწყობა, „გამოიწვევდა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას – ამ რეგიონებში რუსეთის სამხედრო დანაყოფების განთავსების მიზნით.“¹⁰⁵

2008 წლის 14 თებერვალს, ნატოს გენერალურმა მდივანმა, იააფ დე ჰოოფ სხეფერმა, მიიღო ოფიციალური თხოვნა პრეზიდენტ სააკაშვილისგან, მიეწვია საქართველო გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP) მონაწილეობის მისაღებად ნატო-ს მომავალ სამიტზე ბუქარესტში, 3 აპრილს.¹⁰⁶ ალიანსის ზოგიერთმა ევროპელმა წევრმა შემფოთება გამოთქვა აღნიშნულის შესახებ და განაცხადა, რომ საჭირო იყო უფრო მნიშვნელოვანი

¹⁰² See Stefan Wagstyl, Stephen Fidler, and Chrystia Freeland, “Enlargement to the East Divides Nato Nations, Financial Times, 25 January, 2008.

¹⁰³ Ambassador Arthur Hartman, “Democratic Governance in Georgia: Lost Promises and Missed Opportunities”, in Hug (ed.), Spotlight on Georgia, London, The Foreign Policy Centre, 2009, p. 88.

¹⁰⁴ Jim Nichol, “Georgia (Republic) and NATO Enlargement. Issues and Implications”, CRS Report for Congress, 7 March 2008, p. 4.

¹⁰⁵ Ibid., p. 5.

¹⁰⁶ Ibid., p. 2.

წინსვლა დემოკრატიზაციისკენ. 2008 წლის 19 მარტს, პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრაზე, ვაშინგტონში, პრეზიდენტმა ბუშმა თავისი მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს მიწვევაზე გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP).¹⁰⁷ საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭებას მხარს მტკიცედ უჭერდა არა მარტო ვაშინგტონი, არამედ საქართველოს ახალი მეგობრების ჯგუფი.¹⁰⁸

2008 წლის 6 მარტს, ნატო–ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ბრიუსელში, რამდენიმე ევროპელმა მონაწილემ გამოთქვა აზრი, რომ ფიქრობდნენ საქართველოსა და უკრაინისთვის წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭების გადავადებაზე. საქართველოს განაცხადი კიდევ უფრო საკამათო იყო, ვიდრე უკრაინის განაცხადი. წინააღმდეგობა გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიისა და ზოგიერთი სხვა მთავრობის მხრიდან, ძირითადად, დამყარებული იყო მათს შემფოთებაზე რუსეთთან ურთიერთობის გამო. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბერნარ კუმნერი დაჟინებით მოუწოდებდა ნატო–ს საბჭოს, რომ „მხედველობაში მიეღო რუსეთის სენსიტიურობა და ის მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ეს ქვეყანა ასრულებდა.“ მისი აზრით, რუსეთთან ურთიერთობა უკვე საკმაოდ დამაბული იყო კოსოვოსა და ასევე, ამერიკის გეგმების გამო განეთავსებინა სარაკეტო დაცვის სისტემები ცენტრალურ ევროპაში. საფრანგეთის მთავრობას, ასევე, მთლიანად ევროკავშირს, სჭირდებოდა რუსეთთან თანამშრომლობა. მსგავსი თვალსაზრისი გამოხატა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმაც, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა.¹⁰⁹ გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა, იმავე წლის 10 მარტს განაცხადა, რომ რეგიონულ ან შიდა კონფლიქტებში ჩართული ქვეყნები ალიანსის წევრები არ უნდა გამხდარიყვნენ.¹¹⁰

თბილისის აზრით, საქართველოს შესაძლოა პერიფერიულ ზონაში იმყოფებოდა ევროპის უსაფრთხოების საკითხებში, მაგრამ წარსულმა უკვე აჩვენა, რომ დიდი

¹⁰⁷ The White House. Transcripts: President Bush and President Saakashvili Meet in the White House, 19 March 2008, <http://georgia.usembassy.gov/tr-03192008.html> (accessed on 28 August 2009).

¹⁰⁸ See Vladimir Socor, Friends of Georgia Hold Strategy Session in Lithuania, Jamestown Eurasia Daily Monitor, September 17, 2007, Vol.4, Issue 171, http://www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews%5Btt_news%5D=33000 (accessed 28 August 2009).

¹⁰⁹ Vladimir Socor, Hard Debates at NATO on Georgian Membership Action Plan,” Jamestown Foundation, Eurasia Daily Monitor, vol.5, issue 46, March 11, 2008, http://www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews%5Btt_news%5D=33449 (accessed on 28 August 2009) ; Vladimir Socor, “Is NATO Facing a Russian Veto Through Franco-German Hands?”, Jamestown Foundation, Eurasia Daily Monitor, Vol.5, Issue 53, 20 March, 2008, http://www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews%5Btt_news%5D=33477 (accessed on 28 August 2009).

¹¹⁰ Socor, Germany Torpedoes Ukrainian, Georgian Membership Action Plans Ahead of NATO Meeting, Jamestown Foundation, Eurasia Daily Monitor, Vol.5, Issue 48, 13 March 2008, http://www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews%5Btt_news%5D=33458 (accessed on 28 August 2009).

სახელმწიფოების მიერ პატარა სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინების არარსებობა, მათივე ინტერესებისთვის იყო არასასურველი. ივლებოდა პარალელები მიმდინარე პოლიტიკასა (რუსეთის მიმართ მტკიცე, პრინციპული პოზიციის თავის არიდება) და დასავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკას შორის, მეორე მსოფლიო ომის წინ. საქართველოს ზომიერებისკენ მოწოდება დასავლეთის მიერ გატარებულ დაშოშმინების პოლიტიკას იქნა შედარებული, რომელსაც მიუნხენის 1938 წლის შეთანხმება და ჩეხოსლოვაკიის დანაწევრება მოჰყვა. დაშოშმინების პოლიტიკამ გამოიწვია ნაციზმის დიდი გამარჯვება და დასავლეთის მორალური დამარცხება. უფრო მეტიც, ის უძლური იყო შეეჩერებინა მეორე მსოფლიო ომის დაწყება. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ეს ისტორიული შედარება გამოიყენა Financial Times-თან ინტერვიუში 2008 წლის 30 მარტს, ბუქარესტში ჩატარებულ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე.¹¹¹

ნატო-ს სამიტზე ალიანსის წევრები შეთანხმდნენ, რომ საქართველო და უკრაინა ერთ დღეს შეუერთდებოდნენ ალიანსს, მაგრამ რიგი ევროპული წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგობის გამო, მათ შეწყვიტეს საქართველოსთვის გაწევრიანების მყარი გრაფიკის შეთავაზება.

ამასობაში, რუსეთის სამხედრო ჩარევა საქართველოში გახშირდა (იხ. თავი 5, „2008 წლის სამხედრო მოვლენები“). იმატა ძალადობრივმა შეტაკებებმა სამხრეთ ოსეთში. იმავე წლის მარტში დაიწყო აფხაზეთის ტერიტორიის თავზე მფრინავი ქართული უპილოტო თვითმფრინავების ჩამოგდება. რუსეთის ურთიერთობები აშშ-სა და ნატო-ს წევრ სხვა ქვეყნებთან, ასევე, თანდათან გაუარესდა. საქართველოს საკითხი იყო ერთ-ერთი თემა რუსეთისა და ამერიკის უსაფრთხოების განსხვავებული გეგმებისა, რაც მოიცავდა კოსოვოს აღიარებას და ცენტრალურ ევროპაში რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსებას. მოსკოვი, შესაძლოა, ფიქრობდა, რომ ვაშინგტონი უარს არ იტყოდა საქართველოს ნატო-ში შემდგომ ინტეგრაციაზე და საბოლოოდ მის გაწევრიანებაზე. ვაშინგტონმა საჯაროდ დაადასტურა, რომ აშშ მხარს დაუჭერდა საქართველოს და გააფრთხილა პრეზიდენტი სააკაშვილი, თავი შეეკავებინა სამხედრო დაპირისპირებისგან.

თავდაპირველად, თითქოსდა, აფხაზეთი იყო ის რეგიონი, სადაც კონფლიქტის ესკალაცია ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი, მაგრამ შემდეგ დამაბულობამ სამხრეთ ოსეთში გადაინაცვლა. 2008 წლის 8 ივლისს, სამხრეთ ოსეთის საჰაერო სივრცეს ოთხმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა გადაუფრინა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ამ შეჭრით მათ ხელი შეუშალეს საქართველოს, გარდაუვალი შეტევა დაეწყო სამხრეთ ოსეთზე. საქართველოს მთავრობამ სამხედრო

¹¹¹ Interview Transcript: Mikheil Saakashvili, Financial Times, 30 March 2008.

სივრცეში შემოჭრას თავისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის კვალიფიკაცია მისცა და 11 ივლისს, თავისი ელჩი გაიწვია მოსკოვიდან „კონსულტაციებისათვის.“

საჭაერო სივრცეში რუსეთის შემოჭრიდან ერთი დღის შემდეგ, საქართველოში ჩამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, კონდოლიზა რაისი. სამხრეთ ოსეთის თავზე რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მანევრირების მიუხედავად, მან ჟურნალისტებს განუცხადა: „მე ვაპირებ ვესტუმრო მეგობარს და არ ვაპირებ ვრცელი კომენტარების გაკეთებას აშშ-ის მეგობართან სტუმრობის შესახებ“.¹¹² გარდა ამისა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე საქართველოში, სახელმწიფო მდივანმა, რაისმა განაცხადა: „დავიცავთ ჩვენს ინტერესებს, დავიცავთ ჩვენს მეგობრებს.“¹¹³ მან ასევე თქვა: „ჩვენ ძალიან, ძალიან სერიოზულად ვეკიდებით საკუთარ ვალდებულებას ჩვენი მეგობრების დაცვის შესახებ და ამან არავინ უნდა გააკვირვოს.“¹¹⁴ ეს შენიშვნები შეიძლება მიმართული ყოფილიყო ამერიკის იმ მეგობრებისადმი ახლო აღმოსავლეთში, რომლებიც ირანის ბირთვული პოლიტიკის საფრთხეს გრძნობდნენ; მაგრამ თბილისში, საქართველოსა და რუსეთს შორის მზარდი დამაბულობის პერიოდში წარმოთქმული ეს განცხადებები, საქართველოს მთავრობისა და მისი პრეზიდენტის მიერ, შეიძლება აღქმული ყოფილიყო, როგორც საქართველოსკენ მიმართული.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ მიხედვით, დახურულ ვახშამზე, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა გააფრთხილა პრეზიდენტი სააკაშვილი, არ ჩაბმულიყო რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში, რომელშიც მისი ქვეყანა ვერ გაიმარჯვებდა.¹¹⁵ მაღალი რანგის ამერიკელი ოფიციალური პირის გადმოცემით, „რაისმა არაორაზროვნად უთხრა მას, რომ მას ძალის გამოუყენებლობის პირობა უნდა დაედო.“¹¹⁶

თავდაპირველად, როგორც ჩანს, რუსეთი მხარს უჭერდა გერმანიის სამშვიდობო გეგმას აფხაზეთში დამაბულობის დე-ესკალაციის თაობაზე. მაგრამ 18-19 ივლისს, მოსკოვში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, შტაინმაიერის ვიზიტის დროს, პრეზიდენტმა მედვედევმა, არსებული ინფორმაციის თანახმად, გაიმეორა რუსეთისა და აფხაზეთის მოთხოვნები, რომ საქართველოს ხელი მოეწერა შეთანხმებაზე აფხაზეთთან ძალის გამოუყენებლობის თაობაზე, რაც შემდგომი მოლაპარაკებების წინაპირობა უნდა გამხდარიყო. პრეზიდენტმა მედვედევმა, ასევე, მოუწოდა მოლაპარაკების არსებული ფორმატებისა და რუსეთის სამშვიდობო როლის შენარჩუნებისაკენ. 21 ივლისს, ამერიკის

¹¹² Helene Cooper and Thom Shanker, “After Mixed U.S. Messages, a War Erupted in Georgia,” New York Times, 13 August , 2008.

¹¹³ Michael Schwartz and William J. Broad, “Rice Warns Iran That U.S. Will Defend Allies”, New York Times, 11 July, 2008.

¹¹⁴ Ibid.

¹¹⁵ Cooper and Shanker, op. cit.

¹¹⁶ Cooper and Shanker, op. cit.

სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ, ბრაიზამ განაცხადა, რომ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების განხილვა მოლაპარაკებების წინაპირობად მიუღებელი იყო. ეს საკითხი მოლაპარაკებების მაგიდასთან უნდა ყოფილიყო განხილული სხვა საკითხებთან ერთად და განსაკუთრებით, იძულებით გადაადგილებული ქართველების აფხაზეთში დაბრუნების საკითხთან ერთად, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მორიგება, რომელიც წინ წასწევდა სამშვიდობო პროცესს: „მოლაპარაკების ვერც ერთი მხარე ვერ დაეთანხმება მორიგების იმ ძირითად ელემენტებს, რომელიც დასაწყები მოლაპარაკების წინაპირობაა. ეს არ არის კეთილსინდისიერი წინაპირობები.“¹¹⁷

2008 წლის მეორე ნახევარში, საქართველოს საზღვართან ახლოს, რუსეთმა ჩაატარა სამხედრო წვრთნები კოდური სახელწოდებით „კავკასია 2008.“ იმავე დროს საქართველოში, ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, ჩატარდა ერთობლივი საწვრთნელი ვარჯიში სახელწოდებით – „დაუყოვნებელი პასუხი – 2008,“ დაახლოებით, 1000 ამერიკელი და 600 ქართული რაზმის მონაწილეობით; ამ წრთვანში ასევე მონაწილეობდნენ მცირე ძალები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან. არსებული ინფორმაციით, სხვა მიზნებთან ერთად, ეს ვარჯიში მიზნად ისახავდა რაზმების ოპერატიული თავსებადობის გაზრდას ერაყის ოპერაციებისთვის. რაზმების უმრავლესობამ საქართველო კონფლიქტის დაწყებამდე დატოვა.¹¹⁸

არსებული ინფორმაციით, ამერიკის ადმინისტრაციამ არ ჩათვალა, რომ ეს მანევრები ეწინააღმდეგებოდა დასავლეთის დიპლომატიურ ძალისხმევას, მიეღწია სამხედრო დამაბულობის დე-ესკალაციისათვის საქართველოსა და რუსეთს შორის.¹¹⁹ ამ ვარჯიშის შესახებ 2008 წლის 21 ივლისს, მეთიუ ბრაიზამ განაცხადა: „ვიმედოვნებ, ვარჯიში გააძლიერებს უსაფრთხოებას მთელ რეგიონში ყველა ამ სამხედრო ძალის პროფესიონალიზმისა და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებით; პროფესიონალიზმი, რა თქმა უნდა, მთავარია სამხედრო უსაფრთხოებისათვის.“¹²⁰ ამერიკელი ოფიციალური პირების ინფორმაციით,¹²¹ ეს მანევრები წლინახევრის წინ იყო

¹¹⁷ See the interview with U.S. Deputy Assistant Secretary of State for European and Eurasian Affairs Matthew Bryza by Brian Whitmore: “Bryza: Does Russia Wish to be a Facilitator, or A Party to Conflict?”, RFE/RL, 21 July 2008, http://www.rferl.org/content/Abkhazia_Bryza_Nagorno_Karabakh_Turkey_Armenia/1185188.html (accessed on 28 August 2009).

¹¹⁸ Jim Nichol, “Russia-Georgia Conflict in South Ossetia: Context and Implications for U.S. Interests,” CRS Report for Congress, 13 August, 2008, p. 3; Tea Kerdzevadze, “International Large-Scale Military Exercise ‘Immediate Response 2008,’” 1 August 2008, http://georgiandaily.com/index.php?option=com_content&task=view&id=4981&Itemid=65 (accessed on 28 August 2009).

¹¹⁹ See the interview with Matthew Bryza, op. cit.

¹²⁰ Ibid.

¹²¹ Interviews with senior officials and former senior officials of the White House, the US Ministry of Defense and the State Department in Berlin and Washington on 11-12 January 2009, 29 April 2009 and 13-19 July

დაგეგმილი. ამერიკელებს არ ეცოდინებოდათ ქართული მხარის სამხედრო მზადების შესახებ, ორ მთავრობას შორის შესანიშნავი ურთიერთობებისა და საქართველოში ამერიკელი მწვრთნელების ყოფნის მიუხედავად. როგორც ჩანს, ამერიკის ადმინისტრაციისთვის სამხედრო ესკალაციის მასშტაბი სრულიად მოულოდნელი იყო.

3. ურთიერთობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ურთიერთობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ორიენტირებული იყო სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესზე, დემოკრატიზაციისა და კანონის უზენაესობის ჩათვლით, ასევე, საბაზრო რეფორმებსა და რეგიონული სტაბილურობის ზრდაზე. ეს უკანასკნელი ამოცანა მოიცავდა საქართველოს სეპარატისტულ კონფლიქტებში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისა და საქართველოს სუვერენიტეტის მხარდაჭერას, ასევე, რეგიონულ ინტეგრაციას.

გზები, რომლებსაც ევროკავშირმა მიმართა ამ სამი ამოცანის განსახორციელებლად, უნდა განიხილებოდეს მთელი პერიოდის გათვალისწინებით: დაწყებული 1992 წელს, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის, დამთავრებული 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტით. აქ გაანალიზებულია ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მიერ 1992-1995, 1995-2003 და 2003-2008 წლებში გატარებული პოლიტიკა ამ სამი ამოცანასთან მიმართებით.

პირველი პერიოდი მთლიანად არასტაბილურობით ხასიათდებოდა. არც ევროკავშირს და არც მის წევრ ქვეყნებს არ გააჩნდათ საკმარისი ბერკეტები ზემოაღნიშნული სამი ამოცანის განსახორციელებლად. მეორე განსახილველი პერიოდი მოიცავს პერიოდს ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დაწყებიდან მისი რეფორმების პოლიტიკის ამოწურვამდე – 1995 წლიდან 2003 წლამდე, როდესაც საქართველოში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია განხორციელდა. ამ პერიოდში ევროკავშირმა შექმნა სამართლებრივი სტრუქტურა საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობებისთვის – პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებების გაფორმების გზით (Partnership and Cooperation Agreements, PCA). მიუხედავად ამისა, მისი დახმარების ეფექტიანობას

2009. On the presence of US military advisers in Georgia see John Vandiver, "U.S. Troops still in Georgia," Stars and Stripes, 12 August 2008, <http://www.stripes.com/article.asp?section=104&article=56704> (accessed on 28 August 2009).

მნიშვნელოვნად აფერხებდა საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების დაბალი მიმდებლობის უნარი. მესამე პერიოდი დაიწყო ევროკავშირის სტრატეგიული რეორიენტაციით სამხრეთ კავკასიისკენ, მისი ახალი სამეზობლო პოლიტიკით; რეორიენტაციით, რომელიც წინ უძღოდა 2003 წლის ვარდების რევოლუციას და 2004 წელს, მიხეილ სააკაშვილის არჩევას საქართველოს პრეზიდენტად. ეს პერიოდი მთავრდება 2008 წლის აგვისტოს ომით, რომელმაც ბიძგი მისცა ევროკავშირის ახალი პასუხისმგებლობა აელო კონფლიქტში.

1992-1995: არასტაბილურობის დაძლევა

რაც შეეხება პირველ პრიორიტეტს – სახელმწიფოს აღმშენებლობას – არც ევროკავშირი და არც მისი წევრი სახელმწიფოები არ იყვნენ წარმოდგენილი საქართველოში, ვიდრე ძალაუფლების სათავეში ზვიად გამსახურდია იდგა. მისი პოლიტიკა განიხილებოდა, როგორც დესტაბილიზაციის გამომწვევი, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით. პრეზიდენტ გამსახურდიას ძალადობრივი დამხობის შემდეგ, 1991-92 წლების ზამთარში, ევროპის მთავრობებმა ცალსახად მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, ედუარდ შევარდნაძეს, როდესაც 1992 წელს, ის მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნდა პოლიტიკური ხელმძღვანელის პოსტის დასაკავებლად. ევროპაში შევარდნაძეს შეეძლო ჰქონოდა ბრიტანეთის, საფრანგეთის და განსაკუთრებით, გერმანიის მთავრობების მხარდაჭერის იმედი. ბერლინი, როგორც ჩანს, აფასებდა იმ წვლილს, რომელიც მან შეიტანა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებაში, არ აღდგომოდა წინ გერმანიის გაერთიანებას. იმავე წელს საქართველო გახდა გაერო-სა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის (CSCE) წევრი.

მაგრამ ევროკავშირის ამ ქვეყნებს არ ჰქონდათ რეალური გავლენა პოლიტიკურ სიტუაციაზე საქართველოში. რუსეთმა აიღო მოწინავე როლი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაში სამხრეთ ოსეთსა (1992) და აფხაზეთში (1994), ხოლო ქართული ჯარების დამარცხების შემდეგ, 1993 წლის შემოდგომაზე აფხაზეთში – იმ სამხედრო ძალების დაშლაში, რომლებიც ყოფილი პრეზიდენტის, გამსახურდიას მიმართ ერთგული რჩებოდნენ. საქართველოს ხელისუფლებას გაუჭირდა უკანონო სამხედრო ფორმირებების საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევა. ეს პირობები არ იძლეოდა საგარეო დახმარების საშუალებას სახელმწიფოს აღმშენებლობაში. 1992-1995 წლებში, პრეზიდენტ შევარდნაძის ხელმძღვანელობა ითვლებოდა სტაბილიზაციისა და მომავალი სახელმწიფო რეფორმის ძირითად იმედად.

რაც შეეხება ეკონომიკურ რეფორმებს, გასათვალისწინებელია, რომ საქართველო არ იყო ეკონომიკურად მიმზიდველი – მისი განადგურების მიზეზები იყო მრეწველობის

დანგრევა საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის გამო, სამოქალაქო ომი და ორი სეპარატისტული კონფლიქტი. დამოუკიდებლობის პირველი წლების განმავლობაში, საქართველოში შეუძლებელი იყო თანამიმდევრული ეკონომიკური ან საგადასახადო რეფორმის გატარება. ევროკომისიამ ეკონომიკური გაჭირვების შედეგების წინააღმდეგ საკვები პროდუქტებით დახმარების ფართომასშტაბიანი პროგრამა განახორციელა.¹²²

მესამე, რაც შეეხება სტაბილურობას და საერთაშორისო უსაფრთხოებას, აქ შეიძლება აღინიშნოს ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის და ევროპის სხვა ქვეყნების მხარდაჭერა საქართველოს პოზიციისადმი ტერიტორიული მთლიანობის საკითხებთან დაკავშირებით გაერო-ში, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიაში (CSCE)/ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (OSCE) და სხვა დიპლომატიურ ორგანიზაციებში. იმ პერიოდში ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები გაცილებით უფრო მაღალ პრიორიტეტს ანიჭებდნენ რუსეთის ინტეგრაციას მრავალმხრივი თანამშრომლობის სტრუქტურაში, ვიდრე ნებისმიერი სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ინტეგრაციას – ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გარდა. ევროკავშირის და მისი წევრი სახელმწიფოების ეს პოლიტიკა სრულად ეთანხმებოდა აშშ-ის პოლიტიკას სახელწოდებით „პირველ რიგში რუსეთი.“ ეს არ ნიშნავდა, რომ ისინი მზად იყვნენ მიეღოთ საქართველოს არსებობა რუსეთის გავლენის სივრცეში, იმ ხარისხით, რამდენადაც ეს შეიძლებოდა ევროპის უსაფრთხოების ინტერესების წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული.¹²³ მაგრამ ევროპის დედაქალაქებმა ასეთი დამოკიდებულება არ გარდაქმნეს კონკრეტულ პოლიტიკად.

1995 – 2003: პარტნიორობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბება

1995 წელს, შიდა პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში არსებითად გაუმჯობესდა. განხორციელდა უკანონო სამხედრო ფორმირებების მარგინალიზაცია და მათი წევრების ნაწილობრივი შეერთება ქართულ შეიარაღებულ ძალებთან. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო ფედერალური ალტერნატიული ვარიანტები კონფლიქტების სამომავლო მოგვარებისათვის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

¹²² Thirty-six million euro for 1993 and 1994. See Commission of the European Communities, “Commission Staff Working Paper, Annex to ‘European Neighbourhood Policy’ Country Report Georgia”, Brussels, SEC(2005) 288/3, http://ec.europa.eu/world/enp/pdf/country/georgia_country_report_2005_en.pdf (accessed on 25 July 2009).

¹²³ For instance, there was some concern among NATO members about the implications of the military negotiations between Georgia and Russia for the implementation of the Treaty on Conventional Forces in Europe (CFE). See Bruno Coppieters, “Western Security Policies and the Georgian-Abkhazian Conflict”, in Bruno Coppieters, David Darchiashvili and Natella Akaba (eds), *Federal Practice. Exploring Alternatives for Georgia and Abkhazia*, Brussels, VUB University Press, 2000, pp. 26-27.

ეთნიკურ ტოლერანტობასა და პოლიტიკურ ფლურალიზმზე საუბრისას, იმ პერიოდის წამყვანი პოლიტიკოსები იყენებდნენ ტერმინოლოგიას, რომელსაც ვერ გაიგონებდით პრეზიდენტ გამსახურდიას მმართველობისას. ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ ზედა პოლიტიკურ ფენებში უკვე შეეძლოთ ესაუბრათ იმ ფასეულობების შესაბამისად, რომლებსაც ევროპული ინსტიტუტები უჭერდნენ მხარს. შესაბამისად, გაჩნდა მოლოდინი, რომ პოლიტიკა, რომელიც ასეთ ფასეულობებს ემყარებოდა, სახელმწიფო ინსტიტუტების დონეზე გატარდებოდა.

პოლიტიკურმა სტაბილიზაციამ ხელი შეუწყო ევროკავშირთან თანამშრომლობას. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება (PCA) საქართველოსა და ევროკავშირს შორის, ძალაში 1999 წელს შევიდა. ის წარმოადგენს იურიდიულ საფუძველს ორმხრივი ურთიერთობისათვის ევროკავშირსა და საქართველოს შორის და აყალიბებს რიგ ინსტიტუტებს, რომ ხელი შეეწყოს რეგულარულ პოლიტიკურ დიალოგს და გააძლიეროს თანამშრომლობა სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულებებში.

ამ პერიოდში, ევროკომისიის პროგრამამ – „ტექნიკური დახმარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისათვის“ (Technical Assistance for Commonwealth Of Independent States - TACIS) განახორციელა დახმარება ისეთ სფეროებში, როგორცაა: საბაზრო რეფორმები და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

1990-იანი წლების მეორე ნახევარში გაიზარდა დასავლეთის ინტერესი სამხრეთ კავკასიის მიმართ, განსაკუთრებით, ენერგეტიკის სფეროში. ეს ინტერესი ძირითადად, ეხებოდა აზერბაიჯანს, მაგრამ მას, ასევე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვისაც, როგორც ნავთობის ტრანსპორტირების სტრატეგიული დერეფნისათვის. ევროკომისიის 1995 წლის საკომუნიკაციო განცხადებაში, სათაურით „ევროკავშირის სტრატეგიისკენ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობისათვის,“ ნათქვამი იყო, რომ ევროკავშირი უნდა „ყოფილიყო გარანტი იმისა, რომ იგი შეასრულებდა მთავარ როლს საკონტრაქტო მოლაპარაკებებში არსებული უზარმაზარი რეზერვების გამოსაყენებლად მილსადენების მარშრუტის განსაზღვრაში.“¹²⁴ მაგრამ ევროკავშირმა არ განახორციელა კოორდინირებული, მაღალი დონის პოლიტიკა ენერგოუსაფრთხოების საკითხში.

1999 წლის აპრილში, საქართველო გახდა ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრი, რამაც ახალი შესაძლებლობები მისცა მისი მონაწილეობისთვის ევროპულ ინტეგრაციაში,

¹²⁴ 125 “Towards a European Union Strategy for Relations with the Transcaucasian Republics, Communication from the Commission”, Com (95) 205 final, 31/5/95, <http://aei.pitt.edu/4329/> (accessed on 24 August 2009).

განსაკუთრებით, დემოკრატიზაციის, კანონის უზენაესობისა და უმცირესობათა უფლებების კუთხით.

მეტოქეობა რუსეთსა და აშშ-ს შორის, სადაც ევროკავშირი და ევროკავშირის წევრი ქვეყნები კვლავ უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ, ხელს არ უწყობდა გარე მონაწილეთა თანამშრომლობას რეგიონში უსაფრთხოების საკითხებზე. დასავლეთის ქვეყნები არ თვლიდნენ, რომ შესაძლებელი იქნებოდა აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტა რუსეთის აქტიური მხარდაჭერის გარეშე, რაც პრეზიდენტი შევარდნაძის დროს კონფლიქტის გადაჭრის ძირითად პრიორიტეტად განიხილებოდა. ასევე, არსებობდა ზოგადი ვარაუდი, რომ საკითხის გადაწყვეტა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებით, რუსეთის ეროვნულ ინტერესებში იქნებოდა და რუსეთს ჰქონდა აფხაზეთის კომპრომისზე დათანხმებისთვის საჭირო ბერკეტები. ამავდროულად, რუსეთსა და დასავლეთს საერთო ინტერესები ჰქონდათ დასაცავი;

მაგალითად, რეგიონული სტაბილურობა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის შენარჩუნება იმისათვის, რათა მიეცათ მათთვის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საკუთარი პოლიტიკის კოორდინირების უფლება მინიმალურ დონეზე, მაგრამ სამშვიდობო მოლაპარაკებებში გამარჯვების მიღწევის გარეშე.

ევროკავშირი აქტიურად მონაწილეობდა ნდობის განმტკიცების პოლიტიკაში სამხრეთ ოსეთში, სადაც ვითარება შედარებით წყნარი იყო 1992 წლიდან - ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერიდან. აქ რუსეთი და ეუთო თანამშრომლობდნენ შერეული საკონტროლო კომისიის (Joint Control Commission – JCC) მრავალმხრივი ჩარჩოს ფარგლებში. 1997 წელს ევროკომისიამ დაიწყო შედარებით მოკრძალებული პროექტები სამხრეთ ოსეთში, მიაღწია შეთანხმებას თბილისთან,¹²⁵ და 2001 წლის აპრილში იგი, მონაწილისა და დამკვირვებლის სტატუსით, ესწრებოდა შერეული საკონტროლო კომისიის (JCC) შეხვედრებს.¹²⁶

¹²⁵ Dennis Sammut, "Background to the Georgia-Ossetia Conflict and Future Prospects for Georgian-Russian Relations," Links Reports, 11 August 2008, p. 12, <http://www.links-london.org/documents/ReportontheGeorgiaOssetiaConflictandfutureofGeorgianRussianRelations.pdf> (accessed on 18 August 2009); On the EU's policies towards South Ossetia see also Damien Helly and Giorgi Gogia, "Georgian Security and the Role of the West," in Bruno Coppieters and Robert Legvold (eds), *Statehood and Security: Georgia After the Rose Revolution*, Cambridge/Mass., MIT Press, 2005, pp. 290-291.

¹²⁶ See Damien Helly, *L'Action extérieure de l'Union européenne dans le Caucase du Sud, 1992-2002. Modes d'action, influence et légitimité*, Institut d'Études politiques de Paris, thèse soutenue le 25 juin 2003, p. 367, on the Internet at http://ecoledoctorale.sciencespo.fr/theses/theses_en_ligne/helly_scpo_2003/helly_scpo_2003.pdf (accessed on 18 August 2009).

შესაძლოა, ევროკომისიამ ჩათვალა, რომ ამგვარი პროექტების განხორციელება სამხრეთ ოსეთში უფრო ადვილი იყო, ვიდრე აფხაზეთში, რადგან იქ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ნაკლები დამაბულობა იყო. იმ პერიოდში სამხრეთ ოსეთს გაცილებით ნაკლები საერთაშორისო ყურადღება ექცეოდა, ვიდრე აფხაზეთს. საფრანგეთი, გერმანია და ბრიტანეთი აფხაზეთის კონფლიქტზე იყვნენ კონცენტრირებული და არ თვლიდნენ, რომ ევროკომისიის საქმიანობა სამხრეთ ოსეთში მათ როლს დააკნინებდა რეგიონში. ეკონომიკის აღდგენის პროგრამებით მხარეთა შორის ნდობის აღდგენის შესაძლებლობა იქმნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს, შესაძლოა, განხილული ყოფილიყო, როგორც ნელი და ხანგრძლივი პროცესი. არ იყო არ იყო მოლოდინი იმისა, რომ ამას დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა ნაყოფიერი მოლაპარაკებები სტატუსთან დაკავშირებით, ან გადაიჭრებოდა რეგიონის სტატუსთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, მაგალითად - საბაჟო კონტროლის საკითხი რუსეთის საზღვარზე.

იმ პერიოდის დასასრულს, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობა ორი პარალელური მოვლენით აღინიშნა: ერთი მხრივ - 2003 წელს განხორციელდა ევროკავშირის პოლიტიკის ძირეული ცვლილება, რაც გამოიწვია 2004 წელს აღმოსავლეთ ევროპისკენ მისი გაფართოების მოლოდინმა და შესაბამისად, ახალი სასაზღვრო პოლიტიკის აუცილებლობამ. 2003 წლის დეკემბრის ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტში, რეგიონული სტაბილურობა და დემოკრატია სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში, განისაზღვრა, როგორც ევროკავშირის ინტერესთა ერთ-ერთი ძირითადი. სფერო,¹²⁷ რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო ისეთი მეზობელი რეგიონისათვის, როგორც არის სამხრეთ კავკასია. საჭირო იყო კარგი მმართველობის შემოღება სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმის გზით. მეორე მხრივ, პრეზიდენტ შევარდნაძის მთავრობა არ ახორციელებდა საჭირო რეფორმებს პოლიტიკის, ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროებში. ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტეს უარყოფითი გავლენა ჰქონდა ევროკავშირთან ურთიერთობაზე, რადგან ევროკავშირი ფართო სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში სტაბილურობისკენ მისწრაფოდა.

1992 – 2004 წლებში საქართველოსთვის ევროკომისიის მიერ გაწეულმა დახმარებამ დაახლოებით 420 მილიონ ევროს მიაღწია.¹²⁸ მაგრამ ევროკავშირმა რეტროსპექტულად დაახასიათა 2004 წლამდე არსებული ვითარება, როდესაც საქართველოს მხრიდან

¹²⁷ “A Secure Europe in a Better World.”, European Security Strategy, Brussels, 12 December 2003, <http://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/78367.pdf> (accessed on 24 August 2009); See also Nicu Popescu and Andrew Wilson, “The Limits of Enlargement-Lite: European and Russian Power in the Troubled Neighbourhood,” Policy Report, European Council on Foreign Relations, June 2009, p. 13.

¹²⁸ Commission of the European Communities, “Commission Staff Working Paper, Annex to ‘European Neighbourhood Policy’ Country Report Georgia”, op.cit.

ამგვარი დახმარების ათვისების უნარს ხელს უშლიდა „ინსტიტუციური და პოლიტიკური არასტაბილურობა, ფართოდ ფესვგადგმული კორუფცია, მძიმე საბიუჯეტო შეზღუდვები გადასახადების აკრეფის დაბალი მაჩვენებლების გამო და სახელმწიფო ფინანსების ცუდი მენეჯმენტი; ასევე, მართვის ფუნქციების სერიოზული მომლა“.¹²⁹

ამასთანავე, საზოგადოებრივი აზრი საქართველოში მოითხოვდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს. მასების მობილიზაციამ არასწორად ჩატარებული არჩევნების წინააღმდეგ გამოიწვია პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა 2003 წლის ნოემბერში.

2003 – 2008: საერთო ევროპული პოლიტიკისკენ

2003 წლის ვარდების რევოლუციამ და მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოს პრეზიდენტის პოსტის დაკავებამ ევროკავშირის ქვეყნებში მოლოდინი გაამძაფრა. საქართველოს პოსტ-საბჭოთა ისტორიაში ძალაუფლების მეორედ არაკონსტიტუციურად შეცვლის ფაქტი (პირველი იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ განხორციელებული პუტჩი 1991/92 წლების ზამთარში) უმნიშვნელოდ იქნა შეფასებული, რადგან ძველი რეჟიმის რევოლუციურ შეცვლას არ ჰქონდა ძალადობრივი ხასიათი, ხოლო ახალ ხელისუფლებას მხარს უჭერდა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა.

2003 წლის ივლისში, ევროკავშირმა დანიშნა სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში (EUSR) ისეთი მანდატით, რომელიც გულისხმობდა რეგიონის ქვეყნების დახმარებას რეფორმების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებში.¹³⁰ ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს ასევე ევალებოდა დახმარება კონფლიქტების მოგვარებაში. ეს განხორციელებული უნდა ყოფილიყო კონფლიქტების მოგვარებაში არა უშუალო ჩარევით, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების არსებული შუამავლობის მხარდაჭრით. 2006 წელს ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის მანდატი გაფართოვდა და მან მოიცვა „დახმარება კონფლიქტების მოგვარების საკითხებში წინსვლის მისაღწევად საჭირო პირობების შესაქმნელად.“ ამ გაფართოებულმა მანდატმა საშუალება მისცა ევროკავშირის ახალ სპეციალურ წარმომადგენელს პიტერ სემნების, გაეზარდა ევროკავშირის ეფექტიანობა, რაც გულისხმობდა საერთო ევროპული

¹²⁹ European Commission, “European Neighbourhood and Partnership Instrument, Georgia, Country Strategy Paper 2007-2013”, p.17, http://ec.europa.eu/world/enp/pdf/country/enpi_csp_georgia_en.pdf

¹³⁰ See Nicu Popescu, “Europe’s Unrecognised Neighbours. The EU in Abkhazia and South Ossetia”, CEPS Working document No 260, March 2007, pp.15-16, shop.ceps.eu/downfree.php?item_id=1476 (accessed on 24 August 2009).

პოზიციების გამოხატვას რეგიონში და მხარდაჭერას ევროკავშირის ინსტიტუტებში უფრო მრავლისმომცველი პოლიტიკის შემუშავებისათვის.

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნამ და სამხრეთ კავკასიის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP) ჩართვამ, ძირეულად ახალი საფუძველი შექმნა ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებისთვის. მათი სტაბილიზაციის მიზნით ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ შესთავაზა თექვსმეტ მეზობელ ქვეყანას – საქართველოს ჩათვლით – ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები, ფინანსური დახმარება და პოლიტიკური დიალოგი. აღნიშნული პოლიტიკის მიზანია ამ ქვეყნების დაახლოება ევროკავშირთან საკანონმდებლო, ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხით, ევროკავშირიდან მათთვის გაწევრიანების რაიმე პერსპექტივის შეთავაზების გარეშე.¹³¹ ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ ასევე გახსნა შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობის გაღრმავების ახალი პერსპექტივები. 2007 წელს, რუმინეთი და ბულგარეთი ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი ქვეყნები გახდნენ.¹³²

სასამართლო სისტემის სისუსტე საქართველოში ევროკავშირის შემფოთების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. კანონის უზენაესობის მისია 2004 წლის ივლისში ჩამოყალიბდა, ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის (EDSP) ჩარჩოს ფარგლებში. EU JUST Themis ოპერაციის ამოცანა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა – იყო რეფორმების მხარდაჭერა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სექტორში. მისი ეფექტიანობა სადაო იყო, თუმცა პრეზიდენტი სააკაშვილის მმართველობის პირველ წლებში მას ჰქონდა მაღალი პოლიტიკური ღირებულება, რადგან გამოატავდა ევროკავშირის ერთგულებას დემოკრატიული რეფორმებისადმი.¹³³

ახალი მთავრობა ეფექტიანი იყო სამოქალაქო სამსახურის რეფორმირების და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში, მაგრამ დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობამ ევროპის სახელმწიფოები შეაშფოთა. არსებობდა უკმაყოფილება მედიის არასაკმარისი დამოუკიდებლობის გამო. 2005 წლის საქართველოს ანგარიშში

¹³¹ Wilson and Popescu, op. cit., p. 13. See also Nicu Popescu, “The EU and South Caucasus: Learning Lessons from Moldova and Ukraine,” in EuroJournal.org – Journal of Foreign Policy of Moldova, Issue 04/2006, http://eurojournal.org/more.php?id=212_0_1_0_M14 (accessed on 24 August 2009).

The lack of a prospect of full integration into the EU for Georgia and its breakaway territories weakened the EU’s leverage for influencing the sides in these conflicts and contrasts with the EU’s policies towards Bosnia, Kosovo and Macedonia. In the Balkans, such a membership prospect is an integral part of the EU’s conflict resolution policies.

¹³² Commission of the European Communities, Proposal for a Council Decision, Brussels, 24.10.2006, COM (2006) 623 final, p. 7.

¹³³ On EUJUST Themis see Damien Helly, “EUJUST Themis in Georgia: an Ambitious Bet on the Rule of Law”: in Agnieszka Nowak (ed.), “Civilian Crisis Management: the EU Way,” Chaillot Paper No 90, EU Institute for Security Studies, Paris, June 2006, pp. 87-102, <http://www.iss.europa.eu/index.php?id=143> (accessed on 24 August 2009).

ევროკომისიამ აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, აღინიშნებოდა წამების შემთხვევების საგულისხმო რაოდენობა ვარდების რევოლუციის შემდეგ.¹³⁴

2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში, ევროკავშირმა ჩამოაყალიბა ე.წ. მიხნიკის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლონელი ინტელექტუალი და ჟურნალისტი ადამ მიხნიკი; ჯგუფს უნდა შეეფასებინა მდგომარეობა მედიაში. ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო საჯარო დისკუსიაში ამ საკითხზე.¹³⁵ ევროკავშირმა შემდგომი ზეწოლა განახორციელა საქართველოზე, რათა ამ უკანასკნელს ხელი მოეწერა რეგიონული და უმცირესობების ენების ევროპულ ქარტიაზე (ECRML) და მოეხდინა მისი რატიფიცირება; 1999 წელს - ევროპის საბჭოში გაწევრიანების დროს საქართველომ აიღო ამ ქარტიის ერთი წლის განმავლობაში სისრულეში მოყვანის ვალდებულება.¹³⁶

რაც შეეხება ეკონომიკას, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2003 წელს საქართველოს რეალური მშპ იყო მის 1990 წლის მაჩვენებელზე 50%-ით დაბალი.¹³⁷ თუმცა, არსებობდა ასევე პოზიტიური მაჩვენებლები. 2003 წლისთვის უკვე შეიინიშნებოდა მძლავრი ეკონომიკური ზრდა, რაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის სამშენებლო სამუშაოებით იყო გამოწვეული, და ეს ზრდა მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის წილმა კლება ჯერ კიდევ 2004 წელს დაიწყო. 2004 წლის ივნისში ევროკომისია მსოფლიო ბანკთან ერთად თანათავმჯდომარეობდა დონორების კონფერენციას, რომელზეც 2004-2006 წლებისთვის მთლიანობაში 850 მილიონი ევროს ოდენობის დახმარების ვალდებულება იყო აღებული. ამ მიზნის მისაღწევად ევროკომისიამ გააორმაგა საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარების მთლიანი ოდენობა წინა პერიოდთან შედარებით.¹³⁸ საქართველო ასევე თანდათან უფრო მიმზიდველი ხდებოდა უცხოური ინვესტიციებისთვის, და 2008 წლის პირველ ნახევარში მშპ-ს რეალურმა ზრდამ 9% შეადგინა.¹³⁹ მიუხედავად ამისა, სიღარიბისა და უმუშევრობის მაღალი დონე კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩებოდა.

¹³⁴ See Commission of the European Communities, “Commission Staff Working Paper, Annex to ‘European Neighbourhood Policy’ Country Report Georgia”, op.cit.

¹³⁵ Peter Semneby, “The EU’s Democracy Agenda in Georgia,” in Adam Hug (ed.), *Spotlight on Georgia*, London, The Foreign Policy Centre, 2009, p. 83.

¹³⁶ Ibid., p. 85.

¹³⁷ On the following see Commission of the European Communities, “Commission Staff Working Paper, Annex to ‘European Neighbourhood Policy’ Country Report Georgia”, op.cit.

¹³⁸ European Commission, *European Neighbourhood and Partnership Instrument, Georgia, Country Strategy Paper 2007-2013*, op. cit., pp. 16-17.

¹³⁹ Commission Staff Working Document Accompanying the Communication from the Commission to the European Parliament and the Council, *Implementation of the European Neighbourhood Policy in 2008*,

საკავშირის დეკლარირებული მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა არა მხოლოდ კორუფციის აღმოფხვრით, კანონის უზენაესობის დამყარებით და ეკონომიკის მოდერნიზაციით, არამედ „საქართველოს მიწების შემოერთებითაც“. მიხეილ სააკაშვილი აცხადებდა, რომ გაატარებდა პროაქტიურ პოლიტიკას, რომელსაც მოკლე ვადაში კონკრეტული შედეგების მიღწევის უნარი ექნებოდა. მისი აზრით, პრეზიდენტმა შევარდნაძემ არა მარტო ვერ შეძლო სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის შემოერთება, არამედ ასევე ვერ შეძლო იმ ფაქტზე რეაგირება, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა იქცეოდა ისე, როგორც დამოუკიდებელი ერთეული. მთავრობის აზრით, საქართველოს, როგორც სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს გადარჩენა, საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა, თუ სწრაფად არ დამყარდებოდა სრული კონტროლი მის ტერიტორიასა და საზღვრებზე.

ევროკავშირს და საქართველოს განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ კონფლიქტის მოგვარების მიმართ. ევროკავშირი არ ეწინააღმდეგებოდა პროაქტიური პოლიტიკის იდეას კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით, მაგრამ ის ხაზს უსვამდა, რომ კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკის შემუშავებისას საჭირო იყო სიფრთხილე და გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინება. საქართველოს უპირველესი ინტერესი იყო სეპარატისტული კონფლიქტები, გამხდარიყო ევროპული გეგმების პრიორიტეტი; ეს ამოცანა კარგად არ ითვალისწინებდა ფრთხილ, გრძელვადიან მიდგომას.

ევროკავშირის ეს მიდგომა საქართველოში არსებული კონფლიქტების მიმართ თანხვედრაში იყო მის სამეზობლოში არსებული კონფლიქტებისადმი საერთო ევროპულ მიდგომასთან. ყველა ე.წ. გაყინული კონფლიქტი ევროკავშირის საზღვრებთან - დნესტრისპირეთი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, მთიანი ყარაბაღი - მოგვარებული უნდა ყოფილიყო გრძელვადიანი მიდგომის საფუძველზე, რომელსაც სრულად უნდა მოეცვა ინსტიტუციური და მართვის მექანიზმები და ხელი შეეწყო სტაბილიზაციისათვის. ევროკავშირს შეეძლო „შეეტანა მნიშვნელოვანი წვლილი კონფლიქტების პრობლემებზე მუშაობით, სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს მსგავსი რეფორმების მხარდაჭერით, რათა ხელი შეეწყო პოლიტიკური, ეკონომიკური და საკანონმდებლო სისტემების დაახლოებისთვის სოციალური ჩართულობის გაზრდისა და ნდობის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით“.¹⁴⁰

Brussels, 23/04/2009, SEC(2009) 513/2, p.8.

¹⁴⁰ Commission of the European Communities, Communication from the Commission, “A Strong European Neighbourhood Policy,” Brussels 05/12/2007 COM (2007) 774 final.

ევროპული მთავრობები მიესალმნენ იმ ფაქტს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წარმოადგინა კონკრეტული შემოთავაზებები სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან ფედერალური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ასევე არსებობდა სერიოზული შიში, რომ მთავრობა ცდილობდა იძულებით ჩაერთო მოლაპარაკებებში სეპარატისტული რეჟიმები და დაეთანხმებინა ისინი დათმობებზე ძალის გამოყენების მუქარით.¹⁴¹ ამგვარი მცდელობები კონტრ-პროდუქტიულად იქნა შეფასებული.

გარდა ამისა, ევროკავშირი ძალიან იყო დაინტერესებული რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტური ურთიერთობების დე-ესკალაციით. ძირითადად დასავლეთის (ევროპის ჩათვლით) ზეწოლის გამო, 2004 წლის აგვისტოში სააკაშვილი იძულებული გახდა, თავი შეეკავებინა კონფლიქტის ესკალაციისგან სამხრეთ ოსეთში, და ამან შესაძლო გახდა რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობით ომის წარმოების რისკის შემცირება. ევროკავშირის აზრით, არ არსებობდა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების თანდათანობით გაუმჯობესების, ან სეპარატისტულ რეგიონებში კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის ჩამოყალიბების რეალური ალტერნატივა. ამავ მიზეზით ევროკავშირმა და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გამოხატეს შეშფოთება რუსეთის მიერ სეპარატისტულ ტერიტორიებზე გატარებული ცალმხრივი პოლიტიკის მიმართ, მაგ. რუსეთის ეკონომიკურ ინვესტიციებზე აფხაზეთში 2008 წელს.¹⁴²

უფრო მეტიც, ევროკავშირსა და საქართველოს ჰქონდათ განსხვავებული შეხედულებები იმის თაობაზე, თუ რა ხარისხით უნდა ყოფილიყო კონფლიქტების მოგვარება პრიორიტეტიზებული ევროკავშირის საქმიანობაში საქართველოში. ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის საბჭოს მიერ 2006 წლის ნოემბერში ხელმოწერილი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავდა ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობას და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებას. ეს სამოქმედო გეგმა წარმოადგენს ინსტრუმენტებს რომელიც შემუშავებულია იმისთვის, რომ ნათელი გახადონ პრიორიტეტები, გამოწვევები და მომდევნო ნაბიჯები. ისინი ასევე წარმოადგენს სტანდარტებს შემდგომი ინტეგრაციისთვის.¹⁴³ საკითხი იმ ხარისხზე, რომლითაც კონფლიქტების მოგვარება უნდა ჩათვლილიყო პრიორიტეტად იყო ის საკითხი, რომელსაც შეხვდა ყველაზე მეტი წინააღმდეგობა ამ გეგმის საბოლოო

¹⁴¹ In May 2006, the then Defence Minister Okruashvili famously declared that he would resign from his position in the government if Georgia failed to reunite breakaway South Ossetia by the end of the year See “Okruashvili Reiterates S. Ossetia Reunification Deadline”, Civil Georgia, 1 May 2006; “Okruashvili Quits Government” Civil Georgia, 17 November 2006. This statement was generally understood as being achievable only through the use of force.

¹⁴² Reuters, “EU Concerned at Russian Moves on Abkhazia”, 10 March 2008, <http://www.reuters.com/article/asiaCrisis/idUSL10832593> (accessed on 24 August 2009).

¹⁴³ Semneby, op. cit., pp. 80-81.

შეთანხმების მიღწევამდე. ევროკავშირს არ სურდა მისი ძირითად პრიორიტეტად მიღება, როგორც ამას თბილისი მოითხოვდა.¹⁴⁴ საბოლოოდ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის 2006 წლის სამოქმედო გეგმაში შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მხარდაჭერა განისაზღვრა, როგორც „მე-6 პრიორიტეტული სფერო“, და გეგმაში შეტანილი იქნა განსახორციელებელი ინიციატივების ვრცელი სია, დაწყებული „კონფლიქტების მოგვარების ძალისხმევაში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართვით“, და დამთავრებული კონფლიქტების მოგვარების საკითხის წამოწევით ევროკავშირ-რუსეთის პოლიტიკური დიალოგის შეხვედრებში“.¹⁴⁵

ქართული შეიარაღებული ძალების გაძლიერებამ გარკვეული შეშფოთება გამოიწვია ბრიუსელში. 2006 წლის 28 აგვისტოს სლოვენიაში კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა კომისარმა ბენიტა ფერერო-ვალდნერმა გააკიცხა ის ფაქტი, რომ თავდაცვაზე გაწეული ხარჯები აზერბაიჯანსა და საქართველოში „უსასრულოდ იზრდებოდა“ - და რომ ეს არ იყო გამართლებული, იმის გათვალისწინებით, რომ უზარმაზარი ფინანსური რესურსი იყო საჭირო განათლებაზე, ჯანდაცვასა და მცირე ბიზნესზე“.¹⁴⁶

ფრთხილი, გრძელვადიანი მიდგომის აუცილებლობა შემდგომში ისევ წამოიჭრა, როდესაც მიმდინარეობდა დისკუსია მოლაპარაკებების ფორმატის ცვლილებებსა და სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში - კონფლიქტის მოგვარების პროცესში აღნიშნული პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი იყო. რადგან „საქართველოს ტერიტორიის ანექსია ხდება ამ სამშვიდობო ჯარების ზურგსუკან,¹⁴⁷ დრო იყო რუსეთის კონტიგენტი ჩანაცვლებულიყო, ან უკიდურეს შემთხვევაში, შესუსტებულიყო საერთაშორისო ჯარებით, მაგრამ ასეთ ცვლილებას სამშვიდობო სტრუქტურაში ძალზე ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზური და ოსური მხარეები. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ რუსეთი იქნებოდა ერთადერთი გარე მოთამაშე, რომელიც მათ სასარგებლოდ იმოქმედებდა, თუ საქართველო გამოიყენებდა ძალას აფხაზეთის ან ოსეთის წინააღმდეგ. თავის მხრივ, რუსები ეწინააღმდეგებოდნენ საკუთარი საყრდენის დაკარგვას რეგიონში. ევროკავშირი მხარს უჭერდა უსაფრთხოების ძალების ინტერნაციონალიზაციას სეპარატისტულ ტერიტორიებზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იცავდა იმ მოსაზრებას, რომ ეს მოითხოვდა

¹⁴⁴ See Popescu, “Europe’s Unrecognised Neighbours”, op. cit., pp. 8-9.

¹⁴⁵ EU/Georgia Action Plan, http://ec.europa.eu/world/enp/pdf/action_plans/georgia_enp_ap_final_en.pdf (accessed on 24 August 2009).

¹⁴⁶ “EU Warns Georgia over Increasing Defense Budget”, Civil Georgia, 30 August 2006; Radio Free Europe/Radio Liberty, Newline, 30 August 2006.

¹⁴⁷ “Saakashvili reiterates peaceful approach to conflicts”, Civil Georgia, 11 July 2006.

მხარეთა თანხმობას, და რომ ეს საკითხი საჭიროებდა ფრთხილ მოპყრობასა და გრძელვადიან ხედვას.

ევროკავშირის გაფართოვებამ გამოიწვია რიგი ისეთი ქვეყნების ჩართვა, რომლებიც მხარს უჭერდნენ ევროკავშირის კიდევ უფრო გაფართოვებას საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით. 2005 წლის თებერვალში, ესტონეთმა, ლიტვამ, ლატვიამ, პოლონეთმა, რუმინეთმა და ბულგარეთმა დააარსეს საქართველოს მეგობართა ახალი ჯგუფი, რომლის მიზანი იყო საქართველოს ევრო-ატლანტიკური ორიენტაციის მხარდაჭერა.¹⁴⁸ ისინი მოქმედებდნენ, როგორც ევროკავშირის ფარგლებში არსებული ჯგუფი, და მაგალითად, 2007 წლის სექტემბერში, პორტუგალიაში ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს შეხვედრაზე გამოვიდნენ ევროკავშირის საქართველოსთან მოლაპარაკების გამართვის სასარგებლოდ სამგზავრო ვიზებისა და ვაჭრობის სფეროში, ასევე მოუწოდეს უფრო მტკიცე პოზიციის დაკავებისკენ რუსეთის მიმართ - საქართველოს საჰაერო სივრცეში შეჭრის გამო.¹⁴⁹

ევროკავშირის პოლიტიკას ზოგჯერ აკრიტიკებდნენ, ვინაიდან მიჩნეული იყო რომ იგი მიმართული იყო რუსეთის დაშოშმინებისკენ. საქართველოს თვალსაზრისით, ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ მათი მოვალეობა იყო საქართველოში კონფლიქტის დროულად მოგვარება, და რომ ეს საკითხი უნდა გამხდარიყო მყარი პრიორიტეტი ევროკავშირის დიალოგის დროს მოსკოვთან.

რუსეთთან დამოკიდებულება უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ევროკავშირის შიდა დებატებში საქართველოში მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. თბილისმა მიიწვია ევროკავშირი ეუთო-ს საზღვრის მონიტორინგის ოპერაციის (Border Monitoring Operation – BMO) ფუნქციების გასაგრძელებლად საქართველოში, მას შემდეგ, რაც 2004 წლის ბოლოს რუსეთმა ვეტო დაადო ეუთო-ს მისიის მიერ ამ ოპერაციის გაგრძელებას საქართველოში.¹⁵⁰ ევროკავშირი, რომელსაც არ სურდა რუსეთის გაღიზიანება, ასეთი ფართომასშტაბიანი ოპერაციის დაწყების წინააღმდეგი იყო, მაგრამ 2005 წელს გადაწყვიტა საქართველოში გაეგზავნა საზღვრის მხარდაჭერის პატარა გუნდი ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ხელმძღვანელობის ქვეშ; თავიდან მხოლოდ სამი ექსპერტის შემადგენლობით. გუნდს უნდა გაეუმჯობესებინა საქართველოს საზღვრის მენეჯმენტი. ეს დაეხმარებოდა საქართველოს თავიდან აეცილებინა რუსეთის ბრალდებების იმის შესახებ, რომ საქართველო არ

¹⁴⁸ Vladimir Socor, “New Group of Georgia’s Friends Founded” Eurasia Daily Monitor, 6 February 2005, Vol. 2, Issue 26.

¹⁴⁹ Vladimir Socor, “Friends of Georgia hold Strategy Session in Lithuania,” Eurasia Daily Monitor, 17 September 2007, Vol. 4, Issue 171.

¹⁵⁰ On the following see Popescu, Europe’s Unrecognized Neighbours, op. cit., pp. 11-12.

აკონტროლებდა საკუთარ საზღვრებს და ამდენად, წაადგებოდა საქართველო-რუსეთს შორის არსებული დამაბულობის დე-ესკალაციას. ექსპერტების რაოდენობა თანდათან გაიზარდა.

ამ ოპერაციამ ცხადი გახადა ევროკავშირის განზრახვა, მიეღო ზომები საქართველო-რუსეთს შორის არსებული დამაბულობის გადასაჭრელად მისი ესკალაციის შედარებით ადრეულ ეტაპზე. ის ფაქტი, რომ ოპერაცია დაიწყო პატარა ნაბიჯებით, და უნდა გაძლიერებულიყო დროთა განმავლობაში, ბრიუსელის მიერ არჩეულ ფრთხილ მიდგომაზე მიუთითებს. ეს ასევე დადასტურდა იმ ფაქტით, რომ ევროკავშირის სხვა მისიებისგან განსხვავებით ოპერაცია უმნიშვნელოდ იყო გასაჯაროებული. გარდა ამისა, საზღვრის მენეჯმენტის გაძლიერება გრძელვადიანი ამოცანაა, რომელიც დამახასიათებელია ევროკავშირისათვის და წარმოადგენს მის მიდგომას კონფლიქტის მოგვარებისადმი საქართველოში.

ევროკავშირის სიფრთხილე, გრძელვადიანი მიდგომა, როგორც აღმოჩნდა, არ იყო საკმარისი ისეთი ტიპის კონფლიქტის მოსაგვარებლად, რომელშიც საქართველო და რუსეთი იყვნენ ჩართულები. ის საჭიროებდა კომბინირებას მკაცრ პოლიტიკასთან, რადგან იყო სეპარატისტულ ტერიტორიებზე არსებული დაბალი ინტენსივობის კონფლიქტების ფართომასშტაბიანი ომში გადაზრდის რისკი. 2008 წლის ივნისში, შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე რამოდენიმე კვირით ადრე, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ჰავიერ სოლანა ეწვია თბილისსა და სოხუმს ახალი სამშვიდობო მოლაპარაკებების მხარდაჭერის მიზნით. 2008 წლის ივლისში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა ხელისუფლებებს თბილისსა და სოხუმში წარუდგინა სამშვიდობო გეგმა. სამხრეთ ოსეთში ომის დაწყებისთანავე, ცეცხლის შეწყვეტის მისაღწევად, პრეზიდენტმა სარკოზიმ დაიწყო გადამჭრელი ზომების მიღება. ოქტომბრის დასაწყისში, ევროკავშირმა წარმატებით განათავსა „ადგილებზე 200-ზე მეტი მონიტორი 22 წევრი სახელმწიფოდან. ეს იყო მისი უსწრაფესი დისლოცირება, რაც კი ოდესმე განუხორციელებია ევროკავშირს“.¹⁵¹

¹⁵¹ See EUMM – European Union Monitoring Mission in Georgia, What is EUMM?, http://www.eumm.eu/en/about_eumm (accessed on 24 August 2009).

თავი 2

კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში: 1991 – 2008 წლების სამშვიდობო ძალისხმევა

1. შესავალი 62

საბჭოთა ფედერალიზმი 62

ურთიერთგამომრიცხავი ისტორიები: ქართველები და აფხაზები 66

ურთიერთგამომრიცხავი ისტორიები: ქართველები და ოსები 69

ოსეთის გამოყოფა 71

აფხაზეთის გამოყოფა 73

2. სამშვიდობო ძალისხმევა აფხაზეთში 74

დაძაბულობის ესკალაცია 1991-1992 წლებში 74

შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება და სამშვიდობო ძალისხმევა 2008 წლამდე
76

3. სამშვიდობო ძალისხმევა სამხრეთ ოსეთში 92

ზოგადი დებულებები 92

პირველი ფაზა: ნდობის აღდგენა (1992-1999) 93

ეკონომიკური საკითხები გამოდის, როგორც უმნიშვნელოვანესი ელემენტები
კონფლიქტის მოგვარების პროცესში 97

ეუთო და ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პროცესი 98

ევროკავშირი და ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პროცესი 100

მეორე რიგის ინიციატივები 101

მეორე ფაზა: პროცესის „მიძინება“ (2000-2003) 102

ერგნეთის ბეზრობა - კონტრაბანდა, როგორც „ნდობის აღდგენის ღონისძიება“
103

მესამე ფაზა: შეცდომები და მცდარი შეხედულება (2004-2008) 105

„მათრახისა და თაფლაკვერის“ პოლიტიკა 106

კავშირი ჩრდილოეთ ოსეთთან 114

ალტერნატიული ადმინისტრაციის შექმნა სამხრეთ ოსეთში 115

მდგომარეობის გაუარესება 2007 – 2008 წლებში 116

ეუთოს და ევროკავშირის სამშვიდობო ძალისხმევა 117

4. დაკვირვებები 119

1. შესავალი

წინამდებარე თავი ანალიზებს საქართველოში არსებულ კონფლიქტებს ისტორიული თვალსაზრისით, კერძოდ კი ყურადღებას ამახვილებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებულ პრობლემებსა და ღრმა გავლენაზე, რომელიც ამ დაშლამ მოახდინა ერებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებულ ურთიერთობებზე საქართველოში.¹⁵² თავში ხაზგასმულია შეხედულებების როლი - ისტორიული ნარატივის, მუქარაზე და ეროვნულ ინტერესებზე არსებული შეხედულებების ჩათვლით - და მათს ტრანსფორმაციას მიიჩნევს კონფლიქტის მონაწილეებს შორის ურთიერთობის თანდათანობით გაუარესებად.

საბჭოთა ფედერალიზმი

საბჭოთა ფედერალურმა პოლიტიკამ რადიკალურად გარდაქმნა ერებს შორის ურთიერთობები. მან ფორმალურად აღიარა გარკვეული უფლებები და მიანიჭა ადმინისტრაციული ძალაუფლება ეროვნულ ელიტებს. ამან გააძლიერა მათი თვითშეგნება და პოლიტიკური მისწრაფებები, განსაკუთრებით საკუთარი პოლიტიკური სტატუსის მიმართ. მან ასევე მოაქცია სხვადასხვა ერები იერარქიულ ჩარჩოში, რომელმაც მათ თვითმმართველობის უთანასწორო უფლებები მიანიჭა. ამგვარად, ასეთმა პოლიტიკამ გააძლიერა დამაბულობა ერებს შორის, და საბჭოთა ცენტრალური ხელმძღვანელობა იძულებული იყო გადაეჭრა ამ წინააღმდეგობრივი პოლიტიკის შედეგად წარმოშობილი ყველა კონფლიქტი მათი ღიად გამოხატვის, ან - კიდევ უარესის - ძალადობაში გადაზრდის პრევენციის საშუალებით.

საბჭოთა ფედერალიზმი ძირითადად განიხილებოდა, როგორც რუსეთის იმპერიაში მცხოვრები სხვადასხვა ერების მოთხოვნების დაკმაყოფილების მცდელობა, იმავდროულად კომუნისტური ხელმძღვანელობის მკაცრი კონტროლის შენარჩუნებით ხელისუფლების ყველა დონეზე.¹⁵³ დიდი ერები აღიარებულნი იყვნენ ამა თუ იმ კონკრეტული ტერიტორიის „ტიტულოვან ერებად“. მათ კომუნისტურ ელიტებს ეძლეოდათ მოცემული ტერიტორიების ადმინისტრირების პრივილეგია. ამგვარად,

¹⁵² The present analysis does go into the distinctions made in Soviet scholarship and law between nations, nationalities and national communities, but uses these terms interchangeably.

¹⁵³ On Soviet federalism and its consequences for ethnic conflicts see Robert J. Kaiser, *The Geography of Nationalism in Russia and the USSR* (Princeton, Princeton University Press, 1994); Valery Tishkov, *Ethnicity, Nationalism and Conflict in and after the Soviet Union* (London, Sage, 1997). Edmund Herzig, *The New Caucasus: Armenia, Azerbaijan and Georgia* (London and New York, Pinter, 1999); Svante Cornell, *Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus*, Richmond/Surrey, Curzon, 2001.

მთავრობის მრავალდონიანი სისტემა მოიცავდა პოლიტიკურ ცენტრალიზაციას ნაწილობრივ ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციასთან ერთად.

ეროვნული თვითგამორკვევის უფლება აღიარებული იყო იერარქიული მოდელის საფუძველზე, რომელიც აკეთებდა სხვადასხვა ერების რანჟირებას ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორცაა მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული ელიტების ბერკეტები კომუნისტური პარტიის შიგნით. ამ სტრუქტურაში არსებული სხვადასხვა ტიპის შემადგენელი ერთეულებიდან საბჭოთა ფედერალიზმი უმაღლეს სტატუსს მოკავშირე რესპუბლიკებს ანიჭებდა. მათ სუვერენობა და გამოყოფის უფლება საბჭოთა კონსტიტუციით ჰქონდათ მინიჭებული, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ერთპარტიული სისტემა გამორიცხავდა ძალაუფლების გაყოფის რაიმე ფორმას ან ნებისმიერი ეროვნული მოთხოვნის გამოხატვას, რომელიც საბჭოთა წყობის წინააღმდეგ მიდიოდა. ეს აძლევდა მოკავშირე რესპუბლიკებს მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ძალაუფლებას, განსაკუთრებით კულტურისა და განათლების სფეროებში. ავტონომიური რესპუბლიკები ადმინისტრაციული ხელისუფლების მომდევნო დონეს წარმოადგენდნენ. ყველა მათგანი ფიზიკურად მდებარეობდა იმ მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის სამართლებრივ დაქვემდებარებაშიც იმყოფებოდა. მათ ჰქონდათ ნაკლები ძალაუფლება კულტურისა და განათლების სფეროში. ავტონომიური რესპუბლიკები არ იყვნენ ფორმალურად სუვერენული და ამდენად, არ შეეძლოთ გამოყოფა. თუმცა, მათ მაინც ჰქონდათ საკუთარი კონსტიტუცია და ნაწილობრივ, სახელმწიფოებრიობის სხვა ატრიბუტები, მაგ. აღმასრულებელი ორგანო პრეზიდენტის ხელმძღვანელობით და საკანონმდებლო ძალაუფლების მქონე უმაღლესი საბჭო. ავტონომიური რეგიონები ფედერალური იერარქიის უფრო დაბალი საფეხური იყო. ისინი ასევე, მდებარეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე, მაგრამ ითვლებოდა, რომ მათ არ ჰქონდათ სახელმწიფოებრიობის დამახასიათებელი ნიშნები.

საკუთარი თვალთახედვით, საბჭოთა კავშირმა ღირებულ წარმატებას მიაღწია უამრავი ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფის გამაერთიანებელი უზარმაზარი იმპერიის მართვასა და სახელმწიფოს შიგნით შედარებითი მშვიდობის შენარჩუნებაში. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირმა ვერ შეძლო რადიკალურად შეეცვალა სხვადასხვა ეროვნული ელიტისა და მოსახლეობის მიერ საკუთარი იდენტობისა და ინტერესების აღქმა. უფრო მეტიც, მათი ურთიერთობების მარეგულირებელი კონსტიტუციური ჩარჩო არ აღიქმებოდა, როგორც სამართლიანი კომპრომისის შედეგი; ის სამართლიანი კომპრომისის მიღწევის ამოცანიდან გამომდინარე, შედეგადაც კი, არ აღიქმებოდა. სხვა სიტყვებით, საბჭოთა კავშირმა ვერ შეძლო მყარი საფუძველი ჩაეყარა იმპერიაში მცხოვრები უამრავი ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფის ხანგრძლივ, მშვიდობიან თანაარსებობას. 1980-იანი წლების ბოლოს, როდესაც ცენტრალიზებული კომუნისტური

პარტიის ძალაუფლება დასუსტდა დემოკრატიზაციისა და ეროვნული გამოსვლების ორმაგი წნეხის ქვეშ, არ არსებობდა ისეთი ძლიერი პოლიტიკური სტრუქტურა, რომელიც წინააღმდეგობრივი ეროვნული მოთხოვნების გაერთიანებას შეძლებდა.

სწორედ საქართველოში, სადაც არაქართველი ეთნიკური ჯგუფები მოსახლეობის 30%-ს შეადგენდა, საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე დიდ სიმძნელებს წააწყდა ამ ფედერალური პოლიტიკის განხორციელებაში; განსაკუთრებით კი, როდესაც საქმე ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის ურთიერთობებს ეხებოდა. მოსკოვი სასტიკად ახშობდა ნაციონალიზმის გამოვლინებებს. ამავე დროს, ის ითვალისწინებდა ადგილობრივი ეროვნული ელიტის ზოგიერთ მოთხოვნას სტატუსთან, კულტურასთან, განათლებასა და ეკონომიკურ პრივილეგიებთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი ნებაყოფლობით კეთდებოდა. სამივე ერი დარჩა უაღრესად უკმაყოფილო მიღებული გადაწყვეტილებებით. საბჭოთა ხელისუფლება საკმაოდ ეფექტური იყო რეგიონში კონფლიქტის პრევენციაში – არასოდეს მომხდარა ეროვნული კონფლიქტების ესკალაცია ფართო ძალადობრივ აქტებამდე, მაგრამ არა კონფლიქტების მოგვარებაში.

კონფლიქტები საქართველოში მმართველობის სისტემის სხვადასხვა დონეზე დაიწყო. იყო კონფლიქტი აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში ეროვნული თემების უფლებებზე, ისევე როგორც იმ საკითხზე, უნდა განაწილებულიყო თუ არა მათ შორის სუვერენიტეტი ამ ერთეულების შიგნით, და როგორ უნდა მომხდარიყო ეს. იყო მეორე კონფლიქტი ამ ორი ტერიტორიის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით. ეს ორი კონფლიქტი მჭიდროდ იყო ურთიერთდაკავშირებული, და მოიცავდა როგორც იმ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხებს, ისე ცენტრალურ მთავრობას.

პოლიტიკური დისკუსია თვითმმართველობის, პოლიტიკური მონაწილეობისა და ტერიტორიული კონტროლის საკითხებზე ჩვეულებრივ, განმტკიცებული იყო ისტორიული არგუმენტებით. ამას მოსდევდა ქართველი, აფხაზი და ოსი ერების მიერ ურთიერთგამომრიცხავი ისტორიული ფაქტების მოყვანა; ეს ფაქტები წინ უძღოდა ეროვნულ გამოსვლებს, რომელსაც 1990-იან წლებში, მოჰყვა შეიარაღებული კონფლიქტები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

უპირველეს ყოვლისა, არსებობდა მემკვიდრეობის უფლებების საკითხი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე. ჯერ კიდევ, „დესტალინიზაციის ტალღაზე“ 1950-იან წლებში, ეს წარმოადგენდა ეროვნული ელიტის შეხედულებათა შეუთანხმებლობის მთავარი საკითხი. ეს პოზიციები, რომელთა მიზანი ამ ტერიტორიებზე დომინანტური ან თუნდაც, ექსკლუზიური ხელისუფლების ლეგიტიმაცია იყო, ემსახურებოდა

ეროვნებათაშორისი დამაბულობების გაძლიერებას; დაახლოებით, 1990 წელს მოხდა ამ დამაბულობის ესკალაცია ღია პროპაგანდისტულ ომად.

მეორეც, ქართველი, აფხაზი და ოსი ერების ელიტა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მათთან დაპირისპირებული ხალხები ემსახურებოდნენ მათს დაჩაგვრას, განსაკუთრებით, საქართველოს დამოუკიდებლობისა და საბჭოთა მმართველობის პერიოდებში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები გვიჩვენებს საქართველოს მთლიან ეთნიკურ შემადგენლობას, და ასევე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეთნიკურ შემადგენლობას საბჭოთა პერიოდში, 1989 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით.

**საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა 1989 წელს
(საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა)¹⁵⁴**

ქართველები	3.787.393	70,13%
სომხები	437.211	8,10%
რუსები	341.172	6,32%
აზერბაიჯანელები	307.556	5,69%
ოსები*	164.055	3,04%
აფხაზები*	95.853	1,77%
სხვა	267.601	4,95%
სულ	5.400.841	100%

* 98.822 ოსი (ე.ი. საქართველოს სსრ-ში მცხოვრები ყველა ოსის 60%) ცხოვრობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარეთ.

** მხოლოდ 2.586 აფხაზი (ე.ი.საქართველოს სსრ-ში მცხოვრები ყველა აფხაზის 2.7%) ცხოვრობდა აფხაზეთის ასსრ-ის გარეთ.

**აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობა 1989 წელს ¹⁵⁵
(აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა)**

ქართველები	239.872	45,68%
------------	---------	--------

¹⁵⁴ The last Soviet census (1989).

¹⁵⁵ Ibid.

აფხაზები	93.267	17,76%
სომხები	76.541	14,58%
რუსები	74.913	14,27%
ბერძნები	14.664	2.80%
სხვა	25.804	4,91%
სულ	525.061	100%

სამხრეთ ოსეთის ეთნიკური შემადგენლობა 1989 წელს¹⁵⁶
(სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი)

ოსები	65.233	66,21%
ქართველები	28.544	28.97%
რუსები	2.128	2,16%
სომხები	984	1,00%
ებრაელები	396	0,40%
სხვა	1.242	1,26%
სულ	98.527	100%

ურთიერთგამომრიცხავი ისტორიები: ქართველები და აფხაზები

აფხაზი ისტორიკოსების აზრით, მათი ხალხი ერთ-ერთი უძველესია კავკასიაში მცხოვრებ ერებს შორის, და ისინი აფხაზეთის ახლანდელ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, სულ ცოტა, ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნიდან.¹⁵⁷ მისი ქართველი მოსახლეობის უმეტესობა, როგორც ისინი ამბობენ, გადმოსახლდნენ ამ რეგიონში შედარებით გვიან, „გაქართველების“ ეროვნული პოლიტიკის შედეგად.

ამის საპირისპიროდ, ქართველი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ აფხაზეთი უძველესი დროიდან იყო რეგიონი, სადაც ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ და იქ მცხოვრები მოსახლეობა იყო ქართული (ქართველური) წარმომავლობის.¹⁵⁸ ქართველი

¹⁵⁶ Ibid.

¹⁵⁷ T.M. Shamba, A.Iu. Neproshin, “Abkhazia. Pravovye osnovy gosudarstvennosti i suvereniteta” [Abkhazia. Legal foundations of statehood and sovereignty], Moskva: In-Oktavo, 2004, pp. 14-24. See also O.Kh. Bgazhba, S.Z. Lakoba, “Istoria Abkhazii s drevnejshikh vrem n do nashikh dnei” [The history of Abkhazia from ancient times to the present day], Sukhum: Alashara, 2007, pp. 51-98; V. Chiribka, “The origin of the Abkhazian people” and G. Shamba, “On the track of Abkhazia’s antiquity,” in G. Hewitt (ed.), “The Abkhazians,” Richmond, Surrey: Curzon, 1999, pp. 37-58.

¹⁵⁸ E.g., I. Javakhishvili, “Kartveli eris istoria” [History of the Georgian People], vol. I, Tbilisi: Stalinis sakhelobis Tbilisis sakhelmtsipo universitetis gamomcemloba, 19605, p. 427; N. Berdzenishvili, “Mtsire shenishvna didi sakitkhis gamo” [A small note about a big question], in Id., “Sakartvelos istoriis sakitkhebi” [Issues of the Georgian history], vol. 3, Tbilisi: Metsniereba, 1966, pp. 277-281 and “Aphkazetis shesakheb”

ისტორიკოსების ერთი ნაწილი იცავდა მოსაზრებას, რომ საწყის ეტაპზე მკვიდრი მოსახლეობა იყო მხოლოდდამხოლოდ ქართული, ხოლო მეორე, – ამ რეგიონში უძველესი დროიდან ბინადრობდნენ როგორც აფხაზები, ისე ქართველები - უფრო სწორად, პროტო-აფხაზი და პროტო-ქართველი ტომები. ამდენად, ქართველ ისტორიკოსებში არ იყო კონსენსუსი იმაზე, წარმოადგენდა თუ არა აფხაზი მოსახლეობა მკვიდრ მოსახელობას, მაგრამ ყველას აზრი ერთიანი იყო იმ დებულებასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთში ქართველები (ან პროტო-ქართველი ტომები) უხსოვარი დროიდან დომინანტ კულტურულ ჯგუფს წარმოადგენდნენ.

1810 წელს, აფხაზეთი რუსეთის იმპერიამ დაიპყრო. 1864 წელს, ამ უკანასკნელმა გააუქმა ადგილობრივი ავტონომიები და 1883 წელს, აფხაზეთი სოხუმის რაიონად (ოკრუგად) გადაკეთდა, რომელიც ქუთაისის გუბერნატორის მმართველობის ქვეშ იყო. ამბოხებები სოფლებში სასტიკად ჩახშუს. კავკასიის ომის შემდეგ, და განსაკუთრებით, 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის და აფხაზეთის აჯანყების შემდეგ ცარისტულმა ხელისუფლებამ აიძულა აფხაზი მოსახლეობის ნახევარზე მეტი ოსმალეთის იმპერიაში გაქცეულიყო. ემიგრაციის ეს პროცესი ცნობილია, როგორც „მუჰაჯირობა“ (არაბული სიტყვიდან „მუჰაჯირი“ – ემიგრანტი). მათ დატოვეს უზარმაზარი თავისუფალი მიწები, რომლებიც აფხაზი ისტორიკოსების მიხედვით, სხვადასხვა ეროვნული წარმომავლობის განსაკუთრებით, ქართული (ძირითადად, მეგრული), სომხური, რუსული, და ბერძნული წარმომავლობის კოლონისტებმა დაიკავეს.¹⁵⁹

რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკური ძალები აფხაზეთში განთავსდნენ. 1918 წლის აპრილში, მათ დაიპყრეს სოხუმი, მაგრამ მასზე ძალაუფლების შენარჩუნება მხოლოდ რამოდენიმე კვირის განმავლობაში მოახერხეს, ქართველ „მენშევიკებთან“ დამარცხებამდე. 1921 წლის 4 მარტს, საქართველოში საბჭოთა არმიის შემოჭრის შემდეგ, აფხაზეთში აღდგა საბჭოთა წყობილება. 1921 წლის 28 მარტს, კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიუროს გაფართოებულმა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, როგორც მოკავშირე რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ქართველი ისტორიკოსებისთვის ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს კომუნისტების (ბოლშევიკების) მიერ აფხაზეთისთვის გაკეთებულ დაუმსახურებელ „საჩუქარს“ – მათი პრობოლშევიკური პოლიტიკური განწყობისათვის და საქართველოს დასასჯელად.

[About Abkhazia], in *Ibid.*, pp. 287-288; M. Lortkipanidze, “Aphkazebi da Aphkazeti” [The Abkhazians and Abkhazia], Tbilisi: Ganatleba, 1990, p. 22.

¹⁵⁹ *Istoriya bkhazii* (The History of Abkhazia). Lakoba S. Z. (ed.). Gudauda 1993, pp. 189, 205-217.

ადმინისტრაციული სტრუქტურის თვალსაზრისით, 1918 წლის 21 მაისს, საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა „აღიარა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაარსება და მიესალმა ამ ფაქტს“. ¹⁶⁰ მაგრამ მისი საქართველოსგან დამოუკიდებლობა გაგრძელდა 1918 წლის დეკემბრამდე მხოლოდ, როდესაც თბილისში რატიფიცირებული იქნა სამოკავშირეო ხელშეკრულება საქართველოსა და აფხაზეთს შორის. ამ სამოკავშირეო ხელშეკრულების თანახმად, ორმა მთავრობამ გადაწყვიტა დაემყარებინა მჭიდრო სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური თანამშრომლობა. ¹⁶¹ 1922 წლის დეკემბერში, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკად გაერთიანდნენ. აფხაზეთი მას შეუერთდა არა როგორც კონსტიტუციურად დამოუკიდებელი ერთეული, არამედ საქართველოს სამუალებით და მის შემადგენლობაში. ¹⁶² 1931 წელს, აფხაზეთი გადაკეთდა ავტონომიურ რესპუბლიკად საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში. ¹⁶³ აფხაზ ისტორიკოსებს მათი რესპუბლიკის სტატუსის თანდათანობითი დაკნინების პროცესი ძირითადად, ქართულ, და არა საბჭოთა პოლიტიკად მიაჩნიათ. ზოგიერთი მათგანი აღნიშნულს თვლის იმ „საჩუქრად,“ რომელიც საბჭოთა ლიდერმა იოსებ სტალინმა საქართველოს, თავის მშობლიურ ქვეყანას გაუკეთა.

1930-იანი წლების ბოლოს, ლავრენტი ბერიამ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერმა, მხარი დაუჭირა ათობით ათასი ქართველის (განსაკუთრებით, მეგრელების) ნაწილობრივ იძულებით გადასახლებას აფხაზეთში. ¹⁶⁴ აფხაზი ისტორიკოსების მიხედვით კი, ეს გაკეთდა არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მიზნებით, რაც „გაქართველების“ პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, მათ არგუმენტად მოჰყავთ რეპრესიული ღონისძიებები აფხაზური კულტურის წინააღმდეგ 1930-იან, 1940-იან და 1950-იან წლებში, მაგ. ფაქტი, როდესაც მთელი საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობდა მხოლოდ ქართულ ენაზე, დაწყებითი სკოლის დონეზეც კი, და რომ ნებისმიერი აფხაზური გადაცემა აკრძალული იყო. აფხაზები ასევე აღშფოთებულები იყვნენ იმ ფაქტით, რომ ბევრი ადგილობრივი ტოპონიმი ქართული სახელებით შეიცვალა.

¹⁶⁰ “Declaration of the Revolutionary Committee of the Soviet Socialist Republic of Georgia – May 21st 1921,” in Tamaz Diasamidze, *Regional Conflicts in Georgia (The Autonomous Oblast’ of South Ossetia, The Autonomous SSR of Abkhazia 1989-2008)*. Tbilisi 2008, p. 84.

¹⁶¹ “Union Treaty between the Soviet Socialist Republic of Georgia and the Soviet Socialist Republic of Abkhazia – December 16th 1921,” in: Tamaz Diasamidze... op. cit., p. 89.

¹⁶² “Constitution of the Soviet Socialist Republic of Abkhazia – April 1st 1925,” in: Tamaz Diasamidze... op. cit., p. 110.

¹⁶³ S. Lakoba, “History: 1917-1989,” in G. Hewitt... op. cit., p. 94.

¹⁶⁴ T.M. Shamba, A.Iu. Neproschin, op. cit., p. 73.

1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ამ დისკრიმინაციული ზომებიდან ბევრი გაუქმდა და რიგ დაწყებით სკოლებში განათლება აფხაზურ ენაზე წარიმართა. 1978 წელს სოხუმში გაიხსნა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქართული, რუსული და აფხაზური განყოფილებებით), უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დასავლეთ საქართველოში; ასევე დაიწყო აფხაზური სატელევიზიო გადაცემების მაუწყებლობა. აფხაზებს მიანიჭეს უფლება უფრო დიდი რაოდენობით ყოფილიყვნენ წარმოდგენილი მთავრობასა და ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციაში.

მიუხედავად ამისა, ავტონომიური რესპუბლიკების დაქვემდებარება მოკავშირე რესპუბლიკებისადმი საბჭოთა იერარქიულ სტრუქტურაში აფხაზურ ელიტას უფრო დაბალ საფეხურზე ტოვებდა, პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, საკავშირო დონეზე. ახალი პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო აფხაზური უმცირესობის (აფხაზეთის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 18%) მოთხოვნების გათვალისწინება, არ იყო საკმარისი მათი მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად. 1970-იანი წლებიდან იყო რამდენიმე წარუმატებელი მიმართვა საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლებისადმი რესპუბლიკის იურიდიული სტატუსის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსამდე ამაღლების თაობაზე, საქართველოსთან გათანაბრების მიზნით. საბოლოოდ, აფხაზმა ნაციონალისტებმა შექმნეს აფხაზეთის პოლიტიკური და კულტურული ისტორია, რომელიც ქართული ვერსიისაგან განსხვავებული ან მისი საწინააღმდეგო იყო.

ქართველები ასევე, აღიქვამდნენ საბჭოთა ფედერალურ პოლიტიკას, როგორც უაღრესად უსამართლოს, ხოლო აფხაზების წარმომადგენლობის სიჭარბე რესპუბლიკის სახელმწიფო ინსტიტუტებში ეწინააღმდეგებოდა მათ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო უმრავლესობის პრინციპი (ქართველები შეადგენდნენ რესპუბლიკის მთლიანი მოსახლეობის 46%-ს).¹⁶⁵ აფხაზები ამ დემოგრაფიულ არგუმენტს იმ განცხადებით აბათილებდნენ, რომ მათი უმცირესობაში ყოფნა რეპრესიული პოლიტიკის შედეგი იყო. აფხაზები, რომლებიც 1897 წელს აფხაზეთის მოსახლეობის 55%-ს შეადგენდნენ, დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ ეს უმრავლესობა

¹⁶⁵ In fact, both the Abkhaz and the Georgians enjoyed better positions at the expense of all the other nationalities. In 1990, 67% of the ministers of Abkhazia and 71% of regional communist party department heads were Abkhaz. In Georgia, in 1989, 89.3% of the administrative-managerial personnel were Georgian whereas the Georgians formed approx. 70% of the population of Georgia. Mimoshvili R., Pandzhikidze G, Pravda ob Abkhazii, Tbilisi, 1990, p.6, quoted in Slider Darrell, "Democratization in Georgia," in Dawisha Karen, Parrott Bruce (eds.), Conflict, Cleavage and Change in Central Asia and the Caucasus, Cambridge, 1997, p.170; Mirsky Georgiy I., On Ruins of Empire, Ethnicity and Nationalism in the Former Soviet Union, Westport, Greenwood Press, 1997, p.6.

დაკარგეს რუსეთის იმპერიიდან მათი იძულებითი ემიგრაციის და შემდეგ ეთნიკურად არააფხაზი ერების ჩამოსახლებით აფხაზეთის ტერიტორიაზე.¹⁶⁶

ქართული დისიდენტური მოძრაობა, რომელიც 1970-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო, ესწრაფვოდა ენისა და კულტურულ იმგვარი პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ქართული ნაწილის სასარგებლოდ იქნებოდა მიმართული. ისინი აკრიტიკებდნენ საბჭოთა ფედერალურ პოლიტიკას, რომ ის ძალიან დიდ დათმობებზე წავიდა უმცირესობების მიმართ. ასეთი კრიტიკა ძალიან ესადაგებოდა ქართული საზოგადოების შეშფოთებას, რითაც შესაძლოა, აიხსნას ქართველი ეროვნული ლიდერების უზარმაზარი პოპულარობა და უპირველეს ყოვლისა, ყოფილი დისიდენტისა და შემდგომში საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას პოპულარობა.

ურთიერთგამომრიცხავი ისტორიები: ქართველები და ოსები

ოსების მოსაზრებით, ისინი კავკასიონის ქედის ორივე მხარეს ცხოვრობდნენ, როგორც რეგიონის ერთ-ერთი უძველესი ერი. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსები საკუთარ თავს თვლიდნენ ოსი ერის სამხრეთ შტოდ; ერად, რომელიც უძველესი ხალხების მემკვიდრეა, კერძოდ, სკვითების, სარმატანებისა და ალანების. ისინი აცხადებენ, რომ უხსოვარი დროიდან, სამხრეთ ოსეთი ოსეთის ტერიტორია იყო, ხოლო ოსეთი რუსეთს მე-18 საუკუნეში შეუერთდა, საქართველოზე უფრო ადრე, თანაც მისგან დამოუკიდებლად.¹⁶⁷ ქართველი ისტორიკოსები არ უარყოფენ ოსების ალანებისგან წარმომავლობას, მაგრამ აცხადებენ, რომ მათი სამშობლო კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით იყო და ოსებმა სამხრეთისკენ მიგრაცია რამდენიმე საუკუნის წინათ დაიწყეს.¹⁶⁸ ისინი ქართველი ფეოდალი თავადების, მათ შორის მაჩაბლების მიწებზე დასახლდნენ. ქართველები ამ ტერიტორიას უწოდებენ არა „სამხრეთ ოსეთს“, არამედ „სამაჩაბლოს“ (ქართველი თავადების, მაჩაბლების მამულები) ან „შიდა ქართლს.“ ქართველებს უნდოდათ

¹⁶⁶ For a graph of the demographic changes which occurred in Abkhazia since 1897, see <http://www.c-r.org/ourwork/accord/georgia-abkhazia/graph2.php>.

¹⁶⁷ The Republic of South Ossetia (Documents, Chronicles, Concise Historical Information), Tskhinval, Yuznaya Alania, 2007, pp.50-52.

¹⁶⁸ See Helen Krag and Lars Funk, *The North Caucasus, Minorities at a Crossroads*, Minority Rights Group International London, November 1994, pp. , <http://www.minorityrights.org/4055/reports/the-north-caucasusminorities-at-a-crossroads.html> (accessed on 11 July 2009); Nikola Cvetkovski, *The Georgian – South Ossetian Conflict*. Dissertation under the supervision of Susanne Thorbek, Aalborg University, n.d., <http://www.caucasus.dk/publication5.htm> (accessed on 11 July 2009); Dennis Sammut and Nikola Cvetkovski, *The Georgia-South Ossetia Conflict* VERTIC Confidence-Building Matters Papers No 6, Vertic London, March 1996; A. Totadze, “The Ossets in Georgia: Myth and Reality,” Tbilisi: Universal, 2008, pp. 13-23.

გამოყენებული ტერმინოლოგიითაც კი, ნათლად ეჩვენებინათ, რომ მიუხედავად ოსების შესაძლო უმრავლესობისა ტერიტორიაზე, რეგიონი დასაბამიდანვე ქართული იყო.

ქართველი და ოსი ისტორიკოსების პოზიციები ასევე, ფართოდ განსხვავდება სხვა საკითხებზეც, საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული. როდესაც საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1918 წელს, ოსებმა უარი თქვეს, ყოფილიყვნენ გაყოფილები ახალი საერთაშორისო საზღვრებით. მათ მხარი რევოლუციურ რუსეთს დაუჭირეს. ოსი ისტორიკოსების აზრით, ეს მხარდაჭერა სამხრეთ ოსების ჩრდილო ოსეთთან გაერთიანების ერთადერთი გზა იყო.¹⁶⁹ მოხდა კონფლიქტი და ქართველებმა ტერიტორიაზე კონტროლი დაამყარეს სამხედრო ძალის გამოყენებით. ოსური წყაროების განცხადებით, ბრძოლაში დაიღუპა ხუთი ათასი ოსი.¹⁷⁰ ქართველები აღწერენ ამ დრამატულ მოვლენას, როგორც საკუთარი ახალგაზრდა სახელმწიფოს დანაწევრების პირველ მცდელობას, ხოლო ოსები - როგორც მათი ერის მიმართ განხორციელებული „გენოციდის“ პირველ აქტს.

ქართველი ისტორიკოსები ოსების მხრიდან ბოლშევიკების მხარდაჭერას სახელმწიფო ღალატად თვლიდნენ, რომელმაც 1921 წელს, საბჭოთა შემოსევას გაულო კარი. ქართველების აზრით, მადლობის ნიშნად, 1922 წლის აპრილში მოსკოვმა სამხრეთ ოსეთს ავტონომიური რეგიონის (ოლქის) სტატუსი მიანიჭა.

სამხრეთ ოსები აპროტესტებენ მათ წინააღმდეგ ქართველების მიერ გატარებულ რეპრესიულ პოლიტიკას, ატარებდნენ საბჭოთა პერიოდში.¹⁷¹ მათი აზრით, ავტონომიური ერთეულის შექმნა უბრალოდ, სიმბოლური იყო. ოსური ტოპონიმები ქართულით შეიცვალა. 1930 წელს, ოსების ლათინური ანბანი ქართული ანბანით შეიცვალა (1954 წელს ქართული ანბანი რუსული კირილიცათი შეიცვალა, როგორც სამხრეთ ოსეთში, ისე აფხაზეთში) და სკოლებში განათლების ენად ქართული იქნა შემოტანილი.¹⁷²

¹⁶⁹ I. Kochieva, A. Margiev, “Gruziia. Etnicheskie chistki v otnoshenii osetin” [Georgia. Ethnic cleansing in relation to the Ossetians], Moskva: Evropa, 2005, p. 8. The Ossetian argument was that when North Ossetia opted to join Soviet Russia, South Ossetia should have been included in that arrangement.

¹⁷⁰ See Boris Chochiev, Chronicle of events of the Georgian Aggression 1988-1992, Tskhinvali, 1996 p.126. This narrative was used later by the South Ossetians to justify their secession from Georgia. Speaking after the second conflict in 1989-92, the south Ossetian leader, Ludwig Chibirov, said “this is the second time in one generation that we have been the victims of genocide by the Georgians; in that way our demand for independence should not be seen as idealism but as pragmatism.” From a conversation with Ludwig Chibirov, July 1995, quoted in Dennis Sammut “Background to the Georgia-Ossetia conflict and future prospects for Georgian-Russian relations,” LINKS reports, 11 August 2008 (www.links-london.org).

¹⁷¹ Barbara A Andersen and Brian D. Silver, Equality, Efficiency and Politics in Soviet Bilingual Education Policy 1934-1980, The American Political Science review, Vol 78, Issue 4, 1984 pp 1019-1039.

¹⁷² The Republic of South Ossetia (Documents, Chronicles, Concise Historical Information), Tskhinval, Yuznaya Alania, 2007, p.54.

სამხრეთ ოსეთის გამოყოფა ¹⁷³

1980-იანი წლების დასასრულს, საბჭოთა კავშირის დასუსტებასთან ერთად, სამხრეთ ოსეთის ლიდერებმა კიდევ ერთხელ, და კიდევ უფრო კატეგორიულად გააჟღერეს ჩრდილო ოსეთთან შეერთების საკითხი. 1988 წელს დაარსდა ოსეთის ეროვნული მოძრაობა „ადამონ ნიხასი“ („სახალხო ტამარი;“ იმავე წელს მსგავსი მოძრაობა ჩამოყალიბდა აფხაზეთში). 1989 წლის 10 ნოემბერს, სამხრეთ ოსეთის რეგიონულმა საბჭომ საქართველოს უმაღლესი საბჭოსგან მოითხოვა, შეეცვალა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსი ავტონომიურ რესპუბლიკის სტატუსზე საქართველოს ფარგლებში, რაც საქართველოს უმაღლესმა საბჭომ უარყო. 1989 წლის 23 ნოემბერს, ეროვნულმა ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ აქცია მოაწყო ცხინვალისკენ დაახლოებით, 20.000-30.000 ქართველის მონაწილეობით „ქართველი მოსახლეობის დასაცავად“ ¹⁷⁴ სამხრეთ ოსეთში. სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებმა ხელი შეუშალეს დემონსტრაციის მონაწილეებს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში ჩასვლაში, მაგრამ იყო შეტაკებები ქართველ და ოს დემონსტრანტებს შორის.

ამასობაში, საქართველო ემზადებოდა პირველი მრავალპარტიული არჩევნებისთვის. 1990 წლის აგვისტოში მიიღეს კანონი, რომლის მიხედვით არჩევნებში მონაწილეობა შეეძლოთ მხოლოდ იმ პარტიებს, რომლებიც მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ეწეოდნენ საქმიანობას. ამის საპასუხოდ, სამხრეთ ოსეთის რეგიონულმა საბჭომ, რომელმაც ეს კანონპროექტი მოძრაობა „ადამონ ნიხასის“ არჩევნებში მონაწილეობისგან გასარიცხად დაგებულ მახედ აღიქვა, 1990 წლის 20 სექტემბერს მიიღო რეზოლუცია, რომელიც აცხადებდა სამხრეთ ოსეთის, როგორც საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის, სუვერენიტეტს საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

ზვიად გამსახურდიას გესლიანი გამოსვლები ოსების, როგორც საქართველოს „უმაღური სტუმრების“ მიმართ, ახლა კონსტიტუციურ პოლიტიკად გარდაიქმნა. 1990 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, რომლის კოალიციამ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში გაიმარჯვა, გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომია. იმავე თვეში საქართველომ განახორციელა ტერიტორიული ბლოკადა, რომელიც 1992 წლის

¹⁷³ South Ossetian perspectives on their history and justification of their claim to independence are to be found on the official website of the Tskhinvali authorities <http://cominf.org/english/> (accessed on 9 February 2009). There is also a special website accusing the Georgian authorities of a systematic policy of genocide of South Ossetia: <http://osgenocide.ru/> (accessed on 9 February 2009).

¹⁷⁴ S. Serrano, “Géorgie. Sortie d’empire,” Paris: CNRS Editions, 2007, p. 10.

ივნისამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში ქართული და ოსური შეიარაღებული ფორმირებები ულმობლად იბრძოდნენ, ახორციელებდნენ ძალადობას და სისასტიკეს სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ. 1991 წლის აპრილში, სამხრეთ ოსეთში გაიგზავნა საბჭოთა შენაერთები, მაგრამ ბრძოლები ქართულ და ოსურ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებს შორის გრძელდებოდა. აღნიშნული ასევე, გაგრძელდა 1992 წლის იანვარშიც, ზვიად გამსახურდიას პუტჩის გზით ძალადობრივი ჩამოგდების შემდეგ და პუტჩის ლიდერების მიერ შევარდნაძის მოწვევით და მისი მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ.

სსრკ-ის 1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმში სამხრეთ ოსეთის რეგიონის ოსმა მოსახლეობამ (ისევე, როგორც აფხაზეთის ეთნიკურად არაქართველმა მოსახლეობამ), ხმა მისცა საბჭოთა კავშირის შენარჩუნების სასარგებლოდ,¹⁷⁵ მაშინ, როდესაც 1991 წლის 31 მარტს, საქართველომ ჩაატარა ცალკე რეფერენდუმი საკუთარი დამოუკიდებლობის საკითხზე. 1992 წლის 19 იანვარს, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, სამხრეთ ოსებმა მონაწილეობა მიიღეს მეორე რეფერენდუმში, სადაც მონაწილეთა უდიდესმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საქართველოსგან საკუთარ დამოუკიდებლობას და რუსეთთან შეერთებას.¹⁷⁶ საქართველოს მთავრობამ უარი თქვა რეფერენდუმის აღიარებაზე, რადგან ის უკანონოდ ჩათვალია. 19 იანვრის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, 1992 წლის 29 მაისს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პარლამენტმა „საზეიმოდ გამოაცხადა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა“¹⁷⁷ საქართველოსგან. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტმა“ რამდენიმეჯერ მიმართა რუსეთს და ითხოვდა მისგან ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობას და/ან მის მიღებას რუსეთის ფედერაციაში, მაგრამ რუსეთი ამ მოთხოვნას არ დაეთანხმა.

1992 წლის 24 ივნისის შეხვედრაზე, პრეზიდენტებს – ბორის ელცინსა და ედუარდ შევარდნაძეს, ასევე ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს შორის, ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და შეიქმნა სამშვიდობო ძალები რუსული, ქართული და ოსური დანაყოფების შემადგენლობით.¹⁷⁸

¹⁷⁵ The exact results of the 1991 referendum in South Ossetia have never been published and the Soviet Central Commission for the Referendum did not include South Ossetia into its official Communiqué on the outcome of the referendum.

¹⁷⁶ A Political and Legal Assessment of the 1989-1992 Developments, Resolution of the Parliament of the Republic of South Ossetia, Tshhinval, 26 April 2006.

¹⁷⁷ “Declaration of Independence of the Republic of South Ossetia – May 29th 1992,” in: Tamaz Diasamidze... op. cit., p. 120.

¹⁷⁸ The 1992 Sochi Agreement “on principles of settlement of the Georgian-Ossetian conflict” between The Republic of Georgia and the Russian Federation signed by Edward Shevardnadze and Boris Yeltsin on 24 June 1992. Newspaper “Svobodnya Gruzia” issue 82, 27 June 1992; informal English translation available on www.rrc.ge

აფხაზეთის გამოყოფა ¹⁷⁹

აფხაზეთის ეროვნული მოძრაობა „აიდგილარა“ (ერთობა) 1988 წელს ჩამოყალიბდა. 1989 წლის 18 მარტს, მასობრივ შეკრებაზე სოფელ ლიხნში 30.000-ზე მეტმა ადამიანმა მოითხოვა აფხაზეთის იურიდიული სტატუსის აღდგენა, რომელიც მას ჰქონდა 1921 წელს, როგორც მოკავშირე რესპუბლიკას.

1989 წლის 14 მაისს, ხელისუფლებამ თბილისში გადაწყვიტა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული განყოფილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალად გადაეკეთებინა. ქართული უნივერსიტეტის ცალკე ფილიალის შექმნა აფხაზების მიერ აღქმული იქნა, როგორც მათი საგანმანათლებლო სისტემისთვის ძირის გამოთხრის მცდელობა და „პრაქტიკული, გონივრული და მშვიდობიანი დიალოგის უზადრუკი ხრიკებით“ ჩანაცვლების მცდელობა.¹⁸⁰ ამან გამოიწვია აფხაზების საპროტესტო დემონსტრაციები, რასაც 1989 წლის ივლისში შეიარაღებული შეტაკებები მოჰყვა სოხუმსა და ოჩამჩირეში, სადაც რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა და ბევრი დაიჭრა.

1990 წლის 25 აგვისტოს, აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაცია,“ ქართველი დეპუტატების დაუსწრებლად.¹⁸¹ დოკუმენტის წმინდა დეკლარაციული ხასიათი არ ცვლიდა აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსს,¹⁸² მაგრამ ახდენდა დემონსტრირებას აფხაზეთის მისწრაფებისა, განეხილათ აფხაზეთი სუვერენულ რესპუბლიკად,

¹⁷⁹ Darrell Slider, 'Georgia', in Glenn Eldon Curtis (ed.), *Armenia, Azerbaijan and Georgia: Country Studies* (Washington, DC, Library of Congress, 1995), 149-230; Jürgen Gerber, *Georgien: Nationale Opposition und kommunistische Herrschaft seit 1956* (Baden-Baden, Nomos Verlag, 1997); Naira Gelaschwili, *Georgien: Ein Paradies in Trümmern* (Berlin, Aufbau Taschenbuch Verlag, 1993); Svetlana Chervonnaya, *Conflict in the Caucasus: Georgia, Abkhazia and the Russian Shadow* (London, Gothic Image, 1994); Jonathan Cohen (ed), *A Question of Sovereignty: The Georgia-Abkhazia Peace Process, Accord: An International Review of Peace Initiatives*, 7 (1999); For an Abkhaz view of the history of Georgian-Abkhaz relations see Stanislav Lakoba, *Ocherki politicheskoi istorii Abkhazii* (Sukhum, Alashara, 1990), and *Abkhazia. Posle dvukh okkupatsii*, (Gagra, Assotsiatsiya 'Intelligentsia Abkhazii', 1994).

¹⁸⁰ "Decree issued by the Presidium of the Supreme Council of the Abkhaz ASSR on the substantive exacerbation of the inter ethnic relations in the Abkhaz ASSR because of the unlawful attempt to establish a Sukhumi branch of the Tbilisi State University – July 15th 1989," in: Tamaz Diasamidze... op. cit., p. 3.

¹⁸¹ The Declaration was denounced the day after by the Georgian Supreme Soviet, and resulted in numerous protest rallies and the blockade of the railway in Sukhumi. A week later, the deputies who were absent during the vote of the declaration met and rescinded it. Chumalov, op. cit. pp. 218-19.

¹⁸² Indeed, the Supreme Council of Abkhazia decreed that "before the resolution of this issue by the Supreme Council of the USSR and concluding the new union treaties, the current state-legal relations between Georgia and Abkhazia shall remain in force." "Decree issued by the Supreme Council of the Abkhaz SSR on Legal Guarantees of Protection of the Statehood of Abkhazia" in: Tamaz Diasamidze... op. cit., pp.29-31. Such declarations of sovereignty were far from extraordinary at that time: 28 other entities, including autonomous republics, autonomous oblasts, Transdnestrria, Crimea and Gagauzia declared their sovereignty from December 1989 to September 1991. Walker Edward W., *Dissolution. Sovereignty and the Breakup of the Soviet Union*, Lanham, Rowman and Littlefield Publishers, 2003, p.96.

რომელსაც შეეძლო ახალი ხელშეკრულება გაეფორმებინა საქართველოსთან სახელმწიფო/სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით. მეორე დღესვე საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვეტილება უკანონოდ გამოაცხადა. 1991 წლის 17 მარტს ქართველი, მათ შორის, აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის მიერ ბოიკოტირებული იყო რეფერენდუმი საბჭოთა კავშირის შენარჩუნების საკითხზე. თუმცა, აფხაზეთის ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ (ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთში) მონაწილეობა მიიღო რეფერენდუმში (ხმის უფლების მქონე ამომრჩევლების 52%), და ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის 99%-მა ხმა საკითხის დადებით გადაწყვეტას მისცა.¹⁸³ ეს ნიშნავდა, რომ საკანონმდებლო ომმა წარმოშვა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის საკითხი.

2. სამშვიდობო ძალისხმევა აფხაზეთში

დაძაბულობის ესკალაცია 1991-1992 წლებში

საარჩევნო კანონი და ძალაუფლების გაყოფის ხელშეკრულება

მოლაპარაკებები თბილისსა და სოხუმს შორის მიზნად ისახავდა მზარდი დაძაბულობის გადაჭრას აფხაზეთში – ძირითადად, მის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით, რომელიც ჯერ კიდევ, 1991 წელს დაიწყო, ანუ დასუსტებული საბჭოთა კავშირის ფორმალურ დაშლამდე. წარმოიქმნა აფხაზეთში ძალაუფლების გადანაწილების საჭიროება. პირველი წინადადება, წამოყენებული 1991 წლის მარტში აფხაზეთის ეროვნული ფორუმის „აიდგილარას“ (ერთობა) მიერ, ეხებოდა ადგილობრივი უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაციას. მოწოდებული იყო იდეა ორპალატიანი პარლამენტის შექმნის შესახებ აფხაზეთში, რომლის შემადგენლობაში შევიდოდა, ერთი მხრივ, რესპუბლიკის საბჭო – მოქალაქეთა უფლებების თანასწორობის პრინციპის საფუძველზე და ტერიტორიული ერთეულების საზღვრების მიხედვით; და მეორე მხრივ, ეროვნებათა უფლებების თანასწორობის პრინციპის საფუძველზე და ტერიტორიული ერთეულების საზღვრების მიხედვით შექმნილი ეროვნული საბჭო.¹⁸⁴ ეს წინადადება უარყოფილი იქნა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ, რომელიც როგორც ჩანს, შეშინდა, რომ აფხაზეთს ექნებოდა ვეტოს უფლება ეროვნებათა საბჭოში და რომ ამ მოდელს, შესაძლოა, შეექმნა საქართველოსთვის არასასურველი პრეცედენტი ქვეყანაში მცხოვრები სხვა ეროვნებებისთვის.¹⁸⁵

¹⁸³ Information of the Central State [Election] Commission of the Abkhaz ASSR. In: Tamaz Diasamidze... op. cit., p. 54.

¹⁸⁴ Hewitt George B., “Abkhazia: a problem of identity and ownership,” *Central Asia Survey*, 12(3), 1993, p.321.

¹⁸⁵ Interviews in Sukhumi on 6/11/07 and 05/05/08.

საბოლოოდ, 1991 წლის ივლისში, მხარეები საბჭოთა ტიპის ქვოტაზე დაფუძნებულ გადაწყვეტას დაუბრუნდნენ. ყველა რაიონისთვის აფხაზი, ქართველი და სხვა ეროვნების ასარჩევი კანდიდატების რაოდენობა უნდა განსაზღვრულიყო კანონით. 28 ადგილი გამოიყო აფხაზი, 26 – ქართველი, ხოლო 11 – დანარჩენი ეროვნებების დეპუტატებისთვის. დამატებითი მოლაპარაკებები გაიმართა ქართულ-აფხაზური შეთანხმების კომიტეტში პარლამენტის პროცედურის და პოლიტიკური მანდატების სხვადასხვა ეროვნებებისთვის განაწილების საკითხებზე მოსალაპარაკებლად. კომიტეტმა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა აფხაზი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ – ქართველი, მინისტრთა საბჭოს თანამდებობებზე კი – პირიქით.¹⁸⁶ თუ მხედველობაში იქნება მიღებული ის ფაქტი, რომ ამ რეფორმამდე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობა უკვე მინიჭებული ჰქონდათ აფხაზებს, და რომ აფხაზებს უკვე ჰქონდათ უმაღლეს საბჭოში მანდატების უმრავლესობა, ასევე ის, რომ მინისტრთა საბჭოს უკანასკნელი თავმჯდომარე იყო ქართველი, შეთანხმებებს ძალთა ბალანსი ძირეულად არ შეუცვლია. თუმცა, რეფორმებს ჰქონდა ორი უპირატესობა: ისინი იცავდნენ აფხაზებს ქვოტების მოხსნისგან, ხოლო ქართველებს – არასასურველი კონსტიტუციური ცვლილებებისგან. მართლაც, საკონსტიტუციო ცვლილებების ახალი კანონის მიხედვით, საკონსტიტუციო საკითხების დღის წესრიგში დასაყენებლად საჭიროა უმრავლესობის ორი მესამედი, შემდეგ კი, კანონების მიღება.¹⁸⁷ ძალაში შესვლის შემთხვევაში ეს კანონი გამორიცხავდა ცალმხრივი ცვლილების შესაძლებლობას სხვა ეროვნული ძალის მხრიდან დამტკიცების გარეშე, რაც ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა ძველი კანონის ძალაში ყოფნის შემთხვევაში.

პრეზიდენტმა გამსახურდიამ, შესაძლოა, იფიქრა, რომ კომპრომისული გადაწყვეტილების მიღებისა და აფხაზეთის ზოგიერთი პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თბილისი შეასუსტებდა არსებულ პოლიტიკურ დამაბულობას აფხაზეთში და თავიდან აიცილებდა მეორე კონფლიქტს საქართველოში (პირველი კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში იყო). თუმცა, პრობლემა იყო, რომ ეს კომპრომისი სრულად არ აკმაყოფილებდა არც აფხაზი, და არც ქართველი თემის მისწრაფებებს (რომელიც ხშირად ამ შეთანხმებას აღწერდა, როგორც „აპარტიდის კანონს“). გარდა ამისა, 1991 წლის 25 სექტემბერს ჩატარებული არჩევნების შემდეგ, ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს 11 დეპუტატისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც სხვა ეროვნებებს წარმოადგენდა, გაიყო. შვიდი მათგანი შეუერთდა აფხაზურ ფრაქციას, ხოლო ოთხი -

¹⁸⁶ Similarly, the Ministers, Chairmen of State Committees and other agencies under the jurisdiction of the Council of Ministers were to be appointed by two thirds of the votes, meaning that the Georgians and the Abkhaz had to agree on every appointment. “Temporary Law of the Abkhaz ASSR on Rules of Election and Appointment of Officials by the Supreme Council of the Abkhaz ASSR,” 27 August 1991, in: Tamaz Diasamidze... op. cit., pp. 71-72.

¹⁸⁷ “Law of the Abkhaz ASSR on changes to the law of the Abkhaz ASSR on Public Referendum in the Abkhaz ASSR,” 27 August 1991, in: Tamaz Diasamidze... op. cit., p.71.

ქართულს. ამგვარად, 65-წევრიან უმაღლეს საბჭოში შედგა 35-წევრიანი პრო-აფხაზური უმრავლესობა. ქართული მხარის მიხედვით, გარკვეულ შემთხვევებში ეს უმრავლესობა იღებდა საკონსტიტუციო კანონებს ორი მესამედის უმრავლესობის მოთხოვნის დარღვევით; ეს მოთხოვნა განსაზღვრული იყო საკონსტიტუციო ცვლილებების ახალი კანონით,¹⁸⁸ რამაც ახალი დავები გამოიწვია.

1992 წლის მაისში (ე.ი.სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ თბილისში, რომლის შედეგადაც პრეზიდენტ გამსახურდიას ჩამოერთვა ძალაუფლება, ხოლო ედუარდ შევარდნაძე არჩეულ იქნა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ), საქართველოს გაღიზიანებულმა წარმომადგენლებმა დატოვეს ადგილობრივი უმაღლესი საბჭო, მთავრობა და ჩამოაყალიბეს ძალაუფლების პარალელური სტრუქტურები. ორი თვის შემდეგ, პროაფხაზურმა დეპუტატებმა შეცვალეს 1978 წლის კონსტიტუცია 1925 წლის კონსტიტუციის პროექტით და წამოაყენეს წინადადება აფხაზეთსა და საქართველოს შორის ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების თაობაზე.¹⁸⁹ სტატუსის შესახებ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებას რაიმე ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია; თუმცა, მთლიანობაში მოვლენების განვითარებამ კიდევ უფრო გააძლიერა დამაბულობა აფხაზეთში. 1992 წლის 14 აგვისტოს, საქართველოს შეიარაღებული ძალების შესვლამ აფხაზეთის ტერიტორიაზე საკმაოდ ხანგრძლივად მოშალა პოლიტიკური კონტაქტები მხარეებს შორის.

შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება და სამშვიდობო ძალისხმევა 2008 წლამდე

1992 წლის 14 აგვისტოს, ქართული ჯარების შესვლამ აფხაზეთში ოფიციალურად – რუსეთის, სომხეთსა და აზერბაიჯანთან საქართველოს ტერიტორიის გავლით დამაკავშირებელი რკინიგზის დასაცავად – საომარი მოქმედებები გამოიწვია, რომლებიც, რამდენიმე ხანმოკლე დაზავებით, 1994 წლის 1 მაისამდე გაგრძელდა.¹⁹⁰

1992 წლის აგვისტოს, ქართულმა ძალებმა მოახერხეს კონტროლის დამყარება აფხაზეთის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებზე (ქალაქ ტყვარჩელის გარდა, აღმოსავლეთით), მაშინ როდესაც პრო-აფხაზური ფორმირებები აკონტროლებდნენ ცენტრალურ ნაწილს (მდინარეების გუმისტასა და ბზიფს შორის და გუდაუთას ჩათვლით).

¹⁸⁸ For example, on 23 July 1992, without the two-thirds majority required to make constitutional changes, the pro-Abkhaz deputies replaced the 1978 Constitution with a 1925 draft Constitution and proposed to work on a new Union treaty between Abkhazia and Georgia. They entrusted the Presidium to bring proposals to the session of the Supreme Council to “restore inter-state relations between Abkhazia and Georgia. [See: Tamaz Diasamidze... op. cit., p.131].

¹⁸⁹ Decree issued by the Supreme Council of Abkhazia on Decree issued by the State council of Georgia “on Regulation of Problems on Formation and Operation of the Border zone of the Republic of Georgia,” 3 June 1992, in: Tamaz Diasamidze... op. cit., p.101.

¹⁹⁰ ომის შესახებ იხილეთ: იური ანჩაბაძე, ისტორია – თანამედროვე პერიოდი და Dodge Billingsley, ომის სამხედრო ასპექტები: შემობრუნების წერტილი. G. Hewitt. შრ. ციტ., გვ. 132-146, 147-156.

მოლაპარაკებების პირველი სერიოზული საერთაშორისო მცდელობა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შესახებ, რუსეთის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტის, ბორის ელცინის მიერ განხორციელდა. ამ ძალისხმევის შედეგი იყო 1992 წლის 3 სექტემბრის სამშვიდობო შეთანხმება.¹⁹¹ ქართველი, აფხაზი და რუსი ხელმძღვანელების გარდა, ამ შეთანხმებას ხელი მოაწერეს რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა. სხვა მრავალთა შორის, ის ითვალისწინებდა ცეცხლის შეჩერებას, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გაყვანას აფხაზეთიდან და ქართული ძალების შემცირებას „შეთანხმებით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად შესაბამის დონემდე“ (რკინიგზის და სხვა ნაგებობების დაცვა). უფრო მნიშვნელოვანია ისა, რომ ეს შეთანხმება მოიცავდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ერთადერთ მკაფიო აღიარებას, რაც კი აფხაზურ მხარეს ოდესმე გამოუხატავს საქართველოს მიმართ; ასევე იგი მოუწოდებდა გაერო-ს და ეუთო-ს ამ რეგიონში სამშვიდობო ძალისხმევისკენ. გაერო-ს პირველი სამშვიდობო მისია რეგიონში უკვე 1992 წლის სექტემბერში ჩავიდა.¹⁹²

თუმცა, ცეცხლის შეჩერება 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმების მიხედვით, დიდხანს არ გაგრძელებულა და, ოქტომბრის დასაწყისში, პრო-აფხაზურმა ძალებმა, რომელსაც მხარს უჭერდნენ მოხალისეები ჩრდილოეთ კავკასიიდან და რუსეთის ფედერაციის სხვა ნაწილებიდან, დაიწყეს შეტევა ბზიფის გადმოდმა და დაიკავეს აფხაზეთის მთელი დასავლეთი ნაწილი, ქალაქ გაგრის ჩათვლით, საქართველო-რუსეთის საზღვრამდე, მდინარე ფსოუს გასწვრივ. მრავალი ანალიტიკოსი სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს აფხაზეთის სამხედრო წარმატებას 1992 წლის ოქტომბერში, ვინაიდან ამან საშუალება მისცა აფხაზებს, გადაელახათ „სენდვიჩის“ მოუხერხებელი პოზიცია საქართველოს მიერ კონტროლირებულ ზონებს შორის და მათ გაუჩნდათ პირდაპირი, დაუბრკოლებელი სახმელეთო კავშირი რუსეთის ფედერაციასთან.

1992 წლის ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებზე გაერო-მ რეაგირება მოახდინა მაღალი რანგის კიდევ ერთი მისიის გაგზავნით საქართველოში და რეგიონში გაერო-ს „პირველადი დასწრების“ ჩამოყალიბებით. გაერო-ს როლი რეგიონში სამშვიდობო ძალისხმევაში შემდგომ გაიზარდა 1993 წლის მაისში, როდესაც გაერო-ს გენერალურმა მდივანმა დანიშნა თავისი სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში. მისი ამოცანები მდგომარეობდა შეთანხმების მიღწევაში ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, მხარეების დახმარებაში მოლაპარაკებების აღდგენასთან დაკავშირებით და მესამე

¹⁹¹ თამაზ დიასამიძე, მოსკოვის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტი, *შრ. ციტ.*, გვ. 132-133.

¹⁹² აფხაზეთში, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში UNPO მისიის მოხსენება, 1992 წლის ნოემბერი. <http://www.unpo.org/downloads/AbkGeo1992Report.pdf>; 24.08.2009.

ქვენების მხარდაჭერის მოპოვებაში და ამ მიზნების მიღწევაში CSCE-ის მოქმედ თავმჯდომარესთან კოორდინაციით.¹⁹³

ამასობაში, საომარი მოქმედებები აფხაზეთში გრძელდებოდა, განსაკუთრებით მძიმე ბრძოლებით სოხუმში, ტყვარჩელში, ტამიშში და მათ გარშემო, ისევე როგორც მდინარე გუმისტას გასწვრივ (1993 წლის მარტსა და ივლისში). მხოლოდ 1993 წლის 27 ივლისს გამოიღო შედეგი რუსეთის შუამდგომლობამ და შედგა ახალი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ (ე. წ. სოჭის შეთანხმება).¹⁹⁴ ის ასევე, ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონის თანდათანობითი დემილიტარიზაციას ცეცხლის ხაზის ორივე მხარეს (ძირითადად, მდ. გუმისტას დინების გასწვრივ); ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებას; მონიტორინგის ჯგუფების, ქართველების, აფხაზებისა და რუსების და შეთანხმებისამებრ, გაერო-ს და ეუთო-ს წარმომადგენლებისგან შემდგარი ერთობლივი კომისიის შექმნას მშვიდობიანი დარეგულირებისთვის; რკინიგზის დაცვას ქართველი და აფხაზი სპეციალური ძალების მიერ; საერთაშორისო დამკვირვებლებისა და სამშვიდობო ძალების, ასევე, რუსეთის სამხედრო კონტინგენტის განლაგებას ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველსაყოფად. ასევე, იგი ითვალისწინებდა მოლაპარაკებების გამართვას გაერო-ს ეგიდით და რუსეთის ფედერაციის, როგორც ფასილიტატორის ხელშეწყობით, კონფლიქტის სრული დარეგულირების მიზნით.¹⁹⁵

სოჭის შეთანხმების შემდეგ, გაერო-ს უშიშროების საბჭომ, 1993 წლის 24 აგვისტოს #858 რეზოლუციით, დააარსა გაერო-ს სადამკვირვებლო მისია საქართველოში (UNOMIG), რომელიც შედგებოდა 88 სამხედრო დამკვირვებლისგან, მხარდამჭერ პერსონალთან ერთად, მათი ფუნქცია შეთანხმებასთან შესაბამისობის დადგენაში მდგომარეობდა. გაერო-ს დამკვირვებელთა პირველი მცირე ჯგუფი კონფლიქტის ზონაში 1993 წლის აგვისტოს ბოლოს ჩავიდა.¹⁹⁶

მას შემდეგ, რაც ქართული მძიმე შეიარაღება გამოყვანილ იქნა კონფლიქტის ზონიდან სოჭის შეთანხმების თანახმად, პრო-აფხაზურმა ძალებმა დაარღვიეს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და 1993 წლის 16 სექტემბერს, დაიწყეს მასიური შეტევა სოხუმზე და ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ქართულ მხარეზე განლაგებულ რამდენიმე სხვა პოზიციაზე. ამავდროულად, განდევნილი პრეზიდენტის, ზვიად გამახურდიას მხარდამჭერებმა განაახლეს აჯანყება სამეგრელოს რეგიონში (დასავლეთ

¹⁹³ Repertoire of the Practice of the Security Council 1993-95, თავი 8: სიტუაცია საქართველოში, ხელმისაწვდომია: http://www.un.org/french/docs/cs/repertoire/93-95/93-95_chap08table.htm. მაისი, 2009, გვ. 4. აგრეთვე: Hewitt George, აფხაზეთი: პრობლემა, *შრ. ციტ.*

¹⁹⁴ თამაზ დიასამიძე, შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და მისი შესრულების მექანიზმები აფხაზეთში, *შრ. ციტ.*, გვ. 154.

¹⁹⁵ იქვე.

¹⁹⁶ <http://www.un.org/Depts/dpko/missions/unomig/background.html>; წვდომა: 24.08.2009.

საქართველოში, აფხაზეთის საზღვარზე),¹⁹⁷ ამრიგად, სამთავრობო ძალები მოექცა ორ საცეცხლე ხაზს შორის. ისინი ორ კვირაში დაამარცხეს და აფხაზეთის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაიკავეს პრო-აფხაზურმა ძალებმა. ერთადერთი გამონაკლისი იყო კოდორის ხეობა, სადაც ბრძოლა 1994 წლის გაზაფხულამდე გაგრძელდა; 1994 წლის 4 აპრილის კი, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ზომების მისაღებად შედგა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ხოლო შემდგომში მოხდა შესაბამისი საკითხების ფორმალიზაცია 1994 წლის 14 მაისის ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების განცალკევების შეთანხმებაში. ორივე დოკუმენტს ხელი მოეწერა მოსკოვში რუსეთისა და გაერო-ს მედიატორობით.¹⁹⁸

მოსკოვის შეთანხმება, სხვათა შორის, ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას და საერთაშორისო დამკვირვებლებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიური სამშვიდობო ძალების (CIS PKF) განლაგებას. ძალების გამოცალკევება გაძლიერებული იყო უსაფრთხოების ზონებისა და შეზღუდული შეიარაღების ზონების ჩამოყალიბებით ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ორივე მხარეს; ცეცხლის შეწყვეტის ხაზი კი, იმ დროს, ძირითადად, მიჰყვებოდა მდინარე ენგურს და ემთხვეოდა ქართულ-აფხაზურ ადმინისტრაციულ საზღვარს.

მოსკოვის შეთანხმების თანახმად, დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალები (CIS PKF), პრაქტიკულად, მთლიანად რუსული ძალა, კონფლიქტი ზონაში იმყოფებოდა 1994 წლის ივნისამდე. ეს პოსტ ფაქტუმ მოწონებული იქნა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ, მაშინ როდესაც რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ ეჭვი გამოთქვა ასეთი როლის მეზობელი ძალისთვის მინდობასთან დაკავშირებით, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესები ჰქონდა ამ ზონაში.

21 ივლისის #937 რეზოლუციაში, გაერო-ს უშიშროების საბჭომ ასევე გაზარდა UNOMIG-ის მანდატი და იგი გაავრცელა 136 სამხედრო დამკვირვებელზე შესაბამისი სამოქალაქო დამხმარე პერსონალით.¹⁹⁹ ზემოთ აღწერილ მოვლენებს მოჰყვა შეთანხმება გაერო-ს გენერალურ მდივანს ბუტროს-ბუტროს გალის და დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს თავმჯდომარეს, ბორის ელცინს შორის UNOMIG-სა და CIS PKF-ს შორის თანამშრომლობის შესახებ.²⁰⁰ ზემოხსენებულმა ზომებმა გააძლიერა ცეცხლის შეწყვეტის დაცვა და საფუძველი დაუდო სამშვიდობო პროცესს. 1992–1994 წლების

¹⁹⁷ გიორგი კინწურაშვილი, ინტერვენცია ამიერკავკასიაში. „პერსპექტივა,“ ტომი IV Nr. 3 (თებერვალი/მარტი 1994), <http://www.bu.edu/iscip/vol4/Khutsishvili.html>; 24.08.2009.

¹⁹⁸ ოთხმხრივი შეთანხმება ლტოლვილების და გადაადგილებული პირების ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ, თამაზ დიასამიძე. *შრ. ციტ.*, გვ. 172-174; დეკლარაცია საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ზომების შესახებ, თამაზ დიასამიძე. *შრ. ციტ.*, გვ. 175; შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის და ძალების გამოცალკევების შესახებ. თამაზ დიასამიძე. *შრ. ციტ.*, გვ. 179-181.

¹⁹⁹ <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/298/25/PDF/N9429825.pdf?OpenElement>; 24.08.2009.

²⁰⁰ http://untreaty.un.org/unts/120001_144071/9Z3/00006986.pdf; 24.08.2009.

აფხაზეთის კონფლიქტმა, სადაც ჩართული იყვნენ მოხალისეები ჩრდილოეთ კავკასიიდან, რუსეთიდან და რომელიც საქართველოს დამარცხებით დასრულდა, გამოიწვია ათასობით მსხვერპლი ორივე მხარეს და გააღრმავა არსებული მტრობა. დაახლოებით 300 000 ადამიანს,²⁰¹ რაც ძირითადად ქართველ მოსახლეობას მოიცავდა, (დაახლოებით 250 000-ს), მოუხდა აფხაზეთიდან გამოქცევა.²⁰² ქართველებისთვის ეს ეროვნული ტრაგედია იყო. აფხაზეთიდან გადაადგილებულმა მოსახლეობამ დაიკავა სასტუმროები, სკოლები და პრაქტიკულად, ყველა ცარიელი შენობა თბილისში. საქართველომ, უკვე დაღლილმა წინა ხუთი წლის მოვლენებით, შემდგომ ქაოსსა და იმედგაცრუებაში შეაბიჯა.

1992–1994 წლების ქართულ-აფხაზურ შეიარაღებულ კონფლიქტსა და მის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე მეტად წინააღმდეგობებით აღსავსე და სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირებული საკითხი იყო რუსეთის როლი კონფლიქტში და მისი პასუხისმგებლობა კონფლიქტთან მიმართებაში. ქართველი, აფხაზი და რუსი მეცნიერები თანხმდებიან რუსეთის ჩართულობის არათანმიმდევრულ ბუნებაზე. ბევრს მიაჩნია, რომ პოლიტიკურმა კრიზისმა მოსკოვში, რომელმაც 1993 წლის ოქტომბერში, ელცინის მიერ პარლამენტის დათხოვნა გამოიწვია – გამორიცხა რუსეთის მიერ რაიმე სახის დაგეგმილი, დაბალანსებული ინტერვენცია მის სამხრეთ საზღვართან.²⁰³

ჩანდა, რომ რუსეთის პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვან წარმომადგენლებს სურდათ ახალი პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების (კავკასიის სახელმწიფოების ჩათვლით), ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის შენარჩუნება, მაგრამ ეს არ ყოფილა ერთობლივი შეხედულება და კერძოდ, არ ყოფილა რუსეთის სამხედრო ან აფხაზეთში განლაგებული ადგილობრივი მეთაურების მთავარი საზრუნავი, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს აფხაზურ მხარეს.²⁰⁴ უთანხმოება რუსეთის მთავრობის სხვადასხვა ფრაქციას შორის გვიჩვენებს, თუ რატომ იღებდა გარკვეულ ეტაპებზე ორივე მხარე – ქართველებიც და აფხაზებიც – რუსეთის მნიშვნელოვან მხარდაჭერას.

ჯერ კიდევ რთულია 1992–1994 წლების აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის ზუსტი როლის შესახებ მსჯელობა. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ რამდენიმე გადამწყვეტ მომენტში რუსეთის მიერ აფხაზეთის მხარდაჭერამ, შექმნა დიდი წინააღმდეგობა მოსკოვსა და

²⁰¹ <http://daccessdds.un.org/doc/UND0C/GEN/N94/055/27/PDF/N9405527.pdf?0penElement>; 24.08.2009.

²⁰² თამაზ დიასამიძე, „რეზოლუცია 896 (1994) მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ - 31 იანვარი, 1994,“ შრ. ციტ., გვ. 168-169.

²⁰³ Bruno Coppieters, საქართველოს უსაფრთხოების დადგენა. Bruno Coppieters, Robert Legvold (ed.), სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება, საქართველო ვარდების რევოლუციის შემდეგ. The MIT Press, კემბრიჯი, ლონდონი 2005, გვ. 373.

²⁰⁴ Alexei Zverev, ეთნიკური კონფლიქტი კავკასიაში 1988-1994. საკამათო საზღვრები კავკასიაში. VUBPRESS ბრიუსელი 1996, გვ. 51 და შემდ.

თბილისს შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით. საზოგადოებრივი აზრი საქართველოში, ძირითად პასუხისმგებლობას აფხაზეთის კონფლიქტისა და აგრეთვე, საქართველოს დამარცხებისთვის, რუსეთს აკისრებდა.

კონფლიქტის ორ მხარეს შორის შუამავლობის საერთაშორისო ძალისხმევა, პრაქტიკულად, შეუსუსტებლად მიმდინარებდა, აფხაზეთში შეიარაღებული დაპირისპირების ზემოთ ნახსენებ პერიოდში, და მას შემდეგ. გაერო-ს ეგიდით ბევრი მცდელობა განხორციელდა. საქართველოს მეგობართა ჯგუფი შეიქმნა 1993 წლის დეკემბერში²⁰⁵ და მოიცავდა საფრანგეთს, გერმანიას, რუსეთის ფედერაციას, გაერთიანებულ სამეფოს და შეერთებულ შტატებს. იგი მხარს უჭერდა გაერო-ს სამშვიდობო ძალისხმევას. ეს განსაკუთრებით მიშვნელოვანი გახდა 1997 წლის ივლისის შემდეგ, როდესაც ჯგუფი ოფიციალურად ჩაერთო გაერო-ს მიერ დაფინანსებულ ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო პროცესში, რის გამოც მას შეეცვალა სახელი და დაერქვა გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფი.²⁰⁶

რუსეთის ფედერაციამ თავისი შესაძლებლობების ფარგლებში შეასრულა მნიშვნელოვანი და მეტწილად გადამწყვეტი როლი როგორც გაერო-ს მიერ მხარდაჭერილ სამშვიდობო პროცესის ფასილიტატორმა, ასევე მეგობართა ჯგუფის წევრმა, და ასევე დამოუკიდებლად (გაერო-სთან კოორდინაციის და კონსულტაციის სხვადასხვა ხარისხის საფუძველზე).

ქართულ-აფხაზურმა პირდაპირმა კონტაქტებმა შექმნა მესამე არხი სამშვიდობო ძალისხმევისთვის. ამ თვალსაზრისით დადებითი როლი შეასრულა ქართულ-აფხაზურმა ორმხრივმა საკოორდინაციო კომისიამ, რომელიც 1997 წლის აგვისტოში შეიქმნა და პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობდა.²⁰⁷

კომუნიკაციის ეს სამი არხი და სადისკუსიო ფორუმები ზოგადად, ერთმანეთს ავსებს, თუმცა, მათ შესაბამის საქმიანობას შორის გარკვეული კონკურენცია შეინიშნებოდა.

ცალკეული სახელმწიფოების დიპლომატიური ინიციატივები ავსებდა საყოველთაო სამშვიდობო ძალისხმევებს რეგიონში; პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები.

ოფიციალური არხების გარდა, ქვემოთ ჩამოთვლილსაც მნიშვნელოვანი, თუმცა, მხოლოდ მხარდამჭერი როლი ჰქონდა საყოველთაო სამშვიდობო ძალისხმევაში –

²⁰⁵ <http://www.state.gov/r/pa/ei/bgn/5253.htm>; წვდომა: 25.09.2009.

²⁰⁶ <http://www.un.org/News/Press/docs/1997/19970731.SC6405.html>; 25.08.2009.

იხ. Susan Stewart, გაერო-ს როლი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში.

http://www.ecmi.de/jemie/download/Stewart_SC_final.pdf; წვდომა: 25.08.2009.

²⁰⁷ იქვე. აგრეთვე: ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ნდობის შექმნის სამოქმედო პროგრამის დანართი, http://www.rrc.ge/law/oqm_2001_03_15_e.htm?lawid=1455&lng_3=en; წვდომა: 25.08.2009.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის კონტექსტში: საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, კვლევით ცენტრებს, უნივერსიტეტებს, პრესას და პუბლიკაციებს. ეს მეორე პლანის დიპლომატია შეიძლება განვიხილოთ, როგორც მნიშვნელოვანი და შეუცვლელი კომპონენტი კი, განსაკუთრებით, ნდობის შექმნისა და აკადემიური წრეებიდან იდეების გახმაურების, აგრეთვე ფართო მასების დამოკიდებულების, ხედვის და მისწრაფებების ასახვის თვალსაზრისით. ამ კონტექსტში, ასევე, უნდა ვახსენოთ ე. წ. შლანინგის პროცესის წვლილი, რომელიც წამოიწყო ბრიტანულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „შერიგების რესურსები“²⁰⁸ და კონფლიქტის კონსტრუქციული მართვის ბერგოფის ცენტრმა,²⁰⁹ აგრეთვე, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტმა²¹⁰ და ირვინის კალიფორნიის უნივერსიტეტმა.²¹¹ მრავალი ასეთი სამშვიდობო ძალისხმევა სარგებლობდა ფრიდრიხ ებერტის²¹² და ჰაინრიხ ბიოლის²¹³ ფონდების მატერიალური მხარდაჭერით. „აბხაზსკი მერიდიანი“²¹⁴ დამოუკიდებელი ყოველთვიური გამოცემა, რომლის თბილისში იბეჭდებოდა, მაგრამ ხელმისაწვდომი იყო სოხუმშიც, შეიძლება მოვიხსენიოთ, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი და თვალსაჩინო გამოცემა, რომელიც წარმოშობდა საინტერესო იდეებს და წვლილი შეჰქონდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში. აფხაზეთის მხრიდან ასეთივე როლს ასრულებდა გაზეთები „ნუჟნაია გაზეტა“ (Нужная Газета),²¹⁵ „ეხო აბხაზი“²¹⁶ () და „ჩეგემსკაია პრავდა“²¹⁷ ()

ეს სამშვიდობო ძალისხმევები გამიზნული იყო არა მხოლოდ საომარი მოქმედებების შეწყვეტაზე და, შემდგომ, მათი ხელახლა დაწყების პრევენციაზე, არამედ, პირველ რიგში, კონფლიქტის სრულყოფილ მოგვარებაზე. კონფლიქტის ამგვარი სახით მოგვარებას უნდა მოეცვა შეთანხმებები აფაზეთის პოლიტიკური სტატუსის, ლტოლვილთა/იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების, უსაფრთხოების საკითხებისა და ეკონომიკური რეკონსტრუქციის შესახებ. რაც შეეხება საერთაშორისო სამშვიდობო ინიციატივებს აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში, უნდა აღვნიშნოთ, რომ მან გარკვეული ევოლუცია განიცადა და თვალსაჩინო დარჩა დროის გარკვეული

²⁰⁸ <http://www.c-r.org/our-work/caucasus/schlaining.php>

²⁰⁹ http://www.berghof-center.org/std_page.php?LANG=e&id=13

²¹⁰ <http://poli.vub.ac.be/>

²¹¹ <http://www.uci.edu/>

²¹² <http://www.fes.de/>

²¹³ <http://www.boell.de/service/home.html>

²¹⁴ გამოცემულის ფრიდრიხ ებერტის ფონდის და შვეიცარიის საელჩოს მიერ თბილისში. http://www.fes.ge/index.php?option=com_content&view=category&layout=blog&id=35&Itemid=13; წვდომა: 25.08.2009.

²¹⁵ http://www.abkhazianews.narod.ru/news_Digest1_NG.htm; წვდომა: 25.08.2009.

²¹⁶ <http://www.era-abkhazia.org/news/smi/eho.php>

²¹⁷ <http://era-abkhazia.org/news/smi/true.php>

პერიოდის განმავლობაში – როგორც მინიმუმ მოლაპარაკებათა სტრატეგიისა და ტაქტიკის თვალსაზრისით.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ 1997 წლის შუა პერიოდამდე, სამშვიდობო ძალისხმევა კონცენტრირებული იყო მხოლოდ აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე და ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებაზე. სტატუსის საკითხი ყოველთვის განიხილებოდა, როგორც ძირითადი საკითხი აფხაზეთში კონფლიქტის სამომავლო მშვიდობიანი მოგვარებისთვის, თუმცა აშკარა იყო, რომ ეს რთული და პრობლემატური ამოცანა იყო. არც ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნება იყო მარტივი საკითხი. თვალსაჩინო ჰუმანიტარული და ეკონომიკური განზომილებების გარდა, მას ჰქონდა ძლიერი პოლიტიკური და უსაფრთხოების ასპექტები, ვინაიდან ქართველი ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების მასობრივი დაბრუნება აფხაზეთში ისევ გამოიწვევდა სერიოზულ ცვლილებას მის ეთნიკურ შემადგენლობაში და შემდგომ, სახელისუფლებო სტრუქტურაში, რაც პრობლემას შეუქმნიდა აფხაზებს თავის ტერიტორიაზე წამყვანი როლის შესრულებაში. ეს ორი საკითხი ურთიერთდაკავშირებული იყო და აქედან გამომდინარე, იმ პერიოდში ამ საკითხზე ხშირად იმართებოდა მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, ერთ პაკეტში. შესაბამისად, დამთხვევა არ იყო, რომ აღნიშნულ ორ საკითხზე მნიშვნელოვანი ჩარჩო დოკუმენტები ერთად მიიღეს 1994 წლის 4 აპრილს მოსკოვში; კერძოდ, ეს დოკუმენტებია: ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ზომები და ოთმხრივი შეთანხმება ლტოლვილების ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ.

სამწუხაროდ, როგორც გაერო-ს, ისე რუსეთის ფედრაციის ენერგიულმა ძალისხმევამ წარმატებას ვერ მიაღწია. 1994–1995 წლებში, ოთმხრივი შეთანხმების თანახმად, აფხაზეთში დაბრუნდა მხოლოდ 300-ზე ცოტა მეტი ქართველი ლტოლვილი/იძულებით გადაადგილებული პირი.²¹⁸ შემდგომში, ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების მოწესრიგებულ დაბრუნებას, რაც UNHCR-ის (გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის) მხარდაჭერით ხდებოდა, დიდად შეუშალა ხელი უსაფრთხოების არასახარბიელო ვითარებამ, აფხაზეთის დაუდგენელმა პოლიტიკურმა სტატუსმა და გადაუჭრელმა ქართულ-აფხაზურმა დავამ დაბრუნების ტემპებთან დაკავშირებით. იმ დროს აფხაზური მხარე მზად იყო განეხილა კვირაში 200-მდე (ანუ თვეში 800) ადამიანის რეპატრაცია,²¹⁹ მაშინ, როდესაც ქართველები ამ რიცხვს ზედმეტად მოკრძალებულად მიიჩნევდნენ,²²⁰ კამათობდნენ, რომ ასეთი ტემპით თუ

²¹⁸ <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N95/003/95/IMG/N9500395.pdf?OpenElement>; 25.08.2009.

²¹⁹ <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N95/130/12/IMG/N9513012.pdf?OpenElement> და <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N95/231/93/IMG/N9523193.pdf?OpenElement>; 25.08.2009.

²²⁰ <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N95/231/93/IMG/N9523193.pdf?OpenElement>; 25.09.2009.

გაგრძელდებოდა, 250 000 ქართველი ლტოლვილის/იძულებით გადაადგილებული პირის დაბრუნება, სულ მცირე, 25 წელიწადს გაგრძელდებოდა – დროის მონაკვეთი, რომელიც მიუღებელი იყო შეჭირვებული ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირებისთვის.

ამასობაში, ადგილი ჰქონდა სპონტანური დაბრუნების პროცესს აფხაზეთის გალის რაიონში (რომელიც 1992–1994 წლების შეიარაღებულ კონფლიქტამდე ძირითადად, ქართველებით დასახლებული ადგილი იყო).²²¹ შემდგომ აღმოჩნდა, რომ სპონტანური დაბრუნება ერთადერთი შესაძლო ფორმა იყო და აქედან გამომდინარე, შეიძლება მოვიხსენიოთ, როგორც უფრო ეფექტიანი (2002 წელს, დაბრუნებული მოსახლეობა გალის რაიონში შეფასებული იყო 40 000 ადამიანის რაოდენობით ანუ, იმის ნახევარი, რაც იქ 1992–1994 წლების კონფლიქტამდე ცხოვრობდა).²²² მიუხედავად ამისა, მაინც იყო სერიოზული პრობლემები, როგორცაა: უკანონობა და დაუცველობა, იურიდიული სტატუსის არარსებობა, მშობლიურ ქართულ ენაზე ბავშვების სწავლასთან დაკავშირებული სიძნელეები, წარუმატებლობა და სხვ. (1998 წლის მაისში განახლებული საომარი მოქმედებების და სახლების დანგრევის გამო, დაახლოებით, 30 000–40 000 ლტოლვილმა დატოვა გალი და მეორედ გადმოვიდა ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ქართულ მხარეს). (იხ. თავი 7 „საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონი“ და „ადამიანთა უფლებების კანონი“).

აფხაზეთის სტატუსის საკითხი კიდევ უფრო ძნელი აღმოჩნდა, როდესაც საქმე შეეხო ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ზოგადად, ქართული მხარე მზად იყო შეეთავაზებინა და ემსჯელა ავტონომიის დიდ ხარისხზე აფხაზეთისთვის (ფედერალური მოწყობა), მაშინ, როდესაც აფხაზები ითხოვდნენ კონფედერაციულ მოდელს, რომელიც ორივე ერთეულს (საქართველოს და აფხაზეთს) თანასწორ საფუძველზე დააყენებდა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით და ორივეს მისცემდა გამოცალკევების უფლებას.²²³ (იხ. თავი 3 „დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები“).

1993–1997 წლებში, რამდენიმე ინიციატივა იყო უმეტესად, რუსეთის დიპლომატიის მიერ მოწოდებული, რომელიც მიზნად ისახავდა ამ ორი მიდგომის კომბინირებას. მოლაპარაკებათა მაგიდაზე იხილებოდა კონცეფციები, როგორებიცაა „სახელმწიფოს კავშირი,“ „საერთო სახელმწიფო“ და სხვა მსგავსი ფორმულირებები. ორ სხვადასხვა

²²¹ იქვე.

²²² <http://www.unhcr.org/3e2c05c37.html>; 25.08.2009.

²²³ Wojciech Gorecki, Abchaskie elity wobec niepodleglosci (აფხაზეთის ელიტა დამოუკიდებლობისკენ), Studia i Materiały nr 103, Polski Instytut Spraw Międzynarodowych (საერთაშორისო ურთიერთობების პოლონეთის ინსტიტუტი), ვარშავა, 1996.

შემთხვევაში, 1995²²⁴ და 1997²²⁵ წლებში, მხარეებმა მიიღეს შესაბამისი შეთანხმების პროექტი სამუშაო დონეზე, მაგრამ შემდეგ, როგორც ერთმა, ისე მეორე მხარემ (1995 წლის ივლისში აფხაზებმა, ხოლო 1997 წლის ივნის-აგვისტოში – ქართველებმა) შეიცვალეს აზრი და მოახდინეს ადრინდელი თანხმობის უგულვებელყოფა. მხარეებისთვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ საკითხს არა მომავალი მოწყობის კონცეფცია (ფედერაცია თუ კონფედერაცია) ან მისი დასახელება წარმოადგენდა, არამედ უმთავრესად, გამოცალკევების უფლება. აფხაზები მოითხოვდნენ ამ უფლებას, ამტკიცებდნენ რა, რომ ეს იქნებოდა ყველაზე ქმედითი გარანტია იმისა, რომ მათი უფლებები და პოზიციები არ იქნებოდა უგულვებელყოფილი მომავალში. ქართველები, პირიქით, სერიოზულ პოტენციურ რისკებს ხედავდნენ, რომლებიც მათ მიერ გამოცალკევების უფლების მიღებიდან გამომდინარეობდა.²²⁶ ისინი ამტკიცებდნენ, რომ ასეთ დებულებას მომავალ სახელმწიფო მოწყობაში შეიძლებოდა გამოეწვია ერთ-ერთი შემდეგი ორი არასასურველი სცენარიდან: (ა) აფხაზემა უფლებამოსილმა პირებმა შეიძლება, ბოროტად გამოიყენონ ასეთი უფლება მაშინაც კი თუ ეს არ იქნება პროვოცირებული ქართული მხარის მიერ და უკვე არც თუ შორეულ მომავალში შეიძლება გამოიყენონ საქართველოს და (ბ) აფხაზეთი შეიძლება, ფორმალურად დარჩეს საერთო სახელწიფოს შემადგენლობაში რამდენიმე ხნის განვალობაში, მაგრამ ყოველთვის იქნება აფხაზეთი „დამოკლეს მახვილის“ – გამოყოფის - საფრთხე, როცა კი, მოსკოვი უკმაყოფილო იქნება თბილისის საგარეო პოლიტიკით.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ სცადა მოცემული დილემის გადაჭრა 1995 წლის სექტემბერში, რუსი სამხედროების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ვადის კიდევ 25 წლით გაგრძელებით, რაც არსებული ინფორმაციით, გაკეთდა მოსკოვის მიერ თბილისის რეინტეგრაციის პოლიტიკის მხარდაჭერის სანაცვლოდ.²²⁷ შემდგომ, მოსკოვის მხარდაჭერის დონემ, როგორც ჩანს, არ დააკმაყოფილა თბილისის მოლოდინი, ვინაიდან თბილისის პარლამენტმა არ მოახდინა 1995 წლის სექტემბრის ხელშეკრულების რატიფიცირება რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ. ნაცვლად ამისა, ედუარდ შევარდნაძის მთავრობამ დააყენა საქართველოდან ოთხი რუსული ბაზის (ერთ-ერთი ამ ბაზათაგანი, „ბომბორა,“ განლაგებული იყო აფხაზეთში, ქ. გუდაუთას

²²⁴ თამაზ დიასამიძე, საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირება (პროექტი), *შრ. ციტ.*, გვ. 230-231.

²²⁵ საქართველოს, აფხაზეთის პრეზიდენტები თანხმდებიან მოლაპარაკებებზე, რადიო ევროპა / რადიო თავისუფლება (RFERL) Newline 5.08.1997, <http://www.rferl.org/content/article/1141465.html>, წვდომა: 25.08.2009.

²²⁶ იხ.: გაი ნოდია, საქართველოს პერსპექტივები და ლიანა კვარჩელია, აფხაზეთის პერსპექტივა: სუვერენიტეტის საკითხი. საქართველო-აფხაზეთის სამშვიდობო პროცესი. „Accord,“ სექტემბერი, 1999, <http://www.c-r.org/our-work/accord/georgia-abkhazia/contents.php>; 25.08.2009.

²²⁷ შეთანხმება, ხელმოწერილი 15.09.1995 პრეზიდენტ შევარდნაძის და რუსეთის პრემიერ-მინისტრ ჩერნომირდინის მიერ.

მახლობლად) და რუსი მესაზღვრეების გაყვანის მოთხოვნა. ოფიციალური შეთანხმება რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის დაწყების შესახებ მიღწეულ იქნა 1999 წელს ეუთო-ს სტამბულის სამიტზე, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების (CFE) ფარგლებში.²²⁸

რაც შეეება გაერო-ს მიერ მხარდაჭერილ ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო პროცესს, 1997 წლის პირველ ნახევარში, UNSG (გაერო-ს გენერალური მდივნის) სპეციალური დესპანი საქართველოში შეიცვალა UNSG სპეციალური წარმომადგენლით (SRSG) და ამ ცვლილებას მოჰყვა ცვლილება სამშვიდობო სტრატეგიაში.²²⁹ იცოდა რა, რომ ადრინდელი მცდელობები სტატუსის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით წარუმატებელი იყო, UNSG სპეციალურმა წარმომადგენლმა სამშვიდობო პროცესში მონაწილე მხარეებს შესთავაზა მოეხდინათ ძალისხმევის კონცენტრირება პრაქტიკულ საკითხებზე, კერძოდ, ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებაზე, ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გასწვრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პირობების გაუმჯობესებაზე და ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე. რუსეთის ფედერაციის გამოცდილებას მოლაპარაკებებთან და 1996 წლის აგვისტოში ჩეჩნეთის შესახებ ხასავიურტის შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით, პოლიტიკური სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ხუთი წლით გადადებით, შესაძლოა, ასევე გარკვეული გავლენა ჰქონოდა SRSG-ის ახალ მიდგომას ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო მოლაპარაკებებთან დაკავშირებით.

შემდგომ, SRSG-მა წარმატებას მიაღწია სამშვიდობო პროცესში გაერო-ს როლის აღდგენისა და მოლაპარაკებების კარგად შემუშავებული მექანიზმის შემოღებით, რომელიც მოიცავდა უმაღლეს დონეზე პლენარულ შეხვედრებს ყენევაში, საკოორდინაციო საბჭოს პერიოდულ სესიებს თბილისსა და სოხუმში მონაცვლეობით და სამ, თითქმის მუდმივად მოქმედ სამუშაო ჯგუფს, რომლებიც მუშაობდნენ ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებაზე, უსაფრთხოების საკითხებზე და ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე. გათვალისწინებული იყო ზემოთ ნახსენები მექანიზმის მუშაობის შევსება და გაძლიერება ნდობის შექმნაზე მიმართული ფართომასშტაბიანი საქმიანობით, ქართული და აფხაზური საზოგადოების ფართო მასების წარმომადგენლების მონაწილეობით. ჩატარდა გაერო-ს მიერ ორგანიზებული ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ნდობის შექმნისადმი მიძღვნილი სამი კონფერენცია – 1998 წლის ოქტომბერში (ათენი),²³⁰ 1999 წლის ივნისში

²²⁸ საქართველო, რუსეთი, თანხმდებიან ორი რუსული ბაზის დახურვაზე. RFERL Newline, 22.11.1999, <http://www.rferl.org/content/article/1142039.html>; წვდომა: 17.08.2009

²²⁹ <http://www.un.org/News/Press/docs/1997/Sc6366.doc.htm>; 25.08.2009
<http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/198/17/IMG/N9719817.pdf?OpenElement>; 25.08.2009.

²³⁰ <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/307/32/IMG/N9830732.pdf?OpenElement>; 25.08.2009.

(სტამბული)²³¹ და 2001 წლის მარტში (იალტაში),²³² სადაც მიღებული იქნა სპეციალური დოკუმენტები და პროგრამები. ამ სამშვიდობო მექანიზმმა, რომელსაც შემდგომ ჟენევის პირველი პროცესი ეწოდა, პოლიტიკური წონა შესძინა პროცესს, ვინაიდან დასაწყისიდანვე, გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფი აქტიურად მონაწილეობდა მის მუშაობაში (ოფიციალურად, დამკვირვებლის სტატუსით), კონფლიქტის ორი მხარის, გაერო-სა და ეუთო-ს გარდა, რუსეთის ფედერაციის, როგორც ფასილიტატორის სახით.

და მაინც, ჟენევის პროცესის შთამბეჭდავმა სამშვიდობო მექანიზმმა, რეალურად, ძალიან მოკრძალებული შედეგი გამოიღო. ნდობის შექმნაზე უარყოფითად იმოქმედა გაგრძელებულმა ანტი-აფხაზურმა (დროდადრო, ანტი-რუსულმა) პარტიზანულმა და ტერორისტულმა საქმიანობამ ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გასწვრივ, განსაკუთრებით, გალის რაიონში, ვინაიდან, ძლიერი ეჭვი არსებობდა, რომ ეს საქმიანობა ფარულად დაფინანსებული იყო საქართველოს ზოგიერთი ოფიციალური უწყების მიერ.²³³

1996 წლის იანვარში, დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურთა საბჭომ მიიღო დოკუმენტი, რომელიც შეზღუდვებს აწესებდა კონტაქტსა და თანამშრომლობაზე დსთ-ის წევრ ქვეყნებსა (რუსეთის ჩათვლით) და აფხაზეთს შორის.²³⁴ ამ შეზღუდვებმა, რომლებიც გასაგები იყო საერთაშორისო კანონის თვალსაზრისით, გამოიწვია ცხოვრების ისედაც ძალიან დაბალი სტანდარტის შემდგომი გაუარესება აფხაზეთში და, ამრიგად, გააძლიერა ანტი-ქართული განწყობა, რომელიც ჯერ კიდევ, 1992–1994 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ არსებობდა, ვინაიდან მათ ზოგადად, სჯეროდათ, რომ ამ შეზღუდვების დაწესება საქართველოს ინიციატივით მოხდა.

მოგვიანებით, 1998 წლის მაისში, აქტიური საომარი მოქმედებების დაწყებას გალის რეგიონში არა მარტო ათეულობით მსხვერპლი მოჰყვა, არამედ ქონების განადგურება (UNHCR-ის მიერ გარემონტებული ასობით სახლის ჩათვლით) და აფხაზეთის მიერ კონტროლირებული ტერიტორიიდან (წინასწარი შეფასებით 30 000 – 40 000 ადამიანი) ქართველების უმეტესობის გასვლა, რომლებიც სპონტანურად დაბრუნდნენ ცეცხლის შეწყვეტის მეორე მხრიდან. 1998 წლის გაზაფხულის მიწურულს, პრაქტიკულად, სამშვიდობო პროცესის უკუქცევა მოხდა. იძულებით გადაადგილებული პირების უმეტესი ნაწილი, რომლებიც 1998 წლის მაისის მოვლენების შემდეგ გამოიქცნენ, გალის

²³¹ <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N99/212/47/IMG/N9921247.pdf?OpenElement>; 25.08.2009.

²³² <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/347/97/IMG/N0134797.pdf?OpenElement>; 25.08.2009.

²³³ ბესიკ კურტანიძე, პარტიზნები ბრძოლას აგრძელებენ. სლავური და აღმოსავლეთ ევროპული კოლექციები, UC Berkeley. არმია და საზოგადოება საქართველოში, 1998 წლის ივნისი. <http://www.lib.berkeley.edu/doemoff/slavic/pdfs/army698.pdf>; 25.08.2009.

²³⁴ დსთ სამიტი ზეწოლას ახდენს აფხაზეთზე. RFERL Newsline 22.01.1996, <http://www.rferl.org/content/article/1141092.html>; 25.08.2009.

რაიონში 1999 წელს აფხაზების თანხმობით დაბრუნდნენ, მაგრამ მთლიანობაში იქ სიტუაცია წლების განმავლობაში რთული რჩებოდა.²³⁵

კონფლიქტის ზონისთვის გათვალისწინებული ეკონომიკური რეაბილიტაცია სერიოზულ სტიმულად მიიჩნეოდა საყოველთაო სამშვიდობო ძალისხმევისათვის, და ასევე აწინააღმდეგებდა პროცესის მნიშვნელოვან ელემენტად. ამ კონტექსტში, საჭიროებათა შეფასების მისია (NAM), რომელსაც UNDP ხელმძღვანელობდა, აფხაზეთს, 1998 წლის თებერვალში²³⁶ ეწვია და გადასცა მოხსენება რეკომენდაციებით – ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში საერთაშორისო ხელშეწყობის პროგრამების განხორციელებისთვის, რაც თითქმის 200 მლნ აშშ დოლარს გულისხმობდა.²³⁷ საქართველოს მთავრობა, რომელიც როგორც ჩანს, ეკონომიკურ რეაბილიტაციას აფხაზების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე თავის „მთავარ ინსტრუმენტად“ მიიჩნევდა; იგი ამჯობინებდა ასეთი რეაბილიტაციის სხვა საკითხებთან ერთად პაკეტში განხილვას (სტატუსი და ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნება). ამ პირობებში – მოლაპარაკებების არარსებობა სტატუსის საკითხზე და მოწესრიგებული დაბრუნების ნათელი პერსპექტივების არარსებობა – ქართულ მხარეს არ ეჩქარებოდა NAM-ის რეკომენდაციების განხორციელება. 1998 წლის გალის მოვლენებმა სერიოზული უარყოფითი ზეგავლენა იქონია მთლიან სამშვიდობო პროცესზე.²³⁸

1998 წლის მოვლენებიდან გაერო-ს მიერ მიღებული მთავარი გამოცდილება, როგორც ჩანს, ის იყო, რომ სამშვიდობო პროცესში პროგრესის მიღწევა და კონკრეტული პრობლემების გადაჭრა პოლიტიკური სტატუსის გარეშე ძალიან ძნელი იყო, აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ნათელი მოსაზრება, რომ კვლავაც საჭირო იყო ამ საკითხზე მსჯელობა; იმის გათვალისწინებით, რომ წინა წლებში განხორციელდა მრავალი ქმედება მხარეების მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით კომპრომისის მისაღწევად, გადაწყვიტეს, რომ უნდა შეემუშავებინათ პროექტი სტატუსის საკითხის ყველაზე უფრო საკამათო ასპექტებზე, რაც საერთაშორისო მხარეების წარმომადგენლებს უნდა წარედგინათ მხარეებისთვის. შედეგად, 1999 წლის 30 ივლისის #1255 რეზოლუციით გაერო-ს უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა „გენერალური მდივნის და მისი სპეციალური წარმომადგენლის ინიციატივას, რუსეთის ფედერაციასთან (როგორც

²³⁵ „The Blood-Dimmed Tide Is Loose...“ RFERL, „კავკასიის მოხსენება“ 13, 26.05.1998, <http://www.rferl.org/content/article/1342037.html>; 25.08.2009; <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/164/04/PDF/N9816404.pdf?0penElement>; წვდომა: 25.08.2009; <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/307/32/IMG/N9830732.pdf?0penElement>; 25.08.2009.

²³⁶ <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/122/08/IMG/N9812208.pdf?0penElement>; 25.08.2009.

²³⁷ <http://www.unpo.org/content/view/712/236/>; 25.08.2005.

²³⁸ S. Neil MacFarlane, გაეროს როლი; სუვერენიტეტის საკითხი, შრ. ციტ.

შუამავალთან), ეუთო-სთან და გენერალური მდივნის მეგობრების ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობით, გაგრძელებულიყო შეთავაზებების წარდგენა მხარეებისათვის, რომელიც გულისხმობდა თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციური კომპეტენციების განაწილებას; ეს შეასრულებდა სრულყოფილი დარეგულირების კომპონენტის როლს.²³⁹

ზემოხსენებული გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე დაწყებული მუშაობის შედეგი იყო 2001 წლის ბოლოს, მეგობრების ჯგუფის მიერ დოკუმენტის მიღება სახელწოდებით „თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციის განაწილების ძირითადი პრინციპები,“ რომელიც ცნობილია ბოდენის დოკუმენტის სახელწოდებით, ახალი SRSG-ის სახელის მიხედვით, რომელმაც ეს ფუნქცია 1999 წლის ბოლოს მიიღო.²⁴⁰ ბოდენის დოკუმენტი, რომელსაც მხარს უჭერდა გაერო-ს უშიშროების საბჭო,²⁴¹ აფხაზეთს სუვერენულ ერთეულად მიიჩნევდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. შედეგად, ის თანხვედრაში არ იყო სოხუმის პოზიციასთან, რომ აფხაზეთი და საქართველო საერთაშორისო სამართლის თანასწორი სუბიექტები იყვნენ და შესაბამისად, მხედველობაში არ იღებდა მის მოწოდებას გამოყოფის უფლებაზე. ის ასევე, გამორიცხავდა ერთპიროვნული ცვლილების შესაძლებლობას მომავალ ფედერალურ შეთანხმებაში. ფედერალური შეთანხმების ფარგლებში, თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციის განაწილების შემდგომი პარამეტრები, ორ მხარეს შორის შემდგომი მოლაპარაკების საგნად იქნა დატოვებული. ასეთი მოწყობა უნდა ყოფილიყო საერთაშორისო გარანტიების საგანი, სადაც რუსეთის ფედრაცია წარმოდგენილი იქნებოდა ერთ-ერთი გარანტორის სახით.

თეორიულად, თუ მხარეები მიიღებდნენ ბოდენის დოკუმენტს, მას შეიძლებოდა გამოეწვია გარღვევა მოლაპარაკებებში სტატუსის საკითხზე. მაგრამ მისი მიღების დროსაც კი, შანსი, რომ ის ამგვარ როლს შეასრულებდა, მწირი იყო. იმის მოლოდინით, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისი პრინციპები (რომლებიც ნათლად უჭერდა მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას), მომავალი დოკუმენტის საფუძველი გახდებოდა, 1999 წლის ოქტომბერში, სოხუმმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა²⁴² და შემდგომ, განმეორებით განაცხადა უარი ბოდენის დოკუმენტის განხილვაზე.²⁴³ გარდა ამისა, 2001 წლის იანვრიდან, აფხაზეთმა მხარემ

²³⁹ <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N99/223/74/PDF/N9922374.pdf?OpenElement>; 25.08.2009.

²⁴⁰ <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N02/220/44/IMG/N0222044.pdf?OpenElement>; 25.08.2009.

²⁴¹ <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N02/238/65/PDF/N0223865.pdf?OpenElement>; 25.08.2009.

²⁴² აფხაზეთის რესპუბლიკის ეროვნული დამოუკიდებლობის აქტი; თამაზ დიასამიძე. შრ, გვ. 351-352.

²⁴³ 2006 წლის დასაწყისში, აგრეთვე, რუსეთის ფედრაციამ დაიწყო შეკითხვების დასმა ბოდენის დოკუმენტის სასარგებლოებაზე საქართველო-აფხაზეთის სამშვიდობო პროცესისთვის, თუმცა არა მისი პრინციპების შესახებ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ჩათვლით, რაც მოსკოვმა ღიად დააყენა ეჭვს ქვეშ მხოლოდ 2008 წლის აგვისტოში.

შეაჩერა თავისი მონაწილეობა გაერო-ს მიერ მხარდაჭერილი საკოორდინაციო საბჭოს მექანიზმში და სერიოზულად შეასუსტა მთელი სამშვიდობო პროცესი.²⁴⁴ გამოუვალი ვითარება, რომელიც სამშვიდობო პროცესში ჩამოყალიბდა, ხელს უწყობდა დაძაბულობის ზრდას კონფლიქტის ზონაში, რომლის კულმინაციაც იყო საომარი მოქმედებები კოდორის ხეობაში 2001 წლის ოქტომბერში.²⁴⁵ ოქტომბრის ბრძოლა სიცოცლის ფასად დაუჯდა გაერო-ს სამკვირვებლო მისიის ცხრა თანამშრომელს: მისიის შვეულმფრენი საჰაერო-სამხელეთო ტიპის რაკეტით ჩამოაგდეს.²⁴⁶

ყველა ამ სიძნელის მიუხედავად, ადგილზე სიტუაციის სტაბილიზაციასთან და ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესის განახლებასთან დაკავშირებით, სერიოზული და მეტად წარმატებული ძალისხმევა განახორციელა ახალმა SRSG-მ 2000 - 2006 წლების შუა პერიოდებს შორის; ამ ძალისხმევას აქტიურად უჭერდა მხარს მეგობართა ჯგუფი. კოდორის ხეობაში წინასწარმა შეთანხმებამ უსაფრთხოების საკითხებზე (მაღალი რანგის საერთაშორისო სამხედრო ჯგუფით რეზერვში) და რეკომენდაციების განხორციელებამ, რომლებიც უსაფრთხოების შეფასების მისიის მიერ 2002 წელს იქნა შემუშავებულ გალის რეგიონისთვის (SAM),²⁴⁷ ხელი შეუწყო კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების ზოგადი სიტუაციის ეტაპობრივ გაუმჯობესებას. ეს რეკომენდაციები, სხვა მრავალ საკითხთან შორის, გულისხმობდა გაერო-ს სამოქალაქო პოლიციური ძალების განლაგებას, პოლიციის ადგილობრივი ოფიცრების საერთაშორისო გადამზადებას და ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამებს, რომლებსაც ძირითადად, გაერო-ს სადამკვირვებლო მისია (UNOMIG) და გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP) ახორციელებდნენ და უმეტესად, ევროპის კომისიის, ასევე ისეთი დონორი ქვეყნების მიერ ფინანსდებოდა, როგორებიცაა: შვეიცარია, ნიდერლანდები, ფინეთი, იტალია, ნორვეგია. ნდობის გაღრმავების ზომების უზრუნველსაყოფად ორივე მხრიდან ჩართული იყვნენ მაღალი რანგის წარომადგენლები; ისინი მონაწილეობდნენ გაერო-ს მიერ მხარდაჭერილ ერთობლივ სასწავლო ვიზიტებში ბოსნია-ჰეროგოვინაში, კოსოვოში, შვეიცარიასა და იტალიაში (სამხრეთ ტიროლი) ისევე, როგორც ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გადაკვეთის ხელშეწყობაში ადგილობრივების მიერ ენგურის მთავარი ხიდზე. (UNOMIG-ის მიერ სპეციალურად უზრუნველყოფილი ავტობუსით).

თუმცა, იმ პერიოდის მთავარი წარმატება, იყო ოფიციალური სამშვიდობო დიალოგის და მხარეთა შორის თანამშრომლობის განახლება ე. წ. ჟენევის მეორე პროცესის ჩარჩოში,

²⁴⁴ საქართველო-აფხაზეთის მოლაპარაკებები იწყება გაეროს მფარველობით. RFERL Newsline 16.05.2006, <http://www.rferl.org/content/article/1143634.html>; წვდომა: 25.08.2009.

²⁴⁵ სიტუაცია აფხაზეთში დაძაბული რჩება. RFERL Newsline 29.10.2001, <http://www.rferl.org/content/article/1142514.html>; 25.08.2009.

²⁴⁶ <http://daccessdds.un.org/doc/UND0C/GEN/N01/600/84/PDF/N0160084.pdf70penElement>; 25.08.2009.

²⁴⁷ <http://daccessdds.un.org/doc/UND0C/GEN/N03/318/04/IMG/N0331804.pdf70penElement>; 25.08.2009.

რომელიც 2003 წლის თებერვალში დაიწყო, მეგობართა ჯგუფის სრული და აქტიური მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით. რეგულარული პლენარული სესიების გარდა, სადაც მონაწილეობდა გაერო, მეგობართა ჯგუფი და ორივე მხარე. ეს პროცესი ასევე მოიცავდა სამი ოპერატიული ჯგუფის საქმიანობას, რომლებიც განიხილავდნენ ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების, ეკონომიკის რეაბილიტაციის, უსაფრთხოებისა და პოლიტიკურ საკითხებს.²⁴⁸ მესამე ოპერატიული ჯგუფის მუშაობის შედეგად შეიქმნა ფორუმი კონცეფციების შემუშავებისთვის; მოცემული კონცეფციები სცდებოდა ადგილობრივი უსაფრთხოების პრობლემებს და ეხებოდა რეგიონის უსაფრთხოებასთან და უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებთან დაკავშირებულ საკითხებს, რასაც ხელი უნდა შეეწყოს სამომავლო ხელშეკრულებისათვის კონფლიქტის სრულყოფილი დარეგულირების შესახებ.. შეხვედრებმა და დაგეგმილმა ღონისძიებებმა უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებთან დაკავშირებით, თავის მხრივ, შექმნა პერსპექტიული პლატფორმა პოლიტიკური საკითხების (მათ შორის სტატუსის) განსახილველად მომდევნო სტადიაზე. 2005 წელს მომზადდა დოკუმენტების პაკეტი ძალის გამოუყენებლობისა და ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების შესახებ, რაზეც ორივე მხარის მაღალი რანგის წარმომადგენლებს უნდა მოეწერა ხელი.²⁴⁹ 2006 წლის მაისში, საკოორდინაციო საბჭომ (შეიქმნა 1997 წლის ნოემბერში, მაგრამ უმოქმედო იყო 2001 წლის იანვრიდან), რომელსაც გაერო ხელმძღვანელობდა, ასევე განაახლა მუშაობა.²⁵⁰

ჟენევის მეორე პროცესს დაემატა ე.წ. სოჭის პროცესი, რომელიც შეთანხმებული იყო პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის, მათ შეხვედრაზე სოჭში 2003 წლის მარტში.²⁵¹ ეს მექანიზმი ძირითადად, ეხებოდა რკინიგზის რეაბილიტაციას (რომელიც სოჭიდან, (რუსეთის ფედერაცია) სოხუმისა და ზუგდიდის გავლით, (საქართველო) მიემართებოდა ერევანსა და ბაქოში, (შესაბამისად, სომხეთსა და აზერბაიჯანში), ენერგეტიკის სექტორში თანამშრომლობას და ლტოლვილების/იძულებითი გადაადგილებული პირების დაბრუნებას. გაერო-ს წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ სოჭის პროცესის ღონისძიებათა უმრავლესობაში, განაკუთრებით კი, პროცესებში, რომლებიც დაკავშირებული იყო ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებასთან.²⁵² დაბრუნების სტრატეგია, რომელიც მომზადებულია ლტოლვილთა საკითხებში გაერო-ს

²⁴⁸ *იქვე*.OpenElement

²⁴⁹ <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N06/205/97/PDF/N0620597.pdf?OpenElement>; წვდომა: 25.08.2009.

²⁵⁰ საქართველო-აფხაზეთის მოლაპარაკებების განახლება, შრ. ციტ.

²⁵¹ პრეზიდენტების – ვლადიმერ პუტინისა და ედუარდ შევარდნაძეს შორის შეხვედრის დასკვნითი განცხადება. 6-7 March 2003; თამაზ დიასამიძე... შრ. ციტ. გვ. 459460.

²⁵² *ib.*: <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/444/70/PDF/N0444470.pdf?OpenElement>; 25.08.2009.

ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან (UNHCR) ერთად, მიმართული იყო სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე დაბრუნებულთათვის, განსაკუთრებით, გალის რაიონში და იმ იძულებით გადაადგილებული პირების იდენტიფიცირებასა და რეგისტრაციაზე ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ქართულ მხარეზე, რომლებსაც სურდათ აფხაზურ მხარეზე თავის მუდმივ საცხოვრებელ სახლებში დაბრუნება.²⁵³

სამწუხაროდ, პოზიტიური მომენტი, რომელიც სამშვიდობო პროცესმა 2002-2006 წლებში შეიძინა, არ იქნა სრულად გამოყენებული და შენარჩუნებული. 2006 წლის ივლისში ე.წ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი მთავრობის პროქართულმა სტრუქტურებმა თავიანთი შტაბბინა თბილისიდან საქართველოს მიერ კონტროლირებად კოდორის ხეობაში გადაიტანა, რომელიც აფხაზეთის ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის ნაწილს შეადგენდა საქართველოს შემადგენლობაში. სოხუმმა ეს ნაბიჯი გააპროტესტა და ნაწილობრივ შეაჩერა მონაწილეობა სამშვიდობო მექანიზმებში.

საქართველოს გადაწვეტილება ზემო კოდორის ხეობაში ალტერნატიული პროქართული ორგანოების შექმნის შესახებ რამდენიმე ანალიტიკოსმა გააკრიტიკა, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ამგვარ ნაბიჯს შესაძლოა უარყოფითად ემოქმედა ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო პროცესზე. საერთაშორისო დონეზე არსებული სხვაობების გათვალისწინებით (კოსოვოს მომავალ აღიარებასთან და მოსკოვის გაფრთხილებასთან დაკავშირებით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესაძლო აღიარებაზე), სხვა ანალიტიკოსებმა თბილისის ნაბიჯი შეაფასეს როგორც პრევენციული ზომა, რომელიც მიმართული იყო იმაზე, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარება უფრო რთული და აქედან გამომდინარე, ნაკლებად შესაძლებელი გამხდარიყო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზემოხსენებული შეფასებები მართებულია, ალტერნატიული ადმინისტრაციისა და საქართველოს უსაფრთხოების ძალების არსებობას ზემო კოდორის ხეობაში, რეალურად არ გამოუწვევია აფხაზური მხარის მიერ სამშვიდობო მექანიზმების უმეტესობაში მონაწილეობის შეჩერება. როგორც ჩანს, ეს წარმოადგენდა საბაბს, ვიდრე რეალურ მიზეზს იმისათვის, რომ სოხუმს მნიშვნელოვნად შეემცირებინა მონაწილეობა სამშვიდობო პროცესში.

სამშვიდობო პროცესში, 2006 წლის შუა პერიოდის შემდეგ, შექმნილი მძიმე ვითარება დაემთხვა თბილისის მოთხოვნებს, რაც უკავშირდებოდა მოლაპარაკების არსებული ფორმატის შეცვლას და რუსი პერსონალით დაკომპლექტებული დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების ჩანაცვლებას, პოლიციური ფუნქციების მქონე საერთაშორისო

²⁵³ იხ.: <http://daccessdds.un.org/doc/UND0C/GEN/N05/557/24/PDF/N0555724.pdf?OpenElement>; 25.08.2009.

სამშვიდობო ძალებით.²⁵⁴ თუმცა, შედარებითი სიწყნარის შემდეგ, კონფლიქტის ზონაში არსებულმა სიტუაციამ დაიწყო სწრაფად გაუარესება 2008 წლის გაზაფხულზე, როგორც უსაფრთხოების, ისე პოლიტიკის სფეროებში.²⁵⁵

სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააჟღერა 2008 წლის მარტს²⁵⁶ და მაისში,²⁵⁷ უმაღლეს დონეზე ქართულ-აფხაზურ ორმხრივ მოლაპარაკებებთან ერთად სოხუმსა (2008 წლის მაისი)²⁵⁸ და სტოკჰოლმში (2008 წლის ივნისი),²⁵⁹ შეიძლება ასევე განვიხილოთ როგორც ზემოხსენებული სახიფათო ტენდენციის შეჩერებისა და შემობრუნების მცდელობა.²⁶⁰ მრავალი დასავლელი დიპლომატის ვიზიტებსა და სამშვიდობო მცდელობებს რეგიონში 2008 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, როგორც ჩანს, იგივე ამოცანები ჰქონდა,²⁶¹ ევროპის საბჭოს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დარგში უმაღლესი წარმომადგენლს ჰავიერ სოლანას, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის (2008 წლის ივლისი) ჩათვლით, ისევე როგორც მეგობართა ჯგუფის შეხვედრას ბერლინში (2008 წლის ივნისი)²⁶².

²⁵⁴ განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მისი მისამართით გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 22.09.2006. იხ: „სივილ ჯორჯია“, 22.09.2006, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=13622&search=international%20peacekeeping>; 25.08.2009.

²⁵⁵ Liz Fuller, ანალიზი: ქარიშხლის ხმა, თვალუწვდენელი უფსკრულები საქართველოს სიტყვების ომში რუსეთის, აფხაზეთის წინააღმდეგ. RFERL კავკასიის მოხსენება, 15.05.2008, <http://www.rferl.org/content/article/1347801.html>; 25.08.2009.

²⁵⁶ საქართველოს 2008 წლის 28 მარტის ინიციატივა მოიცავდა წინადადებებს შეუზღუდავი ავტონომიის შესახებ აფხაზეთისთვის და ფართო ფედერალიზმს, განმტკიცებულს საერთაშორისო გარანტიებით; აფხაზეთის ფართო პოლიტიკური წარმომადგენლობა საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურებში, ვიცე-პრეზიდენტის ახალი პოსტის აფხაზის მიერ დაკავებით; აფხაზეთის უფლება ვეტოზე კანონდებლობასა და გადაწყვეტილებებზე აფხაზეთის კონსტიტუციურ სტატუსთან და აფხაზეთის კულტურის, ენის და ეთნიკურობის საკითხებთან დაკავშირებით; ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება გალის და ოჩამჩირეს რაიონებში; და კანონდამცავი და საბაჟო სამსახურების თანდათანობითი შერწყმა. (UNSG მოხსენება, 23 ივლისი, 2008, S/2008/219, პ. 18). აფხაზეთის მხარემ უარყო ეს ინიციატივა.

²⁵⁷ Liz Fuller, აფხაზეთი, საქართველო მოლაპარაკებებს განაახლებს? RFERL „კავკასიის მოხსენება“, 23.05.2008, <http://www.rferl.org/content/article/1347803.html>; 25.08.2009.

²⁵⁸ იქვე.

²⁵⁹ აფხაზეთი-საქართველოს საიდუმლო მოლაპარაკებები შვედეთში. „სივილ ჯორჯია“, 20.06.2008, <http://www.civilgeorgia.ge/eng/article.php?id=18588>; 25.08.2009. აგრეთვე: უფროსი MP აფხაზეთის ოფიციალურ პირებთან შეხვედრის შესახებ. „სივილ ჯორჯია“, 27.06.2008, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=18630&search=Stockholm>; 25.08.2009.

²⁶⁰ Liz Fuller, ანალიზი: საშინაო წნეხი აფხაზეთის პრეზიდენტზე ძლიერდება. RFERL კავკასიის მოხსენება, 6.06.2008, <http://www.rferl.org/content/article/1347815.html>; 25.08.2009.

²⁶¹ <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/427/22/PDF/N0842722.pdf?OpenElement>; 25.08.2009.

²⁶² Spiegel-ის მოხსენება აფხაზეთის სამფაზიანი გეგმის შესახებ, [http://www.civil.ge/eng/article.php?id=18708&search= Berlin Friend](http://www.civil.ge/eng/article.php?id=18708&search=Berlin%20Friend); 25.08.2009.

2008 წლის 23 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაუგზავნა წერილი რუსეთის პრეზიდენტ მედვედევს სამშვიდობო წინადადებებით აფხაზეთთან დაკავშირებით. საქართველოს სამშვიდობო ინიციატივა, სხვებთან ერთად ითვალისწინებდა, შემდეგს:

- თავისუფალი ეკონომიკური ზონების დაარსებას აფხაზეთის გალის და ოჩამჩირეს რაიონებში, ერთობლივ ქართულ-აფხაზურ ადმინისტრირებასა და ერთობლივი სამართალდამცავი უწყებების მოქმედებას და ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებას ამ ორ რეგიონში;
- დსთ-ის სამშვიდობო ძალების გამოყვანას მაშინდელი დისლოკაციის ადგილიდან და მათ განლაგებას მდინარე კოდორის გასწვრივ;
- მოსკოვი-თბილისი-ერევანის სარკინიგზო კავშირის ხელახლა გახსნას (აფხაზეთის გავლით);
- საზღვაო კავშირის გახსნას სოხუმსა (აფხაზეთი) და ტრაბზონს (თურქეთი) შორის, ასევე შეძლებისდაგვარად, სხვა ხაზების გახსნას;
- შესაბამისი ხელშეკრულება/ხელშეკრულებები შეიძლებოდა ყოფილიყო საერთაშორისო გარანტიების საგანი, რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით;
- შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის და ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების შესახებ აფხაზეთის სხვა ნაწილებში, რომელიც შეიძლება გაფორმებულიყო შემდგომ სტადიაზე, სხვა შეთანხმებებთან ერთად.²⁶³

პასუხად, 2008 წლის 1 ივლისს, პრეზიდენტმა მედვედევმა, მხარი არ დაუჭირა საქართველოს სამშვიდობო ინიციატივას; ამის ნაცვლად მან გამოხატა მოსაზრება, რომ აფხაზური მხარე უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავარი პარტნიორი სამშვიდობო დისკუსიებში, აფხაზეთთან დაკავშირებით და რომ პირველ რიგში, დაძაბულობის შემცირება და ნდობის ჩამოყალიბება ორ მხარეს შორის გამოიწვევდა ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესის განახლებას, რომელიც 2006 წლის ივლისში შეწყდა. ამ კონტექსტში რუსეთის პრეზიდენტის რეკომენდაციით, თბილისსა და სოხუმს შორის უნდა გაფორმებულიყო შეთანხმება „ძალის გამოუყენებლობის და საქართველოს შეიარაღებული ძალების ზემო კოდორის ხეობიდან გამოყვანის შესახებ“.²⁶⁴

²⁶³ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის 23.06.2008 წერილი პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ მიაწოდა IIFMCG-ს.

²⁶⁴ პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს 01.07.2008 წერილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისადმი,

რეგიონში სიტუაციის მკვეთრად გაუარესებისა და გაერო-ს მიერ დაფინანსებულ სამშვიდობო პროცესში ხანგრძლივი გამოუვალი სიტუაციის გამო, 2008 წლის ზაფხულში, გაერო-ს გენერალურმა მდივანმა დანიშნა გაერო-ს ყოფილი მაღალი რანგის ოფიცერი პროცესის შეფასების ჩასატარებლად და მისი აღდგენის შესაძლებლობის შესწავლისათვის.²⁶⁵ თუმცა, ეს ინიციატივა მეტისმეტად დაგვიანებული აღმოჩნდა და შეუძლებელი გახდა მოახლოებული კრიზისის თავიდან აცილება.

3. სამშვიდობო ძალისხმევა სამხრეთ ოსეთში

ზოგადი შენიშვნები

ქართულ და ოსურ მხარეებს აქვთ განსხვავებული და წინააღმდეგობრივი პოლიტიკური და ისტორიული გაგება იმისა, თუ რა ქმნის მათ შორის კონფლიქტის საფუძველს.

საქართველოს პოზიცია ხშირად ორნაირად გამოიხატებოდა, კერძოდ, სამხრეთ ოსეთი იყო რუსეთის მიერ შექმნილი პრობლემა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს დაშლას და ქვეყანაში რუსეთისთვის დასაყრდენის შენარჩუნებას.²⁶⁶ მოგვიანებით, განსაკუთრებით, 2003 წლის შემდეგ გაჩნდა მოსაზრება, რომ სამხრეთ ოსეთში მძიმე კრიმინალური ფონი არსებობდა – ეს იყო ტერიტორია, რომელსაც მართავდა კრიმინალური კლანი და ტერიტორიას იყენებდა კონტრაბანდული ან სხვა არალეგალური საქმიანობისთვის – ხოლო ოსები მიესალმებოდნენ იმას, თუ ისინი გათავისუფლდებოდნენ ამგვარი ვითარებისაგან.²⁶⁷

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი შეხედულება გარკვეულწილად ერთმანეთს ეწინააღმდეგება, თბილისი მას დროდადრო უცხოელ პარტნიორებს წარუდგენდა, სამხრეთ ოსეთში ვითარების შეფასების მიზნით. სავარაუდოდ იგი ასახავდა

რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ მიაწოდა IIFMCG-ს.

²⁶⁵ <http://www.un.org/apps/news/story.asp?NewsID=27259&Cr=Georgia&Cr1;> წვდომა: 25.08.2009.

²⁶⁶ 2007 წლის 15 მარტს, თავის ყოველწლიურ მიმართვაში პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ტერმინები ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები „შექმნეს სულელმა და უცოდინარმა ადამიანებმა.“ შემდგომ მან განაცხადა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტი საერთოდ არ არსებობს და ეს იმპერიალიზმის იდეოლოგიების კიდევ ერთი ფაბრიკაციაა („სივილ ჯორჯია“, 15 მარტი, 2007, პუნქტი 14796). ზოგადად, ამ პოზიციისთვის, იხ. Осетинский вопрос (ოსეთის საკითხი), Ред. Бакрадзе А., Татишвили Л. Тбилиси 1994.

²⁶⁷ საქართველოს პარლამენტმა დაადგინა 2005 წლის 11 ოქტომბრის რეზოლუციით, რომ „აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა კლანური დიქტატურა, რომლის მიზანიც იყო პირადი ძალაუფლების გაძლიერება და უკანონო შემოსავლის მიღება“ (www.rrc.ge/law/dadg_2005_10_11_e.htm). ბაქოში გუამ-ის სამიტზე 2007 წლის 19 ივნისს, საუბრისას, პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს და ოსეთის ხალხებს შორის ურთიერთობის პრობლემა არ იყო, მაგრამ არსებობდა პრობლემები ცხინვალის ხელისუფლებასთან, რომელსაც როგორც მან განაცხადა, კრიმინალური წარსული ჰქონდა („სივილ ჯორჯია“, 19 ივნისი, 2007).

საქართველოს ხელმძღვანელობის მიდგომას, კონფლიქტის გადასაჭრელად, განსაკუთრებით, 2003 წლის ნოემბრის შემდეგ.²⁶⁸

ოსური მხარის მიერ კონფლიქტი ყოველთვის წარმოსახული იყო როგორც ეთნიკური ხასიათის, სადაც ისინი დაზარალებულ მხარედ იყვნენ წარმოდგენილი. 1918-1921 წლების მოვლენების 1989-1992 წლების მოვლენებთან დაკავშირებისას, ლუდვიგ ჩიბიროვმა, ოსეთის ლიდერმა 1993-2001 წლებში განაცხადა: „ასეთი რამ მეორედ ხდება ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე, როდესაც გავხდით ქართველების მხრიდან გენოციდის მსხვერპლი. ამრიგად, ჩვენს მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნა არ უნდა განიხილებოდეს, როგორც იდეალიზმი, არამედ, როგორც პრაგმატიზმი.“²⁶⁹ ასევე სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია 2006 წლის ნოემბერში, რომელიც მიმართული იყო საეთაშორისო საზოგადოებისათვის და ითხოვდა 1920 წელსა და 1989-1992 წლებში ოსი ერის წინააღმდეგ განხორციელებული არაერთი სისასტიკის გენოციდად და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებზე საქართველოს მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის აღიარებას.²⁷⁰

წლების შემდეგ, მსგავსი მოთხოვნები უფრო მწვავე გახდა, როდესაც მხარეებს შორის ნდობა პრაქტიკულად, გაქრა და უკიდურეს დაძაბულობას მიაღწია.

პირველი ფაზა: ნდობის აღდგენა (1992 - 1999)

1992 წლის 24 ივნისის სოჭის შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შესახებ, სხვა მრავალთა შორის, ითვალისწინებდა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. ის ასევე, ითვალისწინებდა შეიარაღებული ფორმირებების გაყვანას კონფლიქტის ზონიდან და შერეული სამშვიდობო ძალების (JPKF) შექმნას შერეული საკონტროლო კომისიის (JCC) ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც შედგებოდა კონფლიქტის მხარეების, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებისგან. შეთანხმება ითვალისწინებდა შემდგომ მოლაპარაკებებს კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის და

²⁶⁸ სამხრეთ ოსეთის კრიტიკა, როგორც კრიმინალური საქმიანობის სამოთხისა, დაიწყო შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში. ტელეარხზე რუსთავი-2 საუბრისას, 2002 წლის 2 დეკემბერს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ვალერი ხაბურზანიამ განაცხადა, რომ ცხინვალის საქართველოდან ნაქურდალი მანქანების რუსეთში კონტრაბანდის ცენტრი იყო და მის სამინისტროს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ეს რეგიონი უნდა გამხდარიყო გამოძალვის და მოტაცების ახალი ცენტრი მას შემდეგ, რაც გაიჭმინდა პანკისი. (იხ. BBC მონიტორინგი, 3 დეკემბერი, 2002).

²⁶⁹ ლუდვიგ ჩიბიროვთან საუბრიდან, ივლისი, 1995, ციტატა „საქართველო-ოსეთის კონფლიქტის ისტორია და საქართველო-რუსეთის ურთიერთობების სამომავლო პერსპექტივები“, LINKS reports, 11 აგვისტო, (<http://www.lmks-london.org/documents/ReportontheGeorgiaOssetiaConflictandfutureofGeorgianRussianRelations.pdf>; accessed 13.08.2009). ოსური შეხედულების გასაგებად, იხილეთ, მაგ.: Марк Блиев, Южная Осетия в коллизиях российско-грузинских отношении (სამხრეთ ოსეთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა შეჯახებაში). მოსკოვი, 2006.

²⁷⁰ www.kavkaz-uzel.ru/articles/102862 (in Russian; 13.08.2009)

ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების შესახებ. ასევე უზრუნველყოფდა ადგილობრივი მოსახლეობის და საქონლის გადაადგილების თავისუფლებას.²⁷¹ შერეული სამშვიდობო ძალების ფორმირება ოდნავ მოგვიანებით მოხდა და შედგებოდა ქართველი, რუსი და ოსი სამხედროებისგან. მისი მოქმედების წესი აღწერილი იყო სხვა ერთობლივ დოკუმენტში, რომელიც მიიღეს 1994 წლის ივნისში და სამეთაურო ფუნქცია რუს სამხედროებს ჰქონდათ მინიჭებული.²⁷²

სოჭის შეთანხმებას მრავალი ანალიტიკოსი მიიჩნევდა ქართველი ლიდერის, შევარდნაძის წარმატებად. ეს მოხდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან შეაჩერა კონფლიქტი და შექმნა მისი პოლიტიკური გადაჭრის მექანიზმი, არამედ იმიტომაც, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შეეძლო ფოკუსირება უფრო დიდ და პოტენციურად, უფრო სერიოზულ პრობლემაზე აფხაზეთში და ასევე მთლიანად საქართველოში სიტუაციის სტაბილიზაციაზე, სამოქალაქო არეულობის ფონზე.

ცხადი იყო, რომ ოსებს ასევე, სჭირდებოდათ დასვენება. პრობლემები კავკასიაში სსრკ-ის დაშლის შემდეგ არ იყო შემოფარგლული უღელტეხილიდან მხოლოდ სამხრეთით. შეტაკებები იყო რუსეთის ფედერაციაში, ჩრდილოეთ ოსეთში, პრიგოროდნის რაიონში, სადაც დიდი რაოდენობითაა ინგუში მოსახლეობა,²⁷³ რაც ნაწილობრივ, სამხრეთ ოსეთიდან და საქართველოს სხვა ტერიტორიიდან ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების იმ რეგიონში გადაადგილების შედეგი იყო.

1991 წლის ნოემბერში, ჩეჩნეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო 1994 წლის დეკემბერში მოსკოვმა სამხედრო ზომები მიიღო ტერიტორიაზე კონტროლის აღსადგენად. ყოველივე ზემოაღნიშნულმა პირდაპირი გავლენა მოახდინა მეზობელ ჩრდილოეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენებზე.

სოჭის შეთანხმებით გათვალისწინებულმა მექანიზმებმა – შერეულმა საკონტროლო კომისიამ და შერეულმა სამშვიდობო ძალებმა – მოახდინეს ადგილზე სიტუაციის სტაბილიზაცია სამხრეთ ოსეთში, თუმცა დასაწყისში ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო პირველ რიგში, ძალადობის შეჩერებაზე. 1994 წლისთვის გადადგმული იყო გარკვეული ნაბიჯები კონფლიქტის სხვა პრობლემების გადასაჭრელად.

²⁷¹ Дипломатический вестник МИД РФ. 1992. (რგ საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური მაცნე) № 13-14. с.31.

²⁷² http://www.mid.m/BRP_4.NSF/0/2bd92ad3afa09703c3256ea90022457f?OpenDocument in Russian; 13.08.2009

²⁷³ ინგუშების-ოსების შიდა ეთნიკური კონფლიქტი დაიწყო 1989 წელს და 1992 წლის შემოდგომაზე, განვითარდა მოკლე ეთნიკურ ომად ადგილობრივი ინგუშებისა და ოსების გასამხედროებულ ქვედანაყოფებს შორის. Helsinki Human Rights Watch ორგანიზაციის მიხედვით, ოსების ორგანიზებული იყო ეთნიკური წმენდის კამპანია 1992 წლის ოქტომბრის და ნოემბრის მოვლენების დრო, რასაც შედეგად მოყვა 600-ზე მეტი ინგუში სამოქალაქო პირის სიკვდილი და დაახლოებით, 60000 ინგუში განდევნა პრიგოროდნი რაიონიდან.

1994 წლის 31 ოქტომბერს ოთხმხრივმა ერთობლივმა საკონტროლო კომისიამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ შერეულმა სამშვიდობო კომისიამ წარმატებებს მიაღწია სოჭის შეთანხმების რიგი დებულებების რეალიზაციასთან დაკავშირებით. ის ასევე, ფიქრობდა, რომ ახლა შეთანხმების რეალიზაცია „უნდა გარდაიქმნას მუდმივმოქმედ მექანიზმად, რომელიც გეგმაზომიერად და კოორდინირებულად შეიტანს წვლილს კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული რიგი ასპექტების გადაჭრაში: პოლიტიკური, სამხედრო (სამშვიდობო ოპერაციები), ეკონომიკური, ჰუმანიტარული და სხვა.“²⁷⁴ ერთ-ერთი რეალური გზა, რომლის მეშვეობითაც ეს განხორციელდა, იყო ძალაუფლების განაწილების საფუძველზე კონსტიტუციური მოწყობის შესახებ ღია დისკუსიებზე მიმართული ძალისხმევა CSCE/OSCE-ის ხელმძღვანელობით. თუმცა, დისკუსიები ამ თემაზე ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა და მოგვიანებით, შეწყდა.

ერთი წლის შემდეგ, 1995 წლის 30 ოქტომბერს, ვლადიკავკაზში განმეორებით შეხვედრისას, ოთხივე მხარემ და ეუთო-მ გადაწყვიტა მოლაპარაკებების პროცესის გააქტიურება და დანიშნეს ექსპერტთა ჯგუფი რიგ სფეროებში, სტატუსის საკითხების ჩათვლით.²⁷⁵

1996 წლის 16 მაისს, ეუთო-ს ეგიდით, მხარეები შეთანხმდნენ, ალბათ, ყველაზე ოპტიმისტურ დოკუმენტზე, რომელიც ოდესმე ყოფილა მიღებული კონფლიქტის გადაჭრის პროცესის შედეგად: მემორანდუმი უსაფრთხოების გაძლიერების ზომების და ქართულ-ოსური კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთნდობის გაძლიერების შესახებ. ამ მემორანდუმით მხარეები უარს აცხადებდნენ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაზე, როგორც კონფლიქტის გადაჭრის გზაზე. ასევე, ერთმანეთზე პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა სახის ზეწოლის გამოყენებაზე. მემორანდუმი ამნისტიას ანიჭებდა მათ, ვინც მონაწილეობდა 1989-1992 წლების საომარ მოქმედებებში, მაგრამ არ ჩაუდენია სამხედრო დანაშაულობები; თანხმობას აცხადებდა სამხედრო დანაშაულების მოკვლევაზე და ითვალისწინებდა სასჯელს მათთვის, ვისაც ბრალეულობა დაუმტკიცდებოდა; თანხმობას აცხადებდა საკონტროლო-გამშვები პუნქტების თანდათანობით აღებასა და სამშვიდობო ძალების რაოდენობის შემცირებაზე კონფლიქტის ზონაში და ასევე, თანხმდებოდა სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერაზე. ისინი ასევე შეთანხმდნენ კონფლიქტის სრულყოფილი პოლიტიკური გადაჭრისთვის გამიზნული მოლაპარაკებების გაგრძელებაზე.²⁷⁶

²⁷⁴ <http://www.caucasica.org/docs/detail.php?ID=1330&PHPSESSID=85ce24d286e083a2941a5edb041f4078> (რუსულად; 13.08.2009).

²⁷⁵ <http://sojcc.ru/soglashenia/165.html> (რუსულად; 13.08.2009). <http://www.civil.ge/eng/article>.

²⁷⁶ http://sojcc.ru/eng_news/271.html 13.08.2009.

ამ წარმატებებმა მოლაპარაკებებისას, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და სამხრეთ ოსეთის ლიდერს ლუდვიგ ჩიბიროვს საშუალება მისცა სამი ოფიციალური შეხვედრა ჩატარებინათ 1996 - 1998 წლებში.

ამ შეხვედრების შემდეგ გამოცემულ განცხადებებში კმაყოფილებით იყო აღნიშნული პოზიტიური ძვრები კონფლიქტის სრულყოფილ დარეგულირებასთან დაკავშირებით (მათ შორის ერთობლივი ეკონომიკური პროექტები).²⁷⁷

ამ სამმა შეხვედრამ, რომლებიც ორ წელიწადზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში ჩატარდა, აჩვენა, რომ ადგილი ჰქონდა პროგრესს არა მარტო კონფლიქტის შერბილების, არამედ შეიარაღებული დაპირისპირებით მიყენებული ჭრილობების მოშუშების მხრივ; აგრეთვე სრულყოფილი დარეგულირებისთვის საფუძველის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ამ სამი შეხვედრა-სამიტის საფუძველზე „ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც შედგებოდა სრულყოფილიანი დელეგაციებისგან ორივე მხრიდან, ქართულ-ოსური კონფლიქტის ყოვლისმომცველ დარეგულირებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ჩარჩოს ფარგლებში“ პირველად შეხვდა ერთმანეთს ვლადიკავკაზში 1999 წლის 16-17 თებერვალს.²⁷⁸ ეს ჯგუფი თავდაპირველად განიხილებოდა, როგორც ფორუმი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საბოლოო პოლიტიკური გადაწყვეტილების პრინციპების გამომუშავება მათ წარდგენამდე საბოლოო დადასტურებისთვის, ორივე მხარის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის. 1999-2003 წლებს შორის ჩატარდა ამ ჯგუფის ათი შეხვედრა. პირველი სამი ჩატარდა თვით ამ რეგიონში, ხოლო მეოთხე შეხვედრა, რომელსაც 2000 წლის 10-13 ივლისს გაიმართა, გაიმართა ბადენში, ავსტრიაში, ეუთო-ს მოქმედი ავსტრიელი თავმჯდომარის ინიციატივით.²⁷⁹

მოლაპარაკებები, რომლებიც მოჰყვა 1996 წლის მემორანდუმს, ჩატარდა იმ დროს, როდესაც საქართველოში ოპტიმიზმის ახალი შეგრძნება გაჩნდა. ეს ასევე, დაემთხვა პერიოდს, როდესაც სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთი, შეიძლება ითქვას, დასავლეთთან ყველაზე ახლოს იყო. საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ასევე ვითარდებოდა და პირადი ურთიერთობები ელცინსა და შევარდნაძეს შორის კარგი იყო.

²⁷⁷ <http://sojcc.ru/soglashenia/95.html> (რუსულად; 13.08.2009). იხ. აგრეთვე: „განცხადებები. შევარდნაძესა და ლ. ჩიბიროვს შორის შეხვედრასთან დაკავშირებით,“ „სვობოდნაია გრუზია,“ გამოც. 210, 15 November 1997 (თარგმანი რუსულიდან) და აგრეთვე: „შეხვედრა ე. შევარდნაძესა და ლ. ჩიბიროვს შორის,“ „სვობოდნაია გრუზია,“ გამოცემა 158, 23 ივნისი 1998 (თარგმანი რუსულიდან).

²⁷⁸ ეუთოს საინფორმაციო ბიულეტენი, ტ. 6, No 2/3 (http://www.osce.org/publications/sg/1999/02/14247_314_en.pdf; 13.08.2009. <http://www.civil.ge/eng/article>.

²⁷⁹ წლიური ანგარიში, 2000 ეუთოს საქმიანობასთან დაკავშირებით (http://www.osce.org/publications/sg/2005/05/14111_280_en.pdf; 13.08.2009).

მრავალი ექსპერტი თვლის, რომ 1996–1999 წლების პერიოდი განსაკუთრებით სახარბიელო იყო სამშვიდობო პროცესის მნიშვნელოვანი პროგრესირებისთვის. ნდობის ელემენტი იმ დროისთვის აღდგენილი იყო, 1989–1992 წლების კონფლიქტის შემდეგ. არსებობდა ერთობლივი ხედვის ელემენტები პროცესის წინსვლასთან დაკავშირებით და სამუშაოდ არსებობდა კარგი ადგილობრივი და საერთაშორისო პოლიტიკური კონტექსტი.

ალბათ, ორივე მხარემ ვერ მოახერხა მომენტის გამოყენება ან თუნდაც, საკმარისად კარგად გამოყენება. ყოველ შემთხვევაში, 1999 წელს დაიწყო განწყობის მნიშვნელოვნად შეცვლა, რაც ჩანს სამხრეთ ოსეთის მხარის მიერ 1999 წლის 24 სექტემბერს გაკეთებული განცხადებიდან. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ განაცხადა, რომ „კონფლიქტის მოგვარება ვერასოდეს იქნება საქართველოს შიდა საქმე და ნებისმიერი საწინააღმდეგო განცხადება ძირს უთხრის მოლაპარაკებების პროცესს.“ შემდგომ, განცხადებაში ნათქვამი იყო: „... მიუხედავად თბილისის ოფიციალური მოსაზრებისა, პრობლემის გარდაუვალი მოგვარების შესახებ, ფაქტები მიუთითებს საქართველოს დამოკიდებულების შეცვლის შესახებ პრობლემასთან მიმართებაში.“ სამხრეთ ოსეთის მხარემ შემდგომ განაცხადა, რომ საქართველო „ეკონომიკურ ზეწოლას ახორციელებდა სამხრეთ ოსეთზე“ საქონლის ტრანზიტის ბლოკირებით, რაც გამიზნული იყო ტერიტორიის ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე. განცხადებაში გამოთქმული იყო უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ელექტროენერჯით მომარაგების გრაფიკი დარღვეული იყო როგორც მოცულობის, ისე დროის თვალსაზრისით. შემდეგ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება თვლიდა, რომ ეკონომიკურ რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, 1999 წლის იანვარსა და ივნისში მიღებული შეთანხმებები არ ყოფილა წარმატებით განხორციელებული.²⁸⁰

სამხრეთ ოსეთის მხრიდან ამ კრიტიკას დაემთხვა ლუდვიგ ჩიბიროვის მზარდი შიდა არაპოპულარობა 1993 წლიდან. არ არსებობდა რეალური ფაქტები ვარაუდისთვის, რომ ჩიბიროვის არაპოპულარობა პირდაპირ კავშირში იყო მის კონსტრუქციულ პოზიციასთან საქართველოსთან მოლაპარაკებებში. მაგრამ მისი პოლიტიკური პოზიციის თანდათანობით შესუსტებამ, რაც ალბათ, დაკავშირებული იყო გახანგრძლივებულ სოციალურ და ეკონომიკურ სიძნელეებთან და მისმა შემდგომმა დამარცხებამ 2001 წლის დეკემბერში, სამხრეთ ოსეთში დე-ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებში, როგორც ჩანს, მკვეთრად უარყოფითი გავლენა იქონია ქართულ-ოსურ სამშვიდობო პროცესზე.

²⁸⁰ სამხრეთ ოსეთი საქართველოს ადანაშაულებს მოლაპარაკებათა საბოტაჟში. RFERL Newline 27.09.1999. <http://www.rferl.org/content/article/1142000.html>

კონფლიქტის გადაჭრის პროცესში ეკონომიკური სკითხები წარმოიშობა, როგორც მნიშვნელოვანი ელემენტები

1992 წლის სოჭის ხელშეკრულების შემდეგ, როდესაც ბრძოლა შეჩერდა, კონფლიქტის გადაჭრის პროცესში ეკონომიკური საკითხები ცენტრალურ თემად იქცა. მათი შეჯამება სამ კატეგორიად შეიძლება: სამხრეთ ოსეთის მხარის მოთხოვნები 1989–1992 მიყენებული მატერიალური ზარალის კომპენსაციასთან და კონფლიქტის ზონის ეკონომიკურ რეაბილიტაციასთან დაკავშირებით; ეკონომიკური რეაბილიტაცია, მათ შორის ინფრასტრუქტურული განვითარება, და საქონლის ტრანზიტთან დაკავშირებული საკითხები რუსეთის ფედერაციიდან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გავლით საქართველოში და, პირიქით.²⁸¹

ოსური მხარე რეგულარულად აყენებდა კომპენსაციის საკითხს ზარალის შესახებ, რომელიც მათი განცხადებით, განიცადეს 1989–1992 წლების კრიზისის შედეგად, და რომელიც უტოლდებოდა მილიარდობით რუბლს.²⁸²

ოსი პოლიტიკოსები ხშირად აკრიტიკებდნენ რუსეთს და განსაკუთრებით, საქართველოს იმისთვის, რომ არ უზრუნველყოფდნენ ფინანსურ დახმარებას, რომელსაც შეპირდნენ კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის.²⁸³

ამ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკის სტატუსის გათვალისწინებით, მცირე იმედი იყო იმისა, რომ საქართველო შეძლებდა კომპენსაციის ან პოსტ-კონფლიქტური რეაბილიტაციისთვის არსებითი დახმარების უზრუნველყოფას, რასაც ოსები ელოდნენ. თუმცა, ქართული მხარე მოლაპარაკებებს აწარმოებდა უცხოურ მთავრობებთან და

²⁸¹ სოჭის შეთანხმება. იხ. Дипломатический вестник МИД РФ. 1992... შრ. ციტ. (ინგლისური თარგმანიდან: თამაზ დიასამიძე, რეგიონული კონფლიქტები საქართველოში (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ავტონომიური სსრ 1989-2008). თბილისი, 2008. გვ. 110-111. 1992 წლის სოჭის შეთანხმებაში ნათქვამია, რომ: „მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ მოლაპარაკებები კონფლიქტის ზონაში განლაგებული რეგიონების ეკონომიკის აღდგენაზე და სათანადო პირობების შექმნაზე ლტოლვილების დასაბრუნებლად; მხარეებს მიუღებლად მიაჩნიათ ეკონომიკური სანქციების, ბლოკადების ან რაიმე სხვა დაბრკოლებების გამოყენება საქონლის, მომსახურების ან ადამიანების თავისუფალი გადაადგილებისთვის და იღებენ ვალდებულებას ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, დაზარალებული მოსახლეობისთვის.“

²⁸² 2006 წლის მარტში ოსეთის მხარემ შეაფასა სრული ზარალი (და მისი შემდგომი საჩივარი საქართველოს მიმართ) 56.1 მილიარდი რუბლის (USD 118 მილიარდზე მეტი) ოდენობით. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/92083> (რუსულად, წვდომა: 13.08.2009).

²⁸³ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის შესახებ 1993 წლის 14 სექტემბრის საქართველო-რუსეთის მთავრობათაშორისი შეთანხმების შესაბამისად, ქართულ მხარეს უნდა დაეფარა ღირებულების 2/3, ხოლო რუსულ მხარეს ღირებულების 1/3. იხ.: Дипломатический вестник МИД РФ. 1993. (რე საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური მაცნე) № 23-24. გვ. 44. ინგლისური თარგმანიდან: თამაზ დიასამიძე... შრ. ციტ., გვ. 158. 2002 წელს საქართველომ და რუსეთმა დადეს კიდევ ერთი შეთანხმება, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა უკეთესი კოორდინაცია, დანერგვისთვის მთავრობათაშორისი ორგანოს ჩათვლით (JCC 2-ე ოქმის დანართი 2, 2001 წლის 3 ივლისი).

საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონფლიქტის შემდგომი აღდგენისთვის დაფინანსების მოპოვების მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომ დახმარების გაწევა მოხდებოდა საქართველოს მთავრობის გავლით.

ოსები აგრეთვე ამტკიცებდნენ, რომ ვინაიდან მათი ეკონომიკა კონფლიქტის გამო დანგრეული იყო, მათ არ შეეძლოთ ელექტროენერჯის ღირებულების გადახდა, რომელსაც თბილისიდან იღებდნენ. არსებობდა ელექტროენერჯით მომარაგებასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც. მაგალითად, ცხინვალის დაახლოებით ერთსაათიან ელექტრომომარაგებას იღებდა დღეში. საქართველოს სხვა რაიონებიც ასეთივე სიტუაციაში იყვნენ და თვით თბილისშიც ელექტრომომარაგება არარეგულარული იყო, ხდებოდა ელექტროენერჯის მიწოდების ყოველდღიური შეწყვეტა. ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილები, სამხრეთ ოსეთი განიცდიდა ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის კოლაფსის შედეგებს და სოფლის მეურნეობის გარდა, ინვესტიციები მცირე, ან საერთოდ არ იყო.

სხვა საკამათო სფერო ქართველებსა და ოსებს შორის ეკონომიკის დარგში, დაკავშირებული იყო საქონლის მიმოქცევასთან – რუსეთსა და საქართველოს შორის როკის გვირაბის და სამხრეთ ოსეთის მიერ კონტროლირებული ტერიტორიის გავლით, რაზეც ქართულ ხელისუფლებას კონტროლი არ ჰქონდა.

1995–1996 წლებამდე, სამშვიდობო ძალების საკონტროლო-გამშვები პუნქტებით მხარეები გამოცალკევებული იყო ერთმანეთისგან და ვაჭრობაც იშვიათი იყო, თუმცა, ცოტაოდენი კონტრაბანდული საქონელი საქართველოს მიმართულებით უკვე მიედინებოდა. 1996 წლის შემდეგ, ეს სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და ვაჭრობა ორ მხარეს შორის გააქტიურდა.

ეუთო და ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაჭრის პროცესი

1992 წლის ბოლოს, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისია (CSCE) შეუდგა ამბიციური გეგმის შესრულებას „გრძელვადიანი მისიების“ დაწყებით, რაც შემდგომ ცნობილი გახდა საქართველოში ეუთო-ს მისიის სახელით. CSCE-ის მომხსენებელი მისია საქართველოში 1992 წლის 17–22 მაისს გაიგზავნა, მალევე, მას შემდეგ, რაც ქვეყანა ამ ორგანიზაციას შეუერთდა. მისიის დაარსების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა CSCE-ის უფროსი ოფიციალური პირების საბჭოს მე-17 შეხვედრაზე, 1992 წლის ნოემბერში.²⁸⁴ მისიის მანდატი ერთი თვის შემდეგ შეთანხმდა,²⁸⁵ როდესაც გადაწყდა, რომ მისიის ამოცანა იქნება „მოლაპარაკებების

²⁸⁴ OSCE CSO შეხვედრების ჟურნალი 2, დანართი 2, 1992 წლის 6 ნოემბერი.

²⁸⁵ ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით, CSCE საბჭოს მიერ გაცემული მანდატის მიხედვით, მისიის მოვალეობა იყო „უფრო ფართო პოლიტიკური ჩარჩოს შექმნის ფასილიტაცია, რომელშიც შესაძლებელი იქნება პოლიტიკური დარეგულირების მიღწევა CSCE პრინციპების და

ხელშეწყობა საქართველოში კონფლიქტის მხარეებს შორის(...) პოლიტიკური დარეგულირების მიღწევის მიზნით.²⁸⁶

მისიამ²⁸⁷ მუშაობა 1992 წლის დეკემბერში დაიწყო და მნიშვნელოვანია, რომ მცირე დროის განმავლობაში მოიპოვა ქართულ-ოსური კონფლიქტის ორივე მხარის მხარდაჭერა. ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს მთავრობასთან ხელი მოეწერა 1993 წლის იანვარში, ხოლო სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობასთან ურთიერთგაგების მემორანდუმი შეთანხმებულ იქნა წერილების გაცვლით, 1993 წლის მარტში.

თავიდანვე, ეუთო-ს მისია საქართველოში იძულებული იყო შეგუებოდა ორ ფაქტს, რაც გავლენას ახდენდა მის მუშაობაზე. პირველი იყო, ის რომ 1992 წლიდან და შემდგომ, CSCE/OSCE თანმიმდევრულად უჭერდა მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ყველა თავის ოფიციალურ დოკუმენტში. მისიას ეწოდებოდა მისია საქართველოში და განლაგებული იყო თბილისში. ეს არ ხიბლავდა სამხრეთ ოსეთის მხარეს, რომელიც, ხშირად ეჭვობდა, რომ მისია მიკერძოებული იყო. მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში, CSCE/OSCE-მ მოახერხა ნდობის მოპოვება სამხრეთ ოსეთის მხარესაც. მეორე ფაქტორი იყო, რომ CSCE/OSCE პროცესში ჩაერთო სოჭის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ. მართალია, სოჭის ხელშეკრულებით არ ყოფილა ნათლად დადგენილი, მაგრამ ხდებოდა მისი განმარტება ისე, (მხარეების მიერ შეთანხმების საფუძველზე შემდგომ დოკუმენტებში ინკორპორაციის გზით), რომ რუსეთის ფედერაცია იყო სამშვიდობო პროცესის მთავარი ფასილიტატორი. შერეული საკონტროლო კომისიის მექანიზმი უზრუნველყოფდა ოთხმხრივ განლაგებას, სადაც რუსეთის ფედერაცია მთავარი ფასილიტატორი იყო. თუმცა, CSCE/OSCE პროცესში მონაწილეობას მიესალმებოდნენ და, 1994 წლისთვის, მისი პოზიცია ასევე ფორმალური იყო შერეული საკონტროლო კომისიის ჩარჩოს ფარგლებში.

მისიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მხარეებს შორის დიალოგის გაუმჯობესებაში, ნდობის ჩამოყალიბებაში, განსხვავებების შემცირებაში და, ფაქტობრივად, მხარეების შეთანხმებისკენ დაახლოებაში. მისი არსებობა იმის ნიშანი იყო, რომ საერთაშორისო

ვალდებულებების საფუძველზე; კონფლიქტის ყველა მხარესთან დიკუსიების ინტენსიფიკაცია, მრგვალი მაგიდების ორგანიზების ჩათვლით, დამაბულობის წყაროების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრისთვის; მონიტორინგის ფუნქციის შესასრულებლად ერთობლივ სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით, სამხედრო ძალის მეთაურებთან კონტაქტის სათანადო ფორმების დამყარება, ინფორმაციის შეგროვება სამხედრო განლაგების ადგილზე, ცეცხლის შეწყვეტის არსებული დარღვევების მოკვლევა და ადგილობრივი მეთაურების ყურადღების მიპყრობა კონკრეტულ სამხედრო აქციებზე შესაძლო პოლიტიკურ გამოხმაურებასთან დაკავშირებით; აქტიური ჩართვა ახლად მოწვეულ ერთობლივ საკონტროლო კომისიაში.“ CSCE CSO შეხვედრების ჟურნალი 3, დანართი 1, 13 დეკემბერი, 1992 წ.

²⁸⁶ იქვე.

²⁸⁷ <http://www.osce.org/georgia>.

საზოგადოება დაინტერესებული იყო რეგიონში მშვიდობის ჩამოსაყალიბებლად. მისია ავსებდა და, გარკვეულწილად, აბალანსებდა რუსეთის როლს ქართულ-ოსურ სამშვიდობო პროცესში.

ევროკავშირი და ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაჭრის პროცესი

საქართველოსთან ევროკავშირმა საქმიანობა მალევე დაიწყო, 1992 წლის შემდეგ. ევროკომისიის დელეგაცია თბილისში, 1995 წელს გაიხსნა, ანალოგიური მისიების სომხეთსა თუ აზერბაიჯანში დაარსებამდე დიდი ხნით ადრე. იმ დროს ევროკავშირის მთავარი მუშაობა ჰუმანიტარული ხასიათის იყო. მისია უზრუნველყოფდა საქართველოსთვის ერთობ საჭირო დახმარებას მისი უახლესი ისტორიის ამ რთულ ეტაპზე. ევროკომისია ასევე ცდილობდა მოკრძალებული პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფას საქართველოს ახლად შექმნილი დემოკრატიისთვის.²⁸⁸ თუმცა, 1997 წლამდე, ევროკავშირის ჩართულობა ქართულ-ოსურ კონფლიქტში, უმთავრესად, ხორციელდებოდა მის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების ნდობის აღდგენის პროგრამების მხარდაჭერის მეშვეობით.

1995 წლის შემდეგ, შეინიშნებოდა რა, პროგრესი მოლაპარაკებებში ქართულ და სამხრეთ ოსურ მხარეებს შორის, ევროკავშირი ცდილობდა ამ პროცესის მხარდაჭერას კონფლიქტის შემდგომი ეკონომიკური რეაბილიტაციის ხელშეწყობის შეთავაზებით. 1997 წლის გაზაფხულზე, ევროკომისიის დელეგაცია ეწვია ცხინვალს, სამხრეთ ოსეთის ლიდერთან, ლუდვიგ ჩიბიროვთან შესახვედრად. 1997 წელს, ევროკომისიამ დაიწყო მცირე კვლევითი პროექტი ხელშეწყობის შესაძლო არეების დასადგენად. სამხრეთ ოსეთის მხარე პოზიტიურად ჩაერთო ამ პროცესში. ერთი მოსაზრება, რომელიც ყოველთვის საყურადღებო საკითხს წარმოადგენდა, ის იყო, რომ ევროკავშირის პროექტი სამხრეთ ოსეთში უნდა ყოფილიყო საქართველოსთვის მხარდაჭერის პაკეტის ნაწილი, რაც ნიშნავდა: პირველი, ქართველები უნდა დათანხმებოდნენ იმას, რომ ფულის ნაწილი დაიხარჯებოდა სამხრეთ ოსეთში; და მეორე, ოსები უნდა დათანხმებოდნენ, რომ მათ მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე დახარჯული თანხები წამოვიდოდა საქართველოსთვის გამიზნული საბიუჯეტო ხაზებიდან. შეიძლება გულახდილად ითქვას, რომ ყველა მხარეზე მნიშვნელოვანი პოზიციების მიუხედავად, ზოგადად, პრაგმატიზმი აღინიშნებოდა 2008 წლის კრიზისამდე და ორივე მხარისთვის მისაღები ენა შეთანხმებული იქნა იმ გაგებაზე დაფუძნებით, რომ ფული გამოყოფილი უნდა ყოფილიყო კონფლიქტის ხაზის ორივე მხარეს.²⁸⁹

²⁸⁸ http://www.delgeo.ec.europa.eu/en/about_us/about_us.html#therole%20of%20the%20Delegation 13.08.2009.

²⁸⁹ საქართველო: სამხრეთ ოსეთში ომის თავიდან აცილება. საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი, ევროპის მოხსენება Nr 159. თბილისი/ბრიუსელი ნოემბერი, 2004 წ., გვ. 19-20.

დასაწყისში, კონფლიქტის ორივე მხარის მიერ ევროკავშირი უმთავრესად აღიქმებოდა, როგორც ფინანსური მხარდაჭერის მნიშვნელოვანი წყარო. მისი ჩართულობის ზრდასთან ერთად, ევროკავშირის მიმართ მოთხოვნა იყო, უშუალოდ და ფართოდ ჩართულიყო კონფლიქტის გადაჭრის პროცესში.

1999 წლის ივლისში, შერეული საკონტროლო კომისია დაეთანხმა, რომ ევროკომისიას შეეძლო მის მიერ გამართულ შეხვედრებზე დასწრება, როგორც დამკვირვებელს, ეკონომიკურ საკითხებზე დისკუსიების დროს.²⁹⁰ ეს ფაქტობრივად, ადგილს აძლევდა ევროკომისიას მოლაპარაკებების მაგიდასთან და თუმცა, ფორმალურად არ ცვლიდა მოლაპარაკებების ფორმატს, ნამდვილად მოახდინა გავლენა მათს დინამიკაზე. შემდგომ, ასევე შეიქმნა ხელმძღვანელი კომიტეტი, ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამაზე ზედამხედველობისთვის. ევროკომისია ხელმძღვანელი კომიტეტის სრული წევრი იყო,²⁹¹ და შემდგომში, გამოიყენა მისი არსებობა სხვა, ძირითადად, დასავლეთის დონორი ქვეყნების კომიტეტში ჩართვის გასაადვილებლად, ნაბიჯი, რომელიც ქართულმა მხარემ დადებითად მიიღო და უხმოდ მიიღეს რუსებმა და ოსებმა. ევროკომისია ცდილობდა გამოეყენებინა მისი მონაწილეობა შერეულ საკონტროლო კომისიაში, უფრო პრობლემურ საკითხებში მონაწილეობისათვის. 2002 წელს ევროკავშირი-ეუთო-ს ერთობლივი პროექტით შემოთავაზებული იყო დიდ გუფთაში ქართულ-ოსური ერთობლივი სავაჭრო კონტროლის ცენტრის შექმნა. ეს პროექტი თაროზე რჩებოდა გარკვეული დროის განმავლობაში და ნელ-ნელა, სხვადასხვა ფორმატშიც წამოიწია, მაგრამ რეალურად არასოდეს განხორციელებულა.²⁹²

მეორე რიგის ინიციატივები

ამ პერიოდში ეუთო-სა და ევროკავშირის მუშაობაში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ახლებური ჩართულობა დაიწყო. 1994–2000 წლებში მნიშვნელოვანი ინოვაციური მუშაობა ჩატარდა ბრიტანული ორგანიზაციების მიერ -VERTIC და LINKS. ჩატარდა მაღალი პროფილის რამდენიმე შეხვედრა, სადაც ორი მხარის პოლიტიკოსები შეხვდნენ ერთანეთს, ხშირად, პირველად, შერეული საკონტროლო კომისიის ჩარჩოს ფარგლებს გარეთ.²⁹³

²⁹⁰ 1999 წლის 23 ივლისის JCC სესიის 10 პროტოკოლის დანართი 4; www.rrc.ge/law/Skkprot10dan4_1999_07_23_e.htm; 13.08.2009.

²⁹¹ იხილეთ, მაგ. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=14668> და <http://www.undp.org.ge/Projects/Osetibrief.pdf>; ორივეს წვდომა: 14.08.2009.

²⁹² ზოგადად, ევროპის კომისიის ხელშეწყობის შესახებ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში იხ.: <http://www.delgeo.ec.europa.eu/en/programmes/rehabilitation.html>; 14.08.2009. იხ. აგრეთვე UN OCHA საქართველო „შენიშვნები სამხრეთ ოსეთის შესახებ მოხსენებასთან დაკავშირებით,“ იანვარი, 2004.

²⁹³ <http://www.links-london.org/>.

1997 წლის იანვარში, პროცესის ფარგლებში შესაძლებელი გახდა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პარლამენტის სპიკერის, კოსტა ძუგაევის ვიზიტი თბილისში, სადაც ის შეხვდა პრეზიდენტ შევარდნაძეს და პარლამენტის სპიკერს, ზურაბ ჟვანიას. ასევე ჰქონდა ცალკე შეხვედრები ყველა პოლიტიკურ ფრაქციასთან საქართველოს პარლამენტში. ეს დარჩა უმაღლესი დონის ვიზიტად სამხრეთ ოსეთის ლიდერის მიერ თბილისში 1991–1992 წლების საომარი მოქმედებების შემდეგ.²⁹⁴ ამ პერიოდის განმავლობაში, სამხრეთ ოსეთის მხარე ასევე პოზიტიურად ჩაერთო სხვა ინიციატივებში, რომლებსაც უძღვებოდა ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო²⁹⁵ და Mercy Corps-ის კონფლიქტების მართვის ჯგუფი (რომელსაც მჭიდრო კავშირები ჰქონდა ჰარვარდის უნივერსიტეტთან).²⁹⁶

მხარეებს შორის ნდობის აღდგენის საქმეში დამსახურების გარდა, ეს ინიციატივები ხელს უწყობდა სამხრეთ ოსური მხარის შესაძლებლობის გაზრდას ქართულ მხარესთან მათი მოლაპარაკებების მართვის და კონფლიქტების გადაჭრის საერთაშორისო გამოცდილების გაგების თვალსაზრისით. სამხრეთ ოსეთის მოხელეებს უმასპინძლეს ბოსტონსა და ლონდონში, გააცნეს ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარე კონფლიქტის გადაჭრის პროცესები და კონსტიტუციური პროცესები და ძალაუფლების დელეგირება შოტლანდიაში.

1999 წლის შემდეგ, მეორე რიგის ინიციატივებს სიძნელები შეექმნათ, ვინაიდან ერთი მხრივ, ქართული მხარე, როგორც ჩანს, ცდილობდა სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული სამშვიდობო ინიციატივების ცენტრალიზებას, ხოლო მეორე მხრივ, ოსურ მხარეს ჰქონდა მზარდი რწმენა იმისა, რომ თბილისთან კავშირი და ურთიერთობები შესაძლო, მოსკოვიდან იყო მართული.

მეორე ფაზა: პროცესის „მიძინება“ (2000 - 2003)

1999 წელს, სამხრეთ ოსეთის ლიდერის, ლუდვიგ ჩიბიროვის პოპულარობა დაეცა. 1999 წლის ნოემბერში, სამხრეთ ოსეთში გაიმართა პირველი ანტი-სამთავრობო დემონსტრაციები, სადაც მოითხოვდნენ მის გადადგომას კატასტროფული ეკონომიკური სიტუაციისა და კერძოდ, ენერგომომარაგების არარსებობის გამო. 2001 წლის დეკემბერში, სამხრეთ ოსეთში ჩატარებულ დე-ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებში,

²⁹⁴ სამხრეთ ოსეთის ლიდერი საქართველოში. Tbilisi. RFERL Newsline 16.01.1997

<http://www.rferl.org/content/article/1141329.html>; 14.08.2009. აგრეთვე, იხ.: საქართველოს პარლამენტის სპიკერი სამხრეთ ოსეთში. RFERL Newsline 21.01.1997. <http://www.rferl.org/content/article/1141332.html>

¹⁴⁴ <http://www.nrc.no>.

²⁹⁶ <http://www.mercycorps.org/countries/unitedstates/10703>.

ჩიბიროვმა პირველ რაუნდში მესამე ადგილი დაიკავა და შემდგომ, ის შეცვალა ედუარდ კოკოითმა, მოსკოვში მცხოვრებმა ოსმა ბიზნესმენმა.²⁹⁷

კონფლიქტის გადაჭრის პროცესის გაუარესება 1999 წლის შემდეგ დაიწყო. არა მხოლოდ არ ყოფილა შემდგომი შეხვედრები ორი მხარის ლიდერებს შორის, არამედ დელეგაციების დონემაც თანდათანობით დაიწია. ამასობაში, შერეული საკონტროლო კომისიის შეხვედრები, ძირითადად, ორიენტირებული იყო ეკონომიკურ საკითხებზე.

ერთი შეხედვით, კონფლიქტის გადაჭრის პროცესი გრძელდებოდა. ექსპერტების ჯგუფმა, სულ მცირე, ათი შეხვედრა ჩაატარა 1999-2003 წლებს შორის. პირველ ოთხ შეხვედრაზე იყო იმ რამდენიმე პრინციპის წინა პლანზე წამოწევის მცდელობები, რომლებზეც შესაძლებელი იქნებოდა მომავალი პოლიტიკური შეთანხმების დაფუძნება, მაგრამ საბოლოო ტექსტი არ ყოფილა შეთანხმებული, თუმცა იყო რაღაც პროექტები, სადაც ტექსტის ნაწილი შეთანხმებული იყო, ნაწილი კი, არა.²⁹⁸ ეს ძალისხმევებიც კი, შემდგომ დავიწყებულ იქნა. დროის გარკვეული მომენტის შემდეგ, ქართულ-ოსური სამშვიდობო პროცესი გადაიქცა კონფლიქტის მართვის პროცესად, პოლიტიკური გადაწყვეტილების გაურკვეველი დროით გადადებით. ზოგიერთი ანალიტიკოსის მიხედვით, მხარეებმა „მიადინეს“ კონფლიქტის გადაჭრის პროცესი.

ერგნეთის ბაზარი – კონტრაბანდა, როგორც „ნდობის აღდგენის ღონისძიება“

1996-1998 წლებისთვის სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების თვალსაზრისით, სიტუაციის თანდათანობითი სტაბილიზაცია მოხდა და გაუქმდა იმ საკონტროლო-გამშვები პუნქტების უმეტესობა, რომლებიც ორ მხარეს ყოფდა. ქართული ბაზრები უეცრად გაივსო სამხრეთ ოსეთის გავლით შემოტანილი რუსული საქონლით. არ ხდებოდა საბაჟო გადასახადის გადახდა, რაც საქართველოს სუსტ ეკონომიკას შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს ართმევდა. ამ დროს კი, ოსებმა დაიწყეს ფულის კეთება სატრანზიტო გადასახადის შემოღებით როკის გვირაბის მათ მხარეზე. ამ უკანონო ვაჭრობის ცენტრად ერგნეთის ბაზარი მოგვევლინა, ტერიტორია სამხრეთ ოსეთისა და დანარჩენი საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვარზე, რომელიც

²⁹⁷ დე-ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების მეორე რაუნდში 22 109 ამომრჩეველმა, ანუ დარეგისტრირებული ელექტორატის 63% მონაწილეობა მიიღო არჩევნებში. ედუარდ კოკოითმა მიიღო 12 171 ამომრჩევლის ანუ 55% მხარდაჭერა; მისმა მეტოქემ მეორე რაუნდში, პარლამენტის თავმჯდომარემ სტანისლავ ქოჩიევმა მიიღო 9 009 ხმა ან 40,7%. სამხრეთ ოსეთის ქართველმა მოსახლეობამ არჩევნების ბოიკოტირება მოახდინა (იხ. „ბლექ სი პრეს“ მოხსენება 7 დეკემბერი, 2001წ). ედუარდ კოკოითი ნაკლებად იყო ცნობილი საქართველოში, რომ არაფერი ვთქვათ დანარჩენ სამყაროზე. როდესაც აირჩიეს - 38 წლისა იყო. საბჭოთა დროში ის კომკავშირის ცხინვალის განყოფილების მდივანი და ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი იყო. იგი აცხადებდა, რომ იბრძოდა 1991-1992 დაპირისპირების დროს („ბლექ სი პრეს“ 7 დეკემბერი, 2001წ).

²⁹⁸ იხ.: შეთანხმება (დეკლარაცია) ქართულ-ოსური კონფლიქტის მხარეებს შორის პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობების ძირითად პრინციპებზე. პროექტი. სტატუსი 12.07. 2000 წ. მდგომარეობით. თამაზ დიასამიძე. შრ. ციტ. გვ. 364-365.

მოულოდნელად გადაიქცა ქართველებისა და ოსების სავაჭრო ადგილად. წარმატებულ პერიოდში, ყოველდღიურად, ბაზრობაზე 3000-მდე ადამიანი იყრიდა თავს, რათა თავისი ბიზნესი წარემართა.

ამის შედეგად საქართველოს ჩრდილოვანი ეკონომიკა კიდევ უფრო გაღრმავდა და სხვადასხვა ადამიანი, რომელსაც ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ზოგიერთს კი, შესაძლებელია სამშვიდობო პროცესთან ჰქონდათ კავშირი, ჩართული აღმოჩნდა ამ შემოსავლიან კონტრაბანდულ ოპერაციებში.²⁹⁹ საქართველოს მთავრობის კონტრაბანდის გაკონტროლების ნებისმიერი მცდელობა ჩვეულებრივ, ოსეთის მხარის ბრალდებებით მთავრდებოდა, რომ ეს იყო მათი ეკონომიკის „ჩაძირვის“ პოლიტიკის ნაწილი და ირღვეოდა სოჭის ხელშეკრულება.³⁰⁰

პრაქტიკულად, ერგნეთის ბაზარი გადაიქცა სპონტანურ, თავისუფალ კვაზი-სავაჭრო ზონად, სადაც ოსები ქართველებზე ყიდდნენ კონტრაბანდულ საქონელს, მათ კი, არ უწევდათ საბაჟო გადასახადის გადახდა. კონტრაბანდა, გავრცელებული ინფორმაციით მიდიოდა მეორე მიმართულებითაც, საქართველოდან რუსეთისკენ, მაგრამ მისი გავლენა გაცილებით დიდ, რუსულ ეკონომიკაზე შედარებით უმნიშვნელო იყო. სხვა საკითხია ის, საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც სენსიტიურად აღიქვამდა ოსეთის სირთულეებს, ერგნეთის ბაზარი სამშვიდობო პროცესის ნაწილად მიიღო, თუ სხვა მიზეზების გამო დაუშვა მისი არსებობა. ნებისმიერ შემთხვევაში, წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობა იყო ძალიან პასიური ამ პრობლემაზე რეაგირების თვალსაზრისით.³⁰¹

ის ფაქტი, რომ ორი საზოგადოება აღარ იყო გაყოფილი და შეეძლოთ აღედგინათ ურთიერთობა, ვაჭრობის ჩათვლით, ცხადია, პოზიტიური მოვლენა იყო და ხშირად აღიქმებოდა, როგორც სამშვიდობო პროცესის წარმატების ნიშანი. თუმცა, ერგნეთის ბაზარს ასევე, შესაძლებელია ჰქონოდა ნეგატიური გავლენა კონფლიქტის მოგვარების პროცესზე:

- ზოგიერთ ადგილობრივ თანამდებობის პირს გაუჩნდა ერგნეთის კონტრაბანდულ ბაზრობაზე მონაწილეობის ინტერესი, რაც მათ აძლევდა საფუძვლიან ინტერესს პოლიტიკური და ლეგალური სტატუს-ქვოს შენარჩუნებაში. ერგნეთის, როგორც „ქართულ-ოსური მეგობრობის სიმბოლოს,“ მაგრამ აგრეთვე, როგორც

²⁹⁹ ქართველი და ოსი ოფიციალური პირების დისკუსიისთვის, რომელიც ჩართული იყო ერგნეთის ბაზრის არალეგალური ოპერაციებისთვის იხ. საქართველო, ომის თავიდან აცილება. შრ. ციტ.გვ. 10-11.

³⁰⁰ იქვე, გვ. 11.

³⁰¹ ალექსანდრე კუხიანიძე, ალექო კუპატაძე, რომან გოცირიძე, კონტრაბანდა საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების გავლით. თბილისი, 2004. ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის ცენტრის კვლევის შესახებ მოხსენება.

http://www.conflicts.rem33.com/images/Georgia/crim_geor_kukhian_kupatad.pdf; 14.08.2009.

არალეგალური შემოსავლის წყაროს დაცვა, შესაძლოა გამხდარიყო მათი მთავარი პრიორიტეტი;

- ამან საშუალება მისცა პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკურ ოპოზიციას ნათლად გამოეხატა შეხედულება, რომ ქართულ-ოსური სამშვიდობო პროცესი, საერთოდ არ ყოფილა პროცესი, არამედ იყო კონტრაბანდული ოპერაცია, რომელიც პოლიციას უნდა აღეკვეთა; ეს, როგორც ჩანს, სააკაშვილის ხელისუფლების ნაწილის მიდგომა იყო; სააკაშვილი ხელისუფლებაში 2004 წელს მოვიდა;
- როგორც ჩანს, ამან გააღვიძინა საერთაშორისო თანამეგობრობის ნაწილი მაინც, და საგრძნობლად შეასუსტა მისი ენთუზიაზმი, კონფლიქტის მოგვარების პროცესში დასახმარებლად.³⁰²

საბოლოოდ, ერგნეთი საკუთარი თავისთვის მოხვეული პრობლემა გახდა. ბევრი ოსი, რომელსაც შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნდა, კონტრაბანდულ საქმიანობაზე გახდა დამოკიდებული, როგორც ერთადერთ შემოსავალზე. შემდგომ, როდესაც ქართველებმა ერგნეთის ბაზარი დახურეს 2004 წლის ივნისში, ოსეთის ხელმძღვანელობამ ისევე, როგორც პოლიციამ არ აღიქვა ეს, როგორც კონტრაბანდის საწინააღმდეგოდ მიმართული ღონისძიება, არც ოსმა ხალხმა მიიღო ეს კარგად, როგორც ამას, შესაძლოა, საქართველოს ახალი ხელისუფლება ელოდა.

ამის ნაცვლად, ეს აღქმული იყო, როგორც კიდევ ერთი, არამეგობრული საქციელი აგრესიული ქართული სახელმწიფოს მხრიდან, რომელმაც ზიანი მიაყენა სამხრეთ ოსეთის ხალხს.³⁰³

კრიზისის საერთაშორისო ჯგუფი, თავის მოხსენებაში, რომელიც 2004 წლის ნოემბერში მომზადდა, ეთანხმებოდა, რომ „მთლიანობაში ერგნეთის ბაზარს უარყოფითი გავლენა ჰქონდა საქართველოს სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოზე,“ მაგრამ ასევე ამტკიცებდა, რომ „მას ჰქონდა სულ მცირე, სამი სარგებელი. მართალია, შემოსავლების დიდი ნაწილი ადგილობრივი უფლებამოსილი პირების, სამართალდამცავებისა თუ „ბიზნეს საზოგადოების“ ელიტასთან მიდიოდა, ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც შეეძლოთ საარსებო სახსრების მოძიება ვაჭრობის საშუალებით, სამხრეთ ოსეთში არსებული მაღალი უმუშევრობისა და ცუდი ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე. ფასები ისეთ აუცილებელ საქონელზე, როგორცაა, პური, ხელოვნურად დაბალი იყო, რადგან არ იყო გადასახადი. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ომის წლების შემდეგ, ბაზარი იყო საშუალება რიგითი ქართველებისა და ოსებისთვის შესახვედრად, კონტაქტების დასამყარებლად და

³⁰² საქართველო: ომის თავიდან აცილება... შრ. ციტ., გვ. 11.

³⁰³ საქართველო ახორციელებს ზეწოლას სამხრეთ ოსეთის ლიდერებზე. RFERL კავკასიის მოხსენება, ტ. 7, nr 25, 25.06.2004.

საერთო ინტერესების დასახებად.³⁰⁴ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ამის მსგავსად, ჩრდილოეთ ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ძირითადი გზის გასწვრივ, რომელიც ხორვატულ, ბოსნიურ და სერბულ დასახლებებს აერთებდა, 1996 წლიდან მოყოლებული „არიზონას ბაზარი“ წარმოადგენდა უნიკალური შეხვედრის ადგილს, რაც ხელს უწყობდა მშვიდობის აღდგენას და 2000 წლამდე, არც აქ იყო საბაჟო გადასახადების სისტემა ვაჭრობის დასარეგულირებლად.³⁰⁵

თუმცა, მიუხედავად კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების სიტუაციის საგრძნობი გამოსწორებისა და ვაჭრობისა, რომელიც 2004 წლის ივნისამდე იყო აქტიური, კვლავ გაურკვეველი რჩებოდა სამხრეთ ოსეთის სტატუსი, რაც ნიშნავდა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტი ისევ შორს იყო მოგვარებიდან.

მესამე ფაზა: შეცდომები და არასწორი წარმოდგენები (2004 - 2008)

2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუციის შემდეგ, ქართულ-ოსურმა ურთიერთობებმა რადიკალური ცვლილება განიცადა. თავიდან, ახალმა პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ჟვანიამ, ლიდერობა თავის თავზე აიღო ცხინვალთან მოლაპარაკებებში. 2004-2005 წლებში, საქართველოს ხელისუფლებამ გამოთქვა სურვილი მოეგვარებინა სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტი და აგრეთვე, გამოთქვა მოლოდინი, რომ როგორც ოსები, ისე რუსი შუამავლები თავიანთ წვლილს შეიტანდნენ ამ ძალისხმევაში. მოლაპარაკებებში საქართველოს პოზიცია ისეთი იყო, რომ თუ მის ტერიტორიულ მთლიანობას პატივის სცემდნენ (შესაბამისად, თუ სამხრეთ ოსეთი აღიარებდა, რომ ის საქართველოს ნაწილი იყო), სხვა ყველაფერზე შესაძლებელი იყო შეთანხმება.³⁰⁶

თუმცა, 2004 წლიდან 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულ დაპირისპირებამდე, ქართული პოლიტიკა არ იყო ძალიან თანმიმდევრული. ერთი მხრივ, საქართველოს ლიდერები წარმოადგენდნენ სამშვიდობო გეგმებს, რათა მოეპოვებინათ საერთაშორისო მოწონება და მხარდაჭერა მათი შემდგომი განხორციელებისთვის; ისინი პირდებოდნენ

³⁰⁴ საქართველო: ომის თავიდან აცილება... შრ. ციტ., გვ. 10-11.

³⁰⁵ იქვე, გვ. 11.

³⁰⁶ გელა ბეჟუაშვილმა, საქართველოს უშიშროების საბჭოს მეთაურმა, JCC შეხვედრამდე მოსკოვში 2004 წლის 13 ივლისს, განაცხადა: „ამ კონფლიქტის მოგვარების საბოლოო შედეგი იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.“ (იხ. BBC მონიტორინგი, 13 ივლისი, 2004 წ. ბეჟუაშვილის ინტერვიუ იმედი TV-ზე იგივე დღეს, ცნ. BBCMNf00200040713e07d001md); მეორე მხრივ იმავე დღეს, სხვა ქართველმა ოფიციალურმა პირმა, სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ განაცხადა, რომ „ჩვენ მზად ვართ მივცეთ სამხრეთ ოსეთს ისეთივე სუვერენიტეტი, რამდენიც ჩრდილოეთ ოსეთს აქვს რუსეთში. სამხრეთ ოსეთი ოდესღაც ოლქი იყო. ჩვენ მზად ვართ უფრო შორს წავიდეთ, მივცეთ უფლება, იყოს ავტონომიური რესპუბლიკა, ყველა გამომდინარე უფლებით.“ (იხ. BBC მონიტორინგი, 13 ივლისი, 2004, ხაინდრავას ინტერვიუ რადიოსთვის „ეხო მოსკვი“, ცნობა BBSUP0020040713e07d003ux)

კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარებას და გულწრფელ დახმარებას სთავაზობდნენ ოს მოსახლეობას, რათა მოეპოვებინათ მათი გული და გონება.³⁰⁷ ამავდროულად, როგორც ჩანს, ისინი ცდილობდნენ გამოეყენებინათ ფსიქოლოგიური და სამხედრო ზეწოლაც კი (როგორც 2004 წლის აგვისტოში), სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ხალხზე. ამ ქმედებებს ოსური მხარე ხშირად განიხილავდა ანტი-ქართული განწყობის ხელშემწყობ ძალად.

2004 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში, საქართველოს მთავრობა ორიენტირებული იყო აჭარის ავტონომიურ რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე, რომელსაც მართალია, არასდროს გამოუცხადებია დამოუკიდებლობა, როგორც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, და გაცილებით უფრო იყო დაკავშირებული ქართულ სახელმწიფოსთან, მაგრამ დე-ფაქტოდ თბილისის კონტროლს მიღმა იყო, ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ძირითადი პერიოდის განმავლობაში. 2004 წლის 6 მაისს, აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე მოსკოვში გაიქცა, თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებასთან რამდენიმეთვიანი დაპირისპირების შემდეგ. საქართველოს მთავრობამ, ისევე როგორც ქართველების ძირითადმა უმრავლესობამ, აღიქვა ცვლილებები აჭარაში, როგორც საქართველოს ტერიტორიური მთლიანობის აღდგენის დასაწყისი. ამ მოვლენებს შესაძლოა, აგრეთვე გავლენა ჰქონდა ოსეთის მიერ საქართველოს ახალი სტრატეგიის აღქმაზე: ხშირ შემთხვევაში ოსეთის ლიდერები ბრალს სდებდნენ თბილისის სამხრეთ ოსეთში „აჭარის სცენარის“ განმეორების მცდელობაში.³⁰⁸

თავლაკვერისა და მათრახის მიდგომა

2004 წლის შუაში სიტუაცია დაიძაბა, როდესაც 31 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს რაზმებმა ცხინვალს გარშემო საკონტროლო-გამშვები პუნქტები მოაწყვეს, რათა შეეჩერებინათ კონტრაბანდა და ერგნეთის ბაზარი, რომელიც ოდესღაც ნდობის აღდგენის უკანასკნელ ზომად განიხილებოდა – ერთ ღამეში გაქრა.³⁰⁹

³⁰⁷ შეთავაზებები იყო ასევე, სამხრეთ ოსეთის ლიდერის მიმართ. ინტერვიუში რუსეთის სადგურთან НТВ Мир 2004 წლის 3 ივნისს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა არა მარტო შესთავაზა ედუარდ კოკოითს იმუნიტეტი, არამედ განაცხადა: „ვფიქრობ, მას შეეძლო გამხდარიყო საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიდერი, და არ დარჩენილიყო ალყაშემორტყმულ საველე მეთაურად პატარა ანკლავში.“ (იხ. BBC მონიტორინგი, 3 ივნისი, 2004, ცნობა BBCMNf00240603e063004ed).

³⁰⁸ 2004 წლის მაისში, საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობა „ემარა,“ მოქმედებდა, როგორც ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი ძალა, პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომამდე. ის ასევე, ძალიან აქტიური იყო აჭარაში, ასლან აბაშიძის განდევნამდე და განზრახული ჰქონდა კონცენტრირება მოეხდინა სამხრეთ ოსეთზე, ედუარდ კოკოითის მხრიდან მწვავე რეაქციის პროვოცირებით. (იხ. „პრაიმ ნიუსში“, 24 მაისი, 2004, [ცნ: primene0020040524e05o00006].

³⁰⁹ Грузия проводит политику экономической блокады Южной Осетии (საქართველო ატარებს ეკონომიკური ბლოკადის პოლიტიკას სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ) <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/56279> (რუსულად; 14.08.2009).

ძალის ამ დემონსტრირებამ პროტესტი გამოიწვია, როგორც მოსკოვის, ისე ცხინვალის მხრიდან, და განაპირობა შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურის სწრაფი მოთხოვნა, რომ მოეხსნათ ახალი საკონტროლო-გამშვები პუნქტები. 2004 წლის 1 ივნისს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოსცა მკაცრად ფორმულირებული განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ თბილისის „პროვოკაციულ ნაბიჯებს“ შეიძლება გამოეწვია „ძალზე ნეგატიური შედეგები.“ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა იქნებოდა პასუხისმგებელი, მომავალში სიტუაციის გაუარესებასა ან „სისხლისღვრაზე“ რეგიონში.³¹⁰ ოსების ნეგატიური რეაქცია ქართველების მიერ ძალის დემონსტრირებაზე თბილისმა მიიღო, როგორც რეაქცია კონტრაბანდის აღმოფხვრის მცდელობაზე.³¹¹

2004–2008 წლებში განვითარებული მოვლენების მიხედვით ჩანს, რომ საქართველოს მიერ ცხინვალის მარწუხებში მოქცევას თან ახლდა პარალელური პროცესი, რომელიც ოსების გადაბირებას ისახავდა მიზნად. იმავე დღეს, როდესაც უპირისპირდებოდა ოსეთის ხელმძღვანელობას და შერეულ სამშვიდობო ძალებს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას შესთავაზა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა პენსიის გადახდას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სასწრაფო დახმარების უფასო სერვისს და უფასო სასოფლო-სამეურნეო სასუქს ოსი ფერმერებისთვის. საქართველომ ასევე დაიწყო რადიომაუწყებლობა ოსეთში, დღეში ორი საათის განმავლობაში.³¹²

ივნისის განმავლობაში გრძელდებოდა მცირე ინციდენტები და 2004 წლის 7 ივლისს, ქართულმა სამშვიდობო კონტიგენტმა დააკავა იარაღითა და ტყვია-წამალით დატვირთული 9 სატვირთო მანქანა, რომელიც რუსეთის სამშვიდობო ძალებს ეკუთვნოდა. ქართველები აცხადებდნენ, რომ რუსები ახდენდნენ ოსი სეპარატისტების შეიარაღებას, მაშინ როდესაც სამშვიდო ძალები ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო მათთვის განკუთვნილი მარაგი საკუთარი გამოყენებისთვის. მომდევნო დღეს, ოსმა სეპარატისტებმა ალყაში მოაქციეს ქართული სამშვიდობო ბატალიონის ორმოცდაათი

³¹⁰ Сообщение для печати о ситуации вокруг Южной Осетии (პრეს-რელიზი სამხრეთ ოსეთის გარშემო სიტუაციის შესახებ) ცნ. nr. 1236-01-06-2004, 1.06.2004. http://www.mid.ru/brp_4.nsf/0/E389EB4B3E33A4EFC3256EA6005C1C61; რუსულად; 14.08.2009.

³¹¹ თბილისი აძლიერებს საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს ოსეთის კონფლიქტის ზონაში. „სივილ ჯორჯია“, 31 მაისი, 2004, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=7033&search=>; 26.08.2009.

³¹² 2004 წლის 30 ივნისს, საქართველოს გავლენიანმა უშიშროების მინისტრმა (შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი), ვანო მერაბიშვილმა მოუწოდა სახელმწიფო სტრატეგიის შეცვლისკენ სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ საქართველომ უნდა უჩვენოს საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ის მხარს უჭერს სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო პოლიტიკას, ამავე დროს იმის ნათლად ჩვენებით, რომ არ მოითმენს ოსეთის ლიდერის, ედუარდ კოკოითის ქმედებებს (იხ. მოხსენება „პრაიმ ნიუსში“, 30 ივნისი, 2004, ცნობა primene0020040630e06u0002).

მებრძოლი. რუსულმა ტელევიზიამ აჩვენა დაჩოქილი ქართველი ჯარისკაცები ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში. ერთი დღის შემდეგ ისინი გაათავისუფლეს.

10 ივლისს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა, სამხედრო აკადემიაში ახლადდანიშნული ოფიცრების აღლუმზე სიტყვით გამოსვლისას თქვა, რომ საქართველო „ძალიან მალე დაიბრუნებს ცხინვალზე კონტროლს (...) ვერაფერი შეაფერხებს ამ პროცესს.“ „თუმცა,“ დაამატა მან, „ჩვენ ყველაფრისთვის უნდა ვიყოთ მზად.“³¹³ პარალელურად კი, თითქმის ყოველ დამე იყო სროლები, სადაც ქართველი, ოსი და რუსი სამშვიდობო ძალები იყო ჩართული. ორივე მხარეს აფერხებდა როკის გვირაბიდან ცხინვალამდე, გზის გასწვრივ სატრანსპორტო მოძრაობა.

2004 წლის 14 ივლისს,³¹⁴ და განმეორებით, 30 ივლისს³¹⁵ გაიმართა შერეული საკონტროლო კომისიის (JCC) საგანგებო შეხვედრები კრიზისის გადალახვის გზების მოსაძიებლად. თუმცა, ეს პროცესი წარმატების გარეშე დასრულდა და აგვისტოში ინციდენტები უფრო სერიოზული გახდა, როდესაც მხარეებმა დაიწყეს ყუმბარმტყორცნებისა და მსუბუქი არტილერიის გამოყენება.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიაღწიეს შერეული საკონტროლო კომისიის რიგგარეშე შეხვედრაზე, 2004 წლის 13 აგვისტოს და შესაბამის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ლიდერმა ედუარდ კოკოითმა.³¹⁶ თუმცა, შეტაკებები აგვისტოს განმავლობაში გაგრძელდა; ეს იყო იმის მაგალითი, რომ შერეული საკონტროლო კომისიას მიუხედავად შეზღუდვებისა, მაინც ჰქონდა პოტენციალი, ყოფილიყო კონფლიქტის მართვის პრაქტიკული (ეფექტიანი თუ არა) მექანიზმი. თუმცა, 2004 წლის ზაფხულის მოვლენებმა ქართულ და ოსურ მხარეებს შორის ვითარება გააუარესა და გაანადგურა ნდობის აღდგენის სამუშაოების დიდი ნაწილი, რომელზეც დიდი მონდომებითა და მოთმინებით მიდიოდა მუშაობა გასული ათწლეულის განმავლობაში.³¹⁷ მთლიანობაში,

³¹³ სააკაშვილი იფიცებს, რომ სამხრეთ ოსეთზე კონტროლს „მალე“ დაიბრუნებს. „სივილ ჯორჯია“, 10 ივნისი, 2004 <http://www.civil.ge/eng/article.php?id=7377&search=>; 26.08.2009.

³¹⁴ შერეული საკონტროლო კომისიის (JCC) სპეციალური სხდომის ოქმი nr 33 საქართველო-ოსეთის კონფლიქტის გადაჭრის შესახებ. თამაზ დიასამიძე. *შრ. ციტ., გვ. 499-500.*

³¹⁵ რამდენიმე დაჭრილი ქართულ და ოსურ ძალებს შორის შეტაკებაში... მაგრამ მოლაპარაკებები შეუფერხებლად გრძელდებოდა. RFERL Newslines 2.08.2004 <http://www.rferl.org/content/article/1143212.html>; 14.08.2009. ასევე, იხ.: თამაზ დიასამიძე, ერთობლივი კონტროლის კომისიის (JCC) სხდომის თანათავმჯდომარის ოქმი nr 35 საქართველო-ოსეთის კონფლიქტის გადაჭრის შესახებ, *შრ. ციტ., გვ. 502.*

³¹⁶ თამაზ დიასამიძე, შერეული საკონტროლო კომისიის (JCC) რიგგარეშე სხდომის ოქმი nr 36 საქართველო-ოსეთის კონფლიქტის გადაჭრის შესახებ, *შრ. ციტ., გვ. 505.*

³¹⁷ 2007 წლის 17 თებერვალს, ქართულმა გაზეთმა „24 საათი“ ახსენა 2004 წლის აგვისტოს მოვლენები და დაუშვა, რომ „ამ მოვლენებმა სერიოზულად შეარყია ოსეთის საზოგადოების პროქართული ნაწილის საქართველოს სახელმწიფოს რწმენა, ანტიქართული ნაწილი უფრო რადიკალური გახდა და გააძლიერა ედუარდ კოკოითის მთავრობა“ (იხ. BBC მონიტორინგი, 19 თებერვალი, 2007 წ. (ცნობა

რამდენიმე ათეული ქართველი და ოსი ჯარისკაცი, პოლიციელი თუ მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა შეტაკებების დროს. ასევე დაიღუპა რამდენიმე რუსი სამშვიდობო ძალების წარმომადგენელი.

2004 წლის ზაფხულის მოვლენები იყო ქართველების თავლაკვერისა და მათრახის სტრატეგიის პირველი მაგალითი: ერთი მხრივ, მცდელობა, მოეპოვებინათ ოსების სიმპათია (ვიდრე ზეწოლა განხორციელდებოდა ედუარდ კოკოითის მმართველობაზე). ოსები ამტკიცებენ, რომ კოკოითი მზად იყო შეხვედრებისთვის „ახალგაზრდა პრეზიდენტ სააკაშვილთან“ 2004 წელს მისი არჩევის შემდეგ, მაგრამ ეს მცდელობები უგულვებელყოფილი იყო.³¹⁸ ედუარდ კოკოითი და მიხეილ სააკაშვილი არ შეხვედრიან ერთმანეთს, თუმცა, 2004 -2005 წლებში შედგა სამი შეხვედრა კოკოითსა და ზურაბ ჟვანიას შორის.

გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიაზე გამოსვლისას, 2004 წლის 21 სექტემბერს, ნიუ-იორკში, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შესთავაზა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების ახალი „ეტაპობრივად დარეგულირების გეგმა.“ მან გამოყო სამი ეტაპი, რომლებიც მისი თქმით, ამ კონფლიქტების „სწრაფად გადაჭრისთვის იყო შემუშავებული:“ კერძოდ, ნდობის აღდგენა და დევნილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნება; კონფლიქტის ზონების დემილიტარიზაცია; სეპარატისტული რეგიონებისთვის „ფართო ავტონომიის“ შეთავაზება, საერთაშორისო გარანტიებით.³¹⁹

თუმცა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა აგრეთვე განაცხადა, რომ სეპარატისტული რეგიონები საქართველოში იყო „შავი ხვრელები, სადაც ყვაოდა კრიმინალი, ნარკოტრაფიკი, იარაღით ვაჭრობა და უპირველეს ყოვლისა, ტერორიზმი.“ „უკანონობის ამ ზონებს გააჩნია პოტენციალი, გავლენა მოახდინოს ევროპის უსაფრთხოებაზე, თუ გადაუჭრელი დარჩება (...) [საერთაშორისო თანამეგობრობას] არ შეუძლია თავდაცვის რისკის იგნორირება, რომელიც ამ შავი ხვრელებიდან და კონტრაბანდისტების თავშესაფრებიდან მომდინარეობს,“ დაამატა მან.³²⁰

2004 წლის 5 ნოემბერს, ზურაბ ჟვანიამ და ედუარდ კოკოითმა მოლაპარაკება გამართეს სოჭში. თავიდან მას ესწრებოდნენ რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის და ეუთო-ს წარმომადგენლები, შემდეგ კი, ეს შეხვედრა პირისპირ გაიმართა. შედეგი:

BBCSUP00200070219e32j00xe).

³¹⁸ Южная Осетия готова к переговорам (სამხრეთ ოსეთი მზადაა მოლაპარაკებებისთვის), <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/47933> რუსულად; 14.08.2009.

³¹⁹ <http://www.un.org/webcast/ga/59/statements/geoeng040921.pdf> 14.08.2009.

³²⁰ იქვე.

ურთიერთგაგება, რაც ახალი სამშვიდობო მოლაპარაკებების დასაწყისის იმედს იძლეოდა.³²¹

2005 წლის დასაწყისში, საქართველოს პრეზიდენტი გამოვიდა ახალი სამშვიდობო ინიციატივით, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც 2004 წლის სექტემბრის „მოგვარების გეგმის“ უფრო დამუშავებული და დახვეწილი ვერსია. ის ზოგადად, აღქმული იყო, როგორც სამხრეთ ოსეთში დეტალური და ყოვლისმომცველი კონფლიქტის მოგვარების შემოთავაზება. პირველად, პრეზიდენტმა სააკაშვილმა წარადგინა იგი თავის მიმართვაში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სტრასბურგში, 2005 წლის 26 იანვარს. კერძოდ, შემოთავაზება ითვალისწინებდა, ფართო ავტონომიას სამხრეთ ოსეთისთვის – „სინამდვილეში იმაზე ფართოს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ჩრდილოეთ ოსეთისთვის“ რუსეთის ფედერაციის მიერ. ამასთან, გათვალისწინებულია ფუნქცია საქართველოს ცენტრალურ საპარლამენტო, სასამართლო და სამთავრობო სტრუქტურებში.³²² ის ითვალისწინებდა მოლაპარაკებებს თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნასთან დაკავშირებით, ისევე, როგორც სპეციალურ უფლებებზე განათლებისა და კულტურის სფეროებში. შეეხო რა, „წარსულის შეცდომებს,“ ის სთავაზობდა სპეციალურ კანონს, 1990-1992 წლების კონფლიქტის მსხვერპლთა ქონების რესტიტუციის შესახებ, ერთ სპეციალურ კომისიას ქონებასთან დაკავშირებული გადაუჭრელი საკითხების განსახილველად და მეორეს – მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებში ბრალდებების განსახილველად. შეთავაზება უნდა აღსრულებულიყო კონფლიქტის მოგვარების 3-წლიან, გარდამავალ პერიოდში, საერთაშორისო დახმარებითა და გარანტიებით.³²³

2005 წლის 10 ივლისს, საქართველოს მთავრობამ ბათუმში უმასპინძლა მსხვილ საერთაშორისო კონფერენციას სამხრეთ ოსეთის საკითხზე. თავის გამოსვლაში, კონფერენციის გახსნაზე, პრეზიდენტმა სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთისთვის გაკეთებული ზემოხსენებული შეთავაზება აღწერა, როგორც „საოცნებო ჩამონათვალი,“ რომელიც ცხინვალს აძლევდა ყველაფერს, რაც მას სურდა, დამოუკიდებლობის გარდა. სამხრეთ ოსებმა უარყვეს მშვიდობის შეთავაზება და უარი განაცხადეს ბათუმის შეხვედრაზე დასწრებაზე. მათი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ არც ჩრდილოეთ ოსები და არც რუსები მიწვეულები არ იყვნენ. ამას მოჰყვა კიდევ ერთი ცხელი ზაფხული –

³²¹ საქართველო ისევ იღებს ვალდებულებას სამხრეთ ოსეთიდან ქვედანაყოფების გაყვანის თაობაზე... მაგრამ ვერ ჭრის სტატუსის საკითხს. RFERL Newline 8.11.2004. <http://www.rferl.org/content/article/1143278.html>; 14.08.2009.

³²² <http://www.coe.int/T/E/Com/Files/PA-Sessions/janv-2005/saakashvili.pdf>; 14.08.2009.

³²³ იქვე.

შეტაკებებით, ადამიანთა გატაცებებითა და მკვლევლობებით, რაშიც ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებდა.³²⁴

11 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა გამოსცა რეზოლუცია, რომელიც საქართველოს მთავრობას ინსტრუქციას აძლევდა მიეღო ზომები რუსი სამშვიდობო ძალების სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონებიდან გაყვანის დასაწყებად, „თუ სამშვიდობო ძალების მუშაობა არ გაუმჯობესდებოდა 2006 წლის თებერვლამდე.“³²⁵

2005 წლის 27 ოქტომბერს, ეუთო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს სპეციალურ სხდომაზე ვენაში, ახალმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, სადაც გამოკვეთა საქართველოს ხელისუფლების მიზნები უახლოესი 15 თვის განმავლობაში და ნაბიჯები კონფლიქტის სრულად მოგვარებისკენ. აშშ და ევროკავშირი მიესალმნენ ამ სამოქმედო გეგმას, რომელიც ითვალისწინებდა რადიკალურ ცვლილებებს კონფლიქტის მოგვარებისა და კონფლიქტის მართვის მექანიზმში, შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატის ჩათვლით. ის, სხვა მრავალთა შორის, ითვალისწინებდა ახალი ჩარჩოს შექმნას კონფლიქტის მოგვარების პროცესში ეუთო-ს, ევროკავშირის, აშშ-სა და რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით.³²⁶ საქართველოს ეს წინადადება დაუყოვნებლივ უარყვეს როგორც რუსეთის, ისე ოსეთის მხარეებმა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ შერეული საკონტროლო კომისიის მექანიზმი იყო კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი ეფექტიანი გზა.³²⁷

ვიდრე თბილისი დაკავებული იყო თავისი ახალი სამშვიდობო გეგმების პროპაგანდით, ოსებმა შეინარჩუნეს ე. წ. სამეტაპიანი სამშვიდობო გეგმა: ნდობის აღდგენა, კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია და სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის განხილვა, რომელიც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წარადგინა გაერო-ში 2004 წლის სექტემბერში და მოგვიანებით, 2005 წლის იანვარში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე (PACE).³²⁸ 24-25 ოქტომბერს, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე მოსკოვში როგორც რუსეთმა, ისე სამხრეთ ოსეთმა მხარი დაუჭირა კონფლიქტის

³²⁴ საქართველო ისევ სთავაზობს ოსეთს „ვართო ავტონომიას.“ სამხრეთ ოსეთის ლიდერების არყოფნა. RFERL Newline 11.07.2005. <http://www.rferl.org/content/article/1143435.html>; 14.08.2009. იხ. ასევე: Глава Грузии готов конституционно предоставить Южной Осетии полную автономию (საქართველოს ლიდერი მზადაა მიანიჭოს სამხრეთ ოსეთს სრულმასშტაბიანი ავტონომია). <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/78481> (რუსულად; 14.08.2009).

³²⁵ საქართველოს პარლამენტი გამოსცემს ულტიმატუმს რუსი სამშვიდობო ძალების მიმართ... რასაც რუსეთის მინისტრები კონტრპროდუქტიულს უწოდებენ. RFERL Newline 12.10.2005. <http://www.rferl.org/content/article/1143498.html>; 14.08.2009.

³²⁶ http://www.osce.org/documents/pc/2005/10/16791_en.pdf; 14.08.2009.

³²⁷ რუსეთი, სამხრეთ ოსეთი უარყოფენ საქართველოს ახალ სამშვიდობო ინიციატივას. RFERL Newline 1.11.2005. <http://www.rferl.org/content/article/1143511.html>; 14.08.2009.

³²⁸ იქვე.

მოგვარების ამ გეგმას.³²⁹ შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე კომენტარებისას, რუსეთის სპეციალურმა წარმომადგენელმა ვალერი კენიაკინმა 26 ოქტომბერს განაცხადა, რომ მიუხედავად მწვავე დებატებისა, როგორც ჩანს, მოხდებოდა „შეთანხმება“ „სამეტაპიან სქემაზე.“ კენიაკინის აღწერა შეესაბამებოდა, მაგრამ ზუსტად არ ასახავდა პრეზიდენტი სააკაშვილის მიერ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე შეთავაზებულ სამშვიდობო გეგმას, რომელიც თავის დროზე უარყო სამხრეთ ოსეთმა, ხოლო რუსეთის ფედერაციამ თავი შეიკავა მხარდაჭერისგან.³³⁰

საქართველოს მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ეს სამშვიდობო მოლაპარაკებები, მათ შორის, შერეული საკონტროლო კომისიის ბოლო სხდომა, 2005 წლის 28 ოქტომბერს განაცხადა, რომ ისინი აღსანიშნავი იყო როგორც „გარღვევა, ფურცელზე მაინც.“³³¹ ხაინდრავას ოპტიმიზმი დიდხანს არ გაგრძელებულა. შერეული საკონტროლო კომისიის შემდეგ შეხვედრაზე, რომელიც 16 ნოემბერს, ლუბლიანაში გაიმართა, სადაც რუსებმა, რომლებიც ცხადად აღშფოთებული იყვნენ საქართველოს მცდელობით, შეეცვალათ შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატი, გაფრთხილების გარეშე გამოაცხადეს, რომ ისინი სთავაზობდნენ შერეული საკონტროლო კომისიის შემდეგი სხდომის რუსეთის, საქართველოს, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტების მონაწილეობით გამართვას.³³² ელჩმა ვალერი კენიაკინმა განაცხადა, რომ ასეთი შეხვედრა „ახალ იმპულსს მისცემდა მოლაპარაკებების პროცესს.“ საქართველოს მხარემ უარი განაცხადა ამ შემოთავაზებაზე და ასევე (როგორც იტყობინებიან), პრეზიდენტ სააკაშვილსა და ედუარდ კოკოითს შორის პირდაპირი შეხვედრის იდეაზე. ამის ნაცვლად, ქართველები ამ უკანასკნელს სთავაზობდნენ ზურაბ ნოლაიდელთან შეხვედრას, რაზეც ედუარდ კოკოითმა უარი განაცხადა.³³³

2004 წლის შემდეგ, ქართველები უპირატესობას ანიჭებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ვინაიდან მიჩნდათ, რომ ისინი უფრო მეტ სარგებელს მოიტანდნენ სამხრეთ ოსეთში თავიანთი პოლიტიკური და კონსტიტუციური პაკეტების

³²⁹ თამაზ დიასამიძე, შერეული საკონტროლო კომისიის (JCC) სპეციალური სხდომის ოქმი nr 45 საქართველო-ოსეთის კონფლიქტის გადაჭრის შესახებ. *შრ. ციტ.*, გვ. 534-535.

³³⁰ რუსეთი ხედავს საქართველო-ოსეთის კონფლიქტის დარეგულირების სამეტაპიან სქემას. <http://www.regnum.ru/news/534206.html>; რუსულად; 14.08.2009.

³³¹ <http://www.civil.ge/eng/article.php?id=11069>; 14.08.2009.

³³² სამხრეთ ოსეთის საუბარი არადამაჯერებელია; სამხრეთ ოსეთის ლიდერი უარყოფს საქართველოს მოთხოვნებს, სამშვიდობო შემოთავაზება. RFERL Newslines 18.11.2005. <http://www.rferl.org/content/article/1143522.html>; 14.08.2009.

³³³ თამაზ დიასამიძე, შერეული საკონტროლო კომისიის (JCC) სპეციალური სხდომის ოქმი 46 საქართველო-ოსეთის კონფლიქტის გადაჭრის შესახებ. *შრ. ციტ.*, გვ. 540-541. ასევე, იხ.: Встреча президента Южной Осетии и премьер-министра Грузии не состоится (არ შედგება შეხვედრა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს შორის). <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/85146> (რუსულად; 17.08.2009).

განსაზღვრისათვის; მათ არ განიხილავდნენ როგორც სამხრეთ ოსეთის მხარესთან კომუნიკაციის ალტერნატიულ საშუალებას. მეორე მხრივ, ოსები – განსაკუთრებით „ფერადი რევოლუციების“ შემდგომ პერიოდში, ეჭვის თვალთ უყურებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ყველა ღონისძიებაზე მათი ნებისმიერი ქმედების წინააღმდეგი იყვნენ და აღიქვამდნენ, როგორც შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატის კონკურენტი.

2005 წლის დეკემბერში, როგორც საქართველო, ისე სამხრეთ ოსეთი, კონფლიქტის მოგვარების საკუთარი, განსხვავებული ხედვის გატარებას ცდილობდნენ. ქართულმა მხარემ წარმოადგინა თავისი შეხედულებები ეუთო-ს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ლუბლიანაში.³³⁴

სამხრეთ ოსეთის მხარემ გამოხატა საკუთარი პოზიცია ახალ შეთავაზებაში სათაურით „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ინიციატივა ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის,“ რომელიც გადმოსცა ეუთო-ს სახელმწიფოთა ლიდერებისთვის გაგზავნილ წერილში, 12 დეკემბერს. შეთავაზებას ჰქონდა ბევრი საერთო ადრე წარმოდგენილ ქართულ შეთავაზებასთან და მისგან გამომდინარეობდა სამ ეტაპიანი გეგმა: (ა) დემილიტარიზაცია, ნდობის აღდგენა და თავდაცვის გარანტიები; (ბ) სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაცია და (გ) პოლიტიკური დარეგულირება. თუმცა, „ემმაკი დეტალებშია“, რადგან ოსები თვლიდნენ, რომ გეგმის მესამე ნაწილის შესრულება დიდი ხნის, შესაძლოა ათწლეულების განმავლობაში გაგრძელდებოდა. ქართველებს დროის გაცილებით მცირე ჩარჩო ჰქონდათ, რომელიც თვეებს მოიცავდა და არა წლებს.³³⁵

2006 წელს, საქართველომ გადაადგა ნაბიჯები კონფლიქტთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საკითხში: ყველა იძულებით გადაადგილებული პირის/ლტოლვილის დაბრუნება. საქართველომ აიღო პასუხისმგებლობა, მიეღო ქონების რესტიტუციის კანონი 1999 წელს, ევროპის საბჭოში შესვლისას. 2006 წლის მაისში პარლამენტში „ქართულ-ოსური კონფლიქტის მსხვერპლთათვის კომპენსაციის, რესტიტუციისა და უფლებების აღდგენის“ კანონპროექტი იქნა წარდგენილი. ის აღიარებდა იძულებით გადაადგილებული პირების/ლტოლვილების უფლებას, დაბრუნებულიყვნენ საკუთარ სახლებში, თუ მათ ამის სურვილი ჰქონდათ და თუ დაადასტურებდნენ მათი საკუთრების უფლებას.³³⁶

³³⁴ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურის თქმით, სამშვიდობო ძალების რადიკალური ტრანსფორმაცია უნდა მოხდეს. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/85098> რუსულად, 17.08.2009.

³³⁵ საქართველოს პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია, რომ ედუარდ კოკოითის წინადადებები კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთში, ემთხვევა თბილისის გეგმას). <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/86519>; რუსულად, წვდომა: 17.08.2009.

³³⁶ საქართველო სთავაზობს კანონპროექტს რესტიტუციის შესახებ სამხრეთ ოსეთში. Georgia Proposes Draft

ოფიციალური ქართული წყაროები ამტკიცებენ, რომ 60 000 ეთნიკური ოსი იძულებული იყო, დაეტოვებინა სამხრეთ ოსეთი და საქართველოს სხვა ნაწილი 1989-1992 წლების კონფლიქტის შედეგად, რომელთა უმეტესობამაც თავშესაფარი ჩრდილოეთ ოსეთში იპოვა. 10 000-მდე ეთნიკურმა ქართველმა დატოვა სამხრეთ ოსეთი. წარდგენილი კანონი ითვალისწინებდა 18-კაციანი სამმხრივი კომისიის შექმნას, რომელიც განიხილავდა კონფლიქტის მსხვერპლთა საჩივრებს. კომისიის ექვს ადგილს, რომლებიც თბილისში უნდა ყოფილიყო განლაგებული, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაიკავებდნენ. კომისიის ამ წევრებს კი, უნდა აერჩიათ ორივე მხარის (ქართული და სამხრეთ ოსური) ექვს-ექვსი წარმომადგენელი ღია კონკურსის საფუძველზე.³³⁷ ოსურმა მხარემ დოკუმენტი დაახასიათა, როგორც საქართველოს მთავრობის „კიდევ ერთი პიარ-კამპანია,“ რომელიც ვერ დაეხმარება იძულებით გადაადგილებულ პირებს/ლტოლვილებს.³³⁸ 2006 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, მაგრამ სამხრეთ ოსურ მხარეს არ მიუღია მასში მონაწილეობა, და ის ძირითადად, დარჩა, როგორც სიმბოლური ქართული ჟესტი.³³⁹

ორივე მხარე აგრძელებდა ფსონების გაზრდას მთელი 2006 წლის განმავლობაში. 15 თებერვალს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ავალეზდა მთავრობას ჩაენაცვლებინა რუსი სამშვიდობო ძალები სამხრეთ ოსეთში „ეფექტიანი საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციით,“³⁴⁰ – 9 თებერვალს, მიუხედავად ეუთო-ს მიმართ აშშ-ის ელჩის გაფრთხილებისა, რომ შერეული სამშვიდობო ძალების გაყვანა სამხრეთ ოსეთიდან „შეიძლება გამხდარიყო დესტაბილიზაციის მიზეზი.“³⁴¹

შეგრძნება, რომ ხაზი გაავლეს, სამხრეთ ოსეთშიც გაუჩნდათ.

2006 წლის 26 აპრილს, დე-ფაქტო „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტმა“ მიიღო ორი რეზოლუცია: „1989–1992 წლებში სამხრეთ ოსების გენოციდის შესახებ დეკლარაცია“ და „1989–1992 წლების მოვლენების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების“ შესახებ რეზოლუცია. ორივე რეზოლუცია გამიზნული იყო 1989–1992

Law on S. Ossetia Restitution. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=12596>; 17.08.2009.

³³⁷ იქვე.

³³⁸ სამხრეთ ოსეთი უარყოფს თბილისის კანონპროექტს რესტიტუციის შესახებ. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=12387>; 17.08.2009.

³³⁹ საქართველოში მიიღეს კანონი „რესტიტუციის შესახებ“. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/106239> (რუსულად, 17.08.2009).

³⁴⁰ 2005 წლის ოქტომბერში, საქართველოს პარლამენტმა ასევე, მიიღო კიდევ ერთი რეზოლუცია „საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტის რეგიონებში არსებული სიტუაციის შესახებ,“ რომელმაც უარყოფითად შეაფასა რუსი სამშვიდობო ძალების როლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, აფრთხილებდა, რომ თუ სიტუაცია არ გაუმჯობესდება 2006 წლის თებერვლის ბოლოსთვის, მოითხოვს ამ ოპერაციების დასრულებას.

³⁴¹ ვადის ამოწურვასთან ერთად, საქართველო იცვლის ტონს სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით. <http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav021006a.shtml>; 17.08.2009.

წლების მოვლენების შესახსენებლად, რათა ამის საშუალებით გაემართლებინათ სამხრეთ ოსეთის შეურიგებლობა. პირველი რეზოლუცია მოუწოდებდა საერთაშორისო თანამეგობრობას 1989–1992 წლების სისასტიკე ელიარებინათ, როგორც გენოციდი ოსი ხალხის წინააღმდეგ და საქართველო ეცნოთ, როგორც „მორალურად, სამართლებრივად და ფინანსურად პასუხისმგებელი კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულზე.“ ის მოუწოდებდა საქართველოს „მიეღო საჭირო ზომები, შეექმნა დევნილთა რესტიტუციისთვის სათანადო პირობები, მორალური და მატერიალური ზიანის სრული კომპენსაციით.“ მეორე რეზოლუცია იყო მოწოდება ელიარებინათ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საერთაშორისო სამართლებრივი იდენტობა“ და გამოეყენებინათ „ყველა კანონიერი ზომა, რათა აღეკვეთათ საქართველოს მხრიდან პროვოკაციები, რომლებიც მიმართული იყო სამხრეთ ოსეთში სიტუაციის დესტაბილიზაციისა და დაუსრულებელი ბლოკადისკენ.“³⁴²

2006 წლის ზაფხულში მოვლენები გაუარესდა. 9 ივლისს, „სამხრეთ ოსეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი“ საკუთარი ავტოფარების კარის გაღებისას, ბომბის აფეთქების შედეგად, მოკლეს.³⁴³ რამდენიმე დღის შემდეგ ორი მოზარდი გარდაიცვალა და 4 სხვა სამოქალაქო პირი დაიჭრა ბომბის აფეთქების შედეგად ცხინვალში.³⁴⁴ 18 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა მთავრობას დაეწყო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამშვიდობო ოპერაციების შეჩერების პროცედურები.³⁴⁵ სექტემბერში სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში ადგილი ჰქონდა შეტაკებებს, რომლის შედეგად, გარდაცვლილები ორივე მხარეს იყო.³⁴⁶

ჩრდილოეთ ოსეთთან კავშირი

ზოგიერთ საერთაშორისო ექსპერტს სჯერა, რომ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის ქართული ანალიზის დიდ ნაწილში, კერძოდ 2006 წლის შემდეგ, სათანადოდ ვერ შეაფასეს ჩრდილოეთ ოსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელებისა და ხალხის ურთიერთქმედების მასშტაბები, როლი და ქართულ–ოსურ კონფლიქტში არსებული სირთულეები.

³⁴² სამხრეთ ოსეთი ითხოვს, საქართველოს დაეკისროს პასუხისმგებლობა გენოციდისთვის. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/95997>; რუსულად; 17.08.2009.

³⁴³ სამხრეთ ოსეთის მოქალაქე მოკლულია ბომბის აფეთქების შედეგად; <http://www.rferl.org/content/article/1143669.html>; 17.08.2009.

³⁴⁴ ორი ადამიანი დაიღუპა აფეთქების შედეგად სამხრეთ ოსეთში. <http://www.rferl.org/content/article/1143673.html>; 17.08.2009.

³⁴⁵ საქართველოს პარლამენტი რუსი სამშვიდობოების გაყვანისკენ მოუწოდებს. <http://www.rferl.org/content/article/1143676.html>; 17.08.2009.

³⁴⁶ სამხრეთ ოსეთში მოკლულია ერთი ქართველი სამხედრო მოსამსახურე, ორი დაჭრილია. <http://www.rferl.org/content/article/1143712.html>; 17.08.2009.

როგორც არ უნდა იყოს ჩრდილოეთ ოსეთის როლი 1989–1992 წლების კონფლიქტში, ექვგარეშეა – იგი სამხრეთ ოსეთის ხალხის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერი იყო. თუმცა, 1992 წელს სოჭის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ჩრდილოეთ ოსეთი ცდილობდა, რომ უმეტეს შემთხვევებში, აქტიური როლი შეესრულებინა, როგორც კონფლიქტის მართვაში, ისე მის დარეგულირებაში³⁴⁷ და იქცეოდა უფრო როგორც შემკავებელი, ვიდრე წამქეზებელი. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში, ჩრდილოეთ ოსეთს მცირე ადგილი მიუჩინეს კონფლიქტის შესახებ ქართულ ნარატივში. უნდა ითქვას, რომ ვლადიკავკაზის როლის დაკნინების სისტემატურმა მცდელობებმა კონფლიქტის მოგვარების პროცესში, შესაძლოა, განამტკიცა მოკლევადიანი მიდგომის განხორციელება შესაბამისად თბილისმა გააძლიერა სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის მაქსიმალისტური პოზიციები.

სამხრეთ ოსეთში ალტერნატიული ადმინისტრაციის ჩამოყალიბება

2006 წლის 24 ოქტომბერს „ოსების ხსნის კავშირმა,“ ახლადშექმნილმა ორგანიზაციამ, რომელსაც თბილისიდან, მკაფიო მხარდაჭერა ჰქონდა გამოაცხადა, რომ ნოემბერში მოაწყოდა ალტერნატიულ საპრეზიდენტო არჩევნებსა და რეფერენდუმს სამხრეთ ოსეთში, (ცხინვალის ხელისუფლების მიერ ორგანიზებულის პარალელურად). ახალი ინიციატივა გააჟღერა დიმიტრი სანაკოევმა, ოსმა, რომელიც მსახურობდა „თავდაცვის მინისტრად,“ „პრემიერ-მინისტრის მოადგილედ“ და მცირე ხნის განმავლობაში, „სამხრეთ ოსეთის პრემიერ-მინისტრად“ „პრეზიდენტ“ ჩიბიროვის მმართველობის დროს, 1996 და 2001 წლებს შორის.³⁴⁸

2006 წლის 12 ნოემბერს, მეტად კონკურენტურიანი არჩევნები ჩატარდა სამხრეთ ოსეთის, როგორც ცხინვალის მიერ კონტროლირებულ, ისე საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ცხინვალის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ედუარდ კოკოითი გახდა გამარჯვებული, ხმების 98,1%-ით, მაშინ როდესაც საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე დიმიტრი სანაკოევმა გაიმარჯვა, ხმების 94%-ით.³⁴⁹

³⁴⁷ 2002 წლის აპრილში, როგორც საქართველომ, ისე სამხრეთმა ოსეთმა მიიღეს ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის ალექსანდრე მასოხოვის შეთავაზება კონფლიქტის გადაჭრის პროცესში აქტიური მედიაციის შესახებ (იხ.: „პრაიმ ნიუს“ 14 აპრილი, 2002). სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, ალან ჩოჩიევი დააკავეს ვლადიკავკაზში, 2003 წლის 14 ოქტომბერს მასოხოვის მკაცრი კრიტიკის შემდეგ პროთბილისური პოზიციის დაკავებისთვის სამხრეთ ოსეთის შესახებ მოლაპარაკებებზე. (იხ.: „პრაიმ ნიუს,“ 24 აპრილი, 2003).

³⁴⁸ ჯგუფი აცხადებს ალტერნატიულ არჩევნებს სამხრეთ ოსეთში. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=13936&search=Salvation%20Union%20of%20South%20Ossetia;> 17.08.2009.

³⁴⁹ სამხრეთ ოსეთის ლიდერი მეორე ვადაზე. <http://www.rferl.org/content/article/1143755.html>; 17.08.2009.

დიმიტრი სანაკოვევისათვის ნდობისა და ლეგიტიმურობის მინიჭების მიზნით, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, შეექმნა დროებითი ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც მიანიჭა თბილისის კონტროლქვეშ მყოფი ერთეულის სტატუსი,³⁵⁰ შემდგომში კი, დანიშნა ის ამ ადმინისტრაციის უფროსად.

2007 წლის 8 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის,³⁵¹ და დიმიტრი სანაკოვევის, როგორც მისი ხელმძღვანელის, შესახებ რეზოლუცია. 11 მაისს მან მიმართა საქართველოს პარლამენტს და განაცხადა, რომ ოსი ხალხის მომავალი „იყო მხოლოდ დემოკრატიულ და სტაბილურ საქართველოში.“³⁵²

კოკოითის ადმინისტრაციის რეაქცია ოსეთის ხმების ახალ „პრეტენდენტზე,“ კრიტიკული და მტრული იყო. გარდა იმისა, რომ ეს პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა მის ლეგიტიმურობას, სანაკოვევის ადმინისტრაციამ გაზარდა ოსეთის „სამოქალაქო ომის“ დიაპაზონი და სულ მცირე, ერთ წყაროზე დაყრდნობით, წარმოშვა შიში, რომ ეს გამოყენებული იქნებოდა მიზეზად გარე ინტერვენციისთვის თბილისის მმართველობის რეგიონზე გასავრცელებლად.³⁵³

მომდევნო დღეს, ედუარდ კოკოითმა ოსეთის ტელევიზიაში განაცხადა, რომ საჭირო იყო ზომების მიღება დიმიტრი სანაკოვევის მოსაცილებლად სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან და გააფრთხილა, რომ არ განაახლებდა მოლაპარაკებებს საქართველოს მთავრობასთან, ვიდრე თბილისი არ გაწყვეტდა კონტაქტს ამ უკანასკნელთან.³⁵⁴ საპასუხოდ, თბილისი დაემუქრა, რომ ის შეიძლება, იძულებული გამხდარიყო, მოეხდინა რეგიონში სეპარატისტული ძალების „ნეიტრალიზება.“³⁵⁵

³⁵⁰ 1992-2008 წლების განმავლობაში, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ნაწილები რჩებოდა ქართულ ადმინისტრირებაში, ქართული ანკლავების არწევისა და ერედვის - ცხინვალიდან აღმოსავლეთით, თამარაშენი/ქურთა - ცხინვალის გარეუბნები და ავნევი და ავალაშენი/ნედლეტი - ზნაურის რაიონი, ჩათვლით. ასევე საქართველოს ადმინისტრირებაში იყო ახალგორის (ლენინგორის) რაიონის დიდი ნაწილი. <http://www.rferl.org/content/article/1143676.html>;

³⁵¹ სამხრეთ ოსეთის ლიდერი აჩერებს კონტაქტებს თბილისთან <http://www.rferl.org/content/article/1143867.html>; 17.08.2009. იხ. აგრეთვე: საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის მეთაურს. <http://www.rferl.org/content/article/1143869.html>; 17.08.2009.

³⁵² Санакоев выступил в парламенте Грузии как глава временной администрации Южной Осетии (სანაკოვემა მიმართა საქართველოს პარლამენტს, როგორც სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის მეთაურმა. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/114017>; 17.08.2009.

³⁵³ საქართველოს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი: იქპარე ნელა, ევროპის ანგარიში Nr 183. თბილისი/ბრიუსელი, 7 ივნისი, 2007, გვ. 6.

³⁵⁴ იქვე, გვ. 8.

³⁵⁵ იქვე.

სიტუაციის გაუარესება 2007 – 2008 წლებში

2007 წლის ზაფხულიდან სიტუაცია სამხრეთ ოსეთში უფროდაუფრო იძაბებოდა. კონფლიქტის გადაჭრის პროცესი გაჩერებული იყო. კონფლიქტის მართვის პროცესი ძლივს თუ მიმდინარეობდა და ნდობა ორ მხარეს შორის არასდროს ყოფილა ასე დაბალი – მხარეებს შორის დიალოგისა და ყველა სხვა სახის კომუნიკაციის გარეშე.

2007 წლის ივნისის თავის ანგარიშში „საქართველოს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი: იჩქარე ნელა,“ საერთაშორისო კრიზისის ჯგუფმა აღნიშნა რომ:

„განადგურებულია ნდობა, რომელიც კონფლიქტის ზონაში 2004 წლამდე სათემო დონეზე არსებობდა. იმ წლის კრიზისის შემდგომ პერიოდში არსებობდა გარკვეული დადებითი ტენდენციები, მაგრამ უსაფრთხოების მხრივ სიტუაცია არასტაბილური რჩება. განმეორებით მცირე ინციდენტებს ადვილად შეუძლია, გამოიწვიოს უფრო დიდი დაპირისპირება. კრიმინალი, დაკავებები, სროლა – ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ასევე ხდება მკვლევლობები, გატაცებები, დაბომბვები, ნადმის აფეთქებები და ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის სხვა დარღვევები, ისევე როგორც შეიარაღებულ რაზმებს შორის პირდაპირი შეტაკებები, განსაკუთრებით, შედარებით თბილ თვეებში. გაზრდილი დამაბულობის პირობებში, რომელიც სანაკოვეის დანიშვნას მოჰყვა, არის ახალი ესკალაციების რისკი ამ ზაფხულს.“³⁵⁶

2008 წლის აპრილში რუსეთის პრეზიდენტმა „ფსონი გაზარდა“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ორგანოებთან ოფიციალური კონტაქტის დამყარებით, რაც იყო ამ ორ ერთეულთან ურთიერთობის დათბობაზე მიმართული ზომების ერთ-ერთი სერია. ეს ნაბიჯი დასრულდა მისი საერთაშორისო აღიარებით, მაგრამ, დასავლეთში ფართო გამოხატვის საგანი გახდა.³⁵⁷

ზაფხულის მოსვლასთან ერთად, დამაბულობა სამხრეთ ოსეთში მკვეთრად გაიზარდა. 3 ივლისს, თავს დაესხნენ ესკორტს, რომელშიც დიმიტრი სანაკოევი იმყოფებოდა. ის არ დაშავებულა, მაგრამ მოკლული იყო სამი ქართველი პოლიციელი.³⁵⁸ 2008 წლის ივლისში ქართულმა ჯარმა დაიკავა სარაზუკის მაღლობი, რომელიც გადმოჰყურებდა ქართულ და ოსურ შემოვლით გზებს და, შესაბამისად, იძლეოდა ცხინვალის შესასვლელ-გამოსასვლელი გზების გაკონტროლის საშუალებას. ოსებმა რამდენჯერმე სცადეს ქართველების გამოდევნა მაღლობიდან, თუმცა, უშედეგოდ. როგორც ცნობილი

³⁵⁶ იქვე, გვ. 14.

³⁵⁷ პუტინი ავალებს მთავრობას შემდგომი ხელშეწყობა გაუწიოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. <http://www.rferl.org/content/article/1144094.html>; 17.08.2009.

³⁵⁸ В Южной Осетии обстрелян кортеж главы временной администрации Санакоева (სამხრეთ ოსეთში ესროლეს დროებითი ადმინისტრაციის მეთაურის, სანაკოევის კორტეჟს). <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/138688> (რუსულად, 17.08.2009).

გახდა, ქართველმა სნაიპერებმა მოკლეს რამდენიმე ოსი მებრძოლი,³⁵⁹ და 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში ორივე მხრიდან სროლის შემთხვევები უფრო ინტენსიური გახდა.

სამშვიდობო ძალისხმევა ეუთო-სა და ევროკავშირის მხრიდან

სწორედ ფუნქციონირების შეწყვეტის წინ, 2009 წლის ივნისში, ეუთო-ს მისია საქართველოში ჩართული ისეთ პროცესებში, რომელიც დახასიათება შეიძლება, როგორც „მრავალგანზომილებიან მიდგომა, დახმარებოდა უფრო ხელსაყრელი კონტექსტის შესაქმნელად“ ქართულ-ოსური კონფლიქტის „მშვიდობიანი მოგვარებისთვის.“ პოლიტიკური პროცესისგან დამოუკიდებლად, მოცემული ითვალისწინებდა ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამას, რომელიც ეუთო-მ აღწერა, როგორც „უნიკალური ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს გზის დაგებას კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრისკენ.“³⁶⁰ 2005 წლის ნოემბერში მისია დაიწყო საჭიროებების შეფასებით, რასაც მოჰყვა 2006 წლის ივნისში, ბრიუსელში მიწვეული დონორების სპეციალური კონფერენცია, სადაც 8 მილიონი ევრო იქნა გამოყოფილი მხარეების მიერ შეთანხმებული პროექტების განხორციელებაზე.³⁶¹

ყველაზე დიდი წვლილი პაკეტში ევროკავშირმა შეიტანა, ევროკომისიისა და წევრი სახელმწიფოების ინდივიდუალური ფინანსური დახმარების მეშვეობით. ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამებთან ერთად, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ევროკომისიის აქტივობაში შედიოდა ჰუმანიტარული დახმარების, ნდობის აღდგენის, დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პროექტები.³⁶²

სახსრების დიდი ნაწილი ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამისთვის იყო გამოყოფილი. 1998-2007 წლებს შორის ევროკომისიამ დახარჯა 7.7 მილიონი ევრო ისეთ პროგრამებზე, როგორცაა სასმელი წყლის მომარაგების ქსელის რეაბილიტაცია, სკოლების რეაბილიტაცია და სამი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნა (1998-2001); გორი-ცხინვალის შემაერთებელი რკინიგზის რეაბილიტაცია, ცხინვალის ბუნებრივი აირისა და ელექტროქსელის (2001-2002), ასევე, წყლისა და ბუნებრივი აირის სხვა პროექტები ცხინვალსა და ამ ტერიტორიის სხვა ნაწილებში (2003-2007).³⁶³

³⁵⁹ Состояние раненого в Южной Осетии стабильное (დაჭრილის მდგომარეობა სტაბილურია). <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/139786> (რუსულად, 17.08.2009).

³⁶⁰ საქართველოში OSCE მისიის ბროშურა, OSCE, ვენა, 25 თებერვალი, 2008, www.osce.org/item/29837.html.

³⁶¹ ევროსაბჭოს განცხადება დონორების კონფერენციაზე სამხრეთ ოსეთში, საქართველო. http://www.osce.org/documents/pc/2006/06/19557_en.pdf; 17.08.2009.

³⁶² საქართველოში EC დელეგაციის ვებ-გვერდიდან www.delgeo.ec.europa.eu/en/programmes/rehabilitation.html.

³⁶³ იქვე.

ასევე, ევროკომისიამ დააფინანსა რამდენიმე შედარებით მცირე პროექტი და რაც უფრო მნიშვნელოვანია, გაიღო 140 000 ევრო შერეული საკონტროლო კომისიის მუშაობისთვის.³⁶⁴

მას შემდეგ რაც ევროკომისია შეუერთდა შერეული საკონტროლო კომისიის პროცესს (1999), ევროკავშირი გახდა გაცილებით უფრო მეტად ჩართული ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პროცესში. 2003 წელს, ევროკავშირმა დანიშნა თავისი პირველი სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში. საერთო ჯამში მისი მანდატი ძირითადად, მიმართული იყო „კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ხელშეწყობისა და, დევნილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების ხელშეწყობისკენ.“³⁶⁵ 2006 წლის თებერვალში, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლად პიტერ სემნების დანიშვნის შემდეგ, აღნიშნული ძალისხმევა მანდატითაც გაძლიერდა – „წვლილის შეტანა კონფლიქტების დარეგულირებაში და ამგვარი დარეგულირების გამოყენების ხელის შეწყობა (...)მჭიდრო კოორდინაციით, კონფლიქტის მოგვარების მექანიზმში სამხრეთ ოსეთში“³⁶⁶.

ევროკავშირის ჩართულობა კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ორ მიმართულებას მოიცავდა: ევროკომისია განაგრძობდა თავისი ფუნქციის შესრულებას, როგორც როგორც ეკონომიკურ რეაბილიტაციის ხელშეწყობის უზრუნველყოფი, ხოლო ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი უფრო ფართოდ ჩაერთო კონფლიქტის გადაჭრის საკითხებში, მათ შორის, ორ მხარეს შორის დიალოგის ახალი ფორმატების შესწავლის გზით.

ეს უნდა ყოფილიყო, და დიდწილად იყო კიდევ, საგულდაგულოდ დაბალანსებული ოპერაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია მხარს უჭერდა შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატს, რომელსაც ნაწილობრივ აფინანსებდა. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი, რომელიც წარუმატებლად ეცადა გაეზიარებინა ევროკომისიისთვის ადგილი შერეულ საკონტროლო კომისიაში, ცდილობდა, შეექმნა სხვა სივრცეები ქართულ-ოსური შეხვედრებისთვის.

თავისი გაფართოებული მანდატის საპასუხოდ, ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა 2007 წლის იანვარში, ორგანიზება გაუკეთა ფაქტების მომძიებელ მისიას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ამოქმედდა ევროკავშირის ინიციატივების მთელი რიგი, მათ შორის, ევროკავშირის საზღვრის კონტროლის მისიის როლის

³⁶⁴ იქვე.

³⁶⁵ ევროკავშირის საბჭო, ერთობლივი აქცია 2003/496/CFSP (OJ L 169, 8 ივლისი 2003) ბოლო შესწორება ერთობლივი აქციის მიერ 2005/100/CFSP (OJ L31, 4 თებერვალი 2005).

³⁶⁶ ევროკავშირის საბჭო, ერთობლივი აქცია 2006/121/CFSP (OJ L49/14, 21 თებერვალი 2006).

გაზრდა, რომელსაც აგრეთვე, მეკავშირის როლი უნდა შეესრულებინა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებებთან.³⁶⁷

2004 წლის შემდეგ ევროკავშირის ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო დაძაბულობის შემცირებაზე, ძალადობის ესკალაციის პრევენციის მცდელობებზე და ნდობის აღდგენაზე. ევროკავშირის აქტივობას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიესალმებოდა სამშვიდობო პროცესში მონაწილე ყველა მხარე, მაგრამ მისი ჩართულობა გაცილებით მნიშვნელოვანი და ეფექტიანი იქნებოდა, რომ ემოქმედა სამშვიდობო პროცესისთვის შესაბამის ჩარჩოებში; თუმცა, ასეთი ჩარჩო არ არსებობდა, განსაკუთრებით, 1999 წლის შემდეგ.

4. დაკვირვების შედეგები

1. საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების, აგრეთვე გარე მოთამაშეების მიხედვით, რომლებიც შუამავლის როლს ასრულებდნენ ქართულ-აფხაზეთურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებში, საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად უნდა მომხდარიყო საქართველოში სხვადასხვა ხალხების თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითმმართველობები ფედერალური საქართველოს ფარგლებში, ძირითად მისაღწევ მიზანს წარმოადგენდა. ამ ორი ერთეულის პოლიტიკურ სტატუსზე მოლაპარაკებებისას, მხარეებს ჰქონდათ ფედერალიზმის ვარიანტების ფართო არჩევანი.³⁶⁸

ქართული მთავრობა ე. წ. ასიმეტრიული ფედერალიზმის იდეას იწონებდა, სადაც ზოგიერთი შემადგენელი სახელმწიფო მეტი ძალაუფლებით ისარგებლებდა, ვიდრე დანარჩენები. ამ მოდელის მიხედვით, აფხაზეთი მიიღებდა უფრო მაღალი დონის თვითმმართველობას, ვიდრე სამხრეთ ოსეთი. თბილისმა ასეთი მიდგომა ამ ორი სატიტულო ერის მემკვიდრეობის განსხვავებული უფლებებით გაამართლა და იმ ფაქტით, რომ ოსებს სამშობლო საქართველოს ფარგლებს გარეთ – რუსეთის ფედერაციაში მყოფ ჩრდილოეთ ოსეთში აქვთ.

³⁶⁷ <http://register.consilium.europa.eu/pdf/en/08/st10/st10601.en08.pdf>; 17.08.2009.

³⁶⁸ გარედან, ფედერაცია განუყოფელი სუვერენული სახელმწიფოა, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის შესაბამისად, ხოლო შიგნიდან, სუვერენობა განაწილებულია ფედერალურ მთავრობასა და შემადგენელ ერთეულებს შორის, თვითგამორკვევის პრინციპის შესაბამისად. თითოეული დონის მთავრობას აქვს თავისი კონკრეტული კომპეტენციები საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრივ. შემადგენელი ნაწილები არ არიან დაქვემდებარებული ფედერალური დონის ხელისუფლებისადმი, ვინაიდან ორივეს ძალაუფლება მომდინარეობს პირდაპირ კონსტიტუციიდან. კონსტიტუციური რეფორმები მოითხოვს ორივე დონის ჩართულობას.

თუმცა, ფედერაციის მოდელმა სერიოზული შეშფოთება გამოიწვია აფხაზებსა და ოსებში. ფედერაცია სწორედ იმისთვის არის შექმნილი, რომ დაიცვას უმცირესობის უფლებები მათი გადამეტებული წარმომადგენლობით სახელმწიფო სტრუქტურებში და მისცეს მათ ვეტოს უფლება მმართველობის სხვადასხვა დონეზე. მაგრამ ასეთი გარანტიები არ აჩერებს უმრავლესობის წესის გამოყენებას. იმ შემთხვევაში, თუ ჩაერთვებოდნენ ფედერაციის ფუნქციონირებაში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უფლებამოსილი პირები ხშირად აღმოჩნდებოდნენ უმრავლესობასთან ხმებით დამარცხების საფრთხის წინაშე, რიგ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, რომლებზეც არ ვრცელდება მათი ვეტოს უფლება. ამას გარდა, ფედერაციის არსებული მოდელები არ ემთხვეოდა მათს საჭიროებებს უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებაში. გაერთიანებაში შემავალ სახელმწიფოებს პრინციპულად არა აქვთ უფლება, ჰქონდეთ უსაფრთხოების ავტონომიური პოლიტიკა. მათ არ შეიძლება ჰქონდეთ თავდაცვის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემდათ, თავი დაეცვათ ცენტრალური ხელისუფლებისგან, ძალისმიერი კონფლიქტის შემთხვევაში. მათ, აგრეთვე, არ შეუძლიათ ინტეგრირება უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციონირებაში, რომლებიც, როგორც წესი, მოითხოვენ სრულ სუვერენიტეტს. მათ შეიძლება მიეღოთ გარანტიები გარე მოთამაშეებისგან ან საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციებისგან, მაგრამ ფედერაციებში უსაფრთხოების ასეთი მექანიზმების გამოყენების ძალიან მცირე გამოცდილება არსებობს.

ამის გამო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჰქონდათ ძლიერი მისწრაფება - თუ დამოუკიდებლობის აღიარების მიღწევა შეუძლებელი იყო კონფედერაციის მოდელის მიმართ.³⁶⁹ კონფედერაციის მოდელი დაფუძნებულია სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ხელშეკრულებაზე და მათი კავშირი არ გულისხმობს სუვერენობის ჩამორთმევას. „სახელმწიფოების გაერთიანების“ მთავრობას აქვს მინიმალური ძალაუფლება, ხოლო შემადგენელ ქვეყნებს აქვთ ვეტოს უფლება თითქმის ყველა ფუნდამენტურ პოლიტიკურ საკითხზე. მათი სუვერენობა საერთაშორისოდ

³⁶⁹ კონფედერაციის კონცეფციას უფრო მნიშვნელოვანი ადგილი აქვს პოლიტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში, ვიდრე თანამედროვე რეალობაში. კონფედერაციების ისტორიაში ნათლად ჩანს, რომ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები - ყველა ისეთი შემთხვევაა, როდესაც კონფედერაციულმა ეპიზოდებმა საბოლოოდ ადგილი დაუთმო უფრო ინტეგრალურ ფედერაციებს ან უნიტარულ სახელმწიფოებს. ოთხი კლასიკური შემთხვევა იყო შვეიცარიის კონფედერაცია, გვიანი შუა საუკუნეებიდან 1798 წლამდე და ისევ - 1815-დან 1848 წლამდე, ნიდერლანდის გაერთიანებული პროვინციები 1579-დან 1795 წლამდე, გერმანიის ბუნდი 1815-დან 1866 წლამდე და შეერთებული შტატების კონფედერაცია 1781-დან 1789 წლამდე. ამრიგად, არც ერთი ამ კონფედერაციათაგან არც ერთი არ გაგრძელებულა მეცხრამეტე საუკუნის მესამე მეოთხედზე გვიან, საერთაშორისო კონტექსტამდე, როდესაც ცენტრალიზებული სახელმწიფო გადარჩენის საკითხი გახდა. იხ. Xiaokun Song, „კონფედერალიზმი - თანამედროვე ლიტერატურის მიმოხილვა,“ B. Coppeters, D. Darchiashvili და N. Akaba (eds), *ფედერალური პრაქტიკა - ალტერნატივების განხილვა საქართველოსა და აფხაზეთისთვის* (ბრიუსელი: VUB Press, 2000), გვ. 181-193, <http://poli.vub.ac.be>.

აღიარებულია, რაც პრინციპში, აძლევს მათ გამოყოფის უფლებას. სუსტი ფედერალური მთავრობისა და წევრი ქვეყნების სუვერენული ძალაუფლების კომბინაციამ გახადა ეს მოდელი მიუღებელი საქართველოს ხელისუფლებისთვის და მიმზიდველი აფხაზეთა მმართველობისთვის - 1999 წლამდე, როდესაც აფხაზეთმა გამოაცხადა საკუთარი დამოუკიდებლობა. ქართველების სკეპტიციზმს ის ფაქტიც მატებდა, რომ მსოფლიოში არ არსებობს კონფედერაციული ქვეყნების არც ერთი მოქმედი კავშირი. მათი აზრით, ასეთი მოდელი არ შეაჩერებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივ ნაბიჯებს დამოუკიდებლობისკენ, არამედ მხოლოდ ხელს შეუწყობდა ასეთი მოქმედების ლეგიტიმაციას. მათ ასევე ეშინოდათ, რომ თუნდაც გამოყოფა დაუყოვნებლივ არ მომხდარიყო, შემადგენელი სახელმწიფოები შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო, როგორც გარეშე ძალისთვის ხელსაყრელი ბერკეტი საქართველოს შიდა საქმეებში ჩასარევად.

2. წლების განმავლობაში, თბილისისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ ოსური კონფლიქტი აღიქმებოდა, როგორც აფხაზეთზე ნაკლებად საჩქარო და ნაკლებად მნიშვნელოვანი. რიგ შემთხვევებში ქართულ-ოსურ სამშვიდობო პროცესში შესაძლებლობების ფანჯარა, როგორც ჩანს, იღებოდა და იხურებოდა, პოტენციალის სრულად გამოყენების გარეშე. ქართულ მხარეზე, როგორც შევარდნაძის ადმინისტრაციის დროს, და უფრო მეტად, მიხეილ სააკაშვილის დროს, იყო საერთო შეგრძნება, რომ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტი იყო აფხაზეთის კონფლიქტზე უფრო ადვილად მოსაგვარებელი. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც 2004-2007 წლებში, თბილისის დიპლომატიური ძალისხმევა კონფლიქტის დასარეგულირებლად, წინა წლებისგან განსხვავებით, ძირითადად, სამხრეთ ოსეთზე იყო კონცენტრირებული.

3. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, შემოიფარგლება შედარებით მცირე ტერიტორიებით, ისინი მოიცავენ რთულ შიდა და გარე ასპექტებს. ამ ორი კონფლიქტის შიდა ასპექტებს აქვს, მათ შორის, ისტორიული, პოლიტიკური, დემოგრაფიული და ეკონომიკური ფესვები. გარე ასპექტები უკავშირდება ქართულ-აფხაზეთს და ქართულ-ოსურ კონფლიქტის ზონების ფარგლებს გარეთ განვითარებულ მოვლენებს და დიდი, ძლევამოსილი მეზობელი სახელმწიფოების ინტერესებს, განსაკუთრებით, რუსეთის ინტერესებს. რუსეთს, რომელსაც ჰქონდა ტრადიციულად ძლიერი კავშირი ამ რეგიონთან და უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური და თავდაცვითი ინტერესები, მიენიჭა ქართულ-აფხაზეთს და ქართულ-ოსურ მოლაპარაკებების პროცესში ფასილიტატორის და სამშვიდობო ძალების მიმწოდებლის როლი. ამ ფორმულამ, რომელიც სრულიად გასაგებია „რეალური პოლიტიკის“ თვალსაზრისით, სერიოზული გავლენა მოახდინა რეგიონში არსებულ პოლიტიკურ წონასწორობაზე, რადგან ეს

პრაქტიკულად ნიშნავდა, რომ ამ ორი კონფლიქტის დარეგულირება შესაძლებელი იყო არა მარტო მაშინ, როდესაც ქართველების, აფხაზების და ოსების ინტერესები სათანადოდ შეთანხმდებოდა, არამედ, როდესაც შეთანხმდებოდა მოსკოვის ინტერესებიც. იმ სიტუაციაში, როდესაც ქართულ-რუსული ურთიერთობები უარესდებოდა, უფრო და უფრო რთულდებოდა ზემოთ ნახსენები „სამკუთხედების“ შიგნით მისაღები კომპრომისის პოვნა.

4. ბევრი ქართველის თვალსაზრისით, რუს პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით კი, 2004 წლის შემდეგ, შეიძლებოდა ერწმუნათ ქართული მთვრობის ბრალდებების, რომ რუსეთი არ იყო პატიოსანი შუამავალი. მისი პოლიტიკა ითვალისწინებდა ურთიერთობების ლეგალიზებას სეპარატისტულ რეგიონებთან, მათი მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების დარიგებას და განცხადებები კოსოვოს პრეკედენტის გამოყენების თაობაზე, რაც უნდა გამხდარიყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საფუძველი. რუსი სამშვიდობო ძალები კი, მნიშვნელოვანწილად, განიხილებოდნენ, როგორც დამცავი რგოლი, რომლის მიღმაც სეპარატისტები ავითარებდნენ თავიანთ ინსტიტუტებს. რეგიონში დამაბულობის დროს, მოსკოვმა ნათლად განაცხადა, განსაკუთრებით 2006 წლის შემდეგ, რომ ის განზე არ გადგებოდა, სეპარატისტულ ერთეულებში ქართული სამხედრო აქტივობის შემთხვევაში.³⁷⁰ ზემოაღნიშნული შეიძლება დაგვეხმაროს იმის ახსნაში, თუ რატომ იყო 2004-2008 წლებში ქართველების ძალისხმევის უმეტესობა მიმართული როგორც მოლაპარაკებების, ისე სამშვიდობო ძალების ფორმატის შეცვლაზე.

5. მიუხედავად მესამე მხარის რეალური თუ მოჩვენებითი ინტერესებისა, 1992-2006 წლების სამშვიდობო პროცესის ერთ-ერთი სისუსტე იყო, რომ ფაქტობრივად, ქართული, აფხაზური და სამხრეთ ოსური მხარეები ძირითადად, კონცენტრირებული იყვნენ გარე ასპექტებსა და მოთამაშეებზე, არ უთმობდნენ სათანადო ყურადღებას ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას და შერიგების სტიმულირებას და არ ახორციელებდნენ საკმარის ძალისხმევას ამ მნიშვნელოვან პროცესებში. 2006-2008 წლებში ქართველებმა ძირითადი აქცენტი სოხუმთან და ცხინვალთან ორმხრივ თანამშრომლობასა და მოლაპარაკებებზე გააკეთეს, მაგრამ გზამ, რომელიც მათ ამის გასაკეთებლად აირჩიეს – მოსკოვის პოლიტიკური როლის შემცირებით მოლაპარაკების პროცესში და რუსი სამშვიდობოებით ადგილზე – შთაბეჭდილება არ მოახდინა აფხაზურ და ოსურ მხარეებზე, რომლებიც რუსეთის ფედერაციას მათი უსაფრთხოების მთავარ გარანტად განიხილავდნენ. მეორე მხრივ, ამ პერიოდში აფხაზებისა და ოსების მოთხოვნები ქართველების გარანტიების ძალის გამოუყენებლობასთან და სხვა ცალმხრივ დათმობასთან დაკავშირებით (საქართველოს უსაფრთხოების ჯარების

³⁷⁰ იხ.: რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადება („სივილ ჯორჯია“ 8 ოქტომბერი, 2006, პუნქტი 13822).

გაყვანა ზემო კოდორის ხეობიდან), განიხილებოდა როგორც წინაპირობა სამშვიდობო პროცესის გასაახლებლად, რაც ძნელად თუ შეიძლება ჩაითვალოს კონსტრუქციულად, განსაკუთრებით, იმ კონტექსტში, როდესაც ზოგიერთი აფხაზი ლიდერი სახალხოდ მოუწოდებდა ზემო კოდორის ხეობის (სადაც ქართული ხელისუფლება ვრცელდებოდა) ძალადობრივი დაკავებისკენ („გათავისუფლებისკენ“). რაც შეეხება ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო მოლაპარაკებებს, წინა წლებში (2006 წლის ივლისის შუა პერიოდამდე), უსაფრთხოება და ძალის არგამოყენება ყოველთვის განიხილებოდა, როგორც უფრო დიდი პაკეტის ნაწილი, და როგორც წესი, უკავშირდებოდა აფხაზეთის შესაძლო თანხმობასა და თანამშრომლობას ლტოვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით.

6. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, როგორც ჩანს, მშვიდობიანი დარეგულირების უკეთესი შესაძლებლობები 1999 წლამდე არსებობდა, ვიდრე მას შემდეგ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოზიციების აშკარა გამყარება შესაბამის სამშვიდობო მოლაპარაკებებში, შესამჩნევი ხდება 2000 წლის შემდეგ, რუსულ-ქართული ურთიერთობების გაუარესების – 1999 წელს და მოსკოვზე დასავლური ძალის დამაჯერებლობის შესუსტების ფონზე, რამაც თანდათანობით შეამცირა სივრცე პოლიტიკური კომპრომისისთვის. რაც შეეხება აფხაზეთის კონფლიქტს, 2005 წელს შესაძლოა, გამოჩენილიყო ახალი შესაძლებლობა, როდესაც ახალი ხელისუფლება, რომელსაც არ ჰქონდა პასუხისმგებლობა 1992-1994 წლების შეიარაღებულ კონფრონტაციაზე, მოვიდა სათავეში, როგორც სოხუმში (2005 წლის იანვარში სერგეი ბაღაფშმა შეცვალა ვლადისლავ არძინბა, როგორც დე-ფაქტო პრეზიდენტმა) ისე თბილისში (სადაც 2004 წლის დასაწყისში, ედუარდ შევარდნაძე შეცვალა მიხეილ სააკაშვილმა). სამწუხაროდ, როგორც ჩანს, საქართველოს ახალ ხელისუფლებას არ ჰქონდა არც აუცილებელი სიმტკიცე და არც უნარი, გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა და შემოებრუნებინა აფხაზეთის დაკარგვის პროცესი.

7. წლების განმავლობაში სამშვიდობო ძალისხმევას, რომელიც მომდინარეობდა სამი მხარიდან და ასევე, საერთაშორისო თანამეგობრობიდან, ჰქონდა პოზიტიური ეფექტი რეგიონულ მშვიდობასა და სტაბილურობაზე. იყო აგრეთვე ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დაახლოების, ნდობისა და ურთიერთობების გაღრმავების პერიოდები. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების განმუხტვისა და ნორმალიზაციის პროცესის პარალელურად, მიდიოდა კიდევ ერთი პროცესი: ამ ორ ტერიტორიასა და რუსეთის ფედერაციას შორის კავშირების თანმიმდევრული შემჭიდროვება. მეორე პროცესი, რომელიც უფრო ნათლად 1999 წელს გამოჩნდა და დაჩქარდა 2008 წელს, მთლიანობაში უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე პირველი. ქართველების მიერ სხვადასხვა შემთხვევებში ეს აღწერილი იყო როგორც „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცოცავი რუსული ანექსია,“ და კავშირების ამ შემჭიდროვებას,

შესაძლოა გაეზარდა ქართველების იმედგაცრეება შეფერხებული სამშვიდობო პროცესისა და ყოვლისმომცველი დარეგულირების გაჭიანურებული და წარუმატებელი მცდელობების გამო.

8. 2006 წელს, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ალტერნატიული ადმინისტრაციების შექმნა სეპარატისტულ რეგიონებში, ბევრმა აღიარა, როგორც ყველაზე საკამათო ქართული ქმედება კონფლიქტის მოგვარების პროცესში. სავარაუდოდ, ეს ორ მოტივაციას ეფუძნებოდა. ყველაზე ძლიერი, შესაძლოა, დაკავშირებული ყოფილიყო კოსოვოს საკითხზე არსებულ წინააღმდეგობებთან და მოსკოვის გაფრთხილებასთან, რომ აღიარებდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, თუ დასავლეთის ძალები კოსოვოს დამოუკიდებლობას აღიარებდნენ. შესაძლოა, ქართული ხელისუფლება თვლიდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების საგრძნობი ნაწილის პრო-ქართული ადმინისტრაციის ფორმალური კონტროლის ქვეშ ყოფნა პრევენციული ზომა იყო, გამიზნული რუსეთის მიერ ამ ორი სეპარატისტული ერთეულის აღიარების კიდევ უფრო გასართულებლად, რაც შესაბამისად, ამას ნაკლებად შესაძლებელს გახდიდა.

9. გადაწყვეტილებები კოსოვოს დამოუკიდებლობის და მისი საერთაშორისო აღიარების შესახებ, 2008 წლის 2-3 აპრილის ნატოს ბუქარესტის სამიტთან ერთად, თავისი დაპირებით, რომ საქართველო გახდებოდა ნატო-ს წევრი მომავალში, შექმნა რთული საერთაშორისო კონტექსტი. რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებამ მასზედ, რომ დსთ-ს მოეხსნა 1996 წლის შეზღუდვა აფხაზეთისთვის (2008 წლის მარტი) და ნება დაერთო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის, რიგ სფეროებში, ეწარმოებინათ პირდაპირი ურთიერთობები (2008 წლის აპრილი), კიდევ ერთი განზომილება შესძინა ისედაც დამაბულ ურთიერთობებს რეგიონში.

10. საერთაშორისო თანამეგობრობის მიდგომა სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებით, ფაქტობრივად პასიური, და არა ინოვაციური იყო; კერძოდ, გაერო (2006 წლის ივლისის შუა პერიოდის შემდეგ) არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა მოახლოებული კრიზისი. ამგვარად, ორივე მხრიდან დაშვებული შეცდომები, არასწორი შეხედულებები და გაშვებული შესაძლებლობები დაგროვდა ისეთ წერტილამდე, როდესაც ძალადობის აფეთქება რეალური გახდა. 1990-იანების დასაწყისისგან განსხვავებით, ის, რაც უნდა მომხდარიყო 2008 წელს, აღარ იყო ლოკალური კონფლიქტი მსოფლიოს დაშორებულ ნაწილში, არამედ ხანმოკლე, ძლიერ შეიარაღებული კონფლიქტი ორ სახელმწიფოს შორის, რომლებიც იბრძოდნენ არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ პირდაპირ ეთერში, რასაც სერიოზული საერთაშორისო გამოძახილი ჰქონდა.

თავი 3

სამართლებრივი საკითხები

3.1. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის იურიდიული სტატუსი

- I. სახელმწიფოებრიობის განსაზღვრება საერთაშორისო სამართლის საფუძველზე
 1. განსაზღვრული ტერიტორია
 2. მუდმივი მოსახლეობა
 3. ეფექტური მთავრობა
 - ა) სამხრეთ ოსეთი
 - ბ) აფხაზეთი
- II. დასკვნა
- III. კომენტარი

3.2. თვითგამორკვევა და გამოყოფა

- I. თვითგამორკვევა და გამოყოფა საერთაშორისო სამართლის მიხედვით
- II. თვითგამორკვევა და გამოყოფა საბჭოთა საკონსტიტუციო სამართლის მიხედვით
- III. საქართველოს სახელმწიფოებრიობა და საერთაშორისო აღიარება
- IV. სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევისა და გამოყოფის უფლება
- V. აფხაზეთის თვითგამორკვევისა და გამოყოფის უფლება

3.3. „პასპორტიზაცია“ – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მასიურად მინიჭება

A. პრობლემის არსი

- I. ძირითადი საკითხები
- II. ძირითადი კონცეფციები

B. საქართველოს მოქალაქეობის მიღება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლების მიერ

- I. მოქალაქეობის მიღება საქართველოს 1993 წლის კანონის თანახმად, „მოქალაქეობის შესახებ“
- II. საქართველოს სამართლის შესაბამისობა საერთაშორისო სამართალთან

1. სახელმწიფოს გამოყოფის შემთხვევაში არჩევის უფლების არარსებობა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის თანახმად
2. დამატებითი საერთაშორისო იურიდიული პრინციპები საქართველოს მოქალაქეობის ავტომატური მინიჭების სასარგებლოდ

III. დასკვნა

C. რუსეთის პასპორტიზაციის პოლიტიკის შესაბამისობა საერთაშორისო სამართალთან

- I. ნატურალიზაციის საერთაშორისო კანონიერების პირობები
 1. პიროვნების არჩევანი
 - ა) თანხმობის მოთხოვნის იურიდიული საფუძველი
 - ბ) პიროვნების თანხმობის შესაძლო გაუქმება
 - გ) შეზღუდვები პიროვნების მიერ მოქალაქეობის არჩევისას
 2. ყოფილი მოქალაქეობის უფლებები
 3. ფაქტიური კავშირი ნატურალიზაციის მიმნიჭებელ სახელმწიფოსთან
 4. არარეზიდენტისთვის მოქალაქეობის მინიჭების *per se* უკანონობის არარსებობა (ექსტრატერიტორიული მოქალაქეობის მინიჭება)
 5. ეთნიკური ან რასობრივ საფუძველზე დამყარებული შერჩევითი ნატურალიზაციის უკანონობა
 6. კოლექტიური ნატურალიზაცია (ინდივიდუალური განაცხადების გარეშე)
 - ა) მოთხოვნა უარის თქმის უფლების შესახებ
 - ბ) კოლექტიური ნატურალიზაციის მინიჭების შემთხვევაში ცხოვრების უფლების მოთხოვნა

II. პრინციპების მიმართება ფაქტებზე

1. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „მოქალაქეობის“ მინიჭება სეპარატისტული ტერიტორიების მაცხოვრებლებისათვის
2. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ნატურალიზაცია რუსეთის მიერ
 - ა) ნატურალიზაცია მოქალაქეობის შესახებ რუსეთის კანონის საფუძველზე
 - ბ) მოქალაქეობის მინიჭების შესაბამისობა საერთაშორისო სამართალთან
 - i) ნებაყოფლობითი ხასიათი
 - ii) ფაქტობრივი კავშირი
- II. რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეების ფართომასშტაბიანი ექსტრატერიტორიული ნატურალიზაციის უკანონობა

1. მოქალაქეობის ესტრატეგორიალური კოლექტიური მინიჭების აკრძალვის პრინციპის დარღვევა
 2. პირებზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელების დარღვევა
 3. საქართველოს ტერიტორიული სუვერენიტეტის დარღვევა
 4. საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა
 5. კეთილმეზობლობის პრინციპის დარღვევა
 6. ადამიანების პიროვნული უფლებების შესაძლო დარღვევა
 7. არავითარი გამართლება „ჰუმანიტარული“ თვალსაზრისით
- III. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოქალაქეობის არმქონე მაცხოვრებლების ფართომასშტაბიანი ნატურალიზაცია როგორც უფლებების დარღვევა
1. დე-ფაქტო მოქალაქეობის არარსებობა
 2. უფლებათა ბოროტად გამოყენების საერთაშორისო აკრძალვის შინაარსი
 3. პრინციპის გამოყენება მოცემული შემთხვევისთვის

D. შედეგები საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით

- I. სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოქალაქეობის მინიჭების კანონიერების დამოუკიდებელი კრიტიკული მიმოხილვა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე
- II. რუსეთის მოქალაქეობის ფართოდ მინიჭების არ აღიარება
- III. საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება საქართველოს შიდა კანონმდებლობის მიზნებისთვის
- IV. მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებული რუსეთის ექსტრატერიტორიალური სამთავრობო აქტების უკანონობა

3.1. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის იურიდიული სტატუსი

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო სამართლის საფუძველზე განსაზღვრულ სტატუსს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ რეგიონების საერთაშორისო უფლებებისა და ვალდებულებების დადგენისათვის. ქვემოთ მოყვანილია ამ საკითხის ანალიზი შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდის დასრულებიდან, სამხრეთ ოსეთში (1992) და აფხაზეთში (1994), შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე, 2008 წლის აგვისტოში.

I. სახელმწიფოებრიობის განსაზღვრება საერთაშორისო სამართლის საფუძველზე

საკითხს, წარმოადგენს თუ არა გარკვეული ტერიტორია „სახელმწიფოს,“ შეიძლება ორგვარად მივუდგეთ. ერთი მხრივ, შესაძლებელია ითქვას, რომ სახელმწიფოებრიობა შეიძლება განისაზღვროს გარკვეული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. ასეთ

შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოების მიერ მისი აღიარება მხოლოდ დეკლარაციული მნიშვნელობისა იქნებოდა (აღიარების დეკლარაციული თეორია). მეორე მხრივ, სხვა საერთაშორისო იურიდიული სუბიექტების რეაგირება შეიძლება გადაწყვეტად ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება სხვა სახელმწიფოების მიერ ტერიტორიული ერთეულის „სახელმწიფოდ“ აღიარებას (აღიარების კონსტიტუციური თეორია).³⁷¹ სახელმწიფო პრაქტიკა³⁷² და საერთაშორისო იურიდიული ნაშრომები³⁷³ ძირითადად, იზიარებენ პირველ მიდგომას, უშვებენ რა, რომ აღიარება არ არის სახელმწიფოს ძირითადი შემადგენელი ნაწილი.³⁷⁴

ამიტომაც, ტერიტორიული ერთეულის საერთაშორისო იურიდიული სტატუსი უნდა შეფასდეს გარკვეული ფაქტობრივი ელემენტების არსებობის ან არარსებობის თვალსაზრისით. არ არსებობს შესაბამისი კრიტერიუმების ოფიციალური განსაზღვრება. თუმცა, არსებობს საბაზისო შეთანხმება, რომ სახელმწიფოებრიობის მინიმალური წინაპირობებია (1) განსაზღვრული ტერიტორია, (2) მუდმივი მოსახლეობა, და (3) ეფექტიანი მთავრობა.³⁷⁵

³⁷¹ იხ.: ჯეიმს კროუფორდი, ისტორიული დებატები, სახელმწიფოების შექმნა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, (მე-2 გამოცემა, ოქსფორდი, Clarendon Oxford UP 2006), at 19 et seq.

³⁷² იხ.: მაგ. 1948 წლის 30 აპრილის ამერიკის შტატების ორგანიზაციის ქარტია, რომელიც ძალაში შევიდა 1951 წლის 13 დეკემბერს (მუხლი 13): „სახელმწიფოს პოლიტიკური არსებობა დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფოების მიერ მისი ცნობისგან. სახელმწიფოს მის ცნობამდეც აქვს უფლება დაიცვას თავისი მთლიანობა და დამოუკიდებლობა...“ სახელმწიფო პრაქტიკის მიმოხილვა იხ. იან ბრონვილის საერთაშორისო კანონმდებლობის პრინციპებში (მე-7 გამოცემა, ოქსფორდი OUP 2008), at 95 et seq.

³⁷³ სხვა მრავალთა შორის იხ. მხოლოდ გეორგ დამის/იოსტ დელბრუკის/რუდიგერ ვოლფრუმის, *Völkerrecht*, ტომი. I/1 (ბერლინი: DeGruyter 1988), at 188-191; ანტონიო კასეხეს, საზოგადოებრივი საერთაშორისო სამართალი (მე-2 გამოცემა, ოქსფორდი OUP 2001), at 48-49; პატრიკ დაილიერის/ალან პალეტის, *Droit international public* (მე-7 გამოცემა, პარიზი: LGDJ 2002), at 557-58.

³⁷⁴ ამის მიზეზი არის, რომ არ არსებობს სახელმწიფოდ ცნობის რაიმე ცენტრალური ორგანო და სახელმწიფოს ცნობა ხდება დეცენტრალიზებულად სხვა სახელმწიფოების მიერ, რომლებიც თავად აფასებენ, არის თუ არა სახეზე სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმები. სახელმწიფოდ ცნობის ეს აქტები სახელმწიფოებრიობის ძირითადი განმსაზღვრელი რომ ყოფილიყო, და ამ აქტების შედეგად რომ „იქმნებოდეს“ სახელმწიფოები, შედეგად მივიღებდით, რომ ერთეული შეიძლება ყოფილიყო „ნაწილობრივ“ სახელმწიფო: ის იქნებოდა სახელმწიფო ერთი ქვეყნის წინაშე, მაგრამ არ იქნებოდა სახელმწიფო მეორე ქვეყნის წინაშე. ეს შეფარდებითობა გამოიწვევდა იურიდიულ გაუგებრობას და პრაქტიკაში ვერ განხორციელდებოდა. ამასთან, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებრიობა ცნობაზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, მაშინ ის პოლიტიკური ერთეული, რომელიც არ ცნეს სხვა სახელმწიფოებმა, მაგრამ გააჩნია სახელმწიფოს ყველა დამახასიათებელი ნიშანი (განსაზღვრული ტერიტორია, მუდმივი მოსახლეობა, ეფექტურად მოქმედი მთავრობა და დამოუკიდებლობა) არ იქნებოდა დაცული საერთაშორისო კანონით და არ იქნებოდა ამ კანონის წინაშე ვალდებულებები. იგი იარსებებდა საერთაშორისო იურიდიულ ვაკუუმში. ასეთი ვითარება კი, პოლიტიკის თვალსაზრისით არასასურველი იქნებოდა.

³⁷⁵ Karl Doehring, „სახელმწიფო“ Rudolf Bernhard (გამოცემაში), საერთაშორისო საჯარო სამართალი, ტომი 4, (ჩრდილოეთ ჰოლანდია: Elsevier 2000) 600-604, at 601; Dahm/Delbrück/Wolfrum 1988 (ზედა სქოლიო 3), at 131; Brownlie (ზედა სქოლიო 2, at 71-72; Cassese, საერთაშორისო საჯარო სამართალი aw (ზედა სქოლიო 3), at 48. Cf. ასევე, შეხედულება No. 1 ევროპული კონფერენციის იუგოსლავიაზე: „სახელმწიფო ჩვეულებრივ განისაზღვრება როგორც საზოგადოება, რომელიც შედგება ტერიტორიისა და მოსახლეობისგან, რომელიც

სახელმწიფოებრიობის ეს ობიექტური კრიტერიუმები მეტად ზოგადი და ცვალებადია, ხოლო მათი გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაში ყოველთვის სწორ გაგებას მოითხოვს. განსაკუთრებით, მთავრობის „ეფექტურობა“ ხარისხის საკითხია. ახალი სახელმწიფოს შექმნა, განსაკუთრებით, როცა ეს არსებული სახელმწიფოსგან გამოსვლის გზით ხდება, დროში გახანგრძლივებული პროცესია. ამ პროცესის განმავლობაში დამოუკიდებლობის ხარისხი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს, რაც რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თანახმად, ამავე სამართლით განსაზღვრული იურიდიული პრინციპების დაცვა (განსაკუთრებით, თვითგამორკვევის და ძალის გამოუყენებლობის პრინციპების) განიხილება, როგორც დამატებითი სტანდარტი ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფოდ გამოცხადებისას.³⁷⁶ ევროსაბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების „სახელმძღვანელო პრინციპები,“ რომლებიც შემუშავებული იყო აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში ახალი სახელმწიფოების აღიარების მიზნით, მხედველობაში იღებს ძირითად საერთაშორისო ვალდებულებებისადმი პატივისცემის პრინციპს, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში.³⁷⁷ თუმცა, გაურკვეველია, იყო თუ არა ლეგიტიმურობის ეს კრიტერიუმები გამოყენებული, როგორც იურიდიული წინაპირობა, თუ როგორც თავისუფალი პოლიტიკური არჩევანი. ორივე შემთხვევაში ეს ნორმატიული მოსაზრებები ერთიდაიმავე მიმართულებით მუშაობს, ეფექტურობის პრინციპის დაცვით და ხაზს უსვამს ტერიტორიული ერთეულის მოთხოვნას სახელმწიფოებრიობაზე.

სახელმწიფოს სტატუსის შეფასება საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო პოლიტიკის მიხედვით ერთმანეთს კვეთს, თუმცა, არის განსხვავებებიც. სახელმწიფოდ ცნობის პოლიტიკური პრაქტიკა, როგორც წესი, ემყარება საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ობიექტურ კრიტერიუმებს, მაგრამ შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული დამატებითი მოსაზრებებიც. შესაძლებელია, რომ ერთმა ან რამდენიმე ქვეყანამ ცნოს ტერიტორიული ერთეული სახელმწიფოდ გარკვეული პოლიტიკური მოტივებით.

ეს ნიშნავს, რომ ტერიტორიული ერთეულები შეიძლება აღმოჩნდნენ სამ სხვადასხვა კატეგორიაში: (1) (სრული) სახელმწიფოები, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის

ექვემდებარება ორგანიზებულ პოლიტიკურ ორგანოს“ (repr. in ILM 31(1992), at 1494-1497; EJIL 3 (1992), at 182), პარაგრაფი. 1. b.

³⁷⁶ Crawford (ზედა სქოლიო 1) at 128-131; Malcolm N. Shaw, საერთაშორისო სამართალი (მე-6 გამოცემა, Cambridge University Press 2008), at 206.

³⁷⁷ Guidelines repr. in Europa-Archiv 47 (1992), D 120; ILM 31 (1992), at 1486-87.

კრიტერიუმებს და მთელი მსოფლიოს მიერ აღიარებულები არიან სახელმწიფოებად; (2) სახელმწიფოს მსგავსი ტერიტორიული ერთეულები, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს, მაგრამ მთელი მსოფლიოს მიერ არ არიან საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო დონეზე;³⁷⁸ და ტერიტორიული ერთეულები, მოკლებული არიან სახელმწიფოებრიობის ნიშნებს (არ აკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს, ან აკმაყოფილებენ მხოლოდ ზოგიერთ კრიტერიუმს, ან სუსტად ნაწილობრივ აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმებს, მაგრამ საბოლოოდ აღიარებულები არიან სახელმწიფოებად ერთი ან მეტი ქვეყნის მიერ).

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აღიარებას მხოლოდ დეკლარაციული მნიშვნელობა აქვს, ტერიტორიული ერთეულის ცნობა სახელმწიფოდ სხვა ქვეყნების მიერ შესაძლოა გახდეს მისი, როგორც სახელმწიფოს, იურიდიული სტატუსის მტკიცებულება, თუმცა ეს დაშვება შეიძლება ფაქტების საფუძველზე უარყოფილი იყოს.

ასეთი *prima facie* შეხედულება სამხრეთ ოსეთის შესახებ არ არსებობდა 2008 წლის აგვისტომდე. ომის დაწყებამდე მას არც ერთი სხვა ქვეყანა არ ცნობდა სახელმწიფოდ, ოპორტუნისტული მოტივებითაც ³⁷⁹ კი. მეტიც, სამხრეთ ოსეთს ცალსახად და თანმიმდევრულად არ მოუთხოვია სახელმწიფოს სტატუსი: ერთი მხრივ, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია ისწრაფვოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მისი აღიარებისკენ, მეორე მხრივ კი, ის გამოხატავდა ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანების

³⁷⁸ ამ კონტექსტში გამოყენებადი ტერმინი არის „დე-ფაქტო რეჟიმი.“ ეს ტერმინი შექმნილი იყო მეცნიერებაში ტერიტორიული ერთეულებისთვის, რომლებიც „...ითხოვენ სახელმწიფოდ ცნობას... აკონტროლებენ მეტ-ნაკლებად ზუსტად განსაზღვრულ ტერიტორიას და არ არიან აღიარებულნი სხვა ქვეყნების მიერ, ან თუნდაც ბევრი ქვეყნის მიერ.“ Jochen A. Frowein, „დე ფაქტო რეჟიმი“ Rudolf Bernhardt (გამოცემაში), საერთაშორისო სამართლის ენციკლოპედია, ტომი 1 (Amsterdam: Elsevier 1992) 966-968; at 966. Jochen A. Frowein, *Das de facto-Regime im Völkerrecht* (Köln: Carl Heymanns 1968). ამ განმარტებით ისეთი ერთეულები, როგორც იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მისი მსოფლიოს მიერ აღიარებამდე, 1972 წელს, ან ჩრდილოეთ ვიეტნამი მისი ვიეტნამთან შეერთებამდე იყვნენ დე ფაქტო რეჟიმები. თუმცა ტერმინი „დე ფაქტო რეჟიმი“ ალბათ კიდევ უფრო ორაზროვანია, ვიდრე სხვა. თუ ჩვენ გავიზიარებთ გაბატონებულ სამეცნიერო მიდგომას, რომ საერთაშორისო აღიარებას მხოლოდ დეკლარაციული მნიშვნელობა აქვს და ის არ არის სახელმწიფოებრიობის შემადგენელი ნაწილი, მაშინ ამგვარ ტერიტორიულ ერთეულებს შეიძლება ვუწოდოთ არა დე-ფაქტო რეჟიმები, არამედ უბრალოდ სახელმწიფოს მსგავსი ერთეულები. ტერმინი „დე-ფაქტო რეჟიმი“ ასევე გამოიყენება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში, სადაც იგი აღნიშნავს აჯანყების მდგომარეობის გახანგრძლივებასა და სტაბილიზაციას. სპს-ის ტრადიციით, ტერიტორიული ერთეული აღიარებულ უნდა იქნას, როგორც „დე ფაქტო რეჟიმი“ და მხოლოდ სხვა ქვეყნების მიერ მისი ცნობის შემდეგ იგი შეიძენს შეზღუდულ იურიდიულ იდენტობას. განსხვავება სახელმწიფოდ ცნობისგან მდგომარეობს იმაში, რომ „დე ფაქტო რეჟიმის“ ცნობა კონსტიტუციურია და თავისი არსიდან გამომდინარე, გარკვეულწილად პირობით ხასიათს ატარებს. იხ.: Georg Dahm/Jost Delbrück/Rüdiger Wolfrum, *Völkerrecht*, ტომი. I/2(Berlin: De Gruyter 2002), at 303-304.

³⁷⁹ ეს დასკვნა ასევე დადასტურებულია რუსეთის ოფიციალური პასუხებით IIFFMCG-ის კითხვარზე, რომელიც იურიდიულ საკითხებს ეხებოდა: „კონფლიქტამდე რუსეთი აღიარებდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, როგორც საქართველოს განუყოფელ ერთეულებს.“

სურვილს რუსეთთან ინტეგრაციის გზით.³⁸⁰ რუსეთის ფედერაციასთან ინტეგრაცია კი, წინააღმდეგობაში მოდის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსთან.

მიუხედავად ამ გაურკვევლობისა და სხვა სახელმწიფოების მიერ მისი არაღიარებისა, სამხრეთ ოსეთი, შესაძლოა, ყოფილიყო „სახელმწიფო,“ თუ იგი დააკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს.

ტერიტორიული სტატუსის თვალსაზრისით, საერთაშორისო სამართლის თანახმად, აფხაზეთის მდგომარეობა ძალის გამოყენებამდე სამხრეთ ოსეთის მდგომარეობის მგავსი იყო, მაგრამ არა იდენტური. 2008 წლის აგვისტომდე, აფხაზეთი არ იყო აღიარებული არც ერთი სხვა სახელმწიფოს მიერ; მაგრამ რუსეთთან ინტეგრაცია აფხაზეთისთვის ბევრად ნაკლებად იყო მიმზიდველი, ვიდრე სამხრეთ ოსეთისთვის. აფხაზეთი ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ის არის სუვერენული სახელმწიფო.³⁸¹

1. განსაზღვრული ტერიტორია

ვინაიდან მთავრობა აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული ტერიტორიასთან, სახელმწიფოებრიობის მოპოვების პირველი პირობა არის გარკვეული ტერიტორიის ან „ოპერაციული ფუნქციის მქონე გარკვეული ტერიტორიული პუნქტის“ არსებობა.³⁸² საბოლოო შეთანხმება ტერიტორიულ საზღვარზე არ წარმოადგენს სახელმწიფოს არსებობის საწინდარს; უთანხმოება საზღვარზე არ ახდენს გავლენას

³⁸⁰ საქართველოსგან გამოყოფის პროცესი, რომელიც დაიწყო 1990 წლის სექტემბერში, გაგრძელდა 1992 წლის 19 იანვარს, როდესაც ოსებმა მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან დამოუკიდებლობის „რეფერენდუმში,“ რომელშიც აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა დამოუკიდებლობას რუსეთთან. 1992 წლის მაისში ოსეთის უმაღლესმა საბჭომ გამოსცა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია,“ რომელშიც ნათქვამია: „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაციის საფუძველზე, უმაღლესი საბჭო საზეიმოდ აცხადებს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას.“ 2001 წლის 8 აპრილს მიღებულ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ორგანული კანონი)“ 1(1) მუხლში ნათქვამია: „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა არის სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ემყარება კანონს და რომელიც შეიქმნა ერების თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე.“

³⁸¹ 1999 წლამდე აფხაზეთი არ ეწინააღმდეგებოდა „სახელმწიფოთა კავშირს“ კონფედერაციის მოდელის საფუძველზე, ასევე წინადადებებს გაერთიანებულიყო საქართველოსთან ან რუსეთთან თავისუფალი ასოციაციური სახელმწიფოს სახით. თუმცა, ყველა ეს წინადადება ეფუძნებოდა აფხაზეთის სუვერენიტეტის, გამოყოფის უფლებისა და სახელმწიფოებრიობის პრინციპს.

³⁸² ეს განსაზღვრება გამოიყენება Malcolm N. Shaw მიერ, საერთაშორისო სამართალი (მე-6 გამოცემა, Cambridge University Press 2008), გვ 199. ასევე, იხ.: გერმანულ-პოლონური საარბიტრაჟო სამართალი (1 აგვისტო 1929) *Deutsche Continental-Gas-Gesellschaft v Etat polonais*, repr. in *ZaöRV* 2 (1931), 14-40, at 23: “il suffit que ce territoire ait une consistance suffisamment certaine ... et que, sur ce territoire, il exerce en réalité la puissance publique nationale de façon indépendante.”

სახელმწიფოებრიობაზე.³⁸³ ამასთან ერთად, არ არსებობს რაიმე წესი, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს შიგნით ტერიტორიის უწყვეტ ფუნქციონირებას..³⁸⁴

ამიტომაც, მიუხედავად საქართველოს მთავრობასა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას შორის არსებული უთანხმოებისა, საზღვრისა და მისი სტატუსის თაობაზე, ორივე მხარე აკონტროლებდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილს³⁸⁵ – და, მიუხედავად სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის ფრაგმენტულობისა და მიუხედავად რამდენიმე ანკლავის არსებობისა, სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში შესრულებულია „ძირითადი“ ტერიტორიის³⁸⁶ არსებობის მოთხოვნა.

აფხაზეთის შემთხვევაში კიდევ უფრო ნაკლები ეჭვი არსებობს განსაზღვრული ტერიტორიის საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, საქართველოს მთავრობა აკონტროლებდა ტერიტორიის ნაწილს, კერძოდ, ზემო კოდორის ხეობას, რომელიც გეოგრაფიულად აფხაზეთს ეკუთვნის.

2. მუდმივი მოსახლეობა

მეორე კრიტერიუმის, „მუდმივი მოსახლეობის“ ზუსტი მნიშვნელობა საერთაშორისო იურიდიულ დოქტრინაში უთანხმოების საგანს წარმოადგენს. ტერმინი „მოსახლეობა“ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც „ადამიანების ერთობლიობა,“ მიუხედავად ამ ადამიანების მოქალაქეობისა.³⁸⁷ უფრო ვიწრო გაგებით, მოსახლეობა შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ერთი მოქალაქეობის ადამიანების ერთობლიობა.³⁸⁸

³⁸³ Crawford (ზედა სქოლიო 1), გვ 49.

³⁸⁴ Crawford (ზედა სქოლიო 1), გვ 47.

³⁸⁵ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყებამდე, სამხრეთ ოსეთის მთავრობა, გავრცელებული ინფორმაციით, აკონტროლებდა სამხრეთ ოსეთის ყოფილი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის დაახლოებით სამ მეხუთედს, მაშინ როცა საქართველოს მთავრობა აკონტროლებდა დაახლოებით ორ მეხუთედს, რამდენიმე ანკლავს სამხრეთ ოსეთის ფარგლებში და ახალგორის მთელ რაიონს სამხრეთ ოსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში.

³⁸⁶ როსალინ ჰიგინსის თანახმად, სახელმწიფოებრიობა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მომავალ საზღვრებთან დაკავშირებით „სერიოზული ეჭვების“ არსებობის შემთხვევაში (Rosalyn Higgins, საერთაშორისო სამართლის განვითარება UN პოლიტიკური ორგანოების მეშვეობით (London: OUP 1963), გვ. 20.

³⁸⁷ Crawford (ზედა სქოლიო 1), გვ. 52 ამბობს, რომ ეს კრიტერიუმი „არ არის წესი ამ მოსახლეობის ეროვნებასთან მიმართებაში.“ Brownlie (ზედა სქოლიო 2), გვ. 70–71 „სტაბილური საზოგადოება“ საკმარისი განმარტებაა.

³⁸⁸ Alfred Verdross/ Bruno Simma, Völkerrecht (მე-3 გამოცემა. Berlin: Duncker & Humblot 1984), გვ 255 საუბარი „dauerhafter Personenverbund, der in der Geschlechterfolge fortlebt“-ზე. Georg Jellinek, Allgemeine Staatslehre (მე-3 გამოცემა. Berlin: Julius von Springer 1920), გვ 183, მოითხოვს, რომ იურიდიული თვალსაზრისით სახელმწიფოს წინაპირობად უნდა არსებობდეს „Volk“. ამ თვალსაზრისით იხ. ასევე Doehring (ზედა

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შემთხვევაში ეს ასპექტი მნიშვნელოვანია, რადგანაც ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ ნებაყოფლობით მიიღო რუსული მოქალაქეობა (სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის „მოქალაქეობის“ მიღების შემდეგაც კი).³⁸⁹ უფრო მეტიც, იძულებით გადაადგილებული პირებისა და მიგრაციული მოძრაობების ხარჯზე ხდებოდა მოსახლეობის მუდმივი გადინება.³⁹⁰ მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობის ცვლილებები აფხაზეთში კიდევ უფრო დიდი იყო, ვიდრე სამხრეთ ოსეთში. შესაბამისად, ერთი მოქალაქეობის მქონე სტაბილური ჯგუფის არსებობა ორივე რეგიონში საეჭვოა.

თუმცა, მოქალაქეობის კრიტერიუმი დიდად გამოსადეგი ვერ იქნება, თუნდაც გამოყოფის პროცესის კონტექსტში, რადგან მოქალაქეობა, როგორც წესი, განისაზღვრება მხოლოდ ახალი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ. როგორც წესი, მოქალაქეობა, როგორც ჩანს, დამოკიდებულია სახელმწიფოებრიობაზე და არა პირიქით.³⁹¹ შესაბამისად, (ახალი) სახელმწიფოს სტატუსი იურიდიული თვალსაზრისით, არ შეიძლება იყოს დამოკიდებული საერთო მოქალაქეობის მქონე ადამიანთა ჯგუფის არსებობაზე.

„ადამიანთა ერთობლიობა,“ რომლებიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ცხოვრობდნენ, ფართო გაგებით შეიძლება, მოსახლეობად ჩაითვალოს.

3. ეფექტური მთავრობა

ეფექტური მთავრობის ელემენტი უმეტეს შემთხვევაში განიხილება, როგორც ერთგვარი კომპლექსური კრიტერიუმი.³⁹² ზოგიერთი ავტორი მას „ეფექტურ მთავრობად“ და „დამოუკიდებლობად“ ჰყოფს.³⁹³ მიუხედავად ამ ტერმინოლოგიური განსხვავებებისა, არსებობს თანმხობა იმის თაობაზე, რომ „ეფექტური მთავრობის“ კრიტერიუმს აქვს „შიდა“ და „გარე“ ასპექტები. ეს ორი ასპექტი ეხება ძალაუფლების გავრცელებას სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში ადამიანებისა და ქონების მიმართ და

სქოლიო 5), გვ 601, Dahm/Delbrück/Wolfrum 1988 (ზედა სქოლიო 3), გვ 127, Theodor Schweisfurth, Völkerrecht(Tübingen: UTB Mohr Siebeck 2006), გვ 10 და 296; Daillier/Pellet (ზედა სქოლიო 3), გვ 409.

³⁸⁹ რუსული ეროვნების საერთაშორისო სიბრტყეში ვალიდურობის შესახებ იხ. ქვევით, თავი 2.3.

³⁹⁰ იხ.: თავი 2. „კონფლიქტები აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში: მშვიდობის მცდელობები 2008 წლამდე.“

³⁹¹ Crawford (ზედა სქოლიო 1), გვ 52.

³⁹² Georg Jellinek-ის თანახმად, ეს იყო მე-19 საუკუნეში შემუშავებული კლასიკური მიდგომა. იხ.: თანამედროვე ნაშრომში Karl Doehring, Völkerrecht (მე-2 გამოცემა Heidelberg: CF Müller 2004), MN 49; Volker Epping in Knut Ipsen, Völkerrecht (მე-5 გამოცემა, Munich: Beck 2004), გვ 59-67; Pierre-Marie Dupuy, საერთაშორისო საჯარო სამართალი (მე-9 გამოცემა. Paris: Dalloz 2008), გვ 95.

³⁹³ აღსანიშნავია Crawford (ზედა სქოლიო 1), გვ 55 et seq.

ძალაუფლების აღსრულებას სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში.³⁹⁴ ორივე მიმართულებით, გადამწყვეტია დამოუკიდებლობა: იან ბროუნლის თანახმად, დანამდვილებით უნდა იყოს ცნობილი, რომ არ არსებობს „ძლიერი, სისტემატური და მუდმივი კონტროლი უცხო ქვეყნის მხრიდან, მოცემული ტერიტორიული ერთეულის უმაღლესი პოლიტიკური საკითხების ფართო სპექტრზე.“³⁹⁵

ა) სამხრეთ ოსეთი

1993 წელს, სამხრეთ ოსეთს უკვე დამყარებული ჰქონდა ახალი კონსტიტუციური წყობა, რომელიც 2001 წელს გადაიხედა და ითვალისწინებდა აღმასრულებელ, საკანონმდებლო და იურიდიულ შტოებს. მიუხედავად ამისა, ამ სისტემის ეფექტურობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ბევრი ეჭვი არსებობს.

პირველ რიგში, ვინაიდან სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობამ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, რუსეთს შეუძლია მოითხოვოს მათზე რუსული იურისდიქციის გავრცელება.³⁹⁶ რუსულ კანონმდებლობას, მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევის ან პენსიების სფეროში, პირდაპირ შეუძლია ამ პირების ცხოვრებაზე გავლენის მოხდენა. რუსეთის კონსტიტუციის საფუძველზე, რუსეთის მოქალაქეებს ბევრი უფლება და ვალდებულება აქვთ, მათ შორის, ხმის მიცემის უფლება (რუსეთის კონსტიტუცია, მუხლი 32, პარაგრაფი 2) და სახელმწიფოს მართვაში აქტიური მონაწილეობა (რუსეთის კონსტიტუცია, მუხლი 32, პარაგრაფი 1), ასევე გადასახადების გადახდის ვალდებულება (რუსეთის კონსტიტუცია, მუხლი 57) და სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულება (რუსეთის კონსტიტუცია, მუხლი 59). რუსეთის კონსტიტუციის კანონის თვალსაზრისით, სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების იურიდიული სტატუსი ძირითადად იგივეა, რაც რუსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისა.³⁹⁷ სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსული პასპორტის მფლობელები მონაწილეობენ რუსეთის არჩევნებში, როგორც იყო, მაგალითად, რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის მარტში,³⁹⁸ ვინაიდან რუსეთის პოლიტიკა პირდაპირ შეხებაშია ამ ადამიანებთან.

³⁹⁴ იქვე, გვ 55, fn 85.

³⁹⁵ Brownlie (ზედა სქოლიო 2), გვ 72.

³⁹⁶ საქართველოს მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის რუსული ეროვნების მინიჭების შედეგები განხილულია ქვევით 2.3 თავში.

³⁹⁷ რუსეთის კონსტიტუციის Cf. მუხლი 62(2): „რუსეთის ფედერაციის მოქალაქის მიერ უცხოური მოქალაქეობის ფლობა არ ამცირებს მის რანგს და თავისუფლებებს და არ ათავისუფლებს მას რუსეთის მოქალაქეობიდან გამომდინარე მისი ვალდებულებებისგან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონით ან საერთაშორისო შეთანხმებით.“

³⁹⁸ სამოქალაქო საქართველო, 2008 წლის 3 მარტი.

მეორე რიგში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რუსეთის ოფიციალური პირები შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე უკვე დე-ფაქტოდ აკონტროლებდნენ სამხრეთ ოსეთის ინსტიტუტებს, განსაკუთრებით, უსაფრთხოების ინსტიტუტებს და უსაფრთხოების ძალებს. დე-ფაქტო მთავრობა, „თავდაცვის,“ „შინაგან საქმეთა“ და „სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების სამინისტროები,“ „სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი,“ „სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახური,“ „პრეზიდენტის ადმინისტრაცია,“ სხვა ორგანოებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად დაკომპლექტებული იყო რუსეთის წარმომადგენლებით ან რუსეთის მოქალაქეობის მქონე სამხრეთ ოსეთის პირებით, რომლებიც მანამდე ცენტრალურ რუსეთში ან ჩრდილოეთ ოსეთში ანალოგიურ თანამდებობებზე მუშაობდნენ.³⁹⁹ სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის თანახმად, ეს ოფიციალური პირები პირდაპირ არიან ანგარიშვალდებულნი სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის, როგორც „სახელმწიფოს მეთაურის“ და აღმასრულებელი განყოფილების წინაშე (კონსტიტუციის მუხლი 47, პარაგრაფი 1); მაგრამ მიუხედავად ამ კონსტიტუციური ანგარიშვალდებულებისა, ის ფაქტი, რომ გადამწყვეტი თანამდებობები სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების სტრუქტურებში ეკავათ რუსეთის წარმომადგენლებს, ან სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს, რომელთაც კარიერა რუსეთში დაიწყეს, ნიშნავდა, რომ სამხრეთ ოსეთი ძნელად თუ აწარმოებდა რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო პოლიტიკას.

მოსკოვის კონტროლი სამხრეთ ოსეთზე ეტაპობრივად ხორციელდებოდა. 2004 წლის ზაფხულამდე, რუსეთის წარმომადგენლები ასეთი რაოდენობით არ იყვნენ წარმოდგენილნი სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობაში. ამგვარად, 1992 წელს სამხრეთ ოსეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ეტაპობრივი სტაბილურობა არ იყო მიღწეული არამედ 2004 წლის შემდეგ ამ პროცესის უკუსვლა აღინიშნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთი ფორმალურად არ იყო დამოკიდებული არც ერთ სხვა სახელმწიფოზე, რუსეთის უცხოური გავლენა გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ისეთ სენსიტიურ სფეროებში, როგორიცაა უსაფრთხოების საკითხები, იმდენად გადამწყვეტი იყო, რომ სამხრეთ ოსეთის მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნა შეიძლებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო.

რომ შევაჯამოთ, რუსეთის გავლენა და კონტროლი სამხრეთ ოსეთში გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე, იგი მოიცავდა საკითხების ფართო სპექტრს ამ ტერიტორიული ერთეულის შიდა და საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით. ეს გავლენა სისტემატური იყო და პერმანენტულად ხორციელდებოდა. ამიტომ, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობა თავისთავად ეფექტიანი არ იყო.

³⁹⁹ იხ.: საქართველოს ოფიციალური პასუხები IIFMCG კითხვარებზე.

ბ) აფხაზეთი

აფხაზეთის ადმინისტრაციის მიერ შესაბამისი ტერიტორიისა და მისი მცხოვრებლების ეფექტიანი კონტროლი პრობლემატურია, რადგან ამ ტერიტორიის ბევრმა მცხოვრებმა მიიღო რუსეთის მოქალაქეობა და რუსეთის თვალთახედვით, მისი პირდაპირი იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან. აფხაზეთის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, „აფხაზეთის პრაქტიკულად, ყველა მცხოვრები ამავდროულად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან.“⁴⁰⁰ რუსეთის პასპორტის მფლობელები მასიურად მონაწილეობდნენ რუსეთის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში.⁴⁰¹

რუსეთის კონტროლი აფხაზეთის უსაფრთხოების ინსტიტუტებზე ნაკლებ ფართო ჩანს, სამხრეთ ოსეთთან შედარებით. სამხრეთ ოსეთში ვითარების საპირისპიროდ, რუსეთისგან დამოუკიდებლობის სურვილი ტრადიციულად, ძლიერი იყო ელიტაში და აფხაზურ საზოგადოებაში. მაგალითად, 2004/05 წლების „საპრეზიდენტო არჩევნებში“ მოსკოვი იძულებული იყო ელიტარებინა იმ კანდიდატის დამარცხება, რომელსაც ის ოფიციალურად უჭერდა მხარს (რაულ ხაჯიმბა) და მიეღო სერგეი ბაღაფშის გამარჯვება. ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთის ინსტიტუტები, თუნდაც იმ კონკრეტულ მომენტში, სრულად ვერ კონტროლდებოდა რუსეთის მთავრობის მიერ.

II. დასკვნა

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, სამხრეთ ოსეთი 2008 წლის სამხედრო კონფლიქტის დროისთვის წარმოადგენდა ერთეულს, რომელსაც გააჩნდა ტერიტორია, მოსახლეობა და ახლადშექმნილი კონსტიტუციის საფუძველზე მოქმედი მთავრობა. მაგრამ სახელმწიფოებრიობის ყველა ჩვეული კრიტერიუმი (იურიდიული და პოლიტიკური თვალსაზრისით) არადამაჯერებელი იყო. განსაკუთრებით, მესამე კრიტერიუმი – ეფექტურობა, არასაკამარისად იყო წარმოდგენილი სამხრეთ ოსეთში, რადგანაც მისი საშინაო პოლიტიკა რუსეთის წარმომადგენლების დიდი გავლენას განიცდიდა „შიგნიდან.“

ამგვარად, სამხრეთ ოსეთი საკმაოდ ახლოს მივიდა სახელმწიფოებრიობასთან, თუმცა მთავრობის ეფექტურობის ზღვარს ვერ მიაღწია. საერთაშორისო სამართლის

⁴⁰⁰ იხ.: აფხაზეთის ოფიციალური პასუხები IIFFMCG კითხვარზე იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან და ადამიანის უფლებების პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით.

⁴⁰¹ სამოქალაქო საქართველო, 2008 წლის 3 მარტი.

თვალსაზრისით, ის იყო არა სახელმწიფოს მაგვარი ერთეული, არამედ მხოლოდ ერთეული სახელმწიფოებრიობის გარეშე.⁴⁰²

აფხაზეთის სტატუსი ოდნავ სხვაგვარია. სამხრეთ ოსეთისგან განსხვავებით, აფხაზეთის „მთავრობამ“ მკაფიოდ გამოხატა რუსეთისგან დამოუკიდებლობის სურვილი, მაშინაც კი, როცა მისი პოლიტიკა და სტრუქტურები, განსაკუთრებით კი, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინსტიტუტები, მაღალი ხარისხით რჩება მოსკოვის კონტროლის ქვეშ. სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში აფხაზეთი უფრო შორს წავიდა, ვიდრე სამხრეთ ოსეთი და შესაძლოა ეფექტურობის ზღვარსაც მიაღწია. ამიტომაც, მას, შეიძლება სახელმწიფოს მაგვარი ერთეულიც კი, ვუწოდოთ. მაგრამ, ამავე დროს საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ლეგიტიმაციის მოთხოვნას ძირს უთხრის ის ფაქტი, რომ უდიდესი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები (ქართველები) განდევნილნი არიან ორივე ტერიტორიიდან და მათ ჯერაც არა აქვთ იქ დაბრუნების უფლება, როგორც ამას საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს.

III. კომენტარი

სამხრეთ ოსეთი არ უნდა იყოს აღიარებული, ვინაიდან სახელმწიფოებრიობის წინაპირობები არ არის შესრულებული. არც აფხაზეთი უნდა იყოს აღიარებული. მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნია სახელმწიფოებრიობის მახასიათებლები, სახელმწიფოს შენების პროცესი, თავის არსით, არალეგიტიმურია, რადგან აფხაზებს არასოდეს ჰქონიათ გამოყოფის უფლება. უფრო მეტიც, აფხაზეთი არ პასუხობს ძირითად მოთხოვნებს ადამიანის უფლებებისა და უმცირესობის უფლებების თვალსაზრისით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ის არ იძლევა იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების უსაფრთხო დაბრუნების გარანტიას.

⁴⁰² პოლიტიკურ მეცნიერებაში „სახელმწიფოებრიობის“ და „დე-ფაქტო სახელმწიფოს“ კონცეფციები სინამდვილეში განსხვავებული მიზნებისთვის არის შემუშავებული, ვიდრე საერთაშორისო სამართლისთვის. მაგალითად, Scott Pegg -ის განმარტება აღწერილობით და ახსნით მიზნებს ემსახურება, რომლებიც სპეციფიკურია პოლიტიკური მეცნიერებისათვის. Pegg ხაზს უსვამს დე ფაქტო სახელმწიფოს რიგ მახასიათებლებს, როგორცაა, შიდა ლეგიტიმურობის ხარისხი და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფის უნარი, რომლებიც არ არიან პირდაპირ კავშირში სახელმწიფოებრიობის იურიდიულ განმარტებასთან: „დე ფაქტო სახელმწიფო არსებობს, როდესაც არსებობს ორგანიზებული პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში გარკვეული ხარისხის თანდაყოლილი უნარის შედეგად; სარგებლობს მხარდაჭერით; და მიაღწია საკმარის უნარს, მიაწოდოს სამთავრობო სერვისი გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, რომელზეც მნიშვნელოვანი დროის მანძილზე შენარჩუნებულია კონტროლი. დე ფაქტო სახელმწიფო თავის თავს ხედავს იმგვარად, რომ მას შესწევს უნარი დაამყაროს ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან, იგი ისწრაფვის სრული კონსტიტუციური დამოუკიდებლობისკენ და მისი სუვერენულ სახელმწიფოდ ფართომასშტაბიანი საერთაშორისო აღიარებისაკენ. თუმცა, მას არ შესწევს უნარი მიაღწიოს აღიარების მნიშვნელოვან მაჩვენებელს და ამიტომ საერთაშორისო საზოგადოების თვალში ის არალეგიტიმური რჩება.“ (Scott Pegg, საერთაშორისო საზოგადოება და დე ფაქტო სახელმწიფო (Aldershot i.a. 1998), გვ 26 et seq).

3.2. თვითგამორკვევა და გამოყოფა

როგორც სამხრეთ ოსეთი, ასევე აფხაზეთი, განიხილავენ თვითგამორკვევის უფლებას, როგორც მათი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნის საფუძველს. 1980-იანი წლების დასასრულიდან, ამ ორმა პოლიტიკურმა ერთეულმა სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით განახორციელა შესაბამისი განცხადებები და კონსტიტუციური ნაბიჯები.⁴⁰³ ამიტომ აუცილებელია განვიხილოთ, შეეძლოთ თუ არა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს თვითგამორკვევის უფლებაზე დაყრდნობა და ჰქონდათ თუ არა მათ საქართველოსგან გამოყოფის უფლება.

I. თვითგამორკვევა და გამოყოფა საერთაშორისო სამართლის მიხედვით

როგორც ხალხების თვითგამორკვევის, ასევე ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს წარმოადგენს. ისინი მკაფიოდაა განსაზღვრული გაერო-ს ქარტიაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთ მიზანს სწორედ თვითგამორკვევისადმი ხელის შეწყობა წარმოადგენს (გაერო-ს ქარტია, მუხლი 1 (2)⁴⁰⁴) და ეს პრინციპი ასევე დამოწმებულია ადამიანის უფლებების 1966 წლის ორივე საყოველთაო შეთანხმების პირველ მუხლში. თვითგამორკვევაში იგულისხმება დაკავშირებული ეროვნული ჯგუფების („ხალხების“) უფლება, აირჩიონ თავისთვის პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა და მათი კავშირი სხვა ჯგუფებთან.⁴⁰⁵ ზოგადად, რომ ვთქვათ, არჩევანი შეიძლება იყოს „დამოუკიდებლობა როგორც სახელმწიფოსი, ასოცირება სხვა ჯგუფებთან ფედერალური სახელმწიფოს ფარგლებში, ავტონომია ან

⁴⁰³ აფხაზეთის 1994 წლის 26 ნოემბრის დე-ფაქტო კონსტიტუციის პრეამბულაში (კონსტიტუცია მიღებულია 1999 წლის 3 ოქტომბრის „რეფერენდუმზე“) ნათქვამია: „ჩვენ, აფხაზეთის ხალხი, ვსარგებლობთ რა, თვითგამორკვევის უფლებით... საზეიმოდ ვაცხადებთ და ვაღიარებთ აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას.“ I მუხლის პირველ წინადადებაში ნათქვამია: „აფხაზეთის რესპუბლიკა („აფსნი“) არის სუვერენული, დემოკრატიული კანონის უზენაესობაზე დამყარებული სახელმწიფო, რომელიც ისტორიულად დადასტურებულია ხალხების თავისუფალი თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე“. <http://www.abkhaziagov.org/ru/state/sovereignty/index.php?print=Y>; ასევე http://rrc.ge/admn/url12subx.php?idcat=2&lng_3=en; Engl. transl <http://www.isn.ethz.ch/isn/Digital-Library/Primary-Resources/Detail/?id=30523&lng=en>. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო კონსტიტუციის პრეამბულაში (კონსტიტუცია მიღებულია 2001 წლის 8 აპრილის „რეფერენდუმზე“ და ამჟამად მოქმედია მისი 2005 წლის დეკემბრის ვერსია) ასევე, საუბარია ხალხების თანაბარი უფლებებისა და თვითგამორკვევის უფლების პრინციპზე, პირველ მუხლში ნათქვამია: „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა არის სუვერენული დემოკრატიული კანონის უზენაესობაზე დამყარებული სახელმწიფო, რომელიც ჩამოყალიბდა სამხრეთ ოსეთის ხალხის თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე.“ (<http://www.sojcc.ru/zakoniruo/196.html>).

⁴⁰⁴ გაეროს ქარტია, მუხლი 1 (2): „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებია: ...ერებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება, რომელიც ეფუძნება ხალხების თანაბარი უფლებებისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემას და სხვა შესაბამისი ზომების მიღებას საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის.“

⁴⁰⁵ Brownlie (ზედა სქოლიო 2), გვ 580.

ასიმილაცია უნიტარულ (არა ფედერალურ) სახელმწიფოსთან.“⁴⁰⁶ ამავდროულად, გაერო-ს ქარტია მხარს უჭერს ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს (გაეროს ქარტია, მუხლი 2 (4)).⁴⁰⁷ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი საერთაშორისო სამართლის ძირითად და ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს და იგი აღიარებულია მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში, განსაკუთრებით, 1970 წლის მეგობრული ურთიერთობების დეკლარაციასა⁴⁰⁸ და 1975 წლის ჰელსინკის საბოლოო აქტში.⁴⁰⁹ ორივე პრინციპს თანაბარი მნიშვნელობა აქვს და საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო სამართლის ნაწილს შეადგენს.⁴¹⁰

თვითგამორკვევის უფლების „შიდა“ ასპექტი, რომელიც სახელმწიფოს ფარგლებში აღიქმება, არ არღვევს დაინტერესებული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას. თუმცა, თუ თვითგამორკვევის უფლებას განვიხილავთ, როგორც გამოყოფის უფლებას (თვითგამორკვევის გარე ასპექტი), ეს ორი პრინციპი შეუთავსებელია.

სახელმწიფო პრაქტიკისა და გაეროს რეზოლუციების თანახმად, ცალმხრივად გამოყოფის უფლება უდავოა კოლონიური ხალხების ან უცხოური ოკუპაციის ქვეშ მყოფი ხალხების შემთხვევაში. ასეთი ვითარება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არ არსებობს.

მეცნიერული შეხედულებები, იძლევა თუ არა საერთაშორისო სამართალი ექსტრემალურ ვითარებაში გამოყოფის უფლებას კოლონიური კონტექსტის გარეშე, არაერთგვაროვანია. ერთი მიმართულების ლიტერატურაში მოყვანილია არგუმენტები, რომ გამოყოფა არსებითად ცხოვრებისეული ფაქტია, რომელიც საერთაშორისო სამართალით არ რეგულირდება.⁴¹¹ ამ მტკიცებულების დოქტრინული არგუმენტი არის

⁴⁰⁶ Ibid., გვ. 580.

⁴⁰⁷ გაეროს ქარტია, მუხლი 2 (4): „ორგანიზაცია და მისი წევრები, პირველ მუხლში განცხადებული მიზნების შესრულების მიზნით, იმოქმედებენ შემდეგი პრინციპების შესაბამისად: ...ყველა წევრი საერთაშორისო ურთიერთობაში თავს შეიკავებს ძალის მუქარისგან ან მისი გამოყენებისგან ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან რომელიმე სხვა გზით, გაერთიანებული ერების პრინციპებთან შეუსაბამობისგან.“

⁴⁰⁸ UN GA Res. 2625 (XXV) 24 ოქტ. 1970.

⁴⁰⁹ „მონაწილე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების სახელმძღვანელო პრინციპები“ ნაწილი 1 (ა), პრინციპი III „საზღვრების შეუხებლობა“, პრინციპი IV „სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა“, რომელიც მოიცავს ვალდებულებას, რომ ამ პრინციპის დარღვევით ტერიტორიის ოკუპაცია ან მოპოვება არ იქნება აღიარებული კანონიერად.

⁴¹⁰ Edward Mc Whinney, ხალხების თვითგამორკვევა და მრავალეთნიკური სახელმწიფოები თანამედროვე საერთაშორისო სამართალში. ბანკროტი სახელმწიფოები, ერის მშენებლობა და ალტერნატივა, ფედერალური არჩევანი (Leiden, Boston: Martinus Nijhoff 2007), გვ 2 et seq.

⁴¹¹ იხ.: (ზედა სკოლიო 40), გვ 5; Karl Josef Partsch, „თვითგამორკვევა“ in Rüdiger Wolfrum/Christiane Philipp (eds), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია: სამართალი. პრაქტიკა და პოლიტიკა, ტომი. 2 (Munich: Beck 1995), 1171-1179, პარაგრაფი. 27; Dietrich Murswiek, „გამყოფის უფლების პრობლემა - გადასინჯული

ის, რომ სისტემურად მსჯელობისას, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი არ მოქმედებს სახელმწიფოს შიგნით და შესაბამისად, არ არის მიმართული სახელმწიფოს შიგნით მცხოვრები ჯგუფების წინააღმდეგ.⁴¹²

თუმცა, ეს არგუმენტი არ არის მთლად დამაჯერებელი, განსაკუთრებით როცა საერთაშორისო სამართალი სულ უფრო ხშირად ეხება მსგავს სიტუაციებს სახელმწიფოების ტერიტორიის ფარგლებში. საერთაშორისო სამართალი არ დუმს ამ საკითხზე.

თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებს შორის პოტენციური შეუსაბამობის შესახებ აღნიშნულია გენერალური ასამბლეის „მეგობრული ურთიერთობების დეკლარაციაში“,⁴¹³ სადაც ახსნილია თვითგამორკვევის უფლების პრინციპი და შემდეგ ე.წ. გარდამავალ მუხლში ნათქვამია:

„შემდგომ პარაგრაფებში არაფერი არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ნებისმიერი ისეთი ქმედების სანქცირება ან წაქეზება, რომელსაც შეუძლია დაანაწევროს ან ზიანი მიაყენოს, სრულად ან ნაწილობრივ, ტერიტორიულ მთლიანობას ან პოლიტიკურ ერთიანობას სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა, რომლებიც მოქმედებენ თანაბარი უფლებებისა და ხალხების თვითგამორკვევის უფლებების ზემოთ აღწერილი პრინციპების შესაბამისად და ჰყავთ მთავრობა, რომელიც წარმოადგენს ტერიტორიაზე მცხოვრებ მთელ ხალხს, რასის, აღმსარებლობისა და ფერის მიუხედავად.“

ეს პარაგრაფი ადასტურებს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, მაგრამ ამავდროულად, მას დამოკიდებულს ხდის რეპრეზენტატიული და არადისკრიმინაციული მთავრობის არსებობაზე. ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ ამ მუხლიდან საწინააღმდეგო აზრი გამომდინარეობს, რომ ტერიტორიული მთლიანობის

“Christian Tomuschat (ed.), თვითგამორკვევის თანამედროვე სამართალი Dordrecht/Boston/London: Martinus Nijhoff 1993) 21-39, გვ. 37 et seq.

⁴¹² ამასთან დაკავშირებით, იხილეთ მაგალითად, Georges Abi-Saab, „დასკვნები“, Marcelo Kohen გამოცემაში „გამოყოფა – საერთაშორისო სამართლის პერსპექტივები“ (Cambridge: CUP 2006), 470-76, გვ. 474. „არ არსებობს რაიმე საერთაშორისო ნორმა, რომელიც კრძალავს გამოყოფას და შესაბამისად, ძნელია იწახოს ასეთი ნორმის ფაქტიური საჭიროება [გამოყოფის უფლების მინიჭების]. ...მაინც დიდი აზრი არ ექნებოდა „გამოყოფის“ უფლებაზე საუბარს“ (Peter Hilpold, „თვითგამორკვევა 21-ე საუკუნეში – ძველი კონცეფციის თანამედროვე პერსპექტივები“, ისრაელის წლიური გამოცემა, ჰუმანიტარული სამართალი 36 (2006), გვ. 247-288, გვ. 267-270, გვ. 269). Hilpold აგრძელებს: „მაგრამ აქ ჩვენ უკვე გავცდით იურიდიულ ჩარჩოებს... და არ შეიძლება ითქვას, განვითარდება თუ არა ოდესმე ნორმატიული ჩარჩოები ამ მიმართულებით.“

⁴¹³ UN GA Res. 2625 (XXV) 24 ოქტ. 1970; მსგავსი სიტყვებია 1993 წლის 12 ივლისის ვენის დეკლარაციაში და მოქმედების პროგრამაში, A/CONF.157/23, მსოფლიო კონფერენცია ადამიანის უფლებებზე, ნაწილი I.2.

პრინციპი შეიძლება უგულვებელყოფილი, თუ მთავრობა არ წარმოადგენს მთელ ხალხს და დისკრიმინაციას უწევს რომელიმე ჯგუფს. ამ მტკიცებულების მიხედვით, თუ ხალხს მუდმივად უარს ეუბნებიან თვითგამორკვევაზე და როცა თვითგამორკვევის რეჟიმის დამყარების ყველა დიპლომატიური საშუალება ამოწურულია, ამ ხალხს შეიძლება მიეცეს გამოყოფის უფლება, როგორც უკანასკნელი არგუმენტი („გამოყოფა გადარჩენისთვის“).⁴¹⁴

თუმცა, დამატებითი შენიშვნის შემცველი მუხლი როგორც ასეთი, ფიგურირებს მხოლოდ გენერალური ასამბლეის არასავალდებულო რეზოლუციაში და თავისი არსით

⁴¹⁴ გადარჩენისათვის გამოყოფის დიაგნოსტიკა და მხარდაჭერა (პოზიტიური საერთაშორისო სამართლის წესი, რომელიც განსხვავებულია მეგობრული ურთიერთობების დეკლარაციის შემნახველი მუხლისგან) Christian Tomuschat Marcelo Kohen -ის გამოცემაში. გამოყოფა - საერთაშორისო სამართლის პერსპექტივები (Cambridge: CUP 2006), 23-45, გვ 42: „გამოყოფა გადარჩენისთვის აღიარებულია პოზიტიური სამართლის განუყოფელ ნაწილად, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მისი ემპირიული საფუძველი საკმაოდ სუსტია, თუმცა, ის მთლად არ არის მოკლებული ამ საფუძველს...“ იხ. ასევე Schweisfurth (ზედა სქოლიო, 18) გვ 382; და Markku Suksi, „გამოყოფის ჩაიდანზე თავსახურის დამაგრება – ეროვნული უმცირესობების მიერ თვითგამორკვევის მოთხოვნების იურიდიული ინტერპრეტაციების მიმოხილვა“ საერთაშორისო ჟურნალი უმცირესობებისა და ჯგუფების უფლებებზე 12 (2005), 189 et seq., გვ 225: „საერთაშორისო საჯარო სამართალი არ უჭერს მხარს არსებული სახელმწიფოსგან ცალმხრივ გამოყოფას, გარდა ზოგიერთი განსაკუთრებული გარემოებებისა, რომლებიც კოსოვოსა და ჩეჩნეთის მსგავსი გადაწყვეტილებების ფონზე, ძალიან დაბალი ალბათობით განხორციელდება. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი აცხადებენ, რომ სწორედ ისინი წარმოადგენენ ასეთ „საგანგებო“ შემთხვევას, სახელმწიფო პრაქტიკის თვალსაზრისით იხ. კანადის უზენაესი სასამართლოს მინიშნება კვებეკის გამოყოფაზე, 1998 წლის 20 აგვისტოს განაჩენი, გადაბეჭდილი ILM 37-ში (1998), 1340 et seq. პარაგრაფები 134-5, 138, 122, რომელიც არ ადასტურებს ცალსახად ამ პოზიციას, მაგრამ მკაფიოდ იხრება მისკენ: პარაგრაფი 122. „... საერთაშორისო სამართალი თვლის, რომ თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობა შესაძლებელია არსებული სუვერენული სახელმწიფოების ფარგლებში და ამ სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების პირობით. როცა ეს შეუძლებელია, როგორც ქვემოთ მოტანილ საგანგებო სიტუაციებში, შესაძლოა დადგეს გამოყოფის უფლება...“ პარაგრაფი 134. რიგი ინტერპრეტატორები ასევე აცხადებენ, რომ თვითგამორკვევის უფლებას შეიძლება განსაკუთრებულ ვითარებაში ცალმხრივად გამოყოფის უფლებაც მოჰყვეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მესამე გარემოება სხვადასხვაგვარად იყო აღწერილი, ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ როცა ხალხს ებლოკება სახელმწიფოს შიგნით თვითგამორკვევის რეალური შესაძლებლობა, მას, როგორც უკანასკნელი გზა, ამ შესაძლებლობის რეალიზაციის უფლება გამოყოფის გზით ეძლევა. ვენის დეკლარაციის [CSCCE ვენის შეხვედრა 1989 წელს] მოთხოვნა, რომ მთავრობამ უნდა წარმოადგინოს „ტერიტორიასთან მიკუთვნებული მთელი ხალხი გამორჩევის გარეშე“ ნდობას მატებს იმ მტკიცებულებას, რომ ამგვარმა სრულმა დაბლოკვამ პოტენციურად შესაძლოა დააყენოს გამოყოფის უფლება. პარაგრაფი 135. ცალსახაა, რომ ასეთი გარემოება გვახსენებს ორ ცნობილ სიტუაციას, რომ ხალხს წართმეული ჰქონდა სახელმწიფოს შიგნით თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. ვინაიდან გაურკვეველი რჩება, ასახავს თუ არა ეს მესამე მტკიცებულება დადგენილ საერთაშორისო სამართლის სტანდარტს, მოცემული მიზნებისთვის არ არის საჭირო ასეთი განსაზღვრების შემოტანა.“ 138: „საბოლოოდ, საერთაშორისო სამართალით დადგენილი თვითგამორკვევის უფლება საუკეთესო შემთხვევაში ადგენს გარეშე თვითგამორკვევის უფლებას ყოფილი კოლონიების შემთხვევაში; როცა ადამიანებს დევნიდნენ მაგალითად, უცხოური სამხედრო ოკუპაციის გზით; ან როცა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი მოკლებული იყო მთავრობაზე „გასვლის“ შესაძლებლობას, რათა უზუნველყოფილი თავისი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული განვითარება. სამივე სიტუაციაში ხალხს თვითგამორკვევის უფლება ეძლევა სახელმწიფოს გარეთ იმიტომ, რომ ეს ხალხი მოკლებულია სახელმწიფოს შიგნით თვითგამორკვევის უფლებას.“

წარმოადგენს მკაცრ კანონს. აქამდე ის საყოველთაოდ მიღებული კანონი⁴¹⁵ არ გამხდარა. ის უფრო საზოგადო სახელმწიფო პრაქტიკიდან გადახვევას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება მისი შექმნის ისტორიითა და პოლიტიკური კომპრომისის მიღწევის სურვილით აიხსნას.⁴¹⁶ როგორც ანტონიო კასეზე წერს: „რაც არ უნდა ყოფილიყო დოკუმენტის შემქმნელების განზრახვა და ან მათი მოლაპარაკებების შედეგი და როგორც არ უნდა განიხილოს მუხლის ინტერპრეტაცია, ვერავინ ვერ უარყოფს, რომ სახელმწიფო პრაქტიკა და სახელმწიფოების უპირატესი შეხედულება ეწინააღმდეგება გამოყოფას.“⁴¹⁷ საერთაშორისო საზოგადოებას სხვაგვარად შეუძლია შევიწროების უკიდურეს ფორმებზე რეაგირება, ვიდრე გამოყოფის უფლების მიცემა, მაგალითად, სანქციების შემოღებით, შემავიწროებელი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ექვევებ დაყენების გარეშე.⁴¹⁸ კოლონიალური კონტექსტის გარეშე სახელმწიფო პრაქტიკა „უკიდურესად ეწინააღმდეგება“ დამოუკიდებელი სახელმწიფოების ნაწილების ცალმხრივად გამოყოფას და 1945 წლის შემდეგ არც ერთი სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა ცალმხრივად გამოყოფის გზით, არ იქნა აღიარებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ იმ სახელმწიფოების მიერ მკაფიოდ გამოხატული სურვილის საწინააღმდეგოდ, რომელთაგანაც მოხდა ასეთი გამოყოფა.“⁴¹⁹

ამ სახელმწიფო პრაქტიკის თვალსაზრისით, გაბატონებული მეცნიერული შეხედულება ემხრობა იმ აზრს, რომ საერთაშორისო კანონის თვალსაზრისით, დამატებითი შენიშვნის შემცველი მუხლი (დებულებანი) არ გულისხმობს, რომ ხალხს შეუძლია გამოყოფის მოთხოვნა ანტიდისკრიმინაციისა და ადეკვატური წარმომადგენლობის პრინციპის დარღვევის შემთხვევაში.⁴²⁰

თუმცა, ბევრი ავტორი,⁴²¹ რომელიც იხილავს, თუ რა პირობებში არის შესაძლებელი გამოყოფა, იურიდიულ სტატუს-ქვოს ამ სფეროში არასამართლიანად მიიჩნევს.⁴²² ამ

⁴¹⁵ Antonio Cassese, ხალხების თვითგამორკვევა: იურიდიული გადაფასება (Cambridge: CUP 1995), გვ. 121.

⁴¹⁶ იქვე., გვ. 123.

⁴¹⁷ იქვე.

⁴¹⁸ იხ.: ქურთების სიტუაცია ჩრდილოეთ ერაყში, სადაც საერთაშორისო საზოგადოებამ ხაზი გაუსვა ერაყის ტერიტორიულ მთლიანობას, მიუხედავად ერაყის მიერ ქურთების მუდმივი შევიწროებისა, თუმცა შემოიღო სანქციების რეჟიმი (Crawford (ზედა სქოლიო 1) გვ. 404.

⁴¹⁹ Crawford (ზედა სქოლიო 1), გვ. 390 და 415; cf. ასევე სახელმწიფო პრაქტიკის დეტალური ანალიზი *ibid.* გვ. 391 et seq.

⁴²⁰ Jean Combacau/Serge Sur, *Droit international public* (მე-8 გამოცემა., Paris: 2008), გვ. 273; Wolfgang Heintze, *Völkerim Völkerrecht*, in: Knut Ipsen, *Völkerrecht* მე-5 გამოცემა 2004, გვ. 423; Donald Clark/Robert Williamson, *თვითგამორკვევა – საერთაშორისო პერსპექტივები* (Basingstoke: Macmillan Press 1996), გვ. 20.

⁴²¹ იხ.: დაწვრილებითი კრიტიკა: Allan Buchanan, *სამართლიანობა, ლეგიტიმურობა და თვითგამორკვევა*. საერთაშორისო სამართლის მორალური საფუძვლები (Oxford OUP 2007), გვ. 339, et seq.

⁴²² იხ.: შოუ 2008 (ზედა სქოლიო 6), გვ. 257. „თვითგამორკვევა, როგორც კონცეფცია, შეიძლება შემდგომ განვითარდეს და მოიცვას არსებული სახელმწიფოებისგან გამოყოფის უფლება, მაგრამ ეს ჯერჯერობით დამაჯერებლად არ მომხდარა.“

კონტექსტში მოხსენიებული სცენარები არის ადამიანის უფლებების დარღვევა, განსაკუთრებით, გენოციდი (მისი მცდელობა), უმცირესობების გამოყოფა პოლიტიკური პროცესებიდან, შეიარაღებული კონფლიქტების დაწყება ან დესპოტური მთავრობის მიერ უმცირესობების უფლებების შევიწროება.⁴²³ ასევე ხაზგასმულია, რომ გამოყოფის ნებისმიერი საგანგებო დაშვება უნდა განხორციელდეს შესაბამისი პროცედურების დაცვით, თავისუფალი და დამოუკიდებელი რეფერენდუმის გზით, იდეალურ შემთხვევაში კი, საერთაშორისო დამკვირვებლების თანდასწრებით.⁴²⁴

გაურკვევლობამ თვითგამორკვევის საგარეო უფლების არსებობის თაობაზე „თავისთავად ხელი შეუწყო ბევრი ადამიანური ტრაგედიის გაღვივებას, რომლის მოწმეც მსოფლიო გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, გაუჩინა რა, უმცირესობებს ცრუ იმედები, რომ მათ აქვთ ავტონომიის ან დამოუკიდებლობის უფლება იმ სახელმწიფოებისგან, სადაც ისინი ჩამოყალიბდნენ, კოლონიალური ისტორიის არარსებობის შემთხვევაშიც კი.“⁴²⁵ “ 2008 წელს, კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივად ცნობის შემდეგ, დისკუსიამ ამ თემაზე შემდგომი ბიძგი მიიღო. თუმცა, ავტორების უმეტესობა კვლავაც სკეპტიკურადაა განწყობილი.⁴²⁶ მხოლოდ რამდენიმე საერთაშორისო მკვლევარმა აღნიშნა საერთაშორისო სამართლის ცვლილება.⁴²⁷

⁴²³ Cf. Cassese, თვითგამორკვევა (იხ: სქოლიო 45), გვ 359. Cassese იხილავს უკიდურეს შემთხვევებში მულტიეროვნული ჩარევის საკითხს.

⁴²⁴ იხ.: მაგალითად, მოსაზრება #4 ბადინტერის კომისიისა, ბოსნია-ჰერცეგოვინის შესახებ, რომელიც ითხოვდა რეფერენდუმს, როგორც ევროკომისიის მიერ აღიარების წინაპირობას (repr. in ILM 31 (1992) გვ. 1501-3 მეცნიერული ნაშრომი Anne Peters, Das Gebietsreferendum im Völkerrecht (Nomos: Baden-Baden 1995); Antonelli Tancredi, „ნორმატიული „ჯეროვანი პროცესი“ სახელმწიფოს შექმნაში გამოყოფის გზით“ Marcelo Kohen (გამოცემაში) გამოყოფა - საერთაშორისო სამართლის პერსპექტივები (Cambridge: CUP 2006), 171-207, გვ.190-191.

⁴²⁵ Jonathan I. Charney, „კომენტარები: თვითგამორკვევა: ჩეჩნეთი, კოსოვო და აღმოსავლეთ ტიმორი,“ Vanderbilt ტრანსნაციონალური სამართლის ჟურნალი 34 (2001) 455 et seq., გვ. 456.

⁴²⁶ იხ.: მაგ. Per Sevastik, „გამოყოფა, ‘ხალხების’ თვითგამორკვევა და აღიარება – კოსოვოს დსამოუკიდებლობის გამოცხადების მაგალითი და საერთაშორისო სამართალი,“ Engdahl (გამოცემა), კანონი ომის დროს: Liber Amicorum OveBring (Leiden 2008), 231 et seq, გვ. 237.

⁴²⁷ Marc Weller, თვითგამორკვევის ხაფანგისგან თავის დაღწევა (Leiden: Martinus Nijhof 2008), გვ 65: „ვინაიდან რეპრესიებისა და გამონაკლისის საკითხი ახალი, გადარჩენისათვის თვითგამორკვევის სტატუსის შემადგენელი ნაწილია გამოყოფის თვალსაზრისით და შესაბამისად არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, შეიძლება ნათლად დავინახოთ ლეგიტიმიზაციის შედეგი.“ იხ. ასევე ibid. გვ. 146: „ორჭოფობა იმ მიმართულებით, რასაც ზოგჯერ უწოდებენ „თვითგამორკვევას გადარჩენისათვის,“ შეიძლება გაძლიერებულიყო რუსეთის შეიარაღებული ქმედებებით საქართველოსთან მიმართებაში. მეორე მხრივ, დროთა განმავლობაში სიტუაცია კოსოვოში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეიძლება დასტაბილიზდეს, რის შედეგადაც მოხდება ამ ეპიზოდების რეტროაქტიური გადასინჯვა, როგორც სახელმწიფო პრაქტიკის დადებითი მაგალითებისა გადარჩენისათვის გამოყოფის სასარგებლოდ.“ იხ. კოსოვოს გამოყოფის უფლების სასარგებლოდ Katharina Parameswaran, “Der Rechtsstatus des Kosovo im Lichte der aktuellen Entwicklungen”, Archiv des Völkerrechts 46 (2008), 172-204 გვ 178-182.

ნებისმიერ შემთხვევაში მეტად საეჭვოა, რომ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ახალი წესი კოსოვოს შემთხვევის საფუძველზე დამკვიდრდეს. კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის პრემამულაში ნათქვამია, რომ „კოსოვო არის განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც გამომდინარეობს იუგოსლავიის შეუთანხმებელი დაშლიდან და არ წარმოადგენს ნებისმიერი სხვა სიტუაციის პრეცედენტს.“⁴²⁸ ევროკავშირის საბჭომ⁴²⁹ და გაეროს გენერალურმა მდივანმა⁴³⁰ მკაფიოდ განაცხადეს, რომ კოსოვო არის უნიკალური *sui generis* შემთხვევა, რომელიც არ წარმოადგენს პრეცედენტს სხვა ტერიტორიული კონფლიქტებისთვის.

კონტრასრულად, რუსეთი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ზოგადად, ეწინააღმდეგება გამოყოფის უფლებას, კოსოვოს პრეცედენტად თვლის.⁴³¹ პრეცედენტი, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის წყაროს, მას შუძლია მხოლოდ მიანიშნოს ახალი წესის წარმოქმნაზე საერთო სამართალში. ასეთი ახალი წესი გარკვეული დროის განმავლობაში ზოგად პრაქტიკას მოითხოვს, რომელსაც თან უნდა ახლდეს მოსაზრება, რომ ეს პრაქტიკა კანონს შეესაბამება (*opinio iuris*).⁴³² მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებით სამართალში ახალი წესების შექმნის მოთხოვნილება წარსულ დეკადებში

⁴²⁸ <http://www.assembly-kosova.org/?krye=news&newsid=1635&lang=en>.

⁴²⁹ ევროკავშირის საბჭო, დასკვნები კოსოვოზე (18 თებერვალი, 2008): „საბჭო ადასტურებს ევროკავშირის ერთგულებას გაეროს ქარტიისა და ჰელსინკის საბოლოო აქტის პრინციპებისადმი, მათ შორის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებისადმი და გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა რეზოლუციისადმი. ის ხაზს უსვამს თავის რწმენას, რომ 1990 წელს და შემდგომ საერთაშორისო ადმინისტრაციის SCR 1244 პერიოდის თვალთახედვით, კოსოვო წარმოადგენს უნიკალურ *sui generis* შემთხვევას, რომელიც ეჭვის ქვეშ არ აყენებს ამ პრინციპებსა და რეზოლუციას.“ Cf. *sui generis* თეზისზე.

⁴³⁰ გაერო-ს გენერალური მდივნის 2007 წლის 26 მარტის წერილი უშიშროების საბჭოს პრეზიდენტისადმი (UN-Doc. S/2007/168 პარაგრაფი 15): „კოსოვო უნიკალური შემთხვევაა, რომელიც უნიკალურ გადაწყვეტას მოითხოვს. ის არ წარმოადგენს პრეცედენტს სხვა გადაუწყვეტელი კონფლიქტებისთვის. რეზოლუციის ერთსულოვანი მიღებით 1244 (1999) უშიშროების საბჭო გამოეხმაურა მილოშევიჩის ქმედებებს კოსოვოში იმით, რომ უარყო სერბეთის როლი მის მმართველობაში და დააყენა კოსოვო გაერთიანებული ერების დროებითი ადმინისტრაციის ქვეშ და ამით პოლიტიკური პროცესი კოსოვოს მომავლის განმსაზღვრელად წარმოადგინა. ამგვარი ფაქტორების კომბინაცია კოსოვოს სიტუაციას განსაკუთრებულს ხდის.“

⁴³¹ იხილეთ დუმის პრეზიდენტის ბორის გრიზლოვის განცხადება 2008 წლის 1 აპრილს, რია ნოვოსტიში <http://de.rian.ru/world/20080515/107471636.html> (წვდომა 22 აგვისტო 2008). რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის თანახმად, „შეუძლებელი იქნებოდა ვუთხრათ აფხაზებს და ოსებს (და ათეულობით სხვა ჯგუფებს მსოფლიოში), რომ რაც კარგი იყო კოსოვოს ალბანელებისთვის, მათთვის არ ივარგებს. საერთაშორისო ურთიერთობებში შეუძლებელია ერთისთვის ერთი წესი გქონდეს და სხვისთვის სხვა“. დიმიტრი მედვედევი, „რატომ უნდა მეღიარებინა საქართველოს გამოყოფილი რეგიონები“, *Financial Times*, 27 აგვისტო 2008 წ; ერთი მხრივ, კოსოვოსა და მეორე მხრივ, საქართველოს პრობლემურ რეგიონებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების ანალიზი წარმოდგენილია ალექსანდრე აქსენეკოვის მიერ, თვითგამორკვევა კანონსა და რეალპოლიტიკას შორის (რუსული), *Rossija v global'noj politike* Nr. 5, 2006; <http://www.globalaffairs.ru/articles/6214.html>. 27 ივლისი, 2008.

⁴³² იხ: მუხლი 38 lit b) საერთაშორისო სასამართლოს წესდებიდან: „საერთაშორისო ჩვეულება, როგორც კანონით დამტკიცებული ზოგადი პრაქტიკის მტკიცებულება.“

შესუსტდა,⁴³³ ერთი შემთხვევა, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოებაში დიდი უთანხმოება მოჰყვება, რბილ სტანდარტებსაც კი, არ აკმაყოფილებს, რადგან ის არ წარმოადგენს „ზოგად“ პრაქტიკას და არ გამოხატავს რიგი სახელმწიფოების შეხედულებას, რომ ეს პრაქტიკა საერთაშორისო სამართლებრივ წესს ასახავს.

უფრო მეტიც, თუ ჩავთვლით, რომ კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება და მისი შემდგომი აღიარება, ბევრი სხვა სახელმწიფოს მიერ ინტერპრეტირებული იყო, როგორც ახალი წესის შექმნის მცდელობა, ის სახელმწიფოები, რომლებიც უარყოფენ კოსოვოს გამოყოფის უფლებას, უნდა განიხილებოდნენ, როგორც ამ წესის მუდმივი მოწინააღმდეგეები. ამიტომ, ეს სახელმწიფოები თავად არ დაეყრდნობოდნენ ამ ახალ წესს. სამართალი კრძალავს იმის შესაძლებლობას, რომ სხვა სახელმწიფოებმა დაარღვიეს საერთაშორისო კანონი და შემდეგ ამ სავარაუდო დარღვევით შექმნილი წესის მიღებას ახალ წესად და მის (შერჩევით) გამოყენებას სხვა შემთხვევებში.

რომ შევაჯამოთ, კოლონიალური კონტექსტის გარეშე, თვითგამორკვევა ძირითადად, შეზღუდულია საშინაო თვითგამორკვევით. გამოყოფის გზით საგარეო თვითგამორკვევა არ არის მიღებული სახელმწიფო პრაქტიკაში. გამოყოფის შეზღუდული, პირობითი და განსაკუთრებული ნებართვა, როგორც უკანასკნელი საშუალება უკიდურეს სიტუაციაში, საერთაშორისო იურიდიულ მეცნიერებაში უთანხმოების საგანს წარმოადგენს. თუმცა, ავტორების უმეტესობა თვლის, რომ ასეთი უკიდურესი „უფლება“ ან ნებართვა თავისთავად არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნაწილს. კოსოვოს შემთხვევას წესები არ შეუცვლია.

II. თვითგამორკვევა და გამოყოფა საბჭოთა კონსტიტუციურ სამართალში

მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ვალდებულია დაიცვას თვითგამორკვევის პრინციპი, ისინი თავისუფლები არიან საკუთარი შეხედულებით ასახონ ეს პრინციპი ეროვნულ კანონმდებლობაში. საბჭოთა კანონი - ქალაქი მინც - ამ თვალსაზრისით, შეიცავდა განსაკუთრებულ დამკვიდრებებს. *დე-იურე* საბჭოთა კავშირი იყო ფედერალური სახელმწიფო,⁴³⁴ მმართველობის სამი

⁴³³ Cf. დისკუსია „გადაუდებელ ჩვეულებაზე“: Jörg Kammerhofer, „გაურკვევლობა საერთაშორისო სამართლის ფორმალურ წყაროებში: ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი და მისი ზოგიერთი პრობლემა,“ EJIL 15 (2004), 523 – 553; Robert Kolb, „რჩეული პრობლემები ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის თეორიაში,“ ნიდერლანდების საერთაშორისო სამართლის მიმოხილვა 50 (2003), 119-150.

⁴³⁴ Cf. საბჭოთა კონსტიტუციის მუხლი 70 (1977): (1) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის განუყრელი, ფედერალური, მრავალეროვანი სახელმწიფო, დამყარებული სოციალისტური ფედერალიზმის პრინციპზე, რომელიც ერების თავისუფალი თვითგამორკვევისა და თანაბარუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი კავშირის შედეგს წარმოადგენს. (2) სსრკ

სხვადასხვა დონით: მოკავშირე რესპუბლიკები, ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები. 1977 წლის საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკებს ჰქონდათ უპირობო გამოსვლის უფლება (მუხლი 72). უფრო მეტიც, მათი ტერიტორიების შეცვლა მხოლოდ მათი თანხმობის საფუძველზე იყო შესაძლებელი (მუხლი 78).

ეს უფლებები მხოლოდ ფრომალური იყო, რადგან ხელისუფლების ყველა დონე საბჭოთა სახელმწიფოში კომუნისტური პარტიის მკაცრი კონტროლის ქვეშ რჩებოდა. თუმცა, 1980-იანი წლების ბოლოს, როდესაც ეს კონტროლი შესუსტდა, საბჭოთა კავშირი გახდა „სუვერენიტეტების აღღმის“ მოწმე. არა მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკებმა, არამედ ასევე ამ რესპუბლიკების ტერიტორიულმა ისეთმა ერთეულებმა, როგორცაა ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები, მიიღეს სუვერენიტეტისა⁴³⁵ და/ან დამოუკიდებლობის⁴³⁶ დეკლარაციები. სსრკ-ის 1990 წლის 4 აპრილის კანონი „სსრკ-დან მოკავშირე რესპუბლიკის გამოყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის პროცედურის შესახებ“⁴³⁷ აფერხებდა დაშლის პროცესს გარკვეული ბარიერების შექმნის გზით (როგორცაა, გარკვეული ტიპის რეფერენდუმების ჩატარება). ასე რომ, კანონმა კარი გაუღო ე.წ. „რეკურენტულ გამოყოფას: დამოუკიდებლობის მოსურნე მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას თავის მხრივ ეძლეოდათ ამ რესპუბლიკებისგან გამოყოფისა და საბჭოთა კავშირში დარჩენის უფლება.“⁴³⁸ ეს კანონი ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კონსტიტუციას, რომლის თანახმად, ტერიტორიებს არ ჰქონდათ მოკავშირე რესპუბლიკებისგან გამოყოფის უფლება ამ რესპუბლიკების თანხმობის გარეშე (მუხლი 78); მაგრამ ეს ფაქტი, საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში, არ იყო გათვალისწინებული არც საბჭოთა კავშირის, და არც საერთაშორისო საზოგადოების მიერ. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ყველა ყოფილმა

განასახიერებს საბჭოთა ხალხის სახელმწიფო კავშირს და აერთიანებს ყველა თავის ერს და ეროვნებას კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობის მიზნისთვის.

⁴³⁵ ჩრდილოეთ ოსეთი 20.7.1990, კარელია 9.8.1990, ხაკასია 15.8.1990, კომი 29.8.1990, თათარსტანი 30.8.1990, უდმუტეთი 20.9.1990, სახა 27.9.1990, ბურიატია 8.10.1990, ბაშკირეთი 11.10.1990, კალმიკეთი 18.10.1990, მარი El 22.10.1990, ჩუვაში 24.10.1990, გომო-ალტაი 25.10.1990, ტუვა 1.11.1990, კარაჩაევო-ჩერქეზეთი 17.11.1990, ჩეჩენო-ინგუშეთი 27.11.1990, მორდოვა 8.12.1990, კარაკალპაკის რესპუბლიკა (უზბეკეთი) 14.12.1990, ყაბარდო-ბალყარეთი 31.1.1991, დაღესტანი 15.5.1991, ადიღა 2.7.1991 და სხვები.

⁴³⁶ მაგალითად, 1991 წლის 6 სექტემბერს, ჩეჩნეთის ახლად არჩეულმა პარლამენტმა გამოაცხადა ყოფილი ჩეჩენო-ინგუშეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, მაშინ როცა ამ ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის ნაწილი – ინგუშეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩენას ითხოვდა.

⁴³⁷ სსრკ სახალხო დეპუტატების ყრილობის და სსრკ უმაღლესი საბჭოს მაცნე 1990, N. 15, გვ. 252.

438-ე კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ავტონომიურ რესპუბლიკებს და ავტონომიურ ოლქებს მიეცათ უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტონ, დარჩნენ სსრკ-ში თუ გამოყოფილ რესპუბლიკაში, და წამოაყენონ თავისი იურიდიული სტატუსის საკითხი.

საბჭოთა რესპუბლიკამ მიიღო მათი საზღვრების ხელშეუხებლობის პირობა ყველა შესაბამისი მომდევნო შეთანხმების საფუძველზე.⁴³⁹

III. საქართველოს სახელმწიფოებრიობა და საერთაშორისო აღიარება

აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში ახალი სახელმწიფოების აღიარების წესებში, რომლებიც ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს მიერ 1991 წლის 16 დეკემბერს იყო დამტკიცებული, განსაზღვრულია აღიარების კრიტერიუმები საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ტერიტორიული ერთეულებისათვის.⁴⁴⁰ მიუხედავად იმისა, რომ თვითგამორკვევის პრინციპი განსაკუთრებით იყო ხაზგასმული ტესტის დასაწყის ნაწილში,⁴⁴¹ ევროკავშირის აღიარების პოლიტიკა ორიენტირებული იყო მხოლოდ დაშლის პროცესში მყოფი ფედერაციების შემადგენელ სახელმწიფოებზე ან კომპონენტ სახელმწიფოებზე.⁴⁴² ამ პრინციპების თანახმად, შესაძლებელი იყო საქართველოს აღიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მაგრამ არა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთისა.

ეს შეზღუდული პოზიცია ემყარება იუგოსლავიის კონფერენციის საარბიტრაჟო კომისიის მიერ (დაფუძნებული ევროკავშირის მიერ რობერტ ბადინტერის თავმჯდომარეობით) 1991 წლის ნოემბერში⁴⁴³ გამოქვეყნებულ მოსაზრებებს და კიდევ უფრო ნათლად, 1992 წლის იანვარში⁴⁴⁴ გამოქვეყნებულ მოსაზრებებს. კომისიის

⁴³⁹ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ 1991 წლის 21 დეკემბრის შეთანხმების პროტოკოლი შეიცავს ყველა დსთ-ის ქვეყნის არსებული საზღვრების შენარჩუნების გარანტიას. (ალმა-ათას 1991 წლის 21 დეკემბრის დოკუმენტები, „დიპლომატიჩესკი ვესტნიკი“ 1992, #1, გვ. 6 seq. ინგლისური თარგმანი ILM 31. (1992), გვ 147-154). არსებული საზღვრების შეუხებლობა ასევე დადასტურებულია 1994 წლის დსთ-ის „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების შეუხებლობის დაცვის დეკლარაციის“ პრეამბულაში, 1991 წლის 8 დეკემბერი.

⁴⁴⁰ გადაბეჭდილია საერთაშორისო იურიდიულ მასალებში (ILM) 31 (1992), გვ 1485 et seq.

⁴⁴¹ „გაერთიანება და მისი წევრი სახელმწიფოები ადასტურებენ თავის ერთგულებას ჰელსინკის საბოლოო აქტისა და პარიზის ქარტიის პრინციპებისადმი, განსაკუთრებით თვითგამორკვევის პრინციპისადმი...“

⁴⁴² იუგოსლავიის შემთხვევაში ეს მკაფიოდ იყო განმარტებული იუგოსლავიის დეკლარაციაში (საგანგებო EPC მინისტრიალის შეხვედრა, ბრიუსელი, 1991 წლის 16 დეკემბერი): „გაერთიანება და მისი წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან ყველა იუგოსლავური რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებაზე“ პირობების შესრულებით (გადაბეჭდილი ILM 31 (1992), გვ. 1485).

⁴⁴³ იხ: მოსაზრება #2 (1991 წლის 20 ნოემბერი), სადაც ბადინტერის კომისია მხარს უჭერს სერბი მოსახლეობის თვითგამორკვევის საშინაო უფლებას ხორვატიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში, მაგრამ არ უშვებს გამოყოფის უფლებას: „...ჩამოყალიბებულია, რომ მიუხედავად გარემოებებისა, თვითგამორკვევის უფლებამ არ უნდა შეცვალოს დამოუკიდებლობის დროს არსებული საზღვრები (uti possidetis juris), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დაინტერესებული სახელმწიფოები სხვაგვარად შეთანხმდებიან.“ (გადაბეჭდილი EJIL 3 (1992), გვ. 182 et seq.)

⁴⁴⁴ იხ.: მოსაზრება #3 (1992 წლის 11 იანვარი): „გარდა სხვაგვარი შეთანხმების არსებობის შემთხვევებისა, ყოფილი საზღვრები საერთაშორისო კანონით დაცული საზღვრები ხდება. ეს დასკვნა გამომდინარეობს

მოსაზრება *uti possidetis*-ის საერთაშორისო იურიდიულ პრინციპს ეფუძნება. ეს პრინციპი პირველად, ლათინური ამერიკის (მე-19 საუკუნე) და აფრიკის (მე-20 საუკუნე) დეკოლონიზაციის პროცესში იყო გამოყენებული საზღვართან დაკავშირებული პოტენციური პრობლემების თავიდან ასარიდებლად და აღმოსაფხვრელად. ამ პრინციპის გამო, ყოფილი კოლონიური ხელისუფლების მიერ შედგენილი ადმინისტრაციული საზღვრები კოლონიებს შორის აყვანილი იყო საერთაშორისო საზღვრების დონეზე იმ მომენტისთვის, როცა შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ტერიტორიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.⁴⁴⁵ საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის შიდა საზღვრები საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით გახდებოდა სახელმწიფოების გარე საზღვრები, მაგრამ ეს არ ეხებოდა საზღვრებს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის ან მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებს შორის.

ეს პრინციპი დაცული იყო საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრის მიერ საქართველოს აღიარების დროს. ეს დადასტურებული იყო დსთ-ის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.⁴⁴⁶ გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1992 წლის 6 ივლისის რეკომენდაციის საფუძველზე გენერალურმა ასამბლეამ 1992 წლის 31 ივლისს აღიარა საქართველო, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, საქართველოს ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებში.

ეს არის იურიდიული საფუძველი, რომლის თანახმადაც, უნდა შეფასდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევისა და გამოყოფის მოთხოვნები.

ტერიტორიული *status quo*-ს პატივისცემის პრინციპიდან და კერძოდ, *uti possidetis*-ის პატივისცემის პრინციპისგან. ...ეს პრინციპი მით უფრო მიესადაგება რესპუბლიკებს, რომ SFRY კონსტიტუციის მე-5 მუხლის მეორე და მესამე პარაგრაფებში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკების ტერიტორიები და საზღვრები არ შეიძლება შეიცვალოს მათი თანხმობის გარეშე.” (გადაბეჭდილი EJIL 3 (1992), გვ 182 et seq.)

⁴⁴⁵ იხ: ICJ, დისპუტი საზღვრის თაობაზე (Burkina Faso v. Republic of Mali), ICJ მოხსენება 1986, 554, გვ. 565; ICJ, დისპუტი საზღვრის თაობაზე (Benin v. Niger), ICJ მოხსენება 2005, გვ 90 et seq.; Malcolm Shaw, "ხალხები, ტერიტორიალიზმი და საზღვრები", EJIL 3 (1997), 478-507, Christiane Simmler, *Das uti possidetis-Prinzip: Zur Grenzziehung zwischen neu entstandenden Staaten* (Berlin: Duncker & Humblodt 199), გვ 292; Joshua Castellino, საერთაშორისო სამართალი და თვითგამორკვევა. ტერიტორიული საკუთრების პოლიტიკის ურთიერთქმედება „ეროვნული“ იდენტობის პოსტკოლონიალურ ფორმულირებებთან (The Hague/Boston/London: Martinus Nijhoff 2000), გვ. 109 et seq. ეს მიდგომა გააკრიტიკა Steven Ratner-მა „უკეთესი ხაზის გავლება: *uti possidetis* და ახალი სახელმწიფოების საზღვრები,“ საერთაშორისო სამართლის ამერიკული ჟურნალი (AJIL) 90 (1996), 590-624; Peter Radan, იუგოსლავიის დაშლა და საერთაშორისო სამართალი (London, New York: Routledge 2002), გვ.244 et seq.

⁴⁴⁶ იხ: ზედა სქოლიო 69.

IV. სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის და გამოყოფის უფლება

ოსები, შესაძლებელია, კვალიფიცირებული იყვნენ, როგორც „ხალხი“ საერთაშორისო სამართლის კონტექსტში.⁴⁴⁷ პრიციპულად, ამ ხალხს შეუძლია ისარგებლოს თვითგამორკვევის უფლებით.

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობა ამ ხალხის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა, ამ ქვე-ჯგუფს მაინც შეუძლია გამოთქვას პრეტენზია ქვეყნის შიგნით თვითგამორკვევის უფლებაზე.

ამდენად, სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ხალხს შეეძლოთ მოეთხოვათ, რომ მათი ინტერესები წარმოდგენილი ყოფილიყო მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკაში და რომ მათი კულტურული იდენტობა ყოფილიყო შენარჩუნებული როგორც საბჭოთა კავშირში, ისე დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.. მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამხრეთ ოსებს შეეძლოთ უშუალოდ საერთაშორისო სამართლის გამოყენება სამხრეთ ოსეთის სტატუსის „ავტონომიური ოლქიდან“ სამხრეთ ოსეთის „ავტონომიურ რესპუბლიკამდე“ ამაღლების მოთხოვნის საფუძველად, ვინაიდან თვითგამორკვევის უფლება არ იძლევა პრივილეგირებულ სტატუსს მოცემულ საკონსტიტუციო სისტემაში.⁴⁴⁸

სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ხალხის მოთხოვნებმა საკუთარი სტატუსის ამაღლების შესახებ საბჭოთა ფედერალურ სტრუქტურაში ავტონომიური ოლქიდან ავტონომიურ რესპუბლიკამდე, ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან თანასწორ პირობებზე რუსეთის ფედერაციაში, გამოიწვია ღია კონფლიქტი თბილისთან, რასაც მოყვა 1999 წლის 11 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიის სტატუსის სრული გაუქმება. მოცემულ გარემოებებს⁴⁴⁹ მოჰყვა ის, რომ სამხრეთ ოსეთის ხალხის კულტურული და პოლიტიკური ავტონომია უკვე აღარ იყო გარანტირებული.

⁴⁴⁷ ჯგუფი არის „ხალხი“ საერთაშორისო სამართლის გაგებით, თუ მას აქვს ისეთი ობიექტური საერთო მახასიათებლები, როგორცაა საერთო ენა, კულტურა, და რელიგია, და მითუმეტეს, თუ ჯგუფმა გამოხატა საკუთარი პოლიტიკური თემის შემქნის განზრახვა. როგორც ობიექტური ელემენტები, ისე სუბიექტური განზრახვა, როგორც ჩანს, არსებობდა სამხრეთ ოსების შემთხვევაში.

⁴⁴⁸ სამხრეთ ოსეთის ავტონომიის სტატუსი მკაფიოდ იყო განსაზღვრული საბჭოთა კონსტიტუციის 87-ე მუხლში. საბჭოთა ფედერალიზმი მოუწოდებდა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ერებს ესარგებლათ თვითგამორკვევის უფლებით, მაგრამ ეს ავტორიტარულად ხორციელდებოდა. ამ პოლიტიკამ ძლიერ დაძაბა ურთიერთობები ერებს შორის, ქართველებსა და ოსებს შორის კი წარმოშვა ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელების თაობაზე. ორივე ერი თავს დისკრიმინირებულად გრძნობდა. ამან გამოიწვია ნაციონალიზმის აღმავლობა 1980-იანი წლების მეორე ნახევარში.

⁴⁴⁹ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების თაობაზე 1990 წლის 11 დეკემბერს (1922 წლის 20 აპრილის დეკრეტის გაუქმება, რომელიც ადასტურებდა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ტერიტორიის დაარსებას ნაშრომში): თამაზ დიასამიძე, პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტები, თბილისი 2008, გვ. 38-

როგორც ზემოთ განიმარტა, საერთაშორისო სამართალი უპირობოდ არ ანიჭებს საერთაშორისო თვითგამორკვევის უფლებას გამოყოფაზე, თვითგამორკვევის შიდა უფლების დარღვევის შემთხვევაში. გამოყოფის საგანგებო უფლებაც რომ ყოფილიყო მინიჭებული უკიდურეს გარემოებებში, ასეთი გამონაკლისი სამხრეთ ოსეთს მაინც არ შეეხებოდა.⁴⁵⁰

საერთაშორისო საზოგადოება (რუსეთის ჩათვლით) მუდმივად უსვამდა ხაზს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის საკითხს, როგორც 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტამდე, ისე მას შემდეგ. ეს ნათლად იყო გამოხატული როგორც გაერო-ს უშიშროების საბჭოს რიგ რეზოლუციებში,⁴⁵¹ ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებში.⁴⁵² ეს განცხადებები მიუთითებს მასზე, რომ თვითგამორკვევაზე დამყარებული ნებისმიერი გამოყოფის უფლება ნებადართული არ არის.

39. ავტონომიური სტატუსის ჩამორთმევა დამყარებული იყო შემდეგ არგუმენტებზე: „იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი დაარსდა 1922 წელს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის სრული უპატივცემულობით და ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის საუკეთესო ინტერესებს, ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ოს ხალხს აქვს საკუთრი მოქალაქეობა მათ ისტორიულ სამშობლოში - ჩრდილო ოსეთში - და რომ ეთნიკური ოსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ცხოვრობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც ისინი სარგებლობენ, და კვლავაც ისარგებლებენ კულტურული ავტონომიის ფართო უფლებებით, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პარაგრაფების საფუძველზე...“.

⁴⁵⁰ როგორც რუსეთმა, ისე სამხრეთ ოსეთმა „გენოციდი“ უწოდეს სამხრეთ ოსების წინააღმდეგ 1990-ების დასაწყისში განხორციელებულ ძალადობის აქტებს. „გენოციდი“ მკაფიოდ არის განსაზღვრული საერთაშორისო სამართალში (გენოციდის კონვენცია და სასჯელი, მუხლი II). კონკრეტული საზიანო ქმედებები უნდა იყოს „განხორციელებული ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფების, როგორც ასეთის, მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების მიზნით“.

საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიისთვის (IFFMCG) რუსეთის მხარის მიერ მიწოდებულ დოკუმენტებში მოყვანილი იყო ანგარიშები არასაათანადო მოპყრობისა და მკვლელობის მრავალი შემთხვევის შესახებ. მიუხედავად ამისა, ეს შემთხვევები, როგორც ჩანს, არის სამოქალაქო ომისთვის დამახასიათებელი ძალადობის ინციდენტები, და არა სამხრეთ ოსების, როგორც ეთნიკური ჯგუფის განადგურების სისტემატიური მცდელობები. 2009 წლის 23 იანვრის „ჰუმან რაიტს ვოჩ“-ის (Human Rights Watch) გამოკვლევები მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იყო „ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები“, მაგრამ არა გენოციდი და ეთნიკური წმენდა (ცეცხლი. *ჰუმანიტარული კანონმდებლობის დარღვევები და სამოქალაქო მსხვერპლები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში*). ამდენად, მდგომარეობა ძირეულად არ განსხვავდებოდა ჩეჩნების მდგომარეობისგან რუსეთის ფედერაციაში, ან ქურთების მდგომარეობისგან ერაყში, სადაც საერთაშორისო საზოგადოებამ მხარი არ დაუჭირა გამოყოფის უფლებას (იხ. ჩარნი, შენიშვნა 55 ზემოთ).

⁴⁵¹ იხ. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია (უს რეზ.) 876 (1993), უს რეზ. 896 (1994), უს რეზ. 906 (1994), უს რეზ. 937 (1994), უს რეზ. 971 (1995), უს რეზ. 993 (1995), SC Res 1036 (1996) SC Res 1065 (1996), SC Res 1124 (1997), SC Res 1150 (1998), უს რეზ. 1150 (1998), უს რეზ. 1187 (1998), უს რეზ. 1225 (1999), უს რეზ. 1255 (1999), უს რეზ. 1287 (2000), უს რეზ. 1462 (2003), უს რეზ. 1494 (2003), უს რეზ. 1524 (2004), უს რეზ. 1554 (2004), უს რეზ. 1582 (2005), უს რეზ. 1615 (2005), უს რეზ. 1666 (2006), უს რეზ. 1752 (2007), უს რეზ. 1781 (2007), უს რეზ. 1808 (2008).

⁴⁵² ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციისთვის (ეუთო): ეუთოს ბუდაპეშტის სამიტის გადაწყვეტილება, 1994 წლის 6 დეკემბერი; ოსლოს ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს შესახებ, 1998 წლის 1 დეკემბერი; ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტზე, 1997 წლის 8 ივლისი; ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია მე-17 ყოველწლიურ სესიაზე საქართველოში უსაფრთხოების გარემოს შესახებ, ასტანა, 2008 წლის 29 ივნისიდან 3 ივლისამდე; საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია, მიღებული მე-14 ყოველწლიურ სესიაზე მდგომარეობის შესახებ აფხაზეთში, საქართველო, ვაშინგტონი, კოლომბიის ოლქი, 2005 წლის 1-5 ივლისი; ევროკავშირისთვის: ევროპული საბჭოს საგანგებო შეხვედრა, 2008 წლის 1 სექტემბერი, ბრიუსელი, საპრეზიდენტო დასკვნები, 12594/2/08 REV 2; ევროპის საბჭოსთვის: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მეხუთე სხდომის ანგარიში, 2009 წლის 28 იანვარი, დანართი 2: „საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგები“ (საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1857 (2009), წინასწარი გამოცემა). „საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგები“

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გარდამავალ პერიოდში სამხრეთ ოსეთის ხალხს არ მიენიჭა შიდა თვითგამორკვევის უფლება, სამხრეთ ოსეთს მაინც არ შეეძლო მოეთხოვა გამოყოფის უფლება.

დასკვნა:გარდამავალ პერიოდში, როდესაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი, სამხრეთ ოსეთის ხალხის სწრაფვა თვითგამორკვევისკენ არ განხორციელებულა არც *დე-ფაქტოდ*, და არც *დე-იურედ*, რადგან ავტონომიის სტატუსი გაუქმებულ იქნა მისი სხვა მტკიცე კანონიერი გარანტიებით ჩანაცვლების გარეშე. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამხრეთ ოსეთს არ ჰქონდა საქართველოდან გამოყოფის უფლება.

IV. აფხაზეთის თვითგამორკვევის და გამოყოფის უფლება

აფხაზი ხალხი ასევე შეიძლება იყოს კვალიფიცირებული, როგორც „ხალხი“ და აქედან გამომდინარე, მას შეიძლება ჰქონდეს თვითგამორკვევის უფლება.

საბჭოთა კანონმდებლობით, აფხაზეთს ჰქონდა „ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ სტატუსი (საბჭოთა კონსტიტუციის 85-ე მუხლი). ვინაიდან საბჭოთა კონსტიტუცია ავტონომიურ რესპუბლიკებს არ ანიჭებდა გამოყოფის უფლებას, საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების მომენტში, შიდა კანონმდებლობის საფუძველზე, აფხაზეთი იყო საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი. საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, ეს საკანონმდებლო შეფასება შესაბამისობაში იყო *uti-possidetis principle*-თან (არსებული ვითარების შენარჩუნების პრინციპი), როგორც ეს ზემოთ იყო განმარტებული.

სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობისგან განსხვავებით, აფხაზეთის ავტონომიის სტატუსი არ გაუქმებულა.⁴⁵³ მიუხედავად ამისა, *დე-ფაქტოდ* აფხაზი ხალხის უფლებები - მათ შორის მათი პოლიტიკური წარმომადგენლობისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების უფლებები - არ იყო სათანადოდ დაცული საბჭოთა პერიოდში და

(საპარლამენტო ასამბლეის დოკ. 11789, 2009 წლის 12 იანვარი). „1633 (2008) რეზოლუციის განხორციელება საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგებზე“ (საპარლამენტო ასამბლეის დოკ. 11800, 2009 წლის 26 იანვარი). „საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგები“ (საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1633, 2008 წლის 30 სექტემბერი და 2 ოქტომბერი). „საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგებზე 1633 (2008) რეზოლუციის განხორციელება“ (საპარლამენტო ასამბლეა, წინასწარი გამოცემა, რეზოლუცია 1647, 2009 წლის 28 იანვარი).

⁴⁵³ 1992 წლის 2 იანვარს საქართველოს 1978 წლის კონსტიტუცია გაუქმებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ და ის ჩანაცვლებულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით. ამ კონტექსტში სამხედრო საბჭომ განაცხადა: „საქართველოს რესპუბლიკის არსებული საზღვრებისა და სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის ცვლილების გარეშე (აფხაზეთისა და აჭარის არსებული სტატუსით), ის აღიარებს საერთაშორისო სამართლის აქტებს და 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის უპირატესობას და მის განხორციელებას არსებული რეალობის სათანადო გათვალისწინებით“. (საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დეკლარაცია, 1992 წლის 21 თებერვალი, გამოქვეყნებულია 1992 წლის 25 თებერვალს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, # 36), http://www.parliament.ge/files/1_5718_330138_27.pdf.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში. ამ კონტექსტში ნახსენები უნდა იყოს ქართული ჯარების შესვლა აფხაზეთში 1992 წლის აგვისტოში - როგორც ეს გაანალიზებულია მე-2 თავში „კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში: სამშვიდობო ძალისხმევა 1991-2008“.

1992 წლის აგვისტოში ქართული ჯარების შესვლამ აფხაზეთში გააძლიერა დაძაბულობა რეგიონში, და მას მოჰყვა ომი. გაერო-ს 1993 წლის ოქტომბრის გამოძიებამ ორივე მხარეს გამოავლინა ადამიანის უფლებების დარღვევები.⁴⁵⁴ განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭიროა დაისვას შეკითხვა, შეიძლებოდა, თუ არა მდგომარეობა აფხაზეთში შეფასებული ყოფილიყო, როგორც „გამონაკლისი“, რაც საერთაშორისო სამართლის საფუძველზე შექმნიდა განსაკუთრებულ უფლებას გამოყოფისთვის. მაგრამ როგორც ზემოთ იყო განმარტებული, ამგვარი სახის „გამამართლებელი გარემოება“ გამოყოფის მიზნებისთვის არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის განუყოფელ ნაწილს, არსებულის საფუძველზე. მას შემდეგ, რაც აფხაზეთში 1994 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, დსთ-ის სამშვიდობო ძალები და გაერო-ს სამხედრო სადამკვირვებლო მისია ახდენდნენ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების პრევენციას. რუსეთმა და გაერო-მ ასევე წარმოადგინეს მოლაპარაკების ფორმატი აფხაზეთის იურიდიული სტატუსის შესახებ საქართველოს ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ უნდა მომხდარიყო ისეთი სიტუაციის თავიდან აცილება, რომელიც მოითხოვდა საბოლოო და გადამწყვეტ არგუმენტს (*“ultima ratio”*) და სადაც გამოყოფა კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი შესაძლო ალტერნატივა იქნებოდა. აღნიშნულს ასევე აცნობიერებდა საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც უწყვეტად ადასტურებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.⁴⁵⁵

დასკვნა: აფხაზი ხალხის სწრაფვა თვითგამორკვევისკენ არ განხორციელებულა გარდამავალ პერიოდში, როდესაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართლის მიხედვით აფხაზეთს არ ჰქონდა საქართველოდან გამოყოფის უფლება, ვინაიდან თვითგამორკვევის უფლება არ იწვევს გამოყოფის უფლებას.

3.3. „პასპორტიზაცია“: რუსეთის მოქალაქეობის მასობრივად მინიჭება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მაცხოვრებლებისთვის

ა. პრობლემის არსი

I. ძირითადი საკითხები

⁴⁵⁴ იხ. გენერალური მდივნის ფაქტების დამდგენი მისიის ანგარიში ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოვლინებისთვის აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, S/26795, 1993 წლის 17 ნოემბერი. დანართი.

⁴⁵⁵ იხ. ზემოთ 451 და 452 შენიშვნებში მოხსენიებული რეზოლუციები.

სხვადასხვა წყაროს მიხედვით,⁴⁵⁶ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ მიიღო რუსული მოქალაქეობა ნატურალიზაციის გზით. საქართველოს ინფორმაციით, „პასპორტიზაციამ“ მასობრივი ხასიათი 2002 წლის ზაფხულში მიიღო და „უფრო ინტენსიურად გაგრძელდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ“.⁴⁵⁷ ეს გვიანდელი პერიოდი ამ ანგარიშში განხილული არ იქნება.

ფაქტობრივად, საკამათოა მოხდა თუ არა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრებთა ნატურალიზაცია, და რა ოდენობით; ნებაყოფლობით, თუ მოსახლეობაზე რუსეთის ზეწოლის შედეგად.⁴⁵⁸ ასევე ბუნდოვანია, რამდენად იყო დაკმაყოფილებული ეთნიკური კრიტერიუმები რუსული მოქალაქეობის მინიჭებისას.

იურიდიული თვალსაზრისით, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმ საკითხზე, საერთოდ ჰქონდათ თუ არა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს მოქალაქეობა, თუ ისინი საქართველოს მოქალაქეები იყვნენ რუსეთის მიერ მათ ნატურალიზაციამდე. და ბოლოს, საერთაშორისო სამართლის კუთხით სეპარატისტულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის აფხაზური ან სამხრეთ ოსური მოქალაქეობის მინიჭების შედეგები საკამათოა.

ის თუ რამდენად შესაბამისი იყო საერთაშორისო სამართალთან, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მცხოვრებთა ფართომასშტაბიანი ნატურალიზაციის პროცესი რუსეთთან, აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საქართველო-რუსეთის კონფლიქტში. საქართველო გამუდმებით გამოხატავდა პროტესტს ამ პოლიტიკის წინააღმდეგ, ყოველ შემთხვევაში 2003 წლის შემდეგ მაინც.⁴⁵⁹ ის ამ პოლიტიკას „რუსეთის მიერ საქართველოს ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მცოცავი ანექსიის მნიშვნელოვან

⁴⁵⁶ PC.DEL/52/03 2003 წლის 24 იანვარი (საქართველოს განცხადება ეუთოს მუდმივ საბჭოს), მოყვანილი Victor-Ives Ghebali-ს „ეუთოს მისია საქართველოში (1992-2004): „გაუბედავი ღონისძიებების წარუმატებლობა“, *Helsinki monitor* 2004, # 3, 280-292, at 285. ასევე Thomas Kunze, *Krieg um Südossetien, Länderbericht der Konrad Adenauer Stiftung vom 12. August 2008*, at 2-3 (http://www.kas.de/proj/home/pub/83/1/year-2008/dokument_id-14356/index.html); იგორ ზეველევი, რუსეთის პოლიტიკა თანამემამულეების მიმართ ყოფილ საბჭოთა კავშირში, *Russia in Global Affairs* #. 1, 2008 წლის იანვარი-მარტი, at 4. აფხაზეთის *de facto* საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, მაქსიმ გვინდზიას მიხედვით, მოსახლეობის დაახლოებით 80% -ის ჰქონდა ორმაგი აფხაზურ-რუსული მოქალაქეობა (2006 წლის 6 სექტემბრის განცხადება). იხ. Pal Kolsto/Helge Blakkisrud, „ცხოვრება აღიარების გარეშე: სახელმწიფოს და ერის მშენებლობა სამხრეთ კავკასიის კვაზი-სახელმწიფოებში“, *Europa-Asia Studies* 60 (2008), 483-509, at 494. ავტორები აღნიშნავენ, რომ თუ ეს მაჩვენებელი სწორია, ის აუცილებლად უნდა მოიცავდეს ასევე ეთნიკური ქართველების გარკვეულ რაოდენობას (იქვე, სქოლიოს შენიშვნა 27).

⁴⁵⁷ ოფიციალური ქართული პასუხი საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის (IIFFMCG) კითხვარზე (კითხვა 2) სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით; რუსეთის მიერ ამ საკითხზე მიცემული განსაკუთრებული ინფორმაცია არ არსებობს.

⁴⁵⁸ რუსეთის მიხედვით, „რუსული მოქალაქეობა მიენიჭათ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთს მცხოვრებლებს მხოლოდ დამხლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მათ საკუთარი სურვილით გააკეთეს განაცხადი ამ საკითხზე“. საქართველო საუბრობს „ეთნიკური ქართველების იძულებით პასპორტიზაციაზე დაპყრობილი ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე“ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ (შდრ. ოფიციალური ქართული და რუსული პასუხები საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის (IIFFMCG) კითხვარზე (კითხვა 2) სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით).

⁴⁵⁹ იხ. გენერალური მდივნის სხვადასხვა ანგარიში სიტუაციის შესახებ აფხაზეთში, საქართველო: 2003 წლის 13 იანვრის ანგარიში (UN Doc. S/2003/39) პარაგრაფი 4; 2003 წლის 21 ივლისის ანგარიში (UN Doc. S/2003/751), პარაგრაფი 7; 2003 წლის 17 ოქტომბრის ანგარიში (UN Doc. S/2003/1019), პარაგრაფი 12.

კომპონენტად“ მიიჩნევა.⁴⁶⁰ საქართველოს აზრით, „პასპორტიზაციის“ პოლიტიკა წარმოადგენს „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენობის პრინციპების, სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და დავების მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარების პრინციპის“ დარღვევას.⁴⁶¹ ამის საპირისპიროდ, რუსეთი მიიჩნევს, რომ არ არსებობს „არაფერი, რაც გაამართლებდა კრიტიკას რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებაზე ზემოაღნიშნული პირებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ ამ მოქალაქეობის მიღების უფლება რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით“.⁴⁶²

სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა მიერ რუსული მოქალაქეობის მიღების საერთაშორისო კანონიერებას და მართებულებას მნიშვნელობა აქვს ასევე საქართველოს და რუსეთის მიერ ძალის გამოყენების სამართლებრივი შეფასებისას, რადგან რუსეთის მიერ წამოყენებული ერთი არგუმენტი „მისი მოქალაქეების დაცვა“ იყო.

ამ ფონზე ჩნდება სამი აქტუალური სამართლებრივი შეკითხვა:

- აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები ავტომატურად გახდნენ საქართველოს მოქალაქეები და მიიღეს ქართული მოქალაქეობა 1993 წლის საქართველოს კანონის საფუძველზე მოქალაქეობის შესახებ, თუ მათ მოქალაქეობა არ ჰქონდათ? (ნაწილი B).
- არღვევს თუ არა რუსეთის „პასპორტიზაციის“ პოლიტიკა საერთაშორისო სამართალს და ამდენად, წარმოადგენს თუ არა უკანონო ქმედებას საერთაშორისო სამართლის კუთხით? (ნაწილი C).
- როგორია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთათვის რუსული მოქალაქეობის მინიჭების იურიდიული შედეგები, და არის თუ არა რუსული მოქალაქეობა კანონსაწინააღმდეგო მესამე სახელმწიფოსთან მიმართებაში? (ნაწილი D).

II. ძირითადი ცნებები

წინამდებარე ანგარიშში გამოყენებული ტერმინი „მოქალაქეობა“ გამოხატავს საერთაშორისო სამართლის ცნებას სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის არსებული სამართლებრივი კავშირის შესახებ. ამ ანგარიშში არ გამოიყენება ტერმინი „მოქალაქეობა“; ეს უკანასკნელი ტერმინი ხშირად გამოიყენება, როგორც „ეროვნების“ (nationality) სინონიმი, მაგრამ მას ასევე აქვს სხვა მნიშვნელობები, რომლებიც უფრო პოლიტიკურს და არა სამართლებრივ სფეროს განეკუთვნება.

⁴⁶⁰ საქართველოს ოფიციალური პასუხი საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის (IIFMCG) კითხვარზე (კითხვა 2) სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

⁴⁶¹ იქვე.

⁴⁶² რუსეთის ოფიციალური პასუხი (კითხვა 2) საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის (IIFMCG) კითხვარზე (კითხვა 2) სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

მოქალაქეობა, როგორც საერთაშორისო სამართლის ცნება, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ განსაზღვრულია, როგორც „სამართლებრივი კავშირი, რომლის საფუძველია სოციალური მიკუთვნების ფაქტი, არსებობისა და შერგძნების ჭეშმარიტი კავშირი, ამავდროულად ორმხრივი უფლებებისა და მოვალეობების არსებობა. შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეობა არის სამართლებრივი გამოხატულება იმისა, რომ პიროვნება, ვისაც ის ენიჭება, უშუალოდ კანონით ან ხელისუფლების კონკრეტული ქმედების შედეგად, უფრო მჭიდრო კავშირშია მოქალაქეობის მიმნიჭებელი სახელმწიფოს მოსახლეობასთან, ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მოსახლეობასთან შედარებით“.⁴⁶³

ეს წარმოადგენს არა საერთაშორისო სამართლის, არამედ თითოეული სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის კომპეტენციას, განსაზღვროს, თუ ვინ უნდა განიხილებოდეს მისი მოქალაქეობის წარმომადგენლად, და ვინ - არა. მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფოების განსაკუთრებული კომპეტენციის სფეროა (*domaine réservé*).⁴⁶⁴ კონკრეტული პირის მოქალაქეობის განსაზღვრა უნდა მოხდეს მხოლოდ შიდა-სამართლებრივ საფუძველზე, შიდა კანონმდებლობის საპირწონედ. მაგრამ ამ ქმედების გავლენის შეფასება სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში ხდება საერთაშორისო დონეზე და ამდენად, ის უნდა განისაზღვროს საერთაშორისო სამართლის მიერ. მხოლოდ ამის შემდეგ სახელმწიფოს იურისდიქცია მოქალაქეობის მინიჭების შესახებ, შესაძლოა შეიზღუდოს საერთაშორისო სამართლის წესებით.⁴⁶⁵

ნატურალიზაცია ფართო გაგებით არის მოქალაქეობის მინიჭება პირისთვის, რომელსაც არ მიუღია მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეობა დაბადებით, მაგრამ უკვე აქვს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, ან მოქალაქეობა საერთოდ არ აქვს. ნატურალიზაციის ტერმინის უფრო ვიწრო გაგება (რასაც ასევე „ინდივიდუალური ნატურალიზაცია“ ეწოდება) წარმოადგენს მოქალაქეობის მინიჭებას დაინტერესებული პირის მოთხოვნით ან უცხოელის მიერ გაკეთებული განაცხადის საფუძველზე კონკრეტული მიზნისთვის ფორმალური (ადმინისტრაციული) აქტის საშუალებით კონკრეტულ შემთხვევაში. ამის საპირისპიროდ, „კოლექტიური ნატურალიზაცია“ წარმოადგენს მოქალაქეობის მინიჭებას ეროვნული კანონმდებლობის მოქმედებით, *ipso jure* კონკრეტული

⁴⁶³ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, *ნოტებომის საქმე (მეორე ფაზა) (ლიხტენშტეინი გვატემალას წინააღმდეგ)*, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები 1955, 4, at 23.

⁴⁶⁴ საერთაშორისო სამართლის მუდმივი პალატა, *ტუნისში და მაროკოში გამოცემული ეროვნული დეკრეტები*, საკონსულტაციო მოსაზრება, საერთაშორისო სამართლის მუდმივი პალატის ანგარიშები (1923), სერიები B, #4, at 24: „საკითხი, არის თუ არა კონკრეტული თემა მხოლოდ სახელმწიფოს იურისდიქციაში, ფაქტობრივად შედარებითი საკითხია; ის დამოკიდებულია საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე. ამდენად, საერთაშორისო სამართლის მოცემული სტატუსით, მოქალაქეობის საკითხები, სასამართლოს აზრით, პრინციპულად ამ შეზღუდულ სფეროში ექცევა“. გაეროს საერთაშორისო სასამართლო, *ნოტებომის საქმე* (იხ. ზემოთ შენიშვნა 93). at 20: „ყოველმა სუვერენულმა სახელმწიფომ საკუთარი კანონმდებლობით უნდა დაადგინოს წესები, რომლებიც უკავშირდება მოქალაქეობის მიღებას, და მიანიჭოს ეს მოქალაქეობა ნატურალიზაციით საკუთარი ორგანოების საშუალებით ამ კანონმდებლობის საფუძველზე“.

⁴⁶⁵ რობერტ ჯენინგსი/არტურ უოტსი, *ოპენჰეიმის საერთაშორისო სამართალი*, ტომი 1, ნაწილი 1 (მე-9 გამოცემა, Harlow: Longman House 1992), at 852.

დადგენილი პირობების შესრულებისას დაინტერესებული პირის მიერ ინდივიდუალური განაცხადის გაკეთების გარეშე, და ამგვარად, თავისი განსაზღვრებით შეესაბამება მთელ ჯგუფს.

ნატურალიზაციის შეზღუდვები, შესაძლოა, განსხვავდებოდეს იმ შეზღუდვებისგან, რომლებიც დაწესებულია მოქალაქეობის დაბადებით მიღებაზე, რადგან ნატურალიზაცია გავლენას ახდენს პირის უწინდელი მოქალაქეობის სახელმწიფოზე, რასაც ადგილი არ აქვს მაშინ, როდესაც მოქალაქეობის მიღება ხდება დაბადებით.

უფრო ფართო გაგებით, საერთაშორისო სამართალი აწესებს შეზღუდვებს ნატურალიზაციაზე იმისთვის, რომ დაიცვას ინტერესთა ორი ჯგუფი: დაინტერესებული პირის ინტერესები და იმ სახელმწიფოს ინტერესები, რომელსაც უკვე მინიჭებული აქვს მოქალაქეობა კონკრეტული პირისთვის (ყოფილი სახელმწიფო).⁴⁶⁶ ინტერესთა ეს ორი ჯგუფი შეიძლება ერთმანეთს ემთხვეოდეს, ან ეწინააღმდეგებოდეს. ტრადიციულად, საერთაშორისო სამართალი უფრო მეტად სახელმწიფოების ინტერესებზე იყო ორიენტირებული, მაგრამ ადამიანის უფლებათა თანამედროვე ეპოქაში დაინტერესებული პირების ინტერესები, როგორც მინიმუმ, თანაბარი მნიშვნელობისაა.

ბ. საქართველოს მოქალაქეობის მიღება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებელთა მიერ

შეკითხვა შემდეგში მდგომარეობს: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებმა ქართული მოქალაქეობა მიიღეს 1990-იანი წლების დასაწყისში, თუ მათ მოქალაქეობა არ ჰქონდათ.

I. მოქალაქეობის შესახებ 1993 წლის საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული მოქალაქეობა

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საფუძველი პირველ რიგში უნდა იყოს საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ. თუმცა, ქართული მოქალაქეობის მინიჭებას აქვს გავლენა საერთაშორისო სფეროზე და შეიძლება დაუპირისპირდეს სხვა სახელმწიფოებს, როდესაც ის ემორჩილება საერთაშორისო სამართლის მიერ დადგენილ შეზღუდვებს.

1993 წლის 25 მარტს მოქალაქეობის შესახებ მიღებული საქართველოს კანონის თანახმად (ძალაში შევიდა დამტკიცებისთანავე),⁴⁶⁷ საქართველოს მოქალაქეები იყვნენ პირები, რომლებიც:

⁴⁶⁶ შდრ. მოქალაქეობის შესახებ ევროპული კონვენციის პრემბულა, 1997 წლის 6 ნოემბერი, ETS #. 166: „აღიარებს რა, რომ მოქალაქეობის საკითხზე მხედველობაში უნდა იყოს მიღებული როგორც სახელმწიფოების, ისე პიროვნებების კანონიერი ინტერესები“.

⁴⁶⁷ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ (შესწორებული 2006 წელს, გამოქვეყნების თარიღი 2006 წლის 30 იანვარი), ხელმისაწვდომია: <http://www.unhcr.org/refworld/docid/44ab816f4.html>. ასევე საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია საქართველოს მოქალაქეობის კანონის აღსრულების შესახებ, 1993 წ. 25 მარტი.

- მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოში არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში,
- ცხოვრობდნენ იქ კანონის ძალაში შესვლის დროს,
- არ განაცხადეს უარი საქართველოს მოქალაქეობაზე წერილობითი ფორმით სამი თვის ვადაში და
- მიიღეს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები ოთხი თვის ვადაში.

ეს კანონი მიღებული იქნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გარდამავალ პერიოდში. საქართველომ გამოაცხადა საკუთარი დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს, საბჭოთა კავშირის დასასრული კი თარიღდება 1991 წლის 25 დეკემბრით. საბჭოთა მოქალაქეობამ უკვე დაკარგა მნიშვნელობა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის 1991 წლის 9 აპრილს, ყველაზე გვიან - 1991 წლის 25 დეკემბერს საბჭოთა კავშირის დაშლის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ სარგებლობაში იყო საბჭოთა პასპორტები. გარდამავალ პერიოდში ახალი კანონის მიღებამდე, საქართველოში განუსაზღვრელი დარჩა ყოფილი საბჭოთა მოქალაქეობის მქონე პირთა სტატუსი.⁴⁶⁸ ახალი ქართული კანონი მიღებული იქნა მხოლოდ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ (1991-1992) და საქართველოსა და აფხაზეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში (1992-1994). იმ დროს სამხრეთ ოსეთს უკვე მიღებული ჰქონდა დამოუკიდებლობის დეკლარაცია (1992 წლის 19 იანვარი). არსებობდა საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ საქართველოს უკვე დაკარგული ჰქონდა ეფექტური კონტროლი ორ სეპარატისტულ ტერიტორიაზე, და ნებისმიერი წერილობითი დოკუმენტის გაცვლა-გამოცვლა იყო ძალიან რთული, თუ არა შეუძლებელი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბოლო კრიტერიუმის დაკმაყოფილება - „მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიღება ოთხი თვის ვადაში“ - შეუძლებელი იყო.

საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ შესწორებულ იქნა 1993 წლის 24 ივნისს.⁴⁶⁹ მეოთხე კრიტერიუმი („მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების

⁴⁶⁸ 1990 წლის 3 აპრილის საბჭოთა კანონი პროცედურის შესახებ სსრკ-დან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლის საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, მუხლი 15: „სსრკ-ს მოქალაქეებს არსებული რესპუბლიკების ტერიტორიებზე ენიჭებათ მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის და დასაქმების არჩევის უფლება. არსებული რესპუბლიკა ფარავს მოქალაქეების რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ გადასახლებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს“.

SND, SSR 1990, # 15 პუნქტი 252, ციტატა მოყვანილია ინგლისურად ჯორჯ გინზბურგის ნაშრომში *საბჭოთადაც რუსულ საერთაშორისო სამართალამდე: უწყვეტობისა და ცვლილებების კვლევები* (ჰააგა: Martinus Nijhoff 1998), at 147, და ინეტა ზემელეს ნაშრომში *სახელმწიფოს უწყვეტობა და მოქალაქეობა: ბალტიის ქვეყნები და რუსეთი* (ლეიდენი: Martinus Nijhoff 2005), at 178. თუმცა, ამ კანონის სტატუსი და საფუძვლიანობა სადავოა.

⁴⁶⁹ http://www.coe.int/t/e/legal_affairs/legal_cooperation/foreigners_and_citizens/nationality/documents/national_legislation/Georgia%20Law%20on%20Citizenship_ENG.pdf

მიღება ოთხი თვის ვადაში“) გაუქმდა და მოქალაქეობაზე უარის თქმაზე დროის შეზღუდვა ექვს თვემდე გაიზარდა.

ამ შესწორების საფუძველზე, მოქალაქეობის მიღება უკვე აღარ იყო დამოკიდებული ფორმალურ კრიტერიუმებზე. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ტერიტორიების მცხოვრებნი საქართველოს მოქალაქეები გახდნენ ნებისმიერი დოკუმენტაციის გარეშე.

ქართული კანონის სიტყვიერი ფორმულირების მიხედვით, იყო ერთი ალტერნატივა ქართულ მოქალაქეობაზე უარის სათქმელად; მაგრამ თანხმობა ნავარაუდევია იყო, როდესაც დაინტერესებული პირი პროტესტს არ გამოხატავდა სამი ან ექვსი თვის ვადაში. თუმცა, საეჭვოა, შესაძლებელი ყოფილიყო ქართული ხელისუფლების ინფორმირება მოქალაქეობაზე უარის შესახებ, ვინაიდან შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ეს უკანასკნელი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთს ტერიტორიებზე აღარ იყო წარმოდგენილი.

პრაქტიკული სირთულეები, რომლებიც შექმნილი იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ არა განზრახ, არამედ შეიარაღებული კონფლიქტით გამოწვეული გარემოებების გამო, რელევანტურია. მეტად სავარაუდოა, რომ მცხოვრებთა გარკვეულ ნაწილს ქართულ მოქალაქეობაზე უარის თქმა 1993 წელს უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო ამის გაკეთება. საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის ხანმოკლე, მხოლოდ სამი, მაქსიმუმ ექვსი თვით გადავადებას (რაც სხვა სახელმწიფოების მიერ მინიჭებული გადავადების ყველაზე დაბალი ზღვარია⁴⁷⁰), ადმინისტრაციულ პრობლემებთან ერთად, შესაძლოა, პიროვნების მოქალაქეობაზე უარის თქმის უფლება არარეალურად ექცია.

II. ქართული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სამართალთან

ისმის კითხვა: ეწინააღმდეგება თუ არა საერთაშორისო სამართალს ის, რომ ქართულ მოქალაქეობაზე უარის თქმა სირთულეებთან არის დაკავშირებული ან *დე-ფაქტოდ შეუძლებლად მიიჩნევა?* როგორც ქვემოთ იქნება განმარტებული, საერთაშორისო სამართალი ზოგადად მოითხოვს დაზარალებული/დაინტერესებული პირის თანხმობას ახალი მოქალაქეობის მინიჭებაზე (ნაწილი C.I.1).

1. სახელმწიფოს გამოყოფის შემთხვევაში არჩევის უფლების არარსებობა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის თანახმად

მიუხედავად ამისა, თანხმობის მოთხოვნა არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ხდება მოქალაქეობის ავტომატური შეცვლა საზღვრების ან ტერიტორიული სუვერენიტეტის შეცვლის გზით. ტრადიციული და ჯერ კიდევ ძალაში მყოფი წესი მოქალაქეობის

⁴⁷⁰ სახელმწიფო პრაქტიკა მოიცავს სამი თვიდან ექვს წლამდე პერიოდს. იაელ რონენი, “მოსაზრება მოქალაქეობაზე“, მაქს პლანკის საერთაშორისო სამართლის ენციკლოპედია ონლაინ 2009, პარაგრაფი 22.

შესახებ ტერიტორიული ცვლილებების და ახალი სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში ის არის, რომ დაზარალებული მოსახლეობა ავტომატურად იღებს ახალ მოქალაქეობას.

ასეთი ტერიტორიული ცვლილება ჩვეულებრივ ხდება ტერიტორიის სამშვიდობო ხელშეკრულებით დათმობისას, მაგრამ ის ასევე მოხდა იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევაში. საერთაშორისო სამართლის ზოგადი კანონის მიხედვით, ამ შემთხვევაში ტერიტორიაზე მცხოვრებთა მოქალაქეობა თან სდევს სუვერენიტეტს, და, ამდენად, ავტომატურად იცვლება.

სახელმწიფო პრაქტიკაში, ყოველ შემთხვევაში, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი სამშვიდობო ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ, დაზარალებულ მოსახლეობას ხშირად არჩევანის უფლებას ანიჭებდნენ.⁴⁷¹ „არჩევანი“ ნიშნავს სახელმწიფოს ახალი ტერიტორიის ფარგლებში მოქალაქეობის უარყოფის უფლებას, სუვერენიტეტის გადაცემის შემდეგ, იმავე სახელმწიფოში დარჩენის უფლებით. მაგრამ მიუხედავად ამ პრაქტიკის ფართოდ გავრცელებისა, ის არ იყო ერთგვაროვანი. ასევე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დსთ-ის ზოგიერთმა, და არა ყველა წევრმა სახელმწიფომ, მიანიჭა საკუთარ მოსახლეობას არჩევანის უფლება შიდა კანონმდებლობის საფუძველზე.⁴⁷² ზოგადი და ხანგრძლივი პრაქტიკის არარსებობის გამო, არჩევანის უფლება, რაც ნიშნავს სახელმწიფოს ახალი ტერიტორიის ფარგლებში მოქალაქეობის უარყოფის უფლებას, სუვერენიტეტის გადაცემის შემდეგ, იმავე სახელმწიფოში დარჩენის უფლებით. ჩვეულებით სამართალში არ არსებობს.⁴⁷³ შესაბამისად, თავის დეკლარაციაში სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობის შედეგების შესახებ ფიზიკური პირების მოქალაქეობაზე, ვენეციის კომისიამ განაცხადა, რომ სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობის შემთხვევებში, „მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით, დაინტერესებულმა სახელმწიფომ „შემღებისდაგვარად, პატივი უნდა სცეს, დაინტერესებული პირის ნებას“, მაგრამ არ დააკისროს მკაცრი სამართლებრივი ვალდებულება.⁴⁷⁴ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი არ აკისრებს ტერიტორიული სუვერენიტეტის ცვლილებაში მონაწილე სახელმწიფოებს არჩევანს მიანიჭოს განხილული ტერიტორიის მცხოვრებთ ამ სახელმწიფოების მოქალაქეობის უარყოფის (ან მიღების) უფლება. მიუხედავად იმისა, რომ არჩევანის მინიჭების წესი, შესაძლოა, ექვემდებარებოდეს საერთაშორისო სამართლებრივ შეზღუდვებს,

⁴⁷¹ შდრ. მაგ. მუხლი 18, ჰარვარდის 1929 წლის კონვენციის პროექტი მოქალაქეობის შესახებ, ამერიკის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი (AJIL) 23, სპეციალური დამატება(1929), 13 და შემდგ.

⁴⁷² არჩევანის უფლება არ ენიჭებოდა აზერბაიჯანის, საქართველოს, ყირგიზეთის, ყაზახეთის და ტაჯიკეთის კანონებში მოქალაქეობის შესახებ. არჩევანის უფლება ენიჭებოდა შემდეგი რესპუბლიკების კანონებით მოქალაქეობის შესახებ: მოლდოვა (მუხლი 2, პარაგრაფი 3), რუსეთი (მუხლი 13 პარაგრაფი 1), თურქმენეთი (მუხლი 49), უზბეკეთი (მუხლი 4, პარაგრაფები 1, 2), უკრაინა (მუხლი 2, პარაგრაფი 1); შდრ. Kommentarij zakonodatel'stva gosudarstv-ucastnikov SNG o grazdanstve, მოსკოვი (1996; რუსული).

⁴⁷³ „არჩევანის“ უფლება ემიგრაციის თავისუფლების ფორმით წარმოადგენს სხვა საკითხს. უფრო ძველი ხელისუფლებები, რომლებიც აცხადებენ არჩევანის ჩვეულებით უფლებას, ხშირად სწორედ ამ თავისუფლებას გულისხმობენ. (პოლ ვეისი, *მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა საერთაშორისო სამართალში* (მე-2 გამოცემა, Alphen aan den Rijn: Sijthoff & Noordhoff 1979), at156.

⁴⁷⁴ დეკლარაცია სახელმწიფოს გამოყოფის შედეგებზე ფიზიკური პირების მოქალაქეობაზე, მიღებული ევროპული კომისიის მიერ დემოკრატიისთვის კანონმდებლობის საშუალებით მის 28-ე პლენარულ შეხვედრაზე, ვენეცია, 13-14 სექტემბერი, 1996 (CDL-NAT (1996) 007), პარაგრაფი 7.

განსაკუთრებით ხელშეკრულებით, არჩევანის მინიჭება, როგორც ასეთი, შედის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს კომპეტენციაში და არ არის ნაკარნახევი საერთაშორისო სამართლის წესებით.⁴⁷⁵

2. დამატებითი საერთაშორისო იურიდიული პრინციპები საქართველოს მოქალაქეობის ავტომატური მინიჭების სასარგებლოდ

სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს მოქალაქეობის არჩევანის უფლების გარეშე, ავტომატურად მიღების საერთაშორისო წესი საერთაშორისო სამართალში ზოგადი საერთაშორისო პრინციპებით არის მხარდაჭერილი.

თუმცა, საერთაშორისო სამართალი მოითხოვს იმ ხალხის ადამიანის უფლებების პატივისცემას, რომელზეც გავლენა იქონია კანონმდებლობამ მოქალაქეობის შესახებ; ის ასევე პატივს სცემს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს, რომელიც ანიჭებს საკუთარ მოქალაქეობას მისი ტერიტორიის ფარგლებში მცხოვრებთ. ინტერესის ცალკე სფეროა იურიდიული უსაფრთხოება და სახელმწიფო იურისდიქციის უფრო ლოგიკური თანამიმდევრულობით განაწილების მიღწევა.⁴⁷⁶

საქართველოს უფლება მიანიჭოს მისი მოქალაქეობა საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში მცხოვრებ ხალხს, შეიძლება, გამომდინარეობდეს საერთაშორისო საზოგადოების მიერ საქართველოს საზღვრების აღიარებიდან. ქართული კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ შესაბამისობაშია დსთ-ის სხვა სახელმწიფოების კანონმდებლობებთან და არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც გადაჭარბებული. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველომ უარყო ორმაგი მოქალაქეობა,⁴⁷⁷ იმ პირებმა, ვისაც უკვე ჰქონდა სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, საქართველოს მოქალაქეობა არ მიიღეს.

⁴⁷⁵ რონენი, “მოსაზრება მოქალაქეობაზე”, მაქს პლანკის საერთაშორისო სამართლის ენციკლოპედია ონლაინ 2009, პარაგრაფი 11-12; ვეისი (იხ. ზემოთ შენიშვნა 103), at 159; რუთ დონერი, *მოქალაქეობის რეგულირება საერთაშორისო სამართალში* (მე-2 გამოცემა, Irvington-on-Hudson: Transnational Publishers 1994), at 255-56. საერთაშორისო სამართლის კომისიის „მუხლების პროექტი ფიზიკური პირების მოქალაქეობის შესახებ სახელმწიფოების გამოყოფასთან დაკავშირებით“.

1999 წელი (GAOR 54-ე სესია, დამ. 10, 13, იძლევა წინადადებას პატივი სცენ პიროვნებების ნებას სახელმწიფოების გამოყოფის შემთხვევაში (მუხლი 11). მაგრამ ეს არის მხოლოდ წინადადება *de lege ferenda* (მომავალი კანონის თვალსაზრისით) და არა ძალაში მყოფი საერთაშორისო სამართლის პუნქტი.

⁴⁷⁶ რონენი (იხ. ზემოთ შენიშვნა 105), პარაგრაფი 27.

⁴⁷⁷ შდრ. „მუხლი 1 (2), საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ (იხ. ზემოთ შენიშვნა 97): „საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფო ქვეყნის მოქალაქე, გარდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა. საქართველოს პრეზიდენტმა შეიძლება მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა უცხოელ მოქალაქეს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურებები საქართველოს წინაშე, ან თუ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება შედის საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებში“. საქართველოს კონსტიტუცია (მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს) ადასტურებს ამ წესს.

და ბოლოს, მოქალაქეობა უნდა განიხილებოდეს სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობის პრინციპებთან, განსაკუთრებით *uti possidetis* (საქმის არსებული ვითარების შენარჩუნება) პრინციპთან შესაბამისობაში. *Uti possidetis* შემთხვევაში, არა მხოლოდ ყოფილი ადმინისტრაციული საზღვრები გარდაიქმნება სახელმწიფო საზღვრებად, არამედ ტერიტორიული ქვედანაყოფებიც ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნაწილებად რჩება. ტერიტორიული ქვედანაყოფების მოსახლეობას რომ ახალ მოქალაქეობაზე უარის თმის კოლექტიური უფლება ჰქონოდა, შეირყოდა *uti possidetis* პრინციპის მშვიდობის აღდგენის ეფექტი. ეს არის მეორე მიზეზი, რის გამოც სეპარატისტული ტერიტორიების მცხოვრებნი პრინციპულად უნდა ჩაითვალოს ქართული მოქალაქეობის მქონედ საერთაშორისო სამართლის კონტექსტში.

III. დასკვნა

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლები, რომლებმაც წერილობითი ფორმით არ განაცხადეს უარი საქართველოს მოქალაქეობაზე 1993 წლის 24 დეკემბრამდე, გახდნენ საქართველოს მოქალაქეები ქართული და საერთაშორისო სამართლის კონტექსტში. მათი პირადი თავშეკავება საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე არის შეუსაბამო, რადგან ისინი არ სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის უფლებით, კანონით დადგენილი გადავადების ფარგლებში. უარის თქმის ამ უფლებით სარგებლობის საბოლოო პრაქტიკული სირთულეები არ არის არსებითი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, რადგან საერთაშორისო სამართალი არ მოითხოვდა საქართველოსგან ამ არჩევანის უფლების მინიჭებას.

გ. რუსული „პასპორტიზაციის“ პოლიტიკის შესაბამისობა საერთაშორისო სამართალთან

არც საქართველოს და არც რუსეთს არა აქვთ ვალდებულება მოქალაქეობის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულების წინაშე.⁴⁷⁸ მიუხედავად ამისა, მათ აქვთ ვალდებულება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წინაშე და საერთაშორისო სამართლის ზოგადი კანონების წინაშე, რაც მოკლედ აქ იქნება განმარტებული.

I. ნატურალიზაციის საერთაშორისო კანონიერების პირობები

1. პიროვნების არჩევანი

⁴⁷⁸ უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულებები ამ სფეროში არის 1930 წლის 12 აპრილის ჰააგის კონვენცია გარკვეულ კითხვებზე, რომლებიც ეხება მოქალაქეობაზე კანონების კონფლიქტს (ძალაში შევიდა 1937 წლის 1 ივლისს; ერთა ლიგის ხელშეკრულებების სერიები, ტომი 179, გვ. 89, # 4137) და 1997 წლის 6 ნოემბრის ევროპული კონვენციამოქალაქეობის შესახებ (ძალაში შევიდა 2000 წლის 1 მარტს; ETS #166).

ნატურალიზაციის პრინციპი მოითხოვს დაინტერესებული პირის თანხმობას.⁴⁷⁹ მიუხედავად ამისა, არსებობს ამ წესის მნიშვნელოვანი გამონაკლისები, რომლებიც ცალკე იქნება განხილული.

ა) თანხმობის მოთხოვნის იურიდიული საფუძველი

მოთხოვნა ნებაყოფლობითი არჩევანის შესახებ დღეს, შეიძლება დაეფუძნოს კანონს ადამიანის უფლებების შესახებ. 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხლში გაცხადებულია: „(1) ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება. (2) არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა.“ 1997 წლის ევროპული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ, (მუხლი 4) ნაწილობრივ იმეორებს ამ სიტყვიერ ფორმულირებას.⁴⁸⁰

უნდა აღინიშნოს, რომ თანხმობის წესი ადამიანის უფლებათა დეკლარაციაზე უფრო ძველია და არის დამოუკიდებელი ადამიანის მოქალაქეობის უფლების არსებობისგან (რაც, თავისთავად, საკამათოა).⁴⁸¹ მაგალითად, ჯერ კიდევ 1929 წლის მოქალაქეობის შესახებ კონვენციის ჰარვარდის სამუშაო ვერსიის მე-15 მუხლში გაცხადებული იყო: „თუ ეს სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ამ კონვენციით, სახელმწიფოს არ შეუძლია მოახდინოს ნატურალიზაცია სრულწლოვანი პიროვნებისა, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, ამ პიროვნების თანხმობის გარეშე“.⁴⁸²

თანხმობის პრინციპი, შეიძლება, ასევე გამომდინარეობდეს თვითგამორკვევის საერთაშორისო პრინციპიდან. რაც შეეხება იუგოსლავიის დაშლას, ბადინტერის კომისიამ განაცხადა, რომ თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე, „ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია აირჩიოს ეკუთვნოდეს ნებისმიერ ეთნიკურ, რელიგიურ თუ ენობრივ თემს, რომელიც მას სურს“. ბადინტერის კომისიის მიხედვით,

⁴⁷⁹ იხ. სასამართლო პრეცედენტი ჰოლანდია, კანონიერი უფლებების აღდგენის საბჭოს სასამართლო პალატა, ჰააგა, *Weber and Weber v. Nederlands Beheers Instituut*, 1953 წლის 27 მაისის და 1955 წლის 4 ივლისის მოსმენები, ინგლისური თარგმანი ILR 24 (1957), 431, at 431; გერმანულ-მექსიკური საპრეტენზიო კომისია, *Rau claim, 1930 წ. 14 იანვრის გადაწყვეტილება*, საჯარო საერთაშორისო სამართლის საქმეების წლიური დაიჯესტი, რედაქტორი Hersch Lauterpacht 6 (1931-32), #124 (გვ. 251, at 251); კიოლის გერმანული სააპელაციო სასამართლო, *მოქალაქეობის იტულებით მიღების საქმე*, 1960 წ. 14 მაისის მოსმენა, ინგლისური თარგმანი ILR 32 (1966), 166, at 167.

⁴⁸⁰ მუხლი 4: „თითოეული მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეობის წესების საფუძველი უნდა იყოს შემდეგი პრინციპები: (ა) ყველას აქვს მოქალაქეობის უფლება; (ბ) ... (გ) არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა; (დ) ...“.

⁴⁸¹ იხ. ინეტა ზიემელე და გუნარ გ. შრამი, „მუხლი 15“, Gudmundur Alöfresson/Asbjorn Eide (eds)-ში, *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია: განხორციელების ზოგადი სტანდარტები* (ჰააგა: Martinus Nijhoff 1999), 297-323, at 321.

⁴⁸² მუხლი 18, ჰარვარდის 1929 წლის კონვენციის პროექტი მოქალაქეობის შესახებ, ამერიკის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი (AJIL) 23, სპეციალური დამატება(1929), 13 და შემდგ.

ამ წესის განმარტება, გაკეთებული 1929 წელს, არ იყო დამყარებული (მაშინ არარსებულ) ადამიანის მოქალაქეობის უფლების იდეაზე. მუხლი 15-ის კომენტარში განცხადებული იყო, რომ პიროვნების ნატურალიზაციის მცდელობა მისი თანხმობის გარეშე „იქნებოდა იმ სახელმწიფოს ინტერესების უპატივცემლობა, რომლის მოქალაქეა პიროვნება, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ მოქალაქეობა მოიცავს როგორც ვალდებულებებს, ისე უფლებებს“ (იქვე, at 53).

თვითგამორკვევის პრინციპის ამ ელემენტის რეალიზების ერთი შესაძლო საშუალება შეიძლება იყოს შეთანხმების გაფორმება სახელმწიფოებს შორის, რომლებშიც დაზარალებული/დაინტერესებული პირები წარმოადგენენ პირებს რომლებსაც აქვთ თავიანთ მიერ არჩეული მოქალაქეობა“.⁴⁸³ ამის საშუალებით ბადინტერის კომისია, როგორც ჩანს, მიაწინებდა, რომ თვითგამორკვევის პრინციპი მოიცავს არჩევანის უფლებას; მაგრამ ამ არჩევანის დეტალები უნდა რეგულირდებოდეს სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით.

ეს საკმაოდ ფრთხილი მინიშნება შესაბამისობაშია თანხმობის მოთხოვნის ტრადიციულ მთავარ გამონაკლისთან, კერძოდ, მოქალაქეობის აცტომატურ ცვლილებასთან საზღვრებისა და ტერიტორიული სუვერენიტეტის ცვლილების გზით, როგორც ეს ზემოთ იყო განხილული (ნაწილი ბ.II.).

ბ) პირის თანხმობის შესაძლო გაბათილება

ინდივიდუალური ნატურალიზაციის აქტები უკანონოა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, თუ დაინტერესებული პირის თანხმობა არ არის თავისუფალი. ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში, უფლებელყოფილია როგორც კონკრეტული პირისთვის მოქალაქეობის მიმნიჭებელი სახელმწიფოს ინტერესები, ისე საკუთრივ ამ პიროვნების ინტერესები და ამდენად, ორივე შემთხვევა მიუთითებს, რომ ამ ტიპის ნატურალიზაცია უკანონოა.

შემთხვევას, როდესაც თანხმობა გაცემული არ არის შეიძლება საფუძვლად ედოს აშკარა ზეწოლის, მუქარის, ან იძულების შემთხვევები, გამომდინარე იქიდან, რომ პირის თანხმობა ახალი მოქალაქეობის მიღების თაობაზე ბათილდება, თუ ის მიღებულია მუქარის ან ძალის გამოყენებით. ამგვარად მიღებული ნატურალიზაცია იქნება უკანონო საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

განსხვავებულია სიტუაცია, როდესაც ადამიანებს განგებ სთავაზობენ ახალი მოქალაქეობის მიღებას, მუქარით ან არასწორი ინტერპრეტაციით, ან ხელსაყრელი დაპირებებით. ამგვარ სიტუაციაში შესაძლებელია იმაზე კამათი, რომ პიროვნებების თანხმობა იყოს „ნაყიდი“, და არა თავისუფლად მიღებული. მოქალაქეობის თავზე მოხვევის „რბილი“ მეთოდით, „მოქალაქეობის გაყიდვით“, მაგ. სოციალური უზრუნველყოფის მინიჭებით უკვე საზღვარგარეთ მყოფი პირებისთვის, სრულიად შესაძლებელია პირის თანხმობის გაუქმება. მაგრამ, როგორც ჩანს, მოქალაქეობის თავზე მოხვევის თუნდაც „რბილი“ მეთოდები არ წარმოადგენს საფუძველს მისი აკრძალვისთვის საერთაშორისო სამართლის მოცემულ პირობებში. უფრო მეტიც, სამართლიანობა არც კი მოითხოვს ამგვარ წესს. რამდენადაც დაპირებულ სარგებელს აქვს გარკვეული გონივრული კავშირი პრივილეგიებთან, რომლებიც მოქალაქეებს ტრადიციულად ენიჭებათ საკუთარი სახელმწიფოს მხრიდან, სახელმწიფოს არაფერი

⁴⁸³ მოსაზრება #2, წარმოდგენილი ევროპის საერთაშორისო სამართლის ჟურნალში (*EJIL*)3 (1992), 183-4, პარაგრაფი 3.

უკრძალავს საკუთრი მოქალაქეობის აქტიურ პროპაგანდას. საერთაშორისო სამართალი რთავს სახელმწიფოებს საკუთარი მოქალაქეებისთვის პრივილეგიების მინიჭების ნებას, მაგ. სოციალური უზრუნველყოფის ან ცხოვრების უფლებისა და გადაადგილების თავისუფლების. ამ პრივილეგიების შეთავაზება არ ასუსტებს აპლიკანტი პირების თანხმობას.

გ) შეზღუდვები მოქალაქეობის ინდივიდუალურად არჩევაზე

არ არსებობს მოქალაქეობის აბსოლუტური, შეუზღუდავი, ინდივიდუალური არჩევანის უფლება. პირის თანხმობა არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა იმისათვის, რომ ნატურალიზაცია იყოს კანონიერი საერთაშორისო დონეზე. გარდა ინდივიდუალური თანხმობისა, საერთაშორისო სამართალი ადგენს დამატებით შეზღუდვებს ნატურალიზაციაზე. (საკამათო) ადამიანის უფლება მოქალაქეობაზე არ კრძალავს შემდგომი პირობების დადგენას ნატურალიზაციის საერთაშორისო კანონიერებისა და საფუძვლიანობისთვის.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხლი მოიცავს წესს: „არავის არ შეიძლება ... ჩამოერთვას ... უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა“, მაგრამ ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს იურიდიული ვალდებულების მქონე ხელშეკრულებას. მის ყველა დებულებას არ მიუღია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის სტატუსი. საკამათოა, არსებობს თუ არა ჩვეულებითი ნორმა მოქალაქეობის უფლებაზე და თუ არის, როგორია მისი ზუსტი მასშტაბი და შინაარსი.⁴⁸⁴ მოქალაქეობის უფლება არ შედის 1966 წლის საერთაშორისო ხელშეკრულებაში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. ნიშანდობლივია, რომ 1997 წლის ევროპული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ შეიცავს პრინციპს, რომ თვითნებურად არავის არ უნდა ჩამოერთვას მოქალაქეობა, მაგრამ არ შეიცავს პასაჟს მოქალაქეობის შეცვლაზე. აღნიშნული მიუთითებს, რომ მოქალაქეობის თავისუფლად შეცვლის იდეა საკამათოა.

ბადინტერის კომისიას ასევე არ გაუკეთებია რაიმე სახის მინიშნება, რომ არსებობს ადამიანის მიერ მოქალაქეობის შეუზღუდავი არჩევანის უფლება. კომისიამ განაცხადა მხოლოდ ის, რომ იუგოსლავიის რესპუბლიკებმა უნდა მისცენ უმცირესობის წარმომადგენლებს ადამიანის ყველა საერთაშორისო უფლება, „მათ შორის, მათი მოქალაქეობის არჩევანის უფლება, განსაზღვრულ შემთხვევებში“.⁴⁸⁵

იმ შემთხვევაშიც კი, რომ არსებობდეს ადამიანის უფლება მოქალაქეობის შეცვლის შესახებ, ეს უფლება ნებისმიერ შემთხვევაში არ არის სრულყოფილი. როგორც ადამიანის

⁴⁸⁴ ზიემელე და შრამი (იხ. ზემოთ შენიშვნა 111), at 322-323-ზე არის დისკუსია, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხლმა გარკვეულ სიტუაციებში ან გარკვეულ ჯგუფებთან დაკავშირებით შეიძლება შეიძინოს ჩვეულებითი სამართლის ძალა.

⁴⁸⁵ ბადინტერის მოსაზრება, #2, წარმოდგენილი ევროპის საერთაშორისო სამართლის ჟურნალში (EJIL) 3 (1992), 183-4, პარაგრაფი 4 (ii).

უფლებათა უმრავლესობა, ის შეიძლება შეზღუდული იყოს, რათა დაიცვას კანონიერი სამთავრობო ინტერესები. საბოლოოდ, ეს არის საკითხი, რომელიც აბალანსებს იმ სახელმწიფოს უფლებებს, რომელსაც უკვე მინიჭებული აქვს მოქალაქეობა კონკრეტული პირისთვის (ყოფილი სახელმწიფო) ინდივიდის უფლებებთან. სათანადო ბალანსი მიიღწევა ნატურალიზაციის სახელმწიფოსთან ფაქტიური კავშირის მოთხოვნით.

2. ყოფილი სახელმწიფოს უფლებები

ნატურალიზაცია ეხება არა მხოლოდ პიროვნებას, არამედ ასევე იმ პიროვნების ყოფილ სახელმწიფოს, რადგან ყოფილი სახელმწიფო კარგავს მოქალაქეს. ყოფილი სახელმწიფო დაინტერესებულია იმაში, რომ არ დაუშვას მისი მოქალაქეების მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღება, თუნდაც ნებაყოფლობით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ არავითარი კავშირი არა აქვთ უცხო ქვეყანასთან. ეს ინტერესი ლეგიტიმურია, რადგან სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეებისგან შედგება და ის შეწყვეტს არსებობას, როგორც სახელმწიფო, თუ მისი ყველა მოქალაქე განიცდის ნატურალიზაციას სადმე სხვაგან.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, შეიძლება ითქვას, წინა პლანზე დგას პიროვნების მიერ მოქალაქეობის არჩევის ინდივიდუალური ხასიათი და ამ მოქალაქეობის გავლენა ადამიანის უფლებებზე. ამდენად, ზოგადად აღიარებულია, რომ (ინდივიდუალური) ნატურალიზაციის კანონიერება საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არ არის დამოკიდებული ნატურალიზებული პირის მოქალაქეობის ყოფილი სახელმწიფოს თანხმობაზე; მაგრამ ინდივიდუალური ნატურალიზაცია შეიძლება ძალაში შევიდეს ყოფილი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე და მისი წინააღმდეგობის მიუხედავად,⁴⁸⁶ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ფაქტიური კავშირი ნატურალიზაციის მიმნიჭებელ სახელმწიფოსთან. ასე რომ, სახელმწიფო არ შეიძლება კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდეს მისი მოქალაქეების მიერ სხვა მოქალაქეობის მიღებას. თუმცა, მას შეუძლია უარი თქვას საკუთარი მოქალაქეების „დათმობაზე,“ თუ ფაქტიური კავშირი ნატურალიზაციის მიმნიჭებელ სახელმწიფოსთან არ არსებობს. ამ შემთხვევაში, ყოფილი სახელმწიფოს უარი მოქალაქეობის გაუქმებაზე არ იქნება თვითნებური.⁴⁸⁷

აღბათ, მიზანშეწონილია (და არა თვითნებური) ფაქტიური კავშირის მოთხოვნა პიროვნებასა და ნატურალიზაციის მიმნიჭებელ სახელმწიფოს შორის. ამგვარი დამატებითი პირობა სამართლებრივად არ ასუსტებს ადამიანის უფლებას შეიცვალოს მოქალაქეობა (რომელიც თავისთავად საკამათოა).

3. ფაქტიური კავშირი ნატურალიზაციის მიმნიჭებელ სახელმწიფოსთან

⁴⁸⁶ Dahm/Delbrück/Wolfrum 2002 (იხ. ზემოთ შენიშვნა 8), at 45.

⁴⁸⁷ თვითნებობის აკრძალვა წარმოადგენს მოქალაქეობაზე საერთაშორისო სამართლის საყოველთაო პრინციპს. მოქალაქეობის თვითნებური ჩამორთმევა აკრძალულია (იხ. მაგ. 1997 წლის მოქალაქეობის შესახებ ევროპული კონვენციის მე-4 მუხლი), ასევე მოქალაქეობის თვითნებური მინიჭება აკრძალულია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით (იხ. ქვემოთ შენიშვნა 123).

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, უნდა არსებობდეს ფაქტიური კავშირი ნატურალიზაციის მსურველ პირსა და ნატურალიზაციის მიმნიჭებელ სახელმწიფოს ტერიტორიას, ან მის მოქალაქეებს შორის.⁴⁸⁸ ამგვარად, საერთაშორისო სამართალი არ აძლევს უფლებას სახელმწიფოს ნატურალიზაციით მიაწიქოს საკუთარი მოქალაქეობა იმ პირებს, რომლებსაც აქვთ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, და რომლებთანაც მიმნიჭებელ სახელმწიფოს არავითარი ფაქტიური კავშირი არა აქვს.

პირველი მიზეზი რაიმე სახის ფაქტიური კავშირის მოთხოვნისა არის ის, რომ მოქალაქეობა პრინციპულად ექსკლუზიური იყო. მოქალაქეობას საფუძვლად უნდა ჰქონდეს „სოციალური მიკუთვნების ფაქტი.“⁴⁸⁹

მეორე საბაზისო მოსაზრება ის არის, რომ სახელმწიფოებს გარკვეულწილად საკუთარი მოქალაქეები შეადგენენ. პოლიტიკური ერთეული მოსახლეობის გარეშე სახელმწიფო ვერ იქნება. საკუთარი მოქალაქეობის მინიჭებით იმ პირებისთვის, რომლებიც ადრე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები იყვნენ, სახელმწიფო გარკვეულად „ფართოვდება.“⁴⁹⁰ ამავე დროს, ნატურალიზაციის აქტით სახელმწიფო ასუსტებს (ან შეიძლება წყვეტს კიდევ) ურთიერთობას პიროვნებასა და მისი ყოფილი მოქალაქეობის სახელმწიფოს შორის, და ამით სხვა სახელმწიფოს ართმევს მის შემადგენელ ნაწილს, კერძოდ, მის ხალხს. ამით მოქალაქეობის მიმნიჭებელი სახელმწიფო იჭრება სხვა სახელმწიფოს პირად იურისდიქციაში. ამიტომ, საერთაშორისო სამართლის წესებით მოქალაქეობის მიღების საკითხზე - განსაკუთრებით იმ პირთა ნატურალიზაციის გზით, რომლებსაც უკვე აქვთ უცხო მოქალაქეობა - დაცული უნდა იყოს წონასწორობა სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოქალაქეობის მინიჭების უფლებას, დაინტერესებული პირის ინტერესებსა და უფლებებს, და სხვა სახელმწიფოს პიროვნებებთან დაკავშირებულ იურისდიქციას შორის, რაც სახელმწიფოს სუვერენიტეტის ერთი ელემენტია. სამართლიან წონასწორობას, როგორც ჩანს, აყალიბებს პირობა, რომელიც მოითხოვს უტყუარი ფაქტიური და რეალური კავშირის არსებობას სახელმწიფოსა და ნატურალიზაციის მსურველ განმცხადებელს შორის.

არსებობს შეთანხმება ამ პრინციპის თაობაზე. ისმის ერთადერთი კითხვა, თუ რამდენად ძლიერი უნდა იყოს ეს ფაქტიური ურთიერთობა ან კავშირი. უფრო ხისტი პოზიციის მიხედვით, ნატურალიზაციის მინიჭების ფაქტი საჭიროა განხილულ იქნას მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ წარმოებული *ნოტებომის* პროცესის კონტექსტში, რომელსაც კანონიერი ძალა ექნება საერთაშორისო სამართლით,

⁴⁸⁸ ალბრეხტ რანდელზჰოფერი, „ნაციონალიზაცია“ რუდოლფ ბერნჰარდტის (გამოცემა), *საერთაშორისო სამართლის ენციკლოპედია* (EPIL) ტომი 3 (ამსტერდამი: Elsevier 1997), 501, at 504. ვეისი (იხ. ზემოთ შენიშვნა 103), at 100; Dahm/Delbrück/Wolfrum 2002 (იხ. ზემოთ შენიშვნა 8), at 46-47. იხ. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე (BVerfG), *გერმანული ნაციონალიზაცია (ჩეხოსლოვაკიის ანექსია)* საქმე, BVerfGE 1, 322, at 328-329 (1952), ზოგიერთი ამონარიდის ინგლ. თარგმანი ILR 19 (1952)-ში, # 56, გვ. 319, at 320.

⁴⁸⁹ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, *ნოტებომი*, 1953 (იხ. ზემოთ შენიშვნა 93), at 23.

და ექნება ძალა სხვა სახელმწიფოების მიმართ.⁴⁹⁰ თუმცა, *ნოტებომის* შემთხვევა უშუალოდ ეხებოდა მხოლოდ მიმნიჭებელი სახელმწიფოს (იმ შემთხვევაში ლიხტენშტეინის) მხრიდან დიპლომატიური დაცვის შესაძლებლობას, და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ თავად გაუსვა ხაზი, რომ მისი სასამართლო პროცესი ითვალისწინებდა ამ შეზღუდვებს.⁴⁹¹ *ნოტებომის* კონტექსტში ჭეშმარიტი ან ეფექტური კავშირის მკაცრი მოთხოვნა ნატურალიზაციის ყველა შემთხვევაში, გამოიწვევდა იმას, რომ სამართლებრივად შეიზღუდებოდა და შესუსტდებოდა მიმნიჭებელი სახელმწიფოს სუვერენული უფლება პიროვნებებისთვის მოქალაქეობის საკუთარი წესებით მინიჭების შესახებ. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ის შექმნიდა გაურკვევლობის ელემენტს. თუ სასამართლოები ვალდებული იქნებოდნენ გამოეკვლიათ ნატურალიზაციის ყველა შემთხვევის შეჭმარიტება, ეს კიდევ უფრო შეამცირებდა საერთაშორისო სამართლის წესების სიცხადეს.⁴⁹²

ამიტომ, მართებულია ის თვალსაზრისი, რომ ჭეშმარიტი კავშირის მოთხოვნა ეხება მხოლოდ დიპლომატიური დაცვის საკითხს, ასევე ორმაგი მოქალაქეობის საკითხების გადაწყვეტას. ყველა სხვა მიზნით, ძალიან მჭიდრო ფაქტიური ურთიერთობის მოთხოვნა არ არის აუცილებელი. ნატურალიზაციის აქტები კანონიერია საერთაშორისო სამართლის მიხედვით, თუ ისინი არ არის თვითნებური ან არამართლზომიერი.⁴⁹³ ფაქტიური კავშირი უნდა იყოს ობიექტური და ზოგადად აღიარებული.

საკმარის ფაქტიურ ურთიერთობას ქმნის ტერიტორიაზე ცხოვრება, როდესაც პირს, რომლის ნატურალიზაცია უნდა მოხდეს, აქვს ბიოლოგიური (ოჯახური) კავშირი სახელმწიფოსთან, ან როდესაც ის იყო ამ სახელმწიფოს სამთავრობო სამსახურში.⁴⁹⁴ ღია

⁴⁹⁰ ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისარი, *ბოლგანო/ბოცენის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობებზე სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში და განმარტებითი შენიშვნა* (ივნისი, 2008), პარაგრაფი 11: სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ მოქალაქეობის მინიჭებისგან ჭეშმარიტი კავშირის არარსებობისას, მინიშნება *ნოტებომზე*. ბრაუნლის სტიპენდიაში (იხ. ზემოთ შენიშვნა 2), at 407.

⁴⁹¹ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, *ნოტებომის საქმე*, 1955 (შენიშვნა 93), at 17.

⁴⁹² ვეისი (იხ. ზემოთ შენიშვნა 103), at 180; იხ. ასევე Dahm/Delbrück/Wolfrum 2002 (იხ. ზემოთ შენიშვნა 8), at 47.

⁴⁹³ იხ. მაგ. გერმანიის ფედერალური სასამართლო, სისხლის სამართლის პალატა (*Bundesgerichtshof in Strafsachen*), BGHSt 5, 230, at 234 (1943), 29 Dec. 1953-ის ბრძანება: მოქალაქეობის თვითნებური მინიჭება იკრძალება საერთაშორისო სამართლით, თუკი მისი შედეგია სხვა სახელმწიფოს არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება. მოქალაქეობის მინიჭება ზოგადად აღიარებული კავშირის გარეშე თვითნებურია. კავშირი შეიძლება იყოს ტერიტორიული (ცხოვრება ან გახანგრძლივებული დაყოვნება), მაგრამ შეიძლება ასევე მოიცავდეს თანამდებობის დაკავებას სახელმწიფო ან სამხედრო სამსახურში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბერლინის სააპელაციო სასამართლო, *ჩრდილოეთ-ტრანსილვანიის მოქალაქეობის საქმე*, 1965 წლის 21 დეკემბრის მოსმენა, ინგლ. თარგმანი ILR 43 (1971)-ში, 191, at 194: “ამგვარად, სახელმწიფომ არ შეიძლება საერთაშორისო სამართლით კანონიერად თვითნებურად მიანიჭოს საკუთარი მოქალაქეობა, მაგრამ მხოლოდ იმ პირებს, ვინც მასთან მჭიდრო და ფაქტიურ ურთიერთობაშია”. Dahm/Delbrück/Wolfrum 2002 სტიპენდიაში. (იხ. ზემოთ შენიშვნა 8), at 45 და 47-48.

⁴⁹⁴ Dahm/Delbrück/Wolfrum 2002 (იხ. ზემოთ შენიშვნა 8), at 48.

რჩება კითხვა, თუ რამდენად მჭიდრო უნდა იყოს ოჯახური კავშირი, მაგ. საკმარისი იქნებოდა ძალიან შორეული ბიოლოგიური ნათესაობა, თუ არა.

4.არარეზიდენტის ნატურალიზაცია (ექსტრატერიტორიული ნატურალიზაცია) არ არის *per se* (საკუთრივ) უკანონო

ამ შემთხვევაში ძირითადი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: რუსეთის საზღვრებს გარეთ მცხოვრები და რუსეთთან სხვა კავშირის არმქონე პირებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება არის თუ არა *per se* (საკუთრივ) უკანონო არსებითი ფაქტიური კავშირის არარსებობის გამო.

სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, როდესაც ეროვნული სუვერენობის შენარჩუნებისადმი ინტერესი იყო ძლიერი, ფართოდ გავრცელებული საერთაშორისო დოქტრინის მიხედვით აუცილებელი ფაქტიური ურთიერთობა არ არსებობდა, თუკი პიროვნება არ ცხოვრობდა ნატურალიზაციის სახელმწიფოში, განსაკუთრებით კი თუ ის აგრძელებდა თავის (უწინდელ) ქვეყანაში ცხოვრებას.⁴⁹⁵

აღნიშნული ტრადიციული და ზუსტი თვალსაზრისით, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე რუსეთს არ ექნებოდა უცხო, განსაკუთრებით, ქართველი მოქალაქეების, ნატურალიზაციის უფლება, რამდენადაც ისინი ისევ საქართველოში ცხოვრობდნენ.

მაგრამ დღეს „საერთაშორისო სამართლის საფუძველზე სახელმწიფოებს არ ეკრძალებათ ნატურალიზაცია იმ პირებისა, ვინც საცხოვრებლის მიხედვით არ ხვდება მათი ტერიტორიული იურისდიქციის ქვეშ, ე.ი. სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ მცხოვრები პირებისა.“⁴⁹⁶ ამგვარად, საზღვარგარეთ მცხოვრები პირების ნატურალიზაცია არ არის *per se* (საკუთრივ) უკანონო საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელი ფაქტიურ კავშირად ნატურალიზაციის

⁴⁹⁵ იხ. მუხლი 3(1) Institut de Droit International-ის 1928 წლის რეზოლუციისა მოქალაქეობაზე, Institut de Droit International, Session de Stockholm, « la nationalité », 28 აგვისტო 1928. http://www.idiil.org/idiF/resolutionsF/1928_stock_01_fr.pdf (accessed on 17 June 2009) ; პუნქტი 4 სანიმუშო სტატუსისა, მიღებული საერთაშორისო სამართლის ასოციაციის მიერ 1924 წელს; ჰარვარდის 1929 წლის კონვენციის პროექტი მოქალაქეობის შესახებ, მუხლი 14, ამერიკის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი (AJIL) 23, სპეციალური დამატება(1929), 13 და შემდგ. კომენტარში ჰარვარდის 1929 წლის კონვენციის პროექტზე მოქალაქეობის შესახებ განცხადებული იყო:

„შესაძლოა ძნელი იყოს იმ შეზღუდვების ზუსტად განსაზღვრა, რომლებიც არსებობს საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს ძალაუფლებაზე მიანიჭოს საკუთარი მოქალაქეობა. . . თუ სახელმწიფო „ა“ უნდა შეეცადოს, მაგ. მოახდინოს იმ პირების ნატურალიზაცია, ვისაც არასოდეს ჰქონია რაიმე კავშირი სახელმწიფო „ა“-სთან, რომლებიც არასოდეს ყოფილან მის ტერიტორიაზე, და რომლებიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, სავარაუდოდ, სახელმწიფო „ა“ აშკარად გაცდენილი იქნებოდა საერთაშორისო სამართლით დადგენილ შეზღუდვებს. ამგვარად, თუ სახელმწიფო „ა“ უნდა შეეცადოს მოახდინოს ყველა იმ პირის ნატურალიზაცია, რომელიც ცხოვრობს მისი ტერიტორიის გარეთ, მაგრამ მისი საზღვრიდან 500 მილის ფარგლებში, ის აშკარად გაცდენილი იქნებოდა ამ შეზღუდვებს“. ამერიკის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი (AJIL) 23, სპეციალური დამატება(1929), at 26. „ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ სხვა სახელმწიფოების სათანადო პატივისცემა არაკეთილგონივრულს ქმნის ნებისმიერი სახელმწიფოს მცდელობას იმგვარად გააფართოვოს საკუთარი ნატურალიზაციის კანონების მოქმედება, რომ შეცვალოს იმ პირთა მოქალაქეობა, რომლებიც იმ დროს სხვა სახელმწიფოებში ცხოვრობდნენ“. იქვე, at 51.

⁴⁹⁶ ვეისი (იხ. ზემოთ შენიშვნა 103), at 101.

სახელმწიფოსთან შესაძლოა მიჩნეული იყოს სხვა ფაქტორები, და არა იმ სახელმწიფოში ცხოვრება.

5. ეთნიკურ ან რასობრივ საფუძველზე დამყარებული შერჩევითი ნატურალიზაციის უკანონობა

1965 წლის საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD),⁴⁹⁷ რომელზეც საქართველოსა და რუსეთს ხელი აქვთ მოწერილი, კრძალავს დისკრიმინაციულ ნატურალიზაციას. მუხლი 5, კერძოდ d) (iii) 1 მუხლთან ერთად უზრუნველყოფს მოქალაქეობის უფლებას რასობრივი დისკრიმინაციის გარეშე. იმავე კონვენციის (CERD) მუხლში 1(3) განცხადებულია, რომ „ამ კონვენციაში არაფერი უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რაიმე გზით ზემოქმედების მქონე მონაწილე სახელმწიფოების დებულებებზე ეროვნების, მოქალაქეობის, ან ნატურალიზაციის შესახებ, *იმ პირობით, რომ ამგვარი დებულებები არ ახდენს რომელიმე კონკრეტული ეროვნების დისკრიმინაციას*“.⁴⁹⁸

ასე რომ, ინდივიდუალური უფლებების კუთხით, მოქალაქეობის მინიჭების როგორც დაკისრება (იხ. ზემოთ), ისე დისკრიმინაციული უარი მოქალაქეობის მინიჭებაზე უკანონოა საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

6. კოლექტიური ნატურალიზაცია (ინდივიდუალური განცხადების გარეშე)

კოლექტიური ნატურალიზაცია არის მოქალაქეობის მინიჭება ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე დაინტერესებული პირის ინდივიდუალური განცხადების გარეშე. ზოგჯერ, სახელმწიფოები კოლექტიური გზით კანონის შესაბამისად (*ex lege*) საკუთარ მოქალაქეობას თავს ახვევდნენ პირებს, რომლებიც გარკვეული დროით ცხოვრობდნენ მათ ტერიტორიაზე, მიწის მფლობელ პირებს, ანადგილობრივად მცხოვრებზე დაქორწინების ამ ადგილობრივი მცხოვრები შვილების ყოლის შემთხვევაში.

ა) მოთხოვნა უარის თქმის უფლების შესახებ

კოლექტიური ნატურალიზაციის აქტები შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო სამართალთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ახალი მოქალაქეობის „მიმღები პირის მხრიდან ნებაყოფლობის ელემენტი,“ იმავდროულად ახალი მოქალაქეობა „არ

⁴⁹⁷ რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CERD), 7 მარტი 1966, გაეროს დოკ. A/6014 (1966), 660 გაეროს ხელშეკრულებების სერიები (UNTS) 195.

⁴⁹⁸ მსგავსად, ევროპული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ 197, მუხლი 5, კრძალავს დისკრიმინაციას მოქალაქეობის საკითხებში: მუხლი 5 (1): „მონაწილე სახელმწიფოს წესები მოქალაქეობის შესახებ არ უნდა შეიცავდეს განსხვავებებს ან რაიმე სახის პრაქტიკას, რომელიც მიდის დისკრიმინაციამდე სქესის, რელიგიის, რასის, ფერის ან ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით“. რუსეთი და საქართველო არ არიან კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები.

უნდა იყოს მინიჭებული პირის სურვილის გარეშე.⁴⁹⁹ ამდენად, დაინტერესებულ პირს უყოყმანოდ უნდა ჰქონდეს განცხადებული თანხმობა, მაგ. ნატურალიზაციის შემდგომი დამტკიცებით.⁵⁰⁰ კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს ნატურალიზაციას, მოქმედებს მხოლოდ როგორც დაინტერესებული პირისთვის მიცემული წინადადება მოქალაქეობის მიღების თობაზე.⁵⁰¹

ერთი მიზეზი იმისა, რომ საერთაშორისო სამართალში კოლექტიური ნატურალიზაციის კანონიერების აღიარების ნება არ არსებობს, არის ის, რომ ეს რისკის ქვეშ აყენებს დაინტერესებული პირების მიერ დაბადებით მიღებული მოქალაქეობის ჩამორთმევას. ამით კოლექტიური ნატურალიზაციის აქტები ხელყოფენ დაინტერესებული პირების თავისუფლებასა და ღირსებას,⁵⁰² საბოლოოდ - ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას, და უკანასკნელ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვან (საკამათო) მოქალაქეობის უფლებას. ახალ მოქალაქეობასთან ერთად, პირებს ეკისრებათ ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ, მათ აქვთ სახელმწიფოს ერთგულებისა და ლოიალურობის მოვალეობა და უკიდურეს შემთხვევაში ვალდებულნი არიან წავიდნენ ომში სახელმწიფოსთვის. ამ მიზეზებით მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება საკუთარი ნატურალიზაციის თაობაზე.

ამ თვალსაზრისით, ნებისმიერ კოლექტიურ ნატურალიზაციას შეიძლება ჰქონდეს (საერთაშორისო) იურიდიული ძალა, თუ ის მოიცავს დაინტერესებული პირის უფლებას უარი თქვას შეთავაზებულ მოქალაქეობაზე.⁵⁰³ მიუხედავად ამისა, აღნიშნული წესი არ გამოიყენება ტერიტორიული ცვლილებების შემთხვევაში, როგორცაა მაგ. ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ამ სიტუაციისთვის არ არსებობს ალტერნატიული ჩვეულებითი წესი,⁵⁰⁴ და ითვლება, რომ სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს ინტერესები უპირატესია პიროვნების უფლებებზე.

ბ) კოლექტიური ნატურალიზაციის მინიჭების შემთხვევაში ცხოვრების უფლების მოთხოვნა

⁴⁹⁹ ვეისი (იხ. ზემოთ შენიშვნა 103), at 110. კოლექტიური ნატურალიზაცია, „იმ შემთხვევაში, თუ ის ასახავს საკმარის კავშირს ნატურალიზაციის სახელმწიფოსთან“, „შესაძლოა არ ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართალს - და არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება, თუკი დაინტერესებული პირი გარკვეულწილად თანახმაა“ (ჯენინგსი/უოტსი (იხ. ზემოთ შენიშვნა 95), at 874). ეს მეცნიერული განცხადება შეიძლება წაკითხულ იქნას, როგორც გულისხმობა იმისა, რომ ინდივიდუალურმა თანხმობამ შესაძლოა გამოასწოროს სხვაგვარად არარსებული კავშირი, მაგრამ შეიძლება ასევე ნიშნავდეს, რომ ორივე (კავშირი და თანხმობა) უნდა არსებობდეს კუმულაციურად.

⁵⁰⁰ ეს პრინციპი დიდი ხანია აღიარებულია სასამართლო პრაქტიკაში, ადამიანის უფლებების ეპოქამდე კი. ტრადიციული მიზეზი პიროვნების მიერ ახალი მოქალაქეობის ნებაყოფლობითი მიღების სათხოვნელად იყო არა იმდენად წუხილი პიროვნების თავისუფლებასა და არჩევანის თავისუფლებაზე, რამდენადაც მოქალაქეობის ყოფილი სახელმწიფოს წუხილი, რომელსაც ართმევდნენ საკუთარ მოქალაქეებს სხვა სახელმწიფოების მიერ განხორციელებული კოლექტიური ნატურალიზაციის აქტებით“.

⁵⁰¹ ვეისი (იხ. ზემოთ შენიშვნა 103), at 110: „კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეობის *ipso facto* მიღებას, უნდა ჩაითვალოს არა როგორც იძულებითი მინიჭება, არამედ როგორც სამართლებრივი ნორმა, რომელიც სთავაზობს ნატურალიზაციას მიღების პირობით“.

⁵⁰² Dahm/Delbrück/Wolfrum 2002 (იხ. ზემოთ შენიშვნა 8), at 49.

⁵⁰³ Dahm/Delbrück/Wolfrum 2002 (იხ. ზემოთ შენიშვნა 8), at 42.

⁵⁰⁴ იხ. ზემოთ ნაწილი ბ. II.

კოლექტიური ნატურალიზაცია, გარდა ამისა, უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფოსთან ფაქტიური კავშირის მოთხოვნას. ვინაიდან განსაზღვრების მიხედვით კოლექტიური ნატურალიზაციის აქტები მოქმედებს პიროვნებათა ჯგუფებზე, ისინი უფრო ძლიერ იჭრება იმ სახელმწიფოების ინტერესებსა და სახელმწიფოს პირად იურისდიქციაში, რომლებსაც, შეიძლება ითქვას, მოქალაქეებს „ართმევენ.“ აქედან გამომდინარე, ალბათ, კოლექტიური ნატურალიზაციის აქტებისთვის ფაქტიური კავშირი პიროვნებათა აღნიშნულ ჯგუფებსა და ნატურალიზაციის სახელმწიფოს შორის უნდა ყოფილიყო უფრო მჭიდრო, ვიდრე ინდივიდუალური ნატურალიზაციის აქტების შემთხვევაში. მხოლოდ დროებითი ცხოვრება სახელმწიფოში, უძრავი ქონების ფლობა, ან პროფესიული საქმიანობა არ იქნებოდა საკმარისი. ამიტომ კოლექტიური ნატურალიზაციის კანონი, რომელიც დაემყარებოდა მხოლოდ ასეთ სუსტ ფაქტორებს, იქნებოდა უკანონო საერთაშორისო სამართლის კონტექსტში.

ამ მიზეზებმა განაპირობეს საერთაშორისო სამართლის ძირითადი წესი: იმ პირების კოლექტიური (ე.ი. კანონის შესაბამისი, *ex lege*) ნატურალიზაცია, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ, როგორც ჩანს, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.⁵⁰⁵

ნიმუში კანონისა „რომელიც ახდენს ნატურალიზაციას „ყველა იმ პირის, ვინც ცხოვრობს ტერიტორიის გარეთ, მაგრამ მისი საზღვრიდან 500 მილის ფარგლებში“, პოლ ვეისმა განსაზღვრა, როგორც „შეუსაბამო საერთაშორისო სამართალთან [...]: ის მიზნად ისახავს სხვა სახელმწიფოებისთვის მათი არაერთი მოქალაქის ჩამორთმევას, არაერთი საკუთარი სუბიექტის დაცვის უფლების ჩამორთმევას. ის წარმოადგენს ამ სახელმწიფოების პირად იურისდიქციაში შეჭრას და უნდა ჩაითვალოს, თუ ის გავლენას ახდენს მოქალაქეების მნიშვნელოვან რაოდენობაზე, მოქალაქეობის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ არაკეთილგანწყობილ, ან თუნდაც მტრულ ქმედებად, რომელიც შეიძლება შედარდეს სახელმწიფოს ტერიტორიული იურისდიქციის დარღვევას: ის წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობიანი ურთიერთობებისთვის და ამის გამო უკანონოა.“⁵⁰⁶

II. პრინციპების მისადაგება ფაქტებთან

1. აფხაზური და ოსური „მოქალაქეობის“ მინიჭება სეპარატისტული ტერიტორიების მაცხოვრებლებისათვის

⁵⁰⁵ უფრო მეტიც, კოლექტიური ნატურალიზაციის აქტები, განხორციელებული იძულებით დაპყრობილ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე, არღვევს ანექსიის საერთაშორისო კანონიერ აკრძალვას (Dahm/Delbrück/Wolfrum 2002 (იხ. ზემოთ შენიშვნა 8), at 52).

⁵⁰⁶ ვეისი (იხ. ზემოთ შენიშვნა 103), at 112, ეხება ასევე გვ. 102-ს.

როგორც აფხაზეთმა, ისე სამხრეთ ოსეთმა მიიღეს კანონები მოქალაქეობის შესახებ და მიანიჭეს საკუთარი „მოქალაქეობა“ ტერიტორიაზე მცხოვრებთ.⁵⁰⁷ სხვადასხვა წყაროს მიხედვით, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრები ადამიანები არაერთ შემთხვევაში იძულებულნი იყვნენ მიეღოთ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის „მოქალაქეობა.“⁵⁰⁸

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, არაღიარებული სახელმწიფოების, სახელმწიფოსმაგვარი ერთეულებისა და სახელმწიფოების არმქონე ერთეულების მიერ მინიჭებული მოქალაქეობა შეიძლება უგულვებელყოფილი იყოს იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც ამ ერთეულებს სახელმწიფოებად არ ცნობენ.⁵⁰⁹

წინამდებარე ანგარიშის დაწერის დროს ეს იმას ნიშნავს, რომ სამხრეთ ოსური და აფხაზეთური „მოქალაქეობა“ შეიძლება უგულვებელყოფილი იყოს ყველა სახელმწიფოს მიერ რუსეთისა და ნიკარაგუას გარდა.

2. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ნატურალიზაცია რუსეთის მიერ

ა) ნატურალიზაცია მოქალაქეობის შესახებ რუსეთის კანონის საფუძველზე

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება პირველ რიგში უნდა შეფასდეს რუსეთის კანონმდებლობის საფუძველზე.

1992 წლის 6 თებერვლიდან 2002 წლის 1 ივლისამდე რუსეთის მოქალაქეობა მიღებული იქნა 1991 წლის მოქალაქეობის კანონის (ძალაში შევიდა 1992 წლის 6 თებერვალს), მისი 1993 და 1995 წლების შესწორებების, საფუძველზე.⁵¹⁰ 1991 წლის კანონის მე-13 მუხლი ითვალისწინებდა მოქალაქეობის არჩევის უფლებას რუსეთის ტერიტორიაზე 1992 წლის 6 თებერვლიდან მუდმივად მცხოვრები პირებისთვის (1991

⁵⁰⁷ სამხრეთ ოსეთის 2001 წლის 8 აპრილის კონსტიტუციის მე-16 მუხლი (იხ. ზემოთ შენიშვნა 33) განასზღვრავს: „(1) სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს საკუთარი მოქალაქეობა. (2) სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა“. აფხაზეთის 1994 წლის 26 ნოემბრის კონსტიტუცია არ შეიცავს რაიმე დებულებას მოქალაქეობის შესახებ. აფხაზეთის 2005 წლის 24 ოქტომბრის კანონი მოქალაქეობის შესახებ, მუხლი 6, განსაზღვრავს, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეს ასევე აქვს უფლება მიიღოს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა.

⁵⁰⁸ იხ. თავი მე-7 „საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონი და ადამიანის უფლებათა კანონი“.

⁵⁰⁹ ჯენინგსი/უოტსი (იხ. ზემოთ შენიშვნა 95), at 854 სქოლიოს კომენტარი 14: „მოქალაქეობა, რომელიც მიეკუთვნება არაღიარებულ 'სახელმწიფოს', არ არის ნამდვილი მოქალაქეობა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, და არ უნდა იყოს აღიარებული სხვა სახელმწიფოების მიერ“. ახალი ზელანდიის სააპელაციო სასამართლოს სახელმწიფოს პრაქტიკა, *Walter James Hunt v The Hon. Sir Arthur Hamilton Gordon*, 1884 წლის 6 მარტის მოსმენა, ახალი ზელანდიის სამართლებრივი ანგარიშები, ტომი 2 (1884), 160, at 198-204.

⁵¹⁰ რუსეთის ფედერაციის კანონი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ, # 1948-I, 1991 წლის 28 ნოემბრის (1993 წლის 17 ივნისის და 1995 წლის 6 თებერვლის შესწორებების მიხედვით); პირველი ვერსია არის Ved. RSFSR-ში, 1992 # 6, პუნქტი 243, ინგლისური თარგმანი *ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართალში*, 19 (1993), 293-318.

წლის კანონის ძალაში შესვლის თარიღი).⁵¹¹ 1991 წლის კანონის მე-18 მუხლი ითვალისწინებდა რუსეთის მოქალაქეობის მიღებას რეგისტრაციის გზით. რეგისტრაციის პროცედურა ღია იყო სხვადასხვა ჯგუფის პირებისთვის.⁵¹² ადამიანთა ერთადერთი ჯგუფი, რომელიც არ ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, და რომელსაც შეეძლო რუსეთის მოქალაქეობის მიღება რეგისტრაციის გზით, იყვნენ მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ყოფილ საბჭოთა კავშირში შეძვალა სხვა რესპუბლიკების ტერიტორიებზე. მათ რეგისტრაცია უნდა გაეკეთებინათ 1993 წლის 6 თებერვლამდე. ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს, რომლებიც იქ მუდმივად ცხოვრობდნენ და არ გადასახლდნენ რუსეთის ფედერაციაში, შეეძლოთ რუსეთის მოქალაქეობის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იყვნენ რუსული წარმოშობის ან თუ არ ჰქონდათ მოქალაქეობა. ისინი ჩათვლილიც რომ ყოფილიყვნენ მოქალაქეობის არმქონედ მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე 1993 წლის 25 მარტს, ისინი ვალდებული იქნებოდნენ გაეკეთებინათ რეგისტრაცია, როგორც რუსებს 1993 წლის თებერვლამდე. მისიას არა აქვს მონაცემები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ რუსეთის ფედერაციაში. სავარაუდოდ, ზემოხსენებულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ მხოლოდ მცხოვრებთა მარგინალური ჯგუფები.

რუსეთის ფედერაციის აქტიური „პასპორტიზაციის“ პოლიტიკა დაიწყო მხოლოდ ახალი საუკუნის დასაწყისში. 2002 წლის ივლისის შემდეგ, გამოიყენება 2002 წლის ახალი რუსული კანონი მოქალაქეობის შესახებ.⁵¹³ რუსეთის მოქალაქეობის მეორადი მიღება (დაბადებით მიღებულისგან განსხვავებით) უცხოელი მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის რეგულირდება ამ კანონის მე-13 და მე-14 მუხლებით. რუსეთის მოქალაქედ დაშვების ნორმალური პროცედურით, აუცილებელი მოთხოვნაა რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრება ხუთი წლის განმავლობაში (მუხლი 13(1) (ა)). რუსეთის ტერიტორიაზე დაყოვნების ხანგრძლივობა შეიძლება შემცირებულ იქნას ერთ წლამდე განსაკუთრებულ შემთხვევაში, მაგ. მაღალკვალიფიციური პროფესიონალებისთვის.⁵¹⁴

⁵¹¹ იხ. ზიემელე(შენიშვნა 89 ზემოთ) 178-79.

⁵¹² ის ღია იყო რუსული წარმომავლობის პირებისთვის, ყოფილი სსრკ-ს იმ მოქალაქეების შემდეგ, რომლებიც ცხოვრობდნენ რომელიმე ყოფილი რესპუბლიკის ტერიტორიაზე და შევიდნენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე 1992 წლის 6 თებერვლის შემდეგ, (აქ რეგისტრაცია შესაძლებელი იყო 2000 წლის 31 დეკემბრამდე). უკანასკნელი ჯგუფები იყვნენ მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ყოფილი სსრკ-ს სხვა რესპუბლიკების ტერიტორიაზე; მათ შეეძლოთ რეგისტრაცია 1993 წლის 6 თებერვლამდე.

⁵¹³ 2002 წლის მაისის ფედერალური კანონი #No. 62-FZ, მიღებული სახელმწიფო დუმის მიერ 2002 წლის 19 აპრილს, დამტკიცებული ფედერაციის საბჭოს მიერ 2002 წლის 15 მაისს, შესწორებები და დამატებები შეტანილი 2003 წლის 11 ნოემბერს და 2004 წლის 2 ნოემბერს (რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო აქტები (Sobranie Zakonodatel'stva Rossijskoj Federacij)) 2002, #. 22, გვ. 2031;2003, #. 46, გვ. 4447). მესამე შესწორება დამტკიცდა კანონად პრეზიდენტის მიერ 2006 წლის იანვარში, ოფიციალური გამოქვეყნება 2006 წლის 3 იანვარს (და 2007 წლის 11 იანვარს), ხელმისაწვდომია კანადის საემიგრაციო და ლტოლვილთა საბჭოში, რუსეთ: რუსეთის მოქალაქეობის კანონი დამტკიცდა კანონად პრეზიდენტის მიერ 2006 წლის იანვარში, 2007 წლის 1 მარტს. RUS102357.E. Online.

UNHCR Refworld, ხელმისაწვდომია შემდეგ საიტზე: <http://www.unhcr.org/refworld/docid/46fa5381c.html> [ხელმისაწვდომი 2009 წლის 8 მაისს].

⁵¹⁴ 2002 წლის 31 მაისის აქტის მუხლი 13 (2) (იხ. ზემოთ შენიშვნა 143).

რუსეთის მოქალაქედ მიღება გამარტივებული პროცედურით რეგულირდება მე-14 მუხლში. ეს გამარტივებული პროცედურა ეხება მოქალაქეთა მთელ რიგ საკმაოდ დიდ ჯგუფებს.⁵¹⁵ ის შეიცავს პუნქტ 4-ს, რომლის მიხედვით უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც იყვნენ სსრკ-ს ყოფილი მოქალაქეები, იღებენ რუსულ მოქალაქეობას გამარტივებული პროცედურის საშუალებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ არ მოეთხოვებათ ხუთი წლის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრება, მათ არ მოეთხოვებათ საკმარისი საარსებო საშუალების ფლობა, როგორც ეს კანონშია განსაზღვრული, მათ ასევე არ მოეთხოვებათ რუსული ენის შესწავლა.⁵¹⁶ ზოგიერთი სხვა პროცედურული მოთხოვნა რჩება, მაგ. ყოფილი მოქალაქეობის სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი მიმართვის აუცილებლობა ყოფილ მოქალაქეობაზე უარის განაცხადით. ეს არ არის აუცილებელი, თუ სხვა მოქალაქეობაზე უარის თქმა შეუძლებელია პირისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

გარუსების სურვილი მკაფიოდ უნდა იყოს გამოხატული. გამუდმებით ხდებოდა ამ ვარიანტის ვადების გაზრდა. უკანასკნელი შესწორების მიხედვით, სურვილი გამოხატული უნდა იყოს 2009 წლის 1 ივლისამდე.⁵¹⁷

ამ გამარტივებული პროცედურის გამოყენების წინაპირობა ჩადებულია შემდეგ ორაზროვან დებულებაში:

„უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც იყვნენ სსრკ-ს მოქალაქეები, და რომლებიც ჩამოვიდნენ რუსეთის ფედერაციაში ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, რეგისტრირებულებს საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე რუსეთის ფედერაციაში 2002 წლის 1 ივლისისთვის, ან რომლებმაც მიიღეს რუსეთის ფედერაციაში დროებითი ბინადრობის უფლება ან რუსეთის ფედერაციაში ცხოვრების უფლება უნდა მიენიჭოს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა გამარტივებული პროცედურის გზით ამ ფედერალური კანონის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილის 'ა', 'გ' და 'ე' პუნქტების დებულებების მიუხედავად, თუ 2009 წლის 1 ივლისამდე ისინი განაცხადებენ საკუთარ სურვილს რუსეთის ფედერაციის მოქალაქედ გახდომის შესახებ“.⁵¹⁸

⁵¹⁵ ეს ეხება, მაგ. იმ პირებს, რომლებსაც ერთი მშობელი მაინც ჰყავთ რუსეთში მცხოვრები რუსი (cl. 1 lit. a)), ყოფილი სსრკ-ს მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ რომელიმე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში და ახლა მოქალაქეობა არა აქვთ (cl. 1 lit. b)), ასევე იმ პირებს, რომლებმაც მიიღეს უმაღლესი განათლება რუსეთში 2002 წლის 1 ივლისის შემდეგ (cl. 1 lit. c)).; რსფსრ-ს ტერიტორიაზე დაბადებულ პირებს, რომლებიც იყვნენ სსრკ-ს ყოფილი მოქალაქეები (cl. 2 lit. a)); რუსეთის მოქალაქეზე დაქორწინებულ პირებს (cl. 2 lit. b)); ინვალიდებს რუსი ბავშვით (cl. 2 lit. c)). მათ ყველას შუძლიათ მოითხოვონ მათთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება.

⁵¹⁶ ეს პირობები მოცემულია კანონის მე-13 მუხლში და შეიძლება უარყოფილი იყოს გამარტივებული პროცედურის შემთხვევაში.

⁵¹⁷ ამ კანონის ბოლო ვერსიაში მითითებულია თარიღი 2009 წლის 28 ივნისი.

⁵¹⁸ რუსულ ორიგინალში: «Иностранные граждане или лица без гражданства, имевшие гражданство СССР, прибывшие в Российскую Федерацию из государств, входивших в состав СССР, и зарегистрированные по месту жительства в Российской Федерации по состоянию на 1 июля 2002 года, либо получившие разрешение на временное проживание в Российской Федерации или вид на жительство, принимаются в гражданство Российской Федерации в упрощенном порядке без соблюдения условий, предусмотренных пунктами «а», «в» и «д» части первой статьи 13 настоящего федерального закона, если они до 1 января 2008 года заявят о своем желании приобрести гражданство Российской Федерации».

ფრაზა „რომლებიც ჩამოვიდნენ რუსეთის ფედერაციაში ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან“ (прибывшие в Российскую Федерацию из государств, входивших в состав СССР), შეიძლება წაკითხული იყოს, როგორც ყველანაირი სახის ნატურალიზაციის პირობა. ამ შემთხვევაში ექსტრატერიტორიული ნატურალიზაციის აქტები იქნება გამორიცხული; სულ მცირე, არ იქნება რუსეთის მოქალაქეობად გახდომის შესაძლებლობა რუსეთის ფედერაციაში შესვლის გარეშე (შემდგომ რუსეთის ფედერაციის დატოვების შემთხვევაშიც კი). განსხვავებულად შეიძლება მეორე ალტერნატივის წაკითხვა „ან რომლებმაც მიიღეს რუსეთის ფედერაციაში დროებითი ბინადრობის უფლება ან რუსეთის ფედერაციაში ცხოვრების უფლება“ (либо получившие разрешение на временное проживание в Российской Федерации или вид на жительство) გაგება, როგორც დამოუკიდებელი და თავისთავად საკმარისი პირობისა რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად.

არც ერთი სხვა ალტერნატივა რუსეთის მოქალაქეობის მისანიჭებლად⁵¹⁹ არ იწვევს შემფოთებას საერთაშორისო სამართლის კუთხით. მაგრამ როგორც ჩანს, სწორედ ეს კონკრეტული ალტერნატივა გამოიყენება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა უმრავლესობის ნატურალიზაციისთვის.

ბ) ნატურალიზაციის შესაბამისობა საერთაშორისო სამართალთან

ამ დებულების უფრო ფართო გაგებით, ექსტრატერიტორიული ნატურალიზაციის აქტები კანონიერია რუსეთის კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, არსებობს პრეზუმფცია, რომ სხვა სახელმწიფოები ვალდებულნი იქნებიან მიიღონ ისინი, როგორც კანონიერი. თუმცა ეს პრეზუმფცია შეიძლება ანულირებული იყოს, თუ მოქალაქეობის მინიჭება არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლის მინიმალურ მოთხოვნებს და ამგვარად, „გადაჭარბებულია.“

i) ნებაყოფლობითი ხასიათი

პირველი კითხვა შემდეგია: იყო თუ არა რუსეთის მოქალაქეობის მიღება ნებაყოფლობითი, თუ ის თავს მოხვეული იყო მუქარის ან ძალის გამოყენების საშუალებით. შეიძლება იმაზე კამათი, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბევრ მცხოვრებს არ ჰქონდა არჩევანის უფლება შეიარაღებული კონფლიქტების შემდეგ 1990-იანი წლების დასაწყისში და სეპარატისტული ტერიტორიების გამოყოფის პროცესში. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის ფედერაციამ შემოიღო სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისთვის, რაც ძალაში შევიდა 2000 წლის 5 დეკემბერს საქართველოს სურვილის წინააღმდეგ.⁵²⁰ მან ეს გააკეთა დსთ-ს ქვეყნების მოქალაქეთა

⁵¹⁹ მაგ. თუ დაინტერესებული პირები დაიბადნენ რუსეთის ფედერაციაში ან იმყოფებიან ქორწინებაში რუსეთის მოქალაქესთან მინიმუმ სამი წლის განმავლობაში (მუხლი 14, პარაგრაფი 3).

⁵²⁰ იხ. საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 24 ნოემბრის დადგენილება სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ რუსეთსა და საქართველოს შორის, საქართველოს პარლამენტის არქივი,

წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე თავისუფალი უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულების (დადებული 1992 წლის 9 ოქტომბერს) დენონსირებით 2000 წლის 30 აგვისტოს. განხორციელდა რუსეთს გეგმა ამ რეგულაციებიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა განთავსების თაობაზე. ევროკავშირის პარლამენტმა მკვეთრი პროტესტი გამოხატა ამ პოლიტიკის წინააღმდეგ.⁵²¹

პოლიტიკური თვალსაზრისით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის რუსეთის პოლიტიკა ძალიან მისაღები იყო, რადგან ეს პოლიტიკა მათ საქართველოს აშორებდა. სეპარატისტული ტერიტორიების მცხოვრებლებს ჰქონდათ ეკონომიკური და ადმინისტრაციული მიზეზები რუსეთის მიერ შეთავაზებული პასპორტების მისაღებად, რათა თავიდან აეცილებინათ სავიზო პროცედურები. და მაინც, ეს არ ქმნიდა არჩევანის არარსებობის სიტუაციას, რომელშიც ეკონომიკურ ზეწოლას იგივე შედეგი ექნებოდა, რაც მუქარას და ძალის გამოყენებას. საქართველოს მტკიცებით, ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანებს აიძულებდნენ რუსეთის მოქალაქეობის მიღებას, მაგ. „სადამჯელო გადასახადების“ ან გასახლების მუქარით.

სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში მცხოვრებთა მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების სხვა მოტივები, როგორც ჩანს, იყო რუსეთის პენსიის მიღება,⁵²² და საზღვარგარეთ მოგზაურობის საშუალება.⁵²³ მომდევნო სარგებელი უკავშირდება სამედიცინო მომსახურებას და განათლებას, ასევე ევროკავშირისა და რუსეთს შორის გამარტივებული სავიზო პროგრამით სარგებლობის პრივილეგიას. ასეთი სტიმულები არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, როგორც ეს ზემოთ არის განმარტებული (ნაწილი ბ.1.1.).

ამდენად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება 2008 წლის აგვისტომდე, ძირითადად, ნებაყოფლობით საფუძველზე განხორციელდა.

ii) ფაქტიური კავშირი

ინდივიდუალური ნატურალიზაციის საერთაშორისო კანონიერების მეორე პირობაა ფაქტიური კავშირი იმ ადამიანს, ვისაც ახალი მოქალაქეობა მიენიჭა, და მისი მოქალაქეობის მიმნიჭებელ სახელმწიფოს შორის.

http://www.rrc.ge/law/Statem_2000_11_24_e.htm?lawid=626&lng_3=en

⁵²¹ ევროპარლამენტის რეზოლუცია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის თავს მოხვევის შესახებ, 2001 წლის 18 იანვარი,

http://www.europarl.europa.eu/intcoop/euro/pcc/aag/pcc_meeting/resolutions/2001_01_18.pdf

⁵²² ეუთო-ს ადამიანის უფლებების დამხმარე მისიის მიხედვით, „ხანდაზმულ აფხაზებს რუსული პასპორტებით, ინფორმაციის მიხედვით, უფლება აქვთ მიიღონ 1600 რუბლის ოდენობის პენსია, შედარებით აფხაზეთის მთავრობის მიერ შეთავაზებულ 100 რუბლთან“. (დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შეფასების მისია, ეუთო, ადამიანის უფლებები ომით დაზარალებულ ტერიტორიებზე კონფლიქტის შემდეგ საქართველოში, 2008 წლის 27 ნოემბერი, at 67).

⁵²³ წყარო: ნატოს საპარლამენტო ასამბლეა, 2005 წლის ყოველწლიური სესია, <http://www.nato-pa.int/default.asp?SHORTCUT=683>).

თუკი რუსეთის მოქალაქეობის კანონის მე-14 მუხლის მე-4 პარაგრაფი ინტერპრეტირებულია იმგვარად, რომ არ მოითხოვს რუსეთში ცხოვრებას, მაშინ ერთადერთი იურიდიული წინაპირობა რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად იქნებოდა წარსულში საბჭოთა მოქალაქეობა და დროებითი საცხოვრებელი ნებართვა.

ყოფილი საბჭოთა მოქალაქეობა არ შეიძლება, მიღებული იყოს, როგორც საკმარისი ფაქტიური კავშირი. მიუხედავად იმისა, თუ რა კვალიფიკაცია მიეცა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესს - დანაწევრება თუ სახელმწიფოების გამოყოფა, რუსეთი არ არის საბჭოთა კავშირის იდენტური, როგორც სახელმწიფო და როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ამიტომ სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკაში მცხოვრებ მოქალაქეებს შორის საბჭოთა მოქალაქეობით შემქნილი კავშირი 1991 წელს საბოლოოდ დაიშალა. მოქალაქეობის ახალი კანონების საფუძველზე, ყველა ყოფილმა საბჭოთა მოქალაქემ თავიდან განსაზღვრა საკუთარი სტატუსი და გადაწყვიტა, თუ დსთ-ს რომელ სახელმწიფოს უნდონდათ, რომ მიკუთვნებოდა. ხოლო რუსეთის მოქალაქეობა „ყოფილ მოქალაქეობადაც“ რომ ჩათვლილიყო, ის მისაღები იქნებოდა მხოლოდ საკმარისი ფაქტიური კავშირის არსებობისას, თუკი პიროვნება ისევ რუსეთში ცხოვრებას გადაწყვეტდა.⁵²⁴

ის ფაქტი, რომ დაინტერესებულ პირებს მიღებული უნდა ჰქონდეთ დროებითი ცხოვრების ნებართვა, ასევე არ ქმნის რეალურ კავშირს, რადგან ასეთი ნებართვა შეიძლება გაცემული იყოს თვითნებურად რაიმე შემდგომი წინაპირობების გარეშე.

რუსეთის კანონი მოქალაქეობის შესახებ არ განსაზღვრავს რაიმე დამატებით კრიტერიუმს. საერთო ეთნიკურობა შესაძლოა შეესაბამებოდეს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობასთან დაკავშირებით, მაგრამ არა აფხაზ მოსახლეობას. მიუხედავად ამისა, ეთნიკურობა ძალიან პრობლემური კრიტერიუმია, რადგან უმცირესობების დაცვა განიხილება იმ სახელმწიფოს მოვალეობად, სადაც ეს უმცირესობა ცხოვრობს. ნათესავი-უმცირესობების დაცვის ცალმხრივი ზომებიც კი მისაღებია მხოლოდ შეზღუდული პირობების საფუძველზე.⁵²⁵ ეს კი ნიშნავს, რომ რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის გარეთ მცხოვრები პირებისთვის მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საბჭოთა კავშირის მოქალაქეები იყვნენ და მიიღეს დროებითი ცხოვრების ნებართვა, არ აკმაყოფილებს პიროვნებასა და რუსეთს შორის ფაქტიური კავშირის მინიმალურ მოთხოვნას.

⁵²⁴ Dahm/Delbrück/Wolfrum 2002 (იხ. ზემოთ შენიშვნა 8), at 51.

⁵²⁵ ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონმდებლობის საშუალებით (ვენეციის კომისია), ანგარიში ეროვნული უმცირესობების უპირატესობითი მოპყრობის შესახებ მათი მშობლიური სახელმწიფოს მიერ, მიღებული ვენეციის კომისიის მიერ მის მე-4 პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 2001 წლის 19-20 ოქტომბერი), Doc. CDL-INF (2001) E.

III. რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეების ფართომასშტაბიანი ექსტრატერიტორიული ნატურალიზაციის უკანონობა

„პასპორტიზაციის“ პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მოქალაქეებისთვის სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მინიჭებას საკმარისი ფაქტიური კავშირების გარეშე, განსაკუთრებით თუ ეს ფართო მასშტაბებით ხორციელდება, არღვევს, პირველ რიგში, ექსტრატერიტორიული კოლექტიური ნატურალიზაციის კონკრეტულ აკრძალვას, და, გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლის რამდენიმე ზოგად პრინციპს. ამგვარად, ეს პოლიტიკა არ შეესაბამება საერთაშორისო სამართალს.

1. ექსტრატერიტორიული კოლექტიური ნატურალიზაციის აკრძალვის დარღვევა

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ნატურალიზაციის განმახორციელებელი ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მაცხოვრებელი სხვა ქვეყნის მოქალაქეების კოლექტიური ნატურალიზაცია მკაფიოდ აკრძალულია საერთაშორისო სამართლის სპეციალური წესით.

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მაცხოვრებელთა ნატურალიზაცია არ წარმოადგენს კოლექტიურ ნატურალიზაციას ფორმალური თვალსაზრისით. ისინი მოქმედებენ ინდივიდუალური განაცხადებით და არა *ex lege* (კოლექტიურად). თუმცა პროცედურები გამარტივებულია. პრაქტიკული თვალსაზრისით, ნატურალიზაცია წარმოადგენს მასობრივ ფენომენს. კითხვა იმაში მდგომარეობს, შეიძლება თუ არა მისი გატოლება აკრძალულ ექსტრატერიტორიულ ნატურალიზაციასთან. ამ შემთხვევაში იგი შეიძლება იყოს კვალიფიცირებული როგორც რუსეთის ფარგლებს გარეთ მაცხოვრებელი პირების *დე-ფაქტო* კოლექტიური ნატურალიზაცია, რაც უნდა მოექცეს ზემოთ აღნიშნულ საერთაშორისო სამართლებრივი აკრძალვის ქვეშ.

შეფასებაში უტოლდება თუ არა ფართომასშტაბიანი გამარტივებული ექსტრატერიტორიული ნატურალიზაცია *დე-ფაქტო* კოლექტიურ ნატურალიზაციას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ზემოთ განმარტებული ინტერესების ან ფასეულობების ორი ერთობლიობა: საქართველოს ინტერესები (სახელმწიფოებრიობა, ტერიტორიული და პიროვნული სუვერენიტეტი) და დაზარალებული ინდივიდების ინტერესები (პირადი ცხოვრების და ეროვნების ხელშეუხებლობის და პიროვნების ღირსების და ადამიანთა უფლებები).

რაოდენობის კრიტერიუმში: საქართველოს ინტერესებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია დაზარალებულ ადამიანთა რაოდენობა. რაოდენობის გათვალისწინებით, ნატურალიზაციის შემთხვევებს იგივე ზემოქმედება აქვთ, რაც კოლექტიურ ნატურალიზაციას, რადგან ამ ტერიტორიებზე მოსახლეობათა უდიდესი უმრავლესობა რუსები გახდნენ.

თანხმობის კრიტერიუმი: დაზარალებული პირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მათი უფლებები და ინტერესები. კოლექტიური (*ex lege*) ნატურალიზაცია ხასიათდება თანხმობის არარსებობით. ინდივიდუალურ თანხმობაზე, როგორც გადამწყვეტ კრიტერიუმზე აქცენტირება ნიშნავს, რომ ნატურალიზაცია ინდივიდუალური განაცხადების საფუძველზე ვერ ჩაითვლება კოლექტიურ ნატურალიზაციასთან გატოლებულად. ამ თვალსაზრისით, სამხრეთ ოსი და აფხაზი მაცხოვრებლების ნატურალიზაცია კანონიერია, რადგან მათი თანხმობა არის თავისუფალი და გათვინობიერებული.

ასეთ სიტუაციაში, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა ინტერესები და საქართველოს ინტერესები ერთმანეთთან კონფლიქტშია. ამჯერად კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ რომელი კრიტერიუმია გადამწყვეტი. არის პიროვნების თავისუფალი გადაწყვეტილება, რომ შეიცვალოს მოქალაქეობა, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე საქართველოზე საზიანო ზემოქმედება? სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეიძლება თუ არა მათი თანხმობა აღემატებოდეს, მის საპირისპიროდ, სახელმწიფოს სუვერენულობისა და იურისდიქციის ფასეულობებს?

პასუხი დამოკიდებულია საერთაშორისო სამართალში ამ წინააღმდეგობრივი ცნებებისთვის მინიჭებულ პრიორიტეტებზე. როგორც უკვე იქნა განმარტებულ საერთაშორისო სამართალი გარკვევით არ აღიარებს ადამიანთა უფლებას მოქალაქეობის შეცვლასთან დაკავშირებით. თუმცა, ასეთი უფლების მხედველობაში მიღებითაც, იგი შეზღუდვებს ექვემდებარება.

მთლიანობაში, მოქალაქეობასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი წესები, როგორც ჩანს, მაღალ ღირებულებას ანიჭებს სახელმწიფოთა ინტერესებს, რადგან ისინი შედგებიან მოქალაქეებისგან. ამიტომ სამართლიანად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ ფართომასშტაბიანი ნატურალიზაციის უკანონობის შემადგენელ გადამწყვეტ ელემენტს წარმოადგენს დაზარალებული პირების რაოდენობა და აქედან გამომდინარე მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირება.

ამ კუთხით, მოქალაქეობასთან დაკავშირებულ მოწინავე სამეცნიერო ტრაქტატში 1979 წ. ნათქვამია: „საერთაშორისო სამართალში უწინარეს ყოვლისა მხედველობაში მიიღება არა იმ პირის თავისუფლება, რომლის მოქალაქეობაც განიხილება, არამედ იმ სახელმწიფოს უფლებები, რომლის მოქალაქესაც იგი წარმოადგენს.“⁵²⁶ შესაძლოა ამ დროის განმავლობაში საერთაშორისო სამართლის ნორმატიულმა საფუძველემ გადინაცვლა ინდივიდისადმი მეტი პატივისცემისაკენ. და მაინც, მოქალაქეობა ძირითადად ეხება მის სახელმწიფოსაც. საერთაშორისო სამართალი არ ცნობს

⁵²⁶ვაისი (იხ. ზემოთ შენიშვნა 103), გვ. 112.

შეუზღუდავ ინდივიდუალიზმს მოქალაქეობის არჩევასთან დაკავშირებით. დაზარალებული სახელმწიფოს ინტერესები, განსაკუთრებით თუ მას დიდი რაოდენობით ჩამოერთმევა საკუთარი სტრუქტურული ელემენტის დიდი ნაწილები, მისი ხალხი, როგორც ჩანს გადაწონის ინდივიდის ინტერესებს.

ამ მიმართულებით, ზემოთ ციტირებული ავტორი წერდა: „სახელმწიფოს დამოუკიდებლობის უფლების მნიშვნელობის გადაფარვის თვალსაზრისით, შესაბამისი პირების მიერ შესაძლო ავტომატური მიღებაც კი არარელევანტური იქნებოდა.“⁵²⁷ შესაძლოა, შესაბამისი პირების მიერ აშკარად მიღებაც კი მართებული არ იქნებოდა. ამგვარად, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მაცხოვრებლების ნატურალიზაცია, თუ იგი მასობრივ ფენომენს წარმოადგენს, შეიძლება გაუტოლდეს უცხო სახელმწიფოების მაცხოვრებლების ასეთ ფორმალურად კოლექტიურ (*ex lege*) ნატურალიზაციას, რომელიც მიმდინარეობს ინდივიდუალური განაცხადების გარეშე.

დასკვნა: სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მაცხოვრებლების ფართომასშტაბიანი ნატურალიზაცია, რომელსაც რუსეთთან არავითარი ფაქტიური კავშირი არა აქვს, უნდა გაუტოლდეს ე.წ. უცხოელი მაცხოვრებლების კოლექტიურ (*ex lege*) ნატურალიზაციას. ამიტომ იგი უკვე იკრძალება კოლექტიური ექსტრატერიტორიული ნატურალიზაციის სპეციალური საერთაშორისო სამართლებრივი აკრძალვით.

გარდა ამისა, როგორც ჩანს, ფართომასშტაბიანი ნატურალიზაციით დარღვეულია ზოგადი პრინციპები, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

2. პირებზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელების დარღვევა

სუვერენიტეტის ერთერთი კომპონენტია სუვერენული სახელმწიფოს იურისდიქცია პირებზე. საქართველოს მოქალაქეების ფართომასშტაბიანი ნატურალიზაცია საფრთხეს უქმნის საქართველოს პირად იურისდიქციას, და ამდენად ზიანს აყენებს საქართველოს სუვერენიტეტსაც.

ამ მხრივ, მოყვანილი იყო არგუმენტი რომ „სხვა სახელმწიფოს მოქალაქისთვის საკუთარი მოქალაქეობის მიცემით, ნატურალიზაციის განმახორციელებელი სახელმწიფო მიზნად ისახავს სხვა სახელმწიფოსთვის დაცვის უფლების ჩამორთმევას.“⁵²⁸ რა თქმა უნდა, სახელმწიფოს უფლება, რომ დაიცვას საკუთარი მოქალაქეები მისი სუვერენობის ტრადიციულ პრეროგატივას წარმოადგენს. შეიძლება ასეთი არგუმენტის წამოყენება, რომ იმ საფუძველზე, რომ სახელმწიფოები თვითმიზანს არ წარმოადგენენ, მათ მიერ მოქალაქეებისთვის შეთავაზებული დაცვა სახელმწიფოს უფლებას კი არა, მოვალეობას წარმოადგენს. თუმცა განხილვის ქვეშ მყოფი

⁵²⁷ იქვე, გვ. 113

⁵²⁸ ვაისი 1979 (შენიშვნა 103) გვ. 101

წინააღმდეგობრივი საკითხი გვიჩვენებს, რომ საკუთარი მოქალაქეების დაცვის შესაძლებლობა კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. რუსეთი, განსაკუთრებით, ცდილობდა გაემართლებინა საკუთარი მოქმედებები, მათ შორის საქართველოში საომარი მოქმედებები, თავისი მოქალაქეების დაცვის უფლების გამოყენებით. ასეთ ფონზე, დაცვის უფლების ჩამორთმევა რეალურად წარმოადგენს სუვერენობის დარღვევას.

მეორე მხრივ, შეიძლება ვიკამათოთ, რომ საქარველოს იურისდიქცია სადაო ტერიტორიებზე არ მოქმედებს, და აქედან გამომდინარე საქართველოს არ ძალუძს იქ საკუთარი მოქალაქეების დაცვა. მაგრამ ასეთი არგუმენტი დაეფუძნებოდა (უკანონო) *fait accompli*-ს. ეს ფაქტი ვერ გამოიყენება სამართალში საქართველოს სუვერენული უფლების (დაიცვას საკუთარი მოქალაქეები) საწინააღმდეგოდ, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიებზე ეს უფლება არარსებულია.

დასკვნა: რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებას ფართო მასშტაბებით შეუძლია, დააკნინოს საქართველოს იურისდიქციის გავრცელება პირებზე, რაც შეუძლებელს ხდის საქართველოს მხრიდან, მათ დიპლომატიურ დაცვას და შეიძლება გახდეს სამხედრო ინტერვენციის საფუძველი (ან უფრო წინაპირობა). რაც უფრო მეტი პირი გამოაკლდება ქართულ ერს, მით უფრო მართებულია ამგვარი მოქმედებების საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევად კვალიფიცირება, რაც მოიცავს იურისდიქციის გავრცელების შეზღუდვას კონკრეტულ პირებზე.

3. საქართველოს ტერიტორიული სუვერენიტეტის დარღვევა

მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოქალაქეობის შესახებ რუსეთის კანონი მიმართულია უცხოელ მოქალაქეებზე, თავისთავად არ არღვევს მათი მშობლიური სახელმწიფოების ტერიტორიულ სუვერენიტეტს. თუმცა ამ პრინციპზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს იმ ფაქტმა, რომ კანონი სპეციალურად ცდილობს გაავრცელოს მისი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე.

ტერიტორიული სუვერენიტეტის მიზანია კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს ფუნქციების ექსკლუზიური განხორციელების გარანტირება და დაცვა.⁵²⁹ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის, ტერიტორიული სუვერენიტეტის პატივისცემა საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს“ - მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიხედვით.⁵³⁰ უცხო სახელმწიფოების ქმედებები, რომლებიც არღვევენ მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტს, აკრძალულია საერთაშორისო სამართლით.

⁵²⁹ *Palmas-awards*, არბიტრი მაქს ჰუბერი, RIAA, ტ. II (1928 წ.), 829 გვ. 838

⁵³⁰ საერთაშორისო სასამართლო, *კორფუს არხის საქმე* (დირსებები), საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები (1949 წ.) 4 გვ. 35.

ტერიტორიული სუვერენიტეტის არავითარ დარღვევას არა აქვს ადგილი, როდესაც ამგვარ ქმედებას ადგილი აქვს მისი გამცემი სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში რუსეთის) საზღვრებში. თუმცა, „როდესაც კანონი სპეციალურად მიზნად ისახავს მისი მოქმედების გავრცელებას უცხოელ მოქალაქეებზე უცხო ქვეყანაში, საზღვრებს გარეთ, მისი ლეგიტიმურობა არ არის ერთმნიშვნელოვანი. ფაქტიურად, წარმოუდგენელია, რომ შესაბამისი პირების მშობლიურ სახელმწიფო არ ჩაერიოს ასეთ საქმეში.“⁵³¹ ასე რომ, სახელმწიფოების ტერიტორიული სუვერენიტეტის პრინციპი მოითხოვს სხვა სახელმწიფოს მხრიდან დაზარალებული მშობლიური სახელმწიფოს თანხმობას.⁵³² სახელმწიფოს თანხმობა შეიძლება იყოს ნაგულისხმევი ან დაშვებული იქ, სადაც ადგილი აქვს უზრალოდ კულტურული და საგანმანათლებლო სარგებლის გადაცემას, რადგან ამასთან მიმართებაში არსებობს შესაბამისი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი. თუმცა, მის იქით, სახელმწიფოს თანხმობა ზუსტად და პირდაპირ უნდა იყოს გამოთქმული.

ვენეციის კომისიის თანახმად, ტერიტორიული სუვერენიტეტის პატივისცემა განსაკუთრებით აუცილებელია, „როდესაც დოკუმენტს აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ხასიათი“.⁵³³ „ასეთი ფორმით, დოკუმენტი [...] ქმნის პოლიტიკურ კავშირს უცხოელებსა და მათ მშობლიურ სახელმწიფოს შორის. ასეთი კავშირი შეშფოთების მიზეზს წარმოადგენს მშობლიური სახელმწიფოებისთვის (სადაც ცხოვრობენ), რომლებთანაც, კომისიის მიხედვით, საჭიროა კონსულტაციების გავლა მანამ, სანამ გატარდება აღნიშნული დოკუმენტის შექმნისკენ მიმართული რაიმე ზომები.“⁵³⁴

ვენეციის კომიტეტის მოსაზრება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მსგავს დოკუმენტებთან მიმართებაში მიესადაგება *a fortiori* სხვა ქვეყანაში მაცხოვრებელი პირებისთვის მოქალაქეობის მინიჭებას. ეს კიდევ უფრო ძალისმიერია თუ მოქალაქეობის მინიჭებას შედეგად მოჰყვება ადრინდელი მოქალაქეობის დაკარგვა.

⁵³¹ იქვე, ნაწ. „დ“ ა) ი)

⁵³² იხ. თანხმობის, როგორც აქტის უკანონობის აღკვეთის შესახებ, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის კომისიის (ILC) დებულებების მუხლი 20: „თანხმობა: სახელმწიფოს კანონიერი თანხმობა მოცემული აქტის კომისიისთვის სხვა სახელმწიფოს მიერ აღკვეთს ასეთი აქტის არამართებულობას პირველი სახელმწიფოს მიმართ იმდენად რამდენადაც აქტი რჩება ამ თანხმობის ფარგლებში.“ (საერთაშორისო-სამართლებრივად არამართებული აქტებთან მიმართებაში სახელმწიფოების პასუხისმგებლობის დებულებები, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2001 წ. 12 დეკემბერს A/RES/56/83 რეზოლუციით).

⁵³³ ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია), ანგარიში მშობლიური სახელმწიფოს მიერ ეროვნული უმცირესობის პრეფერენციული მოპყრობის თაობაზე, მიღებული ვენეციის კომისიის მიერ მის მე-4 პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 2001 წ. 19-20 ოქტომბერი), დოკ. CDL-INF (2001) 19, ნაწ. „დ“ გ)

⁵³⁴ იქვე, კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ მშობლიური სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ნებისმიერი დოკუმენტი „უნდა იყოს მითითებული კანონით ან რეგულაციით გათვალისწინებულ მომსახურებაზე უფლების უზრალო დასტური. იგი მიზნად არ უნდა ისახავდეს პოლიტიკური კავშირის შექმნას მის მფლობელსა და მშობლიურ ქვეყანას შორის და არ უნდა ჩაანაცვლოს მაცხოვრებელი სახელმწიფოს ორგანოების მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი“.

დასკვნა: მოქალაქეობის შესახებ რუსეთის კანონის შესაბამისი დებულებები პირდაპირ მოქმედებს საქართველოს მოქალაქეებზე უცხო ქვეყანაში. საქართველოსთან მიმართებაში, ისინი არღვევენ საქართველოს ტერიტორიულ სუვერენიტეტს.

4. საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა

რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება წარმოადგენს ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში, რადგან საქართველო არ იძლევა ორმაგი მოქალაქეობის უფლებას.⁵³⁵ საშინაო საქმეებში ასეთი სახის ჩარევა არ შეიძლება სათანადოდ არ შეფასდეს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს შეეძლო ან უნდა გაეცა ორმაგი მოქალაქეობის ნებართვა და უნდა აღექვა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები, როგორც ქართველები და ამგვარად თავიდან აეცილებინა საქართველოს მოქალაქეების საერთო რაოდენობის შემცირება. საერთაშორისო სამართალი ყოველ სახელმწიფოს რთავს ნებას უფლებას, თავისუფლად გადაწყვიტოს ის, თუ შიდა სამართალში რა წარმოადგენს იმ შედეგებს, რაც უკავშირებდა მოქალაქის მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების ფაქტს.⁵³⁶ საერთაშორისო სამართალში, ისევე როგორც სახელმწიფოების პრაქტიკაში არსებობს ორმაგი მოქალაქეობის თავიდან არიდების დიდი ხნის ტრადიცია. ამ ტრადიციით მრავალი სახელმწიფო ითვალისწინებს საკუთარ საშინაო კანონმდებლობაში რომ მოქალაქე, რომელიც განიცდის ნატურალიზაციას სხვა სახელმწიფოში, კარგავს მის მოქალაქეობას. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის, მოქალაქეთა მაღალი მობილურობის და შეზღუდული ნატურალიზაციის ეპოქაში ორმაგი მოქალაქეობის გამორიცხვა აღარ წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას, საქართველოს რეგულაცია არ არის უჩვეულო და სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სამართალს.

ამიტომ არ შეიძლება საქართველოს იძულება, დაუშვას ორმაგი მოქალაქეობა და გადასინჯოს საკუთარი კანონმდებლობა, ვინაიდან სახელმწიფოებს აქვთ თავისუფლად მოქმედების საშუალება.

დასკვნა: რუსული „პასპორტიზაციის“ პოლიტიკა წარმოადგენს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას.

5. კეთილმეზობლობის პრინციპის დარღვევა

⁵³⁵ მოქალაქეობის შესახებ საქართველოს 1993 წლის კანონის მეხლი 1 (2) (ზემოთ, შენიშვნა 97).

⁵³⁶ იხ. 1997 წ. 6 ნომბრის მოქალაქეობის შესახებ კონვენციის პრეამბულა, და აგრეთვე მიი მე-15 მუხლი: „ამ კონვენციის დებულებებმა არ უნდა შეზღუდოს მონაწილე სახელმწიფოს უფლება, რომ განსაზღვროს შიდა სამართალი შემდეგთან მიმართებაში: ა) უნდა შეინარჩუნოს თუ უნდა დაკარგოს მოქალაქეობა მისმა მოქალაქეებმა, რომლებიც მიიღებენ ან რომელთაც გააჩნიათ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა“.

რუსეთის მოქალაქეობის მასობრივი მინიჭება მეზობელ ქვეყნებში მაცხოვრებელი პირებისთვის რისკის ქვეშ აყენებს საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული კეთილმეზობლური ურთიერთობის პრინციპს. ეს პრინციპი ფორმულირებულია გაერო-ს ქარტიის პრეამბულაში („ტოლერანტობა და მშვიდობიანი სამეზობლო თანაცხოვრება“), და ასევე გარკვევითაა ასახული გაერო-ს ქარტიის 74-ე მუხლში. იგი განმარტებულია გაერო-ს გენერალური ასამბლეის 1970 წლის „მეგობრული ურთიერთობების დეკლარაციაში.“⁵³⁷ აგრეთვე, გენერალური ასამბლეის 1984 წ. დადგენილება „სახელმწიფოთა შორის კარგი მეზობლობის დამკვიდრება და განმტკიცება“ მოუწოდებს „სახელმწიფოებს, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე, რომ განავითარონ კარგი სამეზობლო ურთიერთობები...“⁵³⁸ მიუხედავად იმისა, რომ კეთილმეზობლობის პრინციპიდან ვერ იქნება მიღებული რაიმე კონკრეტული პოზიტიური ვალდებულებები, იგი სავარაუდოდ მოითხოვს სახელმწიფოებისგან *თავი შეიკავონ* მეზობელი სახელმწიფოებისადმი შეურაცხმყოფელი მოქმედებებისგან.

იგივე მიდგომით, ვენეციის კომისიის ანგარიში უნგრეთის ექსტრატერიტორიულ მოქალაქეობასთან დაკავშირებით თვლის, რომ „პოლიტიკური კავშირის“ შექმნა პიროვნების მაცხოვრებელი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე ეწინააღმდეგება „კეთილმეზობლობის პრინციპს.“⁵³⁹ ეს დასაბუთება მიესადაგება *a fortiori* მოქალაქეობის ფართომასშტაბიან მინიჭებას.

დასკვნა: „პასპორტიზაციის“ პოლიტიკა ეწინააღმდეგება კეთილმეზობლობის პრინციპს.

6. ინდივიდუალური უფლებების შესაძლო დარღვევა

რუსეთის მოქალაქეობა არ უნდა იყოს თავსმოხვეული. კანონის ძალით ან ადამიანებზე ზეწოლით ნებისმიერი სახის იძულება არის უკანონო.

IIFMCG-ისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციით, რუსული „პასპორტიზაციის“ პოლიტიკა, ზოგადად, არ იყო დაფუძნებული ძალის გამოყენებაზე, არამედ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტიმულებზე. ეს სტიმულები არ არღვევს ადამიანთა ნების საწინააღმდეგოდ მოქალაქეობის მინიჭებაზე დაკისრებულ აკრძალვას.

იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი გასცემდა პასპორტებს სამხრეთ ოსეთის გარკვეული ეთნიკური წარმომავლობის მქონე მაცხოვრებლებისთვის და უარს ეტყვოდა ნატურალიზაციაზე ეთნიკურ ქართველებს (ფაქტიური შეკითხვა), ეს წარმოშობდა CERD-ის დარღვევას. საკითხი, თუ რამდენად იყო დაფუძნებული „პასპორტიზაცია“

⁵³⁷ GA 1970 წ. 24 ოქტომბრის დადგენილება 2625 (XXV)

⁵³⁸ GA დადგენილება 39/78, პ. 2 (1984 წ. 13 დეკემბრის)

⁵³⁹ ვენეციის კომისია (ზემოთ, შენიშვნა 204), ყველგან, აგრეთვე „ე“ ნაწილში (დასკვნები).

რასობრივ დისკრიმინაციაზე, განხილულ უნდა იქნას მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ.⁵⁴⁰ მისია თავს იკავებს ამ საკითხის ანალიზისგან, რადგან სამართალწარმოება სასამართლოში არ დასრულებულა.

7. არავითარი გამართლება „ჰუმანიტარული“ თვალსაზრისით

აფხაზეთმა გაამართლა რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში მაცხოვრებელი საქართველოს მოქალაქეების *en masse* (მასობრივი) ნატურალიზაცია იმით, რომ აფხაზებს ჰქონდათ სირთულე საზღვარგარეთ მოგზაურობისას.⁵⁴¹ მართლაც, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებს არ შეეძლოთ საზღვარგარეთ მოგზაურობა *დე-ფაქტო* ხელისუფლების მიერ გაცემული „პასპორტებით“, ⁵⁴² რადგან ამ დოკუმენტებს არ აღიარებდნენ სხვა სახელმწიფოები. რამდენიმე ცდისა და კონკრეტული შეთავაზებების მიუხედავად, გაერო-მ ვერ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მისაღები იქნებოდა ყველა მხარისთვის.

მიუხედავად ამისა, ეს გარემოებები არ ამართლებს საქართველოს მოქალაქეების ფართომასშტაბიან ნატურალიზაციას. რუსეთში გამგზავრების სირთულეები წარმოქმნა რუსეთის მიერ სავიზო რეჟიმის ცალმხრივად შემოღებამ. ამიტომ რუსეთს უფლება არა აქვს „გამოასწოროს“ პრობლემა, რომლის შექმნაშიც წვლილი მიუძღვის.

IV. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოქალაქეობის არმქონე მაცხოვრებლების ფართომასშტაბიანი ნატურალიზაცია როგორც უფლებების დარღვევა

1. დე-ფაქტო მოქალაქეობის არარსებობა

მოქალაქეობის არმქონე პირების ნატურალიზაცია, იმ შეთხვევაშიც კი, თუ ეს არ არის უკანონო საერთაშორისო სამართლით, შეიძლება წარმოადგენდეს უფლებების დარღვევას.

როგორც ზემოთ იქნა განმარტებული, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მაცხოვრებლები, როგორც წესი, ფორმალურად არ იყვნენ მოქალაქეობის არმქონენი, არამედ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები (ნაწ. „ბ“). ერთი საწინააღმდეგო არგუმენტი შეიძლება იყოს ის, რომ სამხრეთ ოსები და აფხაზები, რომლებიც უარს ამბობენ

⁵⁴⁰ იხ. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, *ყველა სახის რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე საერთაშორისო კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებული საქმე* (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ)

⁵⁴¹ იხ. აფხაზეთის ოფიციალური პასუხი IIFFMCG-ის კითხვარზე სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის და ადამიანთა უფლებების კანონის საკითხებზე

⁵⁴² საქართველოს მხარემ მიიღო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მიერ გაცემული სპეციალური ბარათი საქართველოს ფარგლებში სამოგზაუროდ. თუმცა საზღვარგარეთ სამოგზაუროდ საჭირო იყო საქართველოს პასპორტის გამოყენება სპეციალური მითითებით, რომ პიროვნება სამხრეთ ოსეთიდანაა. აფხაზეთის შემთხვევაში რუსეთი დათანხმდა გაეცა აფხაზებისთვის საერთაშორისო ტიპის რუსული პასპორტები, რომლებიც მისცემდა მათ საზღვარგარეთ მოგზაურობის საშუალებას.

საქართველოს მოქალაქეობაზე, *დე-ფაქტოდ* მოქალაქეობის არმქონენი არიან. *დე-ფაქტო* მოქალაქეობის არმქონენი არიან პირები, რომლებსაც გააჩნიათ სახელმწიფოს მოქალაქეობა, მაგრამ ვერ სარგებლობენ მისგან დაცვით „ან იმიტომ, რომ აცხადებენ უარს ასეთი დაცვის მოთხოვნაზე, ან იმიტომ რომ სახელმწიფო, უმეტესად პოლიტიკური მიზეზები გამო, უარს აცხადებს მათს დაცვაზე.“⁵⁴³ თუმცა, პიროვნების მიერ მოქალაქეობის *დე-ფაქტო* არქონის იდეა, როგორც ჩანს, ვერ ჰპოვებს ფართო მოწონებას სახელმწიფო პრაქტიკასა და მეცნიერებაში. მეტიც, საქართველოს არ განუცხადებია უარი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მაცხოვრებლების დაცვაზე.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხოლოდ ის მაცხოვრებლები გახდნენ და დარჩნენ, იურიდიული აზრით, მოქალაქეობის არმქონენი, როლებმაც პირდაპირ უარყვეს საქართველოს მოქალაქეობა 1993 წ., რადგან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის „მოქალაქეობა“ არ შეიძლება დაუპირისპირო იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ აღიარებენ ამ ორ ერთეულს.

მოქალაქეობის არმქონე პირების ნატურალიზაცია არ ეხება საქართველოს ინტერესებს, ან ეხება მხოლოდ მინიმალურად. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, მთავარი მოთხოვნაა შესაბამისი პიროვნების თანხმობა. ამიტომ, პრინციპში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მაცხოვრებელი მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის მინიჭებული რუსეთის მოქალაქეობა უნდა აღიარონ მესამე სახელმწიფოებმა, საქართველოს ჩათვლით.

თუმცა, გარკვეულ გარემოებებში, ექსტრა-ტერიტორიული ნატურალიზაცია, თუმცა მოქალაქეობის არმქონე პირებისა, განსაკუთრებით, თუ იგი მასობრივი მასშტაბებით ხდება, შეიძლება [უფლების] ბოროტად გამოყენებას წარმოადგენდეს.

2. უფლებათა ბოროტად გამოყენების საერთაშორისო აკრძალვის შინაარსი

უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა⁵⁴⁴ ცნობილია მრავალ სამართლებრივ სისტემაში და, ამიტომ, მიღებულია მეცნიერთა უმეტესობის და სახელმწიფო პრაქტიკის მესვეურთა მიერ, როგორც სამართლის ზოგადი პრინციპი“ რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის საბაზისო ნაწილს,⁵⁴⁵ ან როგორც საერთაშორისო

⁵⁴³რანდელზოფერი (ზემოთ შენიშვნა 118), გვ. 508: იხ. ასევე ვაისი (ზემოთ შენიშვნა 103), გვ. 164.

⁵⁴⁴ იხ. ალექსანდრე კისი, „უფლებათა ბოროტად გამოყენება“, *მაქს პლანკის საერთაშორისო სამართლის ონლაინ ენციკლოპედია* 2009 წ.; მაიკლ ბაიერსი, „უფლებათა ბოროტად გამოყენება: ძველი პრინციპი, ახალი ეპოქა“, *მაკჯილი ლ.ჯ.* 47 (2002 წ.), გვ. 389-431.

⁵⁴⁵ „ცილივიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპები“ წარმოადგენს, საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) წესდების 38 (1) პ. „გ“-ს თანახმად, საერთაშორისო სამართლის წყარო. „უფლებების ბოროტად გამოყენება“ კონკრეტულად აღინიშნა, როგორც ზოგადი პრინციპის მაგალითი წესდების თვალსაზრისით, იურისტთა კომიტეტის წევრის მიერ, რომელიც მუშაობდა საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატის (PCIJ) წესდების პროექტის მომზადებაზე. (PCIJ-ის წესდება შეიცავდა იგივე დებულებას, რასაც ახლა შეიცავს ICJ წესდების 38-ე მუხლი). იხ. რიკი-ბუსატი, ერთა ლიგაში, საერთაშორისო სამართლის მუდმივი პალატა, იურისტთა საკონსულტაციო კომიტეტი, კომიტეტის ოქმები *Proces Verbaux* 1920 წ. 16 ივლისი 24 ივლისი (ძმები ვან ლანგენჰუისენები: ჰააგა 1920 წ.), გვ. 314-315 (ციტირებულია კისში, პ. 8).

ჩვეულებითი სამართლის პრინციპი. სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები (მაგ. საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის მე-300-ე მუხლი,⁵⁴⁶ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 263-ე მუხლი (ევროკავშირის ხელშეკრულების 230-ე მუხლი),⁵⁴⁷ ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენციის მე-17 მუხლი,⁵⁴⁸ ან IICPR-ის არასავალდებულო პროტოკოლი⁵⁴⁹) კრძალავს უფლებათა ბოროტად გამოყენებას. საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების პრეცედენტულ სამართალში უფლებების ბოროტად გამოყენება ხშირად ყოფილა პრობლემა.⁵⁵⁰

უფლებების ბოროტად გამოყენება მჭიდრო კავშირშია კეთილსინდისიერების პრინციპთან. კონცეფცია გულისხმობს განსხვავებას უფლების არსებობასა და გამოყენებას შორის. პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად სახელმწიფოს უფლების არსებობისა, მისი გამოყენების მეთოდი შეიძლება გაუტოლდეს მის ბოროტად სარგებლობას. „სახელმწიფო, რომელიც - მიუხედავად იმისა, რომ ფაქტიურ მიზნად არ ისახავს საერთაშორისო ვალდებულების, როგორც ასეთის, დარღვევას - სარგებლობს უფლებით, რომ გამოიყენოს გარკვეული კანონები, ან გამოიყენოს ისინი გარკვეული გზით, ისე რომ ვალდებულება ფაქტიურად სრულდება, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ იგი ბოროტად იყენებს უფლებებს.“⁵⁵¹

უფლებების ბოროტად გამოყენებასთან გვაქვს საქმე, როდესაც სახელმწიფო, როგორც ასეთი, არ იქცევა უკანონოდ, მაგრამ იყენებს საერთაშორისო სამართალით მინიჭებულ უფლებებს თვითნებურად, ან ისე, რომ აფერხებს საკუთარი უფლებებით სარგებლობას სხვა სახელმწიფოების მიერ, რომლებსაც ამის შედეგად ზიანი ადგებათ.⁵⁵² იმისათვის, რომ დადგინდეს უფლებებით ბოროტად სარგებლობა, საჭიროა დადგინდეს, რომ ადგილი ჰქონდა ზიანის მიყენებას.⁵⁵³ არ არის აუცილებელი რომ

⁵⁴⁶ გაეროს 1982 წლის 10 დეკემბრის კონვენცია საზღვაო სამართლის თაობაზე, ძალაში შევიდა 1994 წლის 16 ნოემბერს, UNTS ტ. 1833 № 397

⁵⁴⁷ 2008 წლის 9 მაისის ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ, OJ 2008, C 115/1

⁵⁴⁸ 1959 წ. 4 ნოემბრის ადამიანთა უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენცია, ძალაში შევიდა 1963 წლის 3 სექტემბერს. 1963 წ. UNTS ტ. 213, გვ. 221.

⁵⁴⁹ 1966 წლის 15 დეკემბრის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების თაობაზე შეთანხმების არჩევითი პროტოკოლის მუხლი 3, ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს, UNTS ტ. 999, № 14668, გვ. 302.

⁵⁵⁰ იხ. განსაკუთრებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, *ამერიკის შეერთებული შტატები - ზოგიერთი სახეობის კრევეტებისა და კრევეტებისპროდუქტების იმპორტის აკრძალვა* (ამერიკის შეერთებული შტატების საჩივარი) (1998 წ.), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია დოკ. WT/DS58/AB/R სააპელაციო ორგანოს ანგარიში, პ. 158.

⁵⁵¹ ჯერალდ ფიცმაურისი, „საერთაშორისო სასამართლოს სამართალი და პროცედურა, 1954-9: სამართლის ზოგადი პრინციპები და წყაროები“, *საერთაშორისო სამართლის ბრიტანეთის ყოველწლიური გამოცემა* 35 (1959 წ.) 183-231, გვ. 209. ამ თვალსაზრისით იხ. აგრეთვე კისი (ზემოთ შენიშვნა 174) პ. 3 და 32.

⁵⁵² კისი (ზემოთ შენიშვნა 174) პ. 1 და 4. უფლებების ბოროტად გამოყენების სხვა ტიპია სიტუაცია, როდესაც სახელმწიფო იყენებს უფლებას ისეთი მიზნისთვის, რომელიც განსხვავდება იმ მიზნისგან, რომლისთვისაც ეს უფლება შეიქმნა, სხვა სახელმწიფოს საზიანოდ (კისი, იქვე, პ. 1 და 5). უფლებების ბოროტად გამოყენების ეს მეორე ტიპი, რომელიც მიაგავს ფრანგულ კონცეფციას „détournement de pouvoir“ არ არის რელევანტური ჩვენს შემთხვევაში.

⁵⁵³ კისი (ზემოთ შენიშვნა 174), პ.31

არაკეთილსინდისიერება ან ზიანის მიყენების განზრახვა წარმოადგენდეს უფლებების ბოროტად გამოყენების ამ ფორმას.⁵⁵⁴

3. პრინციპის გამოყენება მოცემული შემთხვევისთვის

რუსეთს, თეორიულად უფლება აქვს, მისცეს მოქალაქეობა, ინდივიდუალური პროცედურებით და ინდივიდუალური განაცხადების საფუძველზე, საზღვარგარეთ მაცხოვრებელ მოქალაქეობის არმქონე პირებს. თუმცა, თუ ეს ფართო და ლიბერალური მასშტაბებით ხორციელდება, ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს სხვა სახელმწიფოებს.⁵⁵⁵

საქართველოსთვის ზიანი მდგომარეობს სახელმწიფოებრიობის ერთი ელემენტის, მოსახლეობის შემცირებაში (ფართომასშტაბიანი გაგებით, მოქალაქეობის მიუხედავად⁵⁵⁶), და საზიანო ზემოქმედებაში საქართველოს სუვერენიტეტზე მის ტერიტორიაზე.

მოქალაქეობის მინიჭება ხშირად გამოიყენება როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი. იგი ქმნის დამაბულობას და პრობლემებს ისე, რომ არ არის აუცილებელი რომ უფლებების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენდეს. თუმცა ეუთო-ს ეროვნული უმცირესობების უმაღლესმა კომისარმა გასცა გაფრთხილება საზღვარგარეთ ინდივიდებისთვის *მასობრივად* მოქალაქეობის მიღების გზით უფლებების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით.⁵⁵⁷

მეტიც, რუსული „პასპორტიზაციის“ პოლიტიკა ავლენს ზოგიერთ კონკრეტულ გარემოებებს, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას მხედველობაში. პირველი - იგი განხორციელდა მასობრივი მასშტაბით და შეეხო ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ სეპარატისტულ ტერიტორიებზე სხვა ქვეყანაში. რაც უფრო მეტია დაზარალებული პირების რაოდენობა, მით უფრო აშკარაა რუსეთის მიერ პირების ნატურალიზაციის უფლების ბოროტად გამოყენება. მეორე, პოლიტიკა ტარდებოდა არა მხოლოდ მიმდინარე კონფლიქტის დროს, არამედ უფრო ინტენსიურიც კი გახდა დამაბულობის ზრდის პერიოდებში. მესამე - იგი კარგად იყო დაგეგმილი, ორგანიზებული და განხორციელებული. მეოთხე, პოლიტიკა გამოყენებულ იქნა უკვე დასუსტებული ქვეყნის დესტაბილიზაციის ბერკეტად. და ბოლოს, იგი გამოყენებულ იქნა როგორც ძალის გამოყენების რიტორიკული გამართლება.

⁵⁵⁴ კისი, პ. 6 და 32; გეორგ დამი/ ჯოსტ დელბრუკი/ რუდიგერ ვოლფრუმი, *Volkerrecht*, ტ. I/3 (მე-2 გამოცემა, ბერლინი: de Gruyter 2002), გვ. 850.

⁵⁵⁵ 1930 წ. ჰააგის კონფერენციაზე ურუგვაის დელეგატმა მიუთითა ბოროტად სარგებლობის შეზღუდვებზე გარკვეული კანონების ფარგლებში, რომლებითაც შეიძლებოდა ნატურალიზაციის მინიჭება ისეთი ფართო და ლიბერალური მასშტაბებით, რომ ეს იქნებოდა აღიარებული უფლებების ბოროტად გამოყენება. პირველი კომიტეტის ოქმები, გვ. 209, ციტირებულია ვაისში (ზემოთ შენიშვნა 103), გვ. 113.

⁵⁵⁶ იხ. ტექსტი ზემოთ, შენიშვნებით 17 და 18.

⁵⁵⁷ ეუთო-ს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისარი, *ბოლზანო/ბოზენის რეკომენდაციები ეროვნული უმცირესობებთან დაკავშირებით სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში და განმარტებითი ბარათი* (2008 წ. ივნისი), პ. 11.

ასეთ ძალიან სპეციფიურ გარემოებებში შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა ბოროტად გამოიყენა ამ ტერიტორიებზე მოქალაქეობის არმქონე მაცხოვრებლებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების უფლება. ეს მითუფრო ცხადია, იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ითვლებოდა, რუსეთს ამ კონფლიქტში უნდა შეესრულებინა მიუკერძოებელი შუამავლის როლი.

D. შედეგები საერთაშორისო სამართლის მიხედვით

I. ნატურალიზაციის საერთაშორისო კონონიერების დამოუკიდებელი განხილვა სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანოების მიერ

მოქალაქეობის გადამეტებულ მინიჭებას (რაც აჭარბებს საერთაშორისო სამართლის ლიმიტებს) შეიძლება არ ჰქონდეს საერთაშორისო ეფექტი, კერძოდ, სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ⁵⁵⁸ სხვა სახელმწიფოები ვალდებული არ არიან, აღიარონ მოქალაქეობის გადამეტებული მინიჭება.⁵⁵⁹ ეს პრინციპი დადასტურებულია მოქალაქეობის შესახებ 1930 წლის ჰააგის კონვენციის I მუხლით⁵⁶⁰ და თითქმის იგივე სიტყვებით მოქალაქეობის შესახებ 1997 ევროპული კონვენციის 3 მუხლით: „(1) თითოეული სახელმწიფო განსაზღვრავს მისი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ვინაა მისი მოქალაქე. (2) ამ კანონებს მიიღებენ სხვა სახელმწიფოებიც იმდენად, რამდენადაც ის შეესაბამება მოქმედ საერთაშორისო კონვენციებს, საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს და სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს მოქალაქეობასთან დაკავშირებით.“⁵⁶¹ აქ დადგენილი წესი არის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილი. რუსეთმა და საქართველომ უნდა დიცვან ეს წესი, მიუხედავად იმისა, მოახდინეს თუ არა მათ აღნიშნული კონვენციების რატიფიცირება.

სახელმწიფოს მტკიცება, რომ მისი კანონმდებლობის შესაბამისად, პირი ფლობს მოქალაქეობას „ქმნის ძალიან ძლიერ პრეზუმფციას იმ მხრივ, რომ პიროვნებას აქვს

⁵⁵⁸ იქვე, 853.

⁵⁵⁹ Cf. ასევე, იხ.: ICJ, *Nottebohm საქმე* (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 93), 20 და 43; cf. ასევე ECJ, საქმე C-369/90, *Micheletti v. Delegación del Gobierno en Cantabria*, ECR 1992, I-4239, პუნქტი 10.

⁵⁶⁰ „თითოეულმა სახელმწიფომ უნდა დაადგინოს მისი კანონმდებლობის ფარგლებში, თუ ვინაა მისი მოქალაქე. ეს კანონი აღიარებული უნდა იყოს სხვა სახელმწიფოების მიერ იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება საერთაშორისო კონვენციებს, საერთაშორისო ჩვეულებებს და სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს მოქალაქეობასთან დაკავშირებით.“ ჰააგის კონვენციის 1 მუხლი ზოგიერთი საკითხების შესახებ, რომლებიც ეხება მოქალაქეობის კანონების კონფლიქტს. 12 აპრილი 1930 (ერთა ლიგის ხელშეკრულების სერია, ტ. 179, გვ. 89, № 4137). კონვენცია ძალაში შევიდა 1937 წლის 1 ივლისს; რუსეთი არ არის მხარე.

⁵⁶¹ ევროპული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ 6 ნოემბერი 1997, ETS N166. კონვენცია ძალაში შევიდა 2000 წლის 1 მარტს. არც რუსეთი და არც საქართველო არ არიან მისი მხარეები.

მოქალაქეობა, ასევე იმ მხრივაც, რომ ეს უნდა იყოს აღიარებული ან ცნობილი საერთაშორისო მიზნებისათვის.”⁵⁶² თუმცა, ამ პრეზუმფციის შეცვლა შეიძლება ამ ფაქტის განმარტების საფუძველზე.⁵⁶³ გარდა ამისა, სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში, პასპორტის გაცემა საბოლოოდ არ ადგენს რომ პირს, ვისზეც ის გაცემულია, აქვს გამცემი მოქალაქეობის მიმნიჭებელი ქვეყნის მოქალაქეობა. ეს შეადგენს უბრალოდ, მოქალაქეობის *prima facie* მტკიცებულებას.⁵⁶⁴

ასე რომ, საერთაშორისო სასამართლოებს და შიდა აქტორებს უფლება აქვთ თავად გამოიძიონ სახელმწიფოს განაცხადი, რომ პირი მისი მოქალაქეა, თუ არსებობს სერიოზული ეჭვები ამ მოქალაქეობის ჭეშმარიტებასთან დაკავშირებით.⁵⁶⁵ ეს ის კონკრეტული შემთხვევაა, როდესაც მოქალაქეობის მინიჭება არის კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგან შესაძლებელია, რომ ის არ შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართალს.⁵⁶⁶ მაგრამ ადგილობრივი სასამართლოები, როგორც წესი, ეჭვქვეშ აყენებენ საერთაშორისო კანონიერებას სახელმწიფოს მიერ პირისთვის მოქალაქეობის მინიჭებისას.⁵⁶⁷ თუმცა, როგორც ჩანს, ზოგადი წესია, რომ სხვა სახელმწიფოებს (და ეროვნულ სასამართლოებს) უფლება აქვთ უარი თქვან უცხო ქვეყნის მოქალაქეობის აღიარებაზე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. (საერთაშორისო) კანონიერების პრეზუმფცია ასევე, ეხება

⁵⁶² Jennings/Watts (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 95), 856. ამასთან დაკავშირებით, ასევე, იხ.: Brownlie (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 2), 384.

⁵⁶³ იხ.: ფრანგულ-მექსიკური სასარჩლე კომისია, Pinson საქმე, (საფრანგეთი მექსიკის წინააღმდეგ), გადაწყვეტილება 13 აპრილი, 1928, 24 ივნისი, 1929, საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მოხსენებები (RIAA) ტომი 5 (1928), 307-560, 381. ასევე, იხ.: გერმანულ-მექსიკური საპრეტენზიო კომისია, Rau სარჩელი, გადაწყვეტილება 14 იანვარი, 1930, საერთაშორისო საჯარო საქმეების წლიური დაიჯესტი, by Hersch Lauterpacht 6 (1931-32), No. 124 (გვ. 251).

⁵⁶⁴ Jennings/Watts (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 95), 854-5 with fn. 16. იტალია-შვედეთული შტატების მომრიგებელი კომისია, Flegenheimer სარჩელი, გადაწყვეტილება 20 სექტ. 1958, ინგლისური თარგმანი ILR 25 (1958-I), 91-167, 112.

⁵⁶⁵ იტალია-შვედეთული შტატების მომრიგებელი კომისია, Flegenheimer სარჩელი, გადაწყვეტილება 20 სექტ. 1958, ინგლისური თარგმანი ILR 25 (1958-I), 91-167, 110.

⁵⁶⁶ Jennings/Watts (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 95), 856. მოქალაქეობის ასეთი მინიჭების საერთაშორისო მოქმედების შემოწმება განხორციელდა, მაგალითად, რამდენიმე სასამართლოს მიერ გერმანიის მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით სუდეტების რამდენიმე მაცხოვრებლის მიერ მიუნხენის 1938 წლის შეთანხმების დარღვევით (ნიდერლანდის იურიდიული უფლებების აღდგენის საბჭოს იურიდიული პალატა, Weber and Weber v. Nederlands Beheers Instituut, 27 მაისი, 1953 და 4 ივლისი 1955 გადაწყვეტილებები, ინგლისური თარგმანი ILR 24 (1957), 431; ნიდერლანდის იურიდიული უფლებების აღდგენის საბჭოს იურიდიული განყოფილება, Ratz- Lienert and Klein v. Nederlands Beheers Instituut, 29 ივნისი, 1956 გადაწყვეტილება, ინგლისური თარგმანი ILR 24 (1957), 536).

⁵⁶⁷ მაგალითად, Joppi საქმეში, მოსარჩლე პრეტენზიას აცხადებდა შვეიცარიის მოქალაქეობაზე და ამტკიცებდა, რომ მათთვის გერმანიის მოქალაქეობის მინიჭება გერმანიაში რეზიდენტობის გარეშე ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს (და შვეიცარიის საზოგადოებრივ წესრიგს). მაგრამ შვეიცარიის ფედერალურმა ტრიბუნალმა, განაცხადა, რომ შვეიცარიის ხელისუფლების გადასაწყვეტი არ იყო „განსაზღვრა იმისა, შეესაბამება თუ არა უცხოური კანონების დებულებები საერთაშორისო სამართალს.“ შვეიცარიის ფედერალური ტრიბუნალის (Bundesgericht), BGE 86 I 165, Joppi Canton of Lucerne წინააღმდეგ, გადაწყვეტილება 15 ივლისი, 1960, ინგლისური თარგმანი, ILR 27 (1960), 236, 237.

ნატურალიზაციის შედეგად მოქალაქეობის მიღებას.

II. რუსეთის მოქალაქეობის გადამეტებული მინიჭების არაღიარება

იმ შემთხვევებში, როდესაც ყოფილი საბჭოთა მოქალაქეობა და რუსეთის ფედერაციაში დროებითი რეზიდენტობის ნებართვა ერთდერთი ფაქტობრივი კავშირია საქართველოს მოქალაქეებსა და რუსეთის ფედერაციას შორის, მათი ნატურალიზაცია, როგორც უკვე განმარტებული იქნა, არ არის შესაბამისობაში საერთაშორისო სამართალთან (იხ. ნაწილი B).

საერთაშორისო თვალსაზრისით, ამ ნატურალიზაციის შეუსაბამობის შედეგია ის, რომ სხვა სახელმწიფოები არ არიან ვალდებული აღიარონ ამგვარად „ნატურალიზებული“ პირების რუსეთის მოქალაქეობა. ჩამოთვლილ შემთხვევებში, არც ქართული უწყებები, არც მესამე სახელმწიფოები და არც საერთაშორისო სასამართლოები არ არიან ვალდებული, აღიარონ რუსეთის მოქალაქეობა.

ეს ასევე ნიშნავს, რომ რუსეთს არ შეუძლია განახორციელოს ამ პირების დიპლომატიური დაცვა. მოქალაქეების დიპლომატიური დაცვა არ წარმოადგენს არავითარ გამართლებას ძალის გამოყენებისათვის (იხ. თავი 6 „ძალის გამოყენება“). ეს მიესადაგება *a fortiori*-ს, თუ მოქალაქეობის ვალდებულება არაა აღიარებული საერთაშორისო სამართლით.

იმ შემთხვევებში, როდესაც ნატურალიზაციის შემთხვევები ხორციელდებოდა და კვლავაც ხორციელდება ჩართული პირების თავისუფალი თანხმობით, საქართველოს შეეძლო *ex ante* დათანხმებოდა ნატურალიზაციას და ამით თავიდან აეცილებინა მათი არამართლზომიერება.⁵⁶⁸ საქართველოს ასევე, შეეძლო *ex post* უარი ეთქვა მის უფლებაზე აღედრა საქმე ნატურალიზაციის შემთხვევების უკანონობასთან დაკავშირებით.⁵⁶⁹

თუმცა, თუ ნატურალიზაცია დაფუძნებული იყო ზეწოლაზე, მუქარაზე ან ძალდატანებაზე, ირღვევა ჩართული პირების უფლებები. ამ სიტუაციაში საქართველოს ნებართვას არ შეეძლო უკანონობის გამოსწორება, ვინაიდან ამ შემთხვევაში რისკის ქვეშ

⁵⁶⁸ იხ.: თანხმობის, როგორც არამართლზომიერების თავიდან აცილების პირობის შესახებ. მუხლი 20 ILC სტატიები სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 162).

⁵⁶⁹ „მუხლი 45 პასუხისმგებლობის დაყენების დაკარგვის უფლება: სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაყენებულ იქნას თუ: (ა) თუ დაზარალებულმა სახელმწიფომ დასაბუთებულად მოხსნა პრეტენზია, (ბ) დაზარალებული სახელმწიფო დადასტურებულად დაეთანხმა პრეტენზიის ვადის ამოწურვას.“

არა მხოლოდ ამ სახელმწიფოს უფლებებია. აქ არამართლზომიერების მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ ჩართული პირის შემდგომი თავისუფალი თანხმობით.

თუ სახელმწიფომ უკვე გასცა ვიზები აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებზე, მაგრამ მათი ნატურალიზაცია უკანონო იყო, ვიზების გაცემა გავლენას არ იქონიებდა იმაზე, რომ ისინი იყო უკანონო საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რადგან ეს არ არის მესამე ქვეყნის კომპეტენცია განკარგოს უფლება, რომელზეც აქ არის საუბარი.

ეს დასკვნა არ გამორიცხავს იმას, რომ რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ამ რეზიდენტებისთვის, რომლებსაც უფრო მჭიდრო კავშირები აქვთ რუსეთის ფედერაციასთან (მაგ., ქორწინების ან ახლო ნათესაური კავშირის გამო) ქმედითია საერთაშორისო სამართლის მიხედვით და ეწინააღმდეგება საქართველოს. ეს უნდა იყოს ნაჩვენები თითოეულ კერძო შემთხვევაში.

III. საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება საქართველოს შიდა კანონმდებლობის მიზნებისათვის

საქართველოს კანონის მიხედვით, არა არის დაშვებული ორმაგი მოქალაქეობა (მოქალაქეობის შესახებ კანონის 32-ე მუხლი⁵⁷⁰). თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს ყოფილმა მოქალაქეებმა, რომლებმაც მიიღეს რუსეთის მოქალაქეობა, ავტომატურად დაკარგეს საქართველოს მოქალაქეობა. როგორც ზემოთაა განმარტებული, რუსეთის მოქალაქეობის მიღება არ იყო სხვა სახელმწიფოების საწინააღმდეგო საერთაშორისო თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, მესამე სახელმწიფოებს, მათ შორის საქართველოს, ჰქონდათ უფლება ელიარებინათ ან არ ელიარებინათ ისინი.

მოქალაქეობის შესახებ კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, მოქალაქეობის დაკარგვისათვის, საჭიროა პრეზიდენტის გადაწყვეტილება.⁵⁷¹ 2009 წლის თებერვლის შემდეგ კი, საჭიროა განსაკუთრებული პროცედურის გავლა.⁵⁷²

⁵⁷⁰ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ (ბოლო შესწორება 2009წ, ზემოთ მოტანილი შენიშვნა 97): „პირი კარგავს საქართველოს მოქალაქეობას იმ შემთხვევაში, თუ (...) d) ის მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას“.

⁵⁷¹ „საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება (...) d) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე.“

⁵⁷² მუხლი 35 - შუამდგომლობა საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით (19.12.2008 n. 802, ძალაშია 2009 წლის 1 თებერვლიდან): შუამდგომლობა საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით შემოტანილია სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ. შუამდგომლობა საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევასთან

საქართველოს ხელისუფლების მიერ 2009 წლის გაზაფხულზე, ვენეციის კომისიისთვის წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ეს პროცედურული მოთხოვნები არ განხორციელებულა აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ადამიანების მიმართ.⁵⁷³

დასკვნა: სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მაცხოვრებლებმა, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა მოქალაქეობის შესახებ საქართველოს 1993 წლის კანონის მიხედვით და ჯერ კიდევ, საქართველოს მოქალაქეები იყვნენ საქართველოს კანონის (ასევე საერთაშორისო სამართლის) მიხედვით, რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დასაწყისისთვის.

IV. ნატურალიზაციასთან დაკავშირებით რუსეთის ექსტრა-ტერიტორიული სამთავრობო აქტების უკანონობა

სხვა საკითხია, შესაძლებელია თუ არა, ნატურალიზაცია (კანონიერი თუ უკანონო) ეფექტიანი იყოს ამ სხვა სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში, საქართველოს) ტერიტორიაზე, სადაც ჯერ კიდევ, ცხოვრობენ ნატურალიზებული პირები. რუსეთის მოქალაქეობის მიღების შემდგომი სარგებელი მაგ., პენსიის მიღების უფლება რეალიზებული უნდა იყოს სახელმწიფო უწყებების მიერ. თუმცა, საერთაშორისო სამართალი უკრძალავს რუსეთის უწყებებს განახორციელონ სახელმწიფო ფუნქციები საქართველოს ტერიტორიაზე. მაგალითად, მათ ეკრძალებათ ადმინისტრაციული აქტების განხორციელება, გარდა საკონსულო უწყების საერთო ხასიათის აქტებისა, რომლებიც დაშვებულია ჩვეულებითი სამართლით, როგორც ექსტრა-ტერიტორიული იურისდიქციის გავრცელების აკრძალვის გამონაკლისი.⁵⁷⁴

დაკავშირებით უცხო ქვეყნების მაცხოვრებლების მიმართ შემოტანილია შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო განყოფილებების მიერ.“ მუხლი 36 - საქართველოს მოქალაქეობის საკითხების მიმოხილვა (19.12.2008 n. 802, ძალაშია 2009 წლის 1 თებერვლიდან): სააგენტო განიხილავს და ამზადებს გადაწყვეტილებას საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებით განცხადებებისა და შუამდგომლობის თაობაზე. იმ შემთხვევაში თუ სააგენტო აღმოაჩენს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ფაქტს პირის მიერ, 35-ე მუხლით გათვალისწინებული ორგანოების შუამდგომლობის გარეშე, სააგენტო განიხილავს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საკითხს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის წესების შესაბამისად. დაბოლოს, სააგენტო წარუდგენს ყველა დოკუმენტს საქართველოს პრეზიდენტს.

⁵⁷³ მოსაზრება ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონზე, რომელიც მიიღო ვენეციის კომისიამ 78-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 13-14 მარტი, 2009) ბოგდან აურესკუს, ჯეიმს ჰამილტონის და ანგელიკა ნუფიბერგერის კომენტარის საფუძველზე, CDL-AD (2009) 015.

⁵⁷⁴ უნგრეთის საქმეზე ვენეციის კომისიის მოხსენების „ოფიციალური აქტები უნდა იყოს ჩვეულებრივი ბუნების და საკონსულოებს არ უნდა ჰქონდეს მინიჭებული ამოცანები, რომლებიც სცდება იმას, რაც საერთოდ გამოიყენება და აღიარებულია.“ ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), ანგარიში შეღავათიან რეჟიმზე ეროვნული უმცირესობებისთვის თავისი წარმოშობის სახელმწიფოს მხრიდან მიღებული ვენეციის კომისიის მიერ მის მე -4 პლენარულ სხდომაზე

რუსეთის სახელმწიფო ფუნქციების შესრულება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, რომელიც სცილდება ამ ტრადიციულ საკონსულო ფუნქციებს, არღვევს საქართველოს ტერიტორიულ სუვერენიტეტს. პასპორტების გაცემა არის ქმედება, რომელსაც ასრულებს ქვეყნის მთავრობა. რამდენადაც მისიისთვის ცნობილია, პასპორტები, ხშირ შემთხვევაში, გაცემული იყო სეპარატისტულ ტერიტორიებზე იმ ფორმით, რომ ეს ქმედება განხორციელებული იყო საქართველოში, საქართველოს მიერ გამოხატული თანხმობის გარეშე; ამგვარად, რუსეთმა დაარღვია ტერიტორიული სუვერენიტეტის პრინციპი.

ვიმეორებით, ტერიტორიული სუვერენიტეტის დარღვევის თავიდან აცილება ან გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს თანხმობით ამ ქმედებაზე.⁵⁷⁵

არსებითი არ არის ის, რომ საქართველოს ტერიტორიული სუვერენიტეტი არ მოქმედებს რეგიონებში, რომლებიც იმყოფება სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დე-ფაქტო უწყებების კონტროლქვეშ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დე-ფაქტო უწყებებს არა აქვთ უფლებამოსილება და კომპეტენცია, უარყონ საქართველოს ტერიტორიული სუვერენიტეტი. აქედან გამომდინარე, არ შეუძლიათ მართლზომიერად დაეთანხმონ რუსეთის ექსტრა-ტერიტორიულ ქმედებებს სეპარატისტულ რეგიონებში.

დასკვნა: რუსეთს, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არ აქვს უფლება გასცეს პასპორტები უშუალოდ, სამრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და გადაიხადოს იქ პენსიები, გარდა საკონსულო დაწესებულებებისა, რომლებიც ნებადართულია საქართველოს მიერ.

(ვენეცია, 19-20 ოქტომბერი 2001), Doc. CDL-INF (2001), 19 ნაწილი D) II.

⁵⁷⁵ Weis (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 103), 101: „რაიმე ასეთი ნატურალიზაცია... მოითხოვს, რათა ეფექტიანი იყოს სახელმწიფოს თანხმობას, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოქმედებდეს, ვინაიდან ეს ნიშნავს ექსტრატერიტორიული ეფექტის მინიჭებას მუნიციპალური კანონმდებლობის შესაბამისად.“ იხ.: თანხმობის როგორც არამართლზომიერების თავიდან აცილების პირობის შესახებ. მუხლი 20 ILC სტატიები სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 162).

თავი 4. კონფლიქტი. მხარეების ხედვა

1. ქართული ხედვა	186
2. რუსული ხედვა	188
3. სამხრეთ ოსური ხედვა	191
4. აფხაზური ხედვა	195

წინამდებარე მოხსენების მიზნებისთვის და უშუალოდ დაინტერესებული მხარეების პოზიციების დასაფიქსირებლად, თბილისში, მოსკოვში, ცხინვალსა და სოხუმში გაიგზავნა კითხვარები, რომლებიც ეხებოდა სამხედრო, სამართლებრივ და ჰუმანიტარულ საკითხებს. გარდა ამისა, მხარეებს უნდა დაეფიქსირებინათ თავისი ყოვლისმომცველი ხედვა და შეეფასებინათ მოვლენები. ამ თავში უცვლელადაა წარმოდგენილი მხარეების ამომწურავი მოსაზრებები ზუსტად ისე, როგორც წარდგენილ იქნა ფაქტების მომკვლევით კომისიის მიმართ საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხელისუფლების მიერ. ფაქტების მომკვლევმა კომისიამ უზრუნველყო ორიგინალი ტექსტებისა ინგლისური (არაოფიციალური) თარგმანი გარდა, ქართული ტექსტისა, რომელიც ინგლისურად გადაეცათ. ყველა ტექსტის ორიგინალის ნახვა შეგიძლიათ მე-3 ტომში.

1. ქართული ხედვა⁵⁷⁶

2008 წლის 7 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი შემოჭრა საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე. მსგავსი ძალადობა იყო უკანონო და გაუმართლებელი საერთაშორისო სამართლის თანახმად. ეს ქმედება წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ ხელყოფად გაერო-ს წესდების 2(4) მუხლისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. იგი ასევე, არღვევდა საერთაშორისო სამართალში და ურთიერთობებში ჩაურევლობის მთავარ პრინციპს, მისმა მოცულობამ და მასშტაბებმა კი, ის აგრესიის აქტად აქციეს.

არც ერთი არსებული (კოლექტიური ნებართვა, თავდაცვა, თანხმობა) ან ნაგულისხმევი (ჰუმანიტარული ინტერვენცია, მოსახლეობის, სამშვიდობო ძალების დაცვა, თვითგამორკვევის კანონიერი მოთხოვნის მხარდამჭერი ძალა) გამონაკლისი, გარდა ზოგადი აკრძალვებისა, არ ამართლებს და არც კანონიერად მიიჩნევს რუსეთის შემოჭრას.

¹¹ ქართული მხარის ფაქტების მომკვლევით კომისიისთვის წარდგენილი ორიგინალი ტექსტის ინგლისური სათაური: „აღმასრულებელი რეზიუმე. ძალის გამოყენების საკითხები, გამომდინარე რუსეთის ფედერაციის საქართველოში შემოჭრიდან, 2008.“

არ არსებობდა უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რაიმე სახის რეზოლუცია მსგავს ქმედებაზე ნების დასართავად, (საბჭოს ბევრი წევრი გმობდა კიდევ შეჭრას), არ არსებობდა შეიარაღებული თავდასხმა ან შეიარაღებული თავდასხმის „მოახლოებული საფრთხე“ რუსეთის ფედერაციის მიმართ საქართველოს მხრიდან, რომელსაც შეეძლო გამოეწვია რუსეთის მიერ ძალის გამოყენება თავდაცვისთვის და არც საქართველოს მოუთხოვია რუსეთისთვის თავისი ძალების საქართველოს ტერიტორიაზე გამოყენება.

რაც შეეხება ნაგულისხმევ გამონაკლისებს ძალის გამოყენების აკრძალვაზე, აღნიშნულმა საინფორმაციო დოკუმენტმა⁵⁷⁷ უჩვენა, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით ჰუმანიტარული მიზნებისთვის ძალის გამოყენება არ შეიძლება ცალმხრივად და ნებართვის გარეშე. ამგვარი უფლების გამოყენებას არ მოიცავს არც სახელისუფლებლო პრაქტიკა და არც ინსტიტუციები, რადგან არსებობს ძლიერი პოლიტიკური არგუმენტები ამგვარი უფლების გამოყენების საწინააღმდეგოდ. თავდაცვის უფლება (Responsibility to Protect) გამოიყენება სუვერენული სახელმწიფოს მიერ მისი მოსახლეობის მიმართ (უშიშროების საბჭოს როლის გათვალისწინებით) მაშინ როდესაც ეს სუვერენული სახელმწიფო ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ეს არ ითვალისწინებს ძალის ცალმხრივ გამოყენებას. გარდა იმისა, რომ არ არსებობს კანონიერი საფუძველი ამგვარი სახის ქმედების განხორციელებისთვის, ასევე არ არსებობს რაიმე სახის ფაქტობრივი საფუძველი, რომელიც გაამარტებს რუსეთის მხრიდან 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენებას ჰუმანიტარული ინტერვენციის ფარგლებშიც კი. ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუარესების მიუხედავად, ქართულ სოფლებზე მუდმივი თავდასხმის, სამშვიდობოების, პოლიციელებისა და სამოქალაქო პირებს შორის მსხვერპლისა, საქართველომ გამოიჩინა უდიდესი თავშეკავება და გამოიყენა ყველა დიპლომატიური ზომა, რათა თავიდან აეცილებინა ძალის გამოყენება. რუსების განცხადება იმის შესახებ, რომ ქართველებმა განახორციელეს ეთნიკურად ოსური მოსახლეობის გენოციდი, წარმოადგენს პროპაგანდას, რომელიც მიმართული იყო რუსეთის უკანონო ქმედებების გასამართლებლად, ასევე ოსების მარიონეტული მებრძოლებისა და სხვა შეიარაღებული ფორმირებების მოტივირებისთვის ეთნიკური ქართველების მიმართ სისასტიკეების ჩასადენად, „გენოციდისა და მასობრივი მკვლელობებისთვის“ შურის საძიებლად.

ე.წ. უცხოეთში მყოფი თანამოქალაქეების დაცვას არ აქვს საერთაშორისო სამართლის

⁵⁷⁷საინფორმაციო დოკუმენტის სრულ ვერსია ხელმისაწვდომია მოხსენების III ტომში, სათაურით „ძალის გამოყენების საკითხები, რუსეთის ფედერაციის საქართველოში შემოჭრა 2008 წელი.“

მიხედვით მინიჭებული სტატუსი. შეჭრა, რომელიც რუსეთის მიერ გამართლებული იყო ამ საფუძველზე, საერთაშორისო საზოგადოების წევრთა უმრავლესობამ დაგმო. ამას გარდა, რუსეთი არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლებრივ მოთხოვნას მოქალაქეობის მიმართ ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ, როგორც ეს შემუშავდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ნოტებომის საქმეზე. 1990-იანი წლების დასაწყისში ამ ორ რეგიონში ქართველების ეთნიკური წმენდის შემდეგ, რუსული პასპორტების მასობრივი დარიგება წარმოადგენდა წინასწარ, კარგად დაგეგმილ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა წინაპირობის შექმნას საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ინტერვენციისათვის.

არ არსებობს რაიმე ზოგადი უფლება უცხო ქვეყანაში მყოფი სამშვიდობოების დასაცავად და არც საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ყოფილა რაიმე შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა ძალის გამოყენებას. სამშვიდობოების მიზანია არა აგრესიის წინაპირობის შექმნა, არამედ ომის თავიდან აცილება, რომელშიც რუსეთი ჩაერთო აგვისტოში. რუსეთის მცდელობა, რომ მის მიერ ძალის გამოყენება გამართლებინა, როგორც სამშვიდობოების დაცვა, არის იურიდიულად და ფაქტობრივად უსაფუძვლო. საქართველოს თავდაცვითი ოპერაცია დაიწყო რუსეთის შემოჭრიდან რამდენიმე საათის შემდეგ და მანამდე არავითარ დაპირისპირებას ქართულ ძალებსა და რუს სამშვიდობოებს შორის ადგილი არ ჰქონია. პირველი შეტაკება რუს სამშვიდობოებსა და ქართულ ძალებს შორის მოხდა, დაახლოებით, დილის 6 საათზე, 8 აგვისტოს, როდესაც დაიწყო რუსეთის ქვედანაყოფების ფართომასშტაბიანი განლაგება 7 აგვისტოს, დილით ადრე. ამასთანავე, რუსეთის სამშვიდობოთა ბაზა, რომელზეც განხორცილდა შეტევა ქართული ძალების მიერ, პირდაპირ მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში და აღარ სარგებლობდა დაცვის უფლებით, რომელიც ჩვეულებრივ მას ეკისრებოდათ საერთაშორისო სამართლის მიხედვით. აუცილებელია კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ საქართველოს მხრიდან თავდასხმა განხორციელდა მხოლოდ იმ სამშვიდობო ქვედანაყოფებსა და ინფრასტრუქტურაზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში მაშინ, როდესაც რუსეთის სხვა სამშვიდობო პოსტები განაგრძობდნენ ფუნქციონირებას საომარი მოქმედებების დროს და მათზე არ განხორციელებულა თავდასხმა. აღსანიშნავია, რომ სამშვიდობოების კონტინგენტში პირველი მსხვერპლი ქართული სამშვიდობოების მხრიდან იყო. 7 აგვისტოს დაახლოებით, 14:00 საათზე დაიჭრა 5 ქართველი და გარდაიცვალა ორი: შალვა ტრაპაიძე და ვიტალი თაყაძე, ქართული სამშვიდობოების გამშვები პუნქტის დაბომბვისას, 100 მმ და 120 მმ საარტილერიო ჭურვებით მარიონეტული რეჟიმის კონტროლქვეშ მყოფი სოფლიდან ხეთაგუროვოდან. სატელეფონო საუბარში ადგილობრივმა ჯარისკაცმა შეატყობინა ზემდგომებს, რომ

მოკლული იყვნენ ქართველი სამშვიდობოელები; ამ საუბრის ჩანაწერი მოიპოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2008 წლის 7 აგვისტოს. ამ საუბრის ჩანაწერი შეგიძლიათ მოიძიოთ სამხედრო შეკითხვების ნაკრების 75-ე დანართში.

და ბოლოს, ქართული მხარის საპასუხო რეაქცია რუსეთის შეიარაღებულ თავდასხმაზე შემოიფარგლებოდა მხოლოდ თავისი სუვერენული ტერიტორიით, არ განხორციელდა თვითნებურად, და იყო პროპორციული, აუცილებელი და სრულად გამართლებული მისი ჩვეულებითი და საწესდებო უფლების გათვალისწინებით, ასევე თავდაცვის მიზნის გათვალისწინებით ძალის გამოყენებაზე.

2. რუსული ხედვა⁵⁷⁸

სამხრეთ ოსეთის ხალხის წინააღმდეგ სააკაშვილის რეჟიმის აგრესია 2008 წლის აგვისტოში, თავისი უგუნურობითა და სისასტიკით უპრეცედენტო მოვლენა გახდა უახლეს ისტორიაში.

„ომი რუსეთსა და საქართველოს შორის“ ტერმინის გამოყენება ამ შემთხვევაში მართებული არ არის. საქართველოს ვერაგულმა თავდასხმამ სამხრეთ ოსეთის მშვიდობიან მოსახლეობასა და რუს სამშვიდობოელებზე, ამ თავდასხმის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ და ასევე, საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის განცხადებებმა მოახდინეს ქართული მხარის აგრესიული ჩანაფიქრის დემონსტრირება.

ამ პირობებში, რუსეთს არ რჩებოდა სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ გამოეყენებინა თავისი ხელშეუვალი უფლება თავდაცვაზე, რომელიც ემყარება გაეროს წესდების 51-ე მუხლს. რუსული მხარის მოქმედებები იყო პროაქტიული და თავდასხმის მასშტაბების თანაზომიერი, ისინი მისდევდნენ ერთადერთ მიზანს – დაეცვათ მშვიდობიანი მოსახლეობა და რუს სამშვიდობოთა კონტინგენტი ქართული მხარის არაპროვოცირებული აგრესიისაგან და მომავალში, თავიდან აეცილებინათ მათზე შეიარაღებული თავდასხმა. რუსეთის მხარეს არ განუხორციელებია მშვიდობიან მოქალაქეებსა თუ სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმები. რუსეთის მიერ ძალის გამოყენება თავდაცვის მიზნით, გრძელდებოდა მხოლოდ მანამდე, ვიდრე არსებობდა ამის გამომწვევი გარემოებები. უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის მხარის მიერ სრულად

⁵⁷⁸ რუსეთის ფედერაციის მიერ ფაქტების მომკვლევი მისიისთვის წარდგენილი ტექსტის სათაური: „Additional general remarks on the conflict in August 2008 on Georgia’s aggression against South Ossetia in August 2008“ (არაოფიციალური თარგმანი რუსულიდან).

იყო შესრულებული 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის დ. მედვედევი-ნ. სარკოზის შეთანხმებები.

შესაბამისი შეტყობინება, რუსეთის ფედერაციის მოქმედებების შესახებ გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, გაიგზავნა უშიშროების საბჭოში. საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთში სამხედრო ოპერაციის უშუალოდ დაწყების შემდეგ, რუსეთმა მოახდინა ამ საკითხის განხილვის ინიცირება გაერო-ს უშიშროების საბჭოში. შექმნილი მდგომარეობა განიხილებოდა 2008 წლის 8 აგვისტოს, ღამის 5951-ე და მომდევნო საბჭოს სხდომებზე.

საქართველოს მთავრობის დანაშაულებრივი მცდელობა „დაემყარებინა კონსტიტუციური წესრიგი,“ რომელიც განხორციელდა განსაკუთრებული ცინიზმით ზაფხულის ოლიმპიადის დაწყების დღეს, როდესაც ისტორიულად, მიღებულია სამხედრო მოქმედებების შეწყვეტა, ვერ იქნება გამართლებული. იმ მომენტისთვის არსებობდა საკმარისი შესაძლებლობები, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი გადაჭრილიყო ცივილიზებული გზით. ქართულ-აფხაზური და ქართულ-სამხრეთ ოსური კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისათვის არსებობდა მოლაპარაკებისა და სამშვიდობო ფორმატები საერთაშორისო თანამეგობრობის, გაერო-სა და ეუთო-ს პირდაპირი მონაწილეობით. რუსეთი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის სამშვიდობო და საშუამავლო ფუნქციებს, ცდილობდა ხელი შეეწყო სამშვიდობო შეთანხმებების მიღწევას, ავლენდა თავშეკავებასა და მოთმინებას პროვოკაციების წინაშე. რუსეთმა არ შეცვალა თავისი პოზიცია კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადების შემდეგაც კი.

ჩვენ არაერთხელ გაგვიფრთხლება ბატონი სააკაშვილი, რომ თუ კი იგი მიმართავდა ძალისმიერ მეთოდებს, ეს აუცილებლად ჩაშლიდა მოლაპარაკებების პროცესს და გამოიწვევდა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. მან იცოდა, თუ რაზე მიდიოდა და რას აყენებდა რისკის ქვეშ. თუმცა, სააკაშვილის რეჟიმმა ამჯობინა აგრესიული, სისხლიანი გზა, რომელსაც თავიდანვე არ გააჩნდა პერსპექტივა. მომხდარზე ბრალი მთლიანად ეკისრება საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას.

ამ სიტუაციაში სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ რუსეთის მხრიდან გაკეთებული ყველა გაფრთხილება, მოვლენათა ასეთი განვითარების დიდი ალბათობის შესახებ, იგნორირებული იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. უფრო მეტიც, არსებობდა სააკაშვილის რეჟიმის მეტროპოლი მისწრაფებების მორალური და მატერიალური წახალისების მცდელობა. რჩევებმა და შეტევითი შეიარაღების მოწოდებამ

ვაშინგტონიდან, კიევიდან და ნატო-ს რიგი ქვეყნებიდან ხელი შეუწყო მილიტარისტული ტენდენციების გაძლიერებას საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკაში.

ჩვენმა არა ერთმა მიმართვამ, ხელი მოეწერათ შეთანხმებებზე, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს, საქართველოსა და აფხაზეთს შორის ძალის არგამოყენების შესახებ, არ მოიპოვა მხარდაჭერა ჩვენს დასავლელ პარტნიორებში. ამასთან, დასავლური მედიის თავდაპირველი ანტირუსული საინფორმაციო პროპაგანდის ცვლილება სამხედრო მოქმედებების შემდგომ, 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიის მიზეზების უფრო დაბალანსებულ და ობიექტურ შეფასებებზე, მოწმობს, რომ საბოლოოდ „ჭეშმარიტება უფრო ფასეული ხდება.“

2008 წლის 8 აგვისტოს ღამით, სამხრეთ ოსეთზე აგრესიული თავდასხმით, რომელსაც მოჰყვა მრავალრიცხოვანი ადამიანური მსხვერპლი, მათ რიცხვში, სამშვიდობოთა და სხვა რუსეთის მოქალაქეთა შორის და ანალოგიური გეგმის მომზადებით აფხაზეთის წინააღმდეგ, ბატონმა სააკაშვილმა თვითონ გადაუსვა ხაზი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. იმ ერების წინააღმდეგ გამუდმებული უხეში ძალის გამოყენებით, რომელთა ხილვაც, მისი სიტყვების მიხედვით, მას თავისი სახელმწიფოს შემადგენლობაში სურდა, ბატონმა სააკაშვილმა არ დაუტოვა მათ სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ ეძიათ თავიანთი უსაფრთხოება და გამოეყენებინათ თვითგამორკვევის უფლება დამოუკიდებელ ერებად ჩამოყალიბების გზით. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დ. მედვედევის ბრძანებები რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, ერთადერთი საშუალება გახდა ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად და ამიერკავკასიაში შემდგომი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად.

შემდგომი ურთიერთობების შეწყვეტამ რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელიც ინიცირებული იყო თბილისის მიერ, ჩვენს ქვეყნებს შორის ტრადიციულად კეთილმეზობლური კავშირებისა და მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ფესვების მიუხედავად, კიდევ უფრო დაამძიმა სიტუაცია რუსულ-ქართულ ურთიერთობებში და ფაქტობრივად „გაყინა.“ ჩვენთვის ცალსახაა, რომ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესიაში დამნაშავე არის არა ქართველი ხალხი, არამედ სწორედ ბატონი სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმი. ოფიციალური თბილისის პროპაგანდა დღესაც ახდენს ქვეყნის რიგითი მოქალაქეების შეცდომაში შეყვანას. ამავე დროს რუსეთი, რომელსაც ქართველი ხალხის მიმართ გულწრფელი მეგობრული გრძნობები და სიმპათიები გააჩნია, დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან თვითონ, თავისივე ინიციატივითა და გარედან ჩარევის გარეშე, ქართველები აირჩევენ ღირსეულ ლიდერებს, რომლებიც

შესძლებენ ზრუნვას თავიანთ ქვეყანაზე და ურთიერთპატივის განვითარებას, თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას კავკასიის ყველა ერთან და ხელს შეუწყობენ რეგიონში უსაფრთხოების გამტკიცებას.

3. სამხრეთ ოსური ხედვა⁵⁷⁹

თანამედროვე ქართულ-ოსური კონფლიქტის წარმოშობა, რომელიც 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს შეიარაღებული აგრესიით დასრულდა, XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს განვითარებული მოვლენებით იყო განპირობებული. ამ პერიოდში, სსრკ-ის უმაღლესი ხელისუფლების უუნარობამ შეეჩერებინა ის ძირეული პროცესები, რამაც ყოფილი საბჭოთა კავშირი საბოლოო დაშლამდე მიიყვანა, საბჭოთა რესპუბლიკებში გააქტიურა ეროვნული მოძრაობები ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით. საქართველოში ამ პროცესს უძღვებოდა რადიკალი ნაციონალისტი ზ. გამსახურდია, რომელმაც პირველმა გააჟღერა ლოზუნგი – „საქართველო ქართველებისთვის,“ რაც მოგვიანებით საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საფუძველი გახდა მის ავტონომიებთან მიმართებაში. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს“ შემადგენლობაში ყოფნა აბსოლუტურად შეუძლებელი გახდა.

სსრკ-ის შემადგენლობიდან გასვლის გადაწყვეტილებით, საქართველომ უგულვებელყო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის უფლება საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მათი ეს უფლება უზრუნველყოფილი იყო 1990 წელს მიღებული „სსრ კავშირიდან რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების შესახებ“ სსრკ-ის კანონით, რომელიც ასევე, მოქმედებდა იმ ავტონომიური სუბიექტებისთვის, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ. 1991 წელს, საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა, ხოლო სამხრეთ ოსეთი, თავისი კონსტიტუციური უფლების გამოყენებით, 1991 წლის 17 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, დარჩა სსრკ-ის შემადგენლობაში.

ამ დროისთვის პოლიტიკური ბრძოლა უკვე გადაიზარდა საქართველოს ღია შეიარაღებულ აგრესიაში სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც, სამხრეთ ოსეთის მხრიდან დაილუპა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა ათასზე მეტი ადამიანი, დაახლოებით, 2,5 ათასმა მიიღო სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება. სამხრეთ ოსეთიდან ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა 55 ათასი დევნილი, დაახლოებით,

⁵⁷⁹ არაოფიციალური თარგმანი რუსულიდან, მოწოდებული საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებით ფაქტების მომძიებელი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიისთვის

120 ათასი ოსი, რომლებიც ადრე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობდნენ, ასევე, იძულებით გახდნენ დევნილები.

1992 წლის დასაწყისში, სახელმწიფო გადატრიალებამ საქართველოში და იქ დაწყებულმა სამოქალაქო ომმა, გარკვეულწილად, შეამცირა სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების ინტენსივობა, მაგრამ 1992 წლის გაზაფხულზე ქართულ-ოსური კონფლიქტი კვლავ მკვეთრად გამწვავდა. ქალაქი ცხინვალ(ი) მთლიანად იყო ბლოკირებული. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში უკვე მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ქართული არარეგულარული შეიარაღებული ფორმირებები და კრიმინალური დაჯგუფებები, არამედ შსს-სა და საქართველოს რეგულარული არმიის ქვედანაყოფები. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დამწვარი და განადგურებული იყო 100-ზე მეტი ოსური დასახლებული პუნქტი. რუსეთის ზეწოლის შედეგად, საქართველო დათანხმდა მოლაპარაკებებს, რომლებიც 1992 წლის 24 ივნისს, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ დაგომისის შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა. ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ დაგომისის შეთანხმება ითვალისწინებდა კონფლიქტის დასარეგულირებლად სპეციალური ორგანოს - შერეული საკონტროლო კომისიის (შსკ) შექმნას, რომელიც შედგებოდა ოთხი მხარის - საქართველო, სამხრეთ ოსეთი, რუსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი - წარმომადგენლებისგან, ეუთო-ს მონაწილეობით. 1992 წლის 14 ივლისს, მას შემდეგ რაც კონფლიქტის ზონაში შეიყვანეს შერეული სამშვიდობო ძალების სამი ბატალიონი - რუსული, ქართული და ოსური შემადგენლობით, საბრძოლო მოქმედებები შეწყდა.

ამ დროიდან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ, რომელზეც 1990 წლიდან საქართველოს იურისდიქცია ფაქტობრივად არ ვრცელდებოდა, მოიპოვა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი.

აგრესიული რიტორიკის მიუხედავად, რომელიც თბილისის მაღალი რანგის ოფიციალური პირებისგან სამხრეთ ოსეთის მისამართით ისმოდა, სამხრეთ ოსეთი აგრძელებდა მოლაპარაკებების პროცესში საერთაშორისოდ აღიარებულ შსკ-ის ფორმატში მონაწილეობას; სამხრეთი სამშვიდობო ოპერაციის ეფექტიანობას ქართული მხარეც აღიარებდა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ესკალაცია და სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის მკვეთრი გაუარესება 2004 წლის დასაწყისში ხელახლა დაიწყო. ეს დაკავშირებული იყო საქართველოს ხელისუფლებაში მ. სააკაშვილის მოსვლასთან, რომელმაც განაცხადა, რომ იგი გეგმავდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის საქართველოს

შემადგენლობაში ინტეგრირებას ნებისმიერ ფასად. ქართული ხელისუფლების მიერ არჩეულმა პოლიტიკურმა კურსმა გამოიწვია კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის მიერ დამაბულობის გაღვივება რაც საბოლოოდ გამოიხატა 2004 წლის ივლისში, საქართველოს ღია სამხედრო აგრესიაში სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ. ქართულმა ჯარებმა, რომლებიც ცხინვალის გარშემო სტრატეგიული სიმაღლეების დაკავებას ცდილობდნენ, განიცადეს მნიშვნელოვანი დანაკარგი და 2004 წლის აგვისტოს ბოლოს, უკან დაიხიეს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ ოსეთი აწარმოებდა მხოლოდდამხოლოდ თავდაცვით სამხედრო მოქმედებებს, სხვა ქვეყნების, მათ შორის რუსეთის მხრიდან, რაიმე სამხედრო დახმარების გარეშე. ამასთან, კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსული სამშვიდობო ქვედანაყოფები საბრძოლო მოქმედებებში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მათი მანდატის მოთხოვნების შესაბამისად, ცდილობდნენ სამხედრო კონფლიქტში მხარეთა განცალკევებას და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

2004 წლის ზაფხულში, სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის უშედეგო მცდელობის შემდეგ, 2006 წლის დასაწყისისთვის საქართველოში, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის მიტაცების ახალი გეგმა, სახელწოდებით, „ვეფხვის ნახტომი“ იქნა შემუშავებული. ეს გეგმა 2006 წლის მაისისთვის იყო დაგეგმილი და ითვალისწინებდა რამდენიმე მსხვილმასშტაბიანი პროვოკაციის მოწყობას სამხრეთ ოსეთის ქართული მოსახლეობისა და სამშვიდობოების წინააღმდეგ, რომელთა შორის მრავალრიცხოვანი მსხვერპლი შეიძლება სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ახალი ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განხორციელების მიზეზი გამხდარიყო. ამ გეგმის თანახმად, ქართულ ჯარს ეძლეოდა 7 დღე-ღამე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ყველა დასახლებულ პუნქტზე კონტროლის მოსაპოვებლად და როკის გვირაბის სრული ბლოკირებისთვის. თუმცა, ეს გეგმა არ ამოქმედებულა, რადგან იმ დროისთვის ქართული არმიის წვრთნა და აღჭურვილობა, მისივე სარდლობის მიერ, არათანაზომიერად იყო შეფასებული.

მოვლენათა ამ სცენარით განვითარებით დაიწყო საქართველოს უპრეცედენტო მილიტარიზაციის პერიოდი. ქვეყნის ხელისუფლებამ განაცხადა ნატო-ში გაწევრიანების დაჩქარებული კურსის შესახებ. საქართველოს ხელისუფლება დემონსტრაციულად ზრდიდა სამხედრო ბიუჯეტს და 2008 წლისთვის ხარჯებმა შეიარაღების იმპორტზე, საქართველოსთვის ასტრონომიულ თანხას მიაღწია – 1 მილიარდი აშშ დოლარი. საქართველო აქტიურად ყიდულობდა შეტევით შეიარაღებას აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, რომლებიც არა მხოლოდ ევროკავშირის, არამედ ეუთო-ს წევრები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეუთო-ს მისია შუამავლობდა ქართულ-ოსური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესს. საქართველოსთვის იარაღის მომწოდებელთა

რიცხვში შედიოდნენ აშშ, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, საბერძნეთი, თურქეთი, ისრაელი, ლიტვა, ესტონეთი, უკრაინა, სერბეთი და სხვ.

2006 წლის 18 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ზონებში სამშვიდობო ოპერაციების შეწყვეტისა და კონფლიქტური ზონების ტერიტორიებიდან რუსეთის სამშვიდობო ქვედანაყოფების გაყვანის შესახებ. ამ დადგენილების პრაქტიკული შედეგი გახდა ქართული სამშვიდობო ბატალიონის გასვლა შერეული სამშვიდობო ძალების შემადგენლობიდან და შერეული სამშვიდობო ძალების ერთიანი სარდლობის დაქვემდებარებიდან. ქართული მშვიდობისმყოფელების მართვა და კონტროლი უშუალოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა.

საქართველოში აღარ მალავდნენ, რომ სახელმწიფოს არმიის სწავლებას და მომზადებას სამხედრო ინსტრუქტორები აშშ-დან და ისრაელიდან იმ მეთოდებით ატარებდნენ, რომლებიც მუშავდებოდა ყოფილ იუგოსლავიაში სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობისას და მიმართული იყო არა თავდაცვაზე, არამედ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაციის განხორციელებასა და კონფლიქტების ძალადობრივი მეთოდით გადაწყვეტაზე.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ 2008 წლის დასაწყისისთვის, საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობას გააჩნდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სავარაუდო სამხედრო მოქმედებათა ასპარეზისთვის განკუთვნილი, დეტალური თანამგზავრული რუკები, რომელთა შედგენაც გამორიცხული იყო საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ, თავისი შეზღუდული შესაძლებლობების ფარგლებში. ადრე ხელმოწერილი ხელშეკრულებების დარღვევით, ქართული მხარე რამდენიმე წლის განმავლობაში თავისი სამშვიდობო კონტინგენტის როტაციას ატარებდა არა ექვს თვეში, არამედ ყოველ 2-3 თვეში ერთხელ, რის შედეგადაც, 2008 წლის ზაფხულისთვის გაეცნო მე-4 ქვეითი ბრიგადის პრაქტიკულად ყველა ქვედანაყოფის შესაძლო საბრძოლო მოქმედებათა ასპარეზს. მოგვიანებით სწორედ ამ ბრიგადამ განახორციელა სამხედრო იერიში ცხინვალზე 7 აგვისტოს.

2008 წლის 28 იანვარს, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ედუარდ კოკოითმა, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს გაუგზავნა ოფიციალური წინადადება, საერთაშორისო ფორმატში კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის მონაწილეობით შეხვედრის შესახებ, სადაც ხელი მოეწერებოდა შეთანხმებას სამხედრო ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რომლის საშუალებითაც უნდა მოგვარებულიყო ქართულ-ოსური კონფლიქტი. ეს ინიციატივა

რამდენიმეჯერ მიეწოდა საქართველოს მთავრობას განსახილველად, მაგრამ მან აღნიშნული ინიციატივა დემონსტრაციულად უგულვებელყო. 2008 წლის 15 მარტს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ოფიციალურად განაცხადა უარი ასეთ შეხვედრაზე და აღნიშნა, რომ საქართველო არ აპირებს აიღოს ვალდებულებები ძალის არგამოყენებაზე, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის, საქართველოს სასარგებლოდ გადაჭრის ძალადობრივი ხერხი, მისი ხელმძღვანელობისთვის ერთადერთი შესაძლო ვარიანტი იყო. საკმაოდ თვალსაჩინოა, რომ ეს განცხადება გაკეთდა სამხედრო მოსამსახურეების წინაშე მის გამოსვლაში გორის სამხედრო ბაზაზე, რომელიც აშენებულია ქალაქ ცხინვალიდან 30 კილომეტრში.

2008 წლის 4 მარტს, ქართულმა მხარემ ოფიციალურად განაცხადა ეუთო-ს მონაწილეობით ოთხმხრივი მოლაპარაკების პროცესიდან გასვლის შესახებ, რაც არ იყო მისი პირველი მცდელობა 1992 წლის დაგომისის შეთანხმების დენონსირების, მოლაპარაკების პროცესის დაბლოკვისა და სამშვიდობო ოპერაციისთვის სამართლებრივი საფუძვლების გაუქმებისა. აგრეთვე, ამ მიზნებს ემსახურებოდა საქართველოში კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის გაუქმება და ახალი თანამდებობის – „საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრის“ დაწესება.

ამავე დროს, კონფლიქტის ზონაში სიტუაცია სწრაფად მწვავედებოდა და 2008 წლის ზაფხულისთვის, ქართული მხარის მიერ შეგნებულად იყო უკიდურესობამდე მიყვანილი. ქართული ხელისუფლების მიერ მოწყობილი პოლიტიკური პროვოკაციების ფონზე, როგორც იყო მაგალითად, 2008 წლის აპრილში, საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების ელჩების სამხრეთ ოსეთში ვიზიტის ჩაშლა, ცხინვალსა და საქართველოს ტერიტორიის მიმდებარე, სამხრეთ ოსეთის ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში ქართული სპეც-სამსახურების მიერ განხორციელდა მთელი რიგი ტერორისტული აქტებისა, რომელთა შედეგად დაიღუპნენ სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის მშვიდობიანი მოქალაქეები. საქართველო დემონსტრაციულად ამზადებდა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაზე თავდასხმისთვის სამხედრო პლაცდარმებს და კონფლიქტის ზონაში ზრდიდა თავის სამხედრო კონტინგენტს, არა მხოლოდ თავის ტერიტორიებსა და სასაზღვრო რეგიონებში, არამედ სამხრეთ ოსეთის იმ რაიონებში, სადაც კომპაქტურად იყო დასახლებული ქართული მოსახლეობა და წინასწარ მომზადებული შემოვლითი გზებით იქ, ცოცხალი ძალა და შეიარაღება გადაყავდა.

სამწუხაროდ, სამხრეთ ოსეთის არა ერთი მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობას და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სტრუქტურებს, სადაც იგი მოუწოდებდა

შეჩერებინათ დამაბულობის ესკალაცია და შეემცირებინათ საქართველოდან წამოსული საფრთხის ხარისხი, უყურადღებოდ დარჩა.

2008 წლის ივლისის მეორე ნახევარში, საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარდა საქართველოსა და აშშ-ის ერთობლივი სამხედრო წვრთნები „დაუყოვნებელი რეაგირება,“ სადაც მუშავდებოდა სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების ტაქტიკა. ამ სწავლებაში მონაწილე ქართული არმიის ქვედანაყოფები, სწავლების დასრულების შემდეგ გადაიყვანეს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვრებთან. ამავე დროს საქართველოს ხელისუფლება ახორციელებდა საბრძოლო მოქმედებების სავარაუდო ტერიტორიებიდან ქართული მოსახლეობის მასობრივ ევაკუაციას.

4. აფხაზური ხედვა⁵⁸⁰

აფხაზეთის წინააღმდეგ საქართველოს შესაძლო აგრესიის წინაპირობათა ფორმირება 2008 წლის აგვისტომდე, ბევრად უფრო ადრე დაიწყო. უკვე 2008 წლის დასაწყისში, მდინარე ენგურის ახლომდებარე ტერიტორიაზე გააქტიურდა საქართველოს სპეც-სამსახურების სადაზვერვო საქმიანობა, ზუსტდებოდა ჯარების გადაადგილების მარშრუტები, ენგურზე ფონის მდგომარეობა და აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ძალების მზადყოფნის ხარისხი მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ. რეგულარულად ფიქსირდებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული უპილოტო აპარატების ფრენები, რომელიც ფართო დანიშნულების იყო. აშკარა იყო, რომ საქართველო მეთოდურად ეწეოდა სადაზვერვო საქმიანობას, სტრატეგიულ ობიექტებზე დაკვირვებისა და აფხაზეთის შეიარაღებული ფორმირებების დისლოკაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით.

ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის მხარეს არაერთხელ მიუმართავს დსთ-ის შერეული სამშვიდობო ძალებისა და საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელობებისთვის, მიექციათ ყურადღება აფხაზეთის რესპუბლიკის საჰაერო სივრცის საქართველოს მიერ გამოყენების აკრძალვაზე, რაც 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების დარღვევას წარმოადგენს. შეთანხმების 1-ელ პუნქტში ნათქვამია: „მხარეები განუხრელად დაიცავენ ცეცხლის შეწყვეტას მიწაზე, ზღვაში და საჰაერო სივრცეში...“

⁵⁸⁰ აფხაზეთის მიერ საგამოძიებო მისიისთვის წარდგენილი ტექსტის სათაური: „A Brief Account of August 2008 Events“ (არაოფიციალური თარგმანი რუსულიდან).

თბილისი ღიად ეწეოდა სამხედრო მზადებას – ქვეყანაში იწვევდნენ საერთაშორისო სამხედრო სპეციალისტებს, ტარდებოდა ტრენინგები და ერთობლივი სამხედრო წვრთნები, ხდებოდა მასობრივი მსხვერპლისა და ნგრევების გამომწვევი, თანამედროვე შემტევი შეიარაღების საშუალებების შესყიდვები, საერთაშორისო კონვენციით აკრძალულ სახეობათა ჩათვლით. დღეისთვის არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ საქართველოს მთავრობა ახორციელებდა შეიარაღების შესყიდვებს რიგ ევროპულ ქვეყნებშიც. (ცნობილია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2008 წლისთვის დაამტკიცა 800 მლნ. დოლარის სამხედრო ხარჯები, ხოლო ივლისში იგი 1 მილიარდამდე გაიზარდა).

სიტუაციის გამწვავებას ხელს უწყობდნენ რადიკალურად განწყობილი საქართველოს პარლამენტარების სერიოზული განცხადებები, სადაც ისინი ღიად აცხადებენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ყოფილი ელჩის, ეროსი კიწმარიშვილის სიტყვებით, 2008 წლის აპრილში, ქართული ხელისუფლების ვიწრო წრეში განიხილებოდა აფხაზეთზე შეტევის შესაძლებლობა. მისი სიტყვებით, „საქართველოს ზოგიერთმა ლიდერმა განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი მხარს უჭერს სოხუმის წინააღმდეგ სამხედრო ქმედებას... სააკაშვილმა პირობა დადო, რომ აგვისტოში სოხუმი გახდებოდა საქართველოს დედაქალაქი.“

რამდენიმე გავლენიანმა პირმა, მათ შორის, სააკაშვილის გარემოცვიდან, ღიად განაცხადა, რომ სამხედრო ოპერაცია უბრალოდ შესაძლებელი კი არ არის, არამედ აუცილებელიცაა. შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ერთადერთი საკითხი რომელიც აწუხებდათ ქართველ პოლიტიკოსებს – ეს იყო აფხაზეთის რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სტატუსის გარკვევა და არა ნდობის აღდგენა ან კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების საკითხები. საქართველოს ძირითადი მიზანი იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ნებისმიერ ფასად. ამის ირიბი მტკიცებულებაა 2008 წლის 23 იანვრის გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენებაც, სადაც ნათქვამია: „გაურკვევლობისა და შფოთვის მიზეზი იყო ის არასარწმუნო ინფორმაცია, რომელიც, პრაქტიკულად, ყოველდღიურად ვრცელდებოდა ქართული მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და თვით საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. ამგვარმა ინფორმაციამ გამოიწვია უნდობლობის ზრდა და უსაფრთხოების დასუსტება, რამაც საბოლოო ჯამში, გაზარდა კონფრონტაციის ალბათობა. აგრეთვე, გაიზარდა ისეთი განცხადებების რიცხვი, რომლებიც კონკრეტულად მიმართული იყო დსთ-ის სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ. ეს განცხადებები, უმეტეს შემთხვევებში, უსაფუძვლო იყო.“

საქართველოს მიერ აფხაზეთთან საკითხის ძალისმიერი გადაჭრის შესაძლებლობის დეკლარირებული კურსი და კოდორის ხეობაში სამხედრო პოტენციალის გაზრდა, ზოგადად, რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას ახდენდა. ამავე დროს, აფხაზეთის მხარის ნებისმიერი ინიციატივა, ხელი მოეწერათ თბილისსა და სოხუმს, ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებებზე, წარუმატებელი იყო საქართველოს მხრიდან სურვილის არარსებობის გამო.

რაც შეეხება სიტუაციას კოდორის ხეობაში, ის 2006 წლიდან წარმოადგენდა აფხაზეთის წინააღმდეგ მუდმივი პროვოკაციების წყაროს, მისი მოპოვებისთანავე. საქართველოს პრეზიდენტის, მ. სააკაშვილის სიტყვებით კოდორის ხეობა წარმოადგენდა „მეტისმეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პლაცდარმს... იმ ადგილის თავზე, საიდანაც სოხუმამდე შეიძლებოდა საჭაერო გზით მიღწევა, სულ რაღაც 5 წუთში.“ აღსანიშნავია, რომ აფხაზური მხარე არაერთხელ ცდილობდა მშვიდობიანი, დიპლომატიური გზით გადაეწყვიტა კოდორის ხეობიდან სამხედრო ქვედანაყოფების გაყვანის საკითხი, მაგრამ მხოლოდ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ იყო მიღებული გადაწყვეტილება ამ პლაცდარმის გათავისუფლების შესახებ, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო აფხაზეთის წინააღმდეგ.

ხეობაში ოპერაცია აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ დამოუკიდებლად ჩატარდა და მოიცავდა მხოლოდ აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიას. აფხაზეთის ხელისუფლებამ კოდორის ხეობის ზედა ნაწილის მოსახლეობისთვის უზრუნველყო დერეფანი, რომ მოსახლეობას ჰქონოდა შესაძლებლობა დაეტოვებინა საბრძოლო მოქმედებების ზონა. უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე, ზემო კოდორის ხეობის მოსახლეობა არაერთხელ გააფრთხილეს, რომ მზადდებოდა და ჩატარდებოდა ზემო კოდორის გათავისუფლების ოპერაცია. მოწყობილი იქნა ჰუმანიტარული დერეფანი, როგორც მშვიდობიანი მოსახლეობისთვის, ასევე სამხედრო მოსამსახურეებისთვისაც. ყველა საავიაციო დარტყმა და საარტილერიო ცეცხლის გახსნა ხორციელდებოდა იმგვარად, რომ არ დაზიანებულიყო დასახლებული პუნქტები და მშვიდობიან მოსახლეობას შორის არ ყოფილიყო მსხვერპლი. ზემო კოდორის გათავისუფლების შემდეგ, იქიდან გაყვანეს ყველა სარეზერვო ქვედანაყოფი. პრეზიდენტის ბრძანებით, მოხდა საკომენდანტო რაიონის ორგანიზება და დაინიშნა აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი – რაიონის კომენდანტი.

ამგვარად, კოდორის ხეობაში ოპერაცია ჩატარდა რაიონის მშვიდობიანი მოსახლეობისთვის უმსხვერპლოდ და ზარალის გარეშე, არ დარღვეულა საერთაშორისო

სამართლებრივი ნორმები, და ადგილი არ ჰქონია ძარცვისა და სახლების დაწვა-განადგურების ფაქტებს.

თავი 5. 2008 წლის სამხედრო მოვლენები

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოვლენები, რომლებიც წინ უძღოდა 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას

ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების დასაწყისი

სამხედრო მოქმედებები მეორე (დასავლეთის) ფრონტზე

საქართველოს ოპერაციები

რუსეთის ოპერაციები

კიბერომი

შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ

მატერიალური და ცოცხალი ძალის დანაკარგი

დაღუპულები, დაჭრილები, დაკარგულები, სამხედრო ტყვეები

მატერიალური დანაკარგი

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოვლენებს, რომლებიც წინ უძღოდა 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის და ასევე პოლიტიკური ურთიერთობის მუდმივ გაუარესებას 2006-2008 წლებში, თან ახლდა პოლიტიკური დამაბულობის მომატება, განსაკუთრებით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონებში.

2008 წლის გაზაფხულზე, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამხედრო დამაბულობის მნიშვნელოვანი მატება შეინიშნებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო საჰაერო მოქმედებების გააქტიურება კონფლიქტის ზონაში, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიხედვით დადგენილი ხაზის რეაქტიული თვითმფრინავებითა და უპილოტო საჰაერო აპარატებით გადაკვეთის ჩათვლით (UAVs). 18 მარტიდან 12 მაისამდე პერიოდში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ საქართველოში (UNOMIG)⁵⁸¹ დაადასტურა 5 ქართული უპილოტო საფრენი აპარატისა და ორი რეაქტიული (სუ-25 ტიპის) თვითმფრინავის ფრენა აფხაზეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.⁵⁸² გავრცელებული ინფორმაციით, მთელი რიგი ქართული უპილოტო საფრენი აპარატები იქნა ჩამოგდებული აფხაზური და რუსული ძალების მიერ.⁵⁸³

ქართველების მტკიცებით, უპილოტო საფრენი აპარატის ფრენის მიზანი იყო აფხაზეთში რუსი სამხედროების გაძლიერებაზე დაკვირვება, მაგრამ სოხუმმა ეს აფხაზეთში ქართული სამხედრო ოპერაციების მზადების ნაწილად მიიჩნია.

საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ კონფლიქტის ზონაში ქართული ფრენები, ისევე როგორც აფხაზური და რუსული ძალების ქმედებები საქართველოს უპილოტო საფრენი აპარატების წინააღმდეგ (თავდაცვითი ხასიათის მიუხედავად), განიხილა მოსკოვში მიღწეული ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა განცალკევების შესახებ შეთანხმების დარღვევად, რომელიც კრძალავდა კონფლიქტის ზონაში მძიმე იარაღის შეტანასა და გამოყენებას.⁵⁸⁴ რუსეთის საჰაერო ძალების (რომლებიც არ იყო რუსებით

⁵⁸¹ <http://www.un.org/depts/dpko/mimissions/unomig/>.

⁵⁸² ზოგიერთი უცხოელი ექსპერტის თანახმად, ეს UAV უნდა იყოს ისრაელის Herme-ის ვარიანტი, დაპროექტებული საჰაერო დაზვერვისა და ცეცხლის კონტროლისთვის, მაგრამ არა „ჰაერი-მიწა“ შეტევითთვის.

⁵⁸³ საქართველო აკრიტიკებს რუსეთის მიერ რესპუბლიკების ხელყოფას. რადიო თავისუფლება (RFERL) Newsline 18.04.2008, <http://www.rferl.org/content/article/1144095.html>; წვდომა 18.08.2009. ასევე: აფხაზეთი ირწმუნება, რომ ჩამოაგდო კიდევ ერთი ქართული სადაზვერვო თვითმფრინავი RFERL Newsline 21.04.2008, <http://www.rferl.org/content/article/1144096.html>; წვდომა 18.08.2009.

⁵⁸⁴ UNSC-ის გენერალური მდივნის მოხსენება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, საქართველო S/2008/631, 3 ოქტომბერი, 2008. შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების გაცალკევების შესახებ, Tamaz Diasamidze, Regional Conflicts in Georgia (The Autonomous Oblast of South Ossetia, The Autonomous SSR of Abkhazia 1989-2008), თბილისი 2008. გვ.179-181.

დაკომპლექტებული დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების ნაწილი), მონაწილეობა 2008 წლის 20 აპრილს, ქართული უპილოტო საფრენი აპარატის ჩამოგდებაში ეწინააღმდეგებოდა მოსკოვის შეთანხმებას და „განხილულ იქნა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ 2008 წლის 23 აპრილსა და 30 მაისს.“⁵⁸⁵ უპილოტო საფრენი აპარატის საჭაერო მიმოსვლა ასევე შეინიშნებოდა კოდორის ხეობაში როგორც მის ქვემო, (აფხაზების მიერ კონტროლირებად), ისე ზემო (ქართველების მიერ კონტროლირებად) ნაწილებზე. არც ერთ მხარეს არ დაუდასტურებია კოდორის ხეობაზე განხორციელებული საჭაერო მიმოსვლა.

29 თებერვლიდან 5 მარტამდე, აფხაზურმა მხარემ ჩაატარა სამხედრო წვრთნები, რომელშიც ჩართული იყო ტანკები, მცირე შეიარაღება და ნაღმმტყორცნები ოჩამჩირის რაიონში, ქართულ-აფხაზური ცეცხლის შეწყვეტის ხაზთან ახლოს.⁵⁸⁶

აპრილის შუა რიცხვებში, აფხაზურმა მხარემ უკმაყოფილება გამოთქვა ცეცხლის შეწყვეტის ხაზთან ქართული ძალების განლაგებაზე, რომლებიც იქ გავრცელებული ინფორმაციით იმყოფებდნენ. საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ ჩაატარა ზონის პატრულირება, თუმცა, ვერ მოიპოვა რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა აფხაზების განცხადებას.⁵⁸⁷

2008 წლის აპრილის მიწურულს, რუსეთის ფედერაციამ განაცხადა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოსალოდნელი შემდგომი დამაბულობის შესახებ და გააძლიერა დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების (CIS PKF) 525-კაციანი საჭაერო ბატალიონი შეზღუდული შეიარაღების ზონაში და მიუთითა რომ CIS PKF უნდა ყოფილიყო დადგენილი 3000-კაციანი ზღვარის ქვემოთ.⁵⁸⁸ თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ახალი რუსული ბატალიონი, სხვა მრავლთა შორის აღჭურვილი იყო, 10 საარტილერიო ერთეულისგან, ⁵⁸⁹ რომელიც როგორც წესი, არ შედიოდა სამშვიდობო ძალების აღჭურვილობაში. საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მცდელობა, განეხორციელებინა დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ახალი ბანაკის მონიტორინგი - აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების სამართალდამცავმა უწყებებმა გარკვეული დროით შეაფერხეს.⁵⁹⁰

⁵⁸⁵ UNSC-ის გენერალური მდივნის მოხსენება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, საქართველო. S/2008/480, 23 ივლისი, 2008.

⁵⁸⁶ აფხაზეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს ფართომასშტაბიანი წვრთნები არტილერიის ცეცხლის და საჭაერო ძალების იერიშების ხელმძღვანელობაში. Apsnypress 29.02.2008, <http://www.apsnypress.info/archiv.htm> წვდომა 18.08.2009.

⁵⁸⁷ UNSC-ის გენერალური მდივნის მოხსენება. S/2008/480. Op. cit. UNSC,

⁵⁸⁸ საქართველო-რუსეთი ერთმანეთში ახალ ბრალდებებს ცვლიან. RFERL Newsline 30.04.2008, <http://www.rferl.org/content/article/1144103.html>; წვდომა 18.08.2009.

⁵⁸⁹ UNOMIG-ის წყაროები.

⁵⁹⁰ UNSC-ის გენერალური მდივნის მოხსენება /2008/631. op. cit.

2008 წლის მაისის დასასრულს, პრეზიდენტის გადაწყვეტილების თანახმად, აფხაზეთის მხარისთვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის შესახებ,⁵⁹¹ რუსეთის ფედერაციის მთავრობამ აფხაზეთში ასევე, შეიყვანა 400-კაციანი სამხედრო სარკინიგზო ქვედანაყოფი, რათა აღედგინა ადგილობრივი სარკინიგზო გზა სოხუმის სამხრეთით, ქალაქ ოჩამჩირემდე. ივლისის დასასრულს, ქვედანაყოფმა დაასრულა სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები და უკან იქნა გაწვეული.

საქართველოს მთავრობამ ჩათვალა, რომ ორივე ღონისძიება აგრესიული ხასიათის იყო და მოითხოვა ყველა დამატებითი რუსული ძალისა და აღჭურვილობის დაუყოვნებლივ გაყვანა სარკინიგზო ქვედანაყოფის ჩათვლით. ქართული მხარე აცხადებდა, რომ წინასწარი შეტყობინების არარსებობა და საჭიერო ბატალიონის შეყვანა იყო დსთ-ის სამშვიდობო ოპერაციების მარეგულირებელი რამდენიმე ნორმატივის აშკარა დარღვევა. რაც შეეხება სარკინიგზო ჯარებს, ქართულმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ რუსეთის სამხედროების მიერ კონფლიქტის ზონაში ინფრასტრუქტურის გაძლიერება შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმისთვის მზადებად საქართველოში.⁵⁹² რუსეთის ქმედება გააკრიტიკეს აშშ-ის მთავრობამ და ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, რომლებმაც ეს შეაფასეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევად.⁵⁹³ 2008 წლის 5 ივნისის რეზოლუციაში ევროკავშირის პარლამენტმა განაცხადა, რომ რუსული ჯარები ვეღარ მოიაზრებოდა ნეიტრალურ და მიუკერძოებელ სამშვიდობოებად და სამშვიდობო ძალების ფორმატი ხელახლა იყო გადასახედი.⁵⁹⁴

ამასთან, ქართული მხარე ასაბუთებდა, რომ ზემოაღნიშნული სამხედრო კონტინგენტის გაძლიერება ამტკიცებდა რუსეთის ფედერაციის მონაწილეობას კონფლიქტში, ამიტომ ის ვეღარ შეასრულებდა შუამავლის როლს და აღარც სამშვიდობო ფუნქციის განხორციელების უნარი შესწევდა.⁵⁹⁵ საქართველომ გააძლიერა მოწოდებები სამშვიდობო ძალების ფორმატის შესაცვლელად. კერძოდ, შესთავაზა არსებული სამშვიდობო ოპერაციის ჩანაცვლება ქართულ-აფხაზური გაერთიანებული პოლიციის

⁵⁹¹ პუტინი ავალებს მთავრობას სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის უკეთესი დახმარების უზრუნველყოფას RFERL Newsline 17.04.2008 <http://www.rferl.org/content/article/1144094.html>; წვდომა 18.08.2009 სარკინიგზო დესანტი 02.06.08, <http://www.kommersant.com/p898706/r-l/Russia-to-repair-Abkhazian-railroads/>.

⁵⁹² თბილისი ამხელს რუსეთის „სარკინიგზო ძალებს“ აფხაზეთში. სამოქალაქო საქართველო T2.06.2008, [http://www.civil.ge/eng/article.php?id=18445&search="Tbilisi%20Condemns%20Russian%20Railway%20Troops%20in%20Abkhazia](http://www.civil.ge/eng/article.php?id=18445&search=); წვდომა 24.07.2009.

⁵⁹³ ყოველდღიური პრესბრიფინგი Sean McCormack, Spokesman, 30.04.2008, <http://2001-2009.state.gov/r/pa/prs/dpb/2008apr/104228.htm> ნატოს გენერალური მდივნის განცხადება რუსეთის სარკინიგზო ძალების საქართველოში განთავსების შესახებ 03.06.2008, http://www.nato.int/cps/en/SID-123EE2D2/861F1313/natolive/news_7760.htm?selectedLocale=en

⁵⁹⁴ ევროპის პარლამენტის 2008 წლის 5 ივნისის რეზოლუცია საქართველოს საკითხთან დაკავშირებით იხ.: <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&reference=P6-TA-2008-0253&format=XML&language=EN>; წვდომა 18.08.2009.

⁵⁹⁵ ქართული MFA: მოსკოვი ცდილობს „ეთნიკური წმენდის“ ლეგალიზებას აფხაზეთში. სამოქალაქო საქართველო 18. 07. 2008, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=18813&search=peacekeeping> წვდომა 18.08.2009.

ძალებით ევროკავშირისა და ეუთო-ს მეთვალყურეობითა და წვრთნით რუსეთის ფედერაციის მიერ რაიმე როლის შესრულების გამორიცხვის გარეშე. საქართველომ განაცხადა, რომ თუ სამშვიდობო ფორმატში ძირეული ცვლილებების შეტანა არ მოხდებოდა, ის მზად იყო გაეკეთებინა ოფიციალური მოთხოვნა დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების გამოწვევის შესახებ.⁵⁹⁶

თავის მხრივ, აფხაზური მხარე ამტკიცებდა, რომ დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალები გაძლიერებული იყო სამხედრო აქტივობების დასაწყებად ქართული გეგმის საპასუხოდ. მან არაერთგზის დააფიქსირა თავისი წინააღმდეგობა სამშვიდობო ფორმატის შეცვლასთან დაკავშირებით და აფრთხილებდა, რომ დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების გაყვანა საომარი მოქმედებების განახლებას გამოიწვევდა. აფხაზურმა მხარემ ასევე მიუთითა, რომ თუ საქართველოს მთავრობა გააუქმებდა თანხმობას დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების არსებობასთან დაკავშირებით, ის რუსეთის ფედერაციას შესთავაზებდა შეთანხმებას სამხედრო თანამშრომლობის შესახებ, აფხაზეთში მისი სამხედრო კონტიგენტის შესანარჩუნებლად.⁵⁹⁷

2008 წლის მაისის შუა რიცხვებიდან ივლისამდე რამდენიმე ინციდენტს ჰქონდა ადგილი დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების მონაწილეობით, რამაც გამოიწვია რაიონში სიტუაციის საგანგაშო გართულება ისევე, როგორც საქართველო-რუსეთის ურთიერთობის დაძაბვა.

ივნისში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ აღნიშნა, რომ ქართულმა მხარემ გაზარდა საწვრთნელი კონტინგენტი და ზონები ისევე, როგორც წვრთნების სიხშირე, რომელსაც ატარებდა სამართალდამცავი უწყებებისთვის (უსაფრთხოების ზონაში) და სამხედროებისთვის (იარაღის შეზღუდვის ზონაში).⁵⁹⁸

2008 წლის ივნისის დასასრულიდან შუა ივლისამდე აფეთქებების მთელი სერია განხორციელდა საჯარო დაწესებულებებში ცეცხლის შეწყვეტის ხაზის აფხაზეთის მხარეზე და ასევე გზისპირა აფეთქებები ქართულ მხარეზე.⁵⁹⁹ დაბომბვას შედეგად 4

⁵⁹⁶ პრეზიდენტ სააკაშვილის ინტერვიუ რუსთავი 2-ის არხზე, სამოქალაქო საქართველო. 10.06.2008, <http://www.civilgeorgia.ge/eng/article.php?id=18516>; წვდომა 18.08.2009. რუსეთი აფრთხილებს საქართველოს სამშვიდობოების გაყვანის წინააღმდეგ. სამოქალაქო საქართველო. 17.06.2008, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=18557&search=peacekeeping>. წვდომა 18.08.2009.

⁵⁹⁷ UNSC-ის გენერალური მდივნის მოხსენება S/2008/480. Op. cit.

⁵⁹⁸ UNSC-ის გენერალური მდივნის მოხსენება UNSC, Report of the Secretary-General. S/2008/480. Op. cit.

⁵⁹⁹ მაგ: (E.g. МВД Абхазии ищет причастных к взрывам в Гаграх и Сухуме лиц (აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო ეძებს იმ პირებს, რომლებიც ჩათრეულნი იყვნენ აფეთქებებში გაგრასა და სოხუმში). Kavkazskiy Uzel 1.07.2008, <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/138629>; წვდომა 18.08.2009. В зоне конфликта Абхазии и Грузии произошло четыре взрыва (ოთხი აფეთქება მოხდა საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში). Kavkazskiy Uzel,

6.07.2008, <http://www.kavkaz-uzel.ru/newstext/news/id/1224811.html>; წვდომა 18.08.2009. В Абхазии прогремел взрыв: двое погибших (აფხაზეთში აფეთქებებმა 2 ადამიანი იმსხვერპლა). Kavkazskiy

ფატალური შემთხვევა მოჰყვა, რომელთა შორის იყო აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების უშიშროების ცენტრის გალის განყოფილების ხელმძღვანელი და 18 დაჭრილი, უმეტესად სამოქალაქო პირები.

1 ივლისს, უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, აფხაზეთის მთავრობამ ჩაკეტა ენგურის ხიდი, მთავარი დამაკავშირებელი რგოლი ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე ადგილობრივი, უმეტესად, ქართველი მოსახლეობისთვის.⁶⁰⁰

2008 წლის 20 ივნისს, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტმა, რაულ ხაჯიმბამ საჯაროდ განაცხადა, რომ ძალების გამოყენება შესაძლოა საჭიროც კი, იყოს საქართველოს ძალების მიერ კონტროლირებული ზემო კოდორის ხეობის ხელში ჩასაგდებად.⁶⁰¹ 9 ივლისს, აჩამხარას მაღლობზე ქვემო კოდორის ხეობაში მოხდა აფხაზური და ქართული ძალების შეტაკება, რომლის შედეგად, ორივე მხრიდან რამდენიმე ადამიანი დაიჭრა. დამაბულობამ კიდევ უფრო იმატა 26 ივლისს, საქართველოს მხრიდან ქვაბჭარას ხეობაში, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ზემო კოდორის ხეობაში. განხორციელებული დაბომბვის შესახებ ბრალდების შემდეგ გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ საქართველოში, დაიწყო ინციდენტების დამოუკიდებელი მოკვლევა, მაგრამ იძულებული გახდა შეეჩერებინა, აგვისტოს საომარი მოქმედებების გამო.⁶⁰²

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოვლენები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში⁶⁰³

2008 წლის ზაფხულის განმავლობაში, ყურადღებამ აფხაზეთიდან ოსეთის კონფლიქტის ზონაზე გადაინაცვლა, რასაც თან ახლდა გამანადგურებელი შეტევები ისევე, როგორც ორმხრივი ინტესიური ცეცხლი - საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის მხარეებს შორის ნაღმმტყორცნებისა და მძიმე საარტილერიო ცეცხლის ჩათვლით.

დამაბულობამ საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში იმატა 2008 წლის ივნისის შუა რიცხვებში, აფეთქებებით და ნაღმური ინციდენტებით საქართველოს მიერ კონტროლირებადი სოფლების - კეხვის, ერგნეთისა და თამარაშენის, კოხათში სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მილიციის პოსტის მახლობლად, ასევე ორმხრივი ცეცხლი იყო

Uzel, 7.07.2008, <http://www.kavkaz-uzel.ru/newstext/news/id/1224842.html>; წვდომა 18.08.2009.

⁶⁰⁰ Абхазия закрыла границу с Грузией на неопределенный срок (აფხაზეთმა განუსაზღვრელი დროით ჩაკეტა საზღვარი საქართველოსთან) Kavkazskiy Uzel 1.07.2008, <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/138613>; წვდომა 18.08.2009.

⁶⁰¹ Apsnypress 20.06.2008, <http://www.apsnypress.info/archiv.htm>; წვდომა 18.08.2009.

⁶⁰² UNSC-ს გენერალური მდივნის მოხსენება UNSC, Report of the Secretary-General. S/2008/631. Op. cit.

⁶⁰³ ტექსტი „საქართველო-ოსეთის კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების“ შესახებ და სხვა ნაწილები „Military Events of 2008“-ის პირველ თავში ვრცლადაა წარმოდგენილი და ეფუძნება რეგიონში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას. IFFMCG პატივს სცემს მათ გამოხატულ ნებას, არ იყვნენ დასახელებულნი.

გახსნილი საქართველოს მმართველობაში მყოფი სოფლებს - სვერს, ფრისსა და სამხრეთ ოსეთის სოფლებს, ანძისსა და ზემო ფრისს შორის. ასევე, ხანგრძლივ შეტაკებას ჰქონდა ადგილი ცხინვალის სამხრეთ გარეუბანში და მახლობლად მდებარე ქართულ სოფლებში. ეს ინციდენტები იყო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების აშკარა დარღვევა, რომლის შედეგადაც დაიღუპა და დაიჭრა რამდენიმე ადამიანი და ზარალი მიაყენა საცხოვრებელ სახლებს ორივე მხარეზე.⁶⁰⁴

საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების მხრივ, ზოგადი გაურკვეველი სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა 2008 წლის ივლისში. 3 ივლისს, ოსეთის ადმინისტრირებაში მყოფ სოფელში, დმენისში აფეთქებებმა იმსხვერპლა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მილიციის ხელმძღვანელი, ნოდარ ბიბილოვი.⁶⁰⁵ გავრცელებული ინფორმაციით, იმავე დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ ახალი მექანიზმი დაუმიზნეს სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის პრო-ქართულ ლიდერს, დიმიტრი სანაკოევს (როდესაც ის მგზავრობდა პატარა და დიდი ლიახვის ქართული ანკლავების დამაკავშირებელ შემოვლით გზაზე) და დაიჭრა სამი ქართველი სპეც-რაზმის პოლიციელი.⁶⁰⁶

3-4 ივლისის ღამის განმავლობაში, ცეცხლსასროლი იარაღით ძლიერ ცეცხლსა და ნაღმმტყორცნებით დაბომბვას ჰქონდა ადგილი ცხინვალში და მის სამხრეთ გარეუბნებში, რამაც მსხვერპლი და საკუთრების დაზიანება გამოიწვია.⁶⁰⁷ საჯარო განცხადებაში, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა ქართულ მხარეს ადანაშაულებდა ცეცხლის გახსნაში და მის ქმედებას აფასებდა, როგორც სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის აქტს.⁶⁰⁸ ოფიციალური განცხადებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ადანაშაულებდა სამხრეთ ოსურ მხარეს საქართველოს სოფლების დაბომბვაში და აცხადებდა, რომ საქართველოს მხარემ რეგიონში საპასუხო ცეცხლი ამ ზონაში სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად გახსნა.⁶⁰⁹

3-4 ივლისს, საარტილერიო დაბომბვას მოჰყვა სამხრეთ ოსეთის სოფლების - უბიათსა და ქართული ნულს შორის სროლები.⁶¹⁰ ცეცხლი გაიხსნა ასევე, საქართველოს და ოსეთის ახლადდაარსებულ სამშვიდობო ძალების პოსტებზე, სტრატეგიულად მნიშვნელოვან სარაზუკის მაღლობზე, რომელიც გადმოჰყურებს სამხრეთ ოსეთის გერის

⁶⁰⁴ ოგივე.

⁶⁰⁵ იქვე.

⁶⁰⁶ იქვე.

⁶⁰⁷ ოგივე.

⁶⁰⁸ Заявление МИД РЮО 4.07.2008; <http://cominf.org/en/node/1166477530>; წვდომა 18.08.2009.

⁶⁰⁹ საქართველო აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთმა მის სოფლებს ცეცხლი გაუხსნა; Kavkazskiy Uzel 6.07.2008, <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/138811> ხელმისაწვდომი 18.08.2009, ასევე: ორი მოკლული არტილერიის მიერ ცეცხლის დაშენის დროს... op. cit

⁶¹⁰ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა რუსეთს სთხოვს დაცვას; Kavkazskiy Uzel, 4.07.2008, <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/138754>; წვდომა 18.08.2009.

შემოვლით გზას, ასევე ერედვი-ხეთის შემოვლით გზას - ერთადერთ მოქმედ გზას, რომელიც აკავშირებს ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე ქართულ ანკლავს დაახლოებით, 10 000-იანი მოსახლეობით, დანარჩენ საქართველოსთან.⁶¹¹

7-8 ივლისს ღამით, ქართული შეიარაღებული ძალების 4 მოსამსახურე დააკავა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ. 8 ივლისის საღამოს, ისინი გაათავისუფლეს საქართველოში ეუთო-ს მისიის ჩარევის შემდეგ.⁶¹² იმავე დღეს 4 რუსული სამხედრო თვითმფრინავი შევიდა საქართველოს საჰაერო სივრცეში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის გარშემო.⁶¹³ ეს მოვლენები ვითარდებოდა ქ. ვენიდან ეუთო-ს მუდმივმოქმედი მისიის სრულუფლებიანი წარმომადგენლების (6-10 ივლისი)⁶¹⁴ და აშშ-ის საელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის საქართველოში სტუმრობის წინ (9 ივლისი).⁶¹⁵

9 ივლისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, საქართველო ინციდენტს აფასებს, როგორც „ღია აგრესიას, რომელიც მიმართულია ქვეყნის წინააღმდეგ; ეს არის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის სასტიკი და აშკარა მცდელობა.“⁶¹⁶ 10 და 14 ივლისის განცხადებებით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს საჰაერო თავდასხმას ხსნის, როგორც სამხრეთ ოსეთზე „შეიარაღებული ექსტრემს“, რომელიც მიზანმიმართულია „შეიარაღებული თავდასხმის“ გასაფრთხილებად და თბილისის მოჩვენებით მცდელობას, დაიხსნას თავისი დაკავებული მოსამსახურეები.⁶¹⁷

10 ივლისს, საქართველომ მიმართა გაერო-ს, რათა გამოეკვლიათ მის საჰაერო სივრცეში შემოჭრა, რამაც გამოიწვია გაერო-ს უშიშროების საბჭოს საგანგებო სესიის მოწვევა.⁶¹⁸ ასევე, საქართველოს მოთხოვნის შესაბამისად, გაიმართა ეუთო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს სპეციალური შეხვედრა 14 ივლისს ვენაში სიტუაციის განსახილველად.⁶¹⁹ მოწვეული იქნა ეუთო-ს მუდმივი კონსული. ეს ორი მოვლენა დამატებით ადასტურებს

⁶¹¹ იხ.: 23-ე შენიშვნა See Footnote 23.

⁶¹² იქვე.

⁶¹³ იქვე.

⁶¹⁴ OSCE-ის ელჩის, დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში, Civil Georgia 7.07.2008, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=18710&search=> ; წვდომა 18.08.2009.

⁶¹⁵ რაისი თბილისში ბრუნდება; Civil Georgia 9.07.2008. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=18738&search=> წვდომა 18.08.2009 და დაკავშირებული სტატიები.

⁶¹⁶ საქართველოს საგარეო სამინისტროს განცხადება.

http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=59&info_id=6975. წვდომა 18.08.2009.

⁶¹⁷ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის კომენტარები სამხრეთ ოსეთის სიტუაციაზე 1014-10-07-2008,

http://www.mid.ru/brp_4.nsf/0/CCGF2BD3D05F81BB1C325748200449D3D. წვდომა 18.08.2009.

გაეროს უშიშროების საბჭოს, რუსეთის საგარეო სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის განყოფილების კომენტარები სამხრეთ ოსეთის სიტუაციის განხილვასთან დაკავშირებით 1035-14-07-2008, http://www.Mimid.ru/brp_4.nsf/0/1623764C4DE2D64EC32574860055E227; წვდომა 18.08.2009.

⁶¹⁸ საქართველოს საგარეო სამინისტროს განცხადება. 18.08.2009.

⁶¹⁹ http://www.osce.org/documents/pc/2008/07/32215_en.pdf; წვდომა 18.08.2009.

იმას, თუ რამდენად სერიოზული იყო სიტუაცია რეგიონში იმ დროისთვის.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების საერთო სიტუაცია აგრძელებდა გაუარესებას ივლისის მეორე ნახევარში. 24-დან 28 ივლისის ჩათვლით რამდენიმე აფეთქება განხორციელდა ცხინვალის სამხრეთ გარეუბნებსა და ქართულ სოფელ ავნევიში, ქართული სამშვიდობო ძალების ბატალიონის პოსტთან ახლოს.⁶²⁰ 29-დან 31 ივლისამდე, ვრცელდებოდა ინფორმაცია ქართულ სოფელ სვერისა და სამხრეთ ოსეთის სარაბუკის რაიონის სოფელ ანძისის შორის ცეცხლის გახსნის შესახებ, სადაც 3 ივლისის მოვლენების შემდეგ, საქართველოს და ოსეთის სამშვიდობო ბატალიონებმა თავისი პოსტები განალაგეს.⁶²¹ იმავე დღეს ცეცხლი გაიხსნა ხეთაგუროვოს ზონაში სამხრეთ ოსეთის მილიციის პოსტსა და საქართველოს პოლიციის პოსტებს შორის ქართულ ავნიევი-ზემო ნიქოზის შემოვლით გზაზე. 29 ივლისს, შერეული სამშვიდობო ძალების მონიტორინგის გაერთიანებული ჯგუფი მივიდა ცეცხლის გახსნის ადგილას, მაგრამ არც ერთმა მხარემ არ აიღო ინციდენტზე პასუხისმგებლობა.⁶²²

ამავე დროს, ორივე მხარემ დაიწყო საკუთარი პოზიციების გამაგრება და ახალი საფორთიფიკაციო ნაგებობების აშენება კონფლიქტის ზონის სხვადასხვა სტრატეგიულ ადგილებში სოფლების: თლიაყანა, ხეთაგუროვო, ზემო ფრისი, დიდი გრომი, კვერნეთი, კუსირეთი, ჭორბაული და წუნარიშბას რეზერვუარის ჩათვლით ოსეთის მხარეს და ქართულ მხარეზე სოფელ ფრისისა და ავნიევიდან ზემო ნიქოზამდე ქართულ შემოვლით გზასთან ახლოს.⁶²³ ასევე, გავრცელებული ინფორმაციით, რუსული კომპანიის მიერ სამხედრო ბაზის (უგარდანთა) ჯავას რაიონში და ე.წ. სამხედრო გადამზადების ცენტრის მშენებლობა ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დასრულდა.⁶²⁴

ივლისის დასაწყისში, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ შეზღუდვები დააწესა ტრანსპორტის და ადამიანების გადაადგილებაზე ქართულ მხარეზე და პირიქით. ეუთო-ს დამკვირვებლები სიძნელეებს წააწყდნენ სამხრეთ ოსეთის პოზიციების ვიზიტისას.⁶²⁵

ივლისის შუა რიცხვებში, აშშ-ის ხელმძღვანელობით ყოველწლიური სამხედრო წვრთნა სახელწოდებით „დაუყოვნებლივი რეაგირება“ ჩატარდა ვაზიანის ბაზაზე, თბილისის გარეთ უბანში დაახლოებით, 2 000 ქართველი, ამერიკელი, სომეხი, აზერბაიჯანელი და

⁶²⁰ იხ.: სქოლიო 23.

⁶²¹ იქვე.

⁶²² იქვე. კოკოითი: სამხრეთ ოსეთი ადეკვატურ პასუხს გასცემს საქართველოს პროვოკაციას; Kavkazskiy Uzel, 29.07.2008, <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/139737>; წვდომა 18.08.2009.

⁶²³ იხ.: სქოლიო 23.

⁶²⁴ ანდრეი არემევი: დაიწყება თუ არა სამხრეთ ოსეთში ახალი ომი?) 6.11.2007, <http://www.fondsk.ru/article.php?id=1051> წვდომა 18.08.2009.

⁶²⁵ იხ.: 23-ე სქოლიო.

უკრაინელი ჯარისკაცის მონაწილეობით.⁶²⁶

2008 წლის 15 ივლისიდან 2 აგვისტომდე, რუსულმა ჯარებმა ჩაატარეს ფართომასშტაბიანი წვრთნები სახელად „კავკაზ-2008“ (კავკასია-2008) ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო რაიონში, რუსეთ-საქართველოს საზღვართან ახლოს და შავ ზღვაზე. რუსეთის წვრთნა ოფიციალურად მოიცავდა 8 000 რუს ჯარისკაცს (ზოგი ანალიტიკოსი თვლის, რომ შესაძლოა „ჯარისკაცების რიცხვი განზრახ ყოფილიყო შემცირებული“).⁶²⁷ „კავკაზ-2008“-ის გარდა, იყო რამდენიმე სიგნალი რუსეთის მხრიდან, რომ სამხრეთ ოსეთში საქართველოს სამხედრო ოპერაციების შემთხვევაში ინტერვენციას განახორციელებდა.⁶²⁸

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში უსაფრთხოების სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა. პირველ აგვისტოს, ქართულ ერედვი-ხეითის გზაზე ხელნაკეთი ასაფეთქებელი მექანიზმის აფეთქებით, რომელიც უვლის ცხინვალს, დაიჭრა 5 ქართველი პოლიციელი.⁶²⁹ 1-2 აგვისტოს საღამოს და ღამის განმავლობაში ინტენსიურმა და ფართომასშტაბიანმა ცეცხლის გახსნამ, ნაღმტყორცნებისა და სნაიპერების გამოყენებით, კონფლიქტის ზონაში დანაკარგი და ფატალური შედეგები გამოიწვია.⁶³⁰ საქართველოში ეუთო-ს მისიამ 1-2 აგვისტოს მოვლენები შეაფასა, როგორც ცეცხლის გახსნის ყველაზე სერიოზული ფაქტი 2004 წლის კონფლიქტის შემდეგ. ურთიერთსროლა 2-3 და 3-4 აგვისტოსაც გაგრძელდა.⁶³¹

2008 წლის აგვისტოს დასაწყისში სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ დაიწყო სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაცია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.⁶³²

6 აგვისტოს შუადღიდან დაწყებული, სროლები გავრცელდა ფაქტობრივად, ქართულ-ოსური მხარეების კონფლიქტის მთელ ხაზზე, განსაკუთრებულად ცხელი წერტილებით ავნევი-ნული-ხეთაგუროვოს ზონაში (ცხინვალის დასავლეთი) და დმენისი-ფრისის ზონაში (ცხინვალის აღმოსავლეთი). დილით, მცირე შესვენების შემდეგ, ცეცხლი, ნაღმტყორცნებისა და არტილერიის ჩათვლით, განახლდა 7 აგვისტოს, რამაც გავრცელებული ინფორმაციით, გამოიწვია დანაკარგი და ფატალური შედეგები. იმავე

⁶²⁶ აშშ-ის ჯარებმა დაიწყეს საწვრთნელი ვარჯიშები საქართველოში RFERL 15.07.2008, http://www.rferl.org/content/U.S._Troops_Training_In_Georgia/1183750.html წვდომა 18.08.2009.

⁶²⁷ „The Guns of August 2008. Russia’s War in Georgia.“ სოხუმიდან ცხინვალამდე: ომის ბილიკი საქართველოში; by Johanna Popjanovski.

⁶²⁸ რუსეთის გაფრთხილება. ის არ დაიხვეს საქართველოს რეგიონში. <http://www.rferl.org/articleprintview/1188612.html>. ასევე, იხილეთ: http://www.mimid.ru/brp_4.nsf/0/1623764C4.

⁶²⁹ იხ.: სქოლიო 23.

⁶³⁰ იქვე.

⁶³¹ იქვე.

⁶³² ევაკუირებული ბავშვების მორიგმა კოლონამ დღეს ცხინვალის დატოვა; <http://cominf.org/node/1166477833>; წვდომა 18.08.2009.

დღეს, საერთაშორისო დამკვირვებლებმა ნახეს ქართული ჯარისა და აღჭურვილობის მნიშვნელოვანი გადაადგილება აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან გორისკენ. დარჩენილი ჯარები და აღჭურვილობა უძრავად იდგა გორის ჩრდილოეთით, უშუალოდ კონფლიქტის ზონის გარეთ.⁶³³

7 აგვისტოს რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფოს მინისტრის, თემურ იაკობაშვილის, ქართულ-ოსურ კონფლიქტში რუსეთის სპეციალური დესპანის, ელჩის იური პოპოვისა და შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურის, გენერალ-მაიორ მარატ კულახმეტოვის მონაწილეობით დიპლომატიური ძალისხმევა იქნა გაღებული. მათი მიზანი იყო საქართველო-სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო მოლაპარაკებების უზრუნველყოფა მაღალ დონეზე, მაგრამ ამას არ მოუტანია რაიმე პოზიტიური შედეგები.⁶³⁴

7 აგვისტოს, შუადღით საქართველოს წარმომადგენლებმა დატოვეს შერეული სამშვიდობო ძალების შტაბი ცხინვალში.⁶³⁵

7 აგვისტოს 19:00 საათზე (თბილისის დროით) საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა სატელევიზიო მიმართვაში, რომ მან ეს-ეს არის უბრძანა ქართველ სამხედროებს ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტა. მან ასევე, მოუწოდა სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის მხარეებს სისხლისღვრის შეწყვეტისკენ და მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომისკენ - ორმხრივი ან მრავალმხრივი ფორმატით.⁶³⁶ რამდენიმე საათის განმავლობაში ცეცხლი შეწყდა, რაც სამხრეთ ოსეთის მხარემაც შენიშნა, მაგრამ, გავრცელებული ინფორმაციით, ცეცხლი დაახლოებით, 22:00 საათისთვის განახლდა.⁶³⁷

ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების დასაწყისი

2008 წლის ივნისიდან აგვისტოს დასაწყისამდე, დაძაბულობის მატებამ, რომელიც ზოგიერთი ანალიტიკოსის მიერ დახასიათებული იყო როგორც დაბალი ინტენსივობის ომი - კულმინაციას მიაღწია საქართველოს მიერ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის ჩატარებით სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ, ცხინვალში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამით.

7 აგვისტოს 23:35 საათზე, საქართველოს საარტილერიო ქვედანაყოფებმა დაიწყეს კვამლის ჭურვების სროლა და შემდეგ, 23:50 საათზე ცეცხლი გაუხსნეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე „მოწინააღმდეგე ძალის“ უძრავ და მოძრავ სამიზნეებს.⁶³⁸ საქართველოს

⁶³³ იხ.: სქოლიო 23.

⁶³⁴ იქვე.

⁶³⁵ იქვე.

⁶³⁶ პრეზიდენტ სააკაშვილის სატელევიზიო გამოსვლა სამხრეთ ოსეთში. Civil Georgia 7.08.2008. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=18934&search=>; წვდომა 18.08.2009.

⁶³⁷ იხ.: სქოლიო 23.

⁶³⁸ მოვლენების საქართველოს ოფიციალური ქრონოლოგია, გადაცემული IIFMCG-თვის.

ხელისუფლების ოფიციალური პირების თანახმად, ეს ინტერვალი მიზნად ისახავდა სამოქალაქო მოსახლეობისთვის შესაძლებლობის მიცემას დაეტოვებინათ სახიფათო ზონა და ასევე დაცვის/თავშესაფარის საპოვნელად საკმარისი დროის მიცემას.⁶³⁹

8 აგვისტოს, გამთენიისას ქართულმა ჯარებმა დაიწყეს სახმელეთო შეტევა ქალაქ ცხინვალის წინააღმდეგ და ასევე, ოპერაციები ქალაქის მარცხენა ფლანგზე (მეოთხე ქვეითი ბრიგადა ვაზიანიდან) და მარჯვენა ფლანგზე (მესამე ქვეითი ბრიგადა ქუთაისიდან). ფლანგური ოპერაციები, როგორც ჩანს, მიზნად ისახავდა სხვა მრავალთა შორის, ცხინვალის გარშემო არსებული მნიშვნელოვანი მალღობების დაკავებას და შემდეგ ჩრდილოეთის მიმართულებით გადანაცვლებას, რათა მოპოვებინათ კონტროლი სტრატეგიულად მნიშვნელოვან გუფთას ხიდზე და გზებზე, მათ შორის, ოსეთის მიერ კონტროლირებად ძარას შემოვლით გზაზე, რომელიც გაშლილია როკის გვირაბიდან ცხინვალამდე, რათა შეეჩერებინათ რუსეთის ჯარების შემოსვლა ჩრდილოეთიდან.

ცხინვალის მახლობლად, მალღობების დაკავების შემდეგ, ქართული ძალები (შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეც-დანაშინულების ძალების ჩათვლით) საარტილერიო და სატანკო მხარდაჭერით შევიდნენ ქალაქში. გავრცელებული ინფორმაციით, 8 აგვისტოს შუადღისთვის ქართულმა ძალებმა მოახერხეს ცხინვალის უდიდეს ნაწილზე (მისი ჩრდილოეთი კვარტლების და ცენტრის ნაწილის გარდა) და რამდენიმე სოფელზე, მათ შორის, ზნაურის, მულუთის, ხეთაგუროვოს, კოხათის, წინაგარის, ორჭოსანის, დიდმუხის, გრომის, არწევის და დმენისის ჩათვლით, კონტროლის ხელში ჩაგდება.

თუმცა, ცხინვალსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ქართული ჯარების წინააღმდეგ გაიხსნა მზარდი ცეცხლი საპირისპირო მხრიდან, მათ შორის, რუსეთის საჰაერო ძალებისა და არტილერიის მხრიდან. ქართული ძალების საფლანგო ოპერაციები, ზოგადად, არცთუ წარმატებული აღმოჩნდა, მათ ვერ მიაღწიეს მთავარ მიზანს – ვერ ჩაკეტეს გუფთას ხიდი და მთავარი მარშრუტები როკის გვირაბიდან ცხინვალისკენ და ჯავის ბაზისკენ. ამასთანავე, გუფთას ხიდი საქართველოს არტილერიასა და ავიაციას მიზანში ჰქონდა ამოღებული (4 სუ-25) და გავრცელებული ინფორმაციით, დაზიანებულიც იყო, მაგრამ ხიდი მალევე აღადგინეს რუსულმა და სამხრეთ ოსეთის ძალებმა.

რუსეთის ძალები ჩაერთნენ შეიარაღებულ კონფლიქტში სახმელეთო და საჰაერო ძალებისა და შავი ზღვის ფლოტის ჩათვლით, ასევე უტევდნენ სამიზნეებს საქართველოს ტერიტორიაზე, სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ. გავრცელებული ინფორმაციით, 8 აგვისტოს დილით რუსეთის საჰაერო ძალებმა იერიში მიიტანეს ცენტრალურ საქართველოში (ვარიანი, გორი), თანდათანობით გაავრცელეს ისინი

⁶³⁹ IIFMCG-ის ინტერვიუ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსთან გენერალ-მაიორ დევი ჭანკოტაძესთან. 4 ივნისი, 2009.

საქართველოს სხვა მხარეებზეც სენაკის სამხედრო ბაზის (9 აგვისტო), ფოთის პორტის სამხედრო სამიზნეების და დედაქალაქ თბილისის ჩათვლით. ასევე დაზიანებული იყო რამდენიმე სამოქალაქო სამიზნე.

8 აგვისტოს საღამოს, განიცდიდნენ რა მზარდ წინააღმდეგობას, ქართულმა ძალებმა ცხინვალის ცენტრიდან უკან დახევა დაიწყეს, მაგრამ ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ პოზიციებს ქალაქის სამხრეთ ნაწილში. შემდეგ განხორციელდა მათი გადაჯგუფება და სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადიდან გაძლიერება. გავრცელებული ინფორმაციით, მეოთხე ბრიგადამ გააძლიერა ცხინვალში შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ძალები, ხოლო მარცხენა ფლანგზე მეოთხე ბრიგადის პოზიციები და ამოცანები გადაეცა მეორე ბრიგადას.⁶⁴⁰

გადაჯგუფების შემდეგ, 9 აგვისტოს შუადღით, ქართულმა ძალებმა ხელმეორედ სცადეს ცხინვალზე კონტროლის მოპოვება, მაგრამ წინააღმდეგობას წააწყდნენ, განიცადეს დანაკარგები და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.⁶⁴¹ ამასობაში მეორე ქვეითი ბრიგადის ნაწილები ჩაებნენ ბრძოლაში რუსეთის ჯავშანტრანსპორტიორების კოლონასთან, რომელიც მიემართებოდა ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთის შესასვლელისკენ. იქ იმყოფებოდა 58-ე არმიის მეთაური, არმიის გენერალი ანატოლი ხრულიოვი, რომელიც ჩასაფრების ოპერაციაში დაიჭრა.⁶⁴²

რუსეთის ინტერვენციის წინსვლასა და მისი ძალების მიერ ხმელეთზე უპირატესობის მოპოვებასთან ერთად, ქართველ ჯარისკაცებს შორის, როგორც ჩანს, თავი იჩინა საბრძოლო სულისკვეთების დაცემის ნიშნებმა 10 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში.

10 აგვისტოს, ქართულმა მხარემ განაცხადა ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ და ასევე განაცხადა, რომ გაიყვანდა თავის სამხედროებს სამხრეთ ოსეთიდან.⁶⁴³ მოწინააღმდეგე მხარეებმა არ დაიცვეს მოწოდება.

10 აგვისტოს, გვიან ღამით ქართული ძალების უმეტესმა ნაწილმა დატოვა სამხრეთ ოსეთის ტერიტორია გორის მიმართულებით. 11 აგვისტოს, ქართულმა ძალებმა დატოვეს გორი, გადავიდნენ ქალაქ მცხეთაში და დაიწყეს მთიან რელიეფში თავდაცვითი ხაზის გამაგრება დედაქალაქის, თბილისის დასაცავად.⁶⁴⁴ გავრცელებული

⁶⁴⁰ იქვე.

⁶⁴¹ საქართველოს ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა შეაღწია სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში; Kavkazskiy Uzel, 9.08.2008. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/140242>; წვდომა 18.08.2009. საქართველო იუწყება სამხრეთ ოსეთიდან ჯარების გაყვანის შესახებ; Kavkazskiy Uzel, 10.08.2008. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/140268>; წვდომა 18.08.2009.

⁶⁴² რუსეთის გენერალი დაიჭრა საქართველოს აჯანყებულ რეგიონში. Reuters 9.08.2008. <http://www.reuters.com/article/europeCrisis/idUSL9494498>; წვდომა 18.08.2009.

⁶⁴³ საქართველო აცხადებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ჯარი უკან იხევს. Civil Georgia 10.08.2008. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=19025&search=>; წვდომა 18.08.2009. ასევე Interfax, 10 აგვისტო 2008.

⁶⁴⁴ 2008 წლის აგვისტოს ზარბაზნები. რუსეთის ომი საქართველოში. 7 აგვისტოს შემდეგ;

ინფორმაციით, უკან დახევის დროს დიდი რაოდენობით სამხედრო აღჭურვილობა დატოვეს.

ქართული ძალების უკან დახევას მოჰყვა რუსეთის ძალების უფრო ღრმად შეჭრა ქართულ ტერიტორიაზე, გადაკვეთეს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრები და მოახდინეს რამდენიმე დასახლების დაკავება, მათ შორის, ქალაქ გორის (12 აგვისტო). გორში ყოფნისას, რუსეთის ძალებმა, გავრცელებული ინფორმაციით, დაანგრიეს ნაგებობები და ყაზარმები ადგილობრივ სამხედრო ბაზაზე.⁶⁴⁵ პერიოდულად, რუსულ ძალებს თან ახლდა ან მოჰყვებოდა სამხრეთ ოსეთის მილიცია, რომელიც მნიშვნელოვნად არღვევდა ადამიანის უფლებებს, განსაკუთრებით, სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებში. (ამ თემის შესახებ უფრო ვრცლად შეგიძლიათ გაეცნოთ მეშვიდე თავში: „საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონი და კანონი ადამიანის უფლებების შესახებ“).

სამხედრო მოქმედებები მეორე (დასავლეთის) ფრონტზე

აგვისტოს დასაწყისში დამაბულობამ იმატა ქართულ-აფხაზური ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე, განსაკუთრებით, კოდორის ხეობაში. ქართულმა მხარემ არაერთხელ განაცხადა, რომ ფლობდა ინფორმაციას აფხაზეთის ან/და რუსეთის მიერ ხეობაზე იერიშის მიტანის შესახებ. მაშინაც კი, როდესაც აფხაზური მხარე აცხადებდა იქ ქართულ ძალების რაოდენობის ზრდის შესახებ. ორივე მხარე ასევე აცხადებდა, რომ მეორე მხარე მძიმე სამხედრო აღჭურვილობას მალავდა ხეობაში, თავის კონტროლს დაქვემდებარებულ ნაწილში.

7-8 აგვისტოს, სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების მკვეთრმა გაფართოებამ და რუსეთ-საქართველოს სამხედრო დაპირისპირებამ უკიდურესად დამაბა სიტუაცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში.

8 აგვისტოს, აფხაზურმა მხარემ დაიწყო მძიმე იარაღის შეტანა შეზღუდული შეიარაღების ზონაში, რაც იყო მოსკოვის 1994 წლის შეთანხმების დარღვევა ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების განცალკევების შესახებ, მათ ასევე, არაფრად ჩააგდეს გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის არა ერთი პროტესტი.⁶⁴⁶

9 აგვისტოს, გამთენიისას, შავი ზღვის ფლოტის რამდენიმე რუსული ხომალდი შევიდა ოჩამჩირის პორტში აფხაზეთში, ქართულ-აფხაზური ცეცხლის შეწყვეტის ხაზთან

რუსეთ-საქართველოს ომის ექსკალაცია, Pavel Felgenhauer, გვ. 174-175.

⁶⁴⁵ ღამის იერიშების გრაფიკი. Civil Georgia, 11.08.2008.

<http://www.civil.ge/eng/article.php?id=19040&search=Gori>; წვდომა 18.08.2008. გორის დაბომბვა 6-ჯერ; Civil Georgia 12.08.2008. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=19063&search=Gori>; წვდომა 18.08.2009. რუსეთის თვითმფრინავების მიერ გორის დამბომბვას მსხვერპლი მოჰყვა; Kavkazskiy Uzel, 12.08.2008. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/140367>; წვდომა 18.08.2009.

⁶⁴⁶ UNSC გენერალური მდივნის მოხსენება S/2008/631. op. cit.

ახლოს.⁶⁴⁷ იმავე დღეს, შავი ზღვის ფლოტმა საქართველოს სანაპიროს დიდი ნაწილის გასწვრივ მოაწყო ე.წ. „ზღვისპირა უსაფრთხოების ზონა“, რომელიც მოიცავდა ფოთის პორტს, იმისთვის, რომ უარი ეთქვათ საქართველოსა და უცხოეთის საზღვაო მიმოსვლებისთვის ამ ზონაში.⁶⁴⁸

9 აგვისტოს, შუადღით აფხაზეთის ხელისუფლებამ მიმართა კოდორის ხეობის გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგის ჯგუფს მოთხოვნით, რომ დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ბაზა აჟარაში, საქართველოს მიერ კონტროლირებადი ხეობის ზედა ნაწილში.⁶⁴⁹ გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის პერსონალის გამგზავრების შემდეგ, ზემო კოდორის ხეობაში, იმავე დღეს დაიწყო საჰაერო დაბომბვები.⁶⁵⁰

9-10 აგვისტოს ღამით, აფხაზურმა ძალებმა გადაკვეთეს ცეცხლის შეწყვეტის ხაზი მდინარე ენგურზე, შეიჭრნენ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დაზვერვის მიზნით და სურდათ გადაეჭრათ ქართული საკომუნიკაციო და მომარაგების ხაზები.⁶⁵¹

10 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ განაგრძო თავისი სამხედრო პოზიციების გამაგრება აფხაზეთში ოჩამჩირის პორტში დამატებითი სახმელეთო ძალების ზღვით გადმოსხმით, ასევე ჰაერით, სოხუმის მახლობლად ბაბუშერას აეროპორტში, დაახლოებით, 9 000 ჯარისკაცით და 350 დაჯავშნული მანქანით. საბრძოლო იარაღით აღჭურვილი ეკიპაჟით. შეიარაღებული ძალები არ იყვნენ დსთ-ის სამშვიდობო ძალების ნაწილი და ამიტომ, დაუფარავად მოქმედებდნენ 1944 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების გარეთ.⁶⁵² იმავე დღეს, აფხაზეთის ხელისუფლებამ შემოიღო სამხედრო მდგომარეობა ქართულ-აფხაზური ცეცხლის შეწყვეტის ხაზის მოსაზღვრე გალის, ოჩამჩირის და ტყვარჩელის რაიონებში და ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა.⁶⁵³

10 აგვისტოს, გვიან საღამოს, რუსულმა ძალებმა გადაკვეთეს ქართულ-აფხაზური ცეცხლის შეწყვეტის ხაზი ენგურის მდინარეზე, უფრო ღრმად შეაღწიეს საქართველოს ტერიტორიაზე და მოახდინეს რამდენიმე რაიონის ოკუპირება, მათ შორის, ქალაქ

⁶⁴⁷ შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო გემები ოჩამჩირის აკვატორიაში; Apsnypress 10.08.2008. <http://www.apsnypress.info/archiv.htm> 18.08.2009.

⁶⁴⁸ საქართველო ადანაშაულებს რუსეთს საზღვრის დარღვევაში; Kavkazskiy Uzel, 9. 08. 2009; <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/140205>; 18. 08. 2009. ქართული მასმედია - „რუსეთის მიერ ფოთისა და სენაკის დაბომბვის შედეგად არის მსხვერპლი Kavkazskiy Uzel, 9.08.2008. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/140206> წვდომა 18.08.2009.

⁶⁴⁹ UNSC გენერალური მდივნის მოხსენება S/2008/631. op. cit.

¹⁰ იქვე.

⁶⁵¹ რუსეთის ოფიციალური პასუხები IIFMCG-ის კითხვებზე სამხედრო საკითხთან დაკავშირებით. აფხაზეთის ოფიციალური პასუხები IIFMCG-ის კითხვებზე.

⁶⁵² UNSC გენერალური მდივნის მოხსენება. S/2008/631. op. cit.

⁶⁵³ აფხაზეთში გამოცხადებულია ნაწილობრივი მობილიზაცია და სამხედრო მდგომარეობა Kavkazskiy Uzel, 10.08.2008, <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/140281> წვდომა 18.08.2009.

ზუგდიდის, სენაკისა და ფოთის (12 აგვისტო) ისე, რომ არ შეხვედრიათ რაიმე შეიარაღებული წინააღმდეგობა საქართველოს მხრიდან. რუსულმა ძალებმა დაანგრეს ნაგებობები ფოთის პორტის სამხედრო სექტორში ისევე, როგორც ქართული საზღვაო ხომალდები და გაძარცვეს სენაკის სამხედრო ბაზა.⁶⁵⁴

რუსეთის სამხედროების წინსვლამ ზუგდიდის რაიონში და სხვა ზონებში მდინარე ენგურის სამხრეთით, ალყის დიდი რისკი შეუქმნა ქართული უსაფრთხოების ძალებს, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ ზემო კოდორის ხეობაში. 11-12 აგვისტოს ღამეს, ქართულმა ძალებმა დატოვეს ზემო კოდორის ხეობა ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობასთან ერთად. აფხაზურმა და რუსულმა ძალებმა ამ ზონის ოკუპაცია 12-13 აგვისტოს მოახდინეს.⁶⁵⁵

ცდილობდა რა, გაემართლებინა კოდორის ხეობაში შეიარაღებული შეჭრა, აფხაზური მხარე საქართველოს უსაფრთხოების ძალების ამ ტერიტორიაზე ყოფნას მოიხსენიებდა, როგორც „საფრთხეს აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის მიმართ.“⁶⁵⁶ თუმცა, რუსეთის ხელისუფლებამ აღიარა, რომ აფხაზური მხარე გეგმავდა სამხედრო ოპერაციებს ზემო კოდორის ხეობაში „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს სამხედრო ქმედების შემთხვევაში.“⁶⁵⁷ მართლაც, ზემო კოდორის ხეობაში ჩატარებული ოპერაცია წინასწარ კარგად მომზადებულს ჰგავდა და გავრცელებული ინფორმაციით, ოპერაციაში მონაწილე ძალებმა ქვემო კოდორის ხეობაში შესვლა უკვე 6 აგვისტოს დაიწყეს.

12 აგვისტოს, აფხაზეთის შეიარაღებული ძალები შევიდნენ განმუხურისა და ხურჩის ზონებში მდინარე ენგურის ჩრდილოეთით, ცეცხლის შეწყვეტის ხაზის საქართველოს მხარეზე რომელიც აფხაზეთს 9 სექტემბრამდე ჰქონდა დაკავებული. ⁶⁵⁸ გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის პატრულს უარი ეთქვა ქვემო გალის რაიონის ამ და სხვა ტერიტორიებზე შესვლაზე 4 სექტემბრამდე. 15 აგვისტომდე აფხაზური ძალები ასევე, დროდადრო კვეთდნენ ცეცხლის შეწყვეტის ხაზს სხვა ადგილებზეც, შედიოდნენ მდინარე ენგურის სამხრეთ მხარეს განლაგებულ ქართულ სოფლებში.

საქართველოს ოპერაციები

არსებული წყაროების მიხედვით, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტში ჩართული საქართველოს სახმელეთო ძალები ძირითადად, შემდეგი ქვედანაყოფებისგან შედგებოდა: მეორე, მესამე და მეოთხე ქვეითი ბრიგადა, პირველი საარტილერიო ბრიგადა. 53-ე ქვეითი ბატალიონი, პირველი ბრიგადის საარტილერიო და

⁶⁵⁴ IIFMCG-ის ინტერვიუ სენაკის სამხედრო ბაზის მეთაურთან; 31.05.2009.

⁶⁵⁵ რუსეთის ოფიციალური პასუხები IIFMCG-ის შეკითხვებზე სამხედრო საკითხთან დაკავშირებით.

⁶⁵⁶ აფხაზეთს პასუხები IIFMCG-ის კითხვებზე.

⁶⁵⁷ რუსეთის ოფიციალური პასუხები IIFMCG-ის კითხვებზე სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით.

⁶⁵⁸ UNSC გენერალური მდივნის მოხსენება S/2008/631, op. cit.

მექანიზირებული ელემენტები, ცალკეული სატანკო ბატალიონი, ცალკეული ქვეითი ბატალიონი და საჰაერო თავდაცვის ბატალიონი. თავდაცვის სამინისტროს ძალების გარდა, ძალას წარმოადგენდა და ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა ასევე, აჯანყებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი შინაგან საქმეთა სამინისტროს ზონის ბატალიონის ქვედანაყოფი (პოლიციის სპეცდანიშნულების ძალები). მთლიანმა ძალამ შეადგინა 10000-11000 ჯარისკაცი.⁶⁵⁹

საქართველოს საჰაერო ძალებმა გამოიყენეს სუ-25 და მი-24 ტიპის თვითმფრინავები და მი-8/17, UH-1H ტიპის შვეულმფრენები. თუმცა, მისი უზარმაზარი რიცხოვრივი უმცირესობისა, რუსეთის საჰაერო ძალებთან, როგორც ჩანდა, ვერ ითანაშებდა დიდ როლს ბრძოლაში, რის გამოც განახორციელა შეზღუდული რაოდენობის ოპერაციები, განსაკუთრებით, 8 აგვისტოს დილით.

8 აგვისტოს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოაცხადა ეროვნული გვარდიის დაახლოებით, 5 000-კაციანი რეზერვის მობილიზაცია, მაგრამ გავრცელებული ინფორმაციით, მათ ვერ მოახერხეს მნიშველოვანი როლის შესრულება აგვისტოს შეიარაღებულ კონფლიქტში. ამავე დროს, ელიტური პირველი ქვეითი ბრიგადის 2 000 საუკეთესოდ გაწვრთნილი ქართველი ჯარისკაცი ერაყში იყო. 10-11 აგვისტოს აშშ-ის სატრანსპორტო საშუალებებით ისინი უკან, საქართველოში ჩამოფრინდნენ,⁶⁶⁰ მაგრამ დაგვიანების გამო, მათ არ მიუღიათ მონაწილეობა ბრძოლაში.

საერთაშორისო ექსპერტების უმრავლესობა თვლის, რომ ქართულმა არტილერია და საჰაერო თავდაცვა საკმაოდ კარგად მოქმედებდა და, ზოგადად, აგვისტოს საომარი მოქმედებებში საკუთარი მისია სხვა ქვედანაყოფებზე უკეთ შეასრულა. ბევრი მათგანი ასევე თვლის, რომ რუსეთის სამხედრო ძალების გააქტიურებამ გამოიწვია ის, რომ საქართველო დაცვის გარეშე და მოუმზადებელი იყო როგორც სტატეგიულად, ასევე ტაქტიკურად. ამავე დროს, როგორც ჩანს, ქართველი სამხედროები მეტად იყვნენ მომზადებულნი მოძრავი, უფრო შეტევითი ომისთვის აფხაზეთსა თუ სამხრეთ ოსეთში, მაგრამ არა ფართომასშტაბიანი, ერთდროული ბრძოლისთვის მასზე ძლიერი, მძიმედ შეიარაღებული და საჰაერო მხარდაჭერის მქონე მოწინააღმდეგე ძალების წინააღმდეგ, რომლებიც აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, ანუ ორი ფრონტიდან ერთდროულად მოდიოდნენ.⁶⁶¹

⁶⁵⁹ საქართველოსა და რუსეთის ოფიციალური პასუხები IIFFMCG-ის კითხვარზე სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით.

⁶⁶⁰ საქართველო უკან იწვევს ჯარს ერაყიდან - სააკაშვილი. Civil Georgia 9.08.2008. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=18993&search=Iraq>; წვდომა 18.08.2009. საქართველოს ჯარები გამოდიან ერაყიდან - სააკაშვილი. Civil Georgia 10.08.2008, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=19027&search=Iraq>; ხელმისაწვდომი 18.08.2009. ერაყის ჯარებმა მიიღეს ქართველების უკან დახევა. RFERL 15.08.2008. http://www.rferl.org/content/Iraqi_Troops_Take_Over_From-Withdrawn_Georgians/1191269.html; 18.08.2009.

⁶⁶¹ 2008 წლის აგვისტოს ზარბაზნები. რუსეთის ომი საქართველოში. 7 აგვისტოს შემდეგ: 253

რუსეთის ოპერაციები

2009 წლის ივლისში, IIFFMCG-თვის წარდგენილი რუსეთის ოფიციალური მასალები იუწყება, რომ „8 აგვისტოს, 14:30 საათზე მე-19 დივიზიის მოტომსროლელთა 693-ე და 135-ე პოლკებს დაევალა რუსეთის ფედერაციისთვის დაკისრებული სამშვიდობო მისიის შესრულება და რუსი მოქალაქეების დაცვა. ისინი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან როკის გვირაბის გავლით შევიდნენ სამხრეთ ოსეთში. საჭაერო ძალებმა და საარტილერიო ქვედანაყოფებმა წამოიწყეს შეტევები საქართველოს სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ, რათა შეეზღუდათ მტრის რეზერვის გადაადგილება, გაენადგურებინათ მათი კომუნიკაციები, მწყობრიდან გამოეყვანათ საბაზო აეროდრომები, დაენგრიათ საწყობები და ბაზები, სადაც ინახებოდა საწვავი და საპოხი მასალა და დაებლოკათ საომარი მოქმედებების ტერიტორია.“⁶⁶²

58-ე არმიის მოტომსროლელთა მე-19 დივიზიის ორი პოლკის გარდა, რომლებიც ნახსენები იყო რუსეთის მიერ მოწოდებულ ზემოაღნიშნულ ინფორმაციაში, წინა ინფორმაციის მიხედვით, რომელიც IIFFMCG-ს გადაცა რუსეთის ხელისუფლებამ 2009 წლის მაისის შუა რიცხვებში, რამდენიმე სამხედრო ქვედანაყოფი იღებდა მონაწილეობას რუსეთის ოპერაციაში აღმოსავლეთ ფრონტზე (სამხრეთ ოსეთი), მოტომსროლელთა 42-ე დივიზიის (ჩეჩნეთიდან), 76-ე საიერიშო დივიზიის (ფსკოვი), 98-ე საავიაციო-სადესანტო დივიზიის (ივანოვო), მოტომსროლელთა მე-20 დივიზიის (ვოლგოგრადი), 234-ე საიერიშო დივიზიის, მოტომსროლელთა 205-ე ბრიგადის, მოტომსროლელთა 429-ე და 71-ე პოლკების, 104-ე საიერიშო პოლკის, 331-ე საპარაშუტო პოლკისა და 45-ე სპეცდანიშნულების პოლკის (მოსკოვის ოლქი) ნაწილების ჩათვლით.⁶⁶³

საქართველოს ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით, რომელიც IIFFMCG-ის წარედგინა, რუსეთის ოპერაციაში აღმოსავლეთის ფრონტზე მონაწილეობას იღებდა ასევე: მოტომსროლელთა 33-ე სამთო ბრიგადა (დაღესტანი), 114-ე სარაკეტო ბრიგადა (ასტრახანის ოლქი), ცალკეული საზენიტო-სარაკეტო ბრიგადა (ვოლგოგრადი) და სპეცდანიშნულების მე-10 ბრიგადა (კრასნოდარის ოლქი).⁶⁶⁴

ზოგი ექსპერტის შეფასებით, აგვისტოს კრიზისის დროს, დაახლოებით 12 000 რუსი ჯარისკაცი იყო გაშლილი აღმოსავლეთის ფრონტზე, ანუ სამხრეთ ოსეთში და მის გარეთ.⁶⁶⁵

რუსეთ-საქართველოს ომის ექსკალაცია, by Pavel Felgenhauer, გვ. 165.

⁶⁶² რუსეთის ოფიციალური პასუხები IIFFMCG-ის კითხვებზე სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით.

⁶⁶³ მოკლე ქრონოლოგია. რუსეთის ხელისუფლების მიერ 2009 წლის 15 მაისს, IIFFMCG-თვის წარდგენილი სამშვიდობო ოპერაციები საქართველოში მშვიდობის დასამყარებლად.

⁶⁶⁴ საქართველოს ოფიციალური პასუხები IIFFMCG -ს კითხვარზე სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით.

⁶⁶⁵ 2008 წლის აგვისტოს ზარბაზნები. რუსეთის ომი საქართველოში. 7 აგვისტოს შემდეგ:

ცალკე, მე-7 საიერიშო (სამთო) დივიზიის (ნოვიროსიისკი), მოტომსროლელთა 34-ე სასროლო სამთო ბრიგადის (ყარაჩაი-ჩერქეზეთი), 31-ე ცალკეული საიერიშო ბრიგადის (ულანოვსკი), 526-ე, 131-ე და მე-15 მოტომსროლელთა ცალკეული ბრიგადების ისევე, როგორც მე-2, 108-ე და 247-ე საიერიშო პოლკების ელემენტები გაშლილი იყო აფხაზეთში და მის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ (ზუგდიდი, სენაკი, ფოთი)⁶⁶⁶ და ზოგიერთმა ამ ქვედნაყოფებიდან შეიძლება მონაწილეობა მიიღო რუსეთის ოპერაციებში საქართველოს დასავლეთის (მეორე) ფრონტზე.

ზოგიერთ წყაროზე დაყრდნობით, რუსეთმა მთლიანობაში 15 000 ჯარისკაცი შეიყვანა აფხაზეთში. საქართველოში შეყვანილი რუსეთის ჯარის საერთო რიცხვი იყო 25 000-30000, 1 200 ჯავშანტექნიკისა და მძიმე არტილერიის ერთეულის ჩათვლით, როცა მან საქართველოში გადაინაცვლა 2008 წლის აგვისტოში. ასევე მოქმედებაში მოიყვანეს 200 თვითმფრინავი და 40 შვეულმფრენი.⁶⁶⁷ რამდენიმე ათასი შეიარაღებული ოსი და მოხალისე მილიციელი ჩრდილოეთ კავკასიიდან შეუერთდა რუსეთის ძალებს აღმოსავლეთ ფრონტზე ისევე, როგორც 10 000-მდე აფხაზი ჯარისკაცი და მილიციის ჯარები ჯავშანტექნიკითა და იარაღით შეუერთდა დასავლეთის ფრონტს.⁶⁶⁸

გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთმა საჰაერო ოპერაციები დაიწყო 8 აგვისტოს დილით, პირველი იერიშის მიტანით საქართველოს საჰაერო უშიშროების ობიექტზე გორის რაიონში.⁶⁶⁹ 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართული დაჯგუფებები, როგორც ჩანს, მოვიდნენ ძირითადად, საჰაერო ძალებისა და საჰაერო თავდაცვის მე-4 არმიიდან (როსტოვის ოლქი) და მოიცავდნენ სუ-24, სუ-25, სუ-27 და სუ-29 თვითმფრინავებს, ასევე მი-8 და მი-24 შვეულმფრენებს.⁶⁷⁰

სამიზნე იყო საქართველოს ოპერატიული სახმელეთო და საჰაერო აქტივები. საჰაერო თავდაცვის სარადარო მოწყობილობებსა და საჰაერო ბაზებზე ხორციელდებოდა რეგულარული იერიშები და განმეორებადი შეტევები მარნეულის, ვაზიანისა და ბოლნისის ავიაბაზების წინააღმდეგ. ეს ობიექტები საკმაოდ შორს იყო კონფლიქტის მთავარი ზონიდან. აქედან გამომდინარე, იმის მაგივრად, რომ უზრუნველყოთ კონტაქტში მყოფი სახმელეთო ძალების ახლო საჰაერო მხარდაჭერა, როგორც ჩანს,

რუსეთ-საქართველოს ომის ექსკალაცია, Pavel Felgenhauer, გვ. 171.

⁶⁶⁶ მოკლე ქრონოლოგია. რუსეთის ხელისუფლების მიერ 2009 წლის 15 მაისს IIFMCG-თვის წარდგენილი სამშვიდობო ოპერაციები საქართველოში მშვიდობის დასამყარებლად.

⁶⁶⁷ „ხუთდღიანი ომი“ გაზეთი „ვლასტი“, 18 აგვისტო, 2008.

⁶⁶⁸ შვიდი ათასი მოხალისე წავიდა ჩრდილოეთ ოსეთიდან სამხრეთ ოსეთისაკენ Kavkazskiy Uzel, 9.08.2008, <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/140241>; წვდომა 18.08.2009. აფხაზმა სეპარატისტებმა შეუტიეს სადავო ქართულ ხეობას, როიტერსი 09.08.2008 <http://www.reuters.com/article/gc07/idUSL932653720080809>; 18.08.2009. 7 აგვისტოს შემდეგ: რუსეთ-საქართველოს ომის ექსკალაცია, M.E. Sharpe, Inc., 2009, გვ. 173.

⁶⁶⁹ RIA Novosti - 0920, 0925 08 აგვისტო, გვ. 22, 5-დღიანი ომი; 0941 08 აგვისტო, გვ. 153.

⁶⁷⁰ საქართველოს ოფიციალური პასუხები IIFMCG-ის კითხვარზე სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით.

რუსეთის საჰაერო რეიდები სტრატეგიულად მიმართული იყო უფრო ფართო სამხედრო მიზნის მხარდასაჭერად, რომელიც მოიცავდა სამხრეთ ოსეთში მყოფი ქართული ბრიგადებისთვის ყველანაირი დახმარების განეიტრალებას მეორე ეშელონის ძალებისგან, განსაკუთრებით, საჰაერო მხარდაჭერის. ამ პირველადი მიზნის გათვალისწინებით, ასევე, სამიზნეებს წარმოადგენდნენ შავი ზღვის სანაპირო საპორტო ნაგებობები, საჰაერო გადაადგილების სარადარო მოწყობილობები, თვითმფრინავების საწარმოები და სარემონტო ქარხნები. მას შემდეგ, რაც ქართველებმა განაგრძეს უკან დახევა, რუსებმა ძალები მიმართეს რუსეთის სახმელეთო ჯარების მხარდასაჭერად, რომ დაეჩქარებინათ ქართველების უკანდახევა. აგვისტოს საომარი მოვლენების მსვლელობისას, გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის საჰაერო ძალებმა დაკარგეს რამდენიმე თვითმფრინავი, მათ შორის, ერთი სტრატეგიული ბომბდამშენი და სადაზვერვო თვითმფრინავი Tu-22M3.⁶⁷¹

როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში და/ან მის მახლობლად განლაგებული რუსეთის შავი ზღვის ფლოტი შედგება დაახლოებით 13 ხომალდისგან, მათ შორის იყო ფლაგმანი – მართვადი სარაკეტო კრეისერი „მოსკვა,“ ასევე სადესანტო, ნავსაწინააღმდეგო და საპატრულო გემები და ნაღმსაწინააღმდეგო ტრალერები.⁶⁷²

ანალიტიკოსების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ სამხედრო ოპერაციების ჩატარება საქართველოში იყო კარგად დაგეგმილი და შესრულებული. ოპერატიული დაგეგმვა პრაქტიკაში დამტკიცდა „კავკასია-2008“-ის სამხედრო წვრთნის დროს (და წინა მსგავსი წვრთნებისას, 2005 წლიდან მოყოლებული), რომელიც დასრულდა 2008 წლის 2 აგვისტოს. წვრთნის შემდეგ, ზოგი ქვედანაყოფი დაუბრუნდა თავის გარნიზონს, დანარჩენი კი, როგორც ჩანს, დარჩა და გაშლილი იყო სიფრთხილის მიზნით საქართველოს საზღვართან.⁶⁷³ აქედან გამომდინარე, მათ შეეძლოთ სამხრეთ ოსეთისკენ სწრაფად გადაადგილება როკის გვირაბის გავლით, ბრძანების შემდეგ.

კიბერომი

კიბერშეტევების შესახებ მოხსენებები 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ერთ-ერთი განსაკუთრებული მახასიათებელია.⁶⁷⁴ ამკარაა, რომ კიბერშეტევები საქართველოს წინააღმდეგ განხორციელდა კონფლიქტის

⁶⁷¹ მიხაილ ბარანოვი მოსკოვში თავდაცვის სამინისტროს ბრიფინგზე 3-2008.

⁶⁷² საქართველოს ოფიციალური პასუხები IIFMCG-ის კითხვარზე სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით.

⁶⁷³ მორატორიუმიდან ომამდე, რუსეთის ფედერაციის მიერ CFE-ის ხელშეკრულების შეჩერების მიზეზები და შედეგები, რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტი, 29.06.2009. <http://eng.girs.org.ge/index.php?newsid=25>; წვდომა 19.08.2009.

⁶⁷⁴ Stephen W. Korns, Joshua E. Kastenber, Georgia's Cyber Left Hook. "Small Wars Journal Parameter", 2008-2009 ზამთრის გამოცემა, <http://www.carlisle.army.mil/usawc/Parameters/08winter/korns.pdf>; წვდომა 20.08.2009.

მსვლელობისას. კონფლიქტის პირველ დღეებში საქართველოს მთავრობისა და საინფორმაციო საიტების უმრავლესობა მიუწვდომელი ან დაზიანებული იყო. მოგვიანებით, რამდენიმე ვებ-გვერდი გადაიყვანეს ამერიკულ, ესტონურ და პოლონურ⁶⁷⁵ სერვერებზე. ზოგი ექსპერტი თვლის, რომ ამ შეტევებს შეეძლო შეესუსტებინა საქართველოს მიერ გადაწყვეტილების მიღების უნარი ისევე, როგორც მისი კომუნიკაციის უნარი მოკავშირეებთან, რაც სავარაუდოდ, შეამცირებდა ქართული ძალების ოპერატიულ მოქნილობას.

ყველაზე საყურადღებო მოვლენები იყო:⁶⁷⁶

- 20 ივლისს, პრეზიდენტი სააკაშვილის ვებ-გვერდი 24 საათის განმავლობაში გათიშული იყო;
- 7 აგვისტოს რამდენიმე ქართული სერვერი და ინტერნეტ-ტრაფიკი დაკავებული და გარე კონტროლს დაქვემდებარებული იყო;
- 8 აგვისტოს დაიწყო ფართომასშტაბიანი კიბერშეტევები საქართველოს საიტების წინააღმდეგ. კიბერშეტევების წყაროები დაუდგენელი იყო. ზოგიერთ მოხსენებაში მათ მიაწერდნენ ორგანიზაციას, სახელად, „Russian Business Network.“⁶⁷⁷ (რუსეთის ბიზნესქსელი);
- გავრცელდა ცნობა, რომ საქართველოს მთავრობის ყველა ვებ-გვერდი მიუწვდომელი იყო ამერიკის, დიდი ბრიტანეთის და ევროპის ინტერნეტ სივრცეებიდან. გავრცელებული ცნობით, კავკასიაში ტრაფიკის ერთ-ერთი საროუტერო პუნქტი, თურქული AS9121 TTNNet სერვერი დაბლოკილი იყო კავკასიაში ტრაფიკისთვის, სავარაუდოდ, COMSTAR-ის მიერ;
- 9 აგვისტოს, ჰაკერებმა დააზიანეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი და ჩაანაცვლეს ის შეურაცხმყოფელი ფოტოსურათებით. იმ ქართულ ვებგვერდებს შორის, რომლებიც განიცდიდნენ ხან ჰაკერულ, ხან ვირტუალურ შეტევებს, ასევე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და სანაკოვეის პრო-ქართული სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ვებ-გვერდი. ამის გარდა, გავრცელებული ცნობით, დაზიანებული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდი და საქართველოს ახალი ამბების პორტალები დაზიანებული იყო

⁶⁷⁵ მაგ. პოლონური „www.president.pl“

⁶⁷⁶ საქართველოს მთავრობა ადანაშაულებს რუსეთს „ვირტუალური ცეცხლის“ წამოწყებაში. RFERL 12.08.2008, http://www.rferl.org/content/Georgian_Government_Accuses_Russia_Of_Cyberwar/1190477.html; 18.08.2009. <http://georgiamfa.blogspot.com/2008/08/cyber-attacks-disable-georgian-websites.html>.

⁶⁷⁷ [Http://intelfusion.net/wordpress/?p=388](http://intelfusion.net/wordpress/?p=388)

DDoS (distributed denial of service)-ის შეტევებით;⁶⁷⁸

- 12 აგვისტოსთვის პრეზიდენტ სააკაშვილის ვებგვერდი და პოპულარული ქართული სატელევიზიო ვებგვერდი (www.rustavi2.com) გადაყვანილ იქნა Tulip Systems-ზე. შემდეგ Tulip-ზეც ასევე განხორციელდა შეტევა;
- 12-13 აგვისტოს შინაგან თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდმა განიცადა ძლიერი კიბერშეტევები და ორჯერ გაითიშა.

უფრო შეზღუდული შეტევები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონია, შეიძლება განხორციელდა რამდენიმე რუსული საიტის წინააღმდეგ. მაგალითად, РИА Новости-ის ვებგვერდი გათიშული იყო DdoS-ს შეტევების გამო, 10 საათის განმავლობაში.

თუკი ეს შეტევები ხელისუფლების ან ხელისუფლებების მიერ იმართებოდა, მაშინ სავსებით სარწმუნოა, რომ ომის წარმოების ეს ფორმა პირველად იყო გამოყენებული სახელმწიფოთა შორის შეიარაღებულ კონფლიქტში. თუმცა, კიბერშეტევების წინააღმდეგ თავდაცვის ხასიათი, მისი განვითარების ამ სტადიაზე ნიშნავს, რომ ძალიან ადვილია მსგავსი შეტევების განხორციელება, მაგრამ რთულია მათი თავიდან აცილება და წყაროს მიკვლევა.

შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ

12 აგვისტოს ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლებში, საფრანგეთის პრეზიდენტი, ნიკოლა სარკოზი ეწვია მოსკოვსა და თბილისს სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის მიზნით. შეთანხმდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი გეგმა, რომელიც, სხვა მრავალთა შორის, ითვალისწინებდა საომარი მოქმედებების შეწყვეტას და შეიარაღებულ კონფლიქტამდე დაკავებულ პოზიციებამდე ძალების დახევას.⁶⁷⁹ იმავე დღეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული შეთანხმება საჯაროდ დაადასტურა რუსეთის პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა. რუსეთის ჯარებს უნდა შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედებები 12 აგვისტოს 15:00 საათზე.⁶⁸⁰ თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის გამოცხადების შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში, რუსეთის და სამხრეთ ოსეთის ძალები განაგრძობდნენ წინსვლას და დამატებით მოახდინეს სხვადასხვა პოზიციების დაკავება, მათ შორის ახალგორის/ლენინგორის (16 აგვისტო).

22 აგვისტოს შემდეგ, რუსული ჯარების უმრავლესობამ უკან დაიხია დაკავებული პოზიციებიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრების

⁶⁷⁸ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი ჰაკერებმა გატეხეს. INTERFAX, 9.08.2008.

⁶⁷⁹ იხილეთ IIFMCG-ის მოხსენების მე-3-ე ტომი.

⁶⁸⁰ რუსეთის ოფიციალური პასუხი IIFMCG -ის შეკითხვებზე სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით.

გარეთ. ზოგიერთი მათგანი დარჩა ე.წ. ბუფერულ ზონებში და უკან გაცილებით გვიან, შეთანხმების განხორციელების შემდეგ დაიხია, რომელიც მიღწეული იქნა 2008 წლის 8 სექტემბერს მოსკოვში, როგორც 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დამატება.⁶⁸¹ 2008 წლის 9 ოქტომბერს, რუსეთის საგარეო სამინისტრომ ოფიციალურად დაადასტურა რუსეთის ძალების მიერ „სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ზონების“ დატოვების შესახებ.“⁶⁸² თუმცა, ზემოხსენებული ორი შეთანხმების მხარეთა მიერ შესრულებასთან დაკავშირებით კვლავ აზრთა სხვადასხვაობაა და სადაოდ რჩება.

სადაო საკითხები

ოპერაციის ადრეულ ეტაპზე შერეული სამშვიდობო ძალების (JPKF) საქართველოს კონტინგენტის მეთაურმა ბრიგადის გენერალმა, მამუკა ყურაშვილმა⁶⁸³ საჯაროდ განაცხადა, რომ ოპერაციის მიზანი იყო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე „კონსტიტუციური წესრიგის“ აღდგენა.⁶⁸⁴ მოგვიანებით, საქართველოს ხელისუფლებამ უარყო ყურაშვილის განცხადება, როგორც უნებართვო და ყურადღება გაამახვილა რუსეთის შემოჭრის მიმართ წინააღმდეგობაზე, როგორც ოპერაციის დასაბუთებაზე.

IIFMCG-სთვის, საქართველოს მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციით, „საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ასევე ქართველი მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის, 7 აგვისტოს, 23:35 საათზე საქართველოს პრეზიდენტმა გასცა ბრძანება თავდაცვითი ოპერაციების დაწყების შესახებ, შემდეგი მიზნებით:

- ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა;
- საცეცხლე პოზიციების ნეიტრალიზაცია, საიდანაც იხსნებოდა ცეცხლი სამოქალაქო პირების, ქართული სამშვიდობო ქვედანაყოფების და პოლიციის წინააღმდეგ;
- რუსეთის ფედერაციის რეგულარული ქვედანაყოფების როკის გვირაბიდან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მსვლელობის შეჩერება.“⁶⁸⁵

⁶⁸¹ რუსეთი ეთანხმება ჯარების საქართველოს ცენტრალური ნაწილიდან გაყვანას თვის განმავლობაში. RFERL 9.09.2008. http://www.rferl.org/content/Russia_Agrees_Troops_Pullout_From_Georgia_Heartland/1197424.html; წვდომა 9.09.2008.

⁶⁸² http://www.mid.ru/brp_4.nsf/0/04ABEF7ADD27CBFBC32574DD005AA32B; წვდომა 18.08.2009.

⁶⁸³ ბრიგადის გენერლის, მამუკა ყურაშვილის სრული ტიტული იყო საქართველოს კონფლიქტის ზონებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ოპერაციების შტაბის უფროსი.

⁶⁸⁴ საქართველომ გადაწყვიტა სამხრეთ ოსეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა - თავდაცვის ოფიციალური, Civil Georgia 8.08.2008. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=18941&search=Kurashvili>; წვდომა 18.08.2009.

⁶⁸⁵ საქართველოს ოფიციალური პასუხები IIFMCG-ის კითხვებზე სამხედრო საკითხებთან

საქართველოს ბრალდებებს რუსეთის შემოჭრის შესახებ, სხვა მრავალთა შორის, ამტკიცებდა ის მოსაზრება, რომ დიდი რაოდენობით რუსეთის ჯარისკაცების და ჯავშანტექნიკის არალეგალურად შემოსვლა მოხდა სამხრეთ ოსეთში, საქართველოს ოპერაციის დაწყებამდე. IIFFMCG-ის მიერ დასმულ კითხვებზე საქართველოს ოფიციალური პასუხების თანახმად, სამხრეთ ოსეთში რუსული ძალების გამაგრება დაიწყო 2008 წლის ივლისის დასაწყისში და გაგრძელდა აგვისტოს განმავლობაში, მოიცავდა ჯარისკაცებს, სამედიცინო პერსონალს, კარვებს, ჯავშანტექნიკას, ტანკებს, თვითმავალ არტილერიას და საარტილერიო იარაღს. ეს პროცესი, სავარაუდოდ, 6-7 აგვისტოს გვიან ღამით გაძლიერდა.

საქართველოს მტკიცება, რომ რუსული სამხედრო პოზიციების გამაგრება სამხრეთ ოსეთში 2008 წლის 8 აგვისტომდე მოხდა, რუსეთის მხარემ უარყო. რუსეთის ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, რომელიც IIFFMCG-ს წარედგინა, პირველი რუსული დაჯგუფებები შევიდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რუსულმა საჰაერო ძალებმა და არტილერიამ ქართულ ობიექტებზე შეტევა 8 აგვისტოს 14:30 საათზე დაიწყეს,⁶⁸⁶ ე.ი. დაუყოვნებლივ, მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ მიიღო ინტერვენციის შესახებ გადაწყვეტილება.

ანგარიშის დაწერის დროს, მისია არ იყო იმ მდგომარეობაში, რომ სათანადოდ განეხილა საქართველოს მტკიცება – სამხრეთ ოსეთში ფართომასშტაბიანი რუსული სამხედრო შემოჭრის შესახებ 2008 წლის 8 აგვისტომდე. თუმცა, არსებობს მთელი რიგი, მათ შორის, რუსული წარმომშობის მოხსენებები და პუბლიკაციები, რომლებიც გვიჩვენებენ რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ძალების წვრთნებითა და საომარი აღჭურვილობებით უზრუნველყოფას 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე. ისინი ასევე უჩვენებენ სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან უკანონო, შენაერთი ძალების დამატებას ადრეულ აგვისტოში, ასევე, სამხრეთ ოსეთში რუსეთის გარკვეული ძალების არსებობას გარდა, რუსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონისა, 2008 წლის 8 აგვისტოს 14:30 საათამდე.⁶⁸⁷ როგორც ჩანს, რუსეთის საჰაერო ძალებმა დაიწყეს ოპერაციები ქართული სამიზნეების წინააღმდეგ, მათ შორის, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ, უკვე 8 აგვისტოს დილით, ე.ი. რუსეთის

დაკავშირებით.

⁶⁸⁶ რუსეთის ოფიციალური პასუხები IIFFMCG-ის შეკითხვებზე სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით.

⁶⁸⁷ ოსეთის ტრაგედია. The White Book of Crimes Against South Ossetia აგვისტო 2008. Europe Publishing House. მოსკოვი. 2009. გვ. 40, 44, 138, 277 და 278. ომის პერიოდი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=556; წვდომა 20.08.2009 ცხოვრება გრძელდება. დიალოგი კაპიტან დენის სიდრისტისთან სამხრეთ ოსეთის ომის დროს. <http://www.otechestvo.org.ua/main/20089/0407.htm>; წვდომა 20.08.2009. Пермские солдаты оказались в эпицентре войны, „Пермские Новости,“ http://www.permnews.ru/stat_st.asp?st=2912; წვდომა 20.08.2009. Мама, нас отправляют в Южную Осетию, „Вятский Край,“ http://www.vk-smi.ru/2008/2008_08/vk_08_08_15_03.htm. წვდომა 20.08.2009.

ოფიციალურ ინფორმაციაში მოცემულ დროზე ადრე.⁶⁸⁸

2. შეიარაღებული კონფლიქტის, შემდგომში „5-დღიან ომად“ (2008 წლის 7-12 აგვისტო) წოდებული კონფლიქტის, მსვლელობაში და მის შემდეგ, რუსეთი თავის სამხედრო ინტერვენციას საქართველოში იმ განზრახვით ამართლებდა, რომ შეეჩერებინა ქართული ძალის მხრიდან ოსეთის მოსახლეობის გენოციდი და ასევე, დაეცვა რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობდნენ სამხრეთ ოსეთში და რუსეთის კონტიგენტის სამშვიდობო დაჯგუფებები, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ სამხრეთ ოსეთში 1992 წლის სოჭში შეთანხმების თანახმად. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის მხარე აცხადებს, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს დილით მოკლული იყო 2 რუსი სამშვიდობო და 5 დაჭრილი ცხინვალში. სამშვიდობოებზე განხორციელებული საქართველოს თავდასხმის შედეგად, ამ დანაკარგებმა „უფლება მისცა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, მიეღო სამხრეთ ოსეთში ჯარების შეყვანის გადაწყვეტილება.“⁶⁸⁹ ქართველები უარყოფენ თავიანთ წინასწარგანზრახულ თავდასხმას რუს სამშვიდობოებზე და ირწმუნებიან, რომ ცხინვალში შესვლის დროს, ქართულ ჯარებს რუსეთის სამშვიდობო შენაერთებმა ცეცხლი გაუხსნეს და მათაც მოუწიათ საპასუხო ცეცხლის გახსნა. ამ მოხსენებაზე მუშაობისას, მისიას ხელი არ მიუწვდებოდა დამოუკიდებელ, სარწმუნო ანგარიშებზე, რომლებიც ამ მხრივ, შეძლებდა დაემტკიცებინა ან გაებათილებინა რომელიმე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები. თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებდით ტერიტორიაზე არსებულ საშიშ ვითარებას, მოსალოდნელი ხდებოდა რუსეთის სამშვიდობო ძალების დანაკარგი. არ ყოფილა არანაირი მოხსენება ცხინვალის ფარგლებს გარეთ ქართული ძალებისა და რუსი სამშვიდობოების შეტაკებების შესახებ.

რაც შეეხება რუსეთის ბრალდებებს გენოციდთან დაკავშირებით, შემდეგ თვეებში ისინი ნაკლებად ინტენსიური გახდა, ვინაიდან ოსეთის სამოქალაქო მოსახლეობის დანაკარგი აღმოჩნდა იმაზე გაცილებით ნაკლები, ვიდრე თავდაპირველად ირწმუნებოდნენ. რუსეთის ოფიციალური პირები საწყის ეტაპზე აცხადებდნენ, რომ დაახლოებით 2000 სამოქალაქო პირი იყო მოკლული სამხრეთ ოსეთში ქართული ძალების მიერ, საბოლოოდ კი, მოქალაქეების საერთო დანაკარგი 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის მსვლელობისას 162-მდე შემცირდა.⁶⁹⁰

რამდენიმე უცხოელი და საერთაშორისო ანალიტიკოსი აკრიტიკებდა რუსეთის სამხედრო ოპერაციას საქართველოში. კერძოდ, რუსეთის ძალების მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების გადაკვეთა და მათ ღრმად შეჭრა საქართველოს ტერიტორიაზე, კვალიფიცირებული იყო, როგორც დაუსაბუთებელი და „ძალების არაპროპორციული გამოყენება.“ მოსკოვმა თავის

⁶⁸⁸ რუსეთის ოფიციალური პასუხები IIFMCG შეკითხვებზე სამედრო საკითხებთან დაკავშირებით.

⁶⁸⁹ იქვე.

⁶⁹⁰ რუსეთის ოფიციალური პასუხები IIFMCG-ის კითხვებზე.

სამხედრო მოქმედებას უწოდა „სამშვიდობო ფუნქციის გაძლიერების ოპერაცია“ მაშინ, როცა თბილისმა დაახასიათა ის, როგორც „აგრესია.“

რუსეთის მხარემ გაამართლა თავისი სამხედრო შეჭრა/იერიშები საქართველოს ტერიტორიის შიგნით ⁶⁹¹ აღმოსავლეთის ფრონტზე ოპერატიული საჭიროებით (საქართველოს მოსალოდნელი კონტრ-იერიშების თავის არიდება გორის რეგიონიდან) და დასავლეთით, გარდაუვალი ქართული იერიშის მოსალოდნელი საფრთხით.⁶⁹²

მიუხედავად საკითხის იურიდიული ასპექტებისა, ამ კონტექსტში შეიძლება შემდეგი კომენტარები გაკეთდეს:

– საქართველოს შეიარაღებული ძალები, პრაქტიკულად, ვერ შეძლებდნენ სამხედრო ოპერაციების ჩატარებას ერთდროულად ორ ფრონტზე, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. რასაკვირველია, ასეთი ოპერაციების ჩატარება კიდევ უფრო ნაკლებად შესაძლებელი იყო რეგიონში რუსეთის ფართომასშტაბიანი ინტერვენციის დაწყების შემდეგ;

– თუ პრაქტიკული თვალსაზრისით შევხედავთ, დასავლეთ საქართველოში რუსეთის ოპერაციის დაწყებისას არ ყოფილა არანაირი ქართული საბრძოლო ჯარები მოყოლებული იმ დროიდან, როდესაც სენაკის მე-2 ქვეითი ქართული ბრიგადა და ქუთაისის მე-3 ქვეითი ბრიგადა განლაგდა აღმოსავლეთ ფრონტზე და იმ დროისთვის, უკვე თითქმის მთლიანად დამარცხებული იყვნენ რუსეთის ძალების მიერ. საქართველოს უსაფრთხოების ძალებს ზემო კოდორის ხეობაში (2 800-კაციანი, რუსეთის ზუსტი ოფიციალური შეფასებით ⁶⁹³ და 500-800-კაციანი UNOMIG-ის წარმომადგენლების შეფასების თანახმად ⁶⁹⁴) თავისი გამაგრებული პოზიციებით, როგორც ჩანს, თავდაცვითი დავალება ჰქონდათ 2008 წლის აგვისტოში. თუ მხედველობაში მივიღებთ ტერიტორიის მთაგორიანობას, სამხედრო ექსპერტების უმრავლესობა ასევე მიიჩნევს, რომ ზემო კოდორის ხეობიდან ინიცირებულ ნებისმიერ ოპერაციას აფხაზეთის კონტროლირებადი ტერიტორიების წინააღმდეგ შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ მხარდაჭერის როლი უფრო ფართო ოპერაციაში შავი ზღვიდან მდინარე ენგურის გავლით, მაგრამ 2008 წლის აგვისტოში, მსგავსი ქართული ოპერაციების განხორციელება საერთოდ არ იყო შესაძლებელი.

ცოცხალი ძალის დანაკარგი და მატერიალური დანაკარგები

⁶⁹¹ რუსეთის ბადრაგი უფრო ღრმად შედის საქართველოში: თვითმხილველი. როიტერსი. 15.08.2008. 15.08.2008, <http://www.reuters.com/article/wtMostRead/idUSLF7284720080815>; წვდომა 18.08.2009.

⁶⁹² ლეგალურ საკითხებთან დაკავშირებულ IIFMCG-ის კითხვებზე რუსეთის ოფიციალური პასუხები.

⁶⁹³ მოკლე ქრონოლოგია. რუსეთის ხელისუფლების მიერ 2009 წლის 15 მაისს, IIFMCG-თვის წარდგენილი სამშვიდობო ოპერაციები საქართველოში საქართველოში მშვიდობის ჩამოსაყალიბებლად.

⁶⁹⁴ IIFMCG-ის ჯგუფისთვის UNOMIG-ის ოფიცერების მიერ გადაცემული ინფორმაცია UNOMIG HQ-ში, სოხუმში, 2009 წლის 28 მაისს.

დაღუპულები, დაჭრილები, დაკარგულები, სამხედრო ტყვეები

კონფლიქტში მონაწილე მხარეების ოფიციალური წყაროების თანახმად, დაახლოებით 850 ადამიანი იყო დაღუპული და 2 300-3 000 დაჭრილი – აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის მსვლელობისას. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს მხრიდან, 160 ქართველი სამხედრო პერსონალი იყო დაღუპული, 10 დაკარგული და 973 დაჭრილი. ასევე დაიღუპა 11, უგზოუკვლოდ დაკარგულია 3 და დაიჭრა 227 ქართველი პოლიციელი. ქართველი სამოქალაქო მოსახლეობიდან დაიღუპა 228 და დაიჭრა 547 ადამიანი.⁶⁹⁵ სამოქალაქო პირებს შორის 2 ადგილობრივი და 1 უცხოელი ჟურნალისტი დაიღუპა და დაიჭრა 4.

თუმცა, მხოლოდ ქართული სტრუქტურული ძალების დანაკარგი რუსეთის სამხედრო მზვერავების ცნობით დაახლოებით 3000-მდე შეფასდა.⁶⁹⁶

გავრცელებული ცნობით, რუსეთის ცოცხალი ძალის დანაკარგი შეადგენდა 67 დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეს,⁶⁹⁷ 3 დაკარგულს და 283 დაჭრილს.⁶⁹⁸ საქართველოს ხელისუფლების ინფორმაციის თანახმად, რუსეთის დანაკარგი აგვისტოს ომში შეადგენდა 400 დაღუპულ სამხედროს.⁶⁹⁹

რუსეთის ოფიციალური სტრუქტურის თანახმად, 2008 წლის 7-12 აგვისტოს შეიარაღებულ კონფლიქტში სამხრეთ ოსეთის 162 სამოქალაქო პირი დაიღუპა და 255 – დაიჭრა.⁷⁰⁰ რუსეთის სააგენტო არ ახსენებდა სამხრეთ ოსეთის არასამოქალაქო დანაკარგებს. რუსეთის პრესა იუწყებოდა, რომ დაღუპული იყო 150 სამხრეთ ოსეთის სამხედრო და გასამხედროებული პერსონალი (ჩრდილოეთ ოსეთის მოხალისეების ჩათვლით).⁷⁰¹ სამხრეთ ოსეთის მხარემ წარადგინა სამხრეთ ოსეთში მცხოვრები 2008 წლის 7–12 აგვისტომდე ბრძოლაში დაღუპული 365 სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა სია, მაგრამ უცნობია, მათგან რამდენი იყო სამოქალაქო პირი და რამდენი ჯარისკაცი.⁷⁰²

გავრცელებული ცნობით, 42 ქართველი სამხედრო ტყვე გაიცვალა 12 რუს სამხედრო

⁶⁹⁵ სამხედრო საკითხებთან დაკავშირებული ოფიციალური ქართული პასუხები IIFMCG-ის შეკითხვებზე. (ტომი III).

⁶⁹⁶ <http://www.lenta.ru/news/2008/09/15/victims/>; წვდომა 21.08.2009.

⁶⁹⁷ <http://lenta.ru/news/2009/08/07/losses/>; წვდომა 21.08.2009.

⁶⁹⁸ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის, გენერალ ნიკოლაი პანკოვის განცხადების მიხედვით (<http://uk.reuters.com/article/idUKTRE51K1B820090221>; წვდომა 21.08.2009).

⁶⁹⁹ <http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsID=1010801&print=true>

⁷⁰⁰ ოფიციალური რუსული მონაცემები, იხილეთ: <http://lenta.ru/news/2009/08/07/losses/>; წვდომა 21.08.2009. რუსეთის მხარის თანახმად, რიცხვი შეიძლება გაიზარდოს. იხილეთ ასევე: <http://sledcomproc.ru/news/6967/>. ხელმისაწვდომი 21.08.2009. Official Russian data, see: <http://lenta.ru/news/2009/08/07/losses/>; წვდომა 21.08.2009.

⁷⁰¹ „მოსკოვის თავდაცვის დასკვნა“ (სექტემბერი, 2008, <http://www.mdb.cast.ru/mdb/3-2008/item3/article1/>; წვდომა 31.08.2009.

⁷⁰² <http://osetinfo.ru/spisok>; წვდომა 21.08.2009.

ტყვეში.

ლტოლვილები, იძულებით გადაადგილებული პირები

2009 წლის 15 მაისის ამ მოხსენებაში ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებების დაცვის კომისარმა შეაფასა, რომ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად „საერთო ჯამში, დაახლოებით 138 000 ადამიანი იყო იძულებით გადაადგილებული.“⁷⁰³ მათი უმრავლესობა უკვე დაუბრუნდა თავიანთ სახლებს.

საქართველოს მთავრობის შეფასებით, დაახლოებით 38 000 იძულებით გადაადგილებული პირი არ დაბრუნდება ახლო მომავალში. ეს რიცხვი მოიცავს 19 000 დევნილს სამხრეთ ოსეთიდან, დაახლოებით 2 000-ს ზემო კოდორის ხეობიდან და 11 000-ზე მეტს სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიებიდან, რომლებსაც უკან დაბრუნება არ შეუძლიათ ისეთი მიზეზების გამო, როგორცაა: უსაფრთხოება ან საკუთარი ქონების განადგურება და 5 000 დევნილი ახალგორის რაიონიდან.⁷⁰⁴

რუსულ წყაროებზე დაყრდნობით, 2008 წლის აგვისტოში 30 000-35 000 სამხრეთ ოსეთში გაქცეულიდან დაახლოებით 2 000 ლტოლვილი ჩრდილოეთ ოსეთში დარჩა.⁷⁰⁵

ახალი იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სიძნელის გარდა, მხოლოდ საქართველოში, ბოლო 16-18 წელია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან 220 000 დევნილი ცხოვრობს 1990-იანი წლების დასაწყისის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად განხორციელებული დევნის შედეგად.⁷⁰⁶

მატერიალური დანაკარგი

ოფიციალურ რუსულ წყაროებზე დაყრდნობით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში 655 სახლი სრულად დაინგრა და დაზიანდა – 2 139.⁷⁰⁷

საქართველოს მთავრობის გავრცელებული ცნობით, საქართველოს მატერიალური ზარალი შეადგენდა 1 მილიარდ აშშ დოლარს.⁷⁰⁸

რუსული გაზეთის, „ნეზავისიმია გაზეტა“ ცნობით, რომელიც ეყრდნობა მოსკოვის

⁷⁰³ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი. აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომი მოხსენება ადამიანის უფლებების საკითხზე. 2009 წლის 15 მაისი. Comm. DH (2009)22, პ 9.

⁷⁰⁴ გაერთიანებული ერების რეზიდენტი/ჰუმანიტარული კოორდინატორის ოფისი, სიტუაციის შესახებ მოხსენება No. 35 საქართველოში სიტუაციის შესახებ, 6-13 ნოემბერი, 2008.

⁷⁰⁵ <http://www.unhcr.org/48f862c52.html>; წვდომა 22.08.2009.

⁷⁰⁶ გენერალური მდივნის წარმომადგენლის, უოლტერ კალინის მოხსენება იძულებით გადაადგილებული პირების ადამიანთა უფლებების შესახებ, A/HRC/10/13/Add.2, ოპ. ციტ., პუნქტი 11, სქოლიოებით.

⁷⁰⁷ <http://lenta.ru/news/2009/08/07/losses/> (ოპ. ციტ.).

⁷⁰⁸ http://www.usatoday.com/news/world/2008-08-27-Georgia-damage_N.htm; წვდომა 22.08.2009.

სტრატეგიისა და ტექნოლოგიების ანალიზის ცენტრის ციფრებს, 5-დღიანი ომის საერთო ღირებულება რუსეთისთვის შეადგენდა 12,5 მილიარდ რუბლს.⁷⁰⁹

⁷⁰⁹ http://www.ng.ru/politics/2008-08-20/4_price.html; წვდომა 22.08.2009.

თავი 6

ძალის გამოყენება

შესავალი

- I. ლეგიტიმური ომი (Ius ad bellum) და ომის კანონი (ius in bello)
- II. მსხვილმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყება

ნაწილი 1: შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე მხარეების მიერ ძალის გამოყენების მუქარის სამართლებრივი სტატუსი

- I. ძალის გამოყენების მუქარის აკრძალვა საერთაშორისო სამართალში
- II. რა არის ძალის გამოყენების მუქარა?
- III. მუქარა საქართველოს მხრიდან
- IV. მუქარა რუსეთის მხრიდან
- V. მუქარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მხრიდან
- VI. მუქარა ძალის გამოყენების შესახებ არ არის დასაბუთებული
- VII. დასკვნები: ძალის გამოყენების შესახებ მუქარა არის უკანონო ყველა მხარაზე

ნაწილი 2: საქართველოს მიერ ძალის გამოყენება

- A. საქართველოს მიერ ძალის გამოყენება სამხრეთ ოსეთის მიმართ
- I. ფაქტები
 - II. საქართველოს მიერ განხორციელებული შეტევის იურიდიული კვალიფიკაცია
 1. ძალის გამოყენების აკრძალვის გამოყენება საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით
 2. საქართველოს შეტევა ცხინვალზე და მის მიმდებარე სოფლებზე, როგორც ძალის აკრძალული გამოყენება
 - III. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს მიერ ძალის გამოყენების დასაბუთება
 1. ფაქტები
 2. სამართლებრივი შეფასება - „შეიარაღებული თავდასხმა“ სამხრეთ ოსეთის მხრიდან საქართველოზე?

3. მტკიცებულების ტვირთი შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში
 4. თავდაცვის შესახებ შეტყობინების გაგზავნა გაერო-ს უშიშროების საბჭოში
 5. საქართველოს რეაქციის ადეკვატურობა
- IV. დასკვნები: საქართველოს მიერ თავდაცვა არ ყოფილა გამოყენებული და ის გასცდა საპასუხო რეაგირებას
- B. საქართველოს მიერ ძალის გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ
- I. ფაქტები: სამხედრო ოპერაციები რუსეთის სამშვიდობო ძალების, არარეგულარული სამხედრო ფორმირებების და რეგულარული სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ
 - II. საქართველოს მიერ ძალის გამოყენების იურიდიული კვალიფიკაცია, გაერო-ს წესდების 2(4) მუხლის მიხედვით
 - III. დასაბუთება: თავდაცვა საქართველოს მხრიდან?
 1. რუსეთის მხრიდან შეიარაღებული თავდასხმის საჭიროება
 2. რუსეთის მიერ ძალთა განლაგების შესახებ ხელშეკრულებების დარღვევა - „შეიარაღებული თავდასხმა?“
 3. შესაძლებელია თუ არა შეიარაღებული ფორმირებების და მილიციის მხარდაჭერა (განსაკუთრებით, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთიდან) ფორმულირებული იქნას როგორც „შეიარაღებული თავდასხმა“ რუსეთის მხრიდან? **Error! Bookmark not defined.**
 - IV. დასკვნები: არანაირი თავდაცვა არ ყოფილა გამოყენებული მანამ სანამ რუსეთის სამხედრო მოქმედები საქართველოზე გავრცელდებოდა

ნაწილი 3. სამხრეთ ოსეთის მიერ ძალის გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ

- I. ფაქტები
- II. სამართლებრივი კვალიფიკაცია. ძალის გამოყენება თავდაცვის მიზნით, მაგრამ ნაწილობრივ გამართლებული

ნაწილი 4. ძალის გამოყენება რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ

- I. ფაქტები
- I. კონფლიქტში რუსეთის მონაწილეობის სამართლებრივი კვალიფიკაცია
- II. თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენების არავითარი გამართლება

1. რუსეთის თავდაცვა საქართველოს მიერ რუსულ სამშვიდობო ძალებზე თავდასხმისგან

ა) რუსეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარე ბაზები, როგორც შეიარაღებული თავდასხმის ობიექტები

ბ) რუსული სამხედრო ინსტალაციების კანონიერება

გ) სამშვიდობო ძალების ბაზები, როგორც შეიარაღებული თავდასხმის ობიექტები

დ) სამხედრო ოპერაციები მინიმალურ ზღვარს მიღმა

2. გაერო–ს უშიშროების საბჭოსთვის თავდაცვის თაობაზე შეტყობინების გაგზავნა

3. აუცილებლობა და პროპორციულობა

ა) საზღვარგარეთ განლაგებულ სამშვიდობო ძალებზე თავდასხმის სპეციფიკური გარემოებები

ბ) აუცილებლობა

გ) პროპორციულობა

დ) დასკვნა. აუცილებლობისა და პროპორციულობის არარსებობა

IV. რუსეთის მიერ ძალის გამოყენებას სამშვიდობო მისიის შესრულების მიზნით არავითარი გამართლება არ აქვს

V. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მოწვევით ძალის გამოყენებას არავითარი გამართლება არ აქვს

1. სამართლებრივი ვითარება გამოყოფასთან დაკავშირებული ომის გამო

2. სამოქალაქო ომებში უცხოური დახმარების „მოწვევის“ სამართლებრივი დოქტრინა

ა) უცხოური დახმარების მოწვევის უფლება აქვს მხოლოდ ძალაში მყოფ მთავრობას

ბ) ახალი დოქტრინა. გამოყოფასთან დაკავშირებულ სამოქალაქო ომში სამხედრო ჩარევა დაუშვებელია

გ) ნებადართულია [თუ არა] ორივე მხარის მიერ მოწვევა ტერიტორიული სტაბილიზაციის შემდეგ?

3. სამხრეთ ოსეთის მხრიდან მიწვევა დაუშვებელია

4. სამხრეთ ოსეთის მხრიდან მიწვევა არამართლზომიერია

VI. კოლექტიური თავდაცვის ფორმით ძალის გამოყენება გაუმართლებელია

1. დახმარების თხოვნა სამხრეთ ოსეთის მხრიდან

2. არ არსებობს არანაირი კოლექტიური თავდაცვა მესამე სახელმწიფოს ინტერვენციის გზით

3. აუცილებლობა და პროპორციულობა

4. დასკვნები

VII. ძალის გამოყენებას, როგორც „ჰუმანიტარულ ინტერვენციას,“ არანაირი გამართლება არ აქვს

VIII. არავითარი გამართლება არა აქვს ძალის გამოყენებას, როგორც საკუთარი მოქალაქეების გადარჩენის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ქმედებას

1. რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყენებული არგუმენტაცია

2. სახელმწიფოებრივი პრაქტიკა

3. არ არსებობს ჩვეულებითი სამართლის რაიმე სპეციალური გამონაკლისი ძალის გამოყენების აკრძალვასთან მიმართებაში

4. რუსი მოქალაქეების გადარჩენა, როგორც თავდაცვის მაგალითი?

5. აღნიშნულის მისადაგება ამ კონკრეტულ შემთხვევაზე

ნაწილი 5. ძალის გამოყენება აფხაზეთში

I. ფაქტები

II. აფხაზებისა და რუსების შეტევის სამართლებრივი შეფასება: ძალის გამოყენებისა და საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის აკრძალვის დარღვევა

III. ქართული ოპერაციის სამართლებრივი შეფასება: თავდაცვა

IV. გამართლება არ აქვს აფხაზებისა და რუსების მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენებას

1. აფხაზეთისა და რუსეთის არგუმენტაცია

2. არავითარ ადრეულ „შეიარაღებულ თავდასხმას“ საქართველოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია

ა) საქართველოს მხრიდან კოდორის ხეობაში ქართული სამხედრო ოპერაცია არ ჩატარებულა

ბ) საქართველოს მიერ ორგანიზებულ ადრინდელ ტერორისტულ თავდასხმებს ადგილი არ ჰქონია

გ) მთლიანობაში აფხაზეთზე საქართველოს მხრიდან გარდაუვალი შეიარაღებული თავდასხმის განხორციელების საშიშროება არ არსებობდა

3. აფხაზეთის მიერ სამხრეთი ოსეთისათვის გაწეული სამხედრო დახმარება

4. დასკვნა

შესავალი

I. ლეგიტიმური ომი (*Ius ad bellum*) და ომის კანონი (*ius in bello*)

საერთაშორისო სამართალში სამხედრო ძალის გამოყენების სამართლებრივი სტატუსი ორნაირად ფასდება. პირველი შეფასების მიხედვით, საკითხი მდგომარეობს იმაში, გამართლებული იყო თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში ძალის გამოყენება. ამ მხრივ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის, რომ ზოგადად, ძალის გამოყენება აკრძალულია საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ დასაშვებია გამონაკლის შემთხვევებში. ლეგიტიმური ომის (*ius ad bellum* ან თანამედროვე ტერმინოლოგიით *ius contra bellum*), ანალიზი ეყრდნობა ძალის გამოყენების გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც სუბიექტი იყენებს თავდაცვის უფლებას.

მეორე საკითხია, თუ როგორ იყო სამხედრო ძალა გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევაში. ომის კანონი (*Ius in bello*) მიესადაგება კონფლიქტის ნებისმიერ მხარეს, ძალის გამოყენების კანონიერების ან უკანონობის მიუხედავად. ის სახელმწიფოც კი, რომელსაც ძალას იყენებს, არ უნდა გასცდეს გარკვეულ ზღვარს ომის წარმოებისას, არ უნდა დაარღვიოს ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი.

ლეგიტიმური ომის (ius ad bellum) წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები გაანალიზებული იქნება წინამდებარე თავში, ხოლო ის საკითხები, რაც უკავშირდება ომის კანონს (*ius in bello*) შეადგენს მე-7 თავის „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანების უფლებების შესახებ კანონის“ ნაწილს.

წინამდებარე თავის პირველი ნაწილი ეხება ყველა მონაწილე მხარის მიერ ძალის გამოყენების მუქარას. მე-2 ნაწილი ეხება საქართველოს მიერ ძალის გამოყენებას სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. მე-3 ნაწილში გაანალიზებულია ძალის გამოყენება სამხრეთ ოსეთის მიერ, ხოლო მე-4 ნაწილი ეხება ძალის გამოყენებას რუსეთის მიერ. ძალის გამოყენება აფხაზეთში განხილულია მე-5 ნაწილში.

წინამდებარე მოხსენებაში გამოიყენება ტერმინები: შეიარაღებული კონფლიქტი, სამხედრო მოქმედებები, სამხედრო ძალა და მსგავსი ტერმინოლოგია, მაგრამ საუბარი არ არის ომზე, ვინაიდან ომი აღარ წარმოადგენს სამართლებრივ განსაზღვრებას. ისტორიულად, სახელმწიფოთა გამოცდილებაში ტერმინი ომი გამოიყენებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეებს აგრესიული განზრახვა ჰქონდათ (*animus belligerendi*) და ჩვეულებრივ, ეს ომის გამოცხადებას გულისხმობდა. II მსოფლიო ომის შემდეგ შემუშავებულ იურიდიულ დოკუმენტაციაში ტერმინი „ომი“ შეიცვალა ტერმინით შეიარაღებული კონფლიქტი, რათა თავიდან აეცილებინათ კონფლიქტის მხარეების დავა იმის შესახებ, რომ მათი სამხედრო ზომები არ წარმოადგენდა ომს და ემსახურებოდა

არსებული იურიდიული ლაფსუსების აღმოფხვრას.

II. მსხვილმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყება

2008 წლის აგვისტოში შეიარაღებული კონფლიქტი წარმოადგენდა როგორც შიდა კონფლიქტს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს (ერთეული, სახელმწიფოებრიობის გარეშე) შორის და საქართველოსა და აფხაზეთს (სახელმწიფოს მსგავსი ერთეული) შორის, ისევე როგორც საერთაშორისო კონფლიქტს საქართველოსა და რუსეთს შორის.⁷¹⁰ გარკვეული თვალსაზრისით, ამ კონფლიქტების განცალკევება ხელოვნურია, ვინაიდან ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. თუმცა მხარეთა პასუხისმგებლობის შეფასებისას, მეტი სიცხადისთვის, სასურველია გამოიყოს სამი შეიარაღებული კონფლიქტი.

ზოგადად, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის კონფლიქტის დაწყების თარიღია 2008 წლის 7 აგვისტო, 23.35 სთ. ითვლება, რომ ღია სამხედრო მოქმედებები 2008 წლის 8 აგვისტოს⁷¹¹ დაიწყო, ხოლო ზემო კოდორის ხეობის დაბომბვა აფხაზეთის ძალების მიერ 9 აგვისტოს დაიწყო.⁷¹² ფაქტობრივად, სამხრეთ ოსეთში ძალისმიერი კონფლიქტი უკვე მიმდინარეობდა. გასული წლების განმავლობაში დამაბულობა მუდმივად იზრდებოდა, სულ უფრო მეტ შეტაკებებს ჰქონდა ადგილი ქართულ უსართხოების ძალებსა და სეპარატისტული რეგიონების არარეგულარულ შეიარაღებულ ძალებს შორის.⁷¹³ 2008 წლის გაზაფხულზე, უკვე სახეზე იყო სამხედრო ინციდენტები საქართველოსა და რუსეთს შორის, მათ შორის ქართული უპილოტო თვითმრინავის (UAV) ჩამოგდების ფაქტს რუსეთის საჰაერო ძალების მიერ აფხაზეთში, 2008 წლის 20 აპრილს.⁷¹⁴

⁷¹⁰ შეიარაღებული კონფლიქტის იურიდიული კვალიფიკაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ.: თავი 7, საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონი და კანონი ადამიანის უფლებათა შესახებ.

⁷¹¹ ოფიციალური ქართული ვერსია: 02:37 სთ-ზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა დაურეკა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გრიგოლ ვაშაძეს და შეატყობინა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები სამხედრო ოპერაციას იწყებდნენ ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზად დაასახელა დაზარალებულები რუსეთის სამშვიდობოებს შორის. ფაქტობრივად, პირველ კონტაქტს საქართველოს ძალებსა და რუსეთის სამშვიდობოებს შორის ადგილი ჰქონდა 6:00 სთ-ზე, მინიმუმ, სამი საათის შემდეგ კარასინის სატელეფონო ზარიდან; იხ.: დოკუმენტი „Major hostile actions by the Russian Federation against Georgia in 2004-2007“, გვ. 13. რუსეთის ოფიციალური ვერსიის მიხედვით, რუსეთის შეიარაღებული ძალები სამხრეთ ოსეთში 2008 წლის 8 აგვისტოს 14:30 სთ-ზე შევიდნენ.

⁷¹² ოფიციალური ქართული ვერსია – 15.50 სთ-ზე, აფხაზეთის *დე-ფაქტო* მთავრობამ გამოაცხადა, რომ გადაწყვიტა გააგზავნოს თავისი შეიარაღებული ძალები ადმინისტრაციული საზღვრისკენ და დაიწყოს სამხედრო ოპერაცია ქართული პოლიციის განსადევნად ზემო აფაზეთიდან/კოდორის ხეობიდან; იხ.: დოკუმენტი „Major hostile actions by the Russian Federation against Georgia in 2004-2007“, გვ. 16.

⁷¹³ სამხრეთ ოსეთში ვითარების პირველი კულმინაცია იყო კონტრაბანდის საწინააღმდეგო კამპანია 2004 წლის ზაფხულში, აფხაზეთში სატვირთო და თევზსაჭერ გემებზე შეტევები აფხაზეთის სანაპიროს გასწვრივ და 2006 წელს, „აფხაზეთის ლტოლვილი მთავრობის“ ჩამოყალიბება ზემო კოდორის ხეობაში.

⁷¹⁴ Cf. UNOMIG-ის ფაქტების მომკვლევია ჯგუფის მოხსენება, რომელიც გამოიცა 2008 წლის 26 მაისს, სადაც

ვრცელდებოდა ინფორმაცია დაბომბვის სერიებისა და სამხედრო შეტაკებების შესახებ როგორც აფხაზეთში ისე სამხრეთ ოსეთში, 2008 წლის პირველ ნახევარში. სამხედრო ესკალაცია პირველად, უფრო მეტად იყო აფხაზეთში იყო შესამჩნევი, მაგრამ შემდეგ მოქმედებათა არეალმა სამხრეთ ოსეთისკენ გადაინაცვლა. დამაბულობა ივლისის დასაწყისში გაიზარდა, როდესაც დმენისში, სამი თვითნაკეთი ასაფეთქებელი საშუალებით მოკლეს ნოდარ ბიბილოვი, სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი მილიციის უფროსი, ხოლო დაბომბვის მეორე ინციდენტი, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიმართული იყო დიმიტრი სანაკოევზე, სამხრეთ ოსეთში საქართველოს დროებითი ადმინისტრაციის უფროსზე. რუსეთი უშუალოდ იყო ჩართული კონფლიქტში, ვინაიდან მან ოთხი საბრძოლო თვითმფრინავი გააგზავნა კონფლიქტის ზონის საერთაშორისო საზღვარზე. ბრძოლა გააქტიურდა აგვისტოს პირველ დღეებში. არსებობს საკმარისი მტკიცებულება, რომ კონფლიქტის ყველა მონაწილე – საქართველო, რუსეთი, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი შეიარაღებული დაპირისპირებისთვის ემზადებოდა. 2008 წლის ზაფხულში, ეს მზადება გააქტიურდა და უფრო მიზანმიმართული გახდა აგვისტოს დასაწყისში.

2008 წლის 7 აგვისტოს 23.35 საათზე პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაცემულმა ბრძანებამ და შემდგომმა შეტევამ ცხინვალზე, დაბალი ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტი სრულმასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტად გადააქცია. აქედან გამომდინარე, მართებულია ის, რომ ეს ქმედება ამოსავალ წერტილს წარმოადგენს კონფლიქტის სამართლებრივი შეფასებისთვის. მიუხედავად ამისა, ის უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ერთ-ერთ ელემენტად მიმდინარე საომარი მოქმედებების სერიაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2008 წლის 7 აგვისტოს ღია სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე.

შეფასებული იყო როგორც ქართული UAV ფრენები, ასევე UAV რუსული თვითმფრინავის მიერ ჩამოგდება როგორც უსაფრთოების დემილიტარიზაციისა და შეზღუდული შეიარაღების ზონის შესახებ მოსკოვის 1994 წლის შეთანხმების დარღვევა.

ნაწილი 1. შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე, მხარეების მიერ ძალის გამოყენების მუქარის სამართლებრივი სტატუსი

I. ძალის გამოყენების მუქარის აკრძალვა საერთაშორისო სამართალში

გაეროს წესდების მუხლი 2(4) მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა თავი შეიკავონ არა მხოლოდ ძალის გამოყენებისგან, არამედ მუქარისაგან. ამ მხრივ, ნაჩვენები იქნება, რომ ძალის გამოყენების გარდა, კონფლიქტის მხარეებმა უკანანოდ მიმართეს ძალის გამოყენების მუქარას. ანალიზის საფუძველს წარმოადგენს 2008 წლის გაზაფხული და ზაფხული და ის მოვლენები, რამაც 7 აგვისტოს ღია სამხედრო მოქმედებების დაწყება განაპირობა. ამ პერიოდში დამაბულობა მხარეებს შორის გაიზარდა იმდენად, რომ ძალის გამოყენების პროგნოზირება მოახლოებული იყო; კრიზისის განმუხტვის ძალისხმევა, იმ მასშტაბით, როგორც ეს განხორციელებული იყო, წარუმატებელი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია რაიმე სახის მუქარის ანალიზისთვის, არსებობს შესაძლებლობა, რომ მხარეები აჟღერებდნენ მუქარას ძალის გამოყენების შესახებ უფრო ადრინდელ პერიოდებშიც.

II. რა არის ძალის გამოყენების მუქარა?

ძალის გამოყენებისგან განსხვავებით, ძალის გამოყენების მუქარა გარკვევით რეგულირებულია გაერო-ს წესდების მხოლოდ ერთ დებულებაში – 2(4) მუხლში.⁷¹⁵ სამ შემთხვევაში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ აუცილებელი არ არის, ძალის გამოყენების მუქარა მკაფიო იყოს - ის შეიძლება ნაგულისხმევი (ანგარიშმიუცემელი) იყოს.⁷¹⁶ იმის დადგენისას, არღვევდა თუ არა ანგარიშმიუცემელი ქცევა გაერო-ს წესდებას, სასამართლო მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დავის კონტექსტს. ის სვამდა შეკითხვას - დავის გარემოებები ქმნიდა თუ არა შთაბეჭდილებას, რომ სამხედრო ძალა უპირობოდ უნდა ყოფილიყო

⁷¹⁵ ავტორები, რომლებმაც განიხილეს ძალის გამოყენების მუქარა, Nikolas Sturchler, *The Threat of Force in International Law* (Cambridge University Press 2007); Olivier Corten, *Le droit contre la guerre: L'interdiction du recours a la force en droit international contemporain* (Paris: Pedone 2008), at 123-170; Romana Sadurska, "Threats of Force," *American Journal of International Law* 82 (1988), 239-268.

⁷¹⁶ 1949 წელს, სასამართლომ განიხილა, იყო თუ არა ბრიტანეთის საზღვაო ძალების ქმედებები ალბანეთის მიმართ „პოლიტიკური ზეწოლის განხორციელების მიზნით, ძალის დემონსტრაციის“ ტოლფასი (ICJ, *Corfu Channel Case (United Kingdom v. Albania), Merits*, ICJ მოხსენებები 1949, 4, გვ. 35). 1986 წელს, ICJ-მ დაადგინა, რომ აშშ ნიკარაგუას საზღვრების მახლობლად განხორციელებული აშშ სამხედრო სწავლება „იმ პირობებში, რომლებშიც იგი იყო ჩატარებული, შეადგენდა ძალის გამოყენების მუქარას. (ICJ, *Military and Paramilitary Activities in and Against Nicaragua (Nicaragua v. USA), Merits*, ICJ მოხსენებები 1986, 14, პუნქტი 227). 1996 წელს, სასამართლომ განაცხადა, რომ ბირთვული იარაღის ფლობა, თავისთავად, შეიძლება „ნამდვილად ასაბუთებდეს დასკვნას მისი გამოყენებისთვის მზადყოფნის შესახებ“ და, რომ ასეთი მზადყოფნის კანონიერება დამოკიდებული იყო იმაზე, იყო თუ არა ის „მიმართული რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული დამოუკიდებლობის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნების წინააღმდეგ“ (ICJ, *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons (Advisory Opinion)*, ICJ მოხსენებები 1996, 226, პუნქტი 48).

გამოყენებული.

1945 წლის შემდეგ, სახელმწიფოთა პრაქტიკა აძლიერებს ამგვარ ინტერპრეტაციას. ძალის დემონსტრირების საფუძველზე, მუქარა შესაძლებელია ნაგულისხმევი იყოს, რადგან ძალის გამოყენების ალბათობას ზრდის სამხედრო ძალების ფიზიკური არსებობა მოცემულ ტერიტორიაზე.⁷¹⁷

თუმცა, სახელმწიფოთა პრაქტიკის შესაბამისად, ყველა სამხედრო ქმედება არ წარმოადგენს ძალის დემონსტრირებას და ამრიგად, არ არღვევს გაერო-ს წესდების 2(4) მუხლს. მრავალი მათგანი მხოლოდ რუტინული ხასიათისაა და მნიშვნელობას არის მოკლებული, ფართო მასშტაბის დავის არარსებობის შემთხვევაში. მაგრამ მაშინ როდესაც, ის არა არის რუტინული, მიმდინარეობს საეჭვო დროის განრიგით, არის მზარდი მასშტაბის, მზარდი ინტენსივობის, გეოგრაფიულად ახლო, შესაძლო სამხედრო შეტაკების საპირწონე და საგარეო-პოლიტიკური გზავნილის მატარებელი – აგრესიული განზრახვა უკვე სახეზეა და წარმოადგენს ძალის დემონსტრირებას.

ოფიციალური განცხადებები ძალის გამოყენებაზე, რომლებიც ხშირად კეთდება მედიის ან დიპლომატიური არხების საშუალებით, შეიძლება ასევე შეფასდეს, როგორც ძალის გამოყენების მუქარა. არსებობს აუცილებელი პირობა, რომ მოთხოვნების ფორმულირებისას დაცული უნდა იყოს გარკვეული კონკრეტული და ასევე ნათელი უნდა იყოს ის რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ეს მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

და ბოლოს, ძალის ფიზიკური გამოყენება შეიძლება ზოგჯერ გულისხმობდეს ძალის გამოყენების მუქარას. მიუხედავად იმისა, რომ ძალის გამოყენების მუქარა და ძალის გამოყენება კონცეპტუალურად განსხვავებულია, რეალურად მრავალი ინციდენტი, რომელიც მოიცავს ძალის გამოყენებას შეზღუდულ პირობებში, როგორცაა სასაზღვრო ინციდენტები, საპასუხო დარტყმები ან საზღვაო ბლოკადები, მეტწილად აღიქმება, როგორც ძალის მობილიზაცია გაეროს წესდების 2(4) მუხლის მიხედვით. ეს ქმნის ძალის შემდგომი, უფრო მასშტაბური გამოყენების საფრთხეს.

მთლიანობაში, სახელმწიფოთა პრაქტიკა აქცენტს აკეთებს სიცხადეზე. მუქარა აშკარაა, როდესაც მისი გამოყენება რაციონალურია, როდესაც არსებობს შეიარაღებული კონფლიქტის რისკი და ჯეროვანი მობილიზაცია მისი განხორციელებისთვის. საკმარისია არსებობდეს მხოლოდ მოსალოდნელი საფრთხე, რომ წინააღმდეგობამ (კონკრეტული დასახელების გარეშე) შესაძლოა გამოიწვიოს სასჯელი სამხედრო ძალების მიმართ დავის პროცესში, რომლის გარეშეც – როგორც ამას ადასტურებს

⁷¹⁷ ნებისმიერი გასამხედროებული აქტი, რომელიც კვალიფიცირებულია, როგორც ძალის დემონსტრაცია, როგორცაა სამხედრო ქვედანაყოფების გაშლა, ქვედანაყოფების კონცენტრაცია, მანევრები ან შემოწმებები, თუ ისინი უზვენებს მზადყოფნას და გადაწყვეტილებას შეიარაღებული ძალები გამოყენებული იყოს კერძო საკითხთან დაკავშირებით, სხვა სახელმწიფოსთან დავაში.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო – საფრთხე არც არსებობს და არც მოსალოდნელია. არ არსებობს მოთხოვნა იმის შესახებ, ძალა რეალურად არის თუ არა გამოყენებული, რა პირობებშია გამოწვეული, ან არსებობს თუ არა მისი გამოყენების აუცილებელი და მოახლოებული საფრთხე. ასევე, არ არსებობს რაიმე მოთხოვნა, რომ ძალის გამოყენების მუქარა ულტიმატუმის სახით იყოს გაჟღერებული, დაკავშირებული იყოს კონკრეტულ მოთხოვნასთან ან დანიშნული იყოს კონკრეტული ვადა საპასუხო ქმედებისათვის. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ არსებობდეს მინიშნება ძალის გამოყენებაზე და აშკარა იყოს მისი გამოყენება.

III. მუქარა საქართველოს მხრიდან

წინამდებარე ანგარიშმა დაადგინა, რომ საქართველო: (1) ახორციელებდა აფხაზეთის კონფლიქტის ზონის საჭაერო დაზვერვას 2008 წლის გაზაფხულზე; (2) მონაწილეობდა სამხრეთ ოსეთთან ურთიერთსროლებში; (3) აძლიერებდა თავდაცვით პოტენციალს მესამე მხარის დახმარებით (როგორც იყო შეერთებული შტატები), მათ შორის თანამედროვე შეიარაღების შესყიდვას.⁷¹⁸ ეს მოქმედებები ვითარდებოდა იმ ფონზე, რომ საქართველოს ადრეული ქმედებები უფრო აძლიერებდა, ვიდრე ხელს უწყობდა დაძაბულობის შემცირებას. 2004 წელს „აჭარის კრიზისისა“ და „კოდორის პრობლემის“ დაძლევისთვის მიღებული ზომები, საქართველოს ოფიციალური პირების მილიტარისტულ განცხადებებთან ერთად, ბადებდა მოსაზრებას, რომ ქართულ მხარეს შესაძლოა გამოყენებინა ძალა.⁷¹⁹ აღსანიშნავია, რომ ორივე სეპარატისტული რეგიონი უფროდაუფრო დაჟინებით მოითხოვდა, მოლაპარაკებების დაწყებამდე თბილისის მიერ ძალის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით გარანტიების გაცემას.

კონტრასტულად, სამხედრო წვრთნამ ნატო-ს ჯარებთან, „დაუყოვნებელი რეაგირება – 2008,“ რეგულარული ხასიათი მიიღო. ივლისში, რუსეთის წვრთნის პარალელურად, მასში სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ შეერთებული შტატების სამხედრო ნაწილები, რაც ცხადია გამიზნული იყო ნატო-ს მიერ წარმართული ოპერაციებისა და კოალიციის ფუნქციური შეთავსებადობის გასაუმჯობესებლად ერაყში.⁷²⁰ ის ფაქტი, რომ წვრთნები ოპერატიული ხასიათის იყო და ასევე ის, რომ შეიარაღებული მოქმედებების დაწყებამდე, მონაწილე ძალების უმეტესობა საქართველოდან გაიყვანეს, მიანიშნებს რომ აგრესიულ ზრახვებს ადგილი არ ჰქონია. რთულია ამ წვრთნების დაკავშირება იმასთან, რომ რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში, საქართველოს ჯარებს შეიძლება ნატო-ს წევრი ქვეყნები დახმარებოდნენ. მიუხედავად ამისა, 2008 წლის ზაფხულის კრიზისის ფონზე, ჩამოთვლილმა ქმედებებმა ხელი შეუწყეს

⁷¹⁸ იხ.: თავი 5, 2008 წლის სამხედრო მოვლენები; ასევე, იხ.: თავი 1, ისტორიული ფონი და საერთაშორისო გარემო.

⁷¹⁹ იქვე.

⁷²⁰ იქვე.

შთაბეჭდილების შექმნას, რომ საქართველო აპირებდა ფართო სამხედრო ინტერვენციას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.⁷²¹

საერთო ჯამში, საქართველოს მოქმედებები ძალის გამოყენების მუქარას წარმოადგენდა. მოსაზრება, რომ საქართველო არ იყო იმ პოზიციაში, რომ სამხედრო გზით, მნიშვნელოვანი ზარალი მიეყენებინა რუსეთის პოლიტიკისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის – არაადექვატურია. საკმარისია ის, რომ საქართველომ გამოხატა მზადყოფნა, გამოყენებინა ძალა მოწინააღმდეგეების მიმართ, რაც გულისხმობდა ძალის გამოყენებას რუსული ჯარების მიმართ იმ შემთხვევაში თუ მათ არ გაიყვანდნენ საქართველოს ტერიტორიიდან.

IV. მუქარა რუსეთის მხრიდან

ანგარიშმა დადგინა შემდეგი ფაქტები: 2008 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში (იხ. თავი 1. „ისტორიული წინაპირობები და საერთაშორისო გარემო“), (1) აპრილში რუსეთმა გააფრთხილა თბილისი, რომ საქართველოს გაწევრიანება ნატო-ში გამოიწვევდა სეპარატისტული ტერიტორიების სამუდამოდ დაკარგვას და ამ ტერიტორიებზე განთავსდებოდა რუსეთის სამხედრო ბაზები.⁷²² (2) ასევე აპრილში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოსცა გაფრთხილება, რომ მოსკოვი ემზადებოდა სამხედრო ძალის გამოყენებისთვის, თუ საქართველო შეიარაღებული კონფლიქტს წამოიწყებდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.⁷²³ (3) რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები რეგულარულად დაფრინავდნენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რაც აშკარა გაფრთხილებას წარმოადგენდა თბილისისთვის. მოსკოვი პრეტენზიას აცხადებდა ფრენების განხორციელების უფლებაზე, ამასთან, უარყოფდა საქართველოს უფლებას, დაეშვა უპილოტო სადაზვერვო საფრენი აპარატები ამავე ტერიტორიაზე.⁷²⁴ სულ მცირე, ერთი უპილოტო აპარატი მანც ჩამოაგდო რუსულმა საბრძოლო თვითმფრინავმა. (4) მაისში რუსეთმა გაზარდა თავისი ჯარების რაოდენობა აფხაზეთში და გააზავნა სარკინიგზო საინჟინრო ჯარები „ჰუმანიტარული მისიით“ რეგიონში,

⁷²¹ კონფლიქტების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ იხ.: მაგალითად, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, S/2008/631 (3 ოქტომბერი, 2008), პუნქტები 6-10; Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, S/2008/480 (23 July 2008), პუნქტი 75.

⁷²² იხ.: თავი 1, ისტორიული ფონი და საერთაშორისო გარემო.

⁷²³ იქვე, ასევე, იხ.: კრიზისის საერთაშორისო ჯგუფი, Georgia and Russia: Clashing over Abkhazia, Europe Report No. 193 (5 June 2008), გვ. 3. „ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ არ დავტოვებთ ჩვენს მოქალაქეებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაჭირვებაში და ეს კარგად უნდა იყოს გაგებული, თუ ომი დაიწყება, მოგიწევს ჩვენი თანამოქალაქეების დაცვა სამხედრო საშუალებებითაც კი. ჩვენ ყველა საშუალებას გამოვიყენებთ ამისთვის. ამაზე ეჭვი არ უნდა გაჩნდეს“ (რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2008 წლის 25 აპრილის განცხადება).

⁷²⁴ იქვე, ასევე, იხ.: კრიზისის საერთაშორისო ჯგუფი, Russia v. Georgia: The Fallout, Europe Report No. 195 (22 August 2008), გვ. 1.

საქართველოს ნებართვის გარეშე.⁷²⁵ ივლისში, რუსეთის სამხედრო ნაწილებმა ჩაატარეს სამხედრო წვრთნა „კავკასია 2008.“ მართალია, განაცხადეს, რომ ეს რეგულარული წვრთნაა, მაგრამ მრავალი ნიშანი არსებობდა, რომ ის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენდა. მეტიც, წვრთნის დასრულების შემდეგ, ზოგიერთი ნაწილი დარჩა ამ ტერიტორიაზე, საგანგებო მზადყოფნის მდგომარეობაში.⁷²⁶

ყველა ამ ფაქტს შესაძლოა ჰქონდეს სამართლებრივი შესაბამისობა, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული დაძაბულობის ფონზე. 1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო–რუსეთის ურთიერთობაში მთელ რიგ სამხედრო კრიზისებს ჰქონდა ადგილი. 2004-2008 წლებში, თავდაცვის ბიუჯეტის ზრდის და შეიარაღების შედეგად, გაჩნდა საერთო დაუცველობის განცდა და რეგიონში ძალის გამოყენების მოლოდინი.⁷²⁷ რუსეთის მხრიდან, ამან მოიცვა სხვადასხვა ქმედება, რაც აძლიერებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შიშს. მათ შორის იყო ეკონომიკური სანქციების შემოღება, რუსეთიდან ეთნიკური ქართველების გამოძევება, დსთ-ის 1996 წლის შეზღუდვების მოხსნა აფხაზეთზე, პირდაპირი პოლიტიკური კავშირების დამყარება მათს პოლიტიკურ ლიდერებთან და რუსეთის განცხადებებიდან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ამოღება.⁷²⁸

ლოგიკურად, რუსეთის მიერ 2008 წლის შუა პერიოდში განხორციელებული მოქმედებები, საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენების მუქარას წარმოადგენდა. თბილისისთვის, როგორც მოსკოვის განცხადებები, ასევე სამხედრო ოპერაციები საზღვარზე და საქართველოს ტერიტორიაზე, არსებული გამოცდილების და ბოლო დროის მოვლენების გათვალისწინებით, ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ არსებობდა საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის მნიშვნელოვანი რისკი. ეს რისკი მოიცავდა საქართველოს *დე-ფაქტო* დაყოფას და ამგვარად, მისი ტერიტორიული საზღვრების ხელახლა განსაზღვრას. რუსეთის მიერ განხორციელებული ცალკეული პოლიტიკური ნაბიჯი, როგორცაა, რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, არ წარმოადგენდა ძალის გამოყენების მუქარას, რადგან მათში არ იყო ძალის გამოყენების მუქარა, მაგრამ ის ხელს უწყობდა საფრთხის აღქმის გაძლიერებას და კრიზისის ესკალაციას. რუსეთის მხარის მუქარა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმის თავიდან აცილების ამოცანით - ის ასევე, დამატებითი პოლიტიკური დათმობების მიღებას ცდილობდა.

⁷²⁵ იქვე.

⁷²⁶ იქვე.

⁷²⁷ იქვე.

⁷²⁸ იქვე; სანქციების მოხსნის შესახებ იხ.: Georgia and Russia: Clashing over Abkhazia (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 14), 1.

V. მუქარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მხრიდან

სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებული ფაქტები ნაკლებად გარკვეულია. ჯერ კიდევ, 2008 წლის აპრილში, გახშირდა სროლა, ნაღმსატყორცნებით თავდასხმა, მანქანების დაბომბვა და სხვა ძალისმიერი ინციდენტები ქართულ და სამხრეთ ოსეთის ძალებს შორის.⁷²⁹ დაბომბვებს ასევე, ადგილი ჰქონდა მაისში, ივლისსა და აგვისტოში.⁷³⁰ სამხრეთ ოსეთის პრო-რუსული ორიენტაციის მქონე *დე-ფაქტო* პრეზიდენტი, ედუარდ კოკოთი იმუქრებოდა, რომ თავს დაესხმოდა საქართველოში არსებულ ქალაქებს და დაიხმარებდა არარეგულარულ სამხედრო ფორმირებებს ჩრდილოეთ კავკასიიდან.⁷³¹ ამას გარდა, ივლისში, სამხრეთ ოსეთის ძალებმა დააკავეს ქართველი ჯარისკაცები.⁷³² აფხაზეთში *დე-ფაქტო* ხელისუფლებამ განაცხადა, რომ გაზაფხულზე მათ ჩამოაგდეს საქართველოს სადაზვერვო თვითმფრინავი.⁷³³ უფრო მეტიც, როგორც ჩანს, ორივე სეპარატისტული რეგიონი მიესალმებოდა რუსეთის სამხედრო წვრთნებს და შეიარაღებას,⁷³⁴ ასევე, არარეგულარული სამხედრო ფორმირებების შემოსვლას კავკასიის სხვა რეგიონებიდან, რომელთა დახმარებასაც ისინი გამოიყენებდნენ საქართველოს სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში.⁷³⁵ შემდგომ, 2008 წლის 20 ივნისს, აფხაზეთის *დე-ფაქტო* პრეზიდენტმა, რაულ ხაჯიმბამ საჯაროდ გამოაცხადა, რომ შესაძლოა საჭირო გამხდარიყო ძალის გამოყენება საქართველოს მიერ კონტროლირებადი კოდორის ხეობის მოსაპოვებლად.⁷³⁶

გაურკვეველია, თუ რა ზომით შეუწყო ამ ინციდენტებმა ხელი საქართველოს წინააღმდეგ შეთანხმებულ ქმედებათა განხორციელებას, რომლებსაც მართავდნენ, ან აქტიურად უწყობდნენ ხელს ორი გამოყოფილი რეგიონის *დე-ფაქტო* ხელისუფლებები. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, ამის მაგალითი იყო საჯაროდ გაცხადებული განზრახვა თავს დასხმოდნენ საქართველოს ქალაქებს, ხოლო აფხაზეთის მხრიდან, ეს იყო საჯარო განცხადება სადაზვერვო თვითმფრინავის ჩამოგდების შესახებ. ორივე გამოყოფილი რეგიონი ცდილობდა რუსეთის დახმარების მიღებას იმ იმედით, რომ ისინი მიიღებდნენ მხარდაჭერას შეიარაღებული სამხედრო მოქმედებების შემთხვევაში

⁷²⁹ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ: შედეგები (შენიშვნა 15), 1.

⁷³⁰ ჯიმ ნიკოლი, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში: კონტექსტი და შედეგები,

შეერთებული შტატების ინტერესებისთვის, CRS ანგარიში კონგრესს, 2008, 24 ოქტომბერი, 4-5.

⁷³¹ ნიკოლი, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი (შენიშვნა 21) 5.

⁷³² რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ: შედეგები (შენიშვნა 15), 1.

⁷³³ საქართველო და რუსეთი: შეჯახება აფხაზეთში (შენიშვნა 14)4.

⁷³⁴ იხ.: თავი 5, 2008 წლის სამხედრო მოვლენები, იური ე. ფიოდოროვი, დასაბუთების უმოქმედობა: ომი საქართველოში და რუსეთის საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო საქმეთა ასოციაციის სტატია 5/2008 (2008 წ. დეკემბერი), 4.

⁷³⁵ როი ელისონი, რუსეთის აღდგენა? მოსკოვის კამპანია „საქართველოს იძულება მშვიდობის დასამყარებლად.“ საერთაშორისო ურთიერთობები, ტომი 84, 1145-1171, at 1147.

⁷³⁶ იხ.: თავი 5, 2008 წლის სამხედრო მოვლენები.

და შესაბამისად, ისინი საფუძველს აცლიდნენ კრიზისის დარეგულირების მცდელობებს. ამ თვალსაზრისით, მათი მოქმედებები ნაკლებად შეესაბამება გაერო-ს წესდების 2(3) მუხლს, კერძოდ, ვალდებულებას, დავების მშვიდობიანი საშუალებებით მოგვარებასთან დაკავშირებით და ასევე, პოტენციურად ეწინააღმდეგება 2(4) მუხლს.

VI. მუქარა ძალის გამოყენების შესახებ არ არის დასაბუთებული

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საქართველოში კონფლიქტის ყველა მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა კრიზისის ესკალაციაზე. როგორც მინიმუმ, ორი მხარე საქართველო და რუსეთი იყენებდა სამხედრო მუქარას გაერო-ს წესდების 2(4) მუხლის დარღვევით.

პრინციპულად, მუქარა შეიძლება დასაბუთებული იქნას, როგორც თავდაცვის ან გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ ნებადართული ზომა,⁷³⁷ თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოიყენება ეს ორი საფუძველი – მუქარა უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული.⁷³⁸

გაეროს წესდების 51-ე მუხლი არეგულირებს თავდაცვის უფლებას. მის მიხედვით, სახელმწიფოები ინარჩუნებენ ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლებას, თუ ადგილი ექნება შეიარაღებულ თავდასხმას. ეს პრაქტიკულად, გულისხმობს, რომ ძალის გამოყენების მუქარას შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიწყება შეიარაღებული თავდასხმა.⁷³⁹

თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მუქარა რომელიც ვიწრო გაგებით მიზნად ისახავს თავდასხმის შეკავებას და ამგვარად, ხელს შეუშლის ძალის უკანონოდ გამოყენებას, აკრძალული არაა. გაერო-ს წესდება სახელმწიფოს უფლებას აძლევს თავი დაიცვან სამხედრო საშუალებებით, გაერო-ს უშიშროების საბჭოს ამოქმედებამდე. ამგვარად, მთავრობის მიერ ამ უფლების გამოყენება და განხორციელება, არ შეიძლება უკანონო იყოს.⁷⁴⁰ ამ განმარტებას ემხრობა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოც, რომელმაც 1996 წელს განაცხადა, რომ „ცნებები „საფრთხე“ და ძალის „გამოყენება..“ ერთად იხმარება იმ მიზნით, რომ ... სახელმწიფოს მზადყოფნა ძალის გამოყენებისთვის იყოს კანონიერი და შეესაბამებოდეს წესდებას.“⁷⁴¹

თუმცა, წესდებასთან შესაბამისობა ნიშნავს არა მხოლოდ 2(4) მუხლის შესრულებას, არამედ 2(3) მუხლის შესრულებასაც. გაერო-ს წესდება მოითხოვს კონფლიქტის

⁷³⁷ ამ შემთხვევაში არ ყოფილა უსაფრთხოების საბჭოს ავტორიზაცია და საჭირო არ არის შემდგომი განხილვა.

⁷³⁸ Albrecht Randelzhofer, in Bruno Simma (ed), *The Charter of the United Nations: A Commentary*, ტომი I (Oxford University Press 2002), მუხლი 42, პუნქტი 8; მუხლი 51, პუნქტი 42; Judith Gardam, *Necessity, Proportionality and the Use of Force by States* (Cambridge University Press 2004), თავი 5-6.

⁷³⁹ Robert Kolb, *Ius contra bellum: Le droit international relatif au maintien de la paix* (2nd edn, Helbing Lichtenhahn/Bruylant 2009), 291.

⁷⁴⁰ Sturchler, *Threat of Force* (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 6), 267.

⁷⁴¹ ICJ, *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons* (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 7), პუნქტი. 47.

მხარეებისგან თავშეკავებას. ის არ უწყობს ხელს ძალის გამოყენების მუქარას, გარდა იმ მუქარისა, რომელიც გათვალისწინებულია მხოლოდ ძალის შეკავებისთვის.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაჭიანურებული კონფლიქტების შემთხვევაში, როდესაც კონფლიქტის მხარე განსაკუთრებით სენსიტიურია ნებისმიერი სამხედრო მოქმედებების მიმართ, როდესაც ცალმხრივმა ქმედებებმა ან პროვოკაციებმა შესაძლოა ძალადობის ესკალაცია გამოიწვიოს. სახელმწიფო პრაქტიკა უჩვენებს, რომ ასეთ შემთხვევებში, საერთაშორისო თანამეგობრობას ნამდვილად არ სურს მოითმინოს სამხედრო მუქარა რომელიმე მხარისგან. ეს განპირობებულია იმით, რომ ფაქტობრივად, შეუძლებელია აგრესორის და აგრესიის მსხვერპლის გარჩევა. ამგვარად, არ არსებობს რაიმე სახის გარემოება, რომ თავდაცვის არგუმენტი შეიძლება იყოს მიზანშეწონილი. ამგვარად, იმისათვის, რომ გამართლებული იყოს ძალის გამოყენების მუქარა – ის უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმის შეკავებით. ტრადიციულ მეტოქეებს შორის ხანგრძლივი კრიზისის შემთხვევაში მთავრობებმა თავი უნდა შეიკავონ ყოველგვარი სამხედრო მუქარისაგან, მაშინაც კი, როდესაც ძალის ფიზიკური გამოყენება შეიძლება გამართლებული იყოს.⁷⁴²

არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ ოსეთის 2008 წლის კრიზისის დროს, ამ მოთხოვნებს არც ერთი მხარე არ ასრულებდა. 1991 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაძაბულობა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რამდენჯერმე სრულ სამხედრო კრიზისამდე მივიდა.⁷⁴³ კონფლიქტი აშკარად გაჭიანურებული იყო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არც ერთ მხარეს არ გააჩნდა სამხედრო ძალის გამოყენების მუქარის კანონიერი უფლება. მართლაც, აფხაზეთის შემთხვევაში, გაერო-ს უშიშროების საბჭო ყველა მხარეს მუდმივად მოუწოდებდა თავშეკავებისკენ.⁷⁴⁴ 2008 წლის აპრილში, ის დაბეჯითებით მოუწოდებდა „ყველა მხარეს სერიოზულად განეხილათ და გაეთვალისწინებინათ

⁷⁴² Sturchler, Threat of Force (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 6), 266. იხილეთ ე. წ. ასიმეტრიული ხედვის დასაბუთება ძალის გამოყენებასა და ძალის გამოყენების მუქარას შორის დამოკიდებულების თვალსაზრისით, რაც ასევე ნიშნავს, რომ მუქარა აუცილებლად უკანონო არაა, მაშინ, როდესაც ძალის გამოყენება უკანონო იქნებოდა; Sadurska, „Threats of Force“ (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 6), 249. მაგრამ იხილეთ სიმეტრიული ხედვის დასაბუთება Corten, Droit contre la guerre (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 6), 157.

⁷⁴³ ინფორმაცია კრიზისის ქცევის საერთაშორისო პროექტის საფუძველზე, <http://www.cidcm.umd.edu/icb/>.

⁷⁴⁴ S/RES/1752 (13 April 2007), პუნქტი 8; S/RES/1716 (13 ოქტომბერი, 2006 წ.), განსაკუთრებით, პუნქტი 8 („იმ ნაბიჯების თავიდან აცილება, რომლებიც შეიძლება აღქმული იყოს, როგორც მუქარა“); S/RES/1666 (31 მარტი, 2006 წ.), განსაკუთრებით, პუნქტი 6 („იმ ნაბიჯების თავიდან აცილება, რომლებიც შეიძლება აღქმული იყოს, როგორც მუქარა და სამხედრო რიტორიკისგან თავის შეკავება“); S/RES/1615 (29 ივლისი, 2005 წ.), პუნქტი 8; S/RES/1582 (28 იანვარი, 2005 წ.), პუნქტი 9; S/RES/1554 (29 ივლისი, 2004 წ.), პუნქტი 8; S/RES/1524 (30 იანვარი, 2004 წ.), პუნქტი 13; S/RES/1494 (30 ივლისი, 2003 წ.), პუნქტი 13; S/RES/1462 (30 იანვარი, 2003 წ.), პუნქტი 16 („გამოცალკევება სამხედრო რიტორიკისგან და სამხედრო არჩევანის მხარდაჭერის დემონსტრაციისგან“); S/RES/1427 (29 ივლისი, 2002 წ.), პუნქტი 14; S/RES/993 (12 მაისი, 1995 წ.), პუნქტი 5.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები, თავი შეეკავებინათ ყოველგვარი ძალადობის აქტებისა და პროვოკაციებისგან, პოლიტიკური ქმედებებისა და რიტორიკის ჩათვლით, სრულად დაეცვათ ადრე მიღწეული შეთანხმებები ცეცხლის შეწყვეტის და ძალადობის გამოუყენებლობის თაობაზე და უზრუნველყოთ უსაფრთხოების ზონასა და იარაღის აკრძალვის ზონაში ნებისმიერი სამხედრო მოქმედების დაწყება ნებართვის გარეშე.⁷⁴⁵

უფრო მეტიც, გაერო-ს წესდების ფარგლებში, სამხრეთ ოსეთში, თავდაცვის მიზნით მუქარის გამოყენების უფლება რომც არსებულებოდა, 2008 წლის შუა პერიოდში კონფლიქტის მხარეების მიერ განხორციელებული არც ერთი ქმედება არ შეიძლება აღწერილი იქნას, როგორც თავდაცვითი – არც ერთი მათგანის მუქარა არ შემოიფარგლებოდა შეიარაღებული თავდასხმის შეკავების მიზნით. ისინი მიმართული იყო დამატებითი დათმობების მიღებისკენ, ღია სამხედრო მოქმედებების რისკის განზრახ შექმნით.

VII. დასკვნები: ძალის გამოყენების შესახებ მუქარა არის უკანონო ყველა მხარაზე

ძალის გამოყენების ყველა მუქარა, რუსეთის და საქართველოს მხრიდან, ასევე (იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია ისინი ასეთად ჩაითვალოს), სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მხრიდან, არ არის მართლზომიერი გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად და ამდენად, უკანონოა.⁷⁴⁶ საქართველომაც და რუსეთმაც დაარღვია აკრძალვა ძალის გამოყენების მუქარის შესახებ, გაეროს წესდების 2(4) მუხლის ფარგლებში. ორმხრივმა მუქარებმა გამოიწვიეს ორმხრივი უნდობლობის გარემოს შექმნა, რომელიც წლების მანძილზე განიცადა ესკალაცია და სერიოზული კრიზისით დამთავრდა.

⁷⁴⁵ S/RES/1808 (15 აპრილი 2008 წ.), პუნქტი 6. ასევე, იხ.: S/RES/1781 (15 ოქტომბერი 2007 წ.), პუნქტი 6.

⁷⁴⁶ რამდენადაც არც ერთ მხარეს არ განუცხადებია პრეტენზია, რომ მათ გააჩნდათ ძალის გამოყენების მუქარის გამართლება, მნიშვნელობა არა აქვს, ჯერ ერთი, ჰქონდათ თუ არა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს უფლება მოეწვიათ და ამდენად, დაეშვათ რუსეთის მიერ მუქარის გამოყენება. მეორე, რომელმაც მხარე დაიწყო მუქარა და მესამე, რამდენად აკმაყოფილებდა რომელიმე მუქარა აუცილებლობისა და თანაზომიერების მოთხოვნებს.

ნაწილი 2: საქართველოს მიერ ძალის გამოყენება

A. საქართველოს მიერ ძალის გამოყენება სამხრეთ ოსეთის მიმართ

I. ფაქტები

სადაო არაა, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეიარაღებული შეტევა დაიწყეს სამხრეთ ოსეთში პრეზიდენტ სააკაშვილის 2008 წლის 7 აგვისტოს 23.35 სთ-ზე გაცემული ბრძანების საფუძველზე.⁷⁴⁷ ასევე უდაოა, რომ ეს შეტევა, როგორც მინიმუმ, სხვა მიზნებთან ერთად, მიმართული იყო სამხრეთ ოსეთის მილიციაზე.⁷⁴⁸ და ბოლოს, უდაოა ის, რომ ამ შეტევის შედეგად დაიღუპნენ როგორც სამოქალაქო პირები, ისე სამხრეთ ოსეთის მილიციის თანამშრომლები; აგრეთვე, მნიშვნელოვანი რაოდენობის შენობები განადგურდა ცხინვალის რეგიონსა და მიმდებარე სოფლებში.

II. საქართველოს მიერ განხორციელებული შეტევის იურიდიული კვალიფიკაცია

სამხედრო ძალის გამოყენება აკრძალულია გაერო-ს წესდების მუხლით 2 (4) და ჩვეულებითი სამართლით, აკრძალვა ასევე, დადასტურებულია 1975 წლის ჰელსინკის დასკვნით აქტში.⁷⁴⁹ შესაბამისი კონცეფციები მოიცავს „აგრესიის შესახებ აქტს“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მუხლი 39), რომელიც უფლებამოსილებას აძლევს უშიშროების საბჭოს, გასცეს რეკომენდაციები ან მიიღოს გაწყვეტილება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენაზე მიმართულ ღონისძიებებთან და „შეიარაღებულ თავდასხმასთან“ (გაეროს წესდების მუხლი 51, რომელიც ასაბუთებს თავდაცვის უფლებას) დაკავშირებით, რაც თავდაცვის უფლებას მართლზომიერს ხდის. პირველ რიგში ნათელი უნდა იყოს, ვრცელდება თუ არა ეს წესები სამხედრო ოპერაციების განხორციელებაზე თავად საქართველოს ტერიტორიაზე.

⁷⁴⁷ ეს ბრძანება და საქართველოს ძალების სახმელეთო შეტევა დადასტურებულია საქართველოს მხარის მიერ (პასუხი პირველ კითხვაზე – სამხედრო).

⁷⁴⁸ საქართველოს მხარის მიერ მოცემული ინფორმაციის თანახმად, შეტევას შემდეგი მიზნები ჰქონდა: (1) სამხრეთ ოსეთში სამოქალაქო პირები დაცვა; (2) საცეცხლე პოზიციების ნეიტრალიზაცია, საიდანაც ხორციელდებოდა ცეცხლი სამოქალაქო მოსახლეობაზე, ქართულ სამშვიდობო ქვედანაყოფებზე და პოლიციაზე; და (3) რუსეთის ფედერაციის რეგულარული ქვედანაყოფების გასვლა როკის გვირაბიდან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში; cf. დოკუმენტი მოწოდებული საქართველოს ხელისუფლების მიერ: „The Chronology of Russian Aggression against Georgia in 2008.“

⁷⁴⁹ ნაწილი 1 (a) „მონაწილე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების მართვის პრინციპების დეკლარაცია.“ პრინციპი II, „ძალის გამოყენების მუქარის ან ძალის გამოყენებისგან თავის შეკავება.“

1. ძალის გამოყენების აკრძალვის გამოყენება საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით

შეიარაღებულ კონფლიქტს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის ადგილი ჰქონდა მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოს, საქართველოს საზღვრებში, როგორც ეს საერთაშორისოდ იქნა აღიარებული საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანების დროს. საქართველოს მიერ ძალის გამოყენება მიმართული იყო სახელმწიფოებრიობის არმქონე ერთეულის წინააღმდეგ, რომელიც ფორმალურად ეკუთვნოდა საქართველოს ტერიტორიას და აქედან გამომდინარე, არც სუვერენული იყო და არც დამოუკიდებელი (თავი 3 „სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით“).

გაეროს წესდების 2 (4) მუხლის მიხედვით, ძალის გამოყენება აკრძალულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიმართულია „სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ,“ ან „რაიმე სხვა სახით შეუსაბამოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასთან.“ შესაბამისად, ზოგადად, ხელისუფლებას არ ეკრძალება შეიარაღებული ძალების გამოყენება შიდა კონფლიქტებში, მაგ., ამბოხებულთა წინააღმდეგ, რომლებიც იწყებენ სამოქალაქო ომს ან ტერიტორიული ერთეულების წინააღმდეგ, რომლებიც ძალის გამოყენებით იბრძვიან გამოყოფისთვის.⁷⁵⁰

საქართველო–სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ კონფლიქტში ძალის გამოყენება არის „შეუსაბამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასთან,“ რის გამოც, ძალის გამოყენება კონფლიქტში იკრძალება შემდეგი მიზეზების გამო. პირველი, სოჭის შეთანხმება, გაფორმებული 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკასა (წარმოდგენილი ედუარდ შევარდნაძის მიერ) და რუსეთის ფედერაციას (წარმოდგენილი ბორის ელცინის მიერ) შორის,⁷⁵¹ კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის პრემბულაში „ერთგულლებას გაეროს წესდების და ჰელსინკის დასკვნითი აქტის მიმართ.“ ეს პუნქტი თვალნათლივ აჩვენებს, რომ საქართველო ცნობს აკრძალვას ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, თავის კონფლიქტში სამხრეთ ოსეთში. სამხრეთ ოსეთი არ არის ამ ხელშეკრულების მხარე. მხოლოდ რუსეთი და საქართველო არიან მხარეები. თუმცა, 1992 წლის შეთანხმების მიზანი იყო „სისხლისღვრის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და ოსებსა და ქართველებს

⁷⁵⁰ Albrecht Randelzhofer, in Bruno Simma (ed), *The Charter of the United Nations: A Commentary*, ტომი 1 (Oxford University Press 2002), გაეროს წესდება, მუხლი 2(4), პუნქტი 28. ასეთი მდგომარეობის მაგალითი იო ცივი ომის დროს სამხედროკონფლიქტები ჩრდილოეთ დასამრეთ კორეას შორის და ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამს შორის, სადაც სახელმწიფოების უმეტესობა უარყოფდა გაეროს წესდების მუხლი 2(4) გამოყენებადობას; დეტალური ინფორმაციისთვის სახელმწიფო პრაქტიკის ანალიზთან დაკავშირებით, იხ.: Corten, *Le droit contre la guerre* (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 6), გვ. 205-220.

⁷⁵¹ “Agreement on Principles of Settlement of the Georgian-Ossetia Conflict of 24 June 1992,” თამაზ დიასამიძე, *Regional Conflicts in Georgia* (თბილისი 2008), გვ. 110.

შორის კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევა.⁷⁵² გაერო-ს წესდების ხსენებას არ ექნებოდა რაიმე აზრი, თუ იგი არ მოიცავდა ძალის გამოყენების აკრძალვას, რადგან ეს არის წესდების ცენტრალური ნაწილი. ამგვარი აღქმა ასევე, შეესაბამება სოჭის შეთანხმების არსს, რომელიც მიზნად ისახავს სამართლი მოქმედებების შეწყვეტას დაპირისპირებულ მხარეებს, ანუ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის.

მეორე, საქართველოს სამართლებრივი ვალდებულება, თავი შეიკავოს ძალის გამოყენებისგან თავის ურთიერთობებში სამხრეთ ოსეთთან, გათვალისწინებულია 1994 წლის შეთანხმებაში „ქართულ ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესის შემდგომი განვითარების და შერეული საკონტროლო კომისიის შესახებ.“⁷⁵³ ეს შეთანხმება ადგენს: „კონფლიქტის მხარეები განმეორებით იღებენ ვალდებულებას მოაგვარონ ყველა სადაო საკითხი მხოლოდდამხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით, ძალის გამოყენების ან ძალის გამოყენების მუქარის გარეშე.“ 1994 წლის შეთანხმება ოთხ მხარეს მოიცავს: საქართველო, რუსეთი, სამხრეთ ოსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი. მონაწილე მხარეების სტატუსი განსხვავდება: მაშინ, როდესაც საქართველო და რუსეთი საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტები არიან, ჩრდილოეთ ოსეთი (რომელიც რუსეთის კონსტიტუციური კანონის თანახმად, ფედერაციის ნაწილია) საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმებისას შეზღუდული კომპეტენციით არის წარმოდგენილი.⁷⁵⁴ სამხრეთ ოსეთი, როგორც შეიარაღებული კონფლიქტის მხარე, შეზღუდულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმებაში, რაც დაკავშირებულია სამხედრო კონფლიქტებთან, განსაკუთრებით, დაზავებასთან.⁷⁵⁵ დოკუმენტი, იურიდიული ხასიათით თავისთავად არ წარმოადგენს ხელშეკრულებას. 1994 წლის „ხელშეკრულება“ უფრო დაფუძნებულია ზემოაღნიშნულ სოჭის 1992 წლის ხელშეკრულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ 1994 წლის შეთანხმებაში არა ორი, არამედ ოთხი მონაწილეა, ის მჭიდროდაა დაკავშირებული 1992 წლის ხელშეკრულებასთან რუსეთსა და საქართველოს შორის. 1994 წლის ხელშეკრულება ეფუძნება 1992 წელს მიღწეულ კომპრომისს და ავითარებს მას. ის შეიძლება შესაბამისად კვალიფიცირებული იქნას, როგორც „ხელშეკრულების გამოყენების შემდგომი პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა შეთანხმებას მის განმარტებასთან დაკავშირებით“ 31-ე

⁷⁵² სოჭის 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმების პრეამბულა (emphasis added).

⁷⁵³ “Agreement of 31 October 1994,” თამაზ დიასამიძე, *Regional Conflicts in Georgia* (საქართველო, 2008), გვ. 192.

⁷⁵⁴ მუხლი 72 მიხედვით, lit. n) რუსეთის კონსტიტუციის შესახებ, რუსეთის ფედერაციის შემადგენელ პირებს შეუძლიათ შექმნან საკუთარი „საერთაშორისო და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები,” ანუ ენიჭებათ ხელშეკრულების დადების შეზღუდული შესაძლებლობა, სულ მცირე, იმ ადგილებში, სადაც მათ აქვთ განსაკუთრებული იურისდიქცია. ამ საქმიანობის კოორდინაცია მიეკუთვნება ფედერაციასა და შემადგენელი პირების ერთობლივ იურისდიქციას.

⁷⁵⁵ Anne Peters, “Treaty-Making Power,” in Rudiger Wolfrum (ed), *Max Planck Encyclopedia of Public International Law* (Oxford University Press 2009), paras 61-62, www.mpepil.com (online მონაცემთა ბაზა).

სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის (VCLT) მუხლი 3, (ბ) პუნქტის თვალსაზრისით. ეს ნიშნავს, რომ მეორე ტექსტი წარმოადგენს მნიშვნელოვან სახელმძღვანელო პრინციპებს სოჭის ხელშეკრულების განმარტებისთვის.

მესამე, 1996 წლის 16 მაისის „მემორანდუმი საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მხარეებს შორის უსაფრთხოების და ურთიერთნდობის გაძლიერების ღონისძიებების უზრუნველყოფის შესახებ“ მკაფიოდ აცხადებს: „ჩვენ შევთანხმდით შემდეგზე: (1) კონფლიქტის მხარეებმა უნდა დაგმონ ძალის გამოყენება ან ძალის გამოყენების მუქარა...“⁷⁵⁶ ასევე მეორდება კავშირი „გაეროს წესდებასთან, ეუთო-ს ფუნდამენტურ პრინციპებსა და გადაწყვეტილებებთან და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებთან“. დოკუმენტს ხელი მოაწერა საქართველოს წარმომადგენელმა (საგარეო საქმეთა მინისტრმა), სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლებმა. მედიატორები იყვნენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის ფედერაციის მხრიდან და ბოლოს ეუთო. მსგავსად 1994 წლის ხელშეკრულებისა, 1996 წლის მემორანდუმი წარმოადგენს „შემდგომ პრაქტიკას,“ სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის (VCLT) 31 მუხლის 3 (ბ) პუნქტის თვალსაზრისით და ამრიგად, სახელმძღვანელო პრინციპს 1992 წლის ხელშეკრულების განმარტებისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ სამი ტექსტის ფორმალური მხარეები არაიდენტურია. მაგალითად, რუსეთი არ არის ფორმალური მხარე 1996 წლის მემორანდუმისა (მან ხელი მოაწერა მხოლოდ როგორც „მედიატორმა“), ხოლო სამხრეთ ოსეთი არ არის მხარე 1992 წლის სოჭის ხელშეკრულებისა. თუმცა, მემორანდუმი ასევე უჩვენებს, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული 1992 წლის ხელშეკრულება. მნიშვნელოვანია, რომ ეს სამი შეთანხმება არა მარტო კრძალავს ძალის გამოყენებას კონფლიქტის გადაჭრის მიზანში, არამედ ასევე ადგენს მშვიდობის დამყარების მექანიზმებს, შემდგომი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ უშიშროების საბჭომ რამდენჯერმე დაგმო ძალის გამოყენება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში.⁷⁵⁷

⁷⁵⁶ “Memorandum on Necessary Measures to be Undertaken in Order to Ensure Security and Strengthening of Mutual Trust between the Parties to the Georgian-Ossetian Conflict,” in თამაზ დიასამიძე, *Regional Conflicts in Georgia* (თბილისი, 2008), გვ. 244.

⁷⁵⁷ რაც შეეხება შეიარაღებულ კონფლიქტს საქართველოსა და აფხაზეთს შორის, უშიშროების საბჭოს Res. 876 (1993) „მოითხოვს, რომ ყველა მხარემ თავი შეიკავოს ძალის გამოყენებისგან“ და გმობს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევებს საქართველოსა და აფხაზეთში ძალებს შორის (Res. 876 19 ოქტომბერი 1993, paras 4 და 2). კვლავ SC Res.

1187 (1998), პუნქტი 11, უშიშროების საბჭო „მოუწოდებს მხარეებს. თავი შეიკავონ ძალის გამოყენებისგან“. მომდევნო უშიშროების საბჭოს რეზოლუციას აფხაზეთთან დაკავშირებით არ უხსენებია ძალის გამოყენების აკრძალვა, მაგრამ რეგულარულად მოუწოდებდა მხარეებს თავი შეიკავონ მოქმედებებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ სამშვიდობო პროცესს. ზოგიერთი რეზოლუციები დამატებით გმობდა 1994 წლის ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაცალკეების შესახებ შეთანხმების ნებისმიერ დარღვევას (SC Res. 1494 (2003), პუნქტი 19; SC Res. 1524 (2004), პუნქტი 22; SC Res. 1554 (2004), პუნქტი 22;

ამ ფაქტს მივყავართ არა მხოლოდ გაეროს წესდების 2 (4) მუხლის, არამედ 51-ე მუხლის გამოყენებასთან. 51-ე მუხლის სიტყვიერი ფორმულირების მიხედვით, ეს დებულება ვრცელდება მხოლოდ გაერო-ს წევრ სახელმწიფოებზე. თუმცა, თუ ძალის გამოყენება აკრძალულია სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობას მოკლებულ ერთეულებს შორის ურთიერთობებში, მაშინ თავდაცვაც ასევე, უპრიანი უნდა იყოს ორივე მხარისთვის. ამ ორივე წესის მოქმედების სფერო *ratione personae* იდენტური უნდა იყოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალის გამოყენების რეჟიმი არ იქნება თანმიმდევრული. ეს ნიშნავს, რომ თავდაცვა დასაშვებია აგრეთვე, სახელმწიფოებრიობას მოკლებული სტრუქტურისთვის.

დასკვნა: მიუხედავად კონფლიქტის მხარეების (საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, სამხრეთ ოსეთის, როგორც სახელმწიფოებრიობას მოკლებული ერთეულის და სამართლებრივად საქართველოს ნაწილის) განსხვავებული სტატუსისა, ძალის გამოყენების აკრძალვა, როგორც ეს დადასტურებულია გაერო-ს წესდებაში, მიესადაგება მათს ურთიერთობებს.

2. საქართველოს შეტევა ცხინვალზე და მის მიმდებარე სოფლებზე, როგორც ძალის აკრძალული გამოყენება

მომდევნო საკითხია, იყო თუ არა საქართველოს მხრიდან განხორციელებული სროლა და სახმელეთო ოპერაციები „ძალის გამოყენება“, გაეროს წესდების 2(4) მუხლით. ძალის გამოყენების აკრძალვა მოიცავს ყველანაირ ფიზიკურ ძალას, რომელიც ინტენსიურობის მინიმალურ ზღვარს სცილდება.⁷⁵⁸ გენერალური ასამბლეის ორი რეზოლუცია, ე.წ. „დეკლარაცია მეგობრული ურთიერთობების შესახებ“, 1970 წ.,⁷⁵⁹ და გენერალური ასამბლეის რეზოლუცია „აგრესიის განსაზღვრის შესახებ“ (3314 (XXIX) 1974 წ.)⁷⁶⁰ მოიცავს განმარტებას გაერო-ს წესდების 2(4) მუხლის არსებითი ფარგლების განსაზღვრის თაობაზე. მეორე რეზოლუცია პირველ რიგში, მიღებულია ტერმინის „აგრესიის“ განსაზღვრისთვის, გაერო-ს წესდების 39-ე მუხლის ჭრილში, რომელიც არაა „ძალის გამოყენების“ იდენტური, გაეროს წესდების 2(4) მუხლის თვალსაზრისით. თუმცა, „ძალის გამოყენების“ ზღვარი უფრო დაბალია, ვიდრე „აგრესიის.“ როდესაც

SC Res. 1582 (2005), პუნქტი 24; Res. 1615 (2005), პუნქტი 25.

⁷⁵⁸ ამ ზღვარს ქვემოთ ძალზე უმნიშვნელო ინციდენტები ხვდება, როგორებიცაა ერთეული პირების მიზნობრივი მკვლელობა, ცალკეული პირების გატაცება ან ერთი თვითმფრინავის დაკავება (ხ. კოლბი, *Ius contra bellum* (შენიშვნა 30), გვ. 247).

⁷⁵⁹ GA Res. 2625 (XXV) 24 ნოემბერი, 1970, ძალის გამოყენების პრინციპი. ეს რეზოლუცია მიუთითა ICJ-მ, იმის განსაზღვრისთვის მოხდა თუ არა „ძალის გამოყენება“, საქმე შეიარაღებული მოქმედებების შესახებ, კონგოს ტერიტორიაზე (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა v. უგანდა), ICJ მოხსენებები 2005, 116, აზნაცები 162 -63, და სამეცნიერო ლიტერატურაში მას ეწოდა გაეროს წესდების 2(4) მუხლის „ავთენტური ინტერპრეტაცია“ (KOLB, *Ius contra bellum* (შენიშვნა 30), გვ. 245).

⁷⁶⁰ აგრესიის განსაზღვრა, გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია # 3314, გაეროს ყოველწლიური გამოცემა 1974, გვ. 846 (მითითებულია, როგორც 3314 რეზოლუცია).

სამხედრო ძალადობა აგრესიას წარმოადგენს, ასევე *a fortiori* არის აკრძალული ძალის გამოყენებაც.⁷⁶¹

#3314 რეზოლუციის მე-3 მუხლში განსაზღვრულია თავდასხმის სხვადასხვა ფორმები. ქვემოთ მოცემულია ფორმები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს მოქმედებას სამხრეთ ოსეთში:

„(a) სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოზე ან ნებისმიერი სამხედრო ოკუპაცია, თუმცა, დროებითი, რომელიც მომდინარეობს ასეთი შეჭრის ან თავდასხმის შედეგად, ან ნებისმიერი ანექსიის შედეგად, სხვა სახელმწიფოს ან მისი ნაწილის ტერიტორიაზე, ძალის გამოყენებით;

(b) სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა ან სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი იარაღის გამოყენება მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ, მის ტერიტორიაზე;

(c) სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა მიწაზე, ზღვაზე ან საჰაერო ძალებზე ან სხვა სახელმწიფოს საზღვაო ან საჰაერო ფლოტზე.“

მართალია, არ არსებობდა საერთაშორისო დონეზე დადგენილი საზღვრები, რომლებითაც გამოყოფილია საქართველოს და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები, ქალაქი ცხინვალი და მის დასავლეთით მდებარე სოფლები სამხრეთ ოსეთის *დე-ფაქტო* იურისდიქციაში იყო. ამდენად, საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა ქალაქ ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებზე მძიმე შეიარაღებით, შეიძლება ასევე კვალიფიცირებული იქნას, როგორც აგრესიის აქტი, გაერო-ს #3314 რეზოლუციის 3 მუხლის (a) და (b) ქვეპუნქტების შესაბამისად და *a fortiori*, როგორც ძალის აკრძალული გამოყენება, თუმცა, ისეთი ერთეულის წინააღმდეგ, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფოებრიობა, თავდამსხმის განმახორციელებელი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ. თუმცა, როგორც ზემოთ იყო დასაბუთებული, ამას მიესადაგება აკრძალვა ძალის გამოყენების შესახებ.

თავდასხმა, პირველ რიგში, გამიზნული იყო სამხრეთ ოსეთის მილიციაზე, რომელიც ქალაქ ცხინვალსა და მიმდებარე სოფლებს იცავდა და ამდენად, შეიძლება შეესაბამებოდეს #3314 რეზოლუციის 3 (d) მუხლს და *a fortiori* წარმოადგენდა „ძალის გამოყენებას“, გაეროს წესდების 2(4) მუხლის თვალსაზრისით.

III. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს მიერ ძალის გამოყენების დასაბუთება

ამდენად, ძირითადი საკითხია, შეიძლება თუ არა საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენების გამართლება, საერთაშორისო სამართლის მიხედვით. საქართველოს ძირითადი არგუმენტია თავდაცვა.

⁷⁶¹ Cf. Corten, *Le droit contre la guerre* (შენიშვნა 6), გვ. 67.

1. ფაქტები

საქართველოს უსაფრთხოების ძალებს (გასამხედროებული, მძიმე შეიარაღების მქონე „პოლიცია“) და სამხრეთ ოსეთის მილიციას შორის ხანგრძლივი სამხედრო დაპირისპირება მნიშვნელოვნად გაძლიერდა 2008 წლის გაზაფხულიდან, როგორც ხარისხობრივად, ასევე რაოდენობრივად. 2008 წლის ივლისში, რამდენიმე შეიარაღებული შეტაკება მოხდა. საქართველოს საჰაერო და სახმელეთო თავდასხმების სამართლებრივი შეფასებისთვის, 7 აგვისტოდან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ინციდენტები, რომლებსაც აქტიურად აღწერდა საქართველოს მხარე.⁷⁶²

2. სამართლებრივი შეფასება – „შეიარაღებული თავდასხმა“ სამხრეთ ოსეთის მხრიდან საქართველოზე?

ძირითადი საკითხია, წარმოადგენდა თუ არა სამხრეთ ოსეთის მილიციის სამხედრო ოპერაციები საქართველოს საჰაერო და სახმელეთო თავდასხმამდე, „შეიარაღებულ თავდასხმას“ საქართველოზე, რასაც შეეძლო გამართლებინა საქართველოს მხრიდან ძალის გამოყენება თავდაცვის მიზნით, გაეროს წესდების 51-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს რეაგირების გამართლებისთვის აუცილებელია რიგი ინციდენტების გათვალისწინება, რომლებიც მოხდა აგვისტოს პირველი რიცხვებიდან.

a) სამხრეთ ოსეთის ძალების ქართულ სოფლებზე თავდასხმა, როგორც „შეიარაღებული თავდასხმა“ საქართველოზე

მართალია, ორივე ტერმინი არა არის გარკვევით დაკავშირებული გაერო-ს წესდებასთან, შეიძლება გამოვიყენოთ გენერალური ასამბლეის #3314 რეზოლუცია აგრესიის განსაზღვრის შესახებ, „შეიარაღებული თავდასხმის“ ცნების განსაზღვრისთვის.⁷⁶³ „შეიარაღებული თავდასხმის“ ზღვარი უფრო მაღალია, რამდენადაც ყველა აგრესია „შეიარაღებულ თავდასხმად“ არ ჩაითვლება.⁷⁶⁴ მაინც, სახელმწიფოები ეყრდნობიან #3314 რეზოლუციას იმის განსაზღვრად, თუ რა არის „შეიარაღებული თავდასხმა“.⁷⁶⁵ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადასტურებს, რომ ზოგიერთი უფრო მძიმე ქმედება, რომელიც ამ რეზოლუციაში კვალიფიცირებულია, როგორც აგრესია, ასევე წარმოადგენს შეიარაღებულ თავდასხმას, გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის თვალსაზრისით.⁷⁶⁶

⁷⁶² იხ.: თავი 5, 2008 წლის სამხედრო მოვლენები.

⁷⁶³ Cf. კრისტინა გრეი, საერთაშორისო სამართალი და ძალის გამოყენება (მე-3 Oxford University Press 2008), გვ. 183.

⁷⁶⁴ იხ.: მითითებები სახელმწიფო განცხადებებზე, ამ თვალსაზრისით, 3314 რეზოლუციის შესახებ დისკუსიების პროექტების შედგენისას, Corten, *Le droit contre la guerre* (შენიშვნა 6), გვ. 615 fn. 28.

⁷⁶⁵ იხ.: სამთავრობო განცადებების მითითებები ამ თვალსაზრისით რეზ. 3314 განხილვისას, Corten, *Le droit contre la guerre* (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 6), გვ. 615 fn. 28.

⁷⁶⁶ ICJ, ნიკარაგუა (დამსახურებები) (შენიშვნა 7), აზვაცი. 195; ICJ, საქმე შეიარაღებული მოქმედებების

სამხრეთ ოსეთის ძალების თავდასხმები ქართულ სოფლებზე (ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, აგნევი, ნული, ერგნეთი, ერდევი და ზემო ფრისი) შეიძლება კვალიფიცირებული იქნას, როგორც „სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თავდასხმის“ ექვივალენტური, რაც გავს გაეროს #3314 რეზოლუციის 3 (a) მუხლით გათვალისწინებულ ვითარებას. ამ კონტექსტში სამხრეთ ოსეთის და საქართველოს ტერიტორიების გამიჯვნას მოსდევს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო იურისდიქცია, რომელიც წარმოადგენს ერთეულს, სახელმწიფოებრიობის გარეშე. რადგან ქართული სოფლები, რომლებზეც სამხრეთ ოსეთის ძალების თავდასხმა განხორციელდა, არ იყვნენ სამხრეთ ოსეთის იურისდიქციაში, 2008 წლის 8 აგვისტომდე, სამხრეთ ოსეთის მილიციის მოქმედებები „სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე“ თავდასხმის ექვივალენტურია.

რამდენადაც გამოყენებული იყო მძიმე არტილერია,⁷⁶⁷ თავდასხმა ქართულ სოფლებზე სამხრეთ ოსეთის მხრიდან, შეიძლება ასევე კვალიფიცირებული იქნას როგორც „სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა ან სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის წინააღმდეგ იარაღის გამოყენება“ (cf რეზოლუცია 3314 მუხლი 3(b)). ეს ქმედებები სერიოზული იყო და სცილდებოდა სიმძიმის ზღვარს; ამდენად, ის წარმოადგენდა „შეიარაღებულ თავდასხმას“, გაეროს წესდების 51-ე მუხლის თვალსაზრისით.

b) სამხრეთ ოსეთის თავდასხმები საქართველოს სამშვიდობო ძალებსა და პოლიციაზე, როგორც „შეიარაღებული თავდასხმა“

სამხრეთ ოსეთის თავდასხმები სოფლებზე, პირველ რიგში, მიმართული იყო საქართველოს სამშვიდობო ძალების⁷⁶⁸ და ქართული პოლიციის⁷⁶⁹ წინააღმდეგ. ეს წარმოადგენს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების თავდასხმას საქართველოს სახმელეთო ძალებზე, როგორც აღწერილია გაეროს 3314 რეზოლუციის 3 (d) მუხლში.⁷⁷⁰

c) სამხრეთ ოსეთის სამხედრო მოქმედებები სცილდება მინიმალურ ზღვარს

სამხედრო მოქმედებები წარმოადგენს შეიარაღებულ თავდასხმას, გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის მიხედვით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სცილდება გარკვეულ

შესახებ, კონგოს ტერიტორიაზე (შენიშვნა 50), აბზაცი 146.

⁷⁶⁷ იხ.: 6 აგვისტოს ბრძოლების აღწერა, თავი 5, 2008 წლის სამხედრო მოვლენები.

⁷⁶⁸ იხ.: 7 აგვისტოს ბრძოლების აღწერა, თავი 5, 2008 წლის სამხედრო მოვლენები.

⁷⁶⁹ იხ.: თავი 5, 2008 წლის სამხედრო მოვლენები.

⁷⁷⁰ შეიძლება ეჭვს ბადებდეს, რამდენად შეიძლება საქართველოს სამშვიდობო ძალების კვალიფიცირება „სახმელეთო ძალებად“, ვინაიდან იგი არ იყო ნეიტრალური და ერთ-ერთ კონფლიქტურ მხარეს ეკუთვნოდა, თავდასხმა საქართველოს სამშვიდობო ძალებზე შეიძლება განიხილებოდეს, როგორც თავდასხმა საქართველოზე, როგორც სახელმწიფოზე. ეს უფრო სწორია მას შემდეგ, რაც საქართველოს სამშვიდობო ძალებმა დატოვეს PKF შტაბ-ბინა. სიტუაცია განსხვავდება რუსეთის სამშვიდობო ძალებისგან, როგორც ქვემოთ განვიხილავთ.

ზღვარს. შესაბამისად, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ერთმანეთისგან მიჯნავს ძალის გამოყენების უმძიმეს ფორმებს (რომლებიც წარმოადგენს შეიარაღებულ თავდასხმას) სხვა, ნაკლებად მძიმე ფორმებისგან.⁷⁷¹ შეიძლება იყოს სამხედრო ოპერაციები, რომლებიც ძალის გამოყენების ექვივალენტურია, მაგრამ მაინც არ წარმოადგენდეს შეიარაღებულ თავდასხმას, გაერო-ს წესდების 51-ე მუხლით. იმისათვის, რომ შეიარაღებულ თავდასხმად ჩაითვალოს, ოპერაციას უნდა გააჩნდეს მინიმალური „მასშტაბი და შედეგები“.⁷⁷² მეორე მხრივ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო უშვებს, რომ უფრო მცირემასშტაბიანი თავდასხმების ერთიანი სერიებიც შეიძლება წარმოადგენდეს შეიარაღებულ თავდასხმას.⁷⁷³

მისიამ დაადგინა, რომ ქმედებები, რომლებიც წინ უსწრებდა სამხედრო მოქმედებებს, ორივე მხრიდან რამდენიმე ადამიანის სიკვდილით დამთავრდა. ეს მოიცავდა არა მხოლოდ *დე-ფაქტო* სასაზღვრო დაცვას, არამედ სოფლის მაცხოვრებლებსაც. 6 აგვისტოს შემდეგ მიმდინარეობდა უწყვეტი, მძიმე შეტაკებები. როგორც ეს განმარტებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პუნქტში, სროლების გამო ბევრმა სამოქალაქო პირმა დატოვა სოფლები.⁷⁷⁴

ამდენად, შეიძლება ვივარაუდო, რომ სამხრეთ ოსეთის თავდასხმები ქართულ სოფლებზე, ისევე, როგორც ქართულ სამშვიდობო ძალებსა და პოლიციაზე, შეესაბამებოდა მინიმალურ მასშტაბისა და შედეგების მოთხოვნას, თუმცა, იმისათვის რათა საქართველო დაეყრდნოს თავდაცვის უფლებას, უნდა დაკმაყოფილდეს შემდგომი პირობები, რაც ქვემოთ არის განხილული.

3. მტკიცებულების ტვირთი შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში

პრობლემად რჩება ის, რომ შეუძლებელია მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რომელმა მხარემ დაიწყო საბრძოლო მოქმედებები, საქართველოს საჰაერო და სახმელეთო თავდასხმის

⁷⁷¹ ICJ, *ნიკარაგუა (დამსახურებები) (შენიშვნა 7)*, აზნაცი 191; ICJ, *ნავთობის პლატფორმების შემთხვევა*, ICJ მოხსენებები 2003, 161, აზნაცი. 51.

⁷⁷² ICJ, *ნიკარაგუა (დამსახურებები) (შენიშვნა 7)*, აზნაცი 195. ნიკარაგუას შემთხვევაში, სასამართლომ განასხვავა შეიარაღებული თავდასხმა უბრალოდ სასაზღვრო ინციდენტისგან, რომელიც ზღურბლს ქვემოთაა. სასაზღვრო ინციდენტები არ განაპირობებს თავდაცვის უფლებას. *იქვე*, იხ.: მონაცემები სამეცნიერო ლიტერატურაში, გრეი, ძალის გამოყენება (შენიშვნა 54), გვ. 177-181. ამ მიდგომას მხარი დაუჭირეს ერთრეას/ეთიოპიის სარჩელებთან დაკავშირებით კომისიის გადაწყვეტილებაში: ლოკალიზირებული სასაზღვრო მცირე ინფენტერიის ჯგუფებს შორის, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადგილი აქვს სიკვდილის შემთხვევებს, არ წარმოადგენს შეიარაღებულ თავდასხმას, წესდების მიზნებისთვის.“ (ერთრეას/ეთიოპიის სარჩელების კომისია, გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება ეთიოპიის *Ius ad Bellum* სარჩელები 1-8, 45 ILM (2006), 430). გენერალური ასამბლეის რეზოლუცია აგრესიის განსაზღვრის შესახებ ასევე, შეიცავს *de minimis* დებულებას, რათა უმნიშვნელო შემთხვევები არ შევიდეს „შეიარაღებული თავდასხმის“ კატეგორიაში). თავად აქტები ან მათი შედეგები უნდა იყოს „საკმარისი სიმძიმის.“ (მუხლი 2 of GA Res. 3314 (XXIX)).

⁷⁷³ ICJ, *ნავთობის პლატფორმები* (შენიშვნა 62), აზნაცი 64.

⁷⁷⁴ იხ.: თავი 7, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებების სამართალი.

განხორციელებამდე. სიტუაცია ძალზე ფეთქებადი იყო და როგორც ჩანს, ორივე მხარე ემზადებოდა და ამასთან, მზად იყო ძალის გამოყენებისთვის. შეუძლებელია დადგინდეს, რომელმა მხარემ გაისროლა პირველად, ზემოაღნიშნული ინციდენტების დროს.

სასამართლო პროცესზე, როდესაც სახელმწიფო ცდილობს დაეყრდნოს თავდაცვის უფლებას, მან უნდა უჩვენოს, რომ ის სხვა სახელმწიფოს „შეიარაღებული თავდასხმის“ მსხვერპლია, იმგვარად, რომ გასამართლოს შეიარაღებული ძალის გამოყენება თავდაცვისთვის; ასეთი თავდასხმის დამადასტურებელი ფაქტების დამტკიცების „ტვირთი“ ეკისრება პოტენციურად დაზარალებულ სახელმწიფოს.⁷⁷⁵ რაც შეეხება ინციდენტებს, ომის დაწყებამდე, მტკიცებულებების წარმოდგენის ეს წესი შეეხება კონფლიქტის ორივე მხარეს, იმდენად, რამდენადაც ორივე აცხადებს, რომ მხოლოდ რეაგირებდნენ მეორე მხარის თავდასხმაზე. როდესაც საქართველო ამტკიცებს, რომ მისი საჰაერო და სახმელეთო ოპერაციები 2008 წლის 7 აგვისტოს განპირობებულია თავდაცვით, სამხრეთ ოსეთის გაერთიანებული შეიარაღებული თავდასხმების გამო, მტკიცების „ტვირთი“ საქართველოს ეკისრება.

4. თავდაცვის შესახებ შეტყობინების გაგზავნა გაერო-ს უშიშროების საბჭოში

გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, კონფლიქტის მხარე, რომელიც თავდაცვის უფლებას ეყრდნობა, ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახსენოს უშიშროების საბჭოს.

საქართველომ განაცხადა, უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე, 8 აგვისტოს 1:15 საათზე (ნიუ-იორკის დროით), რომ „მთავრობის სამხედრო მოქმედებები განხორციელდა თავდაცვის მიზნით, მრავალჯერადი სამხედრო პროვოკაციების შემდეგ და მხოლოდ სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის და სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის მოსახლეობის სიცოცხლის შემდგომი ხელყოფის თავიდან აცილების მიზნით... მთავრობამ განახორციელა ქმედებები, რამდენადაც სეპარატისტებმა არა მარტო დაარღვიეს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, არამედ მოხდა ძალადობის მკვეთრი ესკალაცია – მოკლეს სამშვიდობო ძალების რამდენიმე ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი, ცეცხლის შეწყვეტის პროცესში. საქართველოს ტერიტორიაზე, როკის გვირაბის გავლით რუსეთიდან შემოდის უკანონო ძალები და სამხედრო აღჭურვილობა, რაც კიდევ უფრო მეტი ძალადობის საფრთხეს ქმნის.“⁷⁷⁶ ამ განცხადებით, საქართველო დაეყრდნო თავდაცვას - როგორც სამხრეთ ოსეთის, ასევე რუსეთისგან. მიუხედავად ამისა, რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოს ოფიციალურად და „დაუყოვნებლივ“

⁷⁷⁵ ICJ, *ნავთობის პლატფორმები* (შენიშვნა 65), აბზაცი. 57. სასამართლოს განკარგულება, მტკიცებულებების სტანდარტებთან დაკავშირებით, გააკრიტიკა რამდენიმე მოსამართლემ, cf. ჰიგინსი, აბზაცი 30-9, ბერგენტალი, აბზაცი 33-46, ოვადა, აბზაცი 41-52.

⁷⁷⁶ საქართველოს წარმომადგენლის განცხადება უშიშროების საბჭოს დებატებზე, 2008 წ. 8 აგვისტოს, 1.15 a.m. (UNDoc. S/PV.5951), p. 5.

არ უცნობებია უშიშროების საბჭოსთვის, რომ ის მოქმედებდა თავდაცვის მიზნით, როგორც ამას გაეროს წესდების 51-ე მუხლი მოითხოვს.

მოხსენების ეს მოთხოვნა პროცედურული ხასიათისაა. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიხედვით, უშიშროების საბჭოსთვის მოხსენების გადაცემა ან არგადაცემა „შეიძლება ერთ-ერთი ფაქტი იყოს, რომელიც ასახავს იყო თუ არა შესაბამისი სახელმწიფო თავად დარწმუნებული, რომ ის თავდაცვის მიზნით მოქმედებდა.“⁷⁷⁷ უშიშროების საბჭოსთვის ინფორმაციის დაყოვნება, თავისთავად, არ აქარწყლებს საქართველოს განცხადებას, რომ ის თავდაცვის მიზნით მოქმედებდა.⁷⁷⁸

3. საქართველოს რეაქციის ადექვატურობა

საქართველოს რეაქცია შეიძლება გამართლებული იყოს, როგორც თავდაცვა, თუ მისი ფორმატი აკმაყოფილებს დადგენილ სამართლებრივ კრიტერიუმებს.

a) საქართველოს დაუყოვნებელი რეაგირება

თავდაცვა უნდა იყოს დაუყოვნებელი და არ შეიძლება მოხდეს, როდესაც თავდასხმა დამთავრებულია. საზოგადოდ, მიღებულია, რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული დროის შუალედი თავდაპირველ შეიარაღებულ თავდასხმასა და დაზარალებული სახელმწიფოს რეაგირებას შორის, რამდენადაც საჭიროა თავდაცვითი ოპერაციების მომზადება.⁷⁷⁹ უფრო მკაცრი (უმცირესობის) მოსაზრებით, თავდაცვა შეიძლება განხორციელდეს, მანამ სანამ გრძელდება თავდასხმა.⁷⁸⁰ სამხრეთ ოსეთის თავდასხმები ქართულ სოფლებზე, ცხინვალში და საქართველოს „პოლიციასა“ და სამშვიდობო ძალებზე, რომლებიც აგვისტოს პირველ რიცხვებში დაიწყო, დროში გაჭიანურებული ქმედება იყო. ისინი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როდესაც საქართველოს სამხედრო ოპერაცია დაიწყო, 2008 წ. 7 აგვისტოს. ამდენად, საქართველოს რეაგირება მაინც „დაუყოვნებელი“ იყო, უფრო მკაცრი თვალსაზრისითაც კი.

b) საქართველოს რეაქციის პროპორციულობა და აუცილებლობა

თავდაცვა უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული.⁷⁸¹ ეს მოთხოვნა დამტკიცებული და დასაბუთებულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.⁷⁸² აუცილებლობისა და პროპორციულობის კრიტერიუმები ერთმანეთს

⁷⁷⁷ ICJ, *ნიკარაგუა (დამსახურებები) (შენიშვნა 7)*, აზნაცი. 200.

⁷⁷⁸ დეტალურად იხ.: მოსამართლე შვებეი, განსხვავებული აზრი. ICJ, *ნიკარაგუა (დამსახურებები) (შენიშვნა 7)*, აზნაციები 221-7. სამეცნიერო ლიტერატურაში, გრეი, ძალის გამოყენება (შენიშვნა 54) გვ. 122.

⁷⁷⁹ Cf. დინშტაინი, ომი (შენიშვნა 55), გვ. 200.

⁷⁸⁰ გამალ მიურისი ბადრი „თავდაცვის გამართლების ეფექტი სახელმწიფოს პასუხისმგებლობაში,“ საქართველოს საერთაშორისო და კორპორატიული სამართლის ჟურნალი 10 (1980), 1-28, გვ. 26.

⁷⁸¹ დეტალურად იხ.: Corten, *Le droit contre la guerre* (შენიშვნა 6), გვ. 705-735; გარდამი, აუცილებლობა (შენიშვნა 29), გვ. 158-173, ორივე მრავალრიცხოვანი მითითებებით, სახელმწიფო პრაქტიკაზე

⁷⁸² ICJ, *ნიკარაგუა (დამსახურებები) (შენიშვნა 7)*, აზნაცი 194. ამ შემთხვევაში, შეერთებული შტატების

კვეთს და პროპორციულობა უმეტესად, განიხილება, როგორც აუცილებლობის ერთ-ერთი ასპექტი, ან ერთი მედლის მეორე მხარე.⁷⁸³ არის თუ არა სამხედრო რეაგირება, მისი ჩატარების წესით, აუცილებელი და პროპორციული, გაეროს წესდების 51-ე მუხლის თვალსაზრისით, დამოკიდებულია კონკრეტული შემთხვევის ფაქტებზე.

იმის შეფასება, თუ რა არის „აუცილებელი“, არ განისაზღვრება იმ სახელმწიფოს შეხედულებებისამებრ, რომელიც რეაგირებას ახდენს. „აუცილებლობა“ სამართლებრივი ტერმინია, რომელიც უნდა განისაზღვროს ობიექტურად, ნეიტრალური დამკვირვებლის პოზიციიდან სიტუაციის გათვალისწინებით, რომელიც საკუთარ თავს დაზარალებული მხარის ადგილას წარმოიდგენს, სათანადოდ შესაფასებლად. მონაწილე სახელმწიფოს სუბიექტური შთაბეჭდილება და განსჯა, იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის აუცილებელი, გადაწყვეტი არაა.⁷⁸⁴

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ აუცილებლობა (გაეროს წესდების 51-ე მუხლი), აღნიშნავს სიტუაციას, სადაც შეუძლებელია არ დაეყრდნო ძალას, შეიარაღებულ თავდასხმაზე რეაგირებისთვის, როდესაც ხელმისაწვდომი არაა სიტუაციის დაძლევის რაიმე სხვა ალტერნატივები.⁷⁸⁵ თუმცა, აუცილებლობა, თავდაცვასთან დაკავშირებულ პრაქტიკასა და პრევენციულ სამართალში არ გამოიყენება ძალზე მკაცრი გაგებით, რომ თავდაცვის ზომები აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აბსოლუტურად აუცილებელია და მეტი მშვიდობიანი ალტერნატივა აღარ არსებობს. მართალია, სახელმწიფოების პრაქტიკა უჩვენებს, რომ დავების მოსაგვარებლად უპირატესობა მშვიდობიან ზომებს ენიჭება, სახელმწიფოებისთვის არასოდეს უთხოვნიათ იმის დემონსტრირება, რომ მათ ყველა მშვიდობიანი საშუალება ამოწურეს, სანამ სამხედრო თავდაცვის ზომებს მიმართავდნენ.⁷⁸⁶ აუცილებლობა ნიშნავს, რაც არსებითი, მნიშვნელოვანი და სასარგებლოა, თავდაცვის ამოცანის მისაღწევად.⁷⁸⁷

მიერ ნიკარაგუას პორტების დანაღმვა არ იყო თანაზომიერი, ნიკარაგუას მხრიდან სალვადორის ოპიზიციის მხარდაჭერისა (იქვე, აბზაცი. 237). იხ, ასევე ICJ, *ბირთვული იარაღის გამოყენების მოქარის კანონიერება* (შენიშვნა 7), აბზაცი. 141; ICJ, *ნავთობის პლატფორმები* (შენიშვნა 62), აბზაცი 43, 51, და 73-78; ICJ, *საქმე კონგოს ტეროტირულაზე შეიარაღებული მოქმედებების შესახებ* (შენიშვნა 50), აბზაცი 147.

⁷⁸³ რობერტო აგო, სპეციალური რეპორტიორი, *დამატება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ ინგლისურ ანგარიშზე*, YB ILC 1980 II (1), აბზაცი 121 (გვ. 69).

⁷⁸⁴ Cf. ICJ, *ნიკარაგუა (დამსახურებები)* (შენიშვნა 7), აბზაცი 222 და 282. მოთხოვნები შეხედულებების გამოყენების ან შეფასების ზღვრის დადგენის საშუალებას არ იძლევა დაზარალებულისთვის (ICJ, *ნავთობის პლატფორმები* (შენიშვნა 62), აბზაცი 43 და 73).

⁷⁸⁵ ეს მკაცრი შეხედულება შეიძლება დაკავშირებული იყოს კაროლინის ფორმულასთან (შენიშვნა 105).

⁷⁸⁶ Corten, *Le droit contre la guerre* (შენიშვნა 6), გვ. 719-20; გარდამი აუცილებლობა (შენიშვნა 29), გვ. 153; კოლბი, *Ius contra bellum* (შენიშვნა 30), გვ. 293.

⁷⁸⁷ Corten, *Le droit contre la guerre* (შენიშვნა 6), გვ. 723. ნავთობის პლატფორმის შემთხვევაში, შეერთებული შტატების სამხედროების მიერ ირანული ნავთობის პლატფორმების განადგურება კვალფიცირებული იყო, როგორც არააუცილებელი: „ორივე შემთხვევაში, როგორც საზღვაო დავდასხმისას, ასევე, დანაღმვისას, USS სემუელ ბ., რობერტსი, სასამართლო არ დაკმაყოფილდა და

პროპორციულობა სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვანაირად განისაზღვრება. ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, ძალის მოქმედების და უკუქმედების მასშტაბი და შედეგები ერთნაირი უნდა იყოს.⁷⁸⁸ თუმცა, უფრო ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, აუცილებელი არაა პროპორციულობა დაცული იყოს იმ ორ ქმედებას შორი, რომელთაგანაც პირველი შეიარაღებულ თავდასხმას წარმოადგენს, ხოლო მეორე საპირისპირო ქმედებას. აუცილებელია ის, რომ პროპორციულობა დაცული იყოს მხოლოდ რეაგირებასა და მის ამოცანას შორის. ამ უკანასკნელი შეხედულების მიხედვით, რეაგირება პროპორციულია, თუ არსებობს სათანადო დამოკიდებულება გამოყენებულ ზომებსა და ამოცანას შორის, ერთადერთი ნებადართული ამოცანაა შეიარაღებული თავდასხმის უკუგდება.⁷⁸⁹ ოპერაცია, რომელიც საჭიროა თავდასხმის შეკავებისა და უკუგდებისთვის, შეიძლება გაცილებით უფრო დიდი მასშტაბის იყოს, ვიდრე განხორციელებული თავდასხმა, და შეიძლება თავდასხმის წინააღმდეგობის გაწევისათვის ის მაინც პროპორციული იყოს. ეს უკანასკნელი შეხედულება უფრო ადექვატური ჩანს, რამდენადაც წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნას არ ექნებოდა აუცილებელი მოქნილობა და ამდენად მიუღებელი გახდებოდა.⁷⁹⁰

ამ კონტექსტში, აზრი აქვს ერთმანეთისგან გაიმიჯნოს რეაგირება ადგილზე და ეროვნული თავდაცვა. ადგილზე რეაგირება დაკავშირებულია „საწინააღმდეგო ძალის გამოყენებასთან იმ პირების მიერ, რომლებიც თავდასხმას დაექვემდებარნენ, ან მათ მახლობლად მყოფი პირების მიერ,“ ხოლო ეროვნული თავდაცვა მოიცავს „მთლიან სამხედრო სტრუქტურას.“⁷⁹¹

7 აგვისტომდე, ბრძოლა შეიძლება ადგილზე რეაგირებად ჩაითვალოს, საქართველოს მხრიდან, სამხრეთ ოსეთის თავდასხმის საპასუხოდ, მაშინ, როცა საქართველოს სამხედრო მოქმედებები, რომლებიც 7 აგვისტოს, 23:35 საათზე დაიწყო, გაცილებით უფრო შორს წავიდა და მოიცავდა საქართველოს სამხედრო ძალების არსებით ნაწილს.⁷⁹²

მიიჩნია, რომ პლატფორმებზე თავდასხმა აუცილებელი არ იყო ამ ინციდენტებზე რეაგირებისთვის.” (ICJ, *ნავთობის პლატფორმები* (შენიშვნა 62), აბზაცი 76). ერთ-ერთი მიზეზი, იმისა, რომ ეს დაკვალიფიცირდა, როგორც არა-აუცილებელი, ის იყო, რომ აშშ-მ არ იჩივლა, რომ ირანის ლპლატფორმები სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენებოდა (იქვე). ამგვარად, ისინი არ იყო სამხედრო ობიექტები.

⁷⁸⁸ კოლბი, *Ius contra bellum* (შენიშვნა 30), გვ. 294-95. დინშტეინი ომი (შენიშვნა 55), გვ. 237. მხარს უჭერს ამ დებულებას თანაზომიერების შესახებ, მხოლოდ ადგილზე რეაგირების შემთხვევებში (თავდაცვის სრულფასოვანი ომებისგან განსხვავებით).

⁷⁸⁹ განსხვავებული აზრი, მოსამართლე ჰიგინსი ICJ, *ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარის კანონიერება* (შენიშვნა 7), გვ. 583-84 (აბზაცი. 5); ლიტერატურაში, გარდამი, აუცილებლობა (შენიშვნა 29), გვ. 158; Corten, *Le droit contre la guerre* (შენიშვნა 6), გვ. 730, გვ. 733.

⁷⁹⁰ აგო დანართი (შენიშვნა 74), აბზაცი 121 (გვ. 69).

⁷⁹¹ დინშტეინი ომი (შენიშვნა 55), გვ. 193-3. დინშტეინი ხაზს უსვამს, რომ არის ერთი რაოდენობრივი და არა ხარისხობრივი განსხვავება თავდაცვის ორ ფორმას შორის.

⁷⁹² საქართველოს და რუსეთის პასუხები სამხედრო შეკითხვებზე.

ამგვარად, საქართველოს მხრიდან რეაგირების აუცილებლობა და პროპორციულობა სოფლებზე სავარაუდო თავდასხმის საპასუხოდ და თავდასხმა სამშვიდობო ძალებზე და პოლიციაზე, ორ ეტაპად უნდა გაანალიზდეს: პირველი, ადგილზე რეაგირების თვალსაზრისით და მეორე – საჰაერო და სახმელეთო იერიშების თვალსაზრისით.

i) ადგილზე რეაგირების აუცილებლობა და პროპორციულობა

როდესაც განიხილება ადგილზე დაუყოვნებლივი რეაგირების აუცილებლობას სამხრეთ ოსეთის მხრიდან სავარაუდო შეტევებზე, გათვალისწინებული უნდა იქნას ის, რომ 2008 წლის ივლისში და აგვისტოს დასაწყისში ჯერ კიდევ არსებობდა საომარი მოქმედებების დაწყების თავიდან აცილების მექანიზმი, რაც ეფუძნებოდა 1992 წლის სოჭის ხელშეკრულებას.⁷⁹³ მაგრამ ეს მექანიზმი ყველა მხარემ ხელყო და ის სათანადოდ აღარ ფუნქციონირებდა.

ამიტომ, თავდასხმებს (გავრცელებული ინფორმაციის თანახმად) ქართულ სოფლებზე, სამშვიდობოებსა და პოლიციაზე 2008 წლის ივლის/აგვისტოში ვეღარ უწევდა წინააღმდეგობას შერეული სამშვიდობო ძალები. იმის გამო, რომ სამშვიდობო მექანიზმი მოიშალა, სამშვიდობო მექანიზმის ხელახალი გააქტიურება არ იყო სიტუაციის გამოსწორების ალტერნატიული საშუალება, რაც ხელმისაწვდომი იყო საქართველოსთვის. ასე რომ, საქართველოს მიერ ადგილზე თავდაცვა აუცილებელი იყო, თუნდაც აუცილებლობის ვიწრო კონცეფციის მიხედვით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი საქართველოს რეაქციის გასამართლებლად.

ადგილზე რეაქცია, გარდა ამისა, უნდა ყოფილიყო პროპორციული. მისი დასკვნების მიხედვით, რეაქცია იყო პროპორციული, პროპორციულობის ორივე ცნების მიხედვით: ძალის და მოწინააღმდეგე ძალის მასშტაბი და ეფექტი იყო მსგავსი და საქართველოს რეაქცია (კერძოდ, ქართულ სოფლებზე სამხრეთ ოსეთის თავდასხმის შეჩერება) ადგილზე იყო გონივრული, დასაშვებ ობიექტთან დაკავშირებით,

დასკვნის სახით, პროპორციულობის პირობა შესრულებული იყო საქართველოს ადგილზე რეაქციასთან დაკავშირებით, საომარი მოქმედებების ფაზაში, სრულმასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე.

ii) საქართველოს საჰაერო და სახმელეთო შეტევის აუცილებლობა და პროპორციულობა

რჩება კითხვა, თუ რამდენად იყო მასშტაბური შეტევა, რომელიც დაიწყო 7 აგვისტოს, 23.35 სთ-ზე, ასევე მართლზომიერი თავდაცვის თვალსაზრისით. იმის გამო, რომ სამშვიდობო მექანიზმი მწყობრიდან იყო გამოსული, სავარაუდოდ, სამხედრო რეაქცია იყო აუცილებელი ძალადობის განმეორებითი აფეთქებების შესაწყვეტად. ცხინვალში შერეული სამშვიდობო ძალების რუსმა მეთაურმა, გენერალმა მარატ კულახმეტოვმა

⁷⁹³ სოჭის ხელშეკრულება დენონსირებული იყო საქართველოს მიერ 2008 წლის 29 აგვისტოს.

მოახსენა 7 აგვისტოს, 17:00 საათზე, რომ ის ვერ შეაჩერა დე-ფაქტო რეჟიმის არარეგულარული ძალების თავდასხმებმა.⁷⁹⁴ ამ თვალსაზრისით, თავდასხმა შესაძლოა ყოფილიყო „აუცილებელი“, თუმცა, ისევ და ისევ ეს არ არის ერთადერთი მოთხოვნა.

გარდა ამისა, ყველა ქმედება უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპის შესაბამისი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროპორციულობა ძირითადად, ნიშნავს, რომ უნდა იყოს გონივრული დამოკიდებულება გამოყენებულ ზომებსა და მიზანს შორის, ერთადერთი დასაშვები მიზანია შეიარაღებული თავდასხმის მოგერიება. რობერტო აგოს თქმით, „რასაც მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ, არის შედეგის მიღწევა „თავდაცვის ქმედებით“ და არა თავად ქმედების ფორმები, შინაარსი და ძალა.“⁷⁹⁵ საპასუხო ან სადამსჯელო ქმედებები გამორიცხულია.⁷⁹⁶

ამიტომ, არ არის თავისთავად გადამწყვეტი, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებით დაწყებულმა შეტევამ გადააჭარბა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ თავდასხმებს ქართულ სოფლებზე, პოლიციაზე და სამშვიდობო ძალებზე ქმედებებს ხარისხით და რაოდენობით. პროპორციულობა უნდა იქნას შეფასებული შემდეგ კითხვებზე პასუხის საფუძველზე: იყო თუ არა მიზანი საქართველოს საკაერო და სახმელეთო შეტევა სხვა არაფერი, თუ არა ქართულ სოფლებზე, სამშვიდობოებზე და პოლიციაზე შეიარაღებული თავდასხმების მოგერიება? იყო თუ არა გონივრული დამოკიდებულება ცხინვალზე შეტევის ფორმას, შინაარსსა და ძალას და ამ მიზანს შორის?

არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება, რომ საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ოპერაცია არ გულისხმობდა მხოლოდ თავდაცვით ქმედებას. პირველი მაჩვენებელია, რომ საქართველოს სამშვიდობო ძალების პასუხისმგებელმა მეთაურმა, ბრიგადის გენერალმა ყურაშვილმა განაცხადა დაუყოვნებლივ შეტევის შემდეგ, რომ მიზანი იყო „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა.“⁷⁹⁷ მაგრამ მოგვიანებით, მან უკუაგდო ეს განცხადება⁷⁹⁸ და პრეზიდენტი სააკაშვილი ღიად ეწინააღმდეგებოდა მას. უფრო მნიშვნელოვანია ცხინვალის მიზანში ამოღება. ეს მიუთითებს, რომ ქმედება გულისხმობდა არა მხოლოდ დაუყოვნებელ რეაგირებას წინა ინციდენტებზე, არამედ მას უფრო პოლიტიკური მიზანი ჰქონდა. უფრო მეტიც, გარე დამკვირვებლისთვის აშკარა არ არის, რომ ცხინვალის დაბომბვა წარმოადგენდა გონივრულ ღონისძიებას,

⁷⁹⁴ საქართველოს ვერსია; დოკუმენტი „Major hostile actions by the Russian Federation against“ (Georgia in 2004-2007), გვ. 12.

⁷⁹⁵ Ago, *Addendum* (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 74), 69-70.

⁷⁹⁶ Albrecht Randelzhofer, in Bruno Simma (ed), *The Charter of the United Nations: A Commentary*, vol. I, (Oxford University Press 2002), მუხლი 51, para 42; Gray, *Use of Force* (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 54), at 150.

⁷⁹⁷ 2009 წლის 7 აგვისტოს, შუადამეზე ცოტა ხნით ადრე გაკეთებული განცხადება საქართველოს ტელევიზიით.

⁷⁹⁸ იხ.: რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული სხვა ქმედებების მომკვლევო დროებითი (Ad hoc) საპარლამენტო კომისია (www.parliament.ge).

სოფლებში ბრძოლის შესაწყვეტად.

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საჰაერო და სახმელეთო თავდასხმა ცხინვალზე პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, არ იყო პროპორციული და ამიტომ ძალის გამოყენება საქართველოს მიერ ვერ იქნება გამართლებული, როგორც თავდაცვა.

IV. დასკვნები: საქართველოს მიერ თავდაცვა არ ყოფილა გამოყენებული და ის გასცდა ადგილზე რეაგირებას

იმის გათვალისწინებით, რომ თავდასხმები ქართულ სოფლებზე, პოლიციაზე და სამშვიდობოებზე ხორციელდებოდა სამხრეთ ოსეთის მილიციის მიერ, თავდაცვა ადგილზე რეაგირების სახით ქართული ჯარის მიერ აუცილებელი და პროპორციული იყო და ამრიგად, გამართლებული საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.

მეორე მხრივ, შეტევა, რომელიც დაიწყო 7 აგვისტოს, იმ შემთხვევაშიც კი თუ ის მიჩნეულია აუცილებლად, არ იყო ერთადერთი დასაშვები მიზნის – სამხრეთ ოსეთიდან მომიმდინარე თავდასხმების წინააღმდეგ თავდაცვის პროპორციული.

B. საქართველოს მიერ ძალის გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ

I. ფაქტები: სამხედრო ოპერაციები რუსეთის სამშვიდობო ძალების, არარეგულარული სამხედრო ფორმირებების და რეგულარული სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ

საქართველოს არ გამოუყენებია ძალა რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთის ტერიტორიაზე. მან ძალა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყენა. შეიარაღებული კონფლიქტის დასაწყისისთვის გაუგებარი იყო, საქართველოს ჯარები დაესხნენ თუ არა თავს რუსეთის სამშვიდობო ძალებს. 8 აგვისტოს, უშიშროების საბჭოს სხდომაზე, საქართველოს წარმომადგენელმა განაცხადა: „სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველოს ჯარები არ ებრძვიან სამშვიდობო ჯარებს. მსურს ხაზი გავუსვა, რომ მთავრობის მოქმედებები განხორციელდა თავდაცვისთვის, მრავალი შეიარაღებული პროვოკაციების შემდეგ და მათი ერთადერთი მიზანი სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა იყო.“ „ჩვენ არ ვესროდით სამშვიდობო ძალებს. ჩვენ ვესროდით დაქირავებულ სამხედროებს, რუსეთის ფედერაციიდან... [ჩ]ვენ მიზანში არ ვიღებდით სამშვიდობო ძალებს.“⁷⁹⁹ საპირისპიროდ, რუსეთის წარმომადგენელმა განაცხადა, იმავე სხდომაზე „ტანკების, სამხედრო-საბრძოლო მანქანების და ვერტმფრენების ცეცხლი მიმართულია პირდაპირ სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ.“⁸⁰⁰

⁷⁹⁹ საქართველოს წარმომადგენლის განცხადებები უშიშროების საბჭოს დებატებზე, 2008 წ. 8 აგვისტოსთან დაკავშირებით, 16.20. (UN-Doc. S/PV.5952), გვ 3 და 10.

⁸⁰⁰ რუსეთის წარმომადგენლის განცხადებები უშიშროების საბჭოს დებატებზე, 2008 წ. 8 აგვისტოსთან დაკავშირებით, 16.20 p.m. (UNDoc. S/PV.5952), გვ. 4.

IIFMCG-თვის განკუთვნილ განცხადებებში, კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარე აღნიშნავდა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები სროლაში თავიდანვე მონაწილეობდნენ. თუმცა, რუსეთი აცხადებდა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებს თავს დაესხნენ და მათ მხოლოდ ცეცხლს უპასუხეს.⁸⁰¹ საქართველო, საპირისპიროდ, ამტკიცებდა, რომ პირველად სროლა რუსეთის სამშვიდობო ძალებმა დაიწყო, ხოლო ქართველმა სამხედროებმა მხოლოდ საპასუხოდ გახსნეს ცეცხლი.⁸⁰² წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას, საქართველოს მიერ რუსეთის სამშვიდობო ძალებზე თავდასხმის საკამათო საკითხი ჯერ კიდევ, ღიად რჩება.

უფრო მეტიც, სადაო არ არის ის, რომ ბრძოლაში მონაწილეობდნენ არარეგულარული სამხედრო ფორმირებები სამხრეთ რუსეთიდან და ჩრდილო კავკასიიდან.⁸⁰³ რუსეთის სამშვიდობო ძალების და ჩრდილოეთ კავკასიის არარეგულარული სამხედრო ფორმირებების მონაწილეობა საკმაოდ მარგინალური იყო, თუმცა, მნიშვნელოვანია, რამდენადაც ეს დაკავშირებულია შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებასთან. მიუხედავად ამისა, სამხედრო კონფლიქტის ძირითადი ნაწილი რუსეთის და საქართველოს რეგულარულ სამხედრო ნაწილებს შორის ხდებოდა.⁸⁰⁴

II. საქართველოს მიერ ძალის გამოყენების იურიდიული კვალიფიკაცია, გაერო-ს წესდების მე-2(4) მუხლის თვალსაზრისით

იურიდიული თვალსაზრისით, საკითხი, იყო თუ არა საქართველოს სამხედრო მოქმედებები რუსეთის ჯარების საწინააღმდეგოდ „ძალის გამოყენება,“ წესდების მე-2(4) მუხლის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ ძალის გამოყენების აკრძალვა შეიძლება ასევე გამოყენებული იქნას ქვეყნის საკუთარ ტერიტორიაზე და განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ ის მიმართულია სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უმძიმესი ქმედებები, რომლებიც აღწერილია #3314 რეზოლუციაში, როგორც „აგრესია,“ შეიძლება წარმოადგენდეს „შეიარაღებულ თავდასხმას,“ წესდების 51-ე მუხლით და ასევე, „ძალის გამოყენებას,“ მე-2(4) მუხლის თვალსაზრისით. რეზოლუციაში აღნიშნულია „სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა მიწაზე, ზღვაზე თუ საჰაერო ძალების წინააღმდეგ, ან სხვა სახელმწიფოს

⁸⁰¹ „პასუხები IIFMCG-ის მიერ კავკასიაში 2008 წ. აგვისტოს კონფლიქტის სამხედრო ასპექტების შესახებ დასმულ კითხვებზე,“ არაა გვერდებზე დაყოფილი (წარუდგინეს კომისიას 2009 წ. 8 ივლისს).

⁸⁰² Cf. დოკუმენტი „რუსეთის ფედერაციის ძირითადი საომარი მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ, 2004-2007 წწ. პერიოდში, გვ 14: „დაახლოებით, 06:00 საათზე, ...MIA-ს სპეციალურ ძალებს ცეცხლი გაუხსნეს სნაიპერებმა და მძიმე შეიარაღებიდან, მასიურ ჯავშანმანქანებზე, რუსეთის სამშვიდობო ძალების შტაბბინის „ვერხნი გოროდოკის“ მხრიდან, რომელიც ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს მდებარეობს და ისინი იძულებული გახდნენ საპასუხო ცეცხლი გაეხსნათა და ასევე, მოეთხოვათ ტანკების მხარდაჭერა.“

⁸⁰³ იხ.: თავი 5, 2008 წლის სამხედრო მოვლენები.

⁸⁰⁴ იქვე.

საზღვაო და საჰაერო ფლოტების წინააღმდეგ,“ მე-3 მუხლის (d) ქვეპუნქტში. ამდენად, ის a fortiori წარმოადგენს ძალის გამოყენებას, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო კანონმდებლობით.

III. დასაბუთება: თავდაცვა საქართველოს მხრიდან?

საქართველოს მიერ რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ძალის გამოყენება შეიძლება გამართლებული ყოფილიყო თავდაცვის კვალიფიკაციით. საქართველოს მხრიდან თავდაცვის გამოყენება ნებადართული იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო რეაგირებას მოახდენდა რუსეთის შეიარაღებულ თავდასხმაზე. უნდა გაანალიზდეს შემდეგი სცენარები: ჯერ ერთი, შეიძლება ადგილი ჰქონოდა რუსეთის მიმდინარე თავდასხმას ან მის საფრთხეს, რომლის თავიდან აცილებასაც ცდილობდნენ ქართველი სამხედროები. მეორე, რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენება სოჭის ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც „შეიარაღებული თავდასხმა,“ გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად. მესამე, იგივე შეიძლება მომხდარიყო რუსეთის მხრიდან სამხრეთ ოსეთის მილიციის, ჩრდილოეთ კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის არარეგულარული სამხედრო ფორმირებების მხარდაჭერისთვის, რომლებიც კონფლიქტში 2008 წლის 8 აგვისტომდეც მონაწილეობდნენ.

1. რუსეთის მხრიდან შეიარაღებული თავდასხმის საჭიროება

a) რუსეთის ჯარების შესვლა საქართველოში არ იყო წინასწარი შეიარაღებული თავდასხმა

საქართველოს სამხედრო რეაგირების მართლზომიერებისთვის ადგილი უნდა ჰქონოდა რუსეთის სავარაუდო შეიარაღებულ თავდასხმას, საქართველოს რეაგირებამდე. ინფორმაციაში, რომელიც საქართველოს მხარემ გადასცა ფაქტების შემსწავლელ კომისიას, მითითებული იყო, რომ რუსეთის ჯარები ქვეყანაში 2008 წ. 7 აგვისტოს თავდასხმამდე შემოიჭრნენ.⁸⁰⁵

როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრა სერიოზული აგრესიაა, 3314 რეზოლუციის 3(a) მუხლის შესაბამისად, ამდენად, შეიძლება ასევე, წარმოადგენდეს „შეიარაღებულ თავდასხმას,“ გაერო-ს წესდების 51-ე მუხლით.

თუმცა, საქართველოს მოსაზრება, რომ რუსეთის ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდნენ როკის გვირაბით, საქართველოს საჰაერო და სახმელეთო თავდასხმამდე, 2008 წლის 7 აგვისტოს, 11:35 (23:35) საათზე, კომისიამ ვერ დაადასტურა. რუსეთის ჯარების საქართველოს მიწაზე უფრო მოგვიანებით შემოსვლის ნებისმიერი ფაქტი,

⁸⁰⁵ ძალის გამოყენების საკითხები, რომლებიც გამომდინარეობს 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის ინვაზიიდან გვ. 25

იურიდიულად, არ წარმოადგენს წინასწარ სამხედრო თავდასხმას, რაც გაამართლებდა საქართველოს მოქმედებებს, როგორც თავდაცვას. ეს დასკვნა ასახავს ინფორმაციას, რომელიც კომისიისთვის ხელმისაწვდომი გახდა 2009 წლის აგვისტოში. გამორიცხული არაა, ახალმა მტკიცებულებებმა უჩვენოს, რომ რუსეთის ჯარები უკვე შემოსული იყო საქართველოს ტერიტორიაზე, ამ მომენტისთვის.

ბ) შესაძლო მოსამზადებელი ქმედებები რუსეთის მხრიდან, არ წარმოადგენდა შეიარაღებული თავდასხმის საფრთხეს

თუმცა, რუსეთის ძალების საქართველოში შემოსვლა არ წარმოადგენდა მხოლოდ შეიარაღებულ თავდასხმას საქართველოზე, არამედ, ასევე ამ ოპერაციების მომზადებასაც. გაერო-ს წესდების 51-ე მუხლი არ იძლევა რაიმე მითითებებს, სანამ შეიარაღებული თავდასხმა ფაქტობრივად არ დაიწყება მეორე სახელმწიფოს მიერ. დებულების ფორმულირება, თავდაცვასთან მიმართებაში ასეთია: „თუ თავდასხმა მოხდება.“ ამდენად, გაურკვეველია, დასაშვებია თუ არა თავდაცვა, მომავალი თავდასხმის საწინააღმდეგოდ. ამდენად, არსებობს შეთანხმება, რომ გადამწყვეტ კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს საფრთხის ობიექტური რეალობა და არა უბრალოდ წინასწარ დაშვებული შეიარაღებული თავდასხმის საფრთხე. ამ საფუძველზე, შეიძლება განისაზღვროს ორი სიტუაცია: პირველი, ობიექტურად ვერიფიცირებადი, კონკრეტულად დაგეგმილი თავდასხმა. ამ ტიპის მნიშვნელოვანი მაგალითია ჯარების კონცენტრაცია სახელმწიფო საზღვარზე. მეორე სიტუაციაა, როდესაც არ არის ობიექტურად ვერიფიცირებადი დაგეგმილი თავდასხმა, მაგრამ პოტენციური ან აბსტრაქტული საფრთხის არსებობა, რომელიც დაგეგმილი თავდასხმის ექვივალენტურია, სახელმწიფოს სუბიექტური აზრით, რომელიც საფრთხეს გრძნობს (მაგალითად, მასობრივი განადგურების იარაღის აკუმულირება).

ძირითადად, შეთანხმებულია, ავტორებს შორის და სახელმწიფო პრაქტიკაში, რომ „თავდაცვა“ ნავარაუდევია და აბსტრაქტული საფრთხისგან ნებადართული არაა საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით (არც 51-ე მუხლის და არც პარალელური ჩვეულებითი სამართლით).⁸⁰⁶ ამის მიზეზი ის არის, რომ ასეთი ტიპის თავდაცვა

⁸⁰⁶ Cf. ICI, საქმე, რომელიც შეეხება შეიარაღებულ მოქმედებებს კონგოს ტერიტორიაზე (შენიშვნა 50), აბზაცი 148. 2002 წლამდე, ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევა იყო ისრაელის თავდასხმა ერაყის ბირთვულ რეაქტორზე, 1982 წელს. თავდაცვის ეს აქტი, სავარაუდო და აბსტრაქტული საფრთხისგან, ერთხმად და გადაჭრით დაგმეს უშიშროების საბჭოს 487 (1981) რეზოლუციაში, როგორც „გაეროს წესდების აშკარა დარღვევა.“ 2002 წელს, შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების სტრატეგია პროპაგანდას უწევდა ფართომასშტაბიან „თავდაცვას,“ მათ შორის, რეაგირებას, აბსტრაქტულ და სავარაუდო საშიშროებაზე. (რეპრინტი HRLJ 24 (2003), 135 et seq. თავი). თუმცა, თუთქმის ყველა სახელმწიფომ უარყი განაცხადა ამ სტრატეგიის, როგორც საერთაშორისო სამართლის ასახვის ან განვიტარების მიღებაზე (იხ.: მითითება სახელმწიფო პრაქტიკაზე, ენ პიტერსი „საერთაშორისო სამართლის ზრდა გლობალიზაციას და დიდ ძალაუფლებას შორის“ საერთაშორისო და ევროპის სამართლის ავსტრიული მიმოხილვა 8 (2003), 109-140, გვ. 125-26). გაეროს გენერალურმა მდივანმა დაგმო

სახელმწიფოს მიერ საკუთარი შეხედულებებისამებრ მის გამოყენებამდე მიდის. ეს შეუთავსებელია გაერო-ს წესდების ამოცანებსა და მიზნებთან, რომელიც ცდილობს მინიმუმამდე შეამციროს ძალის ცალმხრივი გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობებში.⁸⁰⁷ სახელმწიფო პრაქტიკაში, 2002 წლის შემდეგაც კი, ჩვეულებითი სამართალი არ განვითარებულა იმგვარად, რომ გაეთვალისწინებინა თავდაცვის უფლება, რომელიც ასევე გავრცელდებოდა სავარაუდო ან აბსტრაქტულ საფთხეზე.⁸⁰⁸ სიუზან გრეის მიხედვით, სახელმწიფოები ამჯობინებენ ფართოდ განსაზღვრონ შეიარაღებული თავდასხმა, მომავალი თავდასხმებისგან თავდაცვის ღიად აღიარებას.⁸⁰⁹

საპირისპირპოდ, არ არსებობს კონსენსუსი, არის თუ არა ნებადართული თავდაცვა კონკრეტული მოახლოებული თავდასხმის საპასუხოდ.⁸¹⁰ ამ კონტექსტში, ზოგიერთი ავტორი მიუთითებს არსებულ სამართლებრივ ნორმაზე, ე.წ. კაროლინის ინციდენტზე დაყრდნობით. აქ კონფლიქტში მონაწილე მხარეები სამხედრო რეაგირებას გამართლებულად მიიჩნევენ, როდესაც არსებობს „იმის აუცილებლობა, რომ თავდაცვა იყოს მყისიერი, ძლიერი, რომელიც აღარ ტოვებს საშუალებების არჩევანის საშუალებას და არ არის ფიქრის დრო.“⁸¹¹ თუმცა, ბევრი ავტორი უარყოფს ამ მიდგომას, რომელიც მეცხრამეტე საუკუნით თარიღდება.

წინამდებარე ანგარიშში არ არის იმის აუცილებლობა, რომ განისაზღვროს, რამდენად მისაღებია კონკრეტული და ობიექტურად ვერიფიცირებადი დაგეგმილი თავდასხმისგან თავდაცვა, რამდენადაც არ არსებობს საკმარისი მტიცებულებები, რუსეთის მხრიდან დაგეგმილი თავდასხმის დასადასტურებლად.

არსებობდა აბსტრაქტული საფრთხის ნიშნები, რაც რუსეთს შეიძლება განეხორციელებინა, ძალის გამოყენების მრავალჯერადი მუქარის ფარგლებში,⁸¹² მაგრამ არა მოახლოებული თავდასხმის კონკრეტული საფრთხე. 7-8 აგვისტოს ღამით,

უპირატესი უფლების შესახებ დოქტრინა. გაეროს გენერალურმა მდივანმა მიმართა გენერალურ ასამბლეას 2003 წ. 23 სექტემბერს (<http://www.un.org/webcast/ga/58/statements/sgeng030923.htm>). იხ, სავარაუდო საშიშროების წინააღმდეგ „უპირატესი უფლებების“ უკანონობის მიმოხილვა, ანტონიო კასეზე, საერთაშორისო სამართალი (7 გამოცემა Oxford OUP 2008), გვ. 733-34.

⁸⁰⁷ რანდელ ჟოფერი, მუხლი 51 (შენიშვნა 87), აზნაცი 39, მითითებებით ლიტერატურაზე.

⁸⁰⁸ 2002 მნიშვნელოვანია, შეერთებული შტატების ახალი ეროვნული უშიშროების სტრატეგიის მიღების გამო, იხ.: შენიშვნა 98. ბროუნლის მიხედვით, საერთაშორისო სამართლის პრინციპები (შენიშვნა 98), გვ. 734, სახელმწიფოების პრაქტიკა, 1945 წლის შემდეგ, საზოგადოდ, ეწინააღმდეგება „თავდაცვას“ სავარაუდო და აბსტრაქტული საფრთხისგან.

⁸⁰⁹ გრეი. ძალის გამოყენება (იხ.: შენიშვნა 54), გვ. 161.

⁸¹⁰ იხ.: მითითებები სამეცნიერო დისკუსიებზე, კოლბი, *Ius contra bellum* (შენიშვნა 30), გვ. 278-79.

⁸¹¹ ვებსტერი, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი - ბრიტანეთის წარმომადგენელს, ლორდ ეშბორნს 1842 წ. 6 აგვისტო, ჯ.ბ. მური, საერთაშორისო სამართლის მიმოხილვა ტომი II, გვ. 412 (1906). დამტკიცებულია საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ (ნიურნბერგი), განაჩენი, 1946 წ. 1 ოქტომბერი, 41 *AJIL* 172, გვ. 205 (1947). ეს მოსაზრება ფართოდაა გავრცელებული ძველ საერთაშორისო იურიდიულ ლიტერატურაში.

⁸¹² ძალის გამოყენების საფრთხესთან დაკავშირებით იხ.: ზემოთ.

კონფლიქტის მხარეებს შორის დამაბულობის და ასევე, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს საზღვართან, როკის გვირაბის ჩრდილოეთით, განლაგებული იყო რუსული ჯარები, რომლებსაც თავი მოუყარეს „კავკაზ 2008“ წვრთნისთვის, ვერ დადასტურდა, რომ ისინი საქართველოზე თავდასხმას აპირებდნენ. კომისიამ ასევე ვერ დაადასტურა „რუსეთის ჯარების ფართომასშტაბიანი შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე,“ უკვე 2008 წლის 7 აგვისტოს დილით.⁸¹³ თუმცა, არსებობს სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ჯარების გარდა, რუსეთის სამხედრო ნაწილების ყოფნის აშკარა ნიშნები, 8 აგვისტოს 14:30 საათამდე.⁸¹⁴ როგორც ზემოთ აღინიშნა, მომავალი თავდასხმის საწინააღმდეგოდ თავდაცვასთან დაკავშირებით უფრო რბილი პოზიციაც კი, არ ითვალისწინებს, რომ აბსტრაქტული საფრთხით შეიძლება გამართლდეს სამხედრო რეაგირება, როგორც თავდაცვა.⁸¹⁵ ასეთი რეაგირება, ნებისმიერ შემთხვევაში, არაა ნებადართული საერთაშორისო სამართლით, იმ მოსაზრებების მიუხედავად, რომლებიც შეიძლება არსებობდეს თუ რამდენად მისაღებია კონკრეტული დაგეგმილი საფრთხისგან თავდაცვა.

დასკვნის სახით, რუსეთის შემოჭრა არ მომხდარა საქართველოს ოპერაციამდე და ამიტომ არ წარმოადგენდა შეიარაღებული თავდასხმას 51-ე მუხლის თვალსაზრისით. მხოლოდ საქართველოს მოლოდინი, რომ რუსეთი, შესაძლოა, გეგმავდეს შეჭრას, არ ამართლებს საქართველოს თავდაცვას.

2. რუსეთის მიერ ძალთა განლაგების შესახებ ხელშეკრულებების დარღვევა - „შეიარაღებული თავდასხმა?“

გარდა საქართველოში ფიზიკური შეჭრისა, რუსეთის სხვა ქმედება შესაძლოა, წარმოადგენდა შეიარაღებულ თავდასხმას საქართველოზე. საქართველოს არაერთხელ გამოუთქვამს უკმაყოფილება რუსეთის მიერ, „მცოცავ ანექსიაზე“ გამოყოფილ რეგიონებში, სხვა საშუალებებს შორის რუსეთის ძალების განლაგების შესახებ ხელშეკრულებების დარღვევის კონტექსტში. კითხვა იმაში მდგომარეობს, შეიძლება თუ არა ასეთი სახის დარღვევა წარმოადგენდეს შეიარაღებულ თავდასხმას, რომელიც შეიძლება იყოს საქართველოს თავდაცვის შესაბამისი გამომწვევი მოვლენა.

გაეროს #3314-ე რეზოლუციის მე-3(e) მუხლის შესაბამისად, შემდეგი სცენარი ითვლება „აგრესიის აქტად:“ „ერთი სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენება, რომლებიც მიმღები სახელმწიფოს თანხმობით არიან მეორე სახელმწიფოს

⁸¹³ Cf. დოკუმენტი „ძალის გამოყენების საკითხები, რომლებიც 2008 წ. საქართველოში რუსეთის ფედერაციის ინვაზიიდან გამომდინარეობს.“ გვ. 24.

⁸¹⁴ იხ.: თავი 5, 2008 წლის სამხედრო მოვლენები.

⁸¹⁵ ისეთი ავტორებიც კი, როგორცაა Yoram Dinstein, რომლებიც ემხრობიან თავდაცვის კეთილშობილურ ინტერპრეტაციას, ხაზს უსვამენ, რომ განსხვავება რეალურ და მოსალოდნელ შეიარაღებულ შეტევას შორის უდიდესია (Dinstein, *War* (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 55), at 191). ამ თვალთახედვიდანაც კი, „თავდაცვა არ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ვარაუდის, მოლოდინის ან შიშის გამო.“ (იქვე).

ტერიტორიაზე, ხელშეკრულებაში მოცემული პირობების დარღვევით, ან მათი ყოფნის გაგრძელებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ.“ თავდაცვისთვის გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის წინაპირობაა „შეიარაღებული თავდასხმა“, „აგრესიის აქტი“ არ იქნება საკმარისი (იხ. ზემოთ). ასე რომ პირველი შეკითხვაა - წარმოადგენს თუ არა ძალთა განლაგების ხელშეკრულების დარღვევა „შეიარაღებულ თავდასხმას.“ მეორე, უნდა განისაზღვროს, გამოიყენა თუ არა რუსეთმა თავისი სამშვიდობოები სოჭის შეთანხმების და კონფლიქტის მხარეების შემდგომი შეთანხმებების საწინააღმდეგოდ.

როგორც ზემოთ იყო განმარტებული მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მოახდინა „აგრესიის განსაზღვრების“ ზოგიერთი ნაწილის განმარტება ჩვეულებითი სამართლის ჭრილში; პრეცედენტული სამართალი და სამეცნიერო ლიტერატურა ასევე განიხილავს აგრესიის სერიოზულ აქტებს, როგორც „შეიარაღებულ თავდასხმებს“ გაეროს წესდების 51-ე მუხლის თვალსაზრისით. მაგრამ ეს არ ეხება რეზოლუციის მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ყველა ალტერნატივას. იურიდიულ მეცნიერებაში, მე-3(ე) მუხლში აგრესიის განსაზღვრება შეზღუდულადაა გაგებული. ეს ნიშნავს, რომ ძალთა განლაგების შეთანხმებების მცირე დარღვევები არ არის საკმარისი „შეიარაღებული თავდასხმის“ ზღვარის მისაღწევად. ხელშეკრულების დარღვევას უნდა ჰქონდეს შეჭრის ან ოკუპაციის ეფექტი, რათა გაუტოლდეს შეიარაღებულ თავდასხმას.⁸¹⁶

რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნას სამხრეთ ოსეთში ხელშეკრულების საფუძველზე შეეძლო გამოეწვია „შეიარაღებული თავდასხმა“ თუ სამშვიდობოები იმოქმედებდნენ ზუსტი მანდატის წინააღმდეგ, თუ (ბევრად) მეტ ჯარისკაცს განალაგებდნენ, ვიდრე ნებადართული იყო ხელშეკრულების მიხედვით, ან თუ სამშვიდობო ძალებს ბოროტად გამოიყენებდნენ კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის გადაიარაღებისათვის.

მისიას არა აქვს მტკიცებულება, რომ რუსი სამშვიდობოები მოქმედებდნენ პირდაპირ თავიანთი მანდატის წინააღმდეგ, მაგალითად, უშუალოდ თავს ესხმოდნენ ქართველ სამშვიდობოებს, ქართულ პოლიციას ან ქართულ სოფლებს. ასეთი შეტევები უფრო ინიცირებული იყო სამხრეთ ოსეთის მილიციის მიერ.

არ არსებობს მტკიცებულება, რომ რუსი სამშვიდობოების რაოდენობა, რომლებიც იმყოფებოდნენ სამხრეთ ოსეთში, დაშვებულზე მაღალი იყო. სოჭის სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში, შერეული საკონტროლო კომისიის №1 გადაწყვეტილებით, თითოეულ მხარეს (რუსეთი, საქართველო და ოსეთი) უფლება ჰქონდა რეზერვში ჰყოლოდა 300 ჯარისკაცი.⁸¹⁷ აქედან გამომდინარე, სოჭის შეთანხმება ფარავდა პირველ რუსულ კონტინგენტს (300). თუმცა, ნებისმიერი ამგვარი განლაგება შერეული საკონტროლო კომისიის მიერ წინასწარ უნდა ყოფილიყო ნებადართული. უფრო მეტიც,

⁸¹⁶ Randelzhofer, მუხლი 51 (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 87), პუნქტი 28.

⁸¹⁷ JCC 1992 წლის 4 ივლისის #1 გადაწყვეტილების მუხლი 2.

პერსონალის ჩანაცვლება უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ დღისით 7:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე.⁸¹⁸ მიუხედავად იმისა, რომ დამატებით განლაგებაზე შეტყობინების და შერეული საკონტროლო კომისიის თანხმობის არქონა შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც უბრალო პროცედურული ხარვეზი, რომელიც არ იწვევს დამატებითი ძალების ყოფნის უკანონობას, მანამ სანამ ისინი მოცულია შეთანხმების ძალით. საიდუმლო განლაგებები, თუ მათ ადგილი ჰქონდა, არ წარმოადგენს სოჭის შეთანხმების კეთილსინდისიერად განხორციელებას.

ცხადია, ხელშეკრულებების შეზღუდვების მიუხედავად, პოლიტიკურ ასპარეზზე დამაბულობის ზრდასთან ერთად, კონფლიქტის ყველა მხარემ დაიწყო თავისი სამხედრო შესაძლებლობების გაზრდა. და მაინც, პირდაპირ არ ყოფილა ნაჩვენები, რომ სამშვიდობოები უშუალოდ იყვნენ ჩართული ამ ქმედებებში.

მისიის დასკვნების საფუძველზე, აქედან გამომდინარე, არ ყოფილა შეიარაღებული თავდასხმა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალთა განლაგების შესახებ ხელშეკრულების მასობრივი დარღვევის ფორმით.

3. შესაძლებელია თუ არა შეიარაღებული ფორმირებების და მილიციის მხარდაჭერა (განსაკუთრებით, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთიდან) ფორმულირებული იქნას როგორც „შეიარაღებული თავდასხმა“ რუსეთის მხრიდან?

და ბოლოს, გაანალიზებულ უნდა იქნეს, შეიძლება თუ არა ჩრდილოეთ კავკასიის არარეგულარული ფორმირებების და სამხრეთ ოსეთის მილიციის სამხედრო მოქმედება ძირითადად ეთნიკური ქართველებით დასახლებულ სოფლებში (იხ. ქვემოთ სამხრეთ ოსეთის მილიციის საქმიანობის შესახებ) მიეწეროს რუსეთს. ამ შემთხვევაში, ეს სამხედრო მოქმედებები შემდგომ შექმნიდა თავად რუსეთის შეიარაღებულ თავდასხმას, რომელიც იქნება სავარაუდოდ, გამოიწვევდა საქართველოს მიერ თავდაცვას.

a) ფაქტობრივი განცხადებები მხარეების მიერ

ქართული მხარე აცხადებს, რომ არარეგულარული ფორმირებები ჩრდილოეთ კავკასიიდან და სამხრეთ რუსეთიდან განლაგებული იყვნენ სამხრეთ ოსეთში, საქართველოს საჰაერო და სახმელეთო თავდასხმის დაწყებამდე.⁸¹⁹ გარდა ამისა, საქართველო გამუდმებით ამტკიცებდა, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება და შეიარაღებული ძალები რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოებისა და თავდაცვის

⁸¹⁸ იხ.: JCC დანართი #1, ოქმი #38, 2004 წლის 30 სექტემბრი – 2 ოქტომბრის შეხვედრა, გადაწყვეტილება JCC ცეცხლის შეწყვეტის, უკანონო შეიარაღებული ქვედანაყოფების გაყვანისა და კონფლიქტის ზონაში შემდგომი სტაბილიზაციის ზომების შესახებ, ადრე მიღებული გადაწყვეტილებების დანერგვის პროგრესის შესახებ. http://rrc.ge/admn/url12subpirx.php?idstruc=89&idcat=6&lng_3=en

⁸¹⁹ Cf. „ძალის გამოყენების საკითხები, რუსეთის ფედერაციის საქართველოში შეჭრიდან გამომდინარე, 2008 წლის აგვისტო,“ გვ. 23 და შემდგომ.

უწყებების კონტროლისა და ხელმძღვანელობის ქვეშ იყვნენ.⁸²⁰ საქართველოს განცხადებით, „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან მას შემდეგ, რაც საქართველომ დაკარგა კონტროლი ამ რეგიონებზე 1990 წლის საომარი მოქმედებების შემდეგ.“⁸²¹

ამის საპირისპიროდ, რუსეთი აცხადებდა, რომ „რუსეთის ფედერაცია არ ახორციელებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის vis-a-vis ეფექტურ კონტროლს... სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებები ან შეიარაღებული ჯგუფები და პირები არ მიეკუთვნება რუსეთის ფედერაციას“.⁸²² ფაქტების დამდგენი მისიისთვის წარდგენილ პასუხებში რუსეთი აცხადებდა: „შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამხედრო ოპერაციის მსვლელობაში იყო გარკვეული ხარისხის ურთიერთქმედება რუსეთის, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებს შორის. იგი გაჩნდა, როგორც ჩვენ გვესმის, ad-hoc, კონფლიქტის განვითარებასთან ერთად.“⁸²³ რუსეთი ასევე ამტკიცებდა, რომ „რუსეთის ფედერაცია არც ამჟამად, არც მომავალში, არ განახორციელებს ეფექტურ კონტროლს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში“ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი „არ იყო საოკუპაციო ძალა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, რომ მას არასოდეს აუღია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის არსებული ხელისუფლების

⁸²⁰ იხ.: ICJ, *საქმე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ)*, მოთხოვნა გარდამავალი ღონისძიებების მითითებასთან დაკავშირებით, 2008 წლის 15 ოქტ. ბრძანება, პუნქტი 3: „საქართველო აცხადებს, რომ „რუსეთის ფედერაციას, მოქმედებს რა მისი ორგანოების, აგენტების, ფიზიკური და იურიდიული პირების მეშვეობით, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ძალაუფლების ელემენტებს და მისი ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ მყოფი სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სეპარატისტული ძალების მეშვეობით... განზრახული აქვს უზრუნველყოს საფუძველი უკანონო პრეტენზიისთვის საქართველოს დამოუკიდებლობაზე სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის *de facto* სეპარატისტული ხელისუფლების მიერ.“ *იქვე*, პუნქტი 13: „საქართველო ამტკიცებს, რომ „სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის *de facto* სეპარატისტული ხელისუფლება სარგებლობს რუსეთის უპრეცედენტო და მასშტაბური მხარდაჭერით დისკრიმინაციული პოლიტიკის განსახორციელებლად.“ აგრეთვე, იხ.: *იქვე*, პუნქტები 20, 22, 33a,b. აგრეთვე, იხ.: უშიშროების საბჭოს დებატებში საქართველოს წარმომადგენლის განცხადება 2008 წლის 8 აგვისტო, 1.15 სთ. (UN-Doc. S/PV.5951), გვ. 4.

⁸²¹ ICJ, *საქმე რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ* (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 112, პუნქტი 92. პუნქტი გრძელდება: „საქართველო ამტკიცებს, რომ რუსეთის შეჭრა და დამატებითი სამხედრო ძალების განლაგება აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში 2008 წლის აგვისტოში ემსახურებოდა მხოლოდ მისი ამ რეგიონებზე ეფექტური კონტროლის შემდგომ განმტკიცებას.“ *იქვე*, პუნქტი 44: საქართველო ამტკიცებს, რომ „რუსეთის ფედერაციამ განამტკიცა მისი „ეფექტური კონტროლი“ ოკუპირებულ „საქართველოს რეგიონებზე სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე, ისევე, როგორც მიმდებარე ტერიტორიებზე, რომლებიც მდებარეობს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“ და, აქედან გამომდინარე, „სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი და შესაბამისი მიმდებარე რეგიონები ხვდება რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში.“ *იქვე*, პუნქტი 55. საქართველო აცხადებს, რომ რუსეთი ახორციელებს მნიშვნელოვან კონტროლს საქართველოს მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ასევე აკონტროლებს სეპარატისტულ რეჟიმებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.“ ასევე, იხ.: *იქვე*, პუნქტები 34b, 34c, 42, 43.

⁸²² ICJ, *საქმე რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ* (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 112), პუნქტი 83.

⁸²³ მოტანილია რუსეთის დოკუმენტში „პასუხები IIFMCG შეკითხვებზე კავასიაში 2008 წლის აგვისტოში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით (სამართლებრივი ასპექტები).“

როლი, რომლებსაც ასეთად აღიარებდა თავად საქართველო, რომელიც ყოველთვის ინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას და ასევე განაგრძობს. (...) რუსეთის ყოფნა, შეზღუდულ სამშვიდობო ოპერაციებში მისი მონაწილეებისგან განცალკევებით, შეზღუდული იყო დროში და მხოლოდ რამდენიმე კვირა გრძელდება.”⁸²⁴

b) სამართლებრივი მოთხოვნა: „გაგზავნა“ და „ეფექტური კონტროლი“

ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის სამხედრო ოპერაციები მიეწერება რუსეთს თუ ისინი გაგზავნილ იყვნენ რუსეთის მიერ და თუ ისინი რუსეთის ეფექტური კონტროლის ქვეშ იყვნენ. ეს გამომდინარეობს გაეროს #3314 რეზოლუციის მე-3 (გ) მუხლიდან, სადაც წერია: „სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით შეიარაღებული ბანდფორმირებების, ჯგუფების ან არარეგულარული ფორმირებების (რომლებიც ახორციელებენ სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ისეთი სიმძიმის შეიარაღებულ ქმედებას, რომელიც შეესაბამება ზემოჩამოთვლილ აქტებს) გაგზავნა ან მისი არსებითი ჩართვა ამაში.“ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიხედვით, ეს ქმედებები წარმოადგენს არა მხოლოდ „აგრესიის აქტს,“ არამედ „შეიარაღებულ თავდასხმას,“ რომელიც თავდაცვას მართლზომიერს ხდის.⁸²⁵

კონტრასტულად, მხოლოდ იარაღის მიწოდება და ლოგისტიკური მხარდაჭერა არ არის არსებითი ჩართვა კერძო ჯგუფების გაგზავნაში და შეიძლება, სასამართლოს მიხედვით, არ განიხილებოდეს, როგორც შეიარაღებული თავდასხმა.⁸²⁶

რუსეთის შესაძლო საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის და ასევე, სამხრეთ ოსეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან სხვა მოხალისეების მიერ ძალის გამოყენების თვალსაზრისით, რუსეთის შეიარაღებული თავდასხმა შესაძლოა ორნაირად განიხილებოდეს. პირველი, სხვა აქტორები შეიძლება იყვნენ რუსეთის დე-ფაქტო ორგანოები 4 ILCს მუხლის თვალსაზრისით.⁸²⁷ პირველი მიმართულების მიხედვით, მოხალისე მებრძოლები შეიძლება გაიგივებული იყვნენ რუსეთის ორგანოებთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოქმედებდნენ რუსეთზე „სრული დამოკიდებულებით,“ რომლის მხოლოდ ინსტრუმენტი იყვნენ.⁸²⁸

⁸²⁴ რუსეთის ფედერაციის წარდგინება, მოტანილია ICJ-ზე, *საქმე რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ* (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 112), პუნქტი 74.

⁸²⁵ *Nicaragua (Merits)* (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 7), პუნქტი 195.

⁸²⁶ იქვე.

⁸²⁷ მუხლი 4 ILC: „სახელმწიფო ორგანოების ქცევა: 1. რაიმე სახელმწიფო ორგანოს ქცევა ჩაითვლება ამ სახელმწიფოს ქმედებად საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, თუ ეს ორგანო ასრულებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სამართლებრივ, თუ რაიმე სხვა ფუნქციას, მიუხედავად იმისა, თუ რა პოზიცია უჭირავს სახელმწიფო ორგანიზაციაში და თუ რა ბუნებისაა – ცენტრალური მთავრობის ორგანო თუ სახელმწიფოს ტერიტორიული ერთეული. 2. ორგანო მოიცავს რაიმე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც ეს სტატუსი აქვს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.“

⁸²⁸ *ICJ, საქმე გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილების და დასჯის შესახებ კონვენციის გამოყენების შესახებ*

მეორე, სამხრეთ ოსეთის მხრიდან ან სხვა განხორციელებული ქმედებები მიეკუთვნება რუსეთს, თუ ისინი იყო „ფაქტობრივად, ამ სახელმწიფოს ინსტრუქციებით, ან ხელმძღვანელობით ან კონტროლით მოქმედება“ (მუხლი 8 ILC). მეორე მიმართულების მიხედვით, მოხალისეების ქმედებები მიეწერებოდა რუსეთს, აგრეთვე, თუ ისინი მოქმედებდნენ რუსეთის კონტროლის ქვეშ. კანონში, რომელიც მართავს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას და სავარაუდოდ ასევე შეიარაღებული თავდასხმისთვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, კონტროლი ნიშნავს „ეფექტურ კონტროლს“.⁸²⁹ ეს მოითხოვს „რეალურ კავშირს ქმედების განმაცორიელებელ პირს ან ჯგუფებს და სახელმწიფო აპარატს შორის.“ სახელმწიფოსთვის მიწერა არ არის შესაძლებელი, როდესაც საექვო ქცევა „მხოლოდ შემთხვევით ან პერიფერიულად არის ასოცირებული ოპერაციასთან და რომელიც გამოვიდა სახელმწიფოს კონტროლიდან ან მიმართულებიდან.“⁸³⁰ პრეცედენტულ სამართალში აქამდე არ გაწერილა ის, თუ რა იგულისხმება ამ კონკრეტულ შემთხვევებში. ორი მოწინავე საქმის მიხედვით, დადგინდა მხოლოდ ის, რომ ეფექტური კონტროლი არ ხორციელდებოდა, და არ მომხდარა იმის განსაზღვრა, თუ როდის დაწესდებოდა ეფექტური კონტროლი. სასამართლომ მხოლოდ დაადგინა, რომ ეფექტური კონტროლი უნდა იყოს დამოწმებული თითოეული და ყოველი კონკრეტული ქმედებისთვის: აუცილებელია, რომ „სახელმწიფო დავალებები გადაეცათ თითოეულ ოპერაციასთან დაკავშირებით, რომელშიც მოხდა სავარაუდო დარღვევები, არა ზოგადად, პირების ან პირთა ჯგუფების, საერთო ქმედებების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს დარღვევები“ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით.⁸³¹ მხოლოდ „გავლენა, ვიდრე კონტროლი“ მოქმედ პირებზე არაა საკმარისი.⁸³²

(ბოსნია და ჰერცეგოვინა სერბიისა და მონტენეგროს წინააღმდეგ), ICJ მოხსენებები 2007წ, 91, პუნქტი 392: „ფიზიკური პირები, პირთა ჯგუფები ან იურიდიული პირები შეიძლება, საერთაშორისო პასუხისმგებლობის მიზნებიდან გამომდინარე, გაუტოლდნენ სახელმწიფო ორგანოებს, მაშინაც კი, თუ ეს სტატუსი არ მომდინარეობს საერთაშორისო სამართლიდან, იმ პირობით, რომ ფაქტობრივად, ფიზიკური პირები, პირთა ჯგუფები ან იურიდიული პირები მოქმედებენ „სრულიად დამოკიდებულად“ სახელმწიფოზე, საბოლოოდ, რომლის უბრალოდ ინსტრუმენტს წარმოადგენენ.“

⁸²⁹ ICJ, *ნიკარაგუა (Merits)*, (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 7), პუნქტი 115; ICJ, *გენოციდი ბოსნია* (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 120), პუნქტები 396-407. *ნიკარაგუას* საქმე, ICJ მოითხოვა „ეფექტური კონტროლი“ სახელმწიფოს მიერ არა სახელმწიფო შეიარაღებულ ჯგუფებზე, როგორც წინაპირობა მათი ქმედებების მისაწერად „გამგზავნი“ სახელმწიფოსთვის საერთაშორისო პასუხისმგებლობის დასადგენად ამ სახელმწიფოსთვის ადამიანის უფლებების დარღვევის და სერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევისთვის (*იქვე*, პუნქტი 115). თუმცა, ICJ-ს მკაფიოდ არ დაუდგენია, რომ ეს ასევე, იქნება წინაპირობა ამ ჯგუფების მიერ ჩადენილი აქტების კვალიფიკაციისთვის, როგორც შეიარაღებული შეტევა „გამგზავნი“ სახელმწიფოს მიერ.

⁸³⁰ ILC მოხსენება მისი 53-ე სესიის მუშაობის შესახებ, Yearbook of the International Law Commission, 2001, ტომი II, ნაწილი მეორე, გვ. 47.

⁸³¹ ICJ, *გენოციდი ბოსნია* (ზემოთ მოტანილი შენიშვნა 120), პუნქტი 400.

⁸³² Cf. *იქვე*, პუნქტი 412.

ე) პრინციპების მისადადგება შემთხვევაზე

როგორც დეტალურად იყო განმარტებული მე-2 თავში „სამართლებრივი საკითხების შესახებ“, უკვე შეიარაღებულ კონფლიქტის დაწყებამდე რუსეთის ოფიციალურ პირებს ჰქონდათ *დე-ფაქტო* კონტროლი სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების ინსტიტუტებსა და უსაფრთხოების ძალებზე. *დე-ფაქტო* თავდაცვის, შინაგან საქმეთა და სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციათა სამინისტროები, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახური და პრეზიდენტის ადმინისტრაცია მნიშვნელოვანწილად იყო დაკომპლექტებული რუსეთის წარმომადგენლებით ან რუსი ეროვნების სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებით და ადრე მუშაობდნენ ანალოგიურ პოზიციებზე ცენტრალურ რუსეთში ან ჩრდილოეთ ოსეთში. მიუხედავად ამისა, ყველა ის უშიშროების თანამშრომელი ფორმალურად ექვემდებარებოდა *დე-ფაქტო* სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის.

თითქმის ექვსგარეშეა, რომ არარეგულარული ფორმირებები ჩრდილოეთ კავკასიიდან და სამხრეთ რუსეთიდან სამხრეთ ოსეთში იმყოფებოდნენ და ჩაერთნენ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ. თუმცა, ნაჩვენები არ ყოფილა, რომ მათ შეიარაღებული თავდასხმები ქართულ სოფლებზე ქართველთა შეტევამდე განხორციელდა, და არ ყოფილა ნაჩვენები, რომ რუსეთი მათ აკონტროლებდა.

ფაქტების დამდგენ მისიას არა აქვს ინფორმაცია შიდა ბრძანებების შესახებ, რომლებიც გაცემული იყო სამხრეთ ოსეთის მიერ ქართულ სოფლებზე სამშვიდობოებზე და პოლიციაზე თავდასხმებამდე. როგორც ჩანს, სროლები, რომელსაც ადგილი ჰქონდა 7 აგვისტომდე, საკმაოდ სპონტანური ქმედებები იყო, სადაც გაურკვეველი იყო, თუ ვინ მოახდინა ვისი პროვოცირება. მისიამ ვერ განსაზღვრა, თუ რა მასშტაბით ჰქონდა რუსეთს ეფექტური კონტროლი სამხრეთ ოსეთზე, სამხრეთ ოსეთის შემდგომი შეიარაღებული შეტევის რუსეთისთვის მისაწერად.

დ) დასკვნები: ჩრდილოეთ კავკასიის ან სამხრეთ ოსეთის ქმედებაზე რუსეთს ბრალეულობა არ აქვს

რუსეთის შეიარაღებული თავდასხმისა წინაპირობები ჩრდილოეთ კავკასიის და სხვა მებრძოლების „გაგზავნის“ საფუძველზე 3314 რეზოლუციის მე-3 (გ) მუხლის არსი არ სრულდება.⁸³³

არ ჩანს, რომ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული თავდასხმა საქართველოზე შეიძლება მიეწეროს რუსეთს სამხრეთ ოსეთის მილიციის ნებისმიერი სხვა ტიპის „ეფექტური კონტროლის“ მეშვეობით. თუმცა, რუსეთს რომც ჰქონოდა ეფექტური კონტროლი

⁸³³ სამხრეთ ოსეთის მილიციის შემთხვევაში, არ შეიძლება იმის განცხადება, რომ ისინი „გაგზავნილ“ იქნენ რუსეთის მიერ. აქედან გამომდინარე, ამ კონტესტშიც არ შეიძლება მე-3(გ) მუხლის გამოყენება.

სამხრეთ ოსეთის ძალებზე, საქართველოს მიერ თავდაცვა ნებადართული იქნებოდა მხოლოდ ზემოთ აღწერილი შეზღუდვების ფარგლებში.

IV. დასკვნები: არანაირი თავდაცვა არ ყოფილა გამოყენებული მანამ სანამ რუსეთის სამხედრო მოქმედები საქართველოზე გავრცელდებოდა

საქართველოს სამხედრო ოპერაცია ცხინვალში 2008 წლის 7/8 აგვისტოს ვერ იქნება გამართლებული, როგორც თავდაცვა. არ არსებობდა აშკარა დასტური მიმდინარე ან გარდაუვალი რუსეთის შეიარაღებული თავდასხმისა, საქართველოს წინააღმდეგ, როდესაც საქართველომ დაიწყო სამხედრო ძალის გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა გამოიყენა ძალა საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდა. თავდაცვა რუსეთის სავარაუდო თავდასხმის წინააღმდეგ არ იყო ნებადართული. რუსეთის მიერ საქართველოსა და რუსეთს შორის ძალების განლაგების შესახებ ხელშეკრულებების მცირე დარღვევები არ წარმოადგენდა შეიარაღებულ თავდასხმას, რომელიც გამართლებდა საქართველოს თავდაცვას. სამხრეთ ოსეთის სამხედრო ოპერაციები არ შეიძლება მიეწეროს რუსეთს როგორც რუსეთის შეიარაღებული თავდასხმა. მხოლოდ მოგვიანებით, როდესაც რუსეთის ფართო სამხედრო მოქმედება შეაღწია საქართველოში და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით მიმდინარეობდა (იხ. ქვემოთ ნაწილი 4), საქართველოს შეიარაღებული ძალები მოქმედებდნენ ლეგიტიმური თავდაცვისთვის გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად.

ნაწილი 3. სამხრეთ ოსეთის მიერ ძალის გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ

სამხრეთ ოსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენების შეფასება საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შეფასების საწინააღმდეგო მხარეს წარმოადგენს. ამიტომ, დეტალური ანალიზი აუცილებელი არ არის. საკმარისია ძირითადი მიგნებების შეჯამება.

I. ფაქტები

როგორც ზემოთ არის განმარტებული, შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე სამხრეთ ოსეთის მილიცია მონაწილეობდა სროლებში საქართველოს სოფლების, პოლიციისა და სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ. საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ საჰაერო და სახმელეთო შეტევის შემდეგ, სამხრეთ ოსეთის მილიცია სავარაუდოდ ცდილობდა საკუთარი პოზიციების დაცვას.

II. სამართლებრივი კვალიფიკაცია. ძალის გამოყენება თავდაცვის მიზნით, მაგრამ ნაწილობრივ გამართლებული

იმდენად, რამდენადაც სამხრეთ ოსეთის მილიციამ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე დაიწყო სროლა ქართული სოფლების, პოლიციისა და სამშვიდობოების

მიმართულებით, სამხრეთ ოსეთმა დაარღვია ძალის გამოყენების აკრძალვა, რომელიც ვრცელდებოდა კონფლიქტზე.

სამხრეთ ოსეთის მიერ ძალის თავდაცვის მიზნით გამოყენების მართლზომიერება დადგებოდა მხოლოდ სამხრეთ ოსეთზე საქართველოს შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში. თუმცა, შეუძლებელია თავდაცვის გამოყენება მაშინ როდესაც მეორე მხარე იყენებს თავდაცვას.⁸³⁴ იმდენად, რამდენადაც ადგილზე საქართველოს რეაგირება სამხრეთ ოსეთის ადრინდელ შეიარაღებულ თავდასხმებზე აუცილებელი და პროპორციული იყო, ამიტომ ის გამართლებული იყო როგორც თავდაცვა (იხ. ზემოთ), რის გამოც სამხრეთ ოსეთის მიერ თავდაცვის არგუმენტის გამოყენება იმთავითვე გამორიცხულია. თუმცა, როგორც ზემოთ იქნა განმარტებული, საქართველოს სამხედრო ოპერაციები უფრო ფართო მასშტაბით არ იყო აუცილებელი ან პროპორციული სამხრეთ ოსეთის თავდასხმების მოსაგერიებლად და ამიტომ ის არ იყო მართლზომიერი. ამან კი გზა გაუხსნა სამხრეთ ოსეთის მოქმედებას როგორც პოტენციურ თავდაცვას.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სამხედრო ოპერაციას ცხინვალში და მის ირგვლივ არსებულ სოფლებში, რომელიც 2008 წლის 7 აგვისტოს 23.35 სთ-ზე დაიწყო, გააჩნდა მნიშვნელოვანი მასშტაბები და შედეგები (მონაწილე ჯარისკაცების რაოდენობის,⁸³⁵ გამოყენებული შეიარაღების⁸³⁶ და მისგან მომდინარე მსხვერპლისა და შენობათა განადგურების მიხედვით⁸³⁷) იგი კვალიფიცირდება როგორც „შეიარაღებული თავდასხმა.“ ამიტომ, პრინციპში, სამხრეთ ოსეთს შეეძლო ძალის გამოყენება ამ შეტევისგან თავის დასაცავად. სამხრეთ ოსეთის სამხედრო ოპერაციები 2008 წლის 12 აგვისტომდე შეიძლება მივიჩნიოთ როგორც აუცილებელი და პროპორციული და ამიტომ ის გამართლებულია, როგორც თავდაცვა.

2008 წლის 12 აგვისტოს შემდეგ, სამხრეთ ოსეთის მიერ ძალის თავდაცვის მიზნით გამოყენება გაუმართლებელია, რადგან საქართველოს მხრიდან შეტევა აღარ გრძელდებოდა. გაფორმებული იყო ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ამ დროისთვის საქართველოს ჯარმა უკან დაიხია სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან. ამგვარად, ძალის გამოყენება უკანონო იყო „ლეგიტიმური ომის“ (ius ad bellum) თვალსაზრისით. „ომის კანონის“ (ius in bello) საკითხები გაანალიზებული იქნება მე-7 თავში „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და კანონი ადამიანის უფლებების შესახებ.“

⁸³⁴ დინშტეინი, ომი (ზემოთ, შენიშვნა 55), გვ. 268.

⁸³⁵ დაახლოებითი გამოთვლებით, პირველ შეტევებში მონაწილე დანაყოფების საერთო სიმძლავრე შეადგენდა დაახლოებით, 10 000-11 000 ჯარისკაცი, 400 მძიმე ჯავშანტექნიკა და საარტილერიო სისტემა და რამდენიმე ასეული ბორბლიანი სატრანსპორტო საშუალება.

⁸³⁶ ქვეითი ჯარი, არტილერია და საჰაერო დარტყმები.

⁸³⁷ პირველ შეტევაში მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

ნაწილი 4. ძალის გამოყენება რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ

I. ფაქტები

რუსეთი კონფლიქტში რამდენიმე ფორმით იყო ჩართული. პირველი, რუსი სამშვიდობო ძალები, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ სამხრეთ ოსეთში სოჭის შეთანხმების საფუძველზე, მონაწილეობდნენ ცხინვალის ბრძოლაში. მეორე, რუსეთის რეგულარული საჯარისო დანაყოფები იბრძოდნენ სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთსა და საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში. მესამე, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოეთ კავკასიის არარეგულარულმა ფორმირებებმა. და ბოლოს, რუსეთი მრავალი სახით უჭერდა მხარს აფხაზურ და ოსურ ძალებს, განსაკუთრებით, წვრთნით, შეიარაღებით, აღჭურვილობით, დაფინანსებით და სხვ.

II. კონფლიქტში რუსეთის მონაწილეობის სამართლებრივი კვალიფიკაცია

გაეროს წესდების მე-2 (4) მუხლით და პარალელური ჩვეულებითი სამართლით, რუსეთის ჯარის სამხედრო ოპერაციები საქართველოს ტერიტორიაზე (სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ჩათვლით) 2008 წლის აგვისტოში, როგორც აღწერილია „2008 წლის საომარი მოქმედებების“⁸³⁸ მე-5 თავში, წარმოადგენენ ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართლებრივი აკრძალვის დარღვევას. ძირითადი სამართლებრივი საკითხია, შეიძლება თუ არა ამ მოქმედებების გამართლება სამართლებრივად აღიარებული გამონაკლისის სახით.

III. თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენების არავითარი გამართლება

1. რუსეთის თავდაცვა საქართველოს მიერ რუსულ სამშვიდობო ძალებზე თავდასხმისგან

რუსეთის ფედერაციამ თავისი სამხედრო ძალების გამოიყენების პრინციპულ მიზეზად და გამართლებად დაასახელა, ის, რომ საჭირო იყო თავდაცვა რუს სამშვიდობოებზე საქართველოს თავდასხმის გამო.⁸³⁹

ვინაიდან „არ არსებობს თავდაცვა თავდაცვის წინააღმდეგ,⁸⁴⁰ პრინციპულად, რუსეთს შეეძლო თავდაცვის არგუმენტად მოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს თავდასხმა რუსეთის სამხედრო ბაზაზე, თავის მხრივ, არ იქნებოდა გამართლებული როგორც რუსეთისგან თავდაცვის აქტი. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ოპერაცია არ იქნა გამართლებული, როგორც თავდაცვა.

ა) რუსეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარე ბაზები, როგორც შეიარაღებული თავდასხმის ობიექტები

⁸³⁸ რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანოებს. ამგვარად, მათი ქმედებები მიეკუთვნება რუსეთის სახელმწიფოს და შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის სამართლებრივი პასუხისმგებლობა (ILC-ის დებულებების მე-4 მუხლი).

⁸³⁹ იხ.: რუსეთის პასუხები IFFMCG-ის კითხვარებზე სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით.

⁸⁴⁰ დინშტეინი, ომი (ზემოთ შენიშვნა 55), გვ. 268, ასევე, იხ.: იქვე, გვ. 178.

იმისათვის, რათა რუსეთის მოქმედება შეფასებული ყოფილიყო როგორც თავდაცვა, საჭირო იყო საქართველოს მხრიდან წინასწარი შეიარაღებული თავდასხმა. როგორც ზემოთ აღინიშნა, გენერალური ასამბლეის დადგენილება „აგრესიის განმარტება“ (3314 (XXIX) (1974 წლის) შეიძლება გამოყენებული იქნას გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის პირობებით, ტერმინის „შეიარაღებული თავდასხმა“ ფარგლების დასადგენად. ასევე, განმარტებისთვის დადგენილების მე-3 (დ) მუხლის თანახმად, „სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა სხვა სახელმწიფოს სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო ძალებზე, საზღვაო ან საჰაერო ფლოტზე“ „კვალიფიცირებულ უნდა იქნას, როგორც აგრესიის აქტი.“ დადგენილებაში არ არის ნათქვამი, თუ სად უნდა იყოს განლაგებული დაზარალებული სახელმწიფოს სახმელეთო ძალები, რომ ჩაითვალოს შეიარაღებული თავდასხმის ობიექტად. შეუძლებელია ტექსტის ვიწრო ინტერპრეტაცია, რათა გამოირიცხოს დაზარალებული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ განლაგებული სამხედრო ბაზები, რადგან ამ დებულების სისტემური ინტერპრეტაცია გვიჩვენებს, რომ ამ დებულების ობიექტს წარმოადგენს სწორედ სახელმწიფოს გარეთ არსებული სახმელეთო ძალები. სახელმწიფოს შიგნით არსებულ სახმელეთო ძალებთან მიმართებაში დადგენილების მე-3 (დ) მუხლის დებულება გადაჭარბებული იქნებოდა, რადგან ძალები საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკვე დაცულნი არიან უცხოურ ტერიტორიაზე თავდასხმის აკრძალვის ზოგადი წესით. მე-3 (დ) მუხლის ეს ინტერპრეტაცია დადასტურებულია პრეცედენტულ სამართალსა და მეცნიერებაში.⁸⁴¹ საზღვარგარეთ მდებარე დაცული სახმელეთო ძალები მოიცავს თავდამსხმელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად განლაგებულ დანაყოფებს. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ შეიარაღებული თავდასხმის ობიექტს.⁸⁴²

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ძალების მიერ საქართველოში განლაგებულ რუს სამშვიდობოებზე თავდასხმა - თუ არა თავდაცვა რუსეთის თავდასხმისგან (რაც როგორც ზემოთ იყო განხილული, არ არსებობდა) - უტოლდება თავდასხმას რუსეთის ტერიტორიაზე, რომელმაც შეიძლება აამოქმედოს რუსეთის თავდაცვის უფლება. თუმცა, როგორც აღინიშნა, რუსი სამშვიდობოების ბაზაზე საქართველოს თავდასხმის ფაქტი გარკვევით ვერ დასტურდება მისიის მიერ.

ბ) რუსული სამხედრო ინსტალაციების კანონიერება

საქართველოს თავდასხმა რუსულ სამხედრო ბაზებზე არ იქნებოდა შეიარაღებული თავდასხმა, რომელსაც შეეძლო გამოეწვია თავდაცვა რუსეთის მხრიდან, იმ შემთხვევაში თუ რუსული სამხედრო ძალები უკანონოდ იქნებოდნენ განლაგებული საქართველოს ტერიტორიაზე. მხოლოდ ძალა, გამოყენებული იმ სამხედრო ინსტალაციების წინააღმდეგ, „რომლებიც კანონიერად არის განლაგებული [თავდამსხმელის] ტერიტორიაზე... შეიძლება წარმოადგენდეს შეიარაღებულ თავდასხმას.“⁸⁴³

⁸⁴¹ რანდელზჰოფერი, მუხლი 51-ე შენიშვნა 87, პ. 24; კორტენი, *Le droit contre la guerre* შენიშვნა 6, გვ. 614-615; კოლბი, *Ius contra bellum*, შენიშვნა 30, გვ. 241.

⁸⁴² დინშტეინი, ომი, შენიშვნა 55, გვ. 197 და 200; კორტენი, *Le droit contre la guerre* შენიშვნა 6, გვ. 614 fn. 21.

⁸⁴³ დინშტეინი, ომი, შენიშვნა 55, გვ. 197 (ხაზგასმა დამატებულია).

რუსეთის საჯარისო დანაყოფების არსებობას სამხრეთ ოსეთში საფუძველად ხელშეკრულება აქვს. 1992 წლის 26 ივნისის სოჭის ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის ითვალისწინებდა „ერთობლივი ძალების კოორდინაციას მხარეების მიერ... საკონტროლო კომისიის ქვეშ.“⁸⁴⁴ საქართველოს არ შეუძლია მტკიცება, რომ ეს იყო „უთანასწორო შეთანხმება“ და ამიტომ, ძალადაკარგული. უთანასწორო ხელშეკრულებების დოქტრინა არ არის აღიარებული საერთაშორისო სამართალში და ამ საფუძველზე ⁸⁴⁵ საქართველომ სოჭის ხელშეკრულების დენონსირება მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ მოახდინა. ამგვარად, რუსი სამშვიდობოების ყოფნა კანონიერი იყო. ადგილი არ ჰქონია უკანონო განლაგებას, რომელსაც შეიძლებოდა გამოერიცხა, რომ დანაყოფები შესაძლებელია ყოფილიყო შესაფერისი ობიექტი შეიარაღებული თავდასხმისთვის, რომელიც შესაძლოა, თავდაცვას საჭიროებდა.

გ) სამშვიდობო ძალების ბაზები, როგორც შეიარაღებული თავდასხმის ობიექტები

შემთხვევა, რომლის შესწავლაც მიმდინარეობს, განსაკუთრებულია, რადგან სამხედრო ბაზები, რომლებზეც განხორციელდა შეტევა საქართველოს ძალების მიერ, წარმოადგენდნენ არა (რუსული) სახელმწიფო ინტერესებით განთავსებულ რუსულ ბაზებს, არამედ სამშვიდობო ძალების საერთაშორისო ბაზას. თავდასხმა რუსული სამშვიდობოების ბაზაზე შეიძლება არ იყოს შეიარაღებული თავდასხმა გაერო–ს წესდების 51-ე მუხლით, რადგან სამშვიდობოები არ წარმოადგენდნენ რეგულარულ რუსულ საჯარისო დანაყოფებს და მათზე თავდასხმა შეიძლებოდა კონკრეტულად, არ ყოფილიყო მიმართული რუსეთზე, როგორც სახელმწიფოზე.

ამგვარად, კითხვა იმაში მდგომარეობს, იყო თუ არა შესაფერისი ობიექტი სამშვიდობოთა ბაზა, რაც განაპირობებდა რუსეთის თავდაცვას, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ მკაფიოდ არ იყო გამოხატული საქართველოს კონკრეტული განზრახვა, რომ სამიზნეს წარმოადგენდა რუსეთი, როგორც სახელმწიფო. ასეთ სიტუაციაში არ არის სავსებით ნათელი, რომ საქართველოს სამხედრო მოქმედება ბაზის წინააღმდეგ მიმართული იყო კონკრეტულად რუსეთის წინააღმდეგ, რაც იქნებოდა მისი რუსეთზე შეიარაღებულ თავდასხმად კვალიფიცირების წინაპირობა.⁸⁴⁶ იმ ქვეყნის მიზანში ამოღების კონკრეტული განზრახვის მოთხოვნა, რომელიც ამტკიცებს, რომ თავს იცავდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ხსენებული თავდასხმა ხდება, როგორც ამ შემთხვევაში, ორ სხვა მხარეს - კერძოდ, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის სამხედრო კონფლიქტში.⁸⁴⁷

⁸⁴⁴ სოჭის ხელშეკრულების მე-3 (3) მუხლი.

⁸⁴⁵ ენ პეტერსი, „უთანასწორო შეთანხმებები“, რუდიგერ ვოლფრუმთან (რედაქტორი), მაქს პლანკის საერთაშორისო საზოგადოებრივი სამართლის ენციკლოპედია (ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2008 წ.) www.mpepil.com (ონ-ლაინ მონაცემთა ბაზა).

⁸⁴⁶ შეად. საერთაშორისო სასამართლო (ICJ), ნავთობის პლატფორმები, შენიშვნა 62, პ. 64; გრეი, ძალის გამოყენება, შენიშვნა 54, გვ. 145

⁸⁴⁷ შესასწავლი შემთხვევა ამ მხრივ, საერთაშორისო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი ნავთობის პლატფორმების პარალელს წარმოადგენს. ის შემთხვევა ეხებოდა ომს ერაყსა და ირანს შორის. როგორც

აუცილებელია გაეროს წესდების 51-ე მუხლის ლოგიკური დასაბუთების განმარტება: სამხედრო ბაზები უცხოეთის ტერიტორიაზე თავსდება იმავე საფუძველზე, რაც დაზარალებული სახელმწიფოს ტერიტორიაზე და შესულია თავდაცვის ჩარჩოებში, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს (რომელსაც თავს დაესხნენ) და ამიტომ ისინი ასრულებენ ოფიციალურ სამთავრობო ფუნქციებს საზღვარგარეთ. განსაკუთრებით, უმთავრეს ფუნქციას - სამხედრო უსაფრთხოების დაცვას საზღვარგარეთ. ეს ნიშნავს, რომ რუსული ობიექტების ოფიციალური და სამხედრო ხასიათი უკიდურესად მნიშვნელოვანია მათი, როგორც შეიარაღებული თავდასხმის ობიექტის კვალიფიკაციისთვის გაეროს წესდების 51-ე მუხლის ფარგლებში.

თავდასხმას რუსულ კერძო საკუთრებაზე საქართველოში არ შეეძლო გამოეწვია თავდაცვა რუსეთის მხრიდან.⁸⁴⁸ სახელმწიფო პრაქტიკისა და დომინანტი დოქტრინის თანახმად, თავდასხმას რუს მოქალაქეებზე, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც კერძო პირები, არ შეიძლებოდა გამოეწვია თავდაცვა. თუმცა, ეს სამეცნიერო დებატის საგანს წარმოადგენს (იხ. ქვემოთ).

ამ ლოგიკური დასაბუთების ფონზე, შეიძლება კითხვის ქვეშ დადგეს – იყო თუ არა რუსული სამხედრო ბაზები საქართველოს მხრიდან, თავდასხმის შესაფერის ობიექტები 51-ე მუხლის თვალსაზრისით, რადგან ისინი წარმოადგენდნენ სამშვიდობო მანდატის ნაწილს სოჭის ხელშეკრულების თანახმად, და არა საკუთრივ რუსული ძალებს. იმაზე ვერ ვიკამათებთ, რომ ვინაიდან რუსული ძალები „ინტერნაციონალიზებული“ იყო და საერთაშორისო მანდატი გააჩნდა, ისინი არ წარმოადგენდნენ რუსეთს და არ ასრულებდნენ რუსეთის სამთავრობო ფუნქციებს. სამშვიდობო ბაზა იყო სათანადოდ (თუმცა, არატიპურად) მიჩნეული, როგორც ერთ-ერთი „სახელმწიფო ინსტრუმენტი, სამხედრო ხომალდი, თვითმფრინავი, საელჩო,“ რომელიც დაცულია 51-ე მუხლით.⁸⁴⁹ მიუხედავად იმისა, რომ ეს დანაყოფები არ იყვნენ „სახელმწიფოს რეგულარული ძალები,“ რომლებიც წარმოადგენენ „მისი [რუსეთის] პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაცვის ინსტრუმენტებს“ და ამიტომ ექცევიან 51-ე მუხლის ჩარჩოებში⁸⁵⁰ –

განახცხადეს, ირანის ძალები თავს დაესხნენ აშშ-ის სამხედრო გემს ყურეში და აშშ ამტკიცებდა რომ თავს იცავდა ირანისგან. აქ საერთაშორისო სასამართლომ მოახდინა მესამე მხარეზე (აშშ) თავდასხმის კონკრეტული განზრახვის მოთხოვნის ფორმულირება. სასამართლომ არ მიიღო აშშ-ის საჩივარი, რომ ირანმა სპეციალურად დაუმიზნა აშშ-ს და, რომ ნაღმები აშშ-ს გემების დაზიანების კონკრეტული განზრახვით იყო ჩადებული. საერთაშორისო სასამართლო, ნავთობის პლატფორმები, შენიშვნა 62, პ. 64.

⁸⁴⁸ იხ.: დინშტაინი, ომი (შენიშვნა 55), გვ. 200: „ძალადობრივი ღონისძიებების გატარება დაზარალებული სახელმწიფოს ნებისმიერი საჯარო (public) (სამხედრო ან სამოქალაქო) ინსტალაციის წინააღმდეგ, რომელიც სახელმწიფო ტერიტორიის გარეთ მდებარეობს, შეიძლება ასევე გაუტოლდეს შეიარაღებულ თავდასხმას“ (ხაზგასმა დამატებულია). შეად. ამ თვალსაზრისით, აგრეთვე, გრეი, ძალის გამოყენება (შენიშვნა 54), გვ. 145, რომელიც კომენტარს აკეთებს ნავთობის პლატფორმის შემთხვევასთან დაკავშირებით: არსებობს მნიშვნელოვანი ეჭვი, შეიძლებოდა თუ არა ყოფილიყო კომერციულ გემზე (სამხედრო გემის საპირისპიროდ) ერთეული თავდასხმა მიჩნეული შეიარაღებულ თავდასხმად. აშშ-ის საკუთრებაში მყოფ გემზე - აშშ-ის დროშიანი გემის საპირისპიროდ - თავდასხმა არ შეიძლებოდა გატოლებოდა სახელმწიფოზე თავდასხმას.

⁸⁴⁹ ოსკარ შახტერი, საერთაშორისო სამართალი თეორიასა და პრაქტიკაში (Dordrecht: Martinus Nijhoff Publishers 1999), გვ. 152 (ხაზგასმა დამატებულია).

⁸⁵⁰ რანდელზჰოფერი, მუხლი 51 (შენიშვნა 87), პ. 24 (ხაზგასმა დამატებულია).

საქართველოს მიერ სამშვიდობო ძალებზე თავდასხმა შეიძლება შეფასდეს რუსულ ტერიტორიაზე თავდასხმად, პარალელური სახით, შემდეგი მიზეზების გამო.

მართებულად არ მიგვაჩნია, რუსული ბაზა 51-ე მუხლის ჩარჩოებიდან გამოვრიცხოთ. აქ სამშვიდობო ოპერაცია არ წარმოადგენდა გაერო–ს ორგანოს, რომელიც გაერო–ს საერთო კონტროლის ქვეშ მოქმედებდა. სოჭის ხელშეკრულებით, უმაღლესი სახმედრო მეთაურობა ეკისრებოდა რუსეთს, რადგან ე.წ. „ერთობლივი“ ან „გაერთიანებული“ სამხედრო მეთაურობის სათავეში ყოველთვის რუსი მეთაური უნდა ყოფილიყო.⁸⁵¹ აგრეთვე, გათვალისწინებული იყო, რომ საერთაშორისო პასუხისმგებლობა სოჭის ხელშეკრულების შესაძლო დარღვევაზე დაეკისრებოდა თავად დანაყოფების გამომყოფ სახელმწიფოს.⁸⁵² შერეული ძალების მეთაური ყოველთვის რუსული მხრიდან უნდა ყოფილიყო და დანიშნულიყო შერეული საკონტროლო კომისიის მიერ, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს რეკომენდაციით.⁸⁵³

მეთაურის მოვალეობა იყო შერეული ძალების ოპერაციების კოორდინაცია და „ურთიერთშეთანხმებული ოპერაციების“ ორგანიზება მხარეთა უფროსი სამხედრო ხელმძღვანელების საშუალებით.⁸⁵⁴ მას ჰქონდა უფლება, მიეღო გადაწყვეტილება „პასუხისმგებლობის ზონაში შეიარაღებული კონფლიქტის წარმოქმნის საშიშროების

⁸⁵¹ JCC-ის (შერეული საკონტროლო კომისია) 1992 წლის 12 ივლისის სესიის მე-3 ოქმის დანართი 1, დებულება შერეული სამშვიდობო ძალების (JPKF) და კონფლიქტის ზონაში კანონისა და წესრიგის შემნარჩუნებელი ძალების (LOKPF) შესახებ; მუხლი 2: „გაერთიანებული ძალები უნდა დაემორჩილოს JCC-ის სამხედრო მეთაურობას.“ მუხლი 6: „გაერთიანებული ძალებმა, ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა იხელმძღვანელონ ამ დებულების მოთხოვნით, აგრეთვე JCC-ის და ერთობლივი სამხედრო მეთაურობის გადაწყვეტილებებით.“ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამხედრო კონტინგენტების სიტუაციის ნორმალიზაციისთვის განკუთვნილი სამხედრო დამკვირვებლების ჯგუფების ოპერაციების ძირითადი პრინციპების შესახებ, 1994 წლის 6 დეკემბრის რეგულაცია; მუხლი 2: „სამხედრო კონტინგენტები და სამხედრო დამკვირვებლები ექვემდებარებიან გაერთიანებულ სამხედრო ხელმძღვანელობას, რომელიც შედგება რუსული, ქართული და ოსური მხარეების წარმომადგენლებისგან. გაერთიანებულ სამხედრო მეთაურობას სათავეში უდგას მეთაური რუსეთის მხრიდან. ცეცხლის შეწყვეტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, სამხედრო კონტინგენტებისა და სამხედრო დამკვირვებლების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს JPKF-ის მეთაური მშვიდობის აღდგენის მიზნით; ხოლო JCC-ის გაეგზავნება შეტყობინება.“ მუხლი 6: „ყოველდღიურ საქმიანობაში, სამხედრო კონტინგენტები და სამხედრო დამკვირვებლები იხელმძღვანელებენ წინამდებარე გადაწყვეტილების, JCC-ის გადაწყვეტილებების მოთხოვნებით და გაერთიანებული სამხედრო მეთაურობის ბრძანებებითა და დირექტირებით.“ (ხაზგასმა დამატებულია).

http://rrc.ge/admn/url12subpirx.php?idstruc=89&idcat=6&lng_3=en.

⁸⁵² შერეული საკონტროლო კომისიის (JCC) 1992 წლის 6 ივლისის სხდომის ოქმი №2. http://rrc.ge/admn/url12subpirx.php?idstruc=89&idcat=6&lng_3=en.

⁸⁵³ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამხედრო კონტინგენტების სიტუაციის ნორმალიზაციისთვის განკუთვნილი სამხედრო დამკვირვებლების ჯგუფების ოპერაციების ძირითადი პრინციპების შესახებ 1994 წლის 6 დეკემბრის რეგულაცია, მუხლი 14: „(...) მშვიდობის შენარჩუნებისთვის გაერთიანებული ძალების მეთაურობა დაინიშნება JCC-ის მიერ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს რეკომენდაციით (...).“ http://rrc.ge/admn/url12subpirx.php?idstruc=89&idcat=6&lng_3=en.

⁸⁵⁴ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამხედრო კონტინგენტების სიტუაციის ნორმალიზაციისთვის განკუთვნილი სამხედრო დამკვირვებლების ჯგუფების ოპერაციების ძირითადი პრინციპების შესახებ 1994 წლის 6 დეკემბრის რეგულაციის დანართი №1, მუხლი 1, მუხლი 2. http://rrc.ge/admn/url12subpirx.php?idstruc=89&idcat=6&lng_3=en.

შემთხვევაში, ერთობლივი ძალების დანაყოფების ერთობლივი გამოყენების შესახებ.⁸⁵⁵ მეთაურს აგრეთვე, გააჩნია მოსამსახურეთა მიმართ დისციპლინური ზომების გატარების უფლება.⁸⁵⁶

მთელი ეს სამართლებრივი მოწყობა გვიჩვენებს, რომ შეიძლებოდა სამშვიდობო ძალთა მოქმედებების მიწერა შესაბამის სახელმწიფოებზე და რომ ამ ასპექტში სამშვიდობო ძალები ემსგავსებოდა „სახელმწიფო ინსტრუმენტებს“, რომლებიც სამართლებრივად შეიძლება წარმოადგენდეს „შეიარაღებული თავდასხმის“ ობიექტს გაეროს წესდების 51-ე მუხლის პირობებით.

დასკვნები: ასეთ გარემოებებში საქართველოს თავდასხმები რუსული სამშვიდობოების ბაზებზე უნდა გათანაბრებოდა თავდასხმას რუსულ ბაზაზე უცხო ქვეყანაში და ამგვარად, კონკრეტულად მიმართულს რუსეთის, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ წარმოადგენს საკმარის პირობას თავდაცვისთვის. მეტიც, როგორც აღინიშნა, საქართველოს თავდასხმა რუსი სამშვიდობოების ბაზებზე გარკვევით ვერ დადასტურდა მისიის მიერ.

დ) სამხედრო ოპერაციები მინიმალურ ზღვარს მიღმა

როგორც აღინიშნა, გაეროს წესდების 51-ე მუხლით, სამხედრო ოპერაციები წარმოადგენენ შეიარაღებულ თავდასხმას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სცდებიან მინიმალურ ზღვარს.

უშიშროების საბჭოს სხდომებზე, 2008 წლის 8 და 10 აგვისტოს, რუსეთის განცხადებების თანახმად, საქართველოს შეიარაღებული ძალების შეტევები განხორციელდა ტანკებით, სამხედრო საბრძოლო მანქანებით, ვერტმფრენებით და რუსული ხედვის შესაბამისად, „სამიზნედ იღებდა უშუალოდ სამშვიდობო ძალებს.“⁸⁵⁷ „საქართველოს სამხედრო მოქმედებები დაიწყო მაშინ, როდესაც მათ დაიწყეს შეტევის განხორციელება ჩვენს სამშვიდობო ძალებზე და იმ ბანაკების დაპყრობა, სადაც სამშვიდობოები ცხოვრობდნენ. ისინი უტევდნენ ტანკებით, თვითმფრინავებით და მძიმე არტილერიით. როგორც წევრებისთვის ცნობილია, ჩვენს მშვიდობისმყოფელებს შორის იყო დაღუპვის შემთხვევები და მსხვერპლი.“⁸⁵⁸ ფაქტების შემსწავლელი მისიისთვის წარდგენილ

⁸⁵⁵ იქვე, მუხლი 7.

⁸⁵⁶ იქვე, მუხლი 5.

⁸⁵⁷ რუსეთის წარმომადგენლის განცხადება 2008 წლის 8 აგვისტოს, 16:20 სთ. დებატებზე უშიშროების საბჭოში (გაეროს დოკ. S/PV .5952) გვ. 4. იმ დროს, რუსეთის წარმომადგენელმა განაცხადა: „ამის შედეგად დაიღუპა 10-ზე მეტი და დაშავდა 30-ზე მეტი მშვიდობისმყოფელი.“ ეს ციფრები მოგვიანებით შესწორდა.

⁸⁵⁸ რუსეთის წარმომადგენლის განცხადება 2008 წლის 8 აგვისტოს დებატებზე უშიშროების საბჭოში (გაეროს დოკ. S/PV .5953). რუსეთის წარმომადგენელმა განაცხადა: „პირველ დღეს დაიღუპა ჩვენი 12 მშვიდობისმყოფელი.“ ეს ციფრი მოგვიანებით შესწორდა.

მასალებში რუსეთმა პირველი მსხვერპლი აღწერა, როგორც „ორი მოკლული და ხუთი დაჭრილი მოსამსახურე.“⁸⁵⁹

დასკვნები: თუ რუსული განცხადებები მართალი და სწორია, საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ რუსეთის სამხედრო ბაზებზე შეტევა იქნებოდა მინიმალური ზღვრის გადაჭარბება მასშტაბებით და ზემოქმედებით, რომლებიც მოითხოვება „შეიარაღებული შეტევისთვის“ გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში, საქართველო ვერ გაამართლებდა ოპერაციებს სამშვიდობოების წინააღმდეგ, როგორც თავდაცვას, რომელიც საჭირო იყო რუსეთის მხრიდან მიმდინარე ან მოსალოდნელ შეტევაზე რეაგირებისთვის. ამგვარად, საქართველოს მხრიდან ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტევას 51-ე მუხლის თვალსაზრისით.⁸⁶⁰ ეს ნიშნავს, რომ შეიძლებოდა რუსეთის სამხედრო რეაგირების გამართლება, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აგრეთვე, დაკმაყოფილებული იყო თავდაცვასთან დაკავშირებული 51-ე მუხლის სხვა პირობები.

2. გაერო–ს უშიშროების საბჭოსთვის თავდაცვის თაობაზე შეტყობინების გაგზავნა

2008 წლის 11 აგვისტოს, რუსეთმა უშიშროების საბჭოს ფორმალურად, წერილით აცნობა (ხელს აწერდა ელჩი ვიტალი ჩურკინი), რომ „რუსეთის მხარეს არ გააჩნდა სხვა არჩევანი, გარდა გაეროს წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული თავდაცვის უფლების გამოყენებისა.“⁸⁶¹ წერილში ნათქვამი იყო, რომ რუსეთის მხრიდან ძალის გამოყენებას „არ ჰქონია სხვა მიზანი, თუ არა რუსეთის სამშვიდობო ძალების კონტინგენტისა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების დაცვა... და მათ წინააღმდეგ შემდგომი შეიარაღებული თავდასხმების პრევენცია.“ გაიგზავნა რა, რუსული სამხედრო ოპერაციების დაწყებიდან სამი დღის შემდეგ, ეს წერილი წარმოადგენდა „დაუყოვნებელ“ ანგარიშს გაეროს წესდების 51-ე მუხლის თვალსაზრისით და მიუთითებდა, რომ თავად რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ თავდაცვის მიზნით მოქმედებდა.

3. აუცილებლობა და პროპორციულობა

რუსეთის მოქმედებების თავდაცვის კანონიერ აქტად მიჩნევის მიზნით, რუსული სამხედრო რეაგირება მის სამხედრო ბაზაზე შეტევაზე უნდა ყოფილიყო აუცილებელი და პროპორციული.⁸⁶² არის თუ არა სამხედრო რეაგირება აუცილებელი და

⁸⁵⁹ „პასუხები სამხედრო ასპექტებთან დაკავშირებულ კითხვებზე, რომლებიც დასვა IIFMCG-მ კავკასიაში 2008 წლის აგვისტო განვითარებულ მოვლენებზე,“ გვერდები არ არის დანომრილი (წარდგენილია მისიისთვის 2009 წლის 8 ივლისს).

⁸⁶⁰ სასამართლოში, საქართველოს თავდასხმის დამტკიცების ვალდებულება დაეკისრებოდა რუსეთს (იხ.: ტექსტი, ზემოთ შენიშვნა 69)

⁸⁶¹ გაეროს დოკ. S/2008/545. იხ.: აგრეთვე, რუსეთის წარმომადგენლის განცხადება 2008 წლის 10 აგვისტოს დებატებზე უშიშროების საბჭოში (გაეროს დოკ. S/PV .5953), გვ. 9. ძალის გამოყენება მოხდება მხოლოდ წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, რათა რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყენებული იქნას თავდაცვის უფლება.“

⁸⁶² პროპორციულობასა და აუცილებლობასთან დაკავშირებით იხ.: მითითებები შენიშვნა 72.

პროპორციული გაეროს წესდების 51-ე მუხლით, დამოკიდებულია კონკრეტული შემთხვევის ფაქტებზე.

ა) საზღვარგარეთ განლაგებულ სამშვიდობო ძალებზე თავდასხმის სპეციფიკური გარემოებები

ამ შემთხვევის სპეციფიკურ პრობლემას წარმოადგენს, რომ რუსეთის მიერ თავდაცვა არ იყოს განპირობებული რუსეთის ტერიტორიის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმით, არამედ საზღვარგარეთ განლაგებულ რუს სამშვიდობოებზე ვითომდა, განხორციელებული თავდასხმით. საქართველოს შეტევას საფრთხე არ შეუქმნია არც რუსეთის, როგორც სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისთვის, არც რუსეთის საზღვრებში მცხოვრები რუსეთის მოსახლეობისთვის. თუმცა, როგორც ითქვა, მიუხედავად ამისა, საქართველოს მოქმედება სამშვიდობოების ბაზების მიმართ მაინც უნდა ჩაითვალოს შეიარაღებულ თავდასხმად, გაეროს წესდების 51-ე მუხლის მიხედვით. თუმცა, რუსეთის რეაგირების აუცილებლობისა და პროპორციულობის შეფასებისას, საჭიროა გარემოებების გათვალისწინება.

ამ კონტექსტში უნდა გვახსოვდეს, რომ სამშვიდობო ოპერაციები ძალიან სპეციფიკურია. ტრადიციული სამშვიდობო ოპერაციას ორი მახასიათებელი ნიშანი აქვს: იგი წამოწყებული უნდა იქნას და წარმოებდეს ყველა შესაბამისი სახელმწიფოს თანხმობით და მას უფლება არა აქვს, განახორციელოს სამხედრო ქმედება რომელიმე სახელმწიფოს მიმართ, გარდა სამშვიდობო ძალების დაცვისა.⁸⁶³ 1990-იან წლებში გაერო–ს ეგიდით, გაჩნდა მშვიდობის დაცვის უფრო „ძლიერი“ ტიპი. ასეთი, უფრო ძლიერი სამშვიდობო ოპერაციებისთვის ნებადართული იყო ძალის გამოყენება თავდაცვის მიღმა, კონკრეტული მანდატიდან გამომდინარე.

იორამ დინშტაინი განასხვავებს სამშვიდობო ოპერაციების თავდაცვის ორ ფორმას: „თავდაცვის კონკრეტული უფლება, რომელიც მიესადაგება სამშვიდობო ძალებს“ და „თავდაცვის ბევრად ფართომასშტაბიანი უფლება, რომლებიც გააჩნიათ სახელმწიფოებს.“ შემდგომ იგი ამტკიცებს, რომ „სამშვიდობო ძალის მიერ თავდაცვის უფლების გამოყენება უფრო ახლოსაა სამხედრო დანაყოფის მიერ თავდაცვასთან, ადგილზე რეაგირების კონტექსტში.“⁸⁶⁴

რუსეთის რეაგირება შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად: პირველი, რუსი სამშვიდობოების მყისიერი რეაგირება საქართველოს შეიარაღებული ძალების მხრიდან სროლაზე, და მეორე, საქართველოს ჯართან საბრძოლველად რუსეთის რეგულარული დანაყოფების შემოყვანა.

ეჭვგარეშეა, რომ რუს სამშვიდობოებს, თუ მათზე უშუალოდ მიიტანეს იერიში, ჰქონდათ დაუყოვნებელი რეაგირების უფლება. დაუყოვნებელი სამხედრო რეაგირება

⁸⁶³ დინშტაინი, ომი (შენიშვნა 55), გვ. 266, საერთაშორისო სასამართლოზე მითითებით, საკონსულტაციო დასკვნა გაეროს გარკვეული დანახარჯების თაობაზე (წესდების მუხლი 17, პუნქტი 2), საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები, 1962 წ., 170, გვ. 177.

⁸⁶⁴ დინშტაინი, ომი (შენიშვნა 55), გვ. 267.

ასეთი პირობით იყო აუცილებელი და პროპორციული. და მაინც, რჩება ეჭვები, თავდაპირველად განხორციელდა თუ არა თავდასხმა რუს სამშვიდობოებზე.

კიდევ უფრო რთულია იმის გადაწყვეტა, იყო თუ არა აუცილებელი და პროპორციული მთელი სამხედრო კამპანია საქართველოს წინააღმდეგ.

ბ) აუცილებლობა

როგორც ზემოთა არის განმარტებული, ⁸⁶⁵ აუცილებლობა ზოგ ავტორს ძალიან შეზღუდულად ესმის - სიტუაცია, სადაც გარდაუვალია ძალის გამოყენება შეიარაღებულ შეტევაზე რეაგირებისთვის, რადგან არ არსებობს სიტუაციის განმუხტვის ალტერნატიური საშუალება. ამ გადმოსახედიდან, რელევანტური იქნებოდა კითხვა - იქნებოდა თუ არა რუსი სამშვიდობოების გაყვანა მშვიდობიანი ალტერნატივა, რომელიც რუსეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენებას თავდაცვის სახელით (ან რომელსაც ისინი თავდაცვას უწოდებდნენ), გახდიდა არასაჭიროს და ამგვარად, უკანონოს. უფრო ფართო გაგებით, აუცილებელი ნიშნავს იმას, რაც უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია.

თუმცა, ამ შემთხვევის განსაკუთრებულ ასპექტია, რომ რუსეთს ვითომდა, თავს დაესხნენ, მაშინ როდესაც იგი მშვიდობისმყოფელის როლს ასრულებდა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რუსეთი ასრულებდა საერთაშორისო დავალებას, რუსეთისგან ასეთ სიტუაციაში მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო დახმარების თხოვნა. ეს ლოგიკური პოლიტიკური არჩევანი იქნებოდა. თუმცა, ეს ნაბიჯი არ წარმოადგენს მკაცრი წინაპირობას თავდაცვის დაშვებისთვის, „აუცილებლობის“ ფართო გაგებით.

გ) პროპორციულობა

როგორც ზემოთ ითქვა, რეაგირება პროპორციულია, თუ არსებობს ლოგიკური თანაფარდობა მიღებულ ზომებსა და მიზანს შორის; ერთადერთი დასაშვები მიზანი იყო შეიარაღებული შეტევის მოგერიება.

I) რეაგირების მიზანი

რეაგირების მიზანს უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ იერიშის შეწყვეტა და საფრთხის აღმოფხვრა და არ უნდა გასცდეს ამ საზღვრებს. ამგვარად, პროპორციულობის მოთხოვნა ასრულებს ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას, როგორც ბარიერი საპასუხო ან სადამსჯელო ქმედებებისგან, რომლებიც სანქციებს ან თავდამსხმელისთვის „გაკვეთილის ჩატარებას“ ითვალისწინებენ.

სხვა გასათვალისწინებელი ფაქტორები

სხვა ფაქტორები, რომლებიც გასათვალისწინებელია, არის შერჩეული სამიზნეები, საომარი მოქმედებების მასშტაბები, ზემოქმედება მესამე სახელმწიფოების უფლებებზე,

⁸⁶⁵ იხ.: ზემოთ ტექსტი შენიშვნებით 79-81.

მოწინააღმდეგის ძალთა დესტრუქციის დონე. დაბოლოს, სამიზნე სახელმწიფოს ტერიტორიის დაზიანება და ინფრასტრუქტურის და ზოგადად, გარემოს დაზიანება.

უფრო დეტალურად: სამიზნეების ხასიათს აქვს მნიშვნელობა. თუ სამიზნეები არ წარმოადგენენ სამხედრო ობიექტებს, მათი განადგურება არ არის ეფექტიანი და ამგვარად, არც აუცილებელია გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის კონტექსტში.

უნდა შეფასდეს რეაგირების ხასიათი და ფარგლები. ეს მოიცავს გამოყენებული იარაღების ერთობას და მიყენებულ ნგრევას, მოცულ ტერიტორიას, სამხედრო მოქმედების დროში ხანგრძლივობას და მთელი ოპერაციის საერთო მასშტაბებს. თავდამცავი სახელმწიფო არ არის შეზღუდული, რომ აუცილებლად გამოიყენოს იგივე იარაღი ან შეიარაღებული ძალების იგივე რაოდენობა, რაც თავდამსხმელმა სახელმწიფომ.⁸⁶⁶

გასათვალისწინებელია რეაგირების გეოგრაფიული არეალიც.⁸⁶⁷ თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ რეაგირება იყოს შემოფარგლული იმ სივრცით, სადაც განხორციელდა შეიარაღებული თავდასხმა.⁸⁶⁸

პროპორციულობა, ძირითადად, არ გულისხმობს მიყენებული მატერიალური ზიანის შედარებას. რეაგირებით მიყენებული ზიანი ჩვეულებრივ, უფრო დიდია, ვიდრე თავდასხმით გამოწვეული ზიანი, მაგრამ ეს რეაგირებას არაპროპორციულს არ ხდის.

უნდა მოხდეს მიყენებული ზიანისა და მსხვერპლის შეფასება და შედარება. ასეთი შედარების გაკეთება შეიძლება მხოლოდ *a posteriori*, როდესაც ხდება ძალისა და საწინააღმდეგო ძალის აწონ-დაწონვა მთლიანობაში (ბრძოლის პირველიდან უკანასკნელ მომენტამდე).⁸⁶⁹ თუმცა, სახელმწიფო პრაქტიკაში მცირედი ნივთმტკიცება არსებობს იმაზე, რომ მეზრძოლთა მსხვერპლის საერთო დონე შეუზღუდველ ფაქტორად ითვლება „ლეგიტიმური ომის“ (*Ius ad bellum*) პროპორციულობის შეფასებისთვის.⁸⁷⁰ თანმხლები სამოქალაქო დანაკარგების მასშტაბები, ზოგადად, არ გამოიყენება როგორც პროპორციულობის რელევანტური ფაქტორი „ლეგიტიმური ომისთვის“ (*ius ad bellum*) (როგორც აქ იქნა განხილული).⁸⁷¹ თუმცა, ეს საკითხი საფუძვლად უდევს იარაღისა და

⁸⁶⁶ გრეი, ძალის გამოყენება (შენიშვნა 54), გვ. 150.

⁸⁶⁷ საერთაშორისო სასამართლო. კონგოს ტერიტორიაზე შეიარაღებულ მოქმედებებთან დაკავშირებული საქმე (შენიშვნა 53), პ. 147. აქ მოსამართლის მოსაზრების სახით აღინიშნა, რომ უგანდას საზღვრიდან მრავალი ასეული კილომეტრით დაცილებული აეროპორტებისა და ქალაქების აღება არაა პროპორციული რიგი ტრანსსასაზღვრო თავდასხმებისა, რომლებმაც როგორც ამტკიცებენ, განაპირობა თავდაცვის უფლების გამოყენება, და ამგვარად, არც აუცილებელია.“ იხ.: სამეცნიერო ნაშრომი გეოგრაფიულ ფაქტორთან დაკავშირებით კოლბი *Ius contra bellum* (შენიშვნა 30), გვ. 296.

⁸⁶⁸ მაგალითად, აშშ-თვის პროპორციული იყო ავღანეთის შორეულ რეგიონებზე შეტევა აშშ-ზე 9/11 ტერორისტული თავდასხმის რეაგირების სახით.

⁸⁶⁹ დინშტაინი, ომი (შენიშვნა 55), გვ. 237. თუმცა, დინშტაინი ამ სახის აწონ-დაწონვას შესაფერისად მიიჩნევს მხოლოდ მცირემასშტაბიანი ადგილობრივი ინციდენტების შემთხვევაში, და არა თავდაცვით ომში.

⁸⁷⁰ გარდამი, აუცილებლობა (შენიშვნა 29), გვ. 172.

⁸⁷¹ *Ius in bello*-ის (შეიარაღებული კონფლიქტის საერთაშორისო კანონი ან საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონი) კანონებში ასევე გასათვალისწინებელია პროპორციულობის პრინციპი. თუმცა, ეს „*ius in bello* -

სამიზნეების შერჩევითი მიღებულ ფაქტორებს და ამიტომ შეიძლება ჩაითვალოს რელევანტურ კრიტერიუმად.⁸⁷² მცირე სახელმწიფო პრაქტიკა თუ არსებობს, რომელიც მიუთითებს ისეთი ფაქტორების, როგორცაა, გრძელვადიანი ზემოქმედება სამოქალაქო მოსახლეობის - ლტოლვილების დიდი ნაკადის წარმოქმნის კრიტერიუმის ჩათვლით - რელევანტურობაზე.⁸⁷³ ნგრევისა და სამოქალაქო მსხვერპლის შედარებით მსხვილი მასშტაბები უფრო მეტად იმაზე მიუთითებს, რომ მიზანი არ იყო კანონიერი და გასცდა შეტევის უბრალოდ შეჩერებისა და საფრთხის აღმოფხვრის საზღვრებს.⁸⁷⁴

საერთო ჯამში, აუცილებლობისა და პროპორციულობის შეფასების კრიტერიუმები ძალიან მოქნილია და არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივიცაა.

III. გამოსაკვლევი შემთხვევები და ფაქტები

რუსეთმა დაბოძა ქართული პოზიციები სამხრეთ ოსეთში. ასევე, მან ჩაატარა სამხედრო მოქმედებები სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გარეთ და გაგზავნა სამხედრო გემები შავ ზღვაში, საქართველოს პორტის - ფოთის წინ. ფოთში ბომბების ჩამოყრის გამო, დროებით შეჩერდა ბაქოდან სუფსის პორტში ტვირთების გაგზავნა. ასევე, დაზიანდა თბილისიდან სანაპიროსკენ მიმავალი მატარებელი. ამ რკინიგზაზე შეწყდა ნავთობის გადაზიდვა. ამგვარად, ზემოქმედების ქვეშ მოექცა საქართველოს მთელი ეკონომიკა.

უშიშროების საბჭოში საქართველოს წარმომადგენლის ინფორმაციით, 2008 წლის 19 აგვისტოს მონაცემებით, კონფლიქტში ქართული მხრიდან დაღუპულ ადამიანთა - სამოქალაქო პირებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის რაოდენობამ 250-ს მიაღწია, ხოლო დაშავდა 1 469 ადამიანზე მეტი.⁸⁷⁵ არსებითად განსხვავდებოდა ფაქტების შემსწავლელი მისიისთვის 2009 წლის შუაში წარდგენილი მონაცემები - დაახლოებით, 410 მოკლული (170 სამხედრო, 228 სამოქალაქო პირი, 12 პოლიციელი) და 1 747 დაჭრილი.⁸⁷⁶

პროპორციულობა“ მიესადაგება სხვადასხვა საკითხებს და წარმოადგენს ცალკე მდგომ, აქ გაანალიზებული „ius ad bellum - პროპორციულობისგან“ განსხვავებულ სტანდარტს. „ius in bello-პროპორციულობა,“ იხ.: „საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონისა და ადამიანთა უფლებების შესახებ“ კანონის თავი 7.

⁸⁷² გარდამი, აუცილებელი (შენიშვნა 29), გვ. 162.

⁸⁷³ გარდამი, აუცილებელი (შენიშვნა 29), გვ. 172.

⁸⁷⁴ მაგალითად, სახელმწიფოთა უმეტესობამ 2006 წლის ზაფხულის ისრაელის ომს ლიბანთან მისცა არაპროპორციული ომის კვალიფიკაცია, მიუთითა რა, სახელმწიფო ინფრასტრუქტურისთვის მიყენებული ზიანის მასშტაბებზე და სამოქალაქო მსხვერპლის რაოდენობაზე. ასეთ პოლიტიკურ განაცხადებში მკაფიოდ არ ჩანს, ისინი ius ad bellum -ზე მიუთითებს, თუ ius in bello-ზე, მეტად სავარაუდოა, რომ ორივეს კომბინაციაზე.

⁸⁷⁵ საქართველოს წარმომადგენლის განცხადება, უშიშროების საბჭოს 2008 წლის 19 აგვისტოს დებატები (გაეროს დოკ. S/PV.5961), გვ. 5.

⁸⁷⁶ დოკუმენტი „რუსეთის ფედერაციის ძირითადი საომარი მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ 2004-2007 წ.წ.“ გვ. 22.

II) მთავრობების შეფასებები

უშიშროების საბჭოს 2008 წლის 10 აგვისტოს საგანგებო სესიაზე რუსეთმა საკუთარი მოქმედებები შავ ზღვაზე შემდეგნაირად ახსნა: „ამ ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა რეგიონში მყოფი რუსეთის მოქალაქეების დაცვის უზრუნველყოფა, რუსული სამშვიდობო კონტინგენტისთვის მხარდაჭერის აღმოჩენა მათ წინააღმდეგ სამხედრო შეტევის შემთხვევაში. ასევე ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა კონფლიქტის ზონაში მყოფი სამოქალაქო საზოგადოებისთვის. რუსული გემების პატრულირების ზონაში ინციდენტების პრევენციის მიზნით, შევქმენით უსაფრთხოების ზონა. ეს ღონისძიებები მიზნად არ ისახავს საქართველოსთვის საზღვაო ბლოკადის შექმნას. ძალის გამოყენება მოხდება მხოლოდ წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის მიერ თავდაცვის უფლებით სარგებლობისთვის.“⁸⁷⁷

ფაქტების შემსწავლელი მისიისთვის გაცემულ პასუხებში რუსეთმა განმარტა, რომ „[აფხაზეთში] დამატებითი რუსული დანაყოფების განთავსება აუცილებელი იყო, რადგან იყო უცილობელი მიზეზები იმის მისაჩვენად, რომ ანალოგიური მასშტაბების შეტევა აფხაზეთზე მას შემდეგ განხორციელდებოდა, როდესაც გადაწყდებოდა ოსეთის საკითხი. ის მოსაზრება, რომ საქართველოს ასეთი გეგმები გააჩნდა, დამტკიცდა რუსეთისა და აფხაზეთის სადაზვერვო სამსახურების მიერ შეგროვილი ინფორმაციით.“⁸⁷⁸

რუსეთისგან განსხვავებით, აგვისტოში საგანგებო სესიაზე შეკრებილმა უშიშროების საბჭოს წევრებმა ხელმეორედ შეაფასეს რუსეთის მოქმედებები, და არაპროპორციულად სცნეს.⁸⁷⁹ გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენელმა განაცხადა: „რა თქმა უნდა, რუსეთის ძალებმა დაარღვიეს მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ნორმები და რუსეთის მიერ მისი მოქმედებების მიზეზად სამშვიდობო ვალდებულებების მომიზეზება უხეშ დარღვევას წარმოადგენს.“⁸⁸⁰

დ) დასკვნა. აუცილებლობისა და პროპორციულობის არარსებობა

რუსული რეაგირების, როგორც რუსეთის სამხედრო ბაზებზე შეტევისგან თავდაცვის აქტის ერთადერთი დასაშვები მიზანი იყო საქართველოს მხრიდან სამშვიდობოების მიმართ [შექმნილი] საშიშროების აღმოფხვრა. საქართველოს ძალების განდევნა სამხრეთ ოსეთიდან და სამხრეთ ოსეთის, როგორც მთლიანის, დაცვა არ წარმოადგენდა რუსეთის

⁸⁷⁷ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლის განცხადება უშიშროების საბჭოს 2008 წლის 10 აგვისტოს დებატებზე (გაეროს დოკ. S/PV .5953), გვ. 9.

⁸⁷⁸ ციტირებულია რუსულ დოკუმენტში „პასუხები ევროკავშირის ფაქტების შემსწავლელი მისიის მიერ დასმულ დამატებით კითხვებზე კავკასიაში, 2008 წლის აგვისტოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით (სამართლებრივი ასპექტები).“

⁸⁷⁹ უშიშროების საბჭოს 2008 წლის 10 აგვისტოს დებატები: აშშ-ის წარმომადგენლის განცხადება (გაეროს დოკ. S/PV .5953, გვ 6); პანამის წარმომადგენლის განცხადება (იქვე, გვ. 15). უშიშროების საბჭოს 2008 წლის 19 აგვისტოს დებატებში: საფრანგეთის წარმომადგენლის განცხადება (გაეროს დოკ. S/PV .5961, გვ 6); აშშ-ის წარმომადგენლის განცხადება (იქვე, გვ. 9).

⁸⁸⁰ უშიშროების საბჭოს 2008 წლის 10 აგვისტოს დებატებზე გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლის განცხადება (გაეროს დოკ. S/PV .5953), გვ. 11.

კანონიერ მიზანს. ვინაიდან რუსეთს არ შეეძლო არგუმენტად გამოეყენებინა კოლექტიური თავდაცვა სამხრეთ ოსეთის სასარგებლოდ, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები. ამიტომ რუსეთის დასაშვები მიზანი შეზღუდული იყო.

რუსეთის სამხედრო რეაგირება გასცდა რუსულ ბაზებზე ქართული შეიარაღებული თავდასხმის მოგერიების ფარგლებს და ამგვარად, არ იყო აუცილებელი. რუსეთი ძირითადად, უმიზნებდა სამხედრო ობიექტებს და მიზანში ამოღებული სამხედრო ობიექტებიდან რამდენიმე მაინც იყო დაკავშირებული საქართველოს თავდასხმასთან სამხრეთ ოსეთში. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენების სამხედრო მხარდაჭერა რუსეთის მხრიდან, არ შეიძლება გამართლებული იქნას ამ კონტექსტში. ზემო კოდორის დიდი ნაწილის დაბომბვა არავითარ კავშირში არ იყო სამხრეთ ოსეთში რუსი სამშვიდობოების მიმართ არსებულ საფრთხესთან (იხ. ქვემოთ). იგივე მიესადაგება შავ ზღვაში გემების განთავსებას. მიუკერძოებელი დამკვირვებელი, რომელიც საკუთარ თავს რუსეთის ადგილზე დააყენებდა, არ ჩათვლიდა, რომ რუსეთის რეაგირება ლოგიკურად იყო დაკავშირებული სამხრეთ ოსეთში განლაგებულ რუს სამშვიდობოებზე ქართული თავდასხმის შეკავების მიზანთან.

რუსეთის მიერ გამოყენებული საშუალებები არ იყო ლოგიკურ კავშირში ერთადერთ დასაშვებ მიზანთან - რუსი სამშვიდობოების მიმართ არსებული საფრთხის აღმოფხვრასთან. ნებისმიერ შემთხვევაში, ვერანაირად ვერ გამართლდება ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დადების შემდეგ მიყენებული დიდი ნგრევა (იხ. თავი 5. საომარი მოვლენები 2008 წ.). ამგვარად, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რუსეთის სამხედრო მოქმედება არ იყო არც აუცილებელი და არც პროპორციული სამხრეთ ოსეთში რუსი სამშვიდობოების დასაცავად.

IV. რუსეთის მიერ ძალის გამოყენებას სამშვიდობო მისიის შესრულების მიზნით არავითარი გამართლება არ აქვს

რუსეთი ამტკიცებდა, რომ როგორც სამშვიდობო დანაყოფები, ასევე შემდგომი დამხმარე დანაყოფები „განაგრძობდნენ მათი სამშვიდობო მისიის შესრულებას, ვიდრე „მედვედვი-სარკოზის“ ხელშეკრულებების შესაბამისად, არ განთავსდა ევროკავშირის მონიტორინგის მისია (...).“⁸⁸¹

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამშვიდობო ძალები, მათი ბუნებით თავდაცვითი ხასიათისაა. ის უნდა იყოს ნეიტრალური და არ უნდა მიემხროს კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარეს. ის ჩვეულებრივ, აღჭურვილია მხოლოდ მსუბუქი შეიარაღებით. მათი რიცხოვნება შეზღუდულია.

1992 წლის სოჭის ხელშეკრულების თანახმად, რუსეთის სამშვიდობოები წარმოადგენდნენ ერთობლივი ძალების ნაწილს შერეული საკონტროლო კომისიის

⁸⁸¹ რუსული დოკუმენტი „პასუხები IIFMCG-ის მიერ დასმულ სამხედრო ასპექტებთან დაკავშირებულ კითხვებზე კავკასიაში, 2008 წლის აგვისტოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით,“ გვერდები დანომრილი არ არის.

„დაქვემდებარებაში“ (მუხლი 3(3)). შერეული საკონტროლო კომისიის ამოცანა იყო „კონტროლის განხორციელება ცეცხლის შეწყვეტაზე, შეიარაღებული ფორმირებების გაყვანაზე, თავდაცვითი ძალების დაშლაზე და უსაფრთხოების რეჟიმის დაცვაზე რეგიონში“ (სოჭის ხელშეკრულების მუხლი 3 (1)). „ამ ხელშეკრულების დებულებების დარღვევის შემთხვევაში საკონტროლო კომისიამ უნდა ჩაატაროს შესაბამისი გარემოებების გამოძიება და მიიღოს სასწრაფო ზომები, რომელთა მიზანია მშვიდობისა და წესრიგის აღდგენა და მომავალში ანალოგიური დარღვევების დაუშვებლობა.“ (მუხლი 5).

ეს დებულებები გვიჩვენებს, რომ არ შეიძლება გამართლდეს კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარის ცალმხრივი მხარდაჭერა, როგორც სამშვიდობო მისიისა. მეტიც, შეუძლებელია სამშვიდობო ამოცანის შეთავსება სამხედრო ქმედებასთან, თავდაცვის საფუძველზე და მისი მომიზეზებით. შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლის სტატუსი შეუთავსებელია სამშვიდობოების ნეიტრალურ სტატუსთან. კონფლიქტში ჩართულ მხარეს აღარ შეუძლია იყოს მშვიდობისმყოფელი.⁸⁸² სამშვიდობო მისია შემოიფარგლებოდა მსუბუქად შეიარაღებული დანაყოფების მცირე რაოდენობით, რომელთა გაძლიერება ან ჩანაცვლება მიძიმებდა შეიარაღებული „ახალი დამხმარე ძალებით“ არ შეიძლებოდა. ძალის მეტი მასშტაბებით გამოყენება ეწინააღმდეგებოდა არა მხოლოდ სოჭის ხელშეკრულების არსს, არამედ თავად მშვიდობის დაცვის იდეასაც.

დასკვნა:

რუსეთმა ვერ შეძლო გაემართლებინა ძალის გამოყენება, როგორც უბრალოდ გაძლიერება და სამშვიდობო მისიის შესრულება.

V. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მოწვევით ძალის გამოყენებას არავითარი გამართლება არ აქვს

რუსეთი ამტკიცებდა, რომ საომარი საშუალებებით იგი ჩაერია „სამხრეთ ოსეთის მთავრობის თხოვნის საფუძველზე.“⁸⁸³ პრინციპში, ძალიან სადავოა რამდენად კანონიერს ხდის ჩარევას ასეთი მოწვევა.

1. სამართლებრივი ვითარება გამოყოფასთან დაკავშირებული ომის გამო

ისტორიულ შემთხვევათა უმრავლესობაში, ომები სამოქალაქო იყო, სადაც ორი პოლიტიკური მხარე ესწრაფოდა *მთელი* ქვეყნის მართვას და კონტროლს. თანმდევი სამეცნიერო დებატები დაკავშირებულია მოწვევით ჩარევისას ასეთი სახის სიტუაციასთან. გამოსაკვლევი საქმე განსაკუთრებულია, რადგან თავდაპირველად, ეს იყო გამოყოფასთან დაკავშირებული ომი. ორი მოწინააღმდეგე მხარე საქართველოს სახელმწიფოსთან დაკავშირებით კი არ იბრძოდა, არამედ მხოლოდ სამხრეთ ოსეთზე

⁸⁸² 1990-იანი წლებიდან გაეროს პრაქტიკაში კონფლიქტში პირდაპირი მონაწილეობა განსხვავებულია მშვიდობის დაცვისა და მშვიდობის დამყარების აღსრულების ოპერაციების შერევის ზოგადი პრობლემისგან.

⁸⁸³ რუსული დოკუმენტი „პასუხები IIFMCG-ის მიერ დასმულ სამხედრო ასპექტებთან დაკავშირებულ კითხვებზე კავკასიაში, 2008 წლის აგვისტოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.“

კონტროლისთვის. ეს ნიშნავს, რომ „სამოქალაქო ომის“ სცენარი მიესადაგებოდა (მხოლოდ) საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილს. თუმცა, ვინაიდან გამოყოფასთან დაკავშირებული ომი რეგიონულად შემოფარგლულ ომს წარმოადგენდა სამხრეთ ოსეთზე კონტროლის მოსაპოვებლად, მოწვევით ჩარევის სამართლებრივი კონცეფცია, პრინციპში, გამოიყენება ამ ტერიტორიასთან მიმართებაში.

სამოქალაქო ომის სიტუაციაში სადავოა, კომპეტენტურია თუ არა კონკურენტი მთავრობებიდან რომელიმე, და თუ ასეა, რომელი - „მოიწვიოს“ მესამე სახელმწიფოდ. ასევე, შეუძლია თუ არა ამგვარად კანონიერად დაეთანხმოს მესამე სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენებას. ამ სფეროში სახელმწიფოების პრაქტიკა არაერთგვაროვანია. სამეცნიერო პრაქტიკა იძლევა სამი სამართლებრივი პასუხის შეთავაზების საშუალებას.

2. სამოქალაქო ომებში უცხოური დახმარების „მოწვევის“ სამართლებრივი დოქტრინა

ა) უცხოური დახმარების მოწვევის უფლება აქვს მხოლოდ ძალაში მყოფ მთავრობას

პირველი პასუხი მოცემული იყო წერილობით ნაწილში. ეს პასუხი ეყრდნობა განსხვავებას: მხოლოდ ძალაში მყოფ ან საერთაშორისო დონეზე აღიარებულ მთავრობას შეუძლია გააკეთოს სამართლებრივი ძალის მქონე მოწვევა.⁸⁸⁴ ამ სამართლებრივ თვალსაზრისს მივყავართ ასიმეტრიული სიტუაციისკენ: სამხედრო ჩარევა ითვლებოდა დასაშვებად ძალაში მყოფი მთავრობის დასახმარებლად (ჩვენს შემთხვევაში - საქართველოს მთავრობა) და არა „ამბოხებულთა“ დასახმარებლად (ჩვენს შემთხვევაში - სამხრეთი ოსეთი). არგუმენტად ისიც იყო მოყვანილი, რომ სპეციფიკურად გამოყოფასთან დაკავშირებულ ომებში, მესამე მხარე შეიძლება კანონიერად ჩაერიოს ძალაში მყოფი მთავრობის მოწვევით (რაც ჩვენს შემთხვევაში ჩარევას გაამართლებდა მხოლოდ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ).⁸⁸⁵ თუმცა, სახელმწიფო პრაქტიკა არ უჭერდა მხარს ამ მტკიცებას. მესამე მხარეებს არ მიუციათ საკუთარი თავისთვის უფლება, რომ ჩარეულიყვნენ გამოყოფის მცდელობის რაიმე შემთხვევაში იმ საფუძველზე, რომ მთავრობამ სთხოვა მათ ჩარევა და ბრძოლა გამოყოფის მსურველი სხვადასხვა ნაწილის წინააღმდეგ.⁸⁸⁶

მეტიც, ტრადიციული თვალსაზრისი წარმოადგენს პრობლემას, რომ მესამე სახელმწიფოები სარგებლობენ დისკრეციის უფლებით, თუ რომელი მთავრობა აღიარონ. სხვადასხვა მესამე სახელმწიფოებმა შეიძლება კანონიერად აღიარონ სახელმწიფოს სხვადასხვა პრეტენდენტი მთავრობები. მესამე სახელმწიფოებს რომ შეეძლებოდათ მათ მიერ შერჩეული მთავრობის კანონიერად დახმარება სამხედრო საშუალებებით, ამის შედეგი იქნებოდა, რომ ძალის გამოყენების აკრძალვა (გაერო-ს

⁸⁸⁴ საერთაშორისო სასამართლო, ნიკარაგუა (მერიტსი) (შენიშვნა 7) პ. 246. იხ.: სამეცნიერო ნაშრომში: გეორგ ნოლტე, Eingreifen auf Einladung: Zur volkerrechtlichen Zulässigkeit des Einsatzes fremder Truppen im internen Konflikt auf Ainaladung der Rogierung (ბერლინი: სპრინგერი 199 წ.), გვ. 219 და 604-5; იქვე, „გამოყოფა და გარე ჩარევა“, მარჩელო კოპენი (რედაქტორი) - საერთაშორისო სამართლის პერსპექტივები (კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2006 წ.), 65-93.

⁸⁸⁵ ნოლტე, Eingreifen auf Einladung (შენიშვნა 176), გვ. 576.

⁸⁸⁶ იხ.: კორტენი, Le droit contre la guerre (შენიშვნა 6), გვ. 480, მითითებით.

წესდების მუხლი 2 (4)) აღარ მიესადაგებოდა სამოქალაქო ომებს, სადაც ადგილი აქვს უცხოურ ჩარევას. ასეთი შედეგი არასასურველია.⁸⁸⁷

ბ) ახალი დოქტრინა. გამოყოფასთან დაკავშირებულ სამოქალაქო ომში სამხედრო ჩარევა დაუშვებელია

არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად, სამეცნიერო პრაქტიკაში უახლესი ტენდენციაა იმის აღიარება, რომ სამოქალაქო ომის მდგომარეობაში არცერთ მონაწილე მხარეზე არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ეფექტიანი, სტაბილური და ლეგიტიმურია. ამგვარად, ვამტკიცებთ, რომ ჩაურევლობის პრინციპი და თვითგამორკვევის საერთაშორისო უფლება⁸⁸⁸ დაუშვებელს ხდის უცხოური ჩარევის ნებისმიერ სახეს, იქნება ეს წინა, „ძველი“ მთავრობის თუ ამბოხებულთა მოწვევით. ამ თვალსაზრისით რომელიმე მხარის დაჭერა და ჩარევა სამოქალაქო ომში აკრძალულია. ამ დასაბუთებას მივყავართ დასკვნამდე, რომ მესამე სახელმწიფოს სამხედრო ჩარევა იმ სახელმწიფოში, სადაც მიმდინარეობს სამოქალაქო ომი, ყოველთვის დარჩება ძალის უკანონო გამოყენებად, რომლის გამართლებაც არ შეიძლება ჩარევით (ნეგატიური თანასწორობის დოქტრინა).⁸⁸⁹

გ) ნებადართულია [თუ არა] ორივე მხარის მიერ მოწვევა ტერიტორიული სტაბილიზაციის შემდეგ?

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ წარსულში დაგროვილი სახელმწიფო პრაქტიკა ვერ იძლევა გადამწყვეტ მითითებას, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ არ არის ჩამოყალიბებული ჩარევის საერთაშორისო სამართლებრივი აკრძალვა. ასე, რომ ჩარევა სამოქალაქო ომის

⁸⁸⁷ რანდელზჰოფერი, მუხლი 2(4) (შენიშვნა 41) პ. 30.

⁸⁸⁸ ეს არგუმენტი შეიძლება დაეყრდნოს გაეროს წესდების 2 (4) მუხლის ტექსტს, სადაც ნათქვამია, რომ ძალის გამოყენება, რომელიც „არ შეესაბამება გაეროს მიზნებს,“ აკრძალულია. გაეროს ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ხალხთა თვითგამორკვევის პატივისცემის ხელშეწყობა (გაეროს წესდების 1 (2) მუხლი). თვითგამორკვევის საერთაშორისო უფლება ვრცელდება ხალხებზე და არა მთავრობებზე ან მოპაექრე ფრაქციებზე, რომლებიც ისწრაფიან ხელში აიღონ ან შეინარჩუნონ ქვეყნის მმართველობა. თუ სამოქალაქო ომში არც ერთი დაპირისპირებული ფრაქცია მკაფიოდ არ წარმოადგენს სახელმწიფოს მოსახლეობას, თვითგამორკვევის პრინციპი გვავალებს ჩარევისგან თავშეკავებას, რადგან ასეთი ჩარევა იქნებოდა ადამიანთა თვითგამორკვევის უფლების ხელის შეშლა (კორტენი, *Le droit contre la guerre* (შენიშვნა 6), გვ. 448-9. ეს დასაბუთება მიესადაგება სამხრეთ ოსეთს, სადაც თვითგამორკვევის ურთიერთსაწინააღმდეგო პრეტენზიებით ჩართულია ორი ერი.

⁸⁸⁹ Association de droit international, „სამოქალაქო ომებში ჩაურევლობის პრინციპი,“ 1975 წლის 14 აგვისტოს დადგენილება (მერვე კომისია) (Institute de Droit international, *Annuaire*-ში (AIDI) 56 (1975 წ.), გვ. 544-549). თუმცა, ეს დადგენილება ერთმნიშვნელოვნად არ მიესადაგება „შეიარაღებულ კონფლიქტებს პოლიტიკურ ერთეულებს შორის, რომლებიც გაყოფილნი არიან საერთაშორისო სადემარკაციო ხაზით ან რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებობდნენ დე ფაქტო, როგორც სახელმწიფოები ან კონფლიქტებს ნებისმიერ ასეთ ერთეულსა და სახელმწიფოს შორის“ (მუხლი 1 (2) პ. ბ)) - და ზუსტად, ეს არის ჩვენი შემთხვევა. აგრეთვე, იხ.: გრეი, ძალის გამოყენება (შენიშვნა 54), გვ. 81, სადაც მითითებულია გაერთიანებული სამეფოს 1984 წლის პოლიტიკური დოკუმენტი, სადაც დადასტურებულია ასეთი პოზიცია. ამ თვალსაზრისით, აგრეთვე, იხ.: კოლბი, *Ius contra bellum* (შენიშვნა 30), გვ. 328; რანდელზჰოფერი, მუხლი 2 (4) (შენიშვნა 41), პ. 31, როგორც ჩანს, იხრება ამ გადაწყვეტისაკენ, თუმცა, არ არის დარწმუნებული ნამდვილად შეესაბამება თუ არა ეს კანონს, როგორც მოცემულია.

(ან გამოყოფასთან დაკავშირებული ომის) ნებისმიერ მხარეზე ნებადართულია (პოზიტიური თანასწორობის დოქტრინა). თუმცა, ასეთ გადაწყვეტას ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო: „ამგვარად, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ადგენს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ასეთი ჩარევის ზოგადი უფლება სხვა სახელმწიფოში ოპოზიციის მხარდასაჭერად. (...) მართლაც, ძნელია იმის დანახვა, თუ რა დარჩებოდა საერთაშორისო სამართალში ჩაურევლობის პრინციპისგან, რომ ჩარევა, რომელიც უკვე ნებადართულია სახელმწიფოს მთავრობის მოთხოვნით, ასევე ნებადართული იყოს ოპოზიციის მოთხოვნითაც.“⁸⁹⁰

თუმცა, სამეცნიერო ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერს პოზიტიური თანასწორობის დოქტრინას იმ მომენტიდან, როდესაც შიდა ომში სახელმწიფოს ტერიტორიის კონტროლი გაიყოფა მეზობლ მხარეთა შორის.⁸⁹¹ არგუმენტი ისაა, რომ ასეთი სიტუაციები ჰგავს სახელმწიფოთა შორის ომს და ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს უცხოური მხარდაჭერა. საკვლევ შემთხვევაში, ეს პირობა დაკმაყოფილებულია, რადგან 2008 წლის აგვისტომდე, საქართველოს ტერიტორია უკვე მკაფიოდ იყო გაყოფილი და ორ მხარეს გააჩნდა ტერიტორიული კონტროლი ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილზე. სამხრეთ ოსეთს შეეძლო რუსეთი მოეწვია ჩასარევად და ამგვარად, შეიქმნა სამხედრო ძალით ჩარევისა და სამხედრო ძალის გამოყენების სამართლებრივი ძალის მქონე დასაშვებობა (ყოველ შემთხვევაში, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის ფარგლებში) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული უნდა ყოფილიყო პოზიტიური თანასწორობის დოქტრინა (რომელიც, როგორც ქვემოთაა განმარტებული, არ არის რეკომენდებული).

3. სამხრეთ ოსეთის მხრიდან მიწვევა არამართლზომიერია

სამხრეთ ოსეთის მხრიდან, რუსეთის მიწვევის დაშვების წინააღმდეგ ერთ-ერთი არგუმენტი ის არის, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტს აქვს თვითგამორკვევის უფლება, ის არ არის უფლებამოსილი ამ უფლების განსახორციელებლად ძალა გამოიყენოს.

სამხედრო ძალა არასოდეს არ არის მისაღები თვითგამორკვევის უფლების განსახორციელებლად, შიდა თვითგამორკვევის ჩათვლით. სახელმწიფო პრაქტიკა არ ცნობს თვითგამორკვევის მისაღწევად ძალის გამოყენების მხარდაჭერის ფაქტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე დეკოლონიზაციას ან უკანონო ოკუპაციას ეხება. კიდევ უფრო ნაკლებია სახელმწიფოების მხრიდან მხარდაჭერა ეთნიკური ჯგუფების უფლების მიმართ, როდესაც ეს უკანასკნელი იყენებს ძალას არსებული სახელმწიფოდან გამოსაყოფად.⁸⁹² ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ძალის გამოყენება სეპარატისტული ჯგუფების მიერ ნებისმიერ შემთხვევაში, უკანონოა იმ

⁸⁹⁰ საერთაშორისო სასამართლო, ნიკარაგუა (მერიტსი), (შენიშვნა 7) პ.პ. გვ. 209 და 246 (ხაზგასმა დამატებულია).

⁸⁹¹ გრეი, ძალის გამოყენება (შენიშვნა 54), გვ. 81.

⁸⁹² გრეი, ძალის გამოყენება (Gray, Use of Force - იბ.: ზემოთ შენიშვნა 54), გვ. 64.

შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ გამოყოფის უფლება არსებობს. ზოგადი წესი იმაში მდგომარეობს, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას და შეიარაღებულ ძალებს თვითგამორკვევის მისაღწევად ძალის გამოყენების უფლება არ გააჩნდათ. ეს აგრეთვე ნიშნავს, რომ სეპარატისტული მხარის მიერ უცხო სახელმწიფოს მოწვევა მეტროპოლიური სახელმწიფოს ჯარის წინააღმდეგ ძალის გამოსაყენებლად, ვერ იქნება კანონიერი.

ნებისმიერ შემთხვევაში, მისაღები რომც იყოს თეორიული მოსაზრება, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას პრინციპულად ჰქონდა უფლება, მიეწვია რუსეთი ინტერვენციისათვის (შიდა) თვითგამორკვევის საერთაშორისო უფლების საფუძველზე, ის არ იყო უფლებამოსილი ნება დაერთო უცხო სახელმწიფოსათვის, განხორციელებინა ინტერვენცია მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. ძალის გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიღმა ვერაფრით იქნება გამართლებული „მიწვევით,“ რა პოზიციაზეც არ უნდა ვიდგეთ თავად დოქტრინის შესახებ თეორიულ მსჯელობებში.

4. მსჯელობები და დასკვნები: სამხრეთ ოსეთის მხრიდან მიწვევა დაუშვებელია

დადებითი თანასწორობის დოქტრინა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის მხოლოდ სტაბილური ტერიტორიული კონტროლის კონტექსტით შემოიფარგლება, უშვებს სამხედრო ძალის ესკალაციას, და სწორედ ამიტომ, იგი არ შეესებამება გაერო–ს მიზნებსა და პრინციპებს. იგი ძალიან ადვილად შეიძლება იქნას ბოროტად გამოყენებული.

ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო ომის ან გამოყოფის მიზნით წარმოებული ომის დროს ინტერვენციის აკრძალვის სამართლებრივი საფუძველი (უარყოფითი თანასწორობის დოქტრინა) პოლიტიკის თვალსაზრისით გონივრულია, ვინაიდან ის არ ცნობს მესამე მხარეების მიმართ განხორციელებული „მიწვევის“ საბაბს, რასაც მესამე სახელმწიფოები საკუთარი პოლიტიკური მიზნებით განხორციელებული ინტერვენციის შესანიღბად იყენებენ. ეს სამართლებრივი მოსაზრება უფრო ფუნქციური და პრაქტიკულიც არის, ვიდრე მისი საპირისპირო (დადებითი დოქტრინა), ვინაიდან იგი იურისტებს ათავისუფლებს მართლზომიერების დადგენისა და მტკიცების რთული ამოცანისაგან. და ბოლოს, სახელმწიფოთა პრაქტიკა, როგორც ჩანს, სწორედ ამ მოსაზრებას უჭერს მხარს. ისტორიულად, ბევრ შემთხვევაში, სახელმწიფოებმა დაგმეს და დაუშვებლად ცნეს სავარაუდო მიწვევის საფუძველზე განხორციელებული ინტერვენციები.

დასასრულს, როგორც ასიმეტრიის დოქტრინის, ასევე სამოქალაქო ომში ინტერვენციის უარყოფითი თანასწორობის შესახებ ახალი დოქტრინის მიხედვით, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას არ შეეძლო რუსეთის მიწვევა მათთვის სამხედრო საშუალებებით დახმარების გასაწევად და ეს მიწვევა ვერ იქნებოდა მართლზომიერი. ამ დასკვნას ამყარებს არგუმენტი, რომ სამხედრო საშუალებებით განხორციელებული გამოყოფა ვერ იქნება კანონიერი, მაშინაც კი, როდესაც იგი გამართლებული იყო განსაკუთრებული გარემოებებით, რასაც ამ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია. და თუ გამოყოფის მაძიებელ

მხარეს ეკრძალება ძალის გამოყენება, მას აგრეთვე, უნდა ეკრძალებოდეს მესამე მხარის მიწვევა სამხედრო ძალის გამოსაყენებლად. ეს ნიშნავს, რომ რუსული არმიის მიერ ძალის გამოყენება სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალებისა და ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მიწვევით, გამართლებული არ იყო.

VI. კოლექტიური თავდაცვის ფორმით ძალის გამოყენება გაუმართლებელია

2008 წლის 27 სექტემბერს, სერგეი ლავროვი, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი გაერო-ს გენერალური ასამბლეის 63-ე სესიაზე სიტყვით გამოვიდა. მან შემდეგნაირად აღწერა რუსეთის მიერ საქართველოში სამხედრო მოქმედებების განხორციელების მიზეზები: „*რუსეთი დაეხმარა სამხრეთ ოსეთს აგრესიის მოგერიებაში, შეასრულა საკუთარი მოქალაქეების დაცვის ვალდებულება და განახორციელა თავისი, როგორც სამშვიდობო ძალის, მოვალეობა.*“⁸⁹³ ამგვარად, მან განაცხადა, რომ რუსეთი ახორციელებდა კოლექტიურ თავდაცვას, იცავდა რა, სამხრეთ ოსეთს საქართველოს მხრიდან შეიარაღებული თავდასხმისაგან.

გაერო-ს წესდების 51-ე მუხლი პირდაპირ საუბრობს „კოლექტიურ“ თავდაცვაზე. კოლექტიური თავდაცვა სამხრეთ ოსეთის სასარგებლოდ გულისხმობს, რომ მოხდა შეიარაღებული თავდასხმა სამხრეთ ოსეთზე და რომ სამხრეთ ოსეთმა რუსეთს დახმარება სთხოვა, ყოველ შემთხვევაში შეფარულად. როგორც ზემოთ იყო ახსნილი, სამხრეთ ოსეთს, გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის თანახმად, ჰქონდა თავდაცვის უფლება იმ ქართული ოპერაციისაგან, რომელიც 2008 წლის 7 აგვისტოს დაიწყო.

1. დახმარების თხოვნა სამხრეთ ოსეთის მხრიდან

თავდასხმის სუბიექტის (ამ შემთხვევაში, სამხრეთი ოსეთი) მხრიდან მიღებული თანხმობა წარმოადგენს მის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციების წინააღმდეგ ინტერვენტი სამხედრო ძალის (ამ შემთხვევაში, რუსეთი) გამოყენებით კოლექტიური თავდაცვის განხორციელების წინაპირობას. თანხმობა გამოიხატება შეიარაღებული თავდასხმის გამოცხადებაში და თავდასხმის სუბიექტის მიერ მესამე მხარისთვის (რუსეთისთვის) დახმარების თხოვნით მიმართვაში. სახელმწიფოთა პრაქტიკაში ვხვდებით განცხადებებისა და მოთხოვნების ამგვარი სახით დაფიქსირებას.

ზოგი ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ვერ იქნება საუბარი ვერანაირ კოლექტიურ თავდაცვაზე, თუ სახელმწიფოს, რომელიც თავის თავს შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლად თვლის, არ მოუთხოვია დახმარება.⁸⁹⁴ მათი მოსაზრებების მიხედვით, რუსეთი უნდა დალოდებოდა იმ სუბიექტისაგან დახმარების მოთხოვნას, რომლის დახმარებას იგი, სავარაუდოდ, ცდილობდა, ვიდრე დამატებით ჯარებს უფლება

⁸⁹³ ხაზგასმა დამატებულია.

⁸⁹⁴ ანტონიო კასესი, ჟან-პიერ კოტი, ალენ პელე და მატეას ფორტო, გაეროს ქარტია: კომენტარები მუხლების მიხედვით (Antonio Cassese in Jean-Pierre Cot, Alain Pellet and Mathias Forteau, La Charte des Nations Unies: Commentaire article par article (3rd edn, Paris: Economica 2005), მუხლი 51, გვ. 1354; დინსტეინი, ომი (Dinstein, War) ზემოთ შენიშვნა 55), გვ. 268-70.

მიეცემოდა შესულიყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე. (ჯარების ეს რაოდენობა აღემატება სოჭის შეთანხმებაში ნებადართულ ზღვრულ რაოდენობას.)

მაგრამ, უმრავლესობის აზრით, მსგავსი მოთხოვნა შეიძლება იყოს არაფორმალური და ნაგულისხმევი. მსხვერპლი-სახელმწიფოს (ან სუბიექტის, სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში) აშკარა და პირდაპირი განცხადება, რომ ის თავს შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლად თვლის, არ გახლავთ კოლექტიური თავდაცვის კანონიერების აუცილებელი ფორმალური პირობა.⁸⁹⁵ როგორც ჩანს, საერთაშორისო სასამართლო დეკლარაციასა და მოთხოვნას სამართლებრივ პირობად არ თვლის.⁸⁹⁶ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო მსგავსი დეკლარაციისა და მოთხოვნის არარსებობას მიიჩნევს, როგორც მხოლოდ დადასტურებას, რომ არანაირ შეიარაღებულ თავდასხმას ადგილი არ ჰქონია.⁸⁹⁷ რომ შევაჯამოთ, ფორმალური მოთხოვნა არის მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს კოლექტიური თავდაცვის იურიდიული საფუძვლების შეფასების დროს: ეს არ არის აუცილებელი პირობა (*conditio sine qua non*).⁸⁹⁸

სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ რუსეთს დახმარებისათვის ოფიციალურად 2008 წლის 8 აგვისტოს, დილის 11:00-ზე მიმართა.⁸⁹⁹ თუმცა, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, უმრავლესობის აზრით, დახმარების შესახებ ადრე გაკეთებული ფარული მოთხოვნა საკმარისი უნდა ყოფილიყო.

რომ შევაჯამოთ, კოლექტიური თავდაცვის ცნების სამი მოთხოვნა - შეიარაღებული თავდასხმა სამხრეთ ოსეთზე, სამხრეთ ოსეთის თანხმობა მისი კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე მხარდამჭერი სამხედრო საქმიანობის განხორციელებაზე და დახმარების გაწევის შესახებ თხოვნა, თუმცა არაოფიციალური, როგორც ჩანს, დაკმაყოფილებული იყო. მაგრამ ამით ეს საკითხი მაინც, ჯერ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი.

2. არ არსებობს არანაირი კოლექტიური თავდაცვა მესამე სახელმწიფოს ინტერვენციის გზით

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნებადართული იქნებოდა თავდაცვა იმ სუბიექტის მიერ, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფოებრიობა (რაც ძალიან საკამათოა, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები), ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რუსეთმაც შეიძლება გამოიყენოს

⁸⁹⁵ რანდელ ცოფერი, მუხლი 51 (Randelzhofer, Article 51). (ზემოთ შენიშვნა 87), პარაგრაფი 38.

⁸⁹⁶ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, ნიკარაგუა (მერიცი) (ზემოთ შენიშვნა 7), პარაგრაფები 195 და 199. ეს განაჩენი ზოგიერთი ავტორის მიერ გაგებული იყო, როგორც დეკლარაციისა და თხოვნის მოთხოვნა, როგორც თავის დაცვის აუცილებელი პირობა. ნავთობის პლატფორმის განაჩენიც აგრეთვე, იყო გაგებული, რომ ეს ნიშნავს, იმ ქვეყნის მიერ გაკეთებული მოთხოვნა, რომელიც თავს შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლად თვლის, არის წინაპირობა კოლექტიური თავდაცვის სანდოობისათვის (ICJ, Oil Platforms (ზემოთ შენიშვნა 62), პარაგრაფი 51).

⁸⁹⁷ იხ.: დისკუსია, გრეი, ძალის გამოყენება (Gray, Use of Force - იხ.: ზემოთ შენიშვნა 54), გვ. 185-186.

⁸⁹⁸ იქვე, გვ. 186.

⁸⁹⁹ იხ.: თავი 5, 2008 წლის სამხედრო მოვლენები.

კოლექტიური თავდაცვის საფუძველი. ის ფაქტი, რომ 1996 წელს, რუსეთმაც მოაწერა ხელი მემორანდუმს, როგორც მედიატორმა, თავისთავად არ ანიჭებს მას სამხრეთ ოსეთის დაცვის უფლებას, ვინაიდან შუამავლის როლი მდგომარეობს კონფლიქტის მოსაგვარებლად დახმარებაში, მშვიდობიანად და არა სამხედრო საშუალებებით. დაწყებულ საომარ მოქმედებებში რუსეთის ჩართვა სპეციფიური საკითხია, რომელიც აკადემიურ წყაროებში ძირითადად, განიხილება სახელწოდებით „ინტერვენცია მიწვევით.“ სამეცნიერო წყაროები და სახელმწიფოების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მესამე ქვეყანას არ აქვს უფლება, ჩაერიოს გამოყოფის მიზნით დაწყებულ ომში „ამბოხებულების“ მიწვევით და მათ მხარდასაჭერად (იხილეთ ზემოთ).

პრაქტიკაში, კოლექტიური თავდაცვა კვეთს მიწვევის საფუძველზე განხორციელებულ სამხედრო ინტერვენციას. თეორიულად, ეს ორი კონცეფცია ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ სიტუაციის სამართლებრივი შეფასება უნდა მიმდინარეობდეს ერთმანეთის პარალელურად, და ერთ შედეგით უნდა დასრულდეს, იმ იურიდიული სახელწოდებისაგან დამოუკიდებლად, რომლის მიხედვითაც სიტუაცია შემდეგი მიზეზების გამო ფასდება: სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებისაგან მიღებული მიწვევის საფუძველზე ინტერვენციის დაუშვებლობას საფუძველი შეერყევა, თუ სამხრეთ ოსეთისათვის კოლექტიური თავდაცვა ნებადართული იქნება. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ არ შეიქმნას წინააღმდეგობრივი ხასიათის სამართლებრივი მდგომარეობა, ინტერვენციის ორივე პოტენციური საფუძველი ერთნაირად უნდა შეფასდეს.

სახელმწიფოებრიობის არმქონე სუბიექტისთვის შეიარაღებული თავდასხმისაგან თავდაცვის უფლების მიცემა და ამავდროულად, მის მიერ უცხო ქვეყანის დასახმარებლად „მიწვევის“ უფლების შეზღუდვა ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. ინდივიდუალური თავდაცვა და კოლექტიური თავდაცვა ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული არაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინდივიდუალური თავდაცვის უფლება, როგორც ამ შემთხვევაში, გაერო-ს წესდების სამართლის ნორმებიდან ან ჩვეულებითი სამართალიდან კი არ გამომდინარეობს ცალსახად, არამედ უმეტესწილად ან მხოლოდდამხოლოდ, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით განისაზღვრება. ინდივიდუალური თავდაცვის უფლება არის ძალის გამოყენების აკრძალვის საპირწონე. თუ სამხრეთ ოსეთს აკისრია ვალდებულება, თავი შეიკავოს ძალის გამოყენებისაგან, მას აქედან გამომდინარე, ასევე მინიჭებული უნდა ჰქონდეს თავდაცვის უფლება. ეს ორი თანმხლები წესი კონფლიქტის ჩაცხრობას ემსახურება. სხვა საკითხია, ნებადართულია თუ არა სამხედრო ინტერვენცია კოლექტიური თავდაცვის ფორმით. მსგავსი უფლება ხელს უწყობს კონფლიქტის ესკალაციას, და არა მის შენელებას, და შესაბამისად, იგი ეწინააღმდეგება გაერო-ს მიზნებს.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ მართალია, სამხრეთ ოსეთს შეეძლო გამოეყენებინა ცალმხრივი თავდაცვის უფლება საქართველოს მხრიდან თავდასხმის მოსაგერიებლად, მაგრამ მას არ ჰქონდა კოლექტიური თავდაცვის უფლება.

3. აუცილებლობა და პროპორციულობა

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ შესაძლებელი იყო კოლექტიური თავდაცვის განხორციელება სამხრეთ ოსეთის სასარგებლოდ, რუსეთის მხრიდან კოლექტიური თავდაცვა მაინც უნდა ყოფილიყო აუცილებელი და პროპორციული. პროპორციულობა ნიშნავს გონივრულ და სამართლიან თანაფარდობას გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.⁹⁰⁰

რუსეთის მიზანი სამხრეთი ოსეთის კოლექტიური თავდაცვის განხორციელების დროს განსხვავდება ინდივიდუალური თავდაცვით საკუთარი სამშვიდობო ძალების დაცვის მიზნისაგან. კოლექტიური თავდაცვის ლეგიტიმური მიზანი იყო, შეეჩერებინა საქართველოს შეტევა სამხრეთ ოსეთზე. თუმცა, ზემოთ მოტანილი კრიტერიუმებისა და ფაქტორების მიხედვით, რუსეთის რეაქცია ამ მიზანთან მიმართებაშიც არაპროპორციული იყო.

4. დასკვნები

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რუსი სამხედროების მოქმედებები ქართული სამხედრო ძალების წინააღმდეგ ვერ იქნება გამართლებული, როგორც კოლექტიური თავდაცვა.

VII. ძალის გამოყენებას, როგორც „ჰუმანიტარულ ინტერვენციას,“ არანაირი გამართლება არ აქვს

„ჰუმანიტარული ინტერვენცია“ რუსეთს ღიად არ გამოუცხადებია. თუმცა, პრეზიდენტმა მედვედევმა 2008 წლის 8 აგვისტოს თავის განცხადებაში სამხრეთ ოსეთში სიტუაციის შესახებ აღნიშნა, რომ „რუსეთი ისტორიულად იყო კავკასიის ხალხების უსაფრთხოების გარანტი, და ეს დღესაც ასეა.“ მან აგრეთვე, აღნიშნა, რომ „დღეს სამხრეთ ოსეთში [მ]შვიდობიანი მოსახლეობა, ბავშვები და მოხუცებულები იხოვებიან.“⁹⁰¹ გარდა ამისა, ტერმინი, რომელსაც რუსები ხშირად ხმარობენ - „დაცვის მოვალეობა“ (responsibility to protect) ერთგვარად კვეთს დაცვის უფლების ახალ საერთაშორისო კონცეფციას, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის დაცვას, მათი ეროვნების მიუხედავად. ამ განცხადებებით, ჰუმანიტარული ინტერვენციის საკითხი, თუმცა, არაპირდაპირი ფორმით წამოჭრილი იყო რუსეთის მიერ.

ჰუმანიტარული ინტერვენცია ნიშნავს ძალისმიერ, მეტწილად, სამხედრო ქმედებას სახელმწიფო საზღვრების მიღმა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ. ეს ქმედება მიზნად ისახავს არა თავისი მოქალაქე პირების ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიანი და სერიოზული დარღვევების თავიდან აცილებას ან აღკვეთას, იმ

⁹⁰⁰ იხ.: ტექსტი სქოლიოში 75-76.

⁹⁰¹

იხ.: რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვებპორტალი.

http://president.kremlin.ru/eng/speeches/2008/08/08/1553_type82912type82913_205032.shtml.

სახელმწიფოს ნებართვის გარეშე, რომლის ტერიტორიაზეც ძალა გამოიყენება.⁹⁰² მიუხედავად იმისა, რომ ეს მეცნიერული განმარტება ნათელია, ჰუმანიტარული ინტერვენციის შესახებ დებატებში ხშირად არ ხდება საკუთარი მოქალაქეების დაცვასა და განსხვავებული ეროვნების ადამიანების დაცვას შორის დიფერენცირება. ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება მსხვერპლის ეროვნების მიუხედავად, ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენციის ან აღკვეთის მიზნით განხორციელებული სამხედრო ინტერვენციის აღსანიშნავად.

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ჰუმანიტარული ინტერვენციები პრინციპში, დაუშვებელია და არაკანონიერ ქმედებად არის მიჩნეული. 1999 წელს, ნატო-ს კოსოვოში ინტერვენციის შემდეგ მიმდინარეობდა ინტენსიური სამეცნიერო და სახელმწიფოთაშორისი დებატები, მაგრამ მათ შედეგად ჯერჯერობით არ შემუშავებულა საერთაშორისო სამართლის დებულება უშიშროების საბჭოს მანდატის გარეშე ცალმხრივი ჰუმანიტარული ინტერვენციის სასარგებლოდ.⁹⁰³ სახელმწიფოების პრაქტიკა და სამართლებრივი მოსაზრებები (*opinio iuris*) არ ეთანხმება მეცნიერების აზრს, რომელიც მხარს უჭერს უშიშროების საბჭოს მანდატის გარეშე ჰუმანიტარული ინტერვენციის წესს და შესაბამისად, ვერ მოხერხდა კანონის ნორმების შემუშავება აღნიშნული მოსაზრებების მიმართულებით, მორალურად რაოდენ სასურველი არ უნდა იყოს ეს წესი. „დაცვის მოვალეობის“ კონცეფციის ფრთხილმა მხარდაჭერამ საერთაშორისო მონაწილე მხარეების მხრიდან დიდი ზეგავლენა ვერ იქონია კანონზე ცალმხრივი ინტერვენციის შესახებ, ვინაიდან „დაცვის მოვალეობა“ სწრაფად შეიზღუდა გაერო-ს მიერ ნებადართული ოპერაციებით. ასე რომ, „დაცვის მოვალეობის“ საერთაშორისო პრინციპი, რომელიც შეიძლება ნელ-ნელა დამკვიდრდეს, მხოლოდ უშიშროების საბჭოს მიერ უფლებამოსილი ქმედებების განხორციელების უფლებას იძლევა (თუ საერთოდ, იძლევა უფლებას).⁹⁰⁴

უფრო მეტიც, რუსეთი თანმიმდევრულად და დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა ნატო-ს კოსოვოში ინტერვენციის, როგორც ჰუმანიტარული ინტერვენციის გამართლებას. სწორედ ამიტომ, მას უარი ეთქვა ამ არგუმენტის გამოყენებაზე საკუთარი ინტერვენციის გასამართლებლად. ამასთან, როგორც უშუალო მეზობელ სახელმწიფოს, სამხრეთ ოსეთში რუსეთს თავისი გეოსტრატეგიული ინტერესები გააჩნია. სერიოზული

⁹⁰² ჯუდიტ ჰოლცგრეფი, „დებატი ჰუმანიტარული ინტერვენციის შესახებ“ Judith L. Holzgrefe, „The Humanitarian Intervention Debate“, in Robert Keohane and Judith Holzgrefe (eds), *Humanitarian Intervention* (Cambridge University Press 2003), 15, გვ. 18.

⁹⁰³ სიმონ ჩესტერმანი, უბრალოდ ომი თუ უბრალოდ მშვიდობა? ჰუმანიტარული ინტერვენცია და საერთაშორისო სამართალი (Simon Chesterman, *Just War or Just Peace? Humanitarian Intervention and International Law* (Oxford University Press 2001), esp. გვ. 226.

⁹⁰⁴ უფრო უსაფრთხო სამყარო: ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა, საფრთხეების, პრობლემებისა და გაერო-ს 2004 წლის 2 დეკემბრის მაღალი დონის პანელის ანგარიში („A more secure world: our shared responsibility“, Report of the High-level Panel on Threats, Challenges and Change of 2 December 2004 (UN-Doc. A/765/565), პარაგრაფი 203; გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია, მსოფლიო სამიტის შედეგები (Resolution adopted by the General Assembly, World Summit Outcome, UN-Doc. A/RES/60/1 of 24 October 2005), პარაგრაფი 139.

გეოსტრატეგიული მოსაზრებების ასეთი ერთობლიობის შემთხვევაში, ჰუმანიტარული ინტერვენცია ნებადართული არა არის.⁹⁰⁵

ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლების ზოგიერთი მხარდამჭერიც კი, აღიარებს, რომ ამგვარი ინტერვენციის კანონიერების ერთ-ერთი პირობა შეიძლება ყოფილიყო კოლექტიური ქმედება, დამყარებული სახელმწიფოთა ჯგუფის, ვთქვათ, ნატო-ს წევრი ქვეყნების მიერ ერთობლივად მიღებულ გადაწყვეტილებაზე.⁹⁰⁶ ერთი ცალკეული სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ცალმხრივი ინტერვენციის შესახებ ვერ დააკმაყოფილებს კანონიერების აღნიშნულ პროცედურულ კრიტერიუმს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მიერ ძალის გამოყენება ვერ იქნება გამართლებული, როგორც ჰუმანიტარული ინტერვენცია.

VIII. არავითარი გამართლება არა აქვს ძალის გამოყენებას, როგორც საკუთარი მოქალაქეების გადარჩენის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ქმედებას

1. რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყენებული არგუმენტაცია

რუსეთის ფედერაციამ თავისი ქმედებების გასამართლებლად, საზღვარგარეთ მყოფი რუსეთის მოქალაქეების დაცვის საჭიროების არგუმენტი მოიშველია. 1993 წლის 12 დეკემბერს მიღებული რუსეთის კონსტიტუციის მუხლის 61 (2) თანახმად, „რუსეთის ფედერაცია უზრუნველყოფს მის საზღვრებს გარეთ მყოფი თავისი მოქალაქეების დაცვასა და მფარველობას.“ 2008 წლის 8 აგვისტოს, პრეზიდენტმა მედვედევმა თავის განცხადებაში სამხრეთ ოსეთში სიტუაციის შესახებ თქვა, რომ „გასულ ღამით, საქართველოს ჯარმა განახორციელა ის, რაც წარმოადგენს აგრესიის აქტს რუსი სამშვიდობო ძალებისა და სამხრეთი ოსეთის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. (...) საქართველოს ქმედებებმა გამოიწვია სიცოცხლის ხელყოფა, მათ შორის, რუსი მშვიდობისმყოფელებისაც. (...) კონსტიტუციისა და ფედერალური კანონების შესაბამისად, ჩემი, როგორც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, მოვალეობაა დავიცვა რუსეთის მოქალაქეების სიცოცხლე და ღირსება, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი.“⁹⁰⁷

⁹⁰⁵ ევროპის პარლამენტი, „ჰუმანიტარულ საფუძველზე ინტერვენციის უფლება“ (European Parliament, „Right to Intervention on Humanitarian Grounds“), Res. A3-022794 of 20 April 1994, პარაგრაფი I 10 d) (OJ 1994 C 128, 225, at 227).

⁹⁰⁶ იოსტ დელბრუკი (Jost Delbrück, „Effektivität des UN-Gewaltverbots – Bedarf es einer Modifikation der Reichweite des Art. 2(9) UN-Charta?“ Die Friedens-Warte 74 (1999), 139-158, გვ. 153; უოლტერ კალინი (Walter Kälin, „Humanitäre Intervention: Legitimation durch Verfahren? Zehn Thesen zur Kosovo-Krise“, SZIER 10 (2000), 159-176, გვ. 170.

⁹⁰⁷ შეგიძლიათ იხილოთ რუსეთის პრეზიდენტი: ოფიციალური ვებ-პორტალი.

http://president.kremlin.ru/eng/speeches/2008/08/08/1553_type82912type82913_205032.shtml. გარდა ამისა, 2008 წლის 31 აგვისტოს პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა: „ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლისა და ღირსების დაცვა, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, ჩვენი ქვეყნის უდავო პრიორიტეტია.“ პრეზიდენტ მედვედევის მიერ რუსეთის პირველი არხისა და ნტვ-სათვის მიცემული ინტერვიუ, სოჭი, 31 აგვისტო, 2008 წ., დევს რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებპორტალზე. იხ.: აგრეთვე, რუსული დოკუმენტი

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა 2008 წლის 9 აგვისტოს განაცხადა, რომ „ჩვენი კონსტიტუციის თანახმად, დაცვის პასუხისმგებლობა გვაკისრია... ეს გახლავთ ტერიტორია, სადაც რუსეთის მოქალაქეები ცხოვრობენ. როგორც რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია, ასევე რუსეთის ფედერაციის კანონებიც აბსოლუტურად გარდაუვალს ხდის ჩვენს მიერ მათი დაცვის ვალდებულების განხორციელებას.“⁹⁰⁸

2. სახელმწიფოებრივი პრაქტიკა

საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად შესაძლებელია საზღვარგარეთ მყოფი საკუთარი მოქალაქეების დაცვით გამართლებული იქნას სამხედრო ოპერაცია. 1945 წლიდან, მრავალმა სახელმწიფომ ჩაატარა სამხედრო ქმედებები საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების დაცვისა და გადარჩენის საჭიროების საფუძველით; მაგრამ ეს ინტერვენციები ხშირად გამოყენებული იყო მხოლოდ საბაზად და სხვა მიზნების, მაგალითად, მთავრობის გადაყენების შესანიღბად.⁹⁰⁹ არც ერთ საერთაშორისო სასამართლოს ან ტრიბუნალს არ მიუღია გადაწყვეტილება საკითხზე, შესაძლებელია თუ არა საზღვარგარეთ მყოფი საკუთარი მოქალაქეების დაცვისა და გადარჩენის მიზეზით გამართლებული იქნას სამხედრო ძალის გამოყენება და თუ შესაძლებელია, რა პირობებში. დიპლომატიურ წრეებში ამ ქმედებებს ჩვეულებრივ, გაკიცხვა მოჰყვება ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ ისინი მხარდაჭერით სარგებლობს.⁹¹⁰

3. არ არსებობს ჩვეულებითი სამართლის რაიმე სპეციალური გამონაკლისი ძალის გამოყენების აკრძალვასთან მიმართებაში

ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ჩვეულებითი სამართალი იძლევა საზღვარგარეთ მყოფი საკუთარი მოქალაქეების გადარჩენის უფლებას. სახელმწიფოების პრაქტიკა და სამართლებრივი მოსაზრებები (*opinio iuris*) არ უჭერს მხარს საზღვარგარეთ მყოფი საკუთარი მოქალაქეების დაცვის ან გადარჩენის მიზნით ინტერვენციის

„პასუხებიკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ 2008 წლის აგვისტოში კავკასიაში განვითარებული მოვლენების სამხედრო ასპექტების შესახებ (Responses to questions on military aspects posited by the IIFMCG on the events that took place in the Caucasus in August 2008“), (მისიას გადაეცა 2009 წლის 8 ივლისს), გვერდები დანომრილი არაა, იხსენიებს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 61-ე მუხლს.

⁹⁰⁸ ბიბისის ინტერვიუ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან, მოსკოვი, 2008 წლის 9 აგვისტო. შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ინფორმაციისა და პრესის დეპარტამენტი, http://www.in.mid.ru/brp_4.nsf/e78a48070f128a7b43256999005bcbb3/f87a3fb7a7f669ebc32574a100262597

⁹⁰⁹ იხ.: გრეი, ძალის გამოყენება (Gray, Use of Force) (ზემოთ შენიშვნა 54), გვ. 88-92, სახელმწიფო პრაქტიკის შესახებ; Kolb, *Ius contra bellum* (ზემოთ შენიშვნა 30), გვ. 317-320, სადოქტრინო დოკუმენტების შესახებ.

⁹¹⁰ ყველაზე საუკეთესო ცნობილი მაგალითია 1976 წელს მომხდარი ენტებეს ინციდენტი. ამ დროს ისრაელის სპეციალურმა სამხედრო შენაერთმა ენტებეს აეროპორტში, უგანდაში ჩაატარა გადარჩენის ოპერაცია, რათა გაეთავისუფლებინათ ისრაელის საჰაერო მგზავრები, რომლებიც მძევლად ჰყავდათ აყვანილი პალესტინელ ტერორისტებს. კიდევ ერთი მაგალითია 120 პირის, მათ შორის, 20 გერმანელის, ევაკუაცია ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში 1997 წელს გერმანული სამხედრო ვერტმფრენის მიერ. ორივე ინციდენტი მცირემასშტაბიანი იყო და სახელმწიფოების უმრავლესობას ისინი არ გაუკიცხავს.

განხორციელების კონკრეტული უფლების, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი საფუძვლის, არსებობას. პირიქით, სახელმწიფოები გამუდმებით უარყოფენ ინტერვენციის კონკრეტულ უფლებას. ის სახელმწიფოები, რომლებსაც საკუთარი მოქალაქეების დაცვის ან გადარჩენის მიზნით განხორციელებული აქვთ მსგავსი ქმედება, თავისი საქციელის გასამართლებლად ყოველთვის იყენებდნენ სხვა მიზეზებს, მაგ., თავდაცვას (იხ. ქვემოთ).⁹¹¹ აქედან გამომდინარე, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, არ არსებობს საზღვარგარეთ მყოფი საკუთარი მოქალაქეების დაცვის ან გადარჩენის რაიმე კონკრეტული უფლება.⁹¹²

შესაბამისად, მსგავსი ოპერაციების გამართლება მხოლოდ სხვა იურიდიული ნორმით შეიძლება. აქ მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ სრულმასშტაბიანი ინტერვენცია ტერიტორიის ოკუპაციის ჩათვლით და მკაცრად შეზღუდული და ფოკუსირებული „ბლიცის“ ტიპის ქმედებები.⁹¹³ თუ საერთოდ შესაძლებელია ამგვარი ქმედებების გამართლებაზე საუბარი, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მხოლოდ „ბლიცის“ ტიპის ქმედებების გამართლება შეიძლება არსებობდეს. „ბლიცის“ ტიპის ქმედება კანონიერია, თუ ის არ ხდება ძალის გამოყენების აკრძალვის სფეროში, ვინაიდან ის სიმძიმის დასაშვებ ზღვარს ქვემოთ რჩება ან/და იმიტომ, რომ ის არ არის „მიმართული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ,“ როგორც ფორმულირებულია გაერო–ს ქარტიის მუხლში 2(4).

მაგრამ, როგორც კი, გადარჩენის ოპერაცია სცდება მინიმალური ინტენსივობის ზღვარს და ამრიგად, მუხლი 2(4) მოქმედების სფეროში ხვდება საკუთარი მოქალაქეების დაცვა, ამ თემზე მომუშავე მეცნერებს შორის გავრცელებული აზრის შესაბამისად, აღარ შეადგენს ძალის გამოყენებისათვის ცალკე, დამატებით გამამართლებელ საბუთს. სავარაუდოდ, არ არსებობს არც ერთი ცალკეული შემთხვევა სახელმწიფო პრაქტიკაში, სადაც სახელმწიფოს მიზეზად მხოლოდ თავისი მოქალაქეების დაცვის დამოუკიდებელი, კონკრეტული უფლება აქვს მოყვანილი, რომელიმე კლასიკური გამამართლებელი გარემოების გამოყენების გარეშე.⁹¹⁴ სახელმწიფოების პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე სახელმწიფოს მიერ სამხედრო ინტერვენციის გასამართლებლად წარმოდენილი არგუმენტი მოქალაქეების დაცვის აუცილებლობის თაობაზე უკლებლივ ყველა სახელმწიფოს მიეღოს. ძირითადად, ამგვარი ქმედებები დაგმობილია ხოლმე სახელმწიფოების მიერ, მაგალითად, როგორც ეს მოხდა კონგოს,

⁹¹¹ იხ.: Corten, *Le droit contre la guerre* (ზემოთ შენიშვნა 6), გვ. 803-804, სახელმწიფოების პრაქტიკის ფართო მიმოხილვით.

⁹¹² რანდელ ცოფერი, მუხლი 2(4) (ზემოთ შენიშვნა 41), პარაგრაფები 59-60; Corten, *Le droit contre la guerre* (ზემოთ შენიშვნა 6), გვ.792.

⁹¹³ როგორც ენტებს ინციდენტის შემთხვევაში (იხ.: ზემოთ შენიშვნა 202).

⁹¹⁴ Corten, *Le droit contre la guerre* (ზემოთ შენიშვნა 6), გვ. 788 და 803. მაგალითად, ისრაელი დაეყრდნო გაეროს ქარტიის 51-ე მუხლს, ენტებში განხორციელებული ქმედების გასამართლებლად (გაეროს დოკუმენტი S/PV. 1939, 9 ივლისი 1974წ., მოცემულია ILM 15-ში (1976) გვ.1228-1231. აგრეთვე, იხ.: Robert Kolb-ის ნაშრომში, „რბილი“ უფლების აღიარების ქვეშ ძალიან შემზღუდავ პირობებში admitting a „soft“ entitlement under very restrictive conditions (Kolb, *Ius contra bellum* (ზემოთ შენიშვნა 30), გვ. 318).

გრენადისა და პანამის შემთხვევებში.⁹¹⁵ პოლიტიკის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, აღნიშნული პრინციპის კეთილსინდისიერი მიღებისაგან თავშეკავებას ადგილი აქვს იმიტომ, რომ არსებობს ამ ნორმის ბოროტად გამოყენების საფრთხე. რომ შევაჯამოთ, საზღვარგარეთ მყოფი საკუთარი მოქალაქეების დაცვა არ წარმოადგენს გამონაკლისს ძალის გამოყენების აკრძალვისათვის და, შესაბამისად, არ იძლევა სამართლებრივ საფუძველს სამხედრო ინტერვენციის გასამართლებლად.⁹¹⁶

4. რუსი მოქალაქეების გადარჩენა, როგორც თავდაცვის მაგალითი?

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე განაცხადა, რომ „საზღვარგარეთ მყოფი რუსეთის იმ მოქალაქეების დაცვა, რომლებიც სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე იმყოფებოდნენ, წარმოადგენს *საფუძველს თავდაცვის უფლების განხორციელებისათვის*.“⁹¹⁷

ანტონიო კასესი აცხადებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების არსებულ პირობებში, როდესაც ასე ხშირია სამოქალაქო ომები, რომლებიც სხვა ქვეყნის მოქალაქეების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიან, გამართლებულია გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის ფართოდ გამოყენება. ის გვთავაზობს, რომ წესდებამ არ გააუქმოს საზღვარგარეთ საკუთარი მოქალაქეების უკიდურესი საფრთხისაგან დასაცავად სამხედრო ძალის გამოყენების უფრო ძველი ჩვეულებითი სამართლის უფლების ნორმა, რომელიც განსაკუთრებით გამყარდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. კასესი შემდგომში აღნიშნავს, რომ ეს ძველი უფლება შეიძლება 51-ე მუხლში გაერთიანდეს, თუ დაკმაყოფილდება რამდენიმე ძალიან მკაცრი პირობა. ეს პირობები შემდეგია: უნდა არსებობდეს მოქალაქეებისათვის ძალიან სერიოზული საფრთხე, არავითარი სხვა მშვიდობიანი საშუალება არ უნდა არსებობდეს, ძალის გამოყენება საფრთხის მიმართ მკაცრად პროპორციული უნდა იყოს, ძალის გამოყენება უნდა შეწყდეს მაშინვე, როგორც კი, მოქალაქეები სამშვიდობოს იქნებიან გასული, შეტყობინება უნდა გაეგზავნოს უშიშროების საბჭოს და მსხვერპლმა უნდა მიიღოს კომპენსაცია.⁹¹⁸

აქ ძირითადი არგუმენტია, რომ სახელმწიფოს მოქალაქეების საფრთხის ქვეშ მოქცევა და

⁹¹⁵ Corten, *Le droit contre la guerre* (ზემოთ შენიშვნა 6), გვ. 791, გამოყენებული ლიტერატურით. მაგრამ აგრეთვე იხ.: გრეი, ძალის გამოყენება (Gray, *Use of Force*) (ზემოთ შენიშვნა 54), გვ. 159. ჩანდა, თითქოს მესამე სახელმწიფოებს სურდათ განეხორციელებინათ მოქალაქეების ძალისმიერი ევაკუაცია.

⁹¹⁶ დინსტეინი, ომი (Dinstein, *War*) (ზემოთ შენიშვნა 55), გვ. 201; Corten, *Le droit contre la guerre* (ზემოთ შენიშვნა 6), გვ. 792.

⁹¹⁷ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, 2009, ჩვეულებრივი სესია, ანგარიში, მეხუთე სხდომა, 28 იანვარი, 2009 წ., დანართი. 2 (ხაზგასმა დამატებულია). ლავროვმა აგრეთვე განაცხადა: „რუსეთმა გამოიყენა, პირველ რიგში, თავის დაცვის განუყოფელი უფლება, ვინაიდან საქართველო დაესხა თავს მის სამშვიდობო ძალებს - რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს.“

⁹¹⁸ კასესი, *Cassese in Cot/Pellet/Forteau* (ზემოთ შენიშვნა 186), მუხლი 51, გვ. 1350. მსგავსი კრიტერიუმები ჩამოაყალიბეს სხვა ავტორებმაც, დაწყებული დიდი ბრიტანეთის იურიდიული მრჩეველით, რათა გაემართლებინა ბრიტანეთის მოქალაქეების გადარჩენა სუეცის კრიზისის დროს 1956 წელს. იხ.: გამოყენებული ლიტერატურა გრეის „ძალის გამოყენებაში“ (Gray, *Use of Force* (ზემოთ შენიშვნა 54), p. 158.

უფლებების დარღვევა ამ მოქალაქეებზე „შეიარაღებულ თავდასხმას“ უტოლდება. ერთ-ერთი შესაძლო, მაგრამ არადადამაჯერებელი არგუმენტის მიხედვით, ვინაიდან მოქალაქეები სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ ელემენტს შეადგენს, „შეიარაღებული თავდასხმა“ მოქალაქეებზე შეიძლება განხილულ იქნას, როგორც შეიარაღებული თავდასხმა ტერიტორიაზე და სწორედ ამიტომ თავდაცვის მექანიზმის ამუშავება შეიძლება გამოიწვიოს.

ეს ანალოგია არ არის დამაჯერებელი, ვინაიდან შეზღუდული რაოდენობის პირების საფრთხის ქვეშ მოქცევა, ან თუნდაც, მოკვლა სიმძაფრით ვერ შეედრება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებულ თავდასხმას. განსხვავებით, ტერიტორიაზე თავდასხმისაგან, ერის ცალკეულ წევრებზე თავდასხმა ვერ დააყენებს საფრთხის ქვეშ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ან არსებობას. შესაბამისად, უფრო სწორი პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოში რუსეთის მოქალაქეებზე განხორციელებული თავდასხმა ვერ იქნება მოშველიებული თავდაცვის საფუძვლად.

5. აღნიშნულის მისადაგება ამ კონკრეტულ შემთხვევაზე

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს თავდასხმას რუსეთის მოქალაქეებზე პრინციპულად, შეიძლება შეექმნა სიტუაცია, რომელიც კვალიფიცირდებოდა, როგორც თავდაცვის შემთხვევა - თავდაცვის სამართლებრივი პირობები ჩვენს ხელთ არსებულ შემთხვევაში დაკმაყოფილებული არ იყო.

პირველ რიგში, რუსული ინტერვენცია საქართველოში არ შემოიფარგლებოდა „ბლიცის“ ტიპის ქმედებებით, და არ იყო ორიენტირებული მხოლოდ რუსეთის მოქალაქეების გადარჩენასა და ევაკუირებაზე. მისი ინტენსივობა გასცდა გაერო-ს წესდების მუხლით 2(4) მოთხოვნილი ინტენსივობის მინიმალურ ზღვარს. არ შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო ოპერაცია არ იყო „მიმართული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ,“ ვინაიდან ის ხელს უწყობდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გამოყოფას.

რუსი მოქალაქეების დაცვის კონსტიტუციური ვალდებულება (რუსეთის კონსტიტუციის მუხლი 61(2), ციტირებულია ზემოთ), საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ინტერვენციის გასამართლებლად. ქვეყნის შიდა კანონმდებლობა პრინციპულად ვერ იქნება გამოყენებული საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევის გასამართლებლად.⁹¹⁹ ქვეყნის შიდა საკონსტიტუციო კანონი მაქსიმუმ, შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფოს მიერ მის მიმართ საერთაშორისო სამართლის მიერ დაკისრებული ვალდებულებებისაგან თავდასაცავად, თუ ეს ვალდებულებები ეწინააღმდეგება სახელმწიფოს კონსტიტუციის ძირითად ელემენტებს. მაგრამ აქ საქმე ამ შემთხვევასთან არ გვაქვს, ვინაიდან მუხლი 61(2) არ წარმოადგენს რუსული საკონსტიტუციო სამართლის ძირითად პრინციპს, რომელიც

⁹¹⁹ შეადარეთ საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმოხილვის გათვალისწინებით და პატივისცემით. მუხლი. 26 VCLT.

რუსული კონსტიტუციური იდენტობის განუყოფელი ელემენტია. უფრო მეტიც, გაურკვეველია ეს დებულება რუსეთის ხელისუფლებისაგან როგორ მოითხოვს სამხედრო ქმედებების ჩატარებას. რუსეთი არგუმენტად ვერ მოიყვანს იმას, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება საქართველოს ტერიტორიაზე ინტერვენციისაგან თავის შეკავების თაობაზე მისი კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს არღვევს.

უფრო მეტიც, უნდა გაიმიჯნონ ის მოქალაქეები, რომლებიც დიდი ხანია, რუსეთის მოქალაქეები არიან და მოქალაქეები, რომელთაც რუსეთის მოქალაქეობა სულ ცოტა ხნის წინათ მიიღეს, რუსეთის ფართომასშტაბიანი პოლიტიკის ფარგლებში, როდესაც მოქალაქეობის მინიჭება გამარტივებული პროცედურებით ხდებოდა (იხ. თავი 3 „თანმხლები სამართლებრივი საკითხები“). „ახალი“ რუსების ამ უკანასკნელ ჯგუფთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ინტერვენციის მიზეზად მათი დაცვის მოვალეობის მოყვანა აშკარად უფლების ბოროტად გამოყენებად აღიქმება, ვინაიდან რუსეთმა თვითონ შექმნა ინტერვენციის ეს მიზეზი თავისი პოლიტიკის მეშვეობით.⁹²⁰ ეს განსაკურებით აშკარაა, თუ არ არსებობს რეალური და ჭეშმარიტი კავშირი რუსეთსა და ამ ახალ მოქალაქეებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობისა და ეროვნების მინიჭება სახელმწიფოს სუვერენიტეტული უფლებების სფეროდ *domaine réservé* ითვლება, დიპლომატიური დაცვის მიზნით, საერთაშორისო სამართლის მიერ მოქალაქეობა აღიარებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსახილველ პირებსა და სახელმწიფოს შორის რეალური კავშირი არსებობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს უფლება ენიჭება განახორციელოს დიპლომატიური დაცვა მხოლოდ თავისი „ჭეშმარიტი“ მოქალაქეების მიმართ. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ნოტეჰომის (Nottebohm) საქმეში რეალურ კავშირს „დაცვის განხორციელებასთან მიმართებაში“ შემდეგნაირად აღწერს: უპირატესობა უნდა მიენიჭოს „რეალურ და ჭეშმარიტ მოქალაქეობას, რომელიც შეესაბამება ფაქტებს, რომლებიც ეფუძნება ძლიერ ფაქტობრივ კავშირებს განსახილველ პირსა და ერთ-ერთ სახელმწიფოს შორის, რომლის მოქალაქეობაზეც არის საუბარი. მხედველობაში მიიღება სხვადასხვა ფაქტორები და მათი მნიშვნელობა განსხვავებულია ერთი შემთხვევიდან მეორე შემთხვევამდე. მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება პირის საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ არის სხვა ფაქტორებიც, როგორცაა, მისი ინტერესების სფერო, მისი ოჯახური კავშირები, მისი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მის მიერ გამოვლენილი ერთგულება მოცემული ქვეყნისადმი და გადასული მის შვილებზე და ა. შ.“⁹²¹

⁹²⁰ შეადარეთ: Angelika Nußberger, „Völkerrecht im Kaukasus,“ *Europäische Grundrechte-Zeitschrift* 35 (2008) გვ. 457-466, გვ. 465.

⁹²¹ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, ნოტეჰომის საქმე (მეორე ეტაპი), (ლიხტენშტეინი გვატემალას წინააღმდეგ). გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები, 1955, გვ. 22.

ეს საკმაოდ მკაცრი მოთხოვნა გამოიყენება საზღვარგარეთ სხვა ტიპის დაცვით საქმიანობებთან მიმართებაშიც, სამხედრო დაცვის ჩათვლით.⁹²² ვინაიდან ამ ტიპის თავდაცვითი ქმედება - დიპლომატიური ქმედების საპირისპიროდ - თავისთავად წინააღმდეგობრივი ხასიათის არის. დაცვის განმახორციელებელ სახელმწიფოსა და დაცულ პირებს შორის არსებული კავშირი კიდევ უფრო მჭიდრო უნდა იყოს. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოქალაქეების უმრავლესობის მიმართ, ზემოთ აღწერილის მიხედვით, აშკარაა, რომ ნამდვილი კავშირი არ არსებობს (იხ. ზემოთ თავი 3 „თანმხლები სამართლებრივი საკითხები“).

რომ შევაჯამოთ, საქართველოში რუსეთის ინტერვენციის - როგორც საქართველოში მყოფი რუსეთის მოქალაქეების გადარჩენის ოპერაციის – გამართლება არ შეიძლება.

⁹²² უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიური დაცვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით. „დიპლომატიური“ დაცვის შესაძლებლობა სამხედრო საშუალებებით თავიდან შემოთავაზებული იყო საერთაშორისო კანონის კომისიის სპეციალური მომხსენებლის მიერ, მაგრამ აშკარად უარყოფილი იქნა.იხ.: გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ანგარიში, 58-ე სესია, 1 მაისი-9 ივნისი, 3 ივლისი-11 აგვისტო, 2006, A/61/10, პარაგრაფი 8, გვ. 27. „გაერთიანებული ერების ქარტიის მუხლი 2, პარაგრაფით 4 აკრძალული ძალის გამოყენება არ არის ნებადართული მეთოდი დიპლომატიური დაცვის უფლების განსახორციელებლად.“

ნაწილი 5. ძალის გამოყენება აფხაზეთში

I. ფაქტები

2008 წლის 9 აგვისტოს, დილით, აფხაზეთის ხელისუფლებამ გაერო-ს სადამკვირვებლო მისიას საქართველოში მოსთხოვა დაეტოვებინათ ზემო აფხაზეთი. გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ ტერიტორია დატოვა. ეს იყო ნათელი მინიშნება, რომ სამხედრო ოპერაცია კოდორის ხეობაში გარდაუვალი იყო.

ქართული მხარის მონაცემების მიხედვით, 13:30-14:40 საათამდე რუსი სამხედრო თვითმფრინავი ბომბავდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სოფლებს ზემო კოდორის ხეობაში. 15:50 საათზე აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობამ განაცხადა, რომ მათ გადაწყვიტეს გადაეყვანათ შეიარაღებული ძალები ადმინისტრაციული საზღვრის მიმართულებით და დაეწყოთ სამხედრო ოპერაცია. 10 აგვისტოს, 17:40 საათზე აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა გამოაცხადა მობილიზაცია და საგანგებო მდგომარეობა აფხაზეთის ტერიტორიაზე. 18:30 საათზე რუსეთის ჯარი და აფხაზეთის მილიცია განლაგდა მდინარე ენგურზე, ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ და კოდორის ხეობა არტილერიისა და თვითმფრინავების მიერ დაიბომბა. 11 აგვისტოს, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის ჯარმა და აფხაზეთის მილიციამ სასწრაფოდ დაიწყო ზემო კოდორის ხეობის სოფლების დაკავება და სამოქალაქო მოსახლეობა ევაკუირებულ იქნა.⁹²³

აფხაზური მხარის მიხედვით, საჭაერო შეტევა დაიწყო 9 აგვისტოს, 14:30 სთ-ზე.⁹²⁴ ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიისათვის აფხაზური მხარის მიერ მიწოდებულ მონაცემებში აღნიშნულია, რომ „ოპერაცია ხეობაში ჩატარდა აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ, რაიმე გარე დახმარების გარეშე და მიმდინარეობდა მხოლოდ აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.“⁹²⁵

რუსული მხარის თანახმად, 2008 წლის 9 აგვისტოს, 18:00 საათისათვის აფხაზეთის შეიარაღებულმა ძალებმა გააძლიერეს საჯარისო ნაწილები ტერიტორიაზე, რომელიც განეკუთვნებოდა დსთ-ის მშვიდობისმყოფელთა ძალების სადამკვირვებლო პუნქტს (პუნქტი #107), რათა ჩაეტარებინათ ოპერაცია კოდორის ხეობაში. 2008 წლის 10 აგვისტოს, ღამით, აფხაზეთის შეიარაღებული ძალების შენაერთებმა ჩაატარეს რეიდი მდინარე ენგურის სამხრეთ ნაპირზე, რათა ქართველი სამხედროების არსებობა

⁹²³ დოკუმენტი „რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ძირითადი საომარი მოქმედებები 2004-2007 წლებში“ („Major hostile actions by the Russian Federation against Georgia in 2004-2007“), გვ. 9 და შემდგომი.

⁹²⁴ დოკუმენტი „აფხაზეთის მხრიდან დანახული წყაროები და მიზეზები იმისა, რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა“ („Sources and reasons for what happened in August 2008. View from the Abkhaz side“), გვ. 9, (თარგმანი რუსულიდან).

⁹²⁵ დოკუმენტი „შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების შეხედულებები და ძალის გამოყენების კანონიერება“ („Views of the sides on the armed conflict and the legality of the use of force“) გვ. 10.

დაედგინათ.“ შემდგომში, მათ განაცხადეს, რომ „აფხაზეთის საჯარისო ფორმირებებმა, საჭაერო-სადესანტო ბატალიონის ოპერატიული ძალების მხარდაჭერით, მთელი რიგი მოქმედებები განახორციელეს.“

ფაქტობრივად, ეთნიკური ქართველების უმრავლესობამ დატოვა ზემო კოდორის ხეობა. ტერიტორია აფხაზურმა ძალებმა დაიკავეს, რომელთაც დახმარებას რუსი მედესანტეები უწევდნენ.

II. აფხაზებისა და რუსების შეტევის სამართლებრივი შეფასება: ძალის გამოყენებისა და საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის აკრძალვის დარღვევა

როგორც მე-3 თავში იყო ახსნილი, აფხაზეთი არის სახელმწიფოსმაგვარი სუბიექტი. მასთან მიმართებაში მართებულია ძალის გამოყენების აკრძალვა. ეს აგრეთვე, ნათლად იყო დადასტურებული 1994 წლის მოსკოვის შეთანხმებაში (შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა განცალკევების შესახებ), რომელიც ამბობს: „ქვეყნებმა ზედმიწევნით უნდა დაიცვან მიწაზე, ზღვაზე და ჰაერში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, და თავი უნდა შეიკავონ ერთმანეთის წინააღმდეგ ყოველგვარი სამხედრო ოპერაციების წარმოებისაგან.“⁹²⁶

მიუხედავად იმისა, რომ კოდორის ხეობაში არ იყო ნათლად გამოკვეთილი ცეცხლის შეწყვეტის ხაზი, მოსკოვის შეთანხმების დებულებების მიხედვით, ზემო კოდორის ხეობა აფხაზეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს არ განეკუთვნებოდა. ამიტომ, ზემო კოდორის ხეობის დაკავება აფხაზური ძალების მიერ რუსი მედესანტეების დახმარებით, შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც წესდების მუხლი 2(4)-ის დარღვევა, და უფრო მეტიც, გაეროს წესდების 51-ე მუხლის მიხედვით ის კვალიფიცირდება, როგორც „შეიარაღებული თავდასხმა“ საქართველოზე.⁹²⁷

III. ქართული ოპერაციის სამართლებრივი შეფასება: თავდაცვა

სამხედრო ოპერაცია ზემო კოდორის ხეობაზე, ზემოთ ახსნილი მიზეზების მიხედვით, იყო საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმა. საქართველოს მხრიდან ძალის გამოყენება იყო გამართლებული, ვინაიდან ეს იყო თავდაცვის საშუალება.

IV. გამართლება არ აქვს აფხაზებისა და რუსების მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენებას

1. აფხაზეთისა და რუსეთის არგუმენტაცია

⁹²⁶ შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების განცალკევების შესახებ, ხელმოწერილია 1994 წლის 14 მაისს, მოსკოვში.

⁹²⁷ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, მუხლები 3(ა), (ბ), და (დ) რეზოლუცია 3314.

აფხაზური მხარე ძალის გამოყენებას ოთხი ძირითადი მიზეზით ხსნის. პირველი, აფხაზეთმა განაცხადა, რომ ოპერაცია „დაიწყო კოდორის ხეობის გასათავისუფლებლად.“⁹²⁸

მეორე, აფხაზეთმა განაცხადა, რომ სამხედრო მოქმედებები აუცილებელი იყო ტერორისტული შეტევისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. ამრიგად, ლტოლვილების დაბრუნებისთვის ხელის შეშლის ახსნის კონტექსტში ნათქვამია, რომ „ავვისტოს მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველოს სპეციალურმა სამსახურებმა აფხაზეთის ქალაქებში ჩაატარეს ტერორისტული შეტევების სერია და ისინი მიმართული იყო სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. 2008 წლის 6 ივლისის ტერორისტული შეტევის შედეგად, ქალაქ გალში დაშავდა უდანაშაულო ხალხი, სადაც დაიღუპა ოთხი ადამიანი და ზოგიერთმა სერიოზული დაზიანებები მიიღო.“⁹²⁹

მესამე, აფხაზეთმა განაცხადა, რომ ის თავს იცავდა საქართველოს მხრიდან გარდაუვალი შემოტევისაგან. ამ მხრივ, თავის მიმართვაში 9 აგვისტოს, 13:00 საათზე აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა განაცხადა: „გასულ ღამეს, უსაფრთხოების ზონაში მომხდარ სამხედრო პროვოკაციებთან დაკავშირებით, როდესაც ქართული მხრიდან ცეცხლი გაუხსნეს აფხაზეთის პოსტს, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, გადაგვეყვანა აფხაზეთის ჯარის ქვედანაყოფები გალის რაიონში, სამშვიდობო ძალების ერთობლივი პასუხისმგებლობის ზონაში. მშვიდობისმყოფელთა მეთაური და გაერო-ს მისია ინფორმირებული იყო ჩვენი ყველა მოქმედების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სრულად ვაცნობიერებდით, რომ ამ გზით აფხაზეთი არღვევს მოსკოვის შეთანხმებას და სრული გაგებით, რომ ეს არის მოსკოვის შეთანხმების დარღვევა, ჩვენ მაინც მივიღეთ გადაწყვეტილება, ვინაიდან არ არსებობდა რაიმე სხვა გამოსავალი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენი ქმედებები სრულიად გამართლებულია. ისინი მიზნად ისახავდა ადამიანების, აფხაზეთის სახელმწიფოს

⁹²⁸ „პასუხები გასული აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების შესახებ დასმულ კითხვებზე“ („Replies to questions on legal issues related to the event of last August“), აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ კავკასიაში 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების საგამოძიებო მისიისათვის მომზადებული დოკუმენტი, გვერდები დანომრილი არაა, პასუხი 8 მე-8 გვერდზე. ამ აზრს აფხაზეთი იმეორებს დოკუმენტში „აფხაზეთის მხრიდან დანახული წყაროები და მიზეზები იმისა, რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა“ (2008 წლის აგვისტოს მოვლენების მოკლე მიმოხილვა): „...რომ ეს მოხდა მხოლოდ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ, როდესაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმ პლაცდარმის დაბრუნების (გათავისუფლების) შესახებ, რომელიც ნებისმიერ მომენტში შესაძლებელი იყო გამოყენებულ ყოფილიყო აფხაზეთის წინააღმდეგ.“ დოკუმენტი გვერდზე 10 „განიხილავს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს და ძალის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს.“

⁹²⁹ „პასუხები გასული აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების შესახებ დასმულ შეკითხვებზე“ („Replies to questions on legal issues related to the event of last August“), აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ კავკასიაში 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების საგამოძიებო მისიისათვის მომზადებული დოკუმენტი, გვერდები დანომრილი არაა, მე-6 გვერდზე.

უსაფრთხოების უზრუნველყოფას.⁹³⁰ საომარი მდგომარეობის შემოღება შემდეგნაირად იყო ახსნილი: „საომარი მდგომარეობა შემოღებულ იქნა საქართველოს მხრიდან სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული შეტევის განხორციელების გამო და აგრეთვე, აფხაზეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს მხრიდან აგრესიის საფრთხესთან დაკავშირებით...“⁹³¹

მეოთხე, აფხაზეთი ირწმუნება, რომ ის ვალდებული იყო „გაეხსნა მეორე ფრონტი,“ რათა გადმოეტანა ქართული ძალების ყურადღება სამხრეთ ოსეთიდან. ეს სავარაუდო ვალდებულება გამომდინარეობს აფხაზეთის რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის არსებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებიდან, რომელიც 2005 წლის 19 სექტემბერს გაფორმდა.

რუსეთის განმარტებით, „მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ქართულ მხარეს აფხაზეთზე თავდასხმა არ განუხორციელებია, რუსული საჯარისო შენაერთების დამატებით განლაგება ტერიტორიაზე აუცილებელი იყო, რადგან არსებობდა უტყუარი მიზეზები დაგვეჯერებინა, რომ როგორც კი, სამხრეთ ოსეთის საკითხი გადაწყდებოდა, აფხაზეთის წინააღმდეგ აუცილებლად დაიწყებოდა ამა თუ იმ ზომის თავდასხმა. მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ საქართველოს ნამდვილად გააჩნდა ამგვარი გეგმები, ამყარებდა რუსული და აფხაზური სადაზვერვო სამსახურების მიერ მოპოვებული ინფორმაცია.“⁹³²

ყველა ეს მოცემული არგუმენტი შეიძლება წარმოადგენდეს სამართლებრივად მისაღებ გამართლებას, თუ ისინი საქართველოს მხრიდან აფხაზეთზე განხორციელებულ თავდასხმაზე მიუთითებენ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნებოდა საქართველოს მხრიდან აფხაზეთზე განხორციელებულ თავდასხმას (რაც არ მომხდარა, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები), მაშინ აფხაზეთს შეეძლო ესაუბრა თავდაცვის შესახებ.

რუსეთის ჩართვა გამართლებული ვერ იქნება, როგორც ერთობლივი თავდაცვა აფხაზეთის სასარგებლოდ, ვინაიდან მესამე მხარის ჩართვა შიდა სამხედრო

⁹³⁰ დოკუმენტი „აფხაზეთის მხრიდან დანახული წყაროები და მიზეზები იმისა, რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა“ (პოლიტიკური და სამხედრო ასპექტების შეჯერება“, ქვესათაური „მოვლენების ქრონოლოგია“, (“Sources and reasons for what happened in August 2008”. View from the Abkhaz side (“putting together political and military aspects”) მომზადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ თავდაცვის სამინისტროსთან და აფხაზეთის რესპუბლიკის SGB-სთან ერთად, კავკასიაში აგვისტოში განვითარებული მოვლენების ოფიციალური საგამომიებო საერთაშორისო კომისიისათვის წარსადგენად, გვ. 9, ციტატა ქვეთავიდან (9 აგვისტო, 2008 წელი), გვ. 9, (არაოფიციალური თარგმანი).

⁹³¹ იქვე, ქვესათაურში „10 აგვისტო“, გვ. 9 (არაოფიციალური თარგმანი).

⁹³² რუსული დოკუმენტი „პასუხები დამატებით შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებლო მისიის მიერ 2008 წლის აგვისტოში კავკასიაში განვითარებული მოვლენების შესახებ (სამართლებრივი ასპექტები)“ (“Responses to additional questions posited by the IIFFMCG on the events that took place in the Caucasus in August 2008 (legal aspects)”), გვერდები დანომრილი არაა, გვერდებზე 1-2.

კონფლიქტში სეპარატისტული მხარის მხარდაჭერის მიზნით, ნებადართული არ არის ზემოაღნიშნული მიზეზების გამო.

2. არავითარ ადრეულ „შეიარაღებულ თავდასხმას“ საქართველოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია

ა) საქართველოს მხრიდან კოდორის ხეობაში ქართული სამხედრო ოპერაცია არ ჩატარებულა

აფხაზეთი ამტკიცებს, რომ მას უნდა „გაეთავისუფლებინა“ კოდორის ხეობა. ამით ის მინიშნებას აკეთებს საქართველოს ოპერაციაზე ან აფხაზეთის ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციაზე. მსგავსი ქმედება გაერო-ს რეზოლუციის R3314 მუხლის 3 (a) მიხედვით შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც „აგრესია.“ შესაბამისად, როგორც შეიარაღებული თავდასხმა გაეროს წესდების 51-ე მუხლის მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთს შეიძლება სახელმწიფოს მსგავსი სუბიექტის ყველა ნიშან-თვისება ახასიათებდეს, საერთაშორისო სამართლის მიხედვით მას გამოყოფის უფლება არ ჰქონდა (იხ. თავი 3 „თანმხლები სამართლებრივი საკითხები“). აფხაზეთს ამ ტერიტორიაზე კანონიერი უფლება არ გააჩნდა. ეს აგრეთვე, გამომდინარეობს მოსკოვის შეთანხმებიდან, რომლის მიხედვითაც, კოდორის ხეობა აფხაზეთის იურისდიქციის ფარგლებს გარეთაა.

დასკვნები: სწორედ ამ მიზეზების გამო, ქართული პოლიციის ან სამხედროების ყოფნა კოდორის ხეობაზე არ შეიძლება ჩაითვალოს აფხაზეთზე განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმად.

ბ) საქართველოს მიერ ორგანიზებულ ადრინდელ ტერორისტულ თავდასხმებს ადგილი არ ჰქონია

აფხაზეთის სამხედრო ოპერაციის გამართლება ვერ მოხერხდება დაუდასტურებელი ადრინდელი ტერორისტული თავდასხმებით, რომლებიც საქართველოს მიეწერება. საქართველოს მონაწილეობა გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ ეს ვერ დაადასტურა.

ც) მთლიანობაში აფხაზეთზე საქართველოს მხრიდან გარდაუვალი შეიარაღებული თავდასხმის განხორციელების საშიშროება არ არსებობდა

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ერთობ სადაოა, რამდენად იძლევა „გარდაუვალი თავდასხმის“ ცნება თავდაცვის უფლებას. ნებისმიერ შემთხვევაში, აფხაზეთი ვერ ამტკიცებს, რომ საქართველოს მხრიდან მთლიანობაში აფხაზეთზე თავდასხმა გარდაუვალი იყო. მაშინ, როდესაც აფხაზეთმა, რუსეთის დახმარებით, კოდორის ხეობაზე ოპერაცია წამოიწყო - ქართული საჯარისო ფორმირებები უკვე „გარბოდნენ.“ კიდევაც რომ ყოფილიყო აფხაზეთზე თავდასხმის განხორციელების ქართული გეგმა, ამკარად ჩანდა, რომ 2008 წლის 9 აგვისტოს ამგვარი თავდასხმა არც „გარდაუვალი“ იყო

და არც პრაქტიკულად, განხორციელებადი. საერთაშორისო სამართალში არ არის ნებადართული თავდაცვა სავარაუდო თავდასხმებისაგან ან იმ თავდასხმებისაგან, რომლებიც შესაძლოა დაგეგმილი იყო, მაგრამ არასოდეს განხორციელებულა.

3. აფხაზეთის მიერ სამხრეთი ოსეთისათვის გაწეული სამხედრო დახმარება

როგორც ზემოთ აღინიშნა, არც კოლექტიური თავდაცვა და არც მიწვევით ინტერვენციის პრინციპი არ წარმოადგენს სამხრეთ ოსეთისათვის რუსეთის მიერ აღმოჩენილი სამხედრო დახმარების გამამართლებელ გარემოებას. აფხაზეთის სამხედრო მოქმედებები სამხრეთ ოსეთისთვის დახმარებასაც კი არ წარმოადგენდა, ისინი მიზნად ისახავდა დამატებითი ტერიტორიების დაპყრობას. ამიტომაც, ისინი ვერ ჩაითვლება სამხრეთ ოსეთის დახმარებად კოლექტიური თავდაცვის საქმეში.

4. დასკვნა

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, აფხაზეთის მიერ ძალის გამოყენება არ არის გამართლებული და ამიტომ ის უკანონო იყო.

იგივე ეხება რუსეთის ხელშეწყობას აფხაზეთისათვის ამ უკანასკნელის მიერ ძალის გამოყენებაში.

თავი 7

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა სამართალი

I. შესავალი 297

II. შესაბამისი საერთაშორისო სამართალი 298

A. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი 298

- a) საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი 300
- b) საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს მიესადაგება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, რუსეთის მიერ აფხაზეთის/ოსეთის ძალების კონტროლის გათვალისწინებით 301
- c) სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი 304

B. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი 312

- a) შესაბამისი საერთაშორისო სახელშეკრულებლო სამართალი 313
- b) ექსტრატერიტორიული გამოყენება 314
- c) გადაცდომები 316
- d) კავშირი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან 318

C. სამართლებრივი ჩარჩო იძულებით გადაადგილებული პირებისათვის 318

III. ძირითადი ფაქტები და მათთან დაკავშირებული სამართლებრივი შეფასება 320

A. საომარი მოქმედებების განხორციელება 321

- a) თავდასხმის სამიზნეები 324
 - (i) სავარაუდო თავდასხმა სამშვიდობო ძალებზე 324
 - (ii) ობიექტები 327
 - 1. ადმინისტრაციული შენობები 327
 - 2. სკოლები 328
 - 3. საავადმყოფოები 329
 - 4. ავტომობილები 330
 - 5. სახლები და საცხოვრებელი შენობები 332
 - 6. კულტურული ობიექტები, მონუმენტები, მუზეუმები და ეკლესიები 335
- b) განურჩეველი შეტევები არაპროპორციული შეტევების ჩათვლით 337
 - (i) გამოყენებული იარაღის ტიპები და გზები, რომლითაც ისინი იყო გამოყენებული 338
 - (ii) განურჩეველი თავდასხმები რუსეთისა და საქართველოს მხრიდან 343
- c) გამაფრთხილებელი ზომები თავდასხმების დროს 346
- d) პასიური გამაფრთხილებელი ზომები და ადამიანური საფარი 350

B. ადამიანებისა და საკუთრების მიმართ მოპყრობა ცვლადი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე 351

- a) სადამსჯელო ღონისძიებათა შეჯამება 353

- b) გაუპატიურება, სექსუალური და სქესთან დაკავშირებული ძალადობა 355
- c) ცუდად მოპყრობა და წამება 358
- d) მებრძოლთა დაპატიმრება 359
- e) სამოქალაქო პირების დაკავება, უმიზეზო დაკავებები, გატაცების შემთხვევები და ტყვედ აყვანა 361
- f) ძარცვა და განადგურება 362
- g) საკუთრების განადგურება 365
- h) კანონისა და მართლწესრიგის შენარჩუნება 370

C. დაკარგული და გარდაცვლილი ადამიანები 375

D. იძულებითი გადაადგილება 378

- a) ციფრები 380
- b) თავისუფალი ან ძალდატანებითი გადაადგილების აკრძალვა და გადაადგილების მიზეზები 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მის შემდეგ 382
 - (i) გამოყენებული სამართლებრივი ნორმა 382
 - (ii) გადაადგილების ხასიათი და მიზეზები 383
- c) განცხადება ქართველების წინააღმდეგ ეთნიკური წმენდის შესახებ 389
- d) ადგილნაცვალი პირების მოპყრობა 394
- e) უკან დაბრუნების უფლება და ხელშეშლელი პირობები 395
 - (i) უკან დაბრუნების უფლება საერთაშორისო სამართლის მიხედვით 395
 - (ii) წინააღმდეგობები უკან დაბრუნების უფლების სრულად გამოყენებისათვის 396
- f) საკუთრების უფლების დაცვა 402

E. ადამიანის უფლებების პატივისცემა, უმცირესობების წინააღმდეგ დისკრიმინაცია 405

- a) 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის წინა პერიოდში ადამიანის უფლებებისა და უმცირესობების წინააღმდეგ დისკრიმინაციის მიმოხილვა 406
 - a) საფუძველი 409
 - (i) ეთნიკური წარმომავლობა 409
 - (ii) პასპორტების გაცემის საკითხები 409
- c) შეზღუდული უფლებები და გამიზნული დისკრიმინაცია 411

F. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევების გამოკვლევა და აღსრულება 416

G. აღდგენა 420

IV. განცხადებები გენოციდის შესახებ 421

V. ძირითადი მიგნებები და დაკვირვებები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის კუთხით 429

- a) ძირითადი მიგნებები 429
- b) მიღებული გამოცდილება 432

ც) შემდგომი პრევენციული ღონისძიებები და რეკომენდაციები 433

VI. საერთაშორისო სასამართლოებში შეტანილი სარჩელები 437

I. შესავალი

ამ თავის სტრუქტურა აგებულია იმ თემატური საკითხების მიხედვით, რომლებიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ადამიანის უფლებათა სამართლისა და იძულებით გადაადგილებული პირების სამართლიდან გამომდინარეობს. მართალია, უპირველესი ამოცანა კონფლიქტის წარმოშობისა და მიმართულებასთან დაკავშირებული ფაქტების გამოვლენაა, მაგრამ არის ორი ძირითადი მიზეზი, რის გამოც სტრუქტურა არ შემოიფარგლება მხოლოდ ნარატივით და ფაქტების აღწერით. პირველ რიგში, მისიის მანდატი შედგენილია საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის მიხედვით და კონფლიქტის პროცესში გამოთმქული ბრალდებების გამო, ომის დანაშაულის ჩათვლით. გარდა ამისა, ამოცანა მოითხოვდა ამ ფაქტების სამართლებრივ შეფასებას და შემოთავაზებული სტრუქტურა თავიდან აგვაცილებს განმეორებებს ფაქტების ნაწილსა და სამართლებრივი შეფასების ნაწილს შორის.

ზემოხსენებული შენიშვნების გათვალისწინებით, ამ თავში მოცემულია შესაბამისი მოქმედი საერთაშორისო სამართლის მოკლე მიმოხილვა. შემდგომში ის მიზნად ისახავს რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების ძირითადი ფაქტების თემატურ წარმოდგენას. ასევე, ხდება მათი შემოწმება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის მიხედვით, რაც ზემოთ არის აღნიშნული. თითოეული თემატური საკითხისათვის მოცემული იქნება შესაბამისი ძირითადი წესები, რის შემდეგაც დადგინდება ფაქტები და მომზადდება დასკვნა, რის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ვიმსჯელოთ, იყო თუ არა დარღვევები. იქ, სადაც ზოგიერთი ფაქტის დადგენა ვერ ხერხდება, შესაბამისად, ვერც მათი სამართლებრივი შეფასება ჩატარდება, მაგრამ ნთლად მოხდება დასკვნის სახით სხვა ალტერნატივების განხილვა. თითოეული თემატური საკითხისათვის, როდესაც ამის საჭიროება იქნება, მოცემული იქნება სხვაობები სამ ტერიტორიას შორის (სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი და დანარჩენი საქართველო).

ფაქტების მომძიებელი მისია ხაზს უსვამს, რომ მის მიერ სახელების, ტერმინებისა და გამოთქმების გამოყენება, განსაკუთრებით, კონფლიქტის რეგიონებთან მიმართებაში, არ უნდა იყოს გაგებული, როგორც რაიმე ფორმით აღიარება ან არაღიარება, ან რაიმე სხვა პოლიტიკური ქვე-ტექსტის მქონე. აგრეთვე, შესაძლებელია საჭირო იყოს სპეციალური წერილობითი გაფრთხილება, ვინაიდან გაკეთებულია განცხადებები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევების შესახებ, ასევე ომის დანაშაულებებისა და გენოციდის შესახებ. მისია, ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ სწორედ ამ განცხადებების გამოსაკვლევად მიავლინა. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მისიამ მუშაობა მხოლოდ, 2008 წლის ბოლოს დაიწყო. აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა, რომ მის მიერ ფაქტების მოძიება დაყრდნობოდა იმ გამოძიებას, რომელიც ჩატარდა უშუალოდ კონფლიქტის შემდეგ, მთელი რიგი რეგიონული ორგანიზაციების მიერ, როგორებიცაა, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევროსაბჭო, აგრეთვე, ისეთი აღიარებული

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორებიცაა: „ჰუმან რაიტს უოჩი“ (Human Rights Watch), „ამნესტი ინტერნეიშნლ“ (Amnesty International), კრიზისის საერთაშორისო ჯგუფი და სხვ. მისიას აგრეთვე, რამდენიმე შეხვედრა ჰქონდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებთან. ამასთან, მისიამ მოახერხა მტკიცებულებები მოეპოვებინა უშუალო მოწმეებისა და მსხვერპლებისაგან. აღსანიშნავია, რომ შედგენილი ფაქტობრივი საფუძველი შეიძლება ადექვატურად ჩაითვალოს ფაქტების მოძიებისათვის, მაგრამ არა სხვა მიზნით გამოსაყენებლად. ეს მოიცავს სასამართლო სარჩელებს, რომლებიც წარდგენილია საერთაშორისო სასამართლოებში, აგრეთვე, სხვა საქმეებს.

II. შესაბამისი საერთაშორისო სამართალი

შესაბამის იურიდიულ საფუძველს ქმნის ნორმათა ორი კრებული: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა სამართალი. პირველი, საერთაშორისო სამართლის ორივე მიმართულება შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდს მიესადაგება. მეორე, იმის გამო, რომ წინამდებარე ანგარიში მოიცავს უფრო ხანგრძლივ პერიოდს, ვიდრე შეიარაღებული კონფლიქტი, მას აგრეთვე პირდაპირ მიესადაგება ადამიანის უფლებათა სამართალიც.

ადგილნაცვალ პირთა შესახებ საკითხი სპეციფიურია და იმართება როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალით, ასევე ადამიანის უფლებათა სამართალითაც. გარდა ამისა, სახელმძღვანელო პრინციპებისა თუ წესების განსხვავებული ნაკრებებით, იმის მიხედვით, თუ როგორ არიან ისინი კლასიფიცირებული – როგორც იძულებით გადაადგილებული პირი, თუ როგორც ლტოლვილი.

და ბოლოს, შესაბამისი იურიდიული ჩარჩოს მნიშვნელოვან ნაწილს აგრეთვე, შეადგენს საჯარო საერთაშორისო სამართლის სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ნორმები და საერთაშორისო სისხლის სამართალი. ომის დანაშაულებების შემთხვევებში, თავს იჩენს პიროვნული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, კერძოდ, როდესაც ადგილი აქვს ჟენევის კონვენციის ან I დამატებითი პროტოკოლის სერიოზულ დარღვევებს.

A. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (IHL) არეგულირებს სამოარო მოქმედებების გამოვლინებას და იცავს ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ ან აღარ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, რათა შეიზღუდოს ომის ზემოქმედება. მისი უმთავრესი მიზანია გარკვეული პირებისა და ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გამოყენებული იმის მიხედვით, თუ რა ხასიათი აქვს შეიარაღებულ კონფლიქტს (ის შეიძლება განვიხილოთ როგორც საერთაშორისო ან არასაერთაშორისო შეიარაღებული

კონფლიქტი), ორივე ტიპის კონფლიქტში ჰუმანიტარული მიზნები უცვლელად ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ეს შეიძლება ნაჩვენები იქნას საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის და არა – საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტისათვის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესების მაგალითზე.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი განეკუთვნება როგორც კონვენციურ, ასევე ჩვეულებით სამართალს. როგორც საქართველო, ასევე რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულების, მათ შორის, 1949 წლის ჟენევის ოთხი კონვენციის და 1977 წლის მისი ორი დამატებითი ოქმის, ამასთან, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული საკუთრების დაცვის 1954 წლის კონვენციის მონაწილე ქვეყნებია. რუსეთის ფედერაცია აგრეთვე, არის შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ 1972 წლის ჰააგის კონვენციის (IV) მონაწილე სახელმწიფო. გარდა ამისა, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ამ უკანასკნელ ხელშეკრულებაში შესული წესები შემდგომში, ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნაწილი გახდა.⁹³³

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სახელშეკრულებლო კანონები ბევრად უფრო ნაკლებადაა განვითარებული არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტისათვის, ვიდრე ნორმების კრებული საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტისათვის. ეს უკანასკნელი უპირველესად, მოიცავს ჟენევის კონვენციის მე-3 ზოგად მუხლს და II დამატებით პროტოკოლს. ამჟამად საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ შეიარაღებული კონფლიქტებისთვის გამოყენებული ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ბევრად სცილდება ამ დებულებებს⁹³⁴ და აწესებს საომარი მოქმედებების წარმოების ფუნდამენტურ პრინციპებს.

საკითხი იმაში მდგომარეობს, კვლავ მოქმედებს თუ არა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტთან მიმართებაში მას შემდეგ, რაც 2008 წლის 12 აგვისტოს განხორციელდა ცეცხლის შეწყვეტა. უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ადვილია იმის განსაზღვრა, თუ როდის იწყებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოქმედებას, მაგრამ შედარებით უფრო ძნელია იმ მომენტის განსაზღვრა,

⁹³³ აგრეთვე, იხ.: პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის აგების სამართლებრივი შედეგები, მრჩეველთა მოსაზრება. გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები 2004 (Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, Advisory Opinion, ICJ Reports 2004), გვ. 172, პარაგრაფი 89.

⁹³⁴ პროკურორი ტადიჩის წინააღმდეგ, IT-94-1-AR72, თავდაცვის შესახებ გადაწყვეტილების გამო შუალედური საჩივრის იურისდიქცია („Decision on the Defence Motion for Interlocutory Appeal on Jurisdiction“), 2 ოქტომბერი, 1995, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ტომები I და II, კემბრიჯი, Cambridge, ICRC, Cambridge University Press, 2005. ICRC-ის მიერ განსაზღვრული 161 კანონიდან 159 მიესადაგება არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს. ჯ. მ. ჰენკერტსი, „ჩვეულებრივი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კვლევა: კანონის უზენაესობის უკეთ გაგების და პატივისცემის ხელშეწყობა შეიარაღებული კონფლიქტის დროს“ (“Study on customary international humanitarian law: A contribution to the understanding and respect for the rule of law in armed conflict”); წითელი ჯვრის საერთაშორისო მიმოხილვა, ტ. 857, 2005. გვ. 189.

როდესაც ის ასრულებს მოქმედებას, რაც ძირითადად განპირობებულია იმით, რომ კონვენციურ სამართალში სხვადასხვა ფორმულირებები გამოიყენება. მაგალითად, ჟენევის IV კონვენციაში ნახსენებია „სამხედრო ოპერაციების საერთო დახურვა“ (მუხლი 6 (2)), მაშინ, როდესაც II დამატებითი ოქმი იყენებს ფორმულირებას – „შეიარაღებული კონფლიქტის დასასრული“ (მუხლი 2 (2)). ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ICTY), მის მიერ *ტადიჩის* საქმეზე გამოტანილ განაჩენში შეეცადა ნათლად გამოეხატა ეს მოსაზრება, როდესაც აღნიშნა, რომ „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მიესადაგება ამგვარი შეიარაღებული კონფლიქტების დაწყებას და მისი მოქმედება გრძელდება საომარი მოქმედებების შეწყვეტამდე, ვიდრე მშვიდობის საერთო შეთანხმება არ არის მიღწეული; ან შიდა კონფლიქტების შემთხვევაში, მშვიდობიანი დარეგულირება არ არის მიღწეული.“ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა ამ სახით უარყო ის მოქმედი კრიტერიუმები, რომლებიც საომარი მოქმედებების შეწყვეტის მნიშვნელობას განსაზღვრავს. ეს ნიშნავს, რომ ცეცხლის შეწყვეტა – იქნება ეს დროებითი თუ საბოლოო, ან დროებითი ზავი მაინც, არ უნდა იყოს საკმარისი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედების შეწყვეტის ან შეზღუდვისათვის. საყოველთაოდ აღიარებულ რელიგანტურ საერთაშორისო ხელშეკრულებებში ნათქვამია, რომ დებულებების გარკვეული რაოდენობა კვლავ განაგრძობს მოქმედებას, ვიდრე არ შეიქმნება ფაქტობრივი სიტუაცია, რომელიც საბოლოო სამშვიდობო ხელშეკრულებისაგან სრულიად დამოუკიდებელი იქნება. ამრიგად, მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანით, შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტის შედეგად გადაადგილებული პირებისათვის (კერძოდ, ომის პატიმრებისა და პატიმარი სამოქალაქო პირების) დაცვის უზრუნველყოფა ძალაშია, ვიდრე ისინი საბოლოოდ არ გათავისუფლდებიან და არ განხორციელდება მათი დაბრუნება სამშობლოში ან დაფუძნება მათ მიერ არჩეულ ქვეყანაში.⁹³⁵

a) საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი და არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი

საომარი მოქმედებები საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ორ ქვეყანას შორის განხორციელებულ შეიარაღებულ კონფლიქტს წარმოადგენს, როგორც ეს განსაზღვრულია 1949 წლის ჟენევის ოქმის ზოგადი მუხლის მიხედვით: „გაცხადებული ომის შემთხვევები ან ნებისმიერი სხვა შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების მონაწილე ორი ან მეტი მაღალი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოს შორის, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რომელიმე მათგანი ომს არ

⁹³⁵ ეს გამონაკლისი ეფუძნება ჟენევის III კონვენციის მე-5 მუხლს, ჟენევის კონვენციის IV მუხლს 6(4) და პროტოკოლის I მუხლს 3(b) და პროტოკოლის II მუხლს 2(2); ის აგრეთვე, მოხსენიებულია ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ *ტადიჩის* საქმეზე გამოტანილ განაჩენში, 1995 წლის ოქტომბერი, გადაწყვეტილება 2 (პარაგრაფი 69).

ადიარებს.“ ამას ამტკიცებდა როგორც რუსეთის ფედერაცია,⁹³⁶ ასევე, საქართველოც⁹³⁷. აქედან გამომდინარე, შეიარაღებული კონფლიქტების ამ კატეგორიის შესაბამისი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ამ შემთხვევაში, რელევანტურია.

ერთი მხრივ, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ურთიერთობა ექვემდებარება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტისათვის, ვინაიდან საერთაშორისოდ აღიარებულია, რომ ორივე (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი) საქართველოს ნაწილს წარმოადგენს და 2008 წლის კონფლიქტის პერიოდისათვის ეს საკითხი უდაო იყო. ამ დასკვნას რუსეთის ფედერაციაც ეთანხმება.⁹³⁸ მაგრამ როგორც ჩანს, საქართველო ამ ყველაფერს აფასებს, როგორც საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს: „2008 წლის 7 აგვისტოდან 12 აგვისტომდე პერიოდთან დაკავშირებით ობიექტური ჭეშმარიტება მდგომარეობს იმაში, რომ ხდებოდა სეპარატისტების, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ძალის გამოყენება. სწორედ ამიტომ უეჭველია, რომ 2008 წლის 7 აგვისტოდან 12 აგვისტომდე ადგილი ჰქონდა საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს.“⁹³⁹ ეს შემთხვევა შეიძლება უპრიანი იყოს, თუ დავუშვებთ, რომ რუსეთი შესაბამის კონტროლს ახორციელებს აფხაზეთის/სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებზე, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებზე ხორციელდებოდა ორგანიზებული და შეგნებული მეთაურობა, აგრეთვე, ტერიტორიაზე კონტროლს ახორციელებდა ხელისუფლება, ვნახავთ, რომ ეს აკმაყოფილებს II დამატებით ოქმში განსაზღვრულ გამოყენების კრიტერიუმებს.⁹⁴⁰ არსებულ სიტუაციას,

⁹³⁶ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (სამართლებრივი ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Legal Aspects)), გვ. 10.

⁹³⁷ საქართველოს სარჩელი, შეტანილი ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მუხლის 33, და სასამართლოს საქმეთა წარმოების წესების 46-ე და 51-ე წესების მიხედვით, სარჩელი ნომრით 38263 /08, 2009 წლის 6 თებერვალი (Georgia, APPLICATION UNDER ARTICLE 33 OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMANRIGHTS AND RULES 46 AND 51 OF THE RULES OF COURT, Application No. 38263/08, 6 February 2009), საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიისათვის საქართველოს მიერ წარდგენილი დოკუმენტი, გვ. 46-47.

⁹³⁸ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (სამართლებრივი ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Legal Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 10.

⁹³⁹ საქართველოს სარჩელი, შეტანილი ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მუხლის 33, და სასამართლოს საქმეთა წარმოების წესების 46-ე და 51-ე წესების მიხედვით, სარჩელი ნომრით 38263/08, 2009 წლის 6 თებერვალი (Georgia, APPLICATION UNDER ARTICLE 33 OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMANRIGHTS AND RULES 46 AND 51 OF THE RULES OF COURT, Application No. 38263/08, 6 February 2009), საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიისათვის საქართველოს მიერ წარდგენილი დოკუმენტი, გვ. 46-47.

⁹⁴⁰ დამატებით პროტოკოლის II მუხლში 1 განსაზღვრულია მისი გამოყენების კრიტერიუმები შემდგომ მიმართებაში: „ყველა შეიარაღებული კონფლიქტი (...), რომელიც ხორციელდება მაღალი მნიშვნელობის მქონე ქვეყნის ტერიტორიაზე მის შეიარაღებულ ძალებსა და დაპირისპირებულ შეიარაღებულ ძალებს ან სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის და რომლებიც, შესაბამისი მეთაურობით,

შესაბამის ჩვეულებით სამართალთან ერთად, მიესადაგება ორივე – როგორც ჟენევის კონვენციების ზოგადი მე-3 მუხლი და II დამატებითი ოქმი.

b) საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს მიესადაგება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, რუსეთის მიერ აფხაზეთის/ოსეთის ძალების კონტროლის გათვალისწინებით

შეიარაღებული კონფლიქტი სახელმწიფოსა და შეიარაღებულ ჯგუფს შორის შეიძლება კვალიფიცირებული იყოს, როგორც საერთაშორისო, თუ ეს ჯგუფი გარკვეული პირობებით, არის კონტროლირებული სხვა სახელმწიფოს მიერ, ანუ მეორე სახელმწიფოს მიერ. საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას საწინააღმდეგო შეხედულებები აქვთ იმის შესახებ, ახორციელებდა თუ არა ეს უკანასკნელი კონტროლს აფხაზეთ და ოსურ შეიარაღებულ ძალებზე. იმის გამო, რომ საკმაოდ ძნელია გარკვეულ ფაქტობრივ დასკვნამდე მისვლა, აგრეთვე, კანონის არსებული მდგომარეობის ჭრილში, აქ გამოიკვეთა მოცემული არგუმენტები და პოზიციები.

შეიარაღებული კონფლიქტის კლასიფიცირების მიზნით, ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სააპელაციო პალატამ ტადიჩის საქმის განხილვის დროს, იმსჯელა ცალკეულ პირებზე ან პირთა ჯგუფებზე სახელმწიფოს კონტროლის კრიტერიუმების შესახებ. აღინიშნა, რომ „საერთაშორისო სამართლის მოთხოვნები კერძო პირების მიერ ჩადენილი ქმედებების სახელმწიფოსათვის მიწერის შესახებ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს ცალკეულ პირებზე,“ და რომ „კონტროლის ხარისხი, მიუხედავად ამისა, შეიძლება იცვლებოდეს თითოეული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით.“⁹⁴¹ პირველ რიგში, ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა იმსჯელა, რომ „ეფექტიანი კონტროლის“ „შემოწმება,“ რომელიც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ გამოიყენა ნიკარაგუის საქმეში,⁹⁴² განხორციელდა იმ მიზნით, რომ დადგენილიყო, შესაძლებელია თუ არა პირი დამაჯერებლად მოქმედებდეს, როგორც სახელმწიფოს დე-ფაქტო ორგანო, მხოლოდ ორ შემთხვევაში:

„როდესაც კერძო პირი ჩათრეულია სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე რაიმე სპეციფიკური უკანონო ქმედების განხორციელებაში. ამგვარ შემთხვევებში აუცილებელია ნაჩვენები იყოს, რომ სახელმწიფომ გარკვეული ინსტრუქციები გასცა კანონდარღვევის შესახებ, რათა დამტკიცებული ყოფილიყო – მხოლოდ აუცილებელი განმარტებით – რომ პირი მოქმედებდა, როგორც დე-ფაქტო სახელმწიფოს აგენტი (...);“

ან

ახორციელებს კონტროლს მისი ტერიტორიის ნაწილზე, რათა მათ საშუალება მიეცეს განახორციელონ მდგრადი და შეთანხმებული სამხედრო ოპერაციები და მოხდეს ამ პროტოკოლის აღსრულება.“

⁹⁴¹ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, პროკურორი ტადიჩის წინააღმდეგ, IT-94-1-AR72, სააპელაციო პალატის განხილვა, 15 ივლისი, 1999, პარაგრაფი 117.

⁹⁴² ტესტი მდგომარეობდა იმის გარკვევაში, იყვნენ თუ არა ცალკეული პირები „მართული ან იძულებული“ ჩადინათ ესა თუ ის ქმედება.

„როდესაც პირების არაორგანიზებული ჯგუფი ახორციელებს საერთაშორისო კანონმდებლობის საწინააღმდეგო ქმედებებს. იმისათვის, რომ ეს ქმედებები მიეწეროს სახელმწიფოს, აუცილებელია დამტიცდეს არა მხოლოდ ის, რომ სახელმწიფომ ამ პირების წინააღმდეგ თავისი უფლებები გამოიყენა, არამედ ისიც, რომ მან ამ პირებს მისცა სპეციფიკური ინსტრუქციები განხილული ქმედებების ჩატარების შესახებ.“⁹⁴³

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას კონტროლის საკითხის შესახებ სრულიად განსხვავებული შეხედულებები აქვთ. მაშინ, როდესაც საქართველო ბრალს დებს რუსეთის ფედერაციას, რომ ის სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული ძალების მეშვეობით მოქმედებდა, მართავდა და აკონტროლებდა მათ,⁹⁴⁴ რუსეთის ფედერაცია აცხადებს, რომ „სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხელისუფლებების მოქმედებები არ არის მართული რუსეთის ფედერაციის ორგანოების მიერ.“⁹⁴⁵ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომდე გამოყენებული ტერმინოლოგია მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის კონტექსტში განიხილავდა. რუსეთის ფედერაციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი პოზიცია, როდესაც განაცხადა, რომ „რუსეთი არანაირი ხარისხით არ ახორციელებს კონტროლს (ეფექტიანს ან ქმედითს) არც სამხრეთ ოსეთის სამხედრო მოსამსახურეებზე, არც სამოქალაქო პირებზე და არც ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.“⁹⁴⁶

გაურკვეველი რჩება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალების შემადგენლობა. Human Rights Watch-მა სამხრეთ ოსეთის ძალები აღწერა, როგორც „შემდგარი რამდენიმე ელემენტისაგან – სამხრეთ ოსეთის თავდაცვისა და საგანგებო შემთხვევების სამინისტრო, სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, მოხალისეები და ოსური მშვიდობისმყოფელთა ძალები,“ რომლებიც აგრეთვე, იღებდნენ მონაწილეობას ბრძოლებში.⁹⁴⁷ მრავალი მოწმის ჩვენება შეიცავს მონაცემებს უცხოელი მოხალისეების მონაწილეობის შესახებ,

⁹⁴³ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, პროკურორი ტადიჩის წინააღმდეგ, IT-94-1-AR72, სააპელაციო პალატის განხილვა, 15 ივლისი, 1999, პარაგრაფი 118. სააპელაციო პალატის ამგვარი ქმედებების ჩამონათვალში მოხსენიებულია „მაგალითად, სახელმწიფო ოფიციალური პირის გატაცება, ცნობილი ან მაღალი თანამდებობის სახელმწიფო ოფიციალური პირის მკვლელობა, ელექტროსადგურის აფეთქება, ან განსაკუთრებით ომის დროს, საბოტაჟის აქტების განხორციელება.“

⁹⁴⁴ საქმე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ICJ, 15 ოქტომბერი, 2008 წელი, გვ. 2, პარაგრაფი 3.

⁹⁴⁵ იქვე, გვ. 19, პარაგრაფი 75.

⁹⁴⁶ რუსეთი, პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (სამართლებრივი ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFFMCG (Legal Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 11.

⁹⁴⁷ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 5

მაგალითად, ჩეჩნების ოპერირება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.⁹⁴⁸ რუსეთის ფედერაციის 300 მოხალისის ყოფნა აგრეთვე, ახსენეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმაც, როდესაც ისინი 2009 წლის ივნისში შეხვდნენ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტებს. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიას 2009 წლის ივნისში, დაუდასტურეს, რომ სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალებთან ერთად იბრძოდნენ მოხალისეებიც. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების რეგულარული შეიარაღებული ძალები უდაოდ წარმოადგენს „ორგანიზებულ და იერარქიულ-სტრუქტურულ ჯგუფს,“ მაშინ როდესაც აფხაზეთის არმია აღწერილია, როგორც „რეგულარული“ ძალებისაგან შექმნილი და „კარგად გაწვრთნილი რეზერვისტები“ „იერარქიული ბრძანებებით.“⁹⁴⁹ მეორე მხრივ, იმ ცალკეულ შეიარაღებულ ჯგუფებთან ან პირებთან მიმართებაში, რომლებიც საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას დამოუკიდებლად აქტიურობდნენ, სიტუაცია შეიძლება განსხვავებული იყოს. ამ შემთხვევაში, საჭიროა დაწესდეს ერთგვარი „სრული კონტროლი,“ რომ დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა საქართველოსა და აფხაზეთს შორის შეიარაღებულ ძალებს შორის დაპირისპირება საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს.

როდესაც ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სააპელაციო პალატა მიუბრუნდა დე-იურე და ფაქტობრივ ურთიერთობას რუსეთის ფედერაციის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის, მან განიხილა ელემენტები, რომლებმაც ერთგვარად ნათელი მოჰფინა ამ კონტროლის ხასიათსა და ხარისხს. მაგალითად, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო არ არის ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ჰქონდა ადგილი შეიარაღებული შეტაკებებს, ან სადაც შეიარაღებულმა შენაერთებმა რაიმე ხარისხით განახორციელეს მოქმედებები,“ და აგრეთვე მისი მოწოდება „უფრო მასშტაბური და მნიშვნელოვანი მტკიცებულებებისადმი.“⁹⁵⁰ სააპელაციო პალატამ განსაზღვრა, რომ კონტროლი უნდა სცილდებოდეს „პოლიტიკური და სამხედრო მოქმედებების მხოლოდ კოორდინირების ფარგლებს“ და „სცდებოდეს მოკავშირეებს შორის მხოლოდ კოორდინაციასა და თანამშრომლობის საზღვრებს.“⁹⁵¹ მან აგრეთვე, გაანალიზა გაწეული დახმარების ფორმები და არსებული სამეთაურო სტრუქტურები.⁹⁵²

⁹⁴⁸ ეს დადასტურდა 2009 წლის მარტში მისიის მიერ ჩატარებული ინტერვიუს დროს. ზოგიერთმა გამოსაკითხმა პირმა ნათლად აღწერა ჩეჩნებისა და უზბეკების ყოფნა იმ სამხედრო ძალებს შორის, რომლებიც მარცვავდნენ და ცეცხლს უშენდნენ მათ სახლებს.

⁹⁴⁹ გასული აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებული სამართლების შესახებ კითხვებს პასუხობს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება, წარდგენილია საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიისათვის 2009 წლის აპრილში, გვ. 3-4.

⁹⁵⁰ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, პროკურორი ტადიჩის წინააღმდეგ, IT-94-1-AR72, სააპელაციო პალატის განხილვა, 15 ივლისი, 1999, პარაგრაფი 138.

⁹⁵¹ იქვე, პარაგრაფი 152.

⁹⁵² ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სააპელაციო პალატამ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ფართო გაერთიანებული შტაბიანი ფინანსური, ლოჯისტიკური და სხვა

რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ გაკეთებულ განცხადებებში უარყოფილი იყო რაიმე სახით სრული კონტროლის არსებობა. რუსეთის ფედერაციამ განაცხადა, რომ „ავვისტოს კონფლიქტის წინა პერიოდში საუბარი შეიძლებოდა მხოლოდ თანამშრომლობის შესახებ რუს მშვიდობისმყოფელთა კონტინგენტსა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამხედრო შენაერთებს შორის. ნებისმიერ იმ ადგილზე, სადაც შესაძლებელია ყოფილიყო განლაგებული სამშვიდობო ძალები იმ პარამეტრებში, რომლებიც საზოგადოდ, მიღებულია მსგავს სიტუაციებში სხვა ქვეყნებში.“⁹⁵³ ვინაიდან რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის ხელისუფლებებს შორის არსებობს მტკიცე ეკონომიკური, კულტურული და სოციალური კავშირები,⁹⁵⁴ ამ ხელისუფლებების წარმომადგენლებმა, კოდორის ხეობაში განხორციელებულ ოპერაციასთან მიმართებაში განაცხადეს, რომ „აფხაზეთის არმია, მიუხედავად იმისა, რომ კონტაქტს ინარჩუნებდა აფხაზეთის ტერიტორიიდან მოქმედ რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან, ოპერაციებს დამოუკიდებლად აწარმოებდა.“⁹⁵⁵ ამგვარი კონტროლის არსებობის დასადგენად საჭიროა დახმარებისა და სამხედრო სტრუქტურისა და მეთაურობის რუსეთის ფედერაციასთან და მის დანაყოფებთან კავშირის სხვა ასპექტების დასაბუთება. საქართველოს შეხედულებით, „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამხედრო ფორმირებები არ იყო დამოუკიდებლად კონტროლირებული, სამხედრო ოპერაციებს არ უძღვებოდა და არ ახორციელებდა დამოუკიდებლად არც თვით შეიარაღებული კონფლიქტის და არც ოკუპაციის პერიოდებში. უფრო მეტიც, ეს სამხედრო ფორმირებები მოქმედებდნენ, როგორც მოპასუხე ქვეყნის აგენტები ან დე-ფაქტო ორგანოები, და, როგორც ასეთი, წარმოადგენდნენ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების უბრალო დამატებას.“⁹⁵⁶

სახის დახმარების, აგრეთვე ხელშეწყობის გარდა და მიღმა, რომლებიც, როგორც ცნობილია, მიაწოდა VJ - მ VRS-ს, სასამართლო პალატამ აგრეთვე, დაადგინა, რომ იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის/ VJ--ის შექმნის დროს VJ-ის და VRS-ის სტრუქტურა და მდგომარეობა იყო იდენტური, და აგრეთვე, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის/VJ მართავდა და ზედამხედველობას უწევდა VRS-ის საქმიანობასა და ოპერაციებს. შედეგი იყო ის, რომ VRS-მა განახორციელა FRY/JNA/VJ-ს მიერ შექმნილი სტრატეგია და ტაქტიკა“ (პარაგრაფი 151). სასამართლო პალატამ აღმოაჩინა, რომ სერბეთის რესპუბლიკის (Republika Srpska) შეიარაღებული ძალებისათვის იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ სხვადასხვა ფორმით გაწეული დახმარება იყო „გადამწყვეტი“ მათი ქმედებების განხორციელებისათვის და რომ „ეს ძალები, შეტევითი ხასიათის ოპერაციების ჩატარების საქმეში თითქმის მთლიანად იყვნენ დამოკიდებული VJ-ით მომარაგებაზე“ (პარაგრაფი 155). იხ.: ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, პროკურორი ტადიჩის წინააღმდეგ, IT-94-1-AR72, სააპელაციო პალატის განხილვა, 15 ივლისი, 1999.

⁹⁵³ რუსეთი, პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (სამართლებრივი ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Legal Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 5.

⁹⁵⁴ მაგალითად, იხ.: აფხაზეთის ხელისუფლება, პასუხები გასული ავვისტოს მოვლენების სამართლებრივი ასპექტების შესახებ დასმულ კითხვებზე, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელ საერთაშორისო საგამოძიებო მისიას წარედგინა 2009 წლის აპრილში, გვ. 2.

⁹⁵⁵ იქვე, გვ. 4.

⁹⁵⁶ საქართველოს სარჩელი, შეტანილი ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მუხლის 33, და სასამართლოს საქმეთა წარმოების წესების 46-ე და 51-ე წესების მიხედვით, სარჩელი ნომრით 38263 /08, 2009 წლის 6 თებერვალი (Georgia, APPLICATION UNDER ARTICLE 33 OF THE EUROPEAN CONVENTION

ფაქტებზე დაყრდნობით, შესაძლებელია მოიძებნოს სხვაობა ერთი მხრივ, რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთსა და აფხაზეთს შორის კავშირების ხასიათში. ამ უკანასკნელში ჩანს, რომ კავშირები უფრო მტკიცეა. საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტებსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს შორის გამართული შეხვედრის დროს წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებზე. მათ აგრეთვე, განაცხადეს, რომ სამხრეთ ოსეთზე კონტროლს რუსეთი სხვადასხვაგვარი გზებით ახორციელებს, დაწყებული ფინანსური დახმარებით, დამთავრებული რუსეთის ოფიციალური პირების ჩართვით, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების საკვანძო სამხედრო თანამდებობებზე.⁹⁵⁷

აქ, საჭიროა ხაზი გაესვას, მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული კონფლიქტის კლასიფიკაციას, როგორც საერთაშორისო ან არა-საერთაშორისო – დიდი მნიშვნელობა აქვს მასში ჩართული სხვადასხვა მხარის პასუხისმგებლობების განსაზღვრისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიერ კონფლიქტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ინდივიდებისა თუ ობიექტების დაცვას – ამ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. და მართლაც, საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჩვეულებითი კანონის ერთი და იგივე წესები მიესადაგება შეიარაღებული კონფლიქტების ყველა ტიპს.

c) სამხედრო ოკუპაციის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, კანონი სამხედრო ოკუპაციის შესახებ ძირითადად, მოიცავს 1907 წლის ჰააგის რეგულაციებს სახმელეთო ომების კანონებისა და წესების შესახებ და ჟენევის IV კონვენციას, რომელიც ეძღვნება სამოქალაქო პირების დაცვას ომის დროს, აგრეთვე I დამატებითი პროტოკოლის ზოგიერთ დებულებას. ვინაიდან ჟენევის IV კონვენციაში არ არის მოცემული განმარტება, თუ რა შეადგენს ოკუპაციას, აუცილებელი ხდება დავეყრდნოთ ჰააგის რეგულაციებს. ტერიტორია ითვლება „ოკუპირებულად“, როდესაც ის იმყოფება მოწინააღმდეგე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების კონტროლის ან ხელისუფლების ქვეშ, ჩართული სახელმწიფოს მთავრობის თანხმობის გარეშე. უფრო კონკრეტულად, სასოლისა და ბუვიეს (Sassòli და Bouvier) მიხედვით, „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესები ოკუპირებულ ტერიტორიებზე იწყებს მოქმედებას, როდესაც ტერიტორია, შეიარაღებული კონფლიქტის მსვლელობის დროს, გადადის იმ მხარის კონტროლის ქვეშ, რომელიც არის მტრული იმ ძალისათვის, რომელიც კონტროლის ქვეშ

ON HUMANRIGHTS AND RULES 46 AND 51 OF THE RULES OF COURT, Application No. 38263/08, 6 February 2009), საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიისათვის საქართველოს მიერ წარდგენილი დოკუმენტი, ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 160.

⁹⁵⁷ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის შეხვედრა საქართველოს საგარეო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან, 4 ივნისი, 2009 წელი.

ის იმყოფებოდა მანამდე, აგრეთვე სამხედრო ოკუპაციის ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც მას არ ხვდება შეიარაღებული წინააღმდეგობა, და ამრიგად, ადგილი არ აქვს შეიარაღებულ კონფლიქტს.“⁹⁵⁸ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ამ რეგულაციების 42-ე მუხლის მიხედვით, „ტერიტორია ითვლება ოკუპირებულად, როდესაც ის რეალურად ხვდება მტრული არმიის მმართველობის ქვეშ. ოკუპაცია ვრცელდება ტერიტორიის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელზედაც ამგვარი მმართველობა არის დამყარებული და შესაძლებელია გამოყენებული იქნას.“⁹⁵⁹ მეორე სიტუაციის შემთხვევაში, ჟენევის კონვენციაში IV ნათქვამია, რომ „კონვენცია ასევე, უნდა იქნას გამოყენებული მაღალი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილობრივ ან მთლიანად ოკუპაციის ყველა შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ხსენებული ოკუპაცია არ აწყდება შეიარაღებულ წინააღმდეგობას.“⁹⁶⁰

როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა საქმეში კონგოს ტერიტორიაზე განხორციელებული საომარი მოქმედებების შესახებ (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდის წინააღმდეგ) „იმისათვის, რომ გამოიტანოს გადაწყვეტილება, არის თუ არა ის სახელმწიფო, რომლის სამხედრო ძალები ინტერვენციის შედეგად იმყოფება მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, „ოკუპანტი ძალა,“ ამ ტერმინის *jus in bello* მნიშვნელობით, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, არის თუ არა საკმარისი მტკიცებულებები იმის საჩვენებლად, რომ შემოჭრილი ქვეყნის მიერ ნამდვილად დამყარდა და გამოყენებულ იქნა ძალაუფლება სადაო ტერიტორიებზე.“⁹⁶¹ ოკუპაციის მდგომარეობის დამტკიცება შეიძლება ფაქტებზე დაფუძნებული განსაზღვრით მოხდეს.⁹⁶² აქ უმთავრესი კითხვა ისმის კონტროლის ან ძალაუფლების იმ ხარისხისა და მასშტაბის შესახებ, რომელიც საჭიროა დასკვნის გამოსატანად, რომ ტერიტორია ოკუპირებულია.

ამ მიმართულებით არსებობს ორი მოსაზრება, რომლებიც ერთმანეთს კი, არ გამორიცხავს, არამედ წარმოადგენს „ოკუპაციის შესახებ“ კანონის გამოყენების ორ ეტაპს. ეს ორი ეტაპი ასახავს ოკუპანტი ძალის მხრიდან კონტროლის ზრდას. ეს ნიშნავს, რომ

⁹⁵⁸ მ. სასოლი, ა. ბუვიე, როგორ იცავს კანონი ომის დროს SASSÒLI, M. and BOUVIER, A., *How Does Law Protect In War*, 2nd Edition, Vol. I, Geneva, ICRC, 2006, გვ. 187.

⁹⁵⁹ იხ.: რეგულაციები სახმელეთო ომების კანონებისა და წესების შესახებ, მუხლი 42; ჟენევის კონვენცია IV სამოქალაქო პირების დაცვის შესახებ ომის დროს; აგრეთვე, იხ.: პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის აგების სამართლებრივი შედეგები, მრჩეველთა მოსაზრება. გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები 2004 (*Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, Advisory Opinion, ICJ Reports 2004*), გვ. 167, პარაგრაფი 78 და გვ. 172; პარაგრაფი 89: „ტერიტორია ითვლება ოკუპირებულად, როდესაც ის რეალურად ხვდება მტრული არმიის მმართველობის ქვეშ, და ოკუპაცია ვრცელდება ტერიტორიის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელზედაც ამგვარი მმართველობა არის დამყარებული და შესაძლებელია იქნას გამოყენებული.“

⁹⁶⁰ 1949 წლის ჟენევის კონვენციის IV მუხლი 2.

⁹⁶¹ კონგოს ტერიტორიაზე განხორციელებული საომარი მოქმედებები (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდის წინააღმდეგ), სასამართლო განხილვა, 19 დეკემბერი, 2005 წელი, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ანგარიში, 2005, პარაგრაფი 173.

⁹⁶² ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, პროკურორი მლადენ ნალეტილიჩის წინააღმდეგ, aka „Tuta,“ პარაგრაფი 172.

„ოკუპაციის შესახებ“ კანონის ნაწილის ამოქმედებისათვის აუცილებელი არ არის მოცემული ქვეყნის სამხედრო ძალები სრულად ახორციელებდნენ ტერიტორიის მართვას.

ჟენევის კონვენციის მონაწილე ქვეყნების კომენტარების, ჟენევის მეოთხე კონვენციის მუხლი 2(2) მიხედვით: „სიტყვას „ოკუპაცია“ უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეს 1907 წლის ჰააგის მეოთხე კონვენციის დანართი რეგულაციების 42-ე მუხლში არის მოცემული. ვინაიდან ჩართული არიან ინდივიდები, ჟენევის მეოთხე კონვენციის გამოყენება არ არის დამოკიდებული ოკუპაციის მდგომარეობის არსებობაზე ზემოთხსენებული 42-ე მუხლის მიხედვით. ტერიტორიაზე მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობასა და ამ ტერიტორიაზე შეჭრილ შეიარაღებულ ძალებს შორის ურთიერთობები, მიუხედავად იმისა, ატარებენ თუ არა ისინი ბრძოლებს, იმართება არსებული კონვენციით. არ არსებობს გარდამავალი პერიოდი მას შორის, რასაც შეიძლება შეჭრის ფაზა ეწოდოს და ოკუპაციის სტაბილური რეჟიმის დამყარების პერიოდს შორის. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რაზმი იჭრება მტრის ტერიტორიაზე იქ დარჩენის რაიმე გადაწყვეტილების გარეშე, მან უნდა დაიცვას კონვენცია იმ სამოქალაქო პირებთან მოპყრობის დროს, რომლებიც მას იქ ხვდებიან.“⁹⁶³ მიუხედავად იმისა, რომ, რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე ჟენევის მეოთხე კონვენციის კანონი „ოკუპაციის შესახებ“ სრულად არ მოქმედებს, უბრალო ფაქტიც კი, რომ რაღაც ხარისხით ძალაუფლება განხორციელდა მშვიდობიან მოსახლეობაზე, ამოქმედებს „ოკუპაციის შესახებ“ კანონის კონვენციის შესაბამის დებულებებს ადამიანებთან მოპყრობის შესახებ. მომდევნო ეტაპზე, როდესაც კონტროლი უფრო მაღალი ხარისხით ხორციელდება, „ოკუპაციის შესახებ“ კანონი სრულად იწყებს მოქმედებას. ეს ასახულია მთელ რიგ სამხედრო სახელმძღვანელოებში, რომლებიც მოითხოვს, დადგინდეს, „რომ კონფლიქტის მონაწილე მხარე არის იმ მდგომარეობაში, რომ მტრის ტერიტორიაზე განახორციელოს ძალაუფლების ის დონე, რომელიც საჭიროა „ოკუპაციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესასრულებლად.“⁹⁶⁴ გაერთიანებული სამეფოს სამხედრო სახელმძღვანელოში გაორმაგებული შემოწმებაა მოცემული: „პირველი, რომ ყოფილმა მთავრობამ დაკარგა უნარი განახორციელოს თავისი ძალაუფლება იმ ტერიტორიაზე; და მეორე, რომ ოკუპანტი ძალა არის იმ მდგომარეობაში, როდესაც მას აქვს შესაძლებლობა ჩაანაცვლოს ყოფილი მთავრობის ძალაუფლება თავისით.“⁹⁶⁵

განსაზღვრება უნდა გაკეთდეს თითოეული შემთხვევის საფუძველზე. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როდესაც განვიხილავთ მიმდინარე საკითხს, იმის

⁹⁶³ კომენტარი 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციების შესახებ, ჟან პიკტე (Jean Pictet (ed.), ჟენევა, გვ. 60.

⁹⁶⁴ დანიელ ტურერი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის განცხადება „ოკუპაციის შესახებ კანონის არსებული პრობლემები (Daniel Thürer, ICRC statement, “Current challenges to the law of occupation), 2005 წლის ნოემბერი, იხ.: <http://www.icrc.org/web/eng/siteeng0.nsf/html/occupation-statement-211105> .

⁹⁶⁵ შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ კანონის სახელმძღვანელო, გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტრო (The Manual of the Law of Armed Conflict, United Kingdom Ministry of Defence), Oxford, Oxford University Press, 2004, პარაგრაფი. 11.3, გვ. 275.

შესახებ, იყო თუ არა საქართველოში კონფლიქტის დროს რუსეთის ფედერაციის მიერ ტერიტორიები ოკუპირებული, და თუ იყო, რომელი ტერიტორიები – ფაქტებისა და დროის მონაკვეთის გათვალისწინებით. საქართველო აცხადებს, რომ რუსეთის მიერ ტერიტორიები იქნა ოკუპირებული როგორც კონფლიქტის დროს, ასევე მის შემდეგაც. იმისათვის, რომ განისაზღვროს ოკუპაციის მდგომარეობა თითოეული ამ ადგილისთვის, კარგი იქნება მათი მოკლე ჩამონათვალის აქ მოყვანა ისე, როგორც ეს საქართველოს მიერ იქნა წარმოდგენილი, ვინაიდან შესაძლებელია დასკვნები განსხვავებული იყოს სადაო ტერიტორიებისა და დროის მიხედვით.

პირველ რიგში, თავის განაცხადში დაცვის დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, რომელიც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში საქართველომ 2008 წლის 12 აგვისტოს შეიტანა, საქართველო ამტკიცებდა, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიები, ზემო კოდორის ხეობის ჩათვლით, ოკუპირებული იყო რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ.⁹⁶⁶ 23 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, სადაც აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი გამოაცხადა „ოკუპირებულ ტერიტორიებად“, ხოლო რუსეთის ფედერაცია „სამხედრო ოკუპანტად.“⁹⁶⁷ ეს ბრალდება განმეორდა საქართველოს მიერ 2009 წლის 6 თებერვალს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელში.⁹⁶⁸ „ოკუპაციის არსებული ვითარების“ აღწერისას, საქართველო აგრეთვე, აღნიშნავს, რომ „ყოფილი „ბუფერული ზონის“ დასავლეთი ნაწილი (სოფელი პერევი საჩხერის რაიონში) კვლავ რჩება რუსეთის ოკუპაციის ქვეშ.“⁹⁶⁹ ამ ტერიტორიებთან ერთად, რომლებიც ამ

⁹⁶⁶ შესწორებული განაცხადი დაცვის დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, შეტანილია საქართველოს მთავრობის მიერ, განცხადება გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სახელზე, გვ. 5 პარაგრაფი 13.

⁹⁶⁷ იხ.: კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, მიღებულია 2008 წლის 23 ოქტომბერს. ამ კანონის მუხლში ნათქვამია შემდეგი:

„ამ კანონის მიზნებისათვის ოკუპირებული ტერიტორიები და საზღვაო ზონებია (შემდგომ – ოკუპირებული ტერიტორიები):

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიები;

ბ) ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები);

გ) შავ ზღვაზე: რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მდინარე ფსოლდან სამხრეთით, მდინარე ენგურის შავ ზღვასთან ჩადინების ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მიმდებარე საზღვაო აკვატორიაში შემავალი საქართველოს შიდა წყლები და ტერიტორიული ზღვა, მათი ფსკერი და წიადი, რომლებზედაც საქართველო ახორციელებს სუვერენიტეტს, აგრეთვე საზღვაო ზონები: მიმდებარე ზონა, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შელფი, სადაც საქართველო თავისი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების, კერძოდ, „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს 1982 წლის კონვენციის შესაბამისად, მიმდებარე ზონაში სარგებლობს ფისკალური, სანიტარული, საიმპერაციო და საგადასახადო უფლებებით, ხოლო განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე – სუვერენული უფლებებითა და იურისდიქციით;

დ) ამ მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიების ზემოთ არსებული საჰაერო სივრცე. ეს კანონი იხ.: [http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL\(2009\)004-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL(2009)004-e.asp).

⁹⁶⁸ საქართველოს სარჩელი, შეტანილი ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის 33-ე მუხლის და სასამართლოს საქმეთა წარმოების წესების 46-ე და 51-ე წესების მიხედვით, ციტ. დოკუმენტი, გვ. 8.

⁹⁶⁹ იგივე. უფრო ზოგადად, საქართველომ განაცხადა: „2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, სიტუაცია სწორად იქნა აღქმული, როგორც ოკუპაციის შემთხვევა, რომელიც, ადამიანის

ანგარიშის შედეგის დროს, კვლავ რუსული ძალების მიერ არის ოკუპირებული. საქართველოს მტკიცებით, კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ოკუპირებული იყო შემდეგი ტერიტორიები: „აღმოსავლეთ საქართველოში, კონფლიქტის ზონიდან სამხრეთით, რუსულმა ძალებმა დაიკავა გორის რაიონის დიდი ნაწილი, ქალაქ გორის ჩათვლით; კონფლიქტის ზონიდან სამხრეთ-დასავლეთით რუსულმა ძალებმა დაიკავა ქარელის რაიონის ნაწილი; კონფლიქტის ზონიდან დასავლეთით რუსულმა ძალებმა დაიკავა საჩხერის რაიონის ნაწილი; დასავლეთ საქართველოში მათ დაიკავეს ქალაქები: ზუგდიდი, სენაკი და ფოთი. 2008 წლის 22 აგვისტოს, ქალაქ გორიდან რუსების გასვლის შემდეგ, რუსული შეიარაღებული ძალები კვლავ იკავებდნენ გორის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილს, სამხრეთ ოსეთთან სამხრეთი ადმინისტრაციული საზღვრის უშუალო სიახლოვეში. ეს ტერიტორია შეადგენდა „ბუფერული ზონის“ ნაწილს, რომელიც რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა შექმნა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის ირგვლივ და მას მიუერთდა ტერიტორიები, რომლებიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლქვეშ იმყოფებოდა. რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა, ბუფერული ზონის ეს ტერიტორიები, ზემო კოდორის ხეობას, ახალგორის რაიონისა და სოფელ პერევის (საჩხერის რაიონში) გარდა, დატოვა 2008 წლის 8 ოქტომბერს.“⁹⁷⁰ უფრო ზოგადად, საქართველო აცხადებს რომ ოკუპირებულია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიები.⁹⁷¹ აღსანიშნავია, რომ საქართველო მოიხსენიებს რუსული შეიარაღებული ძალების მიერ „ოკუპაციას“ და „ეფექტიან კონტროლს.“⁹⁷²

საწინააღმდეგოს ამტკიცებს რუსეთის ფედერაცია, როდესაც ამბობს, რომ ის არც ამჟამად ახორციელებს და არც მომავალში განახორციელებს კონტროლს სამხრეთ ოსეთზე ან აფხაზეთზე; და, რომ ის არ წარმოადგენს ოკუპანტ ძალას.⁹⁷³ იგი აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ, კონფლიქტის მსვლელობის დროს შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე, რუსეთი არ წარმოადგენდა ოკუპანტ ძალას, როგორც ეს არის განსაზღვრული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით.“ შემდგომში ის განმარტავს, რომ „სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალების არსებობა ყოველთვის არ შეიძლება აიხსნას, როგორც ოკუპაცია,“ თუ ვიმსჯელებთ

უფლებების კანონთან ერთად, აგრეთვე იმართება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალითაც. იმ დებულებების მიხედვით, რომლებიც ეხება საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს. ეს ხდება იმ ობიექტური მტკიცებულებების გამო, რომლებიც ყოველმხრივ ასახავს მდგომარეობას, როდესაც საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ რჩება ოკუპირებული რუსეთის ფედერაციისა და /ან სეპარატისტული ზალების მიერ, რომლებიც მოქმედებენ, როგორც რუსეთის ფედერაციის დე ფაქტო ორგანოები“ (გვ. 47).

⁹⁷⁰ იქვე, გვ. 8-9. ზუგდიდი, როგორც ოკუპირებული ტერიტორია; იხ.: საქართველოს მთავრობის მიერ შეტანილი განაცხადი დაცვის დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, პარაგრაფი 13, გვ. 7.

⁹⁷¹ შესწორებული განაცხადი დაცვის დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, შეტანილია საქართველოს მთავრობის მიერ, განცხადება გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სახელზე, ციტირებული დოკუმენტი, გვ. 5 პარაგრაფი 13.

⁹⁷² საქმე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ICJ, 15 ოქტომბერი, 2008 წელი, გვ. 10, პარაგრაფი 33.

⁹⁷³ იქვე, გვ. 19, პარაგრაფი 74.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და უგანდას შორის საქმის შესახებ გამოტანილი განაჩენითა და ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ საქმეზე პროკურორი ნალეტილიჩისა და მარტინოვიჩის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებით.⁹⁷⁴ რუსეთის ფედერაციის განცხადების მიხედვით, „საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამხედრო კონტინგენტის არსებობის საოკუპაციო რეჟიმად აღიარებისათვის განმსაზღვრელი ფაქტორია, დაამყარა თუ არა თავდამსხმელმა ქვეყანამ ეფექტიანი კონტროლი სადაო ქვეყნის ტერიტორიასა და მის მოსახლეობაზე.“⁹⁷⁵ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ მიწოდებულ კითხვარზე გაცემულ პასუხებში რუსეთმა სამმაგი არგუმენტი მოიყვანა, რომლითაც ის უარყოფდა ამგვარი კონტროლის ფაქტს. პირველი, „რუსეთს არასოდეს ჩაუნაცვლებია საქართველოს ან სამხრეთ ოსეთის კანონიერი ხელისუფლება.“⁹⁷⁶ მეორე, მას არასოდეს მიუღია მოსახლეობისათვის სავალდებულო

⁹⁷⁴ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (სამართლებრივი ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Legal Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 7: „სახმელეთო ომების კანონებისა და წესების შესახებ ჰააგის რეგულაციების 42-ე მუხლის მიხედვით, სამხედრო ძალების არსებობის ოკუპაციად კვალიფიცირებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, ახორციელებს თუ არა შეჭრილი ქვეყანა ეფექტურ კონტროლს განსახილველი ქვეყნის ტერიტორიაზე და მის მშვიდობიან მოსახლეობაზე. ამგვარი ეფექტური კონტროლის კრიტერიუმები განისაზღვრა, მაგალითად, იმ შემთხვევისათვის, რომელსაც განიხილავდა ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი საქმეში პროკურორი ნალეტილიჩისა და მარტინოვიჩის წინააღმდეგ და აგრეთვე მეორე საქმეში – კონგო უგანდის წინააღმდეგ, რომელსაც განიხილავდა საერთაშორისო სასამართლო. ომის დანაშაულების საერთაშორისო ტრიბუნელმა ზემოთ ხსენებული შემთხვევისათვის გამოყო ხუთი ძირითადი კრიტერიუმი. ორი უმთავრესი კრიტერიუმი არის შემდეგი: ოკუპანტმა ძალამ ტერიტორიის სამართავად უნდა დააარსოს დროებითი ადმინისტრაცია და გამოსცეს ამ ტერიტორიის საზღვრების შიგნით მოქმედი ინსტრუქციები, რომლებიც სავალდებულოდ შესასრულებელია ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

„თუ ჩვენ მიგვევებით სასამართლოს ლოგიკას, ის ფაქტი, რომ თუ არ შესრულდა ის კრიტერიუმი, რომელთა მიხედვითაც ოკუპანტმა ძალამ უნდა დააარსოს დროებითი ადმინისტრაცია და თუ ოკუპანტი ძალის მიერ არ იქნა გამოცემული სარეგულაციო აქტები, შეძლება გამოყენებულ იქნას შესაბამის საფუძვლად იმისათვის, რომ ჩაითვალოს, რომ არავითარი საოკუპაციო რეჟიმი არ დამყარებულა. ეს სწორედ ის მიდგომაა, რომელიც გამოიყენა საერთაშორისო სასამართლო საქმეში კონგო უგანდის წინააღმდეგ – სასამართლომ სცნო, რომ უგანდის საოკუპაციო რეჟიმი კონგოში მხოლოდ ორ ადგილზე დამყარდა და მათი მოსაზრება ეფუძნებოდა იმ საწყის პირობას, რომ უგანდის სამხედრო ძალებმა ადგილობრივი მოსახლეობისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი რეგულატორული აქტების გამოცემა დაიწყეს ამ ადგილებში და ამით ჩაანაცვლეს კონგოს კანონიერი მთავრობა. სხვა ადგილებზე კონგოში სასამართლომ სცნო სამხედრო კონტინგენტის არსებობა.

⁹⁷⁵ იქვე, გვ. 7.

⁹⁷⁶ იგივე და გვ. 11. „რუსეთის ფედერაცია არ არის ოკუპანტი ძალა და არ ახორციელებს ქმედით კონტროლს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიასა და /ან მოსახლეობაზე. კანონიერებისა და წესრიგის დაცვა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არის ამ ქვეყნების მთავრობების მიერ მონიჭებული ექსკლუზიური უფლება“ (გვ. 12). აგრეთვე, იხ.: 2008 წლის 8 სექტემბერს, დღის 3 საათზე მშვიდობის სასახლეში გამართული ღია სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი საქმეზე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, CR 2008/23, გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ICJ, ჰააგა, 2008 წელი, პარაგრაფი 14, გვ. 13: „რუსეთის

არც ერთი სარეგულაციო აქტი.“⁹⁷⁷ დაბოლოს, „სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განთავსებული რუსული ჯარების რაოდენობა (3,700 და 3,750 სამხედრო მოსამსახურე, შესაბამისად), არ აძლევს რუსეთს საშუალებას განახორციელოს ეფექტიანი კონტროლი ამ ტერიტორიებზე, საერთო ფართობით 12 500 კვ. კმ. თუ გავავლებთ პარალელს, ეფექტიანი კონტროლის განხორციელება ჩრდილოეთ კვიპროსის ბევრად უფრო მცირე ტერიტორიაზე (3 400 კვ. კმ) მოითხოვს 30.000-იანი თურქული ჯარის ყოფნას. სამხედრო კონფლიქტის აქტიურ ფაზაში რუსული კონტინგენტის მაქსიმალურმა რაოდენობამ 12.000 სამხედრო მოსამსახურეს მიაღწია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ეს ძალები ჩართული იყო სამხედრო ოპერაციაში და არ ამყარებდა ეფექტიან კონტროლს.“ ბოლოს მან დაასკვნა, რომ „ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე, არ არსებობს სათანადო საფუძვლები განცხადებისათვის, რომ საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დროს რუსეთის მხარე ახორციელებდა ეფექტიან კონტროლს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ან დამყარდა საოკუპაციო რეჟიმი იმ განსაზღვრებით, რომელიც ჩადებულია საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში.“⁹⁷⁸

როგორც ზემოთ იყო ხაზგასმული, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლის მიხედვით, რეალური კრიტერიუმები ან მოთხოვნები იმის განსაზღვრისათვის დამყარდა თუ არა კონტროლი ან ხელისუფლება – ჰააგის რეზოლუციაში ან ჟენევის IV კონვენციაში არ არის გამოკვეთილი. საერთაშორისო სასამართლოების განაჩენებში გამოიკვეთა ზოგიერთი ელემენტი, რომლებიც შეიძლება ამ განსაზღვრების

შეიარაღებული ძალები იყო და არის ამჟამად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე. მაგრამ მათი ეს ყოფნა არ იყო და არ არის ოკუპაცია, როგორც ამას საქართველო აცხადებს. „რუსეთის შეიარაღებული ძალები და შესაბამისად, თავად რუსეთი, არ ახორციელებდა და არ ახორციელებს კონტროლს არც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე, და არც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებებსა თუ შეიარაღებულ შენაერთებზე. რუსეთი არ ახორციელებს თავის იურისდიქციას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებთან ან მოსახლეობასთან მიმართებაში. ეს ბრალდება აბსურდულია. ამჟამად, როდესაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოების, როგორც ეს რუსეთის მიერ იქნა აღიარებული, ნაკლებ სიმართლეს არ შეესაბამება.“ რუსეთის ფედერაციამ აგრეთვე განაცხადა: „უპირველესი და უმთავრესი არის ის, რომ რუსეთი არ არის ოკუპანტი ძალა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ორივე რეგიონს ჰქონდა საერთაშორისოდ აღიარებული ავტონომიური სტატუსი და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უკვე იყვნენ დე ფაქტო დამოუკიდებელი. კერძოდ, რუსეთს არასოდეს - რომ მოვახდინოთ თქვენს მიერ საქმეში კონგო უგანდის წინააღმდეგ გამოყენებული გამონათქვამის პერიფრაზირება (შეიარაღებული მოქმედებები კონგოს ტერიტორიაზე (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდის წინააღმდეგ) სასამართლო განხილვა, 19 დეკემბერი, 2005 წელი, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ანგარიში, 2005, პარაგრაფი 173) - რუსეთს, ნება მომეცით, გავიმეორო, რუსეთს არასოდეს აუღია თავის თავზე არსებული ხელისუფლებების როლი, ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებების, რომელსაც, როგორც ასეთს, საქართველო თავად აღიარებდა. გარდა ამისა, რუსეთის ყოფნა, გარდა მისი მონაწილეობისა სამშვიდობო ოპერაციებში, იყო დროში შეზღუდული და მხოლოდ რამდენიმე კვირას მოიცავს“ (გვ. 44, პარაგრაფი 16). „უფრო მეტიც, ადგილობრივი ხელისუფლებები ყოველთვის ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და ამგვარადვე განაგრძობს (გვ. 44, პარაგრაფი 17).

⁹⁷⁷ რუსეთი, პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (სამართლებრივი ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Legal Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 7

⁹⁷⁸ იგივე.

განმარტებისათვის იყოს გამოყენებული. ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი საქმეში პროკურორი ნალეტელიჩისა და მარტინოვიჩის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთმა ციტატად მოიყვანა, სასამართლო პალატა მიმართავს ხუთ „სახელმძღვანელო პრინციპს, რომლებმაც შეიძლება დახმარება გაუწიოს,“ და არა კრიტერიუმებს, „რომლებიც განსაზღვრავენ რეალურად იყო თუ არა ოკუპანტი ძალის მიერ ჩამოყალიბებული ხელისუფლება.“⁹⁷⁹ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა, რამდენიმე სამხედრო სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, ჩამოთვალა შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები: „ოკუპანტი ძალა უნდა იყოს იმ მდგომარეობაში, რომ მას შეეძლოს საკუთარი ხელისუფლებით ჩაანაცვლოს ოკუპირებული ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც გამოცხადებული უნდა იყოს, როგორც უუნარო საჯარო ფუნქციონირებისთვის; მტრული ძალები დანებდა, დამარცხდა ან განდევნილია; ოკუპანტს გააჩნია საკმაო ძალა და შესაძლებლობები, რომ შესაბამის დროს გაგზავნოს ჯარი, რათა ოკუპანტი ძალის ძალაუფლება უფრო საგრძნობი გახადოს; ტერიტორიაზე დაარსდება დროებითი ადმინისტრაცია; ოკუპანტი ძალა გამოსცემს და ძალაში შეყავს დირექტივები მშვიდობიანი მოსახლეობისათვის.“⁹⁸⁰

თუმცა, აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ ამ შემთხვევის განმარტებისთვის საჭიროა გათვალისწინებული იყოს ნიუანსები. მართლაც, მას შემდეგ, რაც განმარტებული იყო შეხედულება კონტროლის შესახებ, სასამართლო პალატამ მოიტანა ციტატა ჟენევის IV კონვენციის კომენტარებიდან და „ნათელი მოჰვინა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ოკუპაციის კანონის გამოყენება განსხვავდება მისი გამოყენებისაგან ჰააგის რეგულაციების 42-ე მუხლის მიხედვით.“⁹⁸¹ შემდგომში ის ამბობს, რომ „პალატა ამას იღებს, როგორც ახსნას, რომ ოკუპაციის კანონის გამოყენება, როდესაც ის ეხება „ინდივიდებს“, როგორც სამოქალაქო პირებს, რომელთაც იცავს ჟენევის კონვენცია IV, არ მოითხოვს, რომ ოკუპანტ ძალას ჰქონდეს რეალური ძალაუფლება. ამ ინდივიდების უფლებებთან მიმართებაში ოკუპაციის მდგომარეობა არსებობს მას შემდეგ, რაც ისინი „ხელში ჩაუვარდებიან ოკუპანტ ძალას“. სხვაგვარად, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, ისინი როგორც კი, ოკუპაცია დამყარდება, ნაკლებად დაცულები აღმოჩნდებიან, ვიდრე მათთან დაკავშირებული პირები.“⁹⁸²

⁹⁷⁹ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის საქმე – პროკურორი ნალეტელიჩისა და მარტინოვიჩის წინააღმდეგ, პარაგრაფი 217.

⁹⁸⁰ იგივე.

⁹⁸¹ იგივე, პარაგრაფი 219.

⁹⁸² იგივე, პარაგრაფები 221-222. აქ აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ კონგოს ტერიტორიაზე შეიარაღებული მოქმედებების საქმეში (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდის წინააღმდეგ) გაეროს საერთაშორისო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ „არსებულ საქმეში სასამართლოს დაჭირდება დარწმუნდეს, რომ უგანდის შეიარაღებული ძალები კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არა მარტო განთავსებული იყო გარკვეულ ადგილებში, არამედ მათ თავისი საკუთარი ხელისუფლებით ჩაანაცვლეს კონგოს მთავრობა“ (პარაგრაფი 173). მართალია, ტერიტორიის გარკვეულ ნაწილებზე ადგილობრივი ადმინისტრაციის ჩამოყალიბება, და რეგულატორული აქტების მიღება საკმარისი იყო სასამართლოსათვის, რათა განესაზღვრა ოკუპაცია (პარაგრაფი 175), ეს არ ნიშნავს, რომ ეს ორი ელემენტი გახდება წინაპირობა იმისათვის, რომ დადგენილი ყოფილიყო ოკუპაციის მდგომარეობა. სასამართლოსათვის ამგვარი ელემენტების ნაკლებობა, საქმეში სხვა სახის მტკიცებულებების არ არსებობის შემთხვევაში, იყო გადამწყვეტი. ამ ახსნის ფარგლებს გარეთ გასვლა მიგვიყვანს იქამდე, რომ

როდესაც რეალური სიტუაცია ფასდება ზემოთ მოტანილი შენიშვნების გათვალისწინებით, პირველ რიგში, ნათელი უნდა მოეფინოს ერთ ასპექტს. იმისათვის, რომ ოკუპაციის შესახებ არგუმენტები უარყოფილიყო, განაცხადეს, რომ რუსეთის სამხედრო ძალები მხოლოდ გარკვეულ სტრატეგიულ წერტილებში იმყოფებოდნენ და არ ფარავდნენ მთელს სადაო ტერიტორიას.⁹⁸³ ჟენევის IV კონვენციის მე-2 მუხლი აღწერს ტერიტორიის როგორც ნაწილობრივ, ასევე მთლიან ოკუპაციას. როგორც ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა დაამტკიცა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით „არ არსებობს მოთხოვნა, რომ მთელი ტერიტორია იყოს ოკუპირებული, საკმარისია იყოს ცალკეული ადგილები, სადაც კვლავ მოქმედებს ოკუპანტი ძალის ძალაუფლება და რომლებიც რეალურად მოწყვეტილია დანარჩენი ოკუპირებული ტერიტორიებისაგან.“⁹⁸⁴

იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის სამხედრო ინტერვენცია ვერ დამტკიცდება საერთაშორისო სამართლის მიხედვით, როგორც ეს იქნა გაცხადებული ამ ანგარიშში ძალის გამოყენებისადმი მიძღვნილ თავში და თუ არც აფხაზეთი, არც სამხრეთი ოსეთი არ იქნა აღიარებული, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი – კერძოდ, წესები მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის (ძირითადად, ჟენევის კონვენციიდან) და ოკუპაციის შესახებ – იყო და შესაძლებელია კვლავაც დარჩეს მისადაგებული. ეს ეხება ყველა ადგილს, სადაც რუსეთის სამხედრო პირებმა ზემოქმედება მოახდინა დაცვის ქვეშ მყოფ ადამიანებსა და ნივთებზე. თუმცა, რუსეთის ძალების მიერ განხორციელებული კონტროლი და ძალაუფლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა გეორგაფიულ პოზიციებში. შესაძლებელია, რომ არასწორი იყო, როდესაც სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიები იმართებოდა დე-ფაქტო ხელისუფლებების მიერ. კოდორის ხეობაში და სამხრეთ ოსეთის ისეთ რაიონებსა და სოფლებში, როგორებიცაა, მაგალითად, ახალგორი,⁹⁸⁵ სადაც კონფლიქტამდე კონტროლს ქართული ძალები და საქართველოს ადმინისტრაცია ახორციელებდა, ამგვარი ჩანაცვლება უფრო თვალსაჩინოა. ისეთ შემთხვევებში, როგორიც ბუფერული ზონებია, მისაღები ვერ იქნება არგუმენტები, სადაც ნათქვამია, რომ არსებობდა არა ქართული ადმინისტრაციული ხელისუფლება, აგრეთვე არგუმენტები, რომელთა მიხედვით „რუსეთი ხშირად თავს შორს იჭერდა ოსური და

ოკუპაციის დასადასტურებელი ელემენტები გადაიქცევა ტერიტორიის ოკუპირებულად აღიარებისათვის საჭირო პირობებად.

⁹⁸³ 2008 წლის 8 სექტემბერს, დღის 3 საათზე მშვიდობის სასახლეში გამართული ღია სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი საქმეზე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, CR 2008/23, გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ICJ, ჰააგა, 2008 წელი, პარაგრაფი 17, გვ. 44.

⁹⁸⁴ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის საქმე პროკურორი ნალეტილიჩისა და მარტინოვიჩის წინააღმდეგ, ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 218.

⁹⁸⁵ სიის სანახავად იხ.: საქართველოს სარჩელი, შეტანილი ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მუხლის 33, და სასამართლოს საქმეთა წარმოების წესების 46-ე და 51-ე წესების მიხედვით, (Georgia, APPLICATION UNDER ARTICLE 33 OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS AND RULES 46 AND 51 OF THE RULES OF COURT), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 7.

აფხაზური ხელისუფლებებისაგან და კიცხავდა კიდეც მათ.⁹⁸⁶ რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყენებულ ჯარების არასაკმარის რაოდენობას,⁹⁸⁷ ეს საკითხი უნდა დაუკავშირდეს ფაქტს, რომ მისი განსაზღვრა ვერ გამოდგება საქართველოს მთელი ტერიტორიის ოკუპაციის დასამტკიცებლად. გარდა ამისა, საქმეში კონგოს ტერიტორიაზე განხორციელებული საომარი მოქმედებების შესახებ (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდის წინააღმდეგ), უგანდის მიერ მოტანილი არგუმენტი, რომ მან გამოიყენა „თავისი ჯარის მცირედი ნაწილი ხსენებულ ტერიტორიებზე“, და ისინი განლაგებული იყო „განსაზღვრულ სტრატეგიულ ადგილებში“⁹⁸⁸ არ იქნა გამოყენებული სასამართლოს მიერ ოკუპაციის კვალიფიკაციის უარყოფისთვის. და ბოლოს, იმის გამო, რომ ოკუპაციის მდგომარეობა შეიძლება არსებობდეს შეიარაღებული წინააღმდეგობის გარეშე, საკითხი ჯარის რაოდენობის შესახებ თავისთავად სამართლებრივად რელევანტური ვერ იქნება. კანონის ძირითადი წესები, რომლებიც სახელმწიფოს ოკუპაციის შემთხვევაში, სხვა მსგავს კანონებთან ერთად, გამოყენება, არის ის, რომ ოკუპანტმა ძალამ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა მიიღოს ზომები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების აღსადგენად და უზრუნველსაყოფად. ასევე, აკრძალულია ტყვედ აყვანა, დაცვის ქვეშ მყოფი პირების ან მათი ქონების მიმართ ანგარიშის გასწორება, მტრის საკუთრების განადგურება ან დაპატრონება, თუ საომარი მოქმედებების წარმოებისათვის არ არსებობს ამის აბსოლუტური სამხედრო აუცილებლობა.

როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო უსვამს ხაზს, ამგვარი გამოყენება არ გამორიცხავს ადამიანის უფლებების გამოყენებადობას. თუ ეს აიხსნება ომის დროს ადამიანის უფლებების გამოყენების გაგრძელების ზოგადი პრინციპით, ის აგრეთვე, მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებების კანონის კიდეც ერთ საკითხთან: იურისდიქციის კონტროლი ან განხორციელება, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებების კანონის ექსტრატერიტორიული გამოყენებისათვის. ამ კუთხით, იყო შემთხვევების მთელი რიგი, როდესაც ითვლებოდა, რომ საზღვარგარეთის ძალების მიმართ შესაძლებელი იყო გამოყენებული ყოფილიყო ადამიანის უფლებების კანონი და ეს იყო ოკუპაციის შემთხვევები.

მნიშვნელობა იმისა, რომ გაირკვეს რეალურად, ვინ ახორციელებს, ადგილზე ძალაუფლებას, შეიძლება ნათელი გახდეს ერთი მტკიცებულებით, რომელიც წინ რუსეთის ფედერაციამ წამოწია. „საომარი მოქმედებების მსვლელობისას, ამ საომარი

⁹⁸⁶ 2008 წლის 8 სექტემბერს, დღის 3 საათზე მშვიდობის სასახლეში გამართული ღია სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი საქმეზე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, CR 2008/23, გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ICJ, ჰააგა, 2008 წელი, პარაგრაფი 17, გვ. 44.

⁹⁸⁷ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (სამართლებრივი ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Legal Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 8.

⁹⁸⁸ კონგოს ტერიტორიაზე განხორციელებული საომარი მოქმედებები (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდის წინააღმდეგ), ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 170.

მოქმედებების მიერ გამოწვეული საფრთხისაგან მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად მიღებულ ზომებსა და საომარი მოქმედებების ფარგლებს გარეთ მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვის, ცუდად მოპყრობისა და ა.შ. დასაცავ ზომებს შორის“ განსხვავებაზე ყურადღების გამახვილებით, რუსეთის ფედერაციამ პირველ რიგში, უარი თქვა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული „ოკუპაციის შესახებ“ კანონის გამოყენებაზე. მეორე, მან აღნიშნა, რომ როდესაც „სამხრეთ ოსეთს ყავდა და ისევ ჰყავს თავისი საკუთარი მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც ამ ქვეყანაში ეფექტურ კონტროლს ახორციელებს, ინარჩუნებს კანონის უზენაესობას, და იცავს ადამიანის უფლებებს, (...) რუსეთის სამხედრო კონტინგენტი მიწვეული იყო მხოლოდ იმისათვის, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უშუალოდ სამხედრო ამოცანები განეხორციელებინა, მაქსიმალურად მათი შესაძლებლობების ფარგლებში ეცადათ შეენარჩუნებინათ კანონი და წესრიგი და აღეკვეთათ ნებისმიერი სახის ძალადობა თავისი განლაგების ადგილებში, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზეც, სადაც, იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლებას ხელი არ მიუწვდებოდა, აშკარა საპოლიციო ვაკუუმი შეიქმნა.“⁹⁸⁹ სწორედ ამიტომ, აუცილებელია, რომ ნათელი მოეფინოს ადამიანის უფლებათა სამართლის გამოყენებას წინამდებარე კონტექსტში.

B. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი

პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა სამართალი (HRL) არის რელევანტური, თუ მხედველობაში მივიღებთ წინასწარ შენიშვნებს ანგარიშის პერიოდისა და ფარგლების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვნად სცილდება თავად კონფლიქტის მსვლელობის დროს და მოითხოვს მშვიდობიან პერიოდში განხორციელებული ქმედებების გადასინჯვას. მეორე რიგში, ამჟამად კარგად ჩამოყალიბებული, რომ ადამიანის უფლებათა სამართალი განაგრძობს მოქმედებას შეიარაღებული კონფლიქტის დროს.⁹⁹⁰ ამ მხრივ, წინამდებარე საქმემ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ ამ კონტექსტში, რომელიც განიხილება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ, დასაბამი მისცა მხარეებს შორის ფართო მსჯელობას ადამიანის უფლებათა სამართლის გამოყენებადობის სამი, ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხის ირგვლივ: ომის დროს, ოკუპაციის შემთხვევებში და ექსტრატერიტორიულობას.

⁹⁸⁹ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (სამართლებრივი ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Legal Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 7 - 8.

⁹⁹⁰ მაგალითად, იხ.: ბირთვული იარაღის გამოყენების ან საფრთხის კანონიერება (Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion), მრჩველთა მოსაზრებები, გაეროს საერთაშორისო სასამართლო ანგარიშები, 1996, პარაგრაფი 25; პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის აგების სამართლებრივი შედეგები, მრჩველთა მოსაზრება. გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები 2004 (Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, Advisory Opinion, ICJ Reports 2004), პარაგრაფი 106.

ადამიანის უფლებათა სამართლის ხელშეკრულებების ფარგლებში, სახელმწიფოების ვალდებულებები მოიცავს არა მხოლოდ ვალდებულებას თავი შეიკავოს ამ უფლებებში ჩარევისაგან ან განხორციელებას, არამედ აგრეთვე, დადებით ვალდებულებას მიიღოს ზომები, რომ დაიცვას მათი განხორციელება. როგორც ადამიანის უფლებათა კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მუხლით 2(1) განსაზღვრული სამართლებრივი ვალდებულება არის „პატივი სცეს და უზრუნველყოს თავისი ტერიტორიის ფარგლებში და მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირის უფლებები, აღიარებული წინამდებარე პაქტით, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თავის ხასიათის მიხედვით.“⁹⁹¹

მიუხედავად იმისა, რომ ამტკიცებენ, რომ ეს ვალდებულებები მხოლოდ სახელმწიფოებს შეიძლება ეკისრებოდეს, ამჟამად აღიარებულია, რომ ადამიანის უფლებათა სამართლის მხრივ, ვალდებულებები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსაც აკისრიათ. ლიბანისა და ისრაელის შესახებ გაეროს ოთხი სპეციალური მომხსენებლის მიერ გაკეთებულ ერთობლივ ანგარიშში, განსაკუთრებული აღნიშნულია: „მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ვერ გახდებიან ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების მონაწილე მხარეები, საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნა, რომელიც პირველად ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში იქნა გამოხატული, იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების ყველა ორგანომ პატივი უნდა სცეს და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა დაცვას.“⁹⁹² ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ტერიტორიაზე ეფექტურ კონტროლს ახორციელებენ.⁹⁹³

a) შესაბამისი საერთაშორისო სახელშეკრულებლო სამართალი

⁹⁹¹ ზოგადი კომენტარი #31 [80], პაქტის მონაწილე სახელმწიფოებზე დაკისრებული ზოგადი ვალდებულებების ხასიათი (Nature of the General Legal Obligation Imposed on States Parties to the Covenant), CCPR/C/21/Rev.1/Add.13 (ზოგადი კომენტარები), 26 მაისი, 2004, პარაგრაფები 6-7.

⁹⁹² სპეციალური მომხსენებლის ანგარიში არასამთავრობო სექტორის, თვითნებური ან საარბიტრაჟო აღსრულების შესახებ, ფილიპ ელსტონი; სპეციალური მომხსენებელი თითოეულის უფლებაზე უმაღლესი მისაღები სტანდარტის დონეზე ჰქონდეს უზრუნველყოფილი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, პოლ ჰანტი; გენერალური მდივნის წარმომადგენელი იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების საკითხებზე, უოლტერ კალინი; სპეციალური მომხსენებელი ადეკვატური საცხოვრებლის, როგორც ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის უფლების საკითხებზე, მილონ კოტარი, გაეროს დოკუმენტი A/HRC/2/7, 2 ოქტომბერი, 2006, პარაგრაფი 19, ციტირებულია ენდიურ კლეპჰემის მიერ, „ადამიანის უფლებების მხრივ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებზე დაკისრებული მოვალეობები კონფლიქტურ სიტუაციებში“ (“Human rights obligations of non-state actors in conflict situations”), წითელი ჯვრის საერთაშორისო მიმოხილვა, # 863, 2996. ამ მხრივ პრაქტიკის მიმოხილვისათვის იხ.: კლეპჰემი, გვ. 503.

⁹⁹³ მაგალითად, იხ.: სპეციალური მომხსენებლის ანგარიში არასამთავრობო სექტორის, თვითნებური ან საარბიტრაჟო აღსრულების შესახებ, ფილიპ ელსტონი; სპეციალური მომხსენებელი თითოეულის უფლებაზე უმაღლესი მისაღები სტანდარტის დონეზე ჰქონდეს უზრუნველყოფილი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, პოლ ჰანტი; გენერალური მდივნის წარმომადგენელი იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების საკითხებზე, უოლტერ კალინი; სპეციალური მომხსენებელი ადეკვატური საცხოვრებლის, როგორც ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის უფლების.

საქართველო და რუსეთის ფედერაცია ადამიანის უფლებების ძირითადი უნივერსალური ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოები არიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICCPR), საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, წამების საწინააღმდეგო კონვენცია, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია და კონვენცია გენოციდის დანაშაულის პრევენციისა და დასჯის შესახებ.

გარდა ადამიანის უფლებების ძირითადი უნივერსალური ხელშეკრულებებისა, ორივე ეს სახელმწიფო არის რეგიონული ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც მათ გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს: განსაკუთრებით, აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (EConVHR), ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია, და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) ადამიანური განზომილების ვალდებულებები.

b) ექსტრატერიტორიული გამოყენება

ადამიანის უფლებების ხელშეკრულებების გამოყენების ტერიტორიული ფარგლები ის უმთავრესი კითხვაა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან რუსეთის ფედერაცია, საქართველოს კონფლიქტის ფარგლებში, მოქმედებდა თავისი საზღვრების გარეთ. მეორე კითხვა, რომელსაც ასევე, უნდა გაეცეს პასუხი, ეხება ადამიანის უფლებების შეთანხმებებიდან გადახვევას საგანგებო მდგომარეობის დროს.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მუხლი 2(1) ამბობს, რომ „წინამდებარე პაქტის თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ პატივი სცეს და უზრუნველყოს თავისი ტერიტორიის ფარგლებში და მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირის უფლებები,“ აღიარებული ამ პაქტით. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი უფრო ზოგად ფორმულირებას იყენებს და აცხადებს, რომ მაღალი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირის უფლებები და თავისუფლებები, განსაზღვრული ამ კონვენციის პირველ ნაწილში.“ ეს ორი დებულება განმარტავს, რომ კონვენციის გამოყენება სახელმწიფოს ტერიტორიით, როგორც ასეთით, კი არ იფარგლება, არამედ ის ვრცელდება იმ ადგილებზეც, სადაც ის ეფექტიან კონტროლს ახორციელებს. გაერო-ს ადამიანის უფლებების კომიტეტმა აღნიშნა, რომ „მონაწილე სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს და უზრუნველყოს უფლებები, რომლებიც ჩადებულია პაქტში, ყველასათვის, ვინც მონაწილე სახელმწიფოს ძალაუფლების ან ეფექტიანი კონტროლის ქვეშ იმყოფება, მაშინაც კი, როდესაც ის არ იმყოფება მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.“⁹⁹⁴

⁹⁹⁴ ზოგადი კომენტარი #31 [80], პაქტის მონაწილე სახელმწიფოებზე დაკისრებული ზოგადი ვალდებულებების ხასიათი (Nature of the General Legal Obligation Imposed on States Parties to the Covenant), ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 10.

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო უკვე დაეყრდნო ეფექტიანი კონტროლის კრიტერიუმს, როდესაც განსაზღვრა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება: „კონვენციის მიზნისა და ამოცანის გათვალისწინებით, მონაწილე მხარის პასუხისმგებლობა შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც სამხედრო მოქმედების შედეგად, სამართლიანი იყო, თუ უსამართლო, ის ახორციელებს ეფექტურ კონტროლს თავისი სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.“⁹⁹⁵ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ეს ექსტრატერიტორიული გამოყენება, როდესაც სახელმწიფო ახორციელებს იურისდიქციას თავისი ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, აგრეთვე, დაამტკიცა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ.⁹⁹⁶

ისევე, როგორც ოკუპირებული ტერიტორიის განსაზღვრის შემთხვევაში, აქაც ჩნდება კითხვა, თუ რა ტიპის სიტუაციები შეადგენს ეფექტურ კონტროლს. ისინი მოიცავს ხანგრძლივ ოკუპაციას, აგრეთვე, სიტუაციებს, როდესაც ის მხოლოდ დროის მოკლე განმავლობაში ხორციელდებოდა.⁹⁹⁷ ამ მიმართულებით, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლომ, რომელიც განიხილავდა საქმეს „ილიასკუ მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ,“ საინტერესო სახელმძღვანელო პრინციპს იძლევა ეფექტური კონტროლის განსაზღვრად: რუსეთის „სამხედრო და პოლიტიკური დახმარება,“ „რუსეთის ფედერაციის მიერ გაწეული სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური დახმარება“ და „ბრძოლებში მისი სამხედრო პერსონალის მონაწილეობა.“⁹⁹⁸

მიუხედავად იმისა, რომ ჩანს, თითქოსდა, ილიასკუს საქმეში ადგილი არ აქვს ოკუპაციას,⁹⁹⁹ ამას ხელი არ შეუშლია სასამართლოსთვის ელიარებია, რომ რუსეთი ახორციელებდა ეფექტურ კონტროლს დნესტრისპირეთის მოლდოვურ რესპუბლიკაზე და შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე მყოფი პირები მისი იურისდიქციის ქვეშ

⁹⁹⁵ ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, „ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ,“ სარჩელი #15318/89 (18 დეკემბერი, 1996), პარაგრაფი 62.

⁹⁹⁶ პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის აგების სამართლებრივი შედეგები, მრჩეველთა მოსაზრება. გაეროსაერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები 2004 (Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, Advisory Opinion, ICJ Reports 2004), პარაგრაფები 111 – 113.

⁹⁹⁷ მაგალითებისათვის იხ.: კანონის უზენაესობის პრინციპი შეიარაღებული კონფლიქტის დროს (Rule of Law in Armed Conflict). პროექტი, RULAC, სტატია კავშირი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებებს შორის შეიარაღებულ კონფლიქტებში (Interaction between international humanitarian law and human rights in armed conflicts), იხ.: http://www.adhgenevach/RULAC/interaction_between_humanitarian_law_and_human_rights_in_armed_conflicts.php

⁹⁹⁸ ილიასკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, საქმე # 48787/99, 2004 წლის 8 ივლისის განხილვა, პარაგრაფები 382 და 392.

⁹⁹⁹ ამას ამტკიცებს საქართველო თავის სარჩელში: საქართველოს სარჩელი, შეტანილი ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მუხლის 33, და სასამართლოს საქმეთა წარმოების წესების 46-ე და 51-ე წესების მიხედვით, (Georgia, APPLICATION UNDER ARTICLE 33 OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS AND RULES 46 AND 51 OF THE RULES OF COURT), ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 149.

აღმოჩნდნენ.¹⁰⁰⁰ ორივე ქვეყანა – საქართველო¹⁰⁰¹ და რუსეთი¹⁰⁰² – მოიხსენიებს ამ შემთხვევას, მაგრამ განსხვავებულად განმარტავს მას. ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ საკითხი იმის შესახებ, ახორციელებს თუ არა რუსეთის ფედერაცია ეფექტურ კონტროლს საქართველოს გარკვეულ ნაწილებზე, ამჟამად განიხილება ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში. ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველო, ილიასკუს საქმისა და რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის გაწეული დახმარების ჭრილში, ამტკიცებს, რომ რუსეთი ახორციელებს საკმარის კონტროლს იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის გამოყენება.¹⁰⁰³ ამ კითხვაზე გარკვეული დასკვნის გამოტანა საკმაოდ დელიკატური საქმეა. რუსული ძალების მიერ კონკრეტული უფლებების შესაძლო დარღვევის გამართლებით, რუსეთის ფედერაცია არაპირდაპირ აღიარებს, რომ ეს უფლებები რელევანტურია მისი საზღვარგარეთ მოქედების დროს.¹⁰⁰⁴ ეს წარმოშობს საკითხს ადამიანის უფლებების ნორმებიდან გადაცდომების შესახებ.

¹⁰⁰⁰ ილიასკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, საქმე # 48787/99, 2004 წლის 8 ივლისის განხილვა, პარაგრაფი 392.

¹⁰⁰¹ 2008 წლის 8 სექტემბერს, დილის 10 საათზე მშვიდობის სასახლეში გამართული ღია სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი საქმეზე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, CR 2008/22, გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ICJ, ჰააგა, 2008 წელი, პარაგრაფი 35; აგრეთვე, იხ.: საქართველოს სარჩელი, შეტანილი ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მუხლის 33, და სასამართლოს საქმეთა წარმოების წესების 46-ე და 51-ე წესების მიხედვით, (Georgia, APPLICATION UNDER ARTICLE 33 OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMANRIGHTS AND RULES 46 AND 51 OF THE RULES OF COURT), ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფები 149 – 152, და 2008 წლის 8 სექტემბერს, დილის 10 საათზე მშვიდობის სასახლეში გამართული ღია სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი საქმეზე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, CR 2008/22, გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ICJ, ჰააგა, 2008 წელი, პარაგრაფი 40, გვ. 20. საქართველოს ადვოკატმა განაცხადა: „თუ აღმოჩნდა, რომ რუსეთი ახორციელებდა კონტროლს რეგიონზე, რომლის სახელწოდებაცაა „მოლდოვას რესპუბლიკაზე დნესტრისპირეთი“ სამხედრო ოკუპაციის გარეშე, განა შეიძლება არსებობდეს ეჭვი იმის თაობაზე, რომ რუსები აკონტროლებენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს სამხედრო ოპერაციის პირობებში?“

¹⁰⁰² 2008 წლის 8 სექტემბერს, დილის 10 საათზე მშვიდობის სასახლეში გამართული ღია სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი საქმეზე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), CR 2008/27, გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ICJ, ჰააგა, 2008 წელი, პარაგრაფი 13, და შემდეგი.

¹⁰⁰³ საქართველოს სარჩელი, შეტანილი ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მუხლის 33, და სასამართლოს საქმეთა წარმოების წესების 46-ე და 51-ე წესების მიხედვით, (Georgia, APPLICATION UNDER ARTICLE 33 OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMANRIGHTS AND RULES 46 AND 51 OF THE RULES OF COURT), ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფები 155–159.

¹⁰⁰⁴ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (სამართლებრივი ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Legal Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 11.

ე) გადაცდომები

ადამიანის უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებები შეიცავს დებულებებს, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას დროებით აიცილონ თავიდან ამ ხელშეკრულებებით დაკისრებული ვალდებულებები. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მუხლი 4(1) ადგენს პირობებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ ეს გადაცდომა იყოს კანონიერი.¹⁰⁰⁵ როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა თავის ზოგად კომენტარში, „პაქტის დებულებებთან აცდენილი ზომების მიღება მხოლოდ გამონაკლისის სახით შეიძლება განხორციელდეს და ისინი დროებითი უნდა იყოს.“ ამასთან, იმისათვის, რომ სახელმწიფომ ამგვარი გადაცდომა დაუშვას, უნდა არსებობდეს ორი ძირითადი წინაპირობა: პირველი, „უნდა იყოს საზოგადოებისათვის საგანგებო ის შემთხვევა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს და მეორე, საგანგებო მდგომარეობა უნდა იყოს გამოცხადებული ოფიციალურად და იმ კონსტიტუციური და იურიდიული დებულებების შესაბამისად, რომლებიც მართავს ამგვარ გამოცხადებას და საგანგებო ძალების ჩართვას.¹⁰⁰⁶ ამ ხელშეკრულების ტექსტში შემდგომში ნათქვამია, რომ შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი, ზომები, რომლებიც პაქტიდან გადაცდომას წარმოადგენს, ნებადართულია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სიტუაცია და ის ისეთი მასშტაბისაა, რომ საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს.“¹⁰⁰⁷ ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მუხლი 15(1) აგრეთვე, განიხილავს გადაცდომას გარკვეული პირობების გამო და ფართოდ მსჯელობს საომარ სიტუაციაზე.¹⁰⁰⁸

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლი ფართოდ აღწერს იმ დებულებებს, რომელთა გადაცდომა არ შეიძლება და, შესაბამისად, ყოველთვის უნდა იყოს დაცული. ეს მოიცავს: სიცოცხლის უფლებას; წამებისა და სისასტიკის აკრძალვას; არაადმიანურ ან ღირსების შემლახველ სასჯელს; მონობის,

¹⁰⁰⁵ ამ მუხლში ნათქვამია, რომ „საზოგადოებისათვის საგანგებო იმ შემთხვევაში, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს და რომლის არსებობაც ოფიციალურად არის გაცხადებული, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა შეიძლება მიიღონ ზომები, რომლებიც ცდება წინამდებარე პაქტით გათვალისწინებულ მათ ვალდებულებებს მკაცრად იმ ფარგლებში, რამდენადაც საჭიროა სიტუაციის მასგაერთიანებელი შტაბიდან გამომდინარე, ამასთან ერთად, ეს ზომები წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ მათ ვალდებულებებთან და არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან სოციალური წარმომავლობის საფუძველზე განხორციელებულ დისკრიმინაციას.

¹⁰⁰⁶ ადამიანის უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი # 29 (მუხლი 4), Doc. ONUCCPR/C/21/Rev.1/Add.11, 31. აგვისტო, 2001 წელი, პარაგრაფი 2.

¹⁰⁰⁷ იქვე, პარაგრაფი 3.

¹⁰⁰⁸ ეს პარაგრაფი შემდეგნაირად იკითხება: „ომის ან სხვა საზოგადოებრივი საგანგებო შემთხვევების დროს, რომლებიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს, ნებისმიერმა მაღალი მნიშვნელობის მქონე ქვეყანამ შეიძლება მიიღოს ზომები, რომლებიც ამ კონვენციით გათვალისწინებული მისი ვალდებულებებისაგან გადაცდომას წარმოადგენს, მკაცრად იმ ფარგლებში, რასაც მოითხოვს არსებული სიტუაციის მასგაერთიანებელი შტაბი, და ეს ზომები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ მათ სხვა ვალდებულებებს.“

მონებით ვაჭრობისა და მონად აყვანის აკრძალვას; აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. გარდა ამისა, პაქტიდან გადაცდომები არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან სოციალური წარმომავლობის საფუძველზე განხორციელებულ დისკრიმინაციას. ადამიანის უფლებების კომიტეტმა ასევე გააკეთა კონვენციის იმ სხვა „ელემენტების“ ჩამონათვალი, რომელთა შესრულების უარყოფა ვერ ჩაითვლება კანონიერად მე-4 მუხლის მიხედვით, როგორებიცაა, მაგალითად, თავისუფლებაადკვეთილი ყველა პირის უფლება მოექცნენ ჰუმანურად და მისი პიროვნული ღირსების შელახვის გარეშე; ტყვეების აყვანის, გატაცების და გაუფრთხილებლად დაკავების აკრძალვა; უმცირესობების დაცვის უფლებების გარკვეული ელემენტები; მოსახლეობის ჯგუფების დეპორტაციის ან იძულებით გადაყვანის აკრძალვა; აკრძალვა ომის პროპაგანდისა და ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ზიზღის გავრცელებისა, რომელიც გამოიწვევს დისკრიმინაციის შუღლის ან ძალადობის გამძაფრებას.¹⁰⁰⁹

მიუხედავად იმისა, რომ სრულად არ უღიარებია გადაცდომის შემთხვევა, რუსეთის ფედერაციამ გააკეთა შემდეგი განცხადება: „თუ ცალკეულ შემთხვევებში რუსეთის სამხედრო პერსონალის მოქმედება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ადამიანის სპეციფიკური უფლებების დარღვევა (მაგალითად, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა), ეს მოქმედებები ჩატარებული იყო მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად. ასევე, იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ და აღეკვეთათ ყოველგვარი უკანონო ქმედება და დაეცვათ მოქალაქეები, მიუხედავად მათი ეროვნების და/ან ეთნიკური წარმომავლობისა.“¹⁰¹⁰

როგორც ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარმა¹⁰¹¹ აღნიშნა, ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მუხლის 15(3) მიხედვით, მაღალი მნიშვნელობის მქონე ყველა სახელმწიფომ, როდესაც თავის თავს ანიჭებს უფლებას, რომ გადაცდომა დაუშვას, ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს სრული ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მის მიერ გატარებული ზომებისა და მათი მიზეზების შესახებ. 2008 წლის 10 აგვისტოს, საქართველომ აცნობა ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა 2008 წლის 9 აგვისტოს გამოიყენა კონსტიტუციის მიერ მისთვის 73(1) (ვ) და 46 (1) მუხლებით, მინიჭებული უფლება და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე 15 დღის ვადით გამოაცხადა საომარი მდგომარეობა. პრეზიდენტის გადაწყვეტილება დამტკიცებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ. იმავე ვერბალური ნოტიოთ, სადაც გენერალურ მდივანს მიეწოდა ინფორმაცია საომარი მდგომარეობის შესახებ,

¹⁰⁰⁹ იქვე, პარაგრაფი 13.

¹⁰¹⁰ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (სამართლებრივი ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Legal Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 11.

¹⁰¹¹ თომას ჰამარბერგი, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარი, ადამიანის უფლებები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში, სპეციალური მისია საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში, 22 – 29 აგვისტო, 2008 წელი, CommDH (2008)22, 8 სექტემბერი, 2008 წ., პარაგრაფი 12.

განსაკუთრებით იყო აღნიშნული, რომ არ იყო დაშვებული არც ერთი გადაცდომა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციით გათვალისწინებული რაიმე უფლების მიმართ. მოგვიანებით, 2008 წლის 3 სექტემბერს, ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა აცნობა მინისტრთა კომიტეტს, რომ 2008 წლის 4 სექტემბრიდან ქვეყანაში საომარ მდგომარეობას ჩაანაცვლებს საგანგებო მდგომარეობა. საქართველოს, შესაძლო გადაცდომებთან დაკავშირებით, არანაირი განცხადება არ გაუკეთებია.

d) კავშირი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან

მთავარი საკითხია ნორმების ამ ორ ტექსტს შორის ურთიერთკავშირის ტიპი. გასარკვევია, არა ურთიერთკავშირი, არამედ როგორ უკავშირდება ადამიანის უფლებების სამართალი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს.¹⁰¹² მიუხედავად იმისა, რომ ეს კითხვა ბევრად სცილდება საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის საქმიანობის სფეროს, მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოსათვის. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ, როდესაც მსჯელობდა ომის დროს სიცოცხლის უფლების გამოყენების გაგრძელებაზე, ყურადღება გაამახვილა, რომ სიცოცხლის აღკვეთის თვითნებური ხასიათი უნდა შეფასდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის და არა ადამიანის უფლებების სტანდარტების მიხედვით. ასეთ ვითარებაში, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალი მოქმედებს, როგორც სპეციალური კანონი (*lex specialis*) ადამიანის უფლებების კანონის მიმართ.¹⁰¹³

მიუხედავად იმისა, რომ ეს სარჩელის პრაქტიკულ საკითხებს არ წყვეტს, ის მაინც ერთგვარად ნათელს ჰფენს სხვადასხვაგვარ სცენარებს, რომლებსაც შეიძლება წავაწყდეთ. შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ადამიანის უფლებათა სამართლის შესაბამისობის გათვალისწინებით, ახლა აუცილებელია მოკლედ

¹⁰¹² ნ. ლუბელი, „შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადამიანის უფლებების კანონის გამოყენების წინაშე მდგარი პრობლემები“ („Challenges in applying human rights law to armed conflict“), წითელი ჯვრის საერთაშორისო მიმოხილვა, ტ. 860, 2005. გვ. 738.

¹⁰¹³ უფრო სისტემატური გზით, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ შემდგომში დაამუშავა სხვადასხვა ტიპის ურთიერთკავშირები ამ ორ საკანონმდებლო ტექსტს შორის: „საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებების სამართალს შორის კავშირების მიმართულებით, [...] ზოგიერთი უფლება შეიძლება ექსკლუზიურად საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლის საგანი იყოს; სხვები შეიძლება ექსკლუზიურად ადამიანის უფლებების სამართლის საგანი იყოს. იმისათვის, რომ მათში ჩადებულ შეკითხვებს პასუხი გაეცეს, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო სამართლის ეს ორივე მიმართულება, კერძოდ, ადამიანის უფლებების სამართალი, და როგორც სპეციალური კანონი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. „პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის აგების სამართლებრივი შედეგები“ (Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory), ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 106. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადასტურა ეს მიდგომა საქმეში კონგოს ტერიტორიაზე განხორციელებული საომარი მოქმედებები (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდის წინააღმდეგ) (Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda), ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 119.

მიმოვიხილოთ იძულებით გადაადგილებული პირების დაცვის კუთხით გამოსაყენებელი შესაბამისი სტანდარტები.

C. სამართლებრივი ჩარჩო იძულებით გადაადგილებული პირებისათვის

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულნი პირები, რომლებიც შეიძლება კვალიფიცირებული იყვნენ, როგორც ლტოლვილები, ვინაიდან მათ გადაკვეთეს რუსეთის საზღვარი, საკითხი ძირითადად, ეხება იძულებით გადაადგილებული პირებს, როგორც 1990-იან წლებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად გადაადგილებულებს, ასევე მათ, ვინც 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს და შემდგომ პერიოდში იძულებით დატოვეს საცხოვრებელი ადგილები. 2008 წლის კონფლიქტის შედეგად გადაადგილებული ზოგიერთი პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ არსებობს საპირისპირო შეხედულებები. შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული იმ პირების კვალიფიკაციის შესახებ, რომლებიც კონფლიქტის შედეგად, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან გადავიდნენ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე: სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხელისუფლებები მათ „ლტოლვილებს“¹⁰¹⁴ უწოდებს, რაც გულისხმობს, რომ გადაკვეთილი იყო საერთაშორისო საზღვარი, ხოლო საქართველოს ხელისუფლება ამ პირებს ანიჭებს კვალიფიკაციას, რომ ისინი იძულებით გადაადგილებული პირები არიან. ვინაიდან კონფლიქტის მსვლელობის დროისათვის არ არსებობდა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვარი¹⁰¹⁵, რომელიც ზუსტად გამოყოფდა სამხრეთ ოსეთის ან აფხაზეთის ტერიტორიებს დანარჩენი საქართველოსაგან. ამ ტერიტორიებს შორის გადაადგილებული პირები უნდა იყვნენ კლასიფიცირებულნი, როგორც იძულებით გადაადგილებული პირები, ისევე, როგორც ეთნიკური ქართველები, რომლებიც სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე რეგიონებში ცხოვრობდნენ და იძულებული გახდნენ გორში ან თბილისში წასულიყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს „ლტოლვილების შესახებ“ კანონის სამართლებრივი რეჟიმი არ იცავს, მათი დაცვა ხორციელდება ადამიანის უფლებათა სამართლით, ხოლო შეიარაღებული კონფლიქტების დროს – საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიერ. გარდა მათი, როგორც ადამიანების დაცვის არსებითი წესებისა, სამართლის ეს ნაწილები აგრეთვე, შეიცავს ნორმებს თავად გადაადგილების შესახებ და უკან დაბრუნების უფლებას. იმისათვის, რომ ასახული იყოს თავისი სახლებიდან და ქვეყნებიდან იძულებით-ძალადობრივი კონფლიქტის,

¹⁰¹⁴ ტერმინი გამოყენებულ იქნა, მაგალითად, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის შეხვედრების კონტექსტში.

¹⁰¹⁵ ამ კრიტერიუმის შესახებ იხ.: სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების ანოტაციებისათვის (Guiding Principles on Internal Displacement Annotations), უოლტერ კალინი, საერთაშორისო სამართლის ამერიკული ასოციაცია, ბრუკინგის ინსტიტუტი – ბერნის უნივერსიტეტი, პროექტი იძულებით გადაადგილების შესახებ, ტრანსნაციონალური სამართლებრივი პოლიტიკის კვლევა (Project on Internal Displacement, Studies in Transnational Legal Policy), # 28, საერთაშორისო სამართლის ამერიკული ასოციაცია, ვაშინგტონი, 2008, გვ. 2, შეიძლება იხილოს საიტზე <http://www.asil.org/pdfs/stlp.pdf>.

ადამიანის უფლებების უხეზად დარღვევის, და ბუნებრივი თუ ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების გამო წამოსულ პირთა კონკრეტული საჭიროებები, შემუშავდა გაერთიანებული ერების იძულებით გადაადგილების საკითხებში სახელმძღვანელო პრინციპები.¹⁰¹⁶ მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებით ხელშეკრულებებისაგან, ეს პრინციპები სავალდებულოდ შესასრულებელი არაა, ზოგიერთი მათგანი შეესაბამება არსებულ საერთაშორისო სამართალს. ზოგიერთი მათგანი იმეორებს ან გამომდინარეობს არსებული სამართლებრივი ვალდებულებებიდან¹⁰¹⁷ და აწესებს სტანდარტებს იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებაში, ასევე ქმნის ნორმატიულ ჩარჩოს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის. ამ მხრივ, ეუთო-ს მონაწილე სახელმწიფოებს, მათ შორის, საქართველოსა და რუსეთს, აღიარებული აქვთ ეს პრინციპები, როგორც „იძულებით გადაადგილების საკითხებზე ეუთო-სა და მონაწილე სახელმწიფოების მუშაობისათვის მეტად სასარგებლო ჩარჩო.“¹⁰¹⁸

მას შემდეგ, რაც ავსახეთ მოქმედი საერთაშორისო სამართლის ძირითადი ელემენტები, ახლა საჭიროა დადგინდეს ფაქტები, ისე, როგორც მათ მხარეები აღწერენ და სხვა დოკუმენტური წყაროების საფუძველზე, რათა განიმარტოს დარღვევების შესახებ ბრალდებები.

III. ძირითადი ფაქტები და მათთან დაკავშირებული სამართლებრივი შეფასება

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მსხვერპლთა რაოდენობას. უპირველეს ყოვლისა, ყველაზე მეტი მსხვერპლის შესახებ იყო აღნიშნული სამხრეთ ოსეთში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად. მეორე, შოკის მომგვრელია შეუსაბამობა რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერ გაკეთებულ პირველ შეტყობინებებში სამხრეთ ოსეთში მოკლული და დაჭრილი მშვიდობიან მოსახლეთა

¹⁰¹⁶ ამ სახელმძღვანელო პრინციპების მიზნებისათვის, იძულებით გადაადგილებული პირები არიან „პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც იძულებული ან ვალდებული იყვნენ გაქცეულიყვნენ ან დაეტოვებინათ თავისი სახლები ან საცხოვრებელი ადგილები, კერძოდ, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ან მისი ზემოქმედების, საყოველთაო ძალადობის, ადამიანის უფლებების დარღვევების ან ბუნებრივი თუ ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების შედეგების თავიდან ასაცილებლად და რომელთაც არ გადაუკვეთიათ საერთაშორისოდ აღიარებული საზღვარი.“ იხ.: იძულებით გადაადგილების საკითხებში სახელმძღვანელო პრინციპები (Guiding Principles on Internal Displacement), გენერალური მდივნის წარმომადგენლის, ფრენსის მ. დენგის ანგარიში, წარმოდგენილი კომისიის დადგენილების 1997/39E/CN.4/1998/53/Add.2 შესაბამისად, დანართი, E/CN.4/1998/53/Add.2, 11 თებერვალი, 1998 წ., ადამიანის უფლებების კომისია.

¹⁰¹⁷ სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების ანოტაციებისათვის (Guiding Principles on Internal Displacement Annotations), უოლტერ კალინი, საერთაშორისო სამართლის ამერიკული ასოციაცია, ბრუკინგის ინსტიტუტი – ბერნის უნივერსიტეტი, პროექტი იძულებით გადაადგილების შესახებ, ტრანსნაციონალური სამართლებრივი პოლიტიკის კვლევა (Project on Internal Displacement, Studies in Transnational Legal Policy), # 38, საერთაშორისო სამართლის ამერიკული ასოციაცია, ვაშინგტონი, 2008, შეიძლება იხილოს საიტზე <http://www.asil.org/pdfs/stlp.pdf>.

¹⁰¹⁸ ეუთო, 2 დეკემბერი, 2003, მასტრახტის მინისტრთა საბჭო, გადაწყვეტილება # 4 /03, შემწყნარებლობისა და დისკრიმინაციის უარყოფის შესახებ, პარაგრაფი 13.

რაოდენობების შესახებ და მხარეების მიერ ანალოგიურის შესახებ მონაცემებს შორის.¹⁰¹⁹ Human Rights Watch-ის 2009 წლის ანგარიშში ეს აღინიშნა, როგორც ცალკე „საკითხი.“¹⁰²⁰ მნიშვნელობა აქვს, თუ რა გარემოებებში მოკლეს ეს ადამიანები. სწორედ ამ მიზეზის გამო, მოკლული ადამიანების ზოგიერთი სიას, სადაც მითითებული არ არის, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი საომარ მოქმედებებში,¹⁰²¹ დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, მსხვერპლთა ზუსტი რიცხვი თავისთავად შეუსაბამოა და არ შეიძლება სამართლებრივი შედეგები მოჰყვეს. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსხვერპლის ხასიათი და ის გარემოებები, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. უფრო მეტიც, მისიას არ ჰქონდა შესაძლებლობა ამ კუთხით საბოლოო შეფასებები გაეკეთებინა. მსხვერპლის რაოდენობის შესახებ სხვადასხვა წყაროს მიერ მოწოდებული მონაცემები განსხვავებულია, განსაკუთრებით, იმის მიხედვით, თუ ვინ ითვლიდა.¹⁰²² თუმცა, კონფლიქტის ყველა მხარე პასუხისმგებელია

¹⁰¹⁹ ამნესტი ინტერნეშნლ, სამოქალაქო პირები ცეხლის ხაზზე - საქართველო - რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 10.

¹⁰²⁰ ჰიუმან რაიტს უოჩი, ცეხლის ალში- ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები სამხრეთ ოსეთში განვითარებულ კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 74. აგრეთვე, იხ.:ამნესტი ინტერნეშნლ, სამოქალაქო პირები ცეხლის ხაზზე - საქართველო - რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 10.

¹⁰²¹ მაგალითად, იხ.: დაავადებულ მსხვერპლთა სია, საზოგადოებრივისაგამომიებო კომისია სამხრეთ ოსეთში. შევიძლიათ იხილოთ საიტზე: www.osetinfo.ru.

¹⁰²² მაგალითად, რუსეთის ფედერაციამ, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებლო მისიის კითხვარზე გაცემულ პასუხებში აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებიდან გარდაიცვალა 162 მშვიდობიანი მოსახლე, ხოლო 255 - მა მიიღო სხვადასხვა ხარისხის დაზიანება; მოკლული იქნა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების 48 სამხედრო მოსამსახურე. ამათგან 10 მსახურობდა სამშვიდობო ძალების შერეულ ბატალიონში, და 162 - მა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო სხვადასხვა ხარისხის დაზიანება; [რუსეთი, პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects))], გვ. 2. საქართველოს მთავრობის 2009 წლის აგვისტოს ანგარიშში, რომლის სათაური არის „საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული აგრესია“, „სამოქალაქო პირების, სამხედროებისა და მას მედიის წარმომადგენელთათვის“ მოცემულია შემდეგი რიცხვები: გარდაიცვალა 412 ადამიანი. „ამ რაოდენობაში შედის 228 სამოქალაქო პირი; 170 სამხედრო; 14 პოლიციელი. იმავდროულად დაკარგულად ითვლება 10 სამხედრო და 14 პოლიციელი. თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს დაიღუპა ერთი უცხოელი და ორი ქართველი ჟურნალისტი, და დაიჭრა ოთხი ჟურნალისტი, დაიჭრა საქართველო 1747 მოქალაქე; ამათგან 973 იყო სამხედრო მოსამსახურე, 547 სამოქალაქო პირი, და 227 პოლიციელი. „საქართველოს მთავრობის ანგარიში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული აგრესიის შესახებ“, 2009 წლის აგვისტო, გვ. 40. ევროპისსაბჭოსსაპარლამენტო-სამხარეთის რუსეთსა და საქართველოში არსებული სიტუაციის შემსწავლელი სპეციალური კომიტეტის უფროსმა ლუკ ვან დენ ბრანდმა, რეგიონში თავისი ვიზიტის შემდეგ. 2008 წლის 29 სექტემბერს განაცხადა, რომ „დამოუკიდებელ ანგარიშებში მოცემული გარდაცვლილთა სრული რაოდენობები მერყეობს 300 -სა და 400 - ს შორის, სამხედროების ჩათვლით.“ იხ.: ევროპისსაბჭოსსაპარლამენტო-სამხარეთის რუსეთსა და საქართველოში არსებული სიტუაციის შემსწავლელი სპეციალური კომიტეტი, „სატუაცია ადგილზე რუსეთსა და საქართველოში ამ ქვეყნებს შორის ომის კონტექსტში“, ასამბლეის ბიუროს

დაადგინოს სარწმუნო რაოდენობები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამ ანგარიშის შედგენისას, ზოგ ადამიანს ისევ განსხვავებული მონაცემები აქვს მათი ნათესავების გარდაცვალების შესახებ და არანაირი ინფორმაცია არ გააჩნიათ მათი გვამების ადგილმდებარეობის შესახებ.

როგორც ზევით აღინიშნა, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის უმთავრესი ამოცანა ფაქტების დადგენა იყო. ამავე დროს, ის აგრეთვე, აფასებდა ბრალდებებს ძალადობის შესახებ. ფაქტების ქრონოლოგია და თანმიმდევრობა, როგორც ეს ქვემოთ არის მოცემული, არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც მათ შორის ნებისმიერი ტიპის მიზეზობრივი კავშირების დამყარების მცდელობა.

A. საომარი მოქმედებების განხორციელება

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მართავს კონფლიქტის მხარეების მიერ საომარი მოქმედებების წარმოებას ზოგადი პრინციპებისა და უფრო სპეციფიკური წესების მეშვეობით. ამ ნორმებიდან უმთავრესია მშვიდობიანი მოსახლეობის იმუნიტეტი და მისი შედეგები, განსხვავების პრინციპი და ზოგადი პრინციპი, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეების უფლება – აირჩიონ ომის მეთოდები და საშუალებები შეუზღუდავი არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში საომარი მოქმედებების წარმოების ზოგადი წესები ძირითადად, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტებისთვის გამოიყენება, სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის უკანასკნელი გადაწყვეტილებები და აგრეთვე, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლის წესების ჩვეულებითი ხასიათის კონსოლიდირება,¹⁰²³ მიუთითებს არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტებისათვის გამოყენებადი ჩვეულებითი სამართლის მყარ განვითარებაზე.¹⁰²⁴

საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალი მოითხოვს, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა ყოველთვის გააკეთონ განსხვავება მეზობლებსა და მშვიდობიან მოსახლეობას შორის, აგრეთვე, სამხედრო ობიექტებსა და სამოქალაქო ობიექტებს შორის და თავისი ოპერაციები მიმართონ მხოლოდ მეზობლებისა და სამხედრო ობიექტებისაკენ.¹⁰²⁵ მშვიდობიანი მოსახლე კარგავს თავდასხმის იმუნიტეტს მაშინ და

სპეციალური კომიტეტის უფროსის, ლუკ ვან დენ ბრანდის მემორანდუმი, დოკუმენტი 11720, დანართი II, 29 სექტემბერი, 2008.

¹⁰²³ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის 2005 წლის ძირითად კვლევაში ჩანს, რომ განსაზღვრული 161 ჩვეულებითი წესიდან 159 აგრეთვე გამოყენებადია არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტებისათვის.

¹⁰²⁴ ორი რეჟიმის დაახლოების შესახებ იხ.: ლ. მორი, „საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი (The Law of Internal Armed Conflict), Cambridge, Cambridge University Press, 2002, გვ. 306

¹⁰²⁵ იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას, როგორც „მეზობელი“, იხ.: ჟენევის კონვენციის III მუხლები 4(A)(1)-(3) და (6), და დამატებითი პროტოკოლის I მუხლები 43 – 44. „მშვიდობიან

მხოლოდ იმ დროით, რა დროითაც ისინი უშუალოდ იღებენ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში.¹⁰²⁶ და, ვინაიდან ობიექტები ჩართულია, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი განსაზღვრავს სამხედრო ობიექტებს, როგორც ობიექტებს, რომლებიც თავისი ბუნებით, ადგილმდებარეობით, დანიშნულებით ან გამოყენებით ხელს უწყობს სამხედრო მოქმედებებს და რომელთა ნაწილობრივ, ან სრულიად დანგრევით, დაპყრობით ან განეიტრალებით, იმ დროისათვის არსებულ გარემოებებში, შეიძლება გარკვეული სამხედრო უპირატესობის მოპოვება. სამოქალაქო ობიექტი არის ყველა ის ობიექტი, რომელიც არ არის სამხედრო ობიექტი. სამოქალაქო ობიექტები, მაგალითად, სახლები და სკოლები დაცულია თავდასხმისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენება. განსხვავების ამ პრინციპის გამოყენებისას, შემდგომში, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს განურჩეველ თავდასხმებს, რომლებიც სამ კატეგორიად არის დაყოფილი: „(ა) რომელიც არაა მიმართული რაიმე სპეციფიკური სამხედრო ობიექტისადმი; (ბ) რომელიც იყენებს ბრძოლის იმ მეთოდს ან საშუალებას, რომლის ზემოქმედება ვერ შემოიფარგლება, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი; (გ) რომელიც შემდგომში, ყოველ მსგავს შემთხვევაში, ისეთი ხასიათისაა, რომ განურჩევლად უტევს როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირებს და სამოქალაქო ობიექტებს.

განურჩეველ შეტევებს შორის არის დაბომბვა ნებისმიერი მეთოდით ან საშუალებით, მათ შორის, ნათლად განცალკევებულ და განსხვავებულ სამხედრო ობიექტებზე, რომლებიც განლაგებულია ქალაქში, სოფელში ან სხვა ადგილას, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობის ან სამოქალაქო ობიექტების გარკვეული რაოდენობაა კონცენტრირებული. ამგვარი თავდასხმები აკრძალულია.

მაშინაც კი, როდესაც თავდასხმა მიმართულია მკაფიოდ სამხედრო ობიექტზე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი აგრეთვე, კრძალავს ამგვარ თავდასხმას, როგორც განურჩეველს, თუ მოსალოდნელია, რომ მას შეიძლება მოჰყვეს მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლის შემთხვევით ხელყოფა, მშვიდობიანი მოსახლეობის დაშავება, სამოქალაქო ობიექტების დაზიანება ან ზემო ჩამოთვლილთა კომბინაცია, რაც შეიძლება გადაჭარბებული იყოს მიღებულ კონკრეტულ და პირდაპირ სამხედრო უპირატესობასთან შედარებით.

შეტვის მხოლოდ მეზობლებისა და სამხედრო ობიექტებისაკენ მიმართვის ვალდებულებასთან ერთად და შეტვის პროპორციულობის პრინციპის დაცვით, კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა აგრეთვე, უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე თავდასხმის დაგეგმვის, შეტვის ბრძანებების გაცემის ან ხელმძღვანელობის დროს. თავდასხმის დროს სიფრთხილის ეს ზომები კოდიფიცირებულია I ოქმის, 57-ე მუხლში და ასევე, ჩადებულია პრინციპში, რომ სამხედრო ოპერაციები უნდა წარმოებდეს გამუდმებული სიფხიზლით, რათა დავინდოთ მშვიდობიანი მოსახლეობა, სამოქალაქო

მოსახლეობად“ კვალიფიცირებული არის ყველა ის პირი, რომლებიც არ არის კვალიფიცირებული, როგორც მეზობლი, როგორც ეს არის განსაზღვრული, შეადარეთ დამატებითი პროტოკოლის I მუხლს 50.

¹⁰²⁶ მაგალითისათვის იხ.: პროტოკოლის I მუხლი 52(3).

პირები და სამოქალაქო ობიექტები. მიღებული უნდა იყოს სიფრთხილის ყველა შესაძლო ზომა, რათა თავიდან იქნას აცილებული და ნებისმიერ შემთხვევაში, შემცირებული ადამიანური მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის, ასევე, სამოქალაქო ობიექტების შემთხვევითი დაზიანება. სიფრთხილის ეს ზომები გულისხმობს ყველაფრის გაკეთებას, რაც შესაძლებელია, რათა დარწმუნებული ვიყოთ, რომ თავდასხმის ობიექტი არის სამხედრო ობიექტი და არა მშვიდობიანი მოსახლეობა ან სამოქალაქო ობიექტები და გაიცეს „ეფექტური წინასწარი გაფრთხილება“ თავდასხმის შესახებ, როდესაც გარემოებები ამის საშუალებას იძლევა.

და ბოლოს, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი საომარი მოქმედებების წარმოების შესახებ აგრეთვე, შეიცავს პრინციპებსა და წესებს იარაღის შესახებ.

ანგარიშები განადგურებისა და მსხვერპლის შესახებ, თავისთავად, არ შეიცავს საკმარის ელემენტებს დასკვნისათვის, რომ ადგილი ჰქონდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას: საჭიროა შეფასდეს თავდასხმების გარემოებებიც.

მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედებები სამხრეთი ოსეთიდან დაიწყო 2009 წლის 7-8 აგვისტოს ღამით, სხვადასხვა წყაროები საარტილერიო დაბომბვის შესახებ იუწყებოდნენ წინა დღეების განმავლობაში. ვინაიდან ეს საარტილერიო დაბომბვები მთავარი არგუმენტია საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთში შეჭრის გასამართლებლად¹⁰²⁷ და ამ მოვლენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.¹⁰²⁸

ცხინვალსა და ირგვლივ მდებარე სოფლებში, აგრეთვე, მიმდებარე ზონებსა და გორში საომარი მოქმედებების მსვლელობის დროს და მის შემდეგ ქართული, სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის შეიარაღებული ძალების მხრიდან დარღვევების შესახებ ბრალდებები ისმოდა ყველა მხრიდან. არის გარკვეული საკითხები, რომლებიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მხარე არის დაინტერესებული.

ვინაიდან საომარი მოქმედებები ნაწილობრივ ურბანულ გარემოში მიმდინარეობდა, განსაკუთრებით, ცხინვალსა და გორში და მათ ირგვლივ მდებარე სოფლებში, საკმაოდ გართულებულია საომარი მოქმედებების წარმოებასთან დაკავშირებული ფაქტების შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არ კრძალავს ურბანულ გარემოში ბრძოლების წარმოებას, სამოქალაქო პირთა ყოფნა მეომარ მხარეებს, მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ნაკლები ზიანის მისაყენებლად ზომების მიღების მეტ ვალდებულებებს აკისრებს. დასახლებულ ადგილებში განთავსებულმა ძალებმა თავი უნდა აარიდონ სამხედრო ობიექტების მჭიდროდ

¹⁰²⁷ რეგიონის ქართული სამშვიდობო ძალების მეთაურმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს „გადაწყვეტილი ჰქონდა მთელ რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის დამყარება,“ ციტატა მოყვანილია ამნესტი ინტერნეშნლის მიერ, სამოქალაქო პირები ცეხლის ხაზზე - საქართველო - რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 9.

¹⁰²⁸ იხ.: თავი 5, 2008 წლის სამხედრო მოვლენები.

დასახლებულ ადგილებთან განლაგებას, და შეეცადონ გაიყვანონ მშვიდობიანი მოსახლეობა სამხედრო ობიექტების სიახლოვიდან.¹⁰²⁹

ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, როგორცაა სამიზნე ობიექტის ტიპი, გარემოებები შეტევის დროს და მიყენებული დაზიანებების ზუსტი მიზეზი საჭიროა, მეტი სიფრთხილე. მაგალითად, თავდასხმა განხორციელდა მრავალ ადმინისტრაციულ შენობაზე, აგრეთვე სკოლებსა და საცხოვრებელ სახლებზე. ამ ობიექტების შემთხვევაში, უმთავრესი საკითხია, დადგინდეს, იმყოფებოდნენ თუ არა ოსი მეზრძოლები შენობებში იმ დროს, როდესაც მათზე თავდასხმა განხორციელდა. Human Rights Watch-ის მიხედვით, როგორც მოწმეებმა, ასევე თავად სამხრეთ ოსეთის მილიციის წარმომადგენლებმა „ნათლად აჩვენეს, რომ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა შექმნეს თავდაცვითი პოზიციები ან შტაბ-ბინები მსგავს სამოქალაქო ინფრასტრუქტურაში.“¹⁰³⁰ აგრეთვე არსებობს შემთხვევები, როდესაც ამგვარი მეზრძოლების ყოფნა ვერ დადასტურდა.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძნელია, თითოეული და ყველა სპეციფიკური თავდასხმის შესახებ გარკვეული ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების გამოტანა, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ადგილზე მოპოვებული ჩვენებებიდან და სამხედრო ობიექტებისა და გამოყენებული იარაღის ტიპების შედარებით გამოიკვეთა მთელი რიგი ფაქტები.

პირველ რიგში, აუცილებელია კონფლიქტის მსვლელობის დროს განხორციელებული თავდასხმების კონკრეტული სადავო სამიზნეების განხილვა. მაგრამ, ვინაიდან ობიექტები შეიძლება დაზიანებულია, ან პირები მოხვდნენ ზემოქმედების ქვეშ ისე, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ თავდასხმის რეალურ სამიზნეს, ეს ნაწილი აგრეთვე შეეხება თანმხლებ დანაკარგებს მშვიდობიან მოსახლეობაში და სამოქალაქო ობიექტების დაზიანებას. მეორე, აუცილებელი იქნება კონფლიქტში მონაწილე მხარეების ქცევის უფრო ზოგადი შეფასება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ომის დანაშაულებებში ბრალდებების უმრავლესობა სამხრეთ ოსეთს ეხება, უნდა გადაისინჯოს კოდორის ხეობასთან დაკავშირებული რამდენიმე შემთხვევა.

a) თავდასხმის სამიზნეები

რუსეთის განცხადების მიხედვით, „სამხედრო ოპერაციის მსვლელობის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ყველა შენაერთი მოქმედებდა მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმის მოგერიების მიზნით. გამოყენებულ იყო ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები და მცირე ზომის ტექნიკა, რათა ცეცხლი მხოლოდ ზუსტად

¹⁰²⁹ I დამატებითი პროტოკოლი, მუხლი 58.

¹⁰³⁰ ჰიუმან რაიტს უოჩი, ცეცხლის ალში - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები სამხრეთ ოსეთში განვითარებულ კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 50.

განსაზღვრული სამიზნეებისათვის გვესროლა და ეს მათ საშუალებას აძლევდა შეემცირებინათ მშვიდობიანი მოსახლეობის დანაკარგები.¹⁰³¹

საქართველომ განაცხადა, რომ „ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა თავდასხმა განახორციელა ა) წინასწარ განსაზღვრულ სამხედრო ობიექტებზე, სამხრეთისაკენ მოძრავი რუსული სამხედრო კოლონების ჩათვლით; ბ) საომარი მოქმედებების დროს განსაზღვრულ სამიზნეებზე.“¹⁰³² დეტალები მან წარმოადგინა სამიზნეების მხოლოდ ამ ბოლო ტიპის შესახებ.

ამ ორი განცხადების ფონზე, ვინაიდან სამოქალაქო შენობებისათვის მიყენებული იყო ზიანი, სამიზნეების შესახებ საკითხი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს განხილული. მაგალითად, ეუთო-ს ადამიანის უფლებათა შეფასებითმა მისიამ ცხინვალში ნახა, რომ „...მიყენებული იყო ზიანი უმთავრესად, სამოქალაქო შენობებისათვის, გარდა ამისა, დაზიანებული იყო რუსული სამშვიდობო ძალების ბაზა, რომელიც აქ განთავსებული იყო 1992 წლის სოჭის შეთანხმების ფარგლებში“ და მოიცავდა „საცხოვრებელ შენობას, მშვიდობიან მოსახლეობას, სკოლებს, მოხუცთა თავშესაფარს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოს. სამშვიდობო მისიამ თითოეული მათგანის მონახულებისას, იხილა, რომ სამხედრო ძალების მიერ სამოქალაქო შენობები მძიმედ იყო დაზიანებული.“¹⁰³³

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, განსხვავება საომარი მოქმედებებისას და განსხვავება ადამიანებსა და ობიექტებს შორის, გამოყენებული იქნება თავდასხმის სამიზნეების ანალიზის სტრუქტურირებისათვის.

(i) სავარაუდო თავდასხმები სამშვიდობო ძალებზე

სავარაუდო თავდასხმები სამშვიდობო ძალებზე ხორციელდებოდა როგორც კონფლიქტის წინა პერიოდში, რაც ზრდიდა მხარეებს შორის დამაბულობას, ასევე მისი მსვლელობის დროსაც. ამ პირთა სტატუსის გათვალისწინებით, და აგრეთვე, განსაკუთრებული იმ ბრალდებებისადმი ყურადღების გამახვილებით, რომლებიც საქართველომ და რუსეთის ფედერაციამ წამოაყენეს, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სინამდვილეში მომხდარი ფაქტების დადგენას და მათი პოტენციური სამართლებრივი შედეგების შეფასებას.

¹⁰³¹ რუსეთი, პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 8 - 9.

¹⁰³² საქართველო, პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები, შეკითხვა 3) (Georgia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), მიწოდებული მისიისათვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 1.

¹⁰³³ გაეროს ჰუმანიტარული შეფასების უწყებათაშორისი მისია სამხრეთ ოსეთში, ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფები 5, 9.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, სამშვიდობო ძალებისათვის გაწეული დაცვა მჭიდროდ არის დაკავშირებული მშვიდობიანი მოსახლეობის საერთო დაცვასთან. როგორც წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ჩვეულებითი სამართლის კვლევაში არის აღნიშნული – „ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს „თავდასხმის მიმართვას სამშვიდობო მისიაში ჩართული პერსონალისა და ობიექტებისადმი, გაერო-ს ქარტიის შესაბამისად, ვინაიდან ისინი მოწოდებული არიან დაიცვან მშვიდობიანი მოსახლეობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფარგლებში.“¹⁰³⁴ ძალის გამოყენება მკაცრად თავისდაცვის ან მშვიდობიანი მოსახლეობის ან სამოქალაქო ობიექტების დაცვის მიზნით, მათი სამშვიდობო მანდატის ფარგლებში, არ შეიძლება კვალიფიცირებული იქნას, როგორც საომარ მოქმედებებში მონაწილეობა. ამ კონტექსტში ისინი ვერ იქნება განხილული, როგორც კანონიერი სამიზნე, ვინაიდან ისინი არანაირ სამხედრო ქმედებებს არ განახორციელებენ. ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ, რომ როგორც საერთაშორისო, ასევე არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება განიხილავს, როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო დანაშაულს, როდესაც თავდასხმა მიმართულია სამშვიდობო ძალებისა და მასთან დაკავშირებული დანადგარებისაკენ, „რადგან ისინი მოწოდებული არიან დაიცვან მშვიდობიანი მოსახლეობა შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.“¹⁰³⁵

კონფლიქტის მსვლელობისას, რუსი მშვიდობისმყოფელების განცხადების მიხედვით, რუსული და/ან ოსური ძალებით დაკომპლექტებულ პოსტებზე განხორციელდა თავდასხმა ქართული შეიარაღებული ძალების მხრიდან.¹⁰³⁶ რუსეთის ფედერაცია აცხადებს, რომ მშვიდობის დამცველები მიზანმიმართულად დახოცეს. იგი ამტკიცებს, რომ საქართველომ „დაარღვია ომის წარმოების სახელმძღვანელო საერთაშორისო ნორმები, რასაც პირველ რიგში, შედეგად მოჰყვა მსხვერპლი სამშვიდობო ძალების პერსონალს შორის.“¹⁰³⁷ 2009 წლის ივლისში, მოსკოვში, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიასთან წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს რუსეთის გენერალური პროკურორის ოფისის

¹⁰³⁴ წესი 33, იხ.: ჯ-მ. ჰენკაერტსი, ლ. დოსუალდ - ბეკი (გამომცემლები). ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (J-M. HENCKAERTS, L. DOSWALD-BECK (eds), Customary International Humanitarian Law), ტ. I, ციტირებული დოკუმენტი., გვ. 112.

¹⁰³⁵ იხ.: მუხლები 8(2)(b)(iii) და (e)(iii), რომელიც შემდეგნაირად იკითხება „თავდასხმების განხორციელება იმ პერსონალის, დანადგარების, მასალის, შენაერთების ან ავტომობილების მიმართულებით, რომლებიც ჩართული არიან ჰუმანიტარული დახმარების ან სამშვიდობო მისიებში, გაერო-ს ქარტიის შესაბამისად, ვინაიდან ისინი მოწოდებული დაიცვან დაიცვან მშვიდობიანი მოსახლეობა შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.“

¹⁰³⁶ იხ.: მოკლე ქრონოლოგია, მოწოდებული რუსეთის ფედერაციის მიერ.

¹⁰³⁷ რუსეთი, პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 2.

საგამომიებო კომიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოკლულია 10 რუსი მშვიდობისმყოფელი.¹⁰³⁸

Amnesty International-ის მიხედვით, „31 ივლისს, ანგარიშების მიხედვით, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ააფეთქეს სამხედრო ავტომობილი, რომელსაც გადაჰყავდა ქართველი მშვიდობისმყოფელები.“¹⁰³⁹ საქართველომ აგრეთვე, განაცხადა, რომ 7 აგვისტოს, საღამოს, ქართველ მშვიდობისმყოფელებს თავს დაესხა სამხრეთ ოსეთის არარეგულარული შეიარაღებული ჯგუფები.¹⁰⁴⁰

Human Rights Watch-ის მიხედვით, ამ ორგანიზაციის მკვლევარებმა „იხილეს ძალიან სერიოზული დაზიანებები, რომლებიც საქართველოს მხრიდან განხორციელებული თავდასხმების შედეგად მიადგა სამშვიდობო ძალების პოსტებს“ ცხინვალსა და მის მახლობლად მდებარე სოფელ ხეთაგუროვოში.¹⁰⁴¹ Amnesty International ეყრდნობა რუსეთის ხელისუფლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვით, მოკლულია 10 რუსი მშვიდობისმყოფელი და 30 დაშავდა ცხინვალის „ვერხნი გოროდოკის“ ბაზასა და ცხინვალის ჩრდილოეთით განლაგებულ მეორე ბაზაზე განხორციელებული თავდასხმების მსვლელობის დროს.¹⁰⁴²

საქართველომ განაცხადა, რომ 7 აგვისტოს, 22:30 სთ-ზე, მარიონეტული რეჟიმის შეიარაღებულმა ფორმირებებმა, რუსი მშვიდობისმყოფელების ხელმძღვანელობით, ცხინვალიდან და თლიაყანას მთიდან ცეცხლი გაუხსნა საქართველოს კონტროლის ქვეშ მყოფ სოფლებს – ფრისს და თამარაშენს.“¹⁰⁴³ ეს ქმედება, თუ ის დამტკიცდა, შეიძლება ჩაითვალოს საომარ მოქმედებებში პირდაპირ მონაწილეობად. უფრო ზოგადად, ქართული ძალების მიხედვით, სამხრეთ ოსეთის ჯარი ცეცხლს ისროდა სამშვიდობო ძალების იმ პოსტებიდან, რომლებზე თავდასხმა განხორციელდა კონფლიქტის დროს, ან

¹⁰³⁸ შეხვედრა რუსეთის გენერალური პროკურორის ოფისის საგამომიებო კომიტეტის წარმომადგენლებთან, მოსკოვი, 2009 წლის 29 ივლისი.

¹⁰³⁹ ამნესტი ინტერნეშნლ, სამოქალაქო პირები ცეხლის ხაზზე - საქართველო - რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 8.

¹⁰⁴⁰ საქართველო, პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები, შეკითხვა 3) (Georgia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), მიწოდებული მისიისათვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 2.

¹⁰⁴¹ ჰიუმან რაიტს ვოჩი (Human RightsWatch), ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 33.

¹⁰⁴² იქვე, გვ. 26.

¹⁰⁴³ იხ.: საქართველო, პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები, შეკითხვა 3) (Georgia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), მიწოდებული მისიისათვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 33.

მშვიდობისმყოფელები სამხრეთ ოსეთის მილიციის მუშაკებს აწვდიდნენ ქართული პოციზიების კოორდინატებს და პოსტები კანონიერ სამხედრო ობიექტებად გადაიქცა.¹⁰⁴⁴

შემდგომში Human Rights Watch-მა აღნიშნა, რომ ვერც რუსეთის, და ვერც საქართველოს მხრიდან მშვიდობისმყოფელების მიმართ ან მათ მიერ განხორციელებულ თავდასხმებში დადანაშაულების სერიოზული მტკიცებულებები მან ვერ მიიღო.¹⁰⁴⁵

მსგავსი განცხადებების, აგრეთვე განცხადების, რომ ქართული შეიარაღებული ძალები თავს დაესხა რუსეთის სამშვიდობო ძალების ბაზებს, დამადასტურებელი ინფორმაცია სხვა წყაროებიდან, გარდა კონფლიქტის მონაწილე მხარეებისა, ვერც საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელმა საერთაშორისო საგამომიებო მისიამ მოიპოვა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს განცხადებები დადასტურდა, უფრო ზუსტი ინფორმაციის ნაკლებობა პრობლემებს შეუქმნის რელევიანტური ფაქტების დადგენას და მათ სამართლებრივ შეფასებას, ვინაიდან მისია ორ საპირისპირო მტკიცებას შორის აღმოჩნდება. სამშვიდობო ძალებზე განხორციელებული პირდაპირი თავდასხმის განხილვისას, დასკვნის გამოტანა დამოკიდებულია იმაზე, თავდასხმის განხორციელებისას, დაკარგა თუ არა სამშვიდობო ძალებმა დაცულობა. მეორე მხრივ, მშვიდობისმყოფელები შეიძლება მოკლულნი იყვნენ ან დაშავდნენ განურჩეველი და არა პირდაპირ მათზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად.¹⁰⁴⁶

მისიამ ვერ მოახერხა დაედგინა, რუს მშვიდობისმყოფელთა ბაზებზე სავარაუდო თავდასხმების დროისათვის, დაკარგული ჰქონდათ თუ არა მშვიდობისმყოფელებს დაცვის უფლება საომარ მოქმედებებში მათი უშუალო მონაწილეობის გამო და შესაბამისად, მისიამ ვერ შესძლო ამ ფაქტების შესახებ გარკვეული სამართლებრივი დასკვნების გამოტანა.

(ii) ობიექტები

1. ადმინისტრაციული შენობები

2009 წლის მარტში, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელ საერთაშორისო საგამომიებო მისიას აჩვენა რამდენიმე ადმინისტრაციული შენობა, როგორებიცაა, პარლამენტი და დე-ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომლებიც, მათი განცხადების თანახმად, დაიბომბა

¹⁰⁴⁴ ჰიუმან რაიტს ვოჩი (Human RightsWatch), ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 33

¹⁰⁴⁵ ჰიუმან რაიტს ვოჩი (Human RightsWatch), ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში, ციტირებული დოკუმენტი, გვ. 33.

¹⁰⁴⁶ იხ.: თავი 5, 2008 წლის სამხედრო მოვლენები.

ქართული ძალების მიერ.¹⁰⁴⁷ მათ იხილეს ამ თავდასხმების შედეგად მიყენებული ზიანი. ადამიანის უფლებების შემსწავლელმა მისიამ აგრეთვე, დაათვალიერა „ცხინვალში მდებარე მრავალი მშვიდობიანი სამოქალაქო შენობისათვის მიყენებული ზარალი, უნივერსიტეტის, ბიბლიოთეკის, „პარლამენტის შენობის“ და სხვა „სამთავრობო დაწესებულებების“ ჩათვლით, იგივე კომპლექსში. აგრეთვე დაზიანებული იყო პოლიციის შენობა და „პრეზიდენტის ადმინისტრაცია.“¹⁰⁴⁸ Human Rights Watch-მა აგრეთვე აღნიშნა ქართული არტილერიის მიერ ადმინისტრაციული შენობების განადგურების შესახებ, როგორცაა, მაგალითად, ოსეთის პარლამენტის შენობა.¹⁰⁴⁹

საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის სურვილი იყო ხაზი გაესვა, რომ ისევე, როგორც სხვა ტიპის სამიზნეებისათვის, მიყენებული ზიანისა და განადგურების დონის დადგენასთან ერთად, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, გადამწყვეტი შეიძლება იყოს იმ გარემოებებში გარკვევა, როცა ეს თავდასხმა განხორციელდა. ამ კუთხით, როგორც Human Rights Watch-მა მიუთითა, საქართველოს ხელისუფლებამ მოგვიანებით განაცხადა, რომ მათი სამხედროები ძირითადად, ამ ადგილებში განლაგებულ სამოქალაქო შენობებს უტევდნენ, ვინაიდან ამ შენობებს თავს აფარებდნენ ოსური მილიციის თანამშრომლები.¹⁰⁵⁰ ანალოგიურად, თავის გამოსვლაში აგვისტოს ომის შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსმა, ზაზა გოგავამ განაცხადა, რომ „საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენა ზუსტად მიმართული სახმელეთო იარაღი მხოლოდ რამდენიმე გარკვეული ადმინისტრაციული შენობის წინააღმდეგ, სადაც მილიციის შტაბები იყო განთავსებული; ამ დარტყმებს რაიმე ზიანი მშვიდობიანი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლებისათვის არ მიუყენებია.“¹⁰⁵¹ მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯერჯერობით ზუსტად დადგენილი არაა, ამგვარ არგუმენტს აუცილებლად მოჰყვება სამართლებრივი შედეგები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მხრივ.

¹⁰⁴⁷ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, კანონიერად შესაძლებელია მხოლოდ იმ ობიექტების მიზანში ამოღება, რომლებიც თავისი ბუნებით, ადგილმდებარეობით, დანიშნულებით ან გამოყენებით ეფექტურად უწყობს ხელს სამხედრო მოქმედებებს, და რომელთა ნაწილობრივ ან სრულიად დანგრევით, დაპყრობით ან განეიტრალებით, იმ დროისათვის არსებულ გარემოებებში, შეიძლება გარკვეული სამხედრო უპირატესობის მოპოვება. ამ კუთხით, 2008 წლის კონფლიქტის დროს ადმინისტრაციულ შენობებზე განხორციელებული შეტევები ბადებს შეკითხვებს, შესაძლებელი იყო თუ არა ამ შენობების მიზანში კანონიერად ამოღება.

¹⁰⁴⁸ ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 41.

¹⁰⁴⁹ Human Rights Watch, ცეცხლის ალში - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 50.

¹⁰⁵⁰ იქვე, გვ. 41, ციტირებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის, ზაზა გოგავას სიტყვა, წარმოთქმული 2008 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიისა და აქტების შემსწავლელი სპეციალური საპარლამენტო კომისიის სესიაზე. სტენოგრაფიული ჩანაწერი. იხ.: http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=1329&info_id=21212

¹⁰⁵¹ Human Rights Watch), ცეცხლის ალში - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 50.

გარკვეულ პირობებში, გარკვეული სამოქალაქო ობიექტების სამხედრო დანიშნულებით გამოყენებამ შეიძლება ეს ობიექტი გადააქციოს სამხედრო ობიექტად, რომლის მიზანში ამოღება იქნება კანონიერი. მეორე მხრივ, თავდამსხმელს მაინც ესაჭიროება უზრუნველყოს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, მაგალითად, მან უნდა შეაფასოს – ხომ არ იქნება შეტევა არაპროპორციული და სიფრთხილის სათანადო ზომები მიიღოს. უფრო ფართო გაგებით ეს ელემენტები ქვემოთ იქნება განხილული.

მისიამ ვერ მოახერხა ცხინვალში მდებარე თითოეულ ადმინისტრაციულ თუ საზოგადოებრივ შენობაზე განხორციელებული კონკრეტული შეტევის შეფასება, მაგრამ მან შენიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს შენობები კანონის მიხედვით, სამხედრო ობიექტებს არ წარმოადგენდნენ, ისინი შეიძლება კანონიერ სამიზნეებად გადაიქცნენ, თუ გამოყენებულია მეზომოლების მიერ. მაგრამ, ეს, ვერ გაათავისუფლებს თავდამსხმელს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული გარკვეული ვალდებულებებისაგან (მაგ., სიფრთხილის ზომები, პროპორციულობა).

2. სკოლები

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, სკოლები, თავისი ხასიათით, არის სამოქალაქო ობიექტები, რომლებიც დაცულია თავდასხმისაგან. განსაკუთრებული ყურადღებას მოითხოვს საომარი მოქმედებების მსვლელობის დროს სკოლებისათვის მიყენებული ზიანის რამდენიმე შემთხვევა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვის შესახებ Human Rights Watch-მა შენიშნა, რომ ბომბები ხვდებოდა და ხშირად სერიოზულ ზიანს აყენებდა სხვადასხვა სახის სამოქალაქო ობიექტებს, უნივერსიტეტის, რამდენიმე სკოლისა და საბავშვო ბაღის, მაღაზიების და მრავალი საცხოვრებელი შენობისა და კერძო სახლის ჩათვლით, (...) ამ შენობებიდან ზოგიერთი თავდაცვითი პოზიციების ან სხვა პოსტების სახით იყო გამოყენებული სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ (მოხალისე მილიციელების ჩათვლით), რამაც ისინი კანონიერ სამხედრო სამიზნეებად გადააქცია.¹⁰⁵² მაგალითად, როგორც თვითმხილველებმა უთხრეს Human Rights Watch-ის წარმომადგენლებს, მილიციამ პოზიციები დაიკავა ცხინვალის სამხრეთ ნაწილში მდებარე მე-12 სკოლაში, რომელიც სერიოზულად დაზიანდა ქართული მხრიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად.¹⁰⁵³

9 აგვისტოს, ქალაქ გორის მე-7 სკოლაზე მიტანილი შეტევა აგრეთვე, აჩვენებს, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განხორციელებული შეტევების

¹⁰⁵² იქვე, გვ. 41.

¹⁰⁵³ იქვე, გვ. 50.

გარემოებებს. Human Rights Watch ერთ-ერთი თვითმხილველის სიტყვებზე დაყრდნობით, ამბობს, რომ „რუსულმა თვითმფრინავებმა რამდენიმე დარტყმა განახორციელეს ქალაქ გორის მე-7 სკოლაზე და მის მახლობლად. (...) სკოლაზე განხორციელებული შეტევის დროს მის ეზოში დაახლოებით ასამდე ქართველი სამხედრო რეზერვისტი იმყოფებოდა. (...) არც ერთი რეზერვისტი არ დაშავებულა და შესაძლოა, რომ სკოლა მიჩნეული იყო, როგორც სამხედრო მიზნებისთვის გამოყენებული. ასეთ გარემოებებში ის დაკარგავდა თავის, როგორც სამოქალაქო ობიექტის, დაცულ სტატუსს. შეტევის დროს ერთი ბომბი მოხვდა სკოლასთან ახლოს მდებარე საცხოვრებელ შენობას, სადაც დაიღუპა სულ ცოტა, ხუთი მშვიდობიანი მოქალაქე და დაიჭრა სულ ცოტა, 18 მშვიდობიანი მოქალაქე, ხოლო მეორე ბომბი მოხვდა სხვა სახლს, რომელიც სკოლას ეკვროდა და ეს სახლი დაზიანდა, თუმცა ადამიანური მსხვერპლი არ მოჰყოლია. ამ სკოლაში აგრეთვე, თავშესაფარი იპოვეს სამოქალაქო პირებმა.“¹⁰⁵⁴ ამ კუთხით, იმ სპეციფიკური ობიექტების მიმოხილვის შემდგომ, რომლებიც დაიბომბა ან თავდასხმის სამიზნე გახდა, ამ ნაწილში, მოგვიანებით, ჩატარებული იქნება შეფასება, რათა განისაზღვროს, დაცული იყო თუ არა პროპორციულობის პრინციპი და მიღებული იყო თუ არა სიფრთხილის ზომები, რათა შემცირებული ყოფილიყო სამოქალაქო პირების დაღუპვა ან სამოქალაქო შენობების დაზიანება.

მისიას არ გააჩნია არანაირი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სკოლებზე, რომლებიც არ იყო გამოყენებული სამხედრო მიზნებისათვის, არ იყო განზრახ მიტანილი იერიში.

3. საავადმყოფოები

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის მიხედვით, საავადმყოფოებს, გარდა მათი უპირატესობისა, იყვნენ დაცული, როგორც სამოქალაქო ობიექტები, კიდევ აქვთ სპეციალური დაცვითი სტატუსი.¹⁰⁵⁵

კონფლიქტის მსვლელობისას, საავადმყოფოებისათვის მიყენებული ზიანი თავისთავად არ გულისხმობს პირდაპირ დარტყმას ამ ობიექტზე. მაგრამ ეს შეიძლება ასე იყოს, თუ საავადმყოფომ დაკარგა დაცულობა, ვინაიდან ის, გარდა მისი ჰუმანიტარული მოვალეობების შესრულებისა, გამოიყენებოდა მტრისათვის ზიანის მისაყენებლად.

¹⁰⁵⁴ იქვე, გვ. 94.

¹⁰⁵⁵ შენევის IV კონვენციის მუხლი 19 ამბობს, რომ „სამოქალაქო საავადმყოფოებისათვის მინიჭებული დაცვა არ უნდა შეწყდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი, გარდა მათი ჰუმანიტარული მოვალეობების შესრულებისა, გამოიყენება მტრისათვის ზიანის მისაყენებლად. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დაცვა წყდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი სათანადო გაფრთხილებას მიიღებენ, ყველა შესაბამის შემთხვევაში, გონივრული ვადას, და მას შემდეგ ეს გაფრთხილება აღარ მოქმედებს. ის ფაქტი, რომ ამ საავადმყოფოებში უვლიან შეიარაღებული ძალების ავადმყოფ ან დაჭრილ წევრებს, ან ამ მებრძოლებისაგან ამოღებული მცირე ზომის იარაღისადასაბრძოლომასალის ყოფნა, რომელიც სათანადო სამსახურებისათვის ჯერ არ გადაუციათ, არ უნდა იქნას განხილული, როგორც მტრის საზიანო აქტები.“ აქ რელევანტურია პროტოკოლის I მუხლები 12 და 13, აგრეთვე პროტოკოლის II მუხლი 11.

ზიანი აგრეთვე, შეიძლება იყოს თანმხლები, გამოწვეული კანონიერ სამხედრო სამიზნეზე დარტყმით.

Human Rights Watch-ის მიხედვით, ერთ-ერთი სამოქალაქო ობიექტი, რომელსაც ცხინვალში, ქართული შეიარაღებული ძალების თავდასხმის დროს „გრადის“ ტიპის რაკეტა მოხვდა, იყო სამხრეთ ოსეთის ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფო (ცხინვალის საავადმყოფო), ქალაქის ერთადერთი სამედიცინო დაწესებულება, რომელიც დაჭრილებს – როგორც სამოქალაქო პირებს, ასევე მეომრებსაც, დახმარებას უწევდა ზრძოლების პირველ დღეებში.¹⁰⁵⁶ ამ ორგანიზაციის მიხედვით, რაკეტებმა სერიოზულად დააზიანა სამკურნალო ოთახები მეორე და მესამე სართულზე.¹⁰⁵⁷

Human Rights Watch-ის მიერ შეგროვებულ ჩვენებებში ნახსენები იყო 7 და 9 აგვისტოს შორის პერიოდში, სამხრეთ ოსეთში, სოფელ ქურთას ჩრდილოეთით მდებარე, ეთნიკურად ქართული სოფელ კეხვის ძლიერი დაბომბვა და მასზე განხორციელებული საარტილერიო შეტევა.¹⁰⁵⁸ ერთ-ერთმა მოსახლემ განაცხადა, რომ „9 აგვისტოს დაიწყო მასობრივი დაბომბვა და განადგურდა სოფლის ადმინისტრაციისა და საავადმყოფოს შენობები.“¹⁰⁵⁹

Human Rights Watch-მა აღწერა 13 აგვისტოს, დაახლოებით, დღის 2 საათზე რუსული ვერტმფრენის მიერ განხორციელებული თავდასხმა, რომელმაც რაკეტა გაისროლა საავადმყოფოს ეზოში ჯგუფად მდგომი, შესვენებაზე გამოსული, საავადმყოფოს შტატის წევრების მიმართულებით. რაკეტამ იმსხვერპლა გიორგი აბრამიშვილი, გადაუდებელი დახმარების კაბინეტის ექიმი. Human Rights Watch-მა თავის ანგარიშში აღნიშნა, რომ მათმა მკვლევარებმა თვითონ ნახეს, რომ საავადმყოფოს შენობის სახურავს თვალსაჩინოდ ედო წითელი ჯვრის ნიშანი.¹⁰⁶⁰ ეს თავდასხმა ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის განცხადებას, რომ მისი ძალები კონფლიქტის დროს ცეცხლს უშენდნენ „მხოლოდ მკვეთრად განსაზღვრულ სამიზნეებს“ და, რომ „ყველა მომაკვდინებელ დარტყმაზე ხორციელდებოდა მონიტორინგი.“¹⁰⁶¹

მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოებისათვის „გრადის“ ტიპის რაკეტებით ან საარტილერიო დაბომბვით მიყენებული ზიანი იყო საომარი საშუალებების არასწორი გამოყენების შედეგი, გორის საავადმყოფოსათვის ვერტმფრენიდან გახსნილი ცეცხლი, როგორც ჩანს, უნდა იყოს ამ დაცული ობიექტის გამიზნულად დამიზნების მანიშნებელი. ეს შეიძლება შეადგენდეს ომის დანაშაულს.

¹⁰⁵⁶ Human Rights Watch, ცეცხლის ალში – ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 42.

¹⁰⁵⁷ იგივე.

¹⁰⁵⁸ იქვე, გვ. 91.

¹⁰⁵⁹ იგივე.

¹⁰⁶⁰ იქვე, გვ. 95.

¹⁰⁶¹ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 8.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის მიხედვით, სამოქალაქო ავტომობილები დაცულები არიან თავდასხმისაგან, მათი სამოქალაქო დანიშნულების გამო. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის კონტექსტში, არის ორი გარემოება, რომელთა მეშვეობით

4. ავტომობილები

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის მიხედვით, სამოქალაქო ავტომობილები დაცულები არიან თავდასხმისაგან, მათი სამოქალაქო დანიშნულების გამო. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის კონტექსტში, არის ორი გარემოება, რომელთა მეშვეობით, შესაძლებელია სამოქალაქო ავტომობილების დაზიანება აიხსნას და რომელთაც, შესაძლებელია მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები იმ შემთხვევებში, როდესაც დაზიანება შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის დარღვევად: კანონიერი სამხედრო სამიზნე იმყოფებოდა საკმაოდ ახლოს ავტომობილთან იმ დროს, როდესაც იგი დაზიანდა, ან თავდასხმის დროს, ავტომობილში იმყოფებოდნენ მილიციის შეიარაღებული მებრძოლები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მებრძოლი მილიციელი არის კანონიერი სამიზნე, თუ ის პირდაპირ მონაწილეობს საომარ მოქმედებებში. ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან როგორც მრავალმა ადამიანმა აღნიშნა, სამხრეთ ოსეთის მილიციის თანამშრომლები ხშირად იპარავდნენ ავტომობილებს და იყენებდნენ მათ სხვადასხვა მიზნისათვის.¹⁰⁶² მაგალითად, 2009 წლის ივნისში, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტებმა გამოკითხეს სოფელ კოშკას ორი მცხოვრები, რომლებიც იყვნენ მოწმეები იმისა, თუ როგორ იპარავდნენ სამხრეთ ოსეთის მილიციის წარმომადგენლები მანქანებს. სულ 14 მანქანა წაიყვანეს.

Human Rights Watch-ის მიერ შეგროვებულ ჩვენებებში ნახსენები იყო ქართული შეიარაღებული ძალების მიერ იმ სამოქალაქო პირებზე განხორციელებული თავდასხმები, რომლებიც გარბოდნენ კონფლიქტის ზონიდან, განსაკუთრებით, ძარას გზაზე. ამ ორგანიზაციისადმი მიწერილ თავის წერილში საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ მათი ძალები „ესროდნენ ჯავშანტექნიკას და სხვა სამხედრო აღჭურვილობას, რომლებიც როკის გვირაბის გავლით, გადაადგილდებოდა ძარას გზაზე, და არა სამოქალაქო ავტომობილებს.“¹⁰⁶³ როგორც Human Rights Watch-ს მოწმემ უთხრა, ძარას გზიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს ჰქონდა მოწყობილი საარტილერიო მარაგის საწყობი და საცეცხლე პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ როგორც რუსული, ასევე ოსური სამხედრო აღჭურვილობა წარმოადგენს კანონიერ სამიზნეს, ქართული შეიარაღების მიერ დაბომბილი ავტომობილების რაოდენობა წარმოშობს კითხვებს ამ ავტომობილების

¹⁰⁶² იხ.: სხვა ნაშრომებთან ერთად, ჯ. მ. ჰენკაერტსი, ლ. დოსუალდ-ბეკი (გამომცემლები). ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (J-M. HENCKAERTS, L. DOSWALD-BECK (eds), Customary International Humanitarian Law), ტ. I, ციტირებული დოკუმენტი., გვ. 25 - 36.

¹⁰⁶³ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი – ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 56.

სამოქალაქო ხასიათის, ან არასზუსტი დამიზნების, ან თანმხლები დაზიანების, ან გამიზნული თავდასხმის შესახებ. საქართველოს მთავრობის მიხედვით, ბრძოლების მიმდინარეობისას, სამოქალაქო სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება შეჩერებული იყო. მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, Human Rights Watch ვარაუდობს, რომ „მრავალ მანქანას მართავდნენ სამხრეთ ოსეთის მილიციის თანამშრომლები, რომლებიც ცდილობდნენ თავისი ოჯახები, მეზობლები და მეგობრები კონფლიქტის ზონიდან გამოეყვანათ.“¹⁰⁶⁴

Human Rights Watch თავის 2009 წლის ანგარიშში ყურადღებას ამახვილებს, რომ მან ვერ შესძლო დამოუკიდებლად გადაემოწმებინა ბრალდება, რომ ქართული შეიარაღებული ძალების მიერ, ძარას გზაზე შეტევის განხორციელების დროს, გამოყენებული იქნა კასეტური ბომბები, როგორც ამას ერთ-ერთი მოწმე ჰყვებოდა. მან განაცხადა, რომ მსგავსი ბრალდებები დამატებით გამოძიებას მოითხოვს.¹⁰⁶⁵

აგრეთვე ადგილი ჰქონდა, საპაერო თავდასხმების შემთხვევებს სამხრეთ ოსეთიდან გამოქცეული სამოქალაქო პირების კოლონებზე სოფელ ერედვის მახლობლად, რომლებიც სავარაუდოდ, განხორციელდა რუსული ძალების მიერ, თუ დავეყრდნობით იმ გამოქცეული პირების ინტერვიუებს, რომლებიც Human Rights Watch-მა ჩაიწერა. როგორც ეს ორგანიზაცია განსაკუთრებით აღნიშნავს, ამ ადგილებში არ იყო განლაგებული არც ერთი ოსური ან რუსული სამხედრო პოზიცია, რომელიც ქართული არმიის სამიზნე შეიძლება გამხდარიყო.¹⁰⁶⁶

Human Rights Watch-თვის მიცემულ ინტერვიუებში აღწერილი თავდასხმა განხორციელდა თედოწმინდაში, 12 აგვისტოს, ტაქსის ავტომანქანაზე, რომელსაც ცეცხლი გაუხსნა რუსულმა ძალებმა და ამ დროს ორი ადამიანი დაიღუპა.¹⁰⁶⁷ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ აღებული კიდევ ერთი ჩვენება აღწერს მსგავს შემთხვევას ამ ქალაქიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალ მთავარ გზაზე, სოფელ საქაშეთთან მდებარე გზაჯვარედინთან.¹⁰⁶⁸

¹⁰⁶⁴ იგივე.

¹⁰⁶⁵ იგივე.

¹⁰⁶⁶ იგივე, გვ. 115-116.

¹⁰⁶⁷ იგივე, გვ. 117.

¹⁰⁶⁸ სოფელ ფხვენისში მცხოვრები ქალი, ქმართან და მეზობელთან ერთად, ცდილობდა თავის სოფელში დაბრუნებას. არასამთავრობო ორგანიზაციას მან უამბო: „იგოეთიდან ჩვენ გავედით 12-ში, შუაღამეს გადაცილებული იყო, ჩემი ქმარი, ჩვენი მეზობელი და მე, და გვინდოდა უკან დაბრუნება. პირველად, გორში ჩავედით და ვარიანის გავლით, სახლისაკენ გავემართეთ. სიბნელეში გზაზე არც ერთი მანქანა არ იყო.“

„შემდეგ მივუახლოვდით საქაშეთის გადასახვევს. იქ გავჩერდით. მანქანის წინ, ჩემი ქმრის მახლობლად, რაღაც დაეცა. მერე იყო აფეთქება. მახსოვს, რომ ჩემმა ქმარმა მითხრა, ფეხებს ვერ ვგრძნობო.“

„როდესაც გონს მოვედი, მანქანის გარეთ ვიყავი, ხის ჩრდილში. დავინახე ჩემი ქმარი, ჩემგან რამდენიმე მეტრის მოშორებით, კვნესოდა. შევეცადა, მასთან ახლოს მივსულიყავი, მაგრამ ვერ შევძელი, რადგან ფეხები არ მემორჩილებოდა. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ფეხზე ნატყვიარი ჭრილობა მქონდა, წვივის ზემოთ, ისე გამიარა, რომ ძვალს არ შეხებია. მერე რუსი ჯარისკაცების ქართველმა მძევალმა მითხრა, რომ პირველად ჩვენს მანქანას ესროლეს და აიძულებდნენ გაჩერებულიყო.“

მისიამ ვერ მოახერხა ზუსტად დაედგინა, ეწინააღმდეგებოდა თუ არა ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ავტომობილებზე განხორციელებული შეტევები საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. მხოლოდ საქართველოს მიერ განხორციელებული გამიზნული შეტევა სამოქალაქო ავტომობილებზე შეიძლება შეადგენდეს ომის დანაშაულს. ანალოგიურად, კონფლიქტის ზონიდან გამოქცეულ სამოქალაქო კოლონებზე განხორციელებული თავდასხმის გარემოებები, სავარაუდოდ, რუსული თვითფრინავების მხრიდან, ძნელად დასადგენია. თუ დადგინდა, ეს შეიძლება ის შეადგენდეს ომის დანაშაულს.

5. სახლები და საცხოვრებელი შენობები

სახლები და საცხოვრებელი შენობები, თავისი ხასიათით სამოქალაქო ობიექტებია, რომლებზე თავდასხმა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის მიხედვით, არ უნდა განხორციელდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი სამხედრო მიზნებისათვის გამოიყენება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედებები კოდორის ხეობაში მიმდინარეობდა, იქ ძალიან ცოტა სახლია განადგურებული. დაზიანებების ხარისხის შესახებ არსებული მონაცემები ერთმანეთის გამომრიცხავია.

მისიის ერთ-ერთი ექსპერტისათვის მიცემულ ინტერვიუში 2009 წლის 7 მარტს,¹⁰⁶⁹ მოხუცმა აჭარელმა ქალმა აღნიშნა, რომ ის და მისი ქმარი, აგრეთვე მისი და დარჩენილი სახლში, მას შემდეგ, რაც მათმა ოჯახმა დატოვა სოფელი და იყვნენ იქ, ვიდრე 2008 წლის ოქტომბერში, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა არ განახორციელა მათი ევაკუაცია. მან ხაზი გაუსვა, რომ მან თვითონ ნახა, როგორ დაიბომბა მრავალი სახლი აჭარაში. ადამიანის უფლებების შემსწავლელმა მისიამ აგრეთვე გაავრცელა ინფორმაცია, რომ კოდორის ხეობის რამდენიმე მცხოვრებელმა დაკარგა სახლი და ქონება კონფლიქტის შედეგად. სოფელ ჩხალთას მკვიდრმა უთხრა ადამიანის უფლებების შემსწავლელ მისიას, რომ მისი და მისი მეზობლების სახლები დაბომბვის შედეგად განადგურდა. ქალმა სოფელ სახნეთიდან თქვა, რომ მისი სახლი ბომბებმა დაანგრია, იგივე განაცხადა მამაკაცმა სოფელ გენწვისიდან. კიდევ ერთი კაცის სახლი დაინგრა, როდესაც ბომბი ჩამოვარდა მის ეზოში, სახლიდან 20 მეტრის მოშორებით. აჭარაში ერთმა ქალმა თქვა, რომ ოთხი თუ ხუთი სახლი განადგურდა დაბომბვის შედეგად. 9 აგვისტოს, „აფხაზეთის

„40 დღის შემდეგ ჩემმა ოჯახმა მითხრა, რომ ჩემი ქმარი დაიღუპა. შემდეგ გავიგე, რომ მისი ცხედარი ოთხი დღის მანძილზე ხის უკან ეგდო, ვიდრე საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებმა არ გადაასვენეს და დამარხეს თბილისში.

„მსგავსი ინციდენტები მოხდა ხვთისსა და შინდისში. შინდისში, მანქანაზე განხორციელებული თავდასხმის დროს დაიღუპა ორი ქალი, რომლებიც ამ მანქანაში იჯდა.“

არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ინტერვიუ ჩაიწერა 2008 წლის 23 ოქტომბერს. შინდისის ინციდენტი, როგორც აღმოჩნდა, არის Human Rights Watch-ის მიერ დოკუმენტირებული ისტორია ტაქსის შესახებ.

¹⁰⁶⁹ ინტერვიუ შედგა თბილისში, 2009 წლის 7 მარტს, ქართველი თარჯიმნის დახმარებით.

დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ განხორციელდა საჰაერო თავდასხმები ზემო კოდორის ხეობის სამხედრო ინფრასტრუქტურაზე.“¹⁰⁷⁰ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელ საერთაშორისო საგამომიებო მისიასთან 2009 წლის მარტში გამართული შეხვედრის დროს, აფხაზეთის დე-ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა, რომ ხეობაში განადგურდა მხოლოდ ერთი სამოქალაქო პირის საცხოვრებელი და ხეობაში ბრძოლები ძირითადად, არ მიმდინარეობდა და დაიჭრა მხოლოდ რამდენიმე ჯარისკაცი. საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთის გარდა, რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა აფხაზეთში გახსნეს მეორე ფრონტი, სადაც კოდორის ხეობაში, თავს ესხმოდნენ და ანადგურებდნენ ქართულ სოფლებს (...)“.¹⁰⁷¹ თუმცა, აფხაზეთის დევნილმა მთავრობამ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიას უთხრა, რომ რამდენადაც მათთვის ცნობილია, მხოლოდ სამი სახლი არის დანგრეული.¹⁰⁷² აღნიშნული საგამომიებო მისიის ექსპერტებმა, 2009 წლის 30 მაისს, კოდორის ხეობაში ვიზიტის დროს, სახლებისათვის მიყენებული ზიანი ვერ აღმოაჩინეს.

ყველაზე მეტი ზიანი სახლებსა და საცხოვრებელ შენობებს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის კონტექსტში მიაღწა ცხინვალი/გორის ღერძის გასწვრივ. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს, საომარ მოქმედებებს ადგილი ჰქონდა ქალაქებსა და სოფლებში. გარდა „ბუფერულ ზონებსა“ და სამხრეთ ოსეთში მდებარე სოფლებისა, ორი ქალაქი, სადაც საომარი მოქმედებები ყველაზე მეტად მძვინვარებდა, იყო ცხინვალი და გორი.¹⁰⁷³

¹⁰⁷⁰ გენერალური მდივნის ანგარიში აფხაზეთში არსებული სიტუაციის შესახებ, საქართველო, 3 ოქტომბერი, 2008 წ., S/2008/631, გვ. 8, პარაგრაფი 45. აგრეთვე, იხ.: „შეხვედრა აფხაზეთის დე - ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან, 4 მარტი, 2009 წ., სოხუმი.

¹⁰⁷¹ მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, შეტანილია საქართველოს მთავრობის მიერ, 13 აგვისტო, 2008 წ., გვ. 6, პარაგრაფი 12. იხ.: აგრეთვე: 2008 წლის 8 სექტემბერს, დილის 10 საათზე მშვიდობის სასახლეში გამართული ღია სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი საქმეზე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, CR 2008/22, გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ICJ, ჰააგა, 2008 წელი, გვ. 41, პარაგრაფი 9: საქართველომ აგრეთვე განაცხადა, რომ „8 აგვისტოს, 09:45-ზე რუსეთის ავიაციამ დაიწყო მთელ საქართველოში მთელი რიგი სამოქალაქო და სამხედრო სამიზნეების დაბომბვა, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონის გარეთ, რამაც ინფრასტრუქტურის დაზიანება და სერიოზული ადამიანური მსხვერპლი გამოიწვია. ეს სამიზნე იყო შემდეგი, მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა: კოდორის ხეობა, აფხაზეთის რეგიონი.“ იხ.: „საქართველოში რუსეთის აგრესიის ქრონოლოგია; 2008 წლის 8 აგვისტოს დაწყებული რუსეთის შემოჭრისა და აგრესიის შედეგად ქართველების ეთნიკური წმენდა; და დარღვევები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის მხრივ: წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, მძევლად აყვანა,“ საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წელს შეტანილი დოკუმენტი, გვ. 10-11.

¹⁰⁷² 2009 წლის 4 ივნისის შეხვედრა.

¹⁰⁷³ Human Rights Watch-ის მიხედვით:

„ცხინვალში, ყველაზე მეტად დაზარალებული რაიონები იყო ქალაქის სამხრეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი, სამხრეთ-დასავლეთი და ცენტრალური ნაწილები. მოგვიანებით, საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მათი სამხედროები ყველაზე მეტად უმიზნებდნენ ძირითადად, ამ ადგილებში

საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ „საქართველოს სამხედრო მეთაურობამ შეამცირა ცხინვალსა და მის მიმდებარე დასახლებულ სოფლებში არტილერიისა და სახმელეთო ჯარებისათვის სამიზნეების სია. წინასწარ განსაზღვრული სამიზნეები მოიცავდა მხოლოდ მტრის ცოცხალი ძალისა და აქტივების დიდი კონცენტრაციის ადგილებს.“¹⁰⁷⁴ მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება სინამდვილეს შეესაბამებოდეს „წინასწარ განსაზღვრული სამიზნეების სიის“ შემთხვევაში, რომელიც ზემოთ იყო ნახსენები, ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ „საომარი მოქმედებების დროს განსაზღვრული სამიზნეები“ შესაძლოა შეიცავდა სახლებსა და შენობებს, რომელთაც სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები იყენებდა.

ადამიანის უფლებების შემსწავლელმა კომისიამ „პირველ წყაროდან დაამოწმა, რომ სუფელ ნოგკაუში შვიდი სახლი მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურდა ბომბებისა და სატანკო ცეცხლის მიერ, ხოლო უფრო მეტად ეთნიკური ოსებით დასახლებულ სოფელ ხეთაგუროვოში სახლები უმეტესად მცირე იარაღმა და საარტილერიო ცეცხლმა დააზიანა.“¹⁰⁷⁵ როგორც ზემოთ იყო ხაზგასმული, ეს დაზიანება თავისთავად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას არ ქმნის.

უნდა აღინიშნოს, რომ ხეთაგუროვოს შემთხვევაში, Human Rights Watch-მა „შედლო დაედგინა, რომ ოსური მილიციის პოზიციები ძალიან ახლოს იყო განლაგებული მშვიდობიანი მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებთან, რომლებსაც დარტყა ქართულმა არტილერიამ,“ როგორც ქართული შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები აცხადებდნენ, სოფელ ხეთაგუროვოს მხრიდან მათ დიდძალ ცეცხლს ესვროდნენ.¹⁰⁷⁶

განლაგებულ ადმინისტრაციულ შენობებს. ჭურვები ხვდებოდა და ხშირად სერიოზულ ზიანს აყენებდა მრავალჯერ სამოქალაქო ობიექტებს, უნივერსიტეტის, რამდენიმე სკოლისა და საბავშვო ბაღის, საცხოვრებელი შენობებისა და კერძო სახლების ჩათვლით. ეს ობიექტები, სავარაუდოდ, უნდა იყოს სამოქალაქო ობიექტები, და როგორც ასეთი, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, დაცულები არიან, როგორც სამიზნეებად გამოყენებისაგან; მაგრამ, როგორც ქვემოთ იქნება აღწერილი, ზოგიერთი ამ შენობათაგანი მაინც, გამოყენებული იყო თავდაცვითი პოზიციების, ან სხვა პოსტების სახით, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ (მილიციის მოხალისე თანამშრომლების ჩათვლით), რაც მათ აქცევს კანონიერ სამხედრო სამიზნეებად,“ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი – ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 41.

¹⁰⁷⁴ საქართველო, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები, შეკითხვა 3) (Georgia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), მიწოდებული მისიისათვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 1.

¹⁰⁷⁵ ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 41.

¹⁰⁷⁶ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი – ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 51.

ანალოგიურად, „კიდევ ერთი მოწმე, 50 წლის ასაკის საბავშვო ბაღის მასწავლებელი, რომელმაც Human Rights Watch-ს აჩვენა გრადის ტიპის იმ რაკეტის ნაწილები, რომლებიც ისაკ ხარებოვის ქუჩაზე მდებარე მისი საბავშვო ბაღის შენობას მოხვდა, აგრეთვე ირწმუნება, რომ „შენობაში იმალებოდნენ“ მილიციის მოხალისე თანამშრომლები. მილიციის რამდენიმე თანამშრომელმა, რომელთა ინტერვიუები ჩაიწერა Human Rights Watch-მა დაადასტურა, რომ მრავალი სკოლისა და საბავშვო ბაღის შენობა იყო გამოყენებული მილიციის მიერ შეგროვების პუნქტებისა და თავდაცვითი პოზიციების სახით.¹⁰⁷⁷

სახმელეთო შეტევების დროს, ქართულმა ტანკებმა და ქვეითი ჯარის მანქანებმა სერიოზული დაზიანებები მიაყენეს შენობების საძირკვლებს.¹⁰⁷⁸

ეს არანაირად არ ნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთის მებრძოლების ყოფნა სახლებში ან საცხოვრებელ შენობებში თავდამსხმელს ათავისუფლებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის მიხედვით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებისაგან, დაიცვას პროპორციულობის პრინციპი ან მიიღოს სიფრთხილის ზომები.

რუსული შეიარაღებული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში განხორციელებული თავდასხმები მოიცავდა საჰაერო, საარტილერიო და სატანკო შეტევებს, გამოიწვია ადამიანის მსხვერპლი და სახლებისა და საცხოვრებელი შენობების განადგურება. Human Rights Watch-ის მიხედვით, „სოფელ თამარაშენის (სამხრეთ ოსეთში) მაცხოვრებლები აღწერენ, როგორ უშენდა რუსული ტანკები ცეცხლს სოფლის მცხოვრებთა სახლებს“ და „თვითმხილველმა უთხრა Human Rights Watch-ს, რომ მათ სახლებში იმ დროს, როდესაც სატანკო ცეცხლი გაიხსნა, ქართული სამხედრო პერსონალი არ იმყოფებოდა.“¹⁰⁷⁹ ამის დეტალური ანალიზი მოცემული იქნება ჩვენი ზოგადი შეფასების ნაწილში, რომელიც წარმოადგენს განცხადებებს განურჩეველ თავდასხმებსა და სიფრთხილის ზომების გაუთვალისწინებლობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული და რუსული შეიარაღებული ძალების მიერ სამოქალაქო პირების სახლებისა და შენობებისათვის მიყენებული ზიანი თავისთავად, არ შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლის დარღვევად, არტილერიის, საჰაერო და სატანკო თავდასხმების მიერ მიყენებული დაზიანებები სერიოზულ შემფოთებას იწვევს, განსაკუთრებით, პროპორციულობის პრინციპისა და სიფრთხილის ზომების მიღების მხრივ, როგორც ამას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოითხოვს.

¹⁰⁷⁷ იგივე.

¹⁰⁷⁸ იქვე, გვ. 58.

¹⁰⁷⁹ იქვე, გვ. 114.

6. კულტურული ობიექტები, მონუმენტები, მუზეუმები და ეკლესიები

ძირითადი პრინციპები მოცემულია 1954 წლის კონვენციაში შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ, რომელიც გამოიყენება როგორც საერთაშორისო, ისე არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტებისათვის. ის ამბობს, რომ, ვინაიდან კულტურული ფასეულობები სამოქალაქოა, ისინი არ შეიძლება იყოს თავდასხმის ობიექტი. ჩვეულებითი სამართალი ამბობს, რომ „კონფლიქტის თითოეულმა მონაწილემ მხარემ პატივი უნდა სცეს კულტურულ ფასეულობების: ა) სამხედრო ოპერაციების ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ თავიდან იქნას აცილებული რელიგიური, სახელოვნებო, მეცნიერული-საგანმანათლებლო ან საქველმოქმედო დანიშნულების შენობებისა და ისტორიული ძეგლების დაზიანება, თუ ისინი არ არის გამოყენებული, როგორც სამხედრო ობიექტები; ბ) ყველა ადამიანის კულტურული მემკვიდრეობისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე ფასეულობები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს არის მოთხოვნილი გადაუდებელი სამხედრო აუცილებლობით.“¹⁰⁸⁰

საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შესახებ ანგარიშები კულტურული ძეგლების, მუზეუმებისა თუ ეკლესიებისათვის ზიანის მიყენების ძალიან ცოტა ბრალდებას შეიცავს. მართალია, არასისტემატურად, მაგრამ მსგავსი ბრალდებები წამოყენებული იყო როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის ფედერაციის მხრიდანაც. ამ უკანასკნელის მიხედვით, „2008 წლის 15 – 18 აგვისტოს ჩატარებულმა ისტორიული და კულტურული ძეგლების შემთხვევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ რიგი უნიკალური ობიექტებისა დაიკარა ქართული შეიარაღებული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიმდებარე არტილერიით ფართომასშტაბიანი დაბომბვის შედეგად. უფრო მეტიც, ქართველი სამხედროების მხრიდან ადგილი ჰქონდა კულტურული ძეგლებისა და ეთნიკური ოსების სამარხების მიმართ განხორციელებულ ვანდალიზმსა და მათ მიზანმიმართულად განადგურებას.“¹⁰⁸¹ საქართველო, შენიშნავს რა, რომ ეს ინფორმაცია გადამოწმებას საჭიროებს – იძლევა კულტურული ძეგლების, ეკლესიებისა და მუზეუმებისათვის მიყენებული ზიანის ქვემოთ მოტანილ აღწერას, „ადგილობრივი მოსახლეობისა და მუზეუმის თანამშრომლების მონათხრობზე და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ შეგროვილ მონაცემებზე დაყრდნობით.“ საქართველო ირწმუნება, რომ „რუსული შეიარაღებული ძალებისა და ოსური მილიციის მიერ განხორციელებული ოპერაციების დროს ჭურვების, დაბომბვის, ძარცვისა და გადაწვის შედეგად განადგურდა მთელი რიგი ძეგლებისა.“ მან ხაზი გაუსვა, რომ „მიყენებული ზარალის ზუსტი კვლევის ჩატარება ვერ მოხერხდა, ვინაიდან საქართველოს მთავრობის მიერ უფლებამოსილი საექსპერტო ჯგუფი ვერ შედის

¹⁰⁸⁰ წესი 38, იხ.: ჯ- მ. ჰენკაერტი, ლ. დოსვალდ-ბეკი (გამომცემლები). ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (J-M. HENCKAERTS, L. DOSWALD-BECK (eds), Customary International Humanitarian Law), ტ. I, ციტირებული დოკუმენტი, გვ. 127.

¹⁰⁸¹ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 3.

რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ კონტროლირებულ ზონებში.“ მან აგრეთვე, აღნიშნა, რომ ეს არის წინასწარი სია,¹⁰⁸² და ძეგლების სიმჭიდროვე და სიმრავლე შიდა ქართლის რეგიონში გვაფიქრებინებს, რომ არის კიდევ მრავალი ეკლესია თუ ძეგლი, რომლებიც აგრეთვე, დაზიანდა.¹⁰⁸³

ჩანს, რომ ერთგვარი გაურკვეველობაა კულტურის ძეგლების მიმართ კონფლიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ირგვლივ. ეუთო-ს ადამიანის უფლებების შეფასების მისიის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციამ მოახსენა, რომ დისევში დაინგრა კულტურის ძეგლი, დათარიღებული მე-14 საუკუნით და უფრო ადრე.¹⁰⁸⁴ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ინტერვიუს ჩატარების დროს, რომელიც შემდგომში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელ საერთაშორისო საგამომიებო მისიას მიეწოდა, ადგილობრივმა მოსახლემ სოფელ დვანიდან (სოფელი ადმინისტრაციულ საზღვარზე მდებარეობს) განაცხადა, რომ „ეკლესიას დაარტყეს და დაინგრა რამდენიმე სახლი (...). ეს იყო საარტილერიო ცეცხლი. რუსებს უნდა სცოდნოდათ, რომ იქ სამხედრო სამიზნეები არ იყო.“¹⁰⁸⁵ თავდასხმის გარემოებების დეტალების შესახებ მეტი ინფორმაცია არ არსებობს.

ყველაზე მნიშვნელოვანი დაზიანებები, რომლებიც დადასტურებულია, აღინიშნა სოფელ ნიქოზში მდებარე ეპისკოპოსის სასახლეში (X-XI საუკუნეები). ის შედის

¹⁰⁸² საქართველომ წარმოადგინა შემდეგი სია:

„მთავარანგელოზის ეკლესია (XIX საუკუნე): ახლად აღდგენილი ეკლესია სოფელ ხეთში, დაზიანდა 12 აგვისტოს დაბომბვის შედეგად.

„იკორთის ეკლესია (XII საუკუნე): ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნიმუში და სამი ქართველი გმირის საფლავების ადგილი. დაზიანდა 9 და 10 აგვისტოს დაბომბვის შედეგად.

„ივანე მაჩაბელის სახლ-მუზეუმი: მუზეუმი სოფელ თამარაშენში, ცხინვალიდან ოდნავ ჩრდილოეთით, მძიმედ დაიბომბა და განადგურდა.

„გიორგი მაჩაბელის სასახლე (XVIII საუკუნე): სასახლე ცხინვალსა და სოფელ ჯავას შორის მდებარე სოფელ ქურთაში, აიღეს ბულდოზერით მას შემდეგ, რაც გაიძარცვა 13-14 აგვისტოს.

„ეპისკოპოსის სასახლე სოფელ ნიქოზში (X-XI საუკუნეები): ახლად აღდგენილი სასახლე, გვიანი შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუში, მძიმედ დაზიანდა 9 აგვისტოს საჰაერო დაბომბვისა და შემდგომ გაჩენლი ხანძრის შედეგად.

„წმინდა გიორგის ხის ეკლესია (IX-X საუკუნეები): ეკლესია იყო წმინდა ხის არქიტექტურის გადარჩენილ უიშვიათეს ნიმუშთან ერთ-ერთი, მთლიანად გადაიწვა.

„ქემერთის წმინდა გიორგის ეკლესია (IX-X საუკუნეები): ეკლესია დაიბომბა 10 აგვისტოს.

„ქსნის ხეობის სამუზეუმო რეზერვი (ერისთავების სასახლე) ახალგორის რაიონში: ამჟამად დაკავებულია სამხრეთ ოსეთის მილიციის მიერ; მთლიანად გამარცხლია.“

იხ.: საქართველოს მიერ წარდგენილი დოკუმენტი, „რუსეთის შემოჭრა საქართველოში – ფაქტები და რიცხვები“, 8 სექტემბერი, 2008 წ., გვ. 14.

¹⁰⁸³ საქართველოს მიერ წარდგენილი დოკუმენტი, „რუსეთის შემოჭრა საქართველოში – ფაქტები და რიცხვები“, 8 სექტემბერი, 2008 წ., გვ. 30.

¹⁰⁸⁴ ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 52.

¹⁰⁸⁵ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ 2008 წლის 11 სექტემბერს ჩატარებული ინტერვიუები. დასახელება არ ისურვეს.

საქართველოს მიერ მოწოდებულ, გამიზნულად დაზიანებული ძეგლების სიაში. საქართველოს ხელისუფლება მას აღწერს, როგორც „გვიანი შუა საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნიმუშს, [და ის] მძიმედ დაზიანდა 9 აგვისტოს საჭაერო დაბომბვისა და შემდგომ გაჩენლი ხანძრის შედეგად.“¹⁰⁸⁶ ეს დადასტურებულია ევროპის საბჭოს საქართველოს კონფლიქტის ზონის კულტურული მემკვიდრეობის მხრივ სიტუაციის შემფასებელი მისიის მიერ. ეს მისია საქართველოს 2008 წლის ოქტომბერში ეწვია და აფასებდა კულტურული მემკვიდრეობისათვის მიყენებულ ზარალს. ამასთან შენობებსაც, საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის ზონაში და უფრო დიდი ყურადღებით სწავლობდა ყოფილ ე.წ. „ბუფერულ ზონას“ გორიდან ჩრდილოეთით. ტექნიკური შეფასების ანგარიშში ნახსენებია „მე-10 საუკუნის ეპისკოპოსის სასახლე, რომელიც სამხრეთით მდებარე საცხოვრებელ შენობებთან ერთად, მძიმედ დაზიანდა ბომბის აფეთქების შედეგად.“ შემდგომში ის აღნიშნავს, რომ „ბომბის აფეთქების დროს შენობებში იმყოფებოდა რელიგიური მოსახლეობა.“¹⁰⁸⁷ არსებობს აღნიშნული შეტყვის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მოპოვების საჭიროება.

საზოგადოდ, იმისათვის, რომ სამხედრო ოპერაციის გარემოებებთან დაკავშირებული დაზიანებების მასშტაბებისა და ფაქტების შეფასება ჩატარდეს, საჭიროა მეტი ინფორმაცია. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან კულტურული ფასეულობები სპეციალური დაცვა მხოლოდ იმ შემთხვევებში წყდება, როდესაც ეს არის მოთხოვნილი გადაუდებელი სამხედრო აუცილებლობით.

b) განურჩეველი თავდასხმები არაპროპორციული თავდასხმების ჩათვლით

ყველაზე სერიოზული ბრალდებები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს ყველა მხრიდან გაისმოდა, ეხებოდა განურჩეველ დამიზნებას და სამოქალაქო პირების მიზანში გამიზნულად ამოღებას. რუსეთის ფედერაცია აცხადებს, რომ საქართველომ „დაარღვია ომის წარმოების მართვის საერთაშორისო ნორმები, რასაც შედეგად მოჰყვა დრამატული ჰუმანიტარული შედეგები და უპირველეს ყოვლისა, მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის, აგრეთვე საცხოვრებელი კვარტლებისა და

¹⁰⁸⁶ საქართველოს მიერ წარდგენილი დოკუმენტი, „რუსეთის შემოჭრა საქართველოში - ფაქტები და რიცხვები“, 8 სექტემბერი, 2008 წ., გვ. 30.

¹⁰⁸⁷ ევროპის საბჭო, გენერალური დირექტორატი IV: განათლება, კულტურა და მემკვიდრეობა, ახალგაზრდობა და სპორტი, საქართველოს კონფლიქტის ზონის კულტურული მემკვიდრეობის მხრივ სიტუაციის შემფასებელი მისია, ტექნიკური შეფასების ანგარიში, ანგარიში მომზადებულია დევიდ ჯონსონის მიერ, 20 ოქტომბერი, 2008, მიმართეთ: AT(2008)386, გვ. 9. იხ.: აგრეთვე: ევროპის საბჭოს კონფლიქტის შემდგომი გადაუდებელი ზომები საზოგადოებისა და კულტურული გარემოს სოციალური და ეკონომიკური გამოცოცხლებისათვის გორის გამგეობაში (საქართველო), ზოგადი რეფერალური დოკუმენტი, გენერალური დირექტორატი IV: განათლება, კულტურა და მემკვიდრეობა, ახალგაზრდობა და სპორტი, 18 თებერვალი, 2009 წ., იხ.: AT(2008)450rev, გვ. 11.

სამოქალაქო დაწესებულებების ნგრევა.“¹⁰⁸⁸ საქართველო ამბობს, რომ „შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რუსეთის ფედერაცია, მათი კონტროლის ქვეშ მყოფ მარიონეტული რეჟიმის ბოვეიკებთან ერთად, ახორციელებდა განურჩეველ და არაპროპორციულ თავდასხმებს.“¹⁰⁸⁹ ამ კუთხით, ბრალდებები, სხვებთან ერთად, ფოკუსირებულია გარკვეული ტიპის იარაღის გამოყენებაზე, რომელსაც განურჩეველი ზემოქმედება გააჩნია. რუსეთმა განაცხადა „საქართველოს მხრიდან ოსეთის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მძიმე შეიარაღების და სამხედრო აღჭურვილობის ფართო მასშტაბითა და განურჩევლად გამოყენების შესახებ 7-8 აგვისტოს ღამით,“¹⁰⁹⁰ „საცხოვრებელი ადგილებისა და ინფრასტრუქტურული დაწესებულებების“¹⁰⁹¹ ჩათვლით, აგრეთვე „მრავალჯერადი სარაკეტო სისტემების გამოყენების შესახებ, რომლებიც დასახლებულ ადგილებში გამოყენების დროს, მასობრივ ადამიანურ მსხვერპლს იწვევს და დიდ ზიანს აყენებს სასიცოცხლო სამოქალაქო დაწესებულებებს.“¹⁰⁹² საქართველომ განაცხადა, რომ „რუსეთის ფედერაციამ არ შეასრულა ეს ვალდებულება, როდესაც განურჩევლად ბომბავდა ადგილებს, სადაც არ იყო კანონიერი სამხედრო სამიზნეები და ისეთი საომარი საშუალებების გამოყენებით, როგორებიცაა, სახმელეთო ნაღმები და კასეტური ბომბები იმგვარად, როდესაც ვერ ხერხდებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის და მებრძოლების გარჩევა.“¹⁰⁹³

საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისია აუცილებლად მიიჩნევს, რომ პირველ რიგში, ვიდრე განურჩეველი თავდასხმების საკითხის ზოგად შეფასებაზე გადავიდოდეს, გარკვიოს გამოყენებული იარაღის ტიპები და გზები, რომლითაც ისინი იქნა გამოყენებული.

(i) გამოყენებული იარაღის ტიპები და გზები, რომლითაც ისინი იყო გამოყენებული

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი იარაღის გამოყენების საკითხს ზოგადი პრინციპებით გამოხატავს, რომლებიც კრძალავს იმ საომარი საშუალებების ან მეთოდების გამოყენებას, რომლებიც პროვოცირებას უწევს ზედმეტ დაზიანებას ან

¹⁰⁸⁸ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 1.

¹⁰⁸⁹ საქართველო, პასუხი კითხვაზე 5, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (კითხვარი ჰუმანიტარული საკითხების შესახებ), მიწოდებული მისიისათვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 4, აგრეთვე, იხ.:გვ. 1.

¹⁰⁹⁰ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 1. აგრეთვე, იხ.:გვ. 2.

¹⁰⁹¹ იქვე, გვ. 2.

¹⁰⁹² იქვე, გვ. 4.

¹⁰⁹³ საქართველო, პასუხი კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები, შეკითხვა 5), მიწოდებული მისიისათვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 1.

არასაჭირო განცდას¹⁰⁹⁴ ან აქვს განურჩეველი ეფექტი¹⁰⁹⁵ და სპეციფიკური წესებით, რომლებიც იარაღის კერძო ტიპების გამოყენებას კრძალავს ან ზღუდავს. ამ კონფლიქტის კონტექსტში გამოყენებული არც ერთი იარაღი არ არის გადაფარული კონკრეტული აკრძალვით, არც ჩვეულებრივი და არც ჩვეულებითი. მიუხედავად ამისა, მართალია, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტში გამოყენებული არც ერთი იარაღი, თავისთავად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის ზოგადი პრინციპების მიხედვით, როგორც ასეთი, უკანონოდ ვერ ჩაითვლება. ხოლო ის გზები, რომლითაც ეს იარაღი იქნა გამოყენებული, სერიოზულ ეჭვებს ბადებს კანონიერების თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან სადავო იარაღი ყველაზე ხშირად მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში გამოიყენებოდა. წინააღმდეგობრივი იარაღის ეს ორი ტიპი არის „გრადის“ ტიპის რაკეტები და კასეტური ბომბები.

როგორც სწორად შენიშნა საქართველომ, „საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, საქართველო არ იყო მონაწილე არც ერთი საერთაშორისო ხელშეკრულების, რომელიც კრძალავს „გრადის“ ტიპის მრავალჯერადი გამოყენების რაკეტების ან კასეტური ბომბების გამოყენებას საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში; არც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალის რაიმე წესი არსებობდა, რომელიც კრძალავს ზემოთ ხსენებულს და გამოყენებადია საქართველოსათვის.“¹⁰⁹⁶ ეს შეესაბამება სიმართლეს რუსეთის შემთხვევაშიც.

როდესაც საქმე გრადის ტიპის რაკეტებს შეეხება, როგორც Human Rights Watch-მა მოახსენა, საქართველომ ამგვარი რაკეტები „გამოიყენა მხოლოდ ცხინვალის ვერხნიი გოროდოკის რაიონში, სადაც [სეპარატისტების] არტილერია იყო განლაგებული,“ მაშინ როდესაც ქალაქის ცენტრი დაიბომბა „თანამედროვე, ზუსტი დამიზნების მქონე იარაღით.“¹⁰⁹⁷ საქართველომ ეს პოზიცია გაიმეორა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ გამოგზავნილ კითხვარზე გაცემულ პასუხებში: „საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გრადის ტიპის რაკეტები გამოიყენა მხოლოდ გარკვეულად სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ

¹⁰⁹⁴ 1977 წლის დამატებითი პროტოკოლის I მუხლი 35(2) ამბობს, რომ „აკრძალულია იმ იარაღის, ჭურვების და მასალისა და მეთოდების გამოყენება, რომლებიც პროვოცირებას უწევს ზედმეტდაზიანებას ან არასაჭირო განცდას.“

¹⁰⁹⁵ 1977 წლის დამატებითი პროტოკოლის I მუხლის 51(4) მიხედვით, განურჩეველი თავდასხმა მოიცავს “(ბ) მათი, რომლებიც იყენებს ბრძოლის მეთოდებს ან საშუალებებს, რომელთა მიმართაც სპეციფიკური სამხედრო ობიექტისაკენ არ შეიძლება; ან (გ) მათი, რომლებიც იყენებს ბრძოლის მეთოდებს ან საშუალებებს, რომელთა ზემოქმედება ვერ შემოიფარგლება, როგორც ამას ეს პროტოკოლი მოითხოვს; და, შესაბამისად, ყოველ ამგვარ შემთხვევაში, ისეთი ხასიათისაა, რომ შეუძლია დაარტყას სამხედრო ობიექტსა და სამოქალაქო ობიექტს, ან სამოქალაქო ობიექტებს გარჩევის გარეშე.“

¹⁰⁹⁶ საქართველო, პასუხი კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები), მიწოდებული მისიისათვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 1.

¹⁰⁹⁷ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი – ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 50.

და არა დასახლებულ ადგილებში.¹⁰⁹⁸ საქართველომ ხაზი გაუსვა, რომ „გამოყენებული იარაღის ტიპები, გრადის ტიპის მრავალჯერადი გამოყენების რაკეტების ან კასეტური ბომბების ჩათვლით, გამოყენებული იყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამის წესებთან სრული შესაბამისობით, კერძოდ, გარჩევისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვით.“¹⁰⁹⁹

მაგრამ უნდა ითქვას, რომ გრადის ტიპის რაკეტების გამოყენების შესახებ ეს განცხადებები ეწინააღმდეგება საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ შეგროვილ ინფორმაციას. მრავალი ანგარიშისა და იმ მოწმეებისაგან აღებული ჩვენებების მიხედვით, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტოს დამით, ცხინვალში იმყოფებოდნენ,¹¹⁰⁰ ქართულმა არტილერიამ დაიწყო ქალაქის ტერიტორიის მასიური დაბომბვა. შუალდამის შემდეგ, მალევე ცხინვალის ცენტრი მძიმე ცეცხლისა და დაბომბვის ქვეშ მოექცა. როგორც ეუთოს დამკვირვებლებმა შეაფასეს, ეს დაბომბვა ხორციელდებოდა გრადის ტიპის მრავალჯერადი გამოყენების რაკეტების სისტემებიდან და საარტილერიო ნაწილებიდან, რომლებიც ნანახი იყო გორის ჩრდილოეთით, კარალეთის მიდამოებში, კონფლიქტის ზონასთან ძალიან ახლოს, 7 აგვისტოს, დღის 3 საათზე.¹¹⁰¹ თავდასხმის პირველი საათების შესახებ მონათხრობში აღინიშნება ინტენსიური დაბომბვა მძიმე არტილერიის აფეთქების ჯერით, ინტერვალებით 15-20 წმ-მდე. 50 წუთის განმავლობაში ეუთოს დამკვირვებლებმა ქალაქში დაითვალეს 100-ზე მეტი აფეთქების ჯერი და დაახლოებით, ნახევარზე მეტი მოდიოდა საცხოვრებელ უბანში განთავსებულ ეუთოს სავლე ოფისთან ძალიან ახლოს. ეუთოს ნაწილს რამდენიმეჯერ დაარტყეს და ის დაზიანდა.

Human Rights Watch-ისა და Amnesty International-ის მიერ ჩატარებული კვლევები და ინტერვიუები ამ ფაქტს ერთგვარად ადასტურებს. Human Rights Watch-ის დასკვნის მიხედვით, ქართული შეიარაღებული ძალები ისროდა გრადის ტიპის რაკეტებს და სხვა იარაღთან ერთად, გამოიყენა BM-21 „გრადი,“ მრავალჯერადი გამოყენების სარაკეტო სისტემა, რომელსაც შეუძლია 20 წამში 40 რაკეტის გასროლა, თვითმავალი არტილერია, ნაღმტყორცნები და ჰაუბიცების ჭურვები.¹¹⁰²

¹⁰⁹⁸ საქართველო, პასუხი კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები), მიწოდებული მისიისათვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 1. აგრეთვე, იხ.: მისიის შეხვედრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან 2009 წლის 4 ივნისს.

¹⁰⁹⁹ იგივე.

¹¹⁰⁰ იხ.: თავი 5, 2008 წლის სამხედრო მოვლენები.

¹¹⁰¹ ეუთოს მისია საქართველოში, ანგარიშის წერტილოვანი განახლება # 1 (11:00 თბილისის დროით); დადასტურებულია ეუთოს სამხედრო მონიტორინგის ოფიცრის და სხვა სამტატო პერსონალის მიერ საუბრებში 2008 წლის 16 /17 ოქტომბერს. აგრეთვე, იხ.: ეუთოს მისია საქართველოში, ანგარიშის წერტილოვანი განახლება საქართველო-ოსეთის კონფლიქტის ზონაში სიტუაციის შესახებ. 7 აგვისტო, 2008 წ.

¹¹⁰² Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი – ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 50.

Amnesty International-ის მიხედვით, „ქართული სახმელეთო ჯარების შესვლას ამ სოფლებში და თავად ცხინვალში, წინ უსწრებდა რამდენიმესაათიანი საარტილერიო მომზადება და სარაკეტო შეტევა, აგრეთვე, მცირემასშტაბიანი საჰაერო დაბომბვა. ყველაზე დიდი ზიანი ცხინვალს მრავალჯერადი გამოყენების სარაკეტო სისტემის გრადის ტიპის რაკეტებმა მიაყენა, რომლებიც როგორც ცნობილია, დიდი სიზუსტით მართვა ძნელია.“¹¹⁰³ საარტილერიო შეტევას ჰაუბიციების ჭურვებისა და თვითმავალი არტილერიის ჩათვლით, დანგრევა, სიკვდილი და დაშავებები მოჰყვა, განსაკუთრებით ცხინვალში, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ნაწილი ევაკუირებული იყო.¹¹⁰⁴ Amnesty International-ის ექსპერტებმა იხილეს სამოქალაქო პირების საკუთრებისადმი მიყენებული დიდი ზარალი ამ წერტილებიდან 100–150 მეტრის რადიუსში, კერძოდ, ქალაქის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში და ხაზი გაუსვეს ამ ადგილებში სამიზნედ გრადის ტიპის იარაღის გამოყენების მიზანშეუწონლობას.¹¹⁰⁵

ფაქტების გამომძიებელმა მისიამ დაასკვნა, რომ ცხინვალზე განხორციელებული შეტევის დროს, საზოგადოდ, საარტილერიო შეტევა კერძოდ, გრადის ტიპის მრავალჯერადი გამოყენების სარაკეტო სისტემის გამოყენება, ნიშნავს ქართული შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებულ განურჩეველ თავდასხმას, თუ გავითვალისწინებთ თავად იარაღის მახასიათებლებს და მის გამოყენებას დასახლებულ ადგილებში. უფრო მეტიც, ქართულმა ძალებმა არ შეასრულეს ვალდებულება მიეღოთ სიფრთხილის ყველა შესაძლო ზომები ომის წარმოების საშუალებებისა და მეთოდების შერჩევის დროს, რათა თავიდან აეცილებინათ და ნებისმიერ შემთხვევაში, შეემცირებინათ სამოქალაქო პირების სიცოცხლის მოსპობა, სამოქალაქო პირებისათვის ზიანის მიყენება და სამოქალაქო ობიექტების განადგურება.

კონფლიქტის მსვლელობის დროს გამოყენებული კიდევ ერთი სადავო იარაღი არის კასეტური ბომბები. მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ აღიარა, რომ მან გამოიყენა კასეტური ბომბები, რათა რუსული ძალების წინსვლა შეეჩერებინათ, მოსკოვი ოფიციალურად არ ადასტურებს მისი ძალების მიერ მათ გამოყენებას.

Amnesty International-ის მიხედვით, საქართველოს ხელისუფლებამ ხაზი გაუსვა, რომ კასეტური ბომბები გამოყენებული იყო მხოლოდ რუსული ჯარისა და სამხედრო აღჭურვილობის წინააღმდეგ როკის გვირაბთან ახლოს, 8 აგვისტოს დილის საათებში, და მხოლოდ ქართული სახმელეთო ძალების მიერ. საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა Amnesty International-ს, რომ ამგვარი კასეტური ბომბები აგრეთვე, გამოყენებული იყო 8 აგვისტოს რუსულ და ოსურ შეიარაღებულ ძალებზე თავდასხმის დროს, ძარას

¹¹⁰³ Amnesty International, სამოქალაქო პირები ცეცხლის ხაზზე – საქართველო-რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 24.

¹¹⁰⁴ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი – ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 41.

¹¹⁰⁵ Amnesty International, სამოქალაქო პირები ცეცხლის ხაზზე – საქართველო-რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 26.

შემოვლით გზაზე.¹¹⁰⁶ Amnesty International-მა აღნიშნა, რომ „საქართველოს ხელისუფლება ირწმუნება, რომ იმ დროს, როდესაც ქართული მხრიდან კასეტური ბომბებით ცვიოდა ძარას გზაზე, მასზე არ იყვნენ სამოქალაქო პირები, ვინაიდან ამ ტერიტორიაზე საბრძოლო ოპერაციების მიმდინარეობის დროს, ყველა სახის სამოქალაქო ტრანსპორტის გადაადგილება შეჩერებული იყო, და ამას ადასტურებენ ქართველი ველზე დამკვირვებლები. Amnesty International ხაზს უსვამს, რომ მან „ვერ შეძლო დაედგინა, სინამდვილეში იყვნენ თუ არა სამოქალაქო პირები ძარას გზის გასწვრივ ადგილებში, რომლებსაც დამიზნებული ჰქონდა ქართული კასეტური ბომბები, მათი აფეთქების ზუსტ დროს.“ თუმცა, მან აღნიშნა, რომ „ნათელია, რომ რამდენიმე ათასი სამოქალაქო პირი გარბოდა ცენტრალური საქართველოსა და ცრდილოეთ ოსეთის მიმართულებით 8 აგვისტოს მოვლენების დროს და ძარას გზა, რა თქმა უნდა, იყო ჩრდილოეთისაკენ მიმავალი სამხრეთელი ოსებისათვის გადაადგილების მთავარი მიმართულება.“¹¹⁰⁷

კასეტური ბომბების გამოყენების სამხედრო აუცილებლობა საქართველოს მიერ შემდეგნაირად იყო ახსნილი:

„კასეტური ბომბები, განსაკუთრებით, GRADLAR160 სარაკეტო სისტემები და M-85 კასეტურბომბიანი MK4 LAR160 ტიპის რაკეტები გამოყენებული იყო მხოლოდ მძიმედ შეიარაღებული ავტომობილებისა და აღჭურვილობის წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის მიმართულებით გადაადგილდებოდა. ზემოთ ხსენებულის გამოყენება ეფუძნებოდა სამხედრო აუცილებლობისა და იმ სამხედრო უპირატესობის ღრმა ანალიზს, რომელიც მათ შეიძლება მოეტანა ქართული არმიისათვის მოცემულ სიტუაციაში. გადაუდებელი სამხედრო აუცილებლობა იყო – შეჩერებულიყო რუსული სამხედრო პერსონალისა და აღჭურვილობის წინსვლა საქართველოს ტერიტორიაზე. თავდასხმა მიმართული იყო უშუალოდ სამხედრო პერსონალსა და ობიექტებზე და GRADLAR160 სარაკეტო სისტემისა და M-85 კასეტურბომბიანი MK4 LAR160 ტიპის რაკეტების გამოყენებამ რამდენიმე საათით ხელი შეუშალა რუსული არმიის წინ წაწევას საქართველოს ტერიტორიაზე და ამით საქართველოს არმიას, რომლის რიცხოვნება რამდენიმეჯერ ჩამოუვარდებოდა წინ მიმავალ რუსულ ჯარს, მიეცა სამხედრო უპირატესობა და შესაძლებლობა განეხორციელებინა სამოქალაქო მოსახლეობის ოკუპაცია ომის თეატრიდან.“¹¹⁰⁸

რაც შეეხება კასეტურ ბომბებს, რომლებიც დაეცა ცხრა სოფელს გორის რაიონში, Human Rights Watch-მა აღნიშნა, რომ „არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქართულ შეიარაღებულ ძალებს ამ სოფლებისთვის კი არ დაუმიზნებია, არამედ

¹¹⁰⁶ Amnesty International, სამოქალაქო პირები ცხლის ხაზზე – საქართველო-რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 33.

¹¹⁰⁷ იგივე.

¹¹⁰⁸ საქართველო, პასუხი კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები), მიწოდებული მისიისათვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 1.

ბომბების ნაწილები დაეცა ამ სოფლებს იმის გამო, რომ შეიარაღების სისტემა გამოვიდა მწობრიდან.¹¹⁰⁹

Human Rights Watch-მა აღრიცხა ამ ინციდენტების შედეგად გამოწვეული ადამიანის რამდენიმე მსხვერპლი, რაც მოჰყვა ან კასეტური ბომბის დაცემას, ან აუფეთქებელ ჭურვებს.¹¹¹⁰

საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელ საერთაშორისო საგამომიებო მისიას რუსეთმა აცნობა, რომ „მთავარმა სამხედრო პროკურატურამ, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გენერალურ პროკურატურასთან ერთად გამოავლინა შემთხვევები, როდესაც სამხედრო ოპერაციების მსვლელობისას, ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენა კასეტური ბომბები და 500 კგ-იანი საჰაერო ბომბები.“ რუსეთის ფედერაციამ განაცხადა, რომ ეს არის აკრძალული

1980 წლის 10 ოქტომბერს მიღებული კონვენციით გარკვეული ჩვეულებრივი იარაღის გამოყენების აკრძალვების ან შეზღუდვების შესახებ, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად დამაზიანებლად ან ჰქონდეს განურჩეველი მოქმედება.¹¹¹¹

ეს ბრალდება ბადებს ორ სხვადასხვა კითხვას. პირველში გამოხატულია ინტერესი, გამიზნულად დაარტყა თუ არა საქართველომ მშვიდობიან მოსახლეობას, რაც აკრძალულია იმის მიუხედავად, თუ რა სახის იარაღი იყო გამოყენებული; მეორე კითხვა ეხება გამოყენებული იარაღის ორ ტიპს (განსაკუთრებით, კასეტურ ბომბებს), რომლებიც იყო თუ არა, ან როგორ იყო გამოყენებული საქართველოს მიერ, ეს ორივე შემთხვევაში ეწინააღმდეგება 1980 წლის ჩვეულებრივი იარაღის კონვენციას. როგორც ჩანს, არ არსებობს ქართული შეიარაღებული ძალების მხრიდან მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ამგვარი პირდაპირ გამოყენების მტკიცებულებები. 1980 წლის კონვენციის მიხედვით, სამართლიანობის საკითხთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას, რომ ეს ხელშეკრულება წარმოადგენს არა მხოლოდ ჩარჩო კონვენციას, რომელიც არ ეხება კონკრეტულ იარაღს, არამედ მისი არც ერთი ოქმი არ ეხება აქ მოხსენიებული იარაღის კანონიერებას.

რაც შეეხება რუსეთის მიერ სავარაუდოდ, კასეტური ბომბების გამოყენებას, ამ სახელმწიფომ თავისი პოზიცია გამოხატა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის კითხვარზე გაცემულ პასუხებში: „კასეტური ბომბები, რომლებიც, მართალია, რუსეთის ფედერაციის საჰაერო ძალების დამრტყმელ შენაერთებს გააჩნდა და რომლებიც შექმნილია მტრის ბანაკში მსხვერპლის გამოსაწვევად და ღია სივრცეში სამხედრო აღჭურვილობის გასანადგურებლად,

¹¹⁰⁹ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი – ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 66.

¹¹¹⁰ იქვე, გვ. 66-67.

¹¹¹¹ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 4.

არასოდეს ყოფილა გამოყენებული.¹¹¹² ეს ეწინააღმდეგება მტკიცებულებებს, რომლებიც Human Rights Watch-მა შეაგროვა და რომლებიც გვარწმუნებს, რომ კასეტური ბომბები, სხვათა შორის, გამოყენებულ იქნა სოფელ ვარიანში, სადაც დაიღუპა სამი ადამიანი; სოფელ რუისში და ქალაქ გორის მთავარ მოედანზე, სადაც ექვსი ადამიანი დაიღუპა.¹¹¹³

ჰოლანდიელი ჟურნალისტის დაღუპვა 12 აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს, გორის მთავარ მოედანზე ნატყორცილი კასეტური ბომბისაგან, ამყარებს ამ განცხადებას, რომ რუსეთმა ნამდვილად გამოიყენა კასეტური ბომბები. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან არა მარტო Human Rights Watch-მა, არამედ ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო კომისიამაც დაასკვნა, რომ ეს ჟურნალისტი მოკლული იყო რუსული მხარის მიერ ამ იარაღის გამოყენების შედეგად.¹¹¹⁴

Amnesty International-ის მიერ შეგროვილმა ინფორმაციამ, ჩანს გააქარწყლა ყოველგვარი ეჭვი იმის თაობაზე, რომ რუსეთს არ გამოყენებია კასეტური ბომბები დასახლებულ ადგილებში.¹¹¹⁵ ეს დადასტურდა Human Rights Watch-ის ბოლო ანგარიშში, რომელიც

¹¹¹² რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 10. აგრეთვე, იხ.: გვ. 9.

¹¹¹³ Human Rights Watch, „ცეცხლში ამდგარი – ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 105 - 113.

¹¹¹⁴ Human Rights Watch-მა აღნიშნა: „29 აგვისტოს ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრომ გორში მიმართა საგამოძიებო კომისია, რომელიც შედგებოდა სამხედრო და დიპლომატიური საქმის ექსპერტებისაგან, რათა გამოეძიათ სტორიმანის გარდაცვალება (...) ვიზუალურ მახასიათებლებზე დაყრდნობით, რაკეტის ნაწილებზე აღმოჩენილი სერიული ნომრებით, და დარტყმის ხასიათის მიხედვით, კომისიამ დაასკვნა, რომ რუსეთის სამხედრო ძალებმა დარტყმა განახორციელა ისკანდერის SS-26 რაკეტით, რომელზეც იყო კასეტური ბომბები. ჰიუმან რაიტს ვოჩის მიერ ადგილზე შეგროვილმა ინფორმაციამ დაადასტურა ჰოლანდიური გამოძიების დასკვნები. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ უარყო სამხრეთ ოსეთში მის მიერ ისკანდერის სარაკეტო სისტემების გამოყენება, თუმცა ესარგამორიცხავს, რომ ის გამოყენებულ იქნა რაიმე სამიზნის დასარტყმელად საქართველოს სხვა ნაწილებში, მაგალითად, გორში. ჰოლანდიური საგამოძიებო კომისიის მიერ მოპოვებული მასალის გაცნობის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ არ იყოს საკმარისი მტკიცებულებები იმისათვის, რომ დაასკვნან, რომ სტორიმანი მოკლული იქნა რუსული მხარის მიერ გამოყენებული იარაღით.“ იხ.: Human Rights Watch ცეცხლში ამდგარი – ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 112 - 113. აგრეთვე, იხ.: გორში. ჰოლანდიური საგამოძიებო კომისიის დასკვნა: „სტორიმანის საგამოძიებო მისიის ანგარიში,“ 20 ოქტომბერი, 2008, <http://www.minbuza.nl/binaries/enpdf/scannen0001.pdf>.

¹¹¹⁵ „მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი განაგრძობს მის მიერ კასეტური ბომბების გამოყენების უარყოფას, Amnesty International-ის დელეგატებმა მოისმინეს მრავალი დამოუკიდებელი თვითმხილველის ჩვენება, რომლებიც გვეუბნება, რომ ისინი გამოყენებულ იქნა სოფლებში ქვემო ქვითი, ტირმისი, ტყვიავი, ფხვენისი, კეხვი, რუისი და ახალდაბა, ძირითადად 8 აგვისტოს, მაგრამ ასევე მომდევნო დღეების განმავლობაშიც. გორიდან ჩრდილოეთით მდებარე სოფლების ირგვლივ ნაპოვნი იქნა როგორც AO 2.5 RTM კასეტური ბომბების (თვითფრინავებიდან RBK 500 ბომბებით ჩამოყრილი), ასევე „ურაგანი“ გასროლილი M210 ბომბები. ეს ადგილები კვლავ დასახლებული იყო დიდ რაოდენობით მშვიდობიანი მოსახლით, და მრავალი მათგანი გზებზე იმყოფებოდა, ვინაიდან კონფლიქტის ადგილებიდან გაქცევას

2008 წლის კონფლიქტის მსვლელობის დროს საქართველოსა და რუსეთის მიერ კასეტური ბომბების გამოყენების საკითხს იკვლევდა.¹¹¹⁶

საქართველოს მიერ ცხინვალისა და სამხრეთ ოსეთის სოფლების წინააღმდეგ გარკვეული იარაღის გამოყენება, გრადის ტიპის მრავალჯერადი გამოყენების სარაკეტო სისტემების ჩათვლით, არ არის შესაბამისობაში განურჩეველი თავდასხმების აკრძალვასთან და ვალდებულებასთან საომარი მოქმედებების საშუალებებისა და მეთოდების შერჩევის დროს სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულებასთან.

რუსული ძალების მიერ არტილერიისა და კასეტური ბომბების გამოყენებას აგრეთვე, მივყავართ განურჩეველ თავდასხმამდე და სიფრთხილის წესების დარღვევამდე.

(ii) რუსეთისა და საქართველოს მიერ განხორციელებული განურჩეველი თავდასხმები

მიუხედავად იმისა, რომ Amnesty International-მა განაცხადა, რომ რუსული საჰაერო დაბომბვები საკმაოდ ლოკალიზებული იყო, მათი უმრავლესობა მიმართული იყო ქართული სამხედრო პოზიციებისაკენ, განაშენიანებული ზონების გარეთ. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად ამისა, სოფლები და ქალაქები მაინც დაიბომბა, თუმცა, ზარალი თითქოსდა, მხოლოდ სოფლებში გარკვეული ქუჩებითა და აქა-იქ დაზიანებული სახლებით შემოიფარგლა.¹¹¹⁷ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელმა საერთაშორისო საგამომიებო მისიამ იხილა ამ დაზიანებების ხასიათი სოფელ ტყვიავში, 2009 წლის ივნისში. Amnesty International-მა აგრეთვე გამოთქვა ვარაუდი, რომ ამ მხრივ რუსული დაბომბვა განსხვავდებოდა ცხინვალზე საქართველოს თავდასხმისაგან.¹¹¹⁸ მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მისმა „დელეგატებმა მოისმინეს რამდენიმე ჩვენება, რომელთა მიხედვით, მშვიდობიანი მოსახლეობა და სამოქალაქო ობიექტები დაიბომბა საჰაერო და სარაკეტო შეტევების დროს მაშინ, როდესაც მათ ახლოს სამხედრო სამიზნეები არ

ცდილობდა. გაცხადებული იყო აგრეთვე, რომ ქალაქ გორის ცენტრალურ მოედანზე დაბომბვითი თავდასხმა 12 აგვისტოს ასევე, კასეტური ბომბებით განხორციელდა,“ ამნესტი ინტერნეშნლ, სამოქალაქო პირები ცეხლის ხაზზე - საქართველო - რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 33 - 34.

¹¹¹⁶ Human Rights Watch, მომაკვდინებელი პრაქტიკა: საქართველოსა და რუსეთის მიერ კასეტური ბომბების გამოყენება 2008 წლის აგვისტოში (A Dying Practice: Use of Cluster Munitions by Russia and Georgia in August 2008), 2009 წლის აპრილი. ობ .: <http://www.hrw.org/en/reports/2009/04/14/dying-practice-0>.

¹¹¹⁷ Amnesty International, სამოქალაქო პირები ცეხლის ხაზზე – საქართველო-რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 29.

¹¹¹⁸ იგივე.

არსებობდა.“ მან გამოხატა შეშფოთება, „რომ შესაძლებელია განხორციელდა პირდაპირი თავდასხმა მშვიდობიან მოსახლეობასა და სამოქალაქო ობიექტებზე ჟენევის კონვენციის I ოქმის, მუხლი 51(3) დარღვევით, ან რომ მათ დარტყმა მიიღეს, მუხლის 51(4) დარღვევით, განურჩეველი თავდასხმის მსვლელობის დროს.“¹¹¹⁹

Human Rights Watch, რომელმაც ადგილების დაბომბვისა და სხვა ინციდენტების უფრო ღრმა ანალიზი ჩაატარა, უფრო მკაცრ დასკვნამდე მივიდა და თქვა, რომ:

„რუსულმა ძალებმა თავდასხმა მიიტანა იმ ადგილებზე, რომლებიც უდავოდ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს და სამხრეთ ოსეთზე საჰაერო, საარტილერიო და სატანკო ცეცხლის დაშენით, რომელთაგან ზოგიერთი განურჩეველი იყო – მოკლა და დააზიანა მშვიდობიანი მოსახლეობა. კასეტური ბომბების გამოყენებით განხორციელებული ყველა რუსული დარტყმა განურჩეველი იყო.“¹¹²⁰

Human Rights Watch-ის მიერ გამოძიებული მრავალი შემთხვევა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით. თავდასხმების გარემოებებისა და მეთოდების შესახებ მსჯელობის შედეგად, ამ ორგანიზაციამ შემდეგი შეფასება გააკეთა:

„რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა თავდასხმა განხორციელა სამხედრო სამიზნეებზე ქალაქ გორში და ეთნიკურად ქართულ სოფლებში როგორც სამხრეთ ოსეთის, ასევე უდავოდ ქართულ ტერიტორიებზეც, ხშირად მსხვერპლით მშვიდობიან მოსახლეობაში და ისეთი სამოქალაქო ობიექტების დანგრევით, როგორებიცაა, სახლები და საცხოვრებელი შენობები. ეს სამიზნეები სამოქალაქო ობიექტებთან სხვადასხვა სიახლოვეზე იყო განლაგებული. ზოგ შემთხვევაში, სამხედრო სამიზნეები მშვიდობიანი მოსახლეობისაგან და მათი სახლებიდან რამდენიმე მეტრით იყო დაშორებული და მათ წინააღმდეგ განხორციელებულ შეტევებს მნიშვნელოვანი მსხვერპლი მოჰყვა მშვიდობიან მოსახლეობაში. სხვა შემთხვევებში, აშკარად სამხედრო ობიექტები სამოქალაქო ობიექტებიდან მთელი კილომეტრით იყო დაშორებული და მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში მაინც იყო. ამ სამიზნეებიდან ნებისმიერზე თავდასხმის განხორციელების დროს, რუსულ შეიარაღებულ ძალებს აქვთ ვალდებულება მკაცრად დაიცვან პროპორციულობის პრინციპი და მიიღონ ყველა შესაძლო ზომა. შეაფასონ, იქნება თუ არა თავდასხმის შედეგად მოსალოდნელი სამოქალაქო ზარალი გადამეტებული მისაღებ პირდაპირ და კონკრეტულ სამხედრო უპირატესობასთან შედარებით. ბევრ შემთხვევაში, ჩანს, რომ თავდასხმა არღვევდა პროპორციულობის პრინციპს.“

¹¹¹⁹ იგივე.

¹¹²⁰ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 87.

Human Rights Watch-მა აგრეთვე, აღწერა შემთხვევები, როდესაც სოფელ თამარაშენის მკვიდრნი ჰყვებოდნენ, თუ როგორ უშენდნენ ცეცხლს რუსული ტანკები მათი თანასოფლელების სახლებს. თვითმხილველმა უთხრა Human Rights Watch-ს, რომ იმ დროს, როდესაც ტანკებმა მათ სახლებს ცეცხლი გაუხსნა, მათში ქართული სამხედრო პერსონალი არ იმყოფებოდა. Human Rights Watch აგრეთვე, ახსენებს „ერთ თვითმხილველს, [რომელმაც] აღწერა ინციდენტი, როდესაც ტანკები მეთოდურად გადაადგილდებოდნენ ქუჩებში და ჯერით ესროდნენ სახლებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ცეცხლი არ იყო მიმართული სპეციფიკური სამხედრო სამიზნეებისაკენ და რომ ეს თავდასხმები იყო განურჩეველი.“¹¹²¹

სერიოზულ შემფოთებას იწვევს საქართველოს მიერ განხორციელებული თავდასხმები, როგორც საარტილერიო შეტევა ცხინვალზე, ასევე სახმელეთო შეტევები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, Human Rights Watch-ის მიხედვით, „ქართველი სამხედროები ძალიან იშვიათად ახერხებდნენ ეფექტურად დაემუშავებინათ რიგი მკაფიოდ ცალკეული და მკაფიო სამხედრო მიზნებისა, ცალკეული სამხედრო სამიზნეების სახით, იმ ადგილებში, სადაც იყო მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების კონცენტრაცია,“¹¹²² რაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, განურჩეველ თავდასხმას წარმოადგენს. ზოგ შემთხვევაში, ქართული შეიარაღებული ძალები ნამდვილად უმიზნებდნენ სამხედრო ობიექტებს, მაგრამ, როგორც Human Rights Watch აღნიშნავს, „მტკიცებულებები მიუთითებს, რომ (...) თავდასხმები შეიძლება იყო არაპროპორციული, ვინაიდან მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ისინი ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ან მშვიდობიანი მოსახლეობის საკუთრების განადგურებას გამოიწვევდა ისე, რომ ეს გადააჭარბებდა მოსალოდნელ სამხედრო უპირატესობას.“¹¹²³

რაც შეეხება სახმელეთო შეტევებს, Human Rights Watch-ის მიხედვით, ძალიან ძნელია გარკვეულ დასკვნამდე მისვლა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით სამართლიანობის მხრივ, ცხინვალსა და ზოგიერთ სოფელში ოსი მებრძოლების ყოფნის გამო. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ „Human Rights Watch-ს მრავალმა თვითმხილველმა დაუმოწმა, რომ პრაქტიკულად, ყველა შრომისუნარიანი მამაკაცი შეუერთდა მილიციას მოხალისეებად მას შემდეგ, რაც თავისი ოჯახები სამშვიდობოს გაიყვანეს ჩრდილო ოსეთში.“¹¹²⁴ თუმცა, „Human Rights Watch-ს სჯერა, რომ ცხინვალის ალების მცდელობის დროს მაინც, ბევრ შემთხვევაში ქართული არმია მოქმედებდა ისე, რომ არ ზრუნავდა მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვაზე, როდესაც თავდასხმას ახორციელებდა იმ ადგილებზე, სადაც მილიცია იყო გამაგრებული და სადაც მოსალოდნელი იყო გადამეტებული სამოქალაქო დანაკარგები, მოსალოდნელ სამხედრო უპირატესობასთან შედარებით.“¹¹²⁵

¹¹²¹ იქვე, გვ. 114.

¹¹²² იქვე, გვ. 89.

¹¹²³ იგივე.

¹¹²⁴ იქვე, გვ. 57.

¹¹²⁵ იგივე.

რამდენიმე შემთხვევაში საქართველო და რუსეთი ახორციელებდნენ განურჩეველ თავდასხმებს და შესაბამისად, არღვევდნენ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს.

ე) სიფრთხილის ზომები თავდასხმების დროს

თავდასხმების დროს სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულება თავდამსხმელის მხრიდან არის უმთავრესი იმის განსასაზღვრად, რომ საომარი მოქმედებების დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის სხვა წესები იქნება დაცული. დამატებითი ოქმის I მუხლში 57 მოცემულია ზოგადი ვალდებულება: „სამხედრო ოპერაციების წარმოების დროს გამუდმებული ზრუნვაა საჭირო, რათა დაზინდოთ მშვიდობიანი მოსახლეობა, სამოქალაქო პირები და სამოქალაქო ობიექტები.“ ამ მხრივ, უფრო სპეციფიკური სიფრთხილის ზომები უნდა იქნას მიღებული, როგორებიცაა, მაგალითად:

„(i) გააკეთოს ყველაფერი, რაც შესაძლებელია, რათა დარწმუნდეს, რომ მიზანში ამოღებული ობიექტები არ არის სამოქალაქო ან სამოქალაქო ობიექტები და არ ექვემდებარება სპეციალურ დაცვას და არის სამხედრო ობიექტები;

(ii) მიიღოს სიფრთხილის ყველა შესაძლო ზომა თავდასხმის საშუალებებისა და მეთოდების შერჩევის დროს, რათა თავიდან იქნას აცილებული და ნებისმიერ შემთხვევაში შემცირებული, მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლის მოსპობა, სამოქალაქო პირების დაშავება და სამოქალაქო ობიექტებისათვის ზიანის მიყენება;

(iii) თავი შეიკავოს გადაწყვეტილების მიღებისაგან ან დაიწყოს რაიმე სახის თავდასხმა, რომელსაც მოსალოდნელია, რომ მოჰყვება მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლის მოსპობა, სამოქალაქო პირების დაშავება და სამოქალაქო ობიექტებისათვის ზიანის მიყენება, ან ზემოთ ჩამოთვლილების კომბინაცია, რაც შეიძლება იყოს გადაჭარბებული მოსალოდნელ სამხედრო უპირატესობასთან შედარებით; და აგრეთვე:

„(c) ისეთი თავდასხმის დაწყებამდე, რომელმაც შეიძლება ზემოქმედება იქონიოს მშვიდობიან მოსახლეობაზე, უნდა გაკეთდეს ეფექტური წინასწარი გაფრთხილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარემოებები ამის საშუალებას არ იძლევა.“¹¹²⁶

ამ ვალდებულებებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც საომარი მოქმედებები დასახლებულ ადგილებში მიმდინარეობს და ოსური მილიციის იმ

¹¹²⁶ ეს ვალდებულებები ჩვეულებით ხასიათს ატარებს, და გამოიყენება როგორც საერთაშორისო, ასევე არა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს. იხ.: წესები 15 - 21, იხ.: ჯ-მ. ჰენკაერტსი, ლ. დოსუალდ-ბეკი (გამომცემლები). ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (J-M. HENCKAERTS, L. DOSWALD-BECK (eds), Customary International Humanitarian Law), ტ. I, ციტირებული დოკუმენტი, გვ. 51 - 67.

მებრძოლების შემთხვევაში მაინც, რომლებიც ძალიან მობილურ ძალებში იყვნენ ჩართულნი. სამოქალაქო პირების დაზიანების შემცირებისა და სამოქალაქო ობიექტებისათვის ზარალის არმიყენების შესახებ მხარეების გაფრთხილების მხრივ, ამ ვალდებულებების კუთხით, სერიოზულ შემფოთებას იწვევს ქართული შეიარაღებული ძალების თავდასხმა ცხინვალზე.¹¹²⁷

მართალია, კანონიერი სამხედრო სამიზნეების განსაზღვრა და ქართული შეიარაღებული ძალების მცდელობა ქალაქის ფარგლებში და მის მახლობლად მდებარე დასახლებულ ადგილებში შეემცირებინათ მათი რაოდენობა, როგორც ჩანს, აკმაყოფილებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნებს, მაინც რჩება რამდენიმე საკითხი: ერთი შეეხება თავდასხმის განსახორციელებლად არტილერიის შერჩევას; გარდა ამისა, შემფოთებას იწვევს სამიზნეების სია, „რომელიც საომარი მოქმედებების მსვლელობის დროს იქნა განსაზღვრული,“ მაგალითად, სახმელეთო ჯარების შეტევის დროს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზვერვის საკითხი, რომელიც გამოყენებული იყო სამიზნეების შერჩევის და თავდასხმის დროს, ცხინვალში მშვიდობიანი მოსახლეობის ყოფნის საკითხი. Amnesty International-მა გამოთქვა შემფოთება, რომ „შესაძლებელია, რომ ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა შეიძლება სამიზნედ ისეთი ადგილები შეარჩიეს, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა დიდი რაოდენობით იმყოფებოდა, მოძველებული და არაზუსტი სადაზვერვო მონაცემების გამო და თავდასხმის დაწყებამდე, ვერ მიიღეს სათანადო ზომები, რათა გადაემოწმებინათ მათგან მიღებული ინფორმაციის სისწორე.“¹¹²⁸ შემდგომში მან შენიშნა, რომ „ცხინვალის საარტილერიო დაბომბვის დაწყების დროისათვის, ქართული შეიარაღებული ძალები განლაგებული იყო ცხინვალიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ისეთ მანძილზე, საიდანაც ძნელი იქნებოდა იმ ოსური ძალების

¹¹²⁷ თავის პასუხებში კითხვებზე, რომლებიც დასმული იყო საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის კითხვარში, საქართველომ აღნიშნა, რომ: „საქართველოს სამხედრო მეთაურობამ მინიმუმამდე დაიყვანა ცხინვალსა და მის მიმდებარე დასახლებულ სოფლებში არტილერიისა და სახმელეთო ჯარებისათვის სამიზნეების სია. წინასწარ განსაზღვრული სამიზნეები მოიცავდა მხოლოდ მტრის ცოცხალი ძალისა და აქტივების დიდი კონცენტრაციის ადგილებს. საქართველოს სამხედრო მეთაურობას დასახლებულ არეებში არ გამოუყენებია გრადის ტიპის მრავალჯერადი გამოყენების სარაკეტო სისტემი. დაბოლოს, მეთაურობა ცნობილი წყაროსა და დაზვერვის მიერ ინფორმირებული იყო მშვიდობიანი მოსახლეობის მასიური ევაკუაციის შესახებ მარიონეტული რეჟიმის მიერ კონტროლირებული ტერიტორიებიდან, ცხინვალის ჩათვლით.

საქართველო, პასუხი კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები), კითხვა 3, მიწოდებული მისიისათვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 1.

¹¹²⁸ Amnesty International სამოქალაქო პირები ცეხლის ხაზზე – საქართველო-რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 27. იგივე მიმართულებით, Human Rights Watch-მა აღნიშნა, რომ „Human Rights Watch-თვის აგრეთვე უცნობია, რამდენად ჰყავდა ქართულ მეთაურობას სათანადო დაზვერვა იმისათვის, რომ დაედგინათ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები მოცემულ მომენტში, ნაწილობრივ იმის გამო, ეს ძალები საკმაოდ მობილურები იყო. Human Rights Watch „ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში“ (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 51.

პოზიციების ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა, საიდანაც მათ ცეცხლს უშენდნენ. გარდა ამისა, ვინაიდან ოსური ძალები მსუბუქად იყო შეიარაღებული და ძალიან მობილურები იყვნენ, ვერ იქნებოდა ვერანაირი გარანტია, რომ ის პოზიციები, საიდანაც ბომბებს ისროდნენ წინა დღეების განმავლობაში, კვლავ დაკავებული იქნებოდა 7 აგვისტოს ღამით.¹¹²⁹ ის აგრეთვე, გამოთქვამს შემფოთებას, იყო თუ არა სიფრთხილის ზომები მიღებული ბრძოლის საშუალებებისა და მეთოდების შერჩევის დროს და მშვიდობიანი მოსახლეობისათვის გაფრთხილების გამოცხადების საკითხში.¹¹³⁰

ეს უკანასკნელი საკითხი, მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ეფექტური გაფრთხილების გამოცხადების შესახებ, მჭიდროდ არის დაკავშირებული თავდასხმის დროს დარჩენილი მოსახლეობის რაოდენობის მეტად წინააღმდეგობრივ საკითხთან. დასახელდა სრულიად განსხვავებული რიცხვები, თვით სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან.¹¹³¹ 2009 წლის 4 ივნისს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შეხვედრის დროს, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელ საერთაშორისო საგამოძიებო მისიას უთხრეს, რომ სამხედრო მეთაურობისათვის ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, „მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ევაკუაცია განხორციელდა 5 აგვისტოს.“ სამხრეთ ოსეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა, ანატოლი ბარანკევიჩმა, მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის გეგმაზე საუბრისას აღნიშნა „8 აგვისტოს ქალაქი მთლიანად დაცარიელებული იყო.“¹¹³²

ეს განცხადებები ეწინააღმდეგება ქართული არმიის შტაბის უფროსის, ზაზა გოგავას ჩვენებას, რომელიც მან მისცა საომარი მოქმედებების წარმოების შემსწავლელ საპარლამენტო კომისიას, კერძოდ, საქართველოს სამხედრო მთავრობამ კარგად იცოდა ცხინვალსა და საარტილერიო შეტევების სხვა ადგილებში მშვიდობიანი მოსახლეობის ყოფნის შესახებ.¹¹³³ ქართველმა ჯარისკაცმა, რომელიც გამოკითხა Human Rights Watch-მა და რომელიც 8 აგვისტოს, დილით, ცხინვალში შევიდა, თქვა, რომ ისინი ხედავდნენ სარდაფებში დამალულ მშვიდობიან მოქალაქეებს. უეჭველია, რომ 7 აგვისტოს ღამით ცხინვალში კვლავ ბევრი ადამიანი იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, თუ რა ტიპის სიფრთხილის ზომები მიიღო ქართულმა სამხედრო მეთაურობამ, რათა შეემცირებინა მშვიდობიანი მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალი, როგორც საარტილერიო თავდასხმის განხორციელების დროს და მის შემდეგ, ასევე სახმელეთო ოპერაციების მსვლელობის დროს.

¹¹²⁹ იგივე.

¹¹³⁰ იგივე.

¹¹³¹ Amnesty International, სამოქალაქო პირები ცეხლის ხაზზე - საქართველო - რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 27.

¹¹³² საქართველოს პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები), შეკითხვა 3, მიწოდებული მისიისათვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 2.

¹¹³³ იხ.: გაერთიანებული შტაბისუფროსის მოსმენა, სვილ ჯორჯია (“Chief of Staff Testifies before War Commission,” Civil Georgia), <http://www.civil.ge/eng/article.php?id=19851>.

2009 წლის ივნისში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის წარმომადგენლების შეხვედრის დროს, მისიის ექსპერტებს უთხრეს, რომ ქართული შეიარაღებული ძალები საარტილერიო დაბომბვის წინ, მოსახლეობის გასაფრთხილებლად ე.წ. ბოლიან ყუმბარებს იყენებდა. ეს, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, წინასწარი ეფექტური გაფრთხილების მიცემას მაინცდამაინც არ შეესაბამება. კითხვარებზე პასუხების გაცემის დროს, საქართველომ აღნიშნა, რომ „უფრო მეტიც, 8 აგვისტოს, 15:00-ზე, საქართველოს ხელისუფლებამ გამოაცხადა ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტა სამი საათის განმავლობაში, რათა დარჩენილ მშვიდობიან მოსახლეობას საშუალება მისცემოდა დაეტოვებინათ კონფლიქტის ადგილი ცხინვალიდან სამხრეთის, ერგნეთის მიმართულებით.“¹¹³⁴ ჩანს, რომ ეს არასაკმარისია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს ყველა შესაძლო ზომის მიღებას. მაშინ, როდესაც ცხინვალზე თავდასხმა განხორციელდა, ღამით, დარჩენილი მოსახლეობისათვის არანაირი საერთო წინასწარი გაფრთხილება არ გაკეთებულა.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ოსეთის მებრძოლების ყოფნა, ძირითადად, იმ შენობებში, რომელთა სარდაფებში მშვიდობიანი მოსახლეობა იმალებოდა და ის ფაქტი, რომ ისინი ესროდნენ ქართველ ჯარისკაცებს სწორედ ამ სარდაფებიდან, ართულებს საომარი მოქმედებების წარმოებას თავდამსხმელისათვის. ეს რა თქმა უნდა, არ ათავისუფლებს ქართულ შეიარაღებულ ძალებს მათი ვალდებულებისაგან. ამ მიმართულებით, სიფრთხილის ზომების არმიღების ერთ-ერთი ყველაზე შემაშფოთებელი მაგალითი არის ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ტანკებისა და მცირე ზომის საბრძოლო მანქანების გამოყენება იმ შენობების დასაცხრილად, სადაც, როგორც ცნობილი იყო, მშვიდობიანი მოსახლეობა იმყოფებოდა. Human Rights Watch-მა ჩაიწერა შემთხვევები, როდესაც სახლის სარდაფებს ტანკები ცეცხლს მოკვლე მანძილიდან უშენდა.¹¹³⁵

კონფლიქტის მსვლელობის დროს, მისი შეიარაღებული ძალების მიერ მიღებული სიფრთხილის ზომები შემდეგნაირად აღწერა:

„მთელი სამხედრო ოპერაციის მსვლელობისას, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შენაერთებმა, მოქმედებდა რა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ წინ აღდგომოდა შეიარაღებულ თავდასხმას, გამოიყენა ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები და მცირე ზომის შეიარაღება, რათა ცეცხლი გაეხსნა მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული სამიზნეებისათვის, რამაც მათ საშუალება მისცა შეემცირებინა დანაკარგები მშვიდობიან მოსახლეობაში. ეს შენაერთები მიზანში იღებდა მოწინააღმდეგე ძალის მრავალჯერადი გამოყენების სარაკეტო სისტემებს, აგრეთვე, საარტილერიო და ნაღმტყორცნების

¹¹³⁴ საქართველოს პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები), შეკითხვა 3, მიწოდებული მისიისათვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 2.

¹¹³⁵ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 58.

ბატერეებს, პერსონალსა და საცეცხლე საშუალებებს ჯარის თავმოყრის ადგილებში. ფაქტობრივი საერთო ეფექტი იყო ისეთი, როგორც მოსალოდნელი იყო. საარტილერიო ცეცხლმა და საჰაერო დარტყმებმა მოწინააღმდეგე ძალას სერიოზული დანაკარგი მიაყენა, მორალურად გატეხა და მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინა. ოპერაციის აქტიურ ფაზაში რუსულმა მეთაურობამ მიიღო რიგი ეფექტური ზომები, რომლებიც მიზანად ისახავდა შეემცირებინა მშვიდობიანი მოსახლეობისა და ადგილობრივი მოქალაქეებისათვის მიყენებული ზარალი. საარტილერიო ცეცხლი და საჰაერო დარტყმები დაიგეგმა და განხორციელდა იმ ადგილებში, რომლებიც საკმაოდ მანძილით იყო დაშორებული ადგილობრივი მოსახლეობისაგან, და მხოლოდ გარკვეულ, მკაცრად განსაზღვრულ სამიზნეებზე. ძირითადი საარტილერიო ცეცხლის დარტყმები განხორციელდა კარგად ხილულ სამიზნეებზე – პროცესის მსვლელობის დროს შერეული ჯარების შენაერთების მეთაურები აზუსტებდნენ საარტილერიო ცეცხლს მაკორექტირებლებისა და საარტილერიო-სადაზვერვო ერთეულების მეშვეობით. ადგილობრივ მოსახლეობას და სამოქალაქო დაწესებულებებს ცეცხლი არ შეხებია. ცეცხლი მაშინვე წყდებოდა, როგორც კი, ქართული შენაერთები გამოიძვენებოდა მათ მიერ დაკავებული პოზიციებიდან. რუსეთის ჯარის საჰაერო კომპონენტი მოქმედებდა ხმელეთზე საჯარისო შენაერთების დასახმარებლად, როდესაც რიგი დარტყმები მიაყენა ქართული შეიარაღებული ძალების ნაწილებს, დაცხრილა საცეცხლე პოზიციები და გზაზე მდგარი სამხედრო ტექნიკის კოლონები. რუსეთის ჯარის საჰაერო კომპონენტი არ ასრულებდა გაფრენებს დასახლებული ადგილების მიმდებარე ან მოსაზღვრე ტერიტორიებზე. ამ ზომების შედეგად სამოქალაქო მსხვერპლი შემცირებულ იქნა.“¹¹³⁶

მართალია, ზემოთ მოცემული აღწერა მიუთითებს რუსეთის მცდელობაზე შემცირებულიყო ადამიანური მსხვერპლი და სამოქალაქო ობიექტების დაზიანებები, ის აგრეთვე, რუსეთს წარმოაჩენს, რომ იგი სისტემატურად იღებდა სიფრთხილის სათანადო ზომებს. რუსეთის მიერ დასახლებულ ადგილებში კასეტური ბომბების გამოყენება, იარაღის, რომელსაც გააჩნია მოიცვას ფართო არეალი და აუფეთქებელი ჭურვების წარმოქმნის თვისებები გააჩნია, აჩვენებს, რომ საომარი საშუალებების შერჩევის დროს, სიფრთხილის ყველა შესაძლო ზომის მიღების ვალდებულება სისტემატურად დაცული არ იყო. უფრო მეტიც, როგორც Human Rights Watch-მა აღნიშნა, „მრავალ საჰაერო და საარტილერიო შეტევასთან დაკავშირებით, რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა არ დაიცა მათზე დაკისრებული ვალდებულება – გაეკეთებინათ ყველაფერი, რაც შესაძლებელია, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ თავდასხმის ობიექტები იყო სამხედრო ობიექტები (და არა მშვიდობიანი მოსახლეობა ან

¹¹³⁶ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 8.

სამოქალაქო ობიექტები) და მიეღოთ ყველა შესაძლო ზომა, რათა შეემცირებინათ მშვიდობიანი მოქალაქეებისათვის მიყენებული ზიანი.“¹¹³⁷

იმ ფონზე, როდესაც სამხრეთ ოსეთში და მის ირგვლივ განვითარებულ კონფლიქტს მოჰყვა დიდი ზარალი და ადამიანური მსხვერპლის შედარებით დიდი რაოდენობა, აფხაზური შეიარაღებული ძალების ქმედებები საომარი მოქმედებების მსვლელობისას, ბევრად უკეთ გამოიყურება, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურმა შეიარაღებულმა ძალებმა ერთგვარი ზიანი მიაყენა სამოქალაქო საკუთრებას, როგორც ზემო კოდორის ხეობაში, აგრეთვე ზუგდიდის რაიონშიც.

ცხინვალსა და სამხრეთ ოსეთის სოფლებზე განხორციელებული თავდასხმის დროს, ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა არ მიიღო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალით გათვალისწინებული სიფრთხილის ზომები.

რამდენიმე შემთხვევაში რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა აგრეთვე, არ შეასრულა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალით გათვალისწინებული ვალდებულებები შეტევის განხორციელებამდე სიფრთხილის ზომების მიღების თვალსაზრისით.

d) პასიური გამაფრთხილებელი ზომები და ადამიანური ფარები

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის მიხედვით, დამცველს, ასევე ადევს ვალდებულება შეამციროს ადამიანური დანაკარგები და ისეთი სამოქალაქო ობიექტების ზიანი, როგორებიცაა, მაგალითად, საცხოვრებელი სახლები. 1977 წლის დამატებითი I ოქმის მუხლი 58 აწესებს ვალდებულებებს შეტევების ზემოქმედების საწინააღმდეგო სიფრთხილის ზომების შესახებ: „კონფლიქტის მონაწილე მხარეები, მაქსიმალურად შესაძლო ფარგლებში, უნდა: (ა) შეეცადონ გამოიყვანონ მშვიდობიანი მოსახლეობა, ცალკეული მოქალაქეები და მათ კონტროლქვეშ მყოფი სამოქალაქო ობიექტები სამხედრო ობიექტების სიახლოვიდან; (ბ) თავი აარიდონ სამხედრო ობიექტების მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ან მათ მახლობლად განლაგებას; (გ) მიიღონ სიფრთხილის სხვა აუცილებელი ზომები მშვიდობიანი მოსახლეობის, ცალკეული მოქალაქეებისა და მათ კონტროლქვეშ მყოფი სამოქალაქო ობიექტების დასაცავად სამხედრო ოპერაციების შედეგად გამოწვეული საფრთხეებისაგან.“ ეს არის ჩვეულებითი სამართლის წესი, რომელიც ორივე ტიპის კონფლიქტების დროს გამოყენებადი.¹¹³⁸ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი აგრეთვე, კრძალავს ადამიანური ფარების გამოყენებას.¹¹³⁹

¹¹³⁷ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი – ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 87.

¹¹³⁸ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის კვლევა, წესები 22-24, გვ. 68.

¹¹³⁹ იქვე, წესი 97, გვ. 337, და ოქმის I მუხლი 51(7).

საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის სერიოზული შეშფოთების საგანს წარმოადგენს მრავალრიცხოვანი ჩვენებები. ზოგიერთი მათგანი თვით ოსი მეზობლებისაგან არის აღებული, რომელთა მიხედვითაც, ცხინვალში ისინი იყენებდნენ სახლებს, მრავალბინიან შენობებს და იქიდან ესროდნენ ქართულ სახმელეთო ჯარს, რითიც რისკის ქვეშ აყენებდნენ იმ მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლეს, რომლებიც თავს აფარებდნენ იმავე შენობების სარდაფებს. ეს საკითხი Human Rights Watch-მაც წამოსწია.¹¹⁴⁰

ეს არის ვალდებულების – თავი აარიდონ სამხედრო ობიექტების მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ან მათ მახლობლად განლაგებას – ნამდვილი დარღვევა. სავარაუდოდ, ეს არ შეადგენს ადამიანური ფარების გამოყენების აკრძალვის დარღვევას, თუმცა, როგორც ეს წესი, მოითხოვს კონკრეტულ ქმედებებს, რათა არ დაუშვას თავდასხმები სამხედრო ობიექტებისა და სამოქალაქო პირების ერთად განზრახ მოთავსებით.¹¹⁴¹

სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, როდესაც ცეცხლი გახსნა სახლებიდან და მრავალბინიანი შენობებიდან და გამოიყენა ისინი თავდაცვითი პოზიციების სახით. ამით მშვიდობიანი მოსახლეობა რისკის ქვეშ დააყენა.

B. ადამიანებისა და საკუთრების მიმართ მოპყრობა ცვლადი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე

იმის გათვალისწინებით, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი მხოლოდ ხუთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, დაუცველობა გაგრძელდა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებს ადგილი ჰქონდა ცეცხლის შეწყვეტიდან რამდენიმე კვირის შემდეგაც კი. როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ასევე ადამიანის უფლებების სამართალი რელევანტურია და იძლევა ადამიანებისა და ქონების დამატებით დაცვას. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით,

¹¹⁴⁰ მაგალითად, თვითმხილველმა უთხრა ჰიუმან რაითს ვოჩს, რომ მილიციამ პოზიცია დაიკავა ცხინვალის სამხრეთ ნაწილში მდებარე მე-12 სკოლაში, რომელიც სერიოზულად დაზიანდა ქართული დარტყმების შედეგად. „მეორე მოწმემ თქვა, რომ ოსი მეზობლები შეერივნენ სამოქალაქო ცხინვალის მე-9 სკოლის სარდაფში, რომელსაც ქართული ტანკები უტევდნენ.

კიდევ ერთი მოწმე, 50 წლის ასაკის საბავშვო ბაღის მასწავლებელი, რომელმაც Human Rights Watch-ს აჩვენა გრადის ტიპის იმ რაკეტის ნაწილები, რომლებიც ისაკ ხარებოვის ქუჩაზე მდებარე მისი საბავშვო ბაღის შენობას მოხვდა, აგრეთვე ირწმუნება, რომ „შენობაში იმალებოდნენ“ მილიციის მოხალისე თანამშრომლები. მილიციის რამოდენიმე თანამშრომელმა, რომელთა ინტერვიუები ჩაიწერა Human Rights Watch-მა, დაადასტურა, რომ მრავალი სკოლისა და საბავშვო ბაღის შენობა იყო გამოყენებული მილიციის მიერ შეგროვების პუნქტებისა და თავდაცვითი პოზიციების სახით. ჰიუმან რაითს ვოჩი, გვ. 50-51.

¹¹⁴¹ იხ.: ჯ-მ. ჰენკაერტსი, ლ. დოსუალდ-ბეკი (გამომცემლები). ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (J-M. HENCKAERTS, L. DOSWALD-BECK (eds), Customary International Humanitarian Law), ტ. I, ციტირებული დოკუმენტი, გვ. 340.

ეს დაცვა ნაწილობრივ ფუნდამენტური გარანტიების აღიარებით არის უზრუნველყოფილი.¹¹⁴²

კონფლიქტის მსვლელობის დროს და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, იყო მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული განზრახ ძალადობის კამპანია: გადაიწვა სახლები, სოფლები გაიდარცვა, იყო მაროდობის ფაქტები. ამ აქტების უმეტესობას ადგილი ჰქონდა სამხრეთ ოსეთში და უდავო საქართველოს ტერიტორიაზე, ძირითადად, სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე.

ეს აქტები ხდებოდა ცეცხლის შეწყვეტიდან და საომარი მოქმედებების დასრულებიდან რამდენიმე კვირის შემდეგაც კი. ამგვარი დარღვევები აღძრავს უმთავრეს კითხვას დაცვის საზოგადოდ ნაკლებობის შესახებ ცვლადი კონტროლის ქვეშ მყოფ ისეთ ტერიტორიებზე, როგორებიცაა ქართული მმართველობის ქვეშ მყოფი სოფლები სამხრეთ ოსეთში ან ე. წ. „ბუფერულ ზონაში.“ როგორც Human Rights Watch-ის მიერ ჩატარებულ ინტერვიუებში გამოიკვეთა, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ძალადობის აქტები სოფლების ძარცვისა და მაროდობის აქტების უმრავლესობა ოსური ძალების მიერ იყო ჩადენილი.¹¹⁴³ თვითმხილველებისაგან შეგროვილი ინფორმაცია აგრეთვე, მიუთითებს რუსული ძალების ყოფნაზე იმ დროს, როდესაც ძალადობას ჰქონდა ადგილი და ზოგჯერ, რუსული ძალების მონაწილეობაზე ამ აქტებში. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობა უმეტესად ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ იყო მიმართული, ძარცვისაგან არც ეთნიკური ოსები იყვნენ დაცულები.¹¹⁴⁴

Human Rights Watch-ის თანახმად:

„სამხრეთ ოსეთის ძალები შედეგობდა სამხრეთ ოსეთის თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების სამინისტროს მოსამსახურეებისაგან, საპატრულო პოლიციისაგან (ცნობილია რუსული აბრევიატურით ომონი), და რამდენიმე პოლიციური კომპანიისაგან, რომლებიც სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფებიან ასევე, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ) მოსამსახურეებისაგან. Human Rights Watch-ს ინტერვიუს მიმცემმა ბევრმა პირმა უთხრა, რომ სამხრეთ ოსეთის ბევრმა ბრძოლისუნარიანმა მამაკაცმა აიღო ხელში იარაღი, რათა თავისი სახლები დაეცვათ. ვინაიდან სამხრეთ ოსეთს არ ჰყავს რეგულარული არმია, მისი მოსახლეობის უმრავლესობა მიმართავს ასეთ ძალებს, როგორიცაა მილიცია (ოპოლჩენცები, მეამბოხეები), თუ ისინი ოფიციალურად არ იდენტიფიცირდებიან როგორც პოლიციელები ან თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების სამინისტროს მოსამსახურეები. სანდო წყარომ ასევე თქვა, მრავალი მამაკაცი ჩრდილოეთ ოსეთიდან და რუსეთის ფედერაციის სხვა ნაწილებიდან იბრძოდა

¹¹⁴² იხ.: 1977 წლის დამატებითი ოქმის I, მუხლი 75.

¹¹⁴³ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 61.

¹¹⁴⁴ იქვე, გვ. 143.

კონფლიქტში, სამხრეთ ოსეთის მხარდამჭერად და შემდგომში მონაწილეობას იღებდა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებში.“

„ზოგ შემთხვევაში, ძნელი დასადგენია ოსი დამნაშავეების ნამდვილი ვინაობა და სტატუსი, რადგან, თვითმხილველების მიერ აღწერილი მათი ტანისამოსის მიხედვით (კამუფლიაჟიანი უნიფორმა, ხშირად მკლავზე თეთრი სახვევით), შეიძლება მიეკუთვნოს სამხრეთ ოსეთის თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხალისე მებრძოლებს ან ჩვეულებრივ სისხლის სამართლის დამნაშავე მძარცველებს. არის რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც მიუთითებს, რომ ბევრ შემთხვევაში, დამნაშავეები სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს მიეკუთვნებოდნენ და რუსულ ძალებთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ. ხშირად, დამნაშავეები სოფლებში ძალიან ძალიან შედიოდნენ მას შემდეგ, რაც იქ რუსული შეიარაღებული ძალები გაივლიდა. ზოგჯერ, დამნაშავეები სამხედრო ავტომობილებით გადაადგილდებოდნენ და ჩანდა, რომ დამნაშავეები ადვილად გადიოდნენ იმ საკონტროლო პუნქტებს, რომლებიც რუსი ან სამხრეთ ოსური ძალების მიერ იყო მოწყობილი.“

„თვითმხილველები ზოგჯერ ამბობდნენ, რომ დამნაშავეები იყვნენ ჩეჩნები ან კაზაკები. იყო თუ არა ზუსტი განსაზღვრება, ძნელი დასადგენია, თუმცა მასმედიაში იყო რეპორტაჟები, სადაც აღწერილი იყო კონფლიქტში ჩეჩნებისა და კაზაკების მონაწილეობა.“¹¹⁴⁵

ამ დროს დაისმის ერთმანეთთან დაკავშირებული ორი კითხვა: ძალადობის ამ ფაქტებში მონაწილე დამნაშავეების ვინაობის შესახებ და ამ ძალადობაში რუსული ძალების მონაწილეობის შესახებ. ამ კითხვებზე პასუხების გაცემას შეიძლება მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგები მოჰყვეს, ვინაიდან ეს ჩვენგან მოითხოვს განვასხვავოთ, ვინ ჩაატარა ეს ძალადობრივი აქტები და ვინ არ შეუშალა ხელი ან არ შეაჩერა ისინი.

მართალია, ჩანს, რომ იმის დადგენა, სისტემატურად იღებდნენ თუ არა რუსული ძალები მონაწილეობას ან ხელს არ უშლიდნენ სამხრეთ ოსეთის ძალებს ქმედებებში, საკმაოდ რთული იქნება. აგრეთვე, ნათელია, რომ არსებობს სანდო და თანხვედრილი შეტყობინებები, რომ ბევრ შემთხვევაში, რუსული ძალები არაფერს აკეთებდნენ, რომ შეეჩერებინათ სამხრეთ ოსეთის ძალები. Human Rights Watch აღწერს სამი ტიპის სიტუაციებს: პასიური განზე დგომა, აქტიური მონაწილეობა და მილიციის ტრანსპორტირება. ზოგი მოწმე აგრეთვე, აღნიშნავს რუსული ძალების პოზიტიურ ჩარევას, როდესაც მათ ხელი შეუშალეს მილიციას სახლების გაძარცვასა და გადაწვაში. Human Rights Watch აგრეთვე, ახსენებს საკონტროლო გამშვებ პუნქტებსა და ბლოკპოსტებს, რომლებმაც ეფექტურად შეაჩერა ძარცვისა და გადაწვის კამპანია და რომლებიც ყოველგვარი ახსნის გარეშე, გააუქმეს დაახლოებით, ერთი კვირის შემდეგ. საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო

¹¹⁴⁵ იქვე, გვ. 128.

მისიის მიერ 2009 წლის მარტში ჩატარებული ინტერვიუების დროს, აგრეთვე იყო აღნიშნული სხვადასხვაგვარი ძალადობის შესაჩერებლად აქტიური ჩარევა, პასიური დაკვირვება და ხანდახან, ჩართვაც კი.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ ძალადობის გამოვლინება იყო სხვადასხვაგვარი იმის მიხედვით, თუ სად ხორციელდებოდა. ყველაზე ფართო განადგურებასა და უხემ ძალადობას ადგილი ჰქონდა სამხრეთ ოსეთში, რომელიც გარკვეული მახასიათებლებით, განსხვავდებოდა ბუფერულ ზონაში მომხდარი შემთხვევებისაგან. ეს განსხვავებული ხასიათი განსაკუთრებით, აღინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ 2009 წლის 4 ივნისს, როდესაც ისინი შეხვდნენ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტებს. ბოლოს, არ შეიძლება ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში მომხდარი სიტუაციების შედარება აფხაზეთში, საომარი მოქმედებების დროს განვითარებულ მოვლენებთან, ვინაიდან აქ ძალადობის შემთხვევები ბევრად ნაკლები რაოდენობით იყო.

a) მცისიერი დასჯა

სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათაგან ყველაზე მთავარ უფლებას წარმოადგენს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალისა ¹¹⁴⁶ და ადამიანის უფლებების სამართალის ¹¹⁴⁷ რამდენიმე წესი კრძალავს მკვლელობას, რომელიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, ომის დანაშაულს წარმოადგენს.

არსებობს რამდენიმე ჩვენება, სადაც იყო მტკიცება იმისა, რომ ადგილი ჰქონდა არასამართლებრივად მოკვლას ან სწრაფ დასჯას, რაც განახორციელა ოსურმა ძალებმა სოფლების დაწიოკების დროს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის პირდაპირი თვითმხილველების სულ რამდენიმე ჩვენება არსებობს. დანარჩენები კი, არაპირდაპირი წყაროებიდან არის მიღებული: ეს არის ან ზემოქმედების ქვეშ მყოფ სოფლებში დარჩენილი მოხუცი მცხოვრებლების მიერ წამოსულთათვის მონაყოლიდან გამომდინარეობს ან არის ის ზოგადი ინფორმაცია, რაც ადამიანებმა ზოგადად, მოისმინეს. მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ეჭვის ქვეშ ვაყენებთ არაპირდაპირი წყაროებიდან მიღებულ ცნობებს მსგავსი აქტების პოტენციური არსებობის შესახებ. საჭიროა ასეთი ინფორმაციის ფრთხილად გადამოწმება. „Human Rights Watch-მა მიიღო გადაუმოწმებელი ცნობები სამხრეთ ოსეთში მარცვის ფონზე ეთნიკური ქართველების არასამართლებრივად მოკვლის სულ ცოტა, ორი შემთხვევის

¹¹⁴⁶ ქენევის კონვენციის ზოგადი მუხლი 3 კრძალავს „ძალადობას ადამიანსა და მის სიცოცხლეზე, კერძოდ, ყოველგვარი სახის მკვლელობას იმ ადამიანებთან მიმართებაში, რომლებიც საომარ მოქმედებებში აქტიურად არ არიან ჩართულები, შეიარაღებული ძალების იმ წევრების ჩათვლით, რომლებსაც ხელები დაწეული აქვთ, და იმათ მიმართ, რომლებიც ‘მწყობრიდან არიან გამოსული’ ჭრილობის, დაპატიმრების, ან რაიმე სხვა მიზეზის გამო.“

¹¹⁴⁷ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICCPR), მუხლი 6, ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია, მუხლი 2.1.

შესახებ.“¹¹⁴⁸ Amnesty International-მა აღწერა „სამხრეთ ოსეთის მხარესთან დაკავშირებული შეიარაღებული ჯგუფების მიერ განხორციელებული უკანონოდ მოკვლის, ცემის, დაშინების, განადგურებისა და ძარცვის შემთხვევები.“¹¹⁴⁹ ეუთოს ადამიანის უფლებების შემფასებელმა მისიამ შენიშნა, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირებთან ჩატარებულ ინტერვიუებში გამოავლინა კონფლიქტთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევები, სამოქალაქო პირების მოკვლის ჩათვლით.“¹¹⁵⁰

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ და საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიისათვის მიწოდებულ ინტერვიუებში, ზოგიერთმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა თქვა, რომ სოფლის ის მცხოვრებლები, რომლებიც სოფლებში დარჩნენ – რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა სოფელ ფხვენისში რამდენიმე ადამიანი მოკლეს, ხოლო ოსურმა მილიციამ ხალხი დახოცა სოფელ დისევში. დისევიდან გამოქცეულმა 56 წლის ასაკის ქალმა იგივე ინფორმაცია მიაწოდა, რაც Human Rights Watch-ის მასალებში იქნა აღნიშნული: მან აღწერა დისევის გადაწვა და თქვა, რომ თავისი თვალთ იხილა, ოსეთის მილიციამ როგორ გადაწვა 70 წლის ელგუჯა ოქროპირიძის სახლი და თვითონ ის დახვრიტა.¹¹⁵¹

არასამთავრობო ორგანიზაციამ ჩაატარა და საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელ საერთაშორისო საგამოძიებო მისიას მიაწოდა სოფელ დვანში ჩაწერილი ინტერვიუ, სადაც აღწერილი იყო, რომ „ჩვენ სოფელში (ოსებმა) მოკლეს ორი ბიჭი, ერვანდი ბეჟანიშვილი და ვასილ მექარიშვილი. ვფიქრობ, რომ ერვანდი მოკლეს (დახვრიტეს), როდესაც ის გაქცევას ცდილობდა, ხოლო ვასილი დახვრიტეს მაშინ, როდესაც მან უარი თქვა ეკოცნა რუსული დროშისათვის. ეს ამბავი სოფლებმა მიაგმეს.“

ეუთოს ადამიანის უფლებების შემფასებელი მისიის მიხედვით, „იძულებით გადაადგილებული პირები შეესწრნენ გორში შემოსული სამხედრო ძალების მიერ შეიარაღებული მშვიდობიანი მოქალაქეების მოკვლას გორში და სოფლებში – მეღვრეკისი, ტირძნისი, ერგნეთი და კარალეთი. ადამიანის უფლებების შემფასებელ მისიას მოჰყავს შემდეგი ფაქტები: მაგალითად, ერგნეთში, სოფლის მცხოვრებმა უამბო ადამიანის უფლებების შემფასებელ მისიას, რომ მან ნახა რუსულ ფორმებში ჩაცმული „ოსების“ ათკაციანი ჯგუფი, რომელთაც 80 წლის კაცს ზურგში ჩაარტყეს და შემდეგ ესროლეს. როგორც მოწმე აცხადებს, მსხვერპლი შებობდა შენობაში და თქვა:

¹¹⁴⁸ იქვე, გვ. 141-143.

¹¹⁴⁹ Amnesty International, სამოქალაქო პირები ცეხლის ხაზზე - საქართველო - რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 39.

¹¹⁵⁰ ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 18.

¹¹⁵¹ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 143.

„მესროლეს,“ რის შემდეგაც დაეცა და მოკვდა. კარალეთში, სოფლის მცხოვრების მიხედვით, სოფელში შევიდა მანქანა, რომელშიც სამხედრო ფორმში ჩაცმული ოთხი „ოსი“ იჯდა და ავტომატური იარაღი ესროლა და მოკლა მისი მეზობელი.“¹¹⁵²

სხვა მოწმის ჩვენების მიხედვით, საერთო დაუცველობა და ზოგჯერ, ერთგვარი შურისმაძიებლური ტიპის თავდასხმები ხორციელდებოდა ოსების მიმართაც. სოფელ დისევის მკვიდრმა, რომელიც თავის სოფელში 2008 წლის სექტემბერში დაბრუნდა, არასამთავრობო ორგანიზაციას ინტერვიუს დროს უთხრა:

„სოფელში მესამედ რომ ჩავედი, ოსები განსაკუთრებით, აგრესიულები იყვნენ. მათი აგრესია გამოწვეული იყო ოლეგის მოკვლით. ოლეგი ოსი იყო, ის ადამიანი, თეთრ „ნივაში“ რომ ვნახეთ, როდესაც პირველად ჩამოვედით. ოსებმა ის მოკლული იპოვეს საჯარო სკოლაში. ოლეგს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ჩვენი სოფლის მცხოვრებლებთან და ვფიქრობ, ამის გამო უსიამოვნებები ჰქონდა დანარჩენ ოსებთან. შესაბამისად, ალბათ იმიტომ, რომ ის ქართველებს იცავდა, ვიღაც ოსებმა მოჰკლეს.“¹¹⁵³

Human Rights Watch-ის მიხედვით: „ომის დროს და მის დამთავრების შემდეგ, მაშინვე, რუსული შეიარაღებული ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ოსური მილიციის მიერ განზრახ მოკლული იქნა სულ ცოტა, 14 ადამიანი. Human Rights Watch-მა აღრიცხა 6 განზრახ მკვლელობა რუსული შეიარაღებული ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე ქართულ დასახლებებში და მიიღო კიდევ 6 შემთხვევის შესახებ სანდო მტკიცებულებები. Human Rights Watch-მა მოისმინა ბრალდებები სამხრეთ ოსეთში განხორციელებულ, კიდევ ორი მკვლელობის შესახებ.“¹¹⁵⁴ საჭიროა სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ამ ცნობების ფრთხილად გადამოწმება, ვინაიდან შესაძლოა, ერთი და იგივე შემთხვევებს აღწერდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სწრაფი დასჯის შემთხვევების ზუსტი რაოდენობა დადგენილი არ არის და ზოგიერთი ფაქტი კვლავ გაურკვეველი რჩება, მისიას მაინც სჯერა, რომ არსებობს უტყუარი მტკიცებულებები იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მხრიდან ადგილი ჰქონდა სწრაფი დასჯის შემთხვევებს.

ბ) გაუპატიურება, სქესობრივი და სქესთან დაკავშირებული ძალადობა

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, გაუპატიურებისა და სხვა სახის სქესობრივი ძალადობის აკრძალვა, რომელიც ჩვეულებითი სამართლის ნორმას

¹¹⁵² უთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 23.

¹¹⁵³ ინტერვიუ ჩაწერილია 2008 წლის 15 დეკემბერს.

¹¹⁵⁴ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 154.

წარმოადგენს, ¹¹⁵⁵ გამომდინარეობს სახელშეკრულებო სამართლის მრავალი დებულებიდან, რომლებიც გამოიყენება როგორც არასაერთაშორისო, ასევე საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტებისათვის. მაგალითად, ჟენევის კონვენციის ზოგადი მე-3 მუხლი კრძალავს „სიცოცხლისა და ადამიანების მიმართ ძალადობას“ სასტიკი მოპყრობისა და წამების ჩათვლით და აგრეთვე, „პიროვნული ღირსების შემბლაღველ მოპყრობას.“ 1977 წლის დამატებითი ოქმის I, მუხლი 75 კრძალავს „ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე, სამოქალაქო თუ სამხედრო პირის მიერ (...) ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ან ფიზიკური თუ გონებრივი კეთილდღეობის წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას,“ და „პიროვნული ღირსების შეურაცხყოფას, კერძოდ, დამამცირებელ და ღირსების შემლახავ მოპყრობას, პროსტიტუციის დამალვას და ნებისმიერი ტიპის უხამს შეთავაზებას.“¹¹⁵⁶ 1977 წლის დამატებითი ოქმის II მუხლი 4 ამ სიას განსაკუთრებით უმატებს „გაუპატიურებას.“ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მიხედვით, „გაუპატიურების (...) ან სხვა სახის სქესობრივი ძალადობის ჩადენა,“ გარდა ჟენევის კონვენციის ან ზოგადი მე-3 მუხლის უხეში დარღვევისა, წარმოადგენს ომის დანაშაულს როგორც საერთაშორისო, ასევე არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტებისათვის. ¹¹⁵⁷ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, სქესობრივი ძალადობა აკრძალულია წამების და სასტიკი, არაჰუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის მეშვეობით.

2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მის შემდეგ იყო რამდენიმე შეტყობინება სქესობრივი და სქესთან დაკავშირებული ძალადობის ფაქტების შესახებ, გაუპატიურების ჩათვლით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი დანაშაულები ძალიან მგრძნობიარე ხასიათისაა, მათ შესახებ ინფორმაცია, ჩვეულებრივ, არასრულია. ეს, განსაკუთრებით შეეხება საქართველოს, როგორც მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები აღნიშნავს. მაგალითად, 1990-იანი წლების კონფლიქტის დროს გაუპატიურების მსხვერპლებმა მხოლოდ ახლა დაიწყეს მოყოლა იმის შესახებ, თუ რა მოხდა მაშინ.

Human Rights Watch-მა მიიღო მრავალი შეტყობინება 2008 წლის ომის დროს, ეთნიკურად ქართველი ქალების გაუპატიურების შესახებ. მან ხაზი გაუსვა, რომ „მსგავსი დანაშაულების ძალიან მგრძნობიარე ბუნების გამო, მათ შესახებ ინფორმაცია, ხშირად, არასრულია და განსაკუთრებით, ძნელია კონფლიქტის დროს მომხდარი შემთხვევების დოკუმენტირება.“¹¹⁵⁸ ადამიანის უფლებების შემსწავლელი მისია აცნობიერებდა, რომ მან ვერ შესძლო სქესობრივი და სქესთან დაკავშირებული ძალადობის შესახებ

¹¹⁵⁵ წესი 33, იხ.: ჯ.-მ. ჰენკაერტსი, ლ. დოსვალდ-ბეკი (გამომცემლები). ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (J.-M. HENCKAERTS, L. DOSWALD-BECK (eds), Customary International Humanitarian Law), ტ. I, ციტირებული დოკუმენტი., გვ. 323.

¹¹⁵⁶ იხ.: მუხლი 75, პარაგრაფები 2 ა) და ბ), შესაბამისად.

¹¹⁵⁷ მუხლი 8(2)(ბ) xxii და (ე)vi.

¹¹⁵⁸ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 59.

ყოვლისმომცველი ინფორმაციის შეგროვება. როგორც მისიამ აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივი და სქესთან დაკავშირებული ძალადობის შესახებ კითხვები წამოწეული იყო ცალკეულ პირებთან ინტერვიუების დროს, მათზე პასუხებს თავს არიდებდნენ, რაც მოსალოდნელი იყო, ვინაიდან ეს საკითხი საქართველოს დიდი ნაწილისათვის ტაბუდადებულია და მსხვერპლი შეიძლება გაიკიცხოს. ამასთან, მრავალი ინტერვიუ ჩატარდა არახელსაყრელ პირობებში, მაგალითად, კონფიდენციალურობის ნაკლებობა, რაც ამგვარ საკითხებზე მსჯელობის დროს, ხელშემშლელი პირობაა.“¹¹⁵⁹

კონფლიქტის კონტექსტში ან გარკვეულ ადგილებში საომარი მოქმედებების დასრულების შემდგომ პერიოდში, სქესობრივი და სქესთან დაკავშირებული ძალადობის მასშტაბები ჯერ კიდევ სრულად დადგენილი არაა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დღეისათვის ჩანს, რომ ის დიდად გავრცელებული არ ყოფილა. როგორც ადამიანის უფლებების შემსწავლელ მისიას აცნობა ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, მათ ვერ მოიძიეს მტკიცებულებები, რომ კონფლიქტის დროს ხშირი იყო გაუპატიურების შემთხვევები, მაგრამ მას მაინც ჰქონდა ადგილი.¹¹⁶⁰ ანალოგიურად, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ადამიანის უფლებების შემსწავლელ მისიას უთხრა, კონფლიქტთან დაკავშირებით გაუპატიურების სულ ცოტა, ოთხი ან ხუთი შემთხვევა მაინც იყო.¹¹⁶¹

Human Rights Watch-მა „მოახერხა ჩაეწერა გაუპატიურების ორი შემთხვევა რუსეთის კონტროლის ქვეშ მყოფ საქართველოს ტერიტორიაზე.“¹¹⁶² არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეგროვებული ჩვენებები არ იძლევა უშუალოდ სქესობრივი და სქესთან დაკავშირებული ძალადობის მსხვერპლებისაგან მიღებულ ინფორმაციას. ერთი შემთხვევა აღიწერა სოფელ ფრიზში, გორის რაიონში. ცხინვალის სიზოში (საგამოძიებო იზოლაციური, ან წინასწარი დაკავების საკანი) მოთავსებული პირები იხსენებენ დაახლოებით, 22 წლის ქალს, რომელიც „რეგულარულად გაჰყავდათ საკნიდან დაკითხვაზე, დაახლოებით ერთი ან ორი საათით, როდესაც უკან ბრუნდებოდა, აღელვებული ჩანდა და არავისთან ლაპარაკი არ სურდა.“ არის აგრეთვე ინფორმაცია, რომ სოფელ მელვრეკისში გააუპატიურეს 14 წლის გოგონა. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლებმა უამბეს ადამიანის უფლებების შემსწავლელ მისიას, რომ მათ ჰქონდათ მტკიცებულება, რომლის მიხედვით ქალი, რომელიც გორში ეკლესიაში იმალებოდა, ჯგუფურად იყო გაუპატიურებული. ცხინვალის ციხეში მოთავსებული ქალი დაცვას გარეთ გამოჰყავდა და არაერთხელ აუპატიურებდა; გორში გატაცებული გოგონა გააუპატიურეს; გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციის

¹¹⁵⁹ უფთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 19.

¹¹⁶⁰ იქვე, გვ. 25.

¹¹⁶¹ იქვე, გვ. 37.

¹¹⁶² Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 59.

ექიმა ნახა ქართველი მამაკაცი ჯარისკაცის გაუპატიურების მიმანიშნებელი ფიზიკური მტკიცებულება.¹¹⁶³ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიხედვით, გაუპატიურების შემთხვევები მოიცავს გოგონას, რომელიც ახალსოფლის მახლობლად (შიდა ქართლი) გამოიყვანეს მიკროავტობუსიდან, და რამდენიმეჯერ გააუპატიურეს, ქალი, რომელიც სახლში მარტო ჰყავდათ ჩაკეტილი, მრავალჯერ გააუპატიურა ოთხმა მამაკაცმა.¹¹⁶⁴

2009 წლის მარტში, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტმა გამოკითხა ქალი გორის მახლობლად მდებარე დასახლებაში. ექსპერტს გაერომ დაავალა შეეგროვებინა ინფორმაცია ადამიანის უფლებების განზრახ დარღვევებზე და მან დაადასტურა, როგორც გაუპატიურების შემთხვევების რეალურად განხორციელება კონფლიქტის დროს, ასევე ამგვარი დანაშაულებების დოკუმენტირებასთან დაკავშირებული სირთულეები. 2008 წლის აგვისტოში, საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული ქალების საჭიროებების სწრაფი შეფასება, რომელიც გაეროს ქალთა განვითარების ფონდის (UNIFEM) ხელშეწყობით პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტმა ჩაატარა, იძლევა კონფლიქტის დროს და მის შემდგომ პერიოდში სქესობრივი და სქესთან დაკავშირებული ძალადობის მიმოხილვას. გამოიკითხა 1 144 პირი და ამ ტიპის ძალადობის მგრძობიარე ბუნების გათვალისწინებით, შერჩეული იყო ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც იყენებდა არაპირდაპირ კითხვებს.¹¹⁶⁵ ამ კვლევამ აჩვენა, რომ „იმ სირცხვილის გამო, რომელიც თან ახლავს სქესობრივ ძალადობას, არ არის გამორიცხული, რომ საზოგადოდ, მრავალი ქალი უბრალოდ ვერ აცნობიერებს, რომ მას მიაყენეს ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა.“¹¹⁶⁶ კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების 6.3%-მა უპასუხა, რომ მათ გააჩნიათ ინფორმაცია ქალების წინააღმდეგ სქესობრივი ძალადობის შესახებ; ამ 70 რესპონდენტიდან 21.4 %-ის მიმართ იყო გაუპატიურების მცდელობა, 32.8% – ჯგუფური გაუპატიურება, 14.3% – განიცადა გაუპატიურება და 31 % – ვერ აკონკრეტებდა ძალადობის სახეს.¹¹⁶⁷

საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისია ასკვნის, რომ სქესობრივი და სქესთან დაკავშირებული ძალადობას კონფლიქტის კონტექსტში და მის შემდგომ თითქოსდა, არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი და არ იყო ფართოდ გავრცელებული, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მის განხილვას როგორც პრაქტიკული რეაგირების, ასევე მისი აღრიცხვის თვალსაზრისით.

¹¹⁶³ ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 25.

¹¹⁶⁴ იქვე, გვ. 37.

¹¹⁶⁵ დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შემფასებელი მისია, ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), 27 ნოემბერი, 2008 წ., გვ. 8.

¹¹⁶⁶ იქვე, გვ. 7.

¹¹⁶⁷ იქვე, გვ. 8.

მისიას სჯერა, მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივი და სქესთან დაკავშირებული ძალადობას კონფლიქტის კონტექსტში და მის შემდგომ თითქოსდა, არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი და არ იყო ფართოდ გავრცელებული, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მის განხილვას როგორც პრაქტიკული რეაგირების, ასევე მისი აღრიცხვის თვალსაზრისით.

ე) ცუდად მოპყრობა და წამება

წამების, სასტიკი ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა და ადამიანის ღირსების შემლახავი ქმედება, კერძოდ, დამამცირებელი და ღირსების შემლახავი მოპყრობა ჩადებულია როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში, ასევე ადამიანის უფლებების სამართალშიც.

კონფლიქტის კონტექსტში და მის შემდგომ პერიოდში, იყო ცუდად მოპყრობის შესახებ სხვადასხვა წყაროდან მიღებული მრავალი შეტყობინება. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ქმედებები ჩადენილი იქნა დაკავებული პირების წინააღმდეგ, იყო აგრეთვე ცემისა და მუქარის ფაქტები უმთავრესად, ეთნიკური ქართველი მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ, რომლებიც სოფლებში დარჩნენ სამხრეთ ოსეთისა თუ საქართველოს უდავო ტერიტორიებზე. ეს აქტები ძირითადად, სამხრეთი ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ იქნა განხორციელებული, როგორც გამოკითხულმა მსხვერპლებმა განაცხადეს. მიუხედავად იმისა, რომ მასშტაბები და რაოდენობა შეზღუდული იყო, სოფლების – აჩაბეთი, თამარაშენი, დისევი, ერედვი და კეხვი მცხოვრებლებმა, მარტში, მისიის ექსპერტების მიერ მათთან ჩატარებული ინტერვიუების დროს დაადასტურეს არსებული ინფორმაცია. საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტებმა 2009 წლის ივნისში ჩაატარეს დამატებითი ინტერვიუები, განსაკუთრებით, სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად მდებარე ისეთ სოფლებში, როგორც არის, მაგალითად, კოშკა. ამ სოფლის ორი მცხოვრები სასტიკად სცემა სამხრეთ ოსეთის ძალებმა, როდესაც ისინი საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდნენ.

იყო მშვიდობიანი მოსახლეობის ცემის მრავალი შემთხვევა. მაგალითად, ტირძისში, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ინტერვიუს დროს მამაკაცმა, რომელსაც საკუთარი საცხობი ჰქონდა, უამბო, როგორ შევიდა მათ სოფელში 12 აგვისტოს, ოსური მილიცია და სცემა მის ძმას, მის მეზობელს. მის ძმას დამტვრეული ჰქონდა ნეკნები და ხელი მოტეხილი.¹¹⁶⁸

მრავალი მშვიდობიანი მცხოვრები, რომელსაც ცუდად მოეპყრნენ სამხრეთ ოსეთში, იყო მოხუცი, რომლებმაც ვერ მოახერხეს გაქცევა კონფლიქტის პირველ დღეებში. 80 წლის ასაკის მოხუცმა ქალმა სოფელ ერედვიდან, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტს აუხსნა, სექტემბერში

¹¹⁶⁸ 2008 წლის 11 დეკემბერს ჩატარებული ინტერვიუ.

როგორ შევიდნენ ოსი და რუსი სამხედროები მის სახლში. მიუხედავად იმისა, რომ გაუკვირდათ, ქალი სახლში რომ დახვდათ, მაინც მოსთხოვეს ფული. შემდეგ ყელზე ტელეფონის სადენი შემოუჭირეს, მიწაზე დააგდეს და გარეთ გაათრიეს. თბილისში დაფუნდებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელიც წამების მსხვერპლთა დახმარების საკითხებზე მუშაობს, აცნობა ადამიანის უფლებების შემფასებელ მისიას, რომ მათ, გრძელვადიანი დაკვირვებით, დაადგინეს კონფლიქტთან დაკავშირებული წამების 50 შემთხვევა.¹¹⁶⁹ მიუხედავად იმისა, რომ Human Rights Watch-მა ბევრად ნაკლები შემთხვევა ჩაიწერა, ყველა მათგანი გამოვლენილი იყო დაპატიმრების კონტექსტში.

მისიას სჯერა, რომ არსებობს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილი ცუდად მოპყრობისა და წამების შემთხვევები.

d) მეომრების დაპატიმრება

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, დაპატიმრებისა და მსგავსი სტატუსის შესახებ წესები განსხვავებულია კონფლიქტის ტიპის მიხედვით, ანუ იმის მიხედვით, თავისი ხასიათის მიხედვით არის ეს საერთაშორისო თუ არასაერთაშორისო კონფლიქტი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, გარკვეულ პირობებში, მეზრძოლები უპირატესობას იღებენ ომის ტუსაღის სტატუსისგან. რაც შეეხება იმ 32 პირს, რომლებიც ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა დააპატიმრა, საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ეს პირები დაპატიმრებულნი არიან საომარ მოქმედებებში მონაწილეობის გამო. Human Rights Watch-ის მიხედვით, ხელისუფლებას არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომ ისინი ყველანი მეომრები იყვნენ.¹¹⁷⁰ დაპატიმრებული იყო აგრეთვე, რამდენიმე ოსი მშვიდობიანი მოქალაქე. 2009 წლის Human Rights Watch-ის ანგარიშში მოხვდა იძულებითი გაუჩინარების ერთი შესაძლო შემთხვევა,¹¹⁷¹ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება უარყოფს, რომ პირი, რომელიც ვითომდა, დაკარგულია, იმყოფება მათ ციხეში. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ადამიანის უფლებების შემფასებელი მისიისა და ეუთოსათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, „14 ოსი, ორი არასრულწლოვანი ჩათვლით, დაპატიმრებულია ქართული პოლიციის მიერ „ბუფერული ზონიდან“ რუსული ძალების გასვლის შემდეგ და საკანში მარტოობაში იყვნენ მოთავსებულნი.“¹¹⁷²

¹¹⁶⁹ ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 24.

¹¹⁷⁰ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 79.

¹¹⁷¹ იქვე, გვ. 85.

¹¹⁷² ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 25.

საქართველომ მიაწოდა დამატებითი ინფორმაცია დაპატიმრებული პირების შესახებ: „რუსი სამხედრო მოსამსახურეები, რომელთაც ეპყრობოდნენ, როგორც სამხედრო ტყვეებს – ხუთი; სეპარატისტების უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრები – ოცდათორმეტი; აშკარა დაქირავებული მებრძოლი – ერთი (რუსეთის მოქალაქე).“ საქართველომ აღნიშნა, რომ:

„საქართველოს მიერ დაკავებული ყველა პატიმარი გაიცვალა საქართველოს 150 მოქალაქესა და 39 სამხედრო ტყვეში, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებას ჰყავდა დატყვევებული. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს მიეცა საქართველოს საპატიმრო დაწესებულებებში შეუფერხებლად შესვლის შესაძლებლობა და მოინახულა ხუთი სამხედრო ტყვედან სამი – დანარჩენი ორი ომის დროს მოგვიანებით, იქნა დაპატიმრებული. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ეწვია თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროების ობიექტებს მრავალი სხვადასხვა მიზეზით და შეამოწმა პირობები, რომლებშიც იმყოფებოდნენ არა მარტო სამხედრო ტყვეები, არამედ სეპარატისტების უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრებიც.

„კონფლიქტის კონტექსტში აყვანილი პატიმრები სხვა ტუსალებისაგან განცალკევებით იყვნენ მოთავსებული.“¹¹⁷³

რუსეთის ფედერაციის მიხედვით, „ოპერაციების დროს რუსულმა და სამხრეთ ოსურმა შეიარაღებულმა ძალებმა დაპატიმრა ქართული ეროვნების 85 პირი“ და „იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ქართველი სამხედრო მოსამსახურემ დატოვა მისი შენაერთი, დაყარა იარაღი, გაიხადა სამხედრო ფორმა, გაანადგურა თავისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, გადაიცვა სამოქალაქო ტანსაცმელი და ა. შ., შეუძლებელი გახდა დაპატიმრებულთა შორის სამხედრო მოსამსახურეების ზუსტი რაოდენობის დადგენა.“¹¹⁷⁴ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის პასუხებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის კითხვარზე დაამატა შემდეგი:

„მთელი იმ პერიოდის მანძილზე, როდესაც რუსეთის შეიარაღებული ძალები მონაწილეობას იღებდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ჩატარებულ სამხედრო ოპერაციაში 2008 წლის 8–12 აგვისტომდე, რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა დააპატიმრა მხოლოდ ქართველისამხედრო მოსამსახურეები (12. 08. 2008-ის შემდეგ ქართველი სამხედროები აღარ დაუკავებიათ). ვინაიდან რუსეთმა მონაწილეობა მიიღო შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელიც თავისი ბუნებით საერთაშორისო იყო, პატიმრებს, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, ეპყრობოდნენ,

¹¹⁷³ საქართველოს პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები), კითხვა 3, მიწოდებული მისიისათვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 2-3.

¹¹⁷⁴ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 12 - 13.

როგორც მებრძოლებს. სწორედ ამიტომ დაპატიმრების შემდეგ მათ მიიღეს ომის პატიმრის სტატუსი. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მას შემდეგ, რაც კონფლიქტი დასრულდა და ტყვეებს მოეხსნა ყოველგვარი პოტენციური სამხედრო დანაშაული 19 აგვისტოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარის, თ. ჰამარბერგის თანდასწრებით, რომლებიც შუამავლის როლში გამოდიოდნენ, ყველა მათგანი გადაეცა ქართულ მხარეს. რუსული მხარე ამ ტყვეებს ექცეოდა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალის მოთხოვნების შესაბამისად. ისინი არასოდეს გამხდარან წამების საგანი.¹¹⁷⁵

თავის პასუხებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის კითხვარზე საქართველომ, საპირისპიროდ, განაცხადა, რომ „30 ჯარისკაცი, რომლებიც დაპატიმრებული იქნა კონფლიქტის მსვლელობის დროს და მის შემდეგ, გახდა წამებისა და ცუდად მოპყრობის საგანი, რომელთაც სცემდნენ თოფებით, აწვავდნენ სიგარეტებს და წვავდნენ სანთებლებით, და განიცადეს ელექტრული შოკი.“¹¹⁷⁶

თუმცა, ქართველი სამხედრო მოსამსახურეების დაპატიმრების შემთხვევაში, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ, უშუალოდ თვითმხილველთა ინფორმაციით, დაპატიმრების ადგილზე იმყოფებოდა რუსული შეიარაღებული ძალები. ზოგიერთი იმ ქართველ მებრძოლთაგანი შეიპყრო ოსურმა მილიციამ. თავდაპირველად, ზოგიერთი ოსურ პოლიციაში მიიყვანეს და შემდეგ გადასცეს რუსულ შეიარაღებულ ძალებს. Human Rights Watch-მა აღწერა ცუდად მოპყრობისა და წამების შემთხვევები და ქართველი ჯარისკაცების სიკვდილით დასჯის სამი შემთხვევა რუსული ძალების თანდასწრებით.¹¹⁷⁷

მისიას სჯერა, რომ არსებობს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილი ცუდად მოპყრობისა და წამების შემთხვევები. ასეთი ქმედებები, როგორც ჩანს, ჩადენილი იყო ძირითადად, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ, ზოგ შემთხვევებში, რუსი ჯარისკაცების თანდასწრებით.

e) სამოქალაქო პირების დაკავება, უმიზეზო დაკავებები, გატაცების შემთხვევები და ტყვედ აყვანა

¹¹⁷⁵ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (სამართლებრივი ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Legal Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 11.

¹¹⁷⁶ საქართველოს პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები, შეკითხვა 6.) მიწოდებული მისიისათვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 1.

¹¹⁷⁷ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 185.

აგრეთვე, არის მრავალი შემთხვევა, როდესაც ქართული ეროვნების სამოქალაქო პირებს აღეკვეთათ თავისუფლება. ამგვარ შემთხვევებს განეკუთვნება სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ სამოქალაქო პირების დაპატიმრება და დაკავება არასათანადო პირობებში, ზოგიერთის გატაცება და გამოსასყიდის სანაცვლოდ დაბრუნება. მრავალი მოქალაქე თავის დაპატიმრებას აღწერს, როგორც მძევლად აყვანას შემდგომში გასაცვლელად. სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ცხინვალში ჩაიყვანა ორი მოხუცი ქალი სოფელ აჩაბეთიდან, სადაც ისინი, 40 სხვა ადამიანთან ერთად, რომელთა უმრავლესობა ასევე მოხუცი იყო, დაკავებული ჰყავდათ იმ შენობის სარდაფში, რომელიც როგორც მოგვიანებით გაირკვა, იყო ცხინვალის უშიშროების ფედერალური სამსახურის შენობა. სამი დღის განმავლობაში ისინი ყველა ერთად ჰყავდათ ერთ პატარა ოთახში, სადაც რამდენიმე ხის საწოლზე მოსასვენებლად, მათ რიგში დგომა უხდებოდათ და ამასთან, ძალიან ცოტა პურს და წყალს აძლევდნენ. შემდეგ მათ ხუთი დღის მანძილზე ქუჩებს ასუფთავებინებდნენ. მრავალ დაპატიმრებულ მოქალაქეს მოუხდა გვამების დამარხვა.

ორი მამაკაცი, შესაბამისად, აჩაბეთიდან და ცხინვალიდან ჰყვება თუ როგორ სცემდნენ სიზოში დაკავებისას.¹¹⁷⁸

2009 წლის 5 ივნისს, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტების შეხვედრის დროს, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან, მთავრობის ამ წარმომადგენლებმა რეალურად ცნეს, რომ სამოქალაქო პირები იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, მაგრამ მათ აღნიშნეს, რომ ისინი იქ შეიყვანეს მხოლოდ საომარი მოქმედებების მსვლელობისას, დაცვისათვის საჭირო ზომების მიღების კონტექსტში. ეს არა მარტო ეწინააღმდეგება იქ დაკავებული მრავალი პირის მიერ მიცემულ ჩვენებას, არამედ ასეც რომ ყოფილიყო და ისინი დაცვის მიზნით ყოფილიყვნენ იქ დაკავებული, სრულიად შეუძლებელია აიხსნას, თუ რატომ არ გამოუშვეს ისინი 27 აგვისტომდე, საომარი მოქმედებების დასრულებიდან

¹¹⁷⁸ პირველმა თქვა: „იქ იყო დაახლოებით 80 კაცი, და ყოველდღე სულ უფრო მეტი მოდიოდა. იქ 18 დღის განმავლობაში დავრჩი და ამ დროის მანძილზე მცემდნენ, მცემდნენ თოფით, კონდახით, წიხლებს მირტყამდნენ და მამცირებდნენ. სახეზე და ხელებზე მქონდა სისხლჩაქცევები და ჭრილობები. ისინი თირკმელებში მირტყამდნენ. [მას ჰქონდა ხილული დაზიანებები თითებზე, გატეხილი ფრჩხილი, რომელსაც ჩვენ სურათი გადავუღეთ] სიზოში მხოლოდ შვიდი საკანი იყო, ძალიან ცოტა ადგილი და ზოგიერთს დერეფანში ეძინა.“

მეორემ განაცხადა: „ჩვენ მიგვიყვანეს სიზოში, სადაც სხვა პატიმრებიც იყვნენ. იქ ალბათ, 170 კაცი მაინც იქნებოდა - ძირითადად, მოხუცები, მაგრამ ასევე ქალები და ბავშვებიც იყვნენ. ოთახი ალბათ 10 მეტრი იყო 10 მეტრზე. იქ იმდენი ხალხი იყო, რომ ფეხზე დგომაც კი ჭირდა, ჩვენ მორიგეობით გვეძინა. ძალიან ცოტა პურს და ფაფას გვამლევდნენ და ჩაის შაქრის გარეშე. მოვიდა ექიმი და დამხედა ფეხზე. ექიმი და მისი კოლეგა ყურადღებებიანები იყვნენ და იმ 18 დღის განმავლობაში, რაც იქ ვიყავი, კარგად მიმეურნალეს.“

ორი კვირის შემდეგაც კი და რატომ აწმენდინებდნენ მათ ქუჩებს და ამარხვინებდნენ გვამებს.¹¹⁷⁹

ადამიანის უფლებების შემფასებელმა მისიამ სოფლებების გატაცების შესახებ მოისმინა მრავალი ისტორია. შემდგომში, ისინი გამოსასყიდის მოთხოვნით გამოიყენეს. მაგალითად, სოფელ გოგეთიდან გაიტაცეს ოთხი სულისაგან შემდგარი ოჯახი; შემდეგ ცოლი და ორი ბავშვი გაუშვეს და უთხრეს, ქმრის გამოსასყიდად ფული მოეტანა.¹¹⁸⁰

როგორც ჩანს, იყო სამოქალაქო პირების უკანონო დაკავების მრავალი შემთხვევა, უმიზეზო დაკავებები, გატაცება და მძევლების აყვანა, რასაც უმეტესად, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები და სამხრეთ ოსეთის სხვა შეიარაღებული დაჯგუფებები ჩადიოდა.

f) ძარცვა და მაროდობა

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს ძარცვას როგორც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ასევე შეიარაღებული კონფლიქტის არასაერთაშორისო ხასიათის შემთხვევაშიც. სახელშეკრულებო სამართალში, მაგალითად, ძარცვა აკრძალულია ჟენევის კონვენციის IV მუხლით 33 და 1977 წლის დამატებითი ოქმის II მუხლით 4(2). ეს აგრეთვე, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წესს წარმოადგენს.¹¹⁸¹ რომის წესდების მიხედვით, ძარცვა ომის დანაშაულია კონფლიქტების ორივე ტიპისათვის.¹¹⁸²

¹¹⁷⁹ Human Rights Watch-მა, „აგრეთვე მიიღო შეტყობინებები მრავალი ქართველისაგან, რომლებიც გატაცებულიყვნენ ოსების მიერ, და არ იყვნენ გადაცემული პოლიციისათვის. 76 წლის თვალცრემლიანმა ქალმა ბ.-მ 10 სექტემბერს უამბო Human Rights Watch-ს, თუ როგორ გაიტაცეს მისი 17 წლის შვილიშვილი ნათია ბ. 13 აგვისტოს შუადღეს.“ სოფელ რისის მკვიდრი, 70 წლის ასაკის მოხუცი ქალი გორიდან თავის სოფელში ბრუნდებოდა თავის 17 წლის შვილიშვილთან ერთად, ვინაიდან გორში მათთვის დასარჩენი ადგილი არ იყო. მან ახსნა, რა მოხდა 2008 წლის აგვისტოს შუა დღეებში: „ჩვენ ფეხით 9 საათის განმავლობაში მოვდიოდით. როდესაც სოფელ კიძნისს გავდიოდით, ჩვენს წინ გაჩერდა ძველი, დამტვრეული ჟიგული, შეიძლება, მოპარულიც იყო. მანქანიდან ორი ქერა ოსი გადმოვიდა, სამხედრო ფორმა ეცვათ (ხელზე თეთრი სახვევი ეკეთათ), ხელი დაავლეს ჩემს გოგონას, და გაიტაცეს.“ ინტერვიუ ჩაიწერა 2008 წლის 9 სექტემბერს.“

¹¹⁸⁰ უთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 39.

¹¹⁸¹ იხ.: წესი 52, ასევე, იხ.: ჯ.-მ. ჰენკაერტსი, ლ. დოსუალდ - ბეკი (გამომცემლები). ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (J-M. HENCKAERTS, L. DOSWALD-BECK (eds), Customary International Humanitarian Law), ტ. I, ციტირებული დოკუმენტი, გვ. 182.

¹¹⁸² საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტში (მუხლი 8, 2, b, xvi) და არა - საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტში (მუხლი 8, 2, e,v), „ძარცვა ქალაქად თუ სოფლად, მაშინაც კი, როდესაც თავდასხმის შედეგად ის აღებულია,“ წარმოადგენს ომის დანაშაულს.

საქართველოში მომხდარი კონფლიქტი, მსვლელობის დროსაც და მის შემდეგ, ხასიათდებოდა ძარცვისა და მაროდღიობის ფართომასშტაბიანი კამპანიით, რომელიც ხორციელდებოდა სამხრეთ ოსეთისა და ე. წ. ბუფერული ზონების ეთნიკურად ქართულ სოფლებში. მართალია, მათი უმრავლესობა ოსი სამხედროებისა და მილიციის თანამშრომლების, აგრეთვე, ოსი მოქალაქეების მიერ ხორციელდებოდა, არის მრავალი თვითმხილველის ჩვენება რუსული შეიარაღებული ძალების მხრიდან მაროდღიობის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მრავალი მოწმე აღნიშნავს, რომ შეიარაღებული ოსების მხრიდან მაროდღიობის შემთხვევებს ესწრებოდნენ რუსი ჯარისკაცები. ძარცვა დაიწყო ქართული შეიარაღებული ძალების გასვლისთანავე.

Human Rights Watch-მა ჩაიწერა და ზოგჯერ, თავადაც შეესწრო სისტემატურ ძარცვას თამარაშენში, ზემო აჩაბეთში, ქვემო აჩაბეთში, ქურთაში, ტირძისში, დვანში, კოშკაში, მეღვრეკისში, ნიქოზში, კარალეთში, კნოლევში, ავლევში, წერონისსა და კეხვში.¹¹⁸³ ეუთოს ადამიანის უფლებების შეფასებითმა მისიამ აგრეთვე, აღნიშნა ძარცვისა და მაროდღიობის რამდენიმე შემთხვევის შესახებ.¹¹⁸⁴ მაგალითად, ქალმა სოფელ კეხვიდან უთხრა ადამიანის უფლებების შეფასებით მისიას, რომ მან ნახა, როგორ ძარცვავდა მის სახლს „ოსების“ ჯგუფი, რომელთაც სამხედრო ფორმები ეცვათ და ხელზე თეთრი სამკლავურები ეკეთათ. ვიღაც კაცმა მას მოპარა მანქანა და ვიდრე ადგილს დატოვებდა, ამ მანქანაში ჩატვირთა მეზობლის სახლიდან გამოტანილი ავეჯი. სოფლიდან რომ გარბოდა, დაინახა როგორ ძარცვავდნენ მაღაზიებსა და სხვა სახლებს „ოსი“ ჯარისკაცები, რომელთაც რუსული შეიარაღებული ძალები იცავდა,¹¹⁸⁵ რომლებმაც მოგვიანებით დატოვეს ტერიტორია.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ძარცვა და მაროდღიობა გაძლიერდა როგორც სამხრეთ ოსეთის, ასევე ბუფერული ზონის სოფლებში – დვანი, მეღვრეკისი და ტყვიავი.¹¹⁸⁶

¹¹⁸³ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), 22 იანვარი, 2009 წ., ციტირებული დოკუმენტი, გვ. 130 – 142 და 164 – 169.

¹¹⁸⁴ დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შემფასებელი მისია, ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), 27 ნოემბერი, 2008 წ., გვ. 44.

¹¹⁸⁵ იგივე.

¹¹⁸⁶ Amnesty International-მა, აღნიშნა, რომ: „საქართველოს მმართველობის ქვეშ მყოფ სოფლებში ინტენსიური ძარცვა მიმდინარეობდა საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ ორი კვირის შემდეგაც კი. მიუხედავად იმისა, რომ თვითმხილველებმა თქვეს, რომ ზოგიერთ სოფელში 13 – 14 აგვისტოს შემდეგ ძარცვის ფაქტებმა იკლო, ამნესტი ინტერნეშნლ-ის წარმომადგენლებმა, როდესაც ისინი ჩავიდნენ ამ სოფლებში თითქმის ორი კვირის შემდეგ, 26 აგვისტოს, თავად იხილეს, რომ მოროდღიობა და ძარცვა კვლავ მიმდინარეობდა.“ ამნესტი ინტერნეშნლ, სამოქალაქო პირები ცეხლის ხაზზე - საქართველო - რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 41.

უფრო მეტიც, სექტემბერში განხორციელებულ მარცვაში ოსური სოფლების მოსახლეობაც იღებდა მონაწილეობას და ჩანდა, რომ ოსური ან რუსული შეიარაღებული ძალები დაცვასა და კონტროლს არ ახორციელებდა. მრავალი მოწმე აღნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც ოსური მილიცია მარცვას აწარმოებდა, რუსული ძალები იქ იყო.

ზოგიერთ სოფელში ჩანდა, რომ მარცვას ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა და ეს არ იყო მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც მაროდორებს ჯერ ავეჯი გაჰქონდათ სატვირთო მანქანებით, ხოლო შემდგომ ბრუნდებოდნენ სახლებიდან კარებებისა და ფანჯრების მოსაპარად.¹¹⁸⁷

Human Rights Watch-მა აგრეთვე, აღნიშნა, რომ „ზოგან, სადაც ოსები ქართველების გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ან შერეული ქორწინებების დროს, ოსები აგრეთვე ხდებოდნენ მარცვის, გაუპატიურების და თანამშრომლობაში ბრალდებების სამიზნე. ეს მოხდა, მაგალითად, ცხინვალის მმართველობის ქვეშ მყოფ პატარა სოფელ ზონკარში, რომელიც პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობს და ქართული სოფლებით არის გარშემორტყმული.“¹¹⁸⁸

Amnesty International-მა განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვა იმ „მრავალი შეტყობინების შესახებ, როდესაც რუსული შეიარაღებული ძალები უყურებდა, როგორ მარცვადა და ანადგურებდა ქართულ სოფლებს, აშინებდა და ძალადობდა იქ დარჩენილ მოსახლეობაზე სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები, მილიციის ჯგუფები და შეიარაღებული პირები.“¹¹⁸⁹ მან აღწერა შემდეგი სიტუაცია:

„26 აგვისტოს, სოფელ ერედვში, Amnesty International-ის წარმომადგენლები შეესწრნენ მარცვისა და მაროდორების ფაქტს, შეიარაღებული მამაკაცების მონაწილეობით. მარცვის მიმდინარეობის დროს ერედვში გადიოდა რუსული სამხედრო ტექნიკა (ცხინვალის დასავლეთით მიემართებოდნენ და სოფლის შესასვლელსა და გასასვლელში იყო რუსული საკონტროლო გამშვები პუნქტები) და Amnesty International-მა ნახა, როგორ ამოწმებდნენ არა მარტო ჩვეულებრივ მანქანებს, არამედ სხვა დიდ სატვირთო მანქანებსაც, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში.“¹¹⁹⁰

შესაბამისად, არის საკმაოდ ბევრი მტკიცებულება ოსური შეიარაღებული ძალების, ზოგჯერ სამოქალაქო პირების მიერ განხორციელებული მარცვისა და მაროდორების ფართომასშტაბიანი კამპანიის შესახებ, როგორც კონფლიქტის დროს, ასევე ცეცხლის შეწყვეტის შემდეგაც. მიუხედავად იმისა, რომ რუსული შეიარაღებული ძალები,

¹¹⁸⁷ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტის მიერ სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან ჩატარებული ინტერვიუ 2009 წლის მარტში.

¹¹⁸⁸ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 143 - 144.

¹¹⁸⁹ Amnesty International, სამოქალაქო პირები ცეცხლის ხაზზე - საქართველო - რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 32.

¹¹⁹⁰ იქვე, გვ. 43.

როგორც ჩანს, დიდ მონაწილეობას არ იღებდნენ ამ კამპანიაში, მათ არაფერი გააკეთეს მის შესაჩერებლად.

საქართველოში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციამ წარმოადგინა ინფორმაცია, მიღებული იძულებით გადაადგილებულ პირებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან, აფხაზური შეიარაღებული ძალების მხრიდან კოდორის ხეობაში და 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული ყოფილი „უსაფრთხოების ზონის“ სოფლებში განხორციელებული მარცვის შესახებ, განსაკუთრებით ადმინისტრაციული საზღვრის პირას მდებარე სოფლებში, კერძოდ, ანაკლიაში. მაგალითად, სოფელ განმუხურის მკვიდრმა განაცხადა აფხაზი ჯარისკაცების მიერ განხორციელებული მარცვისა და ყაჩაღობის შესახებ.¹¹⁹¹ მიუხედავად იმისა, რომ გაეროს წარმომადგენლებმა ზუგდიდში განაცხადეს, რომ კოდორის ხეობაში განხორციელებული კონფლიქტის დროს, ადამიანის უფლებების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, მათ აღნიშნეს, რომ სვანების ქონების მარცვისა და საქონლის მოპარვის შესახებ არსებობდა ურთიერთგამომრიცხავი ცნობები.¹¹⁹² მოხუცმა ქალმა აჟარიდან ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა¹¹⁹³ წაიყვანა მისი საქონელი და წაიღო მისი ავეჯი. მეორე მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეგროვილ ინფორმაციით, რუსული შეიარაღებული ძალები გარკვეულად აკავებდნენ აფხაზურ შეიარაღებულ ძალებს და ერთგვარი დისციპლინა შეჰქონდათ გადაცდომების თავიდან ასაცილებლად. აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრმა, როდესაც მას ჰკითხეს მარცვის შემთხვევების შესახებ, ხაზი გაუსვა, რომ აფხაზ ჯარისკაცებს მიღებული ჰქონდათ ინსტრუქცია, რომ არ დაეზიანებინათ საკუთრება და აღნიშნა, რომ შეუძლებელია ეზრუნათ თითოეულ სახლზე და ეს შესაძლოა ყოფილიყო ცალკეული შემთხვევები.¹¹⁹⁴ მან აგრეთვე განაცხადა, რომ 15 აგვისტოს, ადგილზე ყოფნისას, მხოლოდ ერთი სახლი ნახა, რომელიც იწვოდა.

ადამიანის უფლებების შემფასებელმა მისიამ აგრეთვე, აღნიშნა ცნობები მარცვის შემთხვევების შესახებ კოდორის ხეობაში: „სოფლის ერთმა მოსახლემ თქვა, რომ მისი სახლი გადაურჩა დაზიანებას, მაგრამ როდესაც დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ მისი ტელევიზორი, რადიო და ფარდები მოუპარავთ. ქალმა პტიშიდან თქვა, რომ დაბრუნების შემდეგ, მისი სახლი გამარცვული დახვდა, ასევე იყო მისი მეზობლების სახლებიც. მაგრამ სახლები არ იყო გადამწვარი. საქართველოში გაეროს მისიის აჭარის ოფისიც კი, მთლიანად გამარცვული იყო, რომელიც აფხაზურმა კონტინგენტმა დაიკავა. კონფლიქტის შედეგად სოფლის მრავალმა მცხოვრებმა დაკარგა პირუტყვი, რომელიც მათი უმრავლესობისათვის, უმთავრეს საარსებო წყაროს წარმოადგენს. ქალმა პტიშიდან თქვა, რომ პირუტყვის ნაწილი დაიხოცა დაბომბვის დროს. გენწვისელმა კაცმა განაცხადა, რომ დაბრუნების შემდეგ თავისი პირუტყვი ვეღარ იპოვა. საერთაშორისო

¹¹⁹¹ 2008 წლის 10 სექტემბერს, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ინტერვიუ.

¹¹⁹² საქართველოში გაეროს მისიის წარმომადგენლებთან შეხვედრა 2009 წლის მარტში, ზუგდიდი.

¹¹⁹³ ეს ეწინააღმდეგება აფხაზეთის დე - ფაქტო თავდაცვის სამინისტროს ვერსიას, რომელიც აცხადებს, რომ ბრძოლებში რუსული შეიარაღებული ზალები მონაწილეობას არ იღებდა.

¹¹⁹⁴ შეხვედრა აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრთან, 4 მარტი, 2009 წ., სოხუმი.

ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა აგრეთვე, დაადასტურეს, რომ დაიკარგა სოფლებების პირუტყვი.¹¹⁹⁵ ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მცირედ მარცვას ადგილი კოდორის ხეობაშიც, ჩანს, რომ ეს იყო ცალკეული შემთხვევები, განსხვავებით, სამხრეთი ოსეთისა და მისი მიმდებარე ბუფერული ზონისაგან.

კონფლიქტის მსვლელობის დროს და განსაკუთრებით, მის შემდეგ, მარცვის სისტემატური და ფართომასშტაბიანი კამპანია ჩატარდა სამხრეთ ოსეთისა და მის მიმდებარე ბუფერულ ზონაში, უმეტესად, ეთნიკური ქართველი მოსახლეობის სახლებისა და საკუთრების წინააღმდეგ. ამ კამპანიაში მონაწილეობას იღებდნენ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები, ამოუცნობი შეიარაღებული ოსები და ოსეთის მოქალაქეებიც კი. რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა ვერ მოახერხა არ დაეშვა მსგავსი აქტები, ან რაც უფრო მნიშვნელოვანია, არ შეაჩერა მარცვა და მაროდორობა ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, მაშინაც კი, როდესაც თავად ესწრებოდა მათ. აფხაზურ ძალებს ასეთი მარცვა არ დაუწყიათ; მიუხედავად ამისა, არის ცნობები მარცვისა და განადგურების რამდენიმე შემთხვევის შესახებ.

გ) საკუთრების განადგურება

მაშინ, როდესაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ამბობს, რომ საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა შეიძლება გაიტაცონ მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო აღჭურვილობა როგორც სამხედრო ნადავლი,¹¹⁹⁶ საერთაშორისო და ასევე არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს ის კრძალავს მოწინააღმდეგე მხარის საკუთრების განადგურებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს სამხედრო აუცილებლობით არის მოთხოვნილი.¹¹⁹⁷ ჟენევის IV კონვენციის 33-ე მუხლში ნათქვამია, „აკრძალულია საპასუხო მოქმედებები დაცული პირებისა და მათი ქონების წინააღმდეგ.“ ამ კონვენციის 147-ე მუხლის თანახმად, „ქონების ინტენსიური განადგურება და მიტაცება, რომელიც არ არის გამართლებული სამხედრო აუცილებლობით და ხორციელდება უკანონოდ, თავშეკავებისა და ყოველგვარი მიზეზის გარეშე“ წარმოადგენს მძიმე დარღვევას. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება მსგავს აქტებს არასაერთაშორისო შეიარაღებული

¹¹⁹⁵ დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შემფასებელი მისია, ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), 27 ნოემბერი, 2008 წ., გვ. 61.

¹¹⁹⁶ იხ.: წესი 49, იხ.: ჯ.-მ. ჰენკაერტსი, ლ. დოსვალდ-ბეკი (გამომცემლები). ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (J.-M. HENCKAERTS, L. DOSWALD-BECK (eds), Customary International Humanitarian Law), ტ. I, ციტირებული დოკუმენტი, გვ. 173.

¹¹⁹⁷ იქვე, წესი 50, გვ. 175.

კონფლიქტის დროს ჩადენილი ომის დანაშაულის კვალიფიკაციას ანიჭებს.¹¹⁹⁸ ეს აკრძალვა ასევე, უნდა იკითხებოდეს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში მოცემული კოლექტიური დასჯის აკრძალვასთან ერთად.

აუცილებელია აღინიშნოს, „რომ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის ისევე, როგორც სხვა შეიარაღებული კონფლიქტების კონტექსტში, ქონების განადგურება მჭიდროდ არის დაკავშირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა აუცილებლობასთან, დატოვონ თავისი სახლები. ამ თვალსაზრისით, როგორც ზემოთ იყო ხაზგასმული, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპი იძულებით გადაადგილების შესახებ იმეორებს ზემოთ მოტანილ აკრძალვებს, ასახავს რა, არსებულ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს და ადამიანის უფლებების სამართალს, იძულებით გადაადგილებული პირების უფლებების სტრუქტურის ფარგლებში.¹¹⁹⁹

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტისა და მისი შემდგომი პერიოდის კონტექსტში სამოქალაქო საკუთრების განადგურების განხილვისას, ძირითადი განსხვავება უნდა გაკეთდეს, ერთი მხრივ, დაცხრილვის, საარტილერიო დაბომბვის, საჰაერო დაბომბვის ან სატანკო ცეცხლისგან მიყენებულ განადგურებასა (რომელიც შეიძლება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალის დარღვევა იყოს, მაგრამ სისტემატურად ეს ასე არ არის), და მეორე მხრივ, გაძარცვისა და გადაწვის ძალადობრივი აქტების შედეგად მიყენებულ განადგურებას შორის. როგორც ადამიანის უფლებების შემფასებელმა მისიამ შენიშნა, ზოგი ნგრევა უშუალოდ საომარი მოქმედებებით იყო გამოწვეული, იქნებოდა ეს ქართული შეიარაღებული ძალების შეტევა ცხინვალსა და სამხრეთ ოსეთის სხვა სოფლებზე, თუ რუსული საჰაერო ბომბდამშენებისა და საარტილერიო ცეცხლის შეტევის დროს.¹²⁰⁰ აქ აუცილებელია დავუბრუნდეთ ზემოთ მოტანილ განურჩეველი თავდასხმების ნაწილს.

ამ ტიპის განადგურება არანაირად არ არის ნაკლებად სერიოზული. მაგრამ თავიდანვე უნდა გამოიყოს, რომ გადაწვით მიყენებული ძალიან დიდი ზარალი, როდესაც ზოგიერთი სოფელი მთლიანად იქნა გადამწვარი, სერიოზულ ეჭვებს ბადებს იმ მოტივების შესახებ, რაც მსგავს აქტებს ედო საფუძვლად. გადაწვის პრაქტიკამ ისეთ დონეს და მასშტაბებს მიაღწია, რომ შესაძლებელია ითქვას, რომ ის არის სამხრეთ

¹¹⁹⁸ რომის წესდების მუხლი 8, 2, xii.

¹¹⁹⁹ „1. არავის არ უნდა ჩამოერთვას საკუთრება და ქონება თვითნებურად.

2. იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრება და ქონება ყველა გარემოებაში უნდა იყოს დაცული, კერძოდ, შემდეგი აქტების წინააღმდეგ: (ა) ძარცვა; (ბ) პირდაპირი ან განურჩეველი თავდასხმები ან ძალადობის სხვა აქტები; (გ) სამხედრო ოპერაციების ან ობიექტების დასაცავად ფარად გამოყენება; (დ) მიტაცების ობიექტად გახდომა; და (ე) განადგურება ან მიტაცება, როგორც კოლექტიური დასჯა.

3. იძულებით გადაადგილებული პირების უკან დატოვებული საკუთრება და ქონება უნდა იყოს დაცული განადგურებისაგან ან თვითნებურად და უკანონოდ მიტაცების, დაკავების ან გამოყენებისაგან,“ იხ.: პრინციპი 21.

¹²⁰⁰ დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შემფასებელი მისია, ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), 27 ნოემბერი, 2008 წ., გვ. 41.

ოსეთის კონფლიქტის ძალადობის მახასიათებელი. გადაწვის ეს ფართომასშტაბიანი კამპანია მიმართული იყო სამხრეთი ოსეთის ეთნიკურად ქართული სოფლების წინააღმდეგ და ნაკლები ინტენსივობით, ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე ტერიტორიებისაკენ.

ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ როგორც რამდენიმე მოწმემ აღნიშნა, გამიზნულად განადგურებას და გადაწვას სამხრეთი ოსეთის ეთნიკურად ქართულ სოფლებში, მასშტაბისა და მოტივების მიხედვით, განსხვავებული ხასიათი ჰქონდა იმასთან შედარებით, რაც ბუფერულ ზონაში ხდებოდა.

სამხრეთი ოსეთის სოფლებში გადაწვასა და გაძარცვასთან მიმართებაში, რუსეთისა და დე ფაქტო სამხრეთი ოსეთის ხელისუფლების მიერ მოცემულმა ახსნა-განმარტებამ, ჩანს, ვერ დაარწმუნა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისია.

რუსეთის ფედერაციის მიხედვით, „ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ქართულ სოფლებში ადგილი ჰქონდა გადაწვასა და განადგურებას, იყო გადაწვის ძალადობრივი პოლიტიკა, რასაც ახორციელებდა და ნერგავდა შემოჭრილი ქართული შეიარაღებული ძალები. ამის შედეგად, მოხდა იმ რამდენიმე საარტილერიო დანადგარის, მათ შორის, ჯავშანგამტანი წრიული სარაკეტო დანადგარის დეტონირება, რომლებიც წინასწარ იყო მოთავსებული და შენახული რამდენიმე ქართული სოფლის (კეხვი, თამარაშენი, ხეითა, ქურთა, ერედვი, ავნევი, და სხვ.) მდებარე საცხოვრებელ სახლში.“¹²⁰¹ სამხრეთი ოსეთის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებაში თითო ასევე, ქართველებისაკენ არის მიშვერილი. იმ ორი სამხრეთ ოსური ორგანიზაციიდან, რომლებიც საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელ საერთაშორისო საგამოძიებო მისიას ახლდა სამხრეთ ოსეთში ვიზიტის დროს, ერთ-ერთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სახლები ქართველებმა გადაწვეს. თუმცა, მსგავსი განცხადებები არ არის გამყარებული იძულებით გადაადგილებულ პირებთან ან სოფლის იმ მცხოვრებლებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს მოპოვებული რაიმე ინფორმაციით, რომლებიც საომარი მოქმედებების დროს და მათ შემდეგ, სოფლებში იმყოფებოდნენ. უფრო მეტიც, Human Rights Watch-ის მიხედვით, მათ მიერ გამოკითხული მოწმეების უმრავლესობა არ ადასტურებს ქართული შეიარაღებული ძალების მხრიდან მათ მიმართ ძალადობას, სახმელეთო შეტევასთან მიმართებაში.¹²⁰²

ადამიანის უფლებების შემფასებელ მისიას სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო გენერალურმა პროკურორმა განუცხადა, რომ ქართული შეიარაღებული ძალები ამ სოფლებს, როგორც

¹²⁰¹ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 10.

¹²⁰² Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 61.

სამხედრო პოზიციებს, ისე იყენებდნენ.¹²⁰³ ეს ახსნა ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს მთლიანი სოფლების ინტენსიურ და სისტემატურ აოხრებას, რაც საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელმა საერთაშორისო საგამომიებო მისიამ იხილა. სხვადასხვა წყაროდან შეგროვებული მთელი ინფორმაცია მიუთითებს, რომ დამნაშავე იყო სამხრეთი ოსეთის შეიარაღებული ძალები და მილიცია და ამის მრავალი თვითმხილველი არსებობს. ეთნიკურად ქართული სოფლების მცხოვრებლებთან, როგორც უშუალო თვითმხილველებთან, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების, Human Rights Watch-ის¹²⁰⁴ და Amnesty International-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვები, აგრეთვე, თავად საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ შეგროვებული ინფორმაცია, ამყარებს ამ მოსაზრებას.

ეს კამპანია ცეცხლის შეწყვეტის გამო კი არ დასრულდა, არამედ გაძლიერდა. რაც შეეხება მიყენებული ზარალის ოდენობას, როგორც თვითმხილველების ნათქვამიდან, ასევე თანამგზავრიდან მიღებული გამოსახულებებიდან, ნათლად ჩანს, მრავალი სახლი გადაიწვა აგვისტოს ბოლო ორი კვირის მანძილზე და სექტემბერში.¹²⁰⁵

¹²⁰³ დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შემფასებელი მისია, ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), 27 ნოემბერი, 2008 წ., გვ. 42.

¹²⁰⁴ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 130.

¹²⁰⁵ მაგალითად, Amnesty International-მა, აღნიშნა, რომ „Amnesty International-ის, მიერ მოპოვებული თანამგზავრიდან მიღებული გამოსახულებები ადასტურებს, რომ სხვადასხვა დასახლებებში ინტენსიური ნგრევა გამოჩნდა ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ.“

მაროდობისა და გადაწვის შედეგები, ჩანს, რომ კონცენტრირებული იყო ცხინვალისა და ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით განლაგებულ, ძირითადად, ქართული მოსახლეობით დასახლებულ სოფლებში, რაც უკავშირდება დიმიტრი სანაკოვეის მეთაურობით თბილისის მიერ დაარსებულ ალტერნატიულ ადმინისტრაციასთან ასოცირებულ კონფლიქტს. კერძოდ, სოფლებს კეხვი, ქურთა, ქვემო აჩაბეთი, ზემო აჩაბეთი, თამარაშენი, ერგნეთი, ზერულა და ერედვი მძიმე ზარალი მიადგა. (...) სამხრეთი ოსეთის უმთავრესად, ქართველებით დასახლებულ სოფლებში სახლების და ქონების განადგურებას ადგილი ჰქონდა საომარი მოქმედებების შემდეგაც, და არა როგორც მათ პირდაპირ შედეგად. Amnesty International-ის, მიერ მეცნიერების მიღწევების ამერიკული ასოციაციიდან (American Association for the Advancement) მოპოვებულ თანამგზავრიდან მიღებულ გამოსახულებებზე ჩანს, რომ, მაგალითად, სოფელ თამარაშენს ზიანი 10 აგვისტოს მიადგა. ხოლო 19 აგვისტოს თანამგზავრულფოტოზე უკვე ჩანს, რომ განადგურება ძალზე ინტენსიურია, და თამარაშენში დანგრეულია 152 შენობა. იმ დროისათვის, როდესაც ამნესტი ინტერნეშნლ - ის წარგზავნილებმა შესძლეს აგვისტოს ბოლოსათვის ამ სოფლებში ჩასვლა, ისინი მთლიანად გაუკაცრიელებული დახვდა, და ძალიან ცოტა შენობა იყო გადარჩენილი,“ Amnesty International, სამოქალაქო პირები ცეცხლის ხაზზე - საქართველო - რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 40 - 41. აგრეთვე, იხ.: ჰიუმან რაითს ვოჩი (HRW), საქართველო: თანამგზავრული გამოსახულებები აჩვენებს განადგურებას, ეთნიკურ თავდასხმებს. იხილოთ საიტზე:

<http://www.hrw.org/en/news/2008/08/27/georgia-satellite-images-show-destruction-ethnic-attacks>

ეს აგრეთვე, დადასტურდა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის და სხვა ორგანიზაციების ექსპერტების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირებთან ჩატარებულ ინტერვიუებში. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემების გადამოწმება ვერ მოხერხდა, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიისა და სხვა ორგანიზაციების ექსპერტების მიერ აღებულ ინტერვიუში ერთმა პირმა აღნიშნა, რომ შემდგომში ზოგიერთი გადამწვარი სახლი დაანგრის, რათა დაემალათ თავად გადაწვის ფაქტი. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს დადასტურებულ განცხადებებთან, რომ მოგვიანებით, სექტემბერში, გადამწვარი სახლები „ბულდოზერებით დაანგრის.“¹²⁰⁶

საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიას აგრეთვე, სურს აღნიშნოს, რომ სამხრეთ ოსეთში სახლების გადაწვის კამპანიას თან ახლდა ძალადობის გამოვლინებაც, მაგალითად, მოკვლის მუქარით ადამიანებს არ აძლევდნენ ცეცხლის ჩაქრობის საშუალებას,¹²⁰⁷ ან ხალხს აიძულებდნენ ეცქირათ, როგორ იწვოდა მათი სახლები.¹²⁰⁸

საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისია ასკვნის, – იგივე განაცხადეს ადამიანის უფლებების შემფასებელმა მისიამ და Human Rights Watch-მა, რომ დაბომბვის შემდეგ, სამხედრო ფორმებში ჩაცმული სამხრეთ ოსები, აგრეთვე ოსი სამხედრო პირები, რომლებიც რუსული შეიარაღებული ძალების მოწინავე დანაყოფებს მიჰყვებოდნენ, აწარმოებდნენ მაროდიორობის სისტემატურ კამპანიას ძირითადად, ეთნიკურად ქართველებით დასახლებული სოფლების საცხოვრებელ სახლებსა და სამოქალაქო შენობებში. საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტის მიერ აღებული ინტერვიუებში დადასტურდა, რომ მცირედი გამონაკლისების გარდა, რუსული შეიარაღებული ძალები პირდაპირ არ მონაწილეობდა სოფლების განადგურებაში, გარდა ხანმოკლე პერიოდისა, აგვისტოს შუა რიცხვებში, მაგრამ არც არაფერს აკეთებდა, რომ ჩარეულიყო და შეეჩერებინა.

ბუფერულ ზონაში ქონების განადგურების საკითხთან დაკავშირებით, პირველ რიგში, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ ადგილებში განადგურების ორივე ტიპი (როგორც საომარი მოქმედებების მსვლელობის დროს, ასევე გამიზნული გადაწვების შედეგად) აღრიცხული იყო. საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტმა, 2009 წლის ივნისში კარალეთიდან

¹²⁰⁶ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 43.

¹²⁰⁷ მაგალითად, იხ.: დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შემფასებელი მისია, ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), 27 ნოემბერი, 2008 წ., გვ. 24.

¹²⁰⁸ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტის მიერ იძულებით გადაადგილებული პირისაგან აღებული ინტერვიუ.

კომპაში მიმავალ გზაზე მგზავრობის დროს, იხილა რამდენიმე სახლი, რომლებიც დაინგრა რუსული საჰაერო ბომბდამშენებისა და საარტილერიო ცეცხლის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ განადგურების ეს ფორმა თავისთავად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას არ წარმოადგენს, ზოგიერთი გარემოების გამო, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე ვიმსჯელებთ, წარმოადგენს განურჩეველ თავდასხმას. რაც შეეხება სახლების გადაწვას, ეუთოს ადამიანის უფლებების შემფასებელმა მისიამ, მათი მოგზაურობის დროს ბუფერულ ზონაში, დაითვალა დაახლოებით, 140 ცოტა ხნის წინ გადამწვარი სახლი, რომელთაგან არც ერთს არ ეტყობოდა ბრძოლების ნიშან-წყალი.¹²⁰⁹

ბუფერულ ზონაში გადაწვით განადგურებული სახლების რეალობის ყოველგვარი ეჭვის ქვეშ დაყენების გარეშე, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელ საერთაშორისო საგამოძიებო მისიას სურვილი აქვს იხილოს, რომ იმ სოფლებში მაინც, რომლებიც მისმა ექსპერტებმა მოინახულეს 2009 წლის ივნისში და მის მიერ ჩატარებული ინტერვიუების გაანალიზებით, მაროდინობისა და განადგურების ხასიათი ოდნავ განსხვავდება სამხრეთი ოსეთისაგან. პირველ რიგში, განადგურების მასშტაბები ისეთი ფართო არაა. სოფელ კარალეთში მოსახლეობამ აღნიშნა, რომ გადაიწვა 25 სახლი.¹²¹⁰ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გადაწვის მოტივები. მიუხედავად იმისა, რომ შურისძიება და კერძო მოტივები აგრეთვე, შეესაბამება სამხრეთი ოსეთის ეთნიკურად ქართული სოფლების გადაწვის მიზეზს, სოფლებში მხოლოდ შერჩეული სახლების განადგურება მიუთითებს უფრო მიზანმიმართულ ფორმაზე იმ ადგილებში, რომლებიც მოინახულა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელმა საერთაშორისო საგამოძიებო მისიამ. მისიის ექსპერტების ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, ჩანს, რომ იმ სახლების სია, რომლებიც უნდა გადაეწვათ, წინასწარ იყო განსაზღვრული. ზოგიერთი მოსახლის თქმით, ისინი მიხვდნენ, რომ სახლების განადგურება გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ მესაკუთრეს ჰყავდა ნათესავი პოლიციაში, რომელიც თითქოსდა, მონაწილეობდა ეთნიკური ოსების წინააღმდეგ განხორციელებულ აქტებში. მოხუცმა ქალმა, რომელიც თავის ოჯახთან ერთად, სოფელ კარალეთის განაპირას ცხოვრობდა, აგვიხსნა, რომ მისი სახლის წინ მდებარე სახლი ოსების ჯგუფმა გადაწვა იმის გამო, რომ მის მფლობელს ადრე ეთნიკური ოსებისათვის მოპარული ჰყავდა პირუტყვი. სახლების შერჩევით გადაწვის მსგავსი ფაქტები საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის ექსპერტებმა სოფელ ტყვიავშიც შეაგროვეს.

კიდევ ერთი ახსნა ამ უფრო შერჩევითი ძალადობისა, შეიძლება იყოს ოსებთან მრავალი შერეული ოჯახის არსებობა, რომელთაც ბუფერულ ზონაში მცხოვრები ნათესავები ჰყავთ. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ძალადობის სხვადასხვაგვარი ხასიათის გაცნობიერებით, მათი საქართველოში მომხდარი კონფლიქტის

¹²⁰⁹ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 27.

¹²¹⁰ 2009 წლის ივნისში ჩატარებული ინტერვიუ.

დამოუკიდებელ საერთაშორისო საგამომიებო მისიასთან შეხვედრისას, ამ არგუმენტით შეეცადნენ აეხსნათ მოცემული სიტუაცია.¹²¹¹

მიუხედავად იმისა, რომ ეს განსჯა ვერ იქნება განზოგადებული, გასათვალისწინებელია კონფლიქტის მსვლელობის დროს, ძალადობის ხასიათის განხილვისას, „განსაკუთრებით ქონებრივ უფლებებთან მიმართებაში. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გაპიროვნებული შურისძიების ამ ასპექტს და ის არ უნდა მიიჩქმალოს უფრო ზოგადი მიმართულებებით. იმისათვის, რომ მნიშვნელობა შეიძინოს კონფლიქტის შემდგომმა ყოვლისმომცველმა გადაწყვეტილებებმა, ყურადღება უნდა მიექცეს არსებულ დაძაბულობას და ძალადობის სხვადასხვა ტიპებს.

სამხედრო ფორმებში ჩაცმული სამხრეთ ოსები, აგრეთვე ოსი სამხედრო პირები, რომლებიც რუსული შეიარაღებული ძალების მოწინავე დანაყოფებს მიჰყვებოდნენ, აწარმოებდნენ მაროდიორობის სისტემატურ კამპანიას ძირითადად, ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფლების საცხოვრებელ სახლებსა და სამოქალაქო შენობებში, ე.წ. ბუფერული ზონის ჩათვლით.

მცირედი გამონაკლისების გარდა, რუსული შეიარაღებული ძალები პირდაპირ არ მონაწილეობდა სოფლების განადგურებაში, გარდა ხანმოკლე პერიოდისა აგვისტოს შუა რიცხვებში, მაგრამ არც არაფერს აკეთებდა, რომ ჩარეულიყო და შეეჩერებინა ის.

h) კანონისა და მართლწესრიგის შენარჩუნება

სამხედრო ოკუპაციის შესახებ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, ძალა, როდესაც ის მოუპოვებს ძალაუფლებას რაიმე ტერიტორიაზე, ვალდებული ხდება თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, მიიღოს ყველა ზომა, რათა აღდგენილი და უზრუნველყოფილი იქნას, რამდენადაც ეს შესაძლებელია, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.¹²¹² უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოიცავს ინდივიდების საკუთრების დაცვას ანგარიშსწორებისა და შურისძიებისაგან.¹²¹³

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კანონი „ოკუპაციის შესახებ“ ვერ მიესადაგება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება დაიცვან მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირები და ხელი შეუშალონ მათ მიმართ ძალადობას.

¹²¹¹ 2009 წლის 4 ივნისის შეხვედრა.

¹²¹² კონვენციის (IV) მუხლი 43 სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვევების შესახებ და მისი დანართი: რეგულაციები ომის კანონებისა და ჩვევების შესახებ, ჰააგა, 18 ოქტომბერი, 1907 წ.

¹²¹³ კონვენციის (IV) მუხლი 46 სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვევების შესახებ და მისი დანართი: რეგულაციები ომის კანონებისა და ჩვევების შესახებ, ჰააგა, 18 ოქტომბერი, 1907 წ. დამატებითი ოქმის I მუხლის 87(1) მიხედვით, „მაღალი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებმა კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა უნდა მოთხოვონ სამხედრო მეთაურებს, მათი მეთაურობის ქვეშ მყოფი შეიარაღებული ძალების წევრების და მათი კონტროლის ქვეშ მყოფი სხვა პირების მიმართ პატივისცემით, ხელი შეუშალონ, და, როდესაც აუცილებელია, ჩაახშონ და მოახსენონ სათანადო ორგანოებს [1949] კონვენციისა და მისი ოქმის დარღვევების შესახებ.“

საქართველოში მომხდარი კონფლიქტის კონტექსტში, კანონისა და მართლწესრიგის შენარჩუნების საკითხი და შესაბამისად, ამგვარ შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი ორგანოების საკითხი, ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, კონფლიქტის მსვლელობის დროს და მის შემდეგ, გარკვეულ ტერიტორიებზე კონტროლი შეიცვალა: სამხრეთი ოსეთის სოფლებში ან რაიონებში, რომლებიც ადრე საქართველოს ხელისუფლების მიერ იმართებოდა, აგრეთვე, ბუფერულ ზონაში და აფხაზეთში, კოდორის ხეობაში. მაგრამ ეს აგრეთვე ეხება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის იმ ნაწილებსაც, სადაც კონფლიქტის დაწყებამდე კონტროლს დე ფაქტო ხელისუფლებები ახორციელებდნენ. მეორე, რუსული შეიარაღებული ძალების ყოფნა ამ ტერიტორიებზე წამოწევს მათი პასუხისმგებლობის საკითხს, იქნება ეს „ოკუპაციის შესახებ; კანონის თუ ადამიანის უფლებების კანონის ფარგლებში. მესამე, სხვადასხვა ძალადობრიდან მრავალი, თუ უმრავლესობა არა, წარმოიშვა კონფლიქტის შემდეგ. იმ დროს, როდესაც უმთავრესი საკითხი უნდა ყოფილიყო პოლიციის მუშაობა და მართლწესრიგის შენარჩუნება, რათა ხელი შეეშალათ ან შეეჩერებინათ მსგავსი ძალადობები. იმ საკითხისაგან განცალკევებით, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი საზოგადოებრივი მართლწესრიგის შენარჩუნებასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ამ მიმართულებით სრული ვაკუუმი.

ერთ-ერთი ყველაზე შემაშფოთებელი ადგილი იყო ბუფერული ზონა. გენერალური მდივნის წარმომადგენელმა იძულებით გადაადგილებული პირების ადამიანის უფლებების საკითხებში განაცხადა, რომ „ე. წ. ბუფერულ ზონაში მისი ვიზიტისას, იხილა საკუთრების ფართოდ გავრცელებული ძარცვის მტკიცებულებები და მოუსმინა სოფლის მცხოვრებლებს, რომელთაც უამბეს შეიარაღებული ელემენტების მხრიდან განხორციელებული შეურაცხყოფისა და ძალადობის საფრთხეებზე რუსულ შეიარაღებულ ძალებთან ერთად, რომლებიც არაფერს აკეთებდნენ რეაგირებისათვის და არ ასრულებდნენ თავის მოვალეობას დაეცვათ, განსაკუთრებით, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან დე ფაქტო საზღვართან მიმდებარე ყველაზე ჩრდილოეთი ტერიტორიები. სოფლის მოსახლეობამ ახსნა თავდასხმის გამუდმებული შიში იმ შეიარაღებული ბანდიტების არსებობით, რომლებიც მოდიოდნენ ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან და უამბეს თავისი განმეორებითი, მაგრამ წარუმატებელი თხოვნების შესახებ რუსული შეიარაღებული ძალებისადმი, დაეცვათ ისინი. სოფლის მოსახლეობა დაჟინებით იმეორებდა, რომ ერთი და იგივე სოფელში, მეზობლებს შორის არანაირი პრობლემა არ არსებობდა, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმოშობისა, მაგრამ ბოროტმოქმედები მოდიოდნენ სოფლის გარედან, ანუ ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან.“¹²¹⁴ 2008 წლის სექტემბერში ადამიანის უფლებების ევროპის კომისრის საბჭომ აგრეთვე, აღნიშნა, რომ „ჩრდილოეთ ნაწილში, ანუ სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე, კვლავ არის ძარცვის, გადაწვისა და დაშინების შემთხვევები და ძალიან ცოტა ადამიანია ისეთი,

¹²¹⁴ იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების საკითხებზე გენერალური მდივნის წარმომადგენლის ანგარიში, უოლტერ კალინი; A/HRC/10/13, 13 თებერვალი, 2009, პარაგრაფი 44.

ვისაც კვლავ შეუძლია დაბრუნება.“¹²¹⁵ ადამიანის უფლებების ევროპის კომისრის საბჭოს მისიამ, თავისი სპეციალური მისიის შემდეგ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში, 2008 წლის 22-29 აგვისტოს, ყურადღება გაამახვილა „არაკანონიერებისა და საზოგადოებათა შორის ძალადობისაგან დაცულობის უფლებაზე.“ მან აღნიშნა, რომ „მიიღო დიდი რაოდენობით შეტყობინებები ფიზიკური ძალადობის, ყაჩაღობის, გამოსასყიდის მიღების მიზნით, ადამიანების გატაცების, სახლების ძარცვისა და გადაწვის და ფიზიკური გაუპატიურების შემთხვევების შესახებ, სამხრეთ ოსეთის მილიციის ან სხვა შეიარაღებული კაცების მხრიდან, სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებში და „ბუფერულ ზონაში.“¹²¹⁶ შემდგომში მან განაცხადა, რომ „ის გაფრთხილებული იყო „ბუფერულ ზონაში“ გამძვინვარებული კრიმინალის შესახებ.“¹²¹⁷

მიუხედავად იმისა, რომ ის უარყოფს ოკუპანტი ძალის სტატუსს, რუსეთის ფედერაცია აცნობიერებს, რომ მან სცადა ხმელეთზე გამოეყენებინა პოლიციის ძალაუფლება. „მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვის, მაროდორობისაგან, ძალადობისაგან და ა. შ. დაცვის მიზნით, საომარი მოქმედებების ფარგლებს გარეთ მიღებული ზომების“ შესახებ სიტუაციას ის შემდეგნაირად აღწერს „პოლიციის ფუნქციასთან“ მიმართებაში:¹²¹⁸

„სამხრეთ ოსეთს ჰყავდა და კვლავაც ჰყავს საკუთარი მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც თავის ქვეყანაში ახორციელებს ეფექტიან კონტროლს, ინარჩუნებს კანონის უზენაესობას და იცავს ადამიანის უფლებებს. ამავდროს, რუსული სამხედრო კონტინგენტი გამოძახებული იყო მხოლოდ სუფთა სამხედრო მოვალეობების შესასრულებლად სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, მათი შესაძლებლობების საუკეთესო გამოვლინებით, კანონისა და მართლწესრიგის შესანარჩუნებლად და მათი განთავსების ადგილებში ნებისმიერი სახის სამართალდარღვევის აღსაკვეთად, თვით საქართველოს ჩათვლით, სადაც, საქართველოს მთავრობის ხელისუფლების უკუქცევის შედეგად, შეიქმნა აშკარა ვაკუუმი პოლიციის ყოფნის მხრივ. რუსული სამხედრო ძალები ვერ ჩაანაცვლებდა სამხრეთ ოსეთის მთავრობას. რუსეთის შეიარაღებულ ძალებს არასოდეს ჰქონიათ მინიჭებული კანონის უზენაესობის შენარჩუნების იურისდიქცია, არაფერი რომ ვთქვათ, რომ მათი სრული რაოდენობა არ არის საკმარისი დავალების შესასრულებლად. მიუხედავად ამისა, რუსულმა ჯარებმა დააკავა 250-ზე მეტი ადამიანი, რომლებიც ეჭვმიტანილები იყვნენ ძარცვასა და სხვა სახის დანაშაულებებში. ყველა მათგანი გადაეცა სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას შემდგომი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისათვის.“¹²¹⁹

¹²¹⁵ სპეციალური მისია საქართველოში სამხრეთი ოსეთის ჩათვლით, ციტირებული დოკუმენტი, გვ. 3.

¹²¹⁶ ადამიანის უფლებები სამხრეთი ოსეთის კონფლიქტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში, სპეციალური მისია საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში, ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 87, გვ. 16.

¹²¹⁷ იქვე, პარაგრაფი 88, გვ. 16.

¹²¹⁸ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 6.

¹²¹⁹ იქვე, გვ. 7 - 8.

ის არგუმენტი, რომ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება იქნება საყრდენი საზოგადოებრივი წესრიგი დაცვასა და ადამიანის უფლებების დარღვევის აღკვეთის საქმეში, საკმაოდ არადამაჯერებლად ჟღერს. პირველ რიგში, ამ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები პირების უსაფრთხოება, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები. ამას დამატებით ამყარებს ის ფაქტიც, რომ ოსებს არც უცდიათ დაცვა. ცხინვალის დაქვემდებარებაში მყოფი და ქართული სოფლებით გარშემორტყმული სოფელ ზონკარის – პატარა ლიახვის ხეობაში მდებარე პატარა დასახლების დარჩენილი ორი მცხოვრებლიდან ერთმა Human Rights Watch-ს უამბო, როგორ გაძარცვეს ოსური სამშვიდობო ძალების ფორმაში ჩაცმულმა კაცებმა მისი სახლი და შეეცადნენ გადაეწვათ იგი. ქალმა თქვა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მან აცნობა პოლიციას ინციდენტის შესახებ, გამოსაძიებლად მის სახლში სამხრეთ ოსეთის პროკურატორიდან არც ერთი ოფიციალური პირი არ მისულა.¹²²⁰ კიდევ უფრო შემაშფოთებელია, რომ ოსური შეიარაღებული ძალები თავად იყვნენ ბოროტმოქმედთა და ადამიანის უფლებების დამრღვევთა შორის.

უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციის მიერ ბუფერულ ზონაში, სადაც სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება კონტროლს არ ახორციელებდა, დაკავებული პოზიციები სრულიად მიუღებელია.

რუსული არგუმენტაციის კიდევ ერთი ასპექტი საჭიროებს შემდგომ გაანალიზებას. რუსეთი აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის არ წარმოადგენდა ოკუპანტ ძალას, „რუსული სამხედრო კონტინგენტი გამოძახებული იყო მხოლოდ სუფთა სამხედრო მოვალეობების შესასრულებლად, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, მათი შესაძლებლობების საუკეთესო გამოვლინებით. კანონისა და მართლწესრიგის შესანარჩუნებლად და მათი განთავსების ადგილებში ნებისმიერი სახის სამართალდარღვევის აღსაკვეთად, თვით საქართველოს ჩათვლით, სადაც საქართველოს მთავრობის ხელისუფლების უკუქცევის შედეგად, შეიქმნა აშკარა ვაკუუმი პოლიციის ყოფნის მხრივ.“ პირველ რიგში, ის აღიარებს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან წესრიგის შენარჩუნების კონტროლის არარსებობას. მეორე და უმთავრესი, მან ნათლად განაცხადა, რომ რუსული შეიარაღებული ძალები, გარკვეულ ფარგლებში, ეფექტურად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მართლწესრიგი და უსაფრთხოება. შემდგომში რუსეთმა მის მიერ ჩატარებული ქმედებებზე შემდეგი განაცხადა: „ოპერაციის დაწყების პირველივე დღიდან, რუსულმა სამხედრო მთავრობამ მიიღო მრავალმხრივი ზომები, რათა აღეკვეთა ძარცვა, გადაწვა და უკანონო ქმედებები ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მიმართ. მთელი პერსონალი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ოპერაციაში, გაცნობილი იყო რუსული შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განკარგულებას და არმიის მთავარსარდლის ბრძანებას საზოგადოებრივი

¹²²⁰ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 144.

უსაფრთხოების შენარჩუნებისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფის შესახებ.“

„რუსული ჯარები, სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავ და სამხედრო შენაერთებთან ერთად, ქართულ სოფლებში ახორციელებდა დაზიანებას გადარჩენილი სახლებისა და მიწის ნაკვეთების 24-საათიან დაცვას. ამავე დროს, უზრუნველყოფდა სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა უსაფრთხოებას და დაცვას, მიუხედავად, მათი ეთნიკური წარმომავლობისა.“¹²²¹

უპირველეს ყოვლისა, ეს ეწინააღმდეგება ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც „ოქტომბერში, ევროპის საბჭოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, რომელმაც ისურვა ანონიმურობის დაცვა, უამბო Human Rights Watch-ს, რომ მაღალი თანამდებობის რუსმა სამხედრო პირმა რეგიონში მას უთხრა, – სამხედროებს არ მიუღიათ არანაირი ბრძანება მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ.“¹²²²

საზოგადოდ, ეს ელემენტები გარკვეულწილად გვიჩვენებს, რომ რუსული შეიარაღებული ძალები იყო იმ პოზიციებზე, რომ მათ უნდა უზრუნველყოთ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება იმ ტერიტორიებზე, სადაც იყვნენ განლაგებულნი და როგორც აცხადებენ, მიიღეს დამატებითი ზომები ამ მიმართულებით. ეს სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რაც ადგილზე ხდებოდა. რუსული ჯარების მხრიდან იყო იმ ქმედებების სერიოზული ნაკლებობა, რაც აღკვეთავდა ძალადობას და დაიცავდა ეთნიკურ ქართველებს.

ერთ-ერთი უმთავრესი ზომა, რაც რუსულმა ძალებმა მიიღეს, იყო გზებზე ბლოკ-პოსტებისა და საკონტროლო პუნქტების მოწყობა. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, Human Rights Watch-მა აღნიშნა, რომ „13 აგვისტოს, რუსული შეიარაღებული ძალების მიერ მოწყობილმა ბლოკ-პოსტებმა ეფექტურად შეაჩერა ოსური შეიარაღებული ძალების მიერ წარმოებული ძარცვისა და გადაწვის კამპანია, მაგრამ, სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ, მოულოდნელად, ეს ბლოკ-პოსტები აღებულ იქნა.“¹²²³

როგორც Human Rights Watch-მა შენიშნა, სოფელ ტყვიავის, ცხინვალიდან სამხრეთით, 12 კილომეტრზე მდებარე სოფლის, რომელიც განსაკუთრებით მძიმე დარტყმის ქვეშ მოექცა სამხრეთ ოსების მძარცველების მხრიდან, ორმა მცხოვრებმა თქვა, რომ ძარცვამ იკლო მას შემდეგ, რაც რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა სოფელში საკონტროლო პუნქტი მოაწყვეს, მაგრამ მაროდორები განაგრძობდნენ ღამდამობით მოსვლას. უფრო მეტიც, ტყვიავის რამდენიმე მოსახლემ უთხრა Human Rights Watch-ს, რომ მათ სჯერათ,

¹²²¹ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 11.

¹²²² Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 124.

¹²²³ იქვე, გვ. 9.

რომ რუსული შეიარაღებული ძალების ან ქართული პოლიციის უფრო ხშირი პატრულირება ამ მიდამოებში უსაფრთხოებას გააძლიერებდა. თვითმხილველმა უთხრა Human Rights Watch-ს, რომ მძარცველებს ეშინოდათ რუსებთან გადაწყდომის და მათ ემალებოდნენ,“ და ივარაუდა, Human Rights Watch-ის აზრით, რომ უფრო ეფექტიანი იქნებოდა, თუ რუსული შეიარაღებული ძალები მეტ პრევენციულ ზომებს მიიღებდნენ სამოქალაქო პირების მიმართ ძალადობის შესაჩერებლად.¹²²⁴

ამ მხრივ, რუსული ჯარების მიერ მიღებული სხვა ზომები მოიცავდა პატრულირებას და მოსახლეობის ინფორმირებას, ისინი, აგრეთვე, სოფლის მცხოვრებლებს აძლევდნენ ტელეფონის ნომრებს, თუ შეესწრებოდნენ ძალადობის რაიმე სახით გამოვლინებას, მათ შეეძლოთ დაკავშირებოდნენ რუსულ სამხედრო ხელმძღვანელობას. ამ ზომებთან დაკავშირებით, ტყვიავის ყოფილმა გამგებელმა, 3 ივნისს, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტს უთხრა, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ მათ დახმარება შესთავაზა, კონკრეტულად, ბევრი არაფერი გაუკეთებიათ ძარცვის შესაჩერებლად.

ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს შევნიშნოთ, რომ რუსული შეიარაღებული ძალების მიერ გატარებული ისეთი ზომები, როგორცაა, საკონტროლო პუნქტების მოწყობა, მიღებული იყო, როგორც სამხრეთ ოსეთის მილიციის მხრიდან ძალადობის აღკვეთის, და შესაბამისად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პატივისცემის უზრუნველყოფის საშუალება. უცნაურია, მაგრამ საკონტროლო პუნქტების ერთი შედეგი ის იყო, რომ ისინი ხელს უშლიდა ქართულ პოლიციას იმ ადგილებში კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვაში,¹²²⁵ და ზოგ შემთხვევაში, აჩერებდა სოფლის მოსახლობას გორიდან შინ, „ბუფერული ზონის“ სოფლებში დაბრუნებისაგან, მაშინ, როდესაც რუსეთი განაგრძობდა საუბარს უკანონობაზე.¹²²⁶

მეორე მხრივ, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის და Human Rights Watch-ის¹²²⁷ მიერ შეგროვებული მტკიცებულებების მიხედვით, ისინი ასევე, ამბობენ, რომ რუსეთის სახმელეთო ჯარები ცდილობდნენ დაეცვათ მოსახლეობა ოსური შეიარაღებული ძალების, მილიციის წევრების ან კრიმინალური ელემენტებისაგან.

მიუხედავად ამისა, ყველა მტკიცებულებიდან გამომდინარეობს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ არ მიიღო ყველა საჭირო ზომა, რათა აღეკვეთა ან შეეჩერებინა ძარცვის,

¹²²⁴ იქვე, გვ. 126.

¹²²⁵ იქვე, გვ. 126.

¹²²⁶ გაეროს ლტოლვილების უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), „სიტუაცია გორიდან ჩრდილოეთით არის გაუარესებული, საგანგებო ოპერაცია საქართველოში, განახლებული მონაცემები, 27 აგვისტო, 2008, <http://www.unhcr.org/news/NEWS/48b55da74.pdf>.

¹²²⁷ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 125.

გადაწვისა და სხვა სერიოზული ძალადობების ფართომასშტაბიანი კამპანია, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ გაჩაღდა.¹²²⁸

თუ მივუბრუნდებით აგვისტოს ბოლოს განვითარებულ სიტუაციას, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისარმა აგრეთვე, აღნიშნა, რომ „რუსულ შეიარაღებულ ძალებს ჰქონდათ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული ვალდებულება, დაეცვათ კანონი და მართლწესრიგი მათ მიერ კონტროლირებულ ზონაში,“ და მან „გამოთქვა სერიოზული შემფოთება ნებისმიერ მხარეს სამოქალაქო პირების უსაფრთხოების შესახებ.“ მან შენიშნა, რომ რუსული სამშვიდობო ძალების უფროსი და სხვა მაღალი დონის რუსი ოფიციალური პირები „აცნობიერებდნენ, რომ მათთვის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს წესრიგის დაცვის კონტროლი და კანონიერების შენარჩუნება. თუ მათ დავესესხებით, ტერიტორია გაიწმინდა მაროდირებისაგან, კრიმინალური ელემენტებისა და მილიციისაგან, რომელიც სერიოზულ დანაშაულებს ჩადიოდა.“¹²²⁹

2008 წლის სექტემბერში, როგორც კანონისა და მართლწესრიგის სწორად დაცვის ჩავარდნის გამოსწორების საშუალება, Human Rights Watch-მა სთხოვა ევროკავშირს, მიევიწყა მონიტორინგის მისია სამხრეთ ოსეთის მახლობლად, წესრიგის დაცვის კონტროლის მანდატით, სამოქალაქო პირების დასაცავად.¹²³⁰

¹²²⁸ როგორც Amnesty International-მა, ხაზგასმით აღნიშნა, როდესაც განასხვავებდა სამხრეთ ოსეთსა და ბუფერულ ზონას:

„როგორც ოკუპანტი ძალას, რუსეთის არმიას ევალეზოდა, დაეცვა სამოქალაქო პირები და სამოქალაქო საკუთრება მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ადგილებში. და თუკი ეს პრაქტიკულად რთულად განსახორციელებელი იყო კონფლიქტის პირველ დღეებში, როდესაც რუსული შეიარაღებული ძალები კვლავ ებრძოდნენ ქართულ არმიას, ეთნიკური ქართველების მარცვა და მათი საკუთრების განადგურება, აგრეთვე სამხრეთ ოსეთსა და „ბუფერულ ზონაში“ დარჩენილი ქართველების დამინება ფართო მასშტაბებით გრძელდებოდა საომარი მოქმედებების ფორმალური შეწყვეტიდან რამოდენიმე კვირის შემდეგაც კი. აშკარაა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ვერ გაართვა თავი თავის მოვალეობას სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალებისა და მილიციის შენაერთების მიერ ჩატარებული მარცვისა და ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევების აღკვეთის საქმეში. „ბუფერულ ზონებში“ რუსეთი შებოჭილი იყო თავისი, როგორც ოკუპანტი ძალის, ჟენევის მეოთხე კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებებით. ეს ნიშნავს, რომ ის იყო უმთავრესი პასუხისმგებელი იმ ადგილებში მყოფი ქართველი სამოქალაქო პირების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე. სამხრეთ ოსეთში, სადაც ის ფორმალურად არ იყო ოკუპანტი ძალა, ის მაინც იყო შებოჭილი თავისი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებებით, რომ პატივი სცეს და დაიცვას ყველა იმ პირის უფლებები, რომლებიც მისი ეფექტური კონტროლის ქვეშ არიან,“ Amnesty International, სამოქალაქო პირები ცეცხლის ხაზზე - საქართველო-რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 32.

¹²²⁹ ადამიანის უფლებები სამხრეთი ოსეთის კონფლიქტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში, სპეციალური მისია საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში, ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 89, გვ. 16.

¹²³⁰ Human Rights Watch, „საქართველო: ევროკავშირის მისიის აუცილებლობა სამოქალაქო პირების დასაცავად - უშიშროების ვაკუუმში, ხშირი თავდასხმები და გავრცელებული შიში“ („Georgia: EU Mission Needs to Protect Civilians – In Security Vacuum, Frequent Attacks and Pervasive Fear“), 15 სექტემბერი, 2008, <http://www.hrw.org/en/news/2008/09/15/georgia-eumission-needs-protect-civilians>

რუსეთის და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებებმა ვერ მოახერხეს კანონისა და მართლწესრიგის შესანარჩუნებლად საჭირო ყოვლისმომცველი ზომების მიღება და სამოქალაქო პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც ეს მათ მოეთხოვებოდათ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების სამართლის მიხედვით.

C. დაკარგული და გარდაცვლილი ადამიანები

დამატებითი ოქმის I, მუხლში 33(1) მოცემულია კონფლიქტში მონაწილე თითოეული მხარის ვალდებულება, მოძებნოს პირები, რომლებიც დაკარგულად არიან გამოცხადებულნი. მიუხედავად იმისა, რომ დამატებითი ოქმი II არ შეიცავს დებულებებს დაკარგული პირების შესახებ, აღიარებულია, რომ ზოგადი ვალდებულებაა, რომ დაკარგული პირები უნდა იყვნენ აღრიცხული და ინფორმაცია გადაცემული, როგორც მიესადაგება როგორც საერთაშორისო, ასევე არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ჩვეულებითი სამართლის კვლევამ განსაზღვრა წესი, რომლის მიხედვით, „კონფლიქტის თითოეულმა მონაწილემ უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა აღრიცხოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაკარგულად მიჩნეული პირები და მათ ოჯახის წევრებს მიაწოდოს მის ხელთ არსებული მთელი ინფორმაცია.“¹²³¹

ისევე, როგორც დაკარგული პირების შემთხვევაში, ოჯახებს უნდა ეცნობოს, თუ მათი ნათესავი გარდაიცვალა. ორი ძირითადი ვალდებულება – გარდაცვლილების მოძიება და მათი დაცვა მარცვისა და ცუდად მოპყრობისაგან – კიდევ ერთხელ არის ჩამოყალიბებული ჟენევის კონვენციებში I, II და IV (1949). დამატებითი II ოქმის მუხლი 8(2) აგრეთვე, შეიცავს გარდაცვლილების მოძიებისა და მარცვისა და ცუდად მოპყრობისაგან მათი დაცვის ვალდებულებებს. ამ ვალდებულებებთან თანხმობა არის შემდგომი იმ ვალდებულებების წინაპირობა, რომელიც ითვალისწინებს ნეშტის დაბრუნებას და იძლევა ღირსეულად დაკრძალვას.¹²³²

დაკარგული პირების საკითხი უწყვეტია და ის, განმარტების მიხედვით, ვერ შემოიფარგლება აგვისტოს კონფლიქტით. სწორედ ამიტომ, ის აგრეთვე, უკავშირდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის 1990-იანი წლების დასაწყისის კონფლიქტს. მაგალითად, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ განაცხადეს, რომ:

„1992-1993 წლების ომის შემდგომ, შეიქმნა სპეციალური კომისია დაკარგული პირებისათვის. ანალოგიური კომისია შექმნა საქართველოს ხელისუფლებამაც. ორივე მხარე აქტიურად თანამშრომლობდა და ცდილობდა ისინი ამოეცნო. მოკლული პირების

¹²³¹ ოს.: წესი 117, ოს.: ჯ-მ. ჰენკაერტსი, ლ. დოსვალდ-ბეკი (გამომცემლები). ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (J-M. HENCKAERTS, L. DOSWALD-BECK (eds), Customary International Humanitarian Law), ტ. I, ციტირებული დოკუმენტი., გვ. 421.

¹²³² იქვე, ოს.: წესები 111-116, გვ. 406-420.

გვამების ამოსაცნობად მოწვეული იყვნენ ექსპერტები. საწყის ეტაპებზე თანამშრომლობა შედარებით ეფექტიანი იყო; თანდათანობით, კომისიების მუშაობის ინტენსიურობა დაეცა, დღეისათვის, როგორც აფხაზეთის, ასევე საქართველოს მხარეს, განისაზღვრა დაკარგული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ მათ ოდესმე იპოვნიან. აფხაზეთის მხარეს სჯერა, რომ ეს ადამიანები, უფრო მოსალოდნელია, რომ გარდაცვლილები არიან.¹²³³

მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად არ არის განსაზღვრული აგვისტოს კონფლიქტის შედეგად დაკარგულად მიჩნეული პირების ზუსტი რაოდენობა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა განაცხადა შემდეგი:

„ადამიანები, რომლებიც ეძებენ დაკარგულ ნათესავებს, დაუკავშირდნენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ცხინვალში, გორში, თბილისსა და მოსკოვში. ამჟამად 37 ოჯახია, რომელთაც კვლავ არ აქვთ ცნობები საყვარელი ადამიანების შესახებ. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი იკვლევს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევას იმ პირებისათვის, რომლებიც კონფლიქტის დროს და მის შემდეგ დაიკარგნენ, სათანადო ორგანოებთან და კონფიდენციალურობის დაცვით. ამასთან, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სასამართლო ექსპერტიზის სპეციალისტი იმყოფება თბილისში, რათა დაეხმაროს ხელისუფლებას გვამების ამოცნობაში. რეგიონში წინა კონფლიქტების შედეგად დარჩენილი კიდევ, 1900-ზე მეტი ადამიანი ითვლება დაკარგულად.¹²³⁴

2009 წლის ივნისში, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის კითხვარზე გაცემულ პასუხებში, საქართველომ მოიშველია სტატისტიკა და დაკარგული ქართველების შესახებ მისცა შემდეგი ინფორმაცია: „საქართველოსა და რუსეთს შორის მომხდარი კონფლიქტის შედეგად დაკარგულია 19 სამოქალაქო პირი. ამ პირების ოჯახებს დაეხმარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და მიიყვანა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დნმ-ის ანალიზის ჩასატარებლად, მათი დაკარგული ნათესავების გვამების ამოცნობის მიზნით. ამის შედეგად ამოცნობილი იქნა 2 დაკარგული პირი.“¹²³⁵ საქართველომ აგრეთვე, აღნიშნა, რომ „კვლავ დაკარგულად ითვლება პოლიციის 3 ოფიცერი და 10 სამხედრო პირი.“¹²³⁶

¹²³³ აფხაზეთის ხელისუფლება. პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (სამართლებრივი ასპექტები) (Abkhaz authorities, Responses to Questions Posited by the IIFFMCG (Legal Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 9.

¹²³⁴ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, „დასავლეთი/ცენტრალურისაქართველო და სამხრეთი ოსეთი: ყველაზე შეჭირვებულთა დახმარება“, საოპერაციო განახლება, 20-03-2009, შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: <http://www.icrc.org/Web/eng/siteeng0.nsf/html/georgia-update-200309>.

¹²³⁵ საქართველო, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები, კითხვა 8), მიეწოდა 2009 წლის 5 ივნისს (Georgia, Responses to Questions Posited by the IIFFMCG (Humanitarian Aspects, Question 8)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 2.

¹²³⁶ იგივე.

რუსეთის ფედერაციამ განაცხადა, „იმისათვის, რომ გაირკვეს დაკარგული პირების ბედი, აგრეთვე იმ პირებისაც, ვინც დაიღუპა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული სადაზვერვო სამსახურების მიერ მოწყობილი ტერორისტული შეტევების შედეგად, რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურიდან მიღებული იურიდიული დახმარების თხოვნის საპასუხოდ, შექმნა საგამომიებო კომიტეტი.“¹²³⁷ მიუხედავად იმისა, რომ ეს ინიციატივა მისასალმებელია, უნდა ითქვას, რომ ხსენებულ განცხადებაში მოხსენიებულია მხოლოდ სამხრეთ ოსეთში ჩატარებული აქტების შედეგად დაკარგული პირები. ეს ინიციატივა უნდა მოიცავდეს ყველა დაკარგულ პირს.

არსებობს მონაცემები იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ, რომელთა ბედი ამ ანგარიშის დაწერის პერიოდისათვის, მათი ნათესავებისათვის უცნობი იყო ან რომელთა შესახებ მათ მიიღეს დაუდასტურებელი ცნობები, რომ ისინი გარდაიცვალნენ, მაგრამ მათი ცხედრების დაბრუნება ვერ მოახერხეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ მოახერხეს კონფლიქტის ზემოქმედება – განცდილი მხოლოდ რამდენიმე პირისაგან ინტერვიუს აღებით, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელმა საერთაშორისო საგამომიებო მისიამ მოუსმინა ორ ეთნიკურად ქართველ მოწმეს: ქალს სოფელ აჩაბეთიდან, რომლის ქმრის ცხედარი ამოიგნო ქმრის ძმამ, მაგრამ ცხედარი მას არ დაუბრუნა; და, მეორე ქალი აჩაბეთიდან, რომელმაც არაფერი იცოდა თავისი ძმის შესახებ.

Human Rights Watch-ის მიერ გამოყოფილი კიდევ ერთი შემთხვევა განსაკუთრებული შემწვანების საფუძველს ქმნის. ამ ორგანიზაციის მკვლევარებს ოსი ეროვნების ტაქსის მძღოლმა უამბო, რომ მისი მეგობარი, სოფელ ქვემო აჩაბეთის მკვიდრი და მეგობრის ცოლი გასროლით მოკლა უცნობმა პირმა 13-16 აგვისტომდე პერიოდში. მკვლევარები მასთან ერთად წავიდნენ მათი საფლავის ფოტოს გადასაღებად, მაგრამ ნახეს, რომ საფლავები ამოთხრილი იყო, ხოლო გვამები ადგილზე არ იყო.“¹²³⁸

აგრეთვე, აღსანიშნავია მისასალმებელი ქმედებებიც. ეუთო-ს ადამიანის უფლებების შემფასებელი მისიის მიხედვით, „სოფელ ქურთაში მცხოვრებმა ქალმა აღნიშნა, რომ მას სმენია, რომ ზოგჯერ რუსი ჯარისკაცები ეხმარებოდნენ ადამიანებს სოფლებში დაბრუნებაში, რათა დაკარგული ადამიანები ეპოვათ.“¹²³⁹

¹²³⁷ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 13 და 14.

¹²³⁸ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 143 და სქოლიოში შენიშვნა #396.

¹²³⁹ დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შემფასებელი მისია, ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), 27 ნოემბერი, 2008 წ., გვ.49.

კონფლიქტის შედეგად დაკარგული პირების საკითხი, თვითნებური დაკავების შესახებ სიტყვიერი მტკიცებუებისა და მძევლად აყვანის პრევენციის საკითხებთან ერთად, კვლავ გრძელდება ამ ანგარიშის დაწერის დროისათვის და ყველა მხარეს შორის წინააღმდეგობრივ შეხედულებებს აღძრავს.¹²⁴⁰ ამრიგად, ეს საკითხები, ფაქტების დამდგენი მისიის პრობლემის წყაროა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ოჯახების მიერ გადატანილ პრობლემებს ნათესავის დაკარგვით ან მათი ბედის გამო, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კონფლიქტის მხარემ შეასრულოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიერ დაკარგულ ან გარდაცვლილ პირებთან დაკავშირებული მათზე დაკისრებული ვალდებულებები. აუცილებელია, გავიხსენოთ ყველა მხარეს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობა ამ საკითხის გადასაჭრელად, ერთობლივი მექანიზმების შემქნის ჩათვლით.

D. იძულებითი გადაადგილება

2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მის შემდეგ, გადაადგილების საკითხი მრავალწახნაგოვანია და რამდენიმე სხვადასხვა შრისაგან შედგება. გამართულებელი ფაქტორი გადაადგილებულ პირთა დაცვის კუთხით, არის ის, რომ როგორც სამხრეთ ოსეთში გაეროს უწყებათაშორისმა შემფასებელმა ჰუმანიტარულმა მისიამ ხაზგასმით აღნიშნა, „1991 – 92 წლების პირველი კონფლიქტის შემდეგ მრავალი ადამიანი ცხოვრობდა სამხრეთ ოსეთში, როგორც იძულებით გადაადგილებული პირი სამხრეთ ოსეთიდან ან ნებისმიერი სხვა ადგილიდან.“¹²⁴¹

როგორც ზემოთ აღინიშნა, გადაადგილება არ შემოიფარგლება მხოლოდ თვით კონფლიქტით, იმის გათვალისწინებით, რომ უწყვეტი ძალადობა და დაუცველობა 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, კვირების მანძილზე გაგრძელდა. ამ მხრივ, სამხრეთ ოსეთში გაეროს უწყებათაშორისმა შემფასებელმა ჰუმანიტარულმა მისიამ, 2008 წლის სექტემბერში ვიზიტის შემდეგ აღნიშნა, რომ „სამოქალაქო პირების დაცვა აღმოჩენდა, როგორც ყველაზე გადაუდებელი ჰუმანიტარული პრობლემა.“¹²⁴² ამ ანგარიშის დაწერის დროისათვის, მოსახლეობის ერთგვარი გადაადგილება კვლავ მიმდინარეობს ახალგორის რაიონში.

გადაადგილება, რა თქმა უნდა, არ შემოიფარგლა მხოლოდ იმ პირებით, რომლებიც გამორბოდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან. თუმცა, ვინაიდან საომარი

¹²⁴⁰ Amnesty International, სამოქალაქო პირები ცეცხლის ხაზზე - საქართველო - რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), აგვისტო, 2009, ციტირებული დოკუმენტი, გვ. 21.

¹²⁴¹ სამხრეთ ოსეთში გაეროს უწყებათაშორისი შემფასებელი ჰუმანიტარული მისია. 16-20 სექტემბერი, მისიის ანგარიში, პარაგრაფი 5.1.

¹²⁴² სამხრეთ ოსეთში გაეროს უწყებათაშორისი შემფასებელი ჰუმანიტარული მისია. 16-20 სექტემბერი, მისიის ანგარიში, პარაგრაფი 5.1.

მოქმედებებისა და განადგურების უდიდეს ნაწილს სამხრეთ ოსეთში ჰქონდა ადგილი, მოსახლეობის გადაადგილება უფრო ინტენსიური იყო მისი ტერიტორიის შიგნით და მის ირგვლივ. შემდგომში უნდა განისაზღვროს სხვა გამომწვევი მიზეზები და არა თავად საომარი მოქმედებები. ანალოგიურად, სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართული სოფლებიდან იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების საკითხი უნდა წამოიწიოს უფრო სხვაგვარი კუთხით, ვიდრე ვინც წამოსულია ე. წ. ბუფერული ზონიდან. Amnesty International აცხადებს: „დაბრუნების პერსპექტივა მკვეთრად განსხვავდება იმ ტერიტორიებისათვის, რომლებიც ხვდება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონის საზღვრებში და მის გარეთ მდებარე ადგილებისათვის, რომლებიც ხვდება ე. წ. ბუფერულ ზონებში. ამ უკანასკნელში, დაბრუნება თითქმის ყველა იმ ადგილისათვის, რომლებიც თბილისის მხარდაჭერის მქონე დიმიტრი სანაკოვეის ადმინისტრაციის ქვეშ იმყოფებოდა, თითქმის წარმოუდგენელია. ამ ადგილებში განლაგებულმა სოფლებმა ყველაზე ძლიერი განადგურება და ძარცვა განიცადა.“¹²⁴³

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ გამოიყენება გადაადგილების ყველა ეტაპზე – უზრუნველყოფს დაცვას ძალადობრივი გადაადგილებისაგან, იძლევა საფუძველს გადაადგილების დროს დაცვისა და დახმარებისათვის და უსაფრთხოდ დაბრუნების, ხელახლა დასახლების და რეინტეგრაციის წინასწარ გარანტიას.¹²⁴⁴ შესაბამისად, გადაადგილების შეფასება საქართველოში მომხდარი კონფლიქტის კონტექსტში, მოითხოვს ხუთი ძირითადი საკითხის განხილვას: პირველი, რომელიც მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს ატარებს, არის კითხვა გადაადგილების მიზეზების შესახებ და ძალადობრივი გადაადგილების აკრძალვა; მეორე, ვინაიდან გადაადგილება მჭიდროდ არის დაკავშირებული განცხადებებთან ეთნიკური წმენდის შესახებ, უნდა განიხილებოდეს ეს საკითხი; მესამე, მოპყრობა იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ; მეოთხე, დაბრუნების უფლება; დაბოლოს, იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრების უფლებებისა და კომპენსაციების საკითხი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ძარცვის, ნგრევისა და გადაწვის გამო, უმეტესობას ამ ადამიანებიდან უახლოეს მომავალში, დაბრუნების არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია.

მიუხედავად ამისა, აუცილებელია, წინასწარი კითხვების დასმა და სიტუაციის მიმოხილვა, გადასახედია გადაადგილების მასშტაბები. ამავე დროს, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიზანს არ წარმოადგენს გარკვეული დასკვნის გაკეთება ან რიცხვების ანალიზი. უოლტერ კალინმა, გენერალური მდივნის წარმომადგენელმა იძულებით გადაადგილებული პირების ადამიანის უფლებების საკითხებში, აღნიშნა, რომ „ძნელია გადაადგილების

¹²⁴³ Amnesty International, სამოქალაქო პირები ცეცხლის ხაზზე - საქართველო-რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), აგვისტო, 2009, ციტირებული დოკუმენტი, გვ. 51.

¹²⁴⁴ იხ.: გაეროს წარმმართველი პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, პარაგრაფი 9.

ხასიათის შესახებ ზუსტი რიცხვების დადგენა.¹²⁴⁵ არის აგრეთვე, წინააღმდეგობრივი მონაცემები იმ იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობების შესახებ, რომლებიც უკან უკვე დაბრუნდნენ.

a) რიცხვები

იძულებით გადაადგილებული პირების ადამიანის უფლებების შესახებ 2009 წლის თებერვლის ანგარიშში, რომელიც გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა მოამზადა მისი 2008 წლის ოქტომბრის ვიზიტის შედეგად, ნათქვამია, რომ „ჩრდილოეთ საქართველოში 2008 წლის 7-8 აგვისტოს განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად საქართველოს შიგნით იძულებით გადაადგილებული გახდა დაახლოებით 133 000 ადამიანი.“¹²⁴⁶ უოლტერ კალინმა ყურადღება გაამახვილი, რომ „საქართველოში გადაადგილება ამჟამად შეიძლება ქვემოთ მოტანილ სამ კატეგორიად:

„(a) დაახლოებით (საჯარო რეესტრის სააგენტოს მონაცემების მიხედვით), ცხინვალის მიმდებარე რაიონებიდან/სამხრეთ ოსეთიდან გამოსულია 107 026 პირი. ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი 2008 წლის ნოემბრისათვის არის 19 111, ზემო კოდორის ხეობიდან – 1821, ხოლო ახალგორიდან – 5173. გაეროს მოსახლეობის/ჰუმანიტარული კოორდინატორის ოფისის მიხედვით, 75 000 პირი, რომლებიც წამოსულები იყვნენ გორიდან და მისი მიმდებარე ტერიტორიებიდან – საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ მალევე, აგვისტოსა და სექტემბერში, დაუბრუნდნენ თავის ადგილებს, მაშინ როდესაც სავარაუდოდ 24 596 პირმა, რომლებიც გამოქცეული იყვნენ ე. წ. ბუფერული ზონიდან, შეძლო სახლში, შიდა ქართლის რეგიონში, დაბრუნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იქედან გავიდა რუსული ჯარები, 2008 წლის 7 ოქტომბერსა და 10 ნოემბრამდე პერიოდში.¹²⁴⁷ ამ უკანასკნელი კატეგორიისათვის ძირითად საჭიროებას წარმოადგენს დაბრუნების შემდეგ ფეხზე წამოდგომა უსაფრთხოების ჩათვლით (ჰუმანიტარული განაღმვის ჩათვლით) და კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, დანგრეული და გამარცვული სახლების ხელახლა აშენება და შეკეთება; საკვებითა და საწვავი შეშით ჰუმანიტარული დახმარება; ძირითადი სამსახურების, როგორებიცაა, განათლება და ჯანდაცვა – აღდგენა; აგრეთვე, ეკონომიკური საქმიანობის აღდგენა;

„(b) მთავრობის გათვლების მიხედვით, დაახლოებით, 37 605 იძულებით გადაადგილებული პირი ვერ შეძლებს დაბრუნებას უახლოეს მომავალში. ამ რაოდენობაში შედის 19 111 იძულებით გადაადგილებული პირი ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთი ოსეთიდან და იძულებით გადაადგილებული 1 821 პირი ზემო კოდორის ხეობიდან, აგრეთვე, იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც

¹²⁴⁵ იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების საკითხებზე გენერალური მდივნის წარმომადგენლის ანგარიში, უოლტერ კალინი; A/HRC/10/13, 13 თებერვალი, 2009, პარაგრაფი 11.

¹²⁴⁶ იქვე, პარაგრაფი 9.

¹²⁴⁷ გაეროს მოსახლეობის/ჰუმანიტარული კოორდინატორის ოფისი, სიტუაციური ანგარიში #35 საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ, 6-13 ნოემბერი, 2008.

ზამთარს ადგილნაცვალობაში გაატარებენ, კერძოდ, 11 500 პირი, რომლებიც ვერ დაბრუნდებიან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ისეთი მიზეზების გამო, როგორებიცაა, უსაფრთხოება ან საკუთრების განადგურება, ასევე დაახლოებით, 5173 იძულებით გადაადგილებული პირი ახალგორიდან.¹²⁴⁸ მთავრობის გათვლებით, წლის ბოლომდე მოხერხდება 21 000 გადაადგილებული პირის დასახლება სტაბილურ საცხოვრებელ პირობებში;

„(c) დაახლოებით, 220 000 იძულებით გადაადგილებული პირი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებიდან ცხოვრობს ხანგრძლივი გადაადგილების პირობებში უკვე ათ წელზე მეტი ხანია, იმ კონფლიქტების შემდეგ, რომლებიც მოჰყვა ყოფილი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მიერ 1991 წელს დამოუკიდებლობის მიღებას, როგორც ეს აღწერილია წარმომადგენლის წინა ანგარიშში.“^{1249,1250}

2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, ადამიანის უფლებების საკითხების შესახებ თავის ბოლო ანგარიშში, რომელიც 2009 წლის 15 მაისს გამოიცა, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარმა აღნიშნა, რომ „ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით, საქართველოში იძულებით გადაადგილებულია დაახლოებით, 138,000 ადამიანი.“¹²⁵¹

საერთაშორისო ორგანიზაციების – ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შემფასებელი მისიის მიერ შეგროვებული ინფორმაციის მიხედვით, „მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთის ახალმა დე ფაქტო ხელისუფლებამ ხელში ჩაიგდო ახალგორის ტერიტორია, ეს რეგიონი მრავალმა ადამიანმა დატოვა“ და „ოქტომბრის ბოლოსათვის ახალგორი დატოვა 5 100-ზე მეტმა ადამიანმა.“¹²⁵² 2009 წლის ივნისში, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტები შეხვდნენ ახალგორის ადმინისტრაციას, რომელმაც მათ შემდეგი რიცხვები მიაწოდა: 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე, ახალგორში დაახლოებით, 9 000 მცხოვრები იყო, ამათგან 2 388 იყო ეთნიკური ოსი, ხოლო დანარჩენს ქართველები შეადგენდნენ; 2008 წლის 1 დეკემბერს იყო 6 900 მოსახლემ, ხოლო და 2009 წლის 1 მარტს - 5 074. ვიზიტის დროს შეგროვებული ინფორმაციის მიხედვით, სულ ცოტა, ორმა ქართულმა ოჯახმა დატოვა

¹²⁴⁸ იგივე.

¹²⁴⁹ E/CN.4/2006/71/Add.7, პარაგრაფები 6-9.

¹²⁵⁰ იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების საკითხებზე გენერალური მდივნის წარმომადგენლის ანგარიში, უოლტერ კალინი; A/HRC/10/13, 2009, პარაგრაფი 11, სქოლიოში გაკეთებული შენიშვნების ჩათვლით.

¹²⁵¹ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარი, ანგარიში 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ადამიანის უფლებების საკითხების შესახებ, 15 მაისი 2009, CommDH(2009)22, პარაგრაფი 9.

¹²⁵² დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შემფასებელი მისია, ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), 27 ნოემბერი, 2008 წ., გვ. 50.

ახალგორი, ვიდრე 5 ივნისის შუადღეს, იქ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისია იმყოფებოდა. ამ საკითხის განხილვის დროს, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთი ოსეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დაახლოებით, 2 400 ქართველი კვლავ რჩება იქ, რაც არის ნათელი მინიშნება, რომ ქართველები ისევ ტოვებენ რეგიონს, ახალგორის ადმინისტრაციის განცხადების საწინააღმდეგოდ – „ისინი „ნელ-ნელა ბრუნდებიან.“

ბ) თავისუფალი ან იძულებით გადაადგილების აკრძალვა და გადაადგილების მიზეზები 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მის შემდეგ

(i) გამოყენებული სამართლებრივი ნორმა

გადაადგილებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები გამომდინარეობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალიდან (შეიარაღებული კონფლიქტის მსვლელობის დროს გადაადგილების შემთხვევებისათვის), ადამიანის უფლებების სამართალიდან (საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ გადაადგილების შემთხვევებისათვის) და იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებიდან, რომლებიც მიზნად ისახავს საერთო სტანდარტების დასახვას, საერთაშორისო სამართლის ამ ბოლო ორ ნაწილზე დაფუძნებით.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის¹²⁵³ და ადამიანის უფლებების სამართლის¹²⁵⁴ დებულებები ნათლად თუ ფარულად მიუთითებს ძალდატანებითი ან იძულებით გადაადგილების წინააღმდეგ აკრძალვაზე, მხოლოდ ერთი მკაცრად განსაზღვრული გარემოების გამოკლებით, როდესაც გადაადგილება მისაღებია. მაგალითად, ოქმის II მუხლი 17 ამბობს, რომ „არ უნდა გაიცეს ბრძანება სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილების შესახებ, კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩართულია სამოქალაქო პირების უსაფრთხოება ან ამას მოითხოვს გადაუდებელი სამხედრო მიზეზები.“ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, როგორც გვახსენებს უოლტერ კალინი, იძულებით გადაადგილებული პირების ადამიანის უფლებების საკითხებზე გენერალური მდივნის წარმომადგენელი, „ადამიანის და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების მე-12 მუხლის ძირითადი ნორმის მიხედვით გარანტირებულია არა მხოლოდ გადაადგილების თავისუფლების უფლება, არამედ უფლება თავად აირჩიო საცხოვრებელი ადგილი, რაც მოიცავს უფლებასაც, დარჩე იმ ადგილზე (პარაგრაფი 1).“¹²⁵⁵ შემდგომში ეს დებულება იძლევა განსაკუთრებულ

¹²⁵³ ჟენევის კონვენციის IV მუხლები 49 და 147, ოქმის I, მუხლები 51(7), 78(1) და 85(4), და ოქმის II მუხლები 4(3)(e) და 17.

¹²⁵⁴ ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაციის მუხლი 12; ადამიანის და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების მუხლები 12(1) და 17; ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მუხლი 8.

¹²⁵⁵ იძულებით გადაადგილების წარმართველი პრინციპის ანოტაციები, ციტირებული დოკუმენტი, გვ. 28.

პირობას, რომ ეს უფლება „არ უნდა გახდეს რაიმე აკრძალვების საგანი, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, როგორც აუცილებელი ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი მართლწესრიგის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ან მორალის ან სხვების უფლებების ან თავისუფლებების დასაცავად; და რომელიც შეესაბამება სხვა უფლებებს, რომლებიც აღიარებულია წინამდებარე ხელშეკრულების მიერ (პარაგრაფი 3).“ აკრძალვა ძალდატანებითი გადაადგილების წინააღმდეგ მეორდება გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების პრინციპში 6(1): „ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, იყოს დაცული თავისი სახლიდან ან საცხოვრებელი ადგილიდან ძალდატანებითი გადაადგილებისაგან.“ ძალდატანების ხარისხი გულისხმობს იმ გადაადგილებას, რომელიც არ აკმაყოფილებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებების სამართლის მოთხოვნებს. შესაბამისად, სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაცია საომარი მოქმედებების ზეგავლენისაგან მათი უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ან „უდიდესი საფრთხისაგან მოსახლეობის დასაცავად მისი გადაადგილება, ვინაიდან სხვაგვარად მისი თავიდან აცილება ვერ მოხერხდება, არ შეიძლება იქნას აკრძალული.“¹²⁵⁶

იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ამას მოითხოვს სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოება ან სამხედრო საჭიროებები, სამოქალაქო მოსახლეობის დეპორტაცია ოკუპირებული ტერიტორიიდან და შიდა შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოსახლეობის იძულებით გადაადგილება, რომის წესდების მუხლების 8 (2) (b) (viii) და (e) (viii) და ოქმის II მუხლის 85 (4) (a) მიხედვით, შეადგენს ომის დანაშაულს.

ზოგადი აკრძალვისა და მისი გამონაკლისის ფონზე, აუცილებელია გაანალიზდეს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად გადაადგილებული დაახლოებით, 138 000 ადამიანის გადაადგილების ხასიათი. ალბათ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ პირების გადაადგილების ძირითადი მიზეზებს და თანმიმდევრობას ამ მიზეზების ნიუანსების გარკვევისას.

(ii) გადაადგილების ხასიათი და მიზეზები

პირველ რიგში, გადაადგილების მიზეზების ან მოტივების წინასწარი განსჯის გარეშე, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ფაქტობრივად, ჩართული იყო ეთნიკური მოსაზრებები. როგორც Amnesty International-მა ხაზგასმით შენიშნა, „მკვეთრად გაიყო გაქცევის მიმართულებები და არა მხოლოდ ეთნიკური ხაზით, როდესაც ოსები გარბოდნენ ჩრდილოეთის მიმართულებით, რუსეთის ფედერაციისკენ, ხოლო ეთნიკური ქართველები გარბოდნენ სამხრეთის მიმართულებით, საქართველოს სხვა რეგიონებისკენ.“¹²⁵⁷ რუსეთის მიერ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის კითხვარზე გაცემული პასუხების

¹²⁵⁶ ადამიანის და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების კომენტარი მუხლისათვის 17, და დამატებითი ოქმი II, გვ. 1472.

¹²⁵⁷ Amnesty International, სამოქალაქო პირები ცხელ ხაზზე - საქართველო-რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), აგვისტო, 2009, ციტირებული დოკუმენტი, გვ. 48.

მიხედვით, მოსახლეობაში, რომელიც მასობრივად დაიდრა საქართველოდან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის მიმართულებით, ძირითადად, შედიოდა ოსების, აფხაზების, რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების და საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური უმცირესობების ჯგუფები.¹²⁵⁸

რუსეთის ფედერაცია დაჟინებით ირწმუნებოდა, რომ „სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ წარმართული ქართული სამხედრო ოპერაციის ყველაზე დრამატული შედეგი იყო ადგილობრივი მოსახლეობის მასიური გადასახლება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე თავშესაფრის საძიებლად.“¹²⁵⁹ სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს საქართველო, როდესაც ამბობს, რომ რუსული შეიარაღებული ძალებისა და არაფორმალური შეიარაღებული ჯგუფების მიერ გაჩაღებული ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის განდევნის კამპანიისა და ქართული სოფლების წინააღმდეგ ჩატარებული რეიდების შედეგად, გამოქცეულია 130 000-ზე სამოქალაქო პირი.¹²⁶⁰ მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადებები აჩვენებს საომარი მოქმედებების ზოგად შედეგებს, ჩანს, რომ არც ერთი მათგანი არ ასახავს ადამიანების გადაადგილების ფაქტობრივ მიზეზებს დროის გათვალისწინებით, ანუ ეს მოხდა კონფლიქტის დაწყების წინ, კონფლიქტის მსვლელობის დროს, თუ მის შემდეგ. ამ მხრივ, აუცილებელია, აგრეთვე, განვასხვავოთ გეოგრაფიული არეალი.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოზე წარდგენამდე, სიტყვიერი განცხადებების დროს ნათქვამი იყო, რომ „კოდორის ხეობაში განლაგებულ სოფლებზე განხორციელებული თავდასხმების წინა პერიოდში, ზემო აფხაზეთში, გალის რაიონიდან ჩრდილოეთით, იყო დასახლება, სადაც 3 000 ქართველი ცხოვრობდა.“¹²⁶¹ საქართველოს განცხადების მიხედვით, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2008 წლის 1 იანვრისათვის ზემო კოდორის ველზე აჭარის გამგეობა ითვლიდა 1 900 მოსახლეს. საჯარო რეესტრის სააგენტოში, 2008 წლის 8 სექტემბერს ამ გამგეობიდან დარეგისტრირებული იყო იძულებით გადაადგილებული 1 218 პირი.¹²⁶² საქართველო ამტკიცებდა, რომ ეს გადაადგილებები ზემო კოდორის ხეობიდან იყო ქართულ სოფლებზე განხორციელებული თავდასხმებისა და განადგურების შედეგი, რამაც

¹²⁵⁸ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 5.

¹²⁵⁹ იქვე, გვ. 3.

¹²⁶⁰ საქართველო, პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები, შეკითხვა 2), მიეწოდა 2009 წლის 5 ივნისს (Georgia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects, Question 8)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 1.

¹²⁶¹ 2008 წლის 8 სექტემბერს, ორშაბათს, დილის 10 საათზე მშვიდობის სასახლეში გამართული ღია სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი საქმეზე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, CR 2008/22, გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ICJ, ჰააგა, 2008 წელი, გვ. 9, პარაგრაფი 41.

¹²⁶² იხ.: საქართველოს მიერ შეტანილი დოკუმენტი, „რუსეთის შეჭრა საქართველოში - ფაქტები და რიცხვები“, 8 სექტემბერი, 2008, გვ. 14.

მთელი მოსახლეობა იძულებული გახდა, დაეტოვებინათ საცხოვრებელი.¹²⁶³ ანალოგიურად, Amnesty International-მა თუმცა, სხვა რიცხვები მოიტანა, აღნიშნა, რომ ქართულ-აფხაზურ შეიარაღებულ ძალებს შორის საომარი მოქმედებების შედეგად, ეს ხეობა დაახლოებით, 2 500-მა ადამიანმა დატოვა.¹²⁶⁴ როდესაც კოდორის ხეობიდან მოსახლეობის გადაადგილების საკითხს განვიხილავთ, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ, რომ სამოქალაქო პირებისა და სამხედრო პერსონალის უმეტესობამ, რეგიონი საომარი მოქმედებების დაწყებამდე დატოვა.¹²⁶⁵

სამხრეთ ოსეთში, როგორც ჩანს, გადაადგილება უფრო რთულ ხასიათს ატარებდა. დროის პირველი მონაკვეთი, რომელიც უნდა განვიხილოთ, კონფლიქტის დაწყების წინა პერიოდია. საჭიროა აღინიშნოს, რომ, მრავალი მოწმის მიხედვით, 2008 წლის ივლისის ბოლოსათვის, ცხინვალის მრავალმა სამხრეთელმა ოსმა დატოვა. ევაკუაციას აგრეთვე, ახორციელებდა სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებაც. საქართველოს ხელისუფლების მიხედვით, „ცხინვალის რეგიონიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია რუსეთის ფედერაციის მიმართულებით 2008 წლის 2 აგვისტოს დაიწყო.“¹²⁶⁶ მათ აგრეთვე, აღნიშნეს, რომ „12:23 წთ-ზე მარიონეტულმა რეჟიმმა გამოაცხადა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია ცხინვალიდან და რეგიონის სეპარატისტების მიერ კონტროლირებული სოფლებიდან. ევაკუაცია გრძელდებოდა 2008 წლის 6 აგვისტომდე. ეს ფაქტი შემდგომში, თავის განცხადებაში ანატოლი ბარანკევიჩმა, იმ დროს მარიონეტული რეჟიმის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა დაადასტურა.“¹²⁶⁷ ეს დაადასტურა მშენებელმაც სოფელ კარალეთიდან, რომელიც სხვა სამ ქართველთან ერთად, სოფელ ჯავაში სამუშაოდ ჩავიდა 2008 წლის 23 ივლისს. მან აღნიშნა, რომ 6 აგვისტოს, ედუარდ კოკოითიმ გასცა ბრძანება ქალებისა და ბავშვების გაყვანის თაობაზე, და მან თავის მეგობრებთან ერთად, იხილა, როგორ მიუყვებოდნენ

¹²⁶³ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ შეტანილი განაცხადი მოთხოვნით დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, 13 აგვისტო, 2008, გვ. 6, პარაგრაფი 12. აგრეთვე, იხ.: 2008 წლის 8 სექტემბერს, ორშაბათს, დილის 10 საათზე მშვიდობის სასახლეში გამართული ღია სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი საქმეზე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), CR 2008/22, გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ICJ, ჰააგა, 2008 წელი, გვ. 57 პარაგრაფი 14.

¹²⁶⁴ Amnesty International, სამოქალაქო პირები ცეხლის ხაზზე - საქართველო - რუსეთის კონფლიქტი (Civilians in the Line of Fire – The Georgia-Russia Conflict), აგვისტო, 2009, ციტირებული დოკუმენტი, გვ. 9.

¹²⁶⁵ გენერალური მდივნის ანგარიში აფხაზეთში შემქნილი სიტუაციის შესახებ, საქართველო, 3, ოქტომბერი, 2008, 2008, S/2008/631, გვ. 8, პარაგრაფი 45.

¹²⁶⁶ საქართველო, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები, შეკითხვა 3), მიეწოდა 2009 წლის 5 ივნისს (Georgia, Responses to Questions Posited by the IIFFMCG (Humanitarian Aspects, Question 8)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 2.

¹²⁶⁷ ამ განცხადების მიხედვით: „1 აგვისტოს შემდეგ საზღვარზე მდგომარეობამ დაიწყო გართულება, თავიდან ეს უბრალო დაბომბვები იყო, შემდეგ პირველი მსხვერპლიც გამოჩნდა. პრემიერ მინისტრმა იური იონის ძე მოროზოვმა გადაწყვიტა, რომ განეხორციელებინა მოსახლეობის ევაკუაცია, და მისი წყალობით გადარჩენილი იქნა ასობით ადამიანის სიცოცხლე: ბავშვების, ქალების, და მოხუცების. იქედან გაყვანილი იქნა დაახლ. 35 ათასი ადამიანი (...). 8 აგვისტოს ქალაქი ჩვენ მთლიანად გაწმენდილი გვქონდა.“ იხ.: იგივე.

ისინი გზას მაშინ, როდესაც მშენებლები მუშაობდნენ.¹²⁶⁸ რუსეთის ფედერაციამ აგრეთვე, აღნიშნა, რომ მისი „შეიარაღებული ძალები დახმარებას უწყევდა კონფლიქტის ზონიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის ორგანიზებაში“¹²⁶⁹ და „25 ათასზე მეტი ადამიანი იყო გაყვანილი კონფლიქტის ზონიდან, მათ შორის, იყო 7 ათასზე მეტი ბავშვი.“¹²⁷⁰ ამგვარი ევაკუაცია არ წარმოადგენს ადამიანის უფლებების სამართლის ან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას, ვინაიდან ის ჩატარდა ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

რუსეთის ფედერაციის განცხადებების თანახმად, „რაც შეეხება უმეტესად, ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთიდან საქართველოს მიმართულებით გაიქცნენ, ამ პირების უმრავლესობამ თავისი სახლები სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე დატოვა. ეს ფაქტი აგრეთვე, ცნო ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარმა ტომას ჰამერბერგმა. ჩვენი ვარაუდით, უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ეთნიკური ქართველები ტოვებდნენ ადგილს როგორც 8 აგვისტომდე, ისე მას შემდეგაც, იყო ის, რომ თავდაპირველ ინფორმაციაში მინიშნებული იყო – მათი საცხოვრებლების ირგვლივ ქართული მხარე ჯერ ემზადებოდა სამხედრო ოპერაციისათვის, ხოლო შემდეგ თვით სამხედრო ოპერაცია მიმდინარეობდა. ეს პროცესი არ იყო განპირობებული ეთნიკური ქართველების, როგორც ასეთის, წინააღმდეგ წინასწარ განსაზღვრული ქმედებებით.“¹²⁷¹ ეს ერთგვარად ეწინააღმდეგება მრავალი მოწმის ჩვენებას, რომელთა მიხედვით, კონფლიქტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ეთნიკურმა ქართველებმა დატოვეს ადგილები, ვინაიდან სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართული სოფლების, მაგალითად, ფრისისა და თამარაშენის, წინააღმდეგ სროლები მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებადაა დოკუმენტირებული, წყვეტილი სროლის ფაქტი ამ სოფლებში კონფლიქტის დაწყებამდე, გამყარებულია სხვადასხვა მოწმის ჩვენებებით.¹²⁷² ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე სოფელ აჩაბეთის მცხოვრებმა სამმა პირმა, მისიის ექსპერტების მიერ 2009 წლის 7 მარტს, თბილისში აღებული ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სოფელი დაიცვრილა ზევით, მთაზე მდებარე ეთნიკურად ოსური სოფლიდან, მაგრამ მათ კარგად ვერ დაინახეს ვინ ესროდა. სროლებისა და არტილერიის ხმები აჩაბეთში ისმოდა 4, 5 და 6 აგვისტოს. ეს გამოკითხული პირები, ისევე, როგორც სხვები (რომელთაგან ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა აიღეს), რომელთაც

¹²⁶⁸ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეგროვებული და საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიისათვის გადაცემული მოწმეების ჩვენებები, გვ. 4.

¹²⁶⁹ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 9.

¹²⁷⁰ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (სამართლებრივი ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Legal Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 8.

¹²⁷¹ რუსეთი, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები) (Russia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 7.

¹²⁷² Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 90.

თავისი სოფლები 7 აგვისტოს დატოვეს,¹²⁷³ აცხადებენ, რომ სოფლის მოსახლეობამ დაიწყო საცხოვრებლების დატოვება მომეტებული საფრთხისა და დაძაბულობის გამო.

მას შემდეგ, რაც კონფლიქტი დაიწყო, გადაადგილებამ იმატა. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარმა განაცხადა, რომ იგი „შეხვდა გადაადგილებული პირების დიდ რაოდენობას, რომელთაც თავიანთი სახლები დატოვეს საომარი მოქმედებების გამო (...), ყველა მათგანმა იგრძნო, რომ ძალას ატანდნენ, რათა წამოსულიყვნენ.“¹²⁷⁴ სამხრეთ ოსეთში გაეროს უწყებათაშორისმა შემფასებელმა ჰუმანიტარულმა მისიამ შეშფოთებით აღნიშნა, რომ იყო „მრავალი და სარწმუნო ცნობა, მიღებული მსხვერპლი სამოქალაქო პირებისაგან, სადაც ნათქვამია, რომ ძალიან ფართოდ უმიზნებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, როგორც ეთნიკურ ოსებს, ასევე ეთნიკურ ქართველებს და ეს ხდებოდა როგორც შეიარაღებული კონფრონტაციის დროს, ასევე მის შემდეგ.“ ამან გამოიწვია მშვიდობიანი მოსახლეობის ფართომასშტაბიანი გასვლა ცხინვალისა და მის ირგვლივ, დიდი ღიახვისა და ფრონეს ხეობებში განლაგებული სოფლებიდან.¹²⁷⁵ 2008 წლის 1-4 ოქტომბერს, საქართველოში მისი ვიზიტის შემდგომ, უოლტერ კალინმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ის ესაუბრა „ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირებს, რომელთა უმრავლესობა, პირველ რიგში, გამოიქცა იმიტომ, რომ სურდა თავია აერიდებინა ომის საშიშროებისა და საზოგადო დაუცველობისათვის.“¹²⁷⁶ იგივე შთაბეჭდილება დარჩა მისიის ექსპერტსაც, მას შემდეგ, რაც მან ინტერვიუ ჩამოართვა რამდენიმე ადამიანს, რომლებიც წამოსულები იყვნენ სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართული სოფლებიდან.

საჭიროა აღინიშნოს, რომ გორსა და ცხინვალს შორის მთავარი ღერძის გასწვრივ, ბუფერულ ზონაში მცხოვრები ქართველები არ გაქცეულან, ვიდრე საომარმა მოქმედებებმა ამ ზონას არ მიაღწია. ამის მაგივრად, ისინი გაოცებულნი დარჩნენ, როდესაც რუსულმა ჯარებმა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გადმოკვეთეს ადმინისტრაციული საზღვარი და სამხრეთ მიმართულებით, გორისკენ წინ წაიწიეს. 2009 წლის ივნისში, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტების მიერ იმ პირებთან ჩატარებულ ინტერვიუებში, რომლებიც თავის სახლებს დაუბრუნდნენ სოფლებში – კოშკა, ტყვიავი და კარალეთი – ეს ფაქტი დადასტურდა.

¹²⁷³ მოწმეები სოფლების - თამარაშენი, დისევი და ქურთა - მცხოვრებნი

¹²⁷⁴ თომას ჰამარბერგი, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარი, ადამიანის უფლებები სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ არეებში, სპეციალური მისია საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში, 22 – 29 აგვისტო, 2008, CommDH(2009)22, 8 სექტემბერი, 2008, პარაგრაფი 31.

¹²⁷⁵ სამხრეთ ოსეთში გაეროს უწყებათაშორისი შემფასებელი ჰუმანიტარული მისია. ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 5.7.

¹²⁷⁶ იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების საკითხებზე გენერალური მდივნის წარმომადგენლის ანგარიში, უოლტერ კალინი; A/HRC/10/13/ Add.2, 13 თებერვალი, 2009, პარაგრაფი 10.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის არ არის შესაძლებელი შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში გადაადგილების ზუსტი მიზეზების დადგენა, ალბათ, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ კონფლიქტის ზონიდან გაქცევის საერთო მოტივი, რათა თავიდან იქნას აცილებული ომის საშიშროებები და გადაადგილების იძულებისაკენ გამიზნულად ჩადენილი უფრო სპეციფიკური ქმედებები. ამ თვალსაზრისით, ცხინვალის ირგვლივ სოფლებში მცხოვრები ეთნიკური ქართველების გადაადგილების მიზეზი იყო სახლებისა და საკუთრების ძარცვა და გადაწვა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ამ სოფლებში რჩებოდნენ საომარი მოქმედებების მიუხედავად და რომლებიც აიძულეს, წასულიყვნენ. სოფელ ქემერთის მცხოვრები იძულებული გახდა, წასულიყო მას შემდეგ, რაც ნახა, როგორ გაიძარცვა და მოგვიანებით, ცეცხლი წაეკიდა მის სახლს.¹²⁷⁷ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტებმა აგრეთვე, ჩამოართვეს ინტერვიუები სოფლების – აჩაბეთისა და ერედვის მცხოვრებლებს. მათაც მსგავსი ამბები მოუთხრეს – დატოვეს სოფლები იმიტომ, რომ მათი საკუთრება ან გაიძარცვა ან გადაიწვა ან ორივე ერთად.¹²⁷⁸ ადამიანის უფლებების შემფასებელი მისიის მიხედვით: „სოფელ ერედვის მკვიდრმა მამაკაცმა აღწერა თუ როგორ აიძულეს „ოსებმა“ მისი ცოლის მოხუცი მშობლები გამოსულიყვნენ საკუთარი სახლიდან და შემდეგ, მათ თვალწინ, გადაწვეს სახლი. რამდენიმე სხვა გადაადგილებულმა პირმა იგივე სოფლიდან იგივე ცნობები მოგვაწოდა – მათ მიერ განცდილისა და სოფლის თითქმის მთლიანად განადგურების შესახებ. ბოროტმოქმედები ერედვში, ყველა ცნობის მიხედვით, იყვნენ ოსები, რომლებიც თეთრ სამკლავურებს ატარებდნენ. მრავალმა თვითმხილველმა აღწერა, რომ ცეცხლის გასაჩაღებლად თავიდან რაღაც წითელ აალებად ნივთიერებას ასხამდნენ საწოლებზე, და შემდეგ უკიდებდნენ. (...) ადამიანის უფლებების შემფასებელი მისია ჩავიდა ერედვში და დაადასტურა ამ სოფლისათვის მიყენებული დიდძალი ზარალი.“¹²⁷⁹ სოფლებში, როგორცაა, ნული ან ქურთა¹²⁸⁰ დარჩენილი პირებისაგან აღებული ჩვენებებიდან აგრეთვე შეგვიძლია დავინახოთ, რომ ოსური სამხედრო ან გასამხედროებული ძალების მხრიდან დაშინების, ცემის, მუქარის, ძარცვისა და სახლების ნგრევისა და გადაწვის შემთხვევები, რათა იძულებული გაეხადათ დარჩენილი ხალხი, დაეტოვებინათ ეთნიკურად ქართული სოფლები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიხედვით, ამ ადგილებში მდებარე ძირითადად, ეთნიკურად ქართული 21 სოფლის მოსახლეობა – ანუ იმ სოფლების, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე, საქართველოს მთავრობის კონტროლის ქვეშ იყო – შეადგენდა 14 500 ადამიანს. 8 სექტემბერს, მათგან 13 260 ადამიანი საქართველოში დარეგისტრირდა, როგორც იძულებით გადაადგილებული

¹²⁷⁷ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწმისაგან აღებული ინტერვიუ.

¹²⁷⁸ 2009 წლის მარტში ჩატარებული ინტერვიუ.

¹²⁷⁹ დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შემფასებელი მისია, ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), 27 ნოემბერი, 2008 წ., გვ. 42.

¹²⁸⁰ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეგროვებული ინტერვიუებიდან აღებული ჩვენებები, გვ. 7 და 13.

პირი.¹²⁸¹ სამხრეთ ოსეთში გაეროს უწყებათაშორისი შემფასებელი ჰუმანიტარული მისია ჩავიდა კონფლიქტის ზონაში, თვით ცხინვალში და მის ირგვლივ მდებარე ამ სოფლებიდან სულ ცოტა, 6 მათგანი მთლიანად დაცლილი დახვდა.¹²⁸² საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის ექსპერტების ორი ვიზიტის დროს, მარტსა და ივნისში დადასტურდა, რომ ცხინვალიდან ჩრდილოეთით მდებარე ქართული სოფლები – თამარაშენიდან კეხვამდე, ჯერჯერობით, ისევ დაცარიელებულია.

გადაადგილების მიზეზები კიდევ უფრო გამოგნებელია, როდესაც განვიხილავთ 12 აგვისტოს შემდგომ პერიოდს, როდესაც ევროკავშირის შუამდგომლობით დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებაში ჩანაწერის შესაბამისად, ცეცხლი რეალურად შეწყდა. განსაკუთრებულ შემოთეებას იწვევს, რაც ე. წ. „ბუფერულ ზონაში“ ხდებოდა. სამხრეთ ოსეთში გაეროს უწყებათაშორისმა შემფასებელმა ჰუმანიტარულმა მისიამ, გაეცნო რა, გაეროდან და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიღებულ ანგარიშებს, რომელთაც შეეძლოთ ბუფერული ზონის სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გარეთ მდებარე ზონებში ჩასვლა, აღნიშნა იმ საშიშროების შესახებ, რის გამოც ადამიანები უნდა გამოსულიყვნენ საცხოვრებელი სახლებიდან; ხოლო, საკუთრების განადგურება გრძელდება ამ ზონის ცალკეულ, გამიზნულ სოფლებში.¹²⁸³ შემფასებელმა მისიამ აგრეთვე, მოიშველია „სანდო ჰუმანიტარული პარტნიორების ანგარიშები, სადაც დეტალურად არის აღწერილი მარცვის, დაშინების, და იძულებით გადაადგილების შემთხვევები.“¹²⁸⁴

აღსანიშნავია, რომ გადაადგილების ამ მიზეზების გარდა, არსებობდა სხვაც, როგორცაა, მაგალითად, გაფრთხილება, მიღებული ქართული პოლიციის, ნათესავების ან მეზობლების მხრიდან, რომ დაეტოვებინათ სოფელი. ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ფაქტს, რომ იყო მრავალი ცნობა განზრახ ქმედებების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავდა გადასახლებისაკენ იძულებას.

ახალგორის რაიონში შექმნილი სიტუაცია გვიჩვენებს, რომ გადასახლება არ იყო გამოწვეული მხოლოდ ზოგადი პირდაპირი მტრული განწყობით. და მართლაც, ამ რაიონში მტრული განწყობები არ სუფევდა – ეს არის ტერიტორია სამხრეთ ოსეთის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც უმეტესად ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული და ომის დაწყებამდე საქართველოს ადმინისტრაციის ქვეშ იმყოფებოდა. საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ „დღეისათვის, ახალგორში დარჩენილი ეთნიკური ქართველები მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობენ; მათი უფლებები და თავისუფლებები შეზღუდულია; მათ, აგრეთვე, იძულებულს ხდიან, მიიღონ რუსული

¹²⁸¹ სამხრეთ ოსეთში გაეროს უწყებათაშორისი შემფასებელი ჰუმანიტარული მისია. 16-20 სექტემბერი, მისიის ანგარიში, ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 5.7.

¹²⁸² იგივე.

¹²⁸³ სამხრეთ ოსეთში გაეროს უწყებათაშორისი შემფასებელი ჰუმანიტარული მისია. ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 5.7.

¹²⁸⁴ იქვე, პარაგრაფი 4.2.

ან ე. წ. ოსური პასპორტები და გაწყვიტონ კავშირი დანარჩენ საქართველოსთან.“¹²⁸⁵ ადამიანის უფლებების შემფასებელი მისიის მიხედვით, „ახალგორში მცხოვრები ქართველები ტოვებენ ქალაქს რუსული და ოსური შეიარაღებული ძალების დიდი რაოდენობით ყოფნის გამო და [იმიტომ, რომ] მათ სჯერათ, რომ შეიძლება დაიწყოს ბრძოლები.“¹²⁸⁶ როგორც Human Rights Watch-მა აღნიშნა, „ახალგორის რაიონის მცხოვრებნი აწყდებიან მილიციის მხრიდან მუქარას და ძალადობას. მათ ემინიათ, რომ შესაძლოა, დაიხუროს რაიონის ადმინისტრაციული საზღვარი საქართველოს დანარჩენ ნაწილთან. ორივე ფაქტორმა ბევრი ადამიანი აიძულა დაეტოვებინათ თავისი სახლები და გადასულიყვნენ უდავოდ ქართულ ტერიტორიაზე.“¹²⁸⁷ დაუცველობის ატმოსფერო დადასტურდა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის ექსპერტების მიერ 2009 წლის მარტში გამოკითხული, ამ რაიონიდან გამოქცეული რამდენიმე პირის ინტერვიუში, რომლებიც ამჟამად წეროვანის დასახლებაში ცხოვრობენ.

არსებობს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის კონტექსტში და მის შემდეგ დაახლოებით, 135 000 პირის გადასახლების რამდენიმე მიზეზი. მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედებების საშინელებების თავიდან აცილება და დაუცველობის საერთო ატმოსფერო იყო გადასახლების დიდი ნაწილის მიზეზი, არსებობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების სამართლის დარღვევების მრავალი დასაბუთებული შემთხვევა, როდესაც სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს აიძულებდნენ დაეტოვებინათ საცხოვრებელი, რასაც მიყვებართ დასკვნამდე, რომ დარღვეულია ძალადობით ან იძულებით გადაადგილების წინააღმდეგ აკრძალვა.

ჩადესილია ეთნიკური რეჟიმის სისხლის სასართლის დასაბუთებული. თან გასაცხადა, რომ „ეთნიკური ქართველები გახდნენ ეთნიკურად მოტივირებული დანაშაულების ობიექტი, როდესაც დანაშაულს ჩადიოდა ან პირდაპირ რუსული შეიარაღებული ძალები, ან მათი ჩუმი თანხმობით, სამხრეთ ოსეთის მილიცია (რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე).“¹²⁸⁸

¹²⁸⁵ საქართველო, პასუხები კითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები, შეკითხვა 2), მიეწოდა 2009 წლის 5 ივნისს (Georgia, Responses to Questions Posited by the IIFFMCG (Humanitarian Aspects, Question 8)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 3.

¹²⁸⁶ დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შემფასებელი მისია, ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში (Human Rights in the War-Affected Areas following the Conflict in Georgia), 27 ნოემბერი, 2008 წ., გვ. 50.

¹²⁸⁷ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 87. აგრეთვე, იხ.: გვ. 147.

¹²⁸⁸ საქართველო, პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები, შეკითხვა 1), მიეწოდა 2009 წლის 5 ივნისს (Georgia, Responses to Questions Posited by the IIFFMCG (Humanitarian Aspects, Question1)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 1.

უფრო კონკრეტულად, ერთ-ერთმა ადვოკატმა, რომელიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს წარმოადგენდა საქმეზე „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის დარღვევის შესახებ,“ განაცხადა, რომ ეს არის „საქართველოს საქმე, სადაც ფაქტობრივად არის და იყო დიდი ხნის მანძილზე, „ეთნიკურ წარმოშობაზე დაფუძნებული „დისკრიმინაცია ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული სხვა პირების ნებაყოფლობით დაბრუნების პოლიტიკაში,“ და ეს პოლიტიკა დაკავშირებულია ეთნიკურ წმენდასთან შესაბამის ტერიტორიებზე საქართველოში. ეთნიკური წმენდის ეს პროცესი გრძელდება, და რომ ეს, მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული რუსეთის ფედერაციაში.“¹²⁸⁹

ამგვარი ბრალდება უნდა განიხილებოდეს მისი მნიშვნელობის კონტექსტში, რომელიც აგვისტოს კონფლიქტის ორივე მხარეს მიესადაგება. იგი უნდა დავაკავშიროთ წინა განცხადებებთან ეთნიკური წმენდის შესახებ, რომელიც საქართველომ ¹²⁹⁰ გააკეთა „1991-1994, 1998 [და] 2004 წლების კონფლიქტებთან“ მიმართებაში. მოცემული ართულებს განცხადების შეფასებას. საქართველომ გაიმეორა, მაგალითად, რომ „აფხაზეთში 1992-1993 წლებსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში 1991-1992 წლებში მომხდარი ომების შედეგად მოხდა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან /სამხრეთ ოსეთიდან ეთნიკური ქართველების და სხვა ეთნიკური უმცირესობების ეთნიკური წმენდა.“¹²⁹¹ აგრეთვე, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ამგვარ დასკვნას და გამოთქმის „ეთნიკური წმენდა“ გამოყენებას, შეიძლება გართულებები მოჰყვეს – როგორც პოლიტიკური, ასევე ემოციური ყველა მხარისათვის – რაც საკმაოდ სცდება წინამდებარე იურიდიული შეფასების ფარგლებს.

ამ საჩივრის შეფასება გართულებულია იმ ფაქტით, რომ ეთნიკური წმენდა არ არის განმარტებული საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალში. მრავალი მცდელობის შეჯამებით – განესაზღვრა „ეთნიკური წმენდა“ პროფესორმა უილიამ შაბასმა აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული ტექსტი, რომელიც განსაზღვრავს ეთნიკურ წმენდას, [ამგვარი მცდელობების შედეგად] მივედით დასკვნამდე, რომ ის არის მიმართული მოსახლეობის გადასახლებაზე მოცემულ ტერიტორიაზე ეთნიკური შემადგენლობის შეცვლის მიზნით და საზოგადოდ,

¹²⁸⁹ 2008 წლის 8 სექტემბერს, ორშაბათს, დღის 4.30-ზე მშვიდობის სასახლეში გამართული ღია სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი საქმეზე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ, CR 2008/25, გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ICJ, 3ააგა, 2008 წელი, გვ. 12, პარაგრაფი 9.

¹²⁹⁰ საქმე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის გამოყენების შესახებ (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ICJ, 15 ოქტომბერი, 2008 წელი, პარაგრაფი 6.

¹²⁹¹ საქართველო, პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ (ჰუმანიტარული ასპექტები, შეკითხვა 2), მიეწოდა 2009 წლის 5 ივნისს (Georgia, Responses to Questions Posited by the IIFMCG (Humanitarian Aspects, Question2)), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 1.

ტერიტორიის ეთნიკურად ჰომოგენურად ან „წმინდად“ გადასაქცევად...“¹²⁹² ტერიტორიასთან ბმა არის კრიტიკული განსაზღვრება ამ მცდელობებში. უშიშროების საბჭოს საექსპერტო კომისიამ ყოფილ იუგოსლავიაში ომის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების შესახებ განაცხადა, რომ „ეთნიკური წმინდა“ ნიშნავს ტერიტორიის ეთნიკურად ჰომოგენურად გადაქცევა ძალის ან დაშინების გამოყენებით, რათა პირები მოცემული ჯგუფებიდან გაყვანილი იქნან ტერიტორიიდან.¹²⁹³

ეთნიკური წმინდა გენოციდის თანასწორი არაა. საქართველომ ეს გააცნობიერა.¹²⁹⁴

2007 წელს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გენოციდის საქმე განიხილა. გენოციდის სპეციფიკური განზრახვის განხილვისას, სასამართლოს მოუხდა კავშირის დადგენა ამ დანაშაულსა და იმას შორის, რაც ცნობილია, როგორც „ეთნიკური წმინდა.“ მას შემდეგ, რაც აღინიშნა, რომ ტერმინი „ეთნიკური წმინდა“ ხშირად გამოიყენებოდა ბოსნია-ჰერცეგოვინაში მომხდარი შემთხვევების მიმართ,“ მან გადაწყვიტა, გარკვეულიყო „რა სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება, ჰქონდეს ამ გამოთქმას.“¹²⁹⁵

¹²⁹² უ. შაბასი (William Schabas), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 199.

¹²⁹³ საექსპერტო კომისიის შუალედური ანგარიში, უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 780 (1992) შესაბამისად, გაეროს დოკუმენტი S/35374 (1993), პარაგრაფი 55.

¹²⁹⁴ თავის პასუხებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის კითხვარზე საქართველომ განაცხადა:

„არც განზრახვით, როგორც პოლიტიკის საკითხით, რომ გადააქციოს ტერიტორია „ეთნიკურად ჰომოგენურად“, და არც ოპერაციებით, რაც შეიძლება ჩატარდეს ამ პოლიტიკის განსახორციელებლად, არ შეიძლება გენოციდად, როგორც ასეთად, განსაზღვრა: განზრახვა, რომელიც გენოციდს ახასიათებს, არის გარკვეული ჯგუფის „გადანგურება, მთლიანად ან ნაწილობრივ“ და ჯგუფის წევრების დეპორტაცია ან გადაადგილება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის ძალით ხორციელდება, არ არის არც ამ ჯგუფის გადანგურების ექვივალენტი, და არც მსგავსი გადანგურება შეიძლება ავტომატურად გახდეს გადაადგილების შედეგი.“

ეს არ ნიშნავს, რომ ეთნიკური წმინდა არ შეიძლება შეადგენდეს გენოციდს, თუ ის აღწევს დანაშაულის ისეთ ნიშნულს - ჯგუფის გადანგურება მთელი ჯგუფის რეგიონიდან განდევნის განზრახვასთან შედარებით.“ საქართველო, პასუხები შეკითხვაზე 1, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ, მიეწოდა 2009 წლის 5 ივნისს (Georgia, Responses to Questions Posited by the IIFMCG), გვ. 3.

¹²⁹⁵ სასამართლომ შენიშნა:

„ის პრაქტიკაში გამოიყენება, სპეციფიურ რეგიონთან ან ტერიტორიასთან მიმართებაში, და ნიშნავს „ტერიტორიის ეთნიკურად ჰომოგენურად გადაქცევას ძალის ან დაშინების გამოყენებით, რათა პირები მოცემული ჯგუფებიდან გაყვანილი იქნან ტერიტორიიდან“ (S/35374(1993), პარაგრაფი 55, გაეროს უშიშროების საბჭოს საექსპერტო კომისიის შუალედური ანგარიში). ის არ ჩნდება გენოციდის კონვენციაში (...). ის შეიძლება იყოს მხოლოდ გენოციდის ფორმა კონვენციის ფარგლებში მიღებული განსაზღვრების მიხედვით, თუ ის შეესაბამება ან ხვდება კონვენციის მუხლით II გათვალისწინებული აკრძალვების რომელიმე კატეგორიაში. არც განზრახვით, როგორც პოლიტიკის საკითხით, რომ გადააქციოს ტერიტორია „ეთნიკურად ჰომოგენურად“, და არც ოპერაციებით, რაც შეიძლება ჩატარდეს ამ პოლიტიკის განსახორციელებლად, არ შეიძლება გენოციდად, როგორც ასეთად, განსაზღვრა: განზრახვა, რომელიც გენოციდს ახასიათებს, არის გარკვეული ჯგუფის 'გადანგურება, მთლიანად ან ნაწილობრივ', და ჯგუფის წევრების დეპორტაცია ან გადაადგილება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის ძალით ხორციელდება, არ

საქართველო აცხადებს, რომ „ეთნიკური ქართველების გამოდევნა საქართველოს გარკვეული რეგიონებიდან, სამხრეთ ოსეთის მარიონეტულ ხელისუფლებასთან ერთად რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ქმედებებისადა გადადგმული ნაბიჯების შედეგად, ეთნიკური წმენდის ტოლფასია.“ ის, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის მუხლის 1 თანახმად, „ეთნიკურ წმენდას“ განიხილავს, როგორც რასობრივი დისკრიმინაციის უმაღლეს ფორმას.¹²⁹⁶

ამ განცხადებას გამოეხმაურა რამდენიმე სხვადასხვა ორგანიზაცია. თავის რეზოლუციაში 1633 (2008) „საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგების შესახებ“ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ აღნიშნა, რომ ის იყო „განსაკუთრებით შემფოთებული სანდო ცნობების გამო, სადაც აღწერილი იყო სამხრეთ ოსეთისა და ბუფერული ზონის ეთნიკურად ქართულ სოფლებში მილიციის არარეგულარული ნაწილების და ბანდიტური დაჯგუფებების მიერ ჩატარებული ეთნიკური წმენდის აქტები, რომელთა შეჩერება რუსულმა ჯარებმა ვერ მოახერხა.“ შემდგომში მან „ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მსგავსი ქმედებები ყველაზე მეტად ხდებოდა 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და გრძელდებოდა „რეზოლუციის მიღების დღემდე.¹²⁹⁷ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ მათი ვალდებულებების პატივისცემისა და შესრულების კომიტეტის (მონიტორინგის კომიტეტი) მომხსენებელმა, რომელიც საქართველოსა და რუსეთს ეწვია სექტემბრის ბოლოს, დეტალურად განმარტა ამ კვალიფიკაციის საფუძველი: „სამხრეთ ოსეთში ქონების ძარცვისა და განადგურების სისტემატური ხასიათი, ცხინვალის დე ფაქტო ხელმძღვანელობის მხრიდან გაკეთებულ მინიშნებებთან ერთად, რომ ეთნიკური ქართველი იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებას ისინი არ მიესალმებიან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მიიღებენ თვითგამოცხადებული სახელმწიფოს მოქალაქეობას, როგორც ამას დე ფაქტო ხელისუფლება მოითხოვს, არის ნათელი მაჩვენებელი, რომ სამხრეთ ოსეთში ადგილი აქვს ეთნიკურ წმენდას. ამას

არის არც ამ ჯგუფის გადანგურების ექვივალენტი, და არც მსგავსი გადანგურება შეიძლება ავტომატურად გახდეს გადაადგილების შედეგი. (...) სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეადგენს თუ არა გარკვეული ოპერაცია აღწერილი, როგორც „ეთნიკური წმენდა“, გენოციდს, დამოკიდებულია იმ აქტების არსებობაზე ან არ არსებობაზე, რომლებიც ჩამოთვლილია გენოციდის კონვენციის მუხლში II , და ჯგუფის, როგორც ასეთის, განადგურების განზრახვაზე. ფაქტობრივად, კონვენციის კონტექსტში, ტერმინს „ეთნიკური წმენდა“ თავისთავად სამართლებრივი მნიშვნელობა არ გააჩნია. ამით ნათქვამია, რომ ნათელია, რომ „ეთნიკური წმენდის“ ეს აქტები შეიძლება წარმოიქმნას კონვენციის მუხლით II აკრძალული აქტების პარალელურად, და შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს იმ სპეციფიური განზრახვის (*dolus specialis*) არსებობის მაჩვენებელი, რომელიც ამ აქტების განხორციელებას უდევს საფუძვლად.“ თუ ის აღწევს დანაშაულის ისეთ ნიშნულს - ჯგუფის გადანგურება მთელი ჯგუფის რეგიონიდან განდევნის განზრახვასთან შედარებით.“ გაეროს საერთაშორისო სასამართლო, სარჩელი გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის კონვენციის გამოყენების შესახებ (ბოსნია-ჰერცეგოვინა სერბიისა და ჩერნოგორიის წინააღმდეგ), ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 190.

¹²⁹⁶ საქართველო, პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც დაისვა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამომიებო მისიის მიერ, მიეწოდა 2009 წლის 5 ივნისს (Georgia, Responses to Questions Posited by the IIFMCG), გვ. 3.

¹²⁹⁷ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, რეზოლუცია 1633, მიღებულია 2008 წლის 2 ოქტომბერს, პარაგრაფი 13.

ადასტურებს საერთაშორისო ჰუმანიტარული და დახმარების გამწევი ორგანიზაციები, აგრეთვე ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები და დიპლომატიური საზოგადოება და მათგან მიღებული ცნობები, სადაც ისინი იუწყებიან სამხრეთ ოსეთის არარეგულარული ნაწილებისა და ბანდიტური დაჯგუფებების მიერ სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართულ სოფლებში ეთნიკური წმენდის სისტემატურად ჩატარებული აქტების შესახებ. ანგარიშებში აღნიშნულია, რომ ზოგ შემთხვევაში, მთლიანი სოფლები იქნა აოხრებული და გამქრალი. ჩანს, რომ ამას ადასტურებს რეგიონში მივლინებული ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია, რომელმაც იხილა, რომ სამხრეთ ოსეთში მდებარე ქართული სოფელი ქსუისი მთლიანად იყო გამარცხული და სრულად განადგურებული.¹²⁹⁸

Human Rights Watch-მა დაასკვნა, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა ეთნიკურ წმენდას.¹²⁹⁹

რამდენიმე ელემენტს ასევე მივყავართ დასკვნამდე, რომ ეთნიკური წმენდა ხორციელდებოდა 2008 წლის კონფლიქტის მსვლელობის დროს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მის შემდეგ. როდესაც განვიხილავთ სადავო ტერიტორიას და მის ეთნიკურ შემადგენლობას, ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ სამხრეთ ოსეთი გარკვეულ ადგილებსა და სოფლებში დასახლებული იყო ეთნიკური ქართველებით. გაეროს იძულებით გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების პრინციპი 6(2) იძლევა ისეთი სიტუაციების მაგალითებს, როდესაც გადაადგილება უნდა ყოფილიყო იძულებული „როდესაც ეს ხდება (...) „ეთნიკური წმენდის“ ან მსგავსი პრაქტიკის გამო, რაც მიზნად ისახავს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ეთნიკური, რელიგიური ან რასობრივი შემადგენლობის შეცვლას.“ გარდა გადაადგილების გზით განხორციელებისა, ეთნიკური წმენდა შეიძლება მიღწეულ იქნას სხვა აქტების მეშვეობითაც, როგორებიცაა, სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმის საფრთხე და საკუთრების განადგურება.¹³⁰⁰

სამხრეთი ოსეთის მრავალი ეთნიკურად ქართული სოფელი იყო და კვლავ არის სრულად დაცარიელებული მოსახლეობისაგან. უფრო მეტიც, რამდენიმე მოწმემ განაცხადა განადგურებისა და გადაწვის შესახებ, რაც მხოლოდ იმისთვის გაკეთდა, რომ ადამიანები იძულებული გაეხადათ, გადასახლებულიყვნენ და დაბრუნების სურვილი აღარ გასჩენოდათ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც განვიხილავთ, თუ რატომ

¹²⁹⁸ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ მათი ვალდებულებების პატივისცემისა და შესრულების კომიტეტი (მონიტორინგის კომიტეტი), ანგარიში, საქართველოსა და რუსეთს შორის მომხდარი ომის შედეგები, Doc. 11724, 1 ოქტომბერი, 2008 წ., თანამომხსენებლები ლუკ ვან დენ ბრანდე და მატეას იორში, პარაგრაფი 41, იხ.:

<http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/WorkingDocs/Doc08/EDOC11724.htm>.

¹²⁹⁹ Human Rights Watch, ცეცხლში ამდგარი - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და მსხვერპლი სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში (Up In Flames – Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia), ციტირებული დოკუმენტი, გვ. 131.

¹³⁰⁰ ამ საკითხზე იხ.: საექსპერტო კომისიის შუალედური ანგარიში, უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 780 (1992) შესაბამისად, პარაგრაფი 56.

გრძელდებოდა ძალადობა სოფლად დარჩენილი რამდენიმე ბინადარის წინააღმდეგ, როდესაც მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა დატოვა ეს სოფლები საომარი მოქმედებების დაწყების დროს. ამ მხრივ, მათი ბოლო ვიზიტის დროს ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე ადგილებში, სოფლების – თამარაშენი, აჩაბეთი, ქუეთა და კეხვი – დამაკავშირებელ გზაზე, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის ექსპერტებმა თავად იხილეს, რომ ამ ეთნიკურად ქართული სოფლებიდან ყველა სრულიად დაცარიელებული იყო.

ვინაიდან არ არსებობს ეთნიკური წმენდის განმარტება და შესაბამისად, მატერიალური აქტებში არ არის რაიმენაირი მოთხოვნები ცალკე შკალისათვის, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ის უდიდესი ზარალი და დარჩენილი, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი აქტები არანაირად არ შეიძლება იყოს გაგებული როგორც ცალკეული შემთხვევები. ამავ დროს, ძნელია მათი, სისტემატურად აღქმა. ეს ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა საკითხთან.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი მოთხოვნა რაიმე გარკვეული ელემენტის არსებობის შესახებ ეთნიკურ წმენდაში, ეს ის კვალიფიკაცია, რომელიც მოითხოვს „მოცემულ ტერიტორიაზე ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებას“ ან „საზოგადოდ, ტერიტორიის ეთნიკურად ჰომოგენურად გადაქცევას,“ კონფლიქტის დროს და მის შემდეგ ჩატარებული ქმედებები ნათლად აჩვენებს, რომ ძალადობა მიმართული იყო ერთი გარკვეული ეთნიკური ჯგუფის, ანუ ეთნიკური ქართველების, წინააღმდეგ.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს გავაცნობიეროთ, რომ გადაადგილების მრავალი მიზეზი არსებობს. ზოგიერთი ქმედება, მიუხედავად იმისა, რომ განხორციელდა ეთნიკური მიზეზების გამო, შეიძლება, აგრეთვე, მოტივირებული იყოს 1990-იან წლებში მომხდარი კონფლიქტის დროს ჩატარებული ქმედებებით – ანუ, შურისძიებითაც. საქართველოში მომხდარი კონფლიქტის დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო მისიის ბოლო ვიზიტისას ივნისის თვეში, მისიის ერთ-ერთმა ექსპერტმა გამოკითხა ცხინვალში მცხოვრები სამხრეთელი ოსები, რომლებიც დაბეჯითებით აცხადებდნენ, რომ კეხვიდან თამარაშენამდე მდებარე ეთნიკურად ქართული სოფლები განადგურდა შურისძიების მიზეზით იმ ქმედებებისათვის, რომლებიც ამ სოფლების მცხოვრებლებმა განახორციელეს სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ 1991-1992 წლების კონფლიქტის დროს და მის შემდეგ. თუმცა, მათგან ერთმა პირმა ისიც დაამატა, რომ სხვა ეთნიკურად ქართული სოფლები არ განადგურდა იმის გამო, რომ მათ ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდათ სამხრეთელ ოსებთან.¹³⁰¹

¹³⁰¹ ამ მხრივ, ქართველებით დასახლებულ სოფლებში, რომლებიც კონფლიქტამდე სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ, ამნესტი ინტერნეშნლ-ს სრულიად სხვა სიტუაცია დახვდა, ვიდრე საქართველოს ხელისუფლების მიერ ადმინისტრირებულ სოფლებში: „ორგანიზაციის წარმომადგენლები 26 აგვისტოს ეწვივნენ ცხინვალიდან დასავლეთით, ზნაურის რაიონში მდებარე სოფლებს - ნედალთი და ახალშენი, სადაც მათ იხილეს ბევრად ნაკლები ბრძოლების კვალი. ახალშენში მდებარეობდა სამხრეთი ოსეთის კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მოქმედი ერთადერთი ქართულენოვანი სკოლა. ამნესტი ინტერნეშნლ-ის წარმომადგენლები შეხვდნენ ახალშენის ქართული თემის წარმომადგენლებს, რომელთაც თქვეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სოფლის

მეორე მხრივ, ეთნიკური წმენდა არ ნიშნავს, რომ მთელი ტერიტორია აუცილებლად ჰომოგენური უნდა გახდეს – ის, აგრეთვე, უკავშირდება ტერიტორიის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლის მიზანს.

რამდენიმე ელემენტი გვაფიქრებინებს, რომ სამხრეთ ოსეთში ჩატარდა ეთნიკური წმენდა იქ მცხოვრები ქართველების წინააღმდეგ.

თუ მხედველობაში მივიღებთ სამხრეთ ოსეთში მომხდარი ძალადობის აქტების მასშტაბსა და ტიპებს (როგორებიცაა, ძალდატანებითი გადაადგილება, ძარცვა და სახლებისა და საკუთრების განადგურება) საკითხი დგება, შეიძლება თუ არა, რომ ეს შეადგენდეს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს. რომის წესდების მიხედვით, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული განსაზღვრულია, როგორც კერძო აქტი, რომელიც მოიცავს „მოსახლეობის ძალდატანებით გადასახლებას“ და „გარკვეული ჯგუფების ან საზოგადოების წინააღმდეგ განხორციელებულ დევნას პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან რაიმე სხვა მიზეზის გამო,“ „როდესაც ის ხორციელდება, როგორც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ფართოდ გავრცელებული ან სისტემატური თავდასხმების ნაწილი, ამ თავდასხმის გაცნობიერებით.“¹³⁰² მიუხედავად იმისა, რომ შერჩევითობის პრინციპი არ არის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ზოგადი ელემენტი და მოითხოვება მხოლოდ დევნის აქტებისათვის,¹³⁰³ გამოვლენილი აქტების უმრავლესობა მიმართული იყო გარკვეული ჯგუფის – სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამ აქტებიდან ნებისმიერისათვის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის მისანიჭებლად ძირითადი კრიტერიუმია, რომ ისინი ჩატარდა, როგორც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ფართოდ გავრცელებული ან სისტემატური თავდასხმების ნაწილი. იმ მასშტაბის მიხედვით, რომლითაც ეს ელემენტი არის წარმოდგენილი, ეს აქტები შეიძლება კლასიფიცირებული იქნას, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

რამდენიმე ელემენტის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ, როგორც 2008 წლის კონფლიქტის მსვლელობის დროს, ასევე მის შემდეგ ხორციელდებოდა ეთნიკური წმენდა.

მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა სოფელი დატოვა და საქართველოსაკენ დაიძრა კონფლიქტის სადამოს, სოფელში არ დაზიანებულა არც ერთი სახლი, და სუფელში არ ყოფილა არც ერთი მსხვერპლი,“ Amnesty International, გვ. 44.

¹³⁰² იხ.: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მუხლი 7.

¹³⁰³ მაგალითად, იხილეთ ლერი მეი, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები: ნორმატიული ანგარიში (Larry May, Crimes Against Humanity: A Normative Account), New York, Cambridge University Press, 2005, გვ. 125; პატრიცია მ. უალდი, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდი და დანაშაულები (Patricia M. Wald, “Genocide and Crimes Against Humanity”) Washington University Global Studies Law Review, 2007, ტ. 6, გვ. 629.

d) მოპყრობა გადაადგილებული პირების მიმართ

როგორც სამოქალაქო პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, სარგებლობენ ზოგადი დაცვის უფლებით, ხოლო მას შემდეგ, რაც მოქმედებას წყვეტს კანონი შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ დაცვით ადამიანის უფლებების სამართლის მიხედვით. ამ მხრივ გამიზნული დარღვევების საკითხი მოგვიანებით იქნება განხილული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გადაადგილების კონტექსტში იძულებით გადაადგილებული პირების მოწყვლადობის აღსანიშნავად. კონფლიქტის მსვლელობის დროს და მის შემდეგ გადაადგილების განხორციელების პროცესში მათ მიმართ ცუდად მოპყრობის, ცემის, ადამიანების გატაცების და უკანონო დაპატიმრებების და დაკავებების მრავალი მტკიცებულება იქნა მოპოვებული. იძულებით გადაადგილებული პირების დაცვის წესების ნაკრები მოცემულია იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებში.¹³⁰⁴

გადაადგილებული პირებისა და მათთან მოპყრობის შესახებ კონფლიქტში მონაწილე მხარეებისაგან მიღებული პასუხები უნდა განიხილებოდეს იმ კუთხით, რომ კონფლიქტის დაწყებამდე სამხრეთ ოსეთში მრავალი ადამიანი ცხოვრობდა, როგორც იძულებით გადაადგილებული პირი, ხოლო ადამიანები სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან 1991-1992 წლების პირველი კონფლიქტის შემდეგ, სხვაგან იყო გადაადგილებული.¹³⁰⁵

¹³⁰⁴ მე-10 პრინციპი იმეორებს, რომ „ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის განუყოფელი უფლება, რომელიც დაცული უნდა იყოს კანონის მიერ. უკანონოდ არავის არ უნდა წაერთვას სიცოცხლე“ და რომ „თავდასხმა ან ძალადობის სხვა აქტები იძულებით გადაადგილებული იმ პირების მიმართ, რომლებიც აღარ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, აკრძალულია ყოველგვარ გარემოებაში.“ მე-11 პრინციპი იმეორებს, რომ „ყველა ადამიანს აქვს ღირსების და ფიზიკური, გონებრივი და მორალური მთლიანობის უფლება.“ მე-12 პრინციპი, სხვათა შორის, იმეორებს, რომ „ყველა ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავინ არ უნდა გახდეს უკანონო დაპატიმრებისა და დაკავების სუბიექტი.“ იძულებით გადაადგილებული პირები დაცულები უნდა იყვნენ დაცული შერჩევითი დაპატიმრებისა და დაკავებისაგან, მათი გადაადგილების შედეგად. არავითარ შემთხვევაში იძულებით გადაადგილებული პირები არ უნდა იყვნენ აყვანილი მძევლად.“

¹³⁰⁵ 2008 წლის ნოემბერში, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შემფასებელმა მისიამ აღნიშნა, რომ: „საქართველოს მთავრობა ძალიან რთულ გარემოებაში, შეეცადა დაეკმაყოფილებინა იძულებით გადაადგილებული პირების დიდი, ახალი პოპულაციის საჭიროებები. მიუხედავად ამ მცდელობებისა, აგრეთვე, მცდელობებისა საერთაშორისო და ეროვნული ჰუმანიტარული ორგანიზაციების მხრიდან, მრავალი გადაადგილებული პირი კვლავ ძალიან რთულ პირობებში ცხოვრობს და მათთვის არ მიუციათ ადეკვატური დახმარება ან თავშესაფარი, ზამთრის მოახლოებასთან ერთად. სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ გარკვეული დახმარება გაუწია მის ტერიტორიაზე მყოფ, ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს, მაგრამ სხვები განაგრძობდნენ მძიმე პირობებში ცხოვრებას და დამოკიდებული იყვნენ საერთაშორისო დახმარებაზე.“

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შემფასებელი მისია, ეუთო, ადამიანის უფლებები ომის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, 27 ნოემბერი, 2008 წ., პარაგრაფი 6.

იმულებით გადაადგილებული პირების ადამიანის უფლებების საკითხებში, გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „7-8 აგვისტოს კონფლიქტის ესკალაციის შედეგად სწრაფ გადასახლებაზე მთავრობის მხრიდან მყისიერი ჰუმანიტარული რეაგირება ჩაითვალა, როგორც დროული და ადეკვატური.“¹³⁰⁶ მიუხედავად ამისა, იგი ინფორმირებული იყო „რომ საგანგებო სიტუაციის საწყის ეტაპებზე მთავრობის რეაგირების კოორდინაცია არ იყო ნათელი და რამდენჯერმე შეიცვალა, რამაც გამოავლინა კომპეტენტური უწყებების მზადყოფნის ნაკლი.“ გაეროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ეს დაკვირვება გაიზიარა ადამიანის უფლებებში ევროპის საბჭოს კომისარმა, რომელმაც აგვისტოს ვიზიტის შემდეგ, ჩათვალა, რომ არც ხელისუფლებას და არც საერთაშორისო საზოგადოებას არ გაუკეთებია საკმარისი იმისათვის, რომ გადაადგილებულთათვის ადეკვატური საცხოვრებელი პირობები შეექმნათ, რაც უნდა ითქვას, რომ გამოსწორდა სექტემბრის განმავლობაში.“¹³⁰⁷ უოლტერ კალინი მიეასლმა „ფაქტს, რომ, გადაადგილების უფრო ადრეულ ეტაპებზე რეაგირებისაგან განსხვავებით, აგვისტოს კონფლიქტის შემდგომ, მთავრობამ გააძლიერა პოლიტიკა ცხინვალის რეგიონიდან /სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან იმულებით გადაადგილებული პირების ადგილობრივად ინტეგრაციის სრულად ხელშეწყობისათვის და სწრაფად მიიღო განხორციელების ზომები, კერძოდ, განსახლების ისეთ ადგილებში, როგორცაა, მაგალითად, წეროვანი.“¹³⁰⁸

ე) დაბრუნების უფლება, და დაბრკოლებები

(i) დაბრუნების უფლება საერთაშორისო სამართლით

შიდა ადგილნაცვალობასთან დაკავშირებული გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, კომპეტენტურ ორგანოებს გააჩნიათ უპირველესი ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რომ დაადგინონ პირობები, და აგრეთვე უზრუნველყონ საშუალებები, რათა იმულებით გადაადგილებულ პირთათვის ხელმისაწვდომი იყოს

¹³⁰⁶ იმულებით გადაადგილებული პირების ადამიანის უფლებების საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის ანგარიში, ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 16.

¹³⁰⁷ იგივე. 2008 წლის ნოემბერში თავისი სპეციალური დამატებითი მისიის დროს სამხრეთი ოსეთის კონფლიქტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში იმულებით გადაადგილებული პირების ადამიანის უფლებების საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა გამოხატა „თავისი სერიოზული შეშფოთება იმ ფაქტის გამო, რომ საქართველოს მთავრობამ, მიუხედავად საგრძნობი დახმარებისა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, ჯერჯერობით მაინც ვერ მოახერხა შეექმნა ადეკვატური საცხოვრებელი პირობები და დახმარება გაეწია მათთვის, ვინც ისევ გადაადგილებული იყო.“ იხ.: სპეციალური დამატებითი მისია სამხრეთი ოსეთის კონფლიქტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილებში: კომისრის ადამიანის მყისიერი უფლებებისა და ჰუმანიტარული დაცვის 6 პრინციპის განხორციელება (12-14 ნოემბერი, 2008, თბილისი, ცხინვალი და გორი), თომას ჰამარბერგი, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარი, CommDH (2008) 37, 16 დეკემბერი, 2008.

¹³⁰⁸ იმულებით გადაადგილებული პირების ადამიანის უფლებების საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის ანგარიში, ციტირებული დოკუმენტი, პარაგრაფი 18.

პრობლემის გადაწყვეტის სამი შესაძლო ვარიანტი: დაბრუნება ადრინდელ სახლებში; ადგილობრივი ინტეგრაცია; და განსახლება ქვეყნის სხვა ნაწილში.¹³⁰⁹

ადამიანის უფლებათა კანონი (HRL) უპირველეს ყოვლისა აქცენტს აკეთებს სხვა ქვეყნიდან დაბრუნებაზე, თუმცა შესაბამისი მთავრობები ვალდებული არიან გააკეთონ ყველაფერი რაც შესაძლებელია, რათა დაიცვან დაბრუნების უფლება ქვეყნის ფარგლებშიც.¹³¹⁰ სახელმწიკრულეზლო და ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალშიც (IHL) არსებობს წესი, რომლის თანახმადაც „ადგილნაცვალ პირებს უფლება აქვთ ნებაყოფლობით უსაფრთხოდ დაუბრუნდნენ საკუთარ სახლებს ან ჩვეულ საცხოვრებელ ადგილებს, როგორც კი შეწყვეტს არსებობას მათი გადაადგილების გამომწვევი მიზეზები.“¹³¹¹ როგორც ხაზგასმულია გაერო–ს სახელმძღვანელო პრინციპების 6 (3) პრინციპში, „ადგილნაცვალობა არ უნდა გაგრძელდეს იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ამას მოითხოვს გარემოებები.“ ეს უფლება განმტკიცებულია იძულებით გადაადგილებული პირის გადაადგილების თავისუფლებით და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებით.

დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული გარანტიები ფუნდამენტურია. ასეთი გადაწყვეტილებები უნდა იყოს ნებაყოფლობითი, რაც იმას ნიშნავს რომ ისინი ძალდატანების გარეშე და ინფორმირებული არჩევანის საფუძველზე მიიღება, და დაბრუნება უნდა განხორციელდეს უსაფრთხოებისა და ღირსების პირობებში, რაც საშუალებას მისცემს დაბრუნებულებს, რომ იცხოვრონ უსაფრთხოებაში და ისეთ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პირობებში, რომლებიც შეესაბამება ადამიანური ღირსების მოთხოვნებს.

(ii) დაბრუნების უფლების სრულად განხორციელების ხელშემშლელი გარემოებები

იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის, აგრეთვე, უფრო ფართო პერსპექტივით, 1990-იანი წლების კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებაში, ერთ–ერთი უმძიმესი პრობლემა და ურთულესი საკითხია.¹³¹² თავიდანვე საჭიროა ყურადღების გამახვილება ორ

¹³⁰⁹ პრინციპში 28 (1) ნათქვამია: „კომპეტენტურ ორგანოებს გააჩნიათ უპირველესი ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რომ დაადგინონ პირობები, და აგრეთვე უზრუნველყონ საშუალებები, რომლებიც საშუალებას მისცემს იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომ ნებაყოფლობით, უსაფრთხოდ და ღირსებით დაუბრუნდნენ საკუთარ სახლებს ან ჩვეულ საცხოვრებელ ადგილებს, ან ნებაყოფლობით განსახლდნენ ქვეყნის სხვა ნაწილში. ასეთი ხელისუფლების ორგანოები უნდა ცდილობდნენ, რომ ხელი შეუწყონ დაბრუნებული ან განსახლებული იძულებით გადაადგილებული პირების რეინტეგრაციას.“

¹³¹⁰ თომას ჰამარბერგი, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, ადამიანთა უფლებები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე, 2008 წლის 8 სექტემბერი, ციტატა, გვ. 2

¹³¹¹ იხ. წესები 132 ჯ.-მ. ჰენკაერტი, ლ. დოსვალდ-ბეჟი (რედაქტორები), ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ტომი I, ციტატა გვ. 468.

¹³¹² იხ. მაგ.ევროსაბჭოს უმაღლესი კომისრის ხუთი ანგარიშიდან, საქართველოში, სამხრეთ ოსეთის ჩათვლით, სპეციალური მისიის შედეგები შეჯამება, ციტატა გვ. 2.

საკითხზე: პირველი - იძულებით გადაადგილებული პირების მხრიდან არსებობს სახლებში და საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების უკიდურესი იმედი. ეს ხაზგასმით იყო აღნიშნული როგორც IIFMCG-ს ექსპერტის მიერ 2009 წლის მარტში გამოკითხული ყველა იძულებით გადაადგილებული პირის მიერ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ სხვა გამოკითხვებშიც.¹³¹³ იმავდროულად, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ დაბრუნება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებული იქნება მათი უსაფრთხოება. ხაზი უნდა გაესვას მეორე პუნქტს: სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ამჟამინდელი სტატუსის საკითხი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს გამოყენებული იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების უფლების შემაფერხებელ ან ხელის შემშლელ გარემოებად. ეს გარკვევით აღნიშნა აგრეთვე ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა.¹³¹⁴

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მთავრობის სავარაუდო გაანგარიშებით 2008 წლის ნოემბერში, ახლო მომავალში ვერ დაბრუნდება დაახლოებით 37,605 იძულებით გადაადგილებული პირი, მათ შორის 19,11 იძულებით გადაადგილებული პირი ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან, 1,821 იძულებით გადაადგილებული პირი კოდორის ხეობიდან, და ის იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებმაც ზამთარი ლტოლვილობაში გაატარეს, დაახლოებით 11,500, რომლებსაც არ შეუძლიათ დაბრუნება ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიებზე და 5,173 იძულებით გადაადგილებული პირი ახალგორიდან.¹³¹⁵ გაერო-ს შეფასებით, კონფლიქტის შედეგად იქნება ხანგრძლივი ვადით იძულებით ადგილნაცვალი დაახლოებით 30,000 პირი.¹³¹⁶

მიუხედავად იმისა, რომ ზამთრითა და ამინდის პირობებით შეიძლებოდა იმის ახსნა, თუ რატომ დაუბრუნდა ზემო კოდორის ხეობაში საკუთარ სახლებს მხოლოდ მცირე რაოდენობის ოჯახები, IIFMCG ეწვია კოდორის ხეობას ივნისში და ნახა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა უმეტესობა ჯერ არ იყო დაბრუნებული. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, დაბრუნდა 150-დან 200-მდე პირი.¹³¹⁷

¹³¹³ მაგ. იქვე, პ. 31.

¹³¹⁴ იქვე, პ. 32.

¹³¹⁵ გენერალური მდივნის წარმომადგენლის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანთა უფლებების თაობაზე, ციტატა გვ. 2.

¹³¹⁶ გაერო, საგანგებო მოწოდება საქართველოს კრიზისისთან დაკავშირებით (Georgia Crisis Flash Appeal), 2008 წლის ოქტომბერი, გვ. 15.

¹³¹⁷ IIFMCG-ს შეხვედრები აფხაზეთის საგარეო საქმეთა დე ფაქტო მინისტრთან 2009 წლის 29 მაისს და „აფხაზეთის დევნილ მთავრობასთან“ 2009 წლის 4 ივნისს.

როგორც ჩანს, ყველაზე რთული საკითხია სამხრეთ ოსეთიდან გადაადგილებული პირების დაბრუნება. როგორც ევროპის საბჭოს ადამიანთა უფლებების უმაღლესმა კომისარმა ხაზგასმით აღნიშნა სექტემბერში, „დაბრუნების უფლება უნდა მოიცავდეს კონფლიქტის მთელს ტერიტორიას, არა მხოლოდ „ბუფერულ ზონებს“, არამედ თავად სამხრეთ ოსეთსაც.“¹³¹⁸ ამასთან მიმართებაში, როგორც ჩანს, არსებობს სხვაობა იმ მოსახლეობას შორის, რომელიც უბრუნდება ამ რეგიონს. რუსეთის ფედერაციამ აღნიშნა, რომ სექტემბრის ბოლოსთვის 25 ათასზე მეტი ადამიანი დაბრუნდა რუსეთის ტერიტორიიდან სამხრეთ ოსეთში,¹³¹⁹ მაშინ როდესაც ეთნიკურმა ქართველებმა ვერ შეძლეს დაბრუნება.¹³²⁰

ადგილნაცვალი პირების დაბრუნებას მრავალი დაბრკოლება აფერხებს. 2008 წლის სექტემბერში გაერო-ს ჰუმანიტარული შეფასების უწყებათშორისმა მისიამ სამხრეთ ოსეთში, სხვა განცხადებებთან ერთად, განაცხადა, რომ „კანონის უზენაესობის არარსებობა, ქონებრივი უფლებების დარღვევა, საარსებო საშუალებათა შეზღუდული პერსპექტივა და უფრო ფართომასშტაბიანი პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ზემოქმედებენ შერიგებაზე, ართულებს ამ ღონისძიებას.“¹³²¹

საქართველოს ინფორმაციით, „მრავალი ეთნიკური ქართველი, რომელიც გაიქცა ცხინვალის რაონში/ სამხრეთ ოსეთში მდებარე საკუთარი სოფლებიდან კონფლიქტის

¹³¹⁸ საქართველოში, სამხრეთ ოსეთის ჩათვლით, სპეციალური მისიის შედეგები შეჯამება, ციტატა პ. 35.

¹³¹⁹ რუსეთი, პასუხები IIFMCG-ის მიერ დასმულ შეკითხვებზე (იურიდიული ასპექტები), ციტატა გვ. 8. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუციებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის ინფორმაციით, „იმ 30,000 ადამიანის დიდი უმეტესობა, რომლებიც კონფლიქტის დროს რუსეთში ჰპოვეს თავშესაფარი, დაუბრუნდა საკუთარ სახლებს სამხრეთ ოსეთში.“ იხ. ეუთო, ადამიანთა უფლებები საქართველოში კონფლიქტის შედეგად ომისგან დაზარალებულ ტერიტორიებზე, ციტატა გვ. 6-7.

¹³²⁰ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა 2009 წლის 15 მაისს გვიანდელ ანგარიშში დაადასტურა ეს: „საქართველოს მთავრობის და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის უკანასკნელი შეფასებების მიხედვით, ადგილნაცვალი რჩება 30,000-ზე მეტი ადამიანი. დაახლოებით 18,000 პირს საქართველოს მთავრობამ შესთავაზა საიმედო საცხოვრებელი გადაწყვეტა, ხოლო თითქმის 4000-მა არჩევანი გააკეთა ფინანსური კომპენსაციის სასარგებლოდ. დაახლოებით 12,500 კვლავ ცხოვრობს კოლექტიურ ცენტრებში ან დროებით ვერძო ბინაში. რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვინც გაიქცა რუსეთის ფედერაციაში, მათი უმეტესობა დაბრუნდა სამხრეთ ოსეთში, გარდა დაახლოებით 1,200 ადამიანისა, რომლებმაც არჩიეს რუსეთის ფედერაციაში დარჩენა. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის გამო ადგილნაცვალ პირთა უმეტესობამ შეძლო სამხრეთი ოსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთარ სახლებში დაბრუნება, და მათმა უმეტესობამ, ვინც რუსეთში გაიქცა, შეძლო დაბრუნება. თუმცა სამხრეთ ოსეთიდან გაქცეული ეთნიკური ქართველების უმეტესობამ ვერ შეძლო დაბრუნება.“ ანგარიში ადამიანთა უფლებების საკითხებზე 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, 2009 წლის 15 მაისი, პ. 10.

¹³²¹ გაეროს ჰუმანიტარული შეფასების სააგენტოთაშორისი მისია სამხრეთ ოსეთში, ციტატა პ. 4.2. რუსეთის ფედერაციამ ასევე დაადგინა შემდეგი:

„იმ ფაქტის გამო, რომ რუსეთის ფედერაციამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან, 2008 წლის 29 აგვისტოდან საქართველოს მოქალაქეების მათ სამშობლოში ნებაყოფლობითი რეპატრაციის პროცესი ბევრად უფრო გართულდა, რადგან ამ პირთაგან ბევრს არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი საბუთი. სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის, რომლებიც აფერხებენ ადგილნაცვალი პირების ორგანიზებული რეპატრაციის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, არის კვლავ არსებული ეთნიკური დამაბულობა და სიტუაცია „ბუფერულ ზონებში“, რომელიც კონფლიქტის ზღვარზეა ქართული სამხედრო ძალების ზრდის გამო. ამ ფაქტორებმა შეიძლება პოტენციურად შექმნან დამაბულობის ახალი წყაროები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საზღვრებზე.“, პასუხები კითხვებზე, ციტატა გვ. 6.

დროს და უშუალოდ მის შედეგად, ვერ დაბრუნდა.“ იგი მიუთითებდა, გარდა სხვა გარემოებებისა, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ გაკეთებულ განცხადებებზე, რამაც ადამიანების დაბრუნება დამოკიდებული გახადა შემდეგ პირობაზე - სამხრეთ ოსეთის პასპორტის მიღებაზე და ქართულ პასპორტზე უარის თქმაზე; იგი ასევე აღნიშნავდა რუსულ/ოსურ საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე დაკავებული პირების ჩვენებებს, რომლის შესახებ ინფორმაცია ეუთოს HRAM-მა მიაწოდა.¹³²²

IIFMCG-ი მივიდა დასკვნამდე, რომ ამჟამად ორი ძირითადი დაბრკოლებაა უსაფრთხოება და ქონების განადგურება. ამაზე საქართველოს ხელისუფლებამაც გაამახვილა ყურადღება.¹³²³ ანალოგიურად, რუსეთის ფედერაციამ აღნიშნა, რომ „რაც შეეხება ცხინვალის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე თემებში დაბრუნებას, ეს პროცესი ფიზიკურად შეფერხებულია იმ ფაქტის გამო, რომ სახლების დიდი რაოდენობა დაინგრა საომარი ოპერაციების დროს და აგრეთვე იმის გამო, რომ კვლავ არსებობდა უსაფრთხოების რისკები.“¹³²⁴ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუციებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის ინფორმაციით, „მიუხედავად იმისა, რომ [2008 წლის აგვისტოს] კონფლიქტის შედეგად ადგილნაცვალი 130,000 -ზე მეტი ადამიანიდან ბევრი დაუბრუნდა ძველ საცხოვრებელ ადგილებს, ძირითადად „ბუფერულ ზონაში“, 20,000-ზე მეტი პირი, უმეტესწილად ეთნიკური ქართველები, ვერ დაუბრუნდნენ ადრინდეს საცხოვრებელ ადგილებს სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოების არარსებობის, სახლების დაზიანების, ან დაბრუნებაზე დადებული შეზღუდვების გამო, ხოლო მრავალ მათგანს, ვინც გაიქცა აფხაზეთის კოდორის რაიონიდან, ეშინია დაბრუნება უსაფრთხოების სიტუაციის არასაიმედოობის გამო.“¹³²⁵

როდესაც ვითვალისწინებთ სახლების ინტენსიურ ნგრევას და გადაწვას, რაც განხორციელდა 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ, და მას შემდეგ რაც ეთნიკურმა ქართველებმა დატოვეს სოფლები, მრავალი რამ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ნგრევა განზრახ იყო ჩადენილი, რათა ხელი შეეშალათ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისთვის. როგორც Human Rights Watch-მა გაუსვა ხაზი, ეს მკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ცხინვალის ირგვლივ არსებულ სოფლებში ეთნიკური ქართველების სოფლების ნგრევა - უმეტესად აგვისტოს შუა რიცხვებში - განხორციელდა

¹³²² საქართველო, პასუხები IIFMCG -ის მიერ დასმულ კითხვებზე (ჰუმანიტარული ასპექტები, კითხვა 2), მიწოდებული IIFMCG -სთვის 2009 წ. 5 ივნისს, გვ. 2-3.

¹³²³ გენერალური მდივნის წარმომადგენლის ანგარიში ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა ადამიანთა უფლებების თაობაზე, ციტატა გვ. 2.

¹³²⁴ რუსეთი, პასუხები IIFMCG -ის მიერ დასმულ კითხვებზე (ჰუმანიტარული ასპექტები), გვ. 7.

¹³²⁵ ეუთო, ადამიანთა უფლებები საქართველოში კონფლიქტის შედეგად ომით დაზარალებულ ტერიტორიებზე, ციტატა გვ. 6-7.

„პირდაპირი მიზნით, რომ დარჩენილი ადამიანები აიძულებინათ წასულიყვნენ და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადრინდელი მაცხოვრებლები აღარ დაბრუნებულიყვნენ.“¹³²⁶

2009 წლის მარტში IFFMCG-მა შეძლო, გაეგლო გზაზე ცხირვალსა და სოფელ ქურთას შორის, სადაც საკუთარი თვალთ ნახა ინტენსიური ზიანი - თითქმის ყველა სახლი იყო გადამწვარი ან სხვაგვარად განადგურებული. ივნისში იგივე გზაზე მგზავრობისას IFFMCG -მა ნახა, რომ ეთნიკური ქართველების ყველა სოფელი კვლავ აბსოლუტურად ცარიელი იყო.

როგორც ზემოთ ხაზგასმით აღინიშნა, IFFMCG-ი ასევე შემფოთებული იყო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ განხორციელებული ძარცვით, ნგრევით და გადაწვით. გაერო-ს უწყებათაშორისმა ჰუმანიტარულმა შეფასების მისიამ სამხრეთ ოსეთში განაცხადა, რომ „ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების 19 აგვისტოს გადაღებული UNOSAT-ის გამოსახულებები, როგორც ჩანს, ამჟამად ერთადერთი საშულებაა, რომელიც ნაწილობრივ ასახავს იქ მიყენებული ქონებრივი ზიანის ამჟამინდელ მასშტაბებს.“ ფრონეს ხეობაში, სოფელ ავნევეში, ცხინვალიდან დასავლეთით, მისიის წევრებმა შენიშნეს „ერთერთი ნანგრევიდან ამომავალი ბოლი 18 სექტემბერს, რაც ნაკლებად სავარაუდოს ხდიდა იმას, რომ იგი მის აგვისტოს კონფლიქტის დროს დაიწვა.“¹³²⁷ არსებობს ასევე მოწმეთა ჩვენებები, რომელთა მიხედვითაც ზოგიერთი დაზიანება და დაწვა განზრახ იყო ჩადენილი, რათა არ დაეშვათ ადგილნაცვალი პირების დაბრუნება. 2008 წლის 30 სექტემბერს, მისიის დროს, ევროსაბჭოს იურიდიულ საქმეთა და ადამიანთა უფლებების კომიტეტი გამოეხმაურა Human Rights Watch-ის გამომძიებლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას: „მათ პირადად იხილეს ეთნიკური ქართველების სახლების ძარცვა და გადაწვა (...) მათ აგრეთვე ჰკითხეს მძარცველებს და ცეცხლის წამკიდებლებს, რომლებიც სრულიად დაუფარავად მოქმედებდნენ, თუ რა იყო მათი მოქმედების მიზანი. მათ მიიღეს პასუხი - რომ მათ სურდათ ის, რომ ქართველ მაცხოვრებლებს არ ჰქონოდათ სახლები, რომლებშიც შეეძლებოდათ დაბრუნება.“¹³²⁸

რაც შეეხება მიღებულ ღონისძიებებს, ადგილნაცვალი პირების დაბრუნების უზრუნველსაყოფად, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუციებისა და ადამიანთა უფლებების ოფისმა ხაზი გაუსვა, რომ აშკარაა, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას, რუსეთის სამხედრო ორგანოების ჩათვლით, არ მიუღიათ

¹³²⁶ HRW – ზემოთ, ალში (Up In Flame) ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და დაზარალებული სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ კონფლიქტში, ციტატა გვ. 131.

¹³²⁷ იქვე.

¹³²⁸ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE) იურიდიულ საკითხთა და ადამიანთა უფლებების კომიტეტი, „საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგები“, მომხსენებელ ქრისტოს პურგურიდის მოსაზრება, დოკ. 11732 რევ. 2008 წ. 1 ოქტომბერი, პ. 14, იხ.

<http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/WorkingDocs/Doc08?EDOC11732.htm> , პ. 34 .

ზომები ადგილნაცვალი ადამიანების ნებაყოფლობით დასაბრუნებლად ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებზე, უსაფრთხოდ და ღირსეულად, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად და ამ ორგანოების ვალდებულებების შესაბამისად.¹³²⁹

განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ დაბრუნების მსურველთათვის გარკვეული პირობების დაწესება. ერთ-ერთი მათგანია აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის მიღება. ეს პირობა ევროპის საბჭოს ადამიანთა უფლებების კომისარს აღუწერა დე-ფაქტო ხელისუფლებამ ცხინვალში.¹³³⁰ HRAM-მა ხელისუფლების ეს განაცხადები სამხრეთ ოსეთში, ასევე განმარტა, როგორც პირდაპირ წამოყენებული პირობა.¹³³¹ იმ იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩვენებებმა, რომლებსაც ხელი შეუშალეს დაბრუნებაში, გვაფიქრებინებს, რომ ეს განაცხადები მოწმობს ადგილზე არსებულ სიტუაციაზე.¹³³²

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის საგარეო საქმეთა დე-ფაქტო მინისტრმა განაცხადა, რომ „კოდორის ხეობაში ლტოლვილთა დაბრუნებასთან მიმართებაში არ არსებობდა აფხაზური მხარის მიერ შექმნილი დაბრკოლებები“¹³³³, UNOMIG-ის ინფორმაციის

¹³²⁹ ეუთო, ადამიანთა უფლებები საქართველოში კონფლიქტის შედეგად ომით დაზარალებულ ტერიტორიებზე, ციტატა გვ. 6.

¹³³⁰ სპეციალური შემდგომი მისია სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე: კომისრის ექვსი პრინციპის განხორციელება ადამიანთა უფლებებისა და ჰუმანიტარული სასწრაფოდ დაცვისთვის, ციტატა გვ. 1.

¹³³¹ HRAM-ის ანგარიშში ნათქვამია:

„ბ-ნმა კოკოითიმ (სეპარატისტული ძალების ლიდერმა), ინფორმაციის თანახმად, სექტემბრის შუა რიცხვებში გააკეთა განცხადება, რომ ქართველ „ლტოლვილებს“, ვისაც გააჩნიათ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა, შეუძლიათ თავისუფლად დაუბრუნდნენ ძველ საცხოვრებელ ადგილებს. ადგილნაცვალი ქართველები მიიღებენ დაბრუნების უფლებას, თუ მზად არიან უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე და მიიღონ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა. „სამხრეთ ოსეთის სხვა დე ფაქტო ოფიციალურმა პირებმა გამოხატეს იგივე მოსაზრებები. შინაგან საქმეთა დე ფაქტო მინისტრმა, მაგალითად, უთხრა HRAM -ს, რომ მან ნახა ჩანაწერი სამხრეთ ოსეთში მაცხოვრებელი 4,000 ეთნიკური ქართველის შესახებ, რომლებზეც 2006 წლიდან გაიცა იარაღი, და თუ ეს პირები ეცდებიან დაბრუნებას, მთ მიმართ გამოყენებული იქნება სამართლებრივი დევნა. დანარჩენებს შეეძლებათ დაბრუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყვიან საქართველოს მოქალაქეობაზე. დე ფაქტო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ (დე ფაქტო პრემიერ მინისტრის მოადგილემ) უთხრა HRAM -ს: „თუ ქართველი, რომელიც გადაწყვეტს სამხრეთ ოსეთში დარჩენას, არ დააკმაყოფილებს ჩვენს მოლოდინს, იგი განდევნილ იქნება... არ მინდა, რომ ქართველები დაბრუნდნენ თამარაშენში და ჩრდილოეთით მდებარე სხვა სოფლებში, და ისინი ვერც შეძლებენ ამას.“ იხ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუციებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის ადამიანთა უფლებების შეფასების მისია, ადამიანთა უფლებები საქართველოში კონფლიქტის შედეგად ომით დაზარალებულ ტერიტორიებზე, 2008 წლის 27 ნოემბერი, გვ. 48.

¹³³² -ის ინფორმაციით:

„სოფელ დისევიდან ადგილნაცვალმა პირმა, მაგალითად, უთხრა HRAM -ს რომ მან სცადა დისევი დაბრუნება მაგრამ რუსმა ჯარისკაცებმა არ მისცეს ამის შესაძლებლობა. მეორე პირმა სხვა გადაუბრუნისას დაადასტურა, რომ “შეუძლებელია რუსულ- ოსური საკონტროლო პუნქტების გავლა“ და რომ უსაფრთხოდ არ იყო დაბრუნება მინდვრების მოსავლედად.

„სოფ. ვანათიდან ადგილნაცვალმა წყვილმა უთხრა HRAM -ს , რომ მათ ვერ შეძლეს საკუთარ სახლში დაბრუნება ვინაიდან იმ ტერიტორიაზე პოლიცია არ უშვებს ხალხს. სოფლის მაცხოვრებელმა, რომელიც ცდილობდა სოფ. ქსუისში დაბრუნებას, თქვა, რომ საკონტროლო პუნქტიდან გამოაბრუნეს მას შემდეგ, რაც უთხრეს რომ თუ უნდოდა სოფელში დაბრუნება, განაცხადი უნდა შეეტანა რუსეთის პასპორტის და მოქალაქეობის მისაღებად. სხვა სოფლის მაცხოვრებლებმა თქვეს, რომ ეშინოდათ თავიანთ სოფლებში დაბრუნებაიკ გადატანილი ამბების შემდეგ,“ იქვე, გვ. 48-49.

¹³³³ შეხვედრა აფხაზეთის საგარეო საქმეთა დე ფაქტო მინისტრთან, 2009 წლის 3 მარტი, სოხუმი.

საფუძველზე გაერო–ს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ „აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ მთელი ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც 2002 წლის მონაცემებით 2,000-მდეა, შეძლებდა დაბრუნებას, თუ ადგილნაცვალი პირები აიღებდნენ აფხაზურ „პასპორტებს“ და უარს იტყოდნენ საქართველოს მოქალაქეობაზე.“¹³³⁴ ეს გაცხადებული კავშირი დაბრუნებასა და აფხაზეთის პასპორტის გაცემას შორის უფრო ფართომასშტაბიან კითხვებს წარმოშობს იმ ქმედებებსა და გარემომებთან დაკავშირებით, რომლებიც არ შემოიფარგლება აგვისტოს კონფლიქტით.

HRAM-ის ინფორმაციით, „როგორც ჩანს, ზოგიერთმა ადგილნაცვალმა პირმა ზეწოლა განიცადა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, რომ დაბრუნებულიყო ადრინდელ საცხოვრებელ ადგილზე სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მანამ, სანამ შეიქმნებოდა პირობები, რომლებიც უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხოებას ან ცხოვრების ადექვატურ სტანდარტს, რაც წარმოადგენს ეუთო–ს ვალდებულებებისა და სხვა საერთაშორისო სტანდარტების დარღვევას.“¹³³⁵

IIFMCG დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს სამხრეთ ოსეთში საკუთარ სახლებში დაბრუნებაში სერიოზულმა დაბრკოლებებმა შეუშალა ხელი, და რომ დასაბრუნებლად მათდამი არ უნდა იყოს წაყენებული არავითარი პირობები, გარდა აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებისა. გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხელისუფლებამ, რუსეთთან ერთად, ყველა სათანადო ზომა უნდა მიიღოს, რომ უზრუნველყოს დაბრუნების შესაძლებლობა იძულებით გადაადგილებული პირებისთვის. საქართველომაც პატივი უნდა სცეს პრინციპს, რომ დაბრუნების გადაწყვეტილება არ უნდა იქნას მიღებული იძულებით. და ბოლოს, ყველა მხარემ უნდა იმოქმედოს იმისთვის, რომ უზრუნველყოს დაბრუნების უფლების სრული იმპლემენტაცია. ეს უმნიშვნელოვანესია როგორც 2008 წლის კონფლიქტის შედეგებთან მიმართებაში, ასევე როგორც ამ კონფლიქტის გრძელვადიანი გადაწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით. დაბრუნების უფლების უზრუნველყოფაზე მიმართული მუშაობა ყოველ მხარეს მისცემს გარკვეულ ბერკეტს მოლაპარაკებებში და შექმნის საფუძველს თანამშრომლობისთვის.

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხელისუფლებამ, რუსეთთან ერთად, ყველა სათანადო ზომა უნდა მიიღოს, რომ უზრუნველყოს დაბრუნების შესაძლებლობა იძულებით გადაადგილებული პირებისთვის. ამ უფლებით სარგებლობისთვის იძულებით გადაადგილებული პირებისთვის არ უნდა იყოს წაყენებული არავითარი პირობები,

¹³³⁴ გენერალური მდივანის ანგარიში აფხაზეთში, საქართველოში არსებული სიტუაციის თაობაზე, უშიშროების საბჭოს 2009 წლის 3 თებერვლის 1839 (2008) რეზოლუციის შესაბამისად, S/2009/69, გვ. 8, პ. 41.

¹³³⁵ ეუთო, ადამიანთა უფლებები საქართველოში კონფლიქტის შედეგად ომით დაზარალებულ ტერიტორიებზე, ციტატა გვ. 7.

გარდა აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებისა. საქართველომ პატივი უნდა სცეს დაბრუნების, როგორც თავისუფალი, ინდივიდუალური გადაწყვეტილების პრინციპს.

დაბრუნების უფლების უზრუნველყოფა კონფლიქტის გრძელვადიანი მოგვარების მიღწევის ერთერთი ძირითადი წინაპირობაა.

ვ) ქონებრივი უფლებების უზრუნველყოფა

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანახმად, საჭიროა ადგილნაცვალ პირთა ქონებრივი უფლებების პატივისცემა. ეს წესი ითვლება ჩვეულებითი სამართლის ნორმად.¹³³⁶ ქონებრივი უფლების დაცვა, სახელმწიფო ინტერესის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, ასევე გარანტირებულია EConvHR-ის პირველი პროტოკოლის მუხლი 1-ით. გაერო–ს სახელმძღვანელო პრინციპებში ქვეყნის შიდა გადაადგილებასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ „არავის თვითნებურად არ უნდა წაერთვას ქონება და საკუთრება“ და რომ „ქვეყნის ფარგლებში ადგილნაცვალი პირების ქონება და საკუთრებანებისმიერ გარემოებაში დაცული უნდა იქნას.“¹³³⁷ მეტიც, 29 (2) პრინციპის თანახმად, „კომპეტენტურ ორგანოებს აკისრიათ მოვალეობა და პასუხისმგებლობა, რომ დაეხმაროს დაბრუნებულ და/ ან განსახლებულ ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალ პირებს, რათა შესაძლებლობის ფარგლებში აღადგინონ საკუთარი ქონება და საკუთრება, რომლებიც დატოვეს ან წაერთვათ გადაადგილებისას“ და რომ „თუ ასეთი ქონებისა და საკუთრების აღდგენა არ არის შესაძლებელი, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ეს პირების ან დაეხმარონ მათ შესაბამისი კომპენსაციის მიღებაში ან სახის ანაზღაურების მიღებაში.“

ქონებრივი უფლებების დაცვა უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს: პირველი, იგი გულისხმობს იმის უზრუნველყოფას, რომ ადგილნაცვალი პირების ქონება ხელშეუხებელი იქნება სანამ ისინი არ შეძლებენ ფაქტიურად დაბრუნებას საკუთარ სახლებში; მეორე, იგი შეეხება ქონებას, რომელიც უკვე განადგურებულ იქნა. ამგვარად იგი რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობის წინაპირობაა, რადგან ასევე მოიცავს კომპენსაციის საკითხს.

რუსეთის ფედერაციის ინფორმაციით, „ადგილნაცვალი პირების ქონებრივი უფლებები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დაცულია სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ. რუსულმა ორგანიზაციებმა, რომლების თანამშრომლობენ სამხრეთ ოსეთთან, მიიღეს მითითებები რომ არ ჩართულიყვნენ საეჭვო იურიდიული სტატუსის

¹³³⁶ იხ. წესი 133, ჯ. - მ. ჰენკერტი, ლ. დოსვალდ-ბეკი (რედაქტორები), საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართალი, ტომი 1, ცოტატა გვ. 472.

¹³³⁷ იხ. პრინციპი 21.

მქონე უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ტრანზაქციებში.“¹³³⁸ რუსეთმა აგრეთვე განაცხადა, რომ „რუსული საჯარისო დანაყოფები, სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავ და სამხედრო დანაყოფებთან ერთად, უზრუნველყოფდნენ იმ სახლებისა და მიწის ნაკვეთების ოცდაოთხსაათიან დაცვას, რომლებიც დაუზიანებელი დარჩა ქართულ სოფლებში, და იმავდროულად უზრუნველყოფდნენ სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლების უსაფრთხოებას ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად.“¹³³⁹

ამის საწინააღმდეგოდ, მრავალი ინფორმაცია მიუთითებს სახლების დასაცავი სათანადო ღონისძიებების არარსებობაზე. ეუთო–ს დემოკრატიული ინსტიტუციებისა და ადამიანთა უფლებების ოფისი მიუთითებდა, რომ კონფლიქტის დროს დაკარგული სახლებისა და სხვა ქონების კომპენსაციის საკითხი მოუგვარებელი რჩება.¹³⁴⁰ იგი ხაზს უსვამს, რომ „ქონების დაკარგვის ყველაზე შემაშფოთებელი ფაქტია სახლების ამკარად ფართოდ გავრცელებული, განზრახ გადაწვა მათ მიერ, ვისაც სოფლის მაცხოვრებლები აღწერდნენ როგორც „ოსებს“.¹³⁴¹ მეტიც, ცხირვალიდან ჩრდილოეთით, სადაც HRW-ის მკვლევარები დაბრუნდნენ სექტემბერში, ზოგიერთი სოფელი თითქმის მთლიანად იყო განადგურებული, ხოლო კეხვში გზის გასწვრივ ზოგიერთი სახლის ნანგრევი ბუდლოზებით გადასწორებულს ჰგავდა.¹³⁴²

ევროპის საბჭოს ადამიანთა უფლებების კომისარი აღნიშნავდა, რომ იმ პირებს, რომლებსაც არ შეუძლიათ სახლებში დაბრუნება რადგან ისინი ოკუპირებული ან დანგრეულია, უფლება აქვთ მიიღონ ანაზღაურება ან კომპენსაცია.¹³⁴³ ორივე მთავრობამ პატივი უნდა სცეს მართლმასჯულების საერთაშორისო სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებას უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით, „გაკეთდეს ყველაფერი, რაც მათი ძალაუფლების ფარგლებშია, (...) რათა ეროვნული და ეთნიკური წარმომავლობის განსხვავების გარეშე, უზრუნველყოფილ ინას ადგილნაცვალი პირებისა და ლტოლვილების ქონების დაცვა.“¹³⁴⁴

ევროპის საბჭოს მიერ მიღებული 2009 წლის ანგარიში კულტურული ძეგლების განადგურებასთან დაკავშირებით მიუთითებდა, რომ „ე.წ. ბუფერულ ზონაში მდებარე

¹³³⁸ რუსეთი, პასუხები IFFMCG -ის მიერ დასმულ კითხვებზე (ჰუმანიტარული ასპექტები), გვ. 7.

¹³³⁹ რუსეთი, პასუხები IFFMCG -ის მიერ დასმულ კითხვებზე (ჰუმანიტარული ასპექტები), გვ. 11.

¹³⁴⁰ ეუთო, ადამიანთა უფლებები საქართველოს კონფლიქტის შედეგად ომისგან დაზარალებულ ტერიტორიებზე, ციტატა გვ. 7.

¹³⁴¹ იქვე, გვ. 27.

¹³⁴² HRW, ცეცხლის აღში - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და დაზარალებული სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში, ციტატა გვ. 131.

¹³⁴³ თომას ჰამერბერგი, ევროპის საბჭოს ადამიანთა უფლებების კომისარი, სპეციალური მისია საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში, ციტატა პ. 38.

¹³⁴⁴ რასობრისი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თაობაზე საერთაშორისო კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საქმე (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ) უზრუნველყოფის ღონისძიებების მითითების მოთხოვნა, საერთაშორისო სასამართლო, ICJ, 2008 წლის 15 ოქტომბერი, გვ. 41.

სოფლებში დაზიანებული ან დანგრეული სახლების მფლობელებთან კონსულტაციებს ატარებს გუბერნატორის სამსახური, რათა გაარკვიონ, სუბსიდიის მიღება ურჩევნიათ სახლის გასარემონტებლად თუ ფულადი დახმარება, რათა სხვაგან ხელახლა ააშენონ სახლი. ეს ღონისძიება მიზნად ისახავს ზამთრის დადგომამდე კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთათვის საცხოვრებელი ფართის შეთავაზებას.¹³⁴⁵

ივნისში საქართველო მიუთითებდა, რომ „რესტიტუციის შესახებ კანონი მიღებულ იქნა 2006 წლის 29 დეკემბერს. კანონის მიზანია სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა უზრუნველყოფა ქონების რესტიტუციით, ადექვატური სანაცვლო უძრავი ქონებით ან მატერიალური (ქონებრივი) ზარალის კომპენსაციით. ამჟამად ტარდება ღონისძიებები რესტიტუციის შესახებ კანონის განხორციელებისთვის.“¹³⁴⁶

1990-იანი წლების კონფლიქტთან დაკავშირებული ქონებრივი უფლებების საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

ამ ანგარიშზე მუშაობის პროცესში, როგორც ჩანს, პრობლემებია ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით ახალგორის რაიონშიც. IIFFMCG-თან 2009 წლის ივნისში შეხვედრისას ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გვითხრა, რომ უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე პრივატიზებული მიწის დენაციონალიზაცია. მეტიც, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ასევე ახსენა სახლები, რომლებიც 1991 წელს ოსებს წაართვეს ქართველებმა და ახლა უნდა დაუბრუნდეს ოსებს. ამ საკითხმა წარმოშვა სერიოზული შეშფოთება და თუ ისინი სათანადოდ, საერთაშორის სტანდარტების შესაბამისად, არ მოგვარდა, კიდევ უფრო მეტ დაძაბულობას გააღვივებს რეგიონის თემებს შორის.

IIFFMCG თვლის, რომ ადგილნაცვალი პირების ქონებრივი უფლებები ის საკითხის, რომელიც 1990-იანი წლების კონფლიქტიდან იღებს სათავეს და აგვისტოს დაპირისპირების შედეგების ფარგლებს ბევრად სცილდება. დაბრუნების უფლებასთან ერთად მისი გლობალური სარესტიტუციო სამართლის ინიციატივაში ჩართვა ყველა დაინტერესებული მხარის ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს.

IIFFMCG-მა დაადგინა, რომ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტთან მიმართებაში, ძირეული განსხვავებაა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქონებრივ უფლებებთან

¹³⁴⁵ ევროპის საბჭო, გენერალური დირექტორატი ივ: განათლება, კულტურა და მემკვიდრეობა, ახალგაზრდობა და სპორტი, საქართველოს კონფლიქტურ ზონაში კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის შეფასების მისია, ტექნიკური შეფასების ანგარიში, ანგარიში მომზადდა ბ-ნი დევიდ ჯონსონის მიერ, 2008 წ. 20 ოქტომბერი, იხ. AT92008)386, გვ. 6.

¹³⁴⁶ საქართველოს- პასუხები IIFFMCG -ის მიერ დასმულ კითხვებზე (ჰუმანიტარული ასპექტები, კითხვა 2), მიწოდებულია IIFFMCG- სთვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 5.

დაკავშირებულ სიტუაციაში. ოპერაციებისას აფხაზეთში სახლების ძალიან მცირე რაოდენობა დაზიანდა, მაშინ როდესაც მდგომარეობა სამხრეთ ოსეთში რადიკალურად განსხვავებულია. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ და რუსეთის ძალებმა არა მარტო არ გაატარეს არავითარი ღონისძიებები ადგილნაცვალ პირთა ქონების დასაცავად, არამედ ოსური ძალები აქტიურად მონაწილეობდნენ სახლების ძარცვასა და გადაწვაში. ეს დარღვევები ხდება ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დადების შემდეგაც.

ადგილნაცვალ პირთა ქონებრივი უფლებების დარღვევის მოსაგვარებლად უნდა შეიქმნას კომპერსაციის ან სხვაგვარი ანაზღაურების ყოვლისმომცველი პროგრამები. თუმცა, ასეთი ღონისძიებები ვერ ჩაანაცვლეს დაბრუნების უფლებას, და უნდა განიხილებოდეს მასთან ერთად.

ადგილნაცვალ პირების ქონებრივი უფლებების დაცვა გრძელვადიანი პრობლემაა, რომელსაც თან ახლავს 1990-იანი წლების კონფლიქტიდან მომდინარე დავები ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით.

სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების და რუსული ძალების მხრიდან ადგილი ჰქონდა სერიოზულ წარუმატებლობას ადგილნაცვალ პირების ქონებრივი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით 2008 წლის კონფლიქტის მიმდინარეობისას და განსაკუთრებით მის შემდგომ. გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთის ძალების მონაწილეობდნენ სახლების ძარცვაში, ნგრევასა და გადაწვაში კონფლიქტის დროს და მის შემდეგ.

საჭიროა რეპარაციის ყოვლისმომცველი პროგრამების შექმნა და იმპლემენტაცია. ისინი უნდა განიხილებოდეს როგორც ადგილნაცვალ პირების დაბრუნების უფლების დამატება და არა როგორც ამ უფლების ჩანაცვლება.

ე. ადამიანთა უფლებების პატივისცემა, უმცირესობათა დისკრიმინაცია

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონფლიქტი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მხოლოდ ეთნიკურ და უმცირესობის საკითხებთან დაკავშირებული, ეს საკითხი მაინც ინარჩუნებს უდიდეს მნიშვნელობას. მეტიც, უმცირესობების დისკრიმინაციისა და ადამიანთა უფლებების პატივისცემის საკითხები საკმაოდ სცდებათავად კონფლიქტის ფარგლებს. ეუთოს HRAM -მა განაცხადა:

“ავვისტოს კონფლიქტი პირდაპირ ეხება უმცირესობებს. ეთნიკური ოსები და აფხაზები საქართველოში უმცირესობას შეადგენენ, თუმცა ამ ანგარიშის შედგენის დროისთვის როგორც სამხრეთ ოსეთში, ასევე აფხაზეთში ფაქტიურად ეთნიკური ქართველები შეადგენენ უმცირესობას. კონფლიქტი საკმაოდ ღრმად განვითარდა ეთნიკური ხაზით.

ამიტომ, ზოგადად, კონფლიქტიდან გამომდინარე ადამიანთა უფლებების პრობლემები, მისი შედეგებით, თან ერთვის უმცირესობათა პრობლემებს. გარდა ამისა, კონფლიქტის შემდეგ წარმოიშვა ან გაუარესდა უმცირესობის წარმომადგენელ პირთა დისკრიმინაციის და უფლებების არ დაცვის კონკრეტული საკითხები, განსაკუთრებით აფხაზეთის სამხრეთ გალის რაიონთან მიმართებაში.¹³⁴⁷

როგორც აღინიშნა HRAM -ის მიერ, ადამიანთა უფლებებისა და უმცირესობების არსებული პრობლემები გაუარესდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ. ამიტომ საჭიროა კონფლიქტამდე ადამიანთა უფლებებისა და უმცირესობათა დისკრიმინაციის მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა. შემდეგ ჩატარდება იმის ანალიზი, თუ როგორ განვითარდა მდგომარეობა კონფლიქტის შემდეგ. მართალია ადამიანთა უფლებების მდგომარეობის საერთო სურათის განხილვა მისიის მანდატს სცდება, მაგრამ მისი მიზანია ძირითადი პრობლემების განხილვა იმდენად, რამდენადაც ისინი უტოლდება დისკრიმინაციასა და მოსახლეობაში დაპირისპირების გაღვივებას. ამასთან მიმართებაში. ასეთი პრობლემების მოგვარება კონფლიქტის გრძელვადიანი გადაჭრის და მოსახლეობაში რეალური და ყოველმხრივი შერიგების წინაპირობას წარმოადგენს.

ა) ადამიანთა უფლებებისა და უმცირესობათა დისკრიმინაციის განხილვა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე

პირველ რიგში საჭიროა 1990-იანი წლების კონფლიქტსა და ადამიანთა უფლებების საკითხებს შორის კავშირის გამოკვეთა. როგორც 2005 წელს გაერო-ს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა გაუსვა ხაზი, რომ „კონფლიქტებმა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში გამოიწვია სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის პირთა, მათ შორის ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დისკრიმინაცია.“¹³⁴⁸

მეორე, უმნიშვნელოვანესია გვახსოვდეს რომ წარსულ კონფლიქტებს მოჰყვა როგორც პოლარიზაცია, ასევე ადამიანთა უფლებებისა და ჰუმანიტარული საკითხების განხილვის პოლიტიზირება, განსაკუთრების IHL და HRL დარღვევების კონტექსტში. ეს ორი ასპექტი განსაკუთრებით მწვავეა აფხაზეთისთვის.¹³⁴⁹ როგორც აღნიშნავდა ერთი მკვლევარი აფხაზეთთან დაკავშირებით:

¹³⁴⁷ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუციებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის ადამიანთა უფლებების შეფასების მისია საქართველოს კონფლიქტით ომისგან დაზარალებულ ტერიტორიებზე, 20080 წლის 27 ნოემბერი, ციტატა გვ. 18.

¹³⁴⁸ რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დაკვირვების დასკვნითი შედეგები, საქართველო, 2005 წ. 15 აგვისტო, CERD/C/GEO/CO/3, 27/03/2007, p.5.

¹³⁴⁹ იხ. შალვა ფიჩხაძე, „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება: ადგილნაცვალ პირების პრობლემა“, დოკუმენტში: ქართული და აფხაზური პერსპექტივები კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე ადამიანთა უშიშროებასა და განვითარებასთან დაკავშირებით: პოლიტიკური კვლევის ინიციატივა, CIT pax, 2009 წ. მაისი, გვ. 61; პოლარიზაციის საკითხთან დაკავშირებით იხ. ნეთელა აკაბა, „აფხაზეთის გალის რაიონში დაბრუნებულთა რეინტეგრაციის პრობლემები ადამიანთა უფლებების პერსპექტივიდან“, დოკუმენტში: ქართული და აფხაზური

„ამ პერიოდში ადამიანთა უფლებების სერიოზულმა მასობრივმა დარღვევებმა - მათ შორის მკვლელობებმა ეთნიკური მოტივით, სამოქალაქოების მონაწილეობით - უკიდურესად დაამძიმა „მტრის ხატი“ და ურთიერთშეუწყნარებლობა. ამ პრობლემასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა საკითხში - იქნება ეს დაბრუნებულთა რაოდენობა, მათი იურიდიული სტატუსი, პასპორტების მიღება, მათი უსაფრთხოება ან თუნდაც განათლება მშობლიურ ენაზე - კონფლიქტის მხარეების პოზიციებს შორის დიდი სხვადასხვაობაა.“¹³⁵⁰

მესამე, ადამიანთა უფლებების არსებული პრობლემები, ძირითადად გალის რაიონში, გაუარესდა კონფლიქტისა და მისი სხვადასხვა თანმდევი გარემოებების შედეგად, გარდა ამისა, წარმოიქმნა ახალი პრობლემები, მაგ. ახალგორის რაიონში.

მეოთხე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ხელისუფლებას ეკისრება ვალდებულებები ადამიანთა უფლებებთან მიმართებაში. როგორც ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა კომისარმა აღნიშნა საქართველოში 2005 წლის ნოემბრის ვიზიტის შემდეგ, საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები მოითხოვს, რომ ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც აკონტროლებს ტერიტორიას და ხალხს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი არ არის აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ, პატივს უნდა სცემდეს ყველა ადამიანის ადამიანთა უფლებებს, უმცირესობათა უფლებების ჩათვლით.“¹³⁵¹

ამგვარი სიტუაციის ილუსტრირებისთვის (როდესაც წარსული პრობლემები კვლავ რელევანტურია) შეგვიძლია გამოვიყენოთ გალის რაიონი აფხაზეთში: ადგილნაცვალ პირთა ქონებრივი უფლებები, სწავლების ენა, გადაადგილების თავისუფლება და უმნიშვნელოვანესი სამსახურების ხელმისაწვდომობა და დასაქმების შესაძლებლობები - რამდენიმე ძირითადი საკითხია ადამიანთა უფლებებთან მიმართებაში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე. ამას, სხვებთან ერთად, ხაზი გაუსვა გაერო-ს ადამიანთა უფლებების უმაღლესმა კომისარმა 2008 წლის თებერვალში საქართველოში ვიზიტისას.¹³⁵²

პერსპექტივები კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე ადამიანთა უშიშროებასა და განვითარებასთან დაკავშირებით: პოლიტიკური კვლევის ინიციატივა, ციტატა გვ. გვ. 48.

¹³⁵⁰ იქვე

¹³⁵¹ ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა კომისარის როლფ ეკუსის განცხადება, ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს 616-2 პლენარულ სხდომაზე, ვენა, ავსტრია, 2006 წლის 29 ივნისი, ხელმისაწვდომია: http://www.osce.org/documents/hcnm/2006/06/19959_en.pdf.

¹³⁵² ამასთან მიმართებაში ლუის არბორმა წაახალისა „აფხაზეთის ხელმძღვანელობა, რომ გაეგრძელებინა მუშაობა უფლებებზე ორიენტირებული მდგრადი გადაწყვეტების მოსაძიებლად ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირებისთვის, ქონებრივი უფლებების დაცვის ჩათვლით. მან აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა შესაბამის მშობლიურ ენებზე განათლების უზრუნველყოფის და იმის დიდი მნიშვნელობა, რომ ყველა ადგილობრივ მაცხოვრებელს ჰქონდეს გადაადგილების თავისიფლების უფლებით სარგებლობის დაშუალება, უმნიშვნელოვანესი მოსახურებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის ჩათვლით.“ იხ. გაეროს პრეს-რელიზი, გაეროს ადამიანთა უფლებების უმაღლესი კომისარი, „საქართველო განიცდის პროგრესს მაგრამ ადამიანთა უფლებები პრობლემად რჩება“, 2008 წლის 28

2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ ადამიანთა უფლებებთან დაკავშირებულ უკანასკნელ ანგარიშში, რომელიც 2009 წლის მაისითაა დათარიღებული, ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებების კომისარმა გაიხსენა ამ რეგიონში ვიზიტი 2007 წლის თებერვალში, როდესაც იგი გაეცნო 1990-იანი წლების კონფლიქტიდან მომდინარე რიგ საკითხებს. მისი ინფორმაციით, „ისინი დღესაც რელევანტურია“ და „ძირითად საკითხებს შორისაა შემდგომი დაბრუნება და დაბრუნებულთა უსაფრთხოება, გადაადგილების თავისუფლება, პასპორტებთან და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხები და განათლება ქართულ ენაზე გალის რაიონში.“¹³⁵³ 2007 წლის ოქტომბერში გაერო–ს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ „ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისი აფხაზეთში მჭიდროდ მეთვალყურეობს საკითხებს რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ გალის რაიონის მაცხოვრებელთა ცხოვრებაზე. იგი მონიტორინგს უწევდა რაიონში ჯარში გაწვევის პრაქტიკას და აგრეთვე ადგილობრივი მაცხოვრებლების გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებულ სიტუაციას და სწავლების ენის საკითხს, რომელიც პრობლემად რჩება ადგილობრივი მოსახლეობისთვის და დაბრუნების მსურველებისთვის.“¹³⁵⁴ 2008 წლის იანვარში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრობლემად რჩებოდა გალის რაიონის სკოლებში სწავლების ენაც.¹³⁵⁵ ჯერ კიდევ 2006 წელს ეუთო–ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესმა კომისარმა „მიმართა აფხაზეთის ხელმძღვანელობას რათა მოქნილობა გამოეჩინათ მშობლიურ ენაზე სწავლებასთან მიმართებაში, განსაკუთრებით მოსწავლეებისთვის წართულ ენაზე სწავლებასთან გალის რაიონში. და უზრუნველყოთ ამ საქმის მოგვარება საერთაშორისო ნორმებთან სრულ შესაბამისობაში.“¹³⁵⁶ ე.წ. აფხაზურ „პასპორტთან“ მიმართებაში, ამ საკითხზე გაერო–ს გენერალურმა მდივანმა 2008 წლის აპრილში განმარტა, როდესაც აღნიშნა რომ „გაერო–ს სადამკვირვებლო მისია განაგრძობდა [აფხაზური] გეგმის თვალყურის დევნებას გალის რაიონის მაცხოვრებლებისთვის აფხაზური „პასპორტების“ გაცემასთან დაკავშირებით.“ მისი აზრით, „თუმცა ადმინისტრაციის დე-ფაქტო უფროსობამ და სოფლების თავებმა მიიღეს ინსტრუქტაჟი ამ პროცესთან დაკავშირებით, გაცემის პროცედურები მაინც არაა ნათელი“, და „მისიის შემფოთებას იწვევს ის, რომ გალის რაიონის მოსახლეობას ძალას არ უნდა ატანდნენ

თებერვალი, ხელმისაწვდომია:

<http://www.unhchr.ch/hurricane/hurricane.nsf/view01/EF7E5E7D706BF6E1C12573FD007B237F?opendocument>

¹³⁵³ ანგარიში ადამიანთა უფლებების საკითხებზე 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, ავტორი თომას ჰამარბერგი, ევროპის საბჭოს ადამიანთა უფლებების კომისარი (ვიზიტი. თბილისი, სოხუმი და გალი, 2009 წ. 8- 12 თებერვალი), CommDH(2009)22, 2009 წ. 15 მაისი, პ. 51.

¹³⁵⁴ გენერალური მდივნის ანგარიში აფხაზეთში, საქართველო, არსებული სიტუაციის შესახებ, S/2007/588, 2007 წლის 3 ოქტომბერი, პ. 15.

¹³⁵⁵ გენერალური მდივნის ანგარიში აფხაზეთში, საქართველო, არსებული სიტუაციის შესახებ, S/2008/38, 2008 წლის 23 იანვარი, პ. 24.

¹³⁵⁶ ეუთო–ს ეროვნულ უმცირესობათა კომისრის როლფ ეკეუსის განცხადება, ციტატა გვ. 3.

რომ უარი თქვან მოქალაქეობაზე, ეს არ შეესაბამება ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ნორმებს.¹³⁵⁷

სამხრეთ ოსეთში 1991-1992 წ.წ. კონფლიქტის შედეგები ადამიანთა უფლებებთან დაკავშირებით კვლავ მწვავედ იდგა ცეცხლის შეწყვეტიდან წლების შემდეგ. როგორც საერთაშორისო კრიზისის ჯგუფმა გაუსვა ხაზი 2005 წ., კვლავ იყო ადგილნაცვალ პირთა პრობლემები, რომლებსაც უკან უნდა მიეღოთ ქონება ან მიეღოთ დანაკარგების კომპენსაცია.¹³⁵⁸

2008 წლის კონფლიქტის შედეგად ადამიანთა უფლებების მოგვარებას ცალკე ანგარიში დასჭირდებოდა, თუმცა აქ უნდა აღინიშნოს ორი რეგიონი, რომლებიც განსაკუთრებულ შემოფოტებას იწვევს: გალის რაიონი აფხაზეთში და ახალგორის რაიონი სამხრეთ ოსეთში. IIFFMCG მიესალმება ეუთო-ს 2009 წლის თებერვლის ანგარიშის „ოსების მდგომარეობა საქართველოში სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ - 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ომის შემდეგ“ -დასკვნას, რომ „იმ შემოფოტების საწინააღმდეგოდ, რომელსაც იზიარებდნენ ადამიანთა უფლებებისა და ჰუმანიტარული მხარეები, 2008 წლის აგვისტოს ომს არ მოჰყვა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ეთნიკური ოსების მდგომარეობის ცვლილება ან მათი გრძელვადიანი გადასახლება მნიშვნელოვანი რაოდენობით.“¹³⁵⁹

არსებობს მკაფიოდ გამოხატული საჭიროება იმისა, რომ მოგვარდეს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდგომ არსებული პრობლემები ადამიანთა უფლებებთან/ დისკრიმინაციასთან მიმართებაში, რომელთაგან მრავალი უკავშირდება 1990-იანი წლების კონფლიქტს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყოვლისმომცველი მიდგომის

¹³⁵⁷ გენერალური მდივნის ანგარიში აფხაზეთში, საქართველო, არსებული სიტუაციის შესახებ, S/2008/219, 2008 წლის 2 აპრილი, ციტატა გვ. 3.

¹³⁵⁸ კრიზისის საერთაშორისო ჯგუფი, „საქართველო- სამხრეთ ოსეთი: ლტოლვილები ბრუნდებიან მშვიდობის ბილიკზე“, ევროპის ბრიფინგი № 38, 2005 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: <http://www.crisisgroup.org/home/index.cfm?l=1&id=3380>.

¹³⁵⁹ ანგარიშში ნათქვამია: „ადამიანთა უფლებებისა და ჰუმანიტარული მონაწილეების მიერ გაზიარებული საწყისი პრობლემების საწინააღმდეგოდ, 2008 წლის აგვისტოს ომს არმოჰყვა ეთნიკური ოსების მდგომარეობის ცვლილება საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ან მათი გრძელვადიანი გადაადგილება მნიშვნელოვანი რაოდენობით. ეთნიკურად შერეული სოფლების მოსახლეობას ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრის ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე არ გამოუხატავთ შემოფოტება დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. პირიქით, პირველი ხელის ანგარიშები მოწმობს ომის დროს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მეზობლების ურთიერთ მხარდაჭერას. არც ეთნიკურ ოსებს, რომლებსაც ესაუბრა UNHCR კოლექტიურ ცენტრებში, არ გამოუთქვამთ შემოფოტება დისკრიმინაციის საფუძველზე. გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანთა უფლებების საკითხში, რომელიც ეწვია საქართველოს 2008 წლის ოქტომბერში, იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის შეხვდა ეთნიკურ ოსებს, ჩვეულებრივ შერეული ქორწინებიდან, და არ დაუდგენია მათ ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებული პრობლემები. ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრის ხაზის მიმდებარე ტერიტორიების მაცხოვრებლები დაჟინებით აცხადებდნენ, რომ ქართველებსა და ოსებს შორის არ არსებობდა ინტერ-ეთნიკური პრობლემები, რადგან ისინი ხშირად შერეულ ქორწინებაში ცხოვრობდნენ.“ იხ. ეუთო, ანგარიში ოსების მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარეთ; გვ. 4-5, ამონაწერები პასუხებიდან მე-7 კითხვაზე, მოწოდებული საქართველოს მიერ, გვ. 1.

გამოყენებას რათა ამ პრობლემების გადაწყვეტა მოგვევლინოს გრძელვადიანი გადაწყვეტის ნაწილად.

ა) მიზეზები

(1) ეთნიკური წარმომავლობა

საქართველოში 2008 წლის კონფლიქტთან და მის შედეგებთან დაკავშირებული ეთნიკური გარემოებები ეხება ეთნიკურ ქართველებს, სამხრეთ ოსებს და აფხაზებს. ეთნიკურობის საკითხისა და მისი ნიუანსების განხილვა ამ ანგარიშის ფარგლებიდან საკმაოდ შორს წაგვიყვანდა. თუმცა მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ აფხაზეთში, მაგალითად, გალის რაიონში, ეთნიკური ქართველები ფაქტიურად არიან მეგრელები, ქართველების სუბ-ეთნიკური ჯგუფი.

თუმცა, ეთნიკური საკითხი მჭიდრო კავშირშია ახალი პასპორტებით მიღებული მოქალაქეობის საკითხთან.

(2) პასპორტების გაცემის საკითხი

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა თავდაპირველად უკავშირდებოდა რუსეთის მიერ აფხაზებისა და სამხრეთ ოსებისთვის რუსული პასპორტების გაცემას,¹³⁶⁰ იგი ასევე კავშირშია ქართველების მიერ აფხაზური ან სამხრეთ ოსური პასპორტების მიღებასთან.

„პასპორტიზაცია“ აღწერილია როგორც პროცესი, რომლის დროსაც რუსეთის ფედერაცია რუსეთის მოქალაქეობას ანიჭებდა აფხაზებსა და სამხრეთ ოსებს, რათა, სხვა გარემოებებთან ერთად, მიეცა მათთვის უცხოეთში მგზავრობის შესაძლებლობა.¹³⁶¹ აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა:

„ფაქტობრივად, მხოლოდ რუსეთი დაგვეხმარა, და დაგვეთანხმა გაეცა აფხაზი ხალხისთვის საერთაშორისო ტიპის რუსული პასპორტები. ამ მომენტიდან აფხაზებს შეეძლოთ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მგზავრობა და საერთაშორისო სამართალითა და სტანდარტებით მინიჭებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა.“¹³⁶²

როგორც Human Rights Watch-მა აღნიშნა: „2007 წლის ბოლოსთვის, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 97%-მა მიიღო რუსული პასპორტები. რამდენადაც რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოიღო 2000 წელს, რუსულმა პასპორტებმა ოსებსა და აფხაზებს რუსეთის საზღვრის თავისუფლად

¹³⁶⁰ AI, *სამოქალაქო პირები ცეცხლის ხაზზე - საქართველო- რუსეთის კონფლიქტი*, ციტატა გვ. 7.

¹³⁶¹ იქვე. იხ. აგრეთვე HRW, *ზემოთ, ალში - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და სამოქალაქო მსხვერპლი სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ კონფლიქტში*, ციტატა, გვ. 18

¹³⁶² აფხაზეთის ხელისუფლება, პასუხები IIFFMCG-ის მიერ დასმულ კითხვებზე (სამართლებრივი ასპექტები, მიწოდებულია IIFFMCG-ისთვის 2009 წლის აპრილში, გვ. 3.

გადაკვეთის და რუსული პენსიებისა და სხვა სოციალურ დახმარების მიღების შესაძლებლობა მისცა.¹³⁶³

კონფლიქტის შემდეგ რუსეთის მოქალაქეობის მიღება კიდევ უფრო მეტად პოლიტიზირებული გახდა, და ახალგორის შემთხვევაში საქართველო ამტკიცებს რომ „სეპარატისტული ხელისუფლება რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერის პრეტენზიას აცხადებს ტერიტორიაზე და აქტიურად ურიგებს დარჩენილ მაცხოვრებლებს რუსულ პასპორტებს.“¹³⁶⁴

პასპორტების საკითხი ასევე ეხება ეთნიკური ქართველების მიერ აფხაზური ან სამხრეთ ოსური პასპორტების მიღებასაც. აფხაზეთში, მაგალითად, გაერო–ს გენერალური მდივნის ინფორმაციით, „აფხაზური „პასპორტების“ გაცემა გალის რაიონში ფორმალურად დაიწყო მარტის ბოლოს“; „როგორც ჩანს, შემდეგი ორი თვის განმავლობაში გაცემა შეჩერდა,“ და „ივნისში დე–ფაქტო ხელისუფლებამ გალის რაიონში განაახლა პროცესი, შეზღუდული შედეგებით, რად გამოწვეული იყო გალის რაიონის მაცხოვრებლების მხრიდან განაცხადის ფორმაში იმის აღნიშვნით, რომ ისინი უარს აცხადებენ საქართველოს მოქალაქეობაზე“.¹³⁶⁵ 2009 წლის აპრილში აფხაზეთის დე–ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ „აფხაზეთის შინაგან საქმეთა პასპორტებია და სავიზო სამსახურის ინფორმაციით, გალის რაიონის 2,108 მაცხოვრებელმა შეიტანა განაცხადი მოქალაქეობაზე და 583 პასპორტი უკვე გაიცა.“¹³⁶⁶

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „პასპორტების“ საკითხი ძალიან მგრძობიარე და პოლიტიზირებულია. ისინი უფრო შიდა საინდენტიფიკაციო დოკუმენტებს წარმოადგენენ, ვიდრე პასპორტებს, ამ ტერმინის საერთაშორისო გაგებით; პროცედურებთან და მათ გაცემის პირობებთან დაკავშირებულმა საკითხებმა, აგრეთვე ასეთი დოკუმენტის არქონის კონკრეტულმა შედეგებმა მრავალი დებატი და დავა წარმოშვა. ეს ძირითადად იმ ფაქტის გამო, რომ ეს დოკუმენტები განიხილება ამ ორი გამოყოფილი რეგიონის გადაუჭრელი სტატუსის კონტექსტში.

უმთავრესი მიზანი, რომელიც პასპორტების კონკრეტულ საკითხს სცდება, არის ის, რომ გალისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონში მაცხოვრებელ ადამიანებს გააჩნდეთ იგივე ძირითადი უფლები, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა და

¹³⁶³ HRW, *ზემოთ, აღში - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და სამოქალაქო მსხვერპლი სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ კონფლიქტში*, ციტატა, გვ. 18

¹³⁶⁴ შესწორებული მოთხოვნა დაცვის წინასწარი ზომების მიღების მითითების შესახებ, წარდგენილი საქართველოს მთავრობის მიერ, მოთხოვნა საერთაშორისო სასამართლოსადმი, ციტატა გვ. 2.

¹³⁶⁵ გენერალური მდივნის ანგარიში აფხაზეთში, საქართველო, მდგომარეობის შესახებ, საქართველო, 2008 წლის 23 ივლისი, S/2008/480, გვ. 6, პ. 30.

¹³⁶⁶ აფხაზეთის ხელისუფლება, პასუხები იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებულ კითხვებზე გასული აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით, წარდგენილია IIFMCG-ისთვის 2009 წლის აპრილში, გვ. 10.

მოქალაქეობისა. პასპორტის საკითხი ადამიანთა უფლებათა დაცვის პრობლემა ხდება იმდენად, რამდენადაც ადამიანები განიცდიან ზეწოლას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რომ უარი თქვან ამჟამინდელ მოქალაქეობაზე, ან განიცდიან დისკრიმინაციას ამ საფუძველზე.

გ) შესაბამისი უფლებები და სავარაუდო დისკრიმინაცია

გალის რაიონი საქართველოს მიერ განსაზღვრულია როგორც „ერთადერთი დარჩენილი ტერიტორია, სადაც ქართველები კვლავ ცხოვრობენ აფხაზეთში, ქართული მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 42,000 ადამიანს.“¹³⁶⁷ საქართველოს ინფორმაციით, უშუალოდ 8 აგვისტოს რუსული აგრესიის წინ, ეს მოსახლეობა განიცდიდა გაზრდილ შანტაჟს და ზეწოლას რათა მიეღო რუსული მოქალაქეობა.“¹³⁶⁸ 2008 წლის სექტემბერში თბილისმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ „ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ ძალადობრივი თავდასხმებისა და განდევნის მუდმივი შიშის ქვეშ“¹³⁶⁹ და რომ ისინი „გამოყარეს სახლებიდან შევიწროვებისა და დევნის კამპანიით.“¹³⁷⁰ საქართველოს ხელისუფლებამ უფრო კონკრეტულად მიუთითა „ეთნიკური ქართველებისადმი მუდმივ დისკრიმინაციულ მოპყრობაზე აფხაზეთის გალის რაიონში, მათ შორის (და არა მარტო) ძარცვას, მძევლად აყვანას, გადაადგილების თავისუფლების აკრძალვას, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების აკრძალვას, ზეწოლას რუსეთის მოქალაქეობის და/ან რუსული პასპორტების მისაღებად და ჯარიმების დაკისრების და გამეფების მუქარებს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებისთვის.“¹³⁷¹

კონფლიქტის ერთერთი ყველაზე პრაქტიკული შედეგი, როგორც ჩანს, არის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა როგორც გალის რაიონში,¹³⁷² ისე ახალგორში.¹³⁷³ ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია და შორს მიმავალი დამანგრეველი ზემოქმედება გააჩნია იქ მაცხოვრებელი ადამიანების ცხოვრებაზე, რადგან ბევრ

¹³⁶⁷ 2008 წ. 8 სექტემბერს, ორშაბათს დილის 10 სთ-ზე მშვიდობის სასახლეში, ვერბატიმ რექორდსში ჩატარებული ღია სხდომა, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თაობაზე საერთაშორისო კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეზე (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ) CR 2008/223ააგა, გვ. 9 პ. 41.

¹³⁶⁸ საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი შესწორებული მოთხოვნა დაცვის წინასწარი ზომების თაობაზე, 2008 წლის 13 აგვისტო, გვ. 7 პ. 17.

¹³⁶⁹ 2008 წ. 8 სექტემბერს, ორშაბათს დილის 10 სთ-ზე მშვიდობის სასახლეში, ვერბატიმ რექორდსში ჩატარებული ღია სხდომა, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თაობაზე საერთაშორისო კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეზე (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ) CR 2008/22, საერთაშორისო სასამართლო, 3ააგა, გვ. 18 პ. 10.

¹³⁷⁰ იქვე

¹³⁷¹ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თაობაზე საერთაშორისო კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებული საქმე (საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), მოთხოვნა დაცვის წინასწარი ზომების თაობაზე, საერთაშორისო სასამართლო, ICJ, 2008 წ. 15 ოქტომბერი, გვ. 6.

¹³⁷² დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის ადამიანთა უფლებების შეფასების მისია, ეუთო, ადამიანთა უფლებები საქართველოში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე, 2008 წლის 27 ნოემბერი, გვ. 57 და გვ. 63.

¹³⁷³ იქვე, გვ. 33 და გვ. 50.

მაცხოვრებელს ახლო კავშირები აქვს სხვა რაიონებთან და დიდად არიან დამოკიდებულნი ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილების თავისუფლებაზე.

კონფლიქტის შედეგად გალის რაიონში გადაადგილების თავისუფლების მზარდი შეზღუდვის ამ საკითხს ხაზი გაუსვა ევროპის საბჭოს ადამიანთა უფლებების კომისარმა:

„ამ რაიონში მაცხოვრებელი ადამიანები დამოკიდებულნი არიან - სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის კომერციული მიზნებისთვის, სამუშაოზე მისვლა-მოსვლისთვის, ოჯახური კავშირებით, სამედიცინო დახმარებისა და სოციალური საჭიროებებისთვის, განათლებისთვის, უსაფრთხოების მიზნებისთვის და ა.შ. - მდ. ენგურზე, ზუგდიდისკენ გადაადგილების თავისუფლებაზე. 2008 წლის ზაფხულის დადგომამდე ასეთი გადაადგილება მნიშვნელოვანწილად შეუზღუდავი იყო. 2008 წლის ზაფხულის შემდეგ ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილებაზე დაწესდა ახალი შეზღუდვები, რამაც გალის მოსახლეობა უფრო იზოლირებული გახადა, ვიდრე ადრე. როგორც აცხადებენ, გადაადგილების შეზღუდვამ გამოიწვია მექრთამეობის შემთხვევები გადასასვლელ პუნქტებში.“¹³⁷⁴

IIFMCG- ეთანხმება კომისრის განცხადებას, რომ „საჭიროა გადაწყვეტილების პოვნა, რომელიც გააერთიანებს შესაბამის უსაფრთხოების ზომებს და ადგილობრივი მოსახლეობის ლეგიტიმურ ინტერესს, რომ შეეძლოს თავისუფლად გადასვლა მდინარე ენგურზე.“¹³⁷⁵

გადაადგილების თავისუფლება ასევე მოიცავს ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების უფლებას, განსაკუთრებით ეთნიკური ქართველი ადგილნაცვალ პირების დაბრუნებას. მაგალითად, სოფლის მაცხოვრებელმა, რომელიც ცდილობდა სამხრეთ ოსეთში სოფელ ქსუისში დაბრუნებას, თქვა, რომ გამოაბრუნეს საკონტროლო პუნქტიდან, უთხრეს რა რომ უნდა შეიტანოს განაცხადი რუსული პასპორტის და მოქალაქეობის მისაღებად, თუ უნდა სოფელში დაბრუნება.¹³⁷⁶ ეს პრაქტიკა შეეხება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობასაც, როგორც ეთნიკური ქართველების საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების პირობას. როგორც ზემოთ იქნა ხაზგასმით აღნიშნული, ეს პირობა აღუწერა ევროპის საბჭოს ადამიანთა უფლებების კომისარს დე-ფაქტო ხელისუფლებამ ცხინვალში.¹³⁷⁷ იმ დროს, როდესაც აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა

¹³⁷⁴ ანგარიში ადამიანთა უფლებების საკითხებზე 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, 2008 წლის 15 მაისი, ციტატა პ. 55 ვვ.

¹³⁷⁵ იქვე, გვ. 58.

¹³⁷⁶ დემოკრატიული ინსტიტუციებისა დაადამიანთა უფლებების ოფისის ადამიანთა უფლებების შეფასების მისია, ეუთო, ადამიანთა უფლებები საქართველოში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე, 2008 წლის 27 ნოემბერი, გვ. 48-49.

¹³⁷⁷ სპეციალური შემდგომი მისია სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე: კომისრის ექვსი პრინციპის იმპლემენტაცია ადამიანთა პირველი რიგის უფლებებისა და ჰუმანიტარული დაცვისთვის, ციტატა გვ. 1.

განაცხადა, რომ კოდორის ხეობაზე არ არსებობს აფხაზური მხარის მიერ შექმნილი დაბრკოლებები ლტოლვილთა დაბრუნებისთვის,¹³⁷⁸ გაერო–ს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ „აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ გამოაცხადა რომ მთელ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც 2002 წლის მიხედვით შეადგენდა 2,000 ადამიანს, შეეძლო დაბრუნება თუ ადგილნაცვალ პირები მიიღებდნენ აფხაზურ პასპორტებს და უარს იტყოდნენ საქართველოს მოქალაქეობაზე.“¹³⁷⁹

ანალოგიური კითხვა წარმოიქმნება ახალგორის შემთხვევაში. ადამიანთა უფლებების დამცველმა განაცხადა:

„ახალგორის ადმინისტრაციის ახალმა ხელმძღვანელმა, ანატოლი მარგიევმა, უთხრა Human Rights Watch–ს რომ არ იყო სავარაუდო საზღვრის დაკეტვა, მიუხედავად იმისა, რომ მისი თანამშრომლებიდან ყველა არ იზიარებდა მის თვალსაზრისს. მარგიევმა ასევე უთხრა Human Rights Watch–ს, რომ 2009 წლის იანვრის მდგომარეობით ადმინისტრაციას უნდა დაეწყო სამხრეთ ოსეთის პასპორტების დამუშავება ახალგორის ყველა მაცხოვრებლისთვის, „რათა [მათ] შეძლებოდათ თავისუფლად გადაადგილება ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში. ამის შედეგად ისინი ასევე მიიღებდნენ რუსეთის მოქალაქეობას.“¹³⁸⁰“

უფრო ზოგადად, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, პასპორტების საკითხი წარმოშობს რამდენიმე კითხვას. პირველია პასპორტების მიღების ძალდატანებითი ხასიათი და მასთან დაკავშირებული საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის საკითხი. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას გალის რაიონში.

ეუთოს HRAM-ის ინფორმაციით, „დე-ფაქტო ხელისუფლების ნაბიჯები, რომ წახალისოს გალის რაიონის მაცხოვრებლები უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე, როგორც ჩანს, ძალდატანებითი და დისკრიმინაციულია და კიდევ უფრო ამძიმებს ქართველი მოსახლეობის მდგომარეობას რაიონში.“¹³⁸¹ ეს, როგორც ჩანს, მიესადაგება როგორც აფხაზურ, ასევე რუსულ პასპორტებს. ევროსაბჭოს „წევრი ქვეყნების მიერ ვალდებულებებისა და მოვალეობების პატივისცემის კომიტეტი“ მიუთითებს „ეთნიკურ ქართველებზე აფხაზეთის გალის რაიონში, [რომლების მიმართაც], როგორც აცხადებენ, ასევე იწყება ზეწოლა აფხაზური პასპორტების

¹³⁷⁸ შეხვედრა აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრთან, 2009 წლის 3 მარტი, სოხუმი.

¹³⁷⁹ გენერალური მდივნის ანგარიში აფხაზეთში, საქართველო, არსებული სიტუაციის თაობაზე, უშიშროების საბჭოს 1839 (2008) რეზოლუციის შესაბამისად, 2009 წლის 3 თებერვალი, S /2009/69, გვ. 8, პ. 41.

¹³⁸⁰ HRW, ზემოთ, აღში - ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და დაზარალებული სამოქალაქო პირები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში, ციტატა გვ. 150.

¹³⁸¹ დემოკრატიული ინსტიტუციებისა დაადამიანთა უფლებების ოფისის ადამიანთა უფლებების შეფასების მისია, ეუთო, ადამიანთა უფლებები საქართველოში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე, 2008 წლის 27 ნოემბერი, გვ. 7-8.

მისაღებად.¹³⁸² საქართველოს ინფორმაციით, „გალის - რომელიც ახლა იზოლირებულია დანარჩენი საქართველოსგან ენგურის ხიდზე ადმინისტრაციული საზღვრის დაკეტვის გამო - მაცხოვრებლებისგან მიღებული განცხადებებით, აცხადებენ, რომ მათ აშანტაჟებენ, თავს ესხმიან და ემუქრებიან განდევნით, თუ არ მიიღებენ რუსულ პასპორტებს.“¹³⁸³

აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ უარყო ასეთი ინფორმაცია და განაცხადა:

„იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ლტოლვილები, რომლებიც დაბრუნდნენ გალის რაიონში გრძნობდნენ გარკვეულ პოლიტიკურ ზეწოლას (სხვათა შორის, ეს პოლიტიკური ზეწოლა დღემდე გრძელდება) და გამოხატეს მერყეობა აფხაზეთის მოქალაქეობასა და პასპორტებზე განაცხადის შეტანასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ხელისუფლებამ გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო, რათა აღედგინა ამ ადამიანების ნდობა. ამჟამად დაბრუნებულებს უფლება აქვთ მიიღონ აფხაზეთის მოქალაქეობა და პასპორტები რაიმე ზეწოლის ან იძულების გარეშე - ეს თავისუფალი არჩევანია აფხაზეთის ყველა მოქალაქისა და იმ პირისა, რომელიც საკუთარ თავს ამ ქვეყნის მაცხოვრებლად თვლის.“¹³⁸⁴

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ „ადამიანთა უფლებათა დაცვის ოფისი აგრძელებდა გალის რაიონში აფხაზეთი პასპორტების გაცემასთან დაკავშირებული მოვლენების მონიტორინგს.“¹³⁸⁵ როგორც ჩანს, სხვადასხვა დონის ზეწოლასთან გვაქვს საქმე. კითხვის ქვეშ დგას, უტოლდება თუ არა ეს იძულებას. ეუთოს HRAM -ის ინფორმაციით, ამჟამად იზრდება ზეწოლა გალის რაიონის მაცხოვრებლებზე, რომ მიიღონ აფხაზეთი პასპორტები, რაც შესაძლოა საკმარისი იყოს იმისთვის, რომ წარმოადგენდეს იძულებას.¹³⁸⁶ 2009 წლის მარტში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ (UNOMIG) მიაწოდა IIFFMCG -ს ინფორმაცია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა არ წარმოადგენდა აფხაზეთი პასპორტის მიღებაზე თხოვნის წარდგენის პირდაპირ პირობას,¹³⁸⁷ განაცხადები, სადაც არ იყო

¹³⁸² ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ ვალდებულებებისა და მოვალეობების პატივისცემის კომიტეტი (მონიტორინგის კომიტეტი), 1633 (2008) რეზოლუციის იმპლემენტაცია საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგებთან მიმართებაში, ანგარიში, ციტატა პ. 60.

¹³⁸³ საქართველოს მიერ წარდგენილი დოკუმენტი, „რუსეთის შემოჭრა საქართველოში - ფაქტები და ციფრები“, 2008 წლის 8 სექტემბერი, გვ. 4.

¹³⁸⁴ აფხაზეთის ხელისუფლება, პასუხები IIFFMCG-ის მიერ დასმულ კითხვებზე (სამართლებრივი ასპექტები), წარდგენილია IIFFMCG-სთვის 2009 წლის აპრილში, გვ. 10.

¹³⁸⁵ გენერალური მდივნის ანგარიში აფხაზეთში, საქართველო, არსებული სიტუაციის თაობაზე, უშიშროების საბჭოს 1839 (2008) რეზოლუციის შესაბამისად, 2009 წლის 3 თებერვალი, S/2009/69, გვ. 5, პ. 25.

¹³⁸⁶ დემოკრატიული ინსტიტუციებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის ადამიანთა უფლებების შეფასების მისია, ეუთო, ადამიანთა უფლებები საქართველოში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე, 2008 წლის 27 ნოემბერი, გვ. 68.

¹³⁸⁷ თუმცა ეუთომ აღნიშნა, რომ „როგორც აცხადებენ, აფხაზეთის პასპორტის განაცხადის ფორმა შეიცავს განცხადებას, რომ „მე ნებაყოფლობით ვაცხადებ უარს საქართველოს მოქალაქეობაზე“. იქვე, გვ. 69.

მითითებული უარის თქმა, სისტემატურად იყო უარყოფილი. UNOMIG -მა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურ ქართველებს არ აიძულებენ მიელოთ აფხაზური პასპორტები, პრაქტიკაში გარკვეული ზეწოლა ხორციელდება, რომ ასე მოიქცნენ, რადგან გარკვეული მომსახურების მისაღებად საჭიროა ასეთი პასპორტები.¹³⁸⁸ რა ტიპის ზეწოლაც არ უნდა გამოიყენებოდეს, სანდო ინფორმაცია ადასტურებს თავისუფალი არჩევანის არარსებობას. ეს, როგორც ჩანს, აღწევს ისეთ დონეს, რომ, როგორც ხაზგასმით აღნიშნავს არასამთავრობო ორგანიზაცია და HRAM, „იქმნება ისეთი პირობები, რომ გალის რაიონის ბევრი მაცხოვრებლისთვის შეუძლებელი გახდეს ნორმალურად ცხოვრება აფხაზური პასპორტის გარეშე.“¹³⁸⁹

მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის დე-დაქტო ხელისუფლებამ ხელახლა დაადასტურა 2009 წლის ივნისში IIFFMCG -თან შეხვედრაზე, რომ გალში მაცხოვრებელი ქართველებისთვის აფხაზური პასპორტების გაცემის პროცესი მხოლოდდამხოლოდ ნებაყოფლობით საფუძველზე ხორციელდება, ზემოთ აღნიშნული პირდაპირი და არაპირდაპირი ძალდატანება სერიოზული შეშფოთების მიზეზს წარმოადგენს. IIFFMCG მტკიცედ აცხადებს, რომ პასპორტის მიღების პროცესი, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ადამიანის მიერ მოქალაქეობაზე უარის თქმა არ უნდა მოიცავდეს ძალდატანებას, არც პირდაპირს და არც არაპირდაპირს.

პასპორტებთან დაკავშირებული მეორე საკითხია ეთნიკური ქართველებისთვის მისი არქონის შედეგები. ეუთო-ს HRAM-ის მიერ მიღებული ინფორმაციით, ადგილობრივი ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს, დირექტორებისა და მასწავლებლების ჩათვლით, მოეთხოვება აფხაზურის პასპორტი; პასპორტი ასევე საჭიროა ბიზნესის საწარმოებლად და სხვა იურიდიული საქმიანობისთვის.¹³⁹⁰ HRAM -მა ასევე ხაზი გაუსვა, რომ „აფხაზეთის კანონმდებლობა უშვებს ორმაგ მოქალაქეობას რუსეთთან, მაგრამ არა საქართველოსთან, ეს დებულება შეიძლება დისკრიმინაციულად ჩაითვალოს.“¹³⁹¹

როგორც სოხუმის ხელისუფლებამ გაუსვა ხაზი IIFFMCG-თან შეხვედრისას, ალტერნატიული ვარიანტი იმ პირებისთვის, რომლებსაც არ სურთ აფხაზური პასპორტის აღება, არის ცხოვრების ნებართვის აღება. თუმცა, როგორც აღნიშნა

¹³⁸⁸ შეხვედრა UNOMIG-ის ოფიციალურ პირებთან, 2009 წლის მარტი, გალი.

¹³⁸⁹ დემოკრატიული ინსტიტუციებისა დაადამიანთა უფლებების ოფისის ადამიანთა უფლებების შეფასების მისია, ეუთო, ადამიანთა უფლებები საქართველოში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე, 2008 წლის 27 ნოემბერი, გვ. 68.

¹³⁹⁰ იქვე

¹³⁹¹ იქვე, გვ. 69.

ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებების კომისარმა, „ცხოვრების ნებართვის მფლობელთა უფლებებისა და უფლებამოსილებების შესახებ ინფორმაცია ნათელი არ არის.“¹³⁹²

მიუხედავად იმისა, რომ პასპორტების საკითხი ძალიან რთული და წინააღმდეგობრივია, IFFMCG -ი დარწმუნებულია, რომ უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ისეთი პრაქტიკის უზრუნველყოფა, რომ ეს საკითხი არ უნდა ახდენდეს ეთნიკური ქართველების უფლებების შელახვას.

კიდევ ერთი ძლიერ საკამათო საკითხი გალის რაიონში არის ამ რაიონის მაცხოვრებლებისთვის ქართულ ენაზე სწავლება. გაერო-ს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ „ადამიანთა უფლებების დაცვის ოფისი განაგრძობდა სწავლების ენასთან დაკავშირებული მოვლენების მონიტორინგს, შეგვატყობინა რა, რომ 2008- 2009 სასწავლო წელს შემცირდა ქართული ენის სწავლებისთვის გამოყოფილი აკადემიური საათების რაოდენობა.“¹³⁹³ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება აცხადებს, რომ „გალის რაიონში არის 21 სკოლა, რომელთაგან 11 ქართულია.“ მათ ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ „ქართული ენის სწავლება არ შეწყვეტილა, ამ ფაქტს საერთაშორისო დამკვირვებლებიც ადასტურებენ.“ აფხაზეთის რესპუბლიკისკონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო აფხაზეთში მაცხოვრებელ ყველა ეთნიკურ ჯგუფს აძლევს მათი მშობლიური ენის თავისუფლად გამოყენების უფლების გარანტიას.“¹³⁹⁴

თუმცა, როგორც ევროპის საბჭოს ადამიანთა უფლებების კომისარმა 2009 წლის მაისში აღნიშნა, „მრავალი განცხადებაა 2008 წლის კონფლიქტის შემდგომ სიტუაციის გაუარესებასთან დაკავშირებით“¹³⁹⁵ ეთნიკური ქართველებისთვის განათლების ენასთან მიმართებაში. ამასთან დაკავშირებით ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესმა კომისარმა „ხაზი გაუსვა, რომ ერთი ენისა და კულტურის როლის გაძლიერების ღონისძიებები არ უნდა ხორციელდებოდეს სხვა ენებისა და კულტურების ხარჯზე.“¹³⁹⁶

სერიოზული შეშფოთება გამოიხატა გალის რაიონში (აფხაზეთი) და ახალგორში ეთნიკური ქართველების მდგომარეობასთან და მათი უფლებების ეფექტიანად დაცვასთან დაკავშირებით. დე-ფაქტო ხელისუფლებამ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში უნდა უზრუნველყოს ამ ადამიანების უფლებების დაცვა. არავითარ შემთხვევაში არ

¹³⁹² ანგარიში ადამიანთა უფლებების თაობაზე 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, 2009 წლის 15 მაისი, ციტატა პ. 59.

¹³⁹³ გენერალური მდივნის ანგარიში აფხაზეთში, საქართველო, არსებული სიტუაციის თაობაზე, უშიშროების საბჭოს 1839 (2008) რეზოლუციის შესაბამისად, 2009 წლის 3 თებერვალი, S /2009/69, გვ. 5, პ. 25.

¹³⁹⁴ აფხაზეთის ხელისუფლება, პასუხები IFFMCG-ის მიერ დასმულ კითხვებზე (სამართლებრივი ასპექტები), წარდგენილია IFFMCG-სთვის 2009 წლის აპრილში, გვ. 6.

¹³⁹⁵ ანგარიში ადამიანთა უფლებების თაობაზე 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, 2009 წლის 15 მაისი, ციტატა პ. 68.

¹³⁹⁶ პრეს-რელიზი, ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის განცხადება საქართველოში მისი ვიზიტის შემდეგ (2008 წლის 14-20 სექტემბერი), ჰააგა, 2008 წლის 23 სექტემბერი.

შეიძლება იმის დაშვება, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხს შედეგად მოჰყვეს დისკრიმინაცია ან მათი უფლებების დარღვევა.

ვ. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის (IHL) და ადამიანთა უფლებების შესახებ კანონის დარღვევების გამოძიება და გასამართლება

IHL-ის თანახმად, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ გამოიძიონ სამხედრო დანაშაულები, რომლებიც განცხადების თანახმად, ჩაიდინეს მათმა მოქალაქეებმა ან მათმა შეიარაღებულმა ძალებმა, აგრეთვე მათი იურისდიქციის ქვეშ მოქცეულმა სხვა პირებმა.¹³⁹⁷ გამოძიებისა და გასამართლების ვალდებულება მიესადაგება როგორც საერთაშორისო, ასევე არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს.¹³⁹⁸

ადამიანთა უფლებების რიგი შეთანხმებები მოიცავს სახელმწიფოს მკაფიო ვალდებულებას, რომ განახორციელოს ადამიანთა უფლებების სერიოზულ დარღვევის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირების დევნა. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო შეთანხმება (ICCPR) და კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თაობაზე აკისრებს წევრ სახელმწიფოებს ზოგად ვალდებულებას, რომ ეფექტური ღონისძიება გაატარონ ადამიანთა უფლებების თაობაზე ამ ორ ძირითად (უმთავრეს) შეთანხმებაში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევების წინააღმდეგ. ეს, ასევე, მოიცავს გამოძიებისა და პასუხისმგებელ პირთა დასჯის მოვალეობას.¹³⁹⁹

გამოძიებისა და გასამართლების ეს ვალდებულებები პასუხისმგებლობას აკისრებს ყველა მხარეს, რომელმაც ჩაიდინა IHL-სა და HRL-ის დარღვევა, იქნება ეს რუსები, ქართველები, სახრეთ ოსები თუ აფხაზები.

¹³⁹⁷ იხ. მაგ. ჟენევის IV კონვენციის მუხლი 146.

¹³⁹⁸ ICRC-ს ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის კვლევის 158-ე წესის მიხედვით: „სახელმწიფოებმა უნდა გამოიძიონ სამხედრო დანაშაულები, რომლებიც განცხადების თანახმად, ჩაიდინეს მათმა მოქალაქეებმა ან შეიარაღებულმა ძალებმა, ან მათ ტერიტორიაზე, და, თუ საჭიროა, დასაჯონ ეჭვმიტანილები. მათ ასევე უნდა გამოიძიონ სხვა სამხედრო დანაშაულები, რომლებზეც გააჩნიათ იურისდიქცია და, თუ საჭიროა, დასაჯონ ეჭვმიტანილები.“ იხ. ჯ.-ნ. ჰენკერტსი, ლ. დოსვალდ-ბეჟი (რედაქტორები), საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართალი, ტომი 1 ციტატა გვ. 607.

¹³⁹⁹ გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ 2005 წ. დეკემბერში მიღებულ ძირითად პრინციპებსა და სახელმძღვანელო დებულებებში ადამიანთა უფლებების უხეში დარღვევებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევის მსხვერპლთა დაცვისა და კომპენსაციის უფლებასთან დაკავშირებით ნათქვამია: „ადამიანთა საერთაშორისო უფლებების უხეში დარღვევისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევების შემთხვევაში, რაც წარმოადგენს დანაშაულს საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ, სახელმწიფოები ვალდებული არიან გამოიძიონ და, საკმარისი მტკიცებულებების შემთხვევაში, ვალდებული არიან პასუხისმგებლობაში მისცენ პირი, რომელიც, როგორც განაცხადეს, პასუხისმგებელია დარღვევებზე, და, თუ დამნაშავე აღმოჩნდა, ვალდებული არიან დასაჯონ იგი.“

მეტიც, საერთაშორისო სამართლის, საკმარისი არ არის უბრალოდ გამოძიების ჩატარება სამხედრო დანაშაულებსა და HRL-ის დარღვევებში. ასეთი გამოძიება უნდა იყოს ეფექტიანი, სწრაფი, ღრმა, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, და მას უნდა მოჰყვებოდეს დევნა, თუ დადგინდნენ დამრღვევები.¹⁴⁰⁰

გამოძიებისა და დევნის ეს ვალდებულება უნდა იკითხებოდეს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს ჩადენილი IHL-სა და HRL-ის დარღვევების დოკუმენტირებულ შემთხვევებთან ერთობლიობაში. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ვალდებულება, უპირველეს ყოვლისა, მიესადაგება თავად სახელმწიფოს ძალების, ან მის მიერ კონტროლირებადი პირების მიერ ჩადენილ დარღვევებს, და არ უნდა შემოიფარგლებოდეს კონფლიქტის სხვა მხარეების მიერ ჩადენილი დარღვევების გამოძიებით.

პირველ ყოვლისა, უმნიშვნელოვანესია კონტრასტის აღნიშვნა რუსეთის ფედერაციის მიერ გატარებულ ღონისძიებებში, რათა გამოეძიებინა, დევნის მიზნით, ის დანაშაულები, რომლებიც ვითომდა ჩაიდინეს საქართველოს ძალებმა და აქამდე რუსეთის მოქალაქეების, მათ შორის ჯარისკაცების დევნის არარსებობა. მონიტორინგის კომიტეტის ანგარიშში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიუთითა, რომ:

„რუსეთის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტმა დაიწყო საქართველოს საჯარისო დანაყოფების მიერ რუსეთის მოქალაქეების (ეთნიკური ოსების) წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთში განხორციელებული გენოციდის გამოძიება. გარდა ამისა, მან დაიწყო საქართველოს მიერ რუსეთის სამხედრო ძალების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება. როგორც ჩანს, არ არსებობს არავითარი განზრახვა, რომ გამოძიებულ იქნას რუსეთის ძალებისა და მის მიერ კონტროლირებადი ძალების - სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ ადამიანთა უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის შესაძლო დარღვევები. რეალურად, ინფორმაციის თანახმად, სპეციალურმა საგამოძიებო კომიტეტმა დაასრულა ადგილზე გამოძიება სამხრეთ ოსეთში სექტემბრის შუა რიცხვებში, იმ დროს, როდესაც სანდო ინფორმაცია მოუთითებდა, რომ რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ე. წ. „ბუფერული

¹⁴⁰⁰ 2005 წ. ადამიანთა უფლებების კომისიის მიერ დამტკიცებული საომარი მოქმედებების დაუსჯელობის წინააღმდეგ ზომების მიღებით ადამიანთა უფლებების დაცვისა და გაუმჯობესების განახლებული პრინციპების მე-19 პრინციპი მიუთითებს სახელმწიფოების „...ვალდებულებაზე, რათა ჩატარონ ადამიანთა უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების სწრაფი, ღრმა, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება და მიიღონ შესაბამისი ზომები დამრღვევებთან მიმართებაში, განსაკუთრებით სისხლის სამართლის სფეროში, იმის უზრუნველყოფით, რომ საერთაშორისო სამართლის ფარგლებში სერიოზული დანაშაულის ჩადენაზე პასუხისმგებელნი მიეცემიან პასუხისმგებაში, გასამართლდებიან და დაისჯებიან.“

ზონების“ ჩათვლით, ყოველდღიურად ჰქონდა ადგილი ძარცვას, აგრეთვე ეთნიკური წმენდის ქმედებებს.“¹⁴⁰¹

IIFMCG-ის მიერ გაგზავნილ კითხვაზე გაცემულ პასუხებში რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ თავდაპირველად განაცხადა, რომ „საქართველოს წინააღმდეგ სამშვიდობო ოპერაციების დროს არ დაფიქსირებულა არცერთი შემთხვევა, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო პერსონალს დაერღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ან ადამიანთა უფლებების ნორმები.“¹⁴⁰² IIFMCG-ის მიერ დამატებით დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებში რუსეთის ფედერაცია ნაკლებად კატეგორიული იყო, თუმცა კვლავ აღნიშნავდა, რომ „რამდენადაც ცნობილია, რუსეთის სამხედრო პერსონალს არცერთხელ არ ჩაუდენია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევა.“ „რაც შეეხება რუსი სამხედროების მიერ ჩადენილ ადამიანთა უფლებების პოტენციურ დარღვევებს“, იგი მიუთითებდა რომ, სხვათა გარდა, „ასეთი დარღვევების მსხვერპლთ გააჩნიათ კონკრეტული სამართლებრივი ვარიანტები, რათა მიიღონ კომპენსაციები ასეთი დარღვევებისთვის.“ შემდგომ იგი მიუთითებდა, რომ მათ შეეძლოთ სარჩელების წარმოდგენა რუსულ სასამართლოებში, თუმცა რომ მისთვის არ იყო ცნობილი ასეთი შემთხვევების შესახებ.¹⁴⁰³

მოსკოვში 2009 წლის ივლისში IIFMCG-ის ექსპერტებთან შეხვედრის დროს რუსეთის გენერალური პროკურატურის საგამომიებო კომიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კომიტეტის მანდატი იყო მხოლოდ რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილი დარღვევების გამოძიება.¹⁴⁰⁴ მათ აგრეთვე აცნობეს IIFMCG-ს, რომ სხვა პირების წინააღმდეგ ჩადენილი დარღვევების გამოძიებაზე პასუხისმგებელი იყო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება, და, რამდენადაც მათთვის იყო ცნობილი, ამჟამად ეს ხელისუფლება იძიებდა დაახლოებით 80 ასეთ შემთხვევას. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთა დიდ რაოდენობას გააჩნია რუსეთის მოქალაქეობა, პირველი არგუმენტი მხოლოდ ნაწილობრივ არის რელევანტური. გარდა ამისა, საჭიროა კოორდინაციის ღონისძიებების გატარება, რათა რუსეთის საგამომიებო კომიტეტმა ინფორმაციის ურთიერთგაცვლა აწარმოოს სამხრეთ ოსეთის შესაბამის ხელისუფლებასთან, თუ წააწყდება ისეთი პირების მიმართ ჩადენილი დარღვევების მტკიცებულებას, რომლებსაც არ მოიცავს მისი საქმიანობა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ საგამომიებო კომიტეტის შეზღუდული მანდატის გამო

¹⁴⁰¹1633 (2008) რეზოლუციის იმპლემენტაცია საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგებთან მიმართებაში, ციტატა პ. 50, ხელმისაწვდომია: <http://assembly.coe.int/Main.asp?link=Documents/WorkingDocs/Doc09/EDOC11800.htm>

¹⁴⁰²რუსეთი, პასუხები IIFMCG-ის მიერ დასმულ კითხვებზე ჰუმანიტარული ასპექტები, ციტატა გვ. 16.

¹⁴⁰³რუსეთი, პასუხები IIFMCG-ის მიერ დასმულ კითხვებზე (სამართლებრივი ასპექტები), ციტატა გვ. 11-12.

¹⁴⁰⁴შეხვედრა რუსეთის გენერალური პროკურატურის საგამომიებო კომიტეტის წარმომადგენლებთან, მოსკოვი, 2009 წ. 29 ივლისი.

არსებობს საჭიროება, რომ რუსეთის სხვა საგამომიებო ორგენოებმა ჩაატარონ ყოველმხრივი საგამომიებო ქმედებები.

კითხვარის პასუხებში საქართველომ აღნიშნა შემდეგი:

„დაიწყო გამოძიება 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით. კერძოდ, 2008 წლის 9 აგვისტოს, საქართველოში რუსეთის შემოჭრიდან ორიოდე დღის შემდეგ პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის 411-ე მუხლით (ჰუმანიტარული სამართლის დებულებების განზრახ დარღვევა შიდა და საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს) და 413-ე მუხლით (საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა დარღვევები, მათ შორის მოროდიორობა, სამოქალაქო ქონების უკანონო მითვისება და დანგრევა). 11 აგვისტოს გაიხსნა კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე მარცვის ფაქტებზე, როგორც ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 413-ე მუხლი. ეს გამოძიებები გაერთიანდა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ გამოძიება არ არის მიმართული ვინმეს საწინააღმდეგოდ, არამედ წამოწყებულია ფაქტებთან დაკავშირებით და მიზნად ისახავს ნათელი მოეფინოს საერთო სიტუაციას. ნებისმიერი პირი, რომლის ბრალეულობაც გამოვლინდება გამოძიების მსვლელობისას, დაექვემდებარება შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს. ბრალის წაყენება ჯერ არ მომხდარა საკმარისი მტკიცებულებების შეგროვების სირთულის გამო. მიღებულ იქნა საწყისი ჩვენებები სამხედრო ტყვეებისგან, მძევლად აყვანილი სამოქალაქო პირებისგან, ჩატარდა კრიმინალისტიკური ექსპერტიზები და საქართველოს მიერ კონტროლირებად დაზარალებულ ტერიტორიებზე ჩატარდა ამოღებისა და დათვალიერების ღონისძიებები. თუმცა შედეგებზე ორიენტირებულ ეფექტიან გამოძიებას მნიშვნელოვანწილად ხელს უშლის ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში დაზარალებული ტერიტორიების ხელმიუწვდომლობა.“¹⁴⁰⁵

არ შეიძლება იმის დაშვება, რომ სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებულმა ამჟამინდელმა პრობლემამ აღკვეთოს გამოძიება ან შეამციროს კონფლიქტის დროს, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია. კონფლიქტის შემდეგ სამხრეთ ოსეთსა და ბუფერულ ზონაში IHR და HRL დამრღვევი პირების პასუხისმგებლობა, იქნებიან ისინი რეგულარული ძალები, მოხალისეები თუ სხვა პირები. მართალია ამასთან მიმართებაში მნიშვნელოვან როლს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება ასრულებს, მაგრამ რუსეთი პასუხისმგებელია, რადგან მას ჰყავს ძალები სამხრეთ ოსეთში. მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს დარღვევების დოკუმენტირებული შემთხვევები

¹⁴⁰⁵ საქართველო, პასუხები IIFFMCG-ის მიერ დასმულ კითხვებზე (ჰუმანიტარული ასპექტები, კითხვები 9 და 10), მიწოდებულია IIFFMCG-სთვის 2009 წლის 5 ივნისს, გვ. 2.

რუსეთის მხრიდან მოხალისეთა მიერ, რომლებიც ამჟამად შეიძლება რუსეთის ტერიტორიაზე იყვნენ, მათი, ისევე როგორც საკუთარი ძალების მიერ ჩადენილი დარღვევების გამოძიებისა და გასამართლების პასუხისმგებლობა პირდაპირ მიესადაგება რუსეთს.

გამოძიებისა და გასამართლების ეს ვალდებულება სცილდება უბრალოდ კანონის მოთხოვნას. ეს უმნიშვნელოვანესია კონფლიქტის შემდეგ აზრის მქონე და ყოველმხრივი შერიგების პროცესის წამოწყებისთვის და გრძელვადიანი მშვიდობისთვის.

კონფლიქტის დროს და ცეცხლის შეწყვეტის შემდგომ კვირებში ჩადენილი მძიმე IHR და HRL დარღვევების გათვალისწინებით, რუსეთმა და საქართველომ უნდა განახორციელონ ან განაგრძონ ამ დარღვევების სწრაფი, ღრმა, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიებები და დამრღვევების გასამართლება. ეს ვალდებულება ასევე ეკისრება სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას. ბრძოლა დაუსჯელობის წინააღმდეგ კონფლიქტის ჭეშმარიტი და გრძელვადიანი გადაჭრის ერთერთ წინაპირობას წარმოადგენს.

G. რეპარაცია

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის (IHL-ის) ფარგლებში, სახელმწიფოებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის დარღვევაზე, ეკისრებათ ვალდებულება სრულად ანაზღაურონ მიყენებული ზარალი ან დაზიანებები.¹⁴⁰⁶

გაერო-ს ძირითადი პრინციპები და დებულებები, ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონის მნიშვნელოვანი დარღვევების და საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის სერიოზული დარღვევების შედეგად დაზარალებულების კომპენსაციის და ზიანის ანაზღაურების უფლებები, უფრო დეტალურად განსაზღვრავს დაზარალებულთა უფლებებს რესტიტუციაზე, კომპენსაციაზე და რეაბილიტაციაზე.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის განცხადებით, „სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებს, რომლებიც საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალდნენ, კომპენსაცია გადაუხადეს ფედერალური ბიუჯეტიდან. გათვალისწინებული იყო ასეთი კომპენსაციის რამდენიმე ტიპი: 1. ყველა სამოქალაქო პირს, რომლებიც ცხოვრობდნენ სამხრეთ ოსეთში, ერთჯერადად გადაუხადეს 1000 რუბლი; 2. ცალკე თანხები იყო გათვალისწინებული პენსიონერებისთვის; 3. დაბოლოს, მაცხოვრებლებს, რომლებმაც

¹⁴⁰⁶ მაგალითად, იხ.: I დამატებითი პროტოკოლის 91-ე მუხლი, 1977 და ICRC-ის წესი 150. საერთაშორისო საერთო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ გამოკვლევა, ჯ.მ. ჰენკერცი, ლ. დოსვალდ-ბეჟი (რედ.), საერთაშორისო საერთო ჰუმანიტარული სამართალი, ტომი I, op. cit., გვ. 537.

დაკარგეს მათი ქონება, საომარი მოქმედებების დროს, გადაუხადეს 50.000 რუბლამდე.¹⁴⁰⁷

ეს სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, რამდენადაც ნიშნავს, რომ ასეთი კომპენსაცია არ გადაუხდიათ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დაზარალებულნი არიან საომარი მოქმედებების შედეგად, საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე ან აფხაზეთში. შემდგომ, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ ასეთი კომპენსაცია გამოიყოს ეთნიკური ქართველებისთვის, სამხრეთ ოსეთში მათი სახლების აღდგენისთვის.

რუსეთის და საქართველოს მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ კომპენსაცია სამოქალაქო დაზიანებისა და განადგურებისთვის, რაც საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის დარღვევებმა გამოიწვია და რისთვისაც ისინი შესაბამისად, პასუხისმგებელნი არიან. კომპენსაციას ასევე, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, სამხრეთ ოსეთის ძალების და სხვა შეიარაღებული პირების მიერ საკუთრების ინტენსიურად განადგურების გათვალისწინებით.

IV. გენოციდის ბრალდებები

მართალია, საქართველოს მიერ რუსეთის და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ეთნიკური წმენდის ბრალდებები, რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს და მას შემდეგ, შეიძლება გენოციდის ბრალდებებთან ერთად განხილულიყო, რამდენადაც ეს ორი მკაფიოდ გარკვეული ცნებაა, სასურველია, რომ პირველი მათგანი ცალკე იყო განხილული. ამას გარდა, ეთნიკური წმენდა დაკავშირებულია ძირითადად, ადამიანების გადაადგილებასთან და მას მოგვიანებით, შესაბამის პუნქტში განვიხილავთ.

გენოციდის ბრალდებები წამოყენებულია საქართველოში კონფლიქტის დროს და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ. საზოგადოებრივი აზრის და კოლექტიური ცნობიერების თვალსაზრისით, ტერმინი „გენოციდი“ სიმძიმისა და მისი ძალზე სპეციფიური იურიდიული განსაზღვრის გამო, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობაში შესაბამისი შედეგების გათვალისწინებით, ძალზე მნიშვნელოვანია ამ განცხადებების გულდასმით შესწავლა. გამოთქმა „დანაშაულთა დანაშაული,“ რომელსაც ICTR იყენებს, ხაზს უსვამს გენოციდის უაღრესად უნიკალურ ხასიათს.¹⁴⁰⁸ შესაბამისად, აქ აუცილებელია არა მხოლოდ ფაქტების დადგენა და კანონის გასაზღვრა, არამედ უფრო მეტად, ვიდრე სხვა ბრალდებებისთვის – იმ კონფლიქტის შემდგომი დამაბულობის თავიდან აცილება, რაც

¹⁴⁰⁷ რუსეთის პასუხები IIFMCG-ის კითხვებზე (იურიდიული ასპექტები), op. cit., გვ. 12.

¹⁴⁰⁸ პროკურორი vs კამბანდა (საქმე # ICTR-97-23-S) გადაწყვეტილება და განაჩენი, 1998 წ. 4 სექტემბერი, პუნქტი 16.

შეიძლება თემებს შორის გენოციდის ბრალდებებით გამოწვეული აღშფოთების შედეგი იყოს. ამ დანაშაულის სიმძიმის გამო, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, უნდა დაკმაყოფილდეს ძალზე მკაცრი პირობები, რომ მოქმედება ასე კვალიფიცირდეს.¹⁴⁰⁹ რამდენადაც ბრალდებები წაყენებულია რუსეთის ფედერაციის და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ, ხელმისაწვდომი მტკიცებულებების ანალიზი უნდა მოხდეს ამ განსაზღვრაზე დაყრდნობით. საქართველოს მხრიდან ასეთი ბრალდებები არ ყოფილა. IIFMCG-ის მიერ გაგზავნილ კითხვარზე მათი პასუხების კონტექსტში, საქართველოს ხელისუფლებამ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ გენოციდის დანაშაული არ ჩაუდენია კონფლიქტის არც ერთ მხარეს, 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს ან მათ შემდეგ.¹⁴¹⁰

გენოციდის ბრალდებები რუსეთის ფედერაციამ საქართველოს ძალების წინააღმდეგ წამოაყენა. რუსეთის ხელისუფლების რიგი პოლიტიკური განცხადებები, კონფლიქტის დასაწყისში, საქართველოს გენოციდში ადანაშაულებდა.¹⁴¹¹ ეს ბრალდებები დაკავშირებული უნდა იყოს მსხვერპლის რაოდენობასთან, რომელსაც ამ მომენტში ასახელებდნენ რუსული ორგანოები. მათი განცხადებით, დაიღუპა 2000 ადამიანი. ამ განცხადებებთან ერთად, ჩატარდა სავარაუდო გენოციდის გამოძიების ღონისძიებები¹⁴¹².

¹⁴⁰⁹ უილიამ შაბასი სამართლიანად უსვამს ხაზს: „რატომ გმობენ ასე გენოციდს? ჩემი აზრით, ეს ზუსტად იმის გამოა, რომ მისი განსაზღვრა ასეთი მოუქნელია და მკაფიოდაა კონცენტრირებული დანაშაულზე, რომელიც მიმართულია ეთნიკური უმცირესობების განადგურებისკენ ან კონვენციის ტერმინოლოგიით, ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური.“ გენოციდი საერთაშორისო სამართალში; დანაშაულთა დანაშაული, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000 გვ. 9.

¹⁴¹⁰ საქართველოს პასუხები IIFMCG-ის კითხვებზე (ჰუმანიტარული ასპექტები) გაცემული IIFMCG-თვის, 2009 წ. 5 ივნისს, გვ. 1.

¹⁴¹¹ მაგალითად, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ 2008 წ. 10 აგვისტოს „საქართველოს მხარის მოქმედებებს სხვას ვერაფერს ვუწოდებ, თუ არა გენოციდს.“ „SKP RF გახსნილია სისხლის სამართლის გამოძიება რუსეთის მოქალაქეების სამხრეთ ოსეთში მკვლელობასთან დაკავშირებით,“ Kommersant Online, 2008 წლის 14 აგვისტო, <http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocSID=1011523&ThemesID=301>, კოტირებული HRW, ცეცხლში – ჰუმანიტარული კანონის დარღვევა და სამოქალაქო მსხვერპლი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში, op. cit., გვ. 70. პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმერ პუტინმა იმავე დღეს გამოაცხადა: „დარწმუნებული ვარ, რომ ადგილი ჰქონდა გენოციდის ელემენტებს,“ სტატიაში „პუტინი საქართველოს გენოციდში სდებს ბრალს,“ გაზ. „რუსეთი დღეს,“ 2008 წ. 10 აგვისტო, <http://www.russiatoday.com/news/news/28744>

¹⁴¹² პრეზიდენტმა მედვედევმა სთხოვა რუსეთის ფედერაციის პროკურატურის საგამოძიებო კომისიას დოკუმენტურად დაეფიქსირებინა საქართველოს ძალების მიერ სამხრეთ ოსეთში ჩადენილი დანაშაული, რათა შეექმნა „საჭირო ბაზა იმ პირების სისხლისსამართლებრივი დევნისთვის, რომლებიც პასუხს აგებდნენ ამ დანაშაულისთვის,“ „SKP RF გახსნილია სისხლის სამართლის გამოძიება რუსეთის მოქალაქეების სამხრეთ ოსეთში მკვლელობასთან დაკავშირებით,“ Kommersant Online, 2008 წ. 14 აგვისტო,

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ მისი სამსახური იწყებდა „გენოციდის საქმის გამოძიებას, გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლებიც შეეხებოდა საქართველოს სამხედრო ნაწილების მოქმედებებს, მიმართულს რუსეთის მოქალაქეების – სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ეთნიკური ოსების განადგურებისკენ.“¹⁴¹³ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ მათი მოვალეობების და ვალდებულებების შესრულების კომიტეტის თავმჯდომარის განცხადების მიხედვით, „2008 წლის 23 დეკემბერს, რუსეთის გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ კომისიამ დაასრულა სამხრეთ ოსეთის 162 სამოქალაქო პირის (დაღუპულთა რაოდენობა გაცილებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე თავდაპირველად განაცხადა რუსეთის ხელისუფლებამ) და რუსეთის სამხედრო ნაწილების 48 წევრის გარდაცვალების გამოძიება და მას საკმარისი მტკიცებულებები გააჩნია, რომ დაამტკიცოს საქართველოს მიერ ჩადენილი სამხრეთ ოსების გენოციდის დანაშაულის ჩადენა.“¹⁴¹⁴

სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება და სამხრეთ ოსეთის არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე, ადანაშაულებდა საქართველოს გენოციდში. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის მრჩეველმა განაცხადა, რომ 300-ზე მეტი საქმე გადაეგზავნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგოდ, 8-12 აგვისტოს თავდასხმის დროს ჩადენილი „გენოციდის“ გამო¹⁴¹⁵. Human Rights Watch-ის განცხადებით, ასეთი ბრალდებები „ფართოდ გაშუქდა პრესაში სამხრეთ ოსეთში ჩადენილი სამხედრო დანაშაულის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ, ასევე საჯარო აქტივისტების მიერ, რომლებიც მუშაობდნენ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობის პროკურატურასთან.“¹⁴¹⁶ კომისია შეიქმნა 2008 წლის 12 აგვისტოს და გამოსცა ანგარიში, რომლის მიზანი იყო სამხრეთ ოსების წინააღმდეგ გენოციდის დანაშაულის დოკუმენტურად დაფიქსირება. სახელმწიფო კომისიის

<http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsID=1011523&ThemesID=301>, კოტირებული HRW, ცეცხლში – ჰუმანიტარული კანონის დარღვევა და სამოქალაქო მსხვერპლი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში, op. cit., გვ. 70.

¹⁴¹³ იგორ კომისაროვი, გენერალური პროკურატურის საგამომიებო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. RIA Novosti, 2008 წ. 14 აგვისტო, კოტირებული AI, 2008, გვ. 56. იხ. ასევე ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულების კომიტეტი (მონიტორინგის კომიტეტი), საქართველოს და რუსეთს შორის ომის შესახებ 1633 (2008) რეზოლუციის შესრულება, ანგარიში, Doc. 11800, 2009 წ. 26 იანვარი, თანა-მომხმენებლები ლუკ ვან დერ ბრანდე და მატეას ეორსი, პუნქტი 50.

¹⁴¹⁴ იქვე. პუნქტი 50.

¹⁴¹⁵ RIA Novosti, „სამხრეთ ოსები საქართველოს გენოციდში ადანაშაულებენ,“ 2008 წ. 1 სექტემბერი <http://en.rian.ru/world/20080901/116453506.html>

¹⁴¹⁶ HRW, ცეცხლში – ჰუმანიტარული კანონის დარღვევები და სამოქალაქო მსხვერპლი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში, op. cit., გვ. 72.

ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „ახლა მსოფლიო თანამეგობრობას შესაძლებლობა ექნებოდა გაცნობოდა ფოტო და ვიდეომასალას და სხვა დოკუმენტებს, რომელთა საშუალებითაც დასტურდებოდა ქართველი სამხედროების მიერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის დანაშაული.“¹⁴¹⁷ ორი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რომლებსაც IIFFMCG ცხინვალში შეხვდა 2009 წლის მარტში, იგივე ბრალდებები წამოაყენეს.

გენოციდის ბრალდებები წამოაყენა ასევე, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამაც, რომელმაც განაცხადა, რომ „საქართველოს მთავრობის მიერ ეთნიკური აფხაზების წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის დანაშაულის დოკუმენტურ მტკიცებულებებს წარუდგენდნენ საერთაშორისო სასამართლო დაწესებულებებს.“¹⁴¹⁸

IIFFMCG-ის კითხვარზე გაცემულ პასუხებში, საქართველომ დააფიქსირა, რომ „საქართველოს მხრიდან გენეცოდს ადგილი არ ჰქონია და რომ არ ყოფილა არც აღნიშნული დანაშაულის სიმძიმის შესაბამისი ქმედებები და არც ცნობილი ფაქტები, ამ განცხადებების დასადასტურებლად.“¹⁴¹⁹ საქართველომ ასევე, აღნიშნა, რომ „SKP-გან [რუსეთის ფედერაციის პროკურატურის საგამომიებო კომისია] განსხვავებით, 2008 წლის 19-20 აგვისტომდე ტერიტორიაზე არ დაუშვეს საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციებიც კი“ და „მტკიცებულებების შეგროვების პირველ ეტაპებზე, SKP ერთადერთი ფაქტების შემსწავლელი დაწესებულება იყო, რომელიც ადგილზე დაუშვეს.“¹⁴²⁰ მან ეჭვი შეიტანა იმ „ინფორმაციის საიმედოობაში,“ რომელიც ვითომდა, შეაგროვა SKP-მ და უარყო „რუსეთის ხელისუფლების მიერ წაყენებული გადაჭარბებული ბრალდებები.“ მან ხაზი გაუსვა, რომ „SKP-ს არ წარმოუდგენია რაიმე განმარტებები მასზედ, თუ როგორ ამტკიცებს ქართველი სამხედროების მიერ სავარაუდოდ, ჩადენილი ქმედებებს ანუ საქართველოს მხრიდან ჩადენილ გენოციდის დანაშაულს.“¹⁴²¹ შემდგომ, საქართველომ აღნიშნა, რომ „დალუპულთა რაოდენობა, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა, ბადებს კითხვას – ამ

¹⁴¹⁷ სამხრეთ ოსეთში სამხრდრო დანაშაულის სახელმწიფო საგამომიებო კომისია, სამხრეთ ოსეთი – საკონტრაქტო მკვლელობის ქრონიკა, <http://www.ossetia-war.com/book>

¹⁴¹⁸ De facto აფხაზეთის ხელისუფლება, პასუხები IIFFMCG-ის იურიდიულ საკითხებზე აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით, 2009 წ. აპრილში, გვ. 10.

¹⁴¹⁹ საქართველოს პასუხები IIFFMCG-ის კითხვებზე (ჰუმანიტარული ასპექტები) IIFFMCG-ს, 2009 წ. 5 ივნისს, გვ. 1.

¹⁴²⁰ იქვე, გვ. 1-2.

¹⁴²¹ იქვე, გვ. 2.

ნუსხაში მხოლოდ სამოქალაქო პირები შედიან თუ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლებიც“ რომლებიც საბრძოლო ოპერაციების დროს კანონიერ სამხედრო სამიზნეებს წარმოადგენდნენ.¹⁴²²

„გენოციდის შესახებ“ 1948 წლის კონვენციაში გენოციდი განსაზღვრულია, როგორც „ნებისმიერი შედეგის მქონე ქმედება, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის, მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების მიზნით: (a) ჯგუფის წევრების მკვლელობა; (b) სხეულის მძიმე დაზიანების ან მატერიალური ზარალის მიყენება ჯგუფის წევრებისთვის; (c) ჯგუფისთვის წინასწარ განზრახვით ისეთი სასიცოცხლო პირობების შექმნა, რომლებიც გამიზნულია ჯგუფის ფიზიკური განადგურებისთვის, მთლიანად ან ნაწილობრივ; (d) ისეთი ზომების მიღება, რომლებიც ხელს შეუშლის ჯგუფში ბავშვების დაბადებას; (e) ჯგუფის ბავშვების ძალდატანებით გადაცემა სხვა ჯგუფისთვის.“¹⁴²³ მე-2 მუხლში ჩამოთვლილი ქმედებები უნდა ხორციელდებოდეს ჯგუფის, როგორც ასეთის, განადგურების მიზნით, მთლიანად ან ნაწილობრივ.¹⁴²⁴ სიტყვები „როგორც ასეთი“ ხაზს უსვამს დაცული ჯგუფის განადგურების სპეციალურ განზრახვას.¹⁴²⁵ ეს „სპეციალური

¹⁴²² იქვე.

¹⁴²³ იხ.: გენოციდის დანაშაულის პრევენციის და დასჯის კონვენციის მე-2 მუხლი, 1948 წ. 2 დეკემბერი.

¹⁴²⁴ ანგარიში გაეროს გენერალურ მდივანს დარფურის საერთაშორისო საგამომიებო კომისიისგან, 2005 წლის 25 იანვარი, გვ. 124, პუნქტი 490. შემდგომ, კომისია აღნიშნავს ორ ელემენტს: „ობიექტური ელემენტი ორმხრივია. პირველი, რომელიც შეეხება აკრძალულ ქმედებებს, შემდეგია: (i) დანაშაულს უნდა ჰქონდეს: (a) მკვლელობის, ან (b) სერიოზული სხეულის დაზიანების ან გონებრივი ზიანის ან (c) ჯგუფის ისეთ პირობებში მოთავსება, რომლებიც გამიზნულია მათი ფიზიკური განადგურებისთვის; ან (d) ისეთი ზომების შემოღება, რომლებიც განაპირობებს ბავშვების დაბადების პრევენციას ამ ჯგუფში ან (e) ითვალისწინებს ამ ჯგუფის ბავშვების გადაცემას სხვა ჯგუფისთვის. მეორე ობიექტური ელემენტი დაკავშირებულია მიზნობრივ ჯგუფთან, რომელიც უნდა იყოს „ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი.“ გენოციდის ბრალდება შეიძლება დადგეს, როდესაც ზემოთ აღნიშნული აკრძალული ქმედებები ხორციელდება ერთ-ერთი ასეთი ჯგუფის ან ასეთი ჯგუფის წევრების წინააღმდეგ.

„ასევე, ორმხრივია სუბიექტური ელემენტიც: (a) კრიმინალური განზრახვა, რომელიც საჭიროა შესაბამისი დანაშაულისთვის (მკვლელობა, სხეულის სერიოზული ან გონებრივი დაზიანების მიყენება და ა.შ.) და (b) ჯგუფის, როგორც ასეთის, „მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების განზრახვა.“ ეს მეორე განზრახვა დამძიმებული დანაშაულებრივი განზრახვაა ან *dolus specialis*: ეს გულისხმობს, რომ დამრღვევს გაცნობიერებულად სურს, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგი იყოს ჯგუფის, როგორც ასეთის, მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება და მან იცის, რომ მისი ქმედებები გაანადგურებს ჯგუფს, მთლიანად ან ნაწილობრივ.“ (პუნქტები 490-491).

¹⁴²⁵ ICJ, გენოციდის დანაშაულის პრევენციის და დასჯის შესახებ კონვენცია (ბოსნია-ჰერცეგოვინა v. სერბია და მონტენეგრო), 2007 წ. 26 თებერვლის განაჩენი, I.C.J. 2007 წლის ანგარიშები, პუნქტი 187. იხ. ასევე: ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხის ლეგალურობა, საკონსულტაციო დასკვნა, I.C.J. ანგარიშები 1996, პუნქტი 26.

განზრახვა“ გადაწყვეტია, რომ რიგი ქმედებები კვალიფიცირდეს, როგორც გენოციდი და ეს გამოარჩევს მას სხვა დანაშაულისგან. ტერმინი „ნაწილობრივ“, „დაცული ჯგუფის განადგურების“ განზრახვის კონტექსტში, გულისხმობს გარკვეულ მასშტაბს, როგორც განმარტებულია საერთაშორისო პრევენტულ სამართალში. ის მოითხოვს „ინდივიდუალური პირების მნიშვნელოვანი რაოდენობის“¹⁴²⁶ ან „ჯგუფის არსებითი ნაწილის“¹⁴²⁷ განადგურების განზრახვას. დაბოლოს, განზრახვა ასევე უნდა გაიმიჯნოს მოტივისგან. დარფურის საგამოძიებო კომისია განსაზღვრავს მოტივს, როგორც „კონკრეტულ მიზეზს, რომელიც განაპირობებს პიროვნების მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას,“ ხაზს უსვამს, რომ „სისხლის სამართლის თვალსაზრისით, მნიშვნელობა აქვს არა მოტივს, არამედ იმას, არსებობს თუ არა ჯგუფის განადგურების შესაბამისი სპეციალური განზრახვა.“¹⁴²⁸

შესაბამისად, ასეთი მოთხოვნის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს საკითხს, არსებობს თუ არა გენოციდის განზრახვის მტკიცებულება.¹⁴²⁹ თუმცა, პრაქტიკულად, ასეთი განზრახვის არსებობის ცალსახად

¹⁴²⁶ იხ.: კაიშემა და რუზინდანა (ICTR, ტრიბუნალის პალატა, 1999 წ. 21 მაისი) § 97, კოტირებული დარფურის საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის მიერ, *op. cit.*, პუნქტი 492.

¹⁴²⁷ იხ.: ჯელისი (ICTY ტრიბუნალის პალატა, 1999 წ. 14 დეკემბერი, პუნქტი 82), ბაგილიშემა (ICTR, ტრიბუნალის პალატა, 2001 წ. 7 ივნისი § 64) და სამანზა (ICTR, ტრიბუნალის პალატა, 2003 წ. 15 მაისი, პუნქტი 316, კოტირებული დარფურის საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის მიერ, *op. cit.*, პუნქტი 492.

¹⁴²⁸ დარფურის საერთაშორისო საგამოძიებო კომისია *op. cit.*, პუნქტი 493: „მაგალითად, გენოციდის შემთხვევაში, პირი, რომელსაც განზრახული აქვს დაცული ჯგუფის რამდენიმე წევრის მკვლელობა, სპეციალური განზრახვით, განადგუროს ჯგუფი (მთლიანად ან ნაწილობრივ), შეიძლება მოტივირებული იყოს, მაგალითად, სურვილით, მიითვისოს ამ ჯგუფის ან პირების ქონება ან შურისძიების სურვილით, ამ ჯგუფის წევრების მიერ ადრე განხორციელებული თავდასხმების გამო ან სურვილით, ასიამოვნოს მის ზემდგომებს, რომლებსაც სძულთ ეს ჯგუფი.“

¹⁴²⁹ ეს სწორია, იმ საკითხის ფარგლებს მიღმა, უნდა იყოს თუ არა მტკიცებულების სტანდარტები განსხვავებული, როდესაც განიხილება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ან როდესაც ფასდება საერთაშორისო ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გენოციდისთვის. ICJ-ის განაჩენის თვალსაზრისით, „გენოციდის შესახებ“ კონვენციასთან დაკავშირებულ საქმეზე, ამ საკითხმა მნიშვნელოვანი დისკუსიები გამოიწვია. ავტორმა გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ „დასკვნითი მტკიცებულების“ ფორმულის უკან, „გენოციდის შესახებ“ კონვენციის II და III მუხლებთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიღო ყველა პრაქტიკული მიზნისთვის, სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის ტიპური „ყოველგვარი გონივრული ეჭვის გარეშე“ მტკიცებულების სტანდარტი. იხ. ანდრეა გატინი, „გენოციდთან დაკავშირებით ICJ-ის განაჩენის მტკიცებულებების საკითხები“ *Int სისხლის სამართალი* 2007, ტომი 5, გვ. 889-904. იხ. ასევე, ICJ, გენოციდის დანაშაულის პრევენციის და დასჯის შესახებ კონვენცია (ბოსნია-ჰერცეგოვინა vs სერბია და მონტენეგრო), 2007 წლის 26 თებერვლის განაჩენი, I.C.J. 2007 წ. ანგარიშები, პუნქტი 189. იმ შემთხვევაში, თუ არ დამტკიცდება ასეთი განზრახვა, არ შეიძლება გენოციდის კვალიფიცირება. დარფურის შემთხვევაში, საგამოძიებო კომისიამ დაასკვნა, რომ „სუდანის ხელისუფლება

დამტკიცება, ფაქტების მეშვეობით, შეიძლება ძალზე რთული ამოცანა იყოს. დარფურის საერთაშორისო საგამომიებო კომისიამ, ეყრდნობოდა რა საერთაშორისო ad hoc სისხლის სამართლის სასამართლოების დამკვიდრებულ პრაქტიკას, შემდეგი დასკვნა გააკეთა:

„რამდენადაც გენოციდის განზრახვის პირდაპირი მტკიცებულება არ არსებობს, როგორც უმეტეს შემთხვევებში, განზრახვის თაობაზე დასკვნები გაკეთდა მრავალრიცხოვანი ქმედებების და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. In Jelisić სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „კონკრეტული განზრახვის დამადასტურებელი საბუთი პირდაპირი, აშკარა მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, შეიძლება მიღებული იქნას რიგი ფაქტებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე, როგორცაა, საერთო კონტექსტი, სხვა დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა, რაც სისტემატურად მიმართულია ერთი და იგივე ჯგუფის წინააღმდეგ, ჩადენილი სისასტიკის მასშტაბი, სისტემატური ორიენტაცია პირებზე, კონკრეტული ჯგუფისთვის მათი კუთვნილების ნიშნის მიხედვით ან დესტრუქციული ან დისკრიმინაციული ქმედებების გამეორება“ (§ 47)¹⁴³⁰

ტერმინი „გენოციდი,“ როგორც იურიდიული თუ ფაქტების შესწავლის პროცესის თვალსაზრისით, ასევე უფრო პოლიტიკურ კონტექსტში, მაინც სიფრთხილით უნდა გამოიყენებოდეს, არსებულ იურიდიულ განმარტებასა და ფაქტებზე დაყრდნობით. გენოციდის იურიდიული განსაზღვრის ამ მოკლე მიმოხილვის ფონზე, განცხადებები, საქართველოში კონფლიქტის კონტექსტში, არ იყო დადასტურებული მკაფიო ფაქტობრივი მტკიცებულებებით, არც იმ დროს, როდესაც ასეთი განცხადებები გაკეთდა და არც წინამდებარე ნგარიშის შედგენისას.

გენოციდის ბრალდებებთან დაკავშირებით IIFFMCG-ის კითხვებზე რუსეთის ფედერაციამ პირველ რიგში, აღნიშნა:

არ ახორციელებდა გენოციდის პოლიტიკას. შესაძლოა, გენოციდის ორი ელემენტი გამოაკლდეს ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან დარღვევებს, რომლებიც ჩადენილია სამთავრობო ძალების და მათ მიერ კონტროლირებადი მილიციის მიერ. ეს ორი ელემენტია: პირველი, actus reus, რომელიც მოიცავს მკვლელობას ან სერიოზულ ფიზიკური ან გონებრივი დაზიანების მიყენებას ან განზრახ ისეთ პირობებში მოთავსებას, რომლებიც ფიზიკურ განადგურებას გამოიწვევს; მეორე, სუბიექტური სტანდარტის საფუძველზე, დაცული ჯგუფის არსებობა, რომელზეც მიმართულია დანაშაულის ავტორების ქმედებები. თუმცა, გენოციდის განზრახვის არსებითი ელემენტი, როგორც ჩანს, არ არსებობს, რამდენადაც ეს შეეხება ცენტრალურ ხელისუფლებას. საზოგადოდ, თავდასხმის, მკვლელობის და იძულებით გადაადგილების პოლიტიკა არ ამტკიცებს რასობრივი, ეთნიკური, ეროვნული ან რელიგიური ნიშნით რაიმე ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურების სპეციალურ განზრახვას.“ დარფურის საერთაშორისო საგამომიებო კომისია, op. cit., გვ. 4.

¹⁴³⁰ დარფურის კონფლიქტის საერთაშორისო საგამომიებო კომისია, op. cit., პუნქტი 502.

„რუსეთის მხარის მითითებები, გენოციდის აქტებზე, რომლებიც ოსი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა საქართველოს მხარემ, 2008 წლის აგვისტოში, უნდა განიხილებოდეს კონფლიქტის პირველი საათების განმავლობაში და მანამდე მიღებული წინასწარი ინფორმაციის კონტექსტში, რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, მართლაც, არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქართველების მიერ განხორციელებული მოქმედებები მიმართული იყო ოსების ეთნიკური ჯგუფის, როგორც ასეთის, მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებისკენ (საქართველოს მხარის მიერ მძიმე შეიარაღების ფართომასშტაბიანი და უწყესრიგო გამოყენება ოსეთის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, 7-8 აგვისტოს ღამეს, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული პროაქტიური „ანტიოსური“ პოლიტიკა).“¹⁴³¹

ეს განცხადება აბსოლუტურად ეწინააღმდეგება სამართლებრივ პირობებს და მტკიცებულებების ტიპს, რომელიც აუცილებელია, საერთაშორისო კანონმდებლობით გარკვეული აქტების გენოციდად კვალიფიცირებისთვის. მართალია, ფაქტები შეიძლება არანაკლებ სერიოზული იყოს, როდესაც ეს ტერმინი არ გამოიყენება. განცხადებები, სადაც გამოიყენება ტერმინი „გენოციდი,“ უნდა ეყრდნობოდეს ფაქტების დეტალურ და დროულ ანალიზს. როგორც ჩანს, რუსეთის ფედერაციამ ამჯობინა წინდახედული მიდგომა, IIFMCG-ის კითხვებზე პასუხის გაცემისას, შემდგომ მან აღნიშნა, რომ „რუსეთის ფედერაციის პროკურატურის მიერ დანიშნული საგამომიებო კომისია მალე დაამთავრებს გამოძიებას“ და „მას შემდეგ, რაც გაანალიზდება ყველა ხელმისაწვდომი მტკიცებულება, მიიღება გადაწყვეტილება კონკრეტული სამართლებრივი დადგენილების თაობაზე, ასევე იმის თაობაზე, უნდა წარუდგინონ თუ არა ამ სისხლის სამართლის საქმის მასალები სასამართლოს.“¹⁴³²

კონფლიქტიდან ერთი წლის შემდეგ, უპასუხოდ რჩება ხელმისაწვდომი მტკიცებულებები ადასტურებს თუ არა გენოციდის შესახებ განცხადებებს. მართალია, რუსეთის ფედერაციამ გააკეთა ასეთი ფრთხილი განცხადებები, მან ასევე მიუთითა, რომ „ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გასამხედროებული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაული ნახსენებია მრავალრიცხოვან ჩანაწერებში, სადაც მოცემულია დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებები და წარმოდგენილია ფოტომასალები“ და „ზემოთ აღნიშნული მასალები შეიცავს დეტალურ ინფორმაციას, რომელიც არსებითად ამტკიცებს, რომ ადგილი ჰქონდა გენოციდის შემთხვევებს ეთნიკური ოსების წინააღმდეგ და რომ ჩადენილია სამხედრო დანაშაული

¹⁴³¹ რუსეთის პასუხები IIFMCG-ის კითხვებზე (ჰუმანიტარული ასპექტები), გვ. 1.

¹⁴³² იქვე.

ქართული მხარის მიერ.¹⁴³³ 2009 წლის ივლისში, მოსკოვში, IIFMCG-ის ექსპერტებთან შეხვედრისას, რუსეთის გენერალური პროკურატურის საგამომიებო კომისიის წარმომადგენლებმა გაიმეორეს დასკვნა, იმავე ელემენტებზე დაყრდნობით, რაც IIFMCG-ის კითხვარზე გაცემულ პასუხებში იყო, რომ მათი აზრით, ჩადენილია გენოციდის დანაშაული, ეთნიკური სამხრეთ ოსების წინააღმდეგ.¹⁴³⁴

საპირიპიროდ, საქართველომ განაცხადა, რომ „საჯაროდ ხელმისაწვდომი მტკიცებულებების შესაბამისად (მოწმეთა ჩვენებები), ქართველ სამხედროებს არ ჰქონიათ არა მარტო გენიციდის განზრახვა, არამედ დისკრიმინაციული განზრახვაც კი, სახმელეთო ოპერაციების დროს.“¹⁴³⁵

¹⁴³³ იქვე, გვ. 2. რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული პასუხები ეხება *inter alia*, შემდეგ სავარაუდო ფაქტებს, რომლებიც დოკუმენტურად დაფიქსირდა და დადგინდა რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის საგამომიებო კომისიის მიერ: მსხვერპლის რაოდენობა (162 სამოქალაქო პირი – სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები, რომლებიც მოკლეს და 255 პირი, რომლებსაც სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები აქვთ); ნგრევის შესახებ ანგარიშები, მაგალითად, „655 სამოქალაქო შენობა, რომლებიც დაინგრა და დაიწვა შეიარაღების უახლესი სისტემების მეშვეობით, რომლებსაც ქართველები იყენებდნენ ცხინვალის და სამხრეთ ოსეთის სხვა დასახლებების წინააღმდეგ, 2139 საცხოვრებელი შენობა და ნაგებობა, უმეტესად, ეთნიკური ოსების, ნაწილობრივ განადგურდა;“ ადგილზე ჩატარებული შემოწმის ჩანაწერები, მოწმეების და დაზარალებულების ჩვენებების ჩანაწერები, ასევე ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა, რაც დადასტურებული იყო დოკუმენტებით და ელექტრონული მედიით, სამშვიდობო ოპერაციების დროს, საქართველოში (ადგილობრივი ტერიტორიის დეტალური აეროფოტოები და ტაქტიკური რუკები, სამხედრო შტაბის გეგმები, ბრძანებები და სხვა დოკუმენტები),“ რომლებიც უჩვენებდა, როგორც რუსეთი აცხადებდა, რომ „საქართველოს შეიარაღებული ძალების [გენერალურმა] შტაბმა წინასწარ შეიმუშავა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტერიტორიებზე შეჭრის გეგმები; სახელდობრ, ეს დოკუმენტები ითვალისწინებდა უმეტესად ეთნიკური ოსებით დასახლებული სოფლების განადგურებას;“ დაგეგმილი იყო მოუწესრიგებელი საარტილერიო სისტემების გამოყენება თავდასხმისას, მრავალრიცხოვანი სარაკეტო სისტემების ჩათვლით, რაც გამოიწვევდა სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივ განადგურებას, დასახლებულ ადგილებში გამოყენების შემთხვევაში და სასიცოცხლო სამოქალაქო ნაგებობებისთვის მსხვილმასშტაბიან დაზიანებას;“ „იყო შემთხვევები, როდესაც სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობისას, საქართველოს შეიარაღებული ძალები იყენებდნენ კასეტურ ბომბებს და 500 კგ. ავიაბომბებს სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ;“ „36 ათასზე მეტმა ეთნიკურმა ოსმა დატოვა სამხრეთ ოსეთის ტერიტორია 2008 წლის 7-16 აგვისტოს;“ „სამოქმედო გეგმები, რომლებიც ითვალისწინებდა ცხინვალის და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგების ბლოკირებას და წყლის მოწამლვას სამხედრო ოპერაციების დროს, რაც ახლახანს დაემატა სისხლის სამართლის საქმეს, რომელსაც საგამომიებო კომისია განიხილავს“ (გვ. 2-5). რუსეთის ფედერაციამ დაასკვნა, რომ „ზემოთ აღნიშნული ფაქტები საფუძველს გვამლევს ვიფიქრით, რომ საქართველოს მხარეს გააჩნდა წინასწარ მომზადებული გეგმა ოსების, როგორც ეთნიკური ჯგუფის განადგურებისთვის,“ გვ. 5.

¹⁴³⁴ რუსეთის გენერალური პროკურატურის საგამომიებო კომისიის წარმომადგენლებთან შეხვედრა, მოსკოვი, 2009 წ. 29 ივლისი.

¹⁴³⁵ საქართველო, პასუხები IIFMCG-ის შეკითხვებზე (ჰუმანიტარული ასპექტები), გაცემული IIFMCG, 2009 წ. 3 ივნისს.

როგორც აღნიშნა, რუსეთის ფედერაციის მიერ განსაზღვრული სავარაუდო ფაქტები არ ამტკიცებს „სპეციალური განზრახვის“ არსებობას, რაც აუცილებელია, რომ ქმედებები კვალიფიცირებულ იქნას, როგორც გენოციდი. აქ მოტანილია ის ძირითადი მიზეზები, რომელთა გამოც IFFMCG-მ არ გააკეთა იგივე დასკვნა რაც რუსეთმა, წარმოდგენილი ფაქტების გათვალისწინებით.

ფაქტები, ცალკე თუ ერთობლიობაში, არ ამტკიცებს სპეციალური განზრახვის არსებობას. ჯერ ერთი, იმ შენობების განადგურება, რომლებსაც უმეტესად, სამხრეთ ოსეთი იყენებდა, შეიძლება ბრძოლის შედეგი ყოფილიყო. მეორეც, საარტილერიო სისტემების უწესრიგო გამოყენება, თუ ეს დადასტურდება, არ იქნება სპეციალური განზრახვის დამადასტურებელი ელემენტი. ეს უფრო ასეთი განზრახვის არარსებობაზე მიუთითებს, ზუსტად იმის გამო, რომ მათი გამოყენება უწესრიგოდ ხდებოდა, რის გამოც რთული ან შეუძლებელი იქნებოდა კონკრეტულ ჯგუფზე ორიენტირება. მესამე, ამ იარაღის ხასიათი ან ტიპი საკმარისი არაა დაცული ჯგუფის განადგურების სპეციალური განზრახვის დასადასტურებლად.¹⁴³⁶ მესამე, როგორც აღნიშნავს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო – დაბომბვა, თავისთავად, საკმარისი არაა სპეციალური განზრახვის დასამტკიცებლად.¹⁴³⁷ სამხრეთ ოსეთში სამხედრო დანაშაულის სახელმწიფო საგამომიებო კომისიის ანგარიში, რომელიც როგორც აღნიშნეს, ამტკიცებს სამხრეთ ოსების წინააღმდეგ ჩადენილ გენოციდის დანაშაულს, არ შეიცავს ასეთი სპეციალური განზრახვის მტკიცებულებებს.¹⁴³⁸

უფრო ზოგადად, გენოციდის ბრალდებებმა დააეჭვა სხვადასხვა წყაროები. მათი აზრით, ხელმისაწვდომი მტკიცებულებები საკმარისი არ იყო ამ ბრალდებების დასადასტურებლად. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიული კომიტეტის მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ფაქტები არ ადასტურებს გენოციდის ბრალდებებს საქართველოს წინააღმდეგ: საქართველოს თავდასხმის ოსი (სამოქალაქო) მსხვერპლის რაოდენობა („ათასობით,“ რუსეთის ორგანოების მიერ ადრეულ ეტაპზე დასახელებული, „წინასწარ მონაცემებზე“ დაყრდნობით), ძალზე გადამეტებული გვეჩვენება; ახლა

¹⁴³⁶ როგორც ICJ უსვამს ხაზს, ბირთვული იარაღის საკონსულტაციო დასკვნაში: „სასამართლოს თვალსაზრისით, ასეთ დასკვნამდე მისვლა შესაძლებელია, მხოლოდ თითოეული საქმისთვის დამახასიათებელი გარემოებების სათანადოდ გათვალისწინებით.“ ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხის ლეგალურობა, საკონსულტაციო დასკვნა, I.C.J. ანგარიშები, 1996. პუნქტი 26.

¹⁴³⁷ ძალის გამოყენების კანონიერება (სერბია და მონტენეგრო v. ბელგია), დროებითი ზომების მითითების მოთხოვნა, ბრძანება, 1999 წ. 2 ივნისი, პუნქტი 40.

¹⁴³⁸ სამხრეთ ოსეთში სამხედრო დანაშაულის სახელმწიფო საგამომიებო კომისია, სამხრეთ ოსეთი – საკონტრაქტო მკვლელობის ქრონიკა, <http://www.ossetia-war.com/book>

გაირკვა, რომ ოსი ეროვნების მსხვერპლთა დიდი ნაწილი (რომელთა რიცხვი, ამჟამად, გაცილებით უფრო ნაკლებია) მეზრძოლები იყვნენ. ცალკეული სასტიკი ქმედებები, რომლებიც აღწერილია გარკვეულ რუსულ მედიასაშუალებებში და მინისტრთა კომიტეტისთვის წარდგენილი მასალები, თავისთავად, სერიოზულ დანაშაულზე მიუთითებს, მაგრამ არა გენოციდის მცდელობაზე.“¹⁴³⁹ Human Rights Watch–ს ეჭვი ეპარება რუსეთის ფედერაციის პროკურატურის საგამომიებო კომიტეტის მიერ ჩატარებული გამოძიების საიმედოობაში.¹⁴⁴⁰

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, IIFFMCG სერიოზულ ეჭვს გამოთქვამს საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ წაყენებულ გენოციდის ბრალდებასთან დაკავშირებით. მართალია, ეს არ შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც ჩარევა მიმდინარე მოკვლევაში, რომელსაც ჯერ კიდევ, განიხილავენ სასამართლო თუ საგამომიებო ორგანოები, როგორცაა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურატურა,¹⁴⁴¹ ან რუსეთის ფედერაციის პროკურატურის საგამომიებო კომიტეტი. მისიის აზრით, ასეთი ბრალდებები ძალზე ნაადრევი იყო და მათ აკლდა გარკვეული ელემენტები, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო კანონმდებლობით. ასეთი დანაშაულის ხასიათის და სიმძიმის გათვალისწინებით, არსებითი აუცილებლობაა, რომ ყველა მხარემ განახორციელოს საინფორმაციო და საგანმანათლებლო ინიციატივები, ასეთი ბრალდებების მოსახლეობაზე ნეგატიური ზემოქმედების საწინააღმდეგოდ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ განხილვისას, IHL და HRL-ის ზოგიერთი დარღვევები, კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდგომ

¹⁴³⁹ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE), ადამიანის უფლებების და იურიდიული კომიტეტი, „საქართველოს და რუსეთს შორის ომის შედეგები,“ მომხსენებელ ქრისტოს პურგურიდესის დასკვნა, Doc. 11732 rev, 2008 წ. 1 ოქტომბერი, პუნქტი 14, <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/WorkingDocs/Doc08/EDOC11732.htm>. ასევე, იხ.: PACE, პოლიტიკური კომიტეტი, „საქართველოს და რუსეთს შორის ომის შედეგები,“ მომხსენებელი ლინდბალდის დასკვნა, Doc. 11731, 2008 წ. 1 ოქტომბერი, პუნქტი 17, <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/WorkingDocs/Doc08/EDOC11731.htm>

¹⁴⁴⁰ ამ ორგანიზაციამ აღნიშნა ორი შემთხვევა, როდესაც გამომიებლებმა წარმოადგინეს ჩადენილი სისასტიკის შესახებ მოხსენებები წინაგარსა და ხეთაგუროვოში, მაგრამ რუსეთის ორგანოებმა ეს შემთხვევები ორ სხვა სოფელს მიაწერეს, შესაბამისად, დმენისსა და სარაბუკს. HRW-მ ჩაატარა ამ სოფლების რიგი მცხოვრებლების გამოკითხვა, მაგრამ მათ არაფერი გაუგიათ ასეთი ფაქტების შესახებ. HRW განაცხადა, რომ ასეთი ელემენტები „სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ჩატარებული გამოძიების დეტალურობასთან და სიზუსტესთან დაკავშირებით.“ ცეცხლში – ჰუმანიტარული კანონის დარღვევები და სამოქალაქო მსხვერპლი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში, *op. cit.*, გვ. 71-72.

¹⁴⁴¹ „ICC პროკურორი ადასტურებს, რომ მიმდინარეობს საქართველოში არსებული სიტუაციის ანალიზი,“ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პრესრელიზი, 2008 წლის 20 აგვისტო,

<http://www.icc-cpi.int/press/pressreleases/413.html>

პერიოდში, მოტივირებული იყო „სამხრეთ ოსეთში ათასობით სამოქალაქო მსხვერპლის“ შესახებ რუსეთის ფედერალური სატელევიზიო არხების რეპორტაჟებით.“¹⁴⁴²

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მისია დარწმუნებულია, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია, რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის და შემდგომი პერიოდის კონტექსტში, გენოციდის ბრალდებები კანონით დამტკიცებული არ არის და ფაქტობრივი მტკიცებულებებით დაუსაბუთებელია.

მისიის წინადადებაა შესაბამისი ზომების მიღება, რომ დაუსაბუთებელმა ბრალდებებმა აღარ გაამწვავოს დაძაბულობა და არ გამოიწვიოს შურისძიების აქტები. ამ თვალსაზრისით, საჭიროა საგანმანათლებლო და საინფორმაციო ინიციატივები გათვალისწინება.

V. ძირითადი შედეგები და დაკვირვებები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის (IHL) და ადამიანის უფლებათა სამართლის (HRL) ფარგლებში

a) ძირითადი შედეგები

ამ თავის დასკვნების დეტალურად ფორმულირებამდე „ხაზი უნდა გაესვას ორ საერთო შედეგს, რამდენადაც ორივეს საკვანძო მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ზომებისთვის, სიტუაციის მოსაგვარებლად. მოკვლევიდან ჩანს, რომ ადგილი ჰქონდა ორო კატეგორიის სხვადასხვა მასშტაბის მოქმედებებს. ერთი მხრივ, იყო საომარი მოქმედებების ფარგლებში ჩადენილი ქმედებები, როგორცაა, საომარი მოქმედებების წარმოების კანონის დარღვევები და, მცირერიცხოვან შემთხვევებში – ადგილზე გასწორების (სიკვდილით დასჯის) შემთხვევები. რა თქმა უნდა, ასეთი ქმედებები შეიძლება მაინც კვალიფიცირდეს, როგორც IHL-ის დარღვევები. ამავე დროს, ადგილი ჰქონდა გაცილებით უფრო დიდი მასშტაბის ქმედებებსაც, როგორებიცაა, სოფლების გადაწვა-გამარცვა, რაც კონფლიქტის დროს იქნა ჩადენილი. ამასთან, უფრო მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, ეს რამდენიმე კვირის განმავლობაში გრძელდებოდა.

¹⁴⁴² HRW ხაზი გაუსვა, რომ „Human Rights Watch-ის მიერ გამოკითხულმა სამოქალაქო პირებმა დაადასტურეს, რომ რუსეთის სატელევიზიო არხებმა ეთნიკური ქართველების სოფლების გადაწვის და გამარცვის ფაქტები წარმოადგინეს, როგორც „ათასობით სამოქალაქო ინციდენტი სამხრეთ ოსეთში,“ იხ. HRW, ცეცხლში – ჰუმანიტარული კანონის დარღვევები და სამოქალაქო მსხვერპლი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში, op. cit., გვ. 74.

მეორე, არსებითია იმის გააზრება და გათვალისწინება, თუ რა გავლენას ახდენდა და რა როლს ასრულებდა, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტში წარსულში ჩადენილი დარღვევები (როგორც 1990-იანი წლების კონფლიქტები, ასევე უფრო გვიანდელი ინციდენტებიც), როგორც ბრალდებების პროვოცირებისთვის, ასევე, მოტივის სახით – სახელდობრ, შურისძიებისთვის – ამით შეიძლება აიხსნას დადასტურებული დარღვევები. ამ ფაქტორს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, ხანგრძლივი მშვიდობის ხელშემწყობი ზომების შემოღებისთვის.

თუ პირველი ძირითადი შედეგი ძალზე სენსიტიურია და მძიმე შედეგები ექნება, მხარეთა პროგნოზირებადი რეაგირების თვალსაზრისით, ასევე არსებითია ამ განსხვავების ცოდნა და გათვალისწინება, მიღებული გაკვეთილებისა და სამომავლო პერსპექტივების განხილვისას.

მეტიც, ამ სხვაობამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს მიღებული გაკვეთილების ფორმულირებაზე, რომელთა პროექტის შედგენაც სურს IIFMCG-ს. მართლაც, თუ ზოგიერთი დარღვევები მოითხოვს ანგარიშგებას და კომპენსაციის/რეპარაციის ზომებს, სხვები უფრო დეტალურ, სპეციალურად მომზადებულ ზომებს საჭიროებს, განსაკუთრებით, ისეთი დარღვევები, რომლებიც კვლავ გრძელდება წინამდებარე ანგარიშის შედგენის დროსაც.

IHL და HRL ფარგლებში ძირითადი შედეგებია:

- ოსების გენოციდის ბრალდებები არაა დადასტურებული ან გამაგრებული მტკიცებულებებით.
- არსებობს სერიოზული და შემამფოთებელი მტკიცებულებები, რომ სამხრეთ ოსეთში ჩადენილია ქართველების ეთნიკური წმენდა, იძულებითი გადაადგილების და საკუთრების განადგურების მეშვეობით.
- ჩადენილია IHL და HRL დარღვევები, საქართველოს, რუსეთის და სამხრეთ ოსეთის მიერ. დოკუმენტურად დაფიქსირებულია აფხაზეთის ძალების მიერ ჩადენილი ძალზე მცირერიცხოვანი დარღვევები, კონფლიქტის დროს და მის შემდგომ პერიოდში.
- მართალია, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი ძალზე ცოტა ხანს გრძელდებოდა, საქართველოს, რუსეთის და სამხრეთ ოსეთის მხრიდან ჩადენილ იქნა IHL-ის მრავალრიცხოვანი დარღვევები.
- სამხრეთ ოსეთის ძალებმა, შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა და ინდივიდუალურმა პირებმა ჩაიდინეს IHL და HRL-ის ძალზე სერიოზული დარღვევები, ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ.
- დარღვევები, ძირითადად, შეეხება IHL. საომარი მოქმედებების წარმოებას, პიროვნებების მიმართ მოპყრობას და იძულებით გადაადგილებას.
- უფრო კონკრეტულად, დარღვევები მოიცავს უწესრიგო თავდასხმებს და გაფრთხილების არარსებობას საქართველოსა და რუსეთის მხრიდან; ეთნიკური

ქართველების სოფლების მარცვის და გადაწვის ფართოდ გავრცელებულ კამპანიას, სამხრეთ ოსეთის მხრიდან და ასევე, არასათანადო მოპყრობას, ცემას, მძევლების აყვანას და თვითნებურ დაპატიმრებებს; რუსეთმა არ მოახდინა ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ სამხრეთ ოსეთის ძალების და შეიარაღებული დაჯგუფებების, ასევე ინდივიდუალური პირების მიერ ასეთი ქმედებების ჩადენის პრევენცია და აღკვეთა ბუფერულ ზონასა და სამხრეთ ოსეთში.

- ეთნიკური ქართველების მდგომარეობა გალის რაიონში, კონფლიქტის შემდეგ და ასევე, წინამდებარე ანგარიშის შედგენისას, სერიოზულ შემფოთებას იწვევს, HRL-ის ფარგლებში.
- ეთნიკური ქართველების მდგომარეობა ახალგორში ასევე, სერიოზულ შემფოთებას იწვევს, რადგან ბევრი მათგანი კვლავ ტოვებს ამ რეგიონს, წინამდებარე ანგარიშის შედგენის დროს.
- უსაფრთხოებასთან და ქონების განადგურებასთან დაკავშირებული პრობლემები ის ძირითადი დაბრკოლებებია, რომლებიც ხელს უშლის იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებას, კერძოდ, ეთნიკური ქართველების დაბრუნებას სამხრეთ ოსეთში.
- ასევე, საჭიროა ომის შემდგომ დარჩენილი ფეთქებადი ნარჩენების, სახელდობრ, კასეტური ბომბების აუფეთქებელი ნაწილების პრობლემის მოგვარება.
- კვლავ საჭიროა ზომების მიღება, ყველა მხარის მიერ, პასუხისმგებლობის და ყველა დარღვევის რეპერაციის თვალსაზრისით.

რაც შეეხება პრობლემურ სფეროებს, საჭიროა იძულებით გადაადგილებულ პირთა სიტუაციის განხილვა. როგორც აღნიშნა გენერალური მდივნის იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების წარმომადგენელმა, დაბრუნების ოპერაციების წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია სამი ელემენტი, რაც ასევე ხელს შეუწყობს სიტუაციის სტაბილიზაციას: „(i) დაბრუნებულთა სიცოცხლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; (ii) იძულებით გადაადგილებული პირებისთვის საკუთრების დაბრუნება და მათი სახლების აღდგენა; (iii) ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს დაბრუნებას და რეინტეგრაციას, ე. ი. ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც შესაძლებელს გახდის სათანადო პირობებში ცხოვრებას, შემოსავლის გამომუშავების შესაძლებლობის, დისკრიმინაციის გამორიცხვის და პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობების ჩათვლით.“¹⁴⁴³

b) მიღებული გაკვთილები

¹⁴⁴³ ვალტერ კალინი, გენერალური მდივნის წარმომადგენელი იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების სფეროში, „აფხაზეთში, საქართველოში, იძულებით გადაადგილებული პირების და ლტოლვილების დაბრუნების იურდიული ასპექტები,“ 2007 წ. 29 ნოემბერი.

ამ თვალსაზრისით, შეიძლება გამოიყოს ექვსი ძირითადი პუნქტი:

1. დასახლებულ ტერიტორიებზე საომარი მოქმედების წარმოება მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს, რომ მინიმუმამდე შემცირდეს სამოქალაქო დანაკარგები და სამოქალაქო საკუთრების დაზიანება. არტილერიის და კასეტური ბომბების გამოყენება არ იძლევა IHL-ის დაცვის საშუალებას, ასეთ ადგილებში.
2. საქართველომ და რუსეთმა ხელი უნდა მოაწერონ კასეტური საბრძოლო მასალების შესახებ 2008 წლის 30 მაისის კონვენციას.
3. წარსული კონფლიქტების დროს ჩადენილ და 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს ჩადენილ დარღვევებს შორის კავშირის გათვალისწინებით:

პირველი, საჭიროა საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებები, ოსების წინააღმდეგ გენოციდის დაუსაბუთებელი ბრალდებების გასაწინააღმდეგო, რამდენადაც ამან შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს დამაბულობა თემებს შორის;

მეორე, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პასუხისმგებლობის და რეპარაციის ზომებს, 2008 წ. აგვისტოს კონფლიქტთან დაკავშირებით, ჩადენილი დარღვევების გამოსწორების და თემებს შორის შემდგომი დამაბულობის განმუხტვის მიზნით;

და ბოლოს, გათვალისწინებული უნდა იყოს ყოველმხრივი გარდამავალი სამართლებრივი მიდგომები, 2008 წლის კონფლიქტის და წარსულ კონფლიქტებთან მისი კავშირის მიმართ, რომ დაიძლიოს წარსულის მემკვიდრეობა და დამყარდეს ხანგრძლივი მშვიდობა, ასევე საშუალება მიეცეთ ყველა მხარის დაზარალებულებს, გამოთქვან მათი მოთხოვნები და შეხედულებები. ამ თვალსაზრისით, IIFMCG-მ უნდა გაითვალისწინოს და მხარდაჭერა გაუწიოს წინადადებებს, რომლებიც წარმოადგინა გარდამავალი სამართლის საერთაშორისო ცენტრმა, მის ბოლო მოხსენებაში „გარდამავალი სამართალი და საქართველოს კონფლიქტები: დუმის დარღვევა“.¹⁴⁴⁴

4. ყველა მხარემ უნდა მიიღოს ზომები უმცირესობების უფლებების დასაცავად, რათა განიმუხტოს დამაბულობა და თავიდან იქნას აცილებული ახალი შეტაკებების პროვოცირება.
5. უნდა მოგვარდეს საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები, როგორც ამ კონფლიქტის, ასევე სხვა კონფლიქტების ფარგლებში.
6. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სტატუსის პრობლემა კვლავ გადასაწყვეტია. ეს არამარტო პოლიტიკური და დიპლომატიური საკითხია, არამედ იურიდიული და პრაქტიკულიც. ამ თვალსაზრისით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2008 წლის 23 ოქტომბერს მიღებული კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების

¹⁴⁴⁴ მაგდალენა ფრიჩოვა, „გარდამავალი სამართალი და საქართველოს კონფლიქტები: დუმის დარღვევა, გარდამავალი სამართლის საერთაშორისო ცენტრი, 2009 წ. მაისი, www.ictj.org/.../ICTJFrichova_GEO_BreakingtheSilence_pa2009.pdf

შესახებ“ განსაზღვრავს გარკვეულ საკითხებს, რომლებიც უნდა მოგვარდეს საქართველოს ხელისუფლების მიერ, ევროპის დემოკრატიის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია), მისი 2009 წლის მარტის მოსაზრებით.¹⁴⁴⁵ 2009 წ. ივნისში IIFFMCG-თან შეხვედრისას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ 2009 წლის ზაფხულის ბოლოს, საქართველოს პარლამენტი აპირებს ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებას კანონში.

ე) შემდგომი პრევენციული ზომები და რეკომენდაციები

სასურველია, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მთავრობებმა ოფიციალურად იკისრონ ვალდებულებები, დაიცვან ჟენევის კონვენცია, მისი დამატებითი ოქმები და უზრუნველყონ მათი განხორციელება.

ამას გარდა, ალტერნატიულად, მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ სპეციალურ ხელშეკრულებებს კონკრეტული ჰუმანიტარული საკითხების თაობაზე (როგორცაა, დაცული ზონები ან იძულებით გადაადგილებული პირები), ან მათ ურთიერთობაში ჟენევის კონვენციების და პროტოკოლების სრულად ამოქმედებაზე, როგორც მაგალითად, გათვალისწინებულია ჟენევის კონვენციების 3(2) მუხლით.

მას შემდეგ, რაც მოხდება შეთანხმება შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების თაობაზე, მათში შემავალი პრინციპები და წესები გასათვალისწინებელია ადგილობრივ კანონმდებლობაში, რეკომენდაციებში, პროცედურებსა და პრაქტიკულ ქმედებებში. ასეთი ზომები უკვე მიღებულია რეგიონში, მაგრამ ისინი შეიძლება არ იყოს სრულად დამაკმაყოფილებელი და ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა გადაისინჯოს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს მიღებული გაკვეთილების ფონზე. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე კონკრეტული პრაქტიკული ზომა, რომელთა მიღებაც დაბეჯითებით რეკომენდირებულია.

უკვე მშვიდობიან დროს, ყველა შესაბამისმა ხელისუფლებამ უნდა დაგეგმოს სამხედრო ობიექტების გადატანა მაქსიმალურად შორს სამოქალაქო შენობებისგან, განსაკუთრებით, საავადმყოფოებისგან, სკოლებისა და კულტურული ობიექტებისგან მოშორებით.

როგორც გათვალისწინებულია, სახელდობრ, ჟენევის კონვენციებსა და პროტოკოლებში, შესაბამის ორგანოებს ურჩევენ აღნიშნონ შესაბამის ობიექტებსა და სატრანსპორტო

¹⁴⁴⁵ ევროპის კომისია დემოკრატიისთვის, კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია) დასკვნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, მიღებული ვენეციის კომისიის მიერ, 78-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2009 წ. 13-14 მარტი), CDL-AD(2009)015, სტრასბურგი, 2009 წ. 17 მარტი, დასკვნა No. 516 / 2009.

საშუალებებზე სპეციალური დაცვის ნიშნები/ემბლემები (სახელდობრ, წითელი ჯვარი, სამედიცინო დაწესებულებებისთვის; ფარი, ცისფერი და თეთრი დიაგონალური ხაზით, კულტურული ობიექტებისთვის; სამი კაშკაშა ნარინჯისფერი კოაქსიალური რგოლი იმ ქარხნებისა და ნაგებობებისთვის, სადაც საშიში ნივთიერებებია დაცული).

უკვე მშვიდობიან დროს, ასევე, უაღრესად სასარგებლოა განისაზღვროს სამსახური, რომელიც შეიძლება იყოს წითელი ჯვრის ადგილობრივი საზოგადოება, რომელსაც დაეკისრება უფო-უკვლოდ დაკარგულების, იძულებით გადაადგილებული და დაღუპული პირების შესახებ, ასევე დაშორებული ოჯახის წევრების და პატიმრების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, რეგისტრაცია და გადაცემა.

იმისათვის, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაცული იყოს IHL, ყველა უნდა იცნობდეს მის პრინციპებს, ხოლო უფრო კონკრეტულ წესებში უნდა ერკვეოდნენ ისინი, ვისაც მოუწევს მათი პრაქტიკულად განხორციელება. რა თქმა უნდა, იგივე შეეხება ადამიანის უფლებების სტანდარტებსა და წესებსაც. ჩვენთვის ცნობილია, რომ რუსეთსა და საქართველოში ხორციელდება ზომები ამის მისაღწევად. ისინი უნდა გაგრძელდეს და განმტკიცდეს. ანალოგიური ნაბიჯები უნდა გადადგას აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა და ელემენტარული ცოდნის შეძენაზე ყველამ უნდა იზრუნოს. თუმცა, უფრო დეტალური განათლების და ტრენინგის ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს მოსახლეობის კონკრეტულ სექტორებზე როგორებიცაა, სამოქალაქო მოხელეები, ჟურნალისტები და ახალგაზრდა თაობა. ეს უნდა გაკეთდეს სკოლის მაღალი კლასებისა და საუნივერსიტეტო პროგრამების მეშვეობით. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნობრივი პოპულაციაა შეიარაღებული პირები (ე. ი. შეიარაღებული ძალები, პოლიცია, მილიცია და ა. შ.). მათ უნდა ჩაუტარდეთ სათანადო ინსტრუქტაჟი, მათი „ძალის გამოყენების წესებში“ გასათვალისწინებელია IHL მოთხოვნები. რეკომენდებულია თანამშრომლობისა და მხარდაჭერის პროგრამები IHL და HRL სფეროში ინფორმაციის გავრცელების, განათლების და ტრენინგისთვის არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, ან ისეთი მესამე სახელმწიფოების მეშვეობით, რომლებიც უკვე ინიცირებულია ICRC –ს ან ეუთო–ს მიერ.

ფაქტების შემსწავლელი მისია მხარს უჭერს გაერო–ს შესაბამისი სააგენტოების და რეგიონული და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შემდეგ რეკომენდაციებს, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ეს რეგიონში ხანგრძლივი მშვიდობის ხელშემწყობ ელემენტებს წარმოადგენს:

- ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისარმა მოუწოდა ყველა შესაბამის მხარეს, უზრუნველყონ თავისუფალი და დაუბრკოლებელი დაშვება საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ყველა ტერიტორიაზე, რომელსაც კონფლიქტი შეეხო (იმ ტერიტორიების ჩათვლით, სადაც კონფლიქტმა არაპირდაპირი ზემოქმედება

მოახდინა) ყველა მიმართულებიდან. იმგვარად, რომ მოსახლეობისთვის უზრუნველყოფილი იყოს ყველა საჭირო ჰუმანიტარული დახმარება, ადამიანის უფლებების მხარდაჭერა და შესაძლებელი იყოს ნდობის განმტკიცებაზე მუშაობა.¹⁴⁴⁶

- ეუთო–ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შეფასების მისიამ კონფლიქტის ყველა მხარეს რეკომენდაცია გაუწია „მათი შესაბამისი იურისდიქციის ფარგლებში, სრულად დაეცვათ ეუთო–ს ყველა ვალდებულება, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებები. სპეციალური ყურადღება უნდა დაეთმოს იმის უზრუნველყოფას, რომ შეიქმნას სათანადო პირობები უმცირესობების თემების წევრებისთვის, რათა მათ შეძლონ ყველა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების განხორციელება.“¹⁴⁴⁷
- გაერო–ს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა, იძულებით გადაადგილებული პირების ადამიანის უფლებების სფეროში მოუწოდა ყველა მხარეს, გადადგან ყველა საჭირო ნაბიჯი, რომ ბოლო და წარსული კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულმა პირებმა შესძლონ განახორციელონ მათი უფლება და ნებაყოფლობით დაუბრუნდნენ მიტოვებულ სახლებს, უსაფრთხოდ და ღირსეულად და უზრუნველყონ მათი საკუთრების და ქონების აღდგენა. თუ ასეთი აღდგენა შეუძლებელია, მათ უნდა მიიღონ სათანადო კომპენსაცია ან სამართლიანი რეპარაციის სხვა ფორმა.“¹⁴⁴⁸
- გარდამავალი სამართლის საერთაშორისო ცენტრმა აღნიშნა, რომ „კონფლიქტის მოგვარების ამოო მცდელობები, თხუთმეტი წლის განმავლობაში, მიუთითებს, რომ ამ რეგიონში პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტა შეიძლება რთული მისაღწევი იყოს, სამართლის მოთხოვნების და შერიგების აუცილებლობის საკითხების მოგვარების გარეშე.“¹⁴⁴⁹
- ეუთო–ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შეფასების მისიის რეკომენდაციაა, რომ კონფლიქტის ყველა მხარემ „იკისროს მათ იურისდიქციაში არსებული ან მათ კონტროლს დაქვემდებარებული პირების მიერ ჩადენილი კონფლიქტის დროს ადამიანის

¹⁴⁴⁶ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისრის ანგარიში ადამიანის უფლებების საკითხების თაობაზე, 2008 წ. აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, 2009 წ. 15 მაისი, CommDH (2009) 22, პუნქტი 75.

¹⁴⁴⁷ დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შეფასების მისია, ეუთო, ადამიანის უფლებები ომით დაზარალებულ რეგიონებში, საქართველოში კონფლიქტის შემდეგ, 2008 წლის 27 ნოემბერი, გვ. 77.

¹⁴⁴⁸ გენერალური მდივნის წარმომადგენლის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების შესახებ, ვალტერ კალინი, A/HRC/10/13/Add.2, 2009 წ. 13 თებერვალი, პუნქტი 59.

¹⁴⁴⁹ მაგდალენა ფრიხოვა, „გარდამავალი სამართალი და საქართველოს კონფლიქტები: დუმილის დარღვევა, გარდამავალი სამართლის საერთაშორისო ცენტრი, 2009 წ. მაისი, ხელმისაწვდომია მისამართზე: www.ictj.org/.../ICTJFrchova_GEO_BreakingtheSilence_pa2009.pdf

უფლებების დარღვევისა და სხვა უკანონო ქმედებების შესახებ განცხადებების გამოძიება და შესაბამისი ზომების მიღება. ნებისმიერი პირი, რომელიც დანამდვილებით მონაწილეობდა ადამიანის უფლებების დარღვევაში ან სხვა სერიოზულ დანაშაულში პასუხისგებაში უნდა მიეცეს, კანონის შესაბამისად. მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ ინფორმაციის და მტკიცებულებების გაცვლის თვალსაზრისით, ასეთ აღმკვეთ ღონისძიებებთან დაკავშირებით. შესაბამისი პირების პასუხისგებაში მიცემის გარდა, საზოგადოებას სრულად უნდა გააცნონ ფაქტები, რომლებიც დაკავშირებულია კონფლიქტის დროს ადამიანის უფლებების დარღვევასთან.¹⁴⁵⁰

- ეუთო–ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შეფასების მისიამ ასევე აღნიშნა, რომ „ECHR და ადამიანის უფლებების შესახებ სხვა საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებული კომპენსაციის ვალდებულების, ასევე ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონების მნიშვნელოვანი დარღვევების და საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის სერიოზული დარღვევების შედეგად დაზარალებულთა კომპენსაციის და რეპარაციის უფლებებთან დაკავშირებული გაერო–ს ძირითადი პრინციპების და წესდების გათვალისწინებით, მხარეებმა უნდა „შექმნან ეროვნული პროგრამები დაზარალებულთათვის რეპარაციისა და სხვა დახმარების უზრუნველსაყოფად იმ შემთხვევაში, თუ ზიანზე პასუხისმგებელ მხარეებს არ შეუძლიათ ან არ სურთ საკუთარი ვალდებულებების შესრულება.“ რეპარაცია უნდა მოიცავდეს დაზარალებულების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას, მიყენებული ეკონომიური ზარალის კომპენსაციას და რეაბილიტაციას, ისევე როგორც სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას. ნებისმიერი საკომპენსაციო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს გენდერულ საკითხებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს საოჯახო მეურნეობებით დაკავებული ან სხვა დაზარალებული ქალების, სათანადო ხელმისაწვდომობა რესტიტუციაზე, კომპენსაციასა და რეაბილიტაციაზე.¹⁴⁵¹
- კრიზისის საერთაშორისო ჯგუფმა აღნიშნა, რომ როგორც გამოძიება, ასევე აღკვეთა „ემსახურება რამდენიმე მიზანს, რომელთა შორის არცთუ უმნიშვნელოა, საჭიროების შემთხვევაში, სისასტიკის მასშტაბისა და ხასიათის შესახებ დეზინფორმაციის გამოსწორება იმგვარად, რომ შემცირდეს შურისძიების ალბათობა და უზრუნველყოფილ იქნას გრძელვადიანი შერიგება.“¹⁴⁵²
- ევროკომისიის ადამიანის უფლებების კომისარმა ასევე აღნიშნა გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეს მხარეებმა, 2009 წ. 17 თებერვლის ჟენევის მოლაპარაკებებში,

¹⁴⁵⁰ დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ადამიანის უფლებების შეფასების მისიამ, ეუთო, ადამიანის უფლებები ომით დაზარალებულ რეგიონებში, საქართველოში კონფლიქტის შემდეგ, 2008 წ. 27 ნოემბერი, გვ. 76.

¹⁴⁵¹ იქვე.

¹⁴⁵² საერთაშორისო ანტიკრიზისული ჯგუფი, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ: შედეგები, ევროპის ანგარიში No.195 -2008 წ. 22 აგვისტო, გვ. 29.

ინციდენტების პრევენციის ერთობლივი მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით. მექანიზმის მიზანია სტაბილობის და უსაფრთხოების ხელშეწყობა, უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინციდენტებზე ან/და დანაშაულებრივ ქმედებებზე დროული და ადექვატური რეაგირების გზით, რაც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების უსაფრთხოებას და ჰუმანიტარული დახმარების ეფექტიანად მიწოდებას. ამ ხელშეკრულების ფარგლებში, კონფლიქტის ყველა მხარის უშიშროების ძალებმა და საერთაშორისო მონიტორინგმა (გაერო-მ, ევროკავშირმა და ეუთო-მ) უნდა მოაწყონ შეხვედრები, სულ მცირე, კვირაში ერთხელ, მაინც ან საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირად და შეიძლება შეთანხმდნენ ერთობლივი ვიზიტების განხორციელებაზე. კომისარს მიაჩნია, რომ ამ მექანიზმს გააჩნია გარკვეული პოტენციალი, გააუმჯობესოს უსაფრთხოება კონფლიქტის ტერიტორიებზე და მოუწოდებს ყველა მხარეს, პრაქტიკულად და კეთილსინდისიერად განახორციელოს ის.”¹⁴⁵³

ამ ზომებიდან ბევრი ითვალისწინებს ყველა მხარეს შორის თანამშრომლობას; ასეთი საკითხების მოგვარებას გამჭვირვალობის და თანასწორობის პრინციპების დაცვით, კონკრეტული გადაწყვეტილებით, რამაც შეიძლება საფუძველი შექმნას დიალოგისა და ურთიერთგაგებისთვის.

VI. საერთაშორისო სასამართლოსთვის წარდგენილი საქმეები

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტმა გამოიწვია როგორც ინდივიდუალური, ასევე სახელმწიფოთაშორისი სარჩელების წარდგენა ხელმისაწვდომ სასამართლოებში.

IIFMCG-ის შედეგების ამ ფონზე განხილვას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. განსახილველი საქმეების გათვალისწინებით, თუ IIFMCG-ის მოხსენება საჯაროდ გამოქვეყნდება, მას ინტენსიურად გამოიყენებს ყველა მხარე და შესაბამისი სასამართლოები. ამგვარად, დაზარალებულებისთვის და მხარეებისთვის 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის და მისი შემდგომი პერიოდის გაწონასწორებული ანალიზის მიწოდების გარდა, სასურველია, ანგარიში გამოქვეყნდეს სასამართლო პროცედურების კონტექსტში ინფორმაციის უზრუნველსაყოფად.

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტთან დაკავშირებული პირველი საქმე იყო საქართველოს მიერ ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოში 2008 წლის 11 აგვისტოს შეტანილი სარჩელი, სადაც საქართველო აცხადებდა, რომ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია. 2009 წლის 6 თებერვალს, ადამიანის

¹⁴⁵³ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისიის ანგარიში ადამიანის უფლებების საკითხების თაობაზე, 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, 2009 წლის 15 მაისი, CommDH (2009) 22, პუნქტი 36.

უფლებების ევროპული კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად, საქართველომ ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში შეიტანა სახელმწიფოთაშორისი განაცხადი, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

არის ასევე რიგი განაცხადები ინდივიდუალური პირებისგან, რომლებიც შეტანილია ან შეტანილი უნდა იყოს ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში. 2009 წლის 14 იანვარს, მაგალითად, სასამართლომ განაცხადა, რომ მან განიხილა შვიდი განაცხადი საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო საერთო ჯამში, მიიღო 3.300-ზე მეტი განაცხადი სამხრეთ ოსებისა და რუსების წინააღმდეგ „ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებების აღწერით.“¹⁴⁵⁴ რამდენიმე ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია ეხმარება ეთნიკურ ქართველებს სასამართლოში სარჩელების შეტანისას.

კიდევ ერთი სახელმწიფოთაშორისი სარჩელი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტს შეეხება, შეტანილია საქართველოს მიერ, რუსეთის წინააღმდეგ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში (ICJ). 2008 წლის 12 აგვისტოს, საქართველომ აღძრა საქმე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და 14 აგვისტოს ICJ-ს წარუდგინა მოთხოვნა დროებითი ზომების დაწესების თაობაზე. საქმეს საფუძვლად უდევს საერთაშორისო კონვენცია ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე (ICERD).

2008 წლის 15 ოქტომბერს ICJ-მ გამოსცა ბრძანება, სადაც ის მოუწოდებდა რუსეთსა და საქართველოს შეესრულებინათ მათი იურიდიული ვალდებულებები ICERD-ის ფარგლებში, პიროვნებების უფლებების „შეუქცევადი შელახვის“ თავიდან ასაცილებლად, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებდა, საქმის მასალებთან დაკავშირებით.¹⁴⁵⁵ ამჟამად ეს საქმე სასამართლოს მიერ განიხილება.

მართალია, ამჟამად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში არ მიმდინარეობს არც ერთი საქმის განხილვა. 2008 წლის 20 აგვისტოს ICC-ის პროკურორმა დაადასტურა, რომ მისი ოფისი აანალიზებდა საქართველოში არსებულ სუტუაციას¹⁴⁵⁶.

¹⁴⁵⁴ ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლო, „შვიდი განაცხადი საქართველოს წინააღმდეგ, სამხრეთ ოსეთის საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით,“ რეგისტრატორის პრესრელიზი, 2009 წ. 14 იანვარი, <http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1&portal=hbkm&action=html&highlight=&sessionid=18135459&skin=hudoc-pr-en>

¹⁴⁵⁵ საქმე, რომელიც შეეხება რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციას (საქართველო v. რუსეთის ფედერაცია), საერთაშორისო სასამართლო, საერთო სია 140, დროებითი ზომების მოთხოვნა, 2008 წ. 15 ოქტომბერი.

¹⁴⁵⁶ ICC პრესრელიზი, „ICC პროკურორი ადასტურებს სიტუაციას საქართველოში“ ICC-OTP-20080820- PR346, 20 August 2008. <http://www2.iccpi>.

თავი 8

უკან, დიპლომატიისაკენ

12 აგვისტოს, ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საერთო-საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დარგში, ჰავიერ სოლანას რუსეთის მთავრობამ მოახსენა რომ „რუსეთის ოპერაციის მიზანი – საქართველოს მხარის იძულება, რომ დაეცვა მშვიდობა მიღწეული იყო და მან ოპერაციის დასრულება გადაწყვიტა.“¹⁴⁵⁷ მოგვიანებით, იმავე დღეს, პრეზიდენტი მედვედევი შეხვდა პრეზიდენტ სარკოზის, რომელმაც ევროკავშირის სახელით, პრეზიდენტ ბუშთან, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან და ევროპის სხვა ლიდერებთან სატელეფონო კონსულტაციების შემდეგ წარუდგინა ცეცხლის შეწყვეტის გეგმა. პრეზიდენტმა მედვედევმა, შეტყობინებების მიხედვით, შეასწორა გეგმის ზოგიერთი ელემენტი. შემდეგ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, კუმნერი გაემგზავრა თბილისში, ქართული მხარისთვის წინადადებების წარსადგენად. პრეზიდენტები მედვედევი და სააკაშვილი, სატელეფონო კონსულტაციების შემდეგ, დათანხმდნენ 6-პუნქტიან სამშვიდობო გეგმაზე. ეს გეგმა კონფლიქტის ყველა მხარეს მოუწოდებდა შემდეგი პირობების მიღებასა და შესრულებას:

- თავის შეკავება ძალის გამოყენებისგან;
- საომარი მოქმედებების საბოლოოდ შეწყვეტა;
- ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი დაშვების უზრუნველყოფა;
- საქართველოს სამხედრო ძალების ბაზებზე დაბრუნება;
- რუსეთის სამხედრო ძალები უნდა დაუბრუნდნენ პოზიციებს, რომელიც მათ ეკავათ საომარი მოქმედებების დაწყებამდე. საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედებამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალებმა მიიღონ უსაფრთხოების დამატებითი ზომები;
- საერთაშორისო მოლაპარაკებების გამართვა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიღწევასთან დაკავშირებით.¹⁴⁵⁸

რამდენადაც საერთაშორისო მექანიზმები არ ამოქმედდა, რუსეთის სამშვიდობო ძალები პატრულირებას უწევდა ე.წ. ბუფერულ ზონას, სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ. გეგმა

[int/menus/icc/press%20and%20media/press%20releases/press%20releases%20\(2008\)/icc%20prosecutor%20confirms%20situation%20in%20georgia%20under%20analysis?lan=en-GB](http://int/menus/icc/press%20and%20media/press%20releases/press%20releases%20(2008)/icc%20prosecutor%20confirms%20situation%20in%20georgia%20under%20analysis?lan=en-GB)

¹⁴⁵⁷ ITAR-TASS, 2008 წ. 12 აგვისტო.

¹⁴⁵⁸ ექვსპუნქტიანი გეგმის ინგლისური თარგმანი მოცემულია პრეს რელიზში, საერთო საქმეთა და საგარეო ურთიერთობათა საგანგებო შეხვედრა, ბრუსელი, 2008 წ. 13 აგვისტო, ევროკავშირის საბჭო.

სპეციალურად არ ითვალისწინებდა, რომ სამშვიდობო ძალები იმოქმედებდნენ სამხრეთ ოსეთის ფარგლებში.¹⁴⁵⁹

2008 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დათანხმდნენ და ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის ამ გეგმას. იმავე დღეს, საქართველომ დაიწყო პროცედურები დსთ-ის შემადგენლობიდან გამოსვლისთვის და საქართველომ საბოლოოდ გადადგა ნაბიჯი, რომელსაც წლების განმავლობაში განიხილავდა.

22 აგვისტოს, რამდენიმე დასავლურმა მედია საშუალებამ დააფიქსირა რუსეთის სამხედრო ნაწილების მნიშვნელოვანი ნაწილის, თუმცა, არასრულად, გასვლა „საკუთრივ საქართველოს“ ტერიტორიიდან. *status quo ante bellum* განსხვავებული ინტერპრეტაციები ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდგომ ზომებს.

დიპლომატიური მოვლენა, რომელსაც ექვსპუნქტიანი სამშვიდობო გეგმა ეწოდა, კიდევ უფრო დიდ საკითხს წარმოადგენდა. 25 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციის საბჭომ და სახელმწიფო დუმამ პრეზიდენტს რეკომენდაცია გაუწიეს, ეცნო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ამ მომენტშიც კი, ზოგიერთი რუსი და დასავლელი ექსპერტები არ იჯერებდნენ, რომ კრემლი შეასრულებდა ამ რეკომენდაციას. თუმცა, 26 აგვისტოს განცხადებაში, პრეზიდენტმა მედვედევმა გამოაცხადა, რომ რუსეთი ოფიციალურად სცნობდა ორივე რეგიონის დამოუკიდებლობას და მოუწოდებდა სხვა სახელმწიფოებს, ასევე გადაედგათ ეს დიპლომატიური ნაბიჯი. 5 სექტემბერს, ნიკარაგუამ სცნო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

რუსეთის დომინანტურ ფორმატში, როგორცაა კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაცია (CSTO), არც ერთმა სახელმწიფომ არ გადადგა ეს ნაბიჯი. 2008 წლის აგვისტოს ბოლოს, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის (SCO) სამიტზე გამოიცა კომუნისკე, სადაც აისახა გამოყოფილი რეგიონების აღიარების დაგმობა. შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ, რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა ჩამოაყალიბა დოქტრინა ინტერესების პრივილეგირებული ზომების შესახებ.

8 სექტემბერს, პრეზიდენტმა სარკოზიმ და პრეზიდენტმა მედვედევმა ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის შემდგომ შეთანხმებას, რომელშიც დეტალურად იყო წარმოდგენილი ექვსპუნქტიანი გეგმის დებულებები. ის ითვალისწინებდა შეიარაღებული ძალების გაყვანის ღონისძიებებს და საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმებს. ის ასევე, ითვალისწინებდა საერთაშორისო დამკვირვებლების – UNOMIG და OSCE მისიების მუშაობის გაგრძელებას საქართველოში. ეს უნდა მომხდარიყო მათი

¹⁴⁵⁹ ჯიმ ნიკოლი: რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი 2008 წ. აგვისტოში: კონტექსტი და შედეგები აშშ-ის ინტერესებისთვის კონგრესის კვლევითი სამსახურის ანგარიში, 2009 წ. 3 მარტი. გვ. 7-12.

არსებული მანდატების ფარგლებში, რაც დაექვემდებარებოდა შემდგომ შესწორებებს, შესაბამისად, გაერო–ს უშიშროების საბჭოს და ეუთო–ს მუდმივმოქმედი საბჭოს მხრიდან. საერთაშორისო დამკვირვებლები, მათ შორის, სულ მცირე, 200 დამკვირვებელი ევროკავშირიდან, იმუშავებდნენ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მიმდებარე ზონებში. ამგვარად, ევროკავშირი გახდა ძალის გამოუყენებლობის პრინციპის გარანტი. შეთანხმება ასევე ითვალისწინებდა საერთაშორისო დისკუსიების ჩატარებას, როგორც გათვალისწინებული იყო ექვსპუნქტიან გეგმაში, რაც დაიწყებოდა 2008 წლის 15 ოქტომბერს, ჟენევაში.¹⁴⁶⁰

ფოთიდან და სენაკიდან რუსეთის ჯარები გაიყვანეს 13 სექტემბერს. 6 ოქტომბრისთვის ისინი გაიყვანეს ე.წ. ბუფერული ზონებიდან. ამ გეგმის შეთანხმებიდან მხოლოდ ერთი დღის შემდეგ, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ რამდენიმე ათასიანი რუსული ნაწილები დარჩებოდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ამას გარდა, რუსული საკონტროლო გამშვები პუნქტები დარჩებოდა ზოგიერთ ადგილებში, მაგალითად, ახალგორის რაიონში, სამხრეთ ოსეთის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელსაც 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე საქართველო მართავდა. ამგვარად, რუსეთმა არ დააკმაყოფილა მოთხოვნა დაებრუნებინა მისი ჯარები ომამდე არსებულ პოზიციებზე.

მეტიც, კრემლის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებამ, კოსოვოს პრეცედენტის ფორმულაზე დაყრდნობით, ზემოქმედება მოახდინა კონფლიქტების მოგვარების საერთაშორისო ღონისძიებებზე. ახლადშექმნილმა მონიტორინგის მისიამ საქართველოში (EUMM), განსაზღვრა მისი მოქმედების ზონად „მთელი საქართველო,“ მაგრამ მან ვერ მიიღო თავისუფალი დაშვება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. მალე ნათელი გახდა, რომ რუსეთი და მისი პროტექტორები სოხუმსა და ცხინვალში არ დაუშვებდნენ საერთაშორისო დამკვირვებლებს არც ერთ რეგიონში. ამ შეზღუდვას სერიოზული შედეგები მოჰყვა ისეთი მისიისთვის, როგორცაა EUMM. ორივე რეგიონში დაშვების გარეშე, ის ვერ შეასრულებდა ამოცანას, საქართველოში განეხორციელებინა ომის შემდგომი სტაბილიზაციის პროცესისა და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების მონიტორინგი. ამგვარად, შეზღუდული მოქმედების არეალით, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „მიმდებარე რეგიონებით,“ EUMM ხელს უწყობს იმ დე-ფაქტო საზღვრების დაცვას, რომლებსაც ევროპა და დანარჩენი მსოფლიო არ სცნობს, რუსეთის და ნიკარაგუას გამოკლებით. ამგვარად, ომის შემდგომი სტაბილიზაციის პროცესი საქართველოში, საკმაოდ გაურკვეველ და ბუნდოვან საფუძველს დაეყრდნო.

¹⁴⁶⁰ 4 იხ.: „პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი გაემგზავრა მოსკოვსა და თბილისში (2008 წ. 8 სექტემბერი), Ministère des Affaires Etrangères, http://pastel.diplomatie.gouv.fr/en/article_imprim.php3?id_article=11846 (2009 წ. 5 აგვისტო)

საქართველოსთან დაკავშირებით საერთაშორისო დისკუსიები გაიმართა გაერო-ში, ჟენევაში, 2008 წლის 15 ოქტომბრის შეხვედრაზე, ევროკავშირის, გაერო-ს და ეუთო-ს სრული მონაწილეობით.